თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მედეა საღლიანი

სვანური ენის სტრუქტურის საკითხები

თბილისი

2016

წინამდებარე ნაშრომი განკუთვნილია ქართველურ ენათა სპეციალისტთათვის, უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, დოქტორანტებისათვის და, აგრეთვე, ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებული ყველა ქართველოლოგისათვის.

The present work is intended for specialists of the Kartvelian languages; undergraduate, master's and PhD students in the humanities; and Kartvelologists interested in linguistic issues.

რედაქტორი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვაჟა შენგელია

Editor — Doctor of Philology, Prof. **Vazha Shengelia**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **მურმან სუხიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. **ქეთევან მარგიანი-დადვანი**

მთარგმნელები — **შორენა შავრეშიანი** და **ნანა ქავთარაძე**
ინგლისური ვერსიის რედაქტორი — პროფ. **კევინ ტუიტი**

Reviewers: Doctor of Philology, Prof. **Murman Sukhishvili**
Doctor of Philology, Prof. **Ketevan Margiani-Dadvani**

Translators: **Shorena Shavreshiani** and **Nana Kavtaradze**
English version editor – **Kevin Tuite**

ტექნიკური რედაქტორი — **ლევან ვაშაკიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა — **რუსუდან პაპიაშვილი**

IT editor – **Levan Vashakidze**
IT software – **Rusudan Papiashvili**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
© მედეა საღლიანი

ISBN 978-9941-463-80-8

შინაარსი

წინასიტყვაობა 7
Foreword 9

შესავალი 11

სვანური ენის შესწავლის მოკლე ისტორია 13

ნაწილი I — ფონეტიკური მოვლენები 27

1. ელიზია 29
   1. 1. იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში 32
   1. 2. რთული ელიზიური კონსტრუქციები 58
   1. 3. იდენტური ხმოვანთკომპლექსები 59
   1. 4. იდენტური და არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები 60

ნაწილი II — მორფოლოგია 83

I სახელები 85

1. რიცხვითი სახელები (სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი) 85
   1. 1. თვლის სისტემისათვის 88
   1. 2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები 90
   1. 3. რიგობითი რიცხვითი სახელები 97
   1. 4. წილობითი რიცხვითი სახელები 98
   1. 5. რიცხვით სახელთა ბრუნება 99
   1. 6. მარტივ რიცხვით სახელთა ფონეტიკური ვარიანტები სვანურ დიალექტებში 114

II ზმნა 122

1. S_1 პირის ნიშნის საკითხისათვის სვანურში თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებთან 122
2. ზმნისწინთა სისტემა 189
   2. 1. ლა-, ან-, ად-, ეს- ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთ-მიმართებისა და ამ ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზისათვის სვანურში 189
   2. 2. ად- პრევერბის შესახებ სვანურში 199
   2. 3. ლა- პრევერბის შესახებ სვანურში 205
   2. 4. ზმნისწინთა ყველა შესაძლო კომბინაცია სვანურში 214
3. კვლავ ერთი ტიპის დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში 223

ნაწილი III — უდეტრები 247

-დე/-დენ/-დე̄ნ/-დენა/-დე̄ნა/-დენა̈/-დენა̈̄/-დენ̄ი ნაწილაკის ფუნქციისა და წარმომავლობის შესახებ სვანურში 249

ნაწილი IV — ლექსიკოლოგიური ძიებანი 265

1. ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში 267
   1. 1. ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები 272
   1. 2. ფონეტიკურად შეცვლილი ლექსემები 287
   1. 3. ნასესხები კომპოზიტები სვანურში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი) 360
   1. 4. მცენარეთა აღმნიშვნელი ნასესხები კომპოზიტები (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი) 363
   1. 5. ნასესხები ზმნური ძირები 373
   1. 6. სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ნასესხები ლექსიკა 377
   1. 7. სემანტიკურად იგივეობრივი ლექსემები 379
   1. 8. სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ლექსემები 386

2. ნასესხები რელიგიური ლექსიკა 393
2. 1. ქრისტიანული დღესასწაულები 393
2. 2. წმინდანთა სახელწოდებანი 401
2. 3. ანგელოზთა სახელწოდებანი სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში 406
2. 4. ნასესხები ქრისტიანული ტერმინების შესწავლისათვის 411
3. ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის (ჵითინ/უთინ/ითინ/ძგთინ/გთინ/ლგთინ) წარმომავლობისათვის (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე) 415
4. ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის ქართველურ ენებში 419
5. ზოგი საერთოქართველური ფუძის შესახებ 429
6. სვანურ-აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკური შეხვედრები 434
7. ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში (სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი) 438
7. 1. ფონოსემანტიკური ლექსიკა 438
7. 2. ინტერფიქსური (resp. „მაერთხმოვნიანი" და „მაერთმარცვლიანი") რედუპლიკაცია 463
7. 3. სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში 474
8. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში 492
8. 1. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში 493
8. 2. ადამიანის მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში 495
8. 3. ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და ქვეწარმავალთა მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების სივრცული ლოკალიზაცია და მათი ურთიერთმიმართება „მყოფობის" ზმნებთან 503
8. 4. უსულო *საგნების* (resp. *ობიექტების*) სივრცული ლოკალიზაცია 511
8. 5. ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაცია 537
8. 6. სივრცული ლოკალიზაციისა და მყოფობა-მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნათა ურთიერთმიმართების საკითხი სვანურში 547
9. მასალები სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონისათვის 552
9. 1. სოფელ ცხუმარის ტოპონიმია 552
9. 2. სოფელ ფარის ტოპონიმია 556

ნაწილი V — ფრაზეოლოგიზმები 569

1. მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები 571
1. 1. სიტყვათა კავშირები სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში 575
1. 2. სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში 585
1. 3. ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის 590
1. 4. სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგი არქაული სიტყვის წარმომავლობის შესახებ 604
1. 5. სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობა (ქართულთან შედარებით) 616
1. 6. სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები (resp. იდიომური ლაკუნები) 647
1. 7. სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისების შესახებ 653
1. 8. ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართების შესახებ 663

ნაწილი VI — ინტერფერენციული მოვლენები კოდორელ სვანთა მეტყველებაში 677

1. შენიშვნები ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების ზოგი თავისებურების შესახებ 679
2. სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში 687
Summary 699
ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა საძიებელი 737
პირობითი ნიშნების განმარტება 932
შემოკლებათა განმარტებანი 933

წიგნი ეძღვნება ჩემი ძვირფასი მასწავლებლის,
აკადემიკოს ***ქეთევან ლომთათიძისა*** *და ღირსეული*
კოლეგის, აკადემიკოს ***მიხეილ ქურდიანის*** *ნათელ ხსოვნას*

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში — ***„სვანური ენის სტრუქტურის საკითხები“*** შესულია ავტორის მიერ როგორც სხვადასხვა *ს ა ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ო ჟ უ რ ნ ა ლ შ ი* („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, „საენათმეცნიერო ძიებანი“, „ეტიმოლოგიური ძიებანი“, „ენათმეცნიერების საკითხები“, „ივერია“, „ფილოლოგიური პარალელები“, „ქართველოლოგია“ და ა. შ.) გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაშრომები ფონეტიკის, სახელისა და ზმნის მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ფრაზეოლოგიის, ტოპონიმიისა და ინტერფერენციული მოვლენების შესახებ.

აღნიშნული კრებული შეიქმნა დღემდე არსებული სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და თანამედროვე სვანური მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური მასალის სინქრონიულ-დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია თითოეულ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული პარადიგმატული სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც სვანური ენის პუბლიკაციებში წარმოდგენილი, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში სვანეთის სამივე (ენგურის, ცხენისწყლისა და კოდორის) ხეობაში მოპოვებულ-გადამოწმებული სათანადო საილუსტრაციო მასალა. აღნიშნულ საკითხთა კვლევა მხოლოდ ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების (***ბალსზემოურის***, ***ბალსქვემოურის***, ***ლაშხურისა*** და ***ლენტეხურის***) მასალის ანალიზით არ შემოფარგლულა, არამედ შეძლებისდაგვარად არის გამოყენებული ***ჩოლურული*** მეტყველებისა და, ამასთანავე, ***ლახამულური*** და ***უშგულური*** კილოკავის მონაცემები. საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, მოხმობილია ამა თუ იმ დიალექტის კილოკაური მასალაც.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს სვანური ენის გრამატიკული სისტემის შემდგომ კვლევას. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას ჩვენც ვაპირებთ და, ბუნებრივია, ყველა საქმიანი შენიშვნა და საფუძვლიანი მოსაზრება გათვალისწინებული იქნება მომავალი კვლევა-ძიებისას.

ღრმეს მადლობას მოვახსენებთ ამ წიგნის რედაქტორს — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტს, პროფ. ***ვაჟა შენგელიას***, რომელიც გულდასმით გაეცნო მონოგრაფიის ყველა ნაწილს და საინტერესო და საყურადღებო შენიშვნები მოგვაწოდა, და პროფ. ***იზა ჩანტლაძეს***, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელობით შეიქმნა ნაშრომის

რამდენიმე თავი; ასევე, დიდ მადლობას ვუხდით რეცენზენტებს — პროფ. ***მურმან სუხიშვილს*** და პროფ. ***ქეთევან მარგიან-დადვანს***, ინგლისური ტექსტის მთარგმნელებს — ***შორენა შავრეშიანს*** და ***ნანა ქავთარაძეს***, ინგლისური ვერსიის რედაქტორს — მონრეალის უნივერსიტეტის პროფ. ***კევინ ტუიტს***, ტექნიკურ რედაქტორებს — ***ლევან ვაშაკიძეს*** და ***რუსუდან პაპიაშვილს***, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სვანური ჯგუფის ყველა წევრს — ***ელიზავეტა გაზდელიანს***, ***როენა ჭკადუას***, ***ნატო შავრეშიანს*** და ***ლელა გოგლემიანს*** თანადგომისათვის და სვანური დიალექტ-კილოკაური მასალის გულდასმით გადამოწმებისათვის.

დასასრულ, გულითად მადლობას ვუხდით სვანეთში (მესტიისა და ლენტეხის რაიონებში) ექსპედიციების მასპინძლებსა და ინფორმატორებს ღირსეული მასპინძლობისა და უშურველად გაწეული დახმარებისათვის.

The book is dedicated to the memory of
*my teacher Acad. **Ketevan Lomtatidze** and*
*my honorable colleague **Mikheil Kurdiani***

Foreword

The present collection „**On the Structure of the Svan Language**" includes work previously published by the author in the journals *Ibero-Caucasian linguistics, Issues of the structure of the Kartvelian languages, Linguistic studies, Etymological studies, Linguistic papers, Iveria, Philological parallels, Kartvelology;* as well as unpublished papers on phonetics, nominal and verbal morphology, lexicology, phraseology, toponymy and interferencive occurrences.

The present collection draws upon the contemporary specialist literature, and synchronic and diachronic analyses of material from the Svan dialects. For illustrative purposes, the work includes paradigms from each system analyzed. Relevant material from published collections of Svan texts are utilized, as well as materials collected in the three Svan valleys (Enguri, Tskhenistsqali and Kodori). Data from the four better-known Svan dialects (**Upper Bal, Lower Bal, Lashkhian** and **Lentekhian**), are supplemented with data representing the **Cholurian, Lakhamul** and **Ushgulian** speech varieties. If need be, sub-dialectal material from the various dialect areas is also provided.

I believe that the present work will greatly contribute to the further study of the Svan grammatical system. The author will continue investigation of these issues, and therefore, all appropriate comments and views will be considered.

Many thanks to the editor – Correspondent-Member of the Georgian National Academy of Sciences, Prof. **Vazha Shengelia**, who attentively read the monograph and provided us with noteworthy comments; to Prof. **Iza Chantladze**, under whose supervision some chapters were created; to the reviewers Prof. **Murman Sukhishvili** and Prof. **Ketevan Margiani-Dadvani**; the translators **Shorena Shavreshiani** and **Nana Kavtaradze**; English version editor Prof. **Kevin Tuite**; IT editors **Levan Vashakidze** and **Rusudan Papiashvili**; all the members of the Svan team at the Arnold Chikobava Institute of Linguistics **Elizaveta Gazdeliani, Roena Chkadua, Nato Shavreshiani** and **Lela Giglemiani**, who assisted me and verified Svan dialectal and sub-dialectal material.

Finally, heartfelt gratitude to all my hosts, hostesses and informants in Svaneti (Mestia and Lentekhi regions), for their kind hospitality and support.

შესავალი

სვანური ენის შესწავლის მოკლე ისტორია

სვანური ქართველური ენობრივი სამყაროს უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. ამასთან სვანები თავიანთი სამეურნეო-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრებით, სხვა ქართველებთან ერთად, უხსოვარი დროიდან დღემდე აქტიურად არიან ჩართული საერთოეროვნულ აღმშენებლობაში.

ქართულთან და კოლხურთან (მეგრულ-ლაზურთან) ერთად სვანური მიეკუთვნება სამხრეთ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, რომელსაც მკვლევართა დიდი ნაწილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთ შტოდ მიიჩნევს. ეს ჯგუფი საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ქართველური (იბერიული) ენების სახელით. სვანურ ენაზე მეტყველებს ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ზემო სვანეთში (მდინარე ენგურის ხეობაში), ქვემო სვანეთში (მდინარე ცხენისწყლის ხეობაში), მთიან აფხაზეთში (მდინარე კოდორის ხეობაში)[1] და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა დროს — ძირითადად 1987 წ. სტიქიური უბედურების შემდეგ ჩასახლებულები.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „მეგრულ-ლაზურისა და სვანურის აღიარება დამოუკიდებელ ენებად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეგრელები, ლაზები და სვანები ცალ-ცალკე ერებს წარმოადგენენ. ესენი არიან უძველესი ქართველი ტომები, რომელთა მეტყველებაც ათასწლეულების განმავლობაში იმდენად დაშორდა ფუძე-ენას, რომ დამოუკიდებელი ენის სახე მიიღო, მაგრამ ფუნქციურად არ ასცილებია იმ დონეს, რა დონეზეც ოდითგანვე იდგნენ და დღესაც დგანან ქართული ენის დიალექტები“ (ჭუმბურიძე 2007:3).

„ყველა ქართველი ტომისათვის საერთო ეროვნული სალიტერატურო ენა ოდითგანვე იყო და არის უძველესი დამწერლობისა და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართული ენა“ (იქვე).

როგორც ვ. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა, ფასდაუდებელია დამწერლობისა და მწერლობის მნიშვნელობა ცალკეულ ეროვნებათა თუ ეთნოსთა ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, დიდი როლი ენიჭება სახელმწიფო (სალიტერატურო) ენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი მეტყველების კვლევა ნაკლები ღირებულებისაა! არა მხოლოდ არქაულ ლექსამათა თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის თვალსაზრისით, არამედ არაკანონიკურ, არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე უმწერლობო ენებსა და დიალექტ-კილოკავებს უდიდესი ღვაწლი შეიძლება ჰქონდეთ უნივერსალიათა თუ „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადასაწყვეტად“ (ვ. ჰუმბოლდტი).

წერილობით ძეგლებს, თუნდაც უძველესთ, არ შეუძლიათ გასწიონ ცოცხალი ხალხური ენის მაგივრობა. ისინი ვერ წარმოადგენენ გრამატიკულ ფორმებსა და მათ ფუნქციებს მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებში არსებობენ და ნაკლებ შებოჭილი არიან ნორმირებული სალიტერატურო ენის გავლენით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული (ქართველური) ტომების იდიომები — ლაზების, მეგრელებისა და სვანების. ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ — მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა წარმოვიდგინოთ ქართული ენის ნათესაური ურთიერთობა და განვითარება (ა. ცაგარელი).

ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის კვლევისათვის თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობით ძეგლებთან და თანამედროვე ცოცხალ მეტყველებასთან ერთად, როგორც არაერთგზის თქმულა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემებს, რამეთუ „სვანური ტიპო-

[1] სამწუხაროდ, კოდორის (resp. დალის) ხეობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ავბედითი ომის შემდეგ თითქმის სულ დაიცალა სვანურენოვანი მოსახლეობისაგან.

ლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთო-ქართველურ ფუძე ენასთან... სვანურ ენას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით... სვანური მდიდარია სიახლეებით, მაგრამ ამავე დროს იგი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთო-ქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

„სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში" (კ. დონდუა).

დიდია არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენის მონაცემთა როლი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისა და არქეტიპთა რეკონსტრუქციისათვის, რადგანაც სტრუქტურულად სვანური საკმაოდ ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან, მისი რთული ფონემატური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ უმდიდრესი ლექსიკისა და გრამატიკული წყობის მქონე სვანური ენით, სვანების ძველთაძველ ტრადიციებთან თუ წეს-ჩვეულებებთან ერთად ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაინტერესდნენ მკვლევრები არა მხოლოდ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც. სვანური მასალა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ჯერ კიდევ ანტიკურ წყაროებში. ცალკეული სვანური სიტყვები ფიქსირდება ი. გიულდენშტედტის (1787-1791 წ.წ.), პ. პალასის (1786-1789 წ.წ.), ჯ. ედვარსის (1788 წ.), ი. კლაპროთის (1807-1808 წ.წ.), გ. როზენის (1845-1847 წ.წ.), ფ. ბოპის (1846-1847 წ.წ.), ი. ბართლომეს (1855-1876 წ.წ.), პ. უსლარის (1863-1887 წ.წ.), ფრ. მიულერის (1864 წ.), ალ. ცაგარლის (1872-1880 წ.წ.), დ. პიკოკის (1887 წ.), ჰ. შუხარდტის (1895 წ.), რ. ერკერტის (1895 წ.), მ. ჯანაშვილის (1895-1925 წ.წ.), ა. სტოიანოვის, მ. ზავადსკის, ა. გრენის (1890-1902 წ.წ.), ო. უორდროპის (1911 წ.), ბ. ნიჟარაძის (1913 წ.), ა. დირის (1928 წ.) და სხვათა ნაშრომებში.

სვანეთი, სადაც სახლობს სვანურ ენაზე მოლაპარაკეთა ძირითადი ნაწილი, საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი რეგიონია, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის ორივე მხარეს. სვანეთის ქედი კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, მის პარალელურად არის გადაჭიმული და ერთმანეთისაგან მიჯნავს ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს მათი შენაკადებიანად. ამასთანავე ის ორ ნაწილად ყოფს სვანეთს: ერთი — ენგურის ხეობა — ცნობილია ზემო სვანეთის სახელით, მეორე — ცხენისწყლის ხეობა — ქვემო სვანეთის სახელით. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ზემო სვანეთს ეწოდება მესტიის რაიონი (ცენტრი — დაბა მესტია), ქვემო სვანეთს — ლენტეხის რაიონი (ცენტრი — დაბა ლენტეხი).

ზემო სვანეთი, როგორც ცნობილია, ზღვის დონიდან 700-2200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ფართობი შეადგენს 3320 კვ. კილომეტრს; ქვემო სვანეთი ზღვის დონიდან 600-1500 მ. სიმაღლეზეა, ფართობი — 1521 კვ. კმ. ე. ი. ზემო და ქვემო სვანეთი, ერთად აღებული, მოიცავს 4841 კვ. კილომეტრ ფართობს, რაც საქართველოს მთელი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემო სვანეთის სოფელი უშგული, რომელიც ზღვის დონიდან 2200 მ. სიმაღლეზე მდებარეობს (ყაზბეგის რაიონის სოფელ ჯუთასთან ერთად), ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტია ევროპაში.

სვანეთს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმი, დასავლეთიდან — სამეგრელო და აფხაზეთი, სამხრეთიდან — იმერეთი და სამეგრელო, ხოლო ჩრდილოეთიდან სვანეთის და მთლიანად საქართველოს საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ ქედზე, რომლის გადაღმაც მდებარეობს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები — ყაბარდო-ბალყარეთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთი.

დღეისათვის მესტიის რაიონში ცხოვრობს 20000-მდე სული, ლენტეხის რაიონში — 15000 სული.

მათი აბსოლუტური უმრავლესობა სვანია და თავისუფლად ფლობს სვანურ ენას. სულ სვანურად მოლაპარაკეთა რიცხვი დღეისათვის დაახლოებით 45000 კაცით განისაზღვრება.

სვანები 2008 წლამდე საკმაოდ დიდი რაოდენობით (5000 სულზე მეტი) ცხოვრობდნენ კოდორის (**resp**. დალის) ხეობაში.

სანამ უშუალოდ ჩვენ მიერ განსახილველი საკითხების ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაზე დამყარებით წარმოვადგინოთ სვანური ენის სტრუქტურის ზოგადი დახასიათება.

სვანურში ტრადიციულად ოთხ დიალექტს — ბალსზემოურს, ბალსქვემოურს, ლენტეხურსა და ლაშხურს — გამოყოფენ. ბალსზემოური და ბალსქვემოური ზემოსვანურის (ამ ორ ზემოსვანურ დიალექტს ერთმანეთისაგან ყოფს ლატალსა და ბეჩოს შორის მდებარე, ყველასთვის კარგად ცნობილი, ბალის მთა) სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ლაშხური და ლენტეხური — ქვემოსვანურისა.

სვანური დიალექტები ერთმანეთს უპირისპირდება *უმლაუტის, ხმოვანთა სიგრძის, რედუქციის, გრამატიკულ* (*ბრუნება-უღლების სისტემა, სინტაქსი*) თუ *ლექსიკურ* თავისებურებათა არსებობა-არარსებობით.

სვანურში, მსგავსად მრავალი სხვა ენისა, გამოიყოფა ფონემათა ორი ჯგუფი: ხმოვანთა ჯგუფი (ვოკალიზმი) და თანხმოვანთა ჯგუფი (კონსონანტიზმი). თანხმოვანთა შედგენილობის თვალსაზრისით თანამედროვე სვანური დიალექტები ერთიანია, ხოლო ხმოვანთა შედგენილობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ხმოვანთა რაოდენობა დიალექტებში, როგორც ცნობილია, მერყეობს 9-დან 18-მდე. აქედან სვანურის ყველა დიალექტისათვის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისათვის) საერთოა ექვსი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ, ჷ. აღნიშნული ხმოვნების გარდა, სხვადასხვა დიალექტში დასტურდება აგრეთვე უმლაუტიანი და გრძელი ა̈, ო̈, უ̈, ა̈̄, ო̈̄, უ̈̄, ა̄, ე̄, ი̄, ო̄, უ̄, ჷ̄ ხმოვნები. ხმოვანთა ამ სიმრავლეს ქმნის სადა ხმოვნების გვერდით გრძელი და პალატალური ხმოვნების არსებობა. ბალსქვემოურსა და ლენტეხურს არ მოეპოვება მოკლე ხმოვნების საპირისპირო გრძელი კორელატები, ლაშხურს — არაპალატალურ ა, ო, უ ხმოვანთა საპირისპირო პალატალური ა̈, ო̈, უ̈ ხმოვნები; რაც შეეხება ბალსზემოურსა და ჩოლურულს, მათთვის ორივე ეს დაპირისპირება (გრძელი — მოკლე და პალატალური — არაპალატალური) დამახასიათებელია. ამრიგად, ხმოვან ფონემათა შედგენილობის მიხედვით ცალკეულ დიალექტებში ასეთ სურათს ვიღებთ:

ბალსქვემოური და ლენტეხური: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̈, ო̈, უ̈.

ლაშხური: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̄, ე̄, ი̄, ო̄, უ̄, ჷ̄.

ბალსზემოური და ჩოლურული: ა, ე, ი, ო, უ, ჷ, ა̄, ე̄, ი̄, ო̄, უ̄, ჷ̄, ა̈, ო̈, უ̈, ა̈̄, ო̈̄, უ̈̄.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სვანურ დიალექტებში გამოიყოფა ვოკალიზმის სამი ქვესისტემა. ამათგან პირველი მათგანი დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, მეორე — ლაშხურში, ხოლო მესამე — ბალსზემოურსა და ჩოლურულში (ვ. თოფურია, ალ. ონიანი).

ხმოვანთა რედუქციის მიხედვით სვანური ენის დიალექტები (ლენტეხურის გამოკლებით), არსებითად ერთნაირ სურათს წარმოგვიდგენენ. სვანურში რედუცირდება ყველა არაგრძელი ხმოვანი (ვ. თოფურია), გრძელი ხმოვნები კი, როგორც წესი, რედუქციის წესებს არ ემორჩილებიან (ალ. ონიანი).

რედუქცია სხვადასხვაგვარ შედეგს იძლევა იმის მიხედვით, თუ რა სახისაა სარედუქციო ბირთვი, ან ხმოვანთა რომელი ჯგუფის წარმომადგენელია მოცემული სარედუქციო ბირთვში — ლაბიალური თუ არალაბიალური. შესაბამისად გამოიყოფა ბირთვის ორი სხვადასხვა სახე: მსუბუქი (ლი-**მეჩ** „სიბერე" — **ლი-მჩ-ე** „დაბერება", **დაჩუ̈ირ** „და (ძმისთვის)" — **ლა-დჩურ-ა** „დები", **წორ** „სისხლის საფასური" — **ლი-წუ̈რ-ი** „სისხლის აღება", **ად-შგურა̈̄ნ-ე** „დაარიგა" — **ლი- შგურა̈̄ნ-ე** „დარიგება"...) და მძიმე ბირთვი (**ლარტამ** „ბოსტანი" — **ლე-ლგრტამ** „საბოსტნე, ბოსტნეული", **ხურჯინ** „ხურჯინი" — **ლუ-ხურჯინ** „ხურჯნიანი", **მურყუ̈ამ** „კოშკი" — **ლუ-მურყუ̈ამ** „კოშკიანი"...) (მ. ნიკოლაიშვილი).

რაც შეეხება თანხმოვანთა სისტემას, მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, გამოიყოფა თანხმო-

ვანთა ორი ჯგუფი: სონორთა ჯგუფი და ჩქამიერთა ჯგუფი. სონორებია **რ**, **ლ**, **მ**, **ნ**, **ჳ**, **ჲ** (ალ. ონიანი). ყველა დანარჩენი თანხმოვანი ჩქამიერია, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან სამი დიფერენციალური ნიშნის მიხედვით: 1. სერია; 2. ლოკალური რიგი; 3. ხშულობა-ნაპრალოვნობა (გ. მაჭავარიანი).

სვანურში ტრადიციულად სახელთა ოთხ ჯგუფს გამოყოფენ: არსებითი სახელები, ზედსართავები, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები, რომელთათვისაც საერთო მორფოლოგიური კატეგორიები არის ბრუნება და რიცხვი; ზედსართავ სახელთა ერთ ნაწილში დასტურდება აგრეთვე ხარისხის მიხედვით საპირისპირო ფორმები.

თანამედროვე სვანურში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა სახელთა ბრუნების ორი ძირითადი ტიპი: I და II. ეს ტიპები გამოიყოფა მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში — ბალსქვემოურსა და ბალსზემოურში, ქვემოსვანურ დიალექტებში კი (ლენტეხურში, ლაშხურსა და ჩოლურულში) II ტიპის ბრუნება არ არსებობს, ყოველგვარი სახელი I ტიპის შესაბამისად იბრუნვის. ზემოსვანურ დიალექტებშიც ბრუნების ეს ტიპები მხოლოდ საზოგადო სახელთა ერთი ნაწილის მხოლობითი რიცხვის ფორმაში გამოიყოფა. II ტიპის ბრუნებას განეკუთვნება სახელთა ბრუნების პარადიგმა, რომელშიც ერთმანეთს ემთხვევა ნათესაობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ფორმები. ასეთ შემთხვევაში ორივე მათგანი **-ემ** სუფიქსით არის წარმოდგენილი (მოთხრ. **ჟალჳ-ემ**, **მარ-ემ**, ნათ. **ჟალჳ-ემ**, **მარ-ემ** და ა. შ.).

რიცხვის მიხედვით სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, ოპოზიციის მხოლოდ ორი წევრი არსებობს: მხოლობითი და მრავლობითი. სახელთა მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ძირითადი სუფიქსია **-ა̈რ** (დისიმილაციით **-ა̈ლ**), მაგ.: **ქაბ** „კაბა“ — **ქაბ-ა̈რ** „კაბები“, **ჭიშხ** „ფეხი“ — **ჭიშხ-ა̈რ** „ფეხები“, **ქორ** „სახლი“ — **ქორ-ა̈რ** „სახლები“, **ყო̄რ** „კარი“ — **ყო̄რ-ა̈ლ** „კარები“... გარდა **-ა̈რ** (**-ა̈ლ**) სუფიქსისა, სახელთა სხვადასხვა ჯგუფთან დასტურდება აგრეთვე **-ა**, **-უ**, **ლა-** — **-ა**, **-ოლ**, **-უ**, **-ა̄რუ**, **-ე̄დუ**, **-ია̈დუ** ერთეულებიც (ვ. თოფურია).

სვანურში, ვითარების ან როგორობის მიხედვით, ოპოზიციის ორ წევრს გამოყოფენ: სუბიექტურ პირსა და ობიექტურ პირს. ობიექტური პირი სვანურშიც ორი სახისა გვაქვს: **პირდაპირი** (ბრუნვაცვალებადი ობიექტური პირის აღმნიშვნელი) და **ირიბი** (ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირის აღმნიშვნელი). რომელობის მიხედვით, მსგავსად სხვა ქართველური ენებისა, სვანურ ზმნაში გამოიყოფა ოპოზიციის სამი წევრი: პირველი პირი, მეორე პირი და მესამე პირი.

სუბიექტური პრეფიქსების განხილვისას ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: ხმოვნითდაწყებული და თანხმოვნითდაწყებული. **ხმოვნითდაწყებულ ფუძეს** პირველი სუბიექტური პირის გამოსახატავად ყოველთვის დაერთვის პრეფიქსი **ხჳ-**, მეორე სუბიექტური პირის ნიშნად — **ხ-**, ხოლო მესამე პირის აღმნიშვნელად (ქართული ზმნისაგან განსხვავებით) არც პრეფიქსი მოგვეპოვება და დროთა რიგში არც სუფიქსი — წმინდა ფუძეა წარმოდგენილი. რაც შეეხება მრავლობით რიცხვს, იგი მხოლობითი რიცხვისაგან განსხვავებულია პლურალობის (ანუ მრავლობითობის) მაჩვენებელი ბოლოსართებით, კერძოდ: პირველი და მეორე პირისათვის გამოყენებულია **-დ**, ხოლო მესამისათვის — **-ხ**.

ამასთანავე, მრავლობით რიცხვში პირველი პირი ორგვარი ფორმით გვევლინება: ინკლუზიურითა (ნიშანი: **ლ-** — **-დ**, მაგ., **ლა-მარ-ე-დ** „ვამზადებთ მე და შენ ან მე და თქვენ“, **ლა-დგა̈რ-ი-დ** „ვკლავთ მე და შენ ან მე და თქვენ“...) და ექსკლუზიურით (ნიშანი: **ხჳ-** — **-დ**, მაგ., **ხჳ-ა-მარ-ე-დ** „ვამზადებთ მე და ის ან მე და ისინი“, **ხჳ-ა-დგა̈რ-ი-დ** „ვკლავთ მე და ის ან მე და ისინი“...). გამოდის, რომ „მრავლობით რიცხვში სვანური 4 პირს არჩევს: პირველს ინკლუზიურს, პირველს ექსკლუზიურს, მეორეს და მესამეს“ (ა. შანიძე).

თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ კი პირველი პირის ნიშნად **-ჳ-** გვაქვს ინფიქსის სახით, რომელიც მოქცეულია ფუძის თავკიდურ თანხმოვანსა და მომდევნო ხმოვანს შორის, ხოლო მეორე პირს და დროთა რიგში მესამე პირს არავითარი ფორმანტი არ მოეპოვება.

მრავლობით რიცხვში **-დ** და **-ხ** ბოლოსართი დაერთვის მხოლობითის ფორმებს, ხოლო Si-სათვის პრეფიქსად **ლგ-** გვევლინება, რომელსაც ფუძისეული ხმოვნის ამოღება შეუძლია (ვ. თოფურია).

ობიექტური პირი, როგორც ითქვა, ორი სახისა გვაქვს: **პირდაპირი** და **ირიბი**. მათ პირის ნიშნებად თავსართები აქვთ.

ობიექტური პრეფიქსების ფუნქციონირების თვალსაზრისითაც ზმნები ორ ჯგუფად იყოფა: **ხმოვნითდაწყებული** და **თანხმოვნითდაწყებული**.

ხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ პირველი ობიექტური პირის აღმნიშვნელად გამოიყენება **მ-** პრეფიქსი (**მ**-აყა „მყავს“, **მ**-ა̄რ „მაქვს“...), მეორე ობიექტური პირის აღმნიშვნელად — **ჯ-** პრეფიქსი (**ჯ**-აყა „გყავს“, **ჯ**-ა̄რ „გაქვს“...), ხოლო მესამე ობიექტური პირის გამოსახატავად — **0-** და **ხ-** (**ხ**-აყა „ყავს“, **ხ**-ა̄რ „აქვს“...).

მრავლობით რიცხვში II და III პირის ობიექტური თავსართები (**ჯ-**, **0-** და **ხ-**) მეორდება.

თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ მხოლობით და მრავლობით რიცხვში I და II პირის **მ-**, **გუ̂-**, **ნ-**, **ჯ-** თავსართებს უჩნდება თითქოსდა თანხმოვანთგასაყარი -გ- ბგერა, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი რიგი ფონეტიკური მოვლენები. III პირის ობიექტური პრეფიქსი ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი (მაგ., **ტიხე**, **ტგხე** „აბრუნებ“).

პირთა პრეფიქსული მორფემებისათვის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში სხვადასხვაგვარი ფონოლოგიური პოზიცია იქმნება. ზმნისწინიან ფორმებში ეს მორფემები ხმოვნის ან თანხმოვნის მომდევნოდ არიან წარმოდგენილი, უზმნისწინო ფორმებში კი — პაუზის მომდევნოდ.

ასპექტის გამოხატვის მიხედვითაც სვანური ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც თანამედროვე ქართული. ასპექტი (სრული-უსრული) ზმნისწინთა ქონება-უქონლობით გამოიხატება. სვანურში, როგორც ცნობილია, არსებობს ზმნისწინთა ორი რიგი: 1. გეზისა და მოქმედების მიმართულების გამომხატველი (**ჟი**, **ჩუ**, **ქა**, **სგა**), 2. ასპექტისა და ორიენტაციის გამომხატველი (**ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**).

რაც შეეხება გვარის კატეგორიას, სვანურშიც გამოიყოფა ოპოზიციის სამი წევრი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. მოქმედებითი გვარის გამომხატველი ნიშნებია: **ა-**, **ა̄-** (მაგ., **ა**-ხტა̈უ̂ი „ხატავს“, **ა̄**-შუ̂ე „ანთებს“...), ვნებითი გვარისა: **ი-**, **ი̄-** (მაგ., **ი-ხტა̈უ̂ი** „იხატება“, **ი̄-შუ̂ი** „ინთება“...), საშუალ გვარს კი ნიშანი არ გააჩნია (მაგ., **გიჭ** „ძლებს“...).

ქცევის მიხედვით ტრადიციულად ოპოზიციის სამი წევრი გამოიყოფა: სათავისო (სასუბიექტო), სასხვისო (საობიექტო) და საარვისო (ნეიტრალური).

ქცევის მორფემები ერთგვარად განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი თანამედროვე სვანურში, ერთი მხრივ, უზმნისწინო ფორმებში, ხოლო, მეორე მხრივ, ზმნისწინიანებში.

სათავისო (სასუბიექტო) ქცევის გამომხატველი აფიქსებია: **ი-**, **ი̄-** (მაგ., **ი**-სყი „იკეთებს“, **ი**-ფრე „იხმობს“...), სასხვისო (საობიექტო) ქცევისა: **ი-**, **ო-** (გრძელხმოვნიან დიალექტებში აგრეთვე **ი̄-** და **ო̄-**), ხოლო საარვისოსი (ნეიტრალური): **ა̄-**, **ა̈-** (გრძელხმოვნიან დიალექტებში აგრეთვე **ა̄-**, და **ა̈̄-**) და **0**.

კაუზატივის კატეგორია თანამედროვე სვანურში, მსგავსად ქართულისა, ხასიათდება ორწევრიანი პრივატული ოპოზიციით. მარკირებული წევრის როლში გვევლინება კაუზატივის ფორმა, არამარკირებულისა კი — არაკაუზატივისა. სვანურშიც გამოიყოფა კაუზატივის ორი სახე: შუალობითი და უშუალო. შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) მაწარმოებელი სუფიქსებია: **-უნ**, **-უ̂ნ**, **-ნ** სუფიქსები (მაგ., **ხა̈**-სყ-**უნ**-ე „აკეთებინებს“, **ხა̈**-გმ-**უნ**-ე „აშენებინებს“...), უშუალო კონტაქტს (არაკაუზატივს) მაწარმოებელი სუფიქსები არ გააჩნია (მაგ., **ა̈სყი** „აკეთებს“, **აგემ** „აშენებს“...).

თანამედროვე სვანურში გამოყოფენ ზმნის მწკრივთა ოთხ სერიას. ამათგან I სერია ორ წრედ იყოფა: აწმყოს წრე — აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, პირობითუსრული და მყოფადის წრე — მყოფადსრული, პირობითსრული; II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი; III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი; IV სერია: III თურმეობითი, IV თურმეობითი. როგორც ვხედავთ, II და III სერიის მწკრივები ქართულსა და სვანურში ერთმანეთს ემთხვევა. ძირითადად ერთი და იგივე მწკრივები გვაქვს I სერიაშიც, თუმცა აქ აწმყოს წრეში სვანურს მეტი აქვს მყოფადუსრული და პირობითუსრული, მყოფადის წრეში კი აკლია კავშირებითი (ვ. თოფურია, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე).

სინტაქსის საკითხებშიც, როგორც მოსალოდნელი იყო, სვანური და ქართული დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პირველი ცნობები სვანურ დიალექტთა შესახებ წარმოდგენილია ნ. მარის შრომებში, თუმცა კილოების გამოყოფა, მათი დამახასიათებელი არსებითი ნიშნების დადგენა და თვით სახელების შერჩევაც ა. შანიძის დამსახურებაა. მის ცნობილ ნაშრომში „უმლაუტი სვანურში" დასაწყისშივე ნათქვამია: „გრძელი ხმოვნები და უმლაუტები — აი ორი რამ, რაც არსებითად განასხვავებს სვანური ენის ბგერით შედგენილობას როგორც ქართულისაგან, ისე ჭანურ-მეგრულისაგან. მაგრამ ამ ორ რამეში არა თუ სვანური უპირისპირდება ქართულსა და ჭანურ-მეგრულს, არამედ თვით სვანური კილოები — ერთმანეთს; სწორედ ეს ორი ფონეტიკური მოვლენაა, რომელიც საფუძვლად უძევს სვანური ენის კილოებად დაყოფას: სვანურის ოთხ კილოთაგან (ბალსზემოურისა, ბალსქვემოურისა, ლაშხურისა და ლენტეხურისა) მხოლოდ ორმა იცის ხმოვანთა ხმარება გრძლად და მოკლედ: ბალსზემოურმა და ლაშხურმა. უმლაუტების ჩვეულებრივი სახე კი არ იცის ლაშხურმა, რომელიც ამის გამო გამოყოფილი და გამოცალკევებული იქნებოდა დანარჩენ კილოთაგან და, სხვათა შორის, ლენტეხურისაგანაც, რომელიც გრძელი ხმოვნების უქონლობის გამო ერთს ჯგუფში მოექცეოდა ბალსქვემოურთან ერთად, რომ ლენტეხურს კიდევ ერთი დიდი ფონეტიკური მოვლენა არ ახასიათებდეს, რომელიც მას, უეჭველია, დამოუკიდებელი კილოს უფლებას ანიჭებს: ეს არის ხმოვანთა რედუქციის მოდუნება, რომელიც მას ყველა დანარჩენი სვანური კილოსაგან გამოჰყოფს და განასხვავებს" (შანიძე 1981:321-322).

ა. შანიძის დახასიათებით სვანური ენის კილოებად დაყოფის საფუძველს ქმნის სამი დიდი ფონეტიკური მოვლენა: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია. რომელიმე ამ ნიშნით (ან ნიშნებით), როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ნებისმიერი კილო უთუოდ განსხვავდება დანარჩენებისაგან, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს:

დიალექტები	ხმოვანთა სიგრძე	უმლაუტი	რედუქცია
ბალსზემოური	+	+	-
ბალსქვემოური	-	+	-
ლაშხური	+	-	-
ლენტეხური	-	+	+

ზემოსვანური დიალექტები, როგორც უკვე ითქვა, გავრცელებულია ენგურის ხეობაში ანუ ზემო სვანეთში, რომელიც ისტორიულად ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ ნაწილს შეადგენდა ე. წ. უბატონო ანუ თავისუფალი სვანეთი, მეორეს — სადადეშქელიანო სვანეთი. მათ შორის ბუნებრივ საზღვარს ქმნის ბალის მთა და უღელტეხილი, რის მიხედვითაც ამჟამად ენგურის ხეობას ბალის მთის აღმოსავლეთით ეწოდება ბალსზემო სვანეთი, დასავლეთით — ბალსქვემო სვანეთი. აქედანვეა მიღებული სვანურ კილოთა სახელწოდებანი: ბალსზემოური და ბალსქვემოური (ჭუმბურიძე 2007:10).

ზემო სვანეთი შედგება 15 საზოგადოებისაგან ანუ ისტორიული თემისაგან. ესენია: უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ბეჩო, ეცერი, ცხუმარი, ფარი, ჩუბეხევი, ჭუბერი, ლენხერა და ლახამულა. ამათგან პირველი შვიდი ეკუთვნის ბალსზემო სვანეთს, დანარჩენი — ბალსქვემო სვანეთს.

ბალსზემოური კილო მესტიის რაიონის უშგულ-ლატალის ტერიტორიაზეა გავრცელებული. იგი ყველაზე უფრო მდიდარია ბგერითი შედგენილობითა და ფონეტიკური პროცესებით, ყველაზე უკეთ აქვს შემონახული არქაიზმები, თუმცა გვაქვს ნეოლოგიზმებიც. ბალსზემოურ სვანურში განირჩევა როგორც კილოკავები (უშგულური, კალურ-იფარული, მულახურ-მესტიური, ლენჯერული, ლატალური), ისე ცალკეული თქმები (მაგალითად, სოფ. მულახის შიგნით — **მუჟალისა, ჭოლაშისა, ლახირისა, მურშკელისა, არცხელისა, ლვებრა-ზარდლაშისა**).

ბალსქვემოური კილოც მესტიის რაიონის მცხოვრებთა მეტყველებაა სოფელ ბეჩოდან (ლენხერის ჩათვლით) სამეგრელოს საზღვრამდე. სხვა დიალექტებთან შედარებით ბალსქვემოური კიდევ უფრო მეტადაა დიფერენცირებული. ეს კილოკავებია: **ბეჩოური, ცხუმარული, ეცერული, ფარული, ჩუბეხეური (ნაკრული და ჭუბერული)** და **ლახამულური**. ეს უკანასკნელი საკმაოდ განსხვავებულია ყველა ბალსქვემოური კილოკავისაგან უმლაუტით, რედუქციით, დელაბიალიზაციით, ნამყოუსრულისა თუ აორისტის წარმოებით, აგრეთვე ლექსიკითაც; რა თქმა უნდა, თქმები ბალსქვემოურ კილოშიც განირჩევა (ვთქვათ, ცხუმარულ კილოკავში — **ლაფსყალდისა, მაგარდელისა, ლეზგარისა, ტვიბერისა, სვიფისა** და **ლვებალდისა**; ბეჩოურ კილოკავში — **დოლასვიფისა, ჭკიდანარისა, ლანხვრისა, მაზერისა, ქართვანისა, გულისა, უშხვანარისა, ბაგვდანარისა, ჰებუდისა, ჭოხულდისა, ნაშთქოლისა, ტვებიშისა**; ფარულ კილოკავში — **ღეშდერისა, ხოსრარისა, კაცხისა, ლამხერისა, ზაგრარისა, ლუჰასი** და ა. შ.).

ქვემოსვანურ მეტყველებაში გაცილებით ნაკლები სხვაობა შეიმჩნევა სოფლებს შორის, ვიდრე — **ზემოსვანურში**.

ლენტეხური კილო ცხენისწყლის ხეობაშია წარმოდგენილი თავისი ოთხი (**რცხმელურული, საკუთრივ ლენტეხური, ხოფურული, ხელედური**) კილოკავით.

ლაშხური კილოც ცხენისწყლის ხეობაშია გავრცელებული, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან ძალზე კომპაქტურად განლაგებულ სოფლებს, რაც, რასაკვირველია, განაპირობებს კილოკაურ თავისებურებათა არარსებობასაც. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება: **სასაშის, ჟახუნდერის, ჩიხარეშის, ჩუკულის, ახალშენის, შგედის, მელეს, ხერიას, ლაშხრაშის, ლეღვანის, მახაშის, ლეკოსანდის, ლუჯის, ნაცულის, ღობის, მარგვიშის, ლემზაგორისა, ლამფალაშისა** და **მებეცის** მეტყველება.

რაც შეეხება **ჩოლურულს**, რომლის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აკად. ნ. მარი უჭერდა მხარს, მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, გარდამავალი დიალექტია (ქვემოსვანურ დიალექტთა შერწყმის შედეგად მიღებული) ქვემო სვანეთში, რომელიც მოქცეულია ლაშხურსა და ლენტეხურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს, თუმცა უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩოლურულიც ცალკე ერთეულად (და არა ლაშხურ-ლენტეხურ კილოთა გარდამავალ ზონად — შანიძე 1981:321; თოფურია 1965:61-67) გამოვყოთ (ონიანი 1998:7-8). ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი — ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა" (იქვე). ჩოლურულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა კომპაქტურად არის განლაგებული ცხენისწყლის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ლაშხეთსა და ლენტეხს შორის მდებარეობს და გამოიყოფა ცამეტი სხვადასხვა სოფლის მეტყველება (**ფანაგისა, ლეუშერისა, თეკალისა, ჭველიერისა, საყდრისა, მამისა, უკლეშისა, ქუნიშისა, ლესიერისა, ბულეშისა, დურაშისა, ჭველფისა** და **ტვიბისა**)[1].

მიუხედავად ალ. ონიანის ამ მოსაზრებისა, სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საცილობლადაა ქცეული სვანური ენის დიალექტთა რაოდენობის საკითხი. სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოო განსაზღვრისათვის კი აუცილებელია მისი გამოწვლილვით შესწავლა (1998:8), რაც უნდა დაემყაროს საკმაოდ დიდი მოცულობის ჩოლურულ პროზაულ ტექსტებს.

უნდა ითქვას, რომ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი[2] (მ. საღლიანი, ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, ლ. გიგლემიანი, ნ. შავრეშიანი) ამა თუ იმ გრამატიკული საკითხის კვლევისას მხოლოდ ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების მასალის ანალი-

[1] ჩოლურის ხეობაში, ამ ცამეტი სოფლის გარდა, არის კიდევ რამდენიმე მიტოვებული სოფელი: **ედიყი, ზაგალოდი** და **შტვილი**. რაც შეეხება სოფელ **უკვლეშს**, იქ ერთადერთი ადამიანი — ხანშიშესული **ივანე ბაბლუანი** ცხოვრობს.

[2] საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ჯგუფის წევრთა შემადგენლობა ამომწურავად ასახავს სვანური ენის დიალექტურ შედგენილობას, რაც აადვილებს სვანური ენის გრამატიკაზე მუშაობას.

ზით არ შემოიფარგლება, არამედ შეძლებისდაგვარად იყენებს როგორც სათანადო ჩოლურულ მასალას, ისე ლახამულური კილოკავის მონაცემებსაც, რადგანაც იგივე პრობლემა დგას სვანურში ლახამულური მეტყველების შემთხვევაშიც.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, ჩოლურულს ორ ნაწილად ყოფენ, ერთ მათგანს (**ზემოჩოლურულს**) ლაშხური დიალექტის კუთვნილებად მიიჩნევენ, ხოლო მეორეს (**ქვემოჩოლურულს**) — ლენტეხურისა (შანიძე 1981:321; თოფურია 1965:61-67).

ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურულის ეს ნაწილები (ზემოჩოლურული, ქვემოჩოლურული), რომელთა ერთობლიობაც დღემდე ერთი საერთო სახელწოდებით აღინიშნება, ლინგვისტურად ბევრად უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი — ლაშხურთან ან ლენტეხურთან" (1996:8).

ყველაზე უფრო თვალში საცემი ჩოლურულში ინტონაციაა, რომელიც მას სხვა დიალექტებისაგან მკვეთრად განარჩევს. თვით ჩოლურული კილოკავებიც ინტონაციის მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ეს ეხება საყდრულ და მუწდურ მეტყველებას.

ჯერ კიდევ 1965 წელს პროფ. ვ. თოფურია საყდრული მეტყველების შესახებ წერდა, რომ „... სოფ. საყდრის მეტყველება გარდამავალი დიალექტის იშვიათ ეგზემპლარს უნდა წარმოადგენდეს"-ო (გვ. 62). საყდრის მეტყველების თავისებურებას თვით ადგილობრივი მცხოვრებლებიც ამჩნევდნენ, რაზეც მეტყველებს სწორედ ვ. თოფურიას მიერ 1962 წ. მასწავლებელ გალაქტიონ ივანეს ძე ლიპარტელიანისაგან საყდარში ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში აღნიშნული ფრაზა: **საყდარი ხალხი ნინ მერმე სახიშ ლი, მერმა სოფლარე ნამსკიდან** „საყდრის ხალხის ენა სხვა („მე-ორ-ე") სახისაა სხვა („მე-ორ-ე") სოფლებთან შედარებით".

რადგანაც სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილი საბოლოოდ განსაზღვრული არ არის, ამიტომ აუცილებელი და ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩოლურული ტექსტების ჩაწერა მისი ყველა კილოკავის მონაცემების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს სვანური ენის სპეციალისტებს საბოლოოდ დაადგინონ ჩოლურული მეტყველების ადგილი სვანურ დიალექტთა შორის[1].

საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებული ჩოლურული მასალა მომავალში შედარებული იქნება როგორც ქვემოსვანურ (ლაშხურ-ლენტეხურ), ასევე ზემოსვანურ (ბალსზემოურ-ბალსქვემოურ) დიალექტურ მონაცემებთან და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება გამოტანილი საბოლოო დასკვნები.

ჩოლურის ხეობის სოფლების მცხოვრებთა სტატისტიკა დღევანდელი მონაცემების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

1. ზემო ჩოლური

ჰეელფი	ფანაგა	ლეუშერი .	ქუნიში	მამი	თეკალი	ტვიბი	ჰეილიერი	უკვლეში	ედიყი	ზაგალოდი
28 კომლი	44 კომლი	38 კომლი	2 კომლი	34 კომლი	31 კომლი	30 კომლი	50 კომლი	1 კომლი	0	0

2. ქვემო ჩოლური

ბულეში	შტვილი	საყდარი	დურაში	მუწდი	ესიერი
6 · კომლი	1 კომლი	29 კომლი	27 კომლი	22 კომლი	5 კომლი

---

[1] 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა პროექტი „ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები", რომელიც წარმატებულად განხორციელდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა (ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი) მიერ და გამოსაცემად მომზადდა ერთტომეული „**ჩოლურული პროზაული ტექსტები**".

„სვანურში დაცული ძველი ყოფისა და წარმართობის ამსახველი უძველესი ლექსიკა და გამოთქმები, არქაული გრამატიკული წყობის გადმონაშთები და მდიდარი ფოლკლორი შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ ქართველ ტომთა ღრმა აზროვნებასა და მაღალ კულტურაზე, ეგევე საფუძველს ქმნის იბერიულ-კავკასიურ და ძველაღმოსავლურ ენათა გენეტური ურთიერთობის საკვანძო საკითხთა გადასაჭრელად. ამიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელიც სვანურის ყოველმხრივ შესწავლას ახლავს. ამ ინტერესით არის გამოწვეული სვანური ენის ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის ისტორიულ ასპექტში აღწერის აუცილებლობა, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და თარგმნითი თუ შედარებითი ლექსიკონების შედგენის საჭიროება" (ვ. თოფურია).

სვანეთი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებითა და სხვადასხვა სახის ხელოვნების ნიმუშებით, რომლებსაც ხშირად წარწერებიც ამშვენებს. ეს წარწერები ძირითადად ქართულ ენაზე და ქართული ანბანითაა შესრულებული, მაგრამ შიგ ურევია სვანურისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, ე. წ. სვანიზმები (ჟღენტი 1947:429-436). „ენობრივად საინტერესოა აგრეთვე სვანური გვარები, პირთა სახელები და ტოპონიმები, რომლებიც იხსენიება ისტორიულ საბუთებში და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში. მაგრამ ყოველივე ეს მეტად მცირე მასალას წარმოადგენს სვანური ენის ისტორიისათვის" (ჭუმბურიძე 2007:12).

როგორც უკვე ითქვა, საკუთრივ სვანური ლექსიკა ფიქსირებულია პირველად მხოლოდ XVIII საუკუნეში გერმანელი ნატურალისტის აკად. ა. გიულდენშტედტის მიერ, რომელიც მოღვაწეობდა რუსეთის საიმპერატორო აკადემიაში და 1768-1775 წლებში იმოგზაურა კავკასიაში. თავისი მოგზაურობის აღწერასთან ერთად მან დაგვიტოვა აგრეთვე ქართული, მეგრული, სვანური, ჩერქეზული და ზოგი სხვა კავკასიური ენის ლექსიკის ჩანაწერები. მისი მოგზაურობის დღიურები და ჩანაწერები გამოქვეყნდა ორ ტომად ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1787 და 1791 წლებში, პალასის რედაქციით. ამ შრომის ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება, ხელახლა გამოსცა ი. კლაპროთმა თავისი შენიშვნებით. მანვე აღწერა თავისი მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807-1808 წლებში და დაურთო მას მცირე ლექსიკური მასალა. როგორც პროფ. ზ. ჭუმბურიძე შენიშნავს, როგორც გიულდენშტედტის, ისე კლაპროთის ჩანაწერებში ბევრია შეცდომა, მაგრამ ეს არ ამცირებს მათ ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას. უდავო ფაქტია, რომ ამ პირველივე უცხოელმა მკვლევრებმა შენიშნეს ქართველურ (იბერიულ) ენათა ნათესაობა (და არა იგივეობა).

სვანური ენის პირველი გრამატიკული მიმოხილვა მეგრულთან და აფხაზურთან ერთად მოცემულია გ. როზენის ნაშრომში, რომელიც წაკითხული იყო მოხსენებად 1845 წელს, ხოლო გამოქვეყნდა ორი წლის შემდეგ ბერლინში. უფრო ადრე, 1843 წელს, გ. როზენს წაუკითხავს მოხსენება ლაზური ენის შესახებ, რომელიც 1845 წელს დაიბეჭდა. ამ ნაშრომებში მოცემულია მთელი რიგი საინტერესო შეპირისპირებანი სხვა ქართველურ ენებთან, მათ შორის სვანურთან. ასეთია, სახელდობრ, რიცხვითი სახელების შეპირისპირებითი ანალიზი (ორიდან ათამდე და ასი). გ. როზენს განხილული აქვს აგრეთვე ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილი ისეთი სვანური სიტყვები, როგორიცაა **დაჩუირ** („და"), **დეც** („ცა"), **ღერბეთ** („ღმერთი"), **ჟეღ** („ძაღლი"). ამავე ნაშრომში განხილულია სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების არსებითი საკითხები. გამომდინარე ყოველივე აქედან, გაკეთებულია დასკვნა: „გ. როზენმა ფაქტობრივად ჩაუყარა საფუძველი ქართველურ ენათა ლექსიკის შედარებითი მეთოდით შესწავლას" (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:8).

მართალია, მომდევნო ხანის მკვლევარნი (ფ. ბოპი, ფ. მიულერი, ალ. ცაგარელი) ძირითადად გ. როზენს ეყრდნობოდნენ, თუმცა მის შეცდომებზეც მიუთითებდნენ[1].

გ. როზენის შემდეგ პირველი მკვლევარი, რომელიც ბალსზემოელი სვანისაგან სვანურს სწავლობდა, იყო პ. უსლარი. მას შეუმჩნეველი არ დარჩენია განსხვავება თავის მასალებსა და გ. როზენის ჩანა-

[1] გ. როზენის ინფორმატორი ლაშხელი სვანი ყოფილა და ამის გამო, ცხადია, მისი მიმოხილვაც ლაშხურ კილოს ემყარება.

წერებს შორის, მაგრამ აქედან მას გამოუტანია არასწორი დასკვნა: ალბათ გ. როზენის ინფორმატორი სვანი კი არ იყო, არამედ სვანურის მცოდნე მეგრელი ან ლეჩხუმელიო. ამის გამო კი უსლარს ხელი აუღია გ. როზენის ნაშრომის რუსულად თარგმნის განზრახვაზე და გადაუწყვეტია თვითონ დაეწერა სვანური ენის გრამატიკა. პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით: „რომ დასცლოდა, ეჭვი არაა, ეს თვალსაჩინო რუსი კავკასიოლოგი სვანურის შესახებაც ისეთივე საყურადღებო ნაშრომს შექმნიდა, როგორიც მან რამდენიმე კავკასიურ ენას მიუძღვნა, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა უსწრო და განზრახვა განუხორციელებელი დარჩა" (2007:13-14).

პ. უსლარის მიერ 1861 წელს დაწერილი „მოკლე გრამატიკა სვანური ენისა", ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა აფხაზური ენის შესახებ მისი მონოგრაფიის დამატების სახით.

ინტერესი სვანური ენის მიმართ თანდათანობით იზრდება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. 1890 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის ჟურნალში **„Сборник материалов для описания местностей и племен кавказа"** გამოქვეყნდა სვანური ანდაზები, გამოცანები და სიმღერები, ჩაწერილი და რუსულად თარგმნილი ბ. ნიჟარაძის მიერ. აღნიშნულ ტექსტებს ახლავს სვანური ენის მიმოხილვა, დაწერილი მ. ზავადსკის მიერ. ამავე ტომში დაბეჭდილია აგრეთვე ა. გრენის გრამატიკული შენიშვნები თავის მიერვე შეკრებილ სვანურ ტექსტებზე. ეს ნაშრომი ყურადღებას იმსახურებს იმით, რომ მასში პირველად იხსენიება ჩოლურული.

სვანური ტექსტები და ლექსიკური მასალები, როგორც ცნობილია, დაბეჭდილია აგრეთვე იმავე ორგანოს სხვა ტომებში. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ივ. ნიჟარაძის რუსულ-სვანური ლექსიკონი (СМОМПК, вып. 7, 41, 1910).

უცხოელ მკვლევართა შრომებიდან აღსანიშნავია ო. უორდროპის მიერ შედგენილი ინგლისურ-სვანური ლექსიკონი, რომელიც დაიბეჭდა ინგლისის სამეფო აზიური საზოგადოების ჟურნალში 1911 წელს. მასში 1500-მდე სალექსიკონო ერთეული შედის, მაგრამ სიტყვათა რაოდენობა მეტია, რადგან ზოგ სალექსიკონო ერთეულთან წარმოდგენილია მონათესავე სემანტიკის სხვა სიტყვებიც.

სვანური ენის გრამატიკის ცალკეული საკითხები სხვა კავკასიურ ენებთან მიმართებით განხილული აქვს რ. ერკერტს, ხოლო სვანური ენის სტრუქტურა, ძირითადად მ. ზავადსკის შრომის საფუძველზე, მიმოიხილა ა. დირმა.

სვანურის ქართულად დაწერილი მოკლე გრამატიკა ეკუთვნის თავისუფალ სვანს — ბ. ნიჟარაძეს (1852-1919). მასვე ეკუთვნის საკმაოდ ვრცელი ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, რომელიც 1888 წელს უკვე დასრულებული ყოფილა, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში გამოუცემელი დარჩა და მხოლოდ ახლახან დაიბეჭდა.

ეს არის საერთო სურათი სვანური ენის მეცნიერული კვლევის პირველი ეტაპისა, რაც ძირითადად ტექსტებისა და ლექსიკური მასალის შეგროვებასა და პუბლიკაციაში გამოიხატა. ამასთან დაკავშირებით აკად. ვ. თოფურია დაასკვნის: „ამგვარად, სვანური დიალექტებიდან ყველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უშგულურს, ნაკლებად — ლაშხურს, ბალსზემოურს, იშვიათად — ბალსქვემოურსა და ჩოლურულს. სრულებით არ ყოფილა დაკვირვების ობიექტად ლენტეხური. ესა თუ ის დიალექტი გამოცხადებული იყო მთელ სვანურ ენად. დავსძენთ, რომ არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის" (თოფურია 2002:151).

როგორც ცნობილია, სვანურის მეცნიერული შესწავლის დასაბამი და განვითარება დაკავშირებულია აკად. ნ. მარის სახელთან. იგი 1911 წლიდან შეუდგა სვანურის შესწავლასა და ზედიზედ გამოაქვეყნა რამდენიმე ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი. სწორედ მან დაადგინა სვანურის ოთხი ძირითადი კილო და კილოკავ-თქმები, უჩვენა მათი დაყოფის საფუძველი (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, სხვაობა ბრუნებასა და უღლებაში და ლექსიკური თავისებურებანი), გაარკვია სვანურის მიმართება სხვა ქართველურ ენებთან, მოგვცა ზოგი ფონეტიკური შესატყვისობა, სვანურ-რუსული ლექსიკონის საცდელი მონაკვეთი (**"Извлечение из сванско-русского словаря"**), რომელიც, სამწუხაროდ, გამოუცემელი დარჩა.

გამოქვეყნდა მისი მხოლოდ მცირე მონაკვეთი 1922 წელს. 1917 წელს პეტროგრადში გამოცემული არ. ონიანის ლაშხური ტექსტების მიხედვით მან შეადგინა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი ("Материалы для сванского словаря"). მისი რედაქციითა და მეცნიერული ხელმძღვანელობით გამოიცა აგრეთვე არ. ონიანის მიერვე შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი[1] და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის შრომებში რაღაც ეტაპზე ფეხი მოიკიდა მტკიცებამ სვანური ენის ნარევობის შესახებ.

ეს მტკიცება სვანურის ნარევობის შესახებ პირველად ნ. მარის შრომებში გვხვდება. მაგრამ ნ. მარი ნარევად მიიჩნევდა მსოფლიოს ყველა ენას, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ყველა ქართველურ ენასაცა და, ამდენად, ცხადია, სვანურსაც. თუმცა მომდევნო პერიოდში ჩამოყალიბდა ნ. მარის შეხედულებისაგან განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართველურ ენათაგან ნარევი ენა არის მხოლოდ სვანური (არნ. ჩიქობავა). ალ. ონიანის მოსაზრების თანახმად, „**სვანური ჩვეულებრივი ქართველური ენაა, საერთოქართველური ფუძე ენიდან უწყვეტი გზით მომდინარე**, რომელშიც ნასესხებ ელემენტთა რაოდენობა არაფრით არ არის იმაზე მეტი, ვიდრე — ბევრ სხვა ენაში, ქართველურში თუ არაქართველურში, რომელთა ნარევობის საკითხი, საერთოდ, არა დგას. მეტიც შეიძლება ითქვას, სვანურში დიდი რაოდენობით მოიპოვება არა სხვა ენიდან მომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანი არქაიზმები“ (ალ. ონიანი).

ნ. მარის შემდეგ სვანურის შესწავლა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა და გაფართოვდა. უნდა ითქვას, რომ სვანურის, ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის საქმეში ახალი ეტაპის დასაწყისი დაკავშირებულია თბილისის უნივერსიტეტის დაარსებასთან და აქ ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრის შექმნასთან. ამ ცენტრში ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებას, როგორც ცნობილია, სათავეში ედგნენ პროფესორები გ. ახვლედიანი და აკ. შანიძე, რომელთაც შემდგომ მხარში ამოუდგნენ მათივე აღზრდილები, ქართული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, არნ. ჩიქობავა და ვ. თოფურია.

სვანური ენის შესწავლის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობისაა ა. შანიძის ნაშრომი „უმლაუტი სვანურში“ და ვ. თოფურიას ფუნდამენტური მონოგრაფია „სვანური ენა. I. ზმნა“, რომლებიც სვანური ენის სპეციალისტებისათვის და საზოგადოდ ყველა ქართველოლოგისათვის სამაგიდო წიგნებად იქცა. ასევე დიდი მნიშვნელობისაა: არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“; გ. დეეტერსის „Das karthwelische Verbum“ და კ. შმიდტის „Studien zur rekonstruktion des Lautstandes der sudkaukasichen Grund sprache (Wiesbaden), თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში; II, მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკა“, ალ. ონიანის „სვანური ენა“ (ქართულად და გერმანულად), ზ. ჭუმბურიძის „მყოფადი ქართველურ ენებში“; ი. ჩანტლაძის „ქართველოლოგიური ძიებანი“; ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ქართულად და გერმანულად); ვ. თოფურიას და მ. ქალდანის ვრცელი „სვანური ლექსიკონი“ (რომელიც ავტორებს გამოუცემელი დარჩათ და ამიტომაც მისი გამოსაცემად მომზადების მთელი სიმძიმე სვანური ჯგუფის წევრებზე გადავიდა); ი. ჩანტლაძის, რ. ბაბლუანისა და ჰ. ფენრიხის იენაში გამოცემული წიგნი „Tscholurswanisch _ Deutsches Verbenverzeichnis“ (2003 წ.); ლ. პალმაიტი „Upper Svan, Grammar and Texts“ (Kalbotura, XXXVII, № 4, Vilnius), მისივე (ჩ. გუჯეჯიანთან თანაავტორობით) „Svan-Englisch Dictionary“ (New York); კ. ტუიტის მიერ სვანეთსა და მონრეალში მომზადებული მიუნხენის პუბლიკაცია ინგლისურენოვანი „შვან“; გ. კლიმოვის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე“); უკანასკნელ წლებში (1997 — 2005 წ.წ.) Kaukazien – Reiche'ს სერიით გერმანიაში გამოცემული „Kartwelische Wort-schatzstudien“ და „Beiträge zur Kartwelo-

[1] ეს ტექსტები დაბეჭდილია ქართული შრიფტითა და სათანადო ნიშნების გამოყენებით.

logie“ ჰ. ფენრიხისა; მ. ქურდიანის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ (2007 წ.); მ. ჩუხუას „ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი“ (2000-2003 წ.წ.) და მისივე „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა“ (2008 წ.) და ა. შ.

აღსანიშნავია პროფ. ვ. თოფურიას ღვაწლი სვანოლოგიაში, მისი მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წერილები სახელთა დაბოლოების ისტორიისა და უმლაუტის შესახებ სვანურში (თოფურია 1967), აგრეთვე სვანური ენის მთლიანი გრამატიკული მიმოხილვა ქართულ და რუსულ ენებზე (თოფურია 2002).

ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ დიდი წვლილი შეიტანეს აგრეთვე სვანური ტექსტების ჩაწერის, თავმოყრისა და გამოცემის საქმეში. მათ შეიმუშავეს ამ ტექსტების გამოცემის გეგმა, ზოგადი პრინციპები და ორთოგრაფიული ნორმები, შეკრიბეს და რამდენიმე ტომად გამოსცეს სვანური ხალხური პოეტური და პროზაული თხზულებანი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიური, ისე ფოლკლორული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით (სვანური პოეზია, I, 1939; სვანური პროზაული ტექსტები, I, 1939; II, 1957; III, 1967; IV, 1979; სვანური ენის ქრესტომათია, 1978).

ამ კრებულების შედგენისა და გამოცემის საქმეში, როგორც ცნობილია, აკ. შანიძესა და ვ. თოფურიასთან ერთად მონაწილეობდნენ მათი მოწაფეები: მ. გუჯეჯიანი, ა. დავითიანი, მ. ქალდანი, ალ. ონიანი.

მიუხედავად რედაქტორ-გამომცემელთა დიდი სურვილისა, რომ ტექსტებს დართვოდა ქართული თარგმანი, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა, რაც ხელმისაწვდომს გახდიდა მათ სვანურის არმცოდნე პირთათვის (ჭუმბურიძე 2007:17).

ზემოხსენებული გამოცემებიდან ქართული თარგმანი ახლავს მხოლოდ „სვანური პოეზიის“ ტომს და ასევე ალ. დავითიანის ბალსქვემოური კილოს მიხედვით შედგენილ **„სვანური ანდაზები“**-ს კრებულს, რომელიც გამოიცა ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით 1973 წელს და არ. კორძაიას ბალსზემოური კილოს მიხედვით შედგენილ ანდაზების კრებულს **„ლაჰრაკდ ӓრი“**, რომელიც გამოიცა 1997 წელს.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სვანურ ლექსიკონებს შეემატა კიდევ რამდენიმე დიალექტური ლექსიკონი. ესენია: კ. დონდუას „სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (ლაშხური დიალექტი), შედგენილი შვიდი ათეული წლის წინათ, რომელიც მხოლოდ ახლახან (2001 წ.) გამოიცა — პროფ. ალ. ონიანის რედაქციით; ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი“ (ჩოლურული კილო), 1994 წელს გამოცემული; ი. ჩანტლაძის, რ. ბაბლუანისა და ჰ. ფენრიხის „სვანურ (ჩოლურული)-გერმანული ზმნათა საძიებელი“, სადაც სვანური ზმნის ფორმები ჩოლურულ კილოზეა წარმოდგენილი, აღნიშნული ლექსიკონი გამოსცა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტმა 2003 წელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის ვრცელი „სვანური ლექსიკონი“, რომელიც 2000 წელს გამოსცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. ამ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1936 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალში დაარსდა აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სპეციალისტთა ჯგუფი სვანურ ლექსიკონზე სამუშაოდ ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით და არ. ონიანის, მ. გუჯეჯიანისა და ალ. დავითიანის შემადგენლობით, თუმცა სპეციალისტთა უფროს თაობას მსოფლიო ომის გამო არ დასცალდა ამ ლექსიკონზე მუშაობა. საქმის ბოლომდე მიყვანა წილად არ ხვდა არც ამ ლექსიკონის მესვეურს აკად. ვ. თოფურიას და არც ამ ლექსიკონის მესვეურს პროფ. მ. ქალდანს. მათივე სიცოცხლეში სვანურ ლექსიკონზე მუშაობის ტვირთი გაინაწილეს მომდევნო თაობის მეცნიერ-მუშაკებმა: ი. ჩანტლაძემ, ე. გაზდელიანმა, კ. გაგუამ, რ. ჭკადუამ, რ. ბაბლუანმა, ლ. ბაბლუანმა და სხვებმა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სვანური ლექსიკონის გამოსაცემად მომზადების საქმეში. 900-გვერდიანი ლექსიკონი (16000-მდე ლექსიკური ერთეულით) გამოიცა 2000 წელს.

სამწუხაროდ, სვანური ენა დღეს რეალური საფრთხის წინაშე დგას. სწორედ ამ საფრთხის შესა-

ხებ გვაფრთხილებდა 1978 წელს ქართველოლოგიის პატრიარქი, აკად. აკ. შანიძე: **„ჯერ კიდევ შეიძლება მივუსწროთ და აღვნუსხოთ ხალხური სიტყვიერების მასალები, რომლებიც კილოების კუთვნილებას შეადგენს“.** ეს მით უფრო სვანური ენის დიალექტებზე ითქმის, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპებისა და ქვეყნის შიგნით თუ გარეთ უკანასკნელ ხანებში მოსახლეობის გაცხოველებული გადაადგილების გამო ძლიერ განიცდის როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა დიდ ზეგავლენას.

სვანური ენისადმი ესოდენ დიდი ინტერესი, ვ. თოფურიას აზრით, „გამოწვეულია მისი განსაკუთრებული ღირებულებით ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისა და ფუძე-ენის აგებულების რეკონსტრუქციისათვის. სვანურში დაცული არქაიზმები და მოგვიანებით მიღებული ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, სტრუქტურული სხვაობანი, დიალექტური თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და დიალექტთა ნარეობა ხელშესახებ მასალას იძლევა კერძო და ზოგადენათმეცნიერული საკითხების წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გასაშუქებელი“.

მისასალმებელია, რომ თანამედროვე სვანური ენის კვლევა დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, რაზეც მეტყველებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების (ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუბარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი) მიერ გამოცემული „კოდორული ქრონიკები“ (გამოკვლევებითურთ), 2007-2010 წ., ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“ (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით), 2008-2009 წ., მ. საღლიანის მონოგრაფია „პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში“, 2011 წ., ქ. მარგიანი-სუბარის მონოგრაფია „ევიდენციალობის კატეგორია სვანურ ენაში“, 2012 წ., აგრეთვე, პროფ. ი. ჩანტლაძის მონოგრაფია „ქართველური ლექსიკის ისტორიიდან“, I, 2012 წ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სვანური ჯგუფის მიერ „სვანური ენის გრამატიკა“ (რომლის გამოცემაც სამომავლოდ იგეგმება), ა. ჭკადუას მიერ მრავალი წლის მანძილზე რუდუნებით შეკრებილი მასალების მიხედვით „სვანური ტოპონიმების ლექსიკონი (გამოკვლევითურთ)“, მ. საღლიანის მონოგრაფია „საღირისძის შთამომავალთა დიდი სახლეული“ (სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი ექსტრალინგვისტური მასალების საფუძველზე) და მისივე „ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონი“ (სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით), ნ. შავრეშიანისა და მ. საღლიანის „ჩოლურული ტექსტები (ლექსიკონითურთ)“, მ. საღლიანისა და ლ. გიგლემიანის მონოგრაფია „ზომა-წონის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში (ლექსიკონითურთ)“ და სხვ.

ლიტერატურა

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

ყიფშიძე 1947 — ს. ყიფშიძე, შენიშვნები სვანეთის ქართულ წარწერებზე: თსუ შრომები, XXXII B, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჭუმბურიძე 2007 — ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა, გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1981 — ა. შანიძე, თხზულებანი. ტ. II, თბილისი.

ნაწილი I

ფონეტიკური მოვლენები

1. ელიზია

როგორც ცნობილია, ქართველურ ენათა შორის ხმოვანთა ყველაზე რთული სისტემა სვანურშია წარმოდგენილი. მასში დასტურდება ზოგად ფონეტიკაში ცნობილი მრავალი სახის ბგერითი მოვლენა (უმლაუტი, სიგრძე, რედუქცია, ასიმილაცია, დისიმილაცია, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია, პალატალიზაცია, მეტათეზისი, ბგერათა დაკარგვა და განვითარება, ელიზია ...).

ამჯერად ჩვენი ყურადღების საგანია სვანური ენისათვის დამახასიათებელი ისეთი ცნობილი ფონეტიკური პროცესი, როგორიცაა ელიზია.

ელიზია (**elisio**) ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ამოგდებას" [„გამოდევნებას, გამოგდებას", „გამოწურვას" (ლელ 1990:591-592)].

ელიზიას უწოდებენ სიტყვის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვას მომდევნო სიტყვის თავკიდურ ხმოვანთან (ახმანოვა 1966:525; ლელ 1990:591).

ქართველურ ენათაგან ელიზია მხოლოდ სვანურისთვის არის დამახასიათებელი, სადაც ის ძალზე გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა; ამ პროცესს ერთგვარ სისტემადაც კი აქცევს ხმოვანთა კომპლექსების დიდი უმრავლესობა.

როდესაც ბოლოხმოვნიან სიტყვას ან შორისდებულს მოსდევს ხმოვნით დაწყებული სიტყვა, თანდებული ან ნაწილაკი და ამ გზით იქმნება ხმოვანთა ესა თუ ის კომპლექსი (მაგ.: ა+ა, ა+ე, ა+ი და ა. შ.), მაშინ სვანურ ენაში, ისე, როგორც რიგ სხვა ენაში, ხდება ხმოვანთა კომპლექსიდან ერთ-ერთი კომპონენტის (უფრო წინა კომპონენტის) ჩავარდნა — ელიზია (ქალდანი 1953:193).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, ელიზიას არა აქვს ადგილი მაშინ, როცა გვაქვს ვიწრო იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები ი+ი, უ+უ ან ხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტი ი ან უ ხმოვანია, ან ო+ე (ქვემოსვანურსა და ბალსზემოურში), ე+ა (ქვემოსვანურში), ო+ა და უ+ე (ყველა კილოში) ხმოვანთმიმდევრობანი (იქვე).

ელიზიურ პროცესებში მონაწილე იდენტურ და არაიდენტურ ხმოვანთკომპლექსებს პროფ. მ. ქალდანი ორ ჯგუფად ყოფს. მისი აზრით, პირველ ჯგუფს განეკუთვნება ხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტი ვიწრო ი ან უ ხმოვანია, მაგ.:

ა)		ბ)
ა+ი		ა+უ
ე+ი		ე+უ
ო+ი		ო+უ
ი+ი		ი+უ
უ+ი		უ+უ

ამ ჯგუფშივე შემოაქვს:

ე+ა (ქვემოსვანურისათვის)
ო+ე (ქვემოსვანურისა და ბალსზემოურისთვის)
ო+ა }
უ+ე . } (ყველა კილოსათვის)

მეორე ჯგუფს კი შეადგენენ კომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტი ღია ან შედარებით ღია (ა, ე, ო) ხმოვნებისაგან შედგება, ესენია:

ა)	ა+ა	ბ)	ა+ე	გ)	ა+ო
	ე+ა (ზემოსვანურისათვის)		ე+ე		ე+ო
	ი+ა		ი+ე		ი+ო
	უ+ა (ჩუ- პრევერბთან)		ო+ე (ბალსქვემოურისათვის)		უ+ო (ჩუ- პრევერბთან)
			ო+ო		

განსხვავება ამ ორი ჯგუფის კომპლექსთა შორის, პროფ. მ. ქალდანის აზრით, ძალიან დიდია: პირველ ჯგუფში შემავალ ხმოვანთკომპლექსთათვის ელიზია უცხოა, ხოლო მეორე ჯგუფის კომპლექსები, მეტნაკლებად, ელიზიურია ოთხსავე კილოში (იქვე:196).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საერთოქართველურში ორი ხმოვანი ფონემა არ ივარაუდება ერთმანეთთან უშუალო მეზობლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სხვადასხვა მორფემის კუთვნილებას წარმოადგენენ" (მაჭავარიანი 1965:4). გარდა ამისა, ქართული ენის ვოკალიზმის პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ ენის ფონემატური სტრუქტურა კრძალავს ხმოვანთა უშუალო მეზობლობას, აქედან გამომდინარე, „მორფემულ საზღვარზე ხმოვანთა კომპლექსის ცვლილება უნდა წარიმართოს ამ კომპლექსის დაშლისაკენ, ე. ი. ხმოვანთა კომპლექსის სუპერაცია გამოხატული იქნება ორი ხმოვნის უშუალო მეზობლობის მოშლით, რომელიც ენაში შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით" (უთურგაიძე 1976:32).

აღნიშნულ საკითხზე ბევრად უფრო ადრე ყურადღება გაამახვილა პროფ. შ. ძიძიგურმა, რომელმაც ქართული და ზანური ენების დიალექტთა პრეფიქსულ კომპლექსებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით გამოყო სამი A, B, C რიგის კომპლექსები. სამივე რიგი, ფონეტიკური თვალსაზრისით, გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებს. A რიგის კომპლექსებში (**ფართო+ვიწრო**) ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას... B რიგის კომპლექსებში (**ვიწრო+ფართო**) ადგილი აქვს დისიმილაციას, უკეთ — დიფთონგიზაციისაკენ მიდრეკილებას... C რიგის კომპლექსები ისწრაფვიან შერწყმისაკენ, თუ იდენტური ხმოვნებია..., ე. ი. ყველა რიგის (A, B, C) ხმოვანთა კომპლექსი ისწრაფვის ერთხმოვნობისაკენ: კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხურია ერთ ხმოვანზე დასვლა" (ძიძიგური 1946:32).

პროფ. თ. უთურგაიძის აზრით, „A, B, C რიგის კომპლექსთა სწრაფვა ერთხმოვნობისაკენ წარმოადგენს ენის ფონემატური სტრუქტურის დაწოლის შედეგს. ქართულისნაირი მდგომარეობაა ზანურშიც (უფრო დასრულებული სახით); ანალოგიური ვითარება ჩანს სვანურშიც" (უთურგაიძე 1976:33).

სვანური მასალის ანალიზის შედეგადაც გაირკვა, რომ „A და C რიგის კომპლექსები გრძელხმოვნიან დიალექტებში, მორფემათა მიჯნაზე, იშლება ორი ხმოვნის სრული შერწყმით ან დიფთონგიზაციის გზით. B რიგის კომპლექსებში მხოლოდ სრული შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები გვაქვს. გრძელხმოვნიანი დიფთონგები ამ რიგის კომპლექსებში არ წარმოიქმნება" (გაზდელიანი 1999:101).

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ და გამოვიკვლიეთ აღნიშნული ფონეტიკური პროცესი „სვანური ენის ქრესტომათიაში" წარმოდგენილი მასალის სათანადო ანალიზის საფუძველზე და მივიღეთ მთელი რიგი დასკვნა.

გაირკვა, რომ სვანურში დასტურდება ელიზიის ორი სახე: **მარტივი** და **რთული**. როგორც მარტივ, ასევე რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კი კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: ა+ა, ა+ა̈, ა̈+ა̈, ა+ა̄, ა+ე, ა+ო, ა+უ, ა+ჷ, ე+ე, ე+ა, ე+ა̈, ე+ი, ე+ჲ, ე+ო,

ე+უ, ი+ი, ი+ა, ი+ა̈, ი+ა̄, ი+ე, ი+ო, ი+უ, ი+ჷ, ი̄+ი̄, ო+ო, ო+ა, ო+ა̈, ო+ე, ო+ი, ო+უ, უ+უ, უ+უ̄, უ+ა, უ+ა̈, უ+ე, უ+ი, უ+ი̄, უ+ჲ, უ+ო, უ+ჷ, ჷ+ე, ჷ+ა, ჳ+ა, ჲ+ა, ჲ+ე (სულ 45 კომბინაცია).

ეს ხმოვანთკომპლექსები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. იდენტური: ა+ა, ა̈+ა̈, ე+ე, ი+ი, ი̄+ი̄, ო+ო, უ+უ და

2. არაიდენტური: ა+ა̈, ა+ა̄, ა+ე, ა+ო, ა+უ, ა+ჷ, ე+ა, ე+ა̈, ე+ი, ე+ჲ, ე+ო, ე+უ, ი+ა, ი+ა̈, ი+ა̄, ი+ე, ი+ო, ი+უ, ი+ჷ, ო+ა, ო+ა̈, ო+ე, ო+ი, ო+უ, უ+ა, უ+ა̈, უ+ე, უ+ი, უ+ი̄, უ+ჲ, უ+ო, უ+უ̄, უ+ჷ, ჷ+ე, ჳ+ა, ჲ+ა.

საინტერესოა, თუ რა ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდიან როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები სვანური ენის დიალექტებში.

მარტივ ელიზიურ კონსტრუქციებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად სავსებით შესაძლებელია სვანურშიც, ღიაობის მიხედვით, A, B, C რიგის კომპლექსები გამოვყოთ:

A	B	C
(ფართო+ვიწრო)	(ვიწრო+ფართო)	(თანაბარი ღიაობის ხმოვნები)
ა+ე	ო+ა	ე+ო
ა+ო	ე+ა	ა+ა
ე+ი	ი+ე	ე+ე
ა+ა̈	ი+ა	ი+ი
ა+უ	ი+ო	ე+ა̈
ა+ჷ	უ+ე	ა+ა̄
ე+ჲ	უ+ო	ე+უ
ო+ა̈	უ+ა	ი̄+ი̄
ა+ა̄	ი+ა̈	ო+ო
ო+ე	ე+ა̈	უ+უ
	ი+ა̄	ი+ი
	ი+უ	ა̈+ა̈
	ი+ჷ	
	უ+ი	
	უ+ი̄	
	უ+ჲ	
	უ+ჷ	
	უ+უ̄	
	ჳ+ა	
	ჷ+ე	
	ჲ+ა	

აღნიშნულ ხმოვანთკომპლექსთა ამგვარი კლასიფიკაცია, რაღა თქმა უნდა, გარკვეულ ფონეტიკურ კანონზომიერებას ემყარება.

თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკე განვიხილავთ მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე იდენტურ და არაიდენტურ ხმოვანთკომპლექსებს.

1. 1. იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში[1]

ა+ა. თანაბარი ღიაობის ა+ა ხმოვანთკომპლექსი, როგორც ცნობილია, ელიზიურია სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში იდენტური ხმოვნები აღნიშნულ კომპლექსში ერთმანეთს შეერწყმის და ვიღებთ გრძელ ხმოვანს (ქალდანი 1953:193).

„სვანური ენის ქრესტომათიაში" ა+ა ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი, რომელიც სვანური ენის დილექტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ალ'ა̄თხზ̆რე̄ნახ ← ალა ათხზ̆რე̄ნახ [ა+ა = ა̄]

ალ'ა̄თხზ̆რე̄ნახ ჯაფრა̄ნა̈რს — ეს ეწყინათ თურმე („სწყენიათ", შდრ. ქართ. (გურ.) **ხუ-ებ-ა** „გაბრაზება") ჯაფარიძეებს („ჯაფრან-ებ-ს") (1) 61:19

ალ'ა̄მჟე̄ნ ← ალა ამჟე̄ნ [ა+ა = ა̄]

ალ'ა̄მჟე̄ნ ჩჳასკიბხ ⌈ყიფია̄ნა̈რდ⌉ ი ქ'ოთთო̄ნეხ უშგულთე მგწსი მა̄რა — ეს ასე დაადგინეს („გააჩერეს") ყიფიანებმა და უშგულში („უშგულ-⌈ის⌉-კენ") გააგზავნეს („მიასწავლეს") დამპატიჟებელი (შდრ. ძვ. ქართ. უ-წეს-ს „ეძახის", მი-უ-წეს-ა „დაუძახა; უბრძანა; ამცნო", მო-უ-წეს-ნ „ეძახის; პატიჟებს") კაცი („კაცს") (3) 62:12; 63:5; 90:38

გუჳ'ა̄დირმ[2] ← გუჳა ადირმ [ა+ა = ა̄]

ალ მეზგე̄მ... **გუჳ'ა̄დირმ** — ამ ოჯახმა („მოსახლემ") გუა დაიპირა (1) 87:12

ზაჳისგ'ა̄შხჳ ← ზაჳისგა აშხჳ [ა+ა = ა̄]

ზაჳისგ'ა̄შხჳ ლადა̈ღ ... ნიბა̈შინ ღგრდა მიჩა ლა̈დღა̈რთე ქანა სა̈ხ ლაკა̈დთე[3] — წელიწადში („წელში", შდრ. ქართ. „**ზა**-მთარ-ი; **ზა**-ფხულ-ი; გა-**ზა**-ფხულ-ი") ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი") დღეს ოჯახის შვილიშვილი [შდრ. ქართ. (გურ., აჭარ., მესხ.) „**ბადიშ-ი**"] მიდიოდა ხოლმე („წავიდოდა") თავის („მის") დედულებთან („სა-დე-დ-ო-ებ-⌈ის⌉-კენ") კანაფის (შდრ. ქართ. **ქერ-ი**, **ქერ**-ელ-ი „კანაფის, სელის გარე კანი") წილის (შდრ. ქართ. „**სახ-ე**") მისაღებად („ასაღებ⌈ის⌉კენ", შდრ. ძვ. ქართ. „ალ-ი-კიდ-ებ-ს; ალ-კიდ-ებ-ა") (1) 99:10

თჳა̈ფ'ა̄ხჭიმდა ← თჳა̈ფა ახჭიმდა [ა+ა = ა̄]

ამის ლადღარე **თჳა̈ფ'ა̄ხჭიმდა** ი ალა მასა̈რდ კჳა̈დ ლა̈სჳ მოჭირ გლეხიშდ — ამას დღეების დაკარგვა (შდრ. ქართ. (კახ.) **თაფ-ვ-ა** „შემცხვარი პურის თონეში ჩაყრა"; **თაფ-ად** ცვივა „ვარდება;

---

[1] აქვე შემოგვაქვს ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსიც.

[2] აღნიშნულ ელიზიურ ფორმაში პირველი კომპონენტის აუსლაუტში დაფიქსირებული წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური ჳ თანხმოვანი, ჩვენი აზრით, არ არის რომელიმე ბაგისმიერი ო-სა და უ-ს რედუცირებული სახეობა, რადგანაც ლენჯერელი დავით გულედანისგან 1940 წელს ჩაწერილ ტექსტში **ტიტიშე̄რ ჯახჳ̄ თჳე̄ფ** „ტიტისაანთ ჯახუს თოფი" ხან ადამიანის საკუთარი სახელი **გუჳა** ფიქსირდება ხან კი — **გუა** (მაგ.: **ალ დინ'ე̄სნა̈რ მასა̈რდ ხოზნა̈ნი გუჳას** — ეს გოგო თურმე ძალიან უვლის გუვას; **მა̈რიამგლდ ოხჳჭირე ⌈ალდა̈რს⌉**: **„თათაშა გუჳა სგა̄ჳ ოხჭიდ მიჩეშთე̄'სგა ლედგა̈რიდ"** — მარიამმა („მარიამ-უკა-მ") შემოუთვალა ამათ („ამეებს"): „თათაანთ გუვა მოიყვანეო („შემოუტანამცა") ჩემთან („მისისკენში") მოსაკლავად"; **ანჭა̈დ ესნა̈რ გუა** — ადგა („მოვიდა") თურმე გუა; **გუად ხანჯა̈რ ლა̈ძშგჳინ** — გუამ ხანჯალი იშიშვლა; **ალ'ა̄დკჳიშ ესნა̈რ გუად** — ეს გაიგო თურმე გუამ და სხვა.). ჳ, როგორც ჩანს, ფონეტიკური დანართია, ამიტომაც აპოსტროფი **გუჳ'ა̄დირმ** ფორმაში აუცილებლად უნდა აღდგეს.

[3] ძველად სვანეთში გათხოვილი ქალის შვილი (ე. ი. **ნიბა̈შინ**) დედულეთისგან იღებდა თავის წილ კანაფს, რომელსაც ერქვა **ქანა̈ სა̈ხ** „კანაფის წილი („სახ-ე")".

იყრება“) მოჰყვებოდა ხოლმე („მოსდევდა“) და ეს ძალიან დიდი („ბლომად“) დანაკლისი (შდრ. ძვ. ქართ. „სი-კუდ-ილ-ი; მო-კუდ-ინ-ებ-ა; მ-კუდ-არ-ი“) იყო მშრომელი („*მო-ჭირ-ე“, შდრ. ქართ. „ჭირ-ი“) გლეხისთვის (შდრ. ქართ. **გლეხ-ი** < სომხ. „***գեղջուկ***“) (1) 27:36

ითნ'ა̄მის ← ითნა ამის [ა+ა = ა̄]

ობა̈შ მაკუ̂ა̈დ ღგრდა ქუ̂ერწლა̈რჷე̄ნ ი ზურა̄ლა̈ ნაჭუ̂ლაშუ̂დ[1], მარე მეზგე დემის **ითნ'ა̄მის** ... — ბევრი ქონება (შდრ. ძვ. ქართ. „სი-კუდ-ილ-ი; მო-კუდ-ინ-ებ-ა; მ-კუდ-არ-ი“) იხარჯებოდა ხოლმე („წავიდოდა“) ქორწილებში („ქორ-წილ-ებ-ზე“) და ქალის (შდრ. მეგრ. **ზურ-ა** „მხდალი“, ლაზ. **ზურ-ა** „დედალი“) ურვადში („ურვადად“, შდრ. ძვ. ქართ. „წულ-ი; ქალ-წულ-ი“), მაგრამ ოჯახი („მოსახლე“) არ იმჩნევდა („იტყობდა“, შდრ. ძვ. ქართ. გან-თენ-ა „გათენდა“, ახ. ქართ. „თენ-ებ-ა“) ამას (1) 25:28

ი̄რ'ა̄ლ ← ი̄რა ალ [ა+ა = ა̄]

ჭაშუ̂ემ ესნა̈რ ლახტიხ ˹ზურა̄ლს˺: „ჯა ზურა̄ლ, ჷი̄უ̂ ლახშუ̂ა̈მნე კუ̂ეტოლ ხა̈ნს ი ლუ̂'ე̄სერ ეჩქანლო ი̄რ'ა̄ლ გუ̂ეშ“ — ქმარმა (შდრ. ქართ. „კაც-ი“) უპასუხა („დაუბრუნა“) თურმე ქალს: „შე („თვითონ“) ქალო, დამასვენეო („მო-ა-სვ-ენ-ა-მცა“, შდრ. ძვ. ქართ. გან-სუ-ენ-ებ-ა; გან-სუ-ენ-ებ-ულ-ი „მოსვენებული“) ცოტა (შდრ. ქართ. და-კუწ-ვ-ა; და-კუწ-ა...“ და მეგრ. **კუჭ-უ** „პატარა; დაბალი“) ხანს და („მერეო“) მერე („მაშინს მერე“) იქნებაო ეს საქმე“ (1) 65:42

მე̄სგუ̂'ა̄მჷი̄ნ ← მე̄სგუ̂ა ამჷი̄ნ [ა+ა = ა̄]

... უთა მეზგაისგა თუ̂ით მეხუ̂შდა̄მი ი **მე̄სგუ̂'ა̄მჷი̄ნ** არდახ ლინა̄თუ̂ხა̈ნ — გაუყრელ (შდრ. ძვ. ქართ. გან-ვლთ-ობ-ა „გაყოფა“; გა-ვთ-ულ-ი „გაყოფილი“) ოჯახში („მოსახლეში“) მეხუთე („**თით-ო** მე-**ხუთ**-ე-მ-ი˹ს˺“) და მეექვსე („მე-ექვს-ე“) თაობაც კი იყო („იმყოფებოდნენ“, შდრ. ქართ. ე-**რდ**-ო „ზედა ბანი სახლისა“) ნათესაობის მხრიდან („ნათესაობ˹ის˺დან“, შდრ. ძვ. ქართ. გან-ვლთ-ობ-ა „გაყოფა“; გა-ვთ-ულ-ი „გაყოფილი“) (1) 22:29

ლეჟ'ა̄დიახ ← ლეჟა ადიახ [ა+ა = ა̄]

ლახუ̂ბას ... ხაკუხ, ერე ... ალა ... **ლეჟ'ა̄დიახ** მგლახთე — ძმებს უნდათ (შდრ. ძვ. ქართ. ნ-უ-კევ-ა, ნ-უ-კვ-ებ-ა „ფუფუნება; ნებივრობა; ხვეწნა; თხოვნა“, მეგრ. მ-**ო-კო** „მინდა“, გ-**ო-კო** „გინდა“, **ო-კო** „უნდა“), რომ ეს წაიყვანონ („ზემოთ წაიღონ“) მულახში („მულახ-˹ის˺-კენ“) (1) 67:33

მაჩუ̂იბისგ'ა̄ჷუ̂რახ ← მაჩუ̂იბისგა აჷუ̂რახ [ა+ა = ა̄]

ზაუ̂ლადა̈ლ ჲერხი ხეხუ̂-ჭა̈შ ეჩე̄სგა იჷუ̂ნა̄ლდა, მარე ლინთუ̂ისგ'ე̄ში მა̈გ აშხუ̂ **მაჩუ̂იბისგ'ა̄ჷუ̂რახ** — **ზაფხულში** („წელ-დღე“, შდრ. ქართ. „**ზა-მთარ-ი; ზა-ფხულ-ი; გა-ზა-ფხულ-ი**“) **ზოგიერთი** („**ზოგი**“) ცოლ-ქმარი იმაში წვებოდა, მაგრამ ზამთარში (შდრ. ქართ. „**თ-ევ-, თ-ენ-, მ-თ-ენ-ი, სა-თ-ევ-ი**“) მაინც ყველანი („ყველა“) ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) „მაჩუბ“-ში („საცხოვრებელში“) იწვნენ (1) 23:12 და ა. შ.

როგორც მაგალითებმა აჩვენეს, ბალსზემოურში იდენტური ა+ა ხმოვნები ერთმანეთს შეერწყა და მივიღეთ ა̄. გამოკვლევის თანახმად მომდევნო სიტყვის ანლაუტის ხმოვნის სიგრძეს მხოლოდ წინამავალი ლექსემის აუსლაუტთან მიმართება განაპირობებს.

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ შეგვხვდა ა+ა ხმოვანთკომპლექსის შემცველი უაპოსტროფო ფორმები: **ალა̄ჲ** ტჷუ̂ედ ესჷენახ მგლხა̈რს (93:27) — ესეც ტყვედ მიჰყავდათ თურმე მულახელებს და ... ალ დი̄ნა̄ჲ ესნა̈რ **სგა̄ჲ** ლახბიჭა̄ნე̄ნა ალ მახალუ̂ა̈ჷს (104:18; 158:12) — ეს გოგო თურმე კიდევაც დაფეხმძიმდა („*შე-მო-ე-ბიჭ-ა“, შდრ. ქართ. „ბუშ-ი“ და ხევს. **ბიჭ-ი** „ნაბიჭვარი, ბუში“) ამ ახალგაზრდა ვაჟისგან („ახალ-ვაჟ-ს“, შდრ. ზან. ˹**მოხა**˺ „ახალი“); პირველი მათგანი (**ალა̄ჲ**) ← **ალა+აჲ**,

[1] სასიძოს ბოლო გადასახადი მეუღლის ოჯახში.

ხოლო მეორე მათგანი (**სგა̄ დ**) კი ← **სგა+ად**. რაკი ხმოვანთა შერწყმაა, ამიტომ აპოსტროფი თანხმოვნის შემდეგ აუცილებელი იყო.

ლ ა შ ხ უ რ ი

ლეჟ'ა̄ნჭიდხ ← ლეჟა ანჭიდხ [ა+ა = ა̄]

˹ალდარდ˺ **ლეჟ'ა̄ნჭიდხ** ჩუკულთე ˹საჳდარ˺ — ამათმა („ამეებმა“) ამოიყვანეს („ზემოთ მოიტანეს“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-ჭდ-ომ-ა, ˹მი/მო˺-ჭდ-ა“) ჩუკულში[1] („**ჩუკულ**-˹ის˺-კენ“) ყაბარდო-ბალყარელები („**ოს**-ებ-ი“) (1) 260:4

სგ'ა̄დგენეხ ← სგა ადგენეხ [ა+ა = ა̄]

სგ'ა̄დგენეხ ჳეზრალდ მახუნჯაკ ლაბტა̄რთე — ვეზირებმა (შდრ. ახ. ქართ. **ვეზირ**-ი, ძვ. ქართ. **ვაზირ**-ი < არაბ. **vazīr** „მინისტრი, მრჩეველი“) მახუნჯაკი საბატეში შეამწყვდიეს („შე-**დგ**-ეს“, „შეაყენეს“, შდრ. ქართ. „შე-**დგ**-მ-ა“) (1) 250:23

სგ'ა̄დკჳა̄რ ← სგა ადკჳა̄რ [ა+ა = ა̄]

˹გეზალდ˺ ჟ'ენკიდ მიჩა ლგშხატ ქუფრჷნჩ ი სგ'ა̄დკჳა̄რ ლემესთე — შვილმა აიღო (შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-კიდ-ებ-ს; აღ-კიდ-ებ-ა“) თავისი („მისი“) მოწნული გოდორი [შდრ. ქართ. სა-ქუმ-ელ-ი „ხისაგან სნეულთ მჴრით სატარებლად შემზადებულსა ეწოდების“, „საკაცე“ (საბა)] და ჩააგდო ცეცხლში (შდრ. ქართ. ძვ. ქართ. **ვარსკ-ულ-ავ-ი‖ვასკ-ულ-ავ-ი‖მასკ-ულ-ავ-ი‖მასკ-ლ-ავ-ი** „მნათობი“, ახ. ქართ. „**ვარსკ-ვლ-ავ-ი**“) (2) 247:15; 281:23

სგ'ა̄დკჳა̄რხ ← სგა ადკჳა̄რხ [ა+ა = ა̄]

ქათლა ნაბიჭულ ... ლაჯნჷრთჷდსა **სგ'ა̄დკჳა̄რხ** ˹მომსახურად˺ — ნახევარქათამა („**ქათმ**-ი˹ს˺ ნაგლეჯუკა“) სახარეში შეაგდეს მოსამსახურეებმა (3) 273:29, 30, 32

სგ'ა̄დდეხ ← სგა ადდეხ [ა+ა = ა̄]

ჩჳერ ოხქახ ˹ჳეზირ˺, ეჩქა **სგ'ა̄დდეხ** ჩა̄ჟ ჳოთახთჷდსა ი ხელწიფდ ესსიპდა — ვეზირი რომ ცხენიდან [შდრ. ქართ. მო-**ცედ**-ი „საფურე ძროხა“ (საბა)] ჩამოვიდა („ჩამოქვეითდა“), მაშინ ცხენი [შდრ. ქართ. მო-ცედ-ი „საფურე ძროხა“ (საბა)] ოთახში (შდრ. ქართ. „**ოთახ**-ი“ < თურქ. (აზერბ.) „**otag**“, შდრ. სპარს. „**utāk**“) შეიყვანეს („შეიტანეს“) და ხელმწიფედ გადაიქცა („შეტრიალდა“) (1) 280:41

სგ'ა̄დსკინე ← სგა ადსკინე [ა+ა = ა̄]

ანჭად მაზიგ ი ფერფილდ ესსიპდა ი **სგ'ა̄დსკინე** კათხთჷდსა — მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-ჭდ-ომ-ა“) ავადმყოფობა („სენი“) და ფერფლად გადაიქცა და ჩახტა („შეისკუპა“, შდრ. ქართ. „**ა-სკინ**-კილა“) კათხაში („**კათხ**-˹ის˺-კენ-ში“) (1) 249:11 და ა. შ.

ლაშხური მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აქაც თითქმის ბალსზემოურისებური ვითარებაა.

რამდენიმე უაპოსტროფო ფორმა ლაშხურშიც დავადასტურეთ, მაგ: **სგა̄რდა** (259:14), **ქა̄დ** (237:34), **ქა̄ჳ** (271:21), **ქაჳ** (273:34), **სგა̄ჳ** (275:33, 39; 276:2), **სგაჳ** (250:23, 28).

სხვა ელიზიურ ფორმათა ანალოგიით აპოსტროფი და შესაბამისად სიგრძეც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ლექსემაში აღვადგინეთ და თითოეული საანალიზო ლექსემა ილუსტრირებული სახით წარმოვადგინეთ:

---

[1] სოფელია ლაშხეთში, რომელიც 2005 წელს დაიმეწყრა და ეს ულამაზესი სოფელი ფაქტიურად მიწასთან გასწორდა.

სგ'ა̄რდა ← სგა არდა [ა+ა = ა̄]

ჷოკერს ... **სგ'ა̄რდა** ძღჷდ ძიჷ (259:14) — ფსკერზე („ფსკერს“) იყო („ში˹გნით˺ იმყოფებოდა“, შდრ. ქართ. ე-რდ-ო „ზედა ბანი სახლისა“) დიდი (შდრ. ძვ. ქართ. **ზღუდ-ე** „კედელი“, „ლობე“, გარს შემოვლებული სიმაგრე“) მძივი

ქ'ა̄ჲ ← ქა აჲ [ა+ა = ა̄]

ბობშ˹ს˺ ... **ქ'ა̄ჲ** ხჷა̄ჲდინ აძძაიხ (237:34) — ბავშვს გაძიძებითაც ბევრჯერ გააძიძავებენ ხოლმე („ქეც ბევრჯერ ა-ძიძ-ავ-ებ-ენ“)

ქ'ა̄ჷ ← ქა აჷ [ა+ა = ა̄]

ზურა̄ლ˹დ˺ ... ხე̄ქჷ, ერე „ქ'ა̄ჷ ლოქ ხე̄ქჷ, იმღა ლოქ ხაჩ̣ონა̄ნა“? (271:21; 273:34) — ქალმა (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“) უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**“, ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**“), რომ „მითხარიო („უთხარიმცაო“), რატომ („რისთვისო“) გეცინებოდაო („ეღიმებოდა, ეცინებოდა“)?“

სგ'ა̄ჷ ← სგა აჷ [ა+ა = ა̄]

ლახხჷი̄და ეშხუ მეჩი მა̄რე ალ ჰყინტს ი ხე̄ქჷ: „სგ'ა̄ჷ ეხბგრგა̄ნდა“ (275:33, 39; 276:2; 250:23, 28) — ამ ბიჭს (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჰყინტ-ლ-ი**“) შეხვდა ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) მოხუცი (შდრ. ლაზ. უ-მჩ-ან-ე „უფროსი“) კაცი და უთხრა: „მეჭიდავეო („დაეჭიდამცა“, შდრ. ძვ. ქართ. **ბორგ-ი-ს** „ბორგავს; უწესრიგოდ მოძრაობს; შეშლა“, (გურ., ლეჩხ., ქვ. იმერ.) **ბურგ-ალ-ი** „თავაშვებული თამაში; ... ჭიდაობა, თამაში, ცელქობა“)“.

ლაშხურში შეგვხვდა ა+ა̄ კომბინაცია ასეთ კონტექსტში — **კოლოფისა ა̄რდახ** „კოლოფში იყვნენ („იმყოფებოდნენ“)“ (258:9), სადაც წინამავალი კომპონენტი არ დაკარგულა. ჩვენ თავის დროზე ლაშხურთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ, როდესაც ზმნის ანლაუტში თავისთავადაა წარმოდგენილი გრძელი ხმოვანი, მაშინ წინამავალ ხმოვანთან შეხვედრისას ხელახალ დაგრძელებას ადგილი არა აქვს, თუმცა პრევერბისეული ხმოვანი ზოგჯერ მაინც იკარგება [მაგ.: **ჟ'ჷ̄ყიხ** (< **ჟი+ჷ̄ყიხ**) „ამოიყვნენ“, **ამჟ'ჷ̄ქჷი̄ლ** (< **ამჟი+ჷ̄ქჷი̄ლ**) „ასე ითქმებოდა“ (საღლიანი 2001:192)].

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი:

არ'აშირ ← არა აშირ [ა+ა = ა]

ჷოშთხჷ ათა̈ს ი არ'აშირ მი მა̈ხჷიდდა ი სემ'ათა̈ს ი **არ'აშირ** — აღჷანს — ოთხი ათას რვაასი („**ოთხ-ი ათას-ი და რვა-ას-ი**“) მე შემხვდა და სამი ათას რვაასი („**სამ-ი ათას-ი და რვა-ას-ი**“) — აღვანს (2) 210:2, 2

კოჯქ'ათჭედგნენა ← კოჯქა ათჭედგნენა [ა+ა = ა]

აშჷყი წეკჷა ლა̈თხჷარს ლგმა̈რდ ცხეკლისგა, **კოჯქ'ათჭედგნენა** ი კოჯა̈შ ტელაფყი სემი ზურალ ლუმსგჷირხ — ერთხელ („ერთზე“, შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) წეკვა სანადიროდ („სანადიროს“, შდრ. ძვ. ქართ. **თხევ-ლ-ა; სა-თხევ-ლ-ებ-ა; სა-თხევ-ლ-ობ-ა** „თევზაობა“) ყოფილა („*ნამყოფა“) ტყეში (შდრ. მეგრ. **ცხვეკ-ი** „ფიჩხი“, ლაზ. **ცხიკ-ი** „ფიჩხი“), კლდეზე (შდრ. ქართ. „**კორძ-ი**“) გადასულა („მოხვედრილა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-ჭდ-ომ-ა“) და კლდის (შდრ. ქართ. „**კორძ-ი**“) აივანზე („**დერეფან-ზე**“) სამი ქალი (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი“, ლაზ. **ზურა** „დედალი“) მჯდარა („მსხდარან“) (1) 207:33

მეთხჷარ'აფიშჷდ ← მეთხჷარა აფიშჷდ [ა+ა = ა]

კესა̈რდ მიჩა **მეთხჷარ'აფიშჷდ** ქა ლა̈თხჷართე ი ათასდახ ეჯღა̈რ ლგჯემ ტობს — კეისარმა (შდრ. ძვ. ქართ. **„კეისარ-ი“** < ბერძნ. **„keisar“**) თავისი („მისი“) მონადირეები (შდრ. ძვ. ქართ. მ-**თხევ-ლ-არ-ი** „მონადირე, მეთევზე“) გაუშვა (შდრ. ქართ. **ფოთ-ე** „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)“, და-**ფოთ-ებ-ულ-ი** „მოშვებული“, და-**ფუთ-ებ-ა** „მოშვება (საბა)“) სანადიროდ (შდრ. ძვ. ქართ. **თხევ-ლ-ა**; სა-**თხევ-ლ-ებ-ა**; სა-**თხევ-ლ-ობ-ა** „თევზაობა“) და მათ („ისინი“) ნახეს („გადაეყარნენ“, „გაუარეს“) რძის ტბა („**ტბა-ს**“, შდრ. ძვ. ქართ. „**ტბა-ჲ**“, **ტბ-ურ-ი** „გუბე“, ახ. ქართ. „**ტბა, ტბ-ორ-ი**“...) (1) 219:15

ქ'აშყჷდელიჷ ← ქა აშყჷდელიჷ [ა+ა = ა]

ბეფშ[1] ხა̈შგურანნა შუკჷჟი დინას: „მიჩა'სერ დი ლახ ხატულიდეს: სა̈ღნა̈რ ესეროჷ ჩჷადკუშურე, ეჩქას ჯღოჷ **ქ'აშყჷდელიჷ**“ — ბიჭი („ბავშვ-ი“) არიგებდა თურმე („*ნარიგება“) გზაში (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) **„შუკა“**) ქალიშვილს („გოგოს“): „დედაჩემი („მისიო **დე-და**“) თუ გეტყვისო („ეძახდეს“): თეფშები („**საინ-ებ-ი-ო-მცა**“, შდრ. ქართ. **„საინ-ი“** < არაბ.-სპარს. **„sahän“**) დაამტვრიეო („დაამტვრია“), მაშინ შენ („თვითონმცა“) გარეცხეო („გარეცხავდა“)“ (1) 220:8

მამ'ახმარგეხ ← მამა ახმარგეხ [ა+ა = ა]

ალი ალა̈რდ **მამ'ახმარგეხ** ⌜შა̈რლან შერჳაშიძეს⌝: „ხემ'ესერ, ერე მიჩ მამა ხომჭერა, მინე თელღგრად ესერ ჭალა̈რ ქა ხადენა“?! — ესენი არ მოეშვნენ („*ეს ამეებმა არ მო-ა-**რგ**-ეს“, შდრ. ქართ. „მო-**რგ**-ებ-ა“) შარლან შერვაშიძეს: „როგორ თუ („როგოროო, რომ“) შენ („მას“) არაფერი („არა“) გაგიგია („გაუგია“), ჩვენი („მათი“) რძლისთვის ხელი („მკლავები“, შდრ. ძვ. ქართ. **ჭელ-ი** „ხელი; ხელობა; დოკუმენტი; ხელმოწერა; ნაწერი“; სა-**ჭელ-ი** „სახელო“; ერთ-**ჭელ-ი**; მე-**ჭელ-ე** „ხელოსანი“; „**ჭელ-ოსან-ი; ჭელ-ოვან-ი**“...) გქონდა გადახვეულიო („*გა-ნ-ა-**დ**-ებ-ა“, შდრ. ქართ. „გა-და-**დ**-ებ-ა“)“?! (1) 191:34

ქ'აჩად ← ქა აჩად [ა+ა = ა]

მერმა ლადელ ჷღანგგან ალჷან ი **ქ'აჩად** ზაგა̈რთე — მეორე დღეს ადგა აღვანი და გავიდა ზეგანზე („გორაზე“, „ქედზე“, „გადასასვლელზე“) (2) 209:29; 218:31

ქ'აჩა̈დ ← ქა აჩა̈დ [ა+ა = ა]

ბაბა **ქ'აჩა̈დ** ყორქა — ბაბუა გავიდა გარეთ („კარში“, შდრ. ძვ. ქართ. „და-**ყორ**-ვ-ა“, „**ყორე**“, რაჭ. „**ყერო**“) (6) 212:32; 230:32, 34, 42; 229:38; 231:13

ქ'ახქჷიც ← ქა ახქჷიც [ა+ა = ა]

და̈შდჷდ ნა̈ნსოლ ა̈ხფიშჷდ ლეშგიმხენ ⌜მალს⌝ ი ჰა̈კედ **ქ'ახქჷიც** — დათვმა წალდი ესროლა უკნიდან მელიას და კუდი მოაჭრა (შდრ. ძვ. ქართ. **ქუც-ნ-ვ-ა** „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „და-**ქუც-მაც-ებ-ა**“) (1) 210:20 და ა. შ.

როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, ა+ა კომპლექსი ელიზიურია ბალსქვემოურში.

შენიშვნა: „სვანური ენის ქრესტომათიის“ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, როდესაც ზმნისწინზე დართულია რომელიმე ნაწილაკი [**ქა̄ჲ** (237:34), **ქა̄ჷ** (271:21), **სგაჷ** (250:23, 28), **სგა̄ჷ** (275:33, 39; 276:2) და ა. შ.)], მაშინ აპოსტროფი რატომღაც ძალზე ხშირად გამოტოვებულია. როგორც ჩანს, თავის დროზე ამ პროცესებზე ყურადღება არ იქნა გამახვილებული[2].

---

[1] საინტერესოა, რომ სვანურში **ბეფშჷ** ლექსემით ახალგაზრდა ბიჭიც მოიხსენიება და ბავშვიც.

[2] დღემდე არსებულ პუბლიკაციებში საკმაოდ ჭრელია ელიზიურ ფორმათა მართლწერა. ამასთანავე, როგორც უკვე ითქვა, ტექსტის ჩაწერის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეტყველების ტემპსაც — დინჯად მოსაუბრე მთქმელი ელიზიურ ფორმათა პარალელურად ხშირად ხმარობს უელიზიო ფორმებსაც.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი:

დეს'ანჯად ← დესა ანჯად [ა+ა = ა]

ალ ჩხარა ლახუბა ხოღელიხ მინე დაჩუირს: დეს'ანჯად, **დეს'ანჯად** — ეს ცხრა ძმა ელოდება („ელოდებიან") თავიანთ („მათ") დას: არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⸢ღ⸣-ჯდ-ომ-ა"), არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⸢ღ⸣-ჯდ-ომ-ა") (2) 317:21, 21

დეს'ასოხუიდა ← დესა ასოხუიდა [ა+ა = ა]

ნებოზს ერ ანჯად მიჩა ჰა̈შ, მიჩა ჲეხუ **დეს'ასოხუიდა** ა̈გის — საღამოს რომ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⸢ღ⸣-ჯდ-ომ-ა") თავისი („მისი") ქმარი (შდრ. ქართ. „კაც-ი"), თავისი („მისი") ცოლი არ დახვდა შინ („ალაგ-ს", შდრ. ძვ. ქართ. „ალაგ-ი" < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება") (1) 340:14

ისკ'აჩად ← ისკა აჩად [ა+ა = ა]

ზურალდ მა̈ღმა ლა̈ქუ ი **ისკ'აჩად** ქორხო — ქალმა (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი", ლაზ. **ზურა** „დედალი") არაფერი თქვა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**") და სახლში („სახლ⸢ის⸣კენ", შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ-ი**", რაჭ. „**ქორ-ედ-ი**") შევიდა (3) 328:38; 329:9, 39

ხოშ'ახოთილ ← ხოშა ახოთილ [ა+ა = ა]

შტაუალს აჯალ **ხოშ'ახოთილ** სკა იუანედ — მერცხალს (შდრ. ქართ. „**თოლ-ია; მე-თოვლ-ია**") კიდევ („ისევ") უფრო („დიდი", შდრ. ძვ. ქართ. „**უ-ხ-უ-ც-ე, უ-ხ-უ-ც-ეს-ი, უ-ხ-უ-ც-ჱს-ი**") მოუჭირა ივანემ (1) 354:6

ისკ'ახოჯიდახ ← ისკა ახოჯიდახ [ა+ა = ა]

მოსამსახურას ... **ისკ'ახოჯიდახ** ქორხო ⸢ალ ჰყინტ⸣ — მოსამსახურეებს სახლში („სახლ⸢ის⸣კენ", შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ-ი**", რაჭ. „**ქორ-ედ-ი**") შემოუყვანიათ („შემოუტანიათ", შდრ. ძვ. ქართ. „**გან-ჯდ-ომ-ა**, ⸢მი/მო⸣-**ჯდ-ა**") ეს ბიჭი (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჰყინტ-ლ-ი**") (1) 330:16 და ა. შ.

ნუმ'ადგა̈რი ← ნუმა ადგა̈რი [ა+ა = ა]

... ზურალს ხოქუა ⸢გეყლაზიშდ⸣: „ჩუ ლოქ **ნუმ'ადგა̈რი** ი ალ რიყს ბეხა̈რდ ლოქ ასასიპი" — ქალმა („ქალს", შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი", ლაზ. **ზურა** „დედალი") უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**") თურმე („უთქვამს") გეყლაზს („**გეყლაზ-ის-თვის**"): „არ („**ნუ**") მომკლაო („მოკლავსო", შდრ. ძვ. ქართ. „**მო-მე-დგრ-ებ-ა**", ⸢და⸣-**მე-დგრ-ებ-ა, მე-დგრ-ობ-ა**") და ამ რიყეს (შდრ. ქართ. „რიყე" < სპარს. **rīg** „ხრეში, წვრილი ქვა") დიდდუმიან ცხვრებად („ნერბებადო", შდრ. ქართ. (ქართლ., ფშ., მთიულ.) **ბეხ-ი** „ძალიან დაბერებული საქონელი") გადავაქცევო („გადააქცევს")" (1) 343:26

მ'ამბაუ ← მა ამბაუ [ა+ა = ა]

მაროლას ხანაბაჟ: „ალე **მ'ამბაუ** ლოქ ირა ედო"? — კაცს („კაცუნას") უკვირს: „ნეტავი („თორემ") ეს რა ამბავიაო („იქნება", შდრ. ქართ. **ამბავ-ი**" < ფალ. „**hambav**")"? (2) 322:23, 24

მ'ამბა̈უ ← მა ამბა̈უ [ა+ა = ა]

ხენწიფ ლა̈ხექუედდა მიჩა მეთხუუარას: „**მ'ამბა̈უ** ლოქ ლი, ამოხქა ხუა̈ჲ ნათხუუარე ლოქ ახალუენახ ი ათხე დემის ლოქ მოშ ჯიდეხ"? — ხელმწიფემ („**ხელმწიფ-ე**") ჰკითხა („შეეკითხა, შდრ. ძვ. ქართ. „**უ-წოდ-ს; წოდ-ებ-ა; მო-წოდ-ებ-ა; მო-წოდ-ებ-ულ-ი**") თავის („მის") მონადირეებს (შდრ. ძვ. ქართ. **მ-თხევ-ლ-არ-ი** „მონადირე, მეთევზე"): „რა ამბავიაო (შდრ. ქართ. **ამბავ-ი** < ფალ. „**hambav**"),

აქამდე ბევრი (შდრ. ქართ. **ხვავ-ი** „ზვინი, გროვა“) ნანადირევი („*ნა-თხევ-ლ-არ-ი“, შდრ. ძვ. ქართ. **თხევ-ლ-ა**; **სა-თხევ-ლ-ებ-ა**; **სა-თხევ-ლ-ობ-ა** „თევზაობა“) მოგქონდათო („მოჰქონდათ თურმე“) და ახლა ვერ („არაო“) მოგაქვთო („მოიტანენ“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-ჴდ-ომ-ა, ⌈მი/მო⌉-ჴდ-ა“)“? (1) 329:15

ლენტეხური მაგალითები (**მ'ამბაჳ, მ'ამბა̈ჳ**) იმითაც არის საინტერესო, რომ კითხვითი ნაცვალსახელები ოდენ თანხმოვნით არიან წარმოდგენილნი.

როგორც ვხედავთ, ანალოგიური ვითარებაა ლენტეხურშიც. ბალსზემოურისაგან და ლაშხურისაგან განსხვავებით, აქ გვაქვს ელიზია, ე. ი. ერთ-ერთი კომპონენტი იკარგება უკვალოდ.

მიუხედავად ელიზიის ასეთი დიდი ტენდენციისა, „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ელიზირებულ ფორმათა პარალელურად ძალზე ხშირად ვაწყდებით უელიზიო ფორმებსაც, სადაც პრევერბისეული ა + პრევერბისეულივე ან ზმნისეული ა ორივე დაცულია. მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ამეჲ̄ნ **არდა ალამა̈გ** ფიშირ მა̆რე ა̈შხუ̂ ქორისგა... (22:39) — ასე ცხოვრობდა („იმყოფებოდა“) ამდენი („ეს ყველა მრავალი“, შდრ. ქართ. „**ვრც-ელ-ი**,.. **სი-ვრც-ე**“) ადამიანი („კაცი“) ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) სახლში (შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ-ი**“, რაჭ. „**ქორ-ედ-ი**“)

ალჲა̈რ ჰა̈ლ ქა ხეწა̈დხ, **სგა ახტუ̂ი̂ლხ** (162:15) — ამათმა („ესენი“) როგორ კი დაინახეს, დაუძახეს („*შემოუძახეს“)

დედბერ ანჴა̈დ ი ა̈შხუ̂ა̈ნჩუ̂ი̂შ **ქა ახტუფუ̂რე** ⌈მა̆ლს⌉ ... (162:42) — დედაბერი მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌈ღ⌉-ჴდ-ომ-ა“) და ცალი მხარე („ერთ⌈ის⌉ქვეის“) ჩამოატყავა („გა-მო-ა-**ტყავ**-ა“) მელიას

ქა ახტუფუ̂რე (162:42) „ჩამოატყავა“; **ქა ანჴა̈დ** (166:31) „გამოვიდა“; **სგა ანჴა̈დხ** (168:31) „შემოვიდნენ“; **ქა ახთენე̂ნდეს** (168:35) „შეეძინოს, გაუჩნდეს“; **ქა ანჴიდ** (172:1) „გამოიტანა“; **ქა ანსკინე** (171:1) „გადმოხტა“; **სგა აჩა̈დ** (170:4) „შევიდა“ და ა. შ.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

აყმურზას ფხულე **ქა ათქუ̂ეცა** (184:38) — აყმურზას თითი მოეჭრა თურმე („მოჭრია“, შდრ. ძვ. ქართ. **ქუც-ნ-ვ-ა** „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „**და-ქუც-მაც-ებ-ა**“)

აყმურზას ... ჯაშაუ̂ **ქა ათჩედა** (184:38) — აყმურზას ჯაშავი გაექცა თურმე („გაქცევია“)

ამჟი ჯაშაუ̂ს თუ̂ეფ **ქა ათშყედა** (184:37) — ასე ჯაშავს თოფი (შდრ. ქართ. „**თოფ-ი**“ < სპარს. „**tuf**“) გაუვარდა თურმე („გავარდნია“)

ეჯ მა̈ხელუ̂ა̈ჲს ესერ ხოქუ̂ა ...: „... აშუ̂უნ ესერ ესკილნე, ეჩქას **მიჩა ამახჳ** ესერ ჟი ლგთხე ხარ“ (222:19) — იმ ახალგაზრდას („ახალ-**ვაჟ**-ს“) უთქვამს:

... სულკალმახ ... აშუ̂ **კოჯთელისგა აჩა̈დ** (213:11) — სულკალმახი ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) კლდეში („კლდ⌈ის⌉კენში“, შდრ. ქართ. „**კორძ-ი**“) შევიდა

ქა ათშყედა (184:37) „გაუვარდა თურმე („გავარდნია“)“; **ქა ათქუ̂ეცა** (184:38) „მოეჭრა თურმე“, შდრ. ძვ. ქართ. **ქუც-ნ-ვ-ა** „ფშვნეტა“; ახ. ქართ. „**და-ქუც-მაც-ებ-ა**“); **ქა ათჩედა** (184:38) „გაექცა თურმე („გაქცევია“); **უშხუ̂არნენსგა ათსედა** (227:9) „შუაში დარჩა თურმე („დარჩენია“) და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ეჯჲარ **ლეჟა აჩადხ** (252:42) — ისინი ზემოთ ავიდნენ („წავიდნენ“)

⌈მეჩი მა̆რედ⌉ ბოფშ **ლექუ̂ა ანჴიდ** ლა̆შხთე (258:30) — მოხუცმა (შდრ. ლაზ. **უ-მჩ-ან-ე** „უფროსი“) კაცმა ბავშვი ჩამოიყვანა („ქვემოთ მოიტანა“, შდრ. ძვ. ქართ. „**გან-ჴდ-ომ-ა**, ⌈მი/მო⌉-**ჴდ-ა**“) ლაშხეთში („**ლაშხ**-ეთ-⌈ის⌉-კენ“)

სპილენჯი̂ **ლეჟა ანჴიდხ** ჩუკუ̂ლარდ (260:8) — სპილენძიც ამოიტანეს („ზემოთ მოიტანეს“) ჩუკულელებმა

ჟიჯ თხუმს **სგა აყჲენდა** ბანკათჷჲსა (261:39) — გველი თავს (შდრ. ძვ. ქართ. „**თხ-ემ-ი**“) ჩაყოფდა ხოლმე ქილაში („ქილ⌈ის⌉კენში“, შდრ. ქართ. „**ბანკა**“ < რუს. „**Банка**“)

ლექჷა ანჴიდ (258:30) „ჩამოიყვანა („ჩამოიტანა“, შდრ. ძვ. ქართ. „გან-ჴდ-ომ-ა, ⌈მი/მო⌉-ჴდ-ა“)“; **სგა აჴად** (250:12) „შევიდა“; **სგა აჩად** (250:14) „შევიდა“; **ლეჟა აჩადხ** (252:42) „ზემოთ ავიდნენ“ და ა. შ.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ეჩანლო **ქა ანაყეხ** დიარა̈ლს (296:38) — შემდეგ („მაშინს მერე“) გამოაცხობენ ხოლმე პურებს (შდრ. მეგრ. **დიარ-ი** „ბალახობა, ძოვნა“, **დიარა** „ქორწილი; ლხინი“, მა-**დიარ-ე** „მობალახე“, შდრ. ლაზ. **გჲარ-ი** „საჭმელი“, **გჲარ-ობ-ა** „პურის ჭამა“)

ამ დჷრეს ლაჯოგა̈ ჷოკერხენჲი ... მარად ანასკინე ი ნეპოლშალ **ქა ახეჭამ** ეშხუ მარას (309:10) — ამ დროს საჯოგის ძირიდან („ფსკერიდან-**ზე**“) კაცი („კაცმა“) ამოხტა („ამოისკუპა“, შდრ. ქართ. „ა-**სკინ-კილა**“) და ჩიტივით (შდრ. ქართ. **პე-პელ-ი/პე-პელ-ა**“) გამოეკიდა („გამოყვა, გამოედევნა“) ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) კაცს

ეჩქას ჯა̈ჷრშ **კა ათოქგრთინახ** (310:37) — მაშინ სიბრაზისგან („**ჯავრ-ით**“) ფიქალი ქვა (შდრ. ახ. ქართ. „**კერ-ა||კერ-ია**“, ძვ. ქართ. „**კერაკ-ი**“ < პრაინდოევროპ. „***ker(a)**“) გაუხურებიათ

მიჩა მუდ ჷარ ხა̈ქჷ, მარე ... ბეფშ **ქა ათოჩად** ეში ლა̈ლეჩახო (324:11) — მამამისა („მისმა **მა-მა-მ**“) უარი უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**“, ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**“), მაგრამ ბიჭი („**ბავშვ-ი**“) მაინც გაექცა სადარაჯოდ (შდრ. ქართ. „**და-ცვ-ა; მ-ცვ-ელ-ი...**“)

სკა ახატიხჷნეხ (293:30-31) „დააბრუნებინეს“; **ქა არაყიხ** (300:33-34) „არაყს გამოხდიან ხოლმე“, „*გა-ა-არაყ-ებ-დ-ა̈“, შდრ. ქართ. „**არაყ-ი**“ < არაბ. „**'araq**“); **ქა ახეჭამ** (309:10) „გამოეკიდა, გამოყვა̈“; **სკა ანჴად** (325:27) „შემოვიდა“; **ქა ახოსკინა** (334:2; 296:38) „გადმომხტარა“; **მა ამბა̈ჷ ლი?** (341:38; 346:36) „რა ამბავია?“; **ჩხარა ათა̈ს** (337:23) „ცხრა ათასი“; **ეჩქა ახოკიდა** (343:3) „მაშინ აუღია“, შდრ. ძვ. ქართ. „ალ-ი-**კიდ**-ებ-ს; ალ-**კიდ**-ებ-ა“) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი არაელიზირებული ფორმები სვანური ენისათვის, როგორც ეს **ი+ი** კომპლექსთან დაკავშირებითაც ითქვა, ბუნებრივი არ არის, ჩვეულებრივ, გაბმულ მეტყველებაში თითქმის ყოველთვის ისმის ელიზირებული ფორმები.

პროფ. მ. ქალდანმა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ (1953 წ.) სვანურ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვების შედეგად შეამჩნია, რომ ელიზია მტკიცედ არის გატარებული რთულ პრევერბებში (**ქა+ან-**, **ქა+ად-**, **ქა+ა-**, **(ი)სგა||(ი)სკა+ან-**, **(ი)სგა||(ი)სკა+ად-**, **(ი)სგა||(ი)სკა+ა-**) ან როცა **ქა-**, **(ი)სგა||(ი)სკა-** პრევერბები **ა** ხმოვნით დაწყებულ ზმნებს დაერთვის — იხ. გვ. 93)[1]. მართალია, „სვანური ენის ქრესტომათიაში“, რთულ პრევერბებში, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, ელიზიისა და ხმოვანთა შერწყმის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა, უელიზიო ფორმებიც საკმაო რაოდენობით გამოვლინდა.

ა+ა კომპლექსი არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ **ა**'ს, იგი, როგორც ცნობილია, სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება ბალსქვემოურ დიალექტში (იქვე:194), რაც ჩვენი საანალიზო მასალითაც დადასტურდა.

ა+ა კომპლექსი ელიზირდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გვაქვს: **ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა** [მაგ.: **მამ'ახმარგეხ ← მამა ახმარგეხ** „არ მოეშვნენ („*ეს ამეებმა არ მო-ა-რგ-ეს“, შდრ. ქართ. „მო-რგ-ებ-ა“)“], **თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** [**კოჯქ'ათჴედგნენა ← კოჯქა ათჴედგნენა** „კლდეზე (შდრ. ქართ. „**კორძ-ი**“) გადასულა („მოხვედრილა“, შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌈ლ⌉-ჴდ-ომ-ა“)“], **რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი** [**არ'აშირ ← არა აშირ** „რვაასი („რვა-ას-ი“)“],

[1] ელიზიური პროცესები რთულ პრევერბებში ცალკე გვექნება განხილული.

არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა (**მეთხჷარ'აფიშჷდ** (← **მეთხჷარა აფიშჷდ**) „მონადირეები (შდრ. ძვ. ქართ. მ-**თხევ-ლ-არ-ი** „მონადირე, მეთევზე") გაუშვა [შდრ. ქართ. **ფოთ-ე** „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)", და-**ფოთ-ებ-ულ-ი** „მოშვებული", და-**ფუთ-ებ-ა** „მოშვება" (საბა)"] და ა.შ.

პროფ. მ. ქალდანის აზრით, ანალოგიური ვითარება დასტურდება ლენტეხურ დიალექტშიც, „ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ ელიზია მოსდის პრევერბისეულ ა'ს, სხვა შემთხვევაში კი იგი შემჩნეული არ არის" (იქვე). როგორც „სვანური ენის ქრესტომათიის" ლენტეხური ნაწილის განხილვამ გვიჩვენა, აქ არა მარტო პრევერბისეულ ა'ს მოსდის ელიზია ა+ა ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას, არამედ, იგი, ანალოგიურად ბალსქვემოურისა, სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება; უპირველეს ყოვლისა, ა+ა კომპლექსი ელიზირდება, როდესაც გვაქვს **ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა** (**დეს'ანჴად** ← **დესა ანჴად** „არ მოვიდა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა⌜ღ⌝-ჴდ-ომ-ა", **ნუმ'ადგäრი** ← **ნუმა ადგäრი** „არ მოკლა"; **დეს'ასოხჷიდა** ← **დესა ასოხჷიდა** „არ დახვდა"), **ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა** (**ხოშ'ახოთილ** ← **ხოშა ახოთილ** „უფრო („დიდი", შდრ. ძვ. ქართ. „უ-ხ-უ-ც-ე, უ-ხ-უ-ც-ეს-ი, უ-ხ-უ-ც-ჱს-ი") მოუპირა"), **ნაცვალსახელი + არსებითი სახელი** (**მ'ამბäჷ** ← **მა/ä ამბäჷ** „რა ამბავი") და ა. შ.

რაც შეეხებათ გრძელხმოვნიან დიალექტებს — ბალსზემოურსა და ლაშხურს, იქ, როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევაში ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე. ხმოვანთა შერწყმა ამ დიალექტებში ხდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც გვაქვს:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა (**ალ'ა̄თხჷ̄რე̄ნახ** ← **ალა ათხჷ̄რე̄ნახ** „ეს ეწყინათ თურმე"), **თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** (**მაჩჷიბისგ'ა̄ყჷრახ** ← **მაჩჷიბისგა აყჷრახ** „მაჩუბ"-ში („საცხოვრებელში") იწვნენ"), **არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** (**გუჷა̄დირმ** ← **გუჷა ადირმ** „გუა დაიპირა"), **თანდებულიანი სახელი + რიცხვითი სახელი** (**ზაჷისგ'ა̄შხჷ ლადäლ** ← **ზაჷისგა აშხჷ ლადäლ** „წელიწადში („წელში", შდრ. ქართ. „ზა-მთარ-ი; ზა-ფხულ-ი; გა-ზა-ფხულ-ი") ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი") დღეს"), **ა სუფიქსიანი განყენებული სახელი + ზმნის პირიანი ფორმა** (**თჷäფ'ა̄ხჴიმდა** ← **თჷäფა ახჴიმდა** „⌜და⌝კარგვა (შდრ. ქართ. (კახ.) **თაფ-ვ-ა** „შემცხვარი პურის თონეში ჩაყრა"; **თაფ-ად** ცვივა „ვარდება; იყრება") მოჰყვებოდა ხოლმე („მოსდევდა")", **ზმნის პირიანი ფორმა + ნაცვალსახელი** (**ითნ'ა̄მის** ← **ითნა ამის** „იმჩნევდა („იტყობდა", შდრ. ძვ. ქართ. გან-**თენ-ა** „გათენდა", ახ. ქართ. „**თენ-ებ-ა**") ამას", **ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა** (**ლეჷ'ა̄დიახ** ← **ლეჷა ადიახ** „წაიყვანონ („ზემოთ წაიღონ")", **რიგობითი რიცხვითი სახელი + ზმნიზედა** (**მე̄სგჷ'ა̄მჟე̄ნ** ← **მე̄სგჷა ამჟე̄ნ** „მეექვსე ასე" და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა (**ლეჷ'ა̄ნჴიდხ** ← **ლეჷა ანჴიდხ** „ამოიყვანეს („ზემოთ მოიტანეს", შდრ. ძვ. ქართ. „გან-ჴდ-ომ-ა, ⌜მი/მო⌝-ჴდ-ა")" და ა. შ.

ამრიგად:

1. „სვანური ენის ქრესტომათიაში" თანაბარი ღიაობის ა+ა ხმოვანთკომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალა გამოვლინდა.

2. ა+ა ხმოვანთკომპლექსი, როგორც წესი, ელიზიური აღმოჩნდა სვანური ენის ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო, რაც შეეხება ბალსზემოურსა და ლაშხურს, იქ იდენტური ხმოვნები აღნიშნულ კომპლექსში ერთმანეთს შეერწყა და შედეგად მივიღეთ გრძელი ხმოვანი.

3. „სვანური ენის ქრესტომათიაში" ელიზირებულ ფორმათა პარალელურად დიდი რაოდენობით გამოვლინდა ისეთი ფორმებიც, სადაც პრევერბისეული ა + პრევერბისეულივე ან ზმნისეული ა ორივე დაცულია.

4. ა+ა კომპლექსი, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, არა მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან იძლევა ერთ ა'ს, არამედ იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზირდება როგორც ბალსქვემოურ დიალექტში (**ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, რიცხვითი სახელი + რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა**), ასევე ლენტეხურშიც (**ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა**). რაც შეეხებათ გრძელხმოვნიან დიალექტებს — ბალსზემოურსა და ლაშხურს, სადაც ა+ა კომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, ხმოვანთშერწყმა ხდება არა მხოლოდ პრევერბისეულ ხმოვანსა და მის მომდევნო ზმნის ანლაუტისეულ ხმოვანს შორის, არამედ სხვა შემთხვევებშიც (ბზ.: **ნაცვალსახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, არსებითი სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, თანდებულიანი სახელი + რიცხვითი სახელი, ა სუფიქსიანი განყენებული სახელი + ზმნის პირიანი ფორმა, ზმნის პირიანი ფორმა + ნაცვალსახელი, ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა, რიგობითი რიცხვითი სახელი + ზმნიზედა**; ლშხ.: **ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა**).

ა̈+ა̈. „სვანური ენის ქრესტომათიაში", კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში, დაფიქსირდა თანაბარი ღიაობის ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსის ელიზიის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც დღემდე არ ყოფილა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში:

მ'ა̈ჯგმბაჳა ← მა̈ ა̈ჯგმბაჳა [ა̈+ა̈ = ა̈]

სერ **მ'ა̈ჯგმბაჳა**? — მეტი რა მოგიყვე („გ-ი-ა-მბ-ო", შდრ. ქართ. „**მბ-ობ-ა**" და „**ამბავ-ი**" < ფალ. „**hambav**")? (1) 188:6

მოცემულ ელიზიურ კონსტრუქციაში (**კითხვითი ნაცვალსახელი + ზმნა**) ელიზია ორ იდენტურ ხმოვანთაგან (ა̈+ა̈) ერთ ა̈'ს იძლევა.

ბალსქვემოურშივე გამოვლინდა ა̈+ა̈ კომბინაციის შემცველი უელიზიო ფორმაც, რომელიც, ალბათ, მეტყველების ნელმა ტემპმა განაპირობა (უნდა ყოფილიყო — **ერჳა̈ხშიალდეს**). მაგ.:

ანჴა̈დ ხარა̈ტ ი კომბა̈ლ ი ძაძრა ლახსაჩქჳრე ˹მაჰენ მუხჳბეს˺ ი ხა̈ქჳ: „შომა'სერ ერჳა̈ ა̈ხშიალდეს[1], **უძესერ ა̈ნკჷდეს კომბა̈ლ ძაძრახენჷი ..."** — ადგა („მოვიდა", შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ა˹ღ˺-ჴდ-ომ-ა") ხარატი და კომბალი (შდრ. მეგრ. „**კოპალ-ი**") და ტომარა (შდრ. ქართ. „**ძაძ-ა, ძაძ-ებ-ი**" < ზან. „**ძონძ-ი**", შდრ. ზან. **ძანძ-ა** „ტომარა" და **ძონძ-ი** „ძონძი; ძაძა") აჩუქა უმცროს („ყველაზე პატარა") ძმას და უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**"): „თუ („როდისო") ვინმე („ვინც") წაგიჩხუბებაო („ეომოს"), მაშინ აიღეო („აიღოსო", შდრ. ძვ. ქართ. „**ალ-ი-კიდ-ებ-ს; ალ-კიდ-ებ-ა**") კომბალი (შდრ. მეგრ. „**კოპალ-ი**") ტომრიდან " (1) 231:25

როგორც არაერთგზის ითქვა, მსგავს ფორმათა არსებობას სვანურ პუბლიკაციებში უმეტესად ზოგიერთი მთქმელის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნელი ტემპი განაპირობებს.

---

[1] ლახამულელისთვის ამ ფორმას ჩხუბის მნიშვნელობა აქვს, ხოლო დანარჩენი ბალსქვემოური კილოკავების წარმომადგენელთათვის — ომის; რა თქმა უნდა, სემანტიკურად ომი და ჩხუბი ახლოსაა ერთმანეთთან.

ლენტეხურ დიალექტშიც დადასტურდა ისეთი მაგალითები, როდესაც მორფემათა ზღვარზე თავს იყრის იდენტური ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსი და არ ხდება ელიზია:

... აშირ **მჷშა̈ ა̈რი** ეჩქა გოლდა̈შ — ასი მუშა არის მაშინ გოლდაში (302:31)

აშხჳ ა̈გის შაჳარდენ **ეკალისკა̈ ა̈რი** გამბილ — ერთ ადგილას შევარდენი ეკალში არის გაბმული (342:39)

არადა სავსებით მოსალოდნელი იყო ელიზირებული **მჷშ'ა̈რი** და **ეკალისკ'ა̈რი** ფორმები, რაზეც მეტყველებს ლენტეხურშივე დაფიქსირებული შემდეგი შესიტყვება:

მიშკჳ'ა̈გჳხო ← მიშკჳა/ა̈ ა̈გჳხო

ეჩქა ხოქჳა მჷფა̈ყს: „გუშკჳე ისკალდა̈ თარიგლეზერს ყიჳ ახონდუნა, ედო **მიშკჳ'ა̈გჳხო** ა̈მჴიდე, ისკჳე ლა̈გჳირკას ყი ხა̈სერე" — მაშინ უთქვამს (შდრ. ძვ. ქართ. **„თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი"**, ახ. ქართ. **„თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი"**) ფაყელს: „ჩვენმა („ჩვენს") ისკალდის მთავარანგელოზმა („**მ-თავ-არ-ანგელოზ-ს**") მოინდომოს („მო-უ-**ნდომ**-ებ-ია-მცა"), თორემ ჩემს სახლში („**ალაგ**-⌈ის⌉-კენ", შდრ. ძვ. ქართ. „**ალაგ-ი**" < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება") წამიყვანს („მომიტანს", შდრ. ძვ. ქართ. „**გან-ჴდ-ომ-ა**, ⌈მი/მო⌉-**ჴდ-ა**"), თქვენს კვირიკეს („სა-**კვირიკ**-ეს", შდრ. ქართ. „**კვირიკე**") სჯობნის („აჯობებს", „*გაამეტებს", „გა-ა-**სწრ**-ებ-ს", შდრ. ქართ. „გა-**სწრ**-ებ-ა")" (21) 94:6

თანამედროვე ლენტეხურში ზოგი მთქმელი **მიშკჳა**-ს ხმარობს, ზოგი კი — **მიშკჳა̈**-ს.

მოულოდნელია, რომ ბალსზემოურში ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსის შემცველი ვერცერთი მაგალითი ვერ დავაფიქსირეთ. რაც შეეხება ლაშხურს, მისი უუმლაუტობიდან გამომდინარე, ა̈+ა̈ კომბინაცია არც იყო მოსალოდნელი.

ამრიგად:

1. თანაბარი ღიაობის ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსი ელიზიური აღმოჩნდა მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში. სვანური ენის სხვა უმლაუტიან დიალექტებში კი ძირითადად უელიზიო ფორმები დაფიქსირდა.

2. ბალსზემოურში, მორფემათა ზღვარზე, ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსის თავმოყრის შემთხვევაში, მეორე კომპონენტი უნდა დაგრძელებულიყო და შესაბამისად უნდა მიგველო ა̄.

3. „სვანური ენის ქრესტომათიაზე" დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ ა̈+ა̈ ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები (როგორც ელიზიური, ასევე არაელიზიური) არცთუ ისე ბევრია.

ე+ე. საენათმეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალის მიხედვით, **ე+ე** ხმოვანთკომპლექსი მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში — ბალსზემოურსა და ბალსქვემოურშია ელიზიური (ქალდანი 1953:195). ბალსქვემოურში, ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, უკვალოდ იკარგება კომპლექსის წინა კომპონენტი[1]. მაგ.:

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

იმთ'ესერ ← იმთე ესერ [ე+ე = ე]

ბეჳას ხოქჳა ⌈ჰამაშრე ეშდჲორი მა̈ხელჳა̈ჟდ⌉: „**იმთ'ესერ** ესხრიხ?" — ბევას უკითხავს („უ-თქ-ვ-ამ-ს", შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**") ჰამაშელების თორმეტი („**ათ-ი** და **ორ-ი**") ვაჟკაცისთვის („ახალი-**ვაჟ**-⌈ის⌉-თვის", შდრ. ზან. ⌈**მოხა**⌉ „ახალი"): „საით („საითო") გაგიწევიათო („მიდიან")?" (6) 189:1; 210:10, 12; 219:6; 222:11; 228:33

ლიკჳან'ესერ ← ლიკჳანე ესერ [ე+ე = ე]

[1] მაგალითები, როგორც წესი, მოგვყავს „სვანური ენის ქრესტომათიიდან".

ათხე ეჩხაჷ ჩჷიფშა̈რდ ეშჷი მინე ხოჩ'აფხნეგს ისგ'ოთთონეხ ი „ქ'ესერ მოდმ'ოთხჳერდეს, თეფოჷ ხაჴიდ ი ჩ'ოჷ ადგა̈რ, მიჩა თეფიშ **ლიკჷან'ესერ** ქა ხესმიხ“ — ახლა იქ („იქით“) ქვემოურებმა („ქვემოთებმა“) ერთი („ერთ“, შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) თავიანთი („მათ“) კარგი („კარგ“) ამხანაგი („**ამხანაგ**-ს“, შდრ. ქართ. „**ამხანაგ**-ი“ < ფალ. „**hamxānak**“) შეაგზავნეს („შეასწავლეს“) და „თუ არ გამოგყვაო („გაყვეს“, „ე-ა-**ხლ**-ო-ს“, შდრ. ქართ. „**ხლ**-ებ-ა“), თოფი („**თოფ**-ი-მცა“, შდრ. ქართ. „**თოფ**-ი“ < სპარს. „**tuf**“) ესროლე („დაარტყა“) და მოკალიო („მოკლამცა“, შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-**დგრ**-ებ-ა, ⌜და⌝-მე-**დგრ**-ებ-ა, მე-**დგრ**-ობ-ა“), თავისი („მისი“) თოფის (შდრ. ქართ. „**თოფ**-ი“ < სპარს. „**tuf**“) სროლის ხმა („გასროლაო“, „გაგდებაო“) გვესმისო („ესმით“, შდრ. ქართ. „**სმ**-ენ-ა“)“ (1) 189:24

იმთ'ესხრიხ ← იმთე ესხრიხ [ე+ე = ე]

ესხრიხ, ესხრიხ ⌜ალ ლახჷბა⌝ ი სგებინ მგდჳგლი ლახხჷიდხ, ... ⌜ამნემ⌝: „მინ ესერ **იმთ'ესხრიხ**?“ — მიდიან, მიდიან ეს ძმები და წინ თხების მწყემსი („*მე-**თხ**-ე“, შდრ. ქართ. „**თხა**“) შემოხვდათ („შეხვდათ“), ამან ⌜ჰკითხა⌝: „თქვენ („თვითონო“) საით გაგიწევიათო („მიდიან“)?“ (1) 229:5

იმთ'ესღრიდ[1] **← იმთე ესღრიდ [ე+ე = ე]**

... ჷიტმიზილს ი გატმა̈ზილს ... ლახხჷიდდახ ჰჷერ[2]: „ხოჩაჷ ლადეღ ჯარხ ჷიტმიზილს ი გატმა̈ზილს! **იმთ'ესღრიდ**?“ — ვიტმიზილს ი გატმაზილს შეხვდათ ყვავი (შდრ. ქართ. „**წერო**“, ზან. (მეგრ.) **ჭარო** „ფრინველი, რომელიც ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს (საბა)“): „გამარჯობათ („კარგიმცა **დღ**-ე გაქვთ“) ვიტმიზილ და გატმაზილ („ვიტმიზილს და გატმაზილს“)! საით გაგიწევიათ („საით მიდიხართ?“)?“ (3) 232:9,12,18

ანალოგიურ მასალაში ელიზიურ ფორმათა პარალელურად უელიზიო ფორმებსაც ხშირად ვაწყდებით. მაგ.: **ჟ'ესბე ეჩეჩუ** (231:11) ნაცვლად **ჟ'ესბ'ეჩეჩუ** ფორმისა, ჟჲესდე **ეჯი⌜ს⌝** (214:17) ნაცვლად **ჟჲესდ'ეჯი⌜ს⌝** ფორმისა, **მარე ეჯღაი** (212:21) ნაცვლად **მარ'ეჯღაი** ფორმისა და ა. შ.

პროფ. მ. ქალდანის გამოკვლევაში გარკვეულია, რომ, როდესაც ბალსზემოურში **ე+ე** კომბინაცია იქმნება, მაშინ ელიზიის ნიმუშებს მხოლოდ პოეზიაში ვხვდებით (იქვე), მაგ.:

მუგჷდა წა̈წყულდ **მად'ემდენე** (სვან. პოეზია, I, 1939, 140, 40) — თითქოს არც (კი) დამიწკმუტუნა ⌜ყურშამ⌝...

მართალია, ელიზიის ნიმუშები „სვანური ენის ქრესტომათიაშიც“ დავაფიქსირეთ, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ უთუოდ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე. რაზეც მეტყველებს ერთი და იმავე ელიზიური ფორმის (მაგ.: **იმთ'ესერ ← იმთე ესერ** — 79:17 და **იმთ'ე̄სერ ← იმთე ესერ** — 71:1) სხვადასხვა ორთოგრაფია. რაღა თქმა უნდა, უპირატესობა ენიჭება **იმთ'ე̄სერ** ფორმას, რადგანაც მორფემათა ზღვარზე თავმოყრილი იდენტური **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაში ბალსზემოურ დიალექტში თითქმის ყოველთვის ხდება ხმოვანთა შერწყმა და არა ელიზია. დავასახელოთ მაგალითები:

მარ'ე̄ჩო̄შ ← მარე ეჩო̄შ [ე+ე = ე̄]

მასარდ ხახგრბგნხ მერხა̈ლდ მეზგა̈ლს ლგფშირ მეზგად, **მარ'ე̄ჩო̄შ** მა̈მ ხოხალდახ, ერე ფიშირ მაღჷენას ფიშირ მუზჷები ხეყა̈დ — ძალიან („ბლომად“) შურდათ („ე-**ხარბ**-ებ-ოდ-ა-თ“, შდრ. ქართ. „სი-**ხარბ**-ე“) მცირერიცხოვან („მეჩხრად“) ოჯახებს („მოსახლეებს“) მრავალრიცხოვანი („გამრავლებუ-

[1] მთქმელი ხან ამ ფორმას ხმარობს, ხან **იმთ'ესხრიდ**'ს.

[2] სვანური **ჰჷერ** ლექსემის ქართულ **წერო**-სთან ეტიმოლოგიური დაკავშირება, ალბათ, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, მითუმეტეს, რომ სემანტიკურადაც ორივე ერთეული ფრინველის აღმნიშვნელად გამოიყენება. რაც შეეხება სვანური ენის დიალექტებში გავრცელებულ **წა̈ჷერ**'ს, იგი ქართულის გზით შემოსული ფორმა ჩანს.

ლი", შდრ. ქართ. „ვრც-ელ-ი,.. სი-ვრც-ე") ოჯახის („მოსახლისად"), მაგრამ ის („იმისი") არ იცოდნენ (შდრ. ქართ. „**ხ-(ილ)-ვ-ა, ხ-(ილ)-ულ-ი, უ-ხ-(ილ)-ავ-ი...**"), რომ ბევრ („მრავალ") ქონებას (შდრ. მეგრ. **ღუ-ენ-ა** „ქონა", **ღგ-მ-ალ-ა** „სამფლობელო", ლაზ. მ-ი-**ღუ-ნ** „მაქვს" ...) ბევრი („მრავალი ", შდრ. ქართ. „**ვრც**-ელ-ი,.. სი-**ვრც**-ე") მჰამელიც (შდრ. ქართ. „უ-**ზმ**-ო||უ-**ზმ**-ა, სა-უ-**ზმ**-ე") ჰყავდა (1) 25:14

მარ'ე̄ჩქად ← მარე ეჩქად [ე+ე = ე̄]

... გაგუდ ... ლა̈ჲშგუ̈ინ ხანჯა̈რ ი ნა̈რშაჳს ხაძგერ, **მარ'ე̄ჩქად** კჳეტო̄ლ ლუჳრე ხანჯრი̄ლა̈რ გარ ლგმწჳე̄ნხ ი მა̄მ გჳეშ[1] მოშ ხაყერ ღალ ესნა̈რ — გაგუმ იძრო ხანჯალი (შდრ. ქართ. „**ხანჯალ-ი**" < სპარს. „**xančal**") და ნარშავს დაარტყა („ა-ძგერ-ა", შდრ. ქართ. „**ძგერ-ებ-ა**"), მაგრამ მანამდე („მაშინად") მხოლოდ („მარტო") პატარა დაბლაგული ხანჯლები იშოვებოდა თურმე („ნაშოვებან") და ვერაფერი („არა საქმე") უქნა („დამართა") („საწყალი") თურმე (1) 67:38

მარ'ე̄ჯუ̄ინ ← მარე ეჯუ̄ინ [ე+ე = ე̄]

მუშჳა̈ნს ლიდრა̄ლ ი შგჳირი ლიტხჷე̄ლი უფგრო̄ჳში̄ ხემთქჳა̈ნ, **მარ'ე̄ჯუ̄ინ** ერე ჩი̄ ყ'ოხჳმეჯრე̄ნს — სვანმა („**სვან-ს**") ჩასაფრება (შდრ. ძვ. ქართ. და-**დარ**-ნ-ებ-ა „დამალვა, მზერა, საფარს ცხოვრება", კახ. და-**დარ**-იელ-ებ-ა „დადარაჯება, ჩასაფრება, თვალთვალი") და შურისძიება („სირცხვილი⌐ს⌐ დაბრუნება", შდრ. ქართ. უ-**შვერ**-ი „უპატიური (საბა)", „უსირცხვილო, არასაკადრისი") ჩუმადაც („მალვითაც") იცოდა („სჩვეოდა"), მაგრამ ისე, რომ ყველას გაეგო (1) 45:15 (**მაჩე̄ნ'ე̄სერ** ← მაჩე̄ნე ესერ (2) 154:16; 154:16, **ჩჳადშა̄რდ'ე̄სნა̈რ** ← ჩუ ადშა̄რდე ესნა̈რ (1) 65:20 და სხვა).

გულთ'ე̄სღრიხ ← გულთე ესღრიხ [ე+ე = ე̄]

გულა̈ თახა̈ ლადა̈ღ[2] **გულთ'ე̄სღრიხ**[3] ხოლა ბგნბჳა̈რ — გულის სამშაბათს („სამშაბათ **დღ**-ე-⌐ს⌐", „**თახ**-ას **დღ**-ე-ს", შდრ. ზან. (მეგრ.) **თახაშ-ხა** (< **თახაშ-დღა**) „სამშაბათი") გულში მიდიან ბნედიანები („ცუდი **ბუნებ**-⌐ის⌐-ან-ი", შდრ. ძვ. ქართ. „**ბუნ-ებ-ა**" < ფალ. **būn/bun** „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაბი, ფესვი, ბუნება, ხასიათი") (1) 144:16

ელიზიის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოდ გვესახება „სვანური ენის ქრესტომათიაში" წარმოდგენილი შემდეგი ბალსზემოური ფორმები: **ჰ'ე̄სა** ← ჰე ესა (1) 166:6, **ჰ'ე̄სამა** ← ჰე ესამა (2) 19:32; 86:8, **ჰ'ე̄სერ** ← ჰე ესერ (2) 64:39; 75:19, **ჰე̄ს'ე̄სერ** ← ჰე̄სა ესერ ან ჰე ესა ესერ (1) 54:4. თვალსაჩინოებისათვის თვითეულ მათგანს წარმოვადგენთ ილუსტრირებული სახით. მაგ.:

ჰ'ე̄სა[4] **← ჰე ესა [ე+ე = ე̄]**

... ზურა̄ლდ ხა̈ქჳ ⌐ჰყინტგლდს⌐ ...: „აი, ეჯჲა̈რს ესერ ქ'ო̄თზგზი, მარე მგსკა̈დ ესერ **ჰ'ე̄სა** სგ'ა̄დდას, ეჩქა ესერ ჰე̄რო̄ლა̈რუ̄[5] გარ ა̈მსედ"! — ქალმა (შდრ. მეგრ. ზურა „მხდალი", ლაზ. ზურა „დედალი") უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**") ბიჭუნას (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ.) „**ჭყინტ-ლ-ი**"): „აი, იმათ („იმეებს") გავუგზავნიო (შდრ. ქართ. სა-**გზ**-ალ-ი, **გზ**-ავ-ნ-ა, **გეზ**-ი, **გზ**-ა, მ-**გზ**-ავ-რ-ი"), მაგრამ თუ („ჰე თუ") ბეჭედი (შდრ. მეგრ. „**მარწკინდ-ი**" და ლაზ. „**მაწკინდ-ი**") გაიკეთაო („გაიკეთოს", „შე-ი-**დ**-ო-ს", შდრ. ქართ. „შე-**დ**-ებ-ა"), მაშინ ⌐მისგან⌐ მხოლოდ

---

[1] „სვანური ენის ქრესტომათიაში" კორექტურული შეცდომაა. მა̄მგჳეშ ერთცნებიანი კომპოზიტია და აქედან გამომდინარე, ამ კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები, ერთად უნდა დაიწეროს — დეფისის გარეშე.

[2] იგულისხმება სოფელ ბეჩოს ერთ-ერთი უძლიერესი სალოცავის გულის გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიაში გამართული ლოცვის სამშაბათი დღე; ლოცვა მიმდინარეობს სამი კვირის განმავლობაში ყოველ სამშაბათ დღეს.

[3] ადგილია სოფელ ბეჩოში, სადაც დგას გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ადგილობრივთა ღრმა რწმენით, ეს ეკლესია კურნავს ბნედით შეპყრობილ ავადმყოფებს.

[4] აპოსტროფის გარეშე იყო წარმოდგენილი.

[5] ბალსზემოელი მთქმელების მტკიცებით, აქ უნდა იყოს არა **ჰე̄რო̄ლა̈რუ̄** ფორმა, არამედ **პე̄რო̄ლა̈რუ̄**.

(„მარტო“) ფერფლი („ქაფები“) დარჩესო“! (1) 166:6

ჰ'ე̄სამა[1] ← **ჰე ესამა** [ე+ე = ე̄]

მა̈დხუ̂ა̈ღ ღვნგლდ **ჰ'ე̄სამა** ჩუ ხე̄რი ლუშგუ̂ირ მეზგა, ლა̈ჲსუშას ჩიგარ ქ'ა̈წჰი — პატარა („არა-**ხვავ**-ი“, შდრ. ქართ. **ხვავ**-ი „ზვინი, გროვა“) დღესასწაულიც (შდრ. ქართ. **ხონ**-ი „დიდი ტაბაკი (საბა)“, ზან. (მეგრ.) **დღა-ხუ** „დღესასწაული“) რომ ჰქონდეს („ექნება“) თავმოყვარე („მორცხვ“, შდრ. ქართ. უ-შვერ-ი „უპატიური (საბა)“, „უსირცხვილო, არასაკადრისი“) ოჯახს („მოსახლეს“), გათხოვილ ქალებს („ასულ-ებ-ს“) ყოველთვის დაპატიჟებს ხოლმე (შდრ. ძვ. ქართ. უ-**წეს**-ს „ეძახის“, მი-უ-**წეს**-ა „დაუძახა; უბრძანა; ამცნო“, მო-უ-**წეს**-ნ „ეძახის; პატიჟებს“) (2) 19:32; 86:8

ჰ'ე̄სერ ← **ჰე ესერ** [ე+ე = ე̄]

⌜ალჲა̈რდ⌝ ... ჩუ̂ადშგურა̄ნეჴ ... სა̈უ̂თე მე̄ზ⌜ა⌝: „... **ჰ'ე̄სერ** ა̈დჴგდაჴ სა̈უ̂ჲა̈რდ მინე. ნა̈ქუ̂თია̈რუ̂ი ფასა̈რ ქაშგა̈რთე, ხოჩა, მა̈დ'ე̄სერი ქა̈უ̂ ოთუ̂შხეჴ მა̈გ სა̈უ̂ჲა̈რს“ — ამათმა („ამეებმა“) გააფრთხილეს („დაარიგეს“) ყაბარდო-ბალყარეთში („**ოს**-ეთ-⌜ის⌝-კენ“, შდრ. ქართ. „**ოს**-ეთ-ი“) ⌜წა⌝მსვლელები: „თუ გადაუხდიანო („გადაიხადონ“) ყაბარდო-ბალყარელები („**ოს**-ებ-მა“, შდრ. ქართ. „**ოს**-ეთ-ი“) თავიანთი („მათი“) ნაქურდალის საფასურს („**ფას**-ებ-ი“, შდრ. ქართ. „**ფას**-ი“ < ძვ. ალან. ***fæs/fas** „ცხვარი“) ჩერ-ქეზებს („ქაშაგ-ებ-⌜ის⌝-კენ“, შდრ. ქართ. **ქაშაგ**-ი „მოზრდილი ტყვე (საბა)“ < ოს. „**kæsæg**“), ⌜ძალიან⌝ კარგი, თუ არა და ყველაფერი („ყველა“) თქვითო („გაუმხილესმცა“) ყაბარდო-ბალყარელების („**ოს**-ებ-ს“) შესახებ“ (2) 64:39; 75:19

ჰ'ე̄ს'ე̄სერ ← **ჰე̄სა ესერ ან ჰე ესა ესერ** [ე+ე = ე̄]

და̈ლ ჩუ̂ა̈დნაბნა̈ნ: „ეჩქა̄უ̂ ესერ ათდაგრა მიჩა გეზლი̄რ: ა̈ლი, მა̈ლი, შაქარ, ქოლო, ანა, დაჯა, და̈უ̂ით, ხოხოლომუ, ლომკაც, კაცი, და̈უ̂ით მეფე, **ჰე̄ს'ე̄სერ** ჯიმ ჩუ ხო̄სდენს, ადო დე̄მის ესერ ხო-დურუ̂ა̈ნი“ — დალმა დაიფიცა (შდრ. ქართ. უ-ბნ- „ეუბნება“, „უ-ბრ-ად, ნა-უ-ბარ-ი, სა-უ-ბარ-ი“): „მაშინ („მაშინმცაო“) მომიკვდესო („მოკვდომია“, შდრ. ძვ. ქართ. „მო-მე-**დგრ**-ებ-ა, ⌜და⌝-მე-**დგრ**-ებ-ა, მე-**დვრ**-ობ-ა“) ჩემი („მისი, თავისი“) შვილები: ალი, მალი, შაქარი, ქოლო, ანა, დაჯა, დავითი, ხოხოლო-მუ, ლომკაცი, კაცი, დავით მეფე, თუ მარილი მქონდესო („ქე ე-**დ**-ო-ს“, შდრ. ქართ. „**დ**-ებ-ა“), თორემ უარს არ გეტყოდიო („უარს ეუბნება“)“ (1) 54:4.

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საანალიზო ფორმები (**ჰ'ე̄სა, ჰ'ე̄სამა, ჰ'ე̄სერ, ჰე̄ს'ე̄სერ**) წარმო-შობით რთული კავშირებია, რომლებიც შედგენილია მარტივთაგან: **ჰ'ე̄სა** ← ჰე ესა, **ჰ'ე̄სამა** ← ჰე ესამა, **ჰ'ე̄სერ** ← ჰე ესერ, **ჰ'ე̄ს'ე̄სერ** ← ჰე ესა ესერ და აქვთ „თუ“ კავშირის მნიშვნელობა. უკანასკ-ნელი მაგალითი, თავისი კონსტრუქციიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო საინტერესოდ გვესახება[2]. დასახელებულ მაგალითებში პირველ კომპონენტად ყველგან წარმოდგენილია კავშირი **ჰე**, რომელსაც ახლავს კავშირი **ესა** და სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ესერ**.

ე+ე კომპლექსის უელიზიო შემთხვევები პროფ. მ. ქალდანმა ბალსზემოურ ტექსტებში პროზაშიც და პოეზიაშიც დააფიქსირა. მკვლევრის აზრით, პოეზიაში ელიზიის საკითხი ხშირად ლექსის ზომით შეიძლება განისაზღვროს. მის მიერ საანალიზოდ მოყვანილ „სოზარ-ციოყის“ ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

— **სი სოზარე, იმთე ესღრი?** — შე სოზარ, სად მიდიხარ?

ნომ'ათჰაცად ქორ ი ლირდე! (126, 56) — არ დაღუპოთ ოჯახი („სახლი და ყოფა“)!..

რამ განსაზღვრა მოცემულ რვამარცვლიან ლექსში ელიზიურ და უელიზიო ფორმათა ხმარება, ხომ არ არის აქ შეუსაბამობა?

---

[1] **ჰე̄სამა** ← **ჰე ესამა**'საგან და, ამდენად, აღნიშნული ფორმა აპოსტროფით უნდა იყოს წარმოდგენილი (**ჰ'ე̄სამა**).

[2] რთული ელიზიური კონსტრუქციების შესახებ მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი მოსაზრების თანახმად, „პირველი ტაეპის ბოლო ორ სიტყვაში უელიზიობას და მეორე ტაეპის პირველ ორ სიტყვაში ელიზიას ლექსის ზომა განაპირობებს", ხოლო ტექსტებში ამ მხრივ გამოვლენილი შეუსაბამობა კარნახით ჩაწერის შედეგად არის მიჩნეული (ქალდანი 1953:195).

უნდა ითქვის ისიც, რომ ე+ე კომპლექსის უელიზიო შემთხვევები „სვანური ენის ქრესტომათიაში" აქა-იქ ბალსზემოურ დიალექტშიც დაფიქსირდა (მაგ.: **ერე ეჯჲარე** (13:11) ნაცვლად **ერ'ე̄ჯჲარე** ფორმისა, **ერე ერხი** (44:24) ნაცვლად **ერ'ე̄რხი** ფორმისა და ა. შ.), თუმცა უფრო ელიზიური ფორმებია გაბატონებული.

რადგანაც ქვემოსვანური დიალექტების შესახებ პროფ. მ. ქალდანის ცნობილ გამოკვლევაში „ელიზია სვანურ ენაში" არაფერია ნათქვამი, აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ ე+ე ხმოვანთკომპლექსის შემცველი როგორც ელიზიური, ასევე უელიზიო ფორმების აღნუსხვა და მათი ანალიზი.

„სვანური ენის ქრესტომათიაზე" დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტური ე+ე ხმოვანთომპლექსის შემცველი მაგალითები ლაშხურ ტექსტებში არცთუ ისე ბევრია და თანაც სურათიც არაერთგვაროვანია. ე+ე კომპლექსის შემთხვევაში, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, ყოველთვის ხმოვანთა შერწყმასთან არ გვაქვს საქმე. ერთადერთი მაგალითი დაფიქსირდა ლაშხურში, სადაც ხმოვანთაშერწყმის შედეგად მივიღეთ ე̄. მაგ.:

ლ ა შ ხ უ რ ი

ერ'ე̄სა ← **ერე ესა** [ე+ე = ე̄]

ლგდგარა ქუნარეშდე̄ ხამკახხ ხოჩა ლეზუბორა, **ერ'ე̄სა** ხულუახ ი უფა̈ნად დე̄მ იზბიხ — მიცვალებულთა („მკვდრის", შდრ. ძვ. ქართ. „მე-დგ-არ-ი", და-დგ-რ-ომ-ილ-ი") სულებისთვისაც (შდრ. ძვ. ქართ. „აღმო-ქუინ-ვ-ა"და ზან. (მეგრ.) მო-ქინ-იშ-უა „სულის მოდგმა", მო-ქინ-აფ-ა „გაბრუვება; თავბრუდახვევა", მო-ქგნ-აფ-ა „გაბრუება", მო-ქგნ-აფ-ილ-ი „გაბრუებული, თავბრუდახვეული") უნდათ („სურთ", „ემეტებათ") კარგი საჭმელები (შდრ. ქართ. „უ-**ზმ**-ო||უ-**ზმ**-ა, სა-უ-**ზმ**-ე"), თუ აქვთ (შდრ. მეგრ. ღუ-ენ-ა „ქონა"...; ღგ-მ-ალ-ა") და საკურთხის წაუდგმელად (შდრ. ქართ. „და-ფ-ენ-ა") არ ჰამენ (1) 242:24

ე+ე ხმოვანთომპლექსი ელიზიური აღმოჩნდა შემდეგ მაგალითში:

ხა̈ქუ̈ერე ← **ხა̈ქუ̈ე ერე** [ე+ე = ე]

ხაზეინდ 'მოჯმაგი̄რს' ხა̈ქუ̈ერე „ჲანი მაგჲორ წელრლუ ლოქ ადჲე ლამშაჲთე" — პატრონმა (შდრ. ქართ. „**ხაზეინ-ი**" < რუს. „**Хозяин**") უთხრა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**") მოჯამაგირეს, რომ „ხარის მაგივრად (შდრ. ქართ. „**მაგიერ-ი**") ვირი („ვირუკამცაო", შდრ. ძვ. ქართ. **წალ-ი** „უშობელი თხა; ვაცი") წაიყვანეო („წაიღო") სამუშაოდ („სა-მუშ-ა-ო-'სა̈'-კენ")" (1) 270:24

ე+ე ხმოვანთომპლექსის პირველი კომპონენტის მომდევნო კომპონენტთან შერწყმის შედეგად სინამდვილეში გრძელი ხმოვანი უნდა მიგვეღო (**ხა̈ქუ̈ე̄რე**), როგორც ჩანს კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

ე+ე ხმოვანთომპლექსის ერთი უელიზიო მაგალითიც გამოვლინდა ლაშხურში, რაც, ალბათ, მთქმელის მეტყველების ნელმა ტემპმა განაპირობა. მაგ.:

ოხუ̈აფშუდ 'ნათხუ̈ია̈რას' **ჩიქე ეშხუ**, ლო — მე̄რმე, ლო — მესმე, ლო — მო̄უ̈უშთხუ̈ე, მარა̈ მაგ ქ'ოთქად — ვესროლე ნადირს (შდრ. ძვ. ქართ. **თხევ-ლ-ა**; სა-**თხევ-ლ-ებ-ა**; სა-**თხევ-ლ-ობ-ა** „თევზაობა") ჯერ ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი"), მერე — მეორე, მერე — მესამე, მერე — მეოთხე, მაგრამ ყველა ავაცდინე (შდრ. ქართ. **ქაბ-ნ-ა** „სიტყვის გარდაცქაფნა, გარდასხვაება (საბა)") (1) 253:7

ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, ცხადია, აქაც მოსალოდნელი იყო **ჩიქ'ე̄შხუ**.

ლენტეხურში, როგორც წესი, **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას ელიზიას აქვს ადგილი. მაგ.:

მარ'ეჩანდო ← მარე ეჩანდო [ე+ე = ე]

ეჩქა̈ში ლინცუს ქა ლა̈ხეყა̈დ ⌜მარე⌝, **მარ'ეჩანდო** დემ ხოშუემნეხ ყი ლანცუს — მაშინდელ („მა⌜ში-ნი⌝ს⌝“) დაცინვას აკლიებს კაცი, მაგრამ მერეც („მაშინს მერე“) არ ასვენებენ („შეასვენებენ სი-ცილ-ს“, შდრ. ძვ. ქართ. გან-სუ-ენ-ებ-ა; გან-სუ-ენ-ებ-ულ-ი „მოსვენებული“) (1) 302:38

თუმცა უელიზიო ფორმებიც დასტურდება. შდრ., მაგ.:

ჰკუერია̈ნდ ყ'ანატებდე ლგჯე ⌜ი⌝ **ჩუადბარალე ეჩეისა** ⌜და̈უი დედე⌝ — ჰვიანმა გაათბო (შდრ. ძვ. ქართ. „**ტფ-ილ-ი**“) რძე და იმაში აბანავა დევის (შდრ. ქართ. „**დევ-ი**“ < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“) დედა (1) 326:19

ალ დენას მა̈დ ხაკუდა, **მარე ეშიდ** ხეკუეს ქ'ათაჰემან ალ ძაღთა̈პირს[1] — ამ გოგოს არ უნდოდა თურმე („*ნანდომა“, შდრ. ძვ. ქართ. ნ-უ-კევ-ა, ნ-უ-კვ-ებ-ა „ფუფუნება; ნებივრობა; ხვეწნა; თხოვნა“, მეგრ. მ-ო-კო „მინდა“, გ-ო-კო „გინდა“, ო-კო „უნდა“), მაგრამ მაინც უნდა გაყოლოდა ამ ძაღლთაპირს (1) 327:19

ათორჯენდა ბაპს ეჯი ი ჩუადიქუახ ამყი, ერე „ეშხუ ზა̈ი განმაულობა̈ისკა იმა̈ის ერე მი ჯექნე, ეჯი მა̈გ ყ'ა̈მისყ ი სემი ათა̈ს მანა̈თს **ლაჯიდნე ეჩქა**“— გაჰყვა („თან ე-ა-**ხლ-ა**“, შდრ. „**ხლ-ებ-ა**“) მღვდელს (შდრ. მეგრ.-ლაზ. „**პაპ-უ**“ < ბერძნ. „**παππας**“) ის და ასე დათქვეს (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**“, ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**“), რომ: „ერთი (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-დ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) წლის (შდრ. ქართ. „**ზა-მთარ-ი; ზა-ფხულ-ი; გა-ზა-ფხულ-ი**“) განმავლობაში რასაც („რომ“) მე გეტყვი, ის ყველაფერი („ყველა“) გამიკეთე და მაშინ სამიათას მანეთს (შდრ. ქართ. „**მანეთ-ი**“ < ლათ. „**moneta**“) მოგცემ“ (1) 336:34

ვინაიდან **ე** ხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინები სვანურში არ გვხვდება, აქედან გამომდინარე, **ე+ე** ხმოვანთომპლექსის შემცველი მაგალითებიც ნაკლებად მოგვეპოვება.

ამრიგად:

1. იდენტურ **ე+ე** ხმოვანთკომპლექსის ელიზიის განხილვამ განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა სვანური ენის დიალექტებში. **ე+ე** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები, მართალია, სვანური ენის ყველა დიალექტში გამოვლინდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგი მათგანი კორექტურული უზუსტობის შედეგია. ბალსზემოურსა და ლაშხურში ხმოვანთა შერწყმის შედეგად **ე̄** მივიღეთ.

2. ოთხივე დიალექტში დადასტურდა ელიზიური ფორმების გვერდით უელიზიო ფორმებიც, რასაც მთქმელის მეტყველების გარკვეული ტემპი განაპირობებს.

3. ე+ე კომპლექსი ელიზირდება იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს: **ზმნიზედა + სხვათა სიტყვის ნაწილაკი (იმთ'ესერ ← იმთე ესერ „საითო“), მასდარი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი (ლიკუან'ესერ ← ლიკუანე ესერ „გადაგდებაო“), ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა (იმთ'ესხრიხ ← იმთე ესხრიხ** „საით მიდიან“), **კავშირი + ნაცვალსახელი (მარ'ე̄ჩა̄შ ← მარე ეჩა̄შ** „მაგრამ იმისი“), **კავშირი + ზმნიზედა (მარ'ე̄ჩქად ← მარე ეჩქად** „მაგრამ მანამდე“), **კავშირი + კავშირი (ჰ'ე̄სა ← ჰე ესა** „თუ“, **ჰ'ე̄სამა ← ჰე ესამა** „თუ“), **კავშირი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი (ჰ'ე̄სერ ← ჰე ესერ** „თუ“), **კავშირი + კავშირი + სხვათა სიტყვის ნაწილაკი (ჰ'ე̄ს'ე̄სერ ← ჰე ესა ესერ** „თუ“), **კავშირი + კავშირი (ერ'ე̄სა ← ერე ესა** „თუ“), **კავშირი + ზმნიზედა (მარ'ეჩანდო ← მარე ეჩანდო** „მაგრამ მერე“) და, როგორც წესი, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში უკვალოდ იკარგება მეორე კომპონენტის წინამავალი

[1] ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟის საკუთარი სახელი.

ხმოვანი, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში უმეტესად ხმოვანთაშერწყმასთან გვაქვს საქმე.

4. როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, იდენტურ ე+ე კომპლექსის ურთიერთმიმართებისას საქმე გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებულ ელიზიასთან.

•

ი+ი. საილუსტრაციო მასალამ, რომელიც მოყვანილი გვაქვს „სვანური ენის ქრესტომათიიდან", საშუალება მოგვცა გამოგვევლინა **ი+ი** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები სვანური ენის სამ დიალექტში, კერძოდ: ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში. რაც შეეხება ლენტეხურს, აქ **ი+ი** კომპლექსის ელიზიის შემთხვევები ვერ დავადასტურეთ (მაგ.: **ჟი იბნეხ** (სვ. ენის ქრესტ. 1978, 291:29) — დაიწყებენ; **ჟი იგენი** (292:14) — ადგება ხოლმე; **ჟი იგენიხ** (295:2) — ადგებიან ხოლმე; **ჟი იტოტი** (292:25) — ხელში აიღებს ხოლმე („ა-ი-ტოტ-ებ-ს", შდრ. ძვ. ქართ., ხევს., ფშ. „ტოტ-ი"); **ჟი ითშიხ** (299:37) — აირჩევენ ხოლმე და ა. შ.); **ჟი ინაზორეხ** (292:2) — შეაგროვებენ ხოლმე; **ჟი იფა̈ცხიხ** (297:22) — მოფარცხავენ ხოლმე და ა. შ.), მაგრამ თანამედროვე ლენტეხურ მეტყველებაში ა+ი კომპლექსი ელიზიურია ისევე, როგორც სხვა სვანურ დიალექტებში, ამასთანავე, **ი+ი** კომპლექსის ელიზიურობაზე მიუთითებს „სვანური ენის ქრესტომათიაში" ჩვენ მიერ დაფიქსირებული რამდენიმე ისეთი უაპოსტროფო ფორმა, როგორიცაა: **ჟიჳ ახოსყე** (314:33) „გამიკეთეო („გაუკეთამცა")", **ჟიჳ ამფიშტჳხ** (333:6) „ამომიშვითო („ამოუშვესმცა")", **ჟიჳ ა̈ნტიხხ** (347:2) „ამომიყვანეთო („ამოაბრუნესმცა")", **ჟიჳ ამფიშტჳ** (347:30) „ამომიშვიო („ამოუშვამცა")", **ჟიჳ ანფჳშტ** (339:25) „ამომიშვიო („ამოუშვამცა")"...

ჟიჳ ← **ჟი+იჳ** ფორმისაგან, სადაც, მორფემათა ზღვარზე, როგორც წესი, დაიკარგა ორი იდენტური ხმოვნიდან ერთ-ერთი, კერძოდ, პირველი, რომელიც აპოსტროფით უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

მართალია, სვანური ენის ბალსქვემოური დიალექტი **ი+ი** კომპლექსის ელიზიის საკმაოდ მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს (მაგ.: **ჟ'იმარეხ** (< **ჟი+იმარეხ**) „გაიმზადებენ", **ჟ'ინჴრინეხ** (< **ჟი+ინჴრინეხ**) „აიყვანენ", **ჟ'იყიხ** (< **ჟი+იყიხ**) „ამოიყვანენ, აიყვანენ", **ჟ'ითრინეხ** (< **ჟი+ითრინეხ**) „აათრევენ", **ჟ'იმა̈რიხ** (< **ჟი+იმა̈რიხ**) „გაემზადებიან", **ჟ'იკედხ** (< **ჟი+იკედხ**) „აიღებენ", **ჟ'იტჳრეხ** (< **ჟი+იტჳრეხ**) „აინთებენ", **ჟ'ისყიხ** (< **ჟი+ისყიხ**) „გაიკეთებენ" და სხვ.), თუმცა „სვანური ენის ქრესტომათიაში" იდენტურ ხმოვანთა **ი+ი** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. უმეტეს შემთხვევაში უელიზიო ფორმები გვაქვს, სადაც დაცულია როგორც პრევერბისეული **ი**, ისე შესაბამისი მაქცევრები. მაგ.:

ლაშუნდები ზედა̈შს **ჟი იმზგრიხ** (174:25) — შესანდობარ ზედაშეს „დაალოცავენ" (შდრ. ძვ. ქართ. **ზორ-ვ-ა** „შეწირვა" < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი").

ქორშა̈რ **ჟი ითხიხ** ეჯის (175:19) — ოჯახის წევრები („სახლისანი", შდრ. ძვ. ქართ. „ქორ-ი", რაჭ. „ქორ-ედ-ი") იპოვიან („მოძებნიან", შდრ. ძვ. ქართ. **თხევ-ლ-ა**; სა-**თხევ**-ლ-ებ-ა; სა-**თხევ**-ლ-ობ-ა „თევზაობა") იმას.

მა̈გ **ჟი იმა̈რიხ** (181:39) — ყველანი („ყველა") გაემზადებიან ხოლმე.

მა̈გ **ჟი ინზორალ** ქაბეშს (215:11) — ყველანი („ყველა") შეგროვდებიან ხოლმე („შეიკრიბება", შდრ. ძვ. ქართ. **ზუერ**-ი „ბაჲი"; მე-**ზუერ**-ე „მებაჲე"; სა-**ზუერ**-ე „საბაჲო" < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი") ქაბეშში („ქაბეშ-ს").

დამოწმებული ფორმები სვანური ენისთვის ბუნებრივი არ არის. მათ მხოლოდ მაშინ აქვთ ადგილი, როცა ტექსტს კარნახით იწერენ. მთქმელი ჩაწერის ნელი ტემპის გამო იძულებულია დინჯად თქვას ცალკე სიტყვები, რაც მეტყველებას თავის ჩვეულებრივ ელფერს უკარგავს. სწორედ ამით

აიხსნება, რომ ერთი და იმავე ჩამწერის ტექსტში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება უელიზიო და ელიზიური მონაცემები.

ი+ი კომპლექსი ბალსქვემოურ კილოში ასეთ სურათს იძლევა:

ჟ'იკედხ ← ჟი იკედხ [ი+ი = ი]

ხატჶ **ჟ'იკედხ** (175:27) — ხატს (შდრ. ქართ. „**ხატ-ი**" < არაბ. „**xat**") აიღებენ ხოლმე (შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-კიდ-ებ-ს; აღ-კიდ-ებ-ა").

ჟ'ინზორალხ ← ჟი ინზორალხ [ი+ი = ი]

სოფლარ **ჟ'ინზორალხ** (181:24) — სოფლელები („**სოფლ-ებ-ი**") შეგროვდებიან ხოლმე („შეიკრიბებიან", შდრ. ძვ. ქართ. **ზუერ-ი** „ბაყი"; მე-**ზუერ-ე** „მებაყე"; სა-**ზუერ-ე** „საბაყო" < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი").

ჟ'იმოშ ← ჟი იმოშ [ი+ი = ი]

კინჩხს **ჟ'იმოშ** ხჳქუცეხ (228:41) — თავს (შდრ. ქართ. (გურ., ზ. აჭარ.) **კინჩხ-ი** „კისერი") თუ მოაჭრიან (შდრ. ძვ. ქართ. ქუც-ნ-ვ-ა „ფშვნეტა"; ახ. ქართ. „და-ქუც-მაც-ებ-ა").

აღნიშნულ მაგალითებში ხმოვანთა შერწყმა კი არ ხდება, არამედ წინა ხმოვანი იკარგება უკვალოდ.

ი+ი კომპლექსი მარტო პრევერბიან ზმნებთან კი არ იძლევა ერთ **ი**'ს, იგი სხვა შემთხვევებშიც ელიზიურია ბალსქვემოურში, მაგალითად, როდესაც გვაქვს:

1. **ნაცვალსახელი + ზმნიზედა:**

ს'იმჟი ← სი იმჟი [ი+ი = ი]

ს'იმჟი ლჾმხუწის, ქათლადჾ ნჾბჷულ? (211:4) — შენ როგორ შემხვრეპ, ნახევარქათამავ („ქათმ-უკ-ა-⌈ს⌉ ნახლეჩუკავ?")?

2. **თანდებულიანი ფორმა + მაერთებელი კავშირი:**

აშთეჟ'ი ← აშთეჟი ი [ი+ი = ი]

ჟ'აჩად **აშთეჟ'ი** ლახტჼულ კესარშერს (211:8) — ავიდა ამაზე („ამ⌈ის⌉კენ-ზე") და დაუძახა კეისრისანს (შდრ. ძვ. ქართ. „**კეისარ-ი**" < ბერძნ. „**ḳeisar**").

ჭირჟ'ი ← ჭირჟი ი [ი+ი = ი]

ჭირჟ'ი ხლინჟი ჟ'ოჶ არშჶნიდახ (215:37) — ჭირსა („**ჭირ-ზე**") და ლხინში („**ხლინ-ზე**") გამიხსენეთო („გამცაიხსენებდნენ").

3. **ნაცვალსახელი + ზმნიზედა + ზმნის პირიანი ფორმა:**

ს'იმჟ'ამურტჷჟინე ← სი იმჟი ამურტჷჟინე [ი+ი = ი, ი+ა = ა]

ს'იმჟ'ამურტჷჟინე, ქათლადჾ ნჾბჷულ? (211:6) — შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარქათამავ („ქათმ-უკ-ა-⌈ს⌉ ნახლეჩუკავ?")?

უკანასკნელი მაგალითი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელიზიურ პროცესთა თვალსაზრისით[1].

„სვანური ენის ქრესტომათიაში", ბალსქვემოურ ნაწილში, შეგვხვდა ასეთი ფორმა — **ჟō ომჩედელი** „როგორც კი ასულა" (195:4), რომლის სტრუქტურული მოდელი ასეთია: ზმნისწინი (**ჟი**) + გაძლიერებითი ნაწილაკი (**ā**) + ზმნის პირიანი ფორმა (**ომჩედელი**). რადგანაც **ჟō ომჩედელი ← ჟიā ომჩედელი**'საგან, სადაც მოხდა ორი ხმოვნის შერწყმა და შედეგად მივიღეთ გრძელი **ō**, ამიტომ

[1] ჩვენ ამგვარ ფორმებს ვუწოდეთ რთული ელიზიური კონსტრუქციები, რომელთაც დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ.

აღნიშნულ ფორმაში ზმნისწინისეულ თანხმოვანსა და **ი̄** ხმოვანს შორის აპოსტროფი აუცილებლად უნდა დასმულიყო[1]. იგივე შეიძლება ითქვას **მი̄** (← **მი+დ**) ფორმის შესახებაც, რომელიც ბეჩოელი ბარბალა̈დ კვიციანისგან 1923 წელს ჩაწერილ ზღაპარში — **ჲიტმიზილ ი გატმა̈ზილ** „ვიტმიზილი და გატმაზილი" ოთხჯერ დასტურდება. მაგ.:

„დაღო, მი̄ დო მინჴრინედ"! (232:10, 18) — „აბა, იქნებ მეც წამიყვანოთ („მი-ა-ხლ-ებ-თ", შდრ. ქართ. „ხლ-ებ-ა")"!

„მი̄ დო მინჴრინედ!" (232:12, 15) — „იქნებ მეც წამიყვანოთ („მი-ა-ხლ-ებ-თ", შდრ. ქართ. „ხლ-ებ-ა")!"

მი̄ ფორმის გარდა, ამავე ტექსტში, სამჯერ შეგვხვდა გრძელხმოვნიანი შორისდებული **ო̄** „ოო" (232:12, 14, 17) და რამდენიმე ბალსზემოურთან საერთო ლექსიკური ერთეული (მაგ.: **მა̈დ** „რა" (შდრ. ბქ. მა̈), **ხოჩაჲ** ლადეღ ჯარხ (შდრ. ბქ. **ხოჩა** ლადეღოღჲ ჯარხ) „გამარჯობათ („კარგიმცა დღე გაქვთ")", **წიროლ** (შდრ. ბქ. **წირ**) „ურო", **ეჩქადჲ** (შდრ. ბქ. **ეჩქადოღჲ**) „მანამდემცა („მაშინადმცა") და ა. შ.

აღნიშნულ ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მთლიანად ტექსტი არის ინტერფერენციული, რაც ბეჩოური კილოკავის ბალსზემოურ დიალექტთან უშუალო მეზობლობის შედეგი უნდა იყოს. პროფ. მ. ქალდანის მოსაზრების თანახმად, „ბეჩოური კილოკავი უშუალო მეზობლობის გამო ბალსზემოურის დიდ გავლენას განიცდის ფონეტიკის (და მორფოლოგია-ლექსიკის) ყველა უბანზე. ბევრი თავისებურება, რომლითაც ბეჩოური მეტყველება განირჩევა ბალსქვემოური კილოს დანარჩენი დიალექტებისაგან, ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ გავლენის შედეგი ჩანს" (ქალდანი 1962:204-205).

ასევე აპოსტროფი იყო გამოტოვებული რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში 1923 წელს მაზერელი თენგიზ დადეშქელიანისაგან ჩაწერილ ერთ-ერთ ცნობილ ლექსში **ბეთგილ** „ბეთქილი". მაგ.: ბეთგილ კოჯას **ქაჲ** შყედენი, ჩუქჲან ლაცლა **ჟიჲ** იკჳდეხ „ბეთქილი კლდეზე გადავარდება („გადავარდებამცა"), ქვემოთ თანატოლები („ცალ-ებ-ი") აიღებენ („აიღებენმცა", შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-კიდ-ებ-ს; აღ-კიდ-ებ-ა")" (216:40, 41); „ლაცლა მიჩა, ჩუ როქ **ნუმაჲ** ა̈დეშდგნეხ" — „ჩემო („მისი") თანატოლებო („ცალ-ებ-ი"), არ („ნუ-მცა") დამივიწყოთო („დაივიწყეს"); დიას ესერ მიჩოჲ ხა̈ქჲეხ: „მიჩა ნანაყჲ ქუთ ი ჰიშდჲრა̈რს **ჩოჲ** ხოფანა" — დედაჩემს („დე-და-ს-ო მისას") უთხარითო („უთხრეს", შდრ. ძვ. ქართ. „თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი", ახ. ქართ. „თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი"): „თავისი („მის") გამომცხვარი („გამომცხვარ") ხაჰაპური [„ხაჰაპურ"ს"", შდრ. ქართ. **ქადა** „ერბოთ ზელილი პური", „ერბოიანი პური (საბა)"] და ჰიშტვარები („ჰიშტვ-არ-ებ-ს") საკურთხად დამიდგასო ხოლმე („და-უ-ფენ-და-მცა")". ვინაიდან **ქაჲ** ← **ქა+აჲ**, **ჟიჲ** ← **ჟი+აჲ**, **ნუმაჲ** ← **ნუმა+აჲ** და **ჩოჲ** ← **ჩუ+ოჲ** ფორმებისაგან, ამიტომ ორთოგრაფიულად გამართლებულად მიგვაჩნია აპოსტროფიანი **ქ'აჲ**, **ჟ'იჲ**, **ნუმ'აჲ** და **ჩ'ოჲ** ფორმების აღდგენა.

შენიშვნა: საერთოდ, „სვანური ენის ქრესტომათიაში", აპოსტროფის გამოტოვების ბევრი შემთხვევა დასტურდება, რაც ხშირ შემთხვევაში, როგორც ჩანს, კორექტურულ უზუსტობას უნდა მიეწეროს.

განსხვავებულ სურათს იძლევა ბალსზემოური და ლაშხური დიალექტები, სადაც იდენტური ხმოვნები დასახელებულ კომპლექსში ერთმანეთს შეერწყმის და ვიღებთ გრძელ ფონემას:

ჟ'ი̄შყჲდიხ ← **ჟი იშყჲდიხ** [**ი+ი** = **ი̄**]

ბზ.: მე̄რმა ლადა̈ღ **ჟ'ი̄შყჲდიხ** ითქს (119:34) — მეორე დღეს ამორეცხავენ ხოლმე მარცვალს (შდრ. ძვ. ქართ. „იფქლ-ი").

ჟ'ი̄ფჲი̄ნი ← **ჟი იფჲი̄ნი** [**ი+ი** = **ი̄**]

[1] გასაოცარია, რომ ცხუმარელი მღვლდლისაგან, კოსტა ჯაჰველიანისაგან, 1923 წელს ჩაწერილ ტექსტში **ლიღლა̈ბ** „ღალატი" რამდენიმე გრძელხმოვნიანი ფორმა დადასტურდა, ესენია: **ლა̄თ** „გუშინ", **ჟი̄** ომჩედელი „როგორც კი ასულა" და **მეგმურათე̄ჲსგა** „ხის კარავში".

˹საფუა̈რ˺ ჟ'ი̄ფუ̄ი̄ნე ..., ეჩქას ჟ'აჯა̈ბხ (134:32) — საფუარი [რომ] ადუღდება (შდრ. ქართ. ძვ. ქართ. აღ-ფუ-ვ-ნ-ებ-ა; ფუ-ოდ-ა; აღ-ა-ფუ-ვ-ა..."), მაშინ მოხარშავენ (შდრ. ძვ. ქართ. „˹შე˺-გბ-ობ-ა; ˹შე˺-გბ-ოლ-ვ-ა; მ-გბ-არ-ი; გბ-ოლ-ვ-ილ-ი; უ-მ-გბ-არ-ი; უ-გბ-ოლ-ვ-ელ-ი; სა-გბ-ოლ-ვ-ელ-ი").

ჟ'ი̄რსგუ̄ეხ ← ჟი ირსგუ̄ეხ [ი+ი = ი̄]

ითქს ჩუ̄აფრეხ ˹ი˺ ეჩქანღო ჟ'ი̄რსგუ̄ეხ (119:34) — მარცვალს (შდრ. ძვ. ქართ. „იფქლ-ი") გაახმობენ (შდრ. მეგრ. ფურ-აფ-ა „გაცხელება; გამოწრთობა"; გო-ფურ-აფ-ილ-ი „გაცხელებული"...) და მერე გაცხრილავენ ხოლმე („*ამოცხრილავენ").

როგორც აღნიშნულმა მაგალითებმა გვიჩვენეს, ჟი პრევერბისეული ხმოვანი (ი) შეერწყა ზმნის თავკიდურ ხმოვანს (ი'ს) და ეს უკანასკნელი დაგრძელდა.

აპოსტროფი რამდენიმე ი+ი ხმოვანთკომპლექსის შემცველ ბალსზემოურ ფორმაშიც იყო გამოტოვებული. მაგ.:

ზურალა̈რ სგა ხეგნიხ ჯგგრა̈გი ლაჯუ̄ა̈მს ი ხატუ̄ლიხ კჷლთხიდ: „შიშდ ესერ ჟი̄უ̄ ესთენე მინე ჰათა მინე ლეჰთუნა..."! (53:12) — ქალები (შდრ. მეგრ. ზურა „მხდალი", ლაზ. ზურა „დედალი") მიადგებიან ხოლმე წმინდა გიორგის ეკლესიას („სალოცავს", შდრ. ქართ. ჭმ-ა, ჭმ-ობ-ა, ჭმ-ევ-ა „დახმარება", სა-ჭმ-ევ-ელ-ი, სა-ჭმ-არ-ი „შესაწევნელი (საბა)") და ხმამაღლა ეუბნებიან („ეძახიან"): „ხელად დაატყვეო („დაამჩნიამცა") ჩვენი („მათი") წყევლა ჩვენს („მათ") დასაწყევრებს („საწყევარს")"!

ლირჰა̈ლთე ოთუ̄ა̈გა̈ნდ ჟი ლა̈კუ̄ცირთე ი ჟი̄ჲ ა̈ნმჷრა̈ნ (84:18) — გამთენიისას (შდრ. ქართ. „რიჟ-რაჟ-ი") გავუდექით გზას საჯიხვისკენ (შდრ. ძვ. ქართ. „კიცუ-ი", ახ. ქართ. „კვიც-ი") და კიდევაც მოიღრუბლა.

რადაგანაც საანალიზო ფორმები ჟი̄უ̄ და ჟი̄ჲ ← ჟი+იუ̄ და ჟი+იჲ ფორმებისაგან, ამიტომ ტექსტებში უნდა ყოფილიყო აპოსტროფის შემცველი ჟ'ი̄უ̄ და ჟ'ი̄ჲ ფორმები.

თითქმის ბალსზემოურისებური ვითარებაა ლაშხურშიც. მაგ.:

ჟ'ი̄ბნა ← ჟი იბნა [ი+ი = ი̄]

ხედისი̄ ფაუ ხოყდა̄ნან ტოტისა, ეჯი ჟ'ი̄ბნა ადრეკილა̄ჲ ლექსს (239:31) — რომელსაც (შდრ. ადიღ. „ხ'ა̄თ") ჯოხი (შდრ. ძვ. ქართ. „ფაენ-ი") ეკავა („ეპყრა") ხელში (შდრ. ძვ. ქართ., ხევს., ფშ. „ტოტ-ი"), ის იწყებდა ხოლმე („დაიწყებდა") ადრეკილას ლექსს.

ჟ'ი̄ბნოლ ← ჟი იბნოლ [ი+ი = ი̄]

ალ ლადეღ ჩიდ მანკუ̄ი ჟ'ი̄ბნოლ კუ̄ირიი̄ ღერთა ლიღრა̄ლ (238:38) — ამ დღეს თავდაპირველად („ყველაზე პირველად") იწყებოდა ხოლმე („დაიწყებდა") კვირიას ღმერთის სიმღერა.

ჟ'ი̄ბნოლ ← ჟი იბნოლ [ი+ი = ი̄]

ჟ'ი̄ბნოლ ლიბგრგჲელ (239:25) — დაიწყებოდა ხოლმე ჰიდაობა (შდრ. ძვ. ქართ. ბორგ-ი-ს „ბორგავს; უწესრიგოდ მოძრაობს; შეშლა", (გურ., ლეჩხ., ქვ. იმერ.) ბურგ-ალ-ი „თავაშვებული თამაში; ჰიდაობა, თამაში, ცელქობა").

ჟ'ი̄ხჩოუ̄ოლდ ← ჟი იხჩოუ̄ოლდ [ი+ი = ი̄]

˹ნაჭეფ˺ ჟ'ი̄ხჩოუ̄ოლდ (< ჟი+იხჩოუ̄ოლდ) (262:6) — ნაკბენი (შდრ. ქართ. „ყეფ-ს, მ-ყეფ-არ-ი, მ-ყეფ-ია||ყეფ-ია") განიკურნებოდა ხოლმე („მორჩებოდა", „*ამოიკარგებოდა").

ჟ'ი̄ყიხ ← ჟი იყიხ [ი+ი = ი̄]

კოჰოლ ხანუნღო ჟი იყელეხ ი ჟ'ი̄ყიხ თაშს (267:32) — ცოტა (შდრ. ქართ. და-კუწ-ვ-ა; და-კუწ-ა..." და მეგრ. კუჭ-უ „პატარა; დაბალი") ხნის შემდეგ ამოიყვანენ ხოლმე ყველს („ამო-ი-ყვ-ელ-ებ-ენ") და ამოიღებენ („ამო-ი-ყვ-ან-ენ") ყველს (შდრ. ქართ. „თესლ-ი", ზან. თას-ი „თესლი").

შენიშვნა: ზემოთ დასახელებულ საანალიზო ილუსტრაციაში, ერთსა და იმავე სტრიქონზე, ერთი ფორმა (**ჟ'ო̄ყიხ**), ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, ორთოგრაფიულად სრულიად გამართული იყო, ხოლო მეორე (**ჟი იყე̄ლეხ**) — სვანურისთვის არაბუნებრივი ორთოგრაფიით იყო წარმოდგენილი, რაც, ალბათ, მთქმელის მეტყველების ნელმა ტემპმა განაპირობა. ამგვარ ლაფსუსებს სვანურ პუბლიკაციებში, სამწუხაროდ, ძალზე ხშირად ვაწყდებით.

ლაშხურ დიალექტშიც, ისევე, როგორც ბალსზემოურში, იდენტური ხმოვნები **ი+ი** შეერწყა ერთმანეთს და მივიღეთ გრძელი ხმოვანი.

უნდა აღინიშნოს, რომ **ი+ი** კომპლექსის უელიზიო შემთხვევები ბალსზემოურ და ლაშხურ ტექსტებშიც ბევრია, რასაც, ვფიქრობთ, განაპირობებს ტექსტის ჩაწერის დროს შექმნილი სიტუაცია.

მეტი თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ჟი იბნო̄ლდა ჰარყი ლითჷნა̈̄ლი (14:14) — დაიწყებოდა ხოლმე არყის (შდრ. ქართ. „არაყ-ი“ < არაბ. „**'araK**“) სმა (*„დალევინება“, შდრ. ახ. ქართ. „თრ-ობ-ა“, „მ-თვრ-ალ-ი“, ძვ. ქართ. „მ-თრ-ვ-ალ-ი“).

ეჩქას **ჟი ინზო̄რა̈̄ლ** მა̈გ (16:15) — მაშინ ყველანი („ყველა“) შეგროვდებიან ხოლმე („შეიკრიბება“, შდრ. ძვ. ქართ. **ზუერ-ი** „ბაყი“; მე-**ზუერ-ე** „მებაყე“; სა-**ზუერ-ე** „საბაყო“ < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი“).

ნა̈ბოზს აშხჷ მეზგაისგა **ჟი იყჷბა̈̄ლხ** ˹მა̈გ˺ (19:9) — საღამოს ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) ოჯახში („მოსახლეში“) შეგროვდებიან ხოლმე (შდრ. ქართ. (ქიზ.) **ყობ-ი** „თევზის თავსაყარი ადგილი, სადაც იკრიბებიან“) ყველანი („ყველა“).

... ბოფშა̈რ **ჟი იგნა̈̄ლხ** (19:19) — ბავშვები ადგებიან ხოლმე და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ქორა მახჷში მა̈̄რე **ჟი იკედ** ტაბაგხენჟი ... არყი ჰიქს (243:9) — ოჯახის (შდრ. ძვ. ქართ. „ქორ-ი“, რაჭ. „ქორ-ედ-ი“) უფროსი (შდრ. ძვ. ქართ. „უ-ხ-უ-ც-ე, უ-ხ-უ-ც-ეს-ი, უ-ხ-უ-ც-ჱს-ი“) კაცი აიღებს ხოლმე (შდრ. ძვ. ქართ. „აღ-ი-კიდ-ებ-ს; აღ-კიდ-ებ-ა“) სუფრიდან (შდრ. ძვ. ქართ. **ტაბლ-ა** „სუფრა, მაგიდა“, ახ. ქართ. (ლეჩხ., ქართლ., ქიზ., ფშ.) **ტაბაკ-ი** „დაბალი სუფრა...“ < ფალ. **tapak** „ტაფა“) არყის (შდრ. ქართ. „არაყ-ი“ < არაბ. „**'araK**“) ჰიქას.

ამგნლო ჩჷესსგურო̄ლხ ... ი **ჟი ილხნახ** (244:4-5) — ამის შემდეგ დასხდებოდნენ ხოლმე და მოილხენდნენ.

ნინა̈̄ლჷ გჷეფ ლას ი ჩიგარ **ჟი იმჰერდა** (249:31) — ნინა გრძნეული იყო და ყოველთვის იგებდა ხოლმე („გაიგებდა“, „შეიტყობდა“).

ჲერხი **ჟი იმთქჷიხ** ეჲჟი, ერე ეშხჷ თოჲ გარ ხაჰმინეხ ღუნს (266:30) — ზოგი („ზოგიერთები“) ისე („ის-ზე“) ეჩვევა ხოლმე („*შეიჩვევიან“), რომ მხოლოდ ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) თვეს აჰმევენ („აყოლებენ“) ხბოს.

სვანური ენის სხვა დიალექტების მსგავსად, ლაშხურშიც დადასტურდა იდენტური **ი+ი** ხმოვანთკომპლექსის შემცველი რამდენიმე ორთოგრაფიულად გაუმართავი ფორმა, ესენია: **ჟიჷ** (249:39; 251:40; 271:15; 261:41)[1], **სო̄ჷ** (277:13). პირველი მათგანი (**ჟიჷ**) მიღებულია **ჟი+იჷ** ფორმათა შეერთებით, ხოლო მეორე მათგანი (**სო̄ჷ**) კი — **სი+იჷ** ფორმათა. იდენტურ **ი+ი** ხმოვანთა შერწყმის შედეგად უნდა მიგვეღო შემდეგი ფორმები — **ჟ'ო̄ჷ** და **ს'ო̄ჷ**.

შენიშვნა: როდესაც მორფემათა ზღვარზე იდენტური **ი+ი** ხმოვანთკომპლექსი იყრის თავს, ამ შემთხვევაში ნაწილობრივ ელიზიას არა აქვს ადგილი.

[1] აპოსტროფის გარდა ამ ფორმებს სიგრძეც აკლდა.

ლაშხურში შევამჩნიეთ ი̄+ი̄ ხმოვანთკომბინაცია ასეთ კონტექსტში:

ხოჩულ ჰან **ხედი̄ ი̄რო̄ლ**, ეჩის ქი ხოლგენდახ ფუსნ აბუა̈სდიას — უკეთესი ხარი რომელიც იქნებოდა, იმას შესწირავდნენ ხოლმე („და-უ-დგ-ამ-დ-ნენ“) ამ ქვეყნის უფალს (1) 268:18

ხმოვანთშერწყმის შემთხვევაში, მიუხედავად ორივე კომპონენტის სიგრძისა, მაინც გვექნებოდა **ხედ'ი̄რო̄ლ**.

საინტერესოა, რა ვითარებაა თანამედროვე ლაშხურ მეტყველებაში ამ მხრივ. ტექსტებში მეტი მაგალითი ვერ დავაფიქსირეთ.

როგორც ცნობილია, გრძელი ხმოვნები სვანური ენის ორი დიალექტისათვის — ბალსზემოურისა და ლაშხურისათვის არის დამახასიათებელი, ბალსქვემოურმა და ლენტეხურმა კი გრძელი ხმოვნები არ იცის.

სვანურში განასხვავებენ ორი სახის სიგრძეს: კომბინატორულ სიგრძეს ხმოვნისა, რომელიც ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად არის მიღებული, და ე. წ. კომპენსატორულ სიგრძეს, როცა ხმოვანი დაგრძელებულია თანხმოვნის დაკარგვის შედეგად (მაჭავარიანი 1965:86).

ჩვენ მიერ მოხმობილ ყველა საილუსტრაციო მაგალითში საქმე გვაქვს კომბინატორულ სიგრძესთან.

სვანური გრძელი ხმოვნების შესწავლამ, კერძოდ კი იმის გარკვევამ, თუ რა პოზიციაში აქვს სიგრძეს ადგილი, მკვლევრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ხმოვანთა სიგრძე სვანურში კომბინაციურ ნიადაგზე არის მიღებული (ჟღენტი 1949:73). მეორე მხრივ, სვანურში ხმოვნის სიგრძის წარმოშობა, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უშუალო კავშირშია მახვილსა და ინტონაციასთან (იქვე:90).

პროფ. ს. ჟღენტი მიიჩნევს, რომ სვანურს, ლატვიური ენის მსგავსად გრძელმახვილიანი ხმოვნები აქვს და არა გრძელი ხმოვნები (იქვე:91). მისი აზრით, სვანურისათვის დამახასიათებელია არა სიტყვის მახვილი, არამედ მარცვლის მახვილი. ბალსზემოურსა და ლაშხურში ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა მარცვალი შესაძლებელია წარმოითქვას სხვადასხვაგვარი ინტონაციით — აღმავალითა და დამავალით. ხმოვანთა თავისებური სიგრძეც ამ დიალექტებში შედეგია აღმავალი და დამავალი ტონის მოძრაობისა (იქვე:93).

პრევერბისეული ხმოვნის შერწყმა ზმნის თავკიდურ ხმოვანთან და გრძელი ხმოვნის წარმოშობა ბალსზემოურსა და ლაშხურში, ჩვენი ვარაუდით, სწორედ მახვილის შედეგი უნდა იყოს.

სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჟი** პრევერბზე დართულია **-იდ** „კვლავ, ისევ, კიდევ“ ნაწილაკი. მაგ.:

აშხუ̂ ბოთლიკ ჰარა̈ყს **ჟ'ი̄დ** (< **ჟი+იდ/-გდ**) ხა̈მზგრი სოლომნს (107:27) — ერთ (შდრ. ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე; სხვა; უცხო; ერთი“) ბოთლ არაყს (შდრ. ქართ. **„არაყ-ი“** < არაბ. **„'arak“**) ისევ შეწირავს („დაალოცავს“, შდრ. ძვ. ქართ. **ზორ-ვ-ა** „შეწირვა“ < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი“) სოლომონს.

ჟ'ი̄დ (< **ჟი+იდ/-გდ**) ანპა̈რ [ეჯა] ლემასგუ̂შა̈ლ ი ლა̈ჲბინე ჩუბა̈უ̂ ლი̄ზი (53:36) — ისევ აფრინდა (შდრ. ქართ. **პე-პელ-ი/პე-პელ-ა**“) ის ცეცხლივით (შდრ. ქართ. ძვ. ქართ. **ვარსკ-ულ-ავ-ი‖ვასკ-ულ-ავ-ი‖მასკ-ულ-ავ-ი‖მასკ-ლ-ავ-ი** „მნათობი“, ახ. ქართ. **„ვარსკ-ვლ-ავ-ი“**) და დაიწყო ქვევით ჩა̈სვლა.

ჟ'ი̄დ (< **ჟი+იდ/-გდ**) ა̈ნშუ̂ემ ამჩუ სარაგუი (159:8) — ისევ შეისვენა („მო-ა-**სვ**-ენ-ა-მცა“, შდრ. ძვ. ქართ. გან-**სუ**-ენ-ებ-ა; გან-**სუ**-ენ-ებ-ულ-ი „მოსვენებული“) აქ წყაროზე.

როგორც ვნახეთ, პრევერბისეულ ბოლოკიდურ ხმოვანზე **-იდ/-გდ** ნაწილაკის დართვისას მოხდა ხმოვანთა შერწყმა, რის შედეგადაც მივიღეთ გრძელი ხმოვანი. რაც შეეხება სვანური ენის სხვა დიალექტებს, იქ პრევერბისეულ ხმოვანზე **-იდ/-გდ** ნაწილაკის დართვისას განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგ., შდრ. ბქ. ეჩქანღო **ჟიიდ** იგნალხ (182:21) — მერე („მაშინს მერე“) ისევ ადგებიან ხოლმე და ლშხ. სადლობიო̄რას **ჟიუდ** ენზორო̄ლხ მეზგახენქა თუ̂ით მა̈რე (243:39) — სადილობისას

ისევ შეგროვდებოდნენ ხოლმე („შეიკრიბებოდნენ“, შდრ. ძვ. ქართ. **ზუერ-ი** „ბაყი“; **მე-ზუერ-ე** „მებაყე“; **სა-ზუერ-ე** „საბაყო“ < ფალ. **zōhr** „მსხვერპლი“) ოჯახიდან („მოსახლიდანგა“) თითო კაცი.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ბალსქვემოურსა და ლაშხურში **ჟი-** პრევერბისეულ ხმოვანზე **-იდ/-გდ/-უდ** ნაწილაკის დართვისას არავითარი ცვლილება არ ხდება. ელიზიის კანონებიდან გამომდინარე, ბალსქვემოურში აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო ელიზია, ე. ი. უნდა მომხდარიყო იდენტურ **ი+ი** ხმოვანთკომპლექსიდან ერთ-ერთი კომპონენტის, კერძოდ, პირველის დაკარგვა, ხოლო ლაშხურში ხმოვანთა შერწყმა.[1]

იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნის ანლაუტში თავისთავადაა წარმოდგენილი გრძელი ხმოვანი, რაღა თქმა უნდა, წინამავალ ხმოვანთან შეხვედრისას ხელახალ დაგრძელებას ადგილი აღარ ექნება, თუმცა პრევერბისეული ხმოვანი ზოგჯერ მაინც იკარგება. მაგ.:

ლშხ.: კოჭო̄ლ ხანუნლო **ჟ'ო̄ყიხ** (< **ჟი+ო̄ყიხ**) თაშს (267:32) — ცოტახნის შემდეგ (შდრ. ქართ. და-კუწ-ვ-ა; და-კუწ-ა...“ და მეგრ. **კუჭ-უ** „პატარა; დაბალი“) ამოიყვანენ ხოლმე ყველს (შდრ. ქართ. „**თესლ-ი**“, ზან. **თას-ი** „თესლი“).

ამჟ'ო̄ქჳო̄ლ (< **ამჟი+ო̄ქჳო̄ლ**) ადრეკილა̈ჲ ლექს (239:41) — ასე ითქმებოდა (შდრ. ძვ. ქართ. „**თქჳ-მ-ა; თქჳ-მ-ულ-ი**“, ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**“) ადრეკილას ლექსი.

მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ბალსზემოურშიც, თუმცა „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ლაშხურის მსგავსი მაგალითები არ დადასტურებულა.

ი+ი კომპლექსის ელიზიისას, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ძირითადად, გადამწყვეტია მეორე კომპონენტი. ბალსქვემოურ დიალექტში იგი მის წინ მდგომ **ი** ხმოვანს კარგავს, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში ადგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: **ი+ი** კომპლექსის შემთხვევაში წარმმართველია მეორე კომპონენტი. იგი დამძლევია, წინა დასაძლევი, ე. ი. გვაქვს რეგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ამრიგად:

1. იდენტურ **ი+ი** კომპლექსის ელიზიის განხილვამ განსხვავებული სურათი წარმოგვიდგინა სვანური ენის დიალექტებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ი+ი** კომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვლინდა ბალსქვემოურსა და ლენტეხურში, ხოლო რაც შეეხება ბალსზემოურსა და ლაშხურ დიალექტებს, იქ მოხდა ხმოვანთა შერწყმა.

2. ბალსქვემოურში ელიზიური ფორმების გვერდით დიდი რაოდენობით დადასტურდა უელიზიო ფორმებიც, რასაც მთქმელის მეტყველების გარკვეული ტემპი განაპირობებს.

3. ელიზია მოსდის როგორც პრევერბისეულ, ასევე ნაცვალსახელისეულ **ი**'ს და, როგორც წესი, უკვალოდ იკარგება მეორე კომპონენტის წინამავალი ხმოვანი.

4. ბალსზემოურსა და ლაშხურში, ბალსქვემოურის მსგავსად, ელიზიური ფორმების გვერდით უელიზიო ფორმებიც გვხვდება. ამ დიალექტებში **ი+ი** კომპლექსის პირველი კომპონენტი ერწყმის მომდევნოს და საკომპენსაციოდ გრძელ ხმოვანს ვიღებთ.

5. ლაშხურში გამოვლინდა ორიოდე ისეთი ფორმა, როცა ზმნის ანლაუტში თავისთავადაა წარმოდგენილი გრძელი ხმოვანი და წინამავალ ხმოვანთან შეხვედრისას ხელახალ დაგრძელებას ადგილი აღარ აქვს.

6. იდენტურ **ი+ი** კომპლექსის ურთიერთმიმართებისას გვაქვს რეგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

---

[1] ლენტეხურის მაგალითები ვერ დავაფიქსირეთ.

ო+ო. **ო+ო** ხმოვანთკომპლექსი, როგორც ცნობილია, საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს სვანურში, მაგრამ თუკი შეგვხვდა, მცირე გამონაკლისების გარდა, უეჭველად ელიზიურია. ანალოგიურია აგრეთვე **გ+გ** და **ჳ+ჳ** კომპლექსების ხვედრიც (ქალდანი 1953:193). „სვანური ენის ქრესტომათიაში" **გ+გ** და **ჳ+ჳ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი მაგალითები ვერ დავაფიქსირეთ **გ** და **ჳ** ხმოვანზე დასრულებული სიტყვების იშვიათობის გამო. რაც შეეხება იდენტურ **ო+ო** კომპლექსის ელიზიის ნიმუშებს, იგი გამოვავლინეთ სვანური ენის მხოლოდ ერთ დიალექტში, კერძოდ, ბალსზემოურში:

დ'ო̄ხჳჯი̄დახ ← დო ოხჳჯი̄დახ [ო+ო = ო̄]

ჳოდე ჲარჳ მა̈რე̄მი საჯსა̈რ **დ'ო̄ხჳჯი̄დახ**, ეჩქად ქა მა̈დ ოთფი̄შჳდახ ლატლა̈რ"ს˥ ჯაბა̈ჲ ი სანჯახათ — სანამ ორი კაცის გამოსასყიდი (შდრ. ძვ. ქართ. „სა-ჯს-არ-ი", ახ. ქართ. „სა-ხს-არ-ი") არ მოუტანეს („მოუტანიათ", შდრ. ძვ. ქ. „გან-ჯდ-ომ-ა, ˥მი/მო˥-ჯდ-ა"), მანამდე („მაშინად") არ გამოუშვეს თურმე („გაუშვიათ", შდრ. ქართ. **ფოთ-ე** „მოშვებულადაც ითქმის... ანუ დახსნილად (საბა)", **და-ფოთ-ებ-ულ-ი** „მოშვებული", **და-ფუთ-ებ-ა** „მოშვება (საბა)") ლატალელებმა („**ლატალ-ელ-ებ-ს**") ჯაბა და სანჯახათი (1) 70:27

დასახელებულ მაგალითში **ო+ო** კომპლექსში ხდება ხმოვანთა შერწყმით მეორე კომპონენტის დაგრძელება. ე. ი., მეორე კომპონენტი დამძლევია, წინა დასაძლევი. აქედან გამომდინარე, ცხადია, გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ბალსზემოურში შეგვხვდა ისეთი მაგალითიც, სადაც არც ელიზია განხორციელებულა და არც ხმოვანთაშერწყმა:

ეჩქანღო ოთჭირეხ ელითე მგრზა̈ სამხუბს ი ქორშა̈რს ˥გჳეგნგდ ი მიჩ'ა̈ფხნეგა̈რდ˥: „მგრზ'ა̈სერ მინს ოთგრმახ ი საჯსა̈რჳ ანმა̈რეხ!" — შემდეგ („მაშინს მერე") ელიში მურზას საძმოს და ოჯახის წევრებს („სახლ˥ი˥სებს", შდრ. ძვ. ქართ. „**ქორ-ი**", რაჭ. „**ქორ-ედ-ი**") შეუთვალეს (შდრ. ქართ. „**წერ-ა**, **წერ-ილ-ი**") გვეგნუმ და თავისმა („მისმა") ამხანაგებმა (შდრ. ქართ. „**ამხანაგ-ი**" < ფალ. „**hamxānak**"): „მურზა ჩვენ („მათ") დავიჭირეთო („დაუჭერიათ") და ტყვის გამოსახსნელი გადასახადი („სა-ხს-არ-იმცა", შდრ. ძვ. ქართ. „სა-ჯს-არ-ი", ახ. ქართ. „სა-ხს-არ-ი") მოამზადეთო („მოამზადეს")!" (1) 85:18.

ცხადია, მოსალოდნელი იყო ან **ეჩქანღჳ'ო̄თჭირეხ**, ანდა **ეჩქანღ'ო̄თჭირეხ**. ეს უკანასკნელი ნაკლებად იყო მოსალოდნელი, რადგანაც ფორმათა საბოლოო სახე ამგვარ მაგალითებში ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის. საფეხურებრივად პროცესი (**ეჩქანღჳ'ო̄თჭირეხ** ფორმა რომ მიგვეღო) ასე უნდა განვითარებულიყო:

ეჩქანღო ოთჭირეხ → ეჩქანღჳე ოთჭირეხ → ეჩქანღჳ'ო̄თჭირეხ, ე. ი. **ო+ო → ჳე+ო → ჳ+ო̄**.

სვანური ენის სხვა დიალექტებში[1] **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის ელიზიის (ასევე ხმოვანთშერწყმის) შემთხვევები ვერ დავადასტურეთ აღნიშნული კომპლექსის იშვიათობის გამო. ლენტეხურ დიალექტში დაფიქსირდა ერთადერთი მაგალითი, და ისიც ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე:

ჳოდ ეჯი ჩუ **დო ოთგრმედ**, ეჩქად საშჳალო̄ბა მა ლოხო̄მდ თხუმს — სანამ ის არ დავიჭირეთ, მანამდე („მაშინად") საშუალება არ მივეცით თავს (შდრ. ძვ. ქართ. „**თხ-ემ-ი**") (1) 261:42

რაღა თქმა უნდა, ელიზია აქაც უნდა განხორციელებულიყო (**დო'თგრმედ**).

ამრიგად:

1. მასალის კვლევამ აჩვენა, რომ **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის შემცველი ელიზიური ფორმები „სვანური ენის ქრესტომათიაში" თითქმის არ მოგვეპოვება. გამონაკლისის სახით ერთადერთი მაგალითი დადასტურდა ბალსზემოურში, სადაც, როგორც წესი, მოხდა იდენტურ **ო+ო** ხმოვანთა შერწყმა, რის შედეგადაც მივიღეთ **ო̄**.

[1] საუბარია „სვანური ენის ქრესტომათიის" მონაცემებზე.

2. ო+ო ხმოვანთკომპლექსის შემთხვევაშიც გვაქვს პროგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

3. ბალსზემოურში **ო+ო** ხმოვანთკომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთშერწყმა განხორციელდა **ნაწილაკი + ზმნის პირიან ფორმას** შორის.

უ+უ. უ+უ კომპლექსი სვანურში, როგორც ცნობილია, მეტად იშვიათია უ ხმოვანზე დასრულებული სიტყვების იშვიათობის გამო, მაგრამ თუ შეიქმნა ხმოვანთა ასეთი კომბინაცია (მაგ., ჩბხ. **ლäდ სურუ ურხ'äდბინე** „ძლიერი წვიმა დაიწყო“, **ჩუ უდგარა ლი** „არ მომკვდარა“), იგი ყოველთვის უელიზიო იქნება საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად (იქვე:195-196).

„სვანური ენის ქრესტომათიაზე“ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იდენტურ ხმოვანთაგან სვანურში ელიზია მოსდის აგრეთვე უ+უ ხმოვანთკომპლექსსაც, რაც პროფ. მ. ქალდანის მოსაზრების საწინააღმდეგოს მეტყველებს.

უ+უ კომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვავლინეთ სვანური ენის სამ დიალექტში, კერძოდ: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში. რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ უ+უ კომპლექსის ელიზიის შემთხვევები ვერც ტექსტებში და ვერც ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ. „სვანური ენის ქრესტომათიაში“, ბალსქვემოურ ნაწილში, შეგვხვდა **უ+უ** ხმოვანთკომპლექსის შემცველი ერთადერთი მაგალითი [მაგ.: ურო ფაუს ხოჳხენი ი **ჩუუდ** ტეხნი (214:40) — ურო ჯოხს (შდრ. ძვ. ქართ. „**ფაენ-ი**“) ეცემა და ისევ ქვევით ბრუნდება („ჩაბრუნდება“)], სადაც ელიზიას არა აქვს ადგილი.

უ+უ კომპლექსის ელიზიის საკმაოდ მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი (მაგ.: **ჩ'ū̄დ** „ისევ ქვე“, **ჩ'ū̄ჲ** „კიდევაც“, **ჩ'ū̄ჶ** „ისევ ქვე“ და ა. შ.).

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ (ბალსზემოურ დიალექტში) შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჩუ** პრევერბზე დართულია ნაწილაკები: **-უდ** „კვლავ, ისევ, კიდევ“, **-უჲ** „კიდევაც“ და **-უჶ** „მცა“, მაგ.:

ჩ'ū̄დ ← ჩუ უდ [უ+უ = ū̄]

ლახე **ჩ'ū̄დ** სიდ ლემგნთäჟი, ეჯას ჩ'ū̄დ ამგნთäჟიხ — თუ ისევ დარჩენილია გასალეწი, იმას ისევ გალეწავენ ხოლმე (19) 119:391; 171:25; 20:40; 35:31; 57:13; 75:38; 76:28; 105:20, 32; 108:11; 131:2; 138:3; 148:14; 149:6; 155:13; 160:11; 163:36; 171:22[2]

ჩ'ū̄ჲ ← ჩუ უჲ [უ+უ = ū̄]

ჲერხი **ჩ'ū̄ჲ**[3] იჳქუნოლდახ მäდხūäჲ ხäნს — ზოგიერთები იძინებდნენ კიდევაც ცოტა ხანს („არა-**ხვავ-ხან-ს**“, შდრ. ქართ. „**ხვავ-ი**“ და „**ხან-ი**“ < ფალ. „**hān**“) (3) 31:13; 160:33; 165:8

ჩ'ū̄ჶ ← ჩუ უჶ [უ+უ = ū̄]

ჩ'ū̄ჶ ... აჯდეთხლēნä ლესგი ქგპäრ! — გაგთხელებოდეს („**გა-გ-თხელ-ებ-ია-მცა**“) ნეკნები („გვერდი'ს' ძაფები“, (შდრ. ქართ. (ფშ., ქიზ., ინგ.) „**ჭიფ-ი**“, (ლეჩხ., ქართლ.) „**ხიფა**“, (ხევს., ფშ., მთიულ., ქიზ.) „**ხიფ-ი**“)! (29) 55:36; 62:11, 31; 63:3; 64:30; 65:35; 68:21; 72:9; 78:18; 83:12[4]; 86:12, 35, 42[5];

---

[1] 119-ე გვერდის 39-ე სტრიქონზე ერთი ფორმა აპოსტროფის გარეშეა წარმოდგენილი (**ჩūდ**), ხოლო მეორე კი — აპოსტროფით (**ჩ'ūდ**).

[2] აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არცერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

[3] აპოსტროფი არ იყო წარმოდგენილი სათანადო ადგილას.

[4] აპოსტროფი არ იყო დასმული სათანადო ადგილას არცერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

[5] გარდა იმისა, რომ აპოსტროფი არ იყო წარმოდგენილი სათანადო ადგილას არცერთ ფორმაში, ამ უკანასკნელს აკლდა სიგრძის ნიშანიც, რამდენადაც **ჩუჶ** < **ჩუ უჶ**.

90:5; 91:28, 34; 93:7, 23; 105:33; 157:3; 162:34; 163:19; 164:20; 165:30, 37; 166:7, 8, 22; 167:24, 40; 173:1[1]

რადგანაც საანალიზო ფორმებში (**ჩ'უ̄დ, ჩ'უ̄ჲ, ჩ'უ̄ჵ**) ადგილი აქვს ხმოვანთა შერწყმას, ამიტომ, ცხადია, აპოსტროფი **ჩუ-** ზმნისწინის შემდეგ აუცილებლად უნდა აღდგეს.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც **ჩუ-** პრევერბზე დართულია ნაწილაკები: **-უჵ** „მცა" და **-უჲ** „კიდევაც":

ჩ'უ̄ჵ ← ჩუ უჵ [უ+უ = უ̄]

... მგეე უწდუნა ზურა̈ლდ იშგმინ: „ხოხობუ ლოქ ოხჴიდხ ˹ი˺ ... **ჩ'უ̄ჵ** (← **ჩუ+უჵ**) ლოქ აყუიფხ...!" — მზეთუნახავმა ქალმა (შდრ. მეგრ. **ზურა** „მხდალი", ლაზ. **ზურა** „დედალი") მოითხოვა („ითხოვა"): „ხოხობი („**ხოხობ-ი-მცა**") მომიტანეთო („მოუტანეს", შდრ. ძვ. ქართ. „**გან-ჴდ-ომ-ა**, ˹მი/მო˺-**ჴდ-ა**") და გაპუტეთო[2] („გაპუტესმცაო")!" (10) 281:40; 275:35, 36, 41; 276:3, 11, 15, 19; 277:29[3]; 278:52[4]; 77:29[5]

ჩ'უ̄ჲ ← ჩუ უჲ [უ+უ = უ̄]

იშგენ მოხელ **ჩ'უ̄ჲ**[6] (← **ჩუ+უჲ**) და̈რ ხოწუ̄ახ შუ̄ანარს (245:21) — სხვა მოხელე არცკი („აგრეც არავინ") უნახავთ სვანებს.

ჩუჵ ლექსემა ლაშხურში რამდენჯერმე (250:9; 252:32; 275:35, 36, 41; 276:3; 276:11, 15, 19; 278:5; 281:40) შეგვხვდა აპოსტროფისა და სიგრძის ნიშნის გარეშე. რადგანაც **ჩუჵ** ← **ჩუ+უჵ**'სგან, ამიტომ ორთოგრაფიულად სწორი ფორმა იქნებოდა **ჩ'უ̄ჵ**.

მსგავსი შემთხვევები ბევრჯერ დასტურდება „სვანური ენის ქრესტომათიაში", რომელიც მუშაობის პროცესში გვერდი ვერ ავუარეთ და შეძლებისდაგვარად, თითქმის უგამონაკლისოდ, ყველგან გავმართეთ ორთოგრაფიულად სხვა ელიზიურ ფორმათა ანალოგიით.

ლაშხურში დაფიქსირდა **უ+უ̄** ხმოვანთკომბინაციის ერთი შემთხვევა შემდეგ კონტექსტში:

ჲერხის ჲერუ უ̄დუ̄აჲ ჩუ ხაყა — ზოგს („ზოგიერთს") ორი ულელიც კი („ქე") ჰყავს (1) 268:15

აღნიშნულ მაგალითში, როგორც ვხედავთ, **უ+უ̄** კომპლექსის შეხვედრისას ხმოვანთშერწყმა არ მომხდარა.

რაც შეეხება ლენტეხურ დიალექტს, იქ შეგვხვდა **უ+უ** კომპლექსის ელიზიის ერთადერთი მაგალითი:

ეჯი ლერსკუ̄ან ფოყხენეი ჴ'ანღინე ი ლექნე: „**ჩ'უ̄ჵ**[7] ალბედნიერეხიდ მარე ი კუმა̈შ ˹მა̈გ˺!" — ის მარჯვენა მხრიდან (შდრ. ქართ. **ბაყვ-ი** „მუხლს ზეითი (საბა)", მო-**ბაყუ-ა** „მოკეცით (ბაყვის გაშლით) ჯდომა (საბა)", (ხევს.) **ბაყვ-ი** „ადგილი, სადაც ბარკალი ეკვრის მუცელს") შემოვა („ამოვა") და იტყვის (შდრ. ძვ. ქართ. „**თქუ-მ-ა; თქუ-მ-ულ-ი**", ახ. ქართ. „**თქ-მ-ა; თქ-მ-ულ-ი**"): „ბედნიერი ყოფილიყავით („**გა-ბედ-ნ-იერ-ებ-ულ-ი-ყ-ავ-ი-თ-მცა**") ადამიანი („კაცი") და საქონელი (შდრ. ძვ. ქართ. **კუმაშ-ი** „ქსოვილი" < არაბ. **kumaš** „საქონელი") ყველა!" (1) 292:11.

---

[1] აპოსტროფი არ აღმოჩნდა სათანადო ადგილას არცერთ ჩამოთვლილ ლექსემაში.

[2] იგულისხმება მდუღარე წყლის დასხმა დასაკლავ ფრინველსა და ღორზე, რის შემდეგაც ხდება გაპუტვა.

[3] აპოსტროფი აქაც გამოტოვებული იყო.

[4] „სვანური ენის ქრესტომათიაში" აღნიშნული ფორმები აპოსტროფისა და სიგრძის გარეშე იყო წარმოდგენილი.

[5] მხოლოდ ამ ფორმაში იყო სიგრძის ნიშანი წარმოდგენილი (**ჩუ̄დ**), თუმცა აპოსტროფი არც აქ არის დასმული.

[6] აპოსტროფი აქაც ჩვენ მიერაა აღდგენილი.

[7] აპოსტროფი აქაც აკლდა.

ამრიგად:

1. უ+უ კომპლექსის ელიზიის ნიმუშები გამოვავლინეთ სვანური ენის სამ დიალექტში, კერძოდ: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში. რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ უ+უ კომპლექსის ელიზიის შემთხვევები ვერც ტექსტებში და ვერც ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ.

2. იდენტურ ხმოვანთაგან სვანურში ელიზია მოსდის აგრეთვე უ+უ ხმოვანთკომპლექსსაც, რაც მ. ქალდანის მოსაზრების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

3. ბალსზემოურსა და ლაშხურში შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც ჩუ პრევერბზე დართულია ნაწილაკები: -უდ „კვლავ, ისევ, კიდევ", -უჲ „კიდევაც" და -უშ „მცა".

4. იდენტურ უ+უ კომპლექსის შემთხვევაშიც მეორე კომპონენტი აღმოჩნდა დამძლევი, რომელიც ბალსზემოურსა და ლაშხურში წინა კომპონენტს იმსგავსებს და ხდება ხმოვანთა შერწყმა, ხოლო ლენტეხურში, როგორც წესი, ელიზია ხორციელდება. ე. ი. გავლენა ძირითადად რეგრესულია.

1. 2. რთული ელიზიური კონსტრუქციები

(სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით)

როგორც ცნობილია, ქართველურ ენათა შორის ხმოვანთა ყველაზე რთული სისტემა სვანურშია წარმოდგენილი. მასში დასტურდება ზოგად ფონეტიკაში ცნობილი მრავალი სახის ბგერითი ცვალებადობა.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ხმოვანთა შეერთების წესებმა სვანურში, კერძოდ, რთულმა ელიზიურმა კონსტრუქციებმა[1], რომელიც იქმნება სამი ან (იშვიათად) ოთხი სიტყვის შეერთების შედეგად. ამ შემთხვევაში მიღებულ კონსტრუქციაში იქმნება შესაბამისად ორი ან სამი ელიზიური კომპლექსი, რომელშიც მონაწილეობას იღებს როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური ხმოვანთა კომპლექსები და, მორფემათა ზღვარზე, ხდება ამ ხმოვანთკომპლექსების გამარტივება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის რეალიზაციის შედეგად.

აქამდე სპეციალურ ლიტერატურაში მსგავს რთულ ელიზიურ კონსტრუქციებზე[2] ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული.

საანალიზო მასალამ[3] საშუალება მოგვცა გამოგვევლინა რთული ელიზიის ნიმუშები სვანური ენის ორ დიალექტში — ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში. რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ რთული შედგენილობის ელიზიის შემთხვევები ვერ დავადასტურეთ.

რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: ა+ა, ა+ä, ა+ā, ა+ე, ა+ო, ე+ე, ე+ა, ე+ä, ე+ი, ე+ო, ი+ი, ი+ა, ი+ä, ი+ე, ი+ო, ო+ა, უ+ა, უ+ე, უ+ო.

ეს ხმოვანთკომპლექსები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად:

1. იდენტური: ა+ა, ე+ე, ი+ი და

2. არაიდენტური: ა+ä, ა+ā, ა+ე, ა+ო, ე+ა, ე+ä, ე+ი, ე+ო, ი+ა, ი+ä, ი+ე, ი+ო, ო+ა, უ+ა, უ+ე, უ+ო.

ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ თუ რა ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდიან ეს კომპლექსები სვანური ენის დიალექტებში.

---

[1] კონსტრუქცია როგორც მეტყველების ფაქტი.

[2] რთული ელიზიური კონსტრუქცია არის დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა შეხამება.

[3] ძირითადად ვეყრდნობით „სვანური ენის ქრესტომათიის" მასალებს.

მიღებული თვალსაზრისის შესაბამისად, ელიზია ხმოვანთა ყველა ამ კომპლექსისათვის არის და-მახასიათებელი, გარდა ე+ი და ი+ი კომპლექსებისა (ქალდანი 1953:196), თუმცა ი+ი კომპლექსის ელი-ზიის შემთხვევებიც გამოვლინდა როგორც მარტივ (საღლიანი 2001:190-193), ასევე რთულ ელიზიურ ფორმებში და ე+ი კომპლექსის ნიმუშებიც დადასტურდა.

რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად სავსებით შესაძლებე-ლია, ღიაობის მიხედვით, A, B, C რიგის კომპლექსები გამოვყოთ:

A	B	C
(ფართო+ვიწრო)	(ვიწრო+ფართო)	(თანაბარი ღიაობის ხმოვნები)
ა+ე	ო+ა	ე+ო
ა+ო	ე+ა	ა+ა
ე+ი	ი+ე	ე+ე
ა+ა̈	ი+ა	ი+ი
	ი+ო	ე+ა̈
	უ+ე	ა+ა̄
	უ+ო	
	უ+ა	
	ი+ა̈	

ცალ-ცალკე განვიხილავთ იდენტურ და არაიდენტურ ხმოვანთკომპლექსებს.

1. 3. იდენტური ხმოვანთკომპლექსები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იდენტურ ხმოვანთაგან რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწი-ლეობენ ა+ა, ე+ე და ი+ი კომბინაციები. ამათგან პირველი ორი (ა+ა, ე+ე) კომპლექსი ერთდროულად შეიძლება შეგვხვდეს ხოლმე ერთ ფრაზაში და ორივე კომპლექსში იდენტური ხმოვნები ერთმანეთს შე-ერწყმის ბალსზემოურ დიალექტში:

ქ'ა̈ზგრ'ე̄ჩქას ← ქა ა̈ზგრე, ეჩქას [ა+ა და ე+ე]

... მა̈რე ... ამე̄ნ ... **ქ'ა̈ზგრ'ე̄ჩქას** ჟიქა̈ნ ფაყჟს ხაგემ ⌈ალეს⌉ „ადამიანი („კაცი") ასე რომ დაამ-თავრებს, მაშინ ზემოდან ქუდს ახურავს („ა-დგ-ამ-ს") ამას" (1) 119:5

ქ'ა̈ნსკინ'ე̄სნა̈რ ← ქა ანსკინე ესნა̈რ [ა+ა და ე+ე]

ალ ზურა̄ლ⌈დ⌉ ... **ქ'ა̈ნსკინ'ე̄სნა̈რ** ჩალდა̈ყხა̈ნქა ი ჩუქუა̄ნ ჟ'ესბა̈ჰკჟ „ეს („ამ") ქალი („ქალმა") გადმოხტა („ისკუპა", შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილა") თურმე აივნიდან (შდრ. ქართ. „**ჩარდახ-ი**") და ქვემოთ დაასკდა" (1) 62:27

ქ'ა̈ნგრჰ'ე̄რე ← ქა ანგრჰე, ერე [ა+ა და ე+ე]

⌈ამნე̄მ⌉ ეჩჟე̄ნ **ქ'ა̈ნგრჰ'ე̄რე** დაბა̈რ მგჟა̈რშა̄ლ იწჟე̄ნი „ამან ისე გაანათა ⌈იქაურობა⌉, რომ ყანები (შდრ. ძვ. ქართ. „**დაბ-ა**") მზესავით („მზ-იან-ი-ვით") ჩანდა („ჩანს")" (1) 53:34.

ასეთ ელიზიურ ერთეულებში ძირითადად მონაწილეობენ ისეთი ზმნები, რომლებიც ანლაუტშიც ხმოვნით არიან წარმოდგენილი და აუსლაუტშიც; ელიზიის შედეგად ეს ხმოვნები ერთდროულად განიცდიან ცვლილებას.

როგორც ცნობილია, „ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრის დროს გრძელი ხმოვნების დიდი რაოდენობა მოდის იდენტურ ა+ა და ე+ე ხმოვანთკომპლექსებზე (გაზდელიანი 1999:87), რაც ჩვენი საანალიზო მასალითაც დადასტურდა.

ა+ა და ე+ე კომპლექსის ელიზიისას გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე კომპონენტი, რომელიც მის წინ მდგომ იდენტურ ხმოვანს იერთებს და ვიღებთ გრძელ ხმოვანს. „ორი ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად სვანურისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა“ (შარაძენიძე 1985:150; 1946:310).

ხმოვანთა სიგრძე, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ისტორიულად ყოველთვის ფონეტიკურადაა მოტივირებული. ჩვენს შემთხვევაში სიგრძის მიზეზი ნათელია, რადგანაც საქმე გვაქვს კომბინატორულ სიგრძესთან, რომელიც ორი ხმოვნის შერწყმის შედეგია.

რაც შეეხება იდენტურ ი+ი ხმოვანთა კომპლექსს, იგი რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში იშვიათობას წარმოადგენს. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ი+ი ხმოვანთა ელიზიის ორიოდე მაგალითი დადასტურდა და ისიც ბალსქვემოურ დიალექტში. სვანური ენის სხვა დიალექტებში ი+ი კომპლექსის ელიზიის (ვგულისხმობთ რთულ ელიზიურ კონსტრუქციებს) არცერთი მაგალითი არ შეგვხვედრია.

ე. გაზდელიანი თავის საკანდიდატო დისერტაციაში სვამს შემდეგ კითხვას: „იდენტურ ხმოვანთა კომპლექსებში მომდევნო ხმოვანი იერთებს წინამავალს, თუ პირიქით?“ მისი აზრით, „რაკი სხვადასხვა ხმოვნიან კომპლექსებში მომდევნო ხმოვანი იერთებს წინამავალს, იდენტურ ხმოვანთა კომპლექსებშიც მსგავსი ფონეტიკური პროცესი უნდა ვივარაუდოთ“ (გაზდელიანი 1999:88).

1. 4. იდენტური და არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები

რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში, ერთ ფრაზაში, ძირითადად, მონაწილეობენ როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური ხმოვანთკომპლექსები. მაგ.:

ჟ'ა̈ნმეჯრ'ე̄სნა̈რ ← ჟი ა̈ნმეჯრე ესნა̈რ [ი+ა̈ და ე+ე]

... ალ ამბა̈უ̂ ეშ̄ ჟ'ა̈ნმეჯრ'ე̄სნა̈რ უშგუ̂ლა̈ მახუ̂შიდ „ეს ამბავი მაინც გაიგო თურმე უშგულის ბატონმა („ხ-უ-ც-ეს-მა)“ (1) 62:34

ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ ← ჟი ანტაბე ესნა̈რ [ი+ა და ე+ე]

ალა̈მი რა̈ტია̄ნ⌜დ⌝ ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ ეშდ ჯიჰრა̈ თალ ი ეშხუ ჯიჰრა̈ წირო̄ლ „ალამი რატიანმა გამოთალა თურმე ათი მუხის სოლი და ერთი მუხის ურო“ (1) 71:21

სგ'ა̄დსკინ'ე̄სნა̈რ ← სგა ა̄დსკინე ესნა̈რ [ი+ა̄ და ე+ე]

... სორთმანდ ... ამეჩუ̂ნ **სგ'ა̄დსკინ'ე̄სნა̈რ** ბა̄უ̂თე̄'სგა[1] „სორთმანი („**სორთმან-მა**“) აქ შევარდა („შეისკუპა“, შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილა“) თურმე კარავში“ (1) 75:37

ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას[2] ← ქა ადზგგრი⌜სხ⌝, ეჩქას [ა+ა და ი+ე]

... ზურა̄ლ⌜ა̈რ⌝ ⌜ალას⌝ ... ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას ჟი ლუთუ̂ედს ჟი იკედხ შგნთეჲე̄ნ ი ჟ'ასდგუ̂იხ „ქალები ამას რომ დაამთავრებენ, მაშინ ამოხვეულს[3] ხელში აიღებენ და დაწნავენ ხოლმე“ (1) 127:37

ქ'ა̄დსკინ'ა̄ლ ← ქა ადსკინე ალ [ა+ა და ე+ა]

---

[1] დროებითი საცხოვრებელი (ღამის სათევი) იალაღებზე, ყანასა ან ტყეში.

[2] როგორც ცნობილია, ელიზიის დროს თანამედროვე სვანურ მეტყველებაში, ჩვეულებრივ, წინმდგომი სიტყვის აუსლაუტისა და მომდევნო ლექსემის ანლაუტის ხმოვანთა შერწყმა ხდება ხოლმე, აქ კი განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე — პირველ სიტყვაში (**ქ'ა̄დზგგრისხ** — „დაამთავრებენ“), როგორც ვხედავთ, დაკარგულია მთელი მარცვალი. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ შესაძლოა კიდევ დაიძებნოს მსგავსი მაგალითები.

[3] იგულისხმება ძაფი.

⸢ალ⸣ ოსპა̈რ ესნა̈რ ჟი, ჟორჟლა̈ნ, ი ქ'ა̈დსკინ'ა̈ლ ბოგქა „ამან („ეს") ისკუპა („აფრინდა") თურ[მ]ე, ჟორჟლანმა, და გადახტა („გადასკუპდა", შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილა") ამ ხიდზე (შდრ. იმერ. „ბოგ-ა")" (1) 72:28

ქ'ა̈ნსგიდდ'ე̄სნა̈რ ← ქა ა̈ნსგიდდა ესნა̈რ [ა+ა̈ და ა+ე]

ალღარე ზურა̈ლ **ქ'ა̈ნსგიდდ'ე̄სნა̈რ** ი ლა̈ხჭუ̈ედდა ⸢ალ⸣ ზურა̈ლს⸣ „ამათმა („ამეების") ქალმა („[ქ]ა-ლი") გამოიხედა თურმე და ჰკითხა ამ ქალს" (1) 65:27

ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ ← ქრისდე ესღრი ესნა̈რ [ე+ე და ი+ე]

სგუ̈ებინ **ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ** ლა̈ჰმუშ ი უ̈ეშგიმ უ̈ირღა̈ღა̈რ ესღუ̈იჰხ „წინ იესო ქრისტე მი[დ]ის თურმე სირბილით და უკან ურიები მისდევენ" (1) 8:28

ჩ'ოთგორუ̈'ე̄ჩქას ← ჩუ ოთგორუ̈ა, ეჩქას [უ+ო და ა+ე]

ჟიბე პილი ლაგუ̈ბანდა̈ღ **ჩ'ოთგორუ̈'ე̄ჩქას** თა̈კუ̈ ოთბა ⸢გიეს⸣ ი ეჯნოუ̈შ ლიჰედ ლოხუ̈ბინა ჩუ „ბოლო („ზე-მო პირ-ი⸢ს⸣") სართული რომ ჩაუხერგავს („ამოუქოლია", შდრ. ქართ. „გრ-ოვ-ა"), მა[შ]ინ თოკი შეიბა თურმე („შე-უ-ბამ-ს") გიეს და იმითი დაუწყია ქვემოთ ჩამოსვლა (შდრ. ძვ. ქართ., [ქ]შ. „ჰდ-ომ-ა")" 8:13

მ'აჯურტყუ̈ინ'ე̄დო[1] ← მი აჯურტყუ̈ინე, ედო [ი+ა და ე+ე]

⸢თხერედ ხა̈ქუ̈ე ქათლადა̈ ნა̈ბჰულს⸣: „ს'იმჟ'ამურტყუ̈ინე, ქათლადა̈ ნა̈ბჰულ, **მ'აჯურტყუ̈ინ'ე̄დო**"? — მგელმა უთხრა ნახევარქათამას: „შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარქათამავ, მე გადაგყლაპავ, თორემ"? (1) 211:7

ს'იმჟ'ამურტყუ̈ინე ← სი იმჟი ამურტყუ̈ინე [ი+ი და ი+ა]

⸢თხერედ ხა̈ქუ̈ე ქათლადა̈ ნა̈ბჰულს⸣: „**ს'იმჟ'ამურტყუ̈ინე**, ქათლადა̈ ნა̈ბჰულ, მ'აჯურტყუ̈ინ'ე̄დო?" _ მგელმა უთხრა ნახევარქათამას: „შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარქათამავ, მე გადაგყლა[პა]ვ, თორემ?" (1) 211:7

ქ'ამფ'ადო ← ქა ამფუ ადო [ა+ა და უ+ა]

ქათლადა̈ ნა̈ბჰულ ... აჩა̈დ კესარშერთე, შუკუ̈ჟი ჰალა̈ღს ლახასდა [ი ხა̈ქუ̈ე]: „ჰალა̈ღ, **ქ'ამფ'ადო** ჟი ჯიხუწე!" — ნახევარქათამა კეისრისანთან წავიდა, გზაზე (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) „შუკ-ა") მდინარეს (შდრ. ქართ. „ჰალ-ა") მიადგა („გადაეყარა", „გადავიდა") და უთხრა: „მდინარევ (შდრ. ქართ. „ჰალ-ა"), გამიშვი, თორემ შეგხვრეპ (შდრ. ქართ. „ყლურწვა")!" (2) 211:4

ესხრ'-ესხრ'ი ← ესხრი, ესხრი ი [ი+ე და ი+ი]

⸢ქათლადა̈ ნა̈ბჰულ⸣ **ესხრ'-ესხრ'ი** ი თხერე ლახხუ̈იდდა „ნახევარქათამა მიდის, მიდის და შეხვდა მგელი" (2) 211:6, 8

ბალსზემოურ დიალექტში ორსავე შემთხვევაში საქმე გვაქვს მომდევნო ხმოვნის დაგრძელებასთან; ე. ი., რთული ელიზიური კონსტრუქციების შემთხვევაში დაგრძელების მიმართულება უმეტესად პროგრესულია, გავლენა კი — რეგრესული.

[1] „სვანური ენის ქრესტომათიაში" წარმოდგენილი ტექსტი (ქათლადა̈შ ნა̈ბჰულ — „ნახევარქათამა") ჩაწერილია სოფ. მაზერში 1932 წელს ა. შანიძის მიერ თაშუ ხერგიანისაგან, რომელიც ბალსზემოური დიალექტის წარმომადგენელია. ტექსტში ბალსქვემოურის გავლენაც იგრძნობა. როგორც ჩანს, მთქმელი დიდი ხნის გათხოვილია სოფ. მაზერში. არც ერთი გრძელი ხმოვანი ტექსტში არ შეგვხვედრია, ხოლო, რაც შეეხება რთულ ელიზიურ ფორმებს, ისინი რამდენჯერმეა ნახმარი. ბალსზემოურის გავლენა ამ ტექსტში აშკარად იგრძნობა, რასაც რთული ელიზიური კონსტრუქციებიც ადასტურებენ. ისინი ბალსქვემოურ ნაწილში მხოლოდ ამ ტექსტში გვხვდება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რთული ელიზიური კონსტრუქციები ბალსქვემოური მეტყველებისათვის უცხო იყოს. თანამედროვე სვანურ მეტყველებაში ამისი არაერთი მაგალითი დასტურდება.

ქვემოთ წარმოვადგენთ მორფემათა საზღვარზე შექმნილ ხმოვანთა კომპლექსებში მომხდარ ცვლილებებს და შევეცდებით ვაჩვენოთ ყველა ის მორფოფონემატური თავისებურებანი, რაც ამ ხმოვანთკომპლექსებთან დაკავშირებით ვლინდება ზემოსვანურ დიალექტებში.

ა+ა. ბალსზემოურ დიალექტში (თანაბარი ღიაობის) ა+ა კომპლექსის შემთხვევაში, მ. ქალდანის მოსაზრების თანახმად, ელიზიის ნაცვლად ხმოვანთა შერწყმასთან გვაქვს საქმე, რის შედეგადაც გრძელ ხმოვანს ვიღებთ (1953:194).

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ ა+ა კომპლექსის შემცველი საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი:

ამხა̄ჳთე̄'სგ'ა̄ჩა̈დხ ← ამხა̄ჳთეჲსგა აჩა̈დხ ← ამხა̄ჳთეისგა აჩა̈დხ [ა+ა=ა̄]

ამხა̄ჳთე̄'სგ'ა̄ჩა̈დხ ქჳერწლა̈რ[1] „ამაში შევიდნენ მექორწილეები („ქორ-წილ-ებ-ი“)“ (1) 155:27

ა̈გითე̄'სგ'ა̄ხურჲე̄ლეჲ ← ა̈გითეჲსგა ახურჲე̄ლეჲ ← ა̈გითეისგა ახურჲე̄ლეჲ [ა+ა=ა̄]

ეჩქანღო ... ლუნჩჳრა̈რს აშხჳ **ა̈გითე̄'სგ'ა̄ხურჲე̄ლეჲ** ზურალა̈რ ... „შემდეგ („მაშინს მერე“) ძნებს ერთ ადგილას („ალაგ-იᲜᲡ-კენ-ში“) შეაგროვებენ ხოლმე ქალები“ (1) 119:1

გელაშე̄რთე̄'სგ'ა̄თჩეშა ← გელაშე̄რთეჲსგა ათჩეშა ← გელაშე̄რთეისგა ათჩეშა [ა+ა=ა̄]

ალა̈მი რა̈ტიანᲜᲡ ახღჳეჴა ფა̄და̈ს, მარე ჯა **გელაშე̄რთე̄'სგ'ა̄თჩეშა** „ალამი რატიანს გამოეკიდა თურმე („გამოკიდებია“) მდევარი, მაგრამ მას („თვითონ“) გელასანთან („გელა-ს-ან-ᲜისᲜკენში“) შეუსწრია“ (1) 71:27

დუქჳა̈ნთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ ← დუქჳა̈ნთეჲსგა აჩა̈დ ← დუქჳა̈ნთეისგა აჩა̈დ [ა+ა=ა̄]

მგქშა̈გ ... **დუქჳა̈ნთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ** „ჩერქეზი (შდრ. ქართ. „ქაშაგ-ი“) დუქანში შევიდა“ (1) 80:10

ეჩე̄'სგ'ა̄თხად ← ეჩეჲსგა ათხად ← ეჩეისგა ათხად [ა+ა=ა̄]

ეჩე̄'სგ'ა̄თხად სტამა̄ნრე ნა̈კჳშუჳა̈რი ჩჳარდახ „იმაში მანამდე („ახლად“) დოქების ნამსხვრევებიც („ნატეხებიც“) იყო („ქᲜვᲜე იმყოფებოდნენ“)“ (1) 59:10

ეჩე̄'სგ'ა̄მწჳედდა ← ეჩეჲსგა ამწჳედდა ← ეჩეისგა ამწჳედდა [ა+ა=ა̄]

ლამბანა̄ლ ხოშა̄მ გჳეშჟე̄ნ კა̄ლს ლა̈სჳ შა̄ლჲა̈ნე̄ საყდარისგა... ი ᲜსოფელᲜ **ეჩე̄სგ'ა̄მწჳედდა** ქჳითს „დასაფიცი (ადგილი) დიდ საქმეზე კალაში („კალ-ას“) იყო შალიანის საყდარში და სოფელი იმაში ამართლებდა ქურდს“ (1) 52:22

ეჩე̄სგ'ა̄ყჳრახ ← ეჩეჲსგა აყჳრახ ← ეჩეისგა აყჳრახ [ა+ა=ა̄]

... ჲერხი ხეხჳ-ჰა̈შს კჳეტრ̄ლ მეგმგრრ̄ლა̈რ ხრ̄გა̈ნხ ... ი ზავლადა̈ლ **ეჩე̄სგ'ა̄ყჳრახ** „ზოგიერთ ცოლ-ქმარს პატარა ფიცრულები („ხის სახლები“) ედგათ ი ზაფხულში იმაში იწვნენ“ (1) 22-23:1

ლარდ'ა̄მე̄'სგა ← ლარდა ამეჲსგა ← ლარდა ამეისგა [ა+ა=ა̄]

ამეჩჳნ ბალაგან ლჱგა̈ნ ი **ლარდ'ა̄მე̄'სგა** ნა̄დ „აქ ბალაგანი იდგა და საცხოვრებელი („სამყოფი“) ამაში გვქონდა“ (1) 79:34

ლარდჰ̄ლთე̄'სგ'ა̄დჲეხ ← ლარდჰ̄ლთეჲსგა ადჲეხ ← ლარდჰ̄ლთეისგა ადჲეხ [ა+ა=ა̄]

ოთარშა **ლარდჰ̄ლთე̄'სგ'ა̄დჲეხ** Ნყა̈რჩა̈ლდᲜ „ოთარიანი საცხოვრებელ სახლში („სამყოფებᲜისᲜკენ-ში“) წაიყვანეს („შეიტანეს“) ყარაჩაელებმა“ (1) 95:6

ლასკრ̄რათე̄'სგ'ა̄შყა̈დხ ← ლასკრ̄რათეჲსგა აშყა̈დხ ← ლასკრ̄რათეისგა აშყა̈დხ [ა+ა=ა̄]

---

[1] უნდა ყოფილიყო მექჳერწლა.

ლენჯა̈რა̈ ხოშა̈ლ ... გუნ **ლასკჳრათე̄'სგ'ა̄შყა̈დხ** ... „ლენჯერის უხუცესები მეტისმეტ საგონებელში („საფიქრალ⸢ის⸣კენში“) ჩაცვივდნენ („ჩავარდნენ“)“ (1) 68:32

ლალა̈მთე̄'სგ'ა̄ხჴა̈დჷნენა ← ლალა̈მთეჲსგა ახჴა̈დჷნენა ← ლალა̈მთეისგა ახჴა̈დჷნენა [ა+ა=ა̄]

ხუბუ⸢ს⸣ ... მა̄ნკჳი **ლალა̈მთე̄'სგ'ა̄ხჴა̈დჷნენა** ი ეჩეჩჳნ ჩჳალზიგე̄ლი „ხუბუ („ხუბუ-ს“) თავდაპირველად ლალამში მოსულა („შემონასვლელა“) და იქ დასახლებულა“ (1) 74:28

ლ'ა̄ლ'ა̄ ← ლი ალა, ა [ა+ა=ა̄]

ჯგგრა̈გ ... ლახჰჳედნა ⸢ფუსდს ი თა̄რინგზელს⸣: „მა̈ჲ ესერ ლ'ა̄ლ'ა̄“? — წმინდა გიორგი შეეკითხა თურმე („შენაკითხა“) უფალს და მთავრანგელოზს: „რა არისო ეს, აი“? (2) 88:40; 105:23

ნელართე̄'სგ'ა̄ჰრეხ ← ნელართეჲსგა აჰრეხ ← ნელართეისგა აჰრეხ [ა+ა=ა̄]

საფჳა̈რ გუნ ჲი ტეხნი, ეჩქას ალ საფჳა̈რს **ნელართე̄'სგ'ა̄ჰრეხ** ⸢მგჰრაჲა⸣ „საფუარი მეტისმეტად („ძალიან“) რომ აფუვდება („ამოვა“), მაშინ ამ საფუარს კასრში ჩაყრიან ხოლმე არყის გამომხდელები („მო-ა-არაყ-ე-ებ-ი“)“ (1) 134:29

ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას ← ქა ადზგგრისხ, ეჩქას [ა+ა=ა̄]

... ზურა̄ლ⸢ა̈რ⸣ ⸢ალას⸣ ... ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას ჲი ლუთჳედს ჲი იკედხ შგნთეჲა̄ნ ი ყ'ასდგჳიხ „ქალები ამას რომ დაამთავრებენ, მაშინ ამოხვეულს ხელში აიღებენ და დაწნავენ ხოლმე“ (1) 127:37

ქ'ა̄დსკინ'ა̄ლ ← ქა ადსკინე ალ [ა+ა=ა̄]

⸢ალ⸣ ოსპა̈რ ესნა̈რ ჲი, ჟორჟლა̄ნ, ი **ქ'ა̄დსკინ'ა̄ლ** ბოგქა „ამან („ეს“) ისკუპა („აფრინდა“) თურმე, ჟორჟოლიანმა („ჟორჟოლ-იან-ი“), და გადახტა („გადასკუპდა“, შდრ. ქართ. „ას-**კინ**-კილ-ა“) ამ ხიდზე (შდრ. იმერ. „**ბოგ**-ა“)“ (1) 72:28

ქ'ა̄ზგგრ'ე̄ჩქას ← ქა აზგგრე, ეჩქას [ა+ა=ა̄]

... მა̄რე ... ამჲა̄ნ ... **ქ'ა̄ზგგრ'ე̄ჩქას** ჲიქა̄ნ ფაჲჳს ხაგემ ⸢ალეს⸣ „ადამიანი („კაცი“) ასე რომ დაამთავრებს, მაშინ ზემოდან ქუდს ახურავს („ა-დგ-ამ-ს“) ამას“ (1) 119:5

ქ'ა̄ნსკინ'ე̄სნა̈რ ← ქა ანსკინე ესნა̈რ [ა+ა=ა̄]

ალ ზურა̄ლ⸢დ⸣ ... **ქ'ა̄ნსკინ'ე̄სნა̈რ** ჩალდა̈ჲხა̈ნქა ი ჩუქჳა̄ნ ყ'ესბა̈ჰკჳ „ეს („ამ“) ქალი („ქალმა“) გადმოხტა („გადმოსკუპდა“, შდრ. ქართ. „ას-**კინ**-კილ-ა“) თურმე აივნიდან (შდრ. ქართ. „**ჩარდახ**-ი“) და ქვემოთ დაასკდა“ (1) 62:27

ქ'ა̄ნგრჰ'ე̄რე ← ქა ანგრჰე, ერე [ა+ა=ა̄]

⸢ამნე̄მ⸣ ეჩეჲ̄ნ ქ'ა̄ნგრჰ'ე̄რე დაბა̈რ მგჲა̈რშა̄ლ იწჳე̄ნი „ამან ისე გაანათა ⸢იქაურობა⸣, რომ ყანები (შდრ. ძვ. ქართ. „**დაბ**-ა“) მზესავით („მზ-იან-ი-ვით“) ჩანდა („ჩანს“)“ (1) 53:34

ქჳა̈ბთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ[1] ← ქჳა̈ბთეჲსგა აჩა̈დ ← ქჳა̈ბთეისგა აჩა̈დ [ა+ა=ა̄]

აშხჳეჲნ[2] მიჩა ხეხჳ ა̈თჰა̈მ ი გუდ აჴა̈დ, მა̈ **ქჳა̈ბთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ** მიჩა ჰა̈შ „ერთხელაც („ერთზე“) თავისი („მისი“) მეუღლე („ცოლი“) უკან გაჰყვა და მიხვდა („გულ-ად მოვიდა“), თუ რომელ („რა“) გამოქვაბულში („ქვაბ-⸢ის⸣-კენ-ში“) შევიდა („წავიდა“) თავისი („მისი“) მეუღლე („კაც-ი“)“ (1) 79:11

ჩუქჳა̄ნთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ ← ჩუქჳა̄ნთეჲსგა აჩა̈დ ← ჩუქჳა̄ნთეისგა აჩა̈დ [ა+ა=ა̄]

---

[1] მოცემული შესიტყვება რთულ ელიზიურ კონსტრუქციას ქმნის (**ქჳაბთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ ← ქჳაბთეჲსგა აჩა̈დ**), იგივე ვითარება გვაქვს მომდევნო ელიზიური ფორმის შემთხვევაშიც (**ქჳა̄ბთე̄სგ'ჳნჩა̈დდ**), რომელიც ერთხელ გვხვდება „სვანური ენის ქრესტომათიაში“. ამ ფორმებთან აპოსტროფი გამოტოვებული იყო. ამის შესახებ მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

[2] „სვანური ენის ქრესტომათიაში“ კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს **აშხჳეჲ̄ნ**.

ლა̈ჲბინე̄დ ლი̄ზი ⌈ქრისდედ⌉ ი ლაპა̈ყდ ერხჷ **ჩუქჷა̄ნთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ** „გააგრძელა ისევ გზა („ისევ დაიწყო სვლა") იესო ქრისტემ და დასამალად ვერხვის ხიჩ ქვეშ შევიდა („წავიდა")" (1) 8:32

ჩჷარდ'ა̄მჟინ ← ჩუ არდა ამჟინ [ა+ა=ა̄]

ფექს ა̈გიხა̈ნ ა̈ჲა̄̈სგდა ი **ჩჷარდ'ა̄მჟინ** ლინთჷ ლეჟა-ლექჷა ჯა გარ დაჰა̈რცახა̈ნ „ფქვილი („ფქვილ-ს") შინიდან („ალაგ-იდან") მიჰქონდა („წაიღებდა") და ასე იყო („იმყოფებოდა") მთელი („ზემოთ-ქვემოთ") ზამთარი მარტოკა („თვითონ მარტო") თხებთან ერთად" (1) 23:19

ჰა̈ზჷთე̄'სგ'ა̄დო ← ჰა̈ზჷთეჲსგა, ადო ← ჰა̈ზჷთეისგა, ადო [ა+ა=ა̄]

აშხჷ მი̄შჷისგა ეჯ ზურა̄ლი დეშ ღგრდა ლაჰჷმი **ჰა̈ზჷთე̄'სგ'ა̄დო** ლაჰჷა̈მთე̄სგა ჰა̈დურდი̄ დეშ ა̈ბდა̈ჷდა „ერთი კვირის განმავლობაში („ერთ კვირაში") ის ქალიც ვერ შედიოდა („წავიდოდა") ეკლესიის („სალოცავის") ეზოში, თორემ ეკლესიაში („სალოცავში") სულ („მთლად⌈ა⌉ც") ვერ ბედავდა" (1) 40:15

ა+ა კომპლექსის შემთხვევაში გადამწყვეტია მეორე კომპონენტი, რომელიც მმართველის როლს ასრულებს, ე. ი. იგი დამძლევია, წინა დასაძლევი ანუ მაელიზირებელი არის მეორე კომპონენტი, ხოლო პირველი — ელიზირებული.

ამრიგად, როდესაც ბალსზემოურში გვაქვს იდენტური ხმოვნები ა+ა, თითქმის ყოველთვის გრძელ ა̄'ს იძლევა (ა+ა = ა̄), რაც ელიზიის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

ა+ა̈. ა+ა კომპლექსისაგან არ განირჩევა თავისი მოქმედების შედეგებით ა+ა̈ კომპლექსიც, რომელიც ბალსზემოურში ყოველთვის იძლევა ა̈̄'ს (ქალდანი 1953:195), რთული ელიზიური კონსტრუქციებიც სწორედ ამას ადასტურებენ. მაგ.:

გუჷ'ა̈̄ნდლ'ე̄სნა̈რ ← გუჷა ა̈ნდლი ესნა̈რ [ა+ა̈=ა̈̄]

გუჷ'ა̈̄ნდლ'ე̄სნა̈რ, ერე „ტიტი ... ესერ ... ჩჷა̈დდაგრი" — გუა ფიქრობს („ელოდება") თურმე ⌈იმას⌉, რომ „ტიტი („ტიტი-ო") მოკვდებაო (შდრ. ძვ. ქართ. „მე-დგ-არ-ი და და-დგ-რ-ომ-ა")" (1) 94:19

დილეგთე̄'სგ'ა̈̄გნა[1] ← დილეგთეჲსგა ა̈გნა ← დილეგთეისგა ა̈გნა [ა+ა̈=ა̈̄]

მეზგე ტყჷეს ... მურყჷმა̈ **დილეგთე̄'სგ'ა̈̄გნა** „ოჯახი („მოსახლე") ტყვეს კოშკის დილეგში სვამდა („ა-დგ-ამ-დ-ა")" (1) 70:9

ეჩე̄'სგ'ა̈̄რიხ ← ეჩეჲსგა ა̈რიხ ← ეჩეისგა ა̈რიხ [ა+ა̈=ა̈̄]

... ლა̈̄თშჷ **ეჩე̄'სგ'ა̈̄რიხ** ... ღჷაშა̈რ „ღამით იმაში არიან ჯიხვები" (1) 83:30

ეჩე̄'სგ'ა̈̄ყჷნეხ ← ეჩეჲსგა ა̈ყჷნეხ ← ეჩეისგა ა̈ყჷნეხ [ა+ა̈=ა̈̄]

სამ ი ო̄შთხჷ ფა̄ნუნლო ბეფშჷს ჰაკჷა̄ნთე იტხეხ ი **ეჩე̄'სგ'ა̈̄ყჷნეხ** „სამი-ოთხი დღე-ღამის შემდეგ ბავშვს აკვანში აბრუნებენ („იბრუნებენ") და იმაში აწვენენ" (1) 39:12

ლაჰკჷა̈რთე̄'სგ'ა̈̄მშყედხ ← ლაჰკჷა̈რთეჲსგა ა̈მშყედხ ← ლაჰკჷა̈რთეისგა ა̈მშყედხ [ა+ა̈=ა̈̄]

ქრისდიანა̈რ ი მიჩა მეცქჷილ აფხნეგა̈რ ... **ლაჰკჷა̈რთე̄'სგ'ა̈̄მშყედხ** „ქრისტიანები და თავისი („მისი") მოციქული ამხანაგები საგონებელში („სა-ჰკუ-ო-⌈ის⌉-კენ-ში") ჩავარდნილან" (1) 91:26

მიჩა-მიჩ'ა̈̄გით'ა̈̄ჲა̄̈სგდა ← მიჩა-მიჩა ა̈გითე ა̈ჲა̄̈სგდა [ა+ა̈=ა̈̄]

---

[1] „სვანური ენის ქრესტომათიაში", როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომაა, რადგანაც ბალსზემოურ მეტყველებაში რთული თანდებულის შიგნით (-თე̄'სგა < -თეჲსგა < -თეისგა), მორფემათა ზღვარზე, აუცილებლად ხდება ხმოვანთა შერწყმა და ასეთ შემთხვევაში აპოსტროფიც შესაბამის ადგილას უნდა იყოს წარმოდგენილი; **დილეგთე̄'სგ'ა̈̄გნა** ფორმის ნაცვლად ეწერა **დილეგთესგ'ა̈̄გნა**.

მეზგა̈ლ ტაბგა̈რს[1] ყი იკა̈დდახ ი **მიჩა-მიჩ'ა̈̄გით'ა̈̄ჲა̈̄სგდა** მა̈გ ი ეჩეჩუ იდჲარა̄ლხ „ოჯახები („მოსახლეები") ტაბლებს აიღებდნენ ხოლმე და თავ-თავის სახლში („ალაგ-ˆის˜-კენ") მიჰქონდა („წაიღებდა") ყველას („ყველა") და იქ ჭამდნენ („პურობენ")" (1) 17:17

უშკჷთე̄'სგ'ა̈̄ჲე̄სგი ← უშკჷთეჲსგა ა̈ჲე̄სგი ← უშკჷთეისგა ა̈ჲე̄სგი [ა+ა̈=ა̈̄]

ეჩქანღო ˆმეჯლა̈ჲე̄ლ˜ ... **უშკჷთე̄'სგ'ა̈̄ჲე̄სგი** ˆპინტს˜ ... „შემდეგ („მაშინს მერე") მკითხავი („მეკენჭე") პირთან მიიტანს ხოლმე ქსოვილის ნაჭერს" (1) 42:20

ქ'ა̈̄ნსგიდდ'ე̄სნა̈რ ← ქა ა̈ნსგიდდა ესნა̈რ [ა+ა̈=ა̈̄]

ალჲარე ზურა̄ლ **ქ'ა̈̄ნსგიდდ'ე̄სნა̈რ** ი ლა̈ხჭჷედდა ˆალ˜ ზურა̄ლˆს˜ „ამათმა („ამეების") ქალმა („ქალი") გამოიხედა თურმე და ჰკითხა ამ ქალს" (1) 65:27

სგ'ა̈̄დსკინ'ე̄სნა̈რ ← სგა ა̈დსკინე ესნა̈რ [ა+ა̈=ა̈̄]

... სორთმანდ ... ამეჩჷნ **სგ'ა̈̄დსკინ'ე̄სნა̈რ** ბა̄ჷთე̄'სგა „სორთმანი („**სორთმან-მა**") აქ

შევარდა („შეისკუპა", შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილა") თურმე კარავში" (1) 75:37

წარმოდგენილმა მაგალითებმა ცხადყო, რომ რთულ ელიზიურ კონსტრუქციებშიც იგივე ვითარება გვაქვს ა+ა̈ კომპლექსის შემთხვევაში, როგორიც მარტივ ფორმებში. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ბოლო კომპონენტი ა̈, რომელიც მის წინ მდგომ ა ხმოვანს იერთებს და სავსებით იმსგავსებს.

სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს ერთ შემთხვევაში:

პილა̈რთე̄'სგ'ა̈ჲე̄სგი ← პილა̈რთეჲსგა ა̈ჲე̄სგი ← პილა̈რთეისგა ა̈ჲე̄სგი [ა+ა̈=ა̈]

მეჯლა̈ჲე̄ლ ... ტჷეტს **პილა̈რთე̄'სგ'ა̈ჲე̄სგი** ი ხაყლე როგჷა̈ ითქა̈რს „მკითხავი („მეკენჭე") ხელს პირთან მიიტანს ხოლმე და ელაპარაკება („ეუბნება") ცერცვის მარცვლებს" (1) 42:5

ამ შემთხვევაში ა+ა̈ კომპლექსი არ იძლევა გრძელ ა̈̄'ს, მოსალოდნელი კი იყო დაგრძელება. რადგანაც ეს ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა ამ პოზიციაში[2] სიგრძის გარეშე, ამიტომ, ვფიქრობთ, რომ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე.

ა+ე = ე̄. ა+ე კომპლექსის ელიზიის ნიმუშები, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სვანური ენის ოთხივე კილოში მოიპოვება მარტივ ელიზიურ ფორმებში, მაგრამ, რადგანაც რთული ელიზიური კონსტრუქციები მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში დადასტურდა, ამიტომ აქ საუბარი იქნება სწორედ ბალსზემოურის მონაცემებზე. ა+ე=ე̄'ს, ამგვარად წარმოგვიდგება ბალსზემოურში:

ქ'ა̈̄ნსგიდდ'ე̄სნა̈რ ← ქა ა̈ნსგიდდა ესნა̈რ [ა+ე=ე̄]

ალჲარე ზურა̄ლ **ქ'ა̈̄ნსგიდდ'ე̄სნა̈რ** ი ლა̈ხჭჷედდა ˆალ˜ ზურა̄ლˆს˜ „ამათმა („ამეების") ქალმა („ქალი") გამოიხედა თურმე და ჰკითხა ამ ქალს" (1) 65:27

ალ'ე̄ჯდ'ე̄რე ← ალა ეჯდა, ერე [ა+ე=ე̄]

ალ'ე̄ჯდ'ე̄რე ბერ ლახე ჷერს იცჷმენი, ეჩქას ამნოჷშ ქ'ა̄ხკვნეხ „ეს იმიტომ, რომ თუ ფრთებიანი ფიცარი[3] მიწას იკრავს („ისმევს"), მაშინ ამით გაფხეკენ ხოლმე" (1) 117:21

ჷიბია̄ნშ'ე̄ჯდ'ო̄ხხჷი̄ტახ ← ჷიბია̄ნშა ეჯდა ოხხჷი̄ტახ [ა+ე=ე̄]

[1] ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში" ეს სიტყვა ასეა განმარტებული: 1. ტაბაკი, მაგიდა, სუფრა. 2. რელიგ. ტაბლა (სულებისათვის გაშლილი სუფრა).

[2] საუბარია „სვანური ენის ქრესტომათიის" მასალაზე.

[3] იგულისხმება კავის ფრთებიანი ფიცარი.

ლენჯა̈რა̈ ხოშა̈ლდ ... მეცქჷლა̈რს ლახტიხხ: „მინს ესერ **ჷიბია̄ნშ'ე̄ჯღ'ო̄ხხჷი̄ტახ**, ერე ფუსდ[1] მა̈დ ხა̈კჷდახ ...“ — ლენჯერის უხუცესებმა შუამავლებს („მო-ციქ-ულ-ებ-ს“) უპასუხეს („დაუბრუნეს“): „ჩვენ („მათო“) ვიბიანთი იმიტომ („იმისთვის“) ამოვწყვიტეთო („ამოუწყვეტიათ“, შდრ. ძვ. ქართ. **„ხუ-ეტ-ა“**), რომ ბატონი არ გვინდოდაო („სდომებიათ“)“ (1) 68:33

ამხა̄ჷთე̄'სგ'ე̄სგჷეჯნახ ← ამხა̄ჷთეჲსგა ესგჷეჯნახ ← ამხა̄ჷთეისგა ესგჷეჯნახ [ა+ე=ე̄]

ამხა̄ჷთე̄'სგ'ე̄სგჷეჯნახ ალ ზურა̄ლ „ამაში ჩაუსვენებიათ („ჩაუბრძანებიათ“) ეს ქალი“ (1) 98:31

ამხა̄ჷთე̄'სგ'ესწკატეხ[2] ← ამხა̄ჷთეჲსგა ესწკატეხ ← ამხა̄ჷთეისგა ესწკატეხ [ა+ე=ე]

ჯიჯჷა̈რ **ამხა̄ჷთე̄'სგ'ესწკატეხ** ი საფლა̈ჷ უშხჷა̄რ ლახტიხხ „ძვლები ამაში ჩააწყვეს და საფლავი ამოქოლეს („ერთმანეთს დაუბრუნეს“)“ (1) 106:21

იმ'ა̄რდ'ე̄ჩქას ← იმე არდა ეჩქას [ა+ე=ე̄]

კაბა̈ შორ ღალ იმ'ა̄რდ'ე̄ჩქას, ქანა̈ ფატნა̈რ ნა̈ქჷდახ „კაბის ხსენება („საწყალი“) სად იყო („იმყოფებოდა“) მაშინ, კანაფის პერანგები გვეცვა“ (1) 131:25

ჟ'ოხურდ'ე̄რე ← ჟი ოხურდა, ერე [ა+ე=ე̄]

ამის ხოჩა დი ხარდე̄ნა ი ეჯკა̈ლიბდ **ჟ'ოხურდ'ე̄რე** ლა̈თხჷჲართე უსგჷა ლგზა̈ჲ ლო̄ბა̄რა̈რს ხაშდრანჷნა ი ეჩჷე̄ნ ლუმფჷიშდინ ლა̈თხჷჲართე „ამას კარგი დედა ჰყოლია („ნამყოფა“) და ისე („იმ-**ჟალიბ-ად**“) გაუზრდია, რომ ექვსი წლისას სანადიროდ თასმებს („მი-სა-**ბმ**-ელ-ებ-ს“) უგრეხდა („ნაგრეხა“) და ისე უშვებდა თურმე („⌈გა⌉-ნა-**შვ**-ებ-ა“) სანადიროდ“ (1) 85:2

მა̈ნკჷ'ე̄ჯღ'ე̄რე ← მა̈ნკჷი, ეჯღა, ერე [ა+ე=ე̄]

ამჩიქქა ლემასგჷ ქა შა̄ლ ხოდგეხ ცხჷადჷს **მა̈ნკჷ'ე̄ჯღ'ე̄რე** ორა̈შდ ჟი დო̄სა ანტიხჷნას „ამასობაში („ამ დროზე“) ჯერ („პირველად“) ცეცხლს ოდნავ („ოდნავსავით“) ჩაუქრობენ ხოლმე საარაყე ქვაბს, იმიტომ („იმისთვის“), რომ თხლე[3] („ბუზალაყი“) არ გადმოვიდეს („აღებინოს“)“ (1) 135:17

სოფელთე̄'სგ'ე̄სერ ← სოფელთეჲსგა ესერ ← სოფელთეისგა ესერ [ა+ე = ე̄]

... გიედ ხა̈ქჷ ⌈სოფელს⌉: „მინე ფა̈მლ'ე̄სერ ა̈მჩედე̄ლი მესტჲათე, მარე **სოფელთე̄'სგ'ე̄სერ** მა̄მ ხო̄ზნა“ — გიემ უთხრა სოფელს: „ჩვენი („მათი“) მონა წავიდაო („წასულა“) მესტიაში, მაგრამ სოფელში არ შესულაო („უვლია“)“ (1) 99:20

ჩ'ოთგორჷ'ე̄ჩქას ← ჩუ ოთგორჷა, ეჩქას [ა+ე=ე̄]

ჟიბე პილი ლაგჷბანდა̄ჲ **ჩ'ოთგორჷ'ე̄ჩქას** თა̈კჷ ოთბა ⌈გიეს⌉ ი ეჯნოჷშ ლიჭედ ლოხჷბინა ჩუ „ბოლო („ზე-მო პირ-ი⌈ს⌉“) სართული რომ ჩაუხერგავს („ამოუქოლია“, შდრ. ქართ. **„გრ-ოვ-ა“**), მაშინ თოკი შეიბა თურმე („შე-უ-**ბ**-ამ-ს“) გიეს და იმითი დაუწყია ქვემოთ ჩამოსვლა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. **„ჴდ-ომ-ა“**)“ (1) 8:13

როგორც მაგალითებმა აჩვენა, ა+ე კომპლექსის პირველი კომპონენტი ერწყმის მომდევნო კომპონენტს და გრძელ ხმოვანს ვიღებთ. ამ შემთხვევაშიც კომპლექსის მეორე კომპონენტი აღმოჩნდა წარმმართველი.

---

[1] ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ეს ტერმინი [მისი ფონეტიკური ვარიანტებია: **ფუს** (ბზ.), **ფუს⌈ჷ⌉ნ** (ბზ., ლშხ.), **ფუსტ** (ლნტ.)] ასეა განმარტებული: 1. მეუფე, უფალი, ღმერთი. 2. ბატონი, მფლობელი, მბრძანებელი. 3. პატრონი, მესაკუთრე. 4. ბატონო (მიმართვის ფორმა).

[2] ელიზიის შედეგად მოსალოდნელი იყო გრძელი ხმოვნის მიღება (**ამხა̄ჷთე̄'სგ'ე̄სწკატეხ**). როგორც ჩანს, სიგრძე შემთხვევით არის გამორჩენილი.

[3] არყის გამოხდის შემდეგ ნარჩენი.

ა+ო = ო̄. „ა+ო კომპლექსი ელიზიურია, თუ ქა- და სგა-‖ისგა- პრევერბები ერთვის **ო** ხმოვნით დაწყებულ ზმნას. ეს წესი მტკიცედ არის გატარებული ბალსქვემოურ კილოში, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში წინა კომპონენტის შერწყმა ხდება მომდევნოსთან, რაც, როგორც წესი, **ო** ხმოვნის გაგრძელებას იწვევს“ (ქალდანი 1953:200). „თუმცა ა+ო ხმოვანთა კომპლექსი შედარებით იშვიათად იქმნება, რადგან ცოტაა ო- ხმოვნით დაწყებული ლექსიკური ერთეულები“ (გაზდელიანი 1999:89). რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში ა+ო კომპლექსის თითოოროლა მაგალითი დადასტურდა ბალსზემოურ დიალექტში, სადაც მომდევნო **ო** ხმოვანი დაგრძელებულია:

მგქაშე̄რთე̄'სგ'ო̄თო̄ტჳახ ← მგქაშე̄რთეჲსგა ოთო̄ტჳახ ← მგქაშე̄რთეისგა ოთო̄ტჳახ [ა+ო=ო̄]

მე̄რმა̈ლს **მგქაშე̄რთე̄'სგ'ო̄თო̄ტჳახ** ი ეჯ̈ჲა̈რმგყ ათპეჲახ ჩუ „სხვები („მე-ორ-ე-ებ-ს“) მუქასანთან („მუქასანთანში, მუქასანკენში“) გაქცეულან და მათთან („იმეებთან“) დამალულან“ (1) 76:35

ჩო̄ლირთე̄'სგ'ო̄ჩა̈დდ ← ჩო̄ლირთეჲსგა ოჩა̈დდ ← ჩო̄ლირთეისგა ოჩა̈დდ [ა+ო=ო̄]

ამ ლე̄თ **ჩო̄ლირთე̄'სგ'ო̄ჩა̈დდ** ი ამეჩჳნ ... ჩჳა̈თჳსადგჳმა̈ნდ „იმ („ამ“) საღამოს („ღამე“) ჩოლურში შევედით („წავედით“) და აქ დავბინავდით („და-ვ-ი-სა-დგ-ომ-ეთ“)“ (1) 149:14

ჳიბია̈ნშ'ე̄ჯ̈ლ'ო̄ხხჳი̄ტახ ← ჳიბია̈ნშა ეჯ̈ლა ოხხჳი̄ტახ [ა+ო=ო̄]

ლენჯ̈ა̈რა̈ ხოშა̈ლდ ... მეცქჳლა̈რს ლახტიხხ: „მინს ესერ **ჳიბია̈ნშ'ე̄ჯ̈ლ'ო̄ხხჳი̄ტახ**, ერე ფუსდ მა̈დ ხა̈კჳდახ ...“ — ლენჯერის უხუცესებმა შუამავლებს („მო-ციქ-ულ-ებ-ს“) უპასუხეს („დაუბრუნეს“): „ჩვენ („მათო“) ვიბიანი იმიტომ („იმისთვის“) ამოვწყვიტეთო („ამოუწყვეტიათ“, შდრ. ძვ. ქართ. „**ხუ-ეტ-ა**“), რომ ბატონი არ გვინდოდაო („სდომებიათ“)“ (1) 68:33

როგორც ვხედავთ, ა+ო კომპლექსი სამივე შემთხვევაში გრძელ **ო**'ს გვაძლევს და იგი ცვლილებებს განიცდის არა მხოლოდ მაშინ, როცა ქა- და სგა-‖ისგა- პრევერბები ერთვის **ო** ხმოვნით დაწყებულ ზმნას, არამედ მაშინაც, როცა ხმოვნით დაბოლოებული სხვა რომელიმე ლექსემა (მაგ.: ზმნიზედა, თანდებული) ერთვის **ო**- თავკიდურხმოვნიან ლექსემას ბალსზემოურში. ამ კილოში ყველა შემთხვევაში (ა+ო) მომდევნო **ო**- ხმოვანი გრძელდება. გამოდის, რომ აქაც კომპლექსის მეორე კომპონენტი არის მაელიზირებელი, წინა — ელიზირებული.

ე+ე = ე̄. „სვანური ენის ქრესტომათიის“ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ე+ე კომპლექსი რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში თითქმის ყოველთვის გრძელ ე̄'ს იძლევა, მაგ.:

ქ'ა̈ნგრჰ'ე̄რე ← ქა ანგრჰე, ერე [ე+ე=ე̄]

⌜ამნე̄მ⌝ ეჩეჲ̄ნ **ქ'ა̈ნგრჰ'ე̄რე** დაბა̈რ მგჟა̈რშა̈ლ იწჳე̄ნი „ამან ისე გაანათა ⌜იქაურობა⌝, რომ ყანები (შდრ. ძვ. ქართ. „დაბ-ა“) მზესავით („მზ-იან-ი-ვით“) ჩანდა („ჩანს“)“ (1) 53:34

ჟ'ა̈ნმეჴრ'ე̄სნა̈რ ← ჟი ა̈ნმეჴრე ესნა̈რ [ე+ე=ე̄]

... ალ ამბა̈ჳ ეშე̄ **ჟ'ა̈ნმეჴრ'ე̄სნა̈რ** უშგჳლა̈ მახჳშიდ „ეს ამბავი მაინც გაიგო თურმე უშგულის ბატონმა („ხ-უ-ც-ეს-მა)“ (1) 62:34

ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ ← ჟი ანტაბე ესნა̈რ [ე+ე=ე̄]

ალა̈მი რა̈ტია̈ნ⌜დ⌝ **ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ** ეშდ ჯ̈იჰრა̈ თალ ი ეშხუ ჯ̈იჰრა̈ წირო̄ლ „ალამი რატიანმა გამოთალა თურმე ათი მუხის სოლი და ერთი მუხის ურო“ (1) 71:21

ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ ← ქრისდე ესღრი ესნა̈რ [ე+ე=ე̄]

სგჳებინ **ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ** ლა̈ჰმუშ ი ჳეშგიმ ჳირჲა̈ჲა̈რ ესღჳიჰხ „წინ იესო ქრისტე მიდის თურმე სირბილით და უკან ურიები მისდევენ“ (1) 8:28

სგ'ა̈̄დსკინ'ე̄სნა̈რ ← სგა ა̄დსკინე ესნა̈რ [ე+ე=ე̄]

... სორთმანდ ... ამეჩუ̂ნ **სგ'ა̈̄დსკინ'ე̄სნა̈რ** ბა̄ფთე̄'სგა „სორთმანი („**სორთმან-მა**") აქ შევარდა („შე-ისკუპა", შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილ-ა") თურმე კარავში" (1) 75:37

ქ'ა̈ნსკინ'ე̄სნა̈რ ← ქა ანსკინე ესნა̈რ [ე+ე=ე̄]

ალ ზურა̄ლ˹დ˺ ... ქ'ა̈ნსკინ'ე̄სნა̈რ ჩალდა̈ყხა̈ნქა ი ჩუქჷა̈ნ ჟ'ესბა̈ჳკჷ „ეს ქალი გადმოხტა („გადმო-სკუპდა, შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილ-ა") თურმე აივნიდან (შდრ. ქართ. „**ჩარდახ-ი**") და ქვემოთ დაასკდა" (1) 62:27

ქ'ა̄ზგგრ'ე̄ჩქას ← ქა აზგგრე, ეჩქას [ე+ე=ე̄]

... მა̄რე ... ამჟჷნ ... ქ'ა̄ზგგრ'ე̄ჩქას ჟიქა̈ნ ფაყჷს ხაგემ ˹ალეს˺ „ადამიანი („კაცი") ასე რომ დაამ-თავრებს, მაშინ ზემოდან ქუდს ახურავს („ა-დგ-ამ-ს") ამას" (1) 119:5

მ. ქალდანის მოსაზრების თანახმად, **ე+ე** კომპლექსის შემთხვევაში ბალსქვემოურში უკვალოდ იკარგება კომპლექსის წინა კომპონენტი (მაგ.: **იმთ'ესღრიდ ← იმთე ესღრიდ** „საით მიხვალთ", **ათხ'ემწ̌გხგნ ← ათხე ემწ̌გხგნ** „ახლა დამჭირდა" და სხვ.), ხოლო ბალსზემოურში ელიზიის ნიმუშებს მხოლოდ პოეზიაში ვხვდებით (მუგჷდა წა̈წ̌ყულდ **მად'ემდენე** — თითქოს არც (კი) დამიწ̌კმუტუნა [ყურშამ]") (1953, 195). როგორც ზემოთ დასახელებულმა მაგალითებმა გვიჩვენეს, **ე+ე** კომპლექსშიც მომდევნო -ე იერთებს წინამავალ იდენტურ ხმოვანს და თვითონ გრძელდება.

„**ე+ე** კომპლექსი განსაკუთრებით ხშირად იქმნება -ე ბოლოხმოვნიან ფუძეებთან **ესნა̈რ** „თურმე" და სხვათა სიტყვის **ესერ** „ო" ნაწილაკების, აგრეთვე **ერე** „რომ" კავშირი და განუსაზღვრელობითი ნა-ცვალსახელი „ვიღაც" ლექსემის შეხვედრის დროს, რაც იწვევს თავკიდური **ე** ხმოვნის სიგრძეს" (გაზდე-ლიანი 1999:87).

ე+ე კომპლექსის შემთხვევაში თითქმის ყოველთვის ხდება ხმოვანთა შერწყმა. თუმცა **ე+ე** კომ-პლექსის უელიზიო შემთხვევებიც მოიპოვება ბალსზემოურ დიალექტში, ოღონდ მარტივ ელიზიურ ფორმებში.

ფორმათა სიუხვე იმაზე მეტყველებს, რომ **ე+ე** კომპლექსის გამარტივებული ფორმები გაბატონე-ბულია სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში. აქაც მმართველის როლს ასრულებს კომპლექსის მეო-რე კომპონენტი.

ე+ა. როგორც მ. ქალდანი აღნიშნავს, „ეს კომპლექსი ელიზიური მხოლოდ ზემოსვანურშია, ხო-ლო ქვემოსვანურში იგი უელიზიოთა რიგში ექცევა" (ქალდანი 1953:199). ამასთანავე, „ამ კომპლექსი-სათვის უელიზიო ფორმები ბალსქვემოურში მცირე რაოდენობით მოიძებნება და ისიც, როგორც ეს შემოწმებით ირკვევა, კარნახით ჩაწერის შედეგია. ბალსზემოურში იშვიათად ვხვდებით **ე+ა** კომპლექ-სის ელიზიის შემთხვევას და არა ხმოვანთა შერწყმას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო" (იქვე).

ე. გაზდელიანის საკანდიდატო ნაშრომში „ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურ ენაში" ცალკე თავად არის წარმოდგენილი „ხმოვნის სიგრძე ბოლოხმოვნიან და თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედ-რის დროს ბალსზემოურ დიალექტში", სადაც კომპლექსის წინა ხმოვანი უმეტესად დაკარგულია, ხო-ლო მომდევნო ხმოვანი კი — გრძელი (გაზდელიანი 1999:87). მისი აზრით, „როცა -ე ბოლოხმოვნიან სიტყვას მოსდევს -ა, -ა̈ და -ო თავკიდურხმოვნიანი სიტყვა, წინა ე ხმოვანი ერწყმის მომდევნო ხმოვნებს და აგრძელებს მათ: **ე+ა** = ა̄, **ე+ა̈** = ა̈̄, **ე+ო** = ო̄ (იქვე: 89-90)". ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა მხო-ლოდ რთულ ელიზიურ ფორმებში დაფიქსირებული **ე+ა** კომპლექსი. მაგალითები დაიძებნა მხოლოდ ბალსზემოურ დიალექტში, კერძოდ, „სვანური ენის ქრესტომათიაში". ნიმუშად მოგვყავს ერთი მაგალი-თი „პროზაული ტექსტებიდან":

იმ'ა̄რდ'ე̄ჩქას ← იმე არდა ეჩქას [ე+ა = ა̄]

კაბა̈ შორ ღალ **იმ'ა̄რდ'ე̄ჩქას**, ქანა̈ ფატნა̈რ ნა̈ქუ̂დახ „კაბის ხსენება („საწყალი“) სად იყო („იმყოფებოდა“) მაშინ, კანაფის პერანგები გვეცვა“ (1) 131:25

ქ'ა̄დსკინ'ა̄ლ ← ქა ადსკინე ალ [ე+ა = ა̄]

⌈ალ⌉ ოსპა̈რ ესნა̈რ ჟი, ჟორჟლა̄ნ, ი **ქ'ა̄დსკინ'ა̄ლ** ბოგქა „ამან („ეს“) ისკუპა („აფრინდა“) თურმე, ჟორჟოლიანმა („ჟორჟოლ-იან-ი“), და გადახტა („გადასკუპდა“, შდრ. ქართ. „ა-სკინ-კილა“) ამ ხიდზე (შდრ. იმერ. „ბოგ-ა“)“ (1) 72:28

ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄ ← ჟი ა̈ნთხე ალა, ა [ე+ა = ა̄]

... ჰყინტდ ... **ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄**, ლა̈ჩუ̂, ი ესღრი ... „ბიჭმა იპოვა ეს, აი, ირემი, და მიდის (სვ. პროზ.)“ (1) 250:29

როგორც მაგალითებმა აჩვენეს, ე+ა კომპლექსის შემთხვევაშიც მეორე კომპონენტია დამძლევი, იგი წინა კომპონენტს იმსგავსებს და ხდება ხმოვანთა შერწყმა.

ე+ი. ე+ი კომპლექსი განსხვავებულად არის წარმოდგენილი სვანური ენის დიალექტებში. იგი ბალსქვემოურ დიალექტში თითქმის ყოველთვის ელიზიის გარეშე გვხვდება, მაგ.: **ეშთელისგ'ა̈თჭედჳნ** < **ეშ+თე+ლ+ისგა ა̈თჭედჳნ** „იქ („იმაში“) მოხვდა („შევიდა“)“, **ეშთელისგ'ესხრი** < „**ეშ+თე+ლ+ისგა ესხრი**“, **ეჩეისგ'ა̈რი** < **ეჩე+ისგა ა̈რი** „იმაში არის“, **ეჩეისგ'ესერ** < **ეჩე+ისგა ესერ** „იმაშიო“, **ლარდილთეისგ'ადგენეხ** < **ლარდ+ილ+თე+ისგა ადგენეხ** „ოთახში („სამყოფში“) ჩაამწყვდიეს („დააყენეს“, „და-დგ-ეს“)“, **ღერმათთეისგ'აჩად** < **ღერმათ+თე+ისგა აჩად** „ღმერთთან შევიდა („წავიდა“)“ და სხვ., თუმცა გრძელხმოვნიან დიალექტებში, როცა ბოლოხმოვნიან ფუძეს დაერთვის ბზ. **-ისგა**, ლ'მხ. **-ისა** „ში“ თანდებული, მაშინ ბალსზემოურ დიალექტში (გრძელი ხმოვნის წარმოქმნის შემთხვევები მხოლოდ ე+ი კომპლექსში დასტურდება) კომპლექსი იშლება სრული შერწყმის გზით **ე+ი = ე̄** (**ეჩხაუ̂თე̄სგა** < ***ეჩხაუ̂+თე+ისგა**), ხოლო, ამავე პოზიციაში, ლაშხურ დიალექტში, შეიძლება შეიქმნას **ა+ი = ა̄ჲ: ყია̄ჲსა** (<***ყია+ისა**) „ყელში“; **ე+ი = ეჲ: მე̄რმე̄ჲსა** (<***მერმე+ისა**) „მეორეში“; **ი+ი=ი̄ჲ: ში̄ჲსა** (<***ში+ისა**) „ხელში“; **ო+ი = ო̄ჲ: თო̄ჲსა** (<***თო+ისა**) „თვეში“; **უ+ი = უ̄ჲ: ფაუ̄ჲსა** (<***ფაუ+ისა**) „ჯოხში“, როგორც აქედან ჩანს, ხმოვანთკომპლექსის მოშლა ხდება დიფთონგიზაციის გზით და ხმოვნის დაგრძელების მიმართულება რეგრესულია (გაზდელიანი 1999:69-71).

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ **ე+ი = ე̄** ამისი უამრავი მაგალითი დაიძებნა და წესი თითქმის არც ერთ მაგალითში არ არის დარღვეული. მაგ.:

ამე̄'სგ'ე̄სერ ← ამეჲსგა ესერ ← ამეისგა ესერ [ე+ი = ე̄]

ამე̄'სგ'ე̄სერ თათრიანობჟე̄ნ შუ̂ა̈ნს ხუ̂ა̈ჲ გა̈ნზ ოთშხუნა „ამაში („ამაშიო“) თათრიანობის დროს („თათრიანობაზე“) სვანეთს ბევრი (შდრ. „ხვავ-ი“) განძი შეუნახავსო“ (1) 92:21

ამხა̄უ̂თე̄'სგ'ა̄ჩა̈დხ ← ამხა̄უ̂თეჲსგა აჩა̈დხ ← ამხა̄უ̂თეისგა აჩა̈დხ [ე+ი = ე̄]

ამხა̄უ̂თე̄'სგ'ა̄ჩა̈დხ ქუ̂ერწლა̈რ „ამაში შევიდნენ მექორწილეები („ქორ-წილ-ებ-ი“)“ (1) 155:27

ამხა̄უ̂თე̄'სგ'ე̄სგუ̂ეჯნახ ← ამხა̄უ̂თეჲსგა ესგუ̂ეჯნახ ← ამხა̄უ̂თეისგა ესგუ̂ეჯნახ [ე+ი = ე̄]

ამხა̄უ̂თე̄'სგ'ე̄სგუ̂ეჯნახ ალ ზურა̄ლ „ამაში ჩაუსვენებიათ („ჩაუბრძანებიათ“) ეს ქალი“ (1) 98:31

ამხა̄უ̂თე̄'სგ'ესწკატეხ ← ამხა̄უ̂თეჲსგა ესწკატეხ ← ამხა̄უ̂თეისგა ესწკატეხ [ე+ი = ე̄]

ჯიჯჷა̈რ **ამხა̈ჷთე̄'სგ'ესწკატეჳ** ი საფლა̈ჷ უშხჷა̈რ ლახტიხხ „ძვლები ამაში ჩააწყვეს და საფლავი ამოქოლეს („ერთმანეთს დაუბრუნეს“)“ (1) 106:21

ა̈გითე̄'სგ'ა̈ხჷრჳე̄ლეჳ ← ა̈გითეჳსგა ახჷრჳე̄ლეჳ ← ა̈გითეისგა ახჷრიე̄ლეჳ [ე+ი = ე̄]

ეჩქანღო ... ლუნჩჷრა̈რს აშხჷ **ა̈გითე̄'სგ'ა̈ხჷრჳე̄ლეჳ** ზურალა̈რ ... „მერე („მაშინს მერე“) ძნებს ერთ ადგილას („ალაგ-ი⌐ს⌝-კენ-ში“) შეაგროვებენ ხოლმე ქალები“ (1) 119:1

გელაშე̄რთე̄'სგ'ა̈თჩეშა ← გელაშე̄რთეჳსგა ათჩეშა ← გელაშე̄რთეისგა ათჩეშა [ე+ი = ე̄]

ალა̈მი რა̈ტია̈ნ⌐ს⌝ ახლჷეჭა ფა̈და̈ს, მარე ჯა **გელაშე̄რთე̄'სგ'ა̈თჩეშა** „ალამი რატიანს გამოკიდებია მდევარი, მაგრამ მას („თვითონ“) გელასანთან („გელა-ს-ან-თან-ში, გელა-ს-ან-⌜ის⌝კენ-ში“) შეუსწრია“ (1) 71:27

დუქჷა̈ნთე̄'სგ'ა̈ჩა̈დ ← დუქჷა̈ნთეჳსგა აჩა̈დ ← დუქჷა̈ნთეისგა აჩა̈დ [ე+ი = ე̄]

მგქშა̈გ ... **დუქჷა̈ნთე̄'სგ'ა̈ჩა̈დ** „ჩერქეზი (შდრ. ქართ. „ქაშაგ-ი“) დუქანში შევიდა“ (1) 80:10

ეჩე̄'სგ'ა̈რიჳ ← ეჩეჳსგა ა̈რიჳ ← ეჩეისგა ა̈რიჳ [ე+ი = ე̄]

... ლა̈თშჷ **ეჩე̄'სგ'ა̈რიჳ** ... ლჷაშა̈რ „ღამით იმაში არიან ჯიხვები“ (1) 83:30

ლარდა̈ლთე̄'სგ'ა̈დჳეჳ ← ლარდა̈ლთეჳსგა ადჳეჳ ← ლარდა̈ლთეისგა ადჳეჳ [ე+ი = ე̄]

ოთარშა **ლარდა̈ლთე̄'სგ'ა̈დჳეჳ** ⌜ყა̈რჩა̈ლდ⌝ „ოთარისანი საცხოვრებელ სახლში („სამყოფებ⌜ის⌝კენში“) წაიყვანეს („წაიღეს“) ყაბარდოელებმა („ყარაჩა-ელ-ებ-მა“)“ (1) 95:6

ლაჰკჷა̈რთე̄'სგ'ა̈მშყედჳ ← ლაჰკჷა̈რთეჳსგა ა̈მშყედჳ ← ლაჰკჷა̈რთეისგა ა̈მშყედჳ [ე+ი = ე̄]

ქრისდიანა̈რ ი მიჩა მეცქჷილ აფხნეგა̈რ ... **ლაჰკჷა̈რთე̄'სგ'ა̈მშყედჳ** „ქრისტიანები და თავისი („მისი“) მოციქული ამხანაგები საგონებელში („სა-ჰკუ-ო-⌜ის⌝-კენ-ში“) ჩავარდნილან“ (1) 91:26

მგჷა̈ლთე̄'სგ'ე̄ში ← მგჷა̈ლთეჳსგა ეში ← მგჷა̈ლთეისგა ეში [ე+ი = ე̄]

⌐სორთმან⌝ ... **მგჷა̈ლთე̄'სგ'ე̄ში** სგ'ა̈მჴედე̄ლი „სორთმანი მუყალში მაინც შემოსულა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ჴდ-ომ-ა“)“ (1) 76:1

მგქაშე̄რთე̄'სგ'ო̄თო̄ტჷახ ← მგქაშე̄რთეჳსგა ოთო̄ტჷახ ← მგქაშე̄რთეისგა ოთო̄ტჷახ [ე+ი = ე̄]

მე̄რმა̈ლს **მგქაშე̄რთე̄'სგ'ო̄თო̄ტჷახ** ი ეჯჳა̈რმგყ ათპეყახ ჩუ „სხვები („მე-ორ-ე-ებ-ს“) მუქასანთან („მუქა-ს-ან-თან-ში“, „მუქა-ს-ან-⌜ის⌝-კენ-ში“) გაქცეულან და მათთან („იმეებთან“) დამალულან“ (1) 76:35

ნელართე̄'სგ'ა̈ჰრეჳ ← ნელართეჳსგა აჰრეჳ ← ნელართეჳსგა აჰრეჳ [ე+ი = ე̄]

საფჷა̈რ გუნ ყი ტეხნი, ეჩქას ალ საფჷა̈რს **ნელართე̄'სგ'ა̈ჰრეჳ** ⌜მგჰრაყა⌝ „საფუარი მეტისმეტად („ძალიან“) რომ აფუვდება („ამოვა“), მაშინ ამ საფუარს კასრში ჩაყრიან ხოლმე არყის გამომხდელები („მო-ა-არაყ-ე-ებ-ი“)“ (1) 134:29

სოფელთე̄'სგ'ე̄სერ ← სოფელთეჳსგა ესერ ← სოფელთეისგა ესერ [ე+ი = ე̄]

... გიედ ხა̈ქჷ ⌐სოფელს⌝: „მინე ფა̈მლ'ე̄სერ ა̈მჩედე̄ლი მესტჳათე, მარე **სოფელთე̄'სგ'ე̄სერ** მა̈მ ხო̄ზნა“ — გიემ უთხრა სოფელს: „ჩვენი („მათი“) მონა წავიდაო („წასულა“) მესტიაში, მაგრამ სოფელში არ შესულაო („უვლია“)“ (1) 99:20

ჩო̄ლირთე̄'სგ'ო̄ჩა̈დდ ← ჩო̄ლირთეჳსგა ოჩა̈დდ ← ჩო̄ლირთეისგა ოჩა̈დდ [ე+ი = ე̄]

ამ ლე̄თ **ჩო̄ლირთე̄'სგ'ო̄ჩა̈დდ** ი ამეჩუნ ... ჩჷა̈თჷსადგჷმა̈ნდ „იმ („ამ“) სალამოს („ღამე“) ჩოლურში შევედით („წავედით“) და აქ დავბინავდით („და-ვ-ი-სა-დგ-ომ-ეთ“)“ (1) 149:14

ამრიგად, მრავალი ისეთი მაგალითი გამოვლინდა „სვანური ენის ქრესტომათიაში", რომლებშიც რთული თანდებულის შიგნით ხდება ხმოვანთცვლილებები. როგორც ს. ჟღენტი აღნიშნავდა: „ზოგჯერ ფუძისეული ან თანდებულისეული **ი** ხმოვნობას კარგავს, თვითონ **ჷ**'ოტად იქცევა და გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს". იგი -**ისგა** თანდებულის დართვის შედეგად მიღებული სიგრძის სამიოდე მაგალითს ასახელებს: ბზ. **კიბდუ̈ენთე̄სგა** „კიდობანში", **ამე̄სგა** „ამაში" და ლშხ. **გუ̈ჷსა** „გულში" (ჟღენტი 1949:75-76).

ჩვენი აზრით, **თე̄'სგა** < **თე+ჷსგა** < **თე+ისგა**.

ე+ი = **ეჷ** < **ე̄**. **ე+ი** პოზიციაში მმართველის როლს ასრულებს კომპლექსის წინა კომპონენტი, რომელსაც ამ შემთხვევაში მორფოლოგიური დატვირთვა აქვს.

ე+ი კომპლექსის შექმნის სიხშირეს გრძელხმოვნიან დიალექტებში განაპირობებს სწორედ ის, რომ მარტივი -**ისგა**, -**ისა** თანდებულების წინ სახელს ხშირად დაერთვის -**თე** „კენ" თანდებული, რის შედეგადაც ბალსზემოურში ვიღებთ -**თე̄სგა**, ხოლო ლაშხურში -**თე̄ჷსა** რთულ თანდებულებს (გაზდელიანი 1999:70).

ე+ო. როდესაც ბალსზემოურში **ე**'ზე დამთავრებულ სიტყვას **ო**'ზე დაწყებული სიტყვა მოსდევს, მაშინ ხდება წინა კომპონენტის შერწყმა მომდევნოსთან, რაც **ო** ხმოვნის სიგრძეს იწვევს. მაგ.:

ეჩქანღუ̈'ჰ̈გით'ო̄ხჴი̄დახ ← **ეჩქანღუ̈ე ჰ̈გითე ოხჴი̄დახ** [**ე+ო** = **ო̄**]

ალ ხა̈ტ ... **ეჩქანღუ̈'ჰ̈გით'ო̄ხჴი̄დახ** იფა̈რა̈რს „ეს ხატი მერე შინ („ალაგ-ʻისʼ-კენ") მოუტანიათ იფარელებს" (1) 89:26

როგორც ვხედავთ, **ე** შეერწყა **ო** ხმოვანს და დააგრძელა. **ე+ო** კომპლექსის მეტი მაგალითი, რთული ელიზიური კონსტრუქციებისა, ვერ დავადასტურეთ „სვანური ენის ქრესტომათიაში".

ი+ი. **ი+ი** კომპლექსის ელიზიის ორიოდე ნიმუში გამოვლინდა „სვანური ენის ქრესტომათიაში" და ისიც ბალსქვემოურ დიალექტში. არცერთ სხვა დიალექტში **ი+ი** კომპლექსის ელიზია არ დადასტურებულა[1], ისე კი მარტივი **ი+ი** კომპლექსის ელიზია ფართოდაა გავრცელებული სვანური ენის სამ დიალექტში (ბალსზემოურში, ბალსქვემოურსა და ლაშხურში), მათ შორის ყველაზე მეტი ნიმუშები გვხვდება ბალსქვემოურ დიალექტში. ამ დიალექტში ერთმანეთის პარალელურად გვაქვს როგორც ელიზიური, ასევე უელიზიო ფორმებიც (საღლიანი 2001:190-191). რაც შეეხება ლენტეხურს, იქ, მართალია, „სვანური ენის ქრესტომათიის" მიხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს **ი+ი** კომპლექსის ელიზია არ ხდება, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, უაპოსტროფო **ჟიუ̈** ტიპის ფორმათა გამოვლენა ლენტეხურ ნაწილში, უკვე მის ელიზიურობაზე მეტყველებს.

ი+ი კომპლექსის ელიზიის ნიმუშები, როგორც უკვე ითქვა, რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში, მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დადასტურდა. მაგ.:

ს'იმჟ'ამურტყუ̈ინე ← **სი იმჟი ამურტყუ̈ინე** [**ი+ი** = **ი**]

ʻთხერედ ხა̈ქუ̈ე ქათლადა̈ ნა̈ბჯულსʼ: „**ს'იმჟ'ამურტყუ̈ინე**, ქათლადა̈ ნა̈ბჯულ, მ'აჯურტყუ̈ინ'ედო̄?" — მგელმა უთხრა ნახევარქათამას: „შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარქათამავ, მე გადაგყლაპავ, თორემ?" (1) 211:7

ესხრ'-ესხრ'ი ← **ესხრი, ესხრი ი** [**ი+ი** = **ი**]

ʻქათლადა̈ ნა̈ბჯულʼ **ესხრ'-ესხრ'ი** ი თხერე ლახხუ̈იდდა „ნახევარქათამა მიდის, მიდის და მგელი შეხვდა" (2) 211:6, 8

---

[1] ვგულისხმობთ რთულ ელიზიურ კონსტრუქციებს.

ს'იმჟ'ემწინი ← სი იმჟი ემწინი „შენ როგორ მომერევი", **ს'იმჟ'ამშდგმის ← სი იმჟი ამშდგმის** „შენ როგორ დამათრობ", **ს'იმჟ'ამდაგრინე ← სი იმჟი ამდაგრინე** „შენ როგორ მომკლავ" და ა. შ. (ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალებიდან).

როგორც ვნახეთ, აღნიშნულ მაგალითებში ხმოვანთა შერწყმა კი არ მოხდა, არამედ წინა ხმოვანი დაიკარგა უკვალოდ. ე. ი. იდენტურ **ი+ი** კომპლექსის შემთხვევაში გვაქვს რეგრესულ გავლენაზე დამყარებული ელიზია.

ბალსზემოურ დიალექტში **ი+ი** კომპლექსის შემცველი რთული ელიზიური კონსტრუქციები არ შეგვხვედრია.

ი+ა. როდესაც გვაქვს **ი+ა** კომბინაცია, მაშინ, როგორც წესი, ამ კომპლექსის ელიზია სვანური ენის ყველა კილოში იძლევა უმეტეს შემთხვევაში **ა**'ს. „ჩვეულებრივია, რომ **ჟი-** „ზე" პრევერბს **ა** ხმოვნით დაწყებული ზმნის წინ ეკვეცება პრევერბისეული **ი** სვანური ენის ოთხივე კილოში" (ქალდანი 1953:199). რაღა თქმა უნდა, უელიზიო ფორმებიც გვხვდება. საერთოდ „**ი+ა** ხმოვანთა კომპლექსს ყველა სხვა კომპლექსზე მეტად ახასიათებს ელიზია სვანური ენის ყველა დიალექტში" (გაზდელიანი 1999:90). ბალსზემოურში რთულ კონსტრუქციებში (**ი+ა** კომბინაციაში) **ა** თითქოს არსად არ გრძელდება, თუმცა თითოოროლა მაგალითი **ა** ხმოვნის დაგრძელებისა „სვანური ენის ქრესტომათიაშიც" დადასტურდა და „სვანური პროზაული ტექსტების" პირველ ტომშიც, როგორც რთულ, ასევე მარტივ ფორმებში. მაგ.: **ჟ'ა̄ნგენი ←** ჟი ანგენი (სვან. ქრესტ., 91:29), **ჟ'ა̄ნბგრჯეხ ←** ჟი ანბგრჯეხ (სვან. ქრესტ., 106:18), **ჟ'ა̄ჴნიხ ←** ჟი აჴნიხ (სვან. ქრესტ., 121:25) და ა. შ.

რთულ ელიზიურ ფორმებში **ი+ა** კომპლექსის ორი მაგალითი შეგვხვდა ბალსქვემოურ დიალექტში. მაგ.:

ს'იმჟ'ამურტყჷინე ← სი იმჟი ამურტყჷინე [ი+ა = ა]

ˈთხერედ ხäქჲე ქათლადä ნäბჳულსˈ: „**ს'იმჟ'ამურტყჷინე**, ქათლადä ნäბჳულ, მ'აჯურტყჷინ' ედო?" — მგელმა უთხრა ნახევარქათამას: „შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარქათამავ, მე გადაგყლაპავ, თორემ?" (1) 211:7

მ'აჯურტყჷინ'ედო ← მი აჯურტყჷინე, ედო [ი+ა = ა]

ˈთხერედ ხäქჲე ქათლადä ნäბჳულსˈ: „ს'იმჟ' ამურტყჷინე, ქათლადä ნäბჳულ, **მ'აჯურტყჷინ'ედო?**" — მგელმა უთხრა ნახევარქათამას: „შენ როგორ გადამყლაპავ, ნახევარ ქათამავ, მე გადაგყლაპავ, თორემ?" (1) 211:7

როგორც ამ მაგალითებიდან გამოჩნდა, **ი+ა** კომპლექსი მხოლოდ **ჟი-** პრევერბთან არ ყოფილა ელიზიური ბალსქვემოურში, იგი სხვა შემთხვევაშიც ელიზიური აღმოჩნდა.

ბალსქვემოური მაგალითები (**ს'იმჟ'ამურტყჷინე** და **მ'აჯურტყჷინ'ედო**) იმითაც არის საინტერესო, რომ პირის ნაცვალსახელები ოდენ თანხმოვნით არიან წარმოდგენილნი. ელიზიის ასეთი შემთხვევები, როდესაც პირის ნაცვალსახელისეული ხმოვანი იკარგება ხმოვნით დაწყებული რომელიმე სახელის წინ, მარტივ ფორმებშიც დადასტურდა როგორც ბალსქვემოურში, ასევე ბალსზემოურშიც, მაგ.: ბზ. **მ'ა̄მჟჷნ ← მი ამჟჷნ** „მე ასე" (1) 90:38, **მ'ǟმäრჯჷ ← მი äმäრჯჷ** „მე გამიმართლე" (1) 120:21, **ს'ǟჯწჷხჷä ← სი äჯწჷხჷä** „შენ შეგიწუხებია" (1) 56:36, **ს'ē̄შხჷäლ ← სი ეშხჷäლ** „შენ ერთი" (1) 26:31; ბქ. **მ'აჯგმბäჷისგ ← მი აჯგმბäჷისგ** „მე გიამბობ" (1) 187:2, **ს'იმჟი ← სი იმჟი** „შენ როგორ" (211:5). ქვემოსვანურ დიალექტებში მსგავსი ფორმები „სვანური ენის ქრესტომათიაში" ვერ დავაფიქსირეთ.

ბალსზემოურში **ი+ა** კომპლექსის შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგ.:

ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ ← ჟი ანტაბე ესნა̈რ [ი+ა = ა]

ალა̈მი რა̈ტია̄ნ˹დ˺ **ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ** ეშდ ჯიჰრა̈ თალ ი ეშხუ ჯიჰრა̈ წირო̄ლ „ალამი რატიანმა გამოთალა თურმე ათი მუხის სოლი და ერთი მუხის ურო" (1) 71:21

ლ'ა̄ლ'ა̄ ← ლი ალა, ა [ი+ა = ა̄]

ჯგგრა̈̄გ ... ლახჰუ̈ედნა ˹ფუსდს ი თა̄რინგზელს˺: „მა̈ჲ ესერ ლ'ა̄ლ'ა̄"? — წმინდა გიორგი შეეკითხა თურმე („შენაკითხა") უფალს და მთავარანგელოზს: „რა არისო ეს, აი"? (2) 88:40; 105:23

ბალსზემოურში პირველ მაგალითში (ჟ'ანტაბ'ე̄სნა̈რ) ელიზიასთან გვაქვს საქმე, ხოლო მეორე მაგალითში (ლ'ა̄ლ'ა̄) კი გრძელდება კომპლექსის მეორე კომპონენტი.

ი+ა̈. ეს კომპლექსი ბალსზემოურ დიალექტში რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში გრძელ ა̈̄'ს არ იძლევა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. მაგ.:

ჟ'ა̈ნმეჸრ'ე̄სნა̈რ ← ჟი ა̈ნმეჸრე ესნა̈რ [ი+ა̈ = ა̈]

... ალ ამბა̈უ̈ ეშე̄ **ჟ'ა̈ნმეჸრ'ე̄სნა̈რ** უშგუ̈ლა̈ მახუ̈შიდ — ეს ამბავი მაინც გაიგო თურმე უშგულის ბატონმა („უ-ხ-უ-ც-ეს-მა) (1) 62:34

ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄ ← ჟი ა̈ნთხე ალა, ა [ი+ა̈ = ა̈]

... ჰყინტდ ... ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄, ლა̈ჩუ̈, ი ესღრი ... — ბიჭმა იპოვა ეს, აი, ირემი, და მიდის (სვ. პროზ.) (1) 250:29

ელიზიური წესის მიხედვით, ი+ა̈ კომპლექსი გრძელ ა̈̄'ს უნდა გვაძლევდეს. „სვანური ენის ქრესტომათიაში" მარტივი აგებულების ელიზიებში სწორედ გრძელი ა̈̄ ხმოვანი გვხვდება, ასეთებია: **მ'ა̈̄მმა̈რჯუ̈ ← მი ა̈მმა̈რჯუ̈** „მე გამიმართლე" (1) 120:21, **ჲერხ'ა̈̄გის ← ჲერხი ა̈გის** „ზოგ ადგილას" (2) 118:39. ერთი მაგალითი შეგვხვდა „სვანურ პროზაულ ტექსტებში", მაგ. **ხუნკუ̈'ა̈̄დჩუფა̈ნ ← ხუნკუ̈ი ა̈დჩუფა̈ნ** „ადრე გადნა" (1) 106:3.

ი+ე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „არც ბალსზემოურში და არც ლაშხურში, სადაც ორი ხმოვნის შერწყმა გრძელ ხმოვანს იძლევა, ი+ე კომპლექსში ჩვეულებრივ წინა კომპონენტის ჩავარდნა ხდება და არა შერწყმით მეორე კომპონენტის გაგრძელება" (ქალდანი 1953:198), რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც განსახილველ ბალსზემოურ მასალაში ი+ე კომბინაცია იძლევა უმეტეს შემთხვევაში გრძელ ე̄'ს, მაგ.:

გუ̈უ̈'ა̈̄ნდლ'ე̄სნა̈რ ← გუ̈უ̈ა ა̈ნდლი ესნა̈რ [ი+ე = ე̄]

გუ̈უ̈'ა̈̄ნდლ'ე̄სნა̈რ, ერე „ტიტი ... ესერ ... ჩუ̈ა̈დდაგრი" — გუა ელოდება თურმე ˹იმას˺, რომ „ტიტი („ტიტი-ო") მოკვდებაო (შდრ. ძვ. ქართ. „მე-დგ-არ-ი და და-დგ-რ-ომ-ა")" (1) 94:19

ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ ← ქრისდე ესღრი ესნა̈რ [ი+ე = ე̄]

სგუ̈ებინ **ქრისდ'ე̄სღრ'ე̄სნა̈რ** ლა̈ჰმუ̈შ ი უ̈ეშგიმ უ̈ირჲა̈ჲა̈რ ესღუ̈იჰხ „წინ იესო ქრისტე მიდის თურმე სირბილით და უკან ურიები მისდევენ" (1) 8:28

ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას ← ქა ადზგგრი, ეჩქას [ი+ე = ე]

... ზურა̄ლ˹ა̈რ˺ ˹ალას˺ ... **ქ'ა̄დზგგრ'ეჩქას** ჟი ლუთუ̈ედს ჟი იკედხ შგნთეჟე̄ნ ი ჟ'ასდგუ̈იხ „ქალები ამას რომ დაამთავრებენ, მაშინ ამოხვეულს ხელში აიღებენ ხოლმე და დაწნავენ ხოლმე" (1) 127:37

ყველა ზემოთ დასახელებულ მაგალითში ი+ე კომპლექსში ხდება ხმოვანთა შერწყმით მეორე კომპონენტის დაგრძელება. უკანასკნელ მაგალითში კი ი+ე კომბინაციაში ჩვეულებრივ წინა კომპონენ-

ტის ჩავარდნა ხდება და არა შერწყმით მეორე კომპონენტის დაგრძელება, რაც, ჩვენი აზრით, კორექ-ტურული შეცდომა უნდა იყოს[1].

ბალსქვემოურ ტექსტებში შეგვხვდა რთული ელიზიური კონსტრუქციის ორი მაგალითი, სადაც **ი+ე** კომპლექსისას წინამავალი ხმოვანი იკარგება (ე. ი. ელიზიას აქვს ადგილი), მაგ.:

ესხრ'-ესხრ'ი ← ესხრი, ესხრი ი [ი+ე=ე]

ˈქათლადჲ ნӓბჷულˈ **ესხრ'-ესხრ'ი** ი თხერე ლახხჵიდდა — ნახევარქათამა მიდის, მიდის და მგელი შეხვდა (2) 211:6, 8

არსებული კანონზომიერების შესაბამისად, ამ ფორმებში მომდევნო ე გრძელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ტექსტი ჩაწერილია ბალსზემოელი მთქმელისაგან.

ი+ო = ო. მ. ქალდანი **ი+ო** კომპლექსის ელიზიისას სამ მომენტს გამოყოფს: „ერთი, როცა **ჟი**... პრევერბს **ო** ხმოვნით დაწყებულ ზმნასთან ელიზია მოსდის ოთხივე კილოში... მეორე: **ი+ო** კომპლექ-სი ჩუბეხეურში ხშირად **ჲო** დიფთონგს იძლევა, ოღონდ არა **ჟი** პრევერბთან, იგი გვხვდება ისეთ შე-მთხვევებში, როცა ი'ზე დასრულებულ სრული მნიშვნელობის სიტყვას ო'თი დაწყებული სიტყვა ან ნა-წილაკი მოსდევს... მესამე: ბეჩოური თითქოს აქეთკენ იღებს გეზს, ოღონდ აქ **ჟი** პრევერბიც იზიარებს **ი**'ს ბედს ერთეულ შემთხვევებში..." (იქვე 1953:200-201). მისი თვალსაზრისის თანახმად, ამ კომპლექ-სის წინა კომპონენტი ხმოვნის დაგრძელებას არ იწვევს არც ბალსზემოურში და არც ლაშხურში, თუმ-ცა ეს დაკვირვება მართებულია იმ შემთხვევაში, „როცა **ი+ო** ხმოვანთკომპლექსი იქმნება პრევერბებ-თან, ხოლო, მაშინ, როცა -ი ბოლოხმოვნიან სიტყვას მოსდევს **ო-** თავკიდურხმოვნიანი ლექსემა, ბალს-ზემოურში გრძელდება **ო-** ხმოვანი: **თგმ'ო̄ხჴӓდ ← თგმი ოხჴӓდ** „გაუჭირდა" (1) 155:3, **ლირმ'ო̄ხჵბინეხ ← ლირმი ოხჵბინეხ** „დაჭერა დაუწყეს" და სხვ. (გაზდელიანი 1999:91).

რთული ელიზიური კონსტრუქციის ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა ბალსზემოურ დიალექტში, სადაც **ი+ო** კომპლექსი **ო** ხმოვანს იძლევა, მაგ.:

ჟ'ოხურდ'ე̄რე ← ჟი ოხურდა, ერე [ი+ო = ო]

ამის ხოჩა დი ხარდე̄ნა ი ეჯკӓლიბდ **ჟ'ოხურდ'ე̄რე** ლӓთხჵჲართე უსგჳა ლგზӓჲ ლო̄ბӓრӓრს ხაშდრანჵნა ი ეჩჷე̄ნ ლუმფჵიშდინ ლӓთხჵჲართე „ამას კარგი დედა ჰყოლია („ნამყოფა") და ისე („იმ-ყალიბ-ად") გაუზრდია, რომ ექვსი წლისას სანადიროდ თასმებს („მი-სა-ბმ-ელ-ებ-ს") უგრეხდა თურმე („ნაგრეხა") და ისე უშვებდა თურმე („ˈგაˈნაშვება") სანადიროდ" (1) 85:2

მაშასადამე, **ჟი** პრევერბს **ო** ხმოვნით დაწყებულ ზმნასთან ელიზია მოსდის. პრევერბისეული ხმო-ვანი მომდევნო კომპონენტის დაგრძელებას არ იწვევს.

უ+ა. **უ+ა** კომპლექსი ელიზიურია არა მარტო **ჩუ** პრევერბთან, არამედ სხვა შემთხვევაშიც, მაგა-ლითად, როცა **უ** ბოლოხმოვნიან ფუძეს მოსდევს **ა-** თავკიდურხმოვნიანი ფუძე, მაშინ ხდება კომპლექ-სის პირველი კომპონენტის ჩავარდნა, ანუ ელიზია, მაგ.:

ქ'ამფ'ადო ← ქა ამფუ, ადო [უ+ა = ა]

ქათლადჲ ნӓბჷულ ... აჩӓდ კესარშერთე, შუკჵეი ჰალӓჲს ლახასდა ˈი ხӓქჵეˈ: „ჰალӓჲ, **ქ'ამფ'ადო** ჟი ჯიხუწე"! — ნახევარქათამა კეისრისანთან წავიდა, გზაზე (შდრ. ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) „შუკ-ა") მდინარეს (შდრ. ქართ. „ჭალ-ა") მიადგა („გადაეყარა", „გადავიდა") და უთხრა: „მდინარევ (შდრ. ქართ. „ჭალ-ა"), გამიშვი, თორემ შეგხვრეპ (შდრ. ქართ. „ყლურწვა")"! (2) 211:4

ქ'ამფ'ადო ← ქა ამფუ, ადო [უ+ა = ა]

---

[1] „სვანური ენის ქრესტომათიაში" ასეთ შეცდომებს ხშირად ვაწყდებით ხოლმე.

ქათლადა̈ ნა̈ბჳულ˹ს˺ ... თხერე ლახჳიდდა ˹ი ხა̈ქჳე˺: „თხერე, **ქ'ამფ'ადო** ჩუ ჯურტყჳი“! — ნახევარქათამას მგელი შეხვდა და უთხრა: „მგელო, გამიშვი, თორემ ჩაგყლაპავ“! (211:6).

უ+ა კომპლექსი მორფემათა მიჯნაზე ბალსქვემოურში გამარტივებულია. კომპლექსის გამარტივება სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების გავლით უნდა განხორციელებულიყო: **ქ'ამფ'ადო ← ქა ამფჳ ადო ← ქა ამფუ, ადო**. ე. ი. ჯერ უ'მ ა ხმოვნის წინ ნაწილობრივი რედუქცია განიცადა, შემდეგ კი სულ დაიკარგა. ბალსზემოურ დიალექტში კომპლექსის მეორე კომპონენტი უსათუოდ დაგრძელდებოდა [უ+ა = ა̄].

ფრიად საინტერესოა ელიზიურ პროცესთა თვალსაზრისით შემდეგი მაგალითები:

ჩჳარდ'ა̄მჟინ ← ჩუ არდა ამჟინ [უ+ა = ჳა]

ფექს ა̈გიხა̈ნ ა̈ჲა̄სგდა ი **ჩჳარდ'ა̄მჟინ** ლინთჳ ლეჟა-ლექჳა ჯა გარ დაჴა̈რცახა̈ნ „ფქვილი („ფქვ-ილ-ს“) შინიდან („ალაგ-იდან“) მიჰქონდა („წაიღებდა“) და ასე იყო („იმყოფებოდა“) მთელი („ზემოთ-ქვემოთ“) ზამთარი მარტოკა („თვითონ მარტო“) თხებთან ერთად“ (1) 23:19

ჩჳადშა̄რდ'ე̄სნა̈რ ← ჩუ ადშა̄რდე ესნა̈რ [უ+ა = ჳა]

ალ ზურა̄ლ˹დ˺ ...**ჩჳადშა̄რდ'ე̄სნა̈რ** გეზალ „ამ ქალმა დაამშვიდა თურმე შვილი“ (1) 65:20

ჩჳადშანჳ'ე̄სნა̈რ ← ჩუ ადშანჳე ესნა̈რ [უ+ა = ჳა]

ქრისდედ, ... მა̈ლდშჳ გჳეშიდ, **ჩჳადშანჳ'ე̄სნა̈რ** მიჩა ფოყხა̈ნ ლეყუნზელა ... „იესო ქრისტემ, მადლიანმა („მადლ-ით სავსემ“), თავის („მის“) მხარეს („თეძოდან, მხრიდან“) ყურძენი („სა-**ყურძ**-ენ-ე“) გააშენა თურმე“ (1) 100:21

როგორც ცნობილია, **ჩუ**'ს რედუქცია მოსდის პრევერბისა და ზმნის თავკიდურ ა-, ე- (და იშვიათად ი-) ხმოვანთა წინ და წარმოდგენილია **ჩჳ'დ** (თოფურია 1967:58). ჩვენ მიერ ჩამოთვლილ რამდენიმე მაგალითში (**ჩჳარდ'ა̄მჟინ, ჩჳადშა̄რდ'ე̄სნა̈რ, ჩჳადშანჳ'ე̄სნა̈რ**), მორფემათა ზღვარზე, უ+ა ხმოვანთკომპლექსმა მოგვცა ნაწილობრივ შეცვლილი (რედუცირებული სახეობა) ჳა დიფთონგი, რომელიც შესაძლოა კიდევ უფრო გამარტივდეს და **ჩუ**- წინდებულის ნარედუქციალი -ჳ- ელემენტი ა-ხმოვნის წინ დაიკარგოს.

უ+ე. საკვლევი მასალიდან გამოჩნდა, რომ უ+ე კომპლექსი იშვიათად იქმნება. იგი შესულია კომპლექსთა ისეთ ჯგუფში, რომელთათვისაც უცხოა ელიზია (ქალდანი 1953:196). „სვანური ენის ქრესტომათიაში“ მოიძებნა რამდენიმე მაგალითი უ+ე ხმოვანთკომპლექსისა, რომელიც იქმნება -უ ბოლოხმოვნიან და ე- თავკიდურხმოვნიან ფუძეთა შეხვედრისას. ამ პოზიციაში მომდევნო ე- ხმოვანი თითქმის ყოველთვის გრძელია, თუმცა ხმოვანთა კომპლექსი იშლება დიფთონგიზაციის გზით და, ამდენად კომპლექსის მეორე საფეხური იქნებოდა ჳი+ე, საიდანაც მივიღეთ რთულ ელიზიურ კონსტრუქციაში მონაწილე ჳ'ე̄ კომპლექსი, რომლის პირველი კომპონენტი არის **ო** ხმოვნის ნაუმლაუტარი ჳ:

მა̈̄ნკჳ'ე̄ჯღ'ე̄რე ← მა̈̄ნკჳი ეჯღა, ერე ← მა̈̄ნკუ ეჯღა, ერე [უ+ე = ჳ'ე̄]

ამჩიქა ლემასგჳ ქა შა̄ლ ხოდგეხ ცხჳადჳს **მა̈̄ნკჳ'ე̄ჯღ'ე̄რე** ორა̈̄შდ ჟი დო̄სა ანტიხჳნას „ამასობაში („ამ დროზე“) ჯერ („პირველად“) ცეცხლს ოდნავ („ოდნავსავით“) ჩაუქრობენ ხოლმე საარაყე ქვაბს, იმიტომ („იმისთვის“), რომ თხლე („ბუზალაყი“) არ გადმოვიდეს („აღებინოს“)“ (1) 135:17

ზემოთქმულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ აღნიშნულ მაგალითში ორი ფონეტიკური პროცესის გზით უნდა მიგვეღო ჳ'ე̄, მაგ.: **მა̈̄ნკუ+ეჯღა → მა̈̄ნკჳი ეჯღა → მა̈̄ნკჳ'ე̄ჯღა**.

საბოლოო სახე (**მა̈̄ნკ'ე̄ჯღა**) ამ მაგალითში ჩამოყალიბებული არ არის.

იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ მაგალითზეც:

ეჩქანღჳ'ა̈̄გით'ო̄ხჴი̄დახ ← ეჩქანღჳე ა̈̄გითე ოხჴი̄დახ ← ეჩქანღო ა̈̄გითე ოხჴი̄დახ [ო+ა̈ = ჳ'ა̈̄]

ალ ხა̈ტ ... ერქანლჟ'ა̈გით'ო̄ხჭი̄დახ იფა̈რა̈რს „ეს ხატი მერე შინ („ალაგ-ʼის'-კენ") მოუტანიათ იფარელებს" (1) 89:26

ესეც, როგორც ჩანს, ორი ფონეტიკური პროცესის შედეგად არის მიღებული.

უ+ო. უ+ო კომპლექსი, როგორც ცნობილია, აქტიური ელიზიით ხასიათდება **ჩუ** პრევერბთან და ისიც ორი ფონეტიკური პროცესის გზით: **ჩუ+ო** → **ჩჳო** → **ჩ'ო**, რის შედეგადაც მოკლე ო-ს ვიღებთ ყველა კილოში, მათ შორის ბალსზემოურ და ლაშხურ კილოშიც, სადაც მომდევნო ხმოვანი უმეტეს შემთხვევაში გრძელია (ქალდანი 1953: 201), მაგ.:

ჩ'ოთგორჟ'ე̄ჩქას ← ჩუ ოთგორჟა, ეჩქას [უ+ო = ო]

ყიბე პილი ლაგჟბანდა̈ღ **ჩ'ოთგორჟ'ე̄ჩქას** თა̈კჟ ოთბა ʼგიეს' ი ეჯნოჟშ ლიჯედ ლოხჟბინა ჩუ „ბოლო („ზე-მო პირ-ი'ს'") სართული რომ ჩაუხერგავს („ამოუქოლია", შდრ. ქართ. „გრ-ოვ-ა"), მაშინ თოკი შეუბამს გიეს და იმითი დაუწყია ქვემოთ ჩამოსვლა (შდრ. ძვ. ქართ., ფშ. „ჳდ-ომ-ა")" 8:13

როგორც ვხედავთ, ბალსზემოურ დიალექტში უ+ო კომპლექსის პირველი კომპონეტი უ დაიკარგა, მეორე კომპონენტი ო კი გრძელი ხმოვნის გარეშე წარმოგვიდგა, ე. ი. მოხდა ელიზია.

გადაჭრით იმისი მტკიცება, რომ უ+ო კომპლექსი სვანური ენის ყველა დიალექტში არაგრძელ ო'ს იძლევა, დაუშვებელია, რადგანაც სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში რამდენიმე მაგალითი დადასტურდა, სადაც უ+ო კომპლექსის მეორე კომპონენტი დაგრძელებულია (უ+ო=ო̄). მაგ.: ბზ. **ჩ'ო̄თგა ← ჩუ ოთგა** „აუშენებია" (სვან. ქრესტ., 73), **ჩ'ო̄თგე ← ჩუ ოთგე** „აუშენა" (სვან. ქრესტ., 73); ბზ. **ჩ'ო̄ცხირა**[1] **← ჩუ ოცხჷრა** „გაუგია" (სვან. ქრესტ., 89:24); ლშხ. **ჩ'ო̄თშგუდა̈ლა ← ჩუ ოთშგუდა̈ლა** „დაუხრჩვია" (სვან. ქრესტ., 285), **ჩ'ო̄გკარე ← ჩუ ოგკარე** „გაგვილო" (სვან. ქრესტ., 251), **ჩ'ო̄თგგლზ̈რახ ← ჩუ ოთგგლზ̈რახ** „დაუგლეჯიათ" (სვან. ქრესტ., 285), **ჩ'ო̄თო̄გა̈ნ ← ჩუ ოთო̄გა̈ნ** „დაუდგა" (სვან. ქრესტ., 286), **ჩ'ო̄თო̄გა̈ნდა ← ჩუ ოთო̄გა̈ნდა** „დაუდგა" (სვან. ქრესტ., 282), **ჩ'ო̄ნჩადდ ← ჩუ ონჩადდ** „ჩამოვედით" (სვან. ქრესტ., 252), **ჩ'ო̄სო̄გა̈ნ ← ჩუ ოსო̄გა̈ნ** „დაუდგა" (სვან. ქრესტ., 282)[2].

ამდენად, უ+ო კომპლექსის ელიზიისას რამდენიმე მომენტია აღსანიშნავი:

1. როცა გვხვდება უ+ო კომპლექსის ნაწილობრივ შეცვლილი, ანუ რედუცირებული სახეობა ჳო'ს სახით;

2. როცა **ჩუ** პრევერბს ო ხმოვნით დაწყებულ ზმნასთან ელიზია მოსდის ოთხივე კილოში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კომპონენტის წინა კომპონენტი ზოგჯერ ხმოვნის დაგრძელებას არ იწვევს ბალსზემოურსა და ლაშხურში;

3. უ+ო კომპლექსი ხანდახან გრძელ ო'ს იძლევა ბალსზემოურსა და ლაშხურში, როგორც ეს მაგალითებმა გვიჩვენეს (ვგულისხმობთ უმეტესად მარტივ ელიზიურ ფორმებს). ბალსზემოურში სამიოდე მაგალითი დადასტურდა სულ, ლაშხურში კი საკმაო რაოდენობის მაგალითები გამოვლინდა.

ამრიგად, უ+ო კომპლექსის ელიზია **ჩუ** პრევერბთან შემდეგი ფონეტიკური პროცესების გავლით ხორციელდება:

1. (**ჩუ+ო**) **ჩუ** > **ჩჳო** (ნაწილობრივი რედუქცია)
2. **ჩ'ო̄** (ხმოვანთა შერწყმა)
3. **ჩ'ო** (ხმოვნის მოკვეცა).

---

[1] „სვანური ენის ქრესტომათიაში" 89-ე გვ-ზე მოცემულია ასეთი ფრაზა: **ჩ'ო̄ცხირა'ე̄რე**, რომელიც, ჩვენი აზრით, უსათუოდ რთული ელიზიური კონსტრუქციის ნიმუშია. აუსლაუტში წარმოდგენილი ხმოვანთკომპლექსის პირველი კომპონენტი ა, რომლის დაკარგვასაც უნდა გამოეწვია მომდევნო ე ხმოვნის სიგრძე, აშკარად შეცდომითაა მითითებული, ამაზე მეტყველებს მორფემათა საზღვარზე დასმული აპოსტროფი და ე ხმოვნის სიგრძე.

[2] როდესაც „სვანური ენის ქრესტომათიის" ეს ფორმები ლაშხელ მთქმელებთან გადავამოწმეთ, გაირკვა, რომ ისინი არსად არ ამბობდნენ გრძელ ო'ს.

ო+ა̈. შეგვხვდა ერთი მაგალითი ო+ა̈ კომპლექსისეული ა̈'ს სიგრძისა, მაგ.:

ეჩქანღჷ'ა̈გით'ო̄ხჯი̄დახ ← ეჩქანღჷე ა̈გითე ოხჯი̄დახ ← ეჩქანღო ა̈გითე ოხჯი̄დახ [ო+ა̈=ჷ'ა̈]

ალ ხა̈ტ... **ეჩქანღჷ'ა̈გით'ო̄ხჯი̄დახ** იფა̄რა̈რს „ეს ხატი მერე შინ („ალაგ-⌜ის⌝-კენ“) მოუტანიათ იფარელებს“ (1) 89:26

და მეორე ო+ა კომპლექსისეული ა'ს სიგრძისა, მაგ.:

ჲალღჷ'ა̄თხ'ე̄სერ ← ჲალღჷე ათხე ესერ ← ჲალღო ათხე ესერ [ო+ა = ჷ'ა̄]

... როსტომდ ⌜ხა̈ქჷ ზურა̄ლს⌝: „**ჲალღჷ'ა̄თხ'ე̄სერ** ლახ ჩუა̈დლანჷე̄ნს, ეჩქ'ე̄სერ ... ჰყინტ⌜ს⌝ ზურა̄ლჷ ათყა̈ხ“ — როსტომმა უთხრა ქალს: „აბა, ახლა თუ დაორსულდებიო („დაორსულდეს“), მაშინ ბიჭს ზურაბი დაარქვიო („დაარქვა“)“ (სვან. პრ.) (2) 232:15; 251:1

ორივე მაგალითში სვანური ენისათვის დამახასიათებელი საინტერესო ფონეტიკური პროცესები განხორციელდა.

„შტო-გვარის აღმნიშვნელ ფუძეზე შესაბამისი მაწარმოებლის დართვამ შეიძლება გარკვეული ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებები გამოიწვიოს (ასიმილაცია, დისიმილაცია, ხმოვნის რედუქცია“ — ჩანტლაძე 1998:159), ხოლო „როცა ბოლოხმოვნიან სიტყვას, პრევერბს ან შორისდებულს მოსდევს ხმოვნით დაწყებული სიტყვა, თანდებული ან ნაწილაკი და ამ გზით იქმნება ხმოვანთა ესა თუ ის კომპლექსი, მაშინ სვანურ ენაში, ისე როგორც რიგ სხვა ენაში, ხდება ხმოვანთა კომპლექსიდან ერთ-ერთი კომპონენტის ჩავარდნა — ელიზია“ (ქალდანი იქვე:193). ეს მეტად გავრცელებული ფონეტიკური პროცესი, ი. ჩანტლაძის აზრით, ვლინდება -შა დაბოლოებასთანაც (იქვე 160), რომელიც არის შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა ერთ-ერთი მაწარმოებელი სუფიქსი. რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში შეგვხვდა შტო-გვარის აღმნიშვნელი -შა დაბოლოებიანი ერთადერთი მაგალითი, რომელმაც შესაბამისი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა:

ჟიბიа̄ნშ'ე̄ჯღ'ო̄ხხჟი̄ტახ ← ჟიბიа̄ნშა ეჯღა ოხხჟი̄ტახ [ა+ე = ე̄]

ლენჯა̈რა̈ ხოშა̈ლდ ... მეცქჷლა̈რს ლახტიხხ: „მინს ესერ **ჟიბიа̄ნშ'ე̄ჯღ'ო̄ხხჟი̄ტახ**, ერე ფუსდ მა̄დ ხა̈კჷდახ ...“ — ლენჯერის უხუცესებმა შუამავლებს („მო-ციქ-ულ-ებ-ს“) უპასუხეს („დაუბრუნეს“): „ჩვენ („მათო“) ვიბიანისანები („ვიბიაანი“) იმიტომ („იმისთვის“) ამოვწყვიტეთო („ამოუწყვეტიათ“, შდრ. ძვ. ქართ. „ხუ-ეტ-ა“), რომ ბატონი არ გვინდოდაო („სდომებიათ“)“ (1) 68:33

„სვანური ენის ქრესტომათიაში“ საანალიზო მასალის განხილვისას რამდენიმე კორექტურულ შეცდომას გადავაწყდით:

1. **ქ'ა̄დზგგრ'**, ეჩქას ← ქა ადზგგრისხ, ეჩქას (1) 127:37, **ქ'ა̄ნგრჰ'**, ე̄რე ← ქა ანგრჰე, ერე (1) 53:34, **ჟ'ოხურდ'**, ე̄რე ← ჟი ოხურდა, ერე (1) 85:2, **ჩ'ოთგორჷ'**, ე̄ჩქას ← ჩუ ოთგორჷა ეჩქას 8:13 და ა. შ. ფორმებში მძიმე უმართებულოდაა ნახმარი. რაკი ხმოვანთა შერწყმაა, პაუზას არა აქვს ადგილი და ამიტომ არც სასვენი ნიშანია საჭირო. რაც შეეხება აღდგენილ ფორმებს, იქ მძიმე ყველგან უნდა;

2. **ქ'ა̄დზგგრ'**, ეჩქას ← ქა ადზგგრისხ, ეჩქას (1) 127:37, **ამხა̄ჟთე̄'სგ'ესწკატეხ** ← ამხა̄ჟთეისგა ესწკატეხ (1) 106:21, ამ მაგალითებში მომდევნო ლექსემის აუსლაუტის ხმოვნები სიგრძის გარეშეა წარმოდგენილი. აქ სიგრძე ცოცხალ მეტყველებაში აუცილებლად გვხვდება, მაგრამ ტექსტებში რატომღაც გამოტოვებულია. ვფიქრობთ, რომ ეს ან კორექტურული შეცდომაა, ანდა კარნახით ჩაწერის დროს, როცა მოკარნახე ჩაწერის ტემპის გამო იძულებულია ცალკე სიტყვები თქვას, ამ შეუსაბამობას სწორედ მაშინ აქვს ადგილი. ელიზიის შედეგად აუცილებლად უნდა მიგვეღო გრძელი ხმოვანი;

3. **ქა̈'ნგრჰ', ე̄რე** ← ქა ანგრჰე, ერე (1) 53:34, როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილ ელიზიურ კონსტრუქციაში, ანლაუტში, აპოსტროფი არასწორადაა დასმული. აქ დაკარგულია ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი, და არა ზმნის თავკიდური ხმოვანი, რამაც გამოიწვია მომდევნო ა ხმოვნის სიგრძე. აპოსტროფიც, აქედან გამომდინარე, ზმნისწინისეული თანხმოვნის შემდეგ უნდა დასმულიყო (**ქ'ა̄ნგრჰ'**, **ე̄რე**). როგორც ჩანს, კორექტურული შეცდომაა;

4. **ა̈გითე̄სგ'ა̄ხჷრჲე̄ლეჴ** ← ა̈გითეჲსგა ახჷრჲე̄ლეჴ (1) 119:1, **გელაშე̄რთე̄სგ'ა̄თჩეშა** ← გელაშე̄რთე̄სგა ათჩეშა (1) 71:27, **დილეგთესგ'ა̈გნა** ← დილეგთესგა ა̈გნა (1) 70:9, **ეჩე̄სგ'ა̄თხად** ← ეჩე̄სგა ათხად (1) 59:10, **ეჩე̄სგ'ა̄მწჷედდა** ← ეჩე̄სგა ამწჷე̄დდა (1) 52:22, **ეჩე̄სგ'ა̄ყჷრაჴ** ← ეჩე̄სგა აყჷრაჴ (1) 22-23:1, **ეჩე̄სგ'ე̄სერ** ← ეჩე̄სგა ესერ (3) 79:15; 90:6; 172:36, **ეჩხა̄ჷთე̄სგ'ე̄ლმა̈ზ** ← ეჩხა̄ჷთე̄სგა ელმა̈ზ (1) 40:28, **ეჩხა̄ჷთე̄სგ'ე̄სჷდაჴ** ← ეჩხა̄ჷთე̄სგა ესჷდაჴ (1) 106:22, **ლარდ'ა̄მე̄სგა** ← ლარდა ამე̄სგა (1) 79:34, **ლასკო̄რათე̄სგ'ა̄შყა̈დჴ** ← ლასკო̄რათე̄სგა აშყა̈დჴ (1) 68:32, **ლაღა̈მთე̄სგ'ა̄ხჭა̈დჭნენა** ← ლაღა̈მთე̄სგა ახჭა̈დჭნენა (1) 74:28, **პილა̈რთე̄სგ'ა̈ჲე̄სგი** ← პილა̈რთე̄სგა ა̈ჲე̄სგი (1) 42:5, **უშკჷთე̄სგ'ა̈ჲე̄სგი** ← უშკჷთე̄სგა ა̈ჲე̄სგი (1) 42:20, **ქჷა̈ბთე̄სგ'ა̄ჩა̈დ** ← ქჷა̈ბთეჲსგა აჩა̈დ (1) 79:11, **ქჷა̈ბთე̄სგ'ო̄ნჩა̈დდ** ← ქჷა̈ბთეჲსგა ონჩა̈დდ (1) 84:15, **ჩუქჷა̈ნთე̄სგ'ა̄ჩა̈დ** ← ჩუქჷა̈ნთე̄სგა აჩა̈დ (1) 8:32, **ჰა̈ზჷთე̄სგ', ა̄დო** ← ჰა̈ზჷთე̄სგა, ადო (1) 40:15 და ა. შ. ფორმებში, მორფემათა ზღვარზე, რთული თანდებულის შიგნით, ხდება ხმოვანთა შერწყმა; ე ხმოვნის სიგრძეც სწორედ ამაზე მიგვანიშნებს, თუმცა არც ერთი მათგანი აპოსტროფით არ არის აღნიშნული. საერთოდ, „სვანური პროზაული ტექსტების“ პირველ ტომში ასეთი ფორმები აპოსტროფის გარეშე გვხვდება, „სვანური ენის ქრესტომათიაში“ კი ელიზიურ პოზიციაში თითქმის ყოველთვის წარმოდგენილია, თუმცა გამონაკლისებიც გვხვდება. იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს, თუ რა ფონეტიკური პროცესები განხორციელდა რთული თანდებულის შიგნით, ვფიქრობთ, აპოსტროფი უნდა აღდგეს და დაისვას სათანადო ადგილას.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, რთული თანდებული მიმართულებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელ მარტივ თანდებულთა კომბინირებულ სახეს წარმოადგენს. სვანური ენისათვის სრულიად ბუნებრივია ორთანდებულიანი ფორმები (ჩანტლაძე 1998:161). ამგვარ წარმოებას პარალელები მოეძებნა თანამედროვე ქართულის მთის დიალექტებსა და დაღესტნური თუ ქისტურ-ბაცბური ჯგუფის ენების თანდებულიან ბრუნვათა სერიებთან (გაბუნია 1989:48-54), თუმცა სვანურის რთულთანდებულიან ფორმათა სტრუქტურა განსხვავებულია მთის დიალექტთა გამოსვლითებისა და ორთანდებულიანი ფორმებისაგან (აბესაძე 1955:292).

სვანურის რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე რთულ თანდებულიან ფორმათა სტრუქტურული მოდელი ასეთია: **სახელის ფუძე + საწყისობის (ან სასრულობის) ამსახველი ელემენტი + თანდებული + ზმნის პირიანი ფორმა ან ნაწილაკი**, მაგ.: **სოფელთე̄'სგ'ე̄სერ ← სოფელ+თე+ ჲსგა+ ესერ ← სოფელ+თე+ისგა+ესერ, მგქაშე̄რთე̄'სგ'ო̄თო̄ტჷახ ← მგქაშე̄რ+თე+ჲსგა+ოთო̄ტჷახ ← მგქაშე̄რ+თე+ისგა+ოთო̄ტჷახ, დუქჷა̈ნთე̄'სგ'ა̄ჩა̈დ ← დუქჷა̈ნ+თე+ჲსგა+აჩა̈დ ← დუქჷა̈ნ+თე+ისგა+აჩა̈დ** და ა. შ. როგორც ვხედავთ, ყველა ამ ფორმაში გამოიყოფა რთული თანდებული **-თეისგა**. „ამგვარ ფორმებში აისახება მოქმედების საწყისობა და იმავდროულად მოცემულია სასრული პუნქტის სივრცეში ლოკალიზაცია“ (გაბუნია 1989:52).

„სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „პროზაული ტექსტების“ პირველ ტომში დავაფიქსირეთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ელიზიურ პროცესთა თვალსაზრისით. ამ მაგალითებში მოცემულია უმახვილო გრძელი ა დეიქტური ნაწილაკის ფუნქციით. ამგვარი (ე. ი. დეიქტურნაწილაკიანი) ფორმები სვანური ენის პუბლიკაციებში იშვიათობას არ წარმოად-

გენს. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ რთული ელიზიური კონსტრუქციების მეორე ნაწილის აუსლაუტში დაფიქსირებული დეიქტური ნაწილაკი ა, რომელიც ზემოსვანურ დიალექტებში, ძირითადად, მახვილიანია და დაერთვის ზმნის პირიან ფორმებსა და იშვიათად სახელებს. მახვილიანი დეიქტური ა ნაწილაკის დართვა გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ხმოვანფუძიანთა აუსლაუტში, სადაც (მაგ.: ლ'ა̄ლ'ა̄̈[1] ← ლი+ალა+ა „არის ეს, აი" (2) 88:40; 105:23 და ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄̈ ← ჟი+ა̈ნთხე+ალა+ა̈ „იპოვა ეს, აი", (2) 88:40; 105:23) ხდება ხმოვანთშერწყმა (ა+ა=ა̄) და აპოსტროფიც, ელიზიურ პოზიციაში, შესაბამის ადგილას უნდა იყოს წარმოდგენილი. უკანასკნელი მაგალითი (ჟ'ა̈ნთხ'ა̄ლ'ა̄ ← ჟი+ა̈ნთხე+ალა+ა), რომელიც „სვანური ენის პროზაული ტექსტების" პირველ ტომშია დაბეჭდილი, კიდევ უფრო გართულებულია. ასეთი გართულებული ელიზიური კონსტრუქციები ზემოსვანური მეტყველებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა სვანურ პუბლიკაციებში იშვიათობას წარმოადგენს.

ს ქ ე მ ა

ამოსავალი კომპლექსი	I საფეხური	II საფეხური	III (ბოლო) საფეხური
ა+ა			→ ა̄
ა+ა̈			→ ა̄̈
ა+ე			→ ე̄
ა+ო			→ ო̄
ე+ე			→ ე̄
ე+ა			→ ა̄
ე+ი	→ ეჲ		→ ე̄
ე+ო			→ ო̄
ი+ი			→ ი̄
ი+ა			→ { ა̄ (ბზ.) ა (ბქ.)
ი+ა̈			→ ა̈ (‖ა̄̈)
ი+ე			→ { ე̄ (ბზ.) ე (ბქ.)
ი+ო			→ ო
უ+ე	→ ჳი+ე	→ ჳ'ე̄	
უ+ა	→ ჳ'ა		→ ა
უ+ო	→ ჳ+ო		→ ო
ო+ა	→ ჳე+ა	→ ჳ'ა̄	
ო+ა̈	→ ჳე+ა̈	→ ჳ'ა̄̈	

[1] ორჯერ გვხვდება „სვანური ენის ქრესტომათიაში", ოღონდა არა ამ სახით, არამედ ლ'ა̄ლა̄ ფორმით.

ამრიგად:

1. როდესაც ერთ ფრაზაში ერთდროულად ორი ხმოვანთკომპლექსი (იშვიათად — სამი) იყრის თავს და, მორფემათა ზღვარზე, ასევე ერთდროულად ხდება ამ ხმოვანთკომპლექსების გამარტივება, უფრო სწორად სხვადასხვა ფონეტიკური პროცესები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც იდენტური, ასევე არაიდენტური ხმოვანთა კომპლექსები, ასეთ მოვლენებს რთული ელიზიური კონსტრუქციები ვუწოდეთ.

2. საანალიზო მასალამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა რთული ელიზიის ნიმუშები სვანური ენის ორ დიალექტში — ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში. რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ რთული შედგენილობის ელიზიის შემთხვევები ვერ დავადასტურეთ.

3. რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: **ა+ა, ა+ა̈, ა+ა̄, ა+ე, ა+ო, ე+ე, ე+ა, ე+ა̈, ე+ი, ე+ო, ი+ი, ი+ა, ი+ა̈, ი+ე, ი+ო, ო+ა, უ+ა, უ+ე, უ+ო.**

4. ეს ხმოვანთკომპლექსები დაიყო ორ ნაწილად:

ა) იდენტური: **ა+ა, ე+ე, ი+ი** და

ბ) არაიდენტური: **ა+ა̈, ა+ა̄, ა+ე, ა+ო, ე+ა, ე+ა̈, ე+ი, ე+ო, ი+ა, ი+ა̈, ი+ე, ი+ო, ო+ა, უ+ა, უ+ე, უ+ო.**

5. რთულ ელიზიურ კონსტრუქციებში მომხდარი ცვლილებების მიხედვით **A, B, C** რიგის კომპლექსები გამოვყავით:

ა) **A** და **C** რიგის კომპლექსებში სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში მორფემათა მიჯნაზე ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად ვიღებთ ერთ გრძელ ხმოვანს, ხოლო ბალსქვემოურ დიალექტში ადგილი აქვს ელიზიას.

ბ) **B** რიგის კომპლექსებში სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში დადასტურდა კომპლექსის სრული შერწყმის შედეგად მიღებული გრძელი ხმოვნები და, ასევე ნაწილობრივი შერწყმით, დიფთონგიზაციის გზით მიღებული გრძელხმოვნიანი დიფთონგები. რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ, როგორც წესი, იკარგება კომპლექსის ერთ-ერთი კომპონენტი.

6. რთულ თანდებულთაგან ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილეობს მხოლოდ და მხოლოდ ზემოსვანური **-თეისგა**, რომლის მეორე კომპონენტი არის მარტივი თავკიდურხმოვნიანი **-ისგა** „ში“ თანდებული.

7. „სვანური ენის ქრესტომათიაში“ საანალიზო მასალის განხილვისას რამდენიმე კორექტურული შეცდომაც აღმოჩნდა.

8. „სვანური ენის ქრესტომათიასა“ და „პროზაული ტექსტების“ პირველ ტომში დაფიქსირდა რამდენიმე -ა- დეიქტურნაწილაკიანი მაგალითი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ელიზიურ პროცესთა თვალსაზრისით.

9. მორფემათა მიჯნაზე შექმნილ ხმოვანთკომპლექსებში დაგრძელების მიმართულება, ძირითადად, პროგრესულია, გავლენა კი — რეგრესული. კომპლექსის განვითარების საბოლოო საფეხური კი არის ერთ ხმოვანზე დასვლა.

10. როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, გადამწყვეტ როლს მოცემულ შემთხვევაში მორფოლოგია ასრულებს. ძირითადად მორფოლოგიური ღირებულებისაა ელიზიურ კონსტრუქციაში მონაწილე მეორე კომპონენტი, რომელიც მაელიზირებელია.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

აბესაძე 1955 — ნ. აბესაძე, თანდებულები სვანურში, თსუ ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა კონ-ფერენცია, თეზისები, თბილისი, 1955.

გაბუნია 1989 — კ. გაბუნია, რთული თანდებულების საკითხისათვის ქართულსა და სვანურში, იკე, XXVIII, თბილისი, 1989.

გაზდელიანი 1999 — ე. გაზდელიანი, ხმოვანთა პოზიციური სიგრძე სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1999.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, თბილისი, 1967.

მაჭავარიანი 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.

მაჭავარიანი 1966 — Г. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка-основы, ВЯ, 1966, №1, Москва.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949.

საღლიანი 2001 — მ. საღლიანი, ელიზია სვანურ ენაში, კავკასიის მაცნე, თბილისი, 2001.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში (სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით) იკე, ტ. XXXVI, თბილისი, 2008.

საღლიანი 2011 — მ. საღლიანი, იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XI, თბილისი, 2011.

უთურგაიძე 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.

ქალდანი 1953 — მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, ტ. V, თბილისი, 1953.

ქალდანი 1962 — მ. ქალდანი, სვანური ენის ბეჩოური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, XIII, თბილისი, 1962.

შარაძენიძე 1946 — თ. შარაძენიძე, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე, I, თბილისი, 1946.

შარაძენიძე 1985 — თ. შარაძენიძე, სვანური ენა, იკეწ, XII, თბილისი, 1985.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება — ბრუნება და თანდებულიანი ფორმები, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998.

ძიძიგური 1946 — შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში, იკე, ტ. I, თბილისი, 1946.

ბ) ლექსიკონები

ახმანოვა 1966 — О. С. Ахмановаб Словарь лингвистических терминов, М, 1966.

ლელ 1990 — Лингвистический (энциклопедический) Словарь, М, 1990.

გ) წყაროები

სვ. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979.

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

ნაწილი II

მორფოლოგია

I. სახელები

1. რიცხვითი სახელები სვანურში[1]

(სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი)

რიცხვით სახელთა ნებისმიერი სისტემა, როგორც ცნობილია, წარმოადგენს რიცხვის აბსტრაქტული ცნების გამომხატველ სიტყვათა სისტემას.

რიცხვის განყენებული ცნებები არ შეიძლება შინაგანად იყოს დამახასიათებელი საგნებისა და მოვლენებისათვის, როგორც მათი ნიშან-თვისებები, არამედ, როგორც ვ. ვინოგრადოვი შენიშნავს, „მათზე ძევს და მხოლოდ არსებით სახელებთან შეწყობით შეუძლიათ განსაზღვრონ რაოდენობა და ერთგვარ საგანთა რაოდენობითი თანაფარდობანი" (ვინოგრადოვი 1947:301).

რიცხვით სახელზე, როგორც დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილზე ზოგადი მსჯელობისას აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან: 1. რიცხვითი სახელი, როგორც მეტყველების ნაწილი, თავისი გრამატიკული ნიშან-თვისებებით, და 2. სიტყვები, სადაც საკუთრივ რიცხვის მნიშვნელობა მიჩქმალულია, გასუბსტანტივებულია (ორეული, სამება, დაოთხილი, ხუთიანი და სხვ., — შანიძე 1981:297). ბუნებრივია, რომ რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ყველა სიტყვას არ მიაკუთვნებენ რიცხვით სახელებს, არამედ მხოლოდ იმათ, რომლებშიც რაოდენობის ცნება თვლის საყოველთაოდ მიღებული ერთეულებით გამოიხატება (1952:219).

ქართველურ ენათა რიცხვით სახელებს არაერთი ცნობილი ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია ნ. მარის ("Заимствование числительных в яфетических языках", ИАН, 1913; Из поездок в Сванию. – Христианский Восток, выпуск I, 1913; Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры. – В кн.: Марр Н. Я. Избранные Работы. Этапы развития яфетической теории. Л.: Издат. ГАИМК, т. I, 1920; Грамматика древнелитературного грузинского языка – Л.: Изд. Российской Академии Наук, 1925; О числительных (К постановке генетического вопроса). В кн.: Языковедные проблемы по числительным. I. Сборник Л.: Изд. Ин-та лит. И яз. Запада и Востока при ЛГУ, 1927), ივ. ჯავახიშვილის („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", თბილისი, 1937), არნ. ჩიქობავას („ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი", თბილისი, 1938), ვ. თოფურიას („ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში". — შრომები. III. თბილისი, 1979), მ. კვეზერელი-კოპაძის („რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები ქართველურ ენებში" — ისტორიულ-შედარებითი გამოკვლევა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1987), ზ. ჭუმბურიძის („სვანური ენა", — გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 2007), მ. ჩუხუასა (იხ. მისი „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა", თბილისი, 2008) და სხვათა შრომები.

ქართველურ ენათა რიცხვითი სახელების წარმომავლობის გარკვევა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო უცხოელ ენათმეცნიერთა მიერ (როზენი 1845:11) და მას შემდეგ ცხოველი ინტერესი ამ საკითხის შესახებ არ შენელებულა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული ენის ძველ გრამატიკებში რიცხვითი სახელის საგანგებო განხილვას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ამისი მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით რიცხვითი სახელი, როგორც ვიცით, ბრუნებადი სიტყვაა და ამ კატეგორიის მიხედვით იგი ახლოს დგას არსებით და ზედსართავ სახელებთან და, ბუნებრივია, რომ სახელთა შესწავლისას ძველი გრამატიკოსები, ძირითადად, ყურად-

[1] რიცხვითი სახელების დაწვრილებითი ანალიზი მოცემული იქნება მონოგრაფიაში, რომელიც მალე დასრულდება.

ღებას არსებით და ზედსართავ სახელებზე ამახვილებდნენ მხოლოდ (კვეზერელი-კოპაძე 1987:18).

საინტერესო, მაგრამ რიცხვით სახელთა საკამათო ანალიზი წარმოადგინა აკად. ნ. მარმა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებში. მისი პირველი წერილი სვანურ რიცხვით სახელთა შესახებ სათაურით "**Заимствование числительных в яфетических языках**" გამოქვეყნდა 1913 წელს, რომელშიც მკვლევარი მიუთითებს, რომ ძირეული სიტყვა „შვიდისათვის“ სვანურს არ შემოუნახავს, არამედ იგი იყენებს მეგრულ-ჭანურიდან ნასესხებ ლექსემას. ასევე თუბალ-კაინური ფენის გავლენის შედეგად მიაჩნია სვანური **ჲორი**-ც თავისი დიალექტური სახესხვაობებით (**ჲერბი, ჲერუ, ჲერი**). მეგრულ-ჭანური **ჟირი‖ჟური**-სათვის ნ. მარი აღადგენს თუბალ-კაინურ პროტოტიპს ***შორი**-ს სახით. ძირეული სვანური სიტყვა ამ რიცხვითი სახელის აღსანიშნავად შეიძლება ყოფილიყო ***ხეჳ** > ***ხე** > **ხჳ**, რომელიც შემონახულია ისეთ ფორმაში, როგორიცაა **დეხედა** > **დეხდა** („არც ერთი“). ანუ როგორც მკვლევარი შენიშნავს, აქ „ორი“-ს გამომხატველი სიტყვა, მრავლობით რიცხვში დგას (-**და** ნიშნით), თავში კი უარყოფის აღმნიშვნელი **დე**- ნაწილაკი დაერთვის. მისი ვარაუდით, ეს ***ხეჳ** > ***ხე** > **ხჳ** ქართულმაც შემოინახა სვანურიდან შეთვისებულ ისეთ სიტყვებში, როგორიცაა ნა-**ხევ**-არ-ი (სიტყვა-სიტყვით: „მეორე ნაწილი“) და **ყევ**-არ-ი (იგივე ძირი **ყევ**-ის სახით), რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად სარწმუნოა.

რადგანაც ჩვენ აქ შევეხეთ ნა-**ხევ**-არ ფორმას, რომელიც, როგორც ვნახეთ, აკად. ნ. მარს ქართულში სვანურიდან შეთვისებულად მიაჩნია, აუცილებლად ჩავთვალეთ მსჯელობა მისი სვანური შესატყვისის **ხჳნსგა**-ს შესახებ.

ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ ქართული ნახევრის მნიშვნელობით გვხვდება **ხჳნსგა** (ზს.), **ხჳ̈ნსგე** (ლშხ.), **ხჳნსკა** (ლნტ.) ფორმები. ამ ლექსემის ეტიმოლოგია ეკუთვნის პროფ. მ. ჩუხუას, რომელიც ქართულ-სვანური მასალის შეპირისპირებით საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის სამართლიანად აღადგენს ***ხეჳ**- არქეტიპს (ქართ. **ხევ**-, ნა-**ხევ**-არ-ი, სვან. **ხჳნ-სგა‖ხჳნ-სკა** „ნახევარი“), თუმცა სვანური **ხჳნ-სგა‖ხჳნ-სკა**-ს მეორე ნაწილის **სგა‖სკა**-ს შესახებ არაფერს ამბობს (ჩუხუა 2008:435). მიგვაჩნია, რომ ეს **სგა‖სკა**- არის იგივე, რაც ქართული „შუა, შორის“, რომელსაც, როგორც ცნობილია, შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებშიც, რის საფუძველზეც საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია ***შუჳა**- (ფენრიხი-სარჯველაძე 2000:558; შდრ. გამყრელიძე 1959:51; კლიმოვი 1998:252; ჩუხუა 2008:574).

ჩვენი აზრით, სვანური **ხჳნ-სგა‖ხჳნ-სკა** სიტყვასიტყვით იქნება „ნახევრის შუა“. იგივე ფუძე თავს იჩენს მასდარში **ლინჷსგრე** (ბზ.), **ლინესგგრი** (ბქ.) „განახევრება, მიწის ნაკვეთის სანახევროდ სხვისთვის მიცემა დამუშავების მიზნით, რის შედეგადაც მოსავლის ნაწილი შუაზე უნდა გაიყოს“, რომელსაც, რა თქმა უნდა, ზმნის პირიანი ფორმებიც ჩვეულებრივ ეწარმოება [შდრ. ზს. **ლიხნისგი/ე**, ბზ., ლშხ. **ლიხნჷსგე** „განახევრება“, ბქ., ლშხ. **ლიხნისგი**, ლნტ., ჩოლ. **ლიხნისკი** „განახევრება“; ზს. **ნა̈ხნისგ˹ჳ˺** „ნახევარი (ზედმიწ. — ნანახევრები)“, ბზ. **ლჳხნჷსგე**, ბქ. **ლჳხნისგე**, ლნტ., ჩოლ. **ლჳხნისკე** „განახევრებული“; ბზ. **ლენჷსგგრი**, ბქ. **ლენესგგრი/ე** „სანახევროდ მისაცემი (ზედმიწ. — გასანახევრებელი)“ და ა. შ.].

საანალიზო ზემოსვანური ლექსემის (ბზ. **ლინჷსგრე**, ბქ. **ლინესგგრი**) ფონეტიკურ პროცესთა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, შემდეგი სურათი იხატება:

ერთი მხრივ, ბზ. ლი-ნჷსგ-რ-ე ← ლი-ნესგ-გრ-ე ← *ლი-**ხ**ნესგ-გრ-ე ← *ლი-**ხჳ**ნსგ-ერ-ი ← ლი-**ხჳნსგ**-ე ← **ხჳნსგა**

მეორე მხრივ, ბქ. ლი-ნესგ-გრი ← ლი-**ხ**ნესგ-გრ-ი ← *ლი-**ხჳ**ნსგ-ერ-ი ← ლი-**ხჳ**ნსგ-ე ← **ხჳნსგა**.

რაც შეეხება „სამისა“ და „შვიდის“ აღმნიშვნელ რიცხვით სახელებს, მათ ნ. მარი განიხილავს ნაშრომში "**Из поездок в Сванию**". ავტორის აზრით, ქართული „სამ“-ის გავლენითაა მიღებული სვანურსა და მეგრულ-ჭანურში **სემი** და **სუმი** [მეგრულში თავკიდური ს'ს შესატყვისად უნდა გვქო-

ნოდა **შ** — ***შუმი**, ხოლო სვანურში **ნ** — ***ნემ**, ***ნევ** ან ***ხემ**, ***ხევ** (მარი 1913:17-18)], მაგრამ აღნიშნულმა ენებმა ეს ფორმები „სამ"-ის გამოსახატავად არ შემოგვინახეს.

ქართული „შვიდ"-ის სვანური შესატყვისი კი, მისი ვარაუდით, უნდა ყოფილიყო ***ისგუიდ**. **სგ**-კომპლექსის ნაცვლად **შგ**-ს არსებობა კი თუბალ-კაინურის გავლენად მიაჩნია (იქვე:20-21).

უნდა ითქვას ისიც, რომ ნ. მარი „შვიდ"-ის აღმნიშვნელი ძირეული სვანური სიტყვის ნაწილობრივ კვალს ხედავდა სვანური **მაგზი** (< ***მაზგი**) „შვიდეული", „კვირა" ფორმაში. სრულად კი, მისი აზრით, წარმოდგენილია ძველ ქართულ **მსგეფსი** „შვიდეული" სიტყვაში, რომელსაც საფუძვლად სვანურიდან ნასესხები ***სგებს** „შვიდი" უდევს (იქვე).

1920 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთა შუაზღვისპირეთის შექმნაში" ნ. მარი საუბრობს იმის შესახებ, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად სხეულის ნაწილებს იყენებდნენ. „ერთისა" და „ორის" აღსანიშნავად ხმარობდნენ ერთსა და იმავე სიტყვას „პირს", რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც „ერთი" („ერთი პირი"), ან „ხელს" „ერთად" ან „ორად" („წყვილი ხელი") აღქმულს, რიცხვი „ოთხი" გამოიხატებოდა სიტყვით „ფეხები", „ხუთი" კი სიტყვით „მჯიღი" და ა. შ. (მარი 1920:99).

შემდგომდროინდელ ნაშრომში, რომელიც ეძღვნება ქართული ენის რიცხვით სახელებს, ავტორის მთელი მსჯელობა ემყარება თეორიას, ქართულისა და სემიტურის ნათესაობაზე, იგი რიცხვით სახელებზე მსჯელობას იწყებს რაოდენობით რიცხვით სახელთა ჩამოთვლითა და მათი აღნაგობის დახასიათებით (მარი 1925:71-73). მკვლევარი ვარაუდობს, რომ რიცხვითი სახელებიდან ზოგი ქართულია, ზოგი კი ნასესხებია ან შეთვისებულია მონათესავე ენათაგან. როგორც იგი ამტკიცებს, რაოდენობითი რიცხვითი სახელი „ორი" ქართულს ძირიანად სვანურისგან შეუთვისებია თავკიდური **დ**-ის დაკარგვით, რომლის სრული ფორმა დაცულია ლახამულურ კილოში **დორ**-ის სახით[1] (იქვე:77), ხოლო „ერთი", მისი აზრით, წარმომდგარია ***ჯერთი**-საგან და ამ რიცხვითი სახელის ძირად ***ჯრთ**-ს გამოყოფს (იქვე:75). „სამ"-ის შესახებ კი მიუთითებს, რომ ამ ძირის თავდაპირველი სახე არ არის დადგენილი და მიაჩნია, რომ მომდინარეობს **სმ** ძირიდან (იქვე). „ოთხ"-ში კი გამოყოფს **ო** თავსართსა და ***რთხვ**- ძირს, რომელიც, მისი აზრით, ***რვცხ**-საგან არის მიღებული. ამ ძირის სამი სახესხვაობა კი ***რვტ**- → ***რვდ**- → ***რვთ**- წარმომდგარია ***რვწ**- → ***რვძ**- → ***რვც**-საგან (იქვე:77). რაც შეეხება რიცხვით სახელს „ხუთ"-ს, იგი მიაჩნია ***ხევთ**-ისაგან მიღებულად, რომლის ძირიც არის ***ხვთ**- (იქვე:75). ქართული „ექვსი" მკვლევარს სვანურიდან ნასესხებად მიაჩნია (იქვე:76). „შვიდ"-ის ძირად კი იგი **შჳდ**-ს ვარაუდობს, რომლისგანაც **მშჳდის** (ე. ი. მშვიდობიანის, წყნარის) ფუძეა ნაწარმოები (იქვე:76-77). **რუა**, **რვა** პირველადი **რუანი**-საგან მიღებულად მიაჩნია, რომელსაც საფუძვლად უდევს ***რჳნ**- ძირი (იქვე:75). რიცხვით სახელს „ცხრა"-ს **ცხ**-სა და **რა**-საგან შედგენილად თვლის, სადაც **ცხ**, მისი აზრით, ძირია, **რა** კი — სუფიქსი (იქვე:77). ავტორის ვარაუდით, ქართულში „ათ"-ის, ოც"-ის და ას"-ის სახელები ერთი და იმავე ფუძის სახესხვაობებს წარმოადგენენ და სამივე რიცხვით სახელს ***ჰას**-ისაგან მომდინარედ თვლის, რომლის სრულ სახეობას ***ჰასრ**-ს, იგი არაბულ **გაშარას** („ათი") უკავშირებს (იქვე:75-76).

აკად. ნ. მარის მსჯელობა ქართველურ ენათა რიცხვითი სახელების შესახებ ამ ნაშრომით არ დამთავრებულა და 1927 წელს მან კვლავ გამოაქვეყნა საკმაოდ სოლიდური ნაშრომი „რიცხვით სახელთა შესახებ (გენეტიკური საკითხის დასმისათვის)", რომელიც რიცხვითი სახელის გენეზისის საკითხს ეძღვნება. ამ ნაშრომის დიდი ნაწილი ღვთაებათა სახელწოდებებს ეხება, თუმცა აქვე წარმოდგენილია ზოგადი მსჯელობა რიცხვით სახელთა შესახებ და ზოგიერთი მათგანის ანალიზი (მარი 1927:20-21).

[1] **შენიშვნა: დორი** მხოლოდ ლახამულური კილოკავის კუთვნილებას არ წარმოადგენს, იგი მთელ ბალსქვემოურშია.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ნ. მარის ძირითადი ამოცანა შესაძლებელია ყოფილიყო „ე. წ. იაფეტური და სხვა, მაგალითად, ინდოევროპული, ენების მონოგრაფიული შესწავლითა და გაღრმავებული ანალიზით რიცხვითი სახელების ასეთივე წარმოშობის გარემოება გამოერკვია... ამის მაგიერ ნ. მარმა ისევ ზოგად დებულებათა წამოყენება ირჩია სხვადასხვა ენებითგან განურჩევლად ამოღებული რიცხვითი სახელების აგებულების დაუსაბუთებლივ დანაწილებითა და დაკავშირებით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ სწორე და გონებამახვილი მოსაზრება სათუო და მცდარი ეტიმოლოგიებით არ ყოფილიყო მოცული" (მარი 1937:381).

ქართველურ და კავკასიურ ენათა რიცხვით სახელებს საკმაოდ დიდი და საინტერესო გამოკვლევა „რიცხვითი სახელები, მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემა" მიუძღვნა თავად ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც შესულია მის წიგნში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა" (ჯავახიშვილი 1937). აღნიშნული ნაშრომის ძირითადი მიზანია ქართულ-ქართველური და კავკასიური რიცხვითი სახელების ადრინდელი უძველესი ფორმებისა და რიცხვით სახელთა აღნაგობის გარკვევა.

მეცნიერის თვალსაზრისით, საჭიროა დადგინდეს და შეძლებისდაგვარად გაირკვეს აღრიცხვის კიდევ სხვა წესის კვალი და გავლენა არსებულ რიცხვით სახელებზე, რაც „ერთეულების ბუნებისა და აგებულების გასაგებად არის მნიშვნელოვანი". ყველა ამ პრობლემის გადასაჭრელად კი, ავტორის აზრით, უმჯობესია რიცხვითი სახელების შესწავლა თავდაპირველად თითოეულ ენაში ცალ-ცალკე, ხოლო შემდგომ ენათა არსებული დიდი ჯგუფების საერთო თვისებებისა და განმასხვავებელი თავისებურებების და ბოლოს კავკასიურისა და ქართულ-ქართველურის შედარებითი შესწავლა და ანალიზი, რომ „ამ გზით მათი ძირეული და ფორმალური ნაწილებისა და ელემენტების ნათესაობის პრობლემის გადაწყვეტაც შესაძლებელი გახდეს" (იქვე:261-262). ბუნებრივია, რომ ნაშრომში სწორედ პრობლემათა დასმის ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით არის განხილული კავკასიური და ქართველური რიცხვითი სახელები და მრავალფეროვანი მასალის ანალიზის შედეგად მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დასკვნებია გაკეთებული.

მეტად მნიშვნელოვანია პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევა — „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში" (იხ. შრომები, III, თბილისი, 1979), სადაც მსჯელობაა ოცობითი თვლის სისტემის შესახებ ქართველურ ენებში.

1. 1. თვლის სისტემისათვის სვანურში

ცნება „თვლადობისა", როგორც ცნობილია, ყველა ენის ლექსიკური სტრუქტურისათვის შინაგანად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, ვინაიდან არსებითი სახელის უნივერსალურ, პირველად კატეგორიად აღიარება გულისხმობს ადამიანების, ცხოველებისა და სხვა დისკრეტული საგნების გამოცალკევებას, ჩამოთვლას (ლაიონზი 1978:299).

სათვალავ-აღრიცხვისათვის გამოყენებულია როგორც გარკვეული (ერთი, ორი, ხუთი, ასი...), ისე გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველი სახელები: **წყვილი, ტყუპი, ცალი, თითო, ბევრი, მრავალი, ყველა, ურიცხვი**. როგორც წესი, ასეთი სიტყვებით არ ვითვლით, პირიქით, როცა გვინდა გამოვხატოთ წყვილის ან ცალის სათვალავი, მას რაოდენობით რიცხვს დავურთავთ წინ. მაშასადამე, ენაში არსებული რაოდენობის გამომხატველ სახელთა ერთი ნაწილი ქმნის თვლის სისტემას, მეორე ნაწილი კი თვლის სისტემის გარეშე დგას (გვენცაძე 1972:93).

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ენაში თვლის განსხვავებული სისტემაა გამოყენებული (**ბინარული, ოთხობითი, ხუთობითი, ექვსობითი, რვაობითი, თორმეტობითი** და ა. შ. — თაგლიავინი 1949:399-410), ყველაზე ფართოდ და თანმიმდევრულად თანამედროვე ენათა უმეტესობაში წარმო-

დგენილია ორი სახე: **ათობითი** ანუ **დეციმალური** და **ოცობითი** ანუ **ვიგეზიმალური**. დღეს უფრო მეტად, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, **დეციმალური** სისტემაა გავრცელებული, თუმცა **ვიგეზიმალურიც** საკმაოდ დიდ არეალებს მოიცავს. იგი გვხვდება სხვადასხვა ხალხთან, რომლებიც ტერიტორიულად, კულტურულად, გენეტურად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი (როზენბერგი 1927:170).

მეცნიერთა ერთ ნაწილს (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი) ქართული თვლის სისტემა „შერეულ ტიპად“ მიაჩნდა, ვინაიდან ნაწილობრივ **ათობითია** ანუ **დეციმალური** და ნაწილობრივ **ოცობითი** ანუ **ვიგეზიმალური**. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა თერთმეტიდან ცხრამეტის ჩათვლით, ასი და ასს ზევით: **ათი**, **ათ-ერთ-მეტი** (10 + 1), **ათ-ორ-მეტი** (10 + 2), **ათ-სამ-მეტი** (10 + 3), **ათ-ოთხ-მეტი** (10 + 4); **ასი** (10 X 10), **ათასი** (10 X 100) და ა. შ. ოცობითი კი ოციდან 99-მდე, მაგ.: **ოცდაერთი** (20 + 1), **ოცდაორი** (20 + 2), **ოცდასამი** (20 + 3), **ოცდაათი** (20 + 10), **ოცდათერთმეტი**..., **ოცდაცხრამეტი**, **ორმოცი** (2 X 20), **სამოცი** (3 X 20), **ოთხმოცი** (4 X 20), **ოთხმოცდაცხრამეტი** (4 X 20 + 19) (შანიძე 1980:40).

რა შეიძლება ითქვას სხვა ქართველურ ენათა თვლის სისტემის შესახებ? როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულისებური თვლის სისტემაა გატარებული მეგრულ-ჭანურში და სვანურის ორ დიალექტში: ლენტეხურსა და ბალსქვემოურში.

მეგრულ-ჭანურში ასის ფარგლებში ოციდან ოთხმოცდაცხრამეტამდე ოცობით ითვლიან, შემდგომ კი საყრდენი ერთეული არის „ასი“ ისევე, როგორც ქართულში. მაგ.: მეგრ. 20 — **ეჩი** („ოცი“), 30 — **ეჩდოვითი** („ოცდაათი“), 40 — **ჟარნეჩი||ჟაარნეჩი** („ორმოცი“), 50 — **ჟარნეჩდოვითი** („ორმოცდაათი“), 60 — **სუმონეჩი** („სამოცი“), 70 — **სუმონეჩდოვითი** („სამოცდაათი“), 100 — **ოში** („ასი“); ჭან. 20 — **ეჩი** („ოცი“), 30 — **ეჩდოვითი** („ოცდაათი“), 40 — **ჟურენეჩი||ჟურნეჩი** („ორმოცი“), 50 — **ჟურნეჩდოვითი** („ორმოცდაათი“), 60 — **სუმენეჩი** („სამოცი“), 70 — **სუმენეჩდოვითი** („სამოცდაათი“), 100 — **ოში** („ასი“).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანალოგიური ვითარება დასტურდება სვანურის ორ კილოში, სახელდობრ **ლენტეხურსა** და **ბალსქვემოურში**. რაც შეეხება ბალსზემოურსა და ლაშხურს, მათ თვლის ათობითი სისტემა ახასიათებთ[1].

ასევე განსხვავებულია თერთმეტიდან ცხრამეტის ჩათვლით რიცხვითი სახელების წარმოება ქართულში. **ათ** ფუძეს ემატება ერთეული სახელის ფუძე და ბოლოს დაერთვის **მეტ** ელემენტი. მაგ.: **ათ-ერთ-მეტი**, **ათ-ორ-მეტი**, **ათ-სამ-მეტი**, **ათ-ოთხ-მეტი**, **ათ-ხუთ-მეტი**, **ათ-ექვს-მეტი**, **ათ-შვიდ-მეტი**, **ათ-რვა-მეტი**, **ათ-ცხრა-მეტი**.

მეგრულ-ჭანურშიც 11-დან 19-მდე რიცხვითი სახელები ასევე **ათ** ფუძეზე ერთეულის დამატებით იწარმოება. **ათისა** და **ერთეულის** აღმნიშვნელი ფუძეები **და** კავშირით არის შეერთებული.

მეგრ. **ვითი + დო + ართი → ვითაართი** (**ათ + და + ერთი**); ჭან. **ვიტვაარ||ვიტოარ — ვით + დო + არ**;

მეგრ. **ვითოჟირი**, ჭან. **ვიტოჟურ||ვიტოჯურ** (**ათ + და + ორი**);

მეგრ. **ვითოსუმი**, ჭან. **ვიტოსუმ** (**ათ + და + სამი**);

მეგრ. **ვითაანთხი**, ჭან. **ვიტოთხო||ვიტოოთხო** (**ათ + და + ოთხი**);

მეგრ. **ვითოხუთი**, ჭან. **ვიტოხუთ** (**ათ + და + ხუთი**);

მეგრ. **ვითაამშვი**, ჭან. **ვიტვაშ||ვიტოაშ** (**ათ + და + ექვსი**);

მეგრ. **ვითოშქვითი**, ჭან. **ვიტოშკით||ვიტოშქით** (**ათ + და + შვიდი**);

[1] სვანური თვლის სისტემის შესახებ დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება სათანადო ადგილას.

მეგრ. ვითორუო||ვითობრუო, ჭან. ვიტოვრო (ათ + და + რვა);

მეგრ. ვითოჩხორო, ჭან. ვიტოჩხორო||ვიტონჩხორო (ათ + და + ცხრა).

რაც შეეხება სვანურს, იქ ათ-ს ემატება ერთეულის აღმნიშვნელი ფუძე ყოველგვარი სხვა ელემენტის გარეშე (იხ. ქვემოთ).

ოც-ს ზემოთ **ოცდაათის** ჩათვლით, რიცხვითი სახელების საყრდენი ერთეული არის **ოცი**: მეგრ.-ჭან. **ეჩი**, სვან. **ჲერუ̂ეშდ**. ქართულში ოცეულის რაოდენობა გვევლინება კომპოზიტების პირველ წევრად და მას ემატება ერთ-ერთი ცხრამეტერთეულთაგანი და კავშირის საშუალებით. მაგ.:

21 — **ოცდაერთი**, 22 — **ოცდაორი**, 23 — **ოცდასამი**, 24 — **ოცდაოთხი**, 25 — **ოცდახუთი**, 26 — **ოცდაექვსი**, 27 — **ოცდაშვიდი**, 28 — **ოცდარვა**, 29 — **ოცდაცხრა**, 30 — **ოცდაათი**.

მეგრულ-ჭანურშიც „დო" კავშირი აკავშირებს ოცეულებთან ერთეულებს. მაგ.:

მეგრ. 21 — **ეჩდოართი**, 22 — **ეჩდოჟირი**, 23 — **ეჩდოსუმი**, 24 — **ეჩდოოთხი**, 25 — **ეჩდოხუთი**, 26 — **ეჩდოამშვი**, 27 — **ეჩდოშქვითი**, 28 — **ეჩდორუო||ეჩდობრუო**, 29 — **ეჩდოჩხორო**, 30 — **ეჩდოვითი**.

ჭან. 21 — **ეჩდოარ**, 22 — **ეჩდოჟურ**, 23 — **ეჩდოსუმი**, 24 — **ეჩდოოთხო**, 25 — **ეჩდოხუთ|| ეჩდოხუ**, 26 — **ეჩდოაში||ეჩდოანში**, 27 — **ეჩდოშქით||ეჩდოშქვით**, 28 — **ეჩდოვრო**, 29 — **ეჩდოჩხორო||ეჩდოჩხოვრო**, 30 — **ეჩდოვით**.

სვანურში კი **ოცის** შემდგომი რიცხვითი სახელების საფუძველს წარმოადგენს **ათი** (ე. ი. 2 X 10) და მას **ი** კავშირის საშუალებით უერთდება ერთ-ერთი ცხრამეტერთეულთაგანი (იხ. ქვემოთ).

1. 2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები სვანურში

რიცხვითი სახელები სვანურში, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: **რაოდენობითი** და **რიგობითი**. მათგან ერთეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები მარტივი აგებულებისაა. მარტივია აგრეთვე პირველი ათეულისა და ასეულის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელებიც. რაც შეეხებათ დანარჩენ რაოდენობით რიცხვით სახელებს, ისინი მიღებულია მარტივ რიცხვით სახელთა კომბინაციით (**resp**. კომპოზიციით).

შედგენილობის (აგებულების) მიხედვით სვანურში, ისევე როგორც ქართულში, რაოდენობითი სახელი შეიძლება იყოს **მარტივი** და **რთული**.

ა) **მარტივი რიცხვითი სახელები სვანურში**. სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, მარტივია რიცხვითი სახელები ერთიდან ათის ჩათვლით (მაგ.: **ეშხუ**, **ჲორი**, **სემი**, **უ̂ოშთხუ̂**, **უ̂ოხუშდ**, **უ̂უსგუ̂ა**, **იშგუ̂იდ**, **არა**, **ჩხარა**, **ჲეშდ**) და, აგრეთვე, ასი (**აშირ**). რაც შეეხება რაოდენობით რიცხვით სახელს „ოც"-ს, იგი ქართულ-ზანურისგან განსხვავებით რთული ფუძითაა წარმოდგენილი (შდრ. ქართ. **ოცი**, მეგრ. **ეჩი**, ჭან. **ეჩი||ცეჩ** (ათინ.) და სვანური **ჲერუ̂-ეშდ** „ორ-ათ-ი").

თვალსაჩინოებისათვის შევეცდებით პარადიგმების სახით წარმოვადგინოთ რიცხვითი სახელები (როგორც მარტივი, ასევე რთულიც) სვანური ენის დიალექტებისა და ზოგიერთი კილოკავის მიხედვით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულ საანალიზო მასალას დაემატება ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული საილუსტრაციო მასალაც. ბუნებრივია, ვგულისხმობთ იმ ფონეტიკურ ვარიანტებს, რომლებიც დღემდე არ დაფიქსირებულა პუბლიკაციებში. ეს მეტადრე ეხება ჩოლურულს და, ასევე, ლახამულურ და უშგულურ მონაცემებს.

მარტივი რიცხვითი სახელები სვანური დიალექტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უშგ.	ლხმ.
1	ეშხუ „ერთი"	ეშხუ	ჷშხუ	ეშხუ|| ჷშხო	ეშხუ	ეშხჳი	ჷშჳი
2	ჲო̄რი|| ჲო̄რუ|| ჲორუ[1]|| ორი[2]|| ჲერუ[3] „ორი"	ჲორი	ჲერუ|| ჷრუ	ჲერბი	ჲე̄რუ|| ჲერუ	ერჳი|| ერბი	ჲორი
3	სემი||სე̄მი „სამი"	სემი	სემი	ხემი	ხემი||სე̄მი	სემი	სემი
4	ჳო̄შთხჳ|| ოშთხჳ „ოთხი"	⌜ჳ⌝ოშთხჳ	⌜ჳ⌝ო̄შთხჳ	ჳოშთხჳ	⌜ჳ⌝ო̄შთხჳ	ჳო̄შთხჳ	ჳოშთხჳ
5	⌜ჳ⌝ოხჳიშდ „ხუთი"	⌜ჳ⌝ოხუშდ|| ჳოხჳუშდ	⌜ჳ⌝ოხუშდ	ჳოხჳიშტ	⌜ჳ⌝ოხჳიშტ	ოხჳიშდ	ჳოხუშდ
6	უსგჳა „ექვსი"	⌜ჳ⌝უსგჳა	უსგჳა	უსკჳა|| ჷსკჳა	უსგჳა	უსგჳა	უსგჳა
7	იშგჳიდ „შვიდი"	იშგჳიდ	იშგჳიდ	იშკჳიდ	იშგჳიდ	იშგჳიდ	იშგჳიდ
8	არა „რვა"	არა	არა	არა	არა	არა	არა
9	ჩხარა||ჩხა̄რა „ცხრა"	ჩხარა	ჩხარა	ჩხარა	ჩხარა	ჩხარა	ჩხარა
10	ჲეშდ|| ეშდ „ათი"	ჲეშდ|| ჷშდ	ჲეშდ|| ეშდ	⌜ჲ⌝ეშტ	ჲეშტ|| ეშტ	ეშდ	ჲეშდ|| ეშდ
100	აშირ „ასი"	აშირ	აშირ	აშირ	აშირ	აშირ	აშირ
1000000	მილონ „მილიონი"	მილონ|| მილჳენ|| მილოჳა̈ნ|| მილჳა̈ნ	მილონ	მილონ|| მილჳენ	მილონ	მილონ	მილონ

მარტივ რაოდენობით რიცხვით სახელებში დაფიქსირებული დიალექტური ვარიანტები მეტწილად ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლისა და უმლაუტის შედეგია. გარდა ამისა, თავისებური ჰარმონიული კომპლექსებით (მაგ.: ჳოხჳიშტ, უსკჳა||ესკჳა, იშკჳიდ, ჲეშტ) გამოირჩევა ლენტეხური რიცხვითი სახელები. ჩოლურული კი, ჩვენი დაკვირვებით, ლაშხურ-ლენტეხურთან საზიარო ფორმებსაც წარმოგვიდგენს (შდრ. ჩოლ. **ეშხუ** და ლშხ.-ლნტ. **ეშხუ** „ერთი", ჩოლ. **ჲერუ** და ლშხ. **ჲერუ** „ორი", ჩოლ. **სემი** და ლშხ.-ლნტ. **სემი** „სამი", ჩოლ. **ჳო̄შთხჳ** და ლშხ. **ჳო̄შთხჳ** „ოთხი", ჩოლ. **ჳოხჳიშტ** და ლნტ. **ჳოხჳიშტ** „ხუთი", ჩოლ. **უსგჳა** და ლშხ. **უსგჳა** „ექვსი", ჩოლ. **იშგჳიდ** და ლშხ. **იშგჳიდ** „შვიდი", ჩოლ. **არა** და ლშხ.-ლნტ. **არა** „რვა", ჩოლ. **ჩხარა** და ლშხ.-ლნტ. **ჩხარა** „ჩხრა", ჩოლ. **ჲეშტ** და ლნტ. **ჲეშტ** „ათი", ჩოლ. **აშირ** და ლშხ.-ლნტ. **აშირ** „ასი", ჩოლ. **მილიონ** და ლშხ.-ლნტ. **მილიონ** „მილიონი") და მის მოსაზღვრე დიალექტებისგან განსხვავებულ ვარიანტებსაც (მაგ., ჩოლ. **ჲე̄რუ** „ორი", **სე̄მი** „სამი", **ეშტ** „ათი"), რომლებიც სხვა დიალექტებში ვერ დავაფიქსირეთ. თავისებური ჰარმონიული კომპლექსები კი, როგორც ვნახეთ, ჩოლურულშიც დადასტურდა.

[1] სვანურ პროზაულ ტექსტებში, კერძოდ, იფარულში, რამდენჯერმე დადასტურდა.
[2] დაფიქსირდა სვანური ენის ქრესტომათიაში (გვ. 84:22), რაც შესაძლოა ორთოგრაფიული შეცდომაც იყოს.
[3] შდრ. უშგ. **ჷრჳი||ერბი**.

ბ) **რთული რიცხვითი სახელები სვანურში.** რთული რიცხვითი სახელები, როგორც ვიცით, ორი ან მეტი ფუძის შეერთებითაა მიღებული, რის შედეგადაც ბევრ მათგანში ფონეტიკური ცვლილებებია მომხდარი. სვანურში რთული რიცხვითი სახელებია: **ეშდ-ეშხუ** „თერთმეტი (ზედმიწ. — ათ-ი-ერთი)", **ეშდ-ორი** „თორმეტი (ზედმიწ. — ათ-ი-ორ-ი)", **ეშდ-სემი** „ცამეტი (ზედმიწ. — ათ-ი-სამ-ი)", **ეშდ-უსგჳა** „თექვსმეტი (ზედმიწ. — ათ-ი-ექვს-ი)", **ეშდ-არა** „თვრამეტი (ზედმიწ. — ათ-ი-რვა)", **ეშდ-ჩხარა** „ცხრამეტი (ზედმიწ. — ათ-ი-ცხრა)", **ერჳეშდ-ი-ეშდ||სემეშდ** „ოცდაათი (ზედმიწ. — ორ-ათ-ი და ათ-ი||სამ-ათ-ი)", **ჲორ-ერჳეშდ||ჲურ-ინ-ერჳეშდ||ჳოშთხჳ-ეშდ** „ორმოცი (ზედმიწ. — ორ-ორ-ათ-ი||ორ-ჯერ-ორ-ათ-ი||ოთხი-ათ-ი)", **სემ-ერჳეშდ||სუმ-ინ-ერჳეშდ** „სამოცი (ზედმიწ. — სამ-ორ-ათ-ი||სამ-ჯერ-ორ-ათ-ი)", **ჲორ-აშირ** „ორასი (ზედმიწ. — ორ-ი-ას-ი)" და ა. შ., რომლებიც სვანური დიალექტების მიხედვით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

მართალია, ათიდან ოცამდე რიცხვითი სახელები ორივე სისტემის მიხედვით სვანური ენის ყველა დიალექტში, ძირითადად, ერთნაირია, მაგრამ მეტი თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ როგორც ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის), ასევე ჩოლურული მეტყველებისა და უშგულურ-ლახამულური კილოკავების საანალიზო მასალას (ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტით):

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	უშგ.	ლხმ.
11	⌜ჲ⌝ეშდეშხუ	⌜ჲ⌝ეშდეშხუ|| ჲეშდეშხჳი	⌜ჲ⌝ეშდეშხუ	⌜ჲ⌝ეშტეშხუ	ჲეშტეშხუ	ეშდეშხჳი	ჲეშდეშხჳი
12	⌜ჲ⌝ეშდჲორი|| ეშდიჲორუ|| ჲეშდჲორუ|| ⌜ჲ⌝ეშდიჲო̄რუ|| ეშდჲერუ|| ჲეშდჲერუ|| ეშდჲორუ	ჲეშდჲორი|| ეშდჲორი|| ეშდორი	⌜ჲ⌝ეშდ⌜ჲ⌝ე̄რუ	⌜ჲ⌝ეშტ⌜ჲ⌝ერბი	ჲეშტჲე̄რუ	ეშდერჳი	⌜ჲ⌝ეშდ⌜ჲ⌝ორი
13	ჲეშდსე̄/ემი|| ეშდსემი	⌜ჲ⌝ეშდსემი	ჲეშდსე̄მი	ჲეშტსემი	ჲეშტსე̄მი	ჲეშდსე̄მი	⌜ჲ⌝ეშდსემი
14	ეშდიჳო̄შთხჳ	ეშდიოშთხჳ	ეშდიჳო̄შთხჳ	ჲეშტოშთხჳ	ჲეშტჳო̄შთხჳ|| ჲეშტიჳო̄შთხჳ	ეშდიჳო̄შთხჳ	ეშდიოშთხჳ|| ჲეშდოშთხჳ
15	ეშდჳოხჳიშდ|| ეშდოხჳიშდ	⌜ჲ⌝ეშდოხუშდ	ჲეშდჳოხუშდ	⌜ჲ⌝ეშტოხჳიშტ	ჲეშტოხჳიშტ	ეშდჳოხჳიშდ	⌜ჲ⌝ეშდოხუშდ
16	⌜ჲ⌝ეშდუსგჳა	⌜ჲ⌝ეშდუსგჳა	⌜ჲ⌝ეშდუსგჳა	ჲეშტუსკჳა	ჲეშტუსგჳა	⌜ჲ⌝ეშდუსგჳა	⌜ჲ⌝ეშდუსგჳა
17	⌜ჲ⌝ეშდიშგჳიდ	⌜ჲ⌝ეშდიშგჳიდ	⌜ჲ⌝ეშდიშგჳიდ	ჲეშტიშკჳიდ	ჲეშტიშგ/კჳიდ	⌜ჲ⌝ეშდიშგჳიდ	⌜ჲ⌝ეშდიშგჳიდ
18	⌜ჲ⌝ეშდარა	⌜ჲ⌝ეშდარა	⌜ჲ⌝ეშდარა	⌜ჲ⌝ეშტარა	⌜ჲ⌝ეშტარა	⌜ჲ⌝ეშდარა	⌜ჲ⌝ეშდარა
19	⌜ჲ⌝ეშდჩხარა	⌜ჲ⌝ეშდჩხარა	⌜ჲ⌝ეშდჩხარა	⌜ჲ⌝ეშტჩხარა	⌜ჲ⌝ეშტჩხარა	⌜ჲ⌝ეშდჩხარა	⌜ჲ⌝ეშდჩხარა
20	⌜ჲ⌝ერჳეშდ	⌜ჲ⌝ერჳეშდ	⌜ჲ⌝ერჳეშდ	ჲერბეშტ	ჲერჳეშტ	ერჳეშდ	⌜ჲ⌝ერჳეშდ

როგორც მოცემული პარადიგმიდან ჩანს, რთულ რიცხვით სახელებში პირველ ადგილზეა ათეულთა სახელები, შემდეგ მოსდევს ერთეულთა სახელები. მათი შეერთება ათიდან ოცამდე, როგორც წესი, ხდება უკავშიროდ. ოცის ზემოთ კი რიცხვით სახელთა საწარმოებლად, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც გამოიყენება მაერთებელი კავშირი (შდრ., ქართ. და, კოლხ. დო, სვან. ი):

	ბზ.	ბქ.	ლშხ.
21.	'ჲ'ერჳეშდიეშხუ	'ჲ'ერჳეშდიეშხუ[1]	ჲერჳეშდიეშხუ
22.	'ჲ'ერჳეშდიჲორი	'ჲ'ერჳეშდი'ჲ'ორი	ჲერჳეშდიჲე̄რუ
23.	'ჲ'ერჳეშდისემი	'ჲ'ერჳეშდისემი	ჲერჳეშდისე̄მი
24.	'ჲ'ერჳეშდი'ჳ'ო̄შთხჳ	'ჲ'ერჳეშდიჳოშთხჳ	ჲერჳეშდი'ჳ'ო̄შთხჳ
25.	'ჲ'ჲერჳეშდი'ჳ'ოხჳიშდ	'ჲ'ერჳეშდიჳოხუშდ	ჲერჳეშდიჳოხუშდ
26.	'ჲ'ერჳეშდიუსგჳა	'ჲ'ჲერჳეშდიუსგჳა	ჲერჳეშდიუსგჳა
27.	'ჲ'ერჳეშდიიშგჳიდ	'ჲ'ერჳეშდი'ი'შგჳიდ	ჲერჳეშდიიშგჳიდ
28.	'ჲ'ერჳეშდიარა	'ჲ'ერჳეშდიარა	ჲერჳეშდიარა
29.	'ჲ'ერჳეშდიჩხარა	'ჲ'ერჳეშდიჩხარა	ჲერჳეშდიჩხარა

	ლნტ.	ჩოლ.[2]	ლხმ.
21.	ჲერბეშტიეშხუ	ჲერჳეშტ'ი'ეშხუ	ჲერჳეშდიეშჳი
22.	ჲერბეშტიერბი	ჲერჳეშტ'ი'ჲე̄რუ	ჲერჳეშდიჲორი
23.	ჲერბეშტისემი	ჲერჳეშტ'ი'სე̄მი	ჲერჳეშდისემი
24.	ჲერბეშტი'ჳ'ოშთხჳ	ჲერჳეშტ'ი'ო̄შთხჳ	ჲერჳეშდიჳოშთხჳ
25.	ჲერბეშტი'ჳ'ოხჳიშტ	ჲერჳეშტ'ი'ოხჳიშტ	ჲერჳეშდიჳოხუშდ
26.	ჲერბეშტი'ჳ'უსკჳა	ჲერჳეშტ'ი'უსგჳა	ჲერჳეშდიუსგჳა
27.	ჲერბეშტიიშკჳიდ	ჲერჳეშტ'ი'იშგჳიდ	ჲერჳეშდიიშგჳიდ
28.	ჲერბეშტიარა	ჲერჳეშტიარა	ჲერჳეშდიარა
29.	ჲერბეშტიჩხარა	ჲერჳეშტიჩხარა	ჲერჳეშდიჩხარა

უშგულური, რომელიც ბალსზემოური დიალექტის ერთ-ერთი კილოკავია, ოცის ზემოთ რიცხვით სახელთა საწარმოებლად, სვანური ენის სხვა დიალექტების მსგავსად, მაერთებელ **ი** კავშირს არ იყენებს:

ჲäრჳეშდეშხჳი (ორ-ს + ათ + ერთი = 21)
ჲäრჳეშდჲორი (ორ-ს + ათ + ორი = 22)
ჲäრჳეშდსემი (ორ-ს + ათ + სამი = 23)
ჲäრჳეშდჳო̄შთხჳ (ორ-ს + ათ + ოთხი = 24)
ჲäრჳეშდჳოხჳიშდ (ორ-ს + ათ + ხუთი = 25)
ჲäრჳეშდუსგჳა (ორ-ს + ათ + ექვსი = 26)
ჲäრჳეშდიშგჳიდ (ორ-ს + ათ + შვიდი = 27)
ჲäრჳეშდარა (ორ-ს + ათ + რვა = 28)
ჲäრჳეშდჩხარა (ორ-ს + ათ + ცხრა = 29)

გ) **თვლის ათობითი** (ანუ **დეციმალური**) და **ოცობითი** (ანუ **ვიგეზიმალური**) **სისტემა**. არსებითი განსხვავება სვანურ დიალექტებს შორის 30-დან იწყება. ამ განსხვავებას, როგორც უკვე ითქვა, ქმნის თვლის ორგვარი სისტემა: ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში ათობითი (ანუ დეციმალური) თვლის სისტემა, ბალსქვემოურსა და ლენტეხურში კი — ოცობითი (ანუ **ვიგეზიმალური**):

---

[1] შდრ. ლხმ. **ჲერჳეშდიეშჳი**.

[2] 2008 წელს ჩვენ მიერ ჩოლურელი გურჯან ჯამბურიძისგან ჩაწერილ რამდენიმე რთულ რიცხვით სახელში მაერთებელი კავშირი რატომღაც არ დადასტურდა.

ათობითი (ანუ დეციმალური)

	ბზ.	ლშხ.	ჩოლ.	უშგ.
30	სემეშდ	სემეშდ	სემეშტ	სამჳეშდ||სა̈მეშდ||სემეშდ
31	სემეშდიეშხუ	სემეშდიეშხუ	სემეშტიეშხუ	სამჳეშდიეშხჳი
32	სემეშდიორი	სემეშდიჲე̄რუ	სემეშტიჲე̄რუ	სამჳეშდიერჳ/ბი
33	სემეშდისემი	სემეშდისემი	სემეშტისემი|| სემეშტისე̄მი	სამჳეშდისემი
34	სემეშდიჳოშთხჳ	სემეშდიჳოშთხჳ	სემეშტიჳო̄შთხჳ	სამჳეშდიჳო̄შთხჳ
35	სემეშდიჳოხუშდ	სემეშდიჳოხუშდ	სემეშტოხჳიშტ|| სემეშტიჳოხჳიშტ	სამჳეშდიოხჳიშდ
36	სემეშდიუსგჳა	სემეშდიუსგჳა	სემეშტუსგჳა|| სემეშტიუსგჳა	სამჳეშდიუსგჳა
37	სემეშდიიშგჳიდ	სემეშდიიშგჳიდ	სემეშტიშგჳიდ	სამჳეშდიიშგჳიდ
38	სემეშდიარა	სემეშდარა || სემეშდიარა	სემეშტ῾ი῾არა	სამჳეშდიარა
39	სემეშდიჩხარა	სემეშდჩხარა|| სემეშდიჩხარა	სემეშტ῾ი῾ჩხარა	ხამჳეშდიჩხარა
40	ჳოშთხჳეშდ|| ჳო̄შთხჳეშდ	ჳოშთხჳეშდ	ჳო̄შთხჳეშტ	ჳოშთხეშდ
41	ჳოშთხჳეშდიეშხუ	ჳოშთხჳეშდიეშხუ	ჳო̄შთხჳეშტ῾ი῾ეშხუ	ჳოშთხეშდიეშხჳი
50	ჳოხუშდეშდ|| ჳოხჳიშდეშდ	ჳოხუშდეშდ ჳოხუშდე̄შდ	ჳოხშტე̄შტ|| ოხჳიშტე̄შტ|| ოხუშტე̄შტ	ოხჳიშდეშდ
51	ჳოხუშდეშდიეშხუ	ჳოხუშდეშდიეშხუ|| ჳოხუშდე̄შდიეშხუ	ჳოხშტე̄შტიეშხუ|| ოხჳიშტე̄შტიეშხუ	ოხჳიშდეშდიეშხჳი
60	უსგჳაეშდ|| უსგჳა̈შდ	უსგჳაეშდ|| უსგჳე̄შდ	უსგჳე̄შტ	უსგჳა̆შდ
61	უსგჳაეშდიეშხუ	უსგჳაეშდიეშხუ|| უსგჳე̄შდიეშხუ	უსგჳე̄შტ῾ი῾ეშხუ	უსგჳა̆შდიეშხჳი
70	იშგჳიდეშდ|| იშგჳიდა̈შდ	იშგჳიდეშდ|| იშგჳიდე̄შდ	იშგჳიდე̄შტ	იშგჳიდეშდ
71	იშგჳიდეშდიეშხუ	იშგჳიდეშდიეშხუ|| იშგჳიდე̄შდიეშხუ	იშგჳიდე̄შტიეშხუ	იშგჳიდეშდიეშხჳი
80	არაეშდ||არა̈შდ	არაეშდ||არე̄შდ	არე̄შტ	არა̈ეშდ
81	არაეშდიეშხუ	არაეშდიეშხუ|| არე̄შდიეშხუ	არე̄შტიეშხუ	არა̈ეშდიეშხჳი
90	ჩხარაეშდ|| ჩხარა̈შდ	ჩხარაეშდ||ჩხარე̄შდ	ჩხარე̄შტ	ჩხარა̄შდ||ჩხარა̈შდ
91	ჩხარაეშდიეშხუ	ჩხარაეშდიეშხუ|| ჩხარე̄შდიეშხუ	ჩხარე̄შტიეშხუ	ჩხარა̄შდიეშხჳი ||ჩხარა̈შდიეშხჳი და ა. შ.

ოცობითი (ანუ ვიგეზიმალური)

	ბქ.	ლხმ.	ლნტ.
30	ერჳეშდიეშდ	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდ	ჲერბეშტიჲეშტ
31	ერჳეშდიეშდეშხუ	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდეშხჳი	ჲერბეშტიჲეშტეშხუ
32	ერჳეშდიეშდ´ჲ`ორი	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდ´ჲ`ორი	ჲერბეშტიჲეშტ´ი`ერბი
33	ერჳეშდიეშდსემი	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდსემი	ჲერბეშტიჲეშტსემი
34	ერჳეშდიეშდიჳოშთხჳ	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდიჳოშთხჳ	ჲერბეშტიჲეშტ´ი`ჳოშთხჳ
35	ერჳეშდიეშდოხუშდ	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდოხუშდ	ჲერბეშტიჲეშტ´ი`ჳოხჳიშტ
36	ერჳეშდიეშდუსგჳა	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდუსგჳა	ჲერბეშტიჲეშტ´ი`უსკჳა
37	ერჳეშდიეშდიშგჳიდ	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდიშგჳიდ	ჲერბეშტიჲეშტ´ი`იშკჳიდ
38	ერჳეშდიეშდარა	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდარა	ჲერბეშტიჲეშტარა
39	ერჳეშდიეშდჩხარა	ჲერჳეშდი´ჲ`ეშდჩხარა	ჲერბეშტიჲეშტჩხარა
40	ჲორერჳეშდ‖´ჲ`ურინერჳეშდ	´ჲ`ურინჲერჳეშდ	ჲერბი´ჲ`ერბეშტ
50	ჲორერჳეშდიეშდ‖´ჲ`ურინერჳეშდიეშდ	ჲურინჲერჳეშდიჲეშდ	´ჲ`ერბი´ჲ`ერბეშტი´ჲ`ეშტ
60	სემერჳეშდ‖სუმინერჳეშდ	სუმინჲერჳეშდ	სემი´ჲ`ერბეშტ
70	სემერჳეშდიეშდ‖სუმინერჳეშდიეშდ	სუმინჲერჳეშდიჲეშდ	სემი´ჲ`ერბეშტი´ჲ`ეშტ
80	ჳოშთხჳერჳეშდ	ჳოშთხჳჲერჳეშდ	ჳოშთხჳერბეშტ
90	ჳოშთხჳერჳეშდიეშდ	ჳოშთხჳჲერჳეშდიჲეშდ	ჳოშთხჳერბეშტიეშტ

დ) ოცეულებისგან განსხვავებით ასეულები უკავშიროდ არიან შეერთებული

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
200	ჲორაში̄რ‖ ჲო̄რაშირ‖ ჲორიაშირ	ჲორაშირ‖ ჲორიაშირ	ჲე̄რუაშირ	´ჲ`ერბიაშირ	ჲე̄რუაშირ	ჲორიაშირ	ერაშირ
300	სემაში̄რ‖ სე̄მაშირ	სემაშირ	სე̄მიაშირ	სემიაშირ	სე̄მიაშირ	სემიაშირ	სემაშირ
400	ჳო̄შთხჳაში̄რ‖ ჳო̄შთხჳაშირ	ჳოშთხჳაშირ	ჳო̄შთხჳაშირ	ჳოშთხჳაშირ	ჳო̄შთხჳაშირ	ჳოშთხჳაშირ	
500	ოხჳიშდაშირ	ჳოხუშდაშირ	ოხუშდაშირ	ჳოხჳიშტაშირ	ჳოხჳიშტაშირ	ჳოხუშდაშირ	
600	უსგჳა̈შირ	უსგჳაშირ	უსგჳა̈შირ	უსკჳაშირ	უსგჳა̈შირ	უსგჳაშირ	
700	იშგჳიდაშირ	იშგჳიდაშირ	იშგჳიდაშირ	იშკჳიდაშირ	იშგჳიდაშირ	იშგჳიდაშირ	
800	არა̈შირ	არაშირ	არა̈შირ	არაშირ	არა̈შირ	არაშირ	
900	ჩხარაში̄რ	ჩხარაშირ	ჩხარა̈შირ	ჩხარაშირ	ჩხარა̈შირ	ჩხარაშირ	
10 000	ეშდ ათა̈ს	ეშდ ათა̈ს	ჲეშდ ათას	ეშტ ათა̈ს	ჲეშტ ათას	ჲეშდ ათა̈ს	ეშდ ათას
20 000	´ჲ`ერჳეშდ ათა̈ს	´ჲ`ერჳეშდ ათა̈ს	ერჳეშდ ათას	ერბეშტ ათა̈ს	ჲერჳეშტ ათას	´ჲ`ერჳეშდ ათა̈ს	და ა. შ.

ე) ოციათასის ზემოთ უკვე განსხვავებული წარმოება გვაქვს დიალექტების მიხედვით, რისი მიზეზიც არის თვლის ორგვარი სისტემა: ათობითი (ანუ დეციმალური) და ოცობითი (ანუ ვიგეზიმალური).

ათობითი (ანუ დეციმალური)

	ბზ.	ლშხ.	ჩოლ.
30 000	სემეშდიათა̈ს	სემეშდ˹ი˺ათას	სემეშტათას[1]
40 000	ჳო̄შთხჳეშდიათა̈ს	ჳო̄შთხჳეშდათას	ჳო̄შთხჳეშტათას
50 000	ჳოხუშდეშდიათა̈ს	ჳოხუშდჷ̄შდათას	ჳოხშტჷ̄შტ‖ოხჳიშტჷ̄შტათას
60 000	უსგჳა̈შდათა̈ს	უსგჳჷ̄შდათას	უსგჳჷ̄შტიათა̈ს‖უსგჳჷ̄შტათას
70 000	იშგჳიდა̈შდათა̈ს	იშგჳიდჷ̄შდათას	იშგჳიდჷ̄შტათას
80 000	არა̈შდათა̈ს	არჷ̄შდათას	არჷ̄შტათას
90 000	ჩხარა̈შდათა̈ს	ჩხარჷ̄შდათას	ჩხარჷ̄შტათას

ოცობითი (ანუ ვიგეზიმალური)

	ბქ.	ლნტ.	ლხმ.
30 000	ერჳეშდიეშდ ათა̈ს	˹ჲ˺ერბეშტიეშტ ათა̈ს	ჲერჳეშდიჲეშდ ათა̈ს
40 000	ჲორერჳეშდ ათა̈ს	˹ჲ˺ერბიჲე˹რ˺ბეშტ ათა̈ს	˹ჲ˺ურინჲერჳეშდ ათა̈ს
50 000	ჲორერჳეშდიეშდ ათა̈ს	˹ჲ˺ერბიჲერბეშტიეშტ ათა̈ს	˹ჲ˺ურინჲერჳეშდიჲეშდ ათა̈ს
60 000	სემერჳეშდ ათა̈ს	სემიჲე˹რ˺ბეშტი ათა̈ს	სუმინჲერჳეშდ ათა̈ს
70 000	სემერჳეშდიეშდ ათა̈ს	სემიჲერბეშტიეშტ ათა̈ს	სუმინჲერჳეშდიჲეშდ ათა̈ს
80 000	ჳოშთხჳერჳეშდ ათა̈ს	˹ჳ˺ოშთხჳერბეშტი ათა̈ს	ჳოშთხჳერჳეშდ ათა̈ს
90 000	ჳოშთხჳერჳეშდიეშდ ათა̈ს	˹ჳ˺ოშთხჳერბეშტიეშტ ათა̈ს	ჳოშთხჳერჳეშდიეშდ ათა̈ს

ვ) 90 000-ის ზემოთ უკვე ყველა დიალექტში ერთნაირი წარმოება გვაქვს

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
100 000	აშირ ათა̈ს	აშირ ათა̈ს	აშირ ათას	აშირ ათა̈ს	აშირ ათას	აშირ ათა̈ს	
200 000	ჲო̄რაშირ ათა̈ს	ჲორაშირ ათა̈ს	ჲჷ̄რუაშირ ათას	˹ჲ˺ერბიაშირ ათა̈ს	ჲჷ̄რუაშირ ათას	ჲორაშირ ათა̈ს	ერაშირ ა/ა̈თას
300 000	სჷ̄მაშირ ათა̈ს	სემაშირ ათა̈ს	სჷ̄მიაშირ ათას	სემიაშირ ათა̈ს	სჷ̄მიაშირ ათას	სემიაშირ ათა̈ს	სემაშირ ათა̈ს
400 000	ჳო̄შთხჳაშირ ათა̈ს	ჳოშთხჳაშირ ათა̈ს	ჳო̄შთხჳაშირ ათას	ჳოშთხჳაშირ ათა̈ს	ჳო̄შთხჳაშირ ათას	ჳოშთხჳაშირ ათა̈ს	
500 000	ოხჳიშდაშირ ათა̈ს	ჳოხუშდაშირ ათა̈ს	ჳოხუშდაშირ ათას	ჳოხუშდაშირ ათა̈ს	˹ჳ˺ოხჳიშტაშირ ათას	ჳოხუშდაშირ ათა̈ს	
600 000	უსგჳა̄შირ ათა̈ს	უსგჳაშირ ათა̈ს	უსგჳა̄შირ ათას	უსკჳაშირ ათა̈ს	უსგჳააშირ ათას	უსგჳაშირ ათა̈ს	
700 000	იშგჳიდაშირ ათა̈ს	იშგჳიდაშირ ათა̈ს	იშგჳიდაშირ ათას	იშკჳიდაშირ ათა̈ს	იშგჳიდაშირ ათას	იშგჳიდაშირ ათა̈ს	
800 000	არა̄შირ ათა̈ს	არაშირ ათა̈ს	არა̄შირ ათას	არაშირ ათა̈ს	არა̄შირ ათას	არაშირ ათა̈ს	
900 000	ჩხარაში̄რ ათა̈ს	ჩხარაშირ ათა̈ს	ჩხარა̄შირ ათას	ჩხარაშირ ათა̈ს	ჩხარა̄შირ ათას	ჩხარაშირ ათა̈ს	

[1] ჩოლურული რიცხვითი სახელები, როგორც უკვე ითქვა, ჩავიწერეთ 2008 წელს ჩოლურის ხეობაში ფანაგელ გურჯან ჯამბურიძისგან.

ზ) როგორც აღნიშნავენ, რიცხვის აღმნიშვნელი სახელები თვლის ერთეულებია, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება ციფრებით გამოვხატოთ. გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს კი ციფრებით ვერ გამოვხატავთ. სვანურს გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სახელების გარდა, რასაკვირველია, გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელებიც მოეპოვება. მაგ.: **ხჳäჲ** (ბზ.)/**ხჳäჲ** (ბქ., ლნტ.)/**ხჳāჲ||ხჳაჲ** (ლშხ.) „ბევრი“, **ფიშირ** (ბქ., ლშხ.) „მრავალი, ბევრი“, **კოტოლ||კოპოლ||კოწოლ** (ბზ., ლშხ.)/**კჳეტოლ||კჳეპოლ||კჳეწოლ** (ბზ.)/**კჳეტოლ||კჳეპოლ||კეპოლ||კოტოლ||კოპოლ** (ლნტ.) „პატარა, ცოტა“, **მასäრდ** (ზს., ლნტ.)/**მასარდ** (ლშხ.) „ბლომად, ბევრი, ძალიან“, **მოიდ||მოჲდილ** (ბქ.) „ცოტა“, **პუწკუნილ** (ბქ.) „პატარა, ცოტა“, **ნäპწკულ** „პატარა, ცოტა“, **ნäღლეფ/ნäღლეფილ** „სულ მცირედი“, **ქჳეფდ** (ბქ.) „ბლომად“, **დოცხად** (ბქ.) „ბლომად“, **ფურჩäდ**[1] „ბლომად“ და სხვ., რომლებიც უფრო ზედსართავებად და ზმნისართებადაა მიჩნეული, ვიდრე რიცხვით სახელებად.

სვანურში, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, რიცხვით სახელს მრავლობითის ფორმა არ ეწარმოება, არც ქართულის მსგავსი ფორმალური მრავლობითი („შვიდი“ და „შვიდნი“) მოგვეპოვება, თუმცა ბალსზემოელ სვანთა მეტყველებაში შეგვხვდა **ჲორეჳეშდäრ** „ორმოცები“ ფორმა, რომელსაც, ვფიქრობთ, თავისებური ახსნა მოეძებნება. როგორც ცნობილია, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს იმართება მიცვალებულის სულის მოსახსენებელი დიდი წვეულება, რომლის უძველესი სვანური სახელწოდებაა **კონჩხäრ**, თუმცა თანამედროვე სვანურში უფრო გაბატონებულია ქართულიდან შემოსული **ჳორმოც||ორმოც** „ორმოცი“. აქ სწორედ არსებით-რიცხვით სახელთან უნდა გვქონდეს საქმე.

1. 3. რიგობითი რიცხვითი სახელები

რიგობითი რიცხვითი სახელები, როგორც ცნობილია, იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე მე — ე აფიქსების დართვით, რომლებიც საერთოა ქართველური ენებისათვის, თუმცა მეგრულ-ლაზურში ე ხმოვნის ადგილი პრეფიქსშიაც და სუფიქსშიაც უპირავს მის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს ა-ს (იქვე:117).

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს „პირველი“, რომელიც არც ერთ ქართველურ ენაში ზემოხსენებული აფიქსებით არ იწარმოება. სვანურში მის აღსანიშნავად გამოიყენება როგორც საკუთრივ სვანური ფორმები, მაგ.: (ბზ.) **მäნკჳი**, (ბქ., ლნტ.) **მäნკჳი**, (ბქ.) **მäნკუ**, (ლშხ., ჩოლ.) **მāნკჳი** „ჯერ, უწინ, პირველად“, (ბზ.) **სგჳებინ||სგებინ||სგობინ**, (ლშხ.) **სგობინ**, (ლნტ.) **სკჳებინ** „წინ, პირველად“, (ბზ.) **სგჳებნაჳ**, (ბქ.) **სგჳებნაჳ||სგებნაჳ**, (ლშხ., ჩოლ.) **სგობნāჳ**, (ლნტ.) **სკჳებნაჳ** „წინასწარ, წინდაწინ“, (ზს.) **სგჳებნე||სგობნე||სგებნე**, (ლშხ.) **სგობნე**, (ლნტ.) **სკჳებნე** „წინა, წინანდელი“, ბზ., ლნტ. **ხუნკჳი**, ბზ., ლშხ. **ხონკჳი**, ზს. **ხონკი**, ლხმ. **ხენკი** „პირველად, ჯერ, უფრო ადრე“, (ლშხ.) **კეცხäშ** „მწვერვალისა, მოწინავისა“..., ასევე ქართულიდან ნასესხები **პირჳელ** „პირველი“.

როგორც უკვე ითქვა, ორიდან მოყოლებული რიგობით რიცხვით სახელებს მე- პრეფიქსი და -ე სუფიქსი აწარმოებს:

ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
მჷრმე||მჷრჳე	მერმე	მჷრმე	მირბე
მჷსმე	მისმე	მჷსმე	მესემე
მჷშთხჳე||მეჳშთხჳე	მე'ჳ'უშთხჳე	მჷოშთხჳე||მოუშთხჳე	მიუშთხჳე
მჷხჳ'ი'შდი	მიუხუშდი	მჷოხჳშდი||მოუხჳშდი	მიუხუშტი

[1] გამოიყენება ძირითადად ფულის რაოდენობის აღმნიშვნელად (მაგ.: **ალჲäრს ჳარჩხილ ფურჩäშალ ხუღჳახ** „ამათ ბევრი ფული აქვთ („ამეებს ვერცხლ-ი ფურჩ-ი-ვით აქვთ“).

მე̄სგჳე	მეუსგჳი	მე̄უსგჳე‖მოუსგჳე	მეუსკჳე
მე̄შგჳდე	მეიშგჳიდე	მე̄იშგჳდე‖მოიშგჳდე	მეიშკჳიდი
მე̄რე	მეარე	მე̄არე‖მეირე	მეარე
მე̄ჩხრე	მეჩხრე	მე̄ჩხრე‖მეიჩხრე	მეჩხრე
მე̄შდე	მეეშდე‖მეიშდე	მეა̈შდე	მეეშტე

ჩოლ.	უშგ.	ლხმ.
მე̄რმე‖მე̄რბე	მე̄რმე	მერმე
მე̄სმე	მესმე	მესმე
მეოშთხჳე‖მეუშთხჳე	მე̄ჳშთხჳე	მეა̈შთხჳე
მეოხჳიშტე	მეჳხუშდე	მეა̈ხუშდე
მეუსგჳე	მე̄სგჳე	მეა̈სგჳე
მეიშგჳიდე	მეიშგჳიდე	მეიშგჳიდე
მეარე	მეირე	მეა̈რე
მე̄ჩხრე	მეიჩხრე	მეჩხრე
მე̄შტე	მეა̈შდე	მეეშდე‖მეა̈შდე

უშგულურში რიგობითის მაწარმოებელ პრეფიქსსა და მარტივ რიცხვით სახელთა ფუძის ანლაუტში (ანუ მორფემათა ზღვარზე) თავს იჩენს ხმოვანი ი.

მე- — -ე პრეფიქს-სუფიქსის დართვა რიგობით რიცხვით სახელებში იწვევს გარკვეულ ცვლილებებს ფუძეში. პრეფიქსისეული ხმოვნისა და ფუძის თავკიდური ხმოვნის შერწყმის შედეგად ვიღებთ გრძელ ხმოვანს ბალსზემოურსა და ლაშხურში რამდენიმე რიგობით რიცხვით სახელში, მაგ.: *მე-ერჳ-ე > მე̄რმე „მეორე", *მე-უშთხჳ-ე > მე̄შთხჳ-ე „მეოთხე", *მე-ეშდ-ე > მე̄შდე „მეათე" და ა. შ. მართალია, ლაშხურში გვაქვს მეიშდე (* ← მე-აშდ-ე), მაგრამ „მეათეს" ზემოთ მაინც გრძელი ხმოვანი იჩენს თავს, მაგ.: **მე̄შდეშხუ, მე̄შდა̈ერუ, მე̄შდსემი, მე̄შდიჳოშთხჳ, მე̄შდიჳოხუშდ, მე̄შდიუსგჳა** და სხვ.

უშგულური, რომელიც ბალსზემოური დიალექტის ერთ-ერთი კილოკავია, მისგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს ზოგიერთ რიგობით რიცხვით სახელებში, მაგ.: შდრ. ბზ. **მე̄სმე** და უშგ. **მესმე**, რომელიც სიგრძის გარეშეა წარმოდგენილი, ბზ. **მე̄შთხჳე** და უშგ. **მე̄ჳშთხჳე**, სადაც რიგობითი რიცხვის მაწარმოებელ მე- პრეფიქსის მომდევნოდ ფუძისეული ჳ შენარჩუნებულია (შდრ. ბქ. **მეჳუშთხჳე**), ბზ. **მე̄ხჳშდე** და უშგ. **მეჳხუშდე**, აქაც ჳ შენარჩუნებულია, ბზ. **მე̄შგჳდე** და უშგ. **მეა̈შგჳიდე** (შდრ. ბქ. **მეა̈შგჳიდე**), ბზ. **მე̄რე** და უშგ. **მეირე**, ბზ. **მე̄ჩხრე** და უშგ. **მეა̈ჩხრე**, ბზ. **მე̄შდე** და უშგ. **მეა̈შდე**.

1. 4. წილობითი რიცხვითი სახელები

რიგობით რიცხვით სახელთაგან ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები სვანურში ორგვარია:

1. რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან ნაწარმოები: **მე-უშთხჳ-ედ** „მეოთხედი", **მე-უხუშდ-ედ** „მეხუთედი", **მე-უსგჳ-ედ** „მეექვსედი", **მე-იშგჳიდ-ედ** „მეშვიდედი", **მე-არ-ედ** „მერვედი", **მე-ჩხრ-ედ** „მეცხრედი", **მე-ეშდ-ედ** „მეათედი" და ა. შ., რომელსაც ჩვეულებრივ დაერთვის ბრუნვის ნიშნები: **მე-უშთხჳ-ედ-დ, მე-უშთხჳ-ედ-ს, მე-უშთხჳ-ედ-იშ, მე-არ-ედ-დ, მე-არ-ედ-ს, მე-არ-ედ-იშ, მე-ჩხრ-ედ-დ, მე-ჩხრ-ედ-ს, მე-ჩხრ-ედ-იშ** და სხვ.

2. რიგობით რიცხვით სახელთაგან აღწერითადაა ნაწარმოები: (ბზ.) **მე̄რმე ნა̈თი**, (ბქ.) **მერმე**

ნა̈თი, (ლნტ.) **მერბე ნათი** „მეორედი ნაწილი, მეორედი“, (ბზ.) **მე̄სმე ნა̈თი**, (უშგ.) **მესმე ნა̈თი**, (ბქ.) **მესმე ნა̈თი**, (ლნტ.) **მესემე ნა̈თი** „მესამე ნაწილი, მესამედი“, (ბზ.) **მეჳშთხჷე ნა̈თი**, (უშგ.) **მე̄ჷჳშთხჷე ნა̈თი**, (ბქ.) **მეჳშთხჷე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეოშთხჷე ნათი** „მეოთხედი ნაწილი, მეოთხედი“, (ბზ.) **მეჳხუშდე ნა̈თი**, (ბქ.) **მეჳხუშდე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეჳხუშდე ნა̈თი** „მეხუთედი ნაწილი, მეხუთედი“, (ბზ.) **მეჳსგჷე ნა̈თი**, (ბქ.) **მეჷჳსგჷე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეჷჳსგჷე ნა̈თი** „მეექვსედი ნაწილი, მეექვსედი“, (ბზ.) **მეჲშგჷიდე ნა̈თი**, (ბქ.) **მეჲშგჷიდე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეჲშგჷიდე ნა̈თი** „მეშვიდედი ნაწილი, მეშვიდედი“, (ბზ.) **მეარე ნა̈თი**, (ბქ.) **მეარე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეარე ნა̈თი** „მერვედი ნაწილი, მერვედი“, (ბზ.) **მეჩხრე ნა̈თი**, (ბქ.) **მეჩხრე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეჩხრე ნა̈თი** „მეცხრედი ნაწილი, მეცხრედი“, (ბქ.) **მეეშდე ნა̈თი**, (უშგ.) **მეჲშდე ნა̈თი**, (ლნტ.) **მეჲშდე ნა̈თი** „მეათედი, ნაათალი“, (უშგ.) **მეიშრე ნა̈თი** „მეათე წილი, ნაასალი“ ა. შ. აღნიშნული ფორმების პარალელურად სვანურში, საენათმეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების მიხედვით, სხვაგვარად ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელებიც დასტურდება, მაგ.: (ბზ.) **მოჳშთხჷემი ნა̈თი** „მეოთხედი ნაწილი, მეოთხედი“, (ბზ.) **მო̄ხუშდემი ნა̈თი** „მეხუთედი ნაწილი, მეხუთედი“, (ბზ.) **მოჳსგჷემი ნა̈თი** „მეექვსედი ნაწილი, მეოთხედი“, (ბზ.) **მეჲშგჷიდემი ნა̈თი** „მეშვიდედი ნაწილი, მეშვიდედი“, (ბზ.) **მეჲრემი ნა̈თი** „მერვედი ნაწილი, მერვედი“, (ბზ.) **მეჲჩხრემი ნა̈თი** „მეცხრედი ნაწილი, მეცხრედი“, (ბზ.) **მეჲშდემი ნა̈თა** „მეათედი ნაწილი, მეათედი“, თუმცა, როგორც პროფ. ვ. თოფურია მიუთითებს, სვანურში წილადების გამოსახატავად გამოიყენება, ასევე, **ნა-** — **-ი** აფიქსებიც. მაგ.:

ნამსმი „ნასამალი“

ნაჷშთხჷი „ნაოთხალი“

ნაჷხუშდი „ნახუთალი“, დანარჩენი ფორმები, მისი აზრით, არ იწარმოება. რაც შეეხება წილადების საწარმოებელ აფიქსებს, უნდა ითქვას, რომ **ნა-** თავსართი საერთოა ქართულ-სვანურისათვის, ბოლოსართი **-ი** კი სპეციფიკურია სვანურისათვის (თოფურია 2002:253).

1. 5. რიცხვით სახელთა ბრუნება

ა) მორფოლოგიური თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, რიცხვითი სახელი ბრუნებადი სიტყვაა, და ამ კატეგორიის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება არსებითი და ზედსართავი სახელისაგან, გარდა იმისა, რომ რიცხვით სახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები არ მოეპოვება. მართალია, რიცხვით სახელს შეიძლება მრავლობითის ფორმაც ჰქონდეს (მაგ.: „ორი“ და „ორნი“, „ხუთი“ და „ხუთნი“, „შვიდი“ და „შვიდნი“ და ა. შ.), მაგრამ ეს, მეცნიერთა თვალსაზრისით, მხოლოდ ფორმალური მრავლობითია (შანიძე 1980:47).

სვანურ სახელთა ბრუნება[1], როგორც ცნობილია, დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული, რის გამოც, სვანურის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ა. შანიძე წერდა: „... ძნელია ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევდარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს...“ (შანიძე 1981:362). მიუხედავად ამ სირთულისა, სვანური ბრუნების კატეგორიაზე არა ერთი ცნობილი მეცნიერი მუშაობდა (ვ. თოფურია, კ. დონდუა, თ. შარაძენიძე, მ. ქალდანი, გ. მაჭავარიანი, ი. ჩანტლაძე, ა. ონიანი, ლ. პალმაიტი, ე. გაზდელიანი და სხვ.) და უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომებიც შეიქმნა.

სვანურ ბრუნებათა კლასიფიკაცია პირველად წარმოადგინა ს. ჯანაშიამ. მან საკლასიფიკაციო ნიშნად გამოიყენა ბრუნვის ნიშანთა სადაურობა და შესაბამისად გამოყო სამი ბრუნება: 1. წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნება, 2. წმინდა (ან თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და 3. შერეული

---

[1] სვანურში, ტრადიციულად, 6 ბრუნვას გამოყოფენ, ესენია: სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

ბრუნება[1] (ჯანაშია 1942:254). პროფ. ვ. თოფურიამ კი სპეციალურ წერილში „ბრუნების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნებასთან შედარებით" ბრუნების ოთხი სისტემა გამოყო: 1. ქართველური (ქართულ-ზანური), 2. ადიღეური (ჩერქეზულ-დაღესტნური), 3. სვანური (resp. ქართულ-კავკასიური) და 4. ნარევი (თოფურია 1944:344). კლასიფიკაცია აქაც ბრუნვის ნიშანთა სადაურობამ განსაზღვრა. უფრო მოგვიანებით კი ბრუნვათა წარმოების პრინციპზე დაყრდნობით თანამედროვე სვანური ბრუნების ხუთი ტიპი წარმოადგინა თ. შარაძენიძემ (შარაძენიძე 1955:127-133). ჩვენ სწორედ თ. შარაძენიძისეული კლასიფიკაციის მიხედვით წარმოვადგენთ ქვემოთ სვანურ რიცხვით სახელთა ბრუნებას.

რიცხვითი სახელების ბრუნებაზე მსჯელობისას მეტი თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკე წარმოვადგენთ როგორც ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების, ისე ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულურ-უშგულური კილოკავების ბრუნებათა პარადიგმებს.

ბ) **მარტივ რიცხვით სახელთა ბრუნება სვანურში.** სვანურ სახელთა ბრუნებამ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მიიქცია ენათმეცნიერთა ყურადღება და ეს ცხოველი ინტერესი სვანური ბრუნების სირთულიდან გამომდინარე დღემდე არ შენელებულა. აკად. აკ. შანიძის სამართლიანი შენიშვნით: „სვანური ბრუნების დღევანდელი სახე მეტისმეტად შეცვლილია იმასთან შედარებით, რაც ძველად უნდა ყოფილიყო. ამიტომ შედარებით უფრო ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არევდარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს" (შანიძე 1925:217). მიუხედავად ცნობილ მეცნიერთა (ნ. მარი, აკ. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა, თ. შარაძენიძე, ზ. ჭუმბურიძე, ე. გაზდელიანი...) არაერთი ნაშრომისა სვანური ბრუნების შესახებ, აკ. შანიძის ეს სამართლიანი შენიშვნა დღემდე მაინც აქტუალური რჩება, რასაც თანამედროვე სვანური რიცხვითი სახელების ბრუნების ნიმუშებიც ადასტურებენ.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანური თვალსაჩინოდ განსხვავდება ქართულ-ზანურისაგან როგორც **ორფუძიანობითა** და **ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებით,** ისე **ბრუნების ოთხი სისტემით**: 1. **ქართველური (ქართულ-ზანური)**, 2. **ადიღეური (ჩერქეზულ-დაღესტნური)**, 3. **სვანური** (resp. **ქართულ-კავკასიური**) და 4. **ნარევი** (ე. წ. **ჰიბრიდული**).

ქართველური (ქართულ-ზანური) სისტემა გაბატონებულია ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში, შედარებით ნაკლებად — ბალსქვემოურში. **ადიღეური (ჩერქეზულ-დაღესტნური)** დამახასიათებელია ბალსქვემოური დიალექტისათვის, განსაკუთრებით კი ეცერულ-ლახამულური კილოკავებისათვის, საკმაოდ რიგიანადაა წარმოდგენილი გადმონაშთების სახით ბალსზემოურში, შედარებით სუსტად კი — ქვემოსვანურში. მესამე — **სვანური** (resp. **ქართულ-კავკასიური**) სისტემა მკვდარია, მის არსებობას კი გადმონაშთების ანალიზით ამტკიცებენ მიცემითსა და ნათესაობითში გამოვლენილი **-ინ** ბოლოსართებით. რაც შეეხება მეოთხე, ე. წ. **ნარევ (ჰიბრიდულ) სისტემას**, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა სისტემის შერწყმის შედეგს, იგი ყველაზე ახალია და გავრცელებულია ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში (თოფურია 2002:48-52).

ამჯერად ჩვენი მიზანია სვანურ მარტივ რიცხვით სახელთა ბრუნება როგორც ტრადიციულად ცნობილი სვანური დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის), ისე ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემების გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმების სახით წარმოვადგენთ სვანურ მარტივ რიცხვით სახელთა ბრუნების ნიმუშებს საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი ბრუნების ტიპების მიხედვით.

[1] მკვლევარს სამივე ბრუნების ნიმუშები, ძირითადად, ზავადსკის ჩანაწერების მიხედვით მოჰყავს.

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

I ტიპი

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	ჳო̄შთხჳ „ოთხ-ი“	ჳოხუშდ „ხუთ-ი“	იშგჳიდ „შვიდ-ი“
მიც.	ჳო̄შთხჳ-ს „ოთხ-ს“	ჳოხუშდ-ს „ხუთ-ს“	იშგჳიდ-ს „შვიდ-ს“
მოთხ.	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-მა“	ჳოხუშდ-დ „ხუთ-მა“	იშგჳიდ-დ „შვიდ-მა“
ნათ.	ჳო̄შთხჳ-იშ „ოთხ-ის“	ჳოხუშდ-იშ „ხუთ-ის“	იშგჳიდ-იშ „შვიდ-ის“
მოქ.	ჳო̄შთხჳ-შ‖შჳ „ოთხ-ით“	ჳოხუშდ-ჳშ „ხუთ-ით“	იშგჳიდ-ჳშ „შვიდ-ით“
ვით.	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-ად“	ჳოხუშდ-დ „ხუთ-ად“	იშგჳიდ-დ „შვიდ-ად“

სახ.	ჲეშდ „ათ-ი“	აშირ „ას-ი“	ათა̈ს „ათას-ი“	მილიონ „მილიონ-ი“
მიც.	ჲეშდ-ს „ათ-ს“	აშირ-ს „ას-ს“	ათა̈ს-ს „ათას-ს“	მილიონ-ს „მილიონ-ს“
მოთხ.	ჲეშდ-დ „ათ-მა“	აშირ-დ „ას-მა“	ათა̈ს-დ „ათას-მა“	მილიონ-დ „მილიონ-მა“
ნათ.	ჲეშდ-იშ „ათ-ის“	აშირ-იშ „ას-ის“	ათა̈ს-იშ „ათას-ის“	მილიონ-იშ „მილიონ-ის“
მოქ.	ჲეშდ-ჳშ „ათ-ით“	აშირ-ჳშ „ას-ით“	ათა̈ს-ჳშ „ათას-ით“	მილიონ-ჳშ „მილიონ-ით“
ვით.	ჲეშდ-დ „ათ-ად“	აშირ-დ „ას-ად“	ათა̈ს-დ „ათას-ად“	მილიონ-დ „მილიონ-ად“

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ჲერუ „ორ-ი“	სემი „სამ-ი“
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს“	ჲერუ-ს „ორ-ს“	სემი-ს‖სემ-ს „სამ-ს“
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა“	ჲერუ-დ „ორ-მა“	სემი-დ‖სემ-დ „სამ-მა“
ნათ.	ეშხუ-ა̈შ „ერთ-ის“	ჲერუ-'ა̈'შ „ორ-ის“	სემი-'ა̈'შ „სამ-ის“
მოქ.	ეშხუ-ჳშ „ერთ-ით“	ჲერუ-ჳშ „ორ-ით“	სემი-ჳშ‖სემ-ჳშ „სამ-ით“
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად“	ჲერუ-დ „ორ-ად“	სემი-დ‖სემ-დ „სამ-ად“

სახ.	უსგჳა „ექვს-ი“	არა „რვა“	ჩხარა „ცხრა“
მიც.	უსგჳა-ს „ექვს-ს“	არა-ს „რვა-ს“	ჩხარა-ს „ცხრა-ს“
მოთხ.	უსგჳა-დ „ექვს-მა“	არა-დ „რვა-მ“	ჩხარა-დ „ცხრა-მ“
ნათ.	უსგჳა-შ „ექვს-ის“	არა-შ „რვ-ის“	ჩხარა-შ „ცხრ-ის“
მოქ.	უსგჳა-ჳშ „ექვს-ით“	არა-ჳშ „რვ-ით“	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით“
ვით.	უსგჳა-დ „ექვს-ად“	არა-დ „რვა-დ“	ჩხარა-დ „ცხრ-ად“

II ტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი“	ჲორი „ორ-ი“
მიც.	აშხჳ „ერთ-ს“	ჲარჳ „ორ-ს“
მოთხ.	აშხ-ჳ-ემ[1] „ერთ-მა“	ჲარჳ-ემ „ორ-მა“
ნათ.	აშხ-ჳ-მ-იშ „ერთ-ის“	ჲარჳ-იშ „ორ-ის“
მოქ.	აშხჳ-შჳ „ერთ-ით“	ჲარჳ-შ'ჳ' „ორ-ით“
ვით.	აშხჳ-დ „ერთ-ად“	ჲარჳ-დ „ორ-ად“

[1] პარალელურად დასტურდება აშხ-ჳ-მ-ემ ფორმაც, რომელიც ნათესაობითი ბრუნვის მსგავსად სამფუძიანი ბრუნების ტიპად შეიძლება მივიჩნიოთ.

II ტიპის მე-4 ქვეკლასი

სახ.	სემი (←*სამ-ი) „სამ-ი“
მიც.	სამ (←*სამ-ჷ) „სამ-ს“
მოთხ.	სამ-ემ (←*სამ-ჷ-ემ) „სამ-მა“
ნათ.	სამ-(ე)მ-იშ (←*სამ-ჷ-(ე)მ-ოშ) „სამ-ის“
მოქ.	სამ-შჷ (←*სამ-ჷ-შ) „სამ-ით“
ვით.	სამ-დ (←*სამ-ჷ-დ) „სამ-ად“

V ტიპი

სახ.	უსგჷა „ექვსი“	არა „რვა“
მიც.	უსგჷა̄-მ (←*უსგჷა-ამ)[1] „ექვს-ს“	არა̄-მ (←*არა-ამ)„რვა-ს“
მოთხ.	უსგჷე̄-მ (←*უსგჷა-ემ) ‖უსგჷა̄-მ-დ‖ უსგჷე̄-მ-ნე̄მ „ექვს-მა“	არე̄-მ (←*არა-ემ) ‖არა̄-მ-დ‖არა̄-მ-ნე̄მ „რვა-მ“
ნათ.	უსგჷე̄/ა̄-მ-იშ (←*უსგჷა-ემ/ამ-ოშ)„ექვს-ის“	არე̄/ა̄-მ-იშ (←*არა-ემ/ამ-ოშ) „რვ-ის“
მოქ.	უსგჷა̄-მ-შჷ (←*უსგჷა-ამ-შჷ) „ექვს-ით“	არა̄-მ-შჷ (←*არა-ამ-შჷ) „რვ-ით“
ვით.	უსგჷა̄-მ-დ (←*უსგჷა-ამ-დ) „ექვს-ად“	არა̄-მ-დ (←*არა-ამ-დ) „რვ-ად“

სახ.	ჩხარა[2] „ცხრა“
მიც.	ჩხარა̄-მ (←*ჩხარა-ამ) „ცხრა-ს“
მოთხ.	ჩხარე̄-მ (←*ჩხარა-ემ) ‖ჩხარა̄-მ-დ‖ჩხარა̄-მ-ნე̄მ „ცხრა-მ“
ნათ.	ჩხარე̄/ა̄-მ-იშ (←*ჩხარა-ემ/ა̄-ოშ) „ცხრ-ის“
მოქ.	ჩხარა̄-მ-შჷ (←*ჩხარა-ამ-შჷ) „ცხრ-ით“
ვით.	ჩხარა̄-მ-დ (←*ჩხარა-ამ-დ) „ცხრ-ად“

ბრუნების ეს ტიპი (ანუ მიცემითზე დამყარებული) დამახასიათებელია მხოლოდ ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურში კი არ გვხვდება (იქვე, 120).

ბალსზემოურში დადასტურდა ბრუნების ისეთი სისტემაც, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვერც ერთ ბრუნების ტიპში ვერ განთავსდა. მას შესაძლოა ვუწოდოთ ნარევი ბრუნება და ცნობილ 5 ტიპს დავამატოთ მე-6 ტიპიც.

VI ტიპი

სახ.	ჲერუ „ორ-ი“
მიც.	ჲერ-ჷ-ს „ორ-ს“
მოთხ.	ჲერ-ჷ-დ „ორ-მა“
ნათ.	ჲერ-ჷ-მ-იშ „ორ-ის“
მოქ.	ჲერ-ჷ-შ’ჷ’ „ორ-ით“
ვით.	ჲერ-ჷ-დ „ორ-ად“

[1] ჩვენი აზრით, მიცემითში უნდა აღდგეს მეორე ბრუნვის ნიშანიც (უსგჷა̄-მ ←*უსგჷა-ამ-ს, არა̄-მ ←*არა-ამ-ს, ჩხარა̄-მ ←*ჩხარა-ამ-ს), რომელიც ბალსზემოურში მოკვეცილია, თუმცა იგულისხმება.

[2] სამეცნიერო ლიტერატურაში მე-5 ტიპის ბრუნებად მიჩნეული იყო მხოლოდ არა „რვა“ და ჩხარა „ცხრა“ რიცხვითი სახელები, ჩვენ მიერ კი დაემატა უსგჷა „ექვსი“.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ბალსქვემოურში მარტივი რიცხვითი სახელები ბრუნების შემდეგ ტიპებს გვიჩვენებენ:

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	ჳოშთხჳ „ოთხ-ი"	ჳოხუშდ „ხუთ-ი"	იშგჳიდ „შვიდ-ი"
მიც.	ჳოშთხჳ-ს „ოთხ-ს"	ჳოხუშდ-ს „ხუთ-ს"	იშგჳიდ-ს „შვიდ-ს"
მოთხ.	ჳოშთხჳ-დ „ოთხ-მა"	ჳოხუშდ-დ „ხუთ-მა"	იშგჳიდ-დ „შვიდ-მა"
ნათ.	ჳოშთხჳ-იშ „ოთხ-ის"	ჳოხუშდ-იშ „ხუთ-ის"	იშგჳიდ-იშ „შვიდ-ის"
მოქ.	ჳოშთხჳ-შჳ „ოთხ-ით"	ჳოხუშდ-შჳ „ხუთ-ით"	იშგჳიდ-შჳ „შვიდ-ით"
ვით.	ჳოშთხჳ-დ „ოთხ-ად"	ჳოხუშდ-დ „ხუთ-ად"	იშგჳიდ-დ „შვიდ-ად"

სახ.	ჲეშდ „ათ-ი"	აშირ „ას-ი"	ათäს „ათას-ი"	მილიონ „მილიონ-ი"
მიც.	ჲეშდ-ს „ათ-ს"	აშირ-ს „ას-ს"	ათäს-ს „ათას-ს"	მილიონ-ს „მილიონ-ს"
მოთხ.	ჲეშდ-დ „ათ-მა"	აშირ-დ „ას-მა"	ათäს-დ „ათას-მა"	მილიონ-დ „მილიონ-მა"
ნათ.	ჲეშდ-იშ „ათ-ის"	აშირ-იშ „ას-ის"	ათäს-იშ „ათას-ის"	მილიონ-იშ „მილიონ-ის"
მოქ.	ჲეშდ-შჳ „ათ-ით"	აშირ-შჳ „ას-ით"	ათäს-შჳ „ათას-ით"	მილიონ-შჳ „მილიონ-ით"
ვით.	ჲეშდ-დ „ათ-ად"	აშირ-დ „ას-ად"	ათäს-დ „ათას-ად"	მილიონ-დ „მილიონ-ად"

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ჲორი „ორ-ი"	სემი „სამ-ი"
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს"	ჲორი-ს „ორ-ს"	სემი-ს „სამ-ს"
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა"	ჲორი-დ „ორ-მა"	სემი-დ „სამ-მა"
ნათ.	ეშხუ-äშ[1] „ერთ-ის"	ჲორი-ˈäˈშ „ორ-ის"	სემი-ˈäˈშ „სამ-ის"
მოქ.	ეშხუ-შჳ „ერთ-ით"	ჲორი-შჳ „ორ-ით"	სემი-შჳ „სამ-ით"
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად"	ჲორი-დ „ორ-ად"	სემი-დ „სამ-ად"

სახ.	უსგჳა „ექვს-ი"	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	უსგჳა-ს „ექვს-ს"	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	უსგჳა-დ „ექვს-მა"	არა-დ „რვ-ამ"	ჩხარა-დ „ცხრ-ამ"
ნათ.	უსგჳა-შ „ექვს-ის"	არა-შ „რვ-ის"	ჩხარა-შ „ცხრ-ის"
მოქ.	უსგჳა-შჳ „ექვს-ით"	არა-შჳ „რვ-ით"	ჩხარა-შჳ „ცხრ-ით"
ვით.	უსგჳა-დ „ექვს-ად"	არა-დ „რვ-ად"	ჩხარა-დ „ცხრ-ად"

ფუძეში ე ხმოვნის შემცველი მარტივი რიცხვითი სახელები (ეშხუ, ჲერუ, სემი) პარალელურად მეორე ტიპის ბრუნებასაც მისდევენ. ისინი, როგორც წესი, ჳ-იან მიცემითს იყენებენ ფუძედ მომდევნო ბრუნვათათვის. ვნახოთ ამ ტიპის ბრუნების ნიმუშები ზემოსვანური დიალექტების მიხედვით (შესადარებლად მოვიხმობთ ლახამულური დიალექტის ნიმუშებსაც):

[1] ბალსქვემოურში ნათესაობით ბრუნვაში -äშ დაბოლოებიანი ფორმების პარალელურად დასტურდება ეშხუ-მ-იშ, ჲორი-მ-იშ, ჳოშთხჳ-მ-იშ, ეშდ-მ-იშ ფორმებიც, რაც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალებში არ შეგვინიშნავს.

II ტიპი[1]

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ჲორი „ორ-ი"	სემი „სამ-ი"
მიც.	აშხ-ჳ „ერთ-ს"	ჲარ-ჳ „ორ-ს"	ხამ-ჳ „სამ-ს"
მოთხ.	აშხ-ჳ-ემ „ერთ-მა"	ჲარ-ჳ-ემ „ორ-მა"	ხამ-ჳ-ემ „სამ-მა"
ნათ.	აშხ-ჳ-'ე'მ-იშ „ერთ-ის"	ჲარ-ჳ-'ემ'-იშ „ორ-ის"	ხამ-ჳ-ემ-იშ „სამ-ის"
მოქ.	აშხ-ჳ-შ'ჳ' „ერთ-ით"	ჲარ-ჳ-შ'ჳ' „ორ-ით"	ხამ-ჳ-შჳ „სამ-ით"
ვით.	აშხ-ჳ-დ „ერთ-ად"	ჲარ-ჳ-დ „ორ-ად"	ხამ-ჳ-დ „სამ-ად"

II ტიპის მეხუთე ქვექლასი

სახ.	ხემი (←*ხამ-ი) „სამ-ი"
მიც.	ხამ (←*ხამ-ჳ) „სამ-ს"
მოთხ.	ხამ-ემ (←*ხამ-ჳ-ემ) „სამ-მა"
ნათ.	ხამ-'ე'მ-იშ (←*ხამ-ჳ-'ე'მ-იშ) „სამ-ის"
მოქ.	ხამ-შჳ (←*ხამ-ჳ-შ) „სამ-ით"
ვით.	ხამ-დ (←*ხამ-ჳ-დ) „სამ-ად"

V ტიპი

სახ.	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"	უსგჳა „ექვსი"
მიც.	არა-მ „რვა-ს"	ჩხარა-მ „ცხრა-ს"	უსგჳა-მ „ექვს-ს"
მოთხ.	არა-მ-დ‖არ-ემ-დ „რვ-ამ"	ჩხარა-მ-დ „ცხრ-ამ"	უსგჳა-მ-დ „ექვს-მა"
ნათ.	არ-ემ-იშ „რვ-ის"	ჩხარ-ემ-იშ „ცხრ-ის"	უსგჳე-მ-იშ „ექვს-ის"
მოქ.	არა-მ-შჳ „რვ-ით"	ჩხარა-მ-შჳ „ცხრ-ით"	უსგჳა-მ-შჳ „ექვს-ით"
ვით.	არა-მ-დ „რვ-ად"	ჩხარა-მ-დ „ცხრ-ად"	უსგჳა-მ-დ „ექვს-ად"

შესადარებლად მოვიხმობთ ლახამულური კილოკავის ნიმუშებსაც:

ლ ა ხ ა მ უ ლ უ რ ი

სახ.	ეშჳი „ერთ-ი"	ჲორი „ორ-ი"	ხემი „სამ-ი"
მიც.	ეშჳი-ს „ერთ-ს"	ჲარჳ‖ჲორი-ს „ორ-ს"	ხამ‖ხემი-ს „სამ-ს"
მოთხ.	ეშჳი-დ „ერთ-მა"	ჲარჳ-ემ‖ჲა̈რჳ-ემ‖ჲორი-დ „ორ-მა"	ხამ-ემ‖ხემი-დ „სამ-მა"
ნათ.	ეშჳა-ა̈შ „ერთ-ის"	ჲარჳ-იშ‖ჲორი-ა̈შ „ორ-ის"	ხა/ემ-იშ (←*ხამ-მ-იშ) „სამ-ის"
მოქ.	ეშჳი-შ'ჳ' „ერთ-ით"	ჲარჳ-შ'ჳ'‖ჲორი-შჳ „ორ-ით"	ხამ-შჳ‖ხემი-შჳ „სამ-ით"
ვით.	ეშჳი-დ „ერთ-ად"	ჲარჳ-დ‖ჲა̈რ-დ-ჳ „ორ-ად"	ხამ-დ‖ხემი-დ „სამ-ად"

---

[1] შენიშვნა: მარტივ რიცხვით სახელებს, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, თ. შარაძენიძის მიერ გამოყოფილი მე-3 და მე-4 ტიპის ბრუნება არ გააჩნიათ.

ლ ა შ ხ უ რ ი

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	სე̄მი „სამ-ი"	ჳო̄შთხჳ „ოთხ-ი"	ჳოხუშდ „ხუთ-ი"	იშგჳიდ „შვიდ-ი"
მიც.	სე̄მი-ს „სამ-ს"	ჳო̄შთხჳ-ს „ოთხ-ს"	ჳოხუშდ-ს „ხუთ-ს"	იშგჳიდ-ს „შვიდ-ს"
მოთხ.	სე̄მი-დ „სამ-მა"	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-მა"	ჳოხუშდ-დ „ხუთ-მა"	იშგჳიდ-დ „შვიდ-მა"
ნათ.	სე̄მ-იშ „სამ-ის"	ჳო̄შთხჳ-იშ „ოთხ-ის"	ჳოხუშდ-იშ „ხუთ-ის"	იშგჳიდ-იშ „შვიდ-ის"
მოქ.	სე̄მი-ჳშ „სამ-ით"	ჳო̄შთხჳ-შჳ „ოთხ-ით"	ჳოხუშდ-ჳშ „ხუთ-ით"	იშგჳიდ-ჳშ „შვიდ-ით"
ვით.	სე̄მი-დ „სამ-ად"	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-ად"	ჳოხუშდ-დ „ხუთ-ად"	იშგჳიდ-დ „შვიდ-ი"

სახ.	ჲეშდ „ათ-ი"	აშირ „ას-ი"	ათას „ათას-ი"	მილიონ „მილიონ-ი"
მიც.	ჲეშდ-ს „ათ-ს"	აშირ-ს „ას-ს"	ათას-ს „ათას-ს"	მილიონ-ს „მილიონ-ს"
მოთხ.	ჲეშდ-დ „ათ-მა"	აშირ-დ „ას-მა"	ათას-დ „ათას-მა"	მილიონ-დ „მილიონ-მა"
ნათ.	ჲეშდ-იშ „ათ-ის"	აშირ-იშ „ას-ის"	ათას-იშ „ათას-ის"	მილიონ-იშ „მილიონ-ის"
მოქ.	ჲეშდ-ჳშ „ათ-ით"	აშირ-ჳშ „ას-ით"	ათას-ჳშ „ათას-ით"	მილიონ-ჳშ „მილიონ-ით"
ვით.	ჲეშდ-დ „ათ-ად"	აშირ-დ „ას-ად"	ათას-დ „ათას-ად"	მილიონ-დ „მილიონ-ად"

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	უსგჳა „ექვს-ი"	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	უსგჳა-ს „ექვს-ს"	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	უსგჳა-დ „ექვს-მა"	არა-დ „რვა-მ"	ჩხარა-დ „ცხრ-ამ"
ნათ.	უსგჳა̄-შ „ექვს-ის"	არა̄-შ „რვ-ის"	ჩხარა̄-შ „ცხრ-ის"
მოქ.	უსგჳა-ჳშ „ექვს-ით"	არა-ჳშ „რვ-ით"	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით"
ვით.	უსგჳა-დ „ექვს-ად"	არა-დ „რვ-ად"	ჩხარა-დ „ცხრ-ად"

ლაშხურში ჩვენ მიერ დაფიქსირებული დანარჩენი ბრუნების ნიმუშები ვერც ერთ ცნობილ ბრუნების ტიპში ვერ მოხვდა, რადგან აქ აღრევასთან გვაქვს საქმე. ზემოსვანური დიალექტებისათვის დამახასიათებელი I ტიპის II ქვეტიპისა და II ტიპის, აგრეთვე V ტიპის ფორმები ნაშთის სახით არის შემორჩენილი ლაშხურში. ვფიქრობთ, მსგავსი ბრუნება ლაშხურსაც ახასიათებდა, რაც თანდათან მოიშალა და უნიფორმაცია განიცადა, თუმცა დღემდე ერთ სისტემაზე ვერ დაიყვანა, რასაც ჩვენ მიერ ინფორმატორთაგან ჩაწერილი ბრუნების ნიმუშებიც ადასტურებენ. როგორც ჩანს, ბრუნვათა ტიპების მოშლა ქვემოსვანურ დიალექტებში ქართულის გავლენის შედეგია.

ნარევი ბრუნება

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ჲე̄რუ „ორ-ი"
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს"	ჲე̄რუ-ს „ორ-ს"
მოთხ.	ეშხ-ჳ-მ-ემ‖ეშხჳ-ემ „ერთ-მა"	ჲე̄რ-ჳ-დ‖ჲე̄რუ-ემ‖ჲე̄რუ-მემ „ორ-მა"
ნათ.	ეშხ-ჳ-მ-იშ „ერთ-ის"	ჲე̄რ-ჳ-მ-იშ „ორ-ის"
მოქ.	ეშხუ-ჳშ „ერთ-ით"	ჲე̄რუ-ჳშ „ორ-თ"
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად"	ჲე̄რ-ჳ-დ „ორ-ად"

სახ.	სე̄მი „სამ-ი"	ჳო̄შთხჳ „ოთხ-ი"
მიც.	სე̄მი-ს „სამ-ს"	ჳო̄შთხჳ-ს „ოთხ-ს"
მოთხ.	სე̄მ-ემ‖სე̄მ-მ-ემ „სამ-მა"	ჳო̄შთხჳ-დ‖ჳო̄შთხჳ-მ-ემ‖ჳო̄შთხჳ-ემ „ოთხ-მა"
ნათ.	სემō-მ-იშ‖სე̄მ-მ-იშ „სამ-ის"	ჳო̄შთხჳʼმʼ-იშ „ოთხ-ის"
მოქ.	სე̄მი-ჳშ „სამ-ით"	ჳო̄შთხჳ-ჳშ „ოთხ-ით"
ვით.	სე̄მი-დ „სამ-ად"	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-ად"

სახ.	ჳოხუშდ „ხუთ-ი"	უსგჳა „ექვს-ი"
მიც.	ჳოხუშდ-ს „ხუთ-ს"	უსგჳა-ს „ექვს-ს"
მოთხ.	ჳოხუშდ-ემ „ხუთ-მა"	უსგჳა̄-მ-დ „ექვს-მა"
ნათ.	ჳოხუშდ-მ-იშ „ხუთ-ის"	უსგჳა̄-მ-იშ „ექვს-ის"
მოქ.	ჳოხუშდ-შჳ „ხუთ-ით"	უსგჳა-ჳშ „ექვს-ით"
ვით.	ჳოხუშდ-დ „ხუთ-ად"	უსგჳა̄-მ-დ „ექვს-ად"

სახ.	იშგჳიდ „შვიდ-ი"	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	იშგჳიდ-ს „შვიდ-ს"	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	იშგჳიდ-დ „შვიდ-მა"	არ-ე̄მ‖არა̄-მ-დ „რვა-მ"	ჩხარა̄-მ-დ‖ჩხარ-ე̄მ „ცხრ-ამ"
ნათ.	იშგჳიდ-ე̄მ-იშ „შვიდ-ის"	არა̄-მ-იშ „რვ-ის"	ჩხარა̄-მ-იშ‖ჩხარ-ე̄მ-იშ „ცხრ-ის"
მოქ.	იშგჳიდ-ჳშ „შვიდ-ით"	არა-ჳშ „რვ-ით"	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით"
ვით.	იშგჳიდ-დ „შვიდ-ად"	არა̄-მ-დ „რვ-ად"	ჩხარა̄-მ-დ „ცხრ-ად"

სახ.	ჲეშდ „ათ-ი"	აშირ „ას-ი"
მიც.	ჲეშდ-ს „ათ-ს"	აშირ-ს „ას-ს"
მოთხ.	ჲეშდ-ემ „ათ-მა"	აშირ-ემ „ას-მა"
ნათ.	ჲეშდ-იშ „ათ-ის"	აშირ-ე̄მ-იშ „ას-ის"
მოქ.	ჲეშდ-ჳშ „ათ-ით"	აშირ-ჳშ „ას-ით"
ვით.	ჲეშდ-დ „ათ-ად"	აშირ-დ „ას-ად"

შენიშვნა: II ტიპის ბრუნება, როგორც ცნობილია, გართულებულია მიცემითში გამოვლენილი -ჳ სუფიქსით, რომლის შედეგია ორფუძიანობა (უფრო ზუსტად სამფუძიანობა) და სწორედ ამ -ჳ-ინიან მიცემითს ემყარება დანარჩენი ბრუნვები ზემოსვანურ დიალექტებში. ლაშხურში მიცემითის ნიშნად ეს -ჳ არ დასტურდება, თუმცა თავს იჩენს მოთხრობითში, ნათესაობითში და იშვიათად (სპორადულად) დაჩნდება ვითარებითშიც. საინტერესოა, ახასიათებდა თუ არა ბრუნების ეს ტიპი ლაშხურს? ვფიქრობთ, ახასიათებდა, ვინაიდან მისი კვალი აშკარად ჩანს.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

I ტიპი

I ტიპის I ქვეტიპი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ʼჲʼერბი „ორ-ი"	სემი „ორ-ი"
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს"	ʼჲʼერბი-ს „ორ-ს"	სემი-ს‖სემ-ს „ორ-ს"
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა"	ʼჲʼერბი-დ „ორ-მა"	სემი-დ „ორ-მა"
ნათ.	ეშხუ-ჲშ „ერთ-ის"	ʼჲʼერბი-ჲშ „ორ-ის"	სემი-ჲშ „ორ-ის"
მოქ.	ეშხუ-ჳშ „ერთ-ით"	ʼჲʼერბი-ჳშ „ორ-ით"	სემი-ჳშ‖სემ-ჳშ „ორ-ით"
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად"	ʼჲʼერბი-დ „ორ-ად"	სემი-დ‖სემ-დ „ორ-ად"

სახ.	ოშთხჳ „ოთხ-ი"	ოხჳიშტ „ხუთ-ი"	იშკჳიდ „შვიდ-ი"
მიც.	ოშთხჳ-ს „ოთხ-ს"	ოხჳიშტ-ს „ხუთ-ს"	იშკჳიდ-ს „შვიდ-ს"
მოთხ.	ოშთხჳ-დ „ოთხ-მა"	ოხჳიშტ-დ „ხუთ-მა"	იშკჳიდ-დ „შვიდ-მა"
ნათ.	ოშთხჳ-იშ „ოთხ-ის"	ოხჳიშტ-იშ „ხუთ-ის"	იშკჳიდ-იშ „შვიდ-ის"
მოქ.	ოშთხჳ-შჳ „ოთხ-ით"	ოხჳიშტ-ჳშ „ხუთ-ით"	იშკჳიდ-ჳშ‖შჳ „შვიდ-ით"
ვით.	ოშთხჳ-დ „ოთხ-ად"	ოხჳიშტ-დ „ხუთ-ად"	იშკჳიდ-დ „შვიდ-ად"

სახ.	ʼჲʼეშტ „ათ-ი"	ა̈შირ „ას-ი"
მიც.	ʼჲʼეშტ-ს „ათ-ს"	ა̈შირ-ს „ას-ს"
მოთხ.	ʼჲʼეშტ-დ „ათ-მა"	ა̈შირ-დ „ას-მა"
ნათ.	ʼჲʼეშტ-იშ „ათ-ის"	ა̈შირ-იშ „ას-ის"
მოქ.	ʼჲʼეშტ-ჳშ‖შჳ „ათ-ით"	ა̈შირ-ჳშ‖შჳ „ას-ით"
ვით.	ʼჲʼეშტ-დ „ათ-ად"	ა̈შირ-დ „ას-ად"

სახ.	ათა̈ს „ათას-ი"	მილიონ‖მილჳენ „მილიონ-ი"
მიც.	ათა̈ს-ს „ათას-ს"	მილიონ-ს‖მილჳენ-ს „მილიონ-ს"
მოთხ.	ათა̈ს-დ „ათას-მა"	მილიონ-დ‖მილჳენ-დ „მილიონ-მა"
ნათ.	ათა̈ს-იშ „ათას-ის"	მილიონ-იშ‖მილჳენ-იშ „მილიონ-ის"
მოქ.	ათა̈ს-ჳშ‖შჳ „ათას-ით"	მილიონ-ჳშ‖მილჳენ-ჳშ „მილიონ-ით"
ვით.	ათა̈ს-დ „ათას-ად"	მილიონ-დ‖მილჳენ-დ „მილიონ-ად"

I ტიპის II ქვეტიპი

სახ.	ჳსკჳა „ექვს-ი"	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	ჳსკჳა-ს „ექვს-ს"	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	ჳსკჳა-დ „ექვს-მა"	არა-დ „რვ-ამ"	ჩხარა-დ „ცხრა-მ"
ნათ.	ჳსკჳა̈-ჲშ „ექვს-ის"	არა̈-ჲშ „რვ-ის"	ჩხარა̈-ჲშ „ცხრ-ის"
მოქ.	ჳსკჳა-ჳშ „ექვს-ით"	არა-ჳშ „რვ-ით"	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით"
ვით.	ჳსკჳა-დ „ექვს-ად"	არა-დ „რვ-ად"	ჩხარა-დ „ცხრ-ად"

თანამედროვე ლენტეხური რიცხვითი სახელების ბრუნებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილი II, III, IV და V ტიპის ბრუნება დღევანდელი მონაცემების მიხედვით მხოლოდ რელიქტის სახით არის შემორჩენილი, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ლენტეხურ დიალექტში დაფიქსირებული ბრუნების ნიმუშები:

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ჳსკჳა „ექვს-ი"	იშკჳიდ „შვიდ-ი"
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს"	ჳსკჳა-ს „ექვს-ს"	იშკჳიდ-ს „შვიდ-ს"
მოთხ.	ეშხ-ჳ-მ-ემ „ერთ-მა"	ჳსკჳა-მ-დ „ექვს-მა"	იშკჳიდ-დ „შვიდ-მა"
ნათ.	ეშხუ-მ-იშ‖ეშხ-ჳ-მ-იშ „ერთ-ის"	ჳსკჳა-მ-იშ „ექვს-ის"	იშკჳიდ-ემ-იშ „შვიდ-ის"
მოქ.	ეშხუ-ჳშ „ერთ-ით"	ჳსკჳა-ჳშ „ექვს-ით"	იშკჳიდ-ჳშ „შვიდ-ით"
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად"	ჳსკჳა-მ-დ „ექვს-ად"	იშკჳიდ-დ „შვიდ-ად"

სახ.	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	არა̄-მ-დ „რვა-მ"	ჩხარა-მ-დ „ცხრა-მ"
ნათ.	არა-მ-იშ‖ა̈რ-ემ-იშ „რვ-ის"	ჩხარა-მ-იშ „ცხრ-ის"
მოქ.	არა-ჳშ „რვ-ით"	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით"
ვით.	არა-დ‖არა-მ-დ „რვ-ად"	ჩხარა-მ-დ „ცხრ-ად"

რიცხვით სახელთა ბრუნებას, რომელიც სქემატურად წარმოვადგინეთ, ვერ მივაკუთვნებთ ვერც ერთ დღემდე ცნობილ სვანური ბრუნების ტიპს, რადგან აქ წარმოდგენილ სქემაში ბრუნვათა ტიპების აღრევასთან გვაქვს საქმე და შესაბამისად შეიძლება ვუწოდოთ ნარევი (ე. წ. ჰიბრიდული) ბრუნება. ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას კი გვაძლევს შემდეგი: II ტიპის ბრუნებაში, როგორც ცნობილია, განსხვავება იწყება მიცემითიდან (მიცემითის ნიშანია -ჳ), რომელსაც ემყარება მოთხრობითი (-ემ ნიშნიანი), ვითარებითი (-დ-იანი) და მოქმედებითი, შესაბამისად გვაქვს ორფუძიანი (ან სამფუძიანი ბრუნება) (შარაძენიძე 1955:128129). ჩვენი დაკვირვებით, დღევანდელ ლენტეხურ მეტყველებაში მიცემითის ნიშნად -ჳ არც ერთ რიცხვით სახელში არ დასტურდება, თუმცა ეს -ჳ ნაშთის სახით შემორჩენილია მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვაში **ეშხუ** „ერთი" რიცხვით სახელში. საინტერესოა, ასევე, ლაშხურსა და ლენტეხურში მოთხრობითში გამოვლენილი სამფუძიანი ბრუნების ნიმუში (**ეშხ-ჳ-მ-ემ** „ერთმა"), რომელიც ამ სახით სვანური ენის სხვა დიალექტებში არ ფიქსირდება.

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

სახ.	ეშხუ „ერთ-ი"	ჲჷ̄რუ „ორ-ი"	სჷ̄მი „სამ-ი"
მიც.	ეშხუ-ს „ერთ-ს"	ჲჷ̄რუ-ს „ორ-ს"	სჷ̄მი-ს „სამ-ს"
მოთხ.	ეშხუ-დ „ერთ-მა"	ჲჷ̄რჳ-დ „ორ-მა"	სჷ̄მი-დ‖სემ-დ „სამ-მა"
ნათ.	ეშხჳ-შ‖ეშხჳ-მ-იშ‖ ეშხჳ-მ-ი̄შ „ერთ-ის"	ჲჷ̄რჳ-შ‖ჲჷ̄რჳ-მ-იშ „ორ-ის"	სჷ̄მი-შ‖სჷ̄მი̄-მ-იშ (←*სემი-ემ-იშ) „სამ-ის"
მოქ.	ეშხუ-ჳშ „ერთ-ით"	ჲჷ̄რუ-ჳშ „ორ-ით"	სჷ̄მი-ჳშ „სამ-ით"
ვით.	ეშხუ-დ „ერთ-ად"	ჲერჳ-დ‖ჲჷ̄რუ-დ „ორ-ად"	სჷ̄მი-დ „სამ-ად"

სახ.	ʻჳʼო̄შთხჳ „ოთხ-ი"	ʻჳʼოხჳიშტ „ხუთ-ი"	უსგჳა „ექვს-ი"
მიც.	ʻჳʼო̄შთხჳ-ს „ოთხ-ს"	ჳოხჳიშტ-ს „ხუთ-ს"	უსგჳა-ს „ექვს-ს"
მოთხ.	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-მა"	ჳოხჳიშტ-დ „ხუთ-მა"	უსგჳა-დ „ექვს-მა"
ნათ.	ჳო̄შთხჳ-იშ‖ ჳო̄შთხჳ-მ-იშ „ოთხ-ის"	ჳოხჳიშტ-იშ „ხუთ-ის"	უსგჳა̄-მ-იშ‖ უსგჳ-ა̄შ „ექვს-ის"
მოქ.	ჳო̄შთხჳ-ჳშ „ოთხ-ით"	ჳოხჳიშტ-ჳშ „ხუთ-ით"	უსგჳა-ჳშ „ექვს-ით"
ვით.	ჳო̄შთხჳ-დ „ოთხ-ად"	ჳოხჳიშტ-დ „ხუთ-ად"	უსგჳა-დ‖უსგჳა̄-მ-დ „ექვს-ად"

სახ.	იშგჳიდ „შვიდ-ი"	არა „რვა"	ჩხარა „ცხრა"
მიც.	იშგჳიდ-ს „შვიდ-ს"	არა-ს „რვა-ს"	ჩხარა-ს „ცხრა-ს"
მოთხ.	იშგჳიდ-დ „შვიდ-მა"	არა-დ „რვა-მ"	ჩხარა-დ „ცხრა-მ"
ნათ.	იშგჳიდ-იშ „შვიდ-ის"	არა̄-მ-იშ‖არ-ა̄შ‖არჷ̄-მ-იშ „რვ-ის"	ჩხარა̄-მ-იშ‖ჩხარ-ა̄შ‖ ჩხარ-ჷ̄მ-იშ „ცხრ-ის"
მოქ.	იშგჳიდ-ჳშ „შვიდ-ით"	არა-ჳშ „რვ-ით"	ჩხარა-ჳშ „ცხრ-ით"
ვით.	იშგჳიდ-დ „შვიდ-ად"	არა-დ‖არა̄-მ-დ „რვ-ად"	ჩხარა-დ‖ჩხარა̄-მ-დ „ცხრ-ად"

სახ.	ჲეშდ‖ტ „ათ-ი"	აშირ „ას-ი"	ათას „ათას-ი"
მიც.	ჲეშდ‖ტ-ს „ათ-ს"	აშირ-ს „ას-ს"	ათას-ს „ათას-ს"
მოთხ.	ჲეშდ‖ტ-დ „ათ-მა"	აშირ-დ „ას-მა"	ათას-დ „ათას-მა"
ნათ.	ჲეშდ‖ტ-იშ „ათ-ის"	აშირ-იშ „ას-ის"	ათას-იშ „ათას-ის"
მოქ.	ჲეშდ‖ტ-ჳშ „ათ-ით"	აშირ-ჳშ „ას-ით"	ათას-ჳშ „ათას-ით"
ვით.	ჲეშდ‖ტ-დ „ათ-ად"	აშირ-დ „ას-ად"	ათას-დ „ათას-ად"

სრულიად განსაკუთრებულ ვითარებას ავლენს ჩოლურული მეტყველება, რომელიც ლაშხურ-ლენტეხურთან საზიარო ფორმების გარდა, სვანური ენის სხვა დიალექტებისაგან განსხვავებულ ბრუნების ნიმუშებსაც გვთავაზობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა დიალექტების მსგავსად მასშიც ადგილი აქვს უნიფორმაციას — ბრუნების დაყვანას ერთ სისტემამდე. მ ფორმანტიანი ნათესაობითი და ვითარებითი რელიქტის სახით არის შემორჩენილი, მოთხრობითში კი ბრუნვის ნიშნად **-ემ/-მ** დღევანდელი ვითარების მიხედვით არ დასტურდება.

როგორც ვხედავთ, რიცხვით სახელთა ბრუნება სვანურში უპირატესად მისდევს სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველური ტიპის ბრუნების სახელით ცნობილ ძირითად ტიპს, თუმცა ამასთან ერთად თავს იჩენს მთელი რიგი ცვლილებები, რაც საკმაოდ ართულებს ბრუნების სისტემას. სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ფორმანტი **-ემ**, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშანთა წინაც. -მ ფორმანტიან მოთხრობითის ფუძეზე დაყრდნობილი ნათესაობითი კი განსაკუთრებით დამახასიათებელია ა ბოლოხმოვნიანი რიცხვითი სახელებისათვის (**უსგჳა, არა, ჩხარა**), რომლებიც ნათესაობითში ძირითადად მხოლოდ ამ სახით (მაგ.: ლშხ. **უსგჳა̄მიშ, არა̄მიშ, ჩხარა̄მიშ**, ბქ. **უსგჳემიშ, არემიშ, ჩხარემიშ...**) წარმოგვიდგებიან, თუმცა გზადაგზა თავს იჩენს **-იშ** და **-ä̈შ** ფორმანტიანი (მაგ.: **ჳო̄შთხჳ-იშ** „ოთხ-ის", **ჳორხუშდ-იშ** „ხუთ-ის", **იშგჳიდ-იშ** „შვიდ-ის", **ეშხუ-ä̈შ** „ერთ-ის", **ჲერუ-⌈ä̈⌉შ** „ორ-ის", **სემი-⌈ä̈⌉შ** „სამ-ის" და ა. შ.) ფორმებიც, რაც ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების გარდა, ნათესაობითი ბრუნვის **იშ** სუფიქსის წინ **-მ** თავს იჩენს, აგრეთვე, რიგობით რიცხვით სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებშიც — წილობითებში, მაგ.: **მოუშთხჳემი ნა̄თი** „მეოთხედი ნაწილი", „მეოთხედი", **მო̄ხუშდემი ნა̄თი** „მეხუთედი ნაწილი", „მეხუთედი", **მოუსგჳემი ნა̄თი** „მეექვსედი ნაწილი", „მეექვსედი", **მეჲშგჳიდემი ნა̄თი** „მეშვიდედი ნაწილი", „მეშვიდედი", **მეჲრემი ნა̄თი** „მერვედი ნაწილი", „მერვედი", **მეჲჩხრემი ნა̄თი** „მეცხრედი ნაწილი", „მეცხრედი"; **მეჲშდემი ნა̄თი** „მეათედი ნაწილი", „მეათედი" და სხვ.

გ) **რიგობით რიცხვით სახელთა ბრუნება სვანურში.** რიგობითი რიცხვითი სახელების ბრუნება სვანური ენის ყველა დიალექტში ერთ სისტემას მიჰყვება:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.
სახ.	მე̄რმჷ‖მე̄რჳე „მეორე"	მერმე	მე̄რმჷ
მიც.	მე̄რმჷ-ს‖მე̄რჳე-ს „მეორე-ს"	მერმე-ს	მე̄რმე-ს
მოთხ.	მე̄რმე-დ‖მე̄რჳე-დ „მეორე-მ"	მერმე-დ	მე̄რმე-დ
ნათ.	მე̄რმე-შ‖მე̄რჳე-შ „მეორ-ის"	მერმე-შ	მე̄რმე-შ
მოქმ.	მე̄რმჷ-შჳ‖მე̄რჳე-შჳ „მეორ-ით"	მერმე-შჳ	მე̄რმჷ-შჳ
ვით.	მე̄რმე-დ‖მე̄რჳჷ-დ „მეორე-დ"	მერმა-დ	მე̄რმჷ-დ

	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მერბე	მე̄რმე	მერმე	მე̄რმე
მიც.	მერბე-ს	მე̄რმე-ს	მერმე-ს	მე̄რმე-ს
მოთხ.	მერბე-დ	მე̄რმე-დ	მერმე-დ	მე̄რმე-დ
ნათ.	მერბე-შ	მე̄რმე-შ	მერმე-შ	მე̄რმე-შ
მოქმ.	მერბე-შუ̂	მე̄რმე-შუ̂	მერმე-შუ̂	მე̄რმე-შუ̂
ვით.	მერბე-დ	მე̄რმე-დ	მერმა-დ	მე̄რმე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მე̄სმე „მესამე"	მესმე	მე̄სმე	მესემე
მიც.	მე̄სმე-ს „მესამე-ს"	მესმე-ს	მე̄სმე-ს	მესემე-ს
მოთხ.	მე̄სმე-დ „მესამე-მ"	მესმე-დ	მე̄სმე-დ	მესემე-დ
ნათ.	მე̄სმე-შ „მესამ-ის"	მესმე-შ	მე̄სმე-შ	მესემე-შ
მოქმ.	მე̄სმე-შუ̂ „მესამ-ით"	მესმე-შუ̂	მე̄სმე-შუ̂	მესემე-შუ̂
ვით.	მე̄სმე-დ „მესამე-დ"	მესმე-დ	მე̄სმე-დ	მესემე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მე̄სმე	მესმე	მესმე
მიც.	მე̄სმე-ს	მესმე-ს	მესმე-ს
მოთხ.	მე̄სმე-დ	მესმე-დ	მესმე-დ
ნათ.	მე̄სმე-შ	მესმე-შ	მესმე-შ
მოქმ.	მე̄სმე-შუ̂	მესმე-შუ̂	მესმე-შუ̂
ვით.	მე̄სმე-დ	მესმე-დ	მესმე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მე̄შთხუ̂ე „მეოთხე"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე	მე̄ოშთხუ̂ე	მეუშთხუ̂ე
მიც.	მე̄შთხუ̂ე-ს „მეოთხე-ს"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-ს	მე̄ოშთხუ̂ე-ს	მეუშთხუ̂ე-ს
მოთხ.	მე̄შთხუ̂ე-დ „მეოთხე-მ"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-დ	მე̄ოშთხუ̂ე-დ	მეუშთხუ̂ე-დ
ნათ.	მე̄შთხუ̂ე-შ „მეოთხ-ის"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-შ	მე̄ოშთხუ̂ე-შ	მეუშთხუ̂ე-შ
მოქმ.	მე̄შთხუ̂ე-შუ̂ „მეოთხ-ით"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-შუ̂	მე̄ოშთხუ̂ე-შუ̂	მეუშთხუ̂ე-შუ̂
ვით.	მე̄შთხუ̂ე-დ „მეოთხე-დ"	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-დ	მე̄ოშთხუ̂ე-დ	მეუშთხუ̂ე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეოშთხუ̂ე	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე	მე̄უ̂შთხუ̂ე
მიც.	მეოშთხუ̂ე-ს	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-ს	მე̄უ̂შთხუ̂ე-ს
მოთხ.	მეოშთხუ̂ე-დ	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-დ	მე̄უ̂შთხუ̂ე-დ
ნათ.	მეოშთხუ̂ე-შ	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-შ	მე̄უ̂შთხუ̂ე-შ
მოქმ.	მეოშთხუ̂ე-შუ̂	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-შუ̂	მე̄უ̂შთხუ̂ე-შუ̂
ვით.	მეოშთხუ̂ე-დ	მე˹უ̂˺უშთხუ̂ე-დ	მე̄უ̂შთხუ̂ე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მჷხჳʻიʼშდე „მეხუთე“	მეუხუშდე	მჷოხჳშდე	მეუხუშტე
მიც.	მჷხჳʻიʼშდე-ს „მეხუთე-ს“	მეუხუშდე-ს	მჷოხჳშდე-ს	მეუხუშტე-ს
მოთხ.	მჷხჳʻიʼშდე-დ „მეხუთე-მ“	მეუხუშდე-დ	მჷოხჳშდე-დ	მეუხუშტე-დ
ნათ.	მჷხჳʻიʼშდე-შ „მეხუთ-ის“	მეუხუშდე-შ	მჷოხჳშდე-შ	მეუხუშტე-შ
მოქმ.	მჷხჳʻიʼშდე-შჳ „მეხუთ-ით“	მეუხუშდე-შჳ	მჷოხჳშდე-შჳ	მეუხუშტე-შჳ
ვით.	მჷხჳʻიʼშდე-დ „მეხუთე-დ“	მეუხუშდე-დ	მჷოხჳშდე-დ	მეუხუშტე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეოხჳიშტე	მეუხუშდე	მეჳხუშდე
მიც.	მეოხჳიშტე-ს	მეუხუშდე-ს	მეჳხუშდე-ს
მოთხ.	მეოხჳიშტე-დ	მეუხუშდე-დ	მეჳხუშდე-დ
ნათ.	მეოხჳიშტე-შ	მეუხუშდე-შ	მეჳხუშდე-შ
მოქმ.	მეოხჳიშტე-შჳ	მეუხუშდე-შჳ	მეჳხუშდე-შჳ
ვით.	მეოხჳიშტე-დ	მეუხუშდე-დ	მეჳხუშდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მჷსგჳე „მეექვსე“	მეუსგჳე	მჷუსგჳე	მეუსკჳე
მიც.	მჷსგჳე-ს „მეექვსე-ს“	მეუსგჳე-ს	მჷუსგჳე-ს	მეუსკჳე-ს
მოთხ.	მჷსგჳე-დ „მეექვსე-მ“	მეუსგჳე-დ	მჷუსგჳე-დ	მეუსკჳე-დ
ნათ.	მჷსგჳე-შ „მეექვს-ის“	მეუსგჳე-შ	მჷუსგჳე-შ	მეუსკჳე-შ
მოქმ.	მჷსგჳე-შჳ „მეექვს-ით“	მეუსგჳე-შჳ	მჷუსგჳე-შჳ	მეუსკჳე-შჳ
ვით.	მჷსგჳე-დ „მეექვსე-დ“	მეუსგჳე-დ	მჷუსგჳე-დ	მეუსკჳე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეუსგჳე	მეუსგჳე	მჷსგჳე
მიც.	მეუსგჳე-ს	მეუსგჳე-ს	მჷსგჳე-ს
მოთხ.	მეუსგჳე-დ	მეუსგჳე-დ	მჷსგჳე-დ
ნათ.	მეუსგჳე-შ	მეუსგჳე-შ	მჷსგჳე-შ
მოქმ.	მეუსგჳე-შჳ	მეუსგჳე-შჳ	მჷსგჳე-შჳ
ვით.	მეუსგჳე-დ	მეუსგჳე-დ	მჷსგჳე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მჷშგჳდე „მეშვიდე“	მეიშგჳიდე	მჷიშგჳდე	მეიშკჳიდე
მიც.	მჷშგჳდე-ს „მეშვიდე-ს“	მეიშგჳიდე-ს	მჷიშგჳდე-ს	მეიშკჳიდე-ს
მოთხ.	მჷშგჳდე-დ „მეშვიდე-მ“	მეიშგჳიდე-დ	მჷიშგჳდე-დ	მეიშკჳიდე-დ
ნათ.	მჷშგჳდე-შ „მეშვიდ-ის“	მეიშგჳიდე-შ	მჷიშგჳდე-შ	მეიშკჳიდე-შ
მოქმ.	მჷშგჳდე-შჳ „მეშვიდ-ით“	მეიშგჳიდე-შჳ	მჷიშგჳდე-შჳ	მეიშკჳიდე-შჳ
ვით.	მჷშგჳდე-დ „მეშვიდე-დ“	მეიშგჳიდე-დ	მჷიშგჳდე-დ	მეიშკჳიდე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეიშგჳიდე	მეიშგჳიდე	მეიშგჳიდე
მიც.	მეიშგჳიდე-ს	მეიშგჳიდე-ს	მეიშგჳიდე-ს
მოთხ.	მეიშგჳიდე-დ	მეიშგჳიდე-დ	მეიშგჳიდე-დ
ნათ.	მეიშგჳიდე-შ	მეიშგჳიდე-შ	მეიშგჳიდე-შ
მოქმ.	მეიშგჳიდე-შჳ	მეიშგჳიდე-შჳ	მეიშგჳიდე-შჳ
ვით.	მეიშგჳიდე-დ	მეიშგჳიდე-დ	მეიშგჳიდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მე̄რე „მერვე"	მეარე	მე̄არე	მეარე
მიც.	მე̄რე-ს „მერვე-ს"	მეარე-ს	მე̄არე-ს	მეარე-ს
მოთხ.	მე̄რე-დ „მერვე-მ"	მეარე-დ	მე̄არე-დ	მეარე-დ
ნათ.	მე̄რე-შ „მერვ-ის"	მეარე-შ	მე̄არე-შ	მეარე-შ
მოქმ.	მე̄რე-შჳ „მერვ-ით"	მეარე-შჳ	მე̄არე-შჳ	მეარე-შჳ
ვით.	მე̄რე-დ „მერვე-დ"	მეარე-დ	მე̄არე-დ	მეარე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეარე	მეარე	მეირე
მიც.	მეარე-ს	მეარე-ს	მეირე-ს
მოთხ.	მეარე-დ	მეარე-დ	მეირე-დ
ნათ.	მეარე-შ	მეარე-შ	მეირე-შ
მოქმ.	მეარე-შჳ	მეარე-შჳ	მეირე-შჳ
ვით.	მეარე-დ	მეარე-დ	მეირე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მე̄ჩხრე „მეცხრე"	მეჩხრე	მე̄ჩხრე	მეჩხრე
მიც.	მე̄ჩხრე-ს „მეცხრე-ს"	მეჩხრე-ს	მე̄ჩხრე-ს	მეჩხრე-ს
მოთხ.	მე̄ჩხრე-დ „მეცხრე-მ"	მეჩხრე-დ	მე̄ჩხრე-დ	მეჩხრე-დ
ნათ.	მე̄ჩხრე-შ „მეცხრ-ის"	მეჩხრე-შ	მე̄ჩხრე-შ	მეჩხრე-შ
მოქმ.	მე̄ჩხრე-შჳ „მეცხრ-ით"	მეჩხრე-შჳ	მე̄ჩხრე-შჳ	მეჩხრე-შჳ
ვით.	მე̄ჩხრე-დ „მეცხრე-დ"	მეჩხრე-დ	მე̄ჩხრე-დ	მეჩხრე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მე̄ჩხრე	მეჩხრე	მეიჩხრე
მიც.	მე̄ჩხრე-ს	მეჩხრე-ს	მეიჩხრე-ს
მოთხ.	მე̄ჩხრე-დ	მეჩხრე-დ	მეიჩხრე-დ
ნათ.	მე̄ჩხრე-შ	მეჩხრე-შ	მეიჩხრე-შ
მოქმ.	მე̄ჩხრე-შჳ	მეჩხრე-შჳ	მეიჩხრე-შჳ
ვით.	მე̄ჩხრე-დ	მეჩხრე-დ	მეიჩხრე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მე̄შდე „მეათე"	მეეშდე‖მეიშდე	მეა̈შდე	მეეშტე
მიც.	მე̄შდე-ს „მეათე-ს"	მეეშდე-ს‖მეიშდე-ს	მეა̈შდე-ს	მეეშტე-ს
მოთხ.	მე̄შდე-დ „მეათე-მ"	მეეშდე-დ‖მეიშდე-დ	მეა̈შდე-დ	მეეშტე-დ
ნათ.	მე̄შდე-შ „მეათ-ის"	მეეშდე-შ‖მეიშდე-შ	მეა̈შდე-შ	მეეშტე-შ
მოქმ.	მე̄შდე-შჳ „მეათ-ით"	მეეშდე-შჳ‖მეიშდე-შჳ	მეა̈შდე-შჳ	მეეშტე-შჳ
ვით.	მე̄შდე-დ „მეათე-დ"	მეეშდე-დ‖მეიშდე-დ	მეა̈შდე-დ	მეეშტე-დ

	ჩოლ.	ლნმ.	უშგ.
სახ.	მჷ̄შტე	მეეშდე‖მეიშდე	მეა̈შდე
მიც.	მჷ̄შტე-ს	მეეშდე‖მეიშდე-ს	მეა̈შდე-ს
მოთხ.	მჷ̄შტე-დ	მეეშდე‖მეიშდე-დ	მეა̈შდე-დ
ნათ.	მჷ̄შტე-შ	მეეშდე‖მეიშდე-შ	მეა̈შდე-შ
მოქმ.	მჷ̄შტე-შჳ	მეეშდე‖მეიშდე-შჳ	მეა̈შდე-შჳ
ვით.	მჷ̄შტე-დ	მეეშდე‖მეიშდე-დ	მეა̈შდე-დ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.
სახ.	მეაშირე „მეასე“	მეაშირე	მეაშირე	მეაშირე
მიც.	მეაშირე-ს „მეასე-ს“	მეაშირე-ს	მეაშირე-ს	მეაშირე-ს
მოთხ.	მეაშირე-დ „მეასე-მ“	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეაშირე-დ
ნათ.	მეაშირე-შ „მეას-ის“	მეაშირე-შ	მეაშირე-შ	მეაშირე-შ
მოქმ.	მეაშირე-შჳ „მეას-ით“	მეაშირე-შჳ	მეაშირე-შჳ	მეაშირე-შჳ
ვით.	მეაშირე-დ „მეასე-დ“	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეაშირე-დ

	ჩოლ.	ლხმ.	უშგ.
სახ.	მეაშირე	მეაშირე	მეიშირე
მიც.	მეაშირე-ს	მეაშირე-ს	მეიშირე-ს
მოთხ.	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეიშირე-დ
ნათ.	მეაშირე-შ	მეაშირე-შ	მეიშირე-შ
მოქმ.	მეაშირე-შჳ	მეაშირე-შჳ	მეიშირე-შჳ
ვით.	მეაშირე-დ	მეაშირე-დ	მეიშირე-დ

დ) **რიცხვით სახელთა ბრუნება არსებით სახელთან ერთად სვანურში.** არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას რიცხვითი სახელი მუდამ უცვლელად არის წარმოდგენილი, თუმცა ირიბ ბრუნვებში თითქმის ყველა დიალექტში შეიძლება შეგვხვდეს მიცემითი ბრუნვის ფორმა — **აშხჳ: აშხჳ მა̄რა‖აშხჳ მა̄რეს** „ერთ კაცს“, **აშხჳ მა̄რედ** „ერთმა კაცმა“, **აშხჳ მა̄რჷ̄მიშ** „ერთი კაცის“, **აშხჳ მა̄რად** „ერთ კაცად“ და ა. შ.

	ბზ.	ბქ.
სახ.	ეშხუ მა̄რე „ერთი კაცი“	ეშხუ მარე „ერთი კაცი“
მიც.	ეშხუ მა̄რე-ს‖ეშხუ მა̄რა-ს „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-ს‖ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-დ‖ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მა̄რჷ̄-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქმ.	ეშხუ მა̄რა-ჳშ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-შჳ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-დ‖ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“

	ლშხ.	ლნტ.
სახ.	ეშხუ მა̄რე „ერთი კაცი“	ეშხუ მარე „ერთი კაცი“
მიც.	ეშხუ მა̄რე-ს‖ეშხუ მა̄რა-ს „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-ს‖ეშხუ მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთ კაცს“	ეშხუ მარე-დ‖ეშხუ მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მა̄რჷ̄-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშხუ მარე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქმ.	ეშხუ მა̄რა-ჳშ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-შჳ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთი კაცით“	ეშხუ მარე-დ‖ეშხუ მარა-დ „ერთი კაცით“

	ჩოლ.	ლხმ.
სახ.	ეშხუ მა̄რე „ერთი კაცი“	ეშჳი მა̈რე „ერთ-ი კაცი“
მიც.	ეშხუ მა̄რე-ს‖ეშხუ მა̄რა-ს „ერთ კაცს“	ეშჳი მა̈რე-ს‖ეშჳი მარა-ს „ერთ კაცს“
მოთხ.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთ კაცს“	ეშჳი მა̈რე-დ‖ეშჳი მარა-დ „ერთ კაცს“
ნათ.	ეშხუ მა̄რე̄-მ-იშ „ერთი კაცის“	ეშჳი მა̈რე-მ-იშ „ერთი კაცის“
მოქმ.	ეშხუ მა̄რა-ჳშ „ერთი კაცით“	ეშჳი მა̈რე-შჳ „ერთი კაცით“
ვით.	ეშხუ მა̄რე-დ‖ეშხუ მა̄რა-დ „ერთი კაცით“	ეშჳი მა̈რე-დ‖ეშჳი მარა-დ „ერთი კაცით“

როგორც თანამედროვე სვანურ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, სვანურ რიცხვით სახელთა ბრუნება მთლიანად თ. შარაძენიძისეულ ზემოთ დასახელებულ კლასიფიკაციას არ მიჰყვება. ზემოსვანური დიალექტები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ბრუნების რამდენიმე ტიპს, ქვემოსვანურ დიალექტებში კი აღნიშნული ბრუნების ტიპები მხოლოდ რელიქტის სახით არის შემორჩენილი. ვფიქრობთ, მსგავსი ბრუნების ტიპები ქვემოსვანურ დიალექტებსაც ახასიათებდა, რაც თანდათან მოიშალა და უნიფორმაცია განიცადა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, დღემდე ერთ სისტემაზე ვერ დაიყვანა. ბრუნების ის ტიპები კი, რომლებიც ჩვენ სხვადასხვა დიალექტში დავაფიქსირეთ, საენათმეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულ ვერც ერთ ბრუნების ტიპს ვერ მოერგო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სვანურ სახელთა ბრუნების იმ დიდ სირთულეს, რომელზეც ა. შანიძე ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საუბრობდა.

1. 6. მარტივ რიცხვით სახელთა ფონეტიკური ვარიანტები სვანურ დიალექტებში

ქართველურ ენათა რიცხვითი სახელების შესწავლას მუდამ დიდი ყურადღება ეთმობოდა, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ იყო, ვინაიდან რიცხვითი სახელები შეადგენს ნებისმიერი ენის, მათ შორის ქართველურ ენათა, ლექსიკის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს, უაღრესად სტრუქტურირებად მასალას და უძველესი ენობრივი ფონდის კუთვნილებას.

ქართველურ ენათა რიცხვითი სახელები არაერთი ცნობილი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის (გ. როზენი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. თოფურია, გ. კლიმოვი, მ. კოპაძე, ზ. ჭუმბურიძე, მ. ჩუხუა...) ნაშრომებშია განხილული და ბევრი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული, თუმცა მონოგრაფიულად ეს საკითხი დღემდე არ დამუშავებულა.

რა შეიძლება ითქვას სვანური რიცხვითი სახელების შესახებ?

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სვანურში წარმოდგენილი ყველა მარტივი რიცხვითი სახელის ფუძე ზუსტად შეესატყვისება სხვა ქართველურ ენათა შესაბამის ფორმებს, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ აღნიშნული რიცხვითი სახელები ქართველურ ენათა ლექსიკის უძველეს ფენას განეკუთვნება (ჭუმბურიძე 2007:111).

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით წარმოვადგინოთ სვანურ რიცხვით სახელთა ანალიზი.

1. რიცხვითი სახელი **ეშხუ/ეშხო/ეშხჳი** „ერთი“. როგორც ცნობილია, სვანურ მარტივ რიცხვით სახელთაგან გამონაკლისს წარმოადგენს **ეშხუ** „ერთი“ (შდრ. ასევე სვან. უ-**შხჳ**-ჲრ/არ „ერთმა-

ნეთს", **ეშხუ-ნა̈დრ**[1] „ერთნაირი" და სხვ.), რომელიც ბგერითი შედგენილობით ქართულ **ერთს** და მეგრულ-ლაზურ **ართს** ვერ დაუკავშირდება, მაგრამ, მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ახ. ქართ. **სხვა**, ძვ. ქართ. **სხუა-ჲ** „მეორე, სხვა, ერთი", ზან. (მეგრ.) **შხვა** „სხვა; უცხო", **შხვა-**ში „სხვისი", **შხვა-დ-ო** „სხვაგან", **შხვა-ნ-ერ-ი** „სხვაგვარი", ლაზ. **ჩქვა** ← **შქვა** ← **შხვა** „სხვა; დანარჩენი", **არ-ჩქვა** „კიდევ ერთხელ" ფუძეს (ცაგარელი 1880:41; ჩიქობავა 1938:246; ერთელიშვილი 1950: 211-219). ამ დაკავშირების შედეგად საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია **სხუა-** „ერთი; სხვა" ძირი (ჩუხუა 2008:488).

საანალიზო სვანური ფუძის (**ე-შხუ**) თავკიდური **ე** კი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეიძლება დეიქტური ხმოვანი იყოს, რომელსაც ისევე ენაცვლება **უ**, როგორც ქართულში [ერთ-ურთი, ურთი-ერთი; შდრ. სვან. **უ-შხუ-ა̈რ** — „ერთმანეთს" (ჭუმბურიძე 2007:111)].

აღნიშნულ ქართველურ ძირთა (**სხვა||სხუა-ჲ, შხვა, ჩქვა, ეშხუ**) სტრუქტურულ-სემანტიკური ერთგვარობა თვალსაჩინოა, თუმცა ქართული **ერთ**-ის სვანური შესატყვისი დღემდე არ არის გამოვლენილი.

შენიშვნა: ქვემოსვანურ დიალექტებში დაფიქსირებული ფორმები — (ლშხ.) **დამორდ** და (ლნტ.) **დამგრ'თ'** 1. ლშხ. „თანაბრად", 2. ლნტ. „ერთიანად; ერთად" შესაძლოა ქართული **ერთ-** ფუძის შემცველიც იყოს, თუმცა ანლაუტისეული **და+მ**-ის წარმოშობა უნდა იქნეს მოძიებული.

იქიდან გამომდინარე, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად ადამიანის სხეულის ნაწილებს იყენებდნენ (იხ. ზემოთ), ვფიქრობთ, რომ ქართული „ერთ"-ის კვალი უნდა ვეძებოთ სვანურ **ლერთენ||მურთუენ||მგრთენ** (ზს.), **ლერთენ||ლერთან** (ბქ.), **ლერთან** (ლნტ.) „მარცხენა ხელი" ფორმებში. იგივე ფუძე მეორდება ცაციის აღმნიშვნელ ფორმაშიც, მაგ.: **ლერთონა̈ჲ** (ბზ.), **ლერთნა̈** (ბქ.), **ლერთნაჲ** (ლშხ.), **მგლგრთენ** (ლნტ.) და, ჩვენი აზრით, ლაშხური **მართინ** „ხეზე ჩამოკონწიალებული, ნახევრად მოტეხილი ტოტი", ასევე შეიძლება დაუკავშირდეს საანალიზო ძირს. სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა აშკარად თვალში საცემია (შდრ. ქართ. **ერთი** და სვან. **ლერთენ** ანუ ცალი ხელი, ერთადერთი, რომელიც მარტო ვერაფერს აკეთებს და ლშხ. **მართინ**, რომელიც ასევე სემანტიკურად აღიქმება, როგორც „მარტომყოფი", „უძლური", ანუ „ტოტი, რომელიც მყარად არ არის მიმაგრებული ხეზე"). საინტერესოა, აგრეთვე, სვანური მასდარი **ლილგრთენი** „გათვალვა, დამარცხება, დანავსება..." და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი და მიმღეობური ფორმები: **ხუილგრთენი** „საქმე არ გამომდის, ვითარსები, ვმარცხდები", **ჩ'ოთლგრთენენ** „დავმარცხდი, გავითვალე...", **ჩ'ოლლგრთენეხუი** „დავმარცხებულვარ, გავთვალულვარ, დავთარსულვარ"; **ჩუ ლგლგრთენე** „დათარსული, გათვალული", **ჩუ ლელგრთენი** „დასათარსი, გასათვალი" და ა. შ. ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ ფორმებში ძირად ყველგან **-რთ-** გამოიყოფა, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც ქართულ რაოდენობით რიცხვით სახელში „ერთ"-ში გამოვლენილი **-რთ-** ძირი.

სვანური **ლერთენ** წარმოების თვალსაზრისით ქართული მარჯვენა და მარცხენა-ს იდენტურია, ხოლო სვანურ საანალიზო ფორმებში წარმოდგენილი **-ენ** სუფიქსი, რომელიც არსად არ იკარგება, როგორც ჩანს, ქართულის სათანადო მასალას უკავშირდება (შდრ. ქართ. **მარჯვენა||მარცხენა** ფორმებში გამოვლენილი **-ენ**, რომელიც სვანურ **ლერსგუენ**-შიც ფიქსირდება).

რაც შეეხება სვანურ, კერძოდ, ბალსქვემოურ იდიომატურ გამონათქვამში **ა̈რთუდ ლირდე** „ცალკე, კენტად, თავისუფლად; მოშვებულად ყოფნა" დაფიქსირებულ პირველ კომპონენტს **ა̈რთვ**-ს, იგი, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ქართული **ერთ**-ისა და ზანური **ართ**-ის ფონეტიკური შესატყვისი იყოს.

---

[1] **ეშხუ** „ერთი" ფუძის შემცველია, აგრეთვე, ბზ., ლშხ. **ლამე̄შხუა**, ბქ., ლნტ. **ლა̈მეშხუა** „ცალუღელა (ზედმიწ. — სამეერთე)" და ბქ. **ლიჲშხუალ**, ლშხ. **ლი̄შხუა̈ლ** „ერთობა, გაერთიანება, ერთად ყოფნა" და ა. შ.

სვანური ა̈რთჳ ← *ერთჳ უკანა მიმართულების (ე + ჳ პოზიციისეული) უმლაუტის საშუალებით (შდრ. სვან. წა̈ჳა̈რ < ქართ. მწევარი, სვან. ძა̈ჳა̈ლ < ქართ. ძევალი „ცომის ხაში", სვან. ტა̈ჳა̈ნ < ქართ. მტევანი და ა. შ. — იხ. ქალდანი 1969). აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა აუსლაუტისეული ჳ სონორის შესახებ. როგორც ცნობილია, ჳ სონორი, რომელიც წინამავალ **ე**-ს უმლაუტს იწვევს, ისტორიულად შეიძლება სხვადასხვა წარმოშობის იყოს, რის მიხედვითაც, სამეცნიერო ლიტერატურაში, გამოყოფენ რამდენიმე ქვეტიპს: 1. მეუმლაუტე ჳ სონანტი, რომელიც **ო** ხმოვნის ნარედუქციალია; 2. ჳ სონანტი აუსლაუტისეული **უ**-ს ნარედუქციალია; 3. ჳ სონანტი **უ** ხმოვნის ნაუმლაუტარია; 4. ჳ სონანტი **ო** ხმოვნის ნაუმლაუტარია; 5. ჳ სონანტი **უ** ხმოვნის პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს. აქვე აერთიანებენ აგრეთვე ჳ-ს, რომელიც ა) ქართ. -ალ სუფიქსისეული ლ-ს ფონეტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს სვანურში და ბ) მიცემითი ბრუნვის -ჳ სუფიქსია ერთი ტიპის სახელებთან (იხ. იქვე:71). ჩვენი თვალსაზრისით, ა̈რთჳ ფორმის აუსლაუტისეული ჳ მიცემითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც სვანურის მეორე ტიპის ბრუნებისთვისაა დამახასიათებელი (შარაძენიძე 1961:221). ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი რიცხვითი სახელები: **ეშხუ**, **ჲერუ**, **სემი** სწორედ ჳ-იან მიცემითს იყენებენ ფუძედ მომდევნო ბრუნვათათვის (მაგ.: სახ. **ეშხუ**, მიც. **აშხჳ**, მოთხრ. **აშხჳ-ემ**, ნათ. **აშხჳ-მ-იშ**, მოქ. **აშხჳ-შჳ**, ვით. **აშხჳ-დ** და ა. შ.), რაც ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს.

2. რიცხვითი სახელი **ჲორი/ჲო̄რი/ჲო̄რუ/ჲორუ/ჲერუ/ჲჷ̄რუ/ჲერბი/ერბი** „ორი". რაც შეეხება **ორის** აღმნიშვნელ რიცხვით სახელს, იგი სამივე ქართველურ ენაში, როგორც ვარაუდობენ, საერთო ფუძიდან მოდის, მაგრამ ამ საერთო ფუძის აღდგენა სირთულესთან არის დაკავშირებული (ჭუმბურიძე 2007:111). ამ სირთულის მიზეზი, ცხადია, მეგრულ-ლაზურის ანლაუტში გამოვლენილი **ჟ**-/**ჯ**- უნდა იყოს (შდრ. ქართ. **ორ**-ი, მეგრ. **ჟირი||ჟჷრი**, ლაზ. **ჟურ||ჯურ**).

სწორედ **ჟურ** ფორმა ივარაუდება ჭანური და მეგრული ვარიანტებისათვის ამოსავლად, რისგანაც არის მიღებული მეგრული **ჟირ**-ი **უ**-ს **ი**-თ შეცვლით, ხოლო ათინურსა და ართაშნულში ხმარებული **ჯურ** უნდა მოეცა **ჟ** → **ჯ**. ამ ფონზე სვანურ დიალექტებში დაცული ვარიანტები (**ჲო̄რი||ჲო̄რუ||ჲერუ**, **ჲორი**, **ჲერბი**, **ჲჷ̄რუ**, **ერჳი||ერბი**) ადრეულ საფეხურზე **ჲორ** ფუძის აღდგენის საშუალებას იძლევა, საიდანაც უნდა იყოს მიღებული მეგრულ-ლაზური ***ჟორ** → **ჟურ** → **ჟირ||ჯურ** (ჯავახიშვილი 1937:389-404; ჩიქობავა 1938:213).

ზ. ჭუმბურიძის ვარაუდით, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ აღნიშნული რიცხვითი სახელის პირველადი ფორმა ქართველურ ენებში არის **ჲორ**-, მაშინ ის სვანურში უმლაუტის გზით მოგვცემდა **იჳერ**-ს, შემდეგ საფეხურზე კი მეტათეზისით — **ჲერჳ||ჲერუ** ფორმას (ჭუმბურიძე 2007:111-112; შარაძენიძე 1961:222). **ჲერუ** ფორმა, რამდენადაც ცნობილია, დღესაც დასტურდება სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში ბალსზემოურსა და ლაშხურში და, აგრეთვე, ჩოლურულ მეტყველებაში.

მეცნიერის აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ბოლოკიდური **უ** (**ჲორუ**/**ჲერუ**) გარკვეული ფუნქციის ფორმანტი იყოს (შდრ. **ეშხუ**, **ჳოშთხჳ**), რისგანაც უნდა იყოს მიღებული **ბ** ლენტეხურში (**ერბი**), **მ** კი რიგობით რიცხვით სახელში **მჷ̄რმე** „მეორე" (ჭუმბურიძე 2007:112).

ქართველურ ენათა ბგერათფარდობის საფუძველზე საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია ***ჲორ**-.

ჲორი რიცხვით სახელში, ისევე როგორც **სემი**-ში, დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი**, რომელიც სვანურში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივ მოკვეცილია.

სვანურ სახელებს, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (მსგავსი ვითარებაა ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებშიც) და, ამდენად, სახელთა

უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუძეებით გვხვდება. **ჲორი, სემი, ზა̈ჲ...** ფორმების გარდა, ბალსქვემოურში ჩვენ დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ლექსემა **ბურთჳ** სახელობითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი, რომელიც სვანური ენის სხვა დიალექტებში განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, შდრ. ბზ. **ბჷლთ˹ჳ˺/ბირთჳ**, ლშხ. **ბჷლთ**, ლნტ. **ბულთ** (საღლიანი 2005:245). უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულიდან ნასესხები ა ხმოვანფუძიანი სახელები ბალსზემოურში (იშვიათად ლენტეხურში) დაირთავენ სახელობითი ბრუნვის მორფემას **-ჲ** ალოფონს [მაგ.: ბზ. **აბზინდა̈ჲ** „აბზინდა", **ასაბია̈ჲ** „ასაბია", **ბამბა̈ჲ**‖**ბანბა̈ჲ** „ბამბა", **დიხსა̈ჲ** „დიასახლისი", **დაშნა̈ჲ** „დაშნა", **კარდალა̈ჲ** „კარდალა", ბზ., ლნტ. **ფერბა̈ჲ** „პირფერი, პირმოთნე, ფარისეველი; მომფერებელი", ლნტ. **ქალაკოდა̈ჲ** „ქალაკოდა" და ა. შ. (იქვე:67-69)].

3. რიცხვითი სახელი **სემი/სე̄მი** „სამი". რაც შეეხება მარტივ რიცხვით სახელს **სემი-ს**, მასში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით ა უმლაუტიზებულია და ე-დ არის ქცეული: **სამი → სა̈მი → სემი**. მეგრულ-ლაზურში ა-ს შესატყვისად, როგორც ივარაუდება, ო უნდა გვქონოდა, მაგრამ მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით ის უ-დ არის ქცეული. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ქართული ს არც სვანურში და არც კოლხურში არ ქცეულა შ-დ (ჭუმბურიძე 2007:112).

საინტერესოა, რომ გრძელხმოვნიანი **სე̄მი**, ჩოლურულის გარდა, სვანური ენის არც ერთ დიალექტსა და კილოკავში არ დადასტურებულა. ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში „ნასესხობანი სვანურ ენაში" (2005:99-102), ხმოვანთა სიგრძის მოვლენების განხილვისას, ცალკე წარმოვადგინეთ ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ჩვენ მიერ დაფიქსირებული ქართულიდან ნასესხები მასალა, სადაც აღნიშნულ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს [მაგ.: ბზ., ლშხ. **ამე̄ნ** „ამინ", ბზ. **გჳა̈ლი** „გვალვა", ბზ., ლშხ. **ნა̄ჭა** „ჭაპვი, ნაჭა", ბზ., ლშხ. **სი̄რმა** „სირმა", ბზ. **ფა̄რა** „ფარა (ფული საერთოდ)", ბზ., ლშხ. **ჩე̄რი** „ჩერი (თითისტარი)", ბზ. **ჩჳე̄ნი** „სპილენძის ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდალა" (შდრ. რაჭ. **ჩოინა** „თუჯის პატარა ქვაბი") და ა. შ.)], თუმცა შეიძლება ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ ფუძისეული ხმოვნის სიგრძეს დასახელებულ ფორმებში სწორედ მომდევნო, აუსლაუტისეული ხმოვანი იწვევს. საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

შენიშვნა: ჩოლურულში **სე̄მი-ს** გარდა გრძელხმოვნიანია, აგრეთვე, **ჲე̄რუ** „ორი" ფორმაც. არც ერთი მათგანი ჩოლურულის მოსაზღვრე ლაშხურ დიალექტში არ დასტურდება.

4. რიცხვითი სახელი **ჳო̄შთხჳ/˹ჳ˺ოშთხჳ** „ოთხი". **ჳო̄შთხჳ**, როგორც ცნობილია, ქართული **ოთხ-ის** კანონზომიერ ფონემატურ შესატყვისად არის მიჩნეული: **თ → შდ**, მაგრამ ყრუ ბგერათა შორის მოქცეულ დ-ს ასიმილაციით ისევ თ მოუცია (თოფურია 1979:12). პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „იქმნება ილუზია, თითქოს თ-ს წინ შ უბრალოდ იყოს გაჩენილი" (2007:112).

რა შეიძლება ითქვას სვანური რაოდენობითი რიცხვითი სახელების: **ჳოშთხჳ, ჳოხუშდ** და **ჳუსგჳა** ანლაუტში გაჩენილი ჳ ბგერის შესახებ?

სვანური ვოკალიზმისთვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ხმოვანთა შემართვის ორი სახე — **ფშვინვიერი და ძლიერი შემართვა**, ამასთან, სვანურს ახასიათებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ო და უ ხმოვნების წინ ბილაბიალური ჳ თანხმოვანი ვითარდება, ხოლო ჳ'ს წინ დ თანხმოვანი (ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული).

სვანურში არაერთი ნასეხები თუ საკუთრივ სვანური სიტყვა ფიქსირდება, სადაც თავკიდური ო'სა და უ'ს წინ ბილაბიალური ჳ ვითარდება (შდრ. ქართული დიალექტური ფორმები: **ჳორი, ჳოთხი, ჳოცი...**), რაც ს. ჟღენტის აზრით, ო'ს სივიწროვეზე მიანიშნებს (1949:125). მისივე მოსაზრებით, „ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ზემოსვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) უვითარდება **ჰ** ბგერა ფშვინვიერი შემართვის გამო, ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურსა და ლენტეხურში) **იოტი** და ო'ს წინ ჳ თანხმოვანი" (იქვე). ჩვენ თავის დროზე გამოვიკვლიეთ ხმოვანთა შემართვის სახეები

სვანური ნასესხები მასალის საფუძველზე და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც, განსაკუთრებით ლახამულურ კილოკავში, სიტყვის ანლაუტში ფშვინვიერშემართვიანი ფორმების გვერდით დასტურდება იგივე იოტირებული ხმოვნები (მაგ.: ბზ. **ჲალონ** „ალიონი", ბქ. **ჲეშმა||ჲეშმა̈** „გრძნეული, ეშმაკი, ეშმა", ბქ. **ჲეჭჳ** „ეჭვი", ლხმ. **ჲექიმ** „ექიმი" და ა. შ.) და, ბუნებრივია, შეგვხვდა მრავალი ისეთი მაგალითი, სადაც **ო**'სა და **უ**'ს წინ წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური **ჳ** არის განვითარებული (მაგ.: ზს., ლნტ. **ჳობელ**, ლშხ. **ჳობოლ** „ობოლი", ზს. **ჳორაგულ** „ორაგული", ჩოლ. **ჳორღაჳიან** „ეშმაკი, გაიძვერა, დაუნდობელი (შდრ. ქართ. (რაჭ.) **ორღავი**)", ზს. **ჳოხერ** „ოხერი", ზს., ლნტ. **ჳოხრა̈ხუშ**, ლშხ., ჩოლ. **ჳოხრახუშ** „ოხრახუში"...; ბქ. **ჳუბა̈დჳ** „უბედური (შდრ. ქართ. **უბედო**)", ზს. **ჳურემ** „ურემი", უშგ. **ჳულუფ** „ულუფა", ბქ. **ჳურჯულ** „ურჯულო", ზს. **ჳუხეშ** „უხეში" და მრავ. სხვ.) და ამ მოვლენას, ე. ი. **ო**'სა და **უ**'ს წინ **ჳ**'ს განვითარებას, პირობითად ვუწოდეთ **ბილაბიალური შემართვა** (სალღიანი 2008:196-211).

რაც შეეხება საანალიზო სვანური ლექსემის **ჳო̄შთხჳ**-ის აუსლაუტისეულ **ჳ**'ს, იგი ისტორიულად **ო** სრული ხმოვნის რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს (**ჳო-შთხჳ** ← ***ო-შთხო** — შდრ. ზან. (მეგრ.) **ო-თხ-ი** „ოთხი", მაგრამ **ო-თხო-ნ-ეჩ-ი** „ოთხმოცი", ლაზ. **ო-თხო||ო-ნთხო||ო-თხუ** „ოთხი"). საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის კი, მ. ჩუხუას აზრით, აღსადგენია ***ო-თხო-** არქეტიპი (ჩუხუა 2008:450; როზენი 1845:11; ჩიქობავა 1938:215).

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის მოსაზრების შესაბამისად, აღნიშნულ **ჳ**'ს შესაძლოა მორფოლოგიური ფუნქცია ჰქონოდა, — შდრ. ლაზ. **ოთხო** „ოთხი" (ჭუმბურიძე 2007:112).

5. რიცხვითი სახელი **ჳოხჳიშდ/⌈ჳ⌉ოხუშდ/ჳოხჳუშდ/ჳოხჳიშტ** „ხუთი". იმ ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე კი, რომლის მიხედვითაც ქართ. **თ** სვანურში **შდ**-ს იძლევა ქართული **ხუთ**-ისაგან უნდა მიგვეღო სვანური ***ხუშდ**, გაუმლაუტებით კი — **ხჳიშდ**. აღნიშნული ფუძის ანლაუტში **ჳოშთხჳ**-ის ანალოგიით **ჳო** უნდა განვითარებულიყო, რის შედეგადაც საბოლოოდ მივიღეთ ბალსზემოური **ჳოხჳიშდ** (თოფურია 1979:202). საენათმეცნიერო ლიტერატურაში ბოლოდროინდელ ნაშრომებში საერთოქართველურ არქეტიპად აღადგენენ ***ხჳი-თ** ძირს (ჩუხუა 2008:654), რომლის ბოლოკიდური **-თ** აფიქსად ადრე მოიაზრებოდა, შდრ. **ერ-თ-ი** : ლაზ. **არ-** „ერთი" (ჩიქობავა 1938:215-216; ფენრიხი-სარჯველაძე 2000:704).

ბალსზემოურის გარდა უმლაუტიანი ფუძე (**ჳოხჳიშტ**) ლენტეხურსა და ჩოლურულშიც დასტურდება, სხვა დიალექტებში კი (ბალსქვემოურსა და ლაშხურში) უუმლაუტო ფორმები (**ჳოხუშდ**) გვაქვს. ბალსქვემოურში **ჳოხუშდ**-ის პარალელურად **ჳოხჳუშდ** ფორმაც დასტურდება, რაც სვანური ენის არც ერთი დიალექტისთვის არ არის დამახასიათებელი. ჩვენი აზრით, აუსლაუტში ბაგისმიერი **უ**-ს წინ განვითარებული წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური **ჳ** ამ ხმოვნის სივიწროვეზე მიუთითებს.

6. რიცხვითი სახელი **ჳუსგჳა/უსკჳა/ესკჳა** „ექვსი". სვანური მარტივი რიცხვითი სახელი **უსგჳა** დიალექტებში ფონეტიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აღსანიშნავია მხოლოდ ლენტეხური **უსკჳა** და ბალსქვემოური **ჳუსგჳა**, რომელიც **უსგჳა**-ს პარალელურად დასტურდება. რა თქმა უნდა, ბალსქვემოური **ჳუსგჳა**-ში გამოვლენილი თავკიდური წყვილბაგისმიერი **ჳ** ფონეტიკური დანართია ისევე, როგორც **ჳოხჳუშდ**-ში.

ქართული **ექვსი||ექუს**-ის შესატყვისად მიჩნეულია სვანური **უსკჳა||უსგჳა** ← ***ეჳსქჳ-ა**, ზანური (მეგრული) **ამშვ-ი** და ლაზური **ანშ-ი →||აშ-ი** „ექვსი". საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის ივარაუდება ***ემსჳ-** არქეტიპის აღდგენა, რომლის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს ზანური **ამშჳ- →||ანშ-ი** (ჩიქობავა 1938:216; თოფურია 1979:60; ჩუხუა 2008:

322). სხვა თვალსაზრისით, სვანურისათვის ამოსავლად ივარაუდება *უქსუ̂ ფორმა, რომელიც თავისი თავკიდური უ ხმოვნით შესაძლოა ისევე განსხვავდებოდეს ექსუ̂-ისაგან, როგორც ეშხუ და უშხუ (შდრ. სვან. უშხუდ „ერთად", უშხუ̂ჴ̂რ „ერთმანეთს") ანდა ქართული ერთ-ურთი||ურთი-ერთი; შესაძლოა თავკიდური უ ხმოვნის გაჩენა ე-ს ნაცვლად სვანურში მომდევნო ბაგისმიერი უ̂-ს გავლენის შედეგი იყოს (გამყრელიძე 2000:30-31).

თ. გამყრელიძის აზრით, ამოსავალი *უქსუ̂- ფორმისგან უნდა მიგვეღო *უქშუ̂-, ხოლო -ქშ- კომპლექსში მომხდარი მეტათეზისის შედეგად კი მივიღეთ სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის შქ → შგ კომპლექსი: *უქშუ̂- > *უშგუ̂-ა. -შგ- კომპლექსის გასისინების შედეგად მომდევნო ბაგისმიერი უ̂-ს გავლენით უნდა ჩამოყალიბებულიყო სვანურში ისტორიულად დამოწმებული უსგუ̂-ა ფორმა (იქვე:31).

III_2 წესი. როდესაც გვაქვს შემდეგი კომბინაცია — ზმნისწინები ად-, ეს- + S_1 ხუ̂- ~ ხ-, S_2 ხ-, O_3 ხ-, მაშინ III წესის რეალიზაციის საფუძველზე ნულთან გათანაბრებულია პირის ნიშნები (და არა ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტები). ეს- ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი კი ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ყოველთვის ს-ს სახით არის წარმოდგენილი, ად- ზმნისწინისა კი — უგამონაკლისოდ თ-ს სახით[1], მაგ., ეს-ა̈გუ̂შ (ლნტ. ას-ა̈გუ̂შ, ლშხ. ეს-გოშ) „დაასხი“, ეს-გუ̂ეშ (ლნტ. ას-გუ̂ეშ, ლშხ. ეს-გოშე) „დაასხა“, ბქ. ოს-ა̈გუ̂შ „დავასხი“, ლშხ. ოს-აბ „დავაბი“, ეს-აბ „დააბი“, ოს-გოშ „დავას-

[1] ახლად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ად- ზმნისწინის თანხმოვნითი ელემენტი ყოველთვის უგამონაკლისოდ თ-ს სახით ნამდვილად არ გვხვდება.

ხი“, ეს-გოშ „დაასხი“; ო̄თ-ეჭმ „წავყევი“, ო̄თ-აბ „მივაბი“, ათ-აბ „მიაბი“, ათ-ბე „მიაბა“ და ა. შ. (ონიანი 1998:127-128), მაგრამ ბალსქვემოური: ად-ბე „მიაბა“, ად-რეკლე „გარეკა“, ად-ბუჯურე „გახლიჩა“, ად-ბელე „გაბერა“ და ა. შ.

თანამედროვე სვანურ დიალექტებში (გარდა ლაშხურისა) ამ წესს აქვს ორი გამონაკლისი: 1. პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე (**ზმნისწინი + პირის ნიშანი**) დასტურდება **თხ** თანმიმდევრობების რამდენიმე ნიმუში; **ო̄თ-ხჳ-ა̈ჲ** (ლნტ. **ათ-ხჳ-ა̈**) „წავიღე“, **ათ-ხ-ა̈ჲ** (ლნტ., ბქ. **ათ-ხ-ა̈**) „წაიღე“, ბზ. **ათ-ხ-ა̄დ** „თქვა“, ბქ. **ათ-ხ-გრმ** „დაიჭირე“ (თოფურია 1967:17-20); 2. **ად-** და **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის მომდევნო პოზიციაში გარკვეულ შემთხვევებში დასტურდება S_1 **ჳ-**.

III_3 **წესი.** კომბინაციაში — ზმნისწინი **ან-** + S_1 **ხჳ-** ~ **ხ-**, S_2 **ხ-**, ან O_3 **ხ-**, როგორც ცნობილია, ყოველთვის ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტია ნულთან გათანაბრებული, მაგ., **ო̄-ხჳ-ა̈სყ** (ლნტ. **ა-ხჳ-ა̈სყ**, ლშხ. **ო̄-ხჳ-ასყ**) „გავაკეთე“, **ა-ხ-ა̈სყ** „გააკეთე“, **ო̄-ხ-სყე** (ლნტ. **ა-ხ-ოსყე**) „გაუკეთა“; ბქ. **ო̄-ხჳ-მა̈რ** „გავამზადე“, **ა-ხ-მა̈რ** „გაამზადე“, **ო̄-ხჳ-მგრთა̈ჳ** „მოვმართე“, **ა-ხ-მგრთა̈ჳ** „მომართე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ, III წესი ძირითადად პრეფიქსული მორფემების (**ზმნისწინებისა და პირის ნიშნების**) თანხმოვან ელემენტთა ურთიერთმიმართებას ასახავს. თუმცა სხვადასხვა მორფემების თანხმოვანთა ერთმანეთის გვერდით მოხვედრის პირობები შეიძლება წარმოიქმნას არა მხოლოდ ზმნისწინებისა და პირის ნიშნების მიჯნაზე, არამედ — ზმნისწინებისა და ძირეული მორფემების ზღვარზეც. ასეთი პირობები, როგორც წესი, **ან-**, **ეს-**, **ად-** ზმნისწინებისა და თავკიდურთანხმოვნიანი ზმნების უშუალო მიმდევრობაში წარმოიქმნება. ამ მიმდევრობისთვის კი ჩამოყალიბებულია კიდევ ერთი წესი, რომელსაც IV წეს-ს უწოდებენ (ონიანი 1998:128).

IV **წესი.** ძირეული მორფემის თანხმოვნის წინ მხოლოდ **ან-**, **ეს-** ზმნისწინთა თანხმოვანი ელემენტის არსებობა არის დასაშვები, **ად-** ზმნისწინის თანხმოვანი კი, როგორც წესი, ნულთან არის გათანაბრებული, შდრ., ერთი მხრივ, **ო̄ნ-ჯჳედ** „მოვედი“, **ან-ჯედ** „მოხვედი“, **ან-ჯა̈დ** „მოვიდა“, **ო̄ნ-ტეხ** „მოვბრუნდი“, **ან-ტეხ** „მობრუნდი“, **ან-ტახ** „მობრუნდა“, **ო̄ნ-ტხე** „მოვაბრუნებ“, **ან-ტხე** „მოაბრუნებ, მოაბრუნებს“, ბზ. **ეს-ღჳრი** „მივდივარ“, **ეს-ღრი** „მიდიხარ, მიდის“, ლშხ. **ო̄ს-ღჳრი**, **ეს-ღრი**, ბქ. **ო̄ს-ხჳრი**, **ეს-ხრი**, ლნტ. **ას-ხჳრი**, **ას-ხრი** და, მეორე მხრივ, **ა̈-ტჳხე** (ბქ., ლშხ. **ო̄-ტხე**) „დავაბრუნებ“, **ა-ტხე** „დააბრუნებ, დააბრუნებს“, **ა̈-დგე** (ლშხ. **ა-დგე**) „გააქრობ, გააქრობს“, **ა̈-კჳშე** „გატეხ, გატეხს“ და სხვა. ზმნისწინთა აქ წარმოდგენილი ყველა უთანხმოვნო ვარიანტი (**ა-**, **ა̈-**, **ო̄-**) **ად-** ზმნისწინის კუთვნილებაა, რამდენადაც მთლიანად ემთხვევა მას მნიშვნელობით და მის სხვა ვარიანტებთან იმყოფება დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში (შანიძე 1957:340).

ამ წესს აქვს ორიოდე გამონაკლისი: ა) თანხმოვნის წინა პოზიციაში **ან-** ზმნისწინის თანხმოვანი ელემენტი ნულთან არის გათანაბრებული; ცნობილია ერთადერთი ზმნა, სადაც ასეთი ვითარება გვაქვს: **ო̄-ღჳერ** „მოვედი“, **ა-ღერ** „მოხვედი“, ბ) **ად-** ზმნისწინის **დ** ელემენტი თანხმოვნების წინა პოზიციაშიც წარმოდგენილია; ასეთ ვითარებას რამდენიმე ზმნასთან აქვს ადგილი და ისიც დიალექტთა მხოლოდ ერთ ნაწილში: **ო̄დ-ღჳერ** „წავედი“, **ად-ღერ** „წახვედი“, **ო̄დ-ჯჳედ** „მივედი, მივაღწიე“, **ად-ჯედ** „მიხვედი, მიაღწიე“, **ად-ჯად** „მივიდა, მიაღწია“ (თოფურია1967:246).

V **წესი.** უზმნისწინო ფორმებში თანხმოვნის წინ წარმოდგენილი **გ** ელემენტიანი პირის ნიშნები (O_1 **მგ-**, O_2 **ჯგ-**, O_1 **გუ-** < **გჳგ-**, O_e **ნგ-** და S_1 **ლგ-**) ზმნისწინიან ფორმებში, ჩვეულებრივ, ამ ელემენტის (**გ**-ს) გარეშე გვევლინებიან, მაგრამ ვითარება ასეთია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზმნისწინის დართვით ამ ელემენტისათვის სარედუქციო პოზიცია წარმოიქმნება, ე. ი. როდესაც, ზმნისწინისა და პირის ნიშნის ხმოვანთა გარდა, ფორმაში მესამე ხმოვანიც მოიპოვება (რომელიც, ჩვეულებრივ, ძირეული მორფემის კუთვნილებაა), მაგ., **ა-მ-ტიხ** „დამაბრუნა“, **ა-მ-ცჳირ** „დამტოვა“, **ა-ჯ-ტიხ** „დაგაბრუნა“, **ა-ჯ-ცჳირ** „დაგტოვა“, **ო̄-გჳ-ტიხ** „დაგვაბრუნა“, **ო̄-გჳ-ცჳირ** „დაგვტოვა“, **ა-ნ-ტიხ** „დაგვაბრუნა“, **ა-ნ-ცჳირ** „დაგვტოვა“, **ა-ლ-ტიხ-დ** „დავაბრუნეთ“, **ა-ლ-ცჳირ-დ** „დავტოვეთ“... (შდრ. უზმნისწინო ფორმები **მგ-ტხე** „მაბრუნებს“, **მგ-ცჳრე** „მტოვებს“). აქ, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს

ხმოვნის რედუქციის ჩვეულებრივ ნიმუშთან; აღნიშნულ პირის ნიშნებში ხმოვნიან ვარიანტებთან უხმოვნო ვარიანტთა მონაცვლეობა, მაშასადამე, გ ელემენტის რედუქციის შედეგია. ბუნებრივია ამიტომ, რომ ზმნისწინიან ფორმებში გ ელემენტიანი ალომორფები მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, როდესაც ამ ელემენტის რედუქციის პირობა არ არსებობს, ე. ი. როდესაც ფორმაში მხოლოდ ორი ხმოვანია მოცემული (**ზმნისწინისა და პირის ნიშნისა**), მაგ., ა-მგ-ტხ „დამაბრუნე", ა-მგ-ცუ̈რ||ა-მუ-ცუ̈რ „დამტოვე", ა-ჯგ-ტხ „დაგაბრუნე", ა-ჯგ-ცუ̈რ||ა-ჯუ-ცუ̈რ „დაგტოვე", ო-გუ-ტხ „დაგვაბრუნე", ო-გუ-ცუ̈რ „დაგვტოვე", ა-ნგ-ტხ „დაგვაბრუნე", ა-ნგ-ცუ̈რ||ა-ნუ-ცუ̈რ „დაგვტოვე" და ა. შ.

ამ წესებიდან ამოსვლით, პროფ. ალ. ონიანი შესაძლებლად თვლის როგორც ზმნისწინების, ისე პირის ნიშნების დისტრიბუციულ დახასიათებას, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილება ზმნისწინებზეც ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თანაც ზმნისწინთა ზოგი ალომორფი პირის გამომხატველადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული, იქვე ზმნისწინთა დისტრიბუციულ ანალიზსაც წარმოგვიდგენს (ონიანი 1998:130)[1].

განვიხილოთ ცალ-ცალკე სვანურ ზმნისწინთა ალომორფები:

ლა- ზმნისწინი. აღნიშნული ზმნისწინის ალომორფთა განაწილების სურათის დასადგენად, პროფ. ალ. ონიანის აზრით, საკმარისია I და II წესთა გათვალისწინება, ვინაიდან ლა- ზმნისწინიან ფორმაში III და IV წესთა რეალიზაციის პირობა არასდროს არ წარმოიქმნება.

I წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ძირითადად, წარმოდგენილია ლა̈- (ლაშხურში ლე-, ხოლო ბალსზემოურში ზოგჯერ ლა̈̄-) ალომორფი, მაგ., შდრ. ბზ. ლა̈-ღლოკე „მოლოკა", ლა̈-ხუ̈ჰუ̈ედ „ვკითხე", ლა̈-ხლა̈ტი „შეუყვარდება", ლა̈̄-ტხენი „დაბრუნდება", ლა̈-ხუ̈იშგდ „ვიკადრე", ბქ. ლა̈-ძბ „შეიბა", ლა̈-ძბინე „დაიწყო", ლნტ. ლა̈-ძკიდ „აიღო", ლა̈-ხეჰუ̈ედდა „ჰკითხა", ლა̈-ხუ̈ეკადდ „მივაწყდით", ლშხ. ლე-ღლოკე „მოლოკა", ლე-ხლატი „შეუყვარდება", ლე-ხჰოდდა „ჰკითხა", და ა. შ. (იქვე).

უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ლაშხურისებურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავშიც (განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ცხუმარულის შესახებ, რომელიც ზოგ მკვლევარს რატომღაც ნარევ დიალექტად მიაჩნია — იხ. შარაძენიძე 1958), მაგ. შდრ. ცხუმ. ლე-ღლოკე „მოლოკა", ლე-ხლა̈ტი „შეუყვარდება", ლე-ძბე „შეიბა", ლე-ძბინე „დაიწყო", ლე-ხეჰუ̈ედდა „ჰკითხა", ლე-ხტახ „მიუბრუნდა", ლე-ძსკორე „გაიფიქრა", ლე-ხტეხნი „მიუბრუნდება" და ა. შ. პროფ. თ. შარაძენიძის გამოკვლევის მიხედვით, უმლაუტიანი ა-ს ე-დ ქცევის პროცესი ხორციელდება ზმნებში პრევერბებთან და ა̈ლ თემის ნიშანთან[2]. ავტორის აზრით, ზმნისწინებში ა̈-ს ე-დ ქცევა ერთი იმ პროცესთაგანია, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ცხუმარულში. ხოლო მისი გავრცელება სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის განსხვავებულია. იგი გამოყოფს ოთხი თაობის მეტყველებას: I **თაობა** — მოხუცები, რომლებიც, როგორც წესი, ა̈-ს ხმარობენ, ე-ს ხმარების შემთხვევები კი მათ მეტყველებაში იშვიათია; II **თაობის** წარმომადგენლებთან, მართალია, ე-ს ხმარების შემთხვევები უფრო ხშირია, თუმცა უპირატესობა მაინც ა̈-ს ენიჭება; III **თაობის** წარმომადგენლებთან ე-ს ხმარება ა̈-ს ხმარებას უტოლდება, ე. ი. ადგილი აქვს ამ ფორმათა პარალელურ ხმარებას; რაც შეეხება IV **თაობას** (14-15 წლამდე მაინც), იგი მთლიანად ე-ზე არის გადასული. ა̈ იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს გამონაკლისის სახით (შარაძენიძე 1958:233-234).

ა̈ → ე, როგორც ცოცხალი მოქმედი ფონეტიკური პროცესი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ცხუმარულის გარდა ბალსქვემოურის არც ერთ კილოკავში არ არის შემჩნეული (იქვე, 235).

---

[1] ა. ონიანის მიერ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების შესახებ შემუშავებულ ზოგად წესებს წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით წარმოვადგენთ, რადგანაც ჩვენ ამ წესებზე დაყრდნობით განვიხილავთ ზმნისწინთა დისტრიბუციას.

[2] თ. შარაძენიძის გამოკვლევაში შეგვხვდა ჩვენთვის უჩვეულო ფორმა — ლელემ (მაგ. მერმე ჯინემოჲ ლელემ (ტვ.) „მეორე შენ („თვითონმცა") შეჰამეო („ჭამა")"), რომელიც მომდინარეობს ლა̈ლემ ფორმისგან. თანამედროვე ცხუმარულში, კერძოდ, ტვიბერულ მეტყველებაში, მსგავსი რამ არ დაგვიფიქსირებია.

ა̈ → ე ფონეტიკური პროცესი, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ, მხოლოდ ცხუმარულში იყო შემჩნეული, ჩვენი დაკვირვებით, დღეს უკვე ფეხს იკიდებს ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებშიც (შდრ. ეცერ. ლე-ꟾ/ნლოკე „მოლოკა", ლე-ꟾ/ნტიხ „დაიბრუნა"; ჰებ. ლე-ხლა̈ტი‖ლა̈-ხლა̈ტი „შეუყვარდება", ლე-ꟾსკორე‖ლა̈-ꟾ/ნსკორე „გაიფიქრა" და ა. შ.), რაც, აშკარად, ინოვაციის იერს ატარებს.

ბალსქვემოური დიალექტის გარდა ამ ფონეტიკურ პროცესს ადგილი აქვს ისეთ დაშორებულ დიალექტში, როგორიცაა ლაშხური, ამ დიალექტებს ერთმანეთთან ფაქტობრივ რაიმე უშუალო კონტაქტი არა აქვთ. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ მსგავსება ცხუმარულსა და ლაშხურს შორის მხოლოდ პროცესობრივი კი არ არის, არამედ ერთსა და იმავე მასალაზედაც ხორციელდება (ლაშხურშიც სწორედ ზმნისწინებში გვაქვს ე). თ. შარაძენიძის აზრით, „ცხუმარულში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ის პროცესი, რომელიც ლაშხურში დიდი ხნის წინ განხორციელებულა" (იქვე:235).

რადგანაც ჩოლურულის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაფერი თქმულა, აქედან გამომდინარე, აუცილებლად და მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვერკვია, რა ხდებოდა ამ მხრივ ჩოლურულ მეტყველებაში, რომლის დიალექტად მიჩნევა, როგორც ცნობილია, დღემდე დავის საგანია ქართველ ენათმეცნიერთა შორის.

როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ჩოლურული დიალექტოლოგიური მასალის ანალიზმა ცხადყო, I წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ჩოლურულში, ძირითადად, წარმოდგენილია ე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ა-იანი ფორმებიც, მაგ.: ლე-ꟾლოკე „მოლოკა", ლე-ხეჭუედდა „ჰკითხა", ლე-ხლატი „შეუყვარდება", ლე-ꟾბე „შეიბა", ლე-ꟾბინე „დაიწყო", ლე-მშყად „გამახსენდა", ლე-ხქამ „დაემატა", ლე-ხოდანხ „მიეცათ, შეეძინათ", ლე-ꟾსკიდდა „მოიხედა", ლე-ხშად „უშველა", ლე-ꟾსგპნე „მოიქნია", ლე-ხმგქრა̈ნხ „შეეჯიბრნენ", ლე-ქუხ „თქვეს" და ა. შ. ცხადია, პარალელურად ლა- ზმნისწინიანი ფორმებიც დასტურდება (შდრ. ლა-ხაშყედა „გახსენებია", ლა-ხოჟგნდა „შეეცოდა", ლა-ხაბიშე „მიაწოდა" ...)[1].

შესაძლოა ა̈ → ე ფონეტიკური პროცესი ჩოლურულში ლაშხურის გავლენას მიეწეროს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ე-ს შემცველი ზმნური ფორმები ქვემო ჩოლურულშიც (საყდარში, ბულეშში, ჭველიერში, დურაშში...) უხვად დაიძებნა, რასაც ლაშხურის გავლენას ნამდვილად ვერ მივაწერთ, რადგანაც, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ქვემო ჩოლურული ლენტეხურის ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იზიარებს (ა. შანიძე, ვ. თოფურია, ალ. ონიანი). ლენტეხურში კი, როგორც ზემოთ ითქვა, ძირითადად, ლა̈- ზმნისწინი დასტურდება, რომელიც თავდაპირველი ვითარების ამსახველად მიგვაჩნია.

II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, როგორც პროფ. ალ. ონიანის გამოკვლევიდან ჩანს, წარმოდგენილია ლო- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში ხშირად, ლაშხურში იშვიათად აგრეთვე ლო̄-) ალომორფი, მაგ., ლო-ხუ-აბ „მივაბი", ლო-ხუ-აჟდ „მივაყუდე", ლო̄-ტეხ „დავბრუნდი" და სხვ. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ, გამომდინარე იქიდან, რომ II წესი არ მოქმედებს, ამიტომ, ცხადია, ლო-ალომორფიც შესაბამისად არ არსებობს (ონიანი 1998:130).

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ ბალსქვემოურ დიალექტში? მასალაზე დაკვირვებამ ნათლად დაგვანახა, რომ II წესის რეალიზაციის შემთხვევაში, ბალსქვემოურშიც, სხვა დიალექტების (ბალსზემოურის, ლაშხურისა და ჩოლურულის) მსგავსად ლო- ალომორფია წარმოდგენილი და ისიც საკმაო სიხშირით, მაგ.: ლო-ხუ-აბ „მივაბი", ლო-ხუ-აჟდ „მივაყუდე", ლო-ხო „მივეცი", ლო-ხ-სგი „შევხედე", ლო-ხ-ჭუედ „ვკითხე", ლო-ხუ-ატხ „დავუბრუნე", ლო-ხუ-ჴგრენ „შევეხვეწე, შევევედრე",

[1] ვსარგებლობთ 2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის — „**ჩოლურის ხეობის სვანური მეტყველების ნიმუშები**" მასალებით (ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი). მასალის მოძიებაში დაგვეხმარა, აგრეთვე, წარმოშობით ჩოლურელი, 20 წლის, **შ. შავრეშიანი**, რისთვისაც მას ულრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ლო-ხჷ-მეზირ „შევულოცე“, ლო-ხჷ-ტგხელენ „შევეკამათე, შევეწინააღმდეგე“, ლო-ხჷ-წერალ „შევაგინე“, ლო-ხჷ-ჭა̈თ „დავწყევლე“, ლო-ხ-ხჷიდდა̈ს „შევხვდი“, ლო-ხჷ-დირენ „ვჭამე, ვისადილე“, ლო-ხჷ-შდირალ „ვითამაშე“ და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში (ე. ი. როცა არ მოქმედებს I და II წესი), როგორც ცნობილია, დასტურდება ლა- (ბალსზემოურსა და ჩოლურულში აგრეთვე ლა̄-) ალომორფი, მაგ.: ლა-ხ-სგჷრდა (ლნტ. ლა-ხ-ასკურდა) „შეაჯდა“, ლა-ხ-ბე (ლნტ. ლა-ხ-აბე) „მიაბა“, ლა-ხ-ხჷიდ „შეხვდი“, ლა-მ-ტიხ „დამიბრუნა“, ლა-ჯ-ტიხ „დაგიბრუნა“, ლა-ლ-ტიხდ „დავუბრუნეთ“, ლნტ. ლა-ხ-ოტიხა „დაუბრუნებია“, ლა-ხჷ-აბ „მივაბი“, ლა-ხჷემ „მისცა“, ბზ., ჩოლ. ლა̄-ხ-გშ „დალიე“, ბზ. ლა̄-ხ-ა̈მ (ჩოლ. ლა̄-ხ-ემ) „შეჭამე“, ლა̄-ტახ „დაბრუნდა“ და სხვა.

მაშასადამე, თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, გამოყოფენ ლა- ზმნისწინის შემდეგ ალომორფებს: ლა-, ლა̈-, ლა̄-, ლა̈̄-, ლო-, ლო̄-, რომელთაც, ჩვენი აზრით, ლაშხურში, ჩოლურულსა და ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში (ცხუმარულში, ეცერულში, ჰუბერულში...) დადასტურებული ლე- ალომორფიც უნდა დაემატოს.

ან- ზმნისწინი. სხვადასხვა პოზიციაში ან- ზმნისწინის სხვადასხვა ვარიანტები დასტურდება, ესენია: ა-, ა̈- (ე-), ო-, ან-, ა̈ნ- (ენ-), ონ-. ყოველი კონკრეტული მათგანი, ცხადია, სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი:

ა̈- — III_1 ან III_3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ა̈-მ-ჯიდ „მომიტანა“, ა̈-ჯ-ჯიდ „მოგიტანა“, ა̈-ნ-ჯიდ „მოგვიტანა“, ა̈-ლ-სყედ „გავიკეთეთ“, ა̈-ხ-ისყ „გაიკეთე“, ბზ., ლნტ. ა̈-გჷ-ჯიდ „მოგვიტანა“, ა̈-ხჷ-ისყ „გავიკეთე“ და ა. შ. დიალექტთა ერთ ნაწილში კი, პროფ. ალ. ონიანის მოსაზრების თანახმად, ყველაზე რეგულარულად ლაშხურში, ასეთ შემთხვევაში ა̈-ს ნაცვლად ე- ალომორფი არის წარმოდგენილი, მაგ., შდრ. ლშხ.: ე-მ-ჯიდ, ე-ჯ-ჯიდ, ე-ლ-სყედ, ე-ხ-ისყ... (იქვე, 131). ჩვენი დაკვირვებით, ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩოლურულ მეტყველებაშიც, მაგ., შდრ. ჩოლ.: ე-მ-ჯიდ, ე-ჯ-ჯიდ, ე-ჯ-ჯიდე-ხ „მოგიტანეს“, ე-გჷ-იჯდ „მოგვიტანე“ და ა. შ.

III_1 ან III_3 წესთან ერთად I წესის მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოურ დიალექტში ყოველთვის ა̈- არ გვაქვს. აღნიშნულ დიალექტში ხშირია ა̈-ს პარალელურად ე- ალომორფიანი ფორმების ხმარების შემთხვევები, მაგ., შდრ. ბქ.: ა̈-მ-ჯიდ||ე-მ-ჯიდ „მომიტანა“, ა̈-ჯ-ჯიდ||ე-ჯ-ჯიდ „მოგიტანა“, ა̈-ნ-ჯიდ||ე-ნ-ჯიდ „მოგვიტანა“, ა̈-ხ-ისყ||ე-ხ-ისყ „გაიკეთე“..., ამასთანავე, ა̈-ლ-სყედ „გავიკეთეთ“, ა̈-გჷ-ჯიდ „მოგვიტანა“, ა̈-ხჷ-ისყ „გავიკეთე“ ფორმათა პარალელურად ო-ლ-სყედ, ო-გჷ-ჯიდ, ო-ხჷ-ისყ ფორმებიც დასტურდება. განსხვავებაა თვით ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა შორისაც, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ა̈-ლ-სყედ, ა̈-გჷ-ჯიდ, ა̈-ხჷ-ისყ ფორმები ცხუმარული კილოკავის წარმომადგენელთათვის სრულიად არაბუნებრივია.

ო- — III_1 ან III_3 წესთან ერთად II წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ო-გჷ-ხატჷე „დაგვხატა“, ო-გჷ-მარე „მოგვამზადა“, ო-გჷ-ჯიდ „მოგვიყვანა“, ო-ხჷ-ა̈სყ „გავაკეთე“, ო-ხ-ოსყ „გაუკეთე“ და სხვა.

ა- — III_1 ან III_3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, მაგ.: ა-მ-ჯიდ „მომიყვანა“, ა-ჯ-ჯიდ „მოგიყვანა“, ა-ნ-ჯიდ „მოგვიყვანა“, ა-ლ-ჯიდდ „მოვიყვანეთ, მოვიტანეთ“, ა-ხ-ა̈სყ „გააკეთე“, ლნტ. ა-ხჷ-ა̈სყ „გავაკეთე“ და ა. შ. (იქვე). რა თქმა უნდა, დიალექტებს შორის ნიუანსურ სხვაობებს აქაც აქვს ადგილი, ე. ი., III_1 ან III_3 წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის მოქმედების საფუძველი, ამ შემთხვევაში, ბალსქვემოურში ყოველთვის ა- ალომორფი არ გვაქვს. ალ. ონიანის მიერ დასახელებული წესისგან განსხვავებით, ა-ლ-ჯიდდ და ა-ხჷ-ა̈სყ ფორმათა ნაცვლად ბალსქვემოურში ყოველთვის ო- ალომორფიანი (ო-ლ-ჯიდდ, ო-ხჷ-ა̈სყ) ფორმები გვევლინება.

რაც შეეხება ა̈ნ-ს, იგი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში დასტურდება, მაგ.: ა̈ნ-სყე „გაიკეთა“, ა̈ნ-კიდ „აიღო“, ა̈ნ-მეჴრე (ლნტ. ა̈ნ-მეჰერე) „გაიგო“, ა̈ნ-თხელე „იპოვა“ და სხვა, თუმცა ლაშხურში და ზოგჯერ ბალსქვემოურში ა̈ნ-

ვარიანტის ნაცვლად ასეთ შემთხვევაში ენ- არის წარმოდგენილი (იქვე), მაგ., შდრ. ერთის მხრივ, ლშხ. ენ-სყე, ენ-კიდ, ენ-მეჭრე, ენ-თხე̄ლე, და, მეორე მხრივ, ბქ. (უმეტესად ცხუმარული) ენ-სყე, ენ-კიდ, ენ-მეჭრე, ენ-თხე და ჩოლ. ენ-სყე̄ნს „გაკეთდეს", ენ-სყე, ენ-მეჭრე, ენ-მგრხდა̈ნხ „შემცირდნენ", ენ-თხე̄ლეხ „იპოვეს" და ა. შ.

ონ- — IV წესის მოქმედების სფეროში, როდესაც II წესიც მოქმედებს, მაგ.: ონ-ღუ̈რი „მოვდივარ", ონ-ტეხ „დავბრუნდი", ონ-ჭუ „მოვიტანე" (იქვე), ონ-ტგხ „დავაბრუნე", ონ-შგდ „დავყარე, შემოვყარე", ონ-ხუტ „ამოვწყვიტე", ონ-ჭუ̈ედ „მოვედი"; ჩოლ. ონ-ჭუ̈ედ, ონ-ჭუ და მრავალი სხვა.

ყველა სხვა შემთხვევაში წარმოდგენილია ან-, ე. ი. როცა არ მოქმედებს არც ერთი ზემოჩამოთვლილი წესი, მაგ.: ან-სყე „გააკეთა", ან-ჭიდ „მოიტანა", ან-მა̈რე „მოამზადა", ან-ჭგ „მოიტანე" (იქვე), ზს. ან-ლეთ'ე' „დართო", ან-მაწუ̈დე „გაამართლა", ან-ნაყე „გამოაცხო", ბზ. ან-კოკუ̈ე „შეაგროვა", ან-კულთხნე „შებორკა", ან-მუსე „ჩამოთოვა", ბქ. ან-შდუე „ჩამოთოვა", ან-ჰიე „მოაღწია", ან-ფგთხნე „ჩამობერტყა", ჩოლ. ან-გენა̈ლე „ააყენა", ან-გა̈ნ „ადგა" და ა. შ.

ად- ზმნისწინი. როგორც ცნობილია, სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება ად- ზმნისწინის შემდეგი ვარიანტები: ა̈-(ე-), ო-, ა-, ა̈თ-(ეთ-), ოთ-, ათ-, ა̈დ-(ედ-), ად-. ეს ვარიანტები შემდეგ შემთხვევებშია წარმოდგენილი:

ა̈- — I და III_1 წესთა მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ა̈-მ-ხატუ̈ე „დამიხატა", ა̈-ჯ-ხატუ̈ე „დაგიხატა", ა̈-ნ-ხატუ̈ე „დაგვიხატა", ბზ. ა̈-გუ̈-ხატუ̈ე (ლნტ. ა̈-გუ̈-ხატა̈უ̈ე) „დაგვიხატა" და სხვა. ლაშხურში ა̈-ს ასეთ შემთხვევაშიც მუდამ ე- ენაცვლება, მაგ.: ე-მ-ხატუ̈ე, ე-ჯ-ხატუ̈ე, ე-ლ-ხატუ̈ედ „დავიხატეთ". რაც შეეხება ზემოსვანურ დიალექტებს, იქ, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ა̈- ალომორფი დასტურდება აგრეთვე IV წესის მოქმედების სფეროში: ა̈-ტხე „დააბრუნებ", ა̈-დგე „ჩააქრობ", ა̈-კუ̈შე „გატეხ", ბზ. ა̈-ტუ̈ხე „დავაბრუნებ", ა̈-შუ̈იხ „დავწვი" და სხვა (იქვე, 131-132).

უნდა ითქვას, რომ I და III_1 წესთა მოქმედების შემთხვევაში ბალსქვემოურში ყოველთვის ა̈- არ არის წარმოდგენილი, ამ უკანასკნელს ხან ე- ალომორფი ენაცვლება ხან კი — ო-, მაგ., შდრ. ბქ.: ე-მ-ხატუ̈ე, ე-ჯ-ხატუ̈ე, ო-ლ-ხატუ̈ედ, ე-ნ-ხატუ̈ე, ო-გუ̈-ხატუ̈ე, ე-მ-იჲრე „დამიწერა", ე-მ-ხაზუ̈ე „დამიხაზა", ო-გუ̈-იჲრე „დაგვიწერა"..., თუმცა ბალსქვემოური დიალექტის კილოკავთა უმრავლესობაში სწორედ ა̈- ალომორფი დასტურდება. რაც შეეხება IV წესის მოქმედების სფეროს, ამ სფეროშიც ა̈- ალომორფის პარალელურად ე- და ო- ალომორფები გვევლინება, მაგ., შდრ. ბქ.: ა̈-ტხე||ე-ტხე, ა̈-დგე||ე-დგე, ა̈-კუ̈შე||ე-კუ̈შე, ო-შიხ...

ო- ალომორფი თანამედროვე სვანურ დიალექტებში, როგორც გამოკვლეულია, დასტურდება ორ შემთხვევაში (ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ლენტეხური): ა) II და III_1 წესთა ერთად მოქმედების სფეროში, მაგ.: ო-გუ̈-ხატუ̈ე „დაგვხატა", ო-გუ̈-მა̈რე „მოგვამზადა", ო-გუ̈-ე̄შდგ̄ნ „დაგვავიწყდა"..., ბ) II და IV წესთა მოქმედების სფეროში, მაგ.: ო-კგლ „დავკეტე", ო-შიხ „დავწვი", ო-ცურ „დავტოვე" და სხვა.

ა- — III_1 ან IV წესთა მოქმედების შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს არც I და არც II წესის რეალიზაციის პირობა, მაგ.: ა-ლ-ხატუ̈ედ „დავხატეთ", ა-მ-ხატუ̈ე „დამხატა", ა-ჯ-ხატუ̈ე „დაგხატა", ა-ნ-ხატუ̈ე „დაგვხატა"; ა-ტა̈ხ „დაბრუნდა", ა-ჩა̈დ „წავიდა", ლშხ. ა-ტიხ „დააბრუნა", ა-ცუ̈ირ „დატოვა", ა-ტგხ „დააბრუნე" ... (იქვე, 132). ბალსქვემოურში ა-ს ნაცვლად ხშირად ო- ალომორფი გვევლინება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, მაგ., შდრ. ბქ.: ო-ლ-ხატუ̈ედ „დავხატეთ", ო-ლ-ჭიდდ „მოვიტანეთ", ო-ლ-მეზრედ „დავლოცეთ", ო-ლ-ცუ̈ირდ „დავტოვეთ", ო-ლ-დიგდ „ჩავაქრეთ", ო-ლ-მარედ „გავამზადეთ" და სხვ.

ა̈თ- — I და III_2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ა̈თ-ყა̈ჩ „თავი დაანება", ა̈თ-იბ „შეიბი", ა̈თ-შიხი „დაიწვები"... ლაშხურში, როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ეთ- ალომორფია წარმოდგენილი: ეთ-ყაჩ, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჭამ „წაჰყვა", ეთ-კა̈ფი „წაიქცევა" და ა. შ. (იქვე). ნაწილობრივ ლაშხურისებური ვითარება დაჩნდება ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში, მაგ.

შდრ.: ეთ-ყაჩ, ეთ-იბ, ეთ-შიხი, ეთ-ჴამ, ეთ-ჭერნე „წაიყვანა“, ეთ-ჭერნი „წაყვება“, ეთ-ლჳაჴ „გაეკიდა“, ეთ-ლჳეჴნი „გაეკიდება“, ეთ-ჴა̈ცი „დაიღუპება“, ეთ-ბემ „შეიბამ“, ეთ-თირნე „წაათრია“, ეთ-თირნის „წაათრევს“, ეთ-ქინისგ „გაიქცევა“, ეთ-უჟნი „დაეძინება“, და პარალელურად ჩოლურულშიც (შდრ., მაგ., ჩოლ. ეთ-ჴამ, ეთ-ფიშტჳნე „ისროლა“, ეთ-ლჳერან „შეჰფიცა“, ეთ-სერ „გაიმეტა“ და სხვა).

ოთ- გვხვდება II და III_2 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ოთ-ეგჴ „გავუძელი“, ოთ-ეყჩ „თავი დავანებე“, ოთ-ექდ „შევცდი, ავცდი“, ოთ-ეჴმ „წავყევი“, ოთ-ჴიდ „მიუტანა“, ოთ-ხატჳე „დაუხატა“ ...

ათ- — III_2 წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: ათ-აბ „მიაბი“, ათ-ბე „მიაბა“, ათ-ჴემ „გათიბე“, ათ-კჳიშ „მოსტეხა“ (იქვე), ათ-კუშურე „დაამტვრია, დაამსხვრია“, ათ-ნებე „მიანება“, ათ-კჳა̈რ „გადააგდო, გააგდო“, ათ-კჳერმე „გაყინა“, ათ-ჴემე „გათიბა“ და სხვა.

ა̈დ- გვხვდება მხოლოდ I წესის მოქმედების შემთხვევაში, მაგ.: ა̈დ-ხინ⌈ე⌉ „მიუშვა“, ა̈დ-კჳიე „შეიტყო“ ... ლაშხურში ასეთ შემთხვევაში უგამონაკლისოდ მუდამ ედ- ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ.: ედ-ხინე, ედ-კჳიე, ედ-კა̈ფა̈ნ „წაიქცა“, ედ-ხატჳა̈ნ „დაიხატა“ (იქვე), ხოლო, ბალსქვემორსა და ჩოლურულში ა̈დ- ზმნისწინის პარალელურად ედ- ვარიანტიანი ფორმებიც დასტურდება, მაგ., ბქ.: ედ-ხინ, ედ-კჳიჴ, ედ-ხატჳან, ედ-იჲრან „დაიწერა“, ედ-დირან „დაპურდა“, ჩოლ.: ედ-კა̈ფი „წაიქცევა“, ედ-კგრლა̈ნ „გაგორდა“, ედ-კჳერმა̈ნ „გაიყინა“, ედ-ბინე „დაიწყო“ და სხვ.

ად- არის წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ანუ მაშინ, როდესაც არ მოქმედებს არც ერთი აღნიშნული წესი, მაგ.: ად-კჳა̈რ „დააგდო“, ად-ზგზე „გააგზავნა“, ად-ლა̈შე „დათესა“, ად-ხატჳე „დახატა“, ად-ფგრე „გაახმო“, ად-შიხე „დაწვა“ და ა. შ. (იქვე).

ეს- (ლნტ. ას-) **ზმნისწინი.** ზმნისწინებისა და მათი მომიჯნავე პრეფიქსული მორფემების ურთიერთმიმართების განხილვისას აღინიშნა, რომ ამ ზმნისწინის ხმოვნითი ელემენტი ბალსზემოურში მუდამ ე-ს სახით არის წარმოდგენილი, ხოლო ლენტეხურში — ა-ს სახით, რომლის პოზიციურად მონაცვლე ვარიანტი არის მხოლოდ ა̈. რაც შეეხება სვანური ენის სხვა დიალექტებს, ამ დიალექტებში არსებობს ე-, ო- და ა- ელემენტიანი ვარიანტები, რომლებიც შემდეგ შემთხვევებში დასტურდება:

ე- — III_1 წესის მოქმედების სფეროში, მაგ.: ე-მ-ყა „მიმყავს“, ე-ჯ-ყა „მიგყავს“, ე-ნ-ყა „მიგვყავს“, ე-მ-ღჳა „მიმაქვს“, ე-ჯ-ღჳა „მიგაქვს“ და სხვა. რაც შეეხება ლენტეხურს, იქ ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ა — ს ვარიანტია წარმოდგენილი, მაგ., შდრ., ლნტ.: ა-მ-ს-აყა „მიმყავს“, ა-ჯ-ს-აყა „მიგყავს“...

ო- არის წარმოდგენილი II და III_1 წესთა ერთად მოქმედების შემთხვევაში მხოლოდ სამ დიალექტში — ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, მაგ.: ო-გ-ღჳა „მიგვაქვს“, ო-გ-ცჳირ „დაგვტოვა“, ო-ლ-ცჳირდ „დავუტოვეთ“ და ა. შ.

ოს- გვხვდება II წესის მოქმედების სფეროში, როცა არ მოქმედებს არც ერთი სხვა წესი, მაგ.: ოს-აბ „დავაბი“, ოს-ა̈გჳშ „დავასხი“, ოს-ღჳრი „მივდივარ“, ოს-გე „დაუდგა“, ოს-ცჳირ „დაუტოვა“... აღნიშნული ვითარება, ძირითადად, ბალსქვემოურისათვის არის დამახასიათებელი. ბალსზემოურსა და ლენტეხურში კი ეს ვარიანტი, მეცნიერთა თვალსაზრისით, არ არსებობს, ბალსზემოურში მის ადგილს ეს- ალომორფიანი ვარიანტი იჭერს, ლენტეხურში კი — ას- ან ა̈ს-, მაგ. შდრ., ბზ.: ეს-ჳ-აბ, ეს-ჳ-ა̈გჳშ, ეს-ღჳრი... და ლნტ.: ას-ჳ-ა̈ბ, ას-ჳ-ა̈გჳშ, ას-ხჳრი და ა. შ. ას- ვარიანტის ლენტეხურისებური დისტრიბუცია, პროფ. ალ. ონიანის აზრით, დამახასიათებელია ჩოლურული მეტყველების ზოგი კილოკავისთვისაც (მაგ., საყდრულისათვის) (იქვე), თუმცა მაგალითებს არ ასახელებს. ჩვენ საგანგებოდ მოვიძიეთ ას- ვარიანტიანი ფორმები ჩოლურულში და გაირკვა, რომ აღნიშნული ვითარება მხოლოდ საყდრულისათვის არ არის დამახასიათებელი, როგორც ამას ავტორი მიუთითებს, არამედ მსგავსი საანალიზო ფორმები ჩოლურულის სხვა კილოკავებშიც (ლეუშერულ, ჰველიერულ, ჰველფურ...) დაფიქსირდა, მაგ., შდრ.: ლეუშ. ას-ა̈გა̈ნ „დაადგა“, ას-ჩაჩხჳნე „დააცემინა“, საყდ. ას-ღრი „მიდის“, ას-ღგრდა „მიდიოდა“, ჰველიერ., ჰჳელფ. ას-ხჳჲენა „დახვედრია“ და ა. შ. იგივე ვარიანტი, ე. ი. ა-იანი დასტურდება ლაშხურშიც, ოღონდ სრულიად განსაზღვრულ შემთხვევაში, „მხოლოდ დროთა III ჯგუფის

საზედაო ქცევის ფორმებში“ (თოფურია 1967, 68), როდესაც არ მოქმედებს III_1 წესი, მაგ.: **ას-ლაკჷნა** „მიუგნია“, **ას-სედჷნა** „დარჩენია“, **ას-სგურჷნა** „დასჯდომია“... თუ ამგვარ ფორმებში მოქმედებს III_1 წესი, მაშინ წარმოდგენილია **ა-** ალომორფი, მაგ.: **ა-მ-ლაკჷნა** „წამწყდომია“, **ა-ჯ-ლაკჷნა** „წაგწყდომია“, **ა-მ-სგურჷნა** „დამჯდომია“, **ა-ჯ-სგურჷნა** „დაგჯდომია“ და სხვა.

ეს- ვარიანტია წარმოდგენილი ყველა სხვა შემთხვევაში, ე. ი. როდესაც არ მოქმედებს არც ერთი ზემოაღნიშნული წესი, მაგ.: **ეს-აბ** „დააბი“, **ეს-ბე** „დააბა“, **ეს-ჵგჷშ** „დაასხი“, **ეს-გჷეშ** „დაასხა“ (ლშხ. **ეს-გოშ, ეს-გოშე**), ბზ. **ეს-ჷ-აბ** „დავაბი“, **ეს-ჷ-ჵგჷშ** „დავასხი“ (ონიანი 1998, 133). ბალსქვემოურში ბალსზემოური **ეს-ჷ-აბ** და **ეს-ჷ-ჵგჷშ** ფორმების ნაცვლად **ოს-** ვარიანტიანი **ოს-აბ** და **ოს-ჵგჷშ** ფორმები გვევლინება.

ამრიგად, სვანურ ზმნისწინთა დისტრიბუციული ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საანალიზო ზმნისწინთა (**ლა-, ან-, ად-, ეს-**) ალომორფების განაწილების სურათი დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. საინტერესოა ისიც, რომ სხვაობას აქვს ადგილი თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

2. 2. ად- პრევერბის შესახებ სვანურში

ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, სუბიექტური პირველი პირის მორფემის ამოსავალი სტრუქტურის შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს: ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით S_1 პირის მორფემისათვის **ჷ-/ვ-/** პრეფიქსია ამოსავალი [ქართ. **ვ-ხატავ**, სვან. **ხ-ჷ-ახტაჷ-ი**, მეგრ. **ფ-ხანტუნ-ქ** (შუხართი 1895:48; შანიძე 1925:182; დონდუა 1967:280; დეეტერსი 1930:26; თოფურია 1967:5; ჩიქობავა 1946:123 ...)]; მეორე თვალსაზრისის მიხედვით პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსისათვის ამოსავალია **/ხჷ/** მორფემა (კლიმოვი 1965:225; ონიანი 1978:161-165; გამყრელიძე 1979). აკად. ნ. მარი S_1 პირის ფორმანტად **/ჰუ-/**ს ვარაუდობს, რომელიც სვანურმა, მისი მოსაზრების თანახმად, **/ხჷ-/**-ს სახით შემოგვინახა (მარი 1914:22-23).

ძირითადი საბუთი ამ მეორე თვალსაზრისის მომხრეთათვის ის არის, რომ ორი სხვადასხვა პირის პრეფიქსული მორფემის ერთმანეთის გვერდით თავმოყრა ქართველური ენებისათვის არ არის დამახასიათებელი (ონიანი 1978:60-161). O_3 **/ხ-/** და **/ჰ-/** და S_1 **/ჷ-/** მორფემათა თავმოყრა ზმნის თავკიდურ პოზიციაში ხანმეტსა და ჰაემეტ ტექსტებში (**შე-ხ-უ-აბთ, მი-ხ-უ-ეც, ჰ-უ-ი-ცოდე**...) და შემდეგდროინდელ ქართულში (**ვ-ჰ-კითხე, მი-ვ-ს-წერე**...), როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ინოვაციადაა მიჩნეული.

პრეფიქსული მონოპერსონალიზმის საფუძველზე შინაგანი რეკონსტრუქციით პირველი სუბიექტური პირის მორფემად ქართველურ ენებში **/*ხჷ-/** პრეფიქსია აღდგენილი, რომელიც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „... რეინტერპრეტირებული იქნა როგორც O_3 ind **/ხ-/** და **/ჷ-/** პრეფიქსთა კომბინაცია“ (გამყრელიძე 1979:49). **/ხჷ-/**-ს გააზრებას პირველი სუბიექტური პირის ამოსავალ მორფემად, პროფ. მ. სუხიშვილის ვარაუდით, გარკვეულად ეწინააღმდეგება **ჷ-/ვ-** ფონემის ფონეტიკური სტატუსი ქართველურ ენებში. ამასთანავე, იგი არ იზიარებს ბუნებრივი **ხჷ/ხვ** მიმდევრობის დაშლასა და თავკიდურა **ხ**-ს დაკარგვას მეტაანალიზის საფუძველზე (სუხიშვილი 1986:5), ვინაიდან თავკიდურა **ვ**-ს წინ ქართველურ ენებში უკანაენისმიერნი ვითარდებიან (ვ. თოფურია, ლ. კიკნაძე).

რაც შეეხება სვანურს, აქ სუბიექტური პირველი პირის ალომორფთა განაწილებას მორფოფონემატური საფუძველი უნდა ჰქონდეს. მაქცევრიან ფორმებთან (ე. ი. ხმოვნების წინ) **/ხჷ/** ალომორფია წარმოდგენილი (**ხჷ-ახტჵჷ-ი** „ვხატავ“, **ხჷ-ახზჵჷ-ი** „ვხაზავ“, **ხჷ-ითხ-ი** „ვპოულობ“, **ხჷ-აჴნ-ი** „ვხნავ“...), მაქცევრიანი ფორმები კი ბევრ შემთხვევაში ირიბი ობიექტის შემცველი ფორმებია;

ირიბი ობიექტი კი ზმნაში, როგორც წესი, ყოველთვის უნდა აღინიშნებოდეს, თუმცა სვანურში პირველი და მეორე პირის ფორმებში ირიბი ობიექტის ნიშანი არ ჩანს (ხჳ-ა-ჰჳდ-ი „ვაძლევ“, ხ-ა-ჰჳდ-ი „აძლევ“... ხჳ-ა̄-მნე „ვაჭმევ“, ხ-ა̄-მნე „აჭმევ“, ხჳ-ათრე „ვასმევ“, ხ-ა-თრე „ასმევ“...), რასაც ორგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: „I. ირიბი ობიექტის ნიშანი /-ხ-/ ფონეტიკურადაა დაკარგული პირველსა და მეორე პირში: 1. *ხჳ-ხ-ა-ჰჳდი > ხჳ-ა-ჰჳდი. 2. *ხ-ხ-ა-ჰჳდი > ხ-ა-ჰჳდი... სუბიექტური პირველი პირის ამოსავალ მორფემად ამ შემთხვევაში /ხჳ-/ გვევლინება. II. პირველი სუბიექტური პირის მორფემა იყო /ჳ-/ და ირიბობიექტიან ფორმებში სვანური ენის ფონემატური სტრუქტურისათვის თანხმოვანთა არაბუნებრივი ჳ-ხ მიმდევრობა შეიცვალა ბუნებრივ ხ-ჳ მიმდევრობად მეტათეზისის შედეგად (ე. ი. *ჳ-ხ-ა-ჰჳდი > ხჳ-ა-ჰჳდი). პირის ნიშანთა კანონიკურ მიმდევრობაში S_iO_3 ind დაირღვა მორფემათა მიმდევრობის მკაცრად განსაზღვრული რიგი... S_iO_3 ind > O_3 ind S_i და /ხჳ-/ გააზრებული იქნა სუბიექტური პირველი პირის ალომორფად, პოზიციურ (ხმოვნისწინა) ვარიანტად და აქედან ანალოგიით გავრცელდა უირიბობიექტო მაქცევრიან ზმნებთანაც (ხჳ-ა-ხტა̈ჳი „ვხატავ“, ხჳ-ამა̄რე „ვამზადებ“, ხჳ-ა̄შხი „ვწვავ“, ხჳ-იშხჳნი „ვინახავ“...)“. თანაც „ამ ანალოგიისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ ფაქტსაც, რომ უირიბობიექტო ნეიტრალური ქცევის მაქცევრიან ფორმებსაც, თავის მხრივ, ეწარმოება სასხვისო ქცევის ირიბობიექტიანი ფორმები (ხჳ-ასყი „ვაკეთებ“, ხო-სყი < *ხჳ-ოსყი „ვუკეთებ“...)“, ხოლო „უმაქცევრო ზმნებთან, სადაც ირიბი ობიექტი არა გვაქვს, სუბიექტური პირველი პირის /ჳ/ ინფიქსად წარმოგვიდგება, ე. ი. არაბუნებრივი ჳ+C მიმდევრობა ბუნებრივ C+ჳ მიმდევრობად იქცა: *ჳდიგე > დჳიგე „ვაქრობ“, *ჳტიხე > ტჳიხე „ვაბრუნებ“ (სუხიშვილი 1986:7-58).

გარდა ამისა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებაც, რომ I და II პირში სუბიექტური პირის ნიშნად /ხჳ-/ და /ხ-/ პრეფიქსების გვერდით, როგორც ჩანს, *ჰჳ- და *ჰ- პრეფიქსებიც უნდა გვქონოდა. ამასთან დაკავშირებით „განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პრეფიქსების პრევერბში ჩართვა. წინდებული ად- I და II პირის ფორმებში (ლახამულურის გამოკლებით) ყოველთვის წარმოდგენილია ათ-ის სახით“ — წერს პროფ. ვ. თოფურია (1967:4-5) და ეს მცირეოდენი აღრევა ინოვაციად მიაჩნია, მაგ.:

ზემოსვან.	ლნტ.	ლშხ.
აორისტი		
1 ჩ ოთ-მა̈ხ („გავაახლე“)	ჩჳ ათ-ჳ-ამეჩ („დავაბერე“)	ჩ ოთ-კალა̈ჳ („გავლეწე“)
2 ჩჳ ათ-მა̈ხ	ჩჳ ათ-ამეჩ	ჩჳ ათ-კალა̈ჳ
3 ჩჳ ად-მახე	ჩჳ ად-ამეჩე	ჩჳ ად-კალჳე

რა შეიძლება ითქვას ად- პრევერბის შესახებ სვანურში დღევანდელი ვითარების მიხედვით? არის კი იგი აორისტის I და II პირის ფორმებში ყოველთვის ათ-ის სახით წარმოდგენილი, როგორც ამას პროფ. ვ. თოფურია ფიქრობს?

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სქემას, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც სვანური ენის პუბლიკაციებში წარმოდგენილი, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული სათანადო საილუსტრაციო დიალექტოლოგიური მასალა (I, II, III პირის ჩვენებით მხოლობითში)[1]

---

[1] უნდა ითქვას, რომ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა ჯგუფი (ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი, ლ. გიგლემიანი, ნ. შავრეშიანი) ამა თუ იმ გრამატიკული საკითხის კვლევისას მხოლოდ ტრადიციულად გამოყენებული სვანური დიალექტური მასალის ანალიზით არ შემოიფარგლება, არამედ შეძლებისდაგვარად იყენებს ჩოლურულ მასალასაც და ლახამულური კილოკავის მონაცემებსაც.

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1 2 3	ჩ ოთ-ეპჷ „დავიმალე" ჩუ ათ-ეპჷ „დაიმალე" ჩუ ა̈თ-პა̈ჷ „დაიმალა"	ჩ ოთ-ეპჷ ჩუ ა̈/ეთ-ეპჷ ჩუ ა̈/ეთ-პა̈/აჷ	ჩ ოხ-ეპჷჲ ჩუ ეხ-ეპჷჲ ჩუ ეხ-პაჷუ	ჩუ ა̈თ-უ-ეპჷ'უ' ჩუ ა̈თ-ეპჷ'უ' ჩუ ა̈თ-ეპაჷუ	ჩ ოთ-ეპჷჲ ჩუ ა̈თ-ეპჷჲ ჩუ ა/ეთ-ეპჷჲ	ჩ ოთ-უ-ეპჷ ჩუ ა̈თ-ეპჷ ჩუ ა̈თ-პაჷ
1 2 3	ჩ ოთ-უჷდ „დავიძინე" ჩუ ა̈თ-უჷდ „დაიძინე" ჩუ ა̈დ-უჷდა „დაიძინა"	ჩ ოთ-უჷდ ჩუ ა̈/ეთ-უჷდ ჩუ ა̈/ეთ-უჷდა	ჩ ოთ-უჷ ჩუ ეთ-უჷ ჩუ ედ-უჷე		ჩ ოთ-უჷ ჩუ ეთ-უჷ ჩუ ა/ეთ-უჷე	ჩ ოთ-უჷდ ჩუ ა̈თ-უჷდ ჩუ ა̈დ-უჷა
1 2 3	ჩუ ოთ-ბიგ „გავამაგრე" ჩუ ათ-ბიგ „გაამაგრე" ჩუ ად -ბჷგე „გაამაგრა"	ჩ ოდ/თ-ბჷგ ჩუ ად/თ-ბჷგ ჩუ ად/თ-ბჷგე	ჩ ოთ-ბჷგ ჩუ ათ-ბჷგ ჩუ ად-ბჷგე	ჩუ ათ-უ-აბჷგუ ჩუ ათ-აბჷგ ჩუ ად-აბჷგ	ჩ ოთ-ბჷგ ჩუ ათ-ბჷგ ჩუ ადდ/-ბჷგე	ჩუ ოთ-ბჷგ ჩუ ათ-ბჷგ ჩუ ად-ბჷგე
1 2 3	ჩო თ-უჷფ „დავიკარგე" ჩუ ა̈თ-უჷ̈ფ „დაიკარგე" ჩუ ათ-უჷ̈ფ „დაიკარგა"	ჩ ოთ-უეფ ჩუ ათ-უეფ ჩუ ათ-უაფ		ჩუ ათ-უეფ ჩუ ათ-უეფ ჩუ ათ-უჷ̈ფ	ჩ ოთ-უეფ ჩუ ათ-უეფ ჩუ ათ-უაფ	ჩუ ოთ-უეფ ჩუ ა̈თ-უეფ ჩუ ათ-უჷ̈ფ
1 2 3	ჩ ოთ-შიხა̈ნ „დავიწვი" ჩუ ა̈თ-შიხა̈ნ „დაიწვი" ჩუ ა̈დ-შიხა̈ნ „დაიწვა"	ჩ ოთ-შიხენ ჩუ ა̈/ეთ-შიხენ ჩუ ა̈/ეთ-შიხა̈/ან	ჩ ოთ-შიხენ ჩუ ეთ-შიხენ ჩუ ედ-შიხა̈ნ	ჩუ ა̈თ-უ-შიხენ ჩუ ა̈თ-შიხენ ჩუ ა̈დ-შიხა̈ნ	ჩ ოთ-შიხენ ჩუ ეთ-შიხენ ჩუ ედ/თ-შიხა̈ნ	ჩუ ათ-უ-შიხენ ჩუ ა̈თ-შიხენ ჩუ ა̈დ-შიხან
1 2 3	ჩ ოთ-ექმ „ჩავყევი" ჩუ ა̈თ-ექმ „ჩაყევი" ჩუ ა̈თ-ქა̈მ „ჩაყვა"	ჩ ოთ-ექმ ჩუ ა̈/ეთ-ექმ ჩუ ა̈/ეთ-ქა̈/ამ	ჩ ოთ-ექმ ჩუ ეთ-ექმ ჩუ ეთ-ქამ	ჩუ ა̈თ-უ-ექმ ჩუ ა̈თ-ექმ ჩუ ა̈თ-ექა̈მ	ჩ ოთ-ექმ ჩუ ეთ-ექმ ჩუ ეთ-ქამ	ჩუ ა̈თ-უ-ექმ ჩუ ათ-ექმ ჩუ ა̈დ-ქამ
1 2 3	ჩ ოთ-ნაბნა̈ნ „დავიფიცე" ჩუ ა̈თ-ნაბნა̈ნ „დაიფიცე" ჩუ ა̈დ-ნაბნა̈ნ „დაიფიცა"	ჩ ოდ/თ-ნაბნენ ჩუ ა̈/ედ/თ-ნაბნენ ჩუ ა̈/ედ/თ-ნაბნან		ჩუ ა̈თ-უ-ელაბნენ ჩუ ა̈თ-ელაბნენ ჩუ ა̈თ-ელაბნან		ჩუ ა̈თ-ნაბნენ ჩუ ა̈თ-ნაბნენ ჩუ ა̈/ეთ-ნაბნან
1 2 3	ჩ ოდ-იშხუნ „შევინახე" ჩუ ა̈თ-იშხუნ „შეინახე" ჩუ ა̈დ-შხუინ „შეინახა"	ჩ ოდ/თ-იშხუნ ჩუ ა̈/ედ/თ-იშხუნ ჩუ ა̈/ედ/თ-შხუინ		ჩუ ათ-უ-აშხუნ ჩუ ათ-აშხუნ ჩუ ად-აშხუნე		ჩუ ა̈თ-იშხუნ ჩუ ა̈თ-იშხუნ ჩუ ა̈თ-შხუინ
1 2 3	ჩ ოთ-ჯგრა̈უ „დავიჯერე" ჩუ ა̈თ-ჯგრა̈უ „დაიჯერე" ჩუ ა̈დ-ჯგრუე „დაიჯერა"	ჩ ოდ/თ-ჯგრა̈უ ჩუ ა̈/ედ/თ-ჯგრა̈უ ჩუ ა̈/ედ/თ-ჯგრუე	ჩ ოთ-ჯირაუ ჩუ ეთ-ჯირაუ ჩუ ედ-ჯირუე	ჩუ ა̈თ-უ-ჯირა̈უ ჩუ ა̈თ-ჯირა̈უ ჩუ ა̈დ-ჯირუე	ჩ ოთ-ჯირაუ ჩუ ეთ-ჯირაუ ჩუ ედ/თ-ჯირუე	ჩ ოთ-ჯგრა̈უ ჩუ ა̈თ-ჯგრა̈უ ჩუ ა̈დ-ჯგრუე
1 2 3	ჩ ოთ-ჳგმა̈რ „მოვიხმარე" ჩუ ა̈თ-ჳგმა̈რ „მოიხმარე" ჩუ ა̈დ-ჳგმრე „მოიხმარა"	ჩ ოდ/თ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈/ედ/თ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈/ედ/თ-ჳგმრე	ჩ ოთ-ჳგმარ ჩუ ეთ-ჳგმარ ჩუ ედ-ჳგმრე	ჩუ ა̈დ-უ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈დ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈დ-ჳგმა̈რე	ჩ ოთ-ჳგმარ ჩუ ეთ-ჳგმარ ჩუ ედ/თ-ჳგმრე	ჩ ოთ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈თ-ჳგმა̈რ ჩუ ა̈დ-ჳგმრე
1 2 3	ჩ ოდ-ა̈სყ „შევარიგე" ჩუ ათ-ა̈სყ „შეარიგე" ჩუ ად-სყე „შეარიგა"	ჩ ოდ/თ-ა̈სყ ჩუ ად/თ-ა̈სყ ჩუ ად/თ-სყე	ჩ ოთ-ასყ ჩუ ათ-ასყ ჩუ ად-სყე	ჩუ ათ-უ-ა̈სყ ჩუ ათ-ა̈სყ ჩუ ად-ა̈სყე	ჩ ოთ-ასყ ჩუ ათ-ასყ ჩუ ად/თ-სყე	ჩ ოთ-ა̈სყ ჩუ ა̈თ-ა̈სყ ჩუ ად-სყე
1 2 3	ჩ ოთ-სუჷ̈/ოყ „გავაგიჟე" ჩუ ათ-სუჷ̈ყ „გააგიჟე" ჩუ ად-სოყე „გააგიჟა"	ჩ ოდ/თ-სოყ ჩუ ად/თ-სოყ ჩუ ად/თ-სოყე	ჩ ოთ-სოყ ჩუ ათ-სოყ ჩუ ად-სოყე		ჩ ოთ-სოყ ჩუ ათ-სოყ ჩუ ად/თ-სოყე	ჩ ოთ-სოყ ჩუ ა̈თ-სოყ ჩუ ად-სოყე და სხვ.

თანამედროვე სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებზე დაკვირვებამ და დამატებითი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ:

1. პრევერბი ად- აორისტის I და II პირის ფორმებში ყოველთვის ათ-ის სახით არ არის წარმოდგენილი, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული.

2. ად- და მისი ფონეტიკური ვარიანტი ათ- ძალზე ხშირად (როგორც ტექსტებში, ასევე ზეპირ მეტყველებაშიც) ერთსა და იმავე ზმნაში ერთმანეთის პარალელურადაც იხმარება და ცალ-ცალკეც. იგივე მდგომარეობაა მე-3 პირშიც, სადაც ად- და ათ- ხშირად მონაცვლეობს. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ბალსქვემოურისა და ჩოლურულის შესახებ.

3. ზოგ ზმნაში ან მხოლოდ ად- პრევერბიანი ფორმაა გამოყენებული ან ათ- პრევერბიანი.

4. ამასთანავე, I პირის ფორმაში, ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, ად- პრევერბი ოთ-ის ან ოდ-ის სახით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ლენტეხურს და, ნაწილობრივ, ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავს, იქ I პირში, ძირითადად, ათ-/ად- პრევერბები იხმარება. რაღა თქმა უნდა, სათანადო საილუსტრაციო მასალა სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებშიც გამოვლინდა.

5. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ათ-/ად- წინდებულების პარალელურ ხმარებას, რაც პროფ. ვ. თოფურიას შედარებით ახალ მოვლენად მიაჩნია (1967:19), მხოლოდ ლახამულურ მეტყველებაში არა აქვს ადგილი, იგი სვანური ენის სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებშიც დადასტურდა.

როდესაც პროფ. ვ. თოფურია სუბიექტურ პრეფიქსებთან დაკავშირებულ ფონეტიკურ მოვლენებზე საუბრობს, შენიშნავს, რომ „ბალსზემოურში S_1 -ჳ- პრევერბისეულ ა̈-ს ვერ იმსგავსებს თუ

წინდებულის შემდეგ სათავისოს მაქცევარი ი- ან ვნებითის ი-, ე- არის ნაგულები (დაცული იქნება ის თუ ამოღებული), სხვა დიალექტებში კი — ბალსქვემოურსა და ლაშხურში (ზოგჯერ იფარულსა და აგრეთვე უშგულურშიც) ასიმილაციას აქვს ადგილი" (იქვე). სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	
1	ა̈ხჳ-იყდ	ოხჳ-იყდ	ოხ-ყიდ	(←*ან-ხჳ-ი-ყიდ) „ვიყიდე"
2	ა̈ ხ-იყდ	ა̈ხ-იყდ	ეხ-ყიდ	(←*ან- ხ-ი-ყიდ)
1	ა̈თჳ-იგ	ოთ-იგ	ოთ-იგ	(←*ათჳ-ი-გ) „დავიდგი"
2	ა̈თ -იგ	ა̈თ-იგ	ეთ-იგ	
1	ა̈თჳ-მეჩა̈ნ	ოთ-მეჩენ	ოთ-მეჩენ	(←*ათჳ-ი-მეჩენ) „დავბერდი"
2	ა̈თ -მეჩა̈ნ	ა̈თ-მეჩენ	ეთ-მეჩენ	
1	ლა̈ხჳ-ჰჳედ	ეცერ. ლოხ-ჰედ	ლოხ-ჰოდ	(←*ლა-ხჳ-ე-ჰოდ → ლნტ. ლა̈-ხჳ-ე-ჰჳედ) „ვკითხე"

ნათქვამია ისიც, რომ „ად- და ეს- პრევერბთა ა- და ე- ელემენტების დამსგავსების შემდეგ S_1 -ჳ- არ ჩანს, თუნდაც მას უშუალოდ მოსდევდეს მაქცევარი თუ მავნებითებელი (გინდ გ) ხმოვანი" (იქვე). დავასახელოთ მკვლევართა მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით სანიმუშოდ მოყვანილი რამდენიმე ცნობილი მაგალითი:

1	ზს., ლშხ. ოთ-გგ „ავაგე"	ზს. ოთ-აბ,	ლშხ. ოს-აბ „დავაბი"	ბქ. ოს-ა̈გჳშ „დავასხი"
2	ათ-გგ	ათ-აბ	ეს-აბ	ეს-ა̈გჳშ
1	ბზ. ოთ-ეყჩ (‖იშვიათად: ოთჳ-ეყჩ	„	ოთ-ეყჩ „თავი დავანებე"	ქოთ-ელჳჭ „გავეკიდე"
2	ათ-ეყჩ	ათ-აბ	ეთ-ეყჩ	ქა̈თ[1]-ელჳჭ

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისიც, რომ „ლენტეხურში S_1 -ჳ- ჩვეულებრივ პრევერბს მოსდევს და არსად ასიმილაციას არ იწვევს" (თოფურია 1967, 13-14), რაც ჩვენი საანალიზო მასალითაც დადასტურდა (მაგ.: ჩჳ ა̈თ-ჳ-ეპყ'ჳ' „დავიმალე", ჩჳ ათ-ჳ-აბგგჳ „გავამაგრე", ჩჳ ა̈თ-ჳ-შიხენ „დავიწვი", ჩჳ ათ-ჳ-აბიზ „გავაძღე", ჩჳ ა̈თ-ჳ-ეჭმ „ჩავყევი", ჩჳ ა̈თ-ჳ-თგრენ „ჩავეთრიე", ჩჳ ა̈თ-ჳ-ელაბნენ „დავიფიცე", ჩჳ ა̈თ-ჳ-ლუგჳრენ „გავსუქდი", ჩჳ ათ-ჳ-აშხუნ „შევინახე", ჩჳ ა̈თ-ჳ-წაბურენ „გავიპარსე" და ა. შ.). ნაწილობრივ ლენტეხურის მსგავსი ვითარება გვაქვს ლახამულურ კილოკავშიც (შდრ. ლხმ.: ჩჳ ათ-ჳ-შიხენ „დავიწვი", ჩჳ ა̈თ-ჳ-ეჭმ „ჩავყევი", ჩჳ ა̈თ-ჳ-ელჳჭ „გავეკიდე", ჩჳ ა̈თ-სიკთენ „უკეთესი გავხდი", ჩჳ ა̈თ-თგრ „ჩავეთრიე" და ა. შ.). რაც შეეხება სხვა დიალექტებსა თუ კილოკავებს, იქ მსგავსი შემთხვევა არ დადასტურებულა.

გამონაკლისის სახით შეგვხვდა ერთი შემთხვევა (ჩჳ ათ-ჳეფ „დავიკარგე"), სადაც /-ჳ-/ პირის ნიშნად არ დადასტურებულა სვანური ენის არც ერთ დიალექტსა და კილოკავში, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან ორი წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური /-ჳ-/ თანხმოვანი ერთმანეთის გვერდით სვანურში ვერ ძლებს და, როგორც წესი, ერთ-ერთი მათგანი იკარგება. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ ფუძისეული თ აღნიშნულ ლექსემაში სვანური ენის ყველა დიალექტში დაკარგულია, რაც, როგორც ჩანს, წინდებულისეულ თ'სთან მეზობლობამ განაპირობა.

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (თვალსაჩინოებისთვის საანალიზოდ ავიღებთ ლენტეხურ ფორმას, რადაგანაც იქ, სუსტი რედუქციის გამო, ფორმები უფრო სრულადაა წარმოდგენილი): ჩჳ ათ-ჳეფ < *ჩჳ ათ-ჳ-ჳეფ < *ჩჳ ათ-ჳ-ა-თჳეფ < *ჩუ ად-ჳ-ა-თჳეფ.

---

[1] შდრ. ცხუმ. ქ'ეთ ელჳჭ.

/-ჷ-/ S_i ნიშნად (საანალიზო ფორმებში), ლენტეხურის გარდა, თითქოს სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ იყო მოსალოდნელი. ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმატული სისტემაც ამასვე გვიდასტურებს. ძირითადად ეს ასეცაა, თუმცა თანამედროვე ბალსქვემოურ მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ Si /-ჷ-/, ლენტეხურის მსგავსად, აქაც ფიქსირდება, მაგრამ /-ჷ-/ს ხმარების მხრივ აქ ერთგვაროვნებას ადგილი ნამდვილად არა აქვს და მისი ხმარების შემთხვევები არც ისე რეგულარულია როგორც ლენტეხურში. პირისნიშნიანი და უპირისნიშნო ფორმების პარალელური ხმარება ბალსქვემოური დიალექტის კილოკავებში ძალზე ხშირია[1].

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმის სახით ცალკე წარმოვადგენთ ბალსქვემოური დიალექტის მაგალითებს

	პირისნიშნიანები	**უპირისნიშნოები**
1	ჩ ოთ-ჷ-ეპყ „დავიმალე"	ჩ ოდ-ეპყ
2	ჩჷ ა̈/ეთ-ეპყ „დაიმალე"	ჩჷ ა̈/ედ-ეპყ
3	ჩჷ ა̈/ეთ-პა̈/აყ „დაიმალა"	ჩჷ ა̈/ედ-პა̈/აყ
1	ჩ ოთ-ჷ-უქდ „დავიძინე"	ჩ ოდ-უქდ
2	ჩჷ ა̈/ეთ-უქდ „დაიძინე"	ჩჷ ა̈/ედ-უქდ
3	ჩჷ ა̈/ეთ-უქდა „დაიძინა"	ჩჷ ა̈/ედ-უქდა
1	ჩ ოთ-ჷ-ბგგ „გავამაგრე"	ჩ ოდ/თ-ბგგ
2	ჩჷ ად/თ-ბგგ „გაამაგრე"	ჩჷ ად/თ-ბგგ
3	ჩჷ ად/თ-ბგგე „გაამაგრა"	ჩჷ ად/თ-ბგგე
1	ჩ ოთ-ჷ-ბგრჯ „გავთხარე"	ჩ ოდ/თ-ბგრჯ
2	ჩჷ ად/თ-ბგრჯ „გათხარე"	ჩჷ ად/თ-ბგრჯ
3	ჩჷ ად/თ-ბგრჯე „გათხარა"	ჩჷ ად/თ-ბგრჯე
1	ჩ ოთ-ჷ-შიხენ „დავიწვი"	ჩ ოდ-შიხენ
2	ჩჷ ა̈/ეთ-შიხენ „დაიწვი"	ჩჷ ა̈/ედ/თ-შიხენ
3	ჩჷ ა̈/ეთ-შიხა̈/ან „დაიწვა"	ჩჷ ა̈/ედ/თ-შიხა̈/ან
1	ჩ ოთ-ჷ-ბიზ „გავაძლე"	ჩ ოდ/თ-ბიზ
2	ჩჷ ად/თ-ბიზ „გააძლე"	ჩჷ ად/თ-ბიზ
3	ჩჷ ად/თ-ბიზე „გააძლო"	ჩჷ ად/თ-ბიზე
1	ჩ ოთ-ჷ-ზიგ „დავასახლე"	ჩ ოდ/თ-ზიგ
2	ჩჷ ად/თ-ზიგ „დაასახლე"	ჩჷ ად/თ-ზიგ
3	ჩჷ ად/თ-ზიგე „დაასახლა"	ჩჷ ად/თ-ზიგე
1	ჩ ოთ-ჷ-ეღჷპ „გავეკიდე ქვემოთ"	ჩ ოდ-ეღჷპ
2	ჩჷ ა̈/ეთ/დ-ეღჷპ „გაეკიდე ქვემოთ"	ჩჷ ა̈/ეთ/დ-ეღჷპ
3	ჩჷ ა̈/ეთ/დ-ღჷაპ „გაეკიდა ქვემოთ"	ჩჷ ა̈/ეთ/დ-ღჷაპ
1	ჩ ოთ-ჷ-სიკთენ „უკეთესი გავხდი"	ჩ ოდ/თ-სიკთენ
2	ჩჷ ა̈/ედ/თ-სიკთენ „უკეთესი გახდი"	ჩჷ ა̈/ედ/თ-სიკთენ
3	ჩჷ ა̈/ედ/თ-სიკთან „უკეთესი გახდა"	ჩჷ ა̈/ედ/თ-სიკთან
1	ჩ ოთ-ჷ-თგრ/დ „ჩავეთრიე"	ჩ ოდ/თ-თგრ/დ
2	ჩჷ ა̈/ედ/თ-თგრ/დ „ჩაეთრიე"	ჩჷ ა̈/ედ/თ-თგრ/დ
3	ჩჷ ა̈დ/თ-თგრ/და „ჩაეთრია"	ჩჷ ა̈დ/თ-თგრ/და
1	ჩ ოთ-ჷ-ნაბნენ „დავიფიცე"	ჩ ოდ/თ-ნაბნენ
2	ჩჷ ა̈/ედ/თ-ნაბნენ „დაიფიცე"	ჩჷ ა̈/ედ/თ-ნაბნენ
3	ჩჷ ა̈/ედ/თ-ნაბნან „დაიფიცა"	ჩჷ ა̈/ედ/თ-ნაბნან

[1] პირისნიშნიანი ფორმები, ძირითადად, გაბმულ მეტყველებაში შეინიშნება, ხოლო, ცალკეული ფორმების წარმოთქმის დროს ინფორმატორები ხან უპირისნიშნო ფორმებს ანიჭებენ უპირატესობას ხან კი — პირისნიშნიანებს.

1	**ჩ ოთ-ჳ-ლუგჳრენ** „გავსუქდი“	**ჩ ოდ/თ-ლუგჳრენ**
2	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ლუგჳრენ** „გასუქდი“	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ლუგჳრენ**
3	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ლუგჳრა̈/ან** „გასუქდა“	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ლუგჳრა̈/ან**
1	**ქ/ჩ ოთ-ჳ-წაბურენ** „გავიპარსე“	**ქ/ჩ ოდ/თ-წაბურენ**
2	**ქ/ჩჳ ა̈/ედ/თ-წაბურენ** „გაიპარსე“	**ქ/ჩჳ ა̈/ედ/თ-წაბურენ**
3	**ქ/ჩჳ ა̈/ედ/თ-წაბურან** „გაიპარსა“	**ქ/ჩჳ ა̈/ედ/თ-წაბურან**
1	**ჩ ოთ-ჳ-ჯგრა̈ჳ** „დავიჯერე“	**ჩ ოდ/თ-ჯგრა̈ჳ**
2	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ჯგრა̈ჳ** „დაიჯერე“	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ჯგრა̈ჳ**
3	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ჯგრჳე** „დაიჯერა“	**ჩჳ ა̈/ედ/თ-ჯგრჳე**
1	**ჩ ოთ-ჳ-პა̈ც** „დავღუპე“	**ჩ ოდ/თ-პა̈ც**
2	**ჩჳ ად/თ-პა̈ც** „დაღუპე“	**ჩჳ ად/თ-პა̈ც**
3	**ჩჳ ად/თ-პაცე** „დაღუპა“	**ჩჳ ად/თ-პაცე**
1	**ჩ ოთ-ჳ-პერინ** „ჩავიყვანე“	**ჩ ოდ-პერინ**
2	**ჩჳ ა̈/ედ/თ-პერინ** „ჩაიყვანე“	**ჩჳ ა̈/ედ-პერინ**
3	**ჩჳ ა̈/ედ/თ-პერნე** „ჩაიყვანა“	**ჩჳ ა̈/ედ-პერნე** და ა. შ.

აღნიშნული პარადიგმიდან თვალნათლივ ჩანს ის სხვაობა, რაც ამ პარალელურ ფორმებს შორის შეინიშნება. პირველ სვეტში მოცემულია ის საანალიზო ფორმები, სადაც S_i /-ჳ-/ ად- პრევერბისგან მიღებულ **ა̈თ/ეთ/ოთ**-ის მეზობლადაა წარმოდგენილი, მეორე სვეტში კი — ის ფორმები, სადაც /-ჳ-/ პირის ნიშანი არ გვაქვს. გამოდის, რომ **დ**'ონთან S_i /-ჳ-/ იკარგება, ხოლო **თ**'სთან, რომელიც **დ**-ს გაფშვინვიერების შედეგადაა მიღებული, შენარჩუნებულია.

როგორც ვხედავთ, ბალსქვემოურ დიალექტში წარმოდგენილი S_i /-ჳ-/, რომელიც ჩვეულებრივ პრევერბს მოსდევს, ლენტეხურისგან განსხვავებით, ზოგ ფორმაში ასიმილაციას იწვევს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ნაწილობრივ ლენტეხურის მსგავსი ვითარება დასტურდება ლახამულურ კილოკავში“. ამ უკანასკნელში ერთადერთი მაგალითი დავაფიქსირეთ, როდესაც S_i /-ჳ-/ პრევერბთან მეზობლობაში ასიმილაციას იწვევს (შდრ. ლხმ. **ჩ ოთ-ჳ-ეპჟ** „დავიმალე“). შესაძლოა, მსგავსი მაგალითები კვლავაც დაიძებნოს.

გამონაკლისის სახით შეგვხვდა რამდენიმე მაგალითი, სადაც /-ჳ-/ პირის ნიშნად **თ**'სთანაც არ გამოვლინდა (შდრ., ბქ.: **ჩოთ-ჳეფ** „დავიკარგე“, **ჩოთ-ეჰმ** „ჩავყევი, გავეკიდე“, **ჩოთ-ა̈სყ** „შევარიგე“ ...).

პროფ. ვ. თოფურია სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ რით არის გამოწვეული პირველ ორ პირში ზმნისწინისეული **-დ-**ს **-თ-**დ ქცევა (იქვე:5) და მოჰყავს ა. შანიძის თვალსაზრისი: „სუბიექტური II პირის პრეფიქსის ძირითადი სახეა /ჰ/, რომელიც... **ად**-თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ **დ**'ონს აფშვინვიერებს, **თ**'ანად აქცევს და თვითონ ამ **თ**'ანის ფშვინვიერებაშია მიჩქმალული: **ადჰ** > **ათ**“ (შანიძე 1957:182). ე. ი. **ად-** პრევერბისაგან მიღებულ **ათ**-ს ხსნიან **დ**-სა და **ჰ**-ს შერწყმით და II პირის სუბიექტურ პრეფიქსად **ჰ**-ს ვარაუდობენ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვა არგუმენტებიც არსებობს, ესენია: ა) თანხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ II პირის ნიშნად **ნულის** „არსებობა“, რომელიც **ჰ**-ს გაქრობის შედეგს უნდა წარმოადგენდეს (მაგ., **დიგე**, **ტიხე**, **ჭიდე**...), ბ) **ეს-/ას-** პრევერბის მომდევნო პოზიციაში **ჰ**-ს შესაძლო დაკარგვა ფონეტიკურ ნიადაგზე, მაგ., ზს. ეს-ა̈-გჳშ ← *ეს-**ჰ**-ა̈გჳშ („დაასხი“), ჩჳ ეს-ა̈დ ← * ჩჳ ეს-**ჰ**-ა̈დ („დადევი“), ლშხ. ჩუ-ეს-იბ ← * ჩჳ ეს-**ჰ**-იბ („დაიბი“), ლნტ. ჟ'ას-ა̈გ ← * ჟი ას-**ჰ**-ა̈გ („დაადგი“), და გ) **ხ**-ს **ჰ**-საგან მიღების სარწმუნო ალბათობა (**ხ** ← **ჰ**: ზს. **ხეხჳ** ← * **ჰეხჳ** „ცოლი“, რადგანაც ქვემოსვანურში **ჲეხჳ** გვაქვს — იხ. იქვე სქოლიოში). იგივე ითქმის I პირის **-ჳ**-სთან ნაგულისხმებ **ჰ**-ს შესახებაც (ოთ-მა̈ხ ← * ად-**ჰჳ**-მა̈ხ და სხვა) (თოფურია 1967:5).

გამოდის, რომ I და II პირისათვის ორ-ორი ფორმანტი ივარაუდება: I-ისათვის — /**ხჳ**-/, /***ჰჳ**-/,

ხოლო II-ისათვის /ხ-/, /*ჰ-/. /ხჷ-/ და /ხ-/ დაცულია ხმოვნითდაწყებული ფუძეების წინ, ხოლო პრეფიქსი /*ჰ-/ უკვალოდ იკარგება თანხმოვნითდაწყებულ ფუძეთა წინ და ეს-/ას- პრევერბის შემდეგ, ად- პრევერბს კი ერწყმის.

ამრიგად, გამოკვლევამ აჩვენა, რომ წინდებული ად- აორისტის I და II პირის ფორმებში ყოველთვის ათ-ის სახით არ არის წარმოდგენილი. ად- და მისი ფონეტიკური ვარიანტი ათ- ძალზე ხშირად ერთსა და იმავე ზმნაში ერთმანეთის პარალელურადაც იხმარება და ცალ-ცალკეც. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ბალსქვემოურისა და ჩოლურულის შესახებ. ამასთანავე, I პირის ფორმაში, ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულში, ად- პრევერბი ოთ-ის ან ოდ-ის სახით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ლენტეხურს და, ნაწილობრივ, ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავს, იქ I პირში, ძირითადად, ათ-/ად- პრევერბები იხმარება. რაღა თქმა უნდა, სათანადო საილუსტრაციო მასალა სვანური ენის ქრესტომათიასა და პროზაულ ტექსტებშიც გამოვლინდა. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ათ-/ად- პრევერბების პარალელურ ხმარებას, რაც პროფ. ვ. თოფურიას შედარებით ახალ მოვლენად მიაჩნია, მხოლოდ ლახამულურ მეტყველებაში არ ჰქონია ადგილი, იგი სვანური ენის სხვა დიალექტებსა და კილოკავებშიც დადასტურდა.

2. 3. ლა- პრევერბის შესახებ სვანურში

სვანურში, როგორც ცნობილია, გამოიყოფა ორი რიგის ზმნისწინები: მარტივი და რთული.

მარტივი ზმნისწინებია: ან-, ად-, ა-, ეს-, ე-, ას-, ლა-, ჟი, ჩუ, სგა, ქა.

რთული ზმნისწინებია: ჟი ან-, ჟი ად-, ჟი ეს-, ჟი ლა-, ჩუ ან-, ჩუ ად-, ჩუ ეს-, ჩუ ლა-, ისგა ან-, სგა ან-, სგა ად-, სგა ა-, სგა ეს-, სგა ლა-, ქა ან-, ქა ად-, ქა ა-, ქა ეს-, ქა ლა-.

შევეხებით მარტივ ზმნისწინს ლა-ს, რომელიც ბევრ თავისებურებას ავლენს სვანური დიალექტების მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია მესამე სუბიექტური პირის ნიშნის უცნაური ბედი ქართველურ ენებში. ყველა დანარჩენი პირი (I, II), როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური, თავსართების საშუალებით იწარმოება, ხოლო მესამე სუბიექტური პირის საწარმოებლად ბოლოსართები გამოიყენება. პროფ. მ. ქალდანის აზრით, სწორედ „ამ გარემოებამ დაარღვია პირის გამოხატვის თანმიმდევრული სისტემა და თავისებური დისონანსი შეიტანა ქართველური ზმნის უღვლილების სისტემაში" (ქალდანი 1979:208). ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლის ვითარებას გვიჩვენებს სვანური ენა, სადაც, სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით, რამდენიმე ზმნამ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი /ლ-/ პრეფიქსის სახით შემოგვინახა (შუხარდტი 1895; შანიძე 1925; თოფურია 1931:2-3; ჩიქობავა 1940:41). ესენია: ლ-ი „არის", ლ-ჰსჷ „იყო", ლ-გგ „დგას", ლჰ-ლ-ემ „შეჭამა", ლა-ლ-ჴშ „დალია" (ქალდანი 1979:208). მიუხედავად მასალის სიმცირისა, ქართველური ენების თითქმის ყველა სპეციალისტი აღიარებდა, რომ ეს /ლ-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია და, აქედან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ „სვანურს ოდესღაც I და II პირის მსგავსად III პირისთვისაც გამოყენებული ჰქონია პრეფიქსი: იგი ყოფილა /ლ-/" (თოფურია 1931: 2-3; ანდღულაძე 1968, 178-200). მ. ქალდანი სვამს კითხვას: „მაგრამ თუ ეს ვარაუდი სწორია, რატომ მხოლოდ რამდენიმე ზმნას შემორჩა იგი? რა მოუვიდა სხვაგან"? (ქალდანი 1979:209) და ეს კითხვად დარჩება მანამ, სანამ მესამე სუბიექტური პირის ნიშნის კვალი სხვაგანაც არ იქნება მიგნებული მნიშვნელოვანი რაოდენობით (იქვე).

ახალი დამატებითი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და გულდასმით შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ „უირიბობიექტო ლა- წინდებულიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შემონახულია დღემდე მთელ სვანურში, ოღონდ არა მარტო ლ'ს, არამედ მისი ბგერინაცვლის

დ'სა და **ნ**'ს სახით". როგორც ავტორი შენიშნავს, „**დ** ლ'ს პალატალიზაციის შედეგი ჩანს", რომელიც „გვხვდება ლენტეხურში, ბალსზემოურში, ბალსქვემოურის ბეჩოურ, ცხუმარულ, ფარულ, ლახამულურ კილოკავებსა და ლაშხურისა და ჩუბეხეურის ზოგ თქმაში", მაგ.:

1. ლო-ხუ̂-ნა̈რჰ „გავუნათე"   ლო-ხუ̂-კა̈ჩ „აღვმართე"
2. ლა-ხ-ნა̈რჰ   ლა-ხ-კა̈ჩ
3. ლა-**დ**-ნარჰე   ლა-**დ**-კაჩე

როგორც ვხედავთ, /-**დ**-/ მესამე პირს განასხვავებს პირველი და მეორე პირისაგან და იგი ამ პირის ნიშნად მიჩნეულ ლ'ს პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს. ამ წესს მიჰყვება მ. ქალდანის მიერ ზემოჩამოთვლილ დიალექტებში უირიბობიექტო ლა- წინდებულიანი ზმნის თითქმის ყველა მესამე სუბიექტური პირი: ლა-**დ**-ჩხუ̂არე „გამოფშუნა", ლა-**დ**-თე „მომკა", ლა̈-**დ**-ღირალ „წაიმღერა", ლა̈-**დ**-შდირალ „წაითამაშა", ლა̈-**დ**-ხირნან „გაჯავრდა", ლა̈-**დ**-წ̈გრნან „გაწითლდა" და აგრეთვე ე. წ. უსუბიექტო ზმნებიც: ლა-**დ**-შდუე „წამოთოვა", ლა-**დ**-უჩხე „წამოწვიმა", ლა-**დ**-კუ̂ერმე „გაყინა", ლა̈-**დ**-რგჰან „განათდა, ინათა" და სხვ. (ქალდანი 1979:209-210). ამრიგად, ამ მაგალითებში წარმოდგენილი /-**დ**-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად დასახელებული ლ'ს ბგერინაცვლადაა მიჩნეული (ქალდანი 1959:96-99). ზოგი ენათმეცნიერის ვარაუდით კი, ეს /-**დ**-/ ქცევის ნიშნისეული ხმოვნების ნარედუქციალად არის მიჩნეული (შანიძე 1925:224), რასაც არ ეთანხმება მ. ქალდანი (1959:96-99).

დიდძალი დიალექტოლოგიური მასალების მოძიებისა და შესწავლის შედეგად გაირკვა ისიც, რომ „/ლ-/ თავსართის ნაცვლად /**ნ**-/ გვხვდება მესამე სუბიექტური პირის ნიშნად ბალსქვემოურის კალაშურ, ხერხვაშულ და ლაშხრაშულ მეტყველებაში, ლაშხურის სასაშურ თქმაში, ჩოლურულში, ბალსზემოურის კალურ და ლაღამურ მეტყველებაში და კოდორის ხეობის სვანურის გენწვიშურ თქმაში" (ქალდანი 1959:97; ქალდანი 1958:215-216). აღნიშნულ დიალექტებსა თუ კილოკავებში უირიბობიექტო ლა-წინდებულიანი ზმნის თითქმის ყველა მესამე სუბიექტური პირი **ნ**'არით არის წარმოდგენილი, მაგ.:

1. ლო-ხუ̂-შდირალ „წავითამაშე"   ლო-ხუ̂-ტებდალ „გავთბი"
2. ლა̈-ხ-შდირალ   ლა̈-ხ-ტებდალ
3. ლა̈-**ნ**-შდირალ   ლა̈-**ნ**-ტებდალ

ნ'არით არის წარმოდგენილი III პირის ფორმაში შემდეგი ზმნებიც: ლა̈-**ნ**-ტიხ „დაიბრუნა", ლა-**ნ**-შხებ „შეკერა", ლა-**ნ**-წაბურე „გაპარსა", ლა-**ნ**-მარე „მოამზადა", ლა-**ნ**-მეზრე „დალოცა და ა. შ. აქაც ჩანს, რომ /**ნ**-/ მესამე სუბიექტურ პირს განასხვავებს პირველი და მეორე პირისაგან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სწორედ ამ პირის ნიშანია (ქალდანი 1979:210).

მაშასადამე, მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიშნად სვანურში უნდა ვივარაუდოთ /ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /**დ**-/ და /**ნ**-/, რომლებიც შემოგვინახეს ლა- პრევერბიანმა ზმნებმა (ლა̈-ლ-ემ „შეჭამა", ლა-**დ**-თე „მომკა", ლა-**ნ**-ჰემე „წათიბა"...). არც ერთ სხვა წინდებულიან ზმნაში ამ ლ'ს კვალი არ ჩანს, რისი მიზეზიც, მ. ქალდანის ვარაუდით, ის არის, რომ იმ მარტივ პრევერბთაგან (ან-, ად-, ეს- და ლა-) სვანურში, რომლებიც ადრიდანვე ზმნას შეერწყა, ერთადერთია ლა- პრევერბი, რომელიც ხმოვანზე ბოლოვდება, დანარჩენები, როგორც ვხედავთ, ყველა ბოლოთანხმოვნიანებია. სწორედ ამ თანხმოვანზე დამთავრებულ პრევერბებთან (თანხმოვანთა თავმოყრის გამო) ვერ გაძლო მესამე სუბიექტური პირის ნიშანმა ლ'მ. რასაც ვერ ვიტყვით ლა- პრევერბიანი ზმნების შესახებ, სადაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნის (ლ'ს ან მისი ბგერინაცვლის **დ**'სა და **ნ**'ს) შენახვისათვის ხელსაყრელი ფონეტიკური პოზიცია არსებობს. „პირის ნიშანს ამ პოზიციაში ქცევის ნიშნები მოსდევდა. ამ ქცევის ნიშანსა და ლა- წინდებულის ა ხმოვანს შორის იყო მოქცეული მესამე სუბიექტური პირის /ლ-/ თავსართი (*ლა-ლ-აჰემე „წათიბა", *ლა-ლ-ათე „მომკა", *ლა-ლ-იხირნან „გაბრაზდა")". როგორც /ლ-/, ასევე მისი

პოზიციური ვარიანტები /ä-/ და /ñ-/, ხმოვანთგამყარის როლსაც ასრულებდნენ (ქალდანი 1979:212).

ამ ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, მ. ქალდანი და ალ. ონიანი /ლ-/ პრეფიქსს აღადგენენ საერთოქართველურისათვის სუბიექტური მესამე პირის ნიშნის არქეტიპად, თუმცა ლ'ს გენეზისის შესახებ არსებობს სხვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ეკუთვნის პროფ. ნ. ანდღულაძეს. მან, ადრიდანვე ცნობილი /ლ-/ თავსართიანი ხუთი სვანური ზმნის ჩვენებაზე დამყარებით, თავის გამოკვლევაში „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში" ერთ-ერთმა პირველმა სცადა III პირის /ლ-/ თავსართის წარმომავლობის დადგენა კავკასიური ენების მონაცემებზე დაყრდნობითა და ქართველურ ენათა პირის ნიშნების სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მისი ცნობილი დებულებებია:

„1. სვანურს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არ ჰქონდა ისევე, როგორც არ ჰქონდა იგი ქართულს განვითარების გარკვეულ პერიოდში (შდრ. პირველი და მეორე პირის ფორმები).

2. სვანურის /ლ-/ პრეფიქსი მესამე სუბიექტური პირის გამოხატვის საჭიროებას არ გაუჩენია შემდეგშიაც.

3. სვანური ზმნების /ლ-/ პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა, რომელიც ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ.

4. /ლ-/ პრეფიქსის დაკარგვა უნდა უკავშირდებოდეს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ზმნის სტრუქტურაში, რაც პირველ რიგში მესამე პირის უფორმობას გულისხმობს პირის გამოხატვის თვალსაზრისით" (ანდღულაძე 1968:187). ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ავტორისათვის ცნობილ ხუთ სვანურ ზმნაში დაცული /ლ-/ თავსართი კვალიფიცირებულია როგორც ნივთის კლასის ექსპონენტი. ამ ვარაუდს არ იზიარებს პროფ. მ. ქალდანი და თვლის, რომ ნ. ანდღულაძის დასკვნები ჯეროვნად დასაბუთებული არაა, რაც გამოიხატება პირველ რიგში იმაში, რომ „ნ. ანდღულაძე თავისი დებულებების ერთ-ერთ ძირითად საბუთად თვლის /ლ-/ თავსართიანი ზმნების სიმცირეს სვანურში" (ქალდანი 1979:216), რასაც ემყარება სწორედ მისი ერთი ძირითადი დებულება: „სვანური ზმნების /ლ-/ პრეფიქსი ნაშთია კლასოვანი უღვლილებისა"-ო (ანდღულაძე 1968:187).

ამ დებულებასთან დაკავშირებით მ. ქალდანი აღნიშნავს, რომ „მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სვანურს მხოლოდ ხუთ ზმნაში კი არ შემორჩა, როგორც ეს ნ. ანდღულაძეს ჰგონია, /ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /ñ-/ და /ä-/ ... რამდენიმე ასეულ ზმნაშია წარმოდგენილი" (ქალდანი 1979: 217), რაც, მართალია, ჩვენი საილუსტრაციო მასალითაც დადასტურდა, თუმცა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მაინც საადრევო გვეჩვენება.

ნ. ანდღულაძეს მიაჩნია, რომ სვანური ენის გარდაუვალ სტატიკურ ზმნებში /ლ-/ თავსართი მხოლოდ ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში ვლინდება, გარდამავალ ზმნებში კი — მეორე წყების ფორმებში (ანდღულაძე 1968:179). რასაც არ ეთანხმება პროფ. მ. ქალდანი, რადგანაც „ლ'ს პოზიციური ბგერინაცვალი /ä-/ გვხვდება ნაკვთთა პირველი წყების ფორმებში გარდაუვალ ზმნებთანაც (ä-ჩად „წავიდა") და გარდამავალ ზმნებშიც (ä-გთრე „სვამს", ä-გგემ „აშენებს", ä-გრში „საწოლს შლის"...). ასევე ნაკვთთა მეორე წყების ფორმებში ლ'ს პოზიციურ ვარიანტს ñ'ს ან ä'ს ვხვდებით არა მარტო გარდამავალ ზმნებში..., არამედ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებშიც" (ქალდანი 1979:218).

ამასთანავე, ნ. ანდღულაძის აზრით, მესამე პირში გამოვლენილი /ლ-/ პრეფიქსი „ნივთის კატეგორიის ექსპონენტია, ხოლო პირის რომელობის თვალსაზრისით ნივთის კლასის ისეთ სისტემაში, რომელიც ამოსავლად კლასიან სისტემას გულისხმობს, ნივთის კატეგორიის ობიექტის გადმონაშთ ექსპონენტს სწორედ მესამე სუბიექტური პირის ფორმაში უნდა მოველოდეთ, რადგანაც პირველი და მეორე პირის სუბიექტის ფორმებში სუბიექტური პირის ნიშნებია წარმოდგენილი" (ანდღულაძე 1968:

196). ამ თვალსაზრისს არ ეთანხმება პროფ. მ. ქალდანი, რადგანაც, მისი აზრით, „/ლ-/ და მისი პოზიციური ვარიანტები /ნ-/ და /ð-/ დიდი რაოდენობით გვხვდება ისეთ გარდაუვალ ერთპირიან ზმნებში, რომლებიც მხოლოდ ადამიანის ანუ სუბიექტის მოქმედებას აღნიშნავენ, სადაც III პირში ნივთის ან ობიექტის არსებობაზე არც ახლა და არც წარსულში ლაპარაკიც შეუძლებელია" (ქალდანი 1979:219).

ნ. ანდღულაძის აზრით, „სვანურს სუფიქსად მესამე პირის ნიშანი არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართულიდან ნასესხებ -ს სუფიქსს. იგივე ითქმის II ტიპის აორისტის თავისებურებათა შესახებ" (ანდღულაძე 1968:181). ამიტომ „სუფიქსის გაჩენას ვერ დავუკავშირებთ /ლ-/ პრეფიქსის ფუნქციის დაჩრდილვას"-ო (ანდღულაძე 1968:182).

ამ საკითხთან დაკავშირებით მ. ქალდანი შენიშნავს: „მართალია, სხვა მწკრივებში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად სუფიქსის კვალი არ შეინიშნება, მაგრამ კავშირებითის -ს და განსაკუთრებით აორისტში წარმოდგენილი ვითარება ბევრის მთქმელია. ამ უკანასკნელ მწკრივში რამდენიმე ზმნასთან (მაგ., ესსგურდ-ა „დაჯდა", ადყურდ-ა „დაწვა", ლš-ð-უჟდ-ა „წაიძინა"...) აორისტის ნიშანი -ა'ს სახით დღემდე არის შემონახული. ეს -ა უნდა ჰქონოდა ამ მწკრივის მესამე პირში ყველა ზმნას: გარდაუვალსაც და გარდამავალსაც... -ა და სხვა სუფიქსები იმ ეპოქის მონაცემები ჩანს, როცა ქართველური ენების პირიანი უღვლილების სტრუქტურაში მოხდა დიდი გარდატეხა, რომელიც სხვა ქართველური ენების მესამე პირში სუფიქსაციის საბოლოო გამარჯვებითა და პრეფიქსაციის სრული გაქრობით დასრულდა, სვანურში კი სუფიქსაციამ თითქოს მხოლოდ აორისტის და კავშირებითის ფორმაშიღა გაიკაფა გზა და შესაძლებელი გახდა ერთდროულად ორ ნიშანს მოეყარა თავი: /ლ-/ თავსართს, რომელიც ქრონოლოგიურად უწინარესი ჩანს, და -ა ბოლოსართს, რომელიც შედარებით გვიანდელია, მაგრამ ფუძეენამდე მაინც ადის, რასაც ქართ.-სვან. -ა და ზან. -უ (< -ო) შესატყვისობის რეალურად არსებობა ადასტურებს" (ქალდანი 1979:219-220).

პროფ. ნ. ანდღულაძის თვალსაზრისით, სვანურის იმ ზმნებს, რომლებშიც ახლა მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არა გვაქვს, არც არასდროს ჰქონიათ იგი, რადგანაც, მისი აზრით, „/ლ-/ რომ დაკარგულიყო, მას მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქცია უნდა დაეკარგა, მაგრამ ამ ხუთ ზმნაში ხომ იგივე ფუნქციით — მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ფუნქციით შემოგვრჩა? აწმყოში რაღა ვუყოთ? აწმყოში ხომ მესამე პირი უნიშნოა... ამგვარად, პირის კატეგორიით შემოფარგვლა ამჯერად ვერ ხსნის ძირითად საკითხს, /ლ-/ პრეფიქსიანი ფორმების გადაშენების საკითხს" (ანდღულაძე 1968:185). მ. ქალდანმა კვლევა-ძიების შედეგად, ჯერ კიდევ ნ. ანდღულაძის ნაშრომის დაბეჭდვამდე დიდი ხნით ადრე დაადასტურა, რომ „/ლ-/ და მისი პოზიციური ბგერინაცვალი /ნ-/ და /ð-/ ასეულ ზმნაში შემოგვინახა სვანურმა ენამ" (ქალდანი 1959:96-100; 1958:215-217).

როგორც უკვე ვთქვით, ნ. ანდღულაძე /ლ-/ პრეფიქსს კლასოვანი უღვლილების ნაშთად მიიჩნევს სვანურში. კლასოვანი უღვლილება კი, მისი ვარაუდით, „ამოსავალია ქართველურ ენათა პიროვანი უღვლილებისათვის საერთოდ" (ანდღულაძე 1968:187). ავტორის ამ ვარაუდში, როგორც მ. ქალდანი შენიშნავს, ჩნდება ძალიან ბევრი კითხვები და სერიოზული დაბრკოლებები (ქალდანი 1979:221-222).

საბოლოოდ მ. ქალდანი, ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად, ასეთ დასკვნამდე მივიდა: „სვანურ ზმნებში დაცული /ლ-/ ნიშანი ნაშთად უნდა მივიჩნიოთ III სუბიექტური პირისა" (თოფურია 1967: 3). მისი აზრით, „ამ დებულებას მხარი შეუმაგრა ლ'ს პოზიციურ ბგერინაცვალთა (ð: ð-გთრე „სვამს", ლა-ð-ჴემ-ე „მოთიბა"... და ნ: ლა-ნ-იშ „დალია", ლš-ნ-კიდ „აიღო"...) დიდი რაოდენობით გამოვლინებამ სვანური ენის დღევანდელ დიალექტებში" (ქალდანი 1979:222).

პროფ. დ. მელიქიშვილი იზიარებს კლასოვანი უღვლილების ოდინდელ არსებობას და აქედან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, რომ „პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების პერიოდში ისახება რა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიაც (რომელიც პირის კატეგორიის გაგებასაც შეიცავს), სუბიექტურ უღვლილებაში ინკლუზივის ნიშნად ფუნქციადაკარგული /ლ-/ კლასის ნაშთი იქნა გამოყენებული", რაც, მისი აზრით, „მოულოდნელი არ უნდა იყოს" (მელიქიშვილი 1980:188).

ჩვენი ვარაუდით, ნ'ს შემცველი საანალიზო ზმნური ფორმების სხვაგვარი ინტერპრეტაციაც არ არის გამორიცხული[1].

თვალსაჩინოებისათვის შევეცდებით პარადიგმის სახით სრულად წარმოვადგინოთ /ლ-/ და მის პოზიციურ ბგერჴნაცვალთა /ღ-/ და /ნ-/ პრეფიქსიანი ზმნური ფორმები სვანური ენის დიალექტებისა და ზოგიერთი კილოკავის მიხედვით. საენათმეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულ საანალიზო მასალას დაემატება ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული საილუსტრაციო მასალაც:

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლნჩ.
1 2 3	ლო-ხჷ-ა̈თ „მოვძკე“ ლა-ხ-ა̈თ „მომკე“ ლა-ღ-თე „მომკა“	[2]ʻლʼო-ხჷ-ა̈თ ʻლʼა-ხ-ა̈თ ლა-ღ-თე‖ლა-ნ-თე	ლო-ხ-თი̄ ლა-ხ-თი̄ ლა-ღ-თღე‖ლა-ნ-თღე	 ლა̄-ღ-თიე	ლო-ხ-თი̄ ლა-ხ-თი̄ ლა-ღ-თღე‖ლა-ნ-თღე	ʻლʼო-ხჷ-ა̈თ ʻლʼა-ხ-ა̈თ ლა-ღ-თე
1 2 3	ლო̄-ხჷ-იცჷ „მოვიკიდე“ ლა̈-ხ-იცჷ „მოიკიდე“ ლა̈-ღ-ცჷე „მოიკიდა“	ʻლʼო-ხჷ-იცჷ ʻლʼა̈/ე-ხ-იცჷ ლა̈/ე-ღ-ცჷე‖ლა̈-ნ-ცჷე	ლო-ხჷ-იცჷ ლე-ხ-იცჷ ლე-ნ-ცჷე	ლა̈-ხჷ-იცჷ ლა̈-ხ-იცჷ ლა̈-ღ-ცჷე	ლო-ხჷ-იცჷ ლე-ხ-იცჷ ლე-ღ-ცჷე	ლა̈-ხჷ-იცჷ ლა̈-ხ-იცჷ ლა̈-ღ-ცჷე
1 2 3	ʻლʼო-ხჷ-კა̈ჩ „აღვმართე“ ʻლʼა-ხ-კა̈ჩ „აღმართე“ ლა-ღ-კაჩე „აღმართა“	ʻლʼო-ხʼჷʼ-კა̈ჩ ʻლʼა-ხ-კა̈ჩ ლა-ღ-კაჩე				ʻლʼო-ხʼჷʼ-კა̈ჩ ʻლʼა-ხ-კა̈ჩ ლა-ღ-კაჩე
1 2 3	 ლა-ღ-კჷერმე „გაყინა“	ლო-ხჷ-კჷერმ ლა-ხ-კჷერმ ლა-ღ-კჷერმე			 ლა-ღ-კჷერმე[3]	ლო-ხჷ-კჷერმ ლა-ხ-კჷერმ ლა-ღ-კჷერმე
1 2 3	ლო-ხჷ-რიპ „გავანათე“ ლა-ხ-რიპ „გაანათე“ ლა-ღ-რგპე‖ლა-ღ-ნარპე „გაანათა“	ʻლʼო-ხჷ-ნა̈რპ „მივუნათე“ ʻლʼა-ხ-ნა̈რპ „მიუნათე“ ʻლʼა-ხ-ნარპე „მიუნათა“, მაგრამ ლა-ღ-ნარპე „გაანათა“			ლო-ხ-ნარი̄ ლა-ხ-ნარი̄ ლა-ხ-ნარღე	ʻლʼო-ხჷ-ნა̈რპ ʻლʼა-ხ-ნა̈რპ ლა-ღ-ნარპე
1 2 3	ლო-ხჷ-რგჩხინ „გავავლე“ ლა-ხ-რგჩხინ „გაავლე“ ლა-ღ-რგჩხნე „გაავლო“	ლო-ხჷ-რგჩხინ ლა-ხ-რგჩხინ ლა-ღ-რგჩხნე				ლო-ხჷ-რგჩხინ ლა-ხ-რგჩხინ ლა-ღ-რგჩხნე
1 2 3	ლო-ხჷ-იჩხჷ „წამოვწვიმე“ ლა-ხ-ჷიჩხჷ „წამოწვიმე“ ლა-ღ-უჩხე „წამოწვიმა“	ʻლʼო-ხʼჷʼ-უჩხ ლა-ხ-უჩხ ლა-ღ-უჩხე‖ლა-ნ-უჩხე	ლო-ხ-უჩხ ლა-ხ-უჩხ ლა-ნ-უჩხე	 ლა-ღ-უჩხე	ლო-ხ-უჩხ ლა-ხ-უჩხ ლა-ღ-უჩხე‖ლა-ნ-უჩხე	ʻლʼო-ხʼჷʼ-უჩხ ʻლʼა-ხ-უჩხ ლა-ღ-უჩხე
1 2 3	ლო-ხ-ყჷინ „მივიწვინე“ ლა̈/ე-ხ-ყჷინ „მიიწვინე“ ლა̈-ღ-ყჷინე „მიიწვინა“	ლო-ხჷ-ყჷინ ლა̈/ე-ხ-ყჷინ ლა̈-ღ-ყჷინე‖ლა̈-ნ-ყჷინე	ლო-ხჷ-ყჷინ ლე-ხ-ყჷინ ლე-ღ-ყჷინე	ლა̈-ხჷ-ყჷინ ლა̈-ხ-ყჷინ ლა̈-ღ-ყჷინე	ლო-ხჷ-ყჷინ ლე-ხ-ყჷინ ლე-ღ-ყჷინე	ლა̈-ხჷ-ყჷინ ლა̈-ხ-ყჷინ ლა̈-ღ-ყჷინე
1 2 3	ლო-ხჷ-შდჷიჷ „წამოვთოვე“ ლა-ხ-შდჷიჷ „წამოთოვე“ ლა-ღ-შდუე „წამოთოვა“	ʻლʼო-ხჷ-შდუჷ ʻლʼა-ხ-შდუჷ ლა-ღ-შდუე‖ ლა-ნ-შდუე	ლო-ხჷ-შდჷ̄ჷ ლა-ხ-შდჷ̄ჷ ლა-ნ-შდუჷე	 ლა-ღ-შტუჷე	ლო-ხჷ-შტჷ̄ჷ ლა/ე-ხ-შტჷ̄ჷ ლა/ე-ღ-შტუჷე‖ ლე-ნ-შტუჷე	ʻლʼო-ხჷ-შდუჷ ʻლʼა-ხ-შდუჷ ლა-ღ-შდუე
1 2 3	 ლა-ღ-შყჷედ „გარეცხა“	 ლა-ღ-შყჷედ		 ლა̄-ღ-შყჷედ	ლო-ხ-შყოდ ლა- ხ-შყოდ ლა-ხ-შყოდე	 ლა-ღ-შყჷედ
1 2 3	ლო-ხ-ჩხჷა̈რ „გამოვფშვენი“ ლა-ხ-ჩხჷა̈რ „გამოფშვენი“ ლა-ღ-ჩხჷა̄რე „გამოფშენა“	ლო-ხჷ-ჩხჷა̈რ ლა-ხ-ჩხჷა̈რ ლა-ღ-ჩხჷარე				ʻლʼო-ხჷ-ჩხჷა̈რ ʻლʼა-ხ-ჷჩხჷა̈რ ლა-ღ-ჩხჷარე
1 2 3		ლო-ხჷ-ფურშგჷინ „დავფშვენი“ ლა-ხ-ფურშგჷინ „დაფშვენი“ ლა-ღ-ფურშგჷინე „დაფშვნა“		 ლა̄-ღ-ფურშკჷინე		 ლა-ღ-ფურშგჷინე
1 2 3	ლო-ხჷ-ცხგრილ „გავცერი“ ლა-ხ-ცხგრილ „გაცერი“ ლა-ღ-ცხგრლე „გაცრა“	ლო-ხჷ-ცხგრილ ლა-ხ-ცხგრილ ლა̀-ღ-ცხი/გრლე				ლო-ხჷ-ცხგრილ ლა-ხ-ცხგრილ‖ ლა-ღ-ცხი/გრლე
1 2 3	ლო-ხჷ-ჴემ „მოვთიბე“ ლა-ხ-ჴემ ლა-ღ-ჴემ-ე „მოთიბა“	ლო-ხჷ-ჴემ ლა-ხ-ჴემ ლა-ღ-ჴემ-ე		 ლა-ღ-ჴემ-ე		ლო-ხჷ-ჴემ ლა-ხ-ჴემ ლა-ღ-ჴემ-ე

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გვექნება ქვემოთ.

[2] ჩვენ მიერ წარმოდგენილი პარადიგმიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ღ (‖ლ/ნ) მესამე პირს ნამდვილად განასხვავებს პირველი ორისაგან, რაც, ერთი შეხედვით, იმის საფუძველს იძლევა, რომ აღნიშნული ფორმანტები (ლ/ნ/ღ) მე-3 სუბიექტური პირის პრეფიქსებად მივიჩნიოთ, თუმცა საკითხის საბოლოოდ გადაჭრა მაინც ნაადრევად გვეჩვენება.

[3] მოცემული ზმნური ფორმა „მივარეცხე“-ს მნიშვნელობით გამოიყენება ჩოლურულში.

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1 2 3		 ლა-ნ-ბა/ა̈რ „დაბანა"				 ლა-დ-ბარ
1 2 3	ლო̄-ხჳ-იშგდ „ეკადრე" ლა̈-ხ-იშგდ „იკადრე" ლა̈-დ-შგედ „იკადრა"	ლო-ხჳ-იშგდ ლა̈/ე-ხ-იშგდ ლა̈-დ-შგედ‖ლა̈-ნ-შგედ	ლო-ხ-შგედ ლე-ხ-შგედ ლე-ნ-შგედე	ლა̈-ხჳ-იშკდ ლა̈-ხ-იშკდ ლა̈-დ-შკედ	ლო-ხ-შგედ ლე-ხ-შგედ ლე-ნ-შგედე‖ლე-დ-შგედე	ლა̈-ხჳ-იშგდ ლა̈-ხ-იშგდ ლა̈-დ-შგედ
1 2 3	ლო̄-ხჳ-იკ „ავილე" ლა̈-ხ-იკ „აილე" ლა̈-დ-კიდ „აილო"	˹ლ˺ო-ხჳ-იკდ ლა̈/ე-ხ-იკდ ლა̈-ნ-კიდ‖ლა̈-დ-კიდ				˹ლ˺ა̈-ხჳ-იკდ ˹ლ˺ა̈-ხ-იკდ ლა̈-დ-კიდ
1 2 3	ლო̄-გოჳ „დავფქვი" ლა̈-გოჳ „დაფქვი" ლა̈-დ-გუეჳ „დაფქვა"	 ლა-ნ-ლექჳრე‖ლა-დ-ლექჳრე				 ლა-დ-ლექჳრე
1 2 3	˹ლ˺ო-ხჳ-მა̈რ „მოვამზადე" ˹ლ˺ა-ხ-მა̈რ „მოამზადე" ლა-დ-მა̈რე „მოამზადა"	˹ლ˺ო-ხჳ-მა̈რ ˹ლ˺ა-ხ-მა̈რ ლა-ნ-მარე‖ლა-დ-მარე				˹ლ˺ო-ხჳ-მა̈რ ˹ლ˺ა-ხ-მა̈რ ლა-დ-მარე
1 2 3		ლო-ხჳ-მეზირ „დავილოცე, დავლოცე" ლა-ხ-მეზირ „დაილოცე, დალოცე" ლა̈-ნ-მეზრე‖ ლა̈-დ-მეზრე „დაილოცა, დალოცა"	ლო-ხ-მეზგრ ლა-ხ-მეზგრ ლა-ხ-მეზრე		ლო-ხ-მეზგრ ლა-ხ-მეზგრ ლე-დ-მეზრე	ლო-ხჳ-მეზირ ლა-ხ-მეზირ ლა̈-დ-მეზრე
1 2 3	˹ოთ-მე̄შ˺ ˹ათ-მეშხ˺ ˹ად-მეშხე˺	ლო-ხჳ-მეშხ „გავაშავე" ლა-ხ-მეშხ „გააშავე" ლა-ნ-მეშხე „გააშავა"	ლო-ხ-მეშხ ლა-ხ-მეშხ ლა-ხ-მეშხე		ლო-ხ-მეშხ ლა-ხ-მეშხ ლა-ხ-მეშხე	ლო-ხჳ-მეშხ ლა-ხ-მეშხ ლა-დ-მეშხე
1 2 3	˹ლო̄-ხჳ-ა̈შხბ˺ „მივაკერე" ˹ლა̈-ხ-ა̈შხბ˺ „მიაკერე" ˹ლა-ხ-შხებ˺ „მიაკერა"	˹ლ˺ო-ხჳ-ა̈შხბ „შევკერე, მივაკერე" ˹ლ˺ა-ხ-ა̈შხბ „შეკერე, მიაკერე" ლა̈-ნ-შხებ‖ლა-დ-შხებ „შეკერა"	ლო-ხ-შხებ ლა-ხ-შხებ ლა-ხ-შხებე		ლო-ხ-შხებ ლა-ხ-შხებ ლა-ხ-შხებე	˹ლ˺ო-ხჳ-ა̈შხბ ˹ლ˺ა-ხ-ა̈შხბ ლა-დ-შხებ
1 2 3	ლო-ხჳ-ტგბინ „მივიფურთხე" ლა̈/ე-ხ-ტგბინ „მიიფურთხე" ლა̈-დ-ტგბნე „მიიფურთხა"	ლო-ხჳ-ტგბინ ლე-ხ-ტგბინ ლა̈/ე-დ-ტგბნე	ლო-ხ-ტგბგნ ლა-ხ-ტგბგნ ლა-ხ-ტგბნე	ლა-ხჳ-ტგბინ ლა-ხ-ტგბინ ლა̈-დ-ტგბნე	ლო-ხ-ტგბგნ ლა-ხ-ტგბგნ ლა-ხ-ტგბნე	ლო-ხჳ-ტგბინ ლა̈-ხ-ტგბინ ლა̈-დ-ტგბნე
1 2 3	ლო-ხჳ-წაბუ̄რ „გავპარსე" ლა-ხ-წაბუ̄რ „გაპარსე" ლა-დ-წაბუ̄რე „გაპარსა"	ლო-ხჳ-წაბურ ლა-ხ-წაბურ ლა-ნ-წაბურე‖ ლა-დ-წაბურე	ლო-ხჳ-წაბუ̄რ ლა-ხ-წაბუ̄რ ლა-ხ-წაბუ̄რე		ლო-ხჳ-წაბუ̄რ ლა-ხ-წაბუ̄რ ლა-ხ-წაბუ̄რე	ლო-ხჳ-წაბურ ლა-ხ-წაბურ ლა-დ-წაბურე
1 2 3	ლო-ხჳ-ჯგმა̈რ „მოვიხმარე" ლე-ხ-ჯგმა̈რ „მოიხმარე" ლა̈/ე-დ-ჯგმრე „მოიხმარა"	ლო-ხჳ-ჯგმა̈რ ლა̈/ე-ხ-ჯგმა̈რ ლა̈/ე-დ-ჯგმრე‖ლა̈-ნ-ჯგმრე	ლო-ხ-ჯგმარ ლე-ხ-ჯგმარ ლე-ნ-ჯგმრე‖ლე-დ-ჯგმრე	 ლა̈-დ-ჯგმ˹ა̈˺რე	ლო-ხ-ჯგმარ ლე-ხ-ჯგმარ ლე-ნ-ჯგმრე‖ლე-დ-ჯგმრე	ლო-ხჳ-ჯგმა̈რ ლა̈-ხ-ჯგმა̈რ ლა̈-დ-ჯგმრე
1 2 3	ლო-ხჳ-ზელა̈ლ „ვიარე" ლა̈-ხ-ზელა̈ლ „იარე" ლა̈-დ-ზელა̈ლე „იარა"	ლო-ხჳ-ზელალ ლა̈-ხ-ზელალ ლა̈-დ-ზელალე	ლო-ხჳ-ზელა̈ლ ‖ ლე-ხ-ზელა̈ლ ლე-დ-ზელა̈ლე ‖ლე-ნ-ზელა̈ლე	ლა̈-ხჳ-ზელალ ლა̈-ხ-ზელალ ლა̈-დ-ზელალე	ლო-ხჳ-ზელა̈ლ ლე-ხ-ზელა̈ლ ლე-დ-ზელა̈ლე‖ლე-ნ-ზელა̈ლე	ლო-ხჳ-ზელალ ლა̈-ხ-ზელალ ლა̈-დ-ზელალე
1 2 3	ლო̄-ხჳ-ითუ̄რ „ვისწავლე" ლა̈-ხ-ითუ̄რ „ისწავლე" ლა̈-დ-თუ̄ერ	˹ლ˺ო-ხჳ-ითუ̄რ ˹ლ˺ა̈-ხ-ითუ̄რ ლა̈-დ-თუ̄ერ‖ ლა̈-ნ-თუ̄ერ			ლო-ხჳ-ითუ̄რ ლე-ხ-ითუ̄რ ლე-დ-თო̄ნე	˹ლ˺ო-ხჳ-ითუ̄რ ˹ლ˺ა̈-ხ-ითუ̄რ ლა̈-დ-თერ
1 2 3	ლო̄-ხჳ-იკუ̄შ „გავამხილე" ლა̈-ხ-იკუ̄შ „გაამხილე" ლა̈-დ-კუ̄იშ „გაამხილა"	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლა̈-ხ-იკუ̄შ ლა̈-დ-კუ̄იშ‖ ლა̈/ე-ნ-კუ̄იშ	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლე-ხ-იკუ̄შ ლე-ნ-კუ̄იშ	ლა̈-ხჳ-იკუ̄შ ლა̈-ხ-იკუ̄შ ლა̈-დ-კუ̄იშ	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლე-ხ-იკუ̄შ ლე-დ-კუ̄იშ	ლა̈-ხჳ-იკუ̄შ ლა̈-ხ-იკუ̄შ ლა̈-დ-კუ̄იშ
1 2 3	ლო̄-ხჳ-იკუ̄შ „მოვიტეხე" ლა̈-ხ-იკუ̄შ „მოიტეხე" ლა̈-დ-კუ̄იშ „მოიტეხა"	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლა̈-ხ-იკუ̄შ ლა̈-დ-კუ̄იშ	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლე-ხ-იკუ̄შ ლე-ნ-კუ̄იშ	˹ა̈-ხჳ-იკუ̄შ˺ ˹ა̈-ხ-იკუ̄შ˺ ლა̈-დ-კუ̄იშ	ლო-ხჳ-იკუ̄შ ლე-ხ-იკუ̄შ ლე-დ-კუ̄იშ	ლა̈-ხჳ-იკუ̄შ ლა̈-ხ-იკუ̄შ ლა̈-დ-კუ̄იშ
1 2 3	ლო-ხჳ-ნაბა̈ნ „შევიფიცე" ლა̈/ე-ხ-ნაბა̈ნ „შეიფიცე" ლა̈/ე-დ-ნაბნე „შეიფიცა"	ლო-ხჳ-ნაბა̈ნ ლა̈/ე-ხ-ნაბა̈ნ ლა̈/ე-დ-ნაბნე	ლო-ხჳ-ღუ̄ერ ლე-ხჳ-ღუ̄ერ ლე-ნ-ღუ̄ერ	ლა̈-ხჳ-ღუ̄ერ ლა̈-ხ-ღუ̄ერ ლა̈-დ-ღუ̄ერე		ლა̈-ხჳ-ნაბა̈ნ ლა̈-ხ-ნაბა̈ნ ლა̈-დ-ნაბნე
1 2 3	ლო-ხ-გნყაუ̄ა̈ლ „დრო გავატარე მეზობლებში" ლა̈/ე-ხ-გნყაუ̄ა̈ლ „დრო გაატარე მეზობლებში" ლა̈-დ-ნყაუ̄ა̈ლე „დრო გაატარა მეზობლებში"	ლო-ხ-უნყაუ̄ალ ლე-ხ-გნყაუ̄ალ ლა̈-დ-ნყაუ̄ალე	ლო-ხ-ნაყუ̄ა̈ლ ლე-ხ-ნაყუ̄ა̈ლ ლე-დ-ნაყუ̄ა̈ლე	ლა̈-ხჳ-ნაყაუ̄ა̈ლ ლა̈-ხ-ნაყაუ̄ა̈ლ ლა̈-დ-ნაყაუ̄ალე	ლო-ხ-ნაყუ̄ა̈ლ ლე-ხ-ნაყუ̄ალ ლე-დ-ნაყუ̄ა̈ლე‖ ლე-დ-გნყაუ̄ე	ლა̈-ხ-უნყაუ̄ალ ლა̈-ხ-გნყაუ̄ალ ლა̈-დ-ნყაუ̄ალე

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1 2 3	ლჷ-ა-რგჰა̈ნ „განათდა, ინათასავით"	ლჷ-ა-რგჰან		ლჷ-ა-რგჰან		ლჷ-ა-რგჰან
1 2 3	ლო-ხჳ-სგი̄დრა̈ლ „გავიხედ-გამოვიხედე" ლჷ-ხ-სგი̄დრა̈ლ „გაიხედ-გამოიხედე" ლჷ-ა-სგი̄დრა̈ლე „გაიხედ-გამოიხედა"	ლო-ხჳ-სგიდრალ ლჷ-ხ-სგიდრალ ლჷ-ა-სგიდრალე‖ ლჷ-ნ-სგიდრალე	ლო-ხ-სგი̄დრა̈ლ ლე-ხ-სგი̄დრა̈ლ ლე-ა-სგი̄დრა̈ლე	ლჷ-ხჳ-სკიდარა̈ლ ლჷ-ხ-სკიდარა̈ლ ლჷ-ა-სკიდარალე	ლო-ხ-სგი̄დრა̈ლ ლე-ხ-სგი̄დრა̈ლ ლე-ა-სგიდრა̈ლე‖ ლე-ნ-სგი̄დრა̈ლე	ლჷ-ხჳ-სგიდრალ ლჷ-ხ-სგიდრალ ლჷ-ა-სგიდრალე
1 2 3	ლო-ხჳ-სკჳ̄ერ „გავიფიქრე" ლჷ-ხ-სკჳ̄ერ „გაიფიქრე" ლჷ-ა-სკო̄რე „გაიფიქრა"	ლო-ხჳ-სკორ ლჷ-ხ-სკორ ლჷ-ა-სკორე‖ ლჷ-ნ-სკორე				ლჷ-ხჳ-სკერ ლჷ-ხ-სკერ ლჷ-ა-სკორე
1 2 3			ლო-ხჳ-ფიქრ „გავიფიქრე" ლე-ხ-ფიქრ „გაიფიქრე" ლე-ნ-ფიქრე „გაიფიქრა"			
1 2 3				ლა-ა-ჰკჳარე „გაიფიქრა"		
1 2 3	ლო-ხჳ-ტებდა̈ლ „გავთბი" ლჷ-ხ-ტებდა̈ლ „გათბი" ლჷ-ა-ტებდა̈ლე „გათბა"	ლო-ხჳ-ტებდალ ლჷ-ხ-ტებდალ ლჷ-ა-ტებდალ/ე‖ ლჷ-ნ-ტებდალ/ე	ლო-ხ-ტებდა̈ლ ლე-ხ-ტებდა̈ლ ლე-ა-ტებდა̈ლე	ლჷ-ხჳ-ტებდალ ლჷ-ხ-ტებდალ ლჷ-ა-ტებდალე	ლო-ხ-ტებდა̈ლ ლე-ხ-ტებდა̈ლ ლე-ა-ტებდა̈ლე‖ ლე-ნ-ტებდა̈ლე	ლჷ-ხჳ-ტებდალ ლჷ-ხ-ტებდალ ლჷ-ა-ტებდალ/ე
1 2 3	ლო̄-ხჳ-იტხ „დავიბრუნე" ლჷ-ხ-იტხ „დაიბრუნე" ლჷ-ა-ტიხ „დაიბრუნა"	ლო-ხჳ-იტხ ლჷ-ხ-იტხ ლჷ-ა-ტიხ‖ლჷ-ნ-ტიხ	ლო-ხჳ-იტხ ლე-ხ-იტხ ლე-ნ-ტიხ		ლო-ხჳ-იტხ ლე-ხ-იტხ ლე-ნ-ტიხ‖ლე-ა-ტიხ	ლჷ-ხჳ-იტხ ლჷ-ხ-იტხ ლჷ-ა-ტიხ
1 2 3	ლო̄-ხჳ-იცჳრ „შევირჩინე" ლჷ-ხ-იცჳრ „შეირჩინე" ლჷ-ა-ცჳირ „შეირჩინა"	ლო-ხჳ-იცჳრ ლე-ხ-იცჳრ ლე-ნ-ცჳირ‖ ლე-ა-ცჳირ	ლო-ხჳ-იცჳრ ლე-ხ-იცჳრ ლე-ნ-ცჳირ	ლჷ-ხჳ-იცჳრ ლჷ-ხ-იცჳრ ლჷ-ა-ცჳირ	ლო-ხჳ-იცჳრ ლე-ხ-იცჳრ ლე-ნ-ცჳირ‖ ლე-ა-ცჳირ	ლჷ-ხჳ-იცჳრ ლჷ-ხ-იცჳრ ლჷ-ა-ცჳირ
1 2 3	ლო-ხ-ჳედ „წავიძინე" ლჷ-ხ-ჳედ „წაიძინე" ლჷ-ა-ჳედ-ა „წაიძინა"	ლო-ხ'ჳ'-უედ ლე-ხ-უედ ლჷ-ა-უედა‖ლჷ-ა-უეე		ლჷ-ხჳ-უე ლჷ-ხ-უე ლჷ-ა-უეე		ლჷ-ხჳ-უედ ლჷ-ხ-უედ ლჷ-ა-უეე
1 2 3			ლო-ხ-ჰეჰკჳ „წავიძინე" ლე-ხ-ჰეჰკჳ „წაიძინე" ლე-ნ-ჰეჰკჳე „წაიძინა"			
1 2 3	ლო-ხჳ-ღირა̈ლ „ვიმღერე" ლჷ-ხ-ღირა̈ლ „იმღერე" ლჷ-ა-ღირა̈ლე „წაიმღერა"	ლო-ხჳ-ღირალ ლჷ-ხ-ღირალ ლჷ-ა-ღირალ/ე‖ ლჷ-ნ-ღირალე	ლო-ხ-ღირა̈ლ ლე-ხ-ღარა̈ლ ლე-ნ-ღარა̈ლე	ლჷ-ხჳ-ღარალ ლჷ-ხ-ღარალ ლჷ-ა-ღარალე	ლო-ხჳ-ღირა̈ლ ლე-ხ-ღირა̈ლ ლე-ა-ღირა̈ლე	ლჷ-ხჳ-ღირალ ლჷ-ხ-ღირალ ლჷ-ა-ღირალ/ე
1 2 3	ლო-ხჳ-ყჳითლა̈ნ „გავყვითლდი" ლჷ-ხ-ყჳითლა̈ნ „გაყვითლდი" ლჷ-ა-ყჳითლა̈ნ „გაყვითლდა"	ლო-ხჳ-ყჳითლენ ლჷ-ხ-ყჳითლენ ლჷ-ა-ყჳითლან				ლჷ-ხჳ-ყჳითლენ ლჷ-ხ-ყჳითლენ ლჷ-ა-ყჳითლან
1 2 3	ლო-ხჳ-შდირა̈ლ „წავითამაშე" ლჷ-ხ-შდირა̈ლ „წაითამაშე" ლჷ-ა-შდირა̈ლე „წაითამაშა"	ლო-ხჳ-შდირალ ლჷ-ხ-შდირალ ლჷ-ა-შდირალ/ე‖ ლჷ-ნ-შდირალ/ე			ლო-ხჳ-შტირა̈ლ ლე-ხ-შტირა̈ლ ლე-ა-შტირა̈ლე	ლჷ-ხჳ-შდირალ ლჷ-ხ-შდირალ ლჷ-ა-შდირალ/ე
1 2 3			ლო-ხ-ღარა̈ლ „წავითამაშე" ლე-ხ-ღარა̈ლ „წაითამაშე" ლე-ნ-ღარალე „წაითამაშა"			
1 2 3				ლჷ-ხჳ-ტრელა̈ლ „წავითამაშე" ლჷ-ხ-ტრელა̈ლ „წაითამაშე" ლჷ-ა-ტრელა̈/ალე „წაითამაშა"		
1 2 3	ლო-ხჳ-შხება̈ლ „შევკერე" ლა-ხ-შხება̈ლ „შეკერე" ლა-ა-შხება̈ლე „შეკერა"	ლო-ხჳ-შხებალ ლჷ-ხ-შხებალ ლჷ-ა-შხებალე	ლო-ხჳ-შხება̈ლ ლე-ხ-შხება̈ლ ლე-ნ-შხება̈ლე		ლო-ხჳ-შხება̈ლ ლე/ა-ხ-შხება̈ლ ლე-ა-შხება̈ლე	ლო-ხჳ-შხებალ ლჷ-ხ-შხებალ ლჷ-ა-შხებალე
1 2 3	ლო̄-ხჳ-იშხჳნ „შევინახე" ლჷ̄-ხ-იშხჳნ „შეინახე" ლჷ-ა-შხჳინ „შეინახა"	ლო-ხჳ-იშხჳნ ლჷ-ხ-იშხჳნ ლჷ-ა-შხჳინ‖ლჷ-ნ-შხჳინ		ლჷ-ხჳ-იშხჳნ ლჷ-ხ-იშხჳნ ლჷ-ა-შხჳინ	ლო-ხ-შხუნ ლე-ხ-შხუნ ლე-ა-შხუნე	ლჷ-ხჳ-იშხჳნ ლჷ-ხ-იშხჳნ ლჷ-ა-შხჳინ

	ბზ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ლხმ.
1 2 3	ლო-ხჳ-წჷრნა̈ნ „გავწითლდი" ლა̈-ხ-წჷრნა̈ნ „გაწითლდი" ლა̈-ჸ-წჷრნა̈ნ „გაწითლდა"	ლო-ხჳ-წჷრნენ ლა̈-ხ-წჷრნენ ლა̄-ჸ-წჷრნან				ლა̈-ხჳ-წჷრნენ ლა̈-ხ-წჷრნენ ლა̈-ჸ-წჷრნან
1 2 3	ლო-ხჳ-ხატჳა̈ლ „წავახატავე" ლა̈-ხ-ხატჳა̈ლ „წაიხატავე" ლა̈-ჸ-ხატჳა̈ლე „წაიხატავა, დახატა"	ლო-ხჳ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ხ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ჸ-ხატჳალე	ლო-ხჳ-ხატჳა̈ლ ლე-ხ-ხატჳა̈ლ ლე-ნ-ხატჳა̈ლე	ლა̈-ხჳ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ხ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ჸ-ხატაჳალე	ლო-ხჳ-ხატჳა̈ლ ლა/ე-ხ-ხატჳა̄ლ ლე-ჸ-ხატჳა̄ლე	ლო-ხჳ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ხ-ხატაჳა̈ლ ლა̈-ჸ-ხატჳალე
1 2 3	ლო-ხჳ-ხირნა̈ნ „გავპრაზდი" ლა̈-ხ-ხირნა̈ნ „გაბრაზდი" ლა̈-ჸ-ხირნა̈ნ „გაპრაზდა"	ლო-ხჳ-ხირნენ ლა̈-ხ-ხირნენ ლა̄-ჸ-ხირნან			ლო-ხჳ-ხირნენ ლე-ხ-ხირნენ ლე-ჸ-ხირნა̈ნ	ლა̈-ხჳ-ხირნენ ლა̈-ხ-ხირნენ ლა̈-ჸ-ხირნან
1 2 3	ლო̄-ხჳ-იხჳეტ „მოვიჯერი, მოვითალე" ლა̄-ხ-იხჳეტ „მოიჯერი, მოითალე" ლა̈-ჸ-ხჳიტ „მოიჯრა, მოითალა"	ლო-ხჳ-იხჳეტ ლა̈-ხ-იხჳეტ ლა̈-ჸ-ხჳიტ‖ ლა̈-ნ-ხჳიტ	ლო-ხჳ-იხჳეტ ლე-ხ-იხჳეტ ლე-ნ-ხჳიტ	'ა̈-ხჳ-იხჳეტ' 'ა̈-ხ-იხჳეტ' ლა̈-ჸ-ხჳიტ	ლო-ხჳ-იხჳეტ ლე-ხ-იხჳეტ ლე-ჸ-ხჳიტ	ლა̈-ხჳ-იხჳეტ ლა̈-ხ-იხჳეტ ლა̈-ჸ-ხჳიტ
1 2 3	ლო-ხჳ-სკინა̈ლ „ვიხტუნავე" ლა̈-ხ-სკინა̈ლ „იხტუნავე" ლა-ჸ-სკინა̈ლე „იხტუნავა"	ლო-ხჳ-სკინალ ლა̈-ხ-სკინალ ლა̈-ჸ-სკინალე‖ ლა̈-ნ-სკინალე	ლო-ხჳ-სკინა̈ლ ლე-ხ-სკინა̈ლ ლე-ჸ-სკინა̈ლე	ლა̈-ხჳ-სკინალ ლა̈-ხ-სკინალ ლა̈-ჸ-სკინალე		ლა̈-ხჳ-სკინალ ლა̈-ხ-სკინალ ლა̈-ჸ-სკინალე
1 2 3	ხჳ-ი „ვარ" ხ-ი „ხარ" ლ-ი „არის"	ხჳ-ი ხ-ი ლ-ი	ხჳ-ი ხ-ი ლ-ი	ხჳ-ი ხ-ი ლ-ი	ხჳ-ი ხ-ი ლ-ი	ხჳ-ი ხ-ი ლ-ი
1 2 3	ხჳ-ა̈სჳ „ვიყავი" ხ-ა̈სჳ „იყავი" ლ-ა̈სჳ „იყო"	ხჳ-ა̈სჳ ხ-ა̈სჳ ლ-ა̈სჳ	ხჳ-ას ხ-ას ლ-ას	ხჳ-ას ხ-ას ლ-ას	ხჳ-ას ხ-ას ლ-ას	ხჳ-ესჳ ხ-ესჳ ლ-ასჳ
1 2 3	ხუგ(← ხჳ-ჷგ) „ვდგავარ" ხ-ჷგ „დგახარ" ლ-ჷგ „დგას"	ხუგ (← ხჳ-ჷგ) ხ-ჷგ ლ-ჷგ	ხუგ (← ხჳ-ჷგ) ხ-ჷ̄გ ლ-ჷ̄გ	ხუგ (← ხჳ-ჷგ)‖ ლ-ჷგ-ხჳ-ი ხ-ჷგ‖ლ-ჷგხი ლ-ჷგ	ხუგ (← ხჳ-ჷგ) ხ-ჷგ ლ-ჷგ	ხუგ (← ხჳ-ჷგ) ხ-ჷგ ლ-ჷგ
1 2 3		ხუგემ (← ხჳ-ჷგემ) „ვაშენებ" ხ-ჷგემ „აშენებ" ჸ-ჷგემ „აშენებს"		ხჳ-აგემ ხ-აგემ ჸ-ჷგემ		
1 2 3		ხუთრე (← ხჳ-ჷთრე) „ვსვამ" ხ-ჷთრე „სვამ" ჸ-ჷთრე „სვამს"		ხჳ-ითრე ხ-ითრე ჸ-თრე‖ჷთრე		
1 2 3		ხურში (← ხჳ-ჷრში) „საწოლს ვშლი" ხ-ჷრში „საწოლს შლი" ჸ-ჷრში‖ჷრში „საწოლს შლის"				
1 2 3	ლო̄-ხჳ-ამ „შევჭამე" ლა̄-ხ-ამ „შეჭამე" ლა-ლ-ე̄მ „შეჭამა"	ლო-ხჳ-ემ ლა̈-ხ-ემ ლა̈-ლ-ემ‖ლა̈-ნ-ემ	ლო̄-ხჳ-ემ ლა̄-ხ-ემ ლა-ლ-ე̄მ	ლა̈-ხჳ-ემ‖ ლო-ხჳ-ემ ლა̈-ხ-ემ ლა̈-ლ-ემ	ლო̄-ხჳ-ემ ლა̄-ხ-ემ ლა-ლ-ე̄მ	ლა̈-ხჳ-ემ ლა̈-ხ-ემ ლა̈-ლ-ემ‖ლა̈-ნ-ემ
1 2 3	ლო̄-ხუ̂შ (← ხჳ-ჷშ) „დავლიე" ლა̄-ხ-ჷშ „დალიე" ლა-ი̄შ „დალია"	ლო-ხუშ (← ლო-ხჳ-ჷშ) ლა-ხ-ჷშ ლა-ჸ-შ‖ლა-ნ-იშ	ლო-ხუ̂შ ლა-ხ-ჷშ ლა-ლ-ჷ̄შე	ლო-ხუ̂შ‖ლა-ხუ̂შ ლა-ხ-ჷშ ლაა̈/-ჸ-შ	ლო-ხუ̂შ ლა-ხ-ჷშ ლა-ლ-ჷ̄შე	ლო-ხუ̂შ ლა-ხ-ჷშ ლა-ჸ-შ‖ლა-ნ-იშ
1 2 3			ჸ-ჷჩად „წავიდა"			

ლა- წინდებულიანი ზმნების უმრავლესობას, როგორც მოცემული პარადიგმიდან თვალნათლივ ჩანს, აორისტსა და აწმყოში სამივე პირის ფორმა ეწარმოებათ, თუმცა გამონაკლისის სახით შეგვხვდა რამდენიმე ლა- პრევერბიანი ზმნური ფორმა, რომელთაც ლა- მხოლოდ მესამე პირის ფორმაში აქვთ შემორჩენილი (შდრ. ლნტ.: ლა̈-ჸ-თიე „მომკა", ლა-ჸ-შტუჳე „წამოთოვა", ლა̈-ჸ-შყჳედ „გარეცხა", ლა̈-ჸ-ფურშკჳინე „დაფშვნა", ლა-ჸ-ჰემ-ე „მოთიბა, წათიბა", ლა̈-ჸ-ჯგმ'ა̈'რე „მოიხმარა", ლა-ჸ-ჰკუარე „გაიფიქრა"; ბზ., ჩოლ. ლა-ჸ-კჳერმე „გაყინა"; ზს. ლა-ჸ-შყჳედ „გარეცხა"; ლხმ. ლა-ჸ-ფურშგჳინე „დაფშვნა"; ბქ. ლა-ნ-ბა/ა̈რ, ლხმ. ლა-ჸ-ბარ „დაბანა"; ბქ. ლა-ნ-ლექჳრე‖ლა-ჸ-ლექჳრე „დაფქვა"; ბზ. ლა̈-ჸ-რგჰა̈ნ, ბქ., ლნტ. ლა̈-ჸ-რგჰან „განათდა, ინათასავით"; ლშხ. ჸ-გჩად „წავიდა" და ა. შ.), პირველსა და მეორე პირში კი სხვა ზმნისწინები ენაცვლება. ფაქტია, რომ მესამე პირის ფორმათა

წარმოებაც საკმაოდ შერყეულია სვანურში[1], რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სწორედ ინოვაციასთან.

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის, ბალსზემოელი, რ. იოსელიანისთვის ლა-ძ-შყუ̄ედ „გარეცხა“, ლა-ძ-რგჩხნე „გაავლო“, ლა-ძ-კუ̄ერმე „გაყინა“ და ა. შ. ტიპის ფორმათა წარმოება უცხო ნამდვილად არ არის, თუმცა მათ პარალელურად ლა̄-შყუ̄ედ||ა-შყუ̄ედ, ად-რგჩხნე, ად-კუ̄ერმე ტიპის ფორმებსაც იყენებს.

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხვაობაა ერთი დიალექტის შიგნითაც კი. ჩვენ მეტი თვალსაჩინოებისათვის სპეციალურად შევისწავლეთ და აღვნუსხეთ ლა- წინდებულიანი ზმნები ლახამულური კილოკავის მიხედვით და შევუდარეთ ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავის მონაცემებს. აღნიშნული მასალის მოძიებაში დაგვეხმარა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რ. ჭკადუა, რომელიც დიდი ხანია მუშაობს სვანური ზმნის მორფოლოგიაზე. გაირკვა, რომ ლახამულური კილოკავი, რომელიც დიდი არქაულობით გამოირჩევა, ლა- წინდებულიან ზმნათა ხმარების მხრივ, ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან დიდად არ განსხვავდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მესამე პირში სუბიექტური პირის გამოსახატავად იშვიათი გამონაკლისების გარდა /ლ-/-ს პოზიციურ ბგერინაცვლად მიჩნეული /ძ-/ გვხვდება; რაც შეეხება /ნ-/-ს, იგი სულ ორიოდე ზმნაში დაფიქსირდა (შდრ., ლხმ. ლა̈-ნ-ემ „შეჭამა“, ლა-ნ-იშ „დალია“), რომელიც ისედაც ცნობილი იყო საენათმეცნიერო ლიტერატურიდან.

მართალია, ბალსზემოურში, I და II პირში, როგორც ჩვენ მიერ შედგენილი პარადიგმიდან ჩანს, ლა-ძ-შყუ̄ედ||ლა̄-შყუ̄ედ (||ა-შყუ̄ედ) „გარეცხა“ ფორმას ო-შყოდ „გავრეცხე“, ა-შყოდ „გარეცხე“ ფორმები უპირსპირდება, მაგრამ რადგან ბალსზემოურ მეტყველებაში იშვიათად (სპორადულად) მაინც დაჩნდება ლო̄-შყოდ „გავრეცხე“ ფორმაც, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლა- პრევერბიანი ზმნები I და II პირსაც აწარმოებდნენ (შდრ. მრავლობითი რიცხვის ფორმა — ლო̄-ხ-ოშყუ̄დ „გავურეცხე“). საინტერესოა, რამ გამოიწვია ლა- პრევერბისეული ხმოვნის სიგრძე ბალსზემოურ ლა̄-შყუ̄ედ ფორმაში, როდესაც ლა-ძ-შყუ̄ედ ფორმაში იგივე ლა- უგრძელხმოვნოდ არის წარმოდგენილი? როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს კომბინატორულ სიგრძესთან. სვანურში, კერძოდ, სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში, არის შემთხვევები, როდესაც ფუძისეული (ან თანდებულისეული) ი ხმოვანი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას კარგავს, თვითონ იოტად იქცევა და შემდეგ გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს (ყღენტი 1949:75) (შდრ. ლშხ. ბა̄რახ||ბა̄ძრახ „ბაირაღი“ — იხ. მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005). ვფიქრობთ, რომ აქაც ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ლა-ძ-შყუ̄ედ და ლა̄-შყუ̄ედ „გარეცხა“ ფორმითაც და შინაარსითაც თითქმის ერთი და იგივეა, მათ შორის რაიმე სემანტიკურ სხვაობას ვერ ვხედავთ. როგორც ჩანს, მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მიჩნეული /ლ-/-ს პოზიციური ბგერინაცვლის /-ძ-/-ის გაქრობამ მოახდინა გავლენა წინამავალ წინდებულისეულ ა-ზე და დააგრძელა. საანალიზო ფორმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი ასე წარმოგვიდგება: ბზ. ლა̄-შყუ̄ედ < ლა-ძ-შყუ̄ედ <* ლა-ლ-შყუ̄ედ.

სვანურში მესამე სუბიექტური პირის ნიშნის გამოსახატავად, როგორც უკვე ითქვა, გამოყენებულია პრეფიქსი /ლ-/ (ხუთიოდე ზმნაში)[2] და მისი პოზიციური ვარიანტები /ნ-/ და /ძ-/, რომლებიც

---

[1] ძველი თაობის წარმომადგენლები უფრო ხშირად ხმარობენ ამ ფორმებს, ვიდრე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები.

[2] შესაძლოა /ლ-/ მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მივიჩნიოთ ლგკა̄ჩ||კაჩ „ალმართულია, დგას ერთ ადგილას გაშეშებული“ ზმნურ ფორმაშიც. თუ ჩვენი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, მაშინ იმ ხუთიოდე ლ- პრეფიქსიან ზმნას, რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, დაემატება მეექვსეც. აღნიშნული საანალიზო ფორმა ბალსქვემოურის გარდა სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ დაფიქსირებულა და ამ უკანასკნელშიც იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა ფაქტია, რომ არსებობს და იგი არაერთი ადამიანისგან მოგვისმენია, ცხადია, არც ჩვენი მეტყველებისთვის არის უცხო. არ არის გამორიცხული, რომ სვანურში კიდევ დაიძებნოს მსგავსი მაგალითები.

მრავალ ზმნაში დაფიქსირდა (შდრ. ლა-ჲ-შ||ლა-ნ-იშ||ლა-ლ-ჲშ „დალია“...). ცნობილია ისიც, რომ /ლ-/-ს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად თითქმის ყველა მკვლევარი აღიარებდა და, რაღა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისს ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა პროფ. მ. ქალდანის მიერ გამოვლენილმა /ნ-/ პრეფიქსიანმა ფორმებმა, სადაც /ნ-/ /ლ-/-ს პოზიციურ ბგერინაცვლადაა მიჩნეული (ე. ი. მესამე სუბიექტური პირის ნიშნად), გვავარაუდებინა შემდეგი: ხომ არ არის /ნ-/ **ან** წინდებულის ნაშთი? მაგ., შდრ. ლა-ნ-უჩხე ← *ლა-ან-უჩხე „წამოწვიმა“, ლა-ნ-თე ← *ლა-ან-თე „მომკა“, ლა̈-ნ-სკორე ← *ლა-ან-სკორე „გაიფიქრა“..., სადაც ა+ა ხმოვანთკომპლექსიდან, როგორც წესი, ერთ-ერთი ხმოვანი უნდა დაკარგულიყო, ე. ი. შესაძლოა ელიზია განხორციელებულიყო, რასაც გვავარაუდებინებს ლა-ნ-უჩხე, ლა-ნ-თე, ლა̈-ნ-სკორე ფორმების პარალელურად ან-უჩხე „წამოწვიმა“, ან-თე „მომკა“, ა̈ნ-სკორე „გაიფიქრა“ და ა. შ. ფორმთა არსებობა; ეს პარალელური ფორმები სემანტიკურად დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ვფიქრობთ, არ არის გამორიცხული ამგვარი ინტერპრეტაცია, რადგანაც რთულ ზმნისწინებში, მორფემათა ზღვარზე, როგორც ცნობილია, ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში ადგილი აქვს ელიზიას, ხოლო ბალსზემოურსა და ლაშხურში ხდება ხმოვანთშერწყმა (შდრ. ბზ., ლშხ. ქ'ა̄ნსკინე ← ქა+ან-სკინე, ბქ. ქ'ანსკინე ← ქა+ან-სკინე, ლნტ. ქ'ანასკინე ← ქა+ან-ასკინე „გამოხტა“, ბზ., ლშხ. ქ'ა̄დგა̄თჳე ← ქა+ად-გა̄თჳე, ბქ. ქ'ადგათჳე ← ქა+ად-გათჳე, ლნტ. ქ'ადაგათჳე ← ქა+ად-აგათჳე „გაათავა“ და ა. შ.).

ცნობილი ენათმეცნიერის კ. ჰ. შმიდტის თვალსაზრისით, სვანური /ლ-/ პრეფიქსი ორ წყაროდან უნდა მომდინარეობდეს: „ა) პერფექტული ასპექტის ინდიკატორია, შდრ. პრევერბი /ლა-/; ბ) ნაზმნარი სახელის ინდიკატორია, შდრ. პრეფიქსი /ლი-/“ (1982:62-73).

ჩვენ ვიზიარებთ ყველა იმ ცნობილი ენათმეცნიერის შეხედულებას /ლ-/ პრეფიქსის შესახებ, რომლებიც მას მესამე სუბიექტური პირის უძველეს ნიშნად მიიჩნევენ (ცნობილ ხუთიოდე ზმნაში), ხოლო, რაც შეეხება /ნ-/-ს, როგორც უკვე ითქვა, იგი შესაძლოა ან- პრევერბის ნაშთიც აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ლ → ნ||ჲ ფონეტიკურ გარდაქმნაზე მსჯელობას ერთი შეხედვით ლ → ნ პროცესიც უჭერს მხარს როგორც საკუთრივ სვანური ფონდის სიტყვებში [მაგ.: სვან. **ჰყჳენ||ჰყონ** „საზარდული“: ქართ. (ხევს.) მ-**წყვილ**-ი „საზარდული“ : ზან. (მეგრ.) **წყურ**- (← **ჰყურ**-), სვან. **ჰყჳენ||ჰყონ** ← ***ჰყუენ** ← ***ჰყჳილ**; სვან. **ჰგმინ** „ქერი“ : ქართ. **წინოლ**-ი ← **წიმოლ**-ი : ზან. **ჰიმურ**-ი, სვან. **ჰგმინ** ← ***ჰგმელ** და სხვ.), ასევე ნასესხებ ლექსიკაშიც (მაგ.: ქართ. **ჩერგილ**-ი → სვან. **ჩერგენ**...] (ჩუხუა 2000-2003:17; 2003:219), მაინც ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის ირგვლივ ახალი მასალის მოძიება და ჲ-სა და ნ-ს ლ-ს ბგერინაცვლად მიჩნევის საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. მითუმეტეს, რომ ლ → ნ ფონეტიკური პროცესი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქმედებს.

2. 4. ზმნისწინთა ყველა შესაძლო კომბინაცია სვანურში

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურ ზმნისწინსაც (resp. პრევერბს) მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. მას გააჩნია როგორც სიტყვაწარმოებითი, ასევე ფორმაწარმოებითი ფუნქციები: ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობებს, გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას (გეზსა და ორიენტაციას), აწარმოებს მომავალ დროს და, ამასთანავე, ზმნაში გამოხატულ მოქმედებას სძენს დასრულებულ სახეს.

თანამედროვე სვანურში, როგორც უკვე ითქვა, არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება ლა-, ან-, ად-, ეს-, ხოლო მეორეში

— ჟი, ჩუ, სგა (||ისგა), ქა ზმნისწინები. ცნობილია ისიც, რომ პირის მორფემათა ალომორფების განაწილებაზე მხოლოდ პირველი რიგის ზმნისწინები ახდენენ გავლენას, რომელთა ძირითადი ფორმები (ლა-, ან-, ად-, ეს-) ყველა დიალექტში თითქმის ერთნაირად არის წარმოდგენილი, ერთადერთ გამონაკლისად ითვლება ეს- ზმნისწინი, რომლის ლენტეხური (ზოგ კილოკავში, აგრეთვე, ჩოლურული) ვარიანტი არის არა ეს-, არამედ ას- (იხ. ზემოთ!).

პრევერბი, როგორც ცნობილია, სვანურშიც ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია სულ რვა. აქედან ოთხი ძირითადია, ოთხი კი — თანდებულთან საზიარო. ძირითადია ლა-, ან-, ად-, ეს-, ხოლო პრევერბ-თანდებულია ჟი, ჩუ, სგა (||ისგა), ქა-. სწორედ მათი შერწყმით (თანდებულ-პრევერბი + ძირითადი პრევერბი) არის მიღებული რთული ზმნისწინი (ჟი + ას-, ჩუ + ად-, სგა + ა-, ქა + ეს-, სგა + ლა-...).

მარტივი ზმნისწინები

1. თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, გამოყოფენ ლა- ზმნისწინის შემდეგ ალომორფებს: ლა-, ლა̈-, ლა̄-, ლა̈̄-, ლო-, ლო̄-, რომელთაც დაემატა ლაშხურში, ჩოლურულსა და ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილოკავში (ცხუმარულში, ეცერულსა და ჰუბერულში) დადასტურებული ლე- ალომორფი (საღლიანი 2011:60).

2. სხვადასხვა პოზიციაში ან- ზმნისწინის სხვადასხვა ვარიანტები დასტურდება, ესენია: ა-, ა̈-(ე-), ო-, ან-, ა̈ნ- (ენ-), ონ-. ყოველი კონკრეტული მათგანი, ცხადია, სრულიად განსაზღვრულ პირობებშია წარმოდგენილი.

3. ასევე სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება ად- ზმნისწინის შემდეგი ვარიანტები: ა̈-(ე-), ო-, ა-, ა̈თ-(ეთ-), ოთ-, ათ-, ა̈დ-(ედ-), ად-. საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ ად- ზმნისწინის ალომორფებს (ზემოსვანურში, ლაშხურსა და ჩოლურულში) დაემატა ოდ- ალომორფი. ლენტეხურსა და ბალსქვემოური დიალექტის ლახამულურ კილოკავში კი ოდ- ალომორფის ხმარების შემთხვევები არ გამოვლენილა (იქვე).

4. ეს- ზმნისწინის ვარიანტებია: ე-, ეს-, ო-, ოს-, ა-, ას-, ა̈-, ა̈ს-.

სვანურ ზმნისწინთა (ლა-, ან-, ად-, ეს-) ალომორფების განაწილების სურათი დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით სრულიად განსხვავებულია. სანტერესოა ისიც, რომ სხვაობას ადგილი აქვს თვით ერთი დიალექტის შიგნითაც.

მარტივი (ძირითადი) ზმნისწინები: ლა-, ან-, ად-, ეს- აღნიშნავენ მოქმედების მიმართულებას (გეზს) და ორიენტაციას.

ან- აღნიშნავს მიმართულებას იქიდან აქეთ, I პირისაკენ, და უდრის ქართ. მო-ს (მაგ.: ან-ღრი „მოდის", ან-ჰიდ „მოიტანა", ან-ქინე „მორბის" და ა. შ.). ამდენად, იგი თითქმის ორიენტაციის მაჩვენებელია.

ად-/ა- და ეს-/ას- აღნიშნავენ (ან-ის) საპირისპირო მიმართულებას, ანუ საიქეთოა, რომელიც მესამე პირისაკენ მიმართულებას გამოხატავს, თუმცა ორიენტაციას არ უჩვენებს, უდრის ქართ. მი-, და-, გა-, წა- ზმნისწინებს (მაგ.: ად-იე „წაიღო", ეს-ღრი „მიდის" და სხვ.).

ლა-ც საიქეთოა, აღნიშნავს მიმართულებას აქედან იქით და უდრის ქართ. შე-ს, ზოგჯერ მი- და წა- ზმნისწინებს (მაგ.: ლა-ლე̄მ „შეჭამა", ლა-ი̄შ „შესვა", ლა-ხუ̄ემ „მისცა", ლა-ნ-ჰემე „წათიბა"...).

ძირითადი ზმნისწინები (ლა-, ან-, ად-, ეს-) მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზმნასთან და არასოდეს სცილდებიან მას. რაც შეეხება თანდებულებთან საზიარო ზმნისწინებს, მათ მეტი დამოუკიდებლობა ახასიათებთ, შეუძლიათ დაშორდნენ ზმნის ფუძეს და შუაში ჩაირთონ რაიმე სიტყვა ან ნაწილაკი (შდრ. ტმესი ძველ ქართულში).

მარტივ ზმნისწინთა პარადიგმატული სისტემა სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით
(ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტით)

ზნ.	ბქ.	ლშხ.	ლნტ.	ჩოლ.	ცხუმ.	ლხმ.	უშგ.
ან-, ა-, ა̄-, ონ-, ო- = მო-	ან-/ა̈ნ-, ა-, ა̈-, ჷნ-, ჷ-, ონ-, ო-	ან-, ა-, ჷნ-, ე-, ონ-, ო-	ან-/ა̈ნ-, ა-, ა̈-, ონ-	ან-, ა-, ა̈-, ენ-, ჷ-, ონ-, ო-	ან-, ა-, ა̈-, ჷნ-, ონ-, ო-	ან-/ა̈ნ-, ა-, ა̄-, ონ-, ო-	ან-, ა-, ა̈-, ონ-, ო-
ად-, ათ-, ა-, ა̈დ-, ა̈თ-, ა̈-, ოდ-, ოთ-ო- = მო-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-	ად-, ათ-, ატ-, ა-, ა̄დ-, ა̈თ-, ა̈-, ედ-, ჷთ-, ჷ-, ოდ-, ოთ-, ოტ-, ო-	ად-, ა-, ჷდ-, ეთ-, ჷ-, ოთ-, ო-	ად-, ათ-, ა-, ა̈დ-, ა̈თ-, ა̄-, ოთ-	ად-, ა-, ჷდ-, ჷთ-, ოთ-, ო-	ად-, ათ-, ა-, ა̈-, ჷთ-, ჷდ-, ჷ-, ოდ-, ოთ-, ოტ-, ო-	ად-, ა-, ა̈დ-, ა̈-, ოთ-, ო-	ად-, ათ-, ა-, ოთ-, ო-
ჷს-, ე- = მი-, და-, წა(რ)-	ეს-, ე-, ოს-, ო-	ეს-, ჷ-, ო-	ას-, ა̈ს-	ეს-, ჷ-, ას-, ო-	ეს-, ჷ-, ოს-	ეს-, ე-	ეს-, ე-
ლა-, ლა̈-, ლა̄-, ლა̄-, ლო- = შე-, მი-, გა-, წა-, და-, წა(რ)-?	ლა-, ლა̈-, ლე-, ლო-	ლა-, ლა̄-, ლე-, ლო-, ლო̄-	ლა-, ლა̈-	ლა-, ლა̄-, ლჷ-, ლო-	ლა-, ლა̈-, ლე-, ლო-	ლა-, ლა̈-, ლო-	ლა-, ლა̄-, ლა̈̄-, ლო-
ჟი- = ა(ღ)-, ზედ‖ზე	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-	ჟი-
ჩუ- = ქვე‖ქე, ჩა-, და-	ჩუ-, ჩ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-	ჩუ-, ჩ-
სგა- = შე-, შთა-/ჩა-	სგა-, ისგა-	სგა-	სკა-	სკა-/სგა	სგა-	სგა-	სგა-, ისგა-
ქა- = გა(ნ)-, წა(რ)-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-	ქა-

რთული ზმნისწინები

ზმნისწინ-თანდებულთაგან ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას აღნიშნავენ **ჟი** და **ჩუ**, **სგა** და **ქა**.

ჟი- აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით, ხოლო **ჩუ-** ზევიდან ქვევით; **ჟი-** შეესატყვისება ქართ. **ზე-ს**, მეგრ. **ჟი-ს**, ხოლო **ჩუ-** ქართ. **ქვე-ს**, რომელიც მტკიცებით ნაწილაკადაც არის გამოყენებული. **სგა-** გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით ისევე, როგორც ქართ. **შე-**. **ქა-** კი, პირიქით, გამოხატავს მიმართულებას შიგნიდან გარეთ და უდრის ქართ. **გა-ს**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანურში რთული პრევერბები მიღებულია მარტივ ზმნისწინთა (**თანდებულ-პრევერბი + ძირითადი პრევერბი**) შერწყმით.

თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ რთულ ზმნისწინთა პარადიგმატულ ცხრილებს სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით (ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტით, — სულ 208 კომბინაცია):

ჟი + ან- „აღმო-, ამო-“

ჟი + ან- > **ჟ'ან-** (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-
ჟი + ა̈ნ- > **ჟ'ა̈ნ** (ზს., ლნტ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ა- > **ჟ'ა** (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-
ჟი + ა̈- > **ჟ'ა̈** (ზს., ლნტ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-
ჟი + ჷნ- > **ჟ'ჷნ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-

ჟი + ენ- > ჟ'ēნ (ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-

ჟი + ე- > ჟ'ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-

ჟი + ონ- > ჟ'ონ (ზს., ქს.) = აღმო-, ამო-

ჟი + ო- > ჟ'ო (ზს., ლშხ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-

ჟი + ად- „ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-"

ჟი + ად- > ჟ'ად- (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ათ- > ჟ'ათ- (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ატ- > ჟ'ატ- (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + äდ- > ჟ'äდ- (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + äთ- > ჟ'äთ- (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი- + ა- > ჟ'ა- (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ä- > ჟ'ä- (ზს., ლნტ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი- + ედ- > ჟ'ედ- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი- + ეთ- > ჟ'ეთ- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ე- > ჟ'ე- (ბქ., ლშხ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ოთ- > ჟ'ოთ- (ზს., ქს.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ოდ- > ჟ'ოდ (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ოტ- > ჟ'ოტ- (ბქ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ო- > ჟ'ო (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-

ჟი + ეს-/ას- „ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-"

ჟი + ეს- > ჟ'ეს- (ზს., ლშხ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი- + ას- > ჟ'ას- (ლნტ., ჩოლ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი- + äს- > ჟ'äს- (ლნტ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ეს- > ჟჲეს (ბქ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ე- > ჟ'ე- (ზს., ლშხ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ოს- > ჟ'ოს- (ბქ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ო- > ჟ'ო- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ზე||ზედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-

ჟი + ლა- „ზე შე-, ა(ღ)-"

ჟი + ლა- (ზს., ქს.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლä- (ზს., ლნტ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლā- (ბზ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლǟ- (ბზ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლე- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჟი + ლō- (ლშხ.) = ზე შე-, ა(ღ)-

ჩუ + ან- „ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-“

ჩუ + ან- > ჩუ̂ან- (ზს., ქს.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ა̈ნ- > ჩუ̂ა̈ნ- (ზს., ლნტ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ან- > ჩ'ან- (ბქ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ა- > ჩუ̂ა (ბზ., ქს.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ა̈- > ჩუ̂ა̈ (ზს., ლნტ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ე- > ჩუ̂ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ენ- > ჩუ̂ენ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ო- > ჩუ̂ო (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ო- > ჩ'ო (ბქ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > ჩუ̂ონ- (ზს., ქს.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > ჩ'ონ (ბქ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-
ჩუ + ონ- > ჩ'ო̄ნ- (ბზ., ლშხ.) = ქვე‖ქე: მო-, ჩამო-, დამო-

ჩუ + ად- „ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-“

ჩუ + ად- > ჩუ̂ად- (ზს., ქს.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ათ- > ჩუ̂ათ- (ზს., ქს.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ათ- > ჩუ̂ა̄თ- (ბზ., ლშხ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა- > ჩუ̂ა̄- (ბზ., ლშხ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა̈თ- > ჩუ̂ა̈თ- (ზს., ლნტ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა̈დ- > ჩუ̂ა̈დ- (ზს., ლნტ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა̈დ- > ჩუ̂ა̄̈დ- (ბზ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ატ- > ჩუ̂ატ- (ბქ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა- > ჩუ̂ა- (ზს., ქს.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ა̈- > ჩუ̂ა̈- (ზს., ლნტ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ეთ- > ჩუ̂ეთ- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ედ- > ჩუ̂ედ- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ე- > ჩუ̂ე- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ოთ- > ჩუ̂ოთ- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ო- > ჩუ̂ო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ო- > ჩ'ო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ოთ- > ჩ'ოთ- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ად- > ჩ'ად- (ბქ.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-
ჩუ + ათ- > ჩ'ათ- (ზს.) = ქვე‖ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ად- > ჩ'ა̈დ- (ბზ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ა- > ჩ'ა- (ბქ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ა̈- > ჩ'ა̈- (ბზ., ლნტ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ოდ- > ჩ'ოდ- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ოტ- > ჩჳოტ- (ბქ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ო̄თ- > ჩ'ო̄თ- (ბზ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ოტ- > ჩ'ოტ- (ბქ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ო- > ჩ'ო- (ზს., ლშხ.) = ქვე||ქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ეს- „ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-"

ჩუ + ეს- > ჩჳეს- (ზს., ლშხ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ას- > ჩჳას- (ლნტ., ჩოლ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ა̈ს- > ჩჳა̈ს- (ლნტ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ე- > ჩჳე- (ზს., ლშხ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ოს- > ჩჳოს- (ბქ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ოს- > ჩ'ოს- (ბქ., ლშხ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ო- > ჩჳო- (ბქ.,ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ას- > ჩ'ას- (ლნტ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ეს- > ჩ'ეს- (ზს., ლშხ.) = ქვე||ქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-

ჩუ + ლა- „ქვე||ქე: შე-, მი-"

ჩუ + ლა- (ზს., ქს.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლა̈- (ზს., ლნტ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლა̄- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლა̈̄- (ბზ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლე- (ლშხ., ჩოლ., ცხუმ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

ჩუ + ლო̄- (ლშხ.) = ქვე||ქე: შე-, მი-

სგა + ან- „შემო-"

სგა + ან- > სგ'ან- (ზს., ქს.) = შემო-

სგა + ან- > სგ'ა̄ნ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-

სგა + ა̈ნ- > სგ'ა̈ნ (ზს., ლნტ.) = შემო-

სგა + ა̈ნ- > სგ'ა̈̄ნ (ბზ.) = შემო-

სკა + ან- > სკ'ან- (ლნტ.) = შემო-

სგა + ა- > სგ'ა- (ზს., ქს.) = შემო-

სგა + ა̈- > სგ'ა̈- (ზს., ლნტ.) = შემო-

სგა + ე- > სგ'ე- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-

სგა + ე- > სგ'ე̄- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-

სგა + ენ- > სგ'ენ- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შემო-

სგა + ონ- > სგ'ონ- (ზს., ქს.) = შემო-

სგა + ონ- > სგ'ო̄ნ- (ბზ., ლშხ.) = შემო-

სგა + ად- „შე- [მი-, და-, გა-, წა-]"

სგა + ად- > სგ'ად- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ად- > სგ'ა̄დ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ათ- > სგ'ათ- (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ათ- > სგ'ა̄თ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈დ- > სგ'ა̈დ (ზს., ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈თ- > სგ'ა̈თ (ზს., ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სკა + ად- > სკ'ად- (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈დ- > სგ'ა̈̄დ (ბზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈- > სგ'ა̈̄ (ბზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈თ- > სგ'ა̈̄თ (ბზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ატ- > სგ'ატ (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ეთ- > სგ'ეთ- (ცხუმ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ეთ- > სგ'ე̄თ- (ლშხ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ედ- > სგ'ედ- (ცხუმ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა- > სგ'ა- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა- > სგ'ა̄- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სკა + ა- > სკ'ა- (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈- > სგ'ა̈- (ზს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ო- > სგ'ო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ო- > სგ'ო̄- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ოთ- > სგ'ოთ- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ოთ- > სგ'ო̄თ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ოდ- > სგ'ოდ- (ზს., ქს.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ოდ- > სგ'ო̄დ- (ბზ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ოტ- > სგ'ოტ- (ბქ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ა̈- > ს + ა̈- > ს'ა̈ (ლნტ.) = შე- [მი-, და-, გა-, წა-]

სგა + ეს-/ას- „შე- [მი-, და-], ჩა-"

სგა + ეს- > სგ'ეს- (ზს., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-

სგა + ეს- >სგ'ე̄ს- (ბზ., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-

სგა + ე- > სგ'ე- (ზს., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სკა + ას- > სკ'ას- (ლნტ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სკა + ა̈ს- > სკ'ა̈ს- (ლნტ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ოს- > სგ'ოს- (ბქ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ოს- > სგ'ო̄ს- (ბზ., ლშხ.) = შე- [მი-, და-], ჩა-
სგა + ო- > სგ'ო- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = შე- [მი-, და-], ჩა-

სგა + ლა- „შე-, მი-"

სგა + ლა- (ზს., ქს.) = შე-, მი-
სკა + ლა- (ლნტ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლა̈- (ზს., ლნტ.) = შე-, მი-
სგა + ლა̄- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლა̈̄- (ბზ.) = შე-, მი-
სგა + ლე- (ლშხ., ჩოლ., ბქ.) = შე-, მი-
სგა + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) = შე-, მი-
სგა + ლო̄- (ლშხ.) = შე-, მი-

ისგა + ან- „შემო-"

ისგა + ან- > ისგ'ან (ეცერ., ლხმ.) = შემო-
ისგა + ან- > ისგ'ა̄ნ- (უშგ.) = შემო-
ისგა + ად- > ისგ'ად- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ად- > ისგ'ა̄დ- (უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ა- > ისგ'ა- (ეცერ., ლხმ., უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ა- > ისგ'ა̄- (უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ეს- > ისგ'ეს- (ეცერ., ლხმ.) = შე-, ჩა-
ისგა + ეს- > ისგ'ე̄ს- (უშგ.) = შე-, ჩა-
ისგა + ლა- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ოთ- > ისგ'ოთ- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]
ისგა + ოთ- > ისგ'ო̄თ- (უშგ.) = შე [მი-]
ისგა + ოტ- > ისგ'ოტ- (ეცერ., ლხმ.) = შე [მი-]

ქა + ან- „გამო-, წამო-"

ქა + ან- > ქ'ან- (ზს., ქს.) = გამო-, წამო-
ქა + ან- > ქ'ა̄ნ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-
ქა + ა- > ქ'ა- (ზს., ქს.) = გამო-, წამო-
ქა + ა̈ნ- > ქ'ა̈ნ- (ბქ.) = გამო-, წამო-
ქა + ა̈- > ქ'ა̈- (ზს., ლნტ.) = გამო-, წამო-

ქა + ენ- > ქ’ენ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-

ქა + ენ- > ქ’ე̄ნ- (ლშხ.) = გამო-, წამო-

ქა + ე- > ქ’ე- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გამო-, წამო-

ქა + ონ- > ქ’ონ- (ზს., ქს.) = გამო-, წამო-

ქა + ად- „გა-[მი-], წა-, და-“

ქა + ად- > ქ’ად- (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ად- > ქ’ა̄დ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა̈დ- > ქ’ა̈დ- (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ათ- > ქ’ათ- (ბქ., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა̈თ- > ქ’ა̈თ- (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ათ- > ქ’ა̄თ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა- > ქ’ა̄- (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა̈- > ქ’ა̈̄- (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა̈თ- > ქ’ა̈̄თ- (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ათ- > ქ’ათ- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ატ- > ქ’ატ- (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა- > ქ’ა- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ა̈- > ქ’ა̈- (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ეთ- > ქ’ეთ- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ეთ- > ქ’ე̄თ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ედ- > ქ’ედ- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ედ- > ქ’ე̄დ- (ბზ., ლშხ., ჩოლ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ე- > ქ’ე- (ბქ., ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ო- > ქ’ო- (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოთ- > ქ’ოთ- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოდ- > ქ’ოდ- (ზს., ქს.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოდ- > ქ’ო̄დ- (ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოთ- > ქ’ო̄თ- (ბზ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ო- > ქ’ო̄- (ბზ., ლშხ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ოტ- > ქ’ოტ- (ბქ.) = გა-[მი-], წა-, და-

ქა + ეს-/ას- „გა-, და-, წა-“

ქა + ეს- > ქ’ეს- (ზს., ლშხ.) = გა-, და-, წა-

ქა + ეს- > ქ’ე̄ს- (ბზ., ლშხ.) = გა-, და-, წა-

ქა + ე- > ქ’ე- (ზს., ლშხ.) = გა-, და-, წა-

ქა + ას- > ქ’ას- (ლნტ., ჩოლ.) = გა-, და-, წა-

ქა + ა̈ს- > ქ’ა̈ს- (ლნტ.) = გა-, და-, წა-

ქა + **ოს**- > ქ'**ოს**- (ბქ.) = გა-, და-, წა-
ქა + **ოს**- > ქ'**ო̄ს**- (ბზ., ლშხ.) = გა-, და-, წა-
ქა + **ო**- > ქ'**ო**- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = გა-, და-, წა-

ქა + **ლა**- „გა-, მი-, [გა-]შე-“

ქა + **ლა**-[1] (ზს., ქს.) = გა-, მი-, [გა-]შე-
ქა + **ლა̈**- (ზს., ლნტ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
ქა́ + **ლა̄**- (ბზ., ჩოლ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
ქა + **ლა̈̄**- (ბზ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
ქა + **ლე**- (ბქ., ლშხ., ჩოლ.) = გა-, მი-, [გა-]შე-
ქა + **ლო**- (ზს., ლშხ., ჩოლ.)
ქა + **ლო̄**- (ლშხ.) = გა-, მი-, [გა-]შე-.

გამორიცხულია სხვაგვარი კომბინაცია, ე. ი. პირუკუ შეერთება: **ან-ჟი**, **ად-ჩუ**, **ა-სგა**, **ეს-ქა**, **ან-ლა**, **ად-ეს** და ა. შ.

3. კვლავ ერთი ტიპის დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში

ზმნათა დეფექტურობა მრავალ ენაში აღინიშნება. ცხადია, ამ თვალსაზრისით არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს. 1976 წლამდე ეს საკითხი სვანურში სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. პროფ. ვ. თოფურიას სვანური ზმნისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში „სვანური ენა, I, ზმნა“ განხილული აქვს მხოლოდ ძირმონაცვლე (მისი ტერმინოლოგიით **ძირცვალებადი**) ზმნები და იქვე ცალკე პარაგრაფად აქვს წარმოდგენილი რამდენიმე თავისებური ზმნის (**ხაყა** „ყავს, ვარგა“, **ხუღუა/ე** „აქვს“, **ხაკუ** „უნდა“, **იგნა̈ლ** „დგება“, **ხაჯეშ** „გავს, ღირს“ და ა. შ.) ფონეტიკურ-მორფოლოგიური დახასიათება. კ. გაგუამ სვანურ დეფექტურ ზმნებს სპეციალური ნაშრომი „დრონაკლი ზმნები სვანურში“ მიუძღვნა. მან სვანური დრონაკლი ზმნები პირობითად ორ დიდ ჯგუფად დაყო: **ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები** და **ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები**. პირველ ჯგუფში შესულია პროფ. ვ. თოფურიას მიერ განხილული ყველა ძირმონაცვლე ზმნა (**ა̈რი** „არის“, **ხედა** „უვლის, შეუპოვრად გადის, მაგ., წყალში“, **ღგრი** „დის“, „წავა“, **იზბი** „ჭამს“, **ითრე** „სვამს“ და სხვ.), გარდა **ზი** „ძევს“ ზმნისა, და მის მიერ დამატებულია ორი ზმნა [**ხეწა̈დ** „ნახა, დაინახა“ და **ესო̄ზი** „გაურბის; გასდის (ქვაბს)“], ხოლო ფუძემონაცვლე დრონაკლ ზმნათა ჯგუფში გაერთიანებულია ე. წ. საშუალი გვარის ზმნები როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური აგებულებისა და რამდენიმე სტატიკური ზმნაც.

კ. გაგუას მონოგრაფიაში „დრონაკლი ზმნები სვანურში“ ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი და წარმოდგენილია ავტორისეული დაკვირვების შედეგები ერთი ტიპის ზმნებზე — **ადა̈ნ** (მ'ა̈და̈ნ „რა იქნა“...), **ხოჩდა** „ყოფილა“ და **ათხა̈დ** „თქვა“, რომელთა რაოდენობა, ავტორის თქმით, იმდენად მცირეა, რომ შეიძლება უხერხულიც კი იყოს მათი ცალკე გამოყოფა, მაგრამ, ვინაიდან ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან ძირითად თავებში განხილული სხვა ზმნებისგან, ამიტომ შესაძლებლად მიიჩნევს მათ ცალკე განხილვას. ამ ზმნებს არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არც იყოს საჭირო ნაკლულ ფორმათა რითიმე შევსება (1976: 106.).

[1] შეიძლება აქ **ლგ**- ალომორფიც დაემატოს.

წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ტიპის ზმნებზე გვექნება საუბარი, რომელთა რაოდენობა სვანურში, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ დიდია, და საინტერესო სტრუქტურული თავისებურებით გამოირჩევა. სანამ ჩვენ მიერ მოპოვებული ახალი მასალის ანალიზზე გადავალთ, მანამდე ერთი-ორი სიტყვით შევეხებით კ. გაგუას მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ დრონაკლ ზმნას **ადäნ** (**მ'äდäნ** „რა იქნა"...), რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სულ რამდენიმე ფორმა გააჩნია, კერძოდ, დრო-კილოთა II ჯგუფიდან წყვეტილის ფორმები[1], ხოლო დრო-კილოთა III ჯგუფიდან I და II თურმეობითის[2] ფორმები (იქვე:107).

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნულ ზმნასთან ერთად შეიძლება განვიხილოთ, აგრეთვე, დრო-კილოთა I ჯგუფიდან **პირობითსრულის** ფორმები, მაგ.: **მ'ოთდენიდäს** „სად წავიდოდი, გავქრებოდი", **მ'ეთდენიდäს** „სად წახვიდოდი, გაქრებოდი", **მ'ეთდენიდა‖მ'ეთდენიჳ?** „სად წავიდოდა, გაქრებოდა?" მესამე პირის ფორმაში მოსალოდნელია ასევე **მ'ე/äდდენოლ?** ფორმაც.

გვხვდება დასახელებული ზმნის რელატიური ფორმებიც, მაგ.: ბქ. **ლäმრ მ'ე/äმდენიჳ‖მ'ე/äმდენოლ?** „წიგნი სად წამივიდოდა?" **ბეფშუ მ'ე/äმდენიჳ‖მ'ე/äმდენოლ?** „ბავშვი სად წამივიდოდა?" **ლäმრ მ'ე/äჯდენიჳ‖მ'ე/äჯდენოლ?** „წიგნი სად წაგივიდოდა"? **ბეფშუ მ'ე/äჯდენიჳ‖მ'ე/äჯდენოლ?** „ბავშვი სად წაგივიდოდა"? **ლäმრ მ'ე/äთდენიჳ‖მ'ე/äთდენოლ?** „წიგნი სად წაუვიდოდა?" **ბეფშუ მ'ე/äთდენიჳ‖მ'ე/äთდენოლ?** „ბავშვი სად წაუვიდოდა?"

როგორც კ. გაგუა შენიშნავს, აღნიშნული ზმნა სვანურში ჩვეულებრივ III პირის ფორმით გამოიყენება, თუმცა არც პირველი და მეორე პირის ფორმებს გამორიცხავს და ნიმუშად ასახელებს წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმებს **მ'äდჳნ**, **äდგნ**, რომლებიც დასტურდება ბალსზემოურში: **მ'äდჳნ?** ი ამჩუ ხჳäრი, — ლახტიხ ბეფშუდ „რა ვიქენი? და აქ ვარ, — უპასუხა ბავშვმა"; ალამäგ მარაäსგა მäმდო **äდგნ** სი, დეშმა ახჳმეჴერ „ამდენ კაცში რა იქენი შენ, ვერაფერი გავიგე" (იქვე). საანალიზო დეფექტური ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები დასტურდება ბალსქვემოურ დიალექტშიც. მაგ.: **მ'ოდენ?** **ი ამეჩუ ხჳäრი** „რა ვიქენი? და აქ ვარ", **მ'ადენ**, იმეგ ხäრი? „რა იქენი, სად ხარ?" მäდორ **ადენ**, შდეშ ოხმეჴირ „სად წახვედი („რა იქენი"), ვერ გავიგე და ა. შ.

შენიშვნა: კ. გაგუას მიერ ერთპირიან ფორმად მიჩნეული **ხარäზ მäმდან** „ხარაზი რა იქნა?" ჩვენი დაკვირვებით, ორპირიანი ზმნაა და ითარგმნება შემდეგნაირად: **ხარაზი სად წაგივიდა** („ხარაზ-ი რა გექნა?")?"

შდრ. ასევე ბალქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტში წარმოდგენილი წყვეტილის რელატიური ფორმები:

ბქ.

I პ. მუშგäრი **მ'ემდან?** „სტუმარი სად წამივიდა?" ‖ ლäმრ **მ'ოდუ?** „წიგნი რა ვუყავი?"
II პ. მუშგäრი **მ'ეჯდან?** „სტუმარი სად წაგივიდა?" ‖ ლäმრ **მ'ადუ?** „წიგნი რა უყავი?"
III პ. მუშგäრი **მ'ეთდან?** „სტუმარი სად წაუვიდა?" ‖ ლäმრ **მ'ადჳინ?** „წიგნი რა უყო?"

ლნტ.

I პ. **მა äმდან** „სად წამივიდა?"
II პ. **მა äჯდან** „სად წაგივიდა?"
III პ. **მა äთდან** „სად წაუვიდა?"

---

[1] ბალსქვემოურში **მ'ადან** „რა იქნა" ფორმის პარალელურად დასტურდება **მ'ოდäნ** (მაგ. **მ'ოდäნ პიწილ?** „სად წავიდა ბავშვი?") ფორმაც, რომელიც ლახამულური დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს.

[2] ლენტეხურში I თურმეობითისთვის წარმოდგენილ ზმნის პირიან ფორმას **მა ლოჴ äმედენ**, ასევე, დაემატა **მა ლოჴ ომდენ‖ომდენელი‖ომდენელიხ‖ომდენლიხ** ფორმები (იხ. „სვანური პროზაული ტექსტები", III, ლენტეხური კილო, თბილისი, 1967, გვ. 215).

და I თურმეობითის სამივე პირის ფორმა ბალსქვემოურში:

I პ. **ლა̈ჲრ ესერ მ'ემდუნა?** „წიგნი რა მიქნიაო?“
II პ. **ლა̈ჲრ ესერ მ'ეჯდუნა?** „წიგნი რა გიქნიაო?“
III პ. **ლა̈ჲრ ესერ მ'ოთდუნა?** „წიგნი რა უქნიაო?“

უნდა ითქვას ისიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებული ზმნის მხოლოდ მესამე პირის ფორმებია წარმოდგენილი I თურმეობითისათვის, მაგ.: **მა̈ჲ ა̈მდენ?** „რა ქმნილაო“? **მა̈ჲ ა̈მდენლი?** „რა ქმნილაო“? **მ'ესერ ომდენ?** „რა ქმნილაო“? და ა. შ. (იქვე).

რა შეიძლება ითქვას ამ ფორმათა შესახებ?

ჩვენი დაკვირვებით, I თურმეობითად მიჩნეული — **მა̈ჲ ა̈მდენ? მა̈ჲ ა̈მდენლი? მ'ესერ ომდენ?** რომელთაც ბალსქვემოურში I და II პირიც ეწარმოებათ, ვფიქრობთ, IV თურმეობითის ფორმებია. მაგ.:

IV თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი

I პ. **მ'ესერ ომდენელხჳ** „რა ვქმნილიყავიო თურმე?“
II პ. **მ'ესერ ომდენელხი** „რა ქმნილიყავიო თურმე?“
III პ. **მ'ესერ ომდენ˹ელი˺**[1] „რა ქმნილაო თურმე?“

საანალიზო ზმნის IV თურმეობითის ფორმები დადასტურდა ლენტეხურშიც:

I პ. **მ'ესერ ა̈მდენელხჳ** „რა ვქმნილიყავიო თურმე?“
II პ. **მ'ესერ ა̈მდენელხი** „რა ქმნილიყავიო თურმე?“
III პ. **მ'ესერ ა̈მდენ˹ელი˺** „რა ქმნილაო თურმე?“

როგორც ვნახეთ, ადვილი შესაძლებელია დროთა განმავლობაში დანაკლისი ფორმების შევსება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, თუმცა ამისი საჭიროება დიდად არ იგრძნობა, ვინაიდან ამ მხრივ მათ სტაბილური მდგომარეობა უჭირავთ.

რაც შეეხება კ. გაგუას მიერ ცალკე ჯგუფად გამოყოფილ დანარჩენ ორ ზმნას (**ხოჩდა** „ყოფილა“ და **ათხა̈დ** „თქვა“), მათგან ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ პირველ მათგანზე, ვინაიდან **ათხა̈დ** „თქვა“ ზმნის პირიანი ფორმების შესახებ ამჯერად დამატებითი მასალა არ მოგვეპოვება.

მიჩდა „ვყოფილვარ“, **ჯიჩდა** „ყოფილხარ“, **ხოჩდა** „ყოფილა“ ფორმები, როგორც პროფ. თ. შარაძენიძეს მიუთითებია მკვლევრისათვის, **ლიჩედ** „წასვლა“ ზმნის ფუძიდან უნდა მომდინარეობდესო (იქვე, იხ. სქოლიო).

ჩვენი აზრით, მყოფობის გამომხატველი ზმნა **ხოჩდა** „ყოფილა“ დროთა მიხედვით ძირმონაცვლე ზმნაა და იგი **ლიჩედ** „წასვლა“ ზმნის ფუძიდან არ უნდა მომდინარეობდეს. ისიც უნდა ითქვას, რომ **ლიჩედ** სხვადასხვა სემანტიკით გამოიყენება სვანურში — წ ა ს ვ ლ ა და გ ა ქ ც ე ვ ა. პირველ შემთხვევაში ძირმონაცვლეა (მაგ.: **ოსღჳრი** „მივდივარ“, მაგრამ **ოლჩედ** „წავიდეთ“, **ოდერ** „წავედი“, მაგრამ **ოლჩადდ** „წავედით“...), მეორე შემთხვევაში კი წესიერი წარმოების ზმნა ჩანს, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **ლიჩედ**-ის მიჩნევა ს ვ ლ ი ს აღმნიშვნელ ზმნის პირიან ფორმათა საწყისად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სვანურში დროის მიხედვით ძირმონაცვლე

---

[1] საანალიზო ზმნის ფორმათა ძირეულ მასალად კ. გაგუა ასახელებს -**დ**- ელემენტს, რომელიც, მისი აზრით, მ ყ ო ფ ო ბ ა ს უნდა გამოხატავდეს, და უშვებს შესაძლებლობას მისი **ზგ** „ძევს“ ზმნის ძირეულ მასალასთან (**ზ** < **დ**) დაკავშირებისა, ვინაიდან მყოფობის შინაარსი არც ამ უკანასკნელისთვისაა უცხო (იხ. კ. გაგუა, „დრონაკლი ზმნები სვანურში“, თბ., 1976, გვ. 108).

ცამეტ ზმნათაგან ერთ-ერთია მ ყ ო ფ ო ბ ი ს გამომხატველი ზმნა **ა̈რი/არი** „არის", რომელიც საკუთარი ძირით მხოლოდ რამდენიმე ნაკვთს აწარმოებს: აწმყოს, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითს, დანარჩენ ნაკვთებში კი (მყოფადსრულში, პირობითსა და უნახავ II-ში) **-რდ-** ძირია წარმოდგენილი, სწორედ ეს **-რდ-** ძირი დასტურდება ამ ზმნისაგან ნაწარმოებ სახელებშიც — საწყისსა და მიმღეობებში (იქვე:21-24).

ა̈რი/არი „არის" ზმნისთვის მესამე და მეოთხე სერიაში მხოლოდ უნახავ II-ის ფორმებია (მაგ.: I პ., ბზ. **ლგმა̈რდხჷი||ლგმგრდე̄ლხჷი**, ბქ., ლნტ. **ლგმა̈რდხჷი||ლგმა̈რდეხჷი||ლგმა̈რდელხჷი**, ლშხ. **ლგმარდხჷი||ლგმარდე̄ლხჷი** „ვყოფილვარ"; II პ., ბზ. **ლგმა̈რდხი||ლგმგრდე̄ლხი**, ბქ., ლნტ. **ლგმა̈რდხი||ლგმა̈რდეხი||ლგმა̈რდელხი**, ლშხ. **ლგმარდხი||ლგმარდე̄ლხი** „ყოფილხარ"; III პ., ბზ. **ლგმა̈რდ||ლგმგრდე̄ლი**, ბქ., ლნტ. **ლგმა̈რდ||ლგმა̈რდელი||** ბქ. **ლგმა̈რდლი**, ლშხ. **ლგმარდ||ლგმარ-დე̄ლი** „ყოფილა") მკვლევრის მიერ მითითებული (გაგუა იქვე:24), თუმცა, როგორც სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, III და IV სერიაში მ ყ ო ფ ო ბ ი ს გამოსახატავად დიალექტების მიხედვით ერთმანეთს ენაცვლება **ხოჩდა** და **ხორდჷნა** ზმნის პირიანი ფორმები. პირველი მათგანი, ბალსქვემოური დიალექტის გარდა, სვანურის ყველა დიალექტში ფიქსირდება, მეორე მათგანი კი წარმოდგენილია მხოლოდ ბალსქვემოურსა და ლენტეხურში.

გავრცელების თვალსაზრისით კი სვანური დიალექტები ასეთ სურათს გვიჩვენებენ:

I **თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი**: ბქ., ლნტ. **მირდჷნა** „ვყოფილვარ", **ჯირდჷნა** „ყოფილხარ", **ხორდჷნა** „ყოფილა"

II **თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი**: ბქ., ლნტ. **მირდჷნენს** „ვყოფილიყავ", **ჯირდჷნენს** „ყოფილიყავ", **ხორდჷნენს** „ყოფილიყო"

III **კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი**: ბქ. **მირდჷნენეს** „ვყოფილიყო", **ჯირდჷნენეს** „ყოფილიყო", **ხორდჷნენეს** „ყოფილიყოს"

III **თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი**: ბქ. **მა̈რდჷნენა** „ვყოფილვარ თურმე", **ჯა̈რდჷნენა** „ყოფილხარ თურმე", **ხა̈რდჷნენა** „ყოფილა თურმე".

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზმნათა დეფექტურობის ნიმუშები საენათმეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალით არ ამოიწურება და მათი რაოდენობა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საკმაოდ დიდია და, ამავე დროს, მეტად საინტერესოც.

საველე პირობებში ჩვენ დავაფიქსირეთ არა ერთი ისეთი დეფექტური ზმნა, რომელთა უმეტესობა დღემდე არსებულ არც ერთ პუბლიკაციაში არ დაფიქსირებულა და, ამდენად, მათი აღწერა და კონკრეტული ანალიზი ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება.

როგორც ცნობილია, დეფექტურ ანუ თავისებურ ზმნად მიიჩნევა ყოველი **პირნაკლი**, **რიცხვნაკლი**, **დროնაკლი**, **გვარნაკლი** და **ქცევანაკლი** ზმნა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ზმნათა ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია სვანური ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა სისტემისა და განვითარების ისტორიის შესწავლისათვის, თუმცა რთულიც სვანური ზმნის ბუნებიდან გამომდინარე.

უნდა ითქვას ისიც, რომ კატეგორიანაკლ ზმნათა ანალიზი ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებში მხოლოდ აღწერითი ხასიათისაა, თუმცა, როგორც პროფ. ვ. თოფურია აღნიშნავს: „სვანურში შემონახული არქაიზმები, გაჩენილი ინოვაციები, რთული ფონეტიკური პროცესები, დიალექტთა ნარეობა და თავისებურებანი, სხვა ენათა სუბსტრატის არსებობა და სხვა მოვლენები ხელშესახებ მასალას იძლევიან კერძო და ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემათა წამოსაყენებლად და გადასაჭრელად. ამ მხრივ სვანური ენის აგებულების ყოველმხრივ აღწერას გარკვეული წვლილის შეტანა ევალება" (თოფურია 1967:XXIII). ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომიც გარკვეულ წვლილს შეიტანს სვანური ენის აგებულებისა და ისტორიული განვითარების შესწავლაში.

ცნობილ მეცნიერთა კვალდაკვალ ჩვენც აღნიშნულ ნაშრომში წინა პლანზე წამოვწევთ დროնაკლ ზმნათა აღწერას და მათ კონკრეტულ ანალიზს, თუმცა შეძლებისდაგვარად ყურადღება იქნება

გამახვილებული ამა თუ იმ საანალიზო ზმნის ძირის ისტორიაზეც.

როგორც უკვე ითქვა, სვანური დრონაკლი ზმნები სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად ორ დიდ ჯგუფად არის დაყოფილი: **ძირმონაცვლე დრონაკლი ზმნები** და **ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნები**, რომელთა რაოდენობა 68 ერთეულით განისაზღვრება[1].

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ კ. გაგუას მიერ გაანალიზებულ **ერთი ტიპის დრონაკლ ზმნებზე**, რომელთა ცალკე გამოყოფა, მათი სიმცირის გამო, უხერხულადაც კი მიაჩნია ავტორს. ჩვენ შევეცდებით ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით მათი რაოდენობის გაზრდას და ამით იმ უხერხულობის დაძლევასაც, რაზეც მკვლევარი მიუთითებდა.

ზმნათა უმრავლესობას, როგორც ცნობილია, ადვილად შეუძლია გამოხატოს ყველა დრო-კილოს ფორმა ისე, რომ ზმნის ძირს ცვლილება არ მოუვიდეს, თუმცა ზმნათა მნიშვნელოვანი ნაწილი ამის შესაძლებლობას მოკლებულია. ამგვარ ზმნებს ერთ ან ორ დრო-კილოზე მეტი საერთოდ არ გააჩნია და თუ მოეპოვებათ დამატებით რომელიმე დრო, ფუძე სათანადო ცვლილებას განიცდის (ქავთარაძე 1954:12). ცნობილი მეცნიერის ამ დებულებას ეწინააღმდეგება კ. გაგუას მიერ საანალიზოდ ზემოთ წარმოდგენილი სვანური სამიოდე ზმნა და ჩვენ მიერ სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში დაფიქსირებული არა ერთი ზმნური ფორმა, რომლებიც ნაკლული ფორმების შევსების საჭიროებას თითქოს არ საჭიროებენ. .

როგორც ზემოთ ითქვა, მკვლევრის მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ სამ ზმნათაგან ერთ-ერთი (**მ'ა̈̄და̈ნ** „რა იქნა") მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებაში დასტურდება და კონტექსტის გარეშე მისი მნიშვნელობის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. მსგავსი წარმოების (ანუ კითხვითსიტყვიან წინადადებაში წარმოდგენილი) აღმოჩნდა ასევე: **მ'ა̈/ეჯგაფან** „რა (ჯანდაბა) დაგემართა?!", **მა̈ ჯაგიფ** „რა (ჯანდაბა) გჭირს!" და ბქ. **მა̈ ხჵილყაჩა** „რა ვილონო, რა ვქნა?!" **მ'ა̈/ედყაჩან** „რა მოხდა?!" ფორმები, რომლებიც კითხვითი ნაცვალსახელის მა̈-ს გარეშე ფაქტიურად არ გამოიყენება და ის მნიშვნელობა, რაც მათ აქვთ, მეორეულია.

1. მხოლოდ კითხვითსიტყვიან წინადადებაში დასტუდება ბქ. **ხჵილყაჩა** ზმნაც, რომელიც დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. საანალიზო ზმნა დრონაკლია, ამასთან, ზოგიერთ მწკრივში პირნაკლულობითაც გამოირჩევა.

I სერიის ფორმებიდან ეწარმოება მხოლოდ მყოფადისეული ორი დრო და ორივე მწკრივში სამივე პირის ფორმითაა წარმოდგენილი. მაგ.:

მ ყ ო ფ ა დ ი ს რ უ ლ ი: **იმ ხჵილყა̈ჩისგ**, **ადჵე**?! „აბა, რას ვიზამ?!"; **იმ ხილყა̈ჩისგ**, **ადჵე**?! **ჩიღად ლეზი ჯარ** „აბა, რას იზამ?! აუცილებლად უნდა წახვიდე"; **იმ ილყა̈ჩისგ**, **ადჵე**, **ლუცხჵლე ალი**?! „რას იზამს, აბა, ეს საცოდავი?!"

სვანურში **აწმყოს ფუძე** + **სუფიქსით** შედგენილი ზმნა რომ მყოფადსრულის ფორმა იყოს, ვ. თოფურიას მოსაზრებით, იშვიათია. იგი ასახელებს სულ რამდენიმე მაგალითს სვანური დიალექტების მიხედვით და მათ შორის ბალსქვემოურ **-ისგ** სუფიქსით ნაწარმოებ ორიოდე ზმნას, მაგ.: **ხამ6-ისგ** „აჭმევს", **ხა̈ბჟინ-ისგ** „შეატყობინებს" (თოფურია 1967:11). ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ზმნაც სწორედ ასეთი წარმოებისაა.

პ ი რ ო ბ ი თ ი ს რ უ ლ ი: **იმ ხჵილყაჩას˹გჵ˺**, **ადჵე**?! „აბა, რას ვიზამდი?!"; **იმ ხილყაჩას˹გჵ˺**, **ადჵე**?! „აბა, რას იზამდი?!"; **იმ ილყაჩას˹გჵ˺**, **ადჵე**?! „აბა, რას იზამდა?!"

მეორე სერიის ფორმებიდან მხოლოდ II კავშირებითი ეწარმოება.

[1] აქვე შევნიშნავთ, რომ მოძიებული გვაქვს 100-ზე მეტი ფუძემონაცვლე დრონაკლი ზმნა, რომლებიც არ არის სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი. ამ ზმნათა პარადიგმები წარმოდგენილი იქნება სრულად მონოგრაფიაში — „**კვლავ დრონაკლი ზმნებისათვის სვანურში**". რაც შეეხება ძირმონაცვლე დრონაკლ ზმნებს, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდისა, სათანადო ახალი მასალა სვანურში ვერ მოვიძიეთ.

II კავშირებითი: **მა̈ ხჟილყაჩა, იმთ'ოთსკინა?!** „რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე („საით გადავხტე?!")?!"; **მა̈ ხილყაჩა ი ბაჟდ ანჴედ, ღჟე მა̈გ ხოჩამდ ირი** „რა ქნა და გონს მოდი („გონად მოდი") და („მერე") ყველაფერი კარგად იქნება"; **მა̈ ილყაჩას ლეუცხჟლ'ამნემდ?!** „რა ქნას ამ საცოდავმა („რა იღონოს დამწვარმა ამან?!")?!" **მა̈ ილყაჩას მარემ?!** „რა ქნას ადამიანმა („კაცმა")?!" თუმცა შესაძლოა აორისტის მესამე პირის ფორმაც შეგვხვდეს ასეთ კონტექსტში — **მ'ეთ/დგლყაჩან, სი ზურალ, ალი იმღა ჩჟემნ?!** „რა მოხდა, შე ქალო, ეს რატომ გააკეთე?!" ამ ფორმის არსებობას ადასტურებს **მ'ეთ/დყაჩან** ფორმაც, რაც სემანტიკურად იგივეა, რაც **მ'ეთ/დგლყაჩან**. ორივე ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს **ლიყა̈ჩ||ლიყჩე** „დაწვა" მასდარი.

მესამე სერიიდან ეწარმოება მხოლოდ IV სერიის IV თურმეობითის III პირის ფორმა, მაგ.: **მა̈ როჴ ოლყაჩელი, სი ზურალ, ალი როჴ იმჟ'ოხსყახ?!** „რა მოხდაო („რაო დამწვარა?!" ანუ „მომხდარა თურმე", „დანამწვარა"), შე ქალო, ეს როგორ გააკეთესო?!"

გამოთქმაში — **მა̈ ხოლყაჩა**, ალო?! „რა უნდა ქნას, აბა, კაცმა („რა დაუწვია, აბა?!")?!", ჩვენი აზრით, იგულისხმება I თურმეობითის III პირის ფორმა.

გამოიყენება მხოლოდ სუბიექტური წყობით.

ორპირიანი, გარდამავალი, მედიოაქტიური გვარის ზმნაა, რომელიც დრონაკლობასთან ერთად პირნაკლიც არის. უფუნქციო, ფორმალური სათავისოა, ვინაიდან საპირისპირო ფორმები აკლია. ნაკლული ფორმების შევსების საჭიროება თითქოს არ იგრძნობა.

2. მეორე ზმნა, რომელიც კითხვითსიტყვიან წინადადებაში დავადასტურეთ, ესაა ბალსქვემოური **მა̈ ხაგიფ** „რა (ჯანდაბა) სჭირს?!" იგი გამოიყენება სამივე პირის ფორმით და არის ფუძემონაცვლე ზმნა, თუმცა ყველა დროს მაინც ვერ აწარმოებს.

საწყისი შესაძლოა იყოს **ლიგა̈ფ**. რაც შეეხება მიმღეობურ ფორმებს, ისინი ვერ დავადასტურეთ.

პირველი სერიის ფომებიდან ეწარმოება:

აწმყო: **დეშ ჰჟედნი გუდ, მა̈დო მაგიფ** „ვერ ვხვდები („ვერ მოვდივარ გულ-ად"), რა მჭირს"; **მა̈ ჯაგიფ, მა̈'მბა̈ჟ ჯარ?!** „რა ჯანდაბა გჭირს, რა დღეში ხარ („რა ამბავ-ი გაქვს?!")?!"; **მა̈ ხოშა ღერმეთ ხაგიფ?!** „რა ჯანდაბა სჭირს?!"

უწყვეტელი: **მა̈ მაგიფდა ი ლგჷხრინე ხჟა̈სჟ** „რა მჭირდა და გაბრაზებული ვიყავი"; **მა̈ ჯაგიფდა, ალი იმღა ჩჟემნ?!** „რა ჯანდაბა გჭირდა, ეს რატომ გააკეთე?!"; **მა̈ ხოშა ღერმეთ ხაგიფდა, ალი იმღა ანსყე?!** „რა ჯანდაბა სჭირდა, ეს რატომ გააკეთა?!"

აწმყოს კავშირებითი შეიძლება ვაწარმოოთ (მაგ.: **მა̈ მაგიფდეს** „რა ჯანდაბა მჭირდეს", **მა̈ ჯაგიფდეს** „რა ჯანდაბა გჭირდეს", **მა̈ ხაგიფდეს** „რა ჯანდაბა სჭირდეს"), თუმცა მთლად ბუნებრივი არ არის.

მყოფადუსრული ჩვეულებრივ ეწარმოება: **ეჯგჟა̈რ მ'ემგა̈ფი, ერე ალის დეშ ოხსყენე?!** „ისე რა ღმერთი გამიწყრება („იმ-გვარ-ი რა წილი დამედება წინ?!")?!"; **ეჯგჟა̈რ მ'ეჯგა̈ფი, ერე ეჩხაჟ დეშ ადრგნე?!** „ისე რა ღმერთი გაგიწყრება („იმ-გვარ-ი რა წილი დაგედება წინ"), რომ იქ ვერ წახვალ?!"; **ეჯგჟა̈რ მ'ეხგა̈ფი||მ'ესგა̈ფი, ერე ალის ჩჟემნის?!** „ისე რა ღმერთი გაუწყრება („იმ-გვარ-ი რა წილი დაუდგება წინ?!"), რომ ეს გააკეთოს („რომ ამას იზამს?!")?!"

პირობითსრული (ხოლმეობითი): **ეჯგჟა̈რ მ'ემგა̈ფიდა||მ'ემგა̈ფიჟ, ერე ალის ჩჟემნასჟ?!** „იმისთანა რა ღმერთი გამიწყრებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დამედებოდა წინ"), რომ ამას ვიზამდი?!"; **ეჯგჟა̈რ მ'ეჯგა̈ფიდა||მ'ეჯგა̈ფიჟ, ერე ალის ჩჟემთჟიფა̈ს?!** „იმისთანა რა ღმერთი გაგიწყრებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დაგედებოდა წინ"), რომ ამას დამიკარგავდი?!"; **ეჯგჟა̈რ მ'ეხგა̈ფიდა||მ'ეხგა̈ფიჟ, ერე ლაგჟანათე დეშ ადრგნა?!** „იმისთანა რა ღმერთი გაუწყრებოდა („იმ-გვარ-ი რა წილი დაედებოდა წინ"), რომ გასვენებაში არ წავიდოდა?!"

დრო-კილოთა მეორე ჯგუფიდან მხოლოდ წყვეტილის ფორმები ეწარმოება.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი: **მ'ემგაფან||მ'ემგაფანდა, ალი იმჟი ლემქად?!** „რა პირი მეტაკა||რა ჯანდაბა დამემართა, ეს როგორ შემეშალა?!“; **მ'ეჯგაფან||მ'ეჯგაფანდა, ალი იმღა ჩჷემნ?!** „რა პირი გეტაკა||რა ჯანდაბა დაგემართა, ეს რატომ გააკეთე?!“; **მ'ეხგაფან||მ'ეხგაფანდა||მ'ოხგაფან||მ'ოხგაფანდა||მ'ესგაფან-და||მ'ოსგაფანდა ალი იმღა ადდაჷშე?!** „რა პირი ეტაკა||რა ჯანდაბა დაემართა, ეს რატომ გააფუჭა?!“

II კავშირებითი არ ეწარმოება (**ეხგაფანდეს** არარსებული ფორმაა).

მესამე სერიიდან ეწარმოება მხოლოდ I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **ამგჷა̈რიშ როქ მა̈'მგაფენა?!** — **მეზჷბელდ მა̈ქჷე** „ამისთანა რა დაგემართაო („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დამდებია წინ?!“)?! — მეზობელმა მითხრა“; **ამგჷა̈რიშ როქ მა̈'ჯგაფენა?!** — **მეზჷბელა̈რდ** „ამისთანა რა დაგემართაო („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დაგდებია წინ?!“)?! — მეზობლებმა“; **ამგჷა̈რიშ როქ მ'ესგაფენა ალ ზჷრალს?!** „ამისთანა რა დაემართაო ამ ქალს („ამ-გვარ-ის-ო რა წილი დასდებია წინ ამ ქალს?!“)?!“

დანარჩენი თურმეობითის ფორმები, ჩვენი დაკვირვებით, არ ეწარმოება.

რა უნდა იყოს ძირეული მასალა? ჩვენი აზრით, ძირი უნდა იყოს **გა̈ფ** (შდრ. ფერეიდნ. **გაფ-ი** „ამბავი, საქმე“), რაც გვხვდება **ლაგა̈ფ** (ზს., ლნტ.), **ლაგაფ** (ლშხ.) „ულუფა, კერძი, წილი (ხორცის)“ ფორმაში და, ასევე, შემდეგ გამოთქმებშიც, მაგ.: **ხოლა გა̈ფ ხაგიფ** „ცუდად იქცევა, ცუდ დღეშია“, **ხოლა გა̈ფოლჷ ეჯგაფენა!** „ცუდი საქმე დაგემართოს, არ გაიხარო („ცუდი წილი, ულუფა დაგედოს წინ!“)!“

ფუძემონაცვლე რელატიურ-გარდაუვალი (სტატიკური) ზმნაა (მედიოპასიური, საარვისო ქცევის ფუძემონაცვლე) **ხალა̈ტ** „უყვარს“ ტიპისა.

საანალიზო ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით გამოიყენება. უნდა ითქვას, რომ ოდენობიექ-ტური წყობის ზმნები ყოველთვის გამოხატავენ საჭიროებას, გრძნობას, აფექტაციას და უმეტესობას მოეპოვება მარტო რამდენიმე დრო, კერძოდ, აწმყო და ნამყო უწყვეტელი (მარი 1931:144).

პროფ. ზ. ჭუმბურიძის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებში“ განხილულია სტატიკური ზმნა **ხაგფა**, რომელსაც აქვს „აფარიია“-ს მნიშვნელობა, იგი მყოფადში იყენებს დინამიკური ვნებითის აწმყოს ფორმას: **ხეგფი** „ეფარება“, მეორე მხრივ კი თვით ეს დინამიკური ვნებითის ფორმა მყოფადს აწარმოებს აწმყოს ფუძეზე ზმნისწინის დართვით, მაგ.: **ხეგფი** „ეფარება“, **ა̈თგა̈ფი** „დაეფარება“ [შდრ. ასევე: **ხა̈მთქჷა** „სჩვევია“ — **ხემთქჷი** „ჩვევად ექნება“, **ხემთქჷი** „ეჩვევა“ — **ა̈თმითქჷი** „მიეჩვევა“, **ლა̈ხმითქჷი** „შეეჩვევა“; **ხაჲხა** „ჰქვია“ — **ხეჲხი** „ერქმევა“, **ხეჲხი** „ერქმევა“ — **ა̈თჲა̈ხი** „დაერქმევა“ და ა. შ. (ჭუმბურიძე 1986:177)].

გამოდის, რომ მყოფადში ერთმანეთის გვერდით გვაქვს წყვილ-წყვილი ფორმები, რომლებიც გარეგნულად მხოლოდ ზმნისწინით განსხვავდებიან, მნიშვნელობით კი, როგორც ავტორი მიუთითებს, ისევე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც მყოფადსრული და მყოფადუსრული, თუმცა წარმოშობით ისინი სხვადასხვანი არიან: ერთი სტატიკური ვნებითია და მხოლოდ უსრული ასპექტის გაგებას იგუებს, ანუ მომავალ დროში მას მხოლოდ მყოფადუსრულის გამოხატვა შეუძლია, მყოფადსრული კი აკლია; რაც შეეხება მეორე ზმნას, იგი დინამიკური ვნებითია და მყოფადის სრულ ასპექტს გამოხატავს, მყოფადუსრული კი არ მოეპოვება. ერთი ფუძიდან ნაწარმოები ეს ორი ზმნა მყოფადში ერთიმეორეს უვსებს დანაკლისს და ამ გზით განასხვავებს მყოფადუსრულსა და მყოფადსრულს (იქვე).

ზემოთ განხილული ზმნების გარდა, ჩვენი ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, რამდენიმე ისეთმა დეფექტურმა ზმნამ, რომელთა უმრავლესობას დრო-კილოთა ყველა ფორმა არ ეწარმოება და ზოგი მათგანი **დრონაკლულობასთან** ერთად **პირნაკლიც** არის და **რიცხვნაკლიც**. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

3. **ხჷაბა̈ჯიდ** „ვეჭვობთ, ვიმედოვნებთ რაღაცას“.

ბალსქვემოური **ხჷაბა̈ჯიდ** „ვეჭვობთ, ვიმედოვნებთ რაღაცას“ ზმნა, მხოლოდ მრავლობითი რიცხვის (სუბიექტის ექსკლუზიური პირის) ფორმით დადასტურდა. ეწარმოება მხოლოდ I სერიის ორი მწკრივი — აწმყო და უწყვეტელი.

ა წ მ ყ ო: **ნიშგეშხენ როქ ხჳაბა̈ჯიდ**, დეიდალო! „ვიმედოვნებთ, ვეჰვობთ, დეიდა გენაცვალოსო!"

შენიშვნა: როდესაც მთქმელს ვთხოვეთ ამ ზმნის ზუსტი განმარტება მოეცა, მან სვანურადვე გვიპასუხა: იღნაჳალნი, ეჯის როქ ონჰირდ ანუ **ხჳაბა̈ჯიდ** „იმას ვეჰვობთ||ვიმედოვნებთ, რომ შეიძლება ორსულად იყოსო („ორსულდებოდეს იქნება, იმას მოველითო")".

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **იმ ხჳემდაბდ ი ხჳაბა̈ჯიჳდ** „რას ვაკეთებდით და ვეჰვობდით, ვფიქრობდით, ვბჰობდით".

საანალიზო ზმნის საწყისის ფორმა არ შეგვხვედრია, თუმცა თავისუფლად შეიძლება **ლიბა̈ჯი** „ნელ-ნელა, ეჭვით, ირონიით, რაღაცის თქმა; სათქმელის გაჰიანურება" ფორმის გამოყენება.

ორპირიანი, გარდამავალი, მედიო-აქტიური ზმნაა, რომელიც დრონაკლულობასთან ერთად რიცხვნაკლიც არის და პირნაკლიც.

4. დრონაკლია ასევე ბქ. **ხემზარალ** „რაიმე დაავადების (მაგ. გრიპის, ვირუსის...) დაწყება, დასაწყისი" ზმნაც, რომელსაც ეწარმოება მხოლოდ I სერიის რამდენიმე მწკრივი.

ა წ მ ყ ო: **ეჯჳი ხჳა̈თერ, ერე გრიპ მემზარელ** „როგორც ვატყობ, გრიპი მეწყება", **სიჲ გრიპ ჯემზარელ** „შენც გრიპი გეწყება", ბეფშუს **გრიპ ხემზარელ** „ბავშვს გრიპი ეწყება".

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მემზარალდა** „მეწყებოდა, მეპარებოდა", **ჯემზარალდა** „გეწყებოდა, გეპარებოდა", **ხემზარალდა** „ეწყებოდა, ეპარებოდა".

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მემზარალდეს** „მეწყებოდეს, მეპარებოდეს", **ჯემზარალდეს** „გეწყებოდეს, გეპარებოდეს", **ხემზარალდეს** „ეწყებოდეს, ეპარებოდეს".

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მემზარალნი** „მეწყებოდეს იქნება, მეპარებოდეს იქნება", **ჯემზარალნი** „გეწყებოდეს იქნება, გეპარებოდეს იქნება", **ხემზარალნი** „ეწყებოდეს იქნება, ეპარებოდეს იქნება".

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მემზარალნიჳ** „მეწყებოდეს იქნება, მეპარებოდეს იქნება", **ჯემზარალნიჳ** „გეწყებოდეს იქნება, გეპარებოდეს იქნება", **ხემზარალნიჳ** „ეწყებოდეს იქნება, ეპარებოდეს იქნება".

დავაფიქსირეთ IV სერიის III თურმეობითის ფორმაც სამივე პირში: **მამზარელა** „მეწყებოდა თურმე, მეპარებოდა თურმე", **ჯამზარელა** „გეწყებოდა თურმე, გეპარებოდა თურმე", **ხამზარელა** „ეწყებოდა თურმე, ეპარებოდა თურმე".

დანარჩენი დროები არც ეწარმოება და არც იგრძნობა დანაკლისი ფორმების რითიმე შევსების საჰიროება.

შესაძლოა ქართულ **მზარავს** ზმნას უკავშირდებოდეს, თუმცა არ გამოვრიცხავთ მის შესაძლო კავშირს ქართ. (გურ.) **ზრინება** „ციების დასაწყისში შეციება, წოდინი" ფორმასთანაც.

5. მსგავსი სემანტიკისაა ჩოლურული **ხეკა̈ნა̄ლ**[1] „ავადმყოფობა ეწყება, ენიშნება" ზმნის პირიანი ფორმაც, რომლის საწყისიც არის **ლიკა̈ნა̄ლ** „სიყრუის, გრიპის, საერთოდ რაიმე დაავადების დაწყება". აღნიშნულ ზმნას მხოლოდ აწმყოსეული დროები ეწარმოება.

ა წ მ ყ ო: **ლეგლირდე მეკა̈ნა̄ლ** „ავადმყოფობა მეწყება, მენიშნება", **ლეგლირდე ჯეკა̈ნა̄ლ** „ავადმყოფობა გეწყება, გენიშნება", **ლეგლირდე ხეკა̈ნა̄ლ** „ავადმყოფობა ეწყება, ენიშება".

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ლეგლირდე მეკა̈ნა̄ლდა** „ავადმყოფობა მეწყებოდა, მენიშნებოდა", **ლეგლირდე ჯეკა̈ნა̄ლდა** „ავადმყოფობა გეწყებოდა, გენიშნებოდა", **ლეგლირდე ხეკა̈ნა̄ლდა** „ავადმყოფობა ეწყებოდა, ენიშნებოდა".

6. ბქ. **ხეჰა̈ნი**, ბზ. **ხეჰა̄ნი** „გაემტყუნება".

საწყისია ბქ. **ლიჰა̈ნი**, ბზ. **ლიჰა̄ნი** „გამტყუნება", ხოლო რაც შეეხება მიმღეობურ ფორმებს ისინი ვერ დავადასტურეთ.

[1] ბალსზემოურში მსგავსი სემანტიკისაა **მეთხნა̄ლ** (მაგ. **გრიპ მეთხნა̄ლ** „გრიპი მეწყება") ზმნა.

აღნიშნულ ზმნასაც მხოლოდ აწმყოსეული დროები ეწარმოება.

აწმყო: ბქ. **მანგჷეშ მეჰა̈ნი** „არაფერი გამემტყუნება“, **მანგჷეშ ჯეჰა̈ნი** „არაფერი გაგემტყუნება“, **მანგჷეშ ხეჰა̈ნი** „არაფერი გაემტყუნება“; ბზ. **მა̈მ მეჰა̈ნი** „არ გამემტყუნება“, **მა̈მ ჯეჰა̈ნი** „არ გაგემტყუნება“, **მა̈მ ხეჰა̈ნი** „არ გაემტყუნება“.

უწყვეტელი: **მანგჷეშ მეჰა̈ნიდა||მეჰა̈ნიჲ** „არაფერი გამემტყუნებოდა“, **მანგჷეშ ჯეჰა̈ნიდა||ჯეჰა̈ნიჲ** „არაფერი გაგემტყუნებოდა“, **მანგჷეშ ხეჰა̈ნიდა||ხეჰა̈ნიჲ** „არაფერი გაემტყუნებოდა“.

7. თავისებური წარმოებისაა ბალსქვემოური **ხეჴანალ** „გადაკვრით, მისახვედრად რაღაცას ეუბნება, სთხოვს; აფერისტობს“ ზმნაც, რომელსაც ყველა დრო არ ეწარმოება და, ერთი შეხედვით, თითქოს პირნაკლიცაა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია I პირის ფორმების წარმოებაც.

მასდარი იქნება **ლიჴანალ** „გადაკვრით, მისახვედრად რაღაცის თქმა ან თხოვნა; აფერისტობა“. მიმღეობური ფორმებიდან ერთადერთი რაც დავადასტურეთ, ესაა **ლეჴანა̈ლ** „სამუქრებელი“.

I სერიიდან ეწარმოება:

აწმყო: **სი ხეჴანალ** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრები; ეაფერისტები“, **ეჯი ხეჴანალ** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრება; ეაფერისტება“. შეიძლება შეგვხვდეს **იმ ხიჴანალ?** „რას აფერისტობ?“ ფორმაც.

უწყვეტელი: **სი ხეჴანალდა̈ს** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრები; ეაფერისტები“, **ეჯი ხეჴანალდა** „გადაკვრით, მისახვედრად ესაუბრებოდა; ეაფერისტებოდა“.

შესაძლებელია მყოფადუსრულის ფორმის წარმოებაც, მაგ.: **ამჟი ხეჴანალნი ათხე** „ასე ეაფერისტებოდეს იქნება“.

დანარჩენი ფორმები ვერ დავაფიქსირეთ.

შესაძლოა **ლიჴა̈ნ** „სუნის დენა“ ფორმას უკავშირდებოდეს, რადგანაც არსებობს ასეთი გამოთქმა — **ჟეღ ხეჴანალ** „ძაღლი სუნავს“.

8. დრო-კილოთა წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ბალსქვემოურში წარმოდგენილი ზმნის პირიანი ფორმა **ესყჷლეჩნე** „დააბრეხვებს, იტყვის (რაღაცას)“, რომელიც ძირითადად მესამე პირის ფორმით დასტურდება, თუმცა რაღაც განსაზღვრულ კონტექსტში გამორიცხული არც მეორე პირია.

საწყისი და მიმღეობის ფორმები არ ეწარმოება.

რაც შეეხება დრო-კილოთა წარმოებას, I სერიიდან მხოლოდ მყოფადისეული დროები — მყოფადსრული და პირობითსრული ეწარმოება.

მყოფადსრული: **სია ესყჷლეჩნე სერ ეშხუს!** „შენც იტყვი რა („შენც დააბრეხვებ უკვე||მეტი ერთს!“)!“, **ეჯია ესყჷლეჩნე სერ ეშხუს!** „ისიც იტყვის რა („ისიც დააბრეხვებს უკვე||მეტი ერთს!“)!“

შესაძლოა პირველ პირშიც ვიხმაროთ, მაგ. **მია *ოსყჷლეჩნე ეშხუს** „მეც ვიტყვი ერთს („მეც დავაბრეხვებ ერთს“)“, მაგრამ ამგვარი ფორმების გამოყენების ნაკლები ალბათობა არსებობს.

პირობითსრული: **სია ესყჷლეჩნა̈ს ეჩეჩუ** „შენც იტყოდი იქ შენს სათქმელს („შენც დააბრეხვებდი იქ“)“, **ეჯია ესყჷლეჩნა ეჩეჩუ** „ისიც იტყოდა იქ სათქმელს („ისიც დააბრეხვებდა იქ“)“.

მყოფადუსრული და პირობითუსრული არ ეწარმოება.

II სერიიდან დავაფიქსირეთ მხოლოდ წყვეტილის ფორმა, მაგ.:

წყვეტილი: **ამნემი ესყჷლეჩ** „ამანაც თქვა რა („ამანაც დააბრიხვა“)“, **ეჯნემი ესყჷლეჩ** „იმანაც თქვა რა („იმანაც დააბრიხვა“)“.

III სერიიდან კი ეწარმოება მხოლოდ I თურმეობითის მესამე პირის ფორმა: **ეჯისი ოსყჷლეჩა** „იმასაც უთქვამს („დაუბრეხვებია“)“. როგორც ვხედავთ, დრონაკლულობასთან ერთად პირნაკლიცაა.

ძირეული მასალა უნდა იყოს **ყჳეჩ-**, რაც დასტურდება **ლიყჳეჩ** „გატეხვა, გახლეჩა" ფორმაში. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა, ანუ ის მნიშვნელობა რაც დღეს ზემოთ აღნიშნულ საანალიზო ზმნას აქვს, მეორეულია. მისი დეფექტურობაც, ჩვენი მოსაზრებით, აქედან გამომდინარეობს და, როგორც უკვე ითქვა, ნაკლული ფორმების შევსების საჭიროება არც იგრძნობა.

9. მხოლოდ აწმყოს I პირის ფორმა ეწარმოება **მა̈ხჳი** „მაცალე" [მაგ.: ბქ. **მი გარ მა̈ხჳი!** „მაცალე („მე მხოლოდ მაცალე")] ზმნას, რომელიც დაქადნების მნიშვნელობითაც გვხვდება და რაიმეს დადასტურებისაც.

აწმყო: **მა̈ხჳი!** „მაცალე!" II და III პირი შეიძლება ვაწარმოოთ, თუმცა მისი გამოყენების ალბათობა ნაკლებ შესაძლებელია.

აღნიშნული ზმნის მასდარი, ცხადია, **ლიხუესგ** „დაცლა" ფორმაა, რომელიც წესიერი წარმოების ზმნაა.

10. ბქ. **ქ'ოგჳბასყრე** „გაგვაბრუა ბევრი საუბრით".

საწყისია **ლიბასყრე** „გაბრუება, გამოშტერება ბევრი საუბრით" (შდრ. ბეჩ. **ყასბარა̈ჲ** „ენატლიკინა, მოლაყბე ადამიანი", **მგყასბრე** „ადამიანი, რომელიც თავისი ლაყბობით აბრუებს სხვას", ბქ. **ყასბა||ყასბა̈** „მოლაყბე", ლშხ. **ყარსბე** „ლაყბობს", **ყარსბა||ყარსბაჲ** „მოლაყბე"...).

დავადასტურეთ მხოლოდ წყვეტილის მესამე პირის ფორმით — **ქ'ოგჳბასყრე** „გაგვაბრუა ბევრი საუბრით".

შესაძლებლად ვთვლით მყოფადისეული დროების წარმოებასაც.

მყოფადსრული: **ქა გჳაბასყრე** „გაგვაბრუებს, გამოგვაშტერებს ბევრი საუბრით".

პირობითსრული: **ქ'ოგჳბა̈სყრის** „გაგვაბრუებს ბევრი საუბრით", თუმცა მათ არსებობაში მასალის უქონლობის გამო ბოლომდე დარწმუნებული არ ვართ.

> შენიშვნა: ინფორმატორის განმარტებით, **ქა ლიბასყრე** არის ბავშვის გადამეტებული აზროვნება და საუბარი.

აღნიშნული ზმნა დრონაკლულობასთან ერთად პირნაკლიც არის და რიცხვნაკლიც. რაც შეეხება ძირეულ მასალას **-ბა̈სყრ-**, მისი ქართული შესატყვისი ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ. როგორც ჩანს, საკმაოდ არქაული ფორმაა, რომელიც მხოლოდ ხანშიშესულთა მეტყველებაში ფიქსირდება და, საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება საერთოდ დაიკარგოს. მისი დეფექტურობა სწორედ ამისი დადასტურებაა.

11. ბქ. **აზრგნე** „დრო გაყავს, ნელა მოქმედებს"

ლიზრგნე „დროის გაყვანა, ნელა მოქმედება"; შეიძლება ვაწარმოოთ მიმღეობური ფორმებიც, მაგ.: **მგზრგნე** „დროის გამყვანი", **ლეზრგნე** „გასაყვანი დრო", **ნაზრგნ** „გაყვანილი დრო".

რაც შეეხება დრო-კილოთა წარმოებას, იგი მხოლოდ I სერიის ფორმებითაა წარმოდგენილი.

აწმყო: **ხჳაზრგნე** „დრო გამყავს, ნელა ვმოქმედებ", **ხაზრგნე** „დრო გაგყავს, ნელა მოქმედებ", **აზრგნე** „დრო გაყავს, ნელა მოქმედებს".

უწყვეტელი: **ხჳაზრგნა̈ს** „დრო გამყავდა, ნელა ვმოქმედებდი", **ხაზრგნა̈ს** „დრო გაგყავდა, ნელა მოქმედებდი", **აზრგნა** „დრო გაყავდა, ნელა მოქმედებდა".

აწმყოს კავშირებითი: **ხჳაზრგნადე** „დრო გამყავდეს, ნელა ვმოქმედებდე", **ხაზრგნადე** „დრო გაგყავდეს, ნელა მოქმედებდე", **აზრგნადეს** „დრო გაყავდეს, ნელა მოქმედებდეს".

მყოფადუსრული: **ხჳიზრგნნი** „დრო გამყავდეს იქნება, ნელა ვმოქმედებდე იქნება", **ხიზრგნნი** „დრო გაგყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდე იქნება", **იზრგნნი** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა

მოქმედებდეს იქნება".

პირობითუსრული: **ხჷიზრგნნიდა̈ს** „დრო გამყავდეს იქნება, ნელა ვმოქმედებდე იქნება", **ხიზრგნნიდა̈ს** „დრო გაგყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდე იქნება", **იზრგნნიდა** „დრო გაყავდეს იქნება, ნელა მოქმედებდეს იქნება".

II, III და IV სერია არ ეწარმოება.

სხვა არაერთი ზმნის მსგავსად, აღნიშნული ზმნაც მხოლოდ ბალსქვემოურ დიალექტში დაფიქსირდა, თუმცა ნაბეჭდ ტექსტებში არ დადასტურებულა.

ეტიმოლოგიურად შესაძლოა ქართულ (გურ., თუშ.) **ჟრინვა**-ს უკავშირდებოდეს, რაც ალ. ღლონტს განმარტებული აქვს როგორც „ავადმყოფის ნელი ლაპარაკი; დაჩემებული და ნელი ლაპარაკი".

ს.-ქართვ. ***ჟრინ**- „ნელი საუბარი" → ქართ. **ჟრინ**- : სვან. **ზრგნ**- ← ***ზრინ**- ← ***ჟრინ**-.

სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. საძებნია ზანური ფუძე.

12. ბქ. **ხო˹ლ˺სოყე** „ურიკინებს, უგიჟიანებს".

აღნიშნულ ზმნას მხოლოდ დრო-კილოთა I სერიის ფორმები ეწარმოება. დანარჩენი სერიები ვერ დავადასტურეთ.

აწმყო: **მი˹ლ˺სოყე** „ვურიკინებ", **ჯი˹ლ˺სოყე** „ურიკინებ", **ხო˹ლ˺სოყა||ხო˹ლ˺სოყე** „ურიკინებს".

უწყვეტელი: **მი˹ლ˺სოყა** „ვურიკინებდი", **ჯი˹ლ˺სოყა** „ურიკინებდი", **ხო˹ლ˺სოყა** „ურიკინებდა".

აწმყოს კავშირებითი: **მილსოყადეს** „ვურიკინებდე", **ჯილსოყადეს** „ურიკინებდე", **ხოლსოყადეს** „ურიკინებდეს".

აწმყო და უწყვეტლის ფორმები ჩვეულებრივ ეწარმოება, აწმყოს კავშირებითი კი ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ძირეული მასალაა -**სოყ**-, რომლის საწყისი არის **ლისოყალ** „გიჟობა". ამ უკანასკნელს კი ჩვეულებრივ ეწარმოება ყველა დრო-კილოს ფორმა სვანურში (შდრ., ასევე, ბქ. **ჯემსოყია** „მოგიჟო ადამიანი").

13. ბქ., ლნტ. **იწხჷი** „იცოხნება"

საწყისი და მიმღეობა: **ლიწხჷი** „ცოხნა"; **მუწხჷი** „მცოხნელი", **ლეწხჷი** „საცოხნი".

აწმყო: ბქ., ლნტ. **ხჷიწხჷი** „ვიცოხნ˹ებ˺ი", **ხიწხჷი** „იცოხნ˹ებ˺ი", **იწხჷი** „იცოხნება||იცოხნის".

უწყვეტელი: ბქ., ლნტ. **ხჷიწხჷიდა̈ს** „ვიცოხნებოდი", **ხიწხჷიდა̈ს** „იცოხნებოდი", **იწხჷიდა** „იცოხნებოდა||იცოხნიდა".

აწმყოს კავშირებითი: ბქ., ლნტ. **ხჷიწხჷიდე** „ვიცოხნებოდე", **ხიწხჷიდე** „იცოხნებოდე", **იწხჷიდეს** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს".

მყოფადუსრული: ბქ., ლნტ. **ხჷიწხუნი** „ვიცოხნებოდე იქნება", **ხიწხუნიდე** „იცოხნებოდე იქნება", **იწხუნიდეს** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება".

პირობითუსრული: ბქ. **ხჷიწხუნნიდა̈ს** „ვიცოხნებოდე იქნება", **ხიწხუნნიდა̈ს** „იცოხნებოდე იქნება", **იწხუნნიდა** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება"; ლნტ. **ხჷიწხჷნიდა̈ს** „ვიცოხნებოდე იქნება", **ხიწხჷნიდა̈ს** „იცოხნებოდე იქნება", **იწხჷნიდა** „იცოხნებოდეს||იცოხნიდეს იქნება".

დანარჩენი სერიის ნაკვთები არ ეწარმოება.

14. მსგავსი წარმოებისაა ბალქვემოური **ლიწცხი||ლიწგსხერი||ლიწსხერი** „მიწის ნაკვეთის სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ძირფესვიანად ამოგდება". შდრ. ზს. **წგსხე** „ყანის ბალახის ფესვი, ძირი", რომელიც ხშირად დასტურდება იდიომატურ გამოთქმებში, მაგ.: **წგსხად ლეკდაქ** „ამოსაწყვეტი, ამოსაგდები (ზედმიწ.: ძირად, ფესვად ამოსაღები, ამოსაგდები)", **წგსხად ი ბოლეკდ ლეკდაქ**

„ამოსაწყვეტი, ამოსაგდები (ზედმიწ.: ძირად, ფესვად, ბოლოკად ამოსაღები, ამოსაგდები)".

აღნიშნულ ზმნას მხოლოდ I სერიის ფორმები ეწარმოება.

აწმყო: **ხჟიწცხი** „ვწმენდ ყანას სარეველა ბალახებისგან", **ხიწცხი** „წმენდ ყანას სარეველა ბალახებისგან", **იწცხი** „წმენდს ყანას სარეველა ბალახებისგან".

უწყვეტელი: **ხჟიწცხიდჲს** „ვწმენდდი ყანას სარეველა ბალახებისგან", **ხიწცხიდჲს** „წმენდდი ყანას სარეველა ბალახებისგან", **იწცხიდა** „წმენდდას ყანას სარეველა ბალახებისგან".

აწმყოს კავშირებითი: **ხჟიწცხიდე** „ვწმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან", **ხიწცხიდე** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან", **იწცხიდეს** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან".

მყოფადუსრული: **ხჟიწცხუნი** „ვწმენდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება", **ხიწცხუნი** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება", **იწცხუნი** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება".

პირობითუსრული: **ხჟიწცხუნიდჲს** „ვწმენდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება", **ხიწცხუნიდჲს** „წმენდდე ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება", **იწცხუნიდა** „წმენდდეს ყანას სარეველა ბალახებისგან იქნება".

დანარჩენი სერიის ფორმები არ ეწარმოება.

15. ბქ. **მედჟნე** „იმადლება", შდრ. ჩოლ. **მედდე** და ლნტ. **მედე** „იმადლება".

საწყისი და მიმღეობა: **ლიმდჟნე** „დამადლება"; **მედჟნჲ** „ის, ვინც სულ იმადლება", **ლემდჟნე** „დასამადლებელი", **ნჲმდჟნ** „დამადლებული", **მჟმდჟნე** „დამმადლებელი".

გვხვდება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობითაც, თუმცა მათ შორის, წარმოების თვალსაზრისით, განსხვავებაა, კერძოდ, სუბიექტური წყობის ზმნა საარვისო ქცევის ფუძემონაცვლე ზმნაა და, შესაბამისად, ფუძემონაცვლე ზმნებში გვექნება განხილული, ხოლო ობიექტური წყობის **მედჟნე** „იმადლება" ფორმას მხოლოდ I სერიის აწმყოსეული დროები ეწარმოება და სხვა მწკრივებში ნაკლული ფორმების შევსების არავითარი საშუალება არ ჩანს. მას თითქოს სხვა მასდარი უნდა ჰქონოდა (**ლიმედჟნე**), რაც ვერ დავადასტურეთ.

აწმყო: ბქ. **მედჟნე** „ვიმადლები", **მედჟნე** „იმადლები", **მედჟნე** „იმადლება", შდრ. ლნტ. **მედე** „ვიმადლები", **მედე** „იმადლები", **მედე** „იმადლება", ჩოლ. **მედდე** „ვიმადლები", **მედდე** „იმადლები", **მედდე** „იმადლება".

უწყვეტელი: ბქ. **მედჟნჲს** „ვიმადლებოდი", **მედჟნჲს** „იმადლებოდი", **მედჟნა** „იმადლებოდა", შდრ. ლნტ. **მედდჲს** „ვიმადლებოდი", **მედდჲს** „იმადლებოდი", **მედდა** „იმადლებოდა", ჩოლ. **მედდას** „ვიმადლებოდი", **მედდას** „იმადლებოდი", **მედდა** „იმადლებოდა".

აწმყოს კავშირებითი: ბქ. **მედჟნადე** „ვიმადლებოდე", **მედჟნადე** „იმადლებოდე", **მედჟნადეს** „იმადლებოდეს", შდრ. ლნტ. **ჟმედდე** „ვიმადლებოდე", **მედდე** „იმადლებოდე", **მედდეს** „იმადლებოდეს", ჩოლ. **მედდადე** „ვიმადლებოდე", **მედდადე** „იმადლებოდე", **მედდადეს** „იმადლებოდეს".

ჩოლ. **აშ მედდნია სერ სი?** „სულ უნდა იმადლებოდე?" ვფიქრობთ, მყოფადისეული დრო უნდა იყოს.

16. ჩოლ. **ხეწყრებ** „ეჯუჯღუნება".

საწყისია **ლიწყრებ** „ჯუჯღუნი, გაწყრომა".

ეწარმოება მხოლოდ I სერიის ფორმები, დანარჩენი სერიის ფორმები ვერ დავადასტურეთ.

აწმყო: **ხჟეწყრებ** „ვეჯუჯღუნები", **ხეწყრებ** „ეჯუჯღუნები", **ხეწყრებ** „ეჯუჯღუნება".

უწყვეტელი: **ხჟეწყრებდა/ჲს** „ვეჯუჯღუნებოდი", **ხეწყრებდა/ჲს** „ეჯუჯღუნებოდი", **ხეწყრებდა** „ეჯუჯღუნებოდა".

აწმყოს კავშირებითი: **ხჟეწყრებდე** „ვეჯუჯღუნებოდე", **ხეწყრებდე** „ეჯუჯღუნებოდე",

ხეწყრებდეს „ეჯუჯღუნებოდეს“.

მყოფადუსრული: **ხჳეწყრებნი** „ვეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნი** „ეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნი** „ეჯუჯღუნებოდეს იქნება“.

პირობითუსრული: **ხჳეწყრებნო̄ლ** „ვეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნო̄ლ** „ეჯუჯღუნებოდე იქნება“, **ხეწყრებნო̄ლ** „ეჯუჯღუნებოდეს იქნება“.

საანალიზო ზმნის ძირია **წყრ-**, რომელიც ნასესხებია ქართულიდან (შდრ. „უ-წყრ-ებ-ა“).

ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში“ ასევე წარმოდგენილია **ხეწყრომ** „ესაყვედურება“ ზმნა; მაშასადამე, ეს სიტყვა სვანურში განსხვავებული სემანტიკითაა შესული.

17. ბქ. **ხეშუალ** „დასტირის, გლოვობს“

საწყისი და მიმღეობა: **ლიშუალ** „გლოვა, ტირილი“; **მეშუალ** „ის, ვინც დასტირის, გლოვობს“, **ნაშუალ** „დანატირები, ნაგლოვი“, **ლეშუალ** „დასატირებელი, საგლოვი“.

გამოხატავს, ძირითადად, დაქადნებას და წყევლას.

ეჯგჳäრ ლადეღს ეჯგენისგ, ერე მäგ სი ჯეშუალნი! „იმისთანა დღეს დაგაყრი, რომ ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს! “

ეჯგჳäროლჳ დრეჳ აჯჰედა, ერე მäგ სი ჯეშუალდეს! „იმისთანა დღეში ჩავარდნილიყავი („იმგვარ-ი-მც **დრო** მოგსვლია“), რომ ყველა შენ დაგტიროდეს||გგლოვობდეს!“

აღნიშნულ ზმნას ეწარმოება I სერიის ნაკვთები და III სერიის I თურმეობითი.

აწმყო: **მäგ მი მეშუალ** „ყველა მე დამტირის, მგლოვობს“, **მäგ სი ჯეშუალ** „ყველა შენ დაგტირის, გგლოვობს“, **მäგ ეჯის ხეშუალ** „ყველა მას დასტირის, გლოვობს“.

უწყვეტელი: **მäგ მი მეშუალდა** „ყველა მე დამტიროდა, მგლოვობდა“, **მäგ სი ჯეშუალდა** „ყველა შენ დაგტიროდა, გგლოვობდა“, **მäგ ეჯის ხეშუალდა** „ყველა მას დასტიროდა, გლოვობდა“.

აწმყოს კავშირებითი: **მäგ მი მეშუალდეს** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს“, **მäგ სი ჯეშუალდეს** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს“, **მäგ ეჯის ხეშუალდეს** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს“.

მყოფადუსრული: **მäგ მი მეშუალნი** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **მäგ სი ჯეშუალნი** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **მäგ ეჯის ხეშუალნი** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

პირობითუსრული: **მäგ მი მეშუალნიჳ** „ყველა მე დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **მäგ სი ჯეშუალნიჳ** „ყველა შენ დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **მäგ ეჯის ხეშუალნიჳ** „ყველა მას დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

III თურმეობითი: **მäგ მი მაშუალა** „ყველა მე დამტიროდა, მგლოვობდა თურმე“, **მäგ სი ჯაშუალა** „ყველა შენ დაგტიროდა, გგლოვობდა თურმე“, **მäგ ეჯის ხაშუალა** „ყველა მას დასტიროდა, გლოვობდა თურმე“.

II და III სერია, როგორც ვხედავთ, არ ეწარმოება.

ძირეული მასალის წარმომავლობა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

მსგავსი წარმოებისაა ლახამულური **ლინტრელ||ლინტრალ** „გლოვა, ტირილი“ (იხ. აქვე).

18. ლხმ. **ხენტრäლ** „დასტირის“.

საწყისი და მიმღეობა: **ლინტრელ||ლინტრäლ** „გლოვა, ტირილი“; **მენტრäლ** „ის, ვინც გლოვობს, დასტირის“.

აწმყო: **მენტრäლ** „დამტირის, მგლოვობს“, **ჯენტრäლ** „დაგტირის, გგლოვობს“, **ხენტრäლ** „დასტირის, გლოვობს“.

უწყვეტელი: **მენტრალა** „დამტიროდა, მგლოვობდა“, **ჯენტრალა** „დაგტიროდა, გგლოვობდა“,

ხენტრალა „დასტიროდა, გლოვობდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მენტრალდეს** „დამტიროდეს, მგლოვობდეს“, **ჯენტრალდეს** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს“, **ხენტრალდეს** „დასტიროდეს, გლოვობდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მენტრალნი** „დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **ჯენტრალნი** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **ხენტრალნი** „დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **მენტრალნიჳ** „დამტიროდეს, მგლოვობდეს იქნება“, **ჯენტრალნიჳ** „დაგტიროდეს, გგლოვობდეს იქნება“, **ხენტრალნიჳ** „დასტიროდეს, გლოვობდეს იქნება“.

III თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: **მა̈ნტრალა** „დამტიროდა, მგლოვობდა თურმე“, **ჯა̈ნტრალა** „დაგტიროდა, გგლოვობდა თურმე“, **ხა̈ნტრალა** „დასტიროდა, გლოვობდა თურმე“.

წარმოებით არაფრით არ განსხვავდება ბალსქვემოური **ხეშუალ** „დასტირის, გლოვობს“ ზმნისაგან.

საანალიზო ზმნაში ძირეულ მასალად გამოიყოფა -ტრ-, რაც, ჩვენი აზრით, ნასესხებია ქართულიდან, შდრ. სვან. ხ-ე-ნ-ტრ-ა̈ლ „დასტირის, გლოვობს“ და ქართ. და-ს-ტირ-ი-ს. სვანურ **ხენტრა̈ლ** ფორმაში **-ნ-** ფონეტიკური დანართია. ქართულ-სვანურ ძირ-ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს.

19. ბქ. **ხეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევს“.

საწყისი და მიმღეობა: **ლიჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ის გადახვევა“; **მეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ის გადამხვევი“, **ლეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ის გადასახვევი“, **ნაჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ის გადანახვევი“.

გამოიყენება როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობითაც.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ:

ა წ მ ყ ო: **ხჳეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ს ვხვევ“, **ხეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევ“, **ხეჰლარა/ა̈ლ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხჳეჰლარალდა̈ს** „ხელ⌈ებ⌉ს ვხვევდი“, **ხეჰლარალდა̈ს** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდი“, **ხეჰლარალდა** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდა“, შდრ. ლხმ. **ხჳეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს ვხვევდი“, **ხეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდი“, **ხეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხჳეჰლარალდე** „ხელ⌈ებ⌉ს ვხვევდე“, **ხეჰლარალდე** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდე“, **ხეჰლარალდეს** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხჳეჰლარალნი** „ხელ⌈ებ⌉ს გადავხვევ იქნება“, **ხეჰლარალნი** „ხელ⌈ებ⌉ს გადახვევ იქნება“, **ხეჰლარალნი** „ხელ⌈ებ⌉ს გადახვევს იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხჳეჰლარალნიდა̈ს** „ხელ⌈ებ⌉ს გადავხვევდი იქნება“, **ხეჰლარალნიდა̈ს** „ხელ⌈ებ⌉ს გადახვევდი იქნება“, **ხეჰლარალნიჳ** „ხელ⌈ებ⌉ს გადახვევდა იქნება“.

II სერიაში აღწერითი წარმოება გვაქვს, მაგ. **ჰალა̈რ ლოხდე** „ხელი გადახვია“, **ჰალა̈რ ლოხდას** „ხელი გადახვიოს“.

III და IV სერია არ ეწარმოება, თუმცა III სერიის IV თურმეობითის ფორმები შეიძლება შეგვხვდეს სასაუბრო მეტყველებაში, მაგ. **ხჳაჰლარალა** „ხელებს ვხვევდი თურმე“, **ხაჰლარალა** „ხელებს ხვევდი თურმე“, **ხაჰლარალა** „ხელებს ხვევდა თურმე“.

როგორც უკვე ითქვა, საანალიზო ზმნა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ ა ც დასტურდება.

ა წ მ ყ ო: **მეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს მხვევს“ **ჯეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს გხვევს“ **ხეჰლარალ** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევს“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **მეჰლარალდა** „ხელ⌈ებ⌉ს მხვევდა“, **ჯეჰლარალდა** „ხელ⌈ებ⌉ს გხვევდა“, **ხეჰლარალდა** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდა“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **მეჰლარალდეს** „ხელ⌈ებ⌉ს მხვევდეს“, **ჯეჰლარალდეს** „ხელ⌈ებ⌉ს გხვევდეს“, **ხეჰლარალდეს** „ხელ⌈ებ⌉ს ხვევდეს“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **მეჰლარალნი** „ხელ⌈ებ⌉ს მხვევდეს იქნება“, **ჯეჰლარალნი** „ხელ⌈ებ⌉ს

გხვევდეს იქნება", **ხეჰლარალნი** „ხელ'ებ'ს ხვევდეს იქნება".

პირობითუსრული: **მეჰლარალნიჲ** „ხელ'ებ'ს მხვევდეს იქნება", **ჯეჰლარალნიჲ** „ხელ'ებ'ს გხვევდეს იქნება", **ხეჰლარალნიჲ** „ხელ'ებ'ს ხვევდეს იქნება".

II სერიაში აქაც აღწერითი წარმოება გვაქვს, მაგ. **ჰალჷრ ლემდე** „ხელი გადამხვია", **ჰალჷრ ლეჯდე** „ხელი გადაგხვია", **ჰალჷრ ლოხდე** „ხელი გადახვია".

რაც შეეხება III და IV სერიის ნაკვთებს, ისინი არ ეწარმოება, თუმცა III სერიის IV თურმეობითის ფორმების დაშვება შესაძლებლად მიგვაჩნია, მაგ. **მაჰლარალა** „ხელებს მხვევდა თურმე", **ჯაჰლარალა** „ხელებს გხვევდა თურმე", **ხაჰლარალა** „ხელებს ხვევდა თურმე".

როგორც ვნახეთ, აღნიშნულ ზმნას მეორე სერიის ფორმები აღწერითად ეწარმოება. რა შეიძლება ითქვას ამ მოვლენის შესახებ?

ძველ ქართულში დრონაკლ ზმნებს, როგორც ცნობილია, პირობითად სამ ძირითად ჯგუფად ყოფენ: 1. -ი სუფიქსიანი დრონაკლი ზმნები, რომლებიც წარმოადგენენ ენის განვითარების უფრო ძველი პერიოდის გადმონაშთებს; 2. ნასახელარი ზმნები (დენომინატივები) და 3. თავისებური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ერთი ან ორი დროის ფორმაზე მეტის წარმოება არ შეუძლიათ (ქავთარაძე 1954:12-21).

ნასახელარი ზმნები (დენომინატივები), ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც იწარმოებიან სახელური ფუძეებისაგან, მაგ.: *ჭმა: ჭმ-ობ-ს; პერი: პერ-ოვ-ინ* და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ სახელურ ფუძეთაგან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა დროისა და კილოს ფორმები უკვე ძველ ქართულში დასტურდება, როგორც სისტემა, თუმცა არსებობს ის გარდამავალი საფეხურიც, როცა სახელადი ფუძეებისაგან წარმოებულ ორგანულ ფორმებს ჯერ კიდევ ვერ გაუკაფავს გზა და მის ნაცვლად აღწერითი წარმოება გამოიყენება (იქვე:18-19).

სწორედ აღწერითი წარმოება გახდა ერთადერთი შესაძლო საშუალება ზემოთ წარმოდგენილი ზმნური ფუძის (**ჰალჷრ ლოხდე** „ხელი გადახვია", **ჰალჷრ ლოხდას** „ხელი გადახვიოს" და ა. შ.) შინაარსის გადმოსაცემად, ვინაიდან დასახელებული სახელური ფუძე არ დაემორჩილა წარმოქმნის მიღებულ წესს (გამორიცხულია: **ლახჰალარე** „ხელი გადახვია", ან **ლახჰალარას** „ხელი გადახვიოს"). ძველი ქართულის მსგავსად, სვანურმაც შეუძლებელი ორგანული წარმოების ფორმათა ნაცვლად გამოიყენა ე. წ. აღწერითი (პერიფრასტული) ფორმები, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს.

20. სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურ დიალექტში, დავაფიქსირეთ ერთი მეტად საინტერესო ზმნა — **ლინჰხჳე**, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „შეფერება, მიჩნევა, ღირსება..." აღნიშნული ზმნა *სუბიექტური* და *ობიექტური წყობის* მიხედვით განსხვავებულ წარმოებას გვიჩვენებს, თუმცა ძირეული მასალა ყველა ფორმაში ერთია. ამ ზმნით ჩვენი დაინტერესება იმან გამოიწვია, რომ სერიების მიხედვით სემანტიკა ეცვლება.

საწყისი და მიმღეობა: **ლინჰხჳე** „შეფერება, მიჩნევა, ღირსება..."; **ლენჰხჳე** „შესაფერებელი, შესარგები", **მუნჰხჳე** „ის, ვინც აცლის, ირგებს...".

გამოიყენება როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური წყობით.

ობიექტური წყობით:

აწმყო: **ეზერ დინა მადე ლია? ალჳე, ალი მენჰხჳäნ** „რა კარგი გოგოა, არა? აბა, რათ ვარგა||არაფრად არ მიმაჩნია, **ჯენჰხჳäნ** „მიგაჩნია", **ხენჰხჳäნ** „მიაჩნია".

უწყვეტელი: **ალი მენჰხჳäნდა, ე** „მიმაჩნდა რამედ, რო?", **ალი ჯენჰხჳäნდა, ე** „მიგაჩნდა რამედ, რო?", **ალი ხენჰხჳäნდა, ე** „მიაჩნდა რამედ, რო?"

შესაძლოა ვაწარმოოთ აწმყოს კავშირებითის ფორმაც — **მენჰხჳäნდეს**, თუმცა ბუნებრივი ფორმა არ ჩანს.

მყოფადუსრული: **დემეგ მენჲხჷია დეშომა?** „ნუთუ არასდროს მეღირსება?“, **ჯენჲხჷი შომალე** „გეღირსება ოდესმე“, **ხენჲხჷი შომალე** „ეღირსება ოდესმე“.

პირობითუსრული: **მენჲხჷიჵ** „მეღირსებოდეს იქნება, მიმაჩნდეს რამედ იქნება“, **ჯენჲხჷიჵ** „გეღირსებოდეს იქნება, მიგაჩნდეს რამედ იქნება“, **ხენჲხჷიჵ** „ეღირსებოდეს იქნება, მიაჩნდეს რამედ იქნება“.

I თურმეობითი: **მა̈ნჲხჷენა** „მღირსებია თურმე“, **ჯა̈ნჲხჷენა** „გღირსება თურმე“, **ხა̈ნჲხჷენა** „ღირსებია თურმე“.

სუბიექტური წყობით:

აწმყო: **ხჷინჲხჷე** „ვიფერებ, ღირსად ვხდი ჩემს თავს“, **ხინჲხჷე** „იფერებ, ღირსად ხდი შენს თავს“, **ინჲხჷე** „იფერებს, ღირსად ხდის მის თავს“.

უწყვეტელი: **ხჷინჲხჷა̈ს** „ვიფერებდი, ღირსად ვხდიდი ჩემს თავს“, **ხინჲხჷა̈ს** „იფერებდი, ღირსად ხდიდი შენს თავს“, **ინჲხჷა** „იფერებდა, ღირსად ხდიდა მის თავს“.

აწმყოს კავშირებითის ფორმა **ხჷინჲხჷადე**-ც ბუნებრივ ფორმად არ მიგვაჩნია.

მყოფადსრული: **ხჷინჲხუნი** „ვიფერებდე, ღირსად ვხდიდე ჩემს თავს იქნება“, **ხინჲხუნი** „იფერებდე, ღირსად ხდიდე შენს თავს“, **ინჲხუნი** „იფერებდეს, ღირსად ხდიდეს მის თავს“.

პირობითსრული: **ხჷინჲხუნიდა̈ს** „ვიფერებდე, ღირსად ვხდიდე ჩემს თავს იქნება“, **ხინჲხუნიდა̈ს** „იფერებდე, ღირსად ხდიდე შენს თავს“, **ინჲხუნიდა** „იფერებდეს, ღირსად ხდიდეს მის თავს“.

წყვეტილი: **ხჷინჲხჷ** „შევიფერე“, **ხინჲხჷ** „შეიფერე“, **ინჲხჷე** „შეიფერა“.

II კავშირებითი: **ხჷინჲხჷა** „შევიფერო“, **ხინჲხჷა** „შეიფერო“, **ინჲხჷას** „შეიფეროს“.

III და IV სერია სუბიექტური წყობისას არ ეწარმოება.

საინტერესოა ბრძანებითის ფორმები: **მა̈ნჲხჷ**! „მაცალე, შემარგე!“ და **ხინჲხჷ**! „შეიფერე, შეირგე!“

21. ე/ა̈ნჲირ „ფიქრობს“

საწყისი და მიმღეობა: **ლინჲირ** „ლოდინი“; **ლენჲირ** „მოსალოდნელი“, **ლა̈ნჲირ** (მაგ., **ლა̈ნჲირს ლი** — მოსალოდნელია) „მოსალოდნელი, საფიქრებელი“[1].

აწმყო: **ონჲირ, ერე ალი ამჟი ირი** „ვფიქრობ||ვიმედოვნებ, რომ ეს ასე იქნება“, **ამჟი ენჲირა სი?** „შენ ასე ფიქრობ?“, **მიშგჷადი ამჟი ენჲირ** „დედაჩემი ასე ფიქრობს“.

უწყვეტელი: **მი ამჟი ონჲინდა̈ს||ონჲირდა̈ს** „მე ასე ვფიქრობდი||ვიმედოვნებდი“, **ენჲინდა̈ს-მა||ენჲირდა̈სმა სი ალის?** „ფიქრობდი||იმოდევნებდი ამას?“, **მიშგუ მეზჷბელ მუშგჷრძა̈რე ლიჲედს ენჲინდა||ენჲირდა** „ჩემი მეზობელი სტუმრების მოსვლას ფიქრობდა||იმედოვნებდა“.

აწმყოს კავშირებითი: **იმ ონჲინდე||ონჲირდე ათხენლჷე ხოჩამ?** „აწი კარგს რას უნდა ველოდო?“, **დემეგ ენჲინდე, ეჩქასოლჷ აჯჲედა ხოლემიშ** „რომ არ ელოდებოდე, მაშინ დაგემართოს ცუდი („არ ელოდებოდე, მაშინმცა მოგსვლია ცუდისა!“)!“, **დემეგ ენჲინდეს||ენჲირდეს, ეჩქასოლჷ ლახტეხა ლოშდ მიჩა ხოლემ ნაზ-ნამჩედ!** „რომ არ ელოდებოდეს, მაშინ გადაეხადოს სამაგიერო მისი ბოროტებისთვის („არ ელოდებოდეს, მაშინმცა მიბრუნებია უკან მისი ცუდი ნავალ-⌈გა⌉ნაქცევი!“)!“

მყოფადუსრული: **დემეგ ოხჷმა̈ჲრინი, ეჩქას ლახ ენჲდენი, ეჯნა̈რ მაყლენი** „რომ არ ველოდებოდე||ვიმედოვნებდე (იქნება), მაშინ რომ მოვიდეს („თუ მოვა“), იმისი მეშინია („იმად მეშინია“)“, **დემეგ ეხმა̈ჲრინი, ეჩქას ჯეგნიდ ყორს** „რომ არ ელოდებოდე, მაშინ მოგადგებით კარებზე“, **დემეგ ენმა̈ჲრინი, ეჩქას ოლჩედ** „აზრზე რომ არ იქნება („არ ელოდებოდეს იქნება“), მაშინ მივიდეთ („წავიდეთ“)“.

პირობითუსრული: **დემეგ ოხჷმა̈ჲრინიდა̈ს** „არ ველოდებოდე იქნება“, **დემეგ ეხმა̈ჲრინიდა̈ს** „არ ელოდებოდე იქნება“, **დემეგ ენმა̈ჲრინ⌈ინ⌉და** „არ ელოდებოდეს იქნება“.

[1] ერთი შეხედვით, თითქოს, ყოყმანის სემანტიკაც მოეპოვება.

აკლია მყოფადსრული და პირობითსრული. არ ეწარმოება II და III სერია. რაც შეეხება IV სერიას, აქედან მხოლოდ IV თურმეობითი ეწარმოება:

IV თურმეობითი: **ოლმäჭრინელხჟი** „ველოდებოდი თურმე||ნალოდებვარ", **ოლმäჭრინელხი** „ელოდებოდი თურმე||ნალოდებხარ", **ოლმäჭრინელი** „ელოდებოდა თურმე||ნალოდება".

ძირეული მასალაა **-ჭირ-**, რომლის ეტიმოლოგიის გარკვევაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

22. ბალსქვემოურ **ხეხნი** „მოითხოვს" ზმნას მხოლოდ აწმყოს ფორმები ეწარმოება. მაგ.:

აწმყო: **გჟი მეხნი** „გული მთხოვს, სურვილი მაქვს", **გჟი ჯეხნი** „გული გთხოვს, სურვილი გაქვს", **გჟი იმ ხეხნი** „გული რას მოითხოვს, რას ისურვებს?"

დამატებითი მასალა აღნიშნული ზმნის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ.

23. ბქ. **იტმე** „შიმშილობს".

საწყისი და მიმღეობა: **ლიტმე**[1] „შიმშილი"; **მგტმე** „ის, ვინც შიმშილობს", **ლეტმე** „საშიმშილო", **ნატგმ** „ნაშიმშილები", შდრ., ასევე, **მატმäრ** „მშიერი".

აწმყო: **ხჟიტმე** „ვშიმშილობ", **ხიტმე** „შიმშილობ", **იტმე** „შიმშილობს".

უწყვეტელი: **ხჟიტმäს** „ვშიმშილობდი", **ხიტმäს** „შიმშილობდი", **იტმა** „შიმშილობდა".

აწმყოს კავშირებითი: **ხჟიტმადე** „ვშიმშილობდე", **ხიტმადე** „შიმშილობდე", **იტმადეს** „შიმშილობდეს".

მყოფადუსრული: **ხჟიტმუნი** „ვშიმშილობდე იქნება", **ხიტმუნი** „შიმშილობდე იქნება", **იტმუნი** „შიმშილობდეს იქნება".

პირობითუსრული: **ხჟიტმუნიდäს** „ვშიმშილობდე იქნება", **ხიტმუნიდäს** „შიმშილობდე იქნება", **იტმუნიდა** „შიმშილობდეს იქნება".

I თურმეობითი: **მიტმა** „მიშიმშილია", **ჯიტმა** „გიშიმშილია", **ხოტმა** „უშიმშილია".

სვანურ საანალიზო ზმნაში ძირეულ მასალად გამოიყოფა **-ტმ-**, რაც, შესაძლოა, ქართული **თმ**-ენ-ა ფუძიდან მომდინარეობდეს **თ**'ს გამკვეთრების შედეგად.

სვანური **ლიტმე** ზმნის „შიმშილის" სემანტიკას, როგორც ჩანს, თმენის სემანტიკა უდევს საფუძვლად.

24. ბქ. **იღნაჟალ** „ორსულობს, ორსულობის პროცესშია".

საწყისი და მიმღეობა: **ლიღნაჟალ** „ორსულობა"; **მეღნაჟალ** „ქალი, რომელიც ორსულობის პროცესშია", **ლეღნäჟი** „დასაორსულებელი", **მგღნäჟი** „დამაორსულებელი".

აწმყო: **ხჟიღნაჟალ** „ვორსულობ", **ხიღნაჟალ** „ორსულობ", **იღნაჟალ** „ორსულობს".

უწყვეტელი: **ხჟიღნაჟალდäს** „ვორსულობდი", **ხიღნაჟალდäს** „ორსულობდი", **იღნაჟალდა** „ორსულობდა".

აწმყოს კავშირებითი: **ხჟიღნაჟალდე** „ვორსულობდე", **ხიღნაჟალდე** „ორსულობდე", **იღნაჟალდეს** „ორსულობდეს".

მყოფადუსრული: **ხჟიღნაჟალნი** „ვორსულობდე იქნება", **ხიღნაჟალნი** „ორსულობდე იქნება", **იღნაჟალნი** „ორსულობდეს იქნება".

პირობითუსრული: **ხჟიღნაჟალნიდäს** „ვორსულობდე იქნება", **ხიღნაჟალნიდäს** „ორსულობდე იქნება", **იღნაჟალნიჟ** „ორსულობდეს იქნება".

დანარჩენი დროის ფორმები არ უდასტურდება.

[1] საანალიზო დეფექტური ზმნა სვანურში დათმობის სემანტიკითაც დასტურდება, თუმცა ის სასხვისო ქცევის ფუძემონაცვლე ზმნაა და სათანადო ადგილას იქნება განხილული.

რაც შეეხება ლილნა̈ჷი „დაორსულება“ ფორმას, ის ჩვეულებრივი წარმოების ზმნაა და დრო-კილოთა ყველა ფორმა ეწარმოება.

25. ზს., ლშხ. **ხაბა** გამოიყენება წყევლის აღმნიშვნელ ფორმულებში. მაგ.: **ფისეოლჷ ხაბა ლა̈დიშ ლადეღს** (ბქ.), **ფისეჷ ხაბა ლადი ლადეღს** (ლშხ.) „დალახვროს დღევანდელი დღე, წაწყმდეს დღევანდელი დღე, ფისიმც დაესხას დღევანდელ დღეს!“ **ფისეოლჷ ჯაბა!** (ბქ.) „მდუღარე ფისიმც გასხია!“ **თაჷლაფჷ ჯაბა!** (ლშხ.) „თავსლაფიმც დაგესხას!“

ბზ. ზურა̈ლ⌜დ⌝ ... ხა̈ქჷ ⌜ბოფშა̈რს⌝: **„ფისე̄ჷ ესერ ხაბა ამ̄ მგშკა̈დის, ამ̄ მგჷდა-ჲ მინსი!“** (სვან. პრ. ტექსტ., 1939, 344:37-38, 344:1) — ქალმა უთხრა ბავშვებს: „არ გაიხაროსო („ფის-ი-მცა-ო ა-ბ-ია“) ამისმა („ამი⌜ს⌝“) მჭედელმა („მ-ჭედ-ელ-ს“), ამისმა („ამი⌜ს⌝“) მომტანმა („მომტანს“) და თქვენცო („მათაც“)!“

საწყისი და მიმღეობის ფორმები არ ეწარმოება. არის პირნაკლი, გამოიყენება მხოლოდ მესამე პირის ფორმით. პირნაკლობასთან ერთად დრონაკლიცაა. მხოლოდ აწმყოს ფორმით დასტურდება.

26. ლშხ. **ჯ̄ზა‖ჯ̄ზაბა** „გენაღვლება, გედარდება“.

გამოიყენება მხოლოდ აწმყოში და ისიც მხოლოდ ობიექტური მე-2 პირის ფორმით.

მაჲ ლოქ ჯ̄ზაბა? „რა გენაღვლებაო?“ **მაჲ ჯ̄ზაბა? დო გარგლი** „რა გენაღვლება? ილაპარაკოს“.

27. ბქ. **იჭკგრალ** „წუხს (ტკივილებისგან)“.

საწყისი: **ლიჭკირალ‖ლიჭკგრალ** „წუხილი (ტკივილებისგან)“.

გამოიყენება მხოლოდ სუბიექტური წყობით და ეწარმოება პირველის სერიის ფორმები.

ა წ მ ყ ო: **ხჷიჭკგრალ** „ვწუხვარ (ტკივილებისგან)“, **ხიჭკგრალ** „წუხხარ (ტკივილებისგან)“, **იჭკგრალ** „წუხს (ტკივილებისგან)“.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი: **ხჷიჭკგრალდა̈ს** „ვწუხდი (ტკივილებისგან)“, **ხიჭკგრალდა̈ს** „წუხდი (ტკივილებისგან)“, **იჭკგრალდა** „წუხდა (ტკივილებისგან)“.

ა წ მ ყ ო ს კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: **ხჷიჭკგრალდე** „ვწუხდე (ტკივილებისგან)“, **ხიჭკგრალდე** „წუხდე (ტკივილებისგან)“, **იჭკგრალდეს** „წუხდეს (ტკივილებისგან)“.

მ ყ ო ფ ა დ უ ს რ უ ლ ი: **ხჷიჭკგრალნი** „ვწუხდე (ტკივილებისგან) იქნება“, **ხიჭკგრალნი** „წუხდე (ტკივილებისგან) იქნება“, **იჭკგრალნი** „წუხდეს (ტკივილებისგან) იქნება“.

პ ი რ ო ბ ი თ უ ს რ უ ლ ი: **ხჷიჭკგრალნიდა̈ს** „ვწუხდე (ტკივილებისგან) იქნება“, **ხიჭკგრალნიდა̈ს** „წუხდე (ტკივილებისგან) იქნება“, **იჭკგრალნიდა** „წუხდეს (ტკივილებისგან) იქნება“ და ა. შ.

ზემოთ წარმოდგენილ ზმნათა უმეტესობას არ ეწარმოება მეორე სერიის ნაკვთები, ვინაიდან მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს, უფრო სწორად, არ მოითხოვს. ამგვარ ზმნათა ფუძის წარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო.

როგორც ივ. ქავთარაძე შენიშნავს, ძველ ქართულშიც მოიპოვება ისეთი დრონაკლი ზმნები, რომელთა მის მიერ დადგენილ ამა თუ იმ ჯგუფში მოსახვედრად გარკვეული ნიშანი თითქოს არ იძებნება. იგი ნიმუშად ასახელებს *ჰ ზ ა მ ს* ტიპის ზმნას და სვამს კითხვას: „რით უნდა აიხსნებოდეს ასეთ ზმნათა დრონაკლობა“-ო? (ქავთარაძე 1954:21).

მკვლევრის თვალსაზრისით, ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა იმისი ცოდნა, როგორი იყო ზმნათა ფუძეები მაშინ, როცა ისინი ასპექტს განასხვავებდნენ (იქვე). ცნობილია, რომ არნ. ჩიქობავას დიურატიული ასპექტის უღლილების ტიპად, რომელსაც პერმანსივი გადმოგვცემდა, -ი სუფიქსიანი ზმნები აქვს მიჩნეული (1948:95), თუმცა ივ. ქავთარაძე ისევ სვამს კითხვას: „ის ზმნები, რომელთა **-ი** სუფიქსიანად მიჩნევისათვის გარკვეული დასაყრდენი არაა და რომლებიც ამავე დროს სრულებით არ

შეიძლება ახალ ფორმაციისად ვცნათ, როგორ აწყობდნენ თავიანთ ფუძეს?" ვინაიდან ეს საკითხი ფართო მოცულობისაა, მისი აზრით, ამჟამად ვერ გადაწყდება. და ვარაუდის სახით უშვებს ერთ შესაძლებლობას: „ზმნათა ფუძეს, რომელსაც პერმანსივის -ი სუფიქსი არ აწარმოებდა, მოსალოდნელია თავიდანვე დაკავშირებოდა ასპექტური გაგება", ანუ აქაც უნდა გვქონოდა დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის გამომხატველი ცალკეული ძირები [შდრ. ახ. ქართ. ზმნები: **ვშვრები, ვიზამ, ვქმენ** და სხვ. (ქავთარაძე 1954:21-22)].

ამრიგად, ზმნათა დეფექტურობის თვალსაზრისით სვანურის ჩვენება მეტად მნიშვნელოვანია და მომავალშიც ამ მიმართულებით ბევრია საკვლევი.

ამჯერად ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ **ერთი ტიპის ზმნებზე**, რომელთა რაოდენობა სვანურში საკმაოდ დიდია, და საინტერესო სტრუქტურული თავისებურებითაც გამოირჩევა. ვინაიდან ისინი რამდენადმე განსხვავებული არიან სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული სხვა დეფექტური ზმნებისაგან. ამ ზმნებს არ გააჩნიათ სხვადასხვა დროის ფორმები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არც იგრძნობა ნაკლული ფორმების რითიმე შევსების საჭიროება. ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი დრონაკლი ზმნების უმეტესობა შეიძლება განვიხილოთ როგორც თავისებური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ერთი ან ორი დროის ფორმაზე მეტი არ ეწარმოება. შეგვხვდა რამდენიმე ისეთი ზმნაც, რომელთაც პირველი სერიის ყველა დრო მოეპოვება, თუმცა არც ერთ აქ განხილულ ზმნას არ გააჩნია მეორე სერიის ნაკვთები, რადგან მათი სემანტიკა, როგორც არაერთგზის ითქვა, ამას ვერ იგუებს. ასეთ ზმნათა ფუძეწარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად, ცხადია, სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ ზმნათა უმეტესობა დღემდე არ ყოფილა მკვლევართა განხილვის საგანი. ისინი არ არიან არც ძირმონაცვლე და არც ფუძემონაცვლე ზმნები.

საინტერესოა, რამ გამოიწვია ზემოდასახელებულ ზმნათა დრონაკლულობა?

ერთადერთი, რისი თქმაც ამ ეტაპზე შეგვიძლია, ისაა, რომ მათი ნაწილი მეორეული წარმოებისაა, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული და, შესაძლოა, მათი დრონაკლულობის მიზეზიც ეს იყოს. არც ისაა გამორიცხული, რომ **ისინი უძველესი ფორმაციის ზმნები იყოს მსგავსად ძველი ქართულის ფორმებისა, იმ დროისაც კი, როდესაც არ იყო განვითარებული ენაში გვარის სხვადასხვა ფორმები** (ხაზი ჩვენია — მ. ს.), როგორც ამას ივ. ქავთარაძე ვარაუდობს (იქვე:193).

ჩვენ მიერ განხილული ზმნათა უმეტესობა ერთასპექტიანია (ოდენდიურატიული), თუმცა შეგვხვდა ისეთი დეფექტური ზმნებიც, რომელთაც ორივე ასპექტი ეწარმოებათ. ზოგი ზმნა კი დრონაკლობასთან ერთად პირნაკლიცაა და რიცხვნაკლიც[1].

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

11. სახელზმნა (მასდარი ან მიმღეობა) + -დენ/-დე̄ნ/-დენა ნაწილაკი.

...მიჩა ჶა̈ზრა̈ლს ხა̈ქჶ 'ხელწიფდ': „ეჯა მა̈დეჲ ლიყრულდენ ოლბინად გუშგჶეჲ ლაჩა̈ყი̄რს“ (ბზ., სვ. პროზ. ტექსტ., 1939, 302:26) — თავის („მის“) ვეზირებს უთხრა ხელმწიფემ: „ის კი არა და მოდი, დარაჯობა („ყარაულ-ობ-ა“) დავუწყოთ ჩვენს თავლას („საცხენოს“)“

მემჷერა, მაჲ ლიმბჶა̈ლდენ ლას ეჩეჩუ?! (ჩოლ.) „რა ვიცი („რა გამიგია“), რა საუბარი („მბ-ობ-ა“) იყო იქ?!“ და ა. შ.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, საანალიზო ნაწილაკის ადგილი წინადადებაში არცთუ ისე მყარია. ამასთან, ის, როგორც უკვე ითქვა, შეიძლება დაერთოს ნებისმიერ სიტყვას წინადადებაში (არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, ნებისმიერ ნაცვალსახელს, ზმნას, მათ შორის ზმნისწინსაც, სახელზმნასა და თავად ფორმაუცვლელ სიტყვებსა და ნაწილაკებსაც კი).

ჩვენი დაკვირვებით, -დე/-დენ/-დე̄ნ/-დენა/-დე̄ნა/-დენა̈/-დენა̈ჲ/-დენ̄ ნაწილაკს სვანურში, ერთი შეხედვით, გააჩნია რამდენიმე ფუნქცია, კერძოდ, იგი გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქციით და უდრის ქართულ „და“ ნაწილაკს, გვიჩვენებს მიმართულებას, აქვს „ც“ ნაწილაკის ფუნქცია (ხან მიმართებითი ნაწილაკია, ხან კი — გამაძლიერებელი), ზოგჯერ დაქადნების ფუნქციასაც ითავსებს და მასთან დაკავშირებულ სიტყვას თითქოს მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. ზოგ შემთხვევაში მოდალური ნაწილაკის ფუნქციაც ეკისრება და ამ შემთხვევაში გამოხატავს გაოცებას, გაკვირვებას („ნეტა ვინ იყო“, ან „მოდი ერთი“ — ბრძანების მნიშვნელობით, „აბა, ერთი“...) და ა. შ. ძირითადი ფუნქცია კი, როგორც მრავალფეროვანი მასალის ანალიზიდან გამოჩნდა, არის ბრძანება, ბრძანების გაძლიერება. ისიც უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში კონტექსტის მიხედვითაც კი ჭირს საანალიზო ლექსემის ფუნქციის გარკვევა.

სვანური საანალიზო ნაწილაკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვცადეთ გაგვერკვია მისი ფუნქციონირების საკითხი.

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ნაწილაკის წარმომავლობის შესახებ?

ვფიქრობთ, შესაძლებელია მისი დაკავშირება ქართულ -ყე/-ყენ ნაწილაკთან.

აღნიშნული ნაწილაკის შესახებ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს (ჰ. შუხართი, Georgishe qe, 278-280; არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. — წელიწდ. I-II; თბილისი, 1923-1924; ნ. სურმავა, -ყე ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბ., 1998).

ქართული -ყე ნაწილაკის შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი სულხან-საბა ორბელიანის, შანშოვანის, მ. ბროსესი, დ. ჩუბინოვისა, რომლებიც ამ ნაწილაკს დადასტურებითი ნაწილაკის მნიშვნელობას აძლევენ. ჰ. შუხართის აზრით კი, -ყე ნაწილაკს სრულიად სხვა მნიშვნელობაც აქვს, ვინემ დადასტურებით ნაწილაკს და არც ის არის შეუძლებელი, რომ მას ასეთი მნიშვნელობა სინამდვილეში არასოდეს ქონოდეს. ის დაასკვნის, რომ -ყე იგივე ნიშანი უნდა იყოს მრავლობითისა, რომელიც ინგილოურში დავადასტურეთო; აქვს თუ არა მას გენეტური კავშირი სვანურის მრავლობითობის -ხ ნიშანთან და კავკასიურ ენებში — ჩერქეზულში, აფხაზურში... ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან, ამის გადაწყვეტას მე ვერ ვბედავო.

ძალზე საინტერესოდ გვესახება არნ. ჩიქობავას ცნობილი სტატია -ყე ნაწილაკთან დაკავშირ-

ებით, რომელიც ფერეიდნულს ეხება. ავტორის გამოკვლევით, ფერეიდნულში ორი განსხვავებული **-ყე** ნაწილაკია: ერთი **-ყე** თანდებულია, რომელიც მოითხოვს ნათესაობითსა ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის **-გან** (**-დან**) თანდებულს, ზოგჯერ კი **-კენ** თანდებულს (შდრ. გარე-კახური და ინგილოური **-ყე**||**-ყენ** თანდებული და სამწერლო ქართულის **-კენ** თანდებული); მეორე **-ყე** ზმნასთან იხმარება და აქვს გარკვეული სინტაქსური ფუნქცია (მაგ. მოვნახეთყე მეთოფეები). იქვე შენიშნავს, რომ „ფერეიდნულისთვის მისი ხმარება სავალდებულო არ არის“ (იქვე:3). საინტერესოა ისიც, რომ „ფერეიდნულში ამ ნაწილაკის ხმარება შემთხვევათა მთელს რიგში არეულია; მაშინ მისი მნიშვნელობა „ხოლმე“-თი განისაზღვრება; სადაც მართებულად იხმარება, მიგვითითებს მრავლობითი რიცხვის სახელობითისა ან მიცემითი ბრუნვით გადმოცემულ ლოგიკურ ობიექტზე [მაგ. **წავიყვანეთყე ბიჭები**, ვინ? ბიჭები, ე. ი. ლოგიკური სუბიექტი მრ. რიცხვის სახ. ბრუნვით არის გადმოცემული; **დოურიგეყე ფქილის პატრონებს**, ვის? — პატრონებს...“ (იქვე:65-66)] და ა. შ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო ცდა სვანური მრ. რიცხვის მესამე პირის სუბიექტური სუფიქსის **-ხ**'ს ქართულ **-ყე** ნაწილაკთან დაკავშირებისა (ჰ. შუხართი, არნ. ჩიქობავა), რასაც ვერ დავეთანხმებით. **-ყე** ნაწილაკთან ფუნქციურადაც (მეტნაკლებად) და ეტიმოლოგიურადაც სვანური **-ღენ** ნაწილაკის დაკავშირება, ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა.

-ყე ნაწილაკთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ნ. სურმავას გამოკვლევა „**-ყე** ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში“. აღნიშნულ თქმებში ობიექტის სიმრავლის მაწარმოებლად გვაქვს **-ენ** (მაგ., *დავასახლენ მან თქვენ*) და იმავდროულად **-ყე(ნ)** ნაწილაკიც (და **-თ** სუფიქსი) ფუნქციონირებს. როგორც ავტორი მიუთითებს, **-ყე(ნ)**||**-კე(ნ)** წარმოადგენს სუბიექტური მე-3 პირის მრავლობითის დაბოლოებას კავშირებითის ნაკვთებში და იგი თავისუფლად მონაცვლეობს სუბიექტური მე-3 პირის მრავლობითის *-ნ* სუფიქსთან (სურმავა 1998: 234-239).

როგორც ჩანს, აღნიშნულმა ნაწილაკმა სვანურში დროთა განმავლობაში თავდაპირველი ფუნქცია (**ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნისა**) დაკარგა.

რაც შეეხება სვანური **-ღენ** ნაწილაკის წარმომავლობას, შესაძლოა, იგი შემოსული იყოს ქართულიდან (შდრ. ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული უძველესი ნაწილაკი **-ყე/-ყენ**) **ღ/ყ** თანხმოვანთმონაცვლეობით (შდრ. მაგ. ქართ. **ყორან-ი** „ყორანი“ : მეგრ. **ცვარამ-ი**||**ცვანჭამ-ი** „ყორანი“ : სვან. (ბზ.) **ღუ̂ემა̈ლ**||**ღუ̂ა̈მა̈ლ**||**ღუ̂ამალ**||**ღუ̂ამა̈ლ**||**ღომა̈ლ**||**ყუ̂ამალ**||**ყუ̂ამა̈ლ**, უშგ. **ღუ̂ემელ**, კალ. **ყუ̂ემელ**, (ბქ.) **ღუ̂ემალ**, (ლხმ.) **ღემალ**, (ლშხ.) **ღომელ**, (ლნტ.) **ღომალ**||**ღუ̂ემალ**; შდრ. უშგ. **მაყუ̂რინტ**. ***ყორან-** „ყორანი“ → ქართ. **ყორან-ი** : მეგ. 1. **ცვარამ-ი** ← ***ცვარან-ი** ← **ყორან-ი**, 2. **ცვანჭამ-ი** ← ***ცვაჭამ-ი** ← ***ცვარამ-ი** ← ***ცვარან-ი** ← **ყორან-ი** ← : სვან. **ღუ̂ემა̈ლ-** ← **ღომა̈ლ-** ← ***ყომა̈ლ-** ← ***ყორა̈ლ-** ← ***ყორა̈ნ-** ← **ყორან-ი** ერთი მხრივ, და მეორე მხრივ : სვან. **ღუ̂ა̈მა̈ლ** ← **ღუ̂ამა̈ლ** ← **ღუ̂ემა̈ლ-** ← **ღომა̈ლ-** ← ***ყომა̈ლ-** ← ***ყორა̈ლ-** ← ***ყორა̈ნ-** ← **ყორან-ი**, ხოლო სვან. (ბზ.) **ყუ̂ამალ** ← (ბზ.) **ყუ̂ამა̈ლ** ← ***ყუ̂ემა̈ლ** ← ***ყომა̈ლ-** ← ***ყორა̈ლ-** ← ***ყორა̈ნ-** ← **ყორან-ი**. კალურ კილოკავში დადასტურებული **ყუ̂ემელ** ← ***ყუ̂ემალ-** ← ***ყომალ-** ← ***ყორალ-** ← ***ყორან-ი**). შდრ. აგრეთვე ქართ. ყაისნაყი და სვან. **ყაზნა̈ლ**.

ღ/ყ თანხმოვანთმონაცვლეობის შემთხვევა დასტურდება სვანეთის გვიანი შუასაუკუნეების ფრესკულ ისტორიულ წარწერებზეც, რომლებიც მეცნიერთა მიერ XVII საუკუნის შუა წლებით თარიღდება.

როგორც სვანეთის წერილობითი ძეგლებიდან არის ცნობილი, ქვემო სვანეთში, კერძოდ, ჩიხარეშის სასოფლო საბჭოს ს. დაბიშის „ოქონდაბიშის“ ეკლესიის სამი კედელი (სამხრ., დას. და ჩრდ.) და-

ფარულია კტიტორთა და მათი ოჯახის წევრების ფრესკული გამოსახულებებით. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, აქ გამოსახული უნდა იყოს ყიფიანთა საგვარეულოს წევრები, რომლებიც წარწერებში რატომღაც „ღიბიანებად" იწოდებიან. სოფ. დაბიშის ადგილობრივ მოსახლეობაში შემონახული გადმოცემის თანახმად, დაბიშის ეკლესია კახეთიდან გადმოსახლებული ყიფიანების საგვარეულო ეკლესია ყოფილა, რაზეც მეტყველებს იქვე, ეზოში არსებული ყიფიანების სასაფლაო და ცოტა ზემოთ, ფერდობზე მათი ნამოსახლარი. ფრესკებზე გამოსახული პირები არიან გოჩა და ტაიბუღა ყიფიანების ოჯახის წევრები (სილოგავა 1988: 59-60).

დაბიშის ეკლესიაზე წარმოდგენილი სხვადასხვა ფრესკული კომპოზიციები, რომლებსაც ლინგვისტური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო განმარტებითი წარწერები ახლავს: **„ბეტრე, ბავლე"**, ე. ი. **პეტრე, პავლე**; **„სდუბანუ"**, ე. ი. **სტეფანე** და სხვა. ეს წარწერები, კტიტორთა ზემოდასახელებულ წარწერებთან ერთად, გვარებისა და სახელების იმ ფორმით, როგორითაც წარწერების ტექსტებშია, 1937 წელს გამოსცა ე. თაყაიშვილმა (123-124), ხოლო გამოსახულებათა განმარტებითი წარწერები, როგორც სვანური ენისათვის დამახასიათებელი რეგრესულ-დისიმილაციური, პროგრესულ-დისიმილაციური, პროგრესულ-ასიმილაციური, ან უბრალოდ დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშები საგანგებოდ დაახასიათა და შეისწავლა ს. ჟღენტმა (1965:48).

როგორც ვ. სილოგავა ფიქრობს, ფრესკებზე გამოსახული თითქმის ყველა პირის სახელი და გვარი დამახინჯებულად, შეცვლილად არის წარმოდგენილი, თუმცა ისე, რომ სინამდვილეში რომელი სახელი იგულისხმება წარმოდგენილ დაწერილობაში, მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია. მისი აზრით, **„ღიბიანი"**, იგივე **„ყიფიანია"**, **„კოჯა"** — **„გოჩა"**, **„ბაწია"** — **„ფაცია"** და ა. შ. და თვლის, რომ „საკუთარი სახელების ასე შეცვლილი სახით გადმოცემა მხოლოდ ფონეტიკური მოვლენებით არ აიხსნება" და საკუთარი სახელების აშკარად „დამახინჯებული" სახით გადმოცემა იქნებ ეთნოგრაფიულ საფუძველზე აიხსნასო. ერთ შემთხვევაში გულისხმობს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამკვიდრებულ მაგიურ რწმენა-წარმოდგენებს, რის მიხედვითაც არ არის მიღებული ცოცხალი ადამიანის სახელის მიწაზე და ქვაზე დაწერა; გარდა ამისა განასხვავებენ „ცუდ" და „კარგ" სახელებსაც... ავტორი უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ სახელების შეცვლა, უფრო სწორად, არატრადიციულად მიღებული ფორმით გადმოცემა, ამ საგვარეულოს წარმომადგენლების გადმოსახლებასთან იყოს დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, როდესაც რომელიმე გვარის შვილი იძულებულია სხვაგან გადასახლდეს, გაიქცეს, სისხლს თავი გაარიდოს, ან დატოვოს თავდაპირველი საცხოვრებელი სხვა რაიმე შემთხვევის გამო, გვარის ფორმას ოდნავ შეიცვლიდა და ასეთი სახით „ახალ" გვარს მისცემდა დასაწყისს. იქნებ, მართლაც, „კახეთიდან გადმოსახლებულმა" ყიფიანებმა დაბიშში დასახლებისას გვარი **„ღიბიანად"** გადაიკეთეს"? საგულისხმოდაა მიჩნეული ის ფაქტიც, რომ „ოთხივე შემთხვევაში, რაც წარწერებში დასტურდება, ამ გვარის ფორმა სწორედ შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ლაშხიშვილი და იაშვილი ტრადიციულად მიღებული და საყოველთაოდ გავრცელებული სახითაა დაწერილი" (სილოგავა 1988:60-61).

არ არის გამორიცხული, რომ უძველეს ნასესხობასთან გვქონდეს საქმე, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვს[1].

[1] ამ საკითხზე მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

თაყაიშვილი 1937 — ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები II, თბილისი.

მარტიროსოვი 1964 — ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი.

ჟღენტი 1965 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, რჩეული შრომები, თბილისი.

სილოგავა 1988 — ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები II, ეპიგრაფიკული ძეგლები, თბილისი.

სურმავა 1998 — ნ. სურმავა, -ყე ნაწილაკის ფუნქციისათვის ქვემოიმერულის ხონურ-სამტრედიულსა და აბაშურ თქმებში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VII, თბილისი.

ჩიქობავა 1923-24 — არნ. ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეჲდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით. — წელიწდ. I-II, თბილისი.

ბ) წყაროები

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

სვან. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი.

ნაწილი IV

ლექსიკოლოგიური ძიებანი

1. ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში

სიტყვათა სესხება ენათა განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ლექსიკური ფონდის შევსებისა და გამდიდრების ძირითადი წყაროა. „ზეპირ მეტყველებაში სიტყვათა სესხების პროცესი სტიქიურად მიმდინარეობს, სალიტერატურო ენაში კი, რომლის განვითარებასაც კონტროლი ეწევა, სესხებას სხვადასხვაგვარად ეკიდებიან... სიტყვის სესხებისას დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები **მსესხებელი ენისაა**, რომელიც თავისი მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს ნასესხებ მასალას, **ნასესხები ფუძეღა გამოდის**... ქართულში აუარებელი ნასესხები სიტყვა გვაქვს, ნასესხები აფიქსები კი სანთლით საძებარია. ეს მხოლოდ ქართულის თავისებურებას არ წარმოადგენს — **ეს საერთო მოვლენაა**. აფიქსების სესხებაც ხდება, მაგრამ იშვიათად — უფრო ადვილად ფუძის საწარმოებელი აფიქსებისა, უფრო ძნელად — დამოკიდებულების აღმნიშვნელისა. თუ ენაში ნასესხები აფიქსები მომრავლდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სათანადო ენის გრამატიკული წყობა შეირყა, ეს კი ენის არსებობას საფრთხეს უქმნის" (ჩიქობავა 1952:246-247).

„სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორეში ადვილად ხერხდება, რადგან ლექსიკური ფონდის ელემენტთა (ლექსემების, სიტყვების) რაოდენობა ფაქტობრივ განუსაზღვრელია და ურთიერთკავშირიც მათ შორის სუსტია" (ფოჩხუა 1974:346).

სვანური ენა, მიუხედავად იმისა, რომ უმწერლობო ენაა, საკმაოდ მდიდარია სხვადასხვა დარგის ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარეობს.

„სვანური ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან... სვანურ ენას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით... სვანური მდიდარია სიახლეებით, მაგრამ ამავე დროს იგი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის" (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:361-363). ამ მასალის გვერდით სვანურში დიდი რაოდენობით მოიპოვება ქართულიდან (და არა მარტო ქართულიდან) შესული ლექსიკა; საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ნასესხობათა არსებობა ჩვეულებრივია მსოფლიოს ნებისმიერ ენაში (ონიანი 1998:5). რაღა თქმა უნდა, არც სვანური წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

სვანური ნასესხები ლექსიკა მოიცავს როგორც ქართულ-ზანური ენებიდან უშუალოდ მომდინარე მასალას, ისე ქართულის გზით შესულ ბერძნულ, თურქულ, სპარსულ, არაბულ, ოსურ, ჩრდილო-კავკასიურ, რუსულ, სომხურ და სხვა ენათა მონაცემებს. ეს უკანასკნელი ჭარბობს პირველ ჯგუფს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ მათი საგანგებოდ შესწავლა.

„სესხების გზის გარკვევა საყურადღებო იმიტომ არის, რომ ხშირად პირველწყაროსა და მსესხებელ ენას შორის მოქცეული **შუამავალი** ენა ასხვაფერებს ნასესხებ სიტყვას" (ჩიქობავა 1952:194). „საზოგადოდ იმის გარკვევა, ფუძეენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია. ჩვენ არ ძალგვიძს, განვასხვაოთ ქართველურ ენებში ნასესხები სიტყვები ფუძე-ენისეული მასალისაგან, როცა იგი „იდენტური" სახის შესატყვისობებს გვიჩვენებს, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება" (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:26).

უცხოური ენებიდან შეთვისებული ელემენტების გამოვლენა ყოველი ენის ისტორიული შესწავლის აუცილებელი ეტაპიცაა. „ნასესხები მასალის გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მონათესავე ენათა შორის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენისას; აღნიშნუ-

ლი შესატყვისობის შეუსაბამო დარღვევანი, ხშირად, შედეგია სესხების შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობისა" (ანდრონიკაშვილი 1966:5).

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ენა მარტოოდენ თავისი საკუთარი მასალით არ კმაყოფილდება. ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მასში მეტ-ნაკლები პროპორციით იჭრება უცხოური ენის ლექსიკური ელემენტები (ძიძიგური 1960:41). რა თქმა უნდა, ამ პროცესს ვერ ასცდებოდა ვერც უმწერლობო სვანური ენა.

როგორც აკად. ვ. თოფურია აღნიშნავდა: „სესხება გამოწვეულია იმ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობით, რომელიც სვანებს ჰქონდათ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობასთან (ჩერქეზ-ყაბარდოელებთან, აფხაზებთან, ბალყარელებთან და სხვ.). ზანებთან ტომობრივი და სახელმწიფოებრივი კავშირი ხომ ისტორიულია და მათი გავლენაც ძლიერია! ქართულის განსაკუთრებული გავლენა ჩანს ქვემოსვანურსა და ბალსზემოურზე, მეგრულისა — ბალსქვემოურზე. ზანური ფენა მთელ სვანურშია გამჯდარი. გარდა ამისა, ჩერქეზულის გრამატიკულ-ლექსიკური ფენაც გამოვლენილია სვანურში. შეიმჩნევა აფხაზურისა და სომხურის გავლენის კვალი. ამ მხრივ სვანური ლექსიკა სუბსტრატისა და სესხების შესასწავლად ხელშესახებ მასალას იძლევა. გავლენა და სესხება ამჟამად უფრო ძლიერია. მასში შედის საზოგადოებრივი ურთიერთობის, ეკონომიკური, ტექნიკური და საერთოდ კულტურის დარგის სიტყვები და ტერმინები, მაგრამ ექვემდებარება ფონეტიკურ-გრამატიკულ ნორმებს" (თოფურია 2002:214).

სიტყვის სესხება ერთი ენიდან მეორეში სხვადასხვა გზით ხდება, რაც ხშირად განაპირობებს ერთი და იმავე ლექსემის ნაირგვარი ფონეტიკური ვარიანტით დამკვიდრებას. ამ პროცესს ზოგჯერ თან სდევს მნიშვნელობის ცვლაც. ნასესხები სიტყვა მსესხებელი ენის კუთვნილება ხდება და, ბუნებრივია, სიტყვაწარმოების ჩვეულებრივ წესებს ექვემდებარება.

„ნასესხები მასალის გამიჯვნა მკვიდრისაგან ხშირად მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით უძველესი ნასესხობისა, სადაც შეთვისებული სიტყვების მსესხებელ ენასთან შეგუების პროცესი ძალიან შორს არის წასული" (ანდრონიკაშვილი 1966:5) და ამიტომაც „სესხების გზით შესული ლექსიკა მეტად ფრთხილ ანალიზს მოითხოვს, რამდენადაც სვანურში მოქმედი ფონეტიკური პროცესების შედეგად საგრძნობლად შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, ერთი და იმავე ენიდან შესული ლექსიკა სხვადასხვა სიძველისა შეიძლება იყოს, შეთვისებული სვანურის მიერ სხვადასხვა დროს. სწორედ ამ ქრონოლოგიური საზღვრების დასადგენად გამოიყენება ისტორიულად სხვადასხვა დროს მოქმედი ფონეტიკური პროცესები" (ოსიძე 1987:26-27).

ჯერ კიდევ გ. დეეტერსი აღნიშნავდა, რომ სვანურში ძალიან მცირეა ძირეული სიტყვების რიცხვი ნასესხებ და ისეთ სიტყვათა სიმრავლესთან შედარებით, რომლებიც არ შეიძლება არ გაირკვეს მონათესავე ენებით (დეეტერსი 1930:1).

„არ არსებობს ენა, რომელიც მხოლოდ საკუთარი საშუალებებით კმაყოფილდებოდეს. ყველა ენაში გვხვდება ნასესხები სიტყვები. სხვა ენებიდან შეთვისებული სიტყვები ზოგ ენაში მეტი რაოდენობითაა, ზოგში — ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ნასესხები სიტყვები ყველა ენაში არსებობს. სხვა ენის მასალის მოზღვავება ლექსიკურ შემადგენლობაში არ არის საშიში ენისათვის მანამ, სანამ დაცულია მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა" (ჩიქობავა 1952:83).

როგორც არაერთხელ ითქვა, „ნასესხები სიტყვა ყველა ენაში მოიპოვება: უცხო მასალა დროთა ვითარებაში უსისხლხორცდება მსესხებელი ენის ლექსიკურ-გრამატიკულ სისტემას და ამდიდრებს ენას" (იქვე:193).

„ვერ დავასახელებთ ვერც ერთ ენას, რომელიც „წმინდაა" და ნასესხებ მასალას სრულიად არ შეიცავს" (ჭუმბურიძე 1987:35).

ნასესხებ ლექსემათა ნაწილი სვანურში ქართული გრამატიკული ინვენტარითაა შესული, ზოგი კი „გასვანურებულია" (ჩანტლაძე 1998:243). მათი „გასვანურება", ძირითადად ხორციელდება სვანუ-

რისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მთავარი ფონეტიკური მოვლენის — უმლაუტის საშუალებით (ამიტომაცაა, რომ ლაშხურ დიალექტში, რომელმაც დღეს უმლაუტი თითქმის არ იცის, ქართული ფუძეები შედარებით უცვლელადაა წარმოდგენილი). ცხადია, სვანურში ნასესხებ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოსაქცევად სხვა მოვლენებიც მოქმედებენ (გაგუა 1986:215).

სვანურში მოქმედმა მრავალგვარმა ფონეტიკურმა პროცესმა (პალატალური, ლაბიალური და ველარული უმლაუტი, ხმოვანთა საკომპენსაციო თუ კომბინატორული სიგრძე, რედუქცია, აუსლაუტის გამარტივება, სპირანტიზაცია, აფრიკატიზაცია, დისიმილაციური გამჟღერება და სხვ.), რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, საგრძნობლად შეცვალა სესხების გზით სვანურში შესული ლექსიკა, რამაც განაპირობა ამ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოქცევა.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, „სესხებაში უნდა ვიგულისხმოთ აბსოლუტური გათავისება, ანუ ნასესხები ლექსემის სრული დამორჩილება მსესხებელი ენის შინაგანი კანონების მიერ. ნასესხები სიტყვა უნდა ჩაჯდეს მსესხებელი ენის გრამატიკულ სისტემაში და დაემორჩილოს ამ ენის ფონოტაქტიკის წესებს; ის გასაგები და მისაღები უნდა იყოს ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა ჰქონდეს სოციალური სანქცია“ (თანდილავა 2004:12).

გამოკვლევის მიზანია გამოავლინოს სვანურში არსებული როგორც ქართული (resp. მეგრულ-ჭანური), ასევე არაქართული ელემენტები მისი განვითარების მთელ ჭრილში და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს მათი შემოსვლის გზები.

შეთვისებული სიტყვები სვანურში სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისა არიან და მომდინარეობენ სხვადასხვა დიალექტური წრიდან.

პრობლემის გადასაწყვეტ ძირითად პრინციპად მიგვაჩნია საერთოქართველური (თუნდაც ქართულ-ზანური, resp. პრაქართულ-ზანური ერთიანობის — გ. კლიმოვი) დონის მონაცემთა მკვეთრი გამიჯვნა შედარებით გვიანდელი ლექსიკისაგან. იქ, სადაც რეგულარულ კანონზომიერ ფონემათშესატყვისობებთან გვაქვს საქმე, რასაკვირველია, სესხებაზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ, რაკიღა ასეთი შესატყვისობანი ჯერ-ჯერობით მხოლოდ სიბილანტურ თანხმოვნებს ეხება (მცირეოდენი გამონაკლისის გარდა), ამიტომაც საკონტროლო საშუალებად გამოგვადგება ზანურ ხმოვანთა მონაცემები. იქ, სადაც ე. წ. ხმოვანთგადაწევები (ქართ. ა — ზან. ო, ქართ. ე — ზან. ა) დასტურდება, რასაკვირველია, სესხება გამორიცხული იქნება. ამასთანავე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც — წარმოდგენილია თუ არა ესა თუ ის კონკრეტული ლექსემა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. პოზიტიური პასუხის შემთხვევაში ნაკლებია ალბათობა ქართულიდან სვანურში სესხებისა, მით უმეტეს, თუ მეგრულში ხმოვანთა შესატყვისობაც იქნება გამოვლენილი.

მკაცრად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ძველი და ახალი ნასესხობანი; მაგ.: დღეს ქართულ „ოთახს“ გადმოსცემს **ყოფ̂ნა** ზმნის მყოფადი დროის მიმღეობა **ლა-რდ-ა** („სა-მ-ყოფ-ი“) და ქართულიდან შედარებით ახალი ნასესხები **⌈ჟ̂⌉ოთა̈ხ** ფორმა, ძველი სვანური სიმღერების ენაში კი დაცულია **ოთაჟ̂-თე̄სგა** („ოთახში“) და **ოთაჟ̂-ხა̈ნქა** („ოთახიდან“) (სვან. პოეზ. 1939:44-58).

ზოგჯერ არც ისე ადვილია ძირეული მასალის გარჩევა ნასესხები ლექსიკისაგან: „სიმართლე“ ან „მართლის მთქმელი“ სვანურის ყველა დიალექტში ერთგვარად გადმოიცემა, ესაა ლექსემა **ტკიც**, რომლის კავშირი ქართულ „მ-ტკიც-ე“ ფუძესთან სრულიად უეჭველია, მაგრამ, „თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულის გან-**ტკეც**-ილ-ი („გასწორებული“), და-მ-**ტკეც**-ილ-ი („დამტკიცებული, დაწესებული, დამკვიდრებული“) და მ-**ტკიც**-ე ფორმებს, შესაძლოა ვიფიქროთ სვანურ **ტკიც** ძირთან საერთო მასალაზე. უფრო სესხების სასარგებლოდ ვწყვეტთ საკითხს ამ შემთხვევაში, რადგანაც, როცა იგივე ძირები (**ტკეც-**/**ტკიც-**) სხვა სემანტიკით ქართველურ ენებში სიბილანტთა კანონზომიერი შესატყვისობითაა წარმოდგენილი, მაშინ აშკარაა საერთო მასალის უპირატესობა:

ქართ. **ტკეც**-ა, ს-**ტკიც**-ა

მეგრ. ტკაჩ-უ-ა „დარტყმა, ცემა“

სვან. ლი-ტკჩ-ე/ი < ლენტ. ლი-ტკეჩ-ე „დარტყმა, ცემა“

ამდენად, ქართველურ ფუძეენაში სისინ-შიშინა $ც_1$ თანხმოვანი იყო წარმოდგენილი არქიფორმაში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:437).

განსაკუთრებით მაშინ რთულდება ძირეული და ნასესხები ლექსიკის გამიჯვნა, როდესაც ესა თუ ის ლექსემა საერთოქართველური ფუძეენის დონეზეა ნასესხები სხვა ენიდან, დიფერენცირების შემდეგ კი სრულიად ბუნებრივია, რომ ფონემათშესატყვისობები გაჩნდა. ასეთია მაგალითად, რიცხვითი სახელი რვა, რომელიც ჯერ კიდევ ფ. ბოპმა (ბოპი 1846:295) *არვა არქეტიპის სახით აღადგინა, ხოლო გ. კლიმოვმა იგი ფუძეენის ეპოქაშივე სემიტური **arba** („ოთხი“)'დან ნასესხებად მიიჩნია (კლიმოვი 1965:308-309), მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ენაში რიცხვითი სახელი სწორედ შედარებით მყარი ლექსიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საკუთრივ სვანური სიტყვები სვანურ ლექსიკურ ფონდში დიდი რაოდენობით მოიპოვება, ამასთანავე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სესხების პროცესის მიმართ მეტყველების ნაწილები განსხვავებულ მიმართებებს ამჟღავნებენ — სახელებში გაცილებით მეტია ნასესხობანი, ვიდრე ზმნებში. „ჩვენ ამოვდივართ ჰიპოთეზიდან, რომ ენათა კონტაქტის შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია არსებითად განსხვავდება დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილი სიტუაციისაგან. ამ ჰიპოთეზის მიღება წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ყოველგვარი კომპარატივისტული ოპერაციებისათვის... სესხებისა და ადაპტაციის (ინტერფერენციის) შედეგად რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს ვერ მივიღებთ“ (მაჭავარიანი 1965:49).

„ქართულიდან და მეგრულიდან საკმაოდ ბლომად შეჭრილა ლექსიკური მასალა სვანურს ენაში, მაგრამ მათ, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, „იქაური ქუდი დაუხურავთ“, დაქვემდებარებიან ადგილობრივ წესს და ზოგჯერ ძნელი გამოსარჩევიცაა სვანური სიტყვებიდან“ (თოფურია 1927:294).

დიალექტების მიხედვით სხვაობაა სიტყვათა სესხებაში. მაგ.: „სხვენი“ მხოლოდ ლახამულურ კილოკავსა და ქვემოსვანურშია ქართულიდან ნასესხები აფრიკატიზაციის (ც > ხ) საფუძველზე (შდრ. **ცხენ** (ლხმ.) < **ცხჵენ** (ქს.) < ქართ. სხვენ-ი), სხვაგან კი სვანური ძირებია: **შგილ** (ბზ.), **ნეშკა** (ბზ.), **ნეშკა** (ბქ.) და ა. შ.

ზოგჯერ საკმაოდ რთულ ვითარებასთანაც შეიძლება გვქონდეს საქმე ნასესხები ლექსიკის ძირეული, ოდინდელი მონაცემებისგან გამიჯვნის თვალსაზრისით. მაგ.: ქართ. **წით-ელ-ი**, მეგრ. **ჭით-ა**, ლაზ. მ-**ჭით-ა** ძირები გ. კლიმოვს (კლიმოვი 1964:251), ჰ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:669) წარმოუდგენიათ ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის მონაცემად. რაც შეეხება სვანურ **წჷრნი** („წითელი“) ლექსემას, ის თავის დროზე ნ. მარმა და გ. დეეტერსმა დაუკავშირეს სომხურ **წირანი**'ს (მარი 1915:779; დეეტერსი 1957:382-383), თუმცა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით **cirani** („ძოწისფერი“) სომხურში შეთვისებული უნდა იყოს დაღესტნური და ნახური ენებიდან (ჩიქობავა 1955:19-20). უნდა აღინიშნოს, რომ **ჭერამი**'ს აღმნიშვნელი სიტყვა მესხურად **წირან-ი** ფორმით გამოიხატება. აქ **წ** : **ჭ** ბგერათშესატყვისობასთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე (თუმცა არც ესაა გამორიცხული, დაღესტნის ენათა დიალექტურ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ — ჩუხუა 2000-2003:392), არამედ მოსალოდნელია, რომ მესხურ კილოში სომხური ნასესხობაც გვქონდეს, რომელშიც როგორღაც ასახული უნდა იყოს სვანური მასალა (შდრ. ნ. მარის თეორია ტერმინ „სონ-სომეხურის“ გაგებასთან დაკავშირებით); გ. კლიმოვს ქართული **წირ-ან-ი** მოაქვს „მეწამული, მუქი წითელი ფერის“ აღმნიშვნელ ლექსემად (კლიმოვი, ხალილოვი 2003:320), ოღონდ გაუგებარია, თუ რა მონაცემებს ეყრდნობა მკვლევარი (მოსალოდნელია კორექტურულ შეცდომასთანაც გვქონდეს საქმე); ასევე, ქართ. **მამალ-ი** — ზან. **მუმულ-ი** — სვან. **მამილ'ჵ'**, რასაკვირველია, საერთოქართველური ენიდან მომდინარე ფონემათშესატყვისობის ამსახველი მასალაა, მაგრამ რატომღაც სვანური **მამილჵ** გ. კლიმოვს მეგრულ ნასესხობად

მიაჩნია (იქვე:241). სვან. **ჯა̈რღჳ** < მეგრ. **ჯერღვ-ი** (იქვე:91), გ. კლიმოვის ვარაუდით, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც აღნიშნული ლექსემა მეგრულიდან კი არაა ნასესხები, არამედ საერთოქართველური *ძ$_1$ერღჳ- არქიფორმის სვანური წარმომადგენელია უკანა მიმართულების უმლაუტის მოქმედების საფუძველზე: *ძ$_1$ერღჳ- > ***ჯერღჳ**- > **ჯა̈რღჳ**, ე+ჳ პოზიციაში ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივია (ქალდანი 1969:88). გ. კლიმოვი **ჯა̈რღჳ**'ის მეგრულ წარმომავლობაზე მიუთითებს, როგორც ჩანს, ს. ჟღენტისა (ჟღენტი 1949:130) და ვ. თოფურიას (თოფურია 1960:157) შრომებზე დაყრდნობით. ამ თვალსაზრისით გარკვეული ეჭვი გამოთქმულია ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც" (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:621); სწორედ ამის გამოა, რომ, გ. კლიმოვის „ეტიმოლოგიური ლექსიკონის" (კლიმოვი 1964:236) მიხედვით საერთოქართველური დონისთვის აღდგენილი *ძ$_1$არღჳ- არქეტიპის ნაცვლად გ. კლიმოვისა და მ. ხალილოვის „კავკასიურ ენათა ლექსიკონში" (კლიმოვი, ხალილოვი 2003:91) მხოლოდ პრაქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვისაა წარმოდგენილი *ძ$_1$ერღჳ- ვარიანტი; ქართ. **თბ-ილ-ი** < ***ტეფ-ილ-ი**, ზან. **ტიბ-უ/ტუბ-უ**, სვან. **ტებ-დ-ი** მეცნიერთა უმრავლესობისთვის (ვ. თოფურია, გ. დეეტერსი, კ. შმიდტი, გ. კლიმოვი, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე) საერთოქართველური ფუძეენის დონეზე სავარაუდო ძირს შეიცავს, მაგრამ გ. კლიმოვისა და მ. ხალილოვის ნაშრომში **"Словарь кавказских языков"** სვანური **ტებიდ**, **ტებდი** ლექსემები მიჩნეულია ოსური **tävdä** („ცხელი") ფორმისგან მომდინარედ. მაშასადამე, ყოველთვის არც ისე ადვილია ძირეული, ამოსავალი ლექსიკისა და ნასესხები ფუძეების ერთმანეთისგან გამიჯვნა.

სვანურში არის შემთხვევები, თუმცა შედარებით მცირე, როდესაც ერთი და იმავე სემანტემა წარმოდგენილია ფონემათშესატყვისობითაც და სესხების გზითაც (უკანასკნელი მონაცემები, ჩვეულებრივ, ქვემოსვანურია): ქართ. **ვერცხლ-ი**, მეგრ. **ვარჩხილ-ი**, სვან. **ჳარჩხილ** („ვერცხლი, ფული" ყველა დიალექტში), მაგრამ შდრ. ლშხ. **ჳერცხლ**.

ვ. აბაევს სვანურში ოსურ-ალანურიდან შეთვისებულად მიაჩნია შემდეგი სიტყვები: სვან. **ინღა**, **ინაღა** „მოცხარი" = ოს. **ninæğ**, **id**. (ჩრდილო-თურქული წარმოშობის სიტყვა), სვან. **მანა̈შ** „ჰვავი" = ოს. **mænæw** „ხორბალი",. სვან. **ზად** "солод" = ოს. **zad**, **id**, სვან. **მგრშქ**[1] „ჰიანჭველა" = ოს. **mælʒyg/mulʒug**, **id**, (< ძვ. ოს. ***murčuk** ფორმიდან), სვან. **დარგ** „თხა" = ოს. **dærk**, **id** სვან. **გურნა**, **გურანა** „ხელსაფქვავის ქვა", „ქვასანაყი" = ოს. **kuroj/kurojnæ** „წისქვილი", სვან. **არსან** „მსხვილი თოკი", „ჯაჰვი" = ოს. **rætæn**, **ræsæn** (ძვ. ირ. **rasana**, სპარს. **rasan**), **id**, სვან. **ცგგ** „წისქვილის ნაწილი" (**подпятник**) = ოს. **cæg** „რკალი, რგოლი, მარყუჟი", სვან. **ჩირთ** „ქვების გროვა" = ოს. **cyrt/cirt** „ძეგლი, საფლავის ქვა", სვან. **ქგრჯინ** „ნაცარში გამომცხვარი პური" = ოს. **kærʒyn/kærʒin** „ქერის პური", სვან. **ჳორა̈შ** „არყის მასალა" (ან გამონახადი) = ოს. **wæræs** "брага", სვან. **რანგ** „თაფლუჰი" = ოს. **rong** „ნართების მითური სასმელი", „ნექტარი", სვან. **ქერდა̈ნ** „ნაჰერი, ჩვარი" = ოს. **kærdæn** „ქსოვილის ნაჰერი, თავშალი", სვან. **მაკუშდა̈გ** „თეძო" = ოს. **mæk'usyæg** „მხრის ძვალი", სვან. **დალისჳ** (მლხ. **დალჳს**) „ცხვარი 6 თვიდან წლამდე" = ოს. **bæstæ**, **id**., სვან. **ბვასტ**[2] „ქვეყანა" = ოს. **bæstæ**, ს. **სგლხგრ** „სულელი" = ოს. **sælxær**, **id**, სვან. **ბურან** „ნაგავი, ნეხვი" = ოს. **byron/byrojnæ** „ნაგავი" (აბაევი 1958:29, 254, 282, 295, 325, 342, 358, 583, 584, 611; 86, 87, 92, 184; 63; 89, 283).

როგორც ცნობილია, სესხება გარკვეულ ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში ხდება. ამის გათვალისწინების გარეშე ნასესხები ლექსიკის შესწავლას ეკარგება თავისი არსებითი მნიშვნელობა,ვინაიდან ის დაკავშირებულია არა მარტო ენის განვითარების ისტორიასთან, არამედ ამ ენის მატარებელი ხალხის ისტორიასთანაც.

[1] შდრ. თანამედროვე სვანურის **მგრშკ**.

[2] ალბათ კორექტურული შეცდომაა — **ბუასტ** უნდა ყოფილიყო.

საანალიზო მასალა ძალიან დიდია. სვანური ენის ყველა დიალექტში ნაირ-ნაირი ფონეტიკური პროცესები მიმდინარეობს და ამიტომაც მივუთითებთ მხოლოდ შედარებით არსებით და რთულ გარდაქმნებზე. ზმნის პირიან ფორმებსა და ფრაზების შემცველ ილუსტრაციებსაც მხოლოდ ამ მიზეზის გამო მოვერიდეთ.

ქართული ნასესხები ლექსიკის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არსებობს; სვანურში იგივე პრობლემა მონოგრაფიულად ჯერ არ დამუშავებულა, მაგრამ მეტად ფასეულია ა. შანიძის, ვ. თოფურიას, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, მ. ქალდანის, ზ. ჭუმბურიძის, ბ. გიგინეიშვილის, ზ. სარჯველაძის, გ. დეეტერსის, კ. შმიდტის, ჰ. ფენრიხის, ი. ჩანტლაძის, ე. ოსიძის, მ. სუხიშვილის, კ. გაგუას, ე. გაზდელიანის, ქ. მარგიანისა და სხვათა ცალკეული დაკვირვებანი სვანურ ნასესხებ ლექსემათა შესახებ.

1. 1. ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში

„სვანური ტიპოლოგიურად ყველაზე ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან... სვანურ ენას ქართველურ ენათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მორფოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით... სვანური მდიდარია სიახლეებით, მაგრამ ამავე დროს იგი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის" (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:361-363). ამ მასალის გვერდით სვანურში დიდი რაოდენობით მოიპოვება ქართულიდან (და არა მარტო ქართულიდან) შესული ლექსიკა; საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ასეთ ნასესხობათა არსებობა ჩვეულებრივია მსოფლიოს ნებისმიერ ენაში (ონიანი 1998:5). რაღა თქმა უნდა, არც სვანური წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს.

„სესხების გზის გარკვევა საყურადღებო იმიტომ არის, რომ ხშირად პირველწყაროსა და მსესხებელ ენას შორის მოქცეული **შუამავალი** ენა ასხვაფერებს ნასესხებ სიტყვას" (ჩიქობავა 1952:194). „საზოგადოდ იმის გარკვევა, ფუძეენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეული გვაქვს, თუ ერთი ქართველური ენიდან სხვა ქართველურ ენაში ნასესხები, ზოგიერთ შემთხვევაში მეტად რთულია. ჩვენ არ ძალგვიძს, განვასხვავოთ ქართველურ ენებში ნასესხები სიტყვები ფუძეენისეული მასალისაგან, როცა იგი „იდენტური" სახის შესატყვისობებს გვიჩვენებს, ხოლო სემანტიკა ერთნაირია ან სემანტიკური სხვაობა დასაშვებ ფარგლებს არ სცილდება" (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:26).

„სვანურში ხშირად ქართულიდან (ან ქართულის გზით) შესული ლექსიკური ერთეული მაშინაც იხმარება, როცა შესაბამისი მნიშვნელობის სვანური სიტყვა ცოცხალია, ტექსტებში ზოგჯერ აღინიშნება მათი პარალელური ხმარება: **მადლობა||მაჭჲäმ; სამთელ||ლეტჷრე; ბატონ||ფუსნ; ღონიერ||ლგჰმäშ; ფრინჳელ||მემპერ; უჳაჳილäრ||ბოჭოჭოლäლ; ზარმაც||მამჭირäჲ; ხელად||შიშტ** და ა. შ." (გაგუა 1986:21); ისიც ხდება ხოლმე, რომ „ორივე სიტყვა — ნასესხები და საკუთარი — ზუსტად ერთნაირი მნიშვნელობით მკვიდრდება ენაში" (ჭუმბურიძე 1987:151).

ქართულიდან შესული ფუძეთა გარკვეულ ჯგუფში თითქმის არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ დასტურდება:

აბანო (ზს., ქს.) < ქართ. აბანო (შდრ. ბზ., ლშხ. **ლაბრäლ**[1], ბქ. **ლაბრალ**, ლნტ. **ლაბარალ** „'და'-საბანი")

აბაჟურ (ზს., ქს.) < ქართ. აბაჟურ-ი < რუს. **Абажур** < ფრანგ. **abat-jour** „შუქფარი"

აბრეშუმ (ზს., ქს), შდრ. ბქ. **äბრეშუმ/აბრეშჷიმ/აბურშიმ/აბურშჷიმ** < ქართ. აბრეშუმ-ი < სპარს. **abrišum**

[1] ნასესხები ფუძეების პარალელურად, შეძლებისდაგვარად, ვუთითებთ საკუთრივ სვანურ ფუძეებსაც.

აგურ (ზს., ქს.)[1] < ქართ. აგურ-ი < სპარს. **agur**

აგჳისტო (ზს., ქს.) < ქართ. აგვისტო < ლათ. **augustus** „წმინდა, საღმრთო, დიადი“, შდრ. ჭან. აღუსტოზი (მარი 1910:128), ბზ. **ლიმრიე̄ თჳე** „მარიამობის თვე“

ადჳილ (ლშხ.), შდრ. ზს. **ა̈დჳილ** < ქართ. ადვილ-ი (შდრ. ბქ. **ჰა̈ში** „მსუბუქი“)

აზატ (ლშხ.), შდრ. ლხმ. **აზა̈დ**, ლნტ. **აზა̈ტ** < ქართ. აზატ-ი „თავისუფალი გლეხი“ < ფალ. **āzād** „თავისუფალი“

აზრ (ზს., ქს.) < ქართ. აზრ-ი < თურქ. (< არაბ., სპარს.) **arz** (შდრ. ზს. **გაღა̈ბ**)

ალ (ლშხ.) < ქართ. ალ-ი „კუდიანი“ (შდრ. ლშხ. **გირგალაჲ**)

ალ (ლშხ.) < ქართ. ალ-ი „ცეცხლის ალი“ < სპარს. **āl** (შდრ. ბქ. **ჰელ**, **მგლა̈მ**); გავრცელებულია კავკასიურ ენებშიც

ალუბალ (ზს., ქს.) < ქართ. ალუ-ბალ-ი (შდრ. ზს. **მგჷიმ ჰებ**, ქს., უშგ. **ქჳიშნა**)

ამაყ (ზს., ქს.) < ქართ. ამაყ-ი (შდრ. ბზ. **ლგქა̈დ**, ზს. **ფიხი**, ლშხ. **გულდიდაჲ**)

ანკეს (ზს., ქს.) < ქართ. ანკეს-ი < პრაინდოევროპ. ***ankes** (კლიმოვი, ხალილოვი 2003:146), შდრ. ლშხ. **ანკეც**, ბქ. **ფოცხ**

აფსინდ (ბქ.), შდრ. ბზ. **აბზინდა̈ჲ**, ლშხ. **აბზინდაი**, ლნტ. **ა̈ბზინდ** < ძვ. ქართ. აფსინდ-ი, აფსინთ-ი

ბაბა (ზს., ქს.) 1. „პაპა, ბაბუა“; „მოხუცი მამაკაცი“, 2. „მამა“ < ქართ. (იმ., გურ.) ბაბა/ბაბა-ჲ „მამა“, შდრ. მეგრ. ბაბა

არ არის გამორიცხული ამ ლექსემის საერთოქართველურიდან მომდინარეობა, თუმცა იგი არც ერთ ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში შეტანილი არ არის.

ბაგირ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ბა̈გირ** < ქართ. ბაგ-ირ-ი „მსხვილი თოკი“

ბალაჳერ (ქს.), შდრ. ზს., ლშხ. **ბალჳერ⌈დ⌉** < ქართ. ბალავერ-ი (შდრ. ზს., ქს. **ხუნ**)

ბალიშ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ბა̈ლიშ** < ქართ. ბალიშ-ი < სპარს. **bališ** (შდრ. ბქ. **⌈ჳ⌉ოთილ**)

ბანგ (ლშხ.) < ქართ. ბანგ-ი < სპარს. **bang**

ბარძიმ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ბარძ/ზიმ-ი < ფალ. **barzīn** „მაღალი“

ბაღ (ზს., ქს.) < ქართ. ბაღ-ი < სპარს. **bay** „ბაღი“ (შდრ. ზს., ლნტ. **ლა̈ხილ**, ლშხ. **ლახილ** „სახილე, ხილნარი, ბაღი“)

ბედ (ზს., ქს.) < ქართ. ბედ-ი < სპარს. **bād**

ბედნიერ (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ. **ბედნიე̄რ**, **ბედნია̄რ**, ბქ., ლნტ. **ბედნია̈რ**, ლშხ. **ბედნჲერ** < ქართ. ბედ-ნ-იერ-ი (შდრ. ზს. **ლგჰა̈ჯ** „ნეტარი“)

ბელატ (ლშხ.) < ძვ. ქართ. ბელატ-ი „უთმო“ (შდრ. ბქ. **ჭგგირ**)

ბელად (ზს., ქს.) < ქართ. ბელად-ი < აზერბ. (< არაბ., სპარს.) **bäläd** (სვანურში ეს სიტყვა იშვიათად იხმარება, ჩვეულებრივია **მუჟჳელ**, შდრ. ზს. **მათხჳმი**)

ბენზინ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **ბინზილ** < ქართ. ბენზინ-ი < რუს. **Бензин** < ფრანგ. **benzine**

ბეჭედ (ზს.) < ქართ. ბეჭედ-ი < სპარს. **pēčit** „ხვეული, რკალი“ (შდრ. ზს. **მგსკა̈დ**, ლშხ. **მგსკად**, ლნტ. **მგსკა̈ტ**)

ბინა (ზს., ქს.) < ქართ. ბინა < არაბ.-სპარს. **binā'ī** (შდრ. ზს., ლნტ. **სადგჳემ**, ბქ. **სადგემ**, ლშხ. **სადგომ**; ზს., ლნტ. **ლარდა**)

[1] გ. კლიმოვს (კლიმოვი, ხალილოვი 2003:142) მეგრულსა და სვანურში დადასტურებული აქვს ანგურა. თუ ეს ფორმა სვანურისთვის რეალურია, მაშინ მასთან შესადარებლად გამოგვადგებოდა კახური „აგურა“ (შდრ. გურ. ენგურ-ა-ი).

ბოგირ (უშგ., ლნტ.) < ქართ. ბოგ-ირ-ი, „ხის პატარა ხიდი“

აღნიშნული **ბოგ-ირ** ფუძის **ბოგ-** ძირი მეგრულიდან შემოვიდა სალიტერატურო ქართულში (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:90), სვანურმა კი, როგორც ჩანს, ქართულიდან ისესხა.

ბოლოკ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ბოლეკ** < **ბოლჳეკ** < **ბოლჷკ** < **ბოლუკ-ი** < ქართ. ბოლოკ-ი

ბომბ (ზს., ქს.) < ქართ. ბომბ-ი < რუს. **Бомб** < ფრანგ. **bombe**

ბოროტ (ზს., ქს.) < ქართ. ბოროტ-ი < სომხ. ***բորոտ*** „კეთროვანი, ქეციანი“, რომელსაც ჰრ. აჰარიანი უკავშირებს ფალ. **bōr**-ს (აჰარიანი 1926:1173), შდრ. ბქ. **ჳოლურცუზ**

ბოჭკა (ზს., ქს.) < ქართ. ბოჭკა (გამკვეთრების პროცესი **чк** > **ჭკ** ქართულშივეა მომხდარი) < რუს. **Бочка** „კასრი“ (შდრ. ზს., ლშხ. **ნელა̈რ**, ბქ. **რაყ**, ბზ. **ლაჳრა̈შ**)

ბრალ (ლშხ.) < ქართ. ბრალ-ი (შდრ. ბზ. **ტა̈რ**)

ბრილიანტ (ზს., ქს.) < ქართ. ბრილიანტ-ი < ფრანგ. **brillant** „ბრწყინვალე“

ბრინჯ (ზს., ქს.) < ქართ. ბრინჯ-ი, ლაზ. ბ⌈რ⌉ინჯი < სპარს. **birinǯ**

ბრინჯაო (ზს., ქს.) < ქართ. ბრინჯაო < სპარს. **birinǯ**

ბრიყჳ (ბქ.) < ქართ: ბრიყვ-ი (შდრ. ბქ. **უხლა** „უცოდინარი“)

ბრძენ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ბრძენ-ი < ფალ. **frazān** (ანდრონიკაშვილი 1966:296)

ბურან „სიბნელე“ (ზს.) < ქართ. ბურან-ი „ძილიდან გამოსვლის დასაწყისი“ (შდრ. ლხმ. **დორე**)

ბურთ-ი (ბქ.) < ქართ. ბურთ-ი.

სვანურ სახელებს, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285), წრფელობითისა და სახელობითის განსასხვავებლად რაიმე ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე „ბრუნვის“ ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუძეებით გვხვდება. ბალსქვემოური **ბურთ-ი** გამონაკლისს წარმოადგენს (შდრ., აგრეთვე, **ჲორ-ი** „ორი“, სემ-ი „სამი“, **ზა̈-ჲ** „წელიწადი“,...). საანალიზო ლექსემა სვანური ენის დანარჩენ დიალექტებში განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, შდრ. ბზ. **ბჳლთ⌈ჳ⌉/ბირთჳ**, ლშხ. **ბჳლთ**, ლნტ. **ბულთ**.

ბუქ (ლშხ.) „ქარიშხალი“ < ქართ. ბუქ-ი „ქარიანი თოვლი“ (შდრ. ჩოლ. **ბარძჷჳა**, უშგ. **მაოტა**)

გაზეთ (ზს., ქს.) < ქართ. გაზეთ-ი < რუს. **Газета** < იტალ. **gazetta**

გემ (ზს., ქს.) < ქართ. გემ-ი < თურქ. **gemi**

გიჟ (ზს., ქს.) < ქართ. გიჟ-ი (შდრ. ბზ. **რჳექ**, **ლუსრ̄ყე**, ბქ. **ლუტტურე**, **ლგჭაჟე**, ლშხ. **მითრულ**, ლნტ. **სურნელ**)

გიშერ (ზს., ქს.) < ქართ. გიშერ-ი

გლახაკ (ზს.) < ქართ. გლახაკ-ი < ფალ. **gilak** || **gilah** (შდრ. ზს. **თრა̈ჳ**, ბქ. **სა̈ყჳდირ**)

გლეხ (ზს., ქს.) < ქართ. გლეხ-ი < სომხ. ***գեղջուկ***

გმირ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **გგმრ** < ქართ. გმირ-ი

გრამ (ბქ., ლშხ.) < ქართ. გრამ-ი < რუს. **Грамм** < ბერძ. **gramma**

გრიპ (ზს., ქს.) < ქართ. გრიპ-ი < რუს. **Грипп** < ფრანგ. **gripple** (შდრ. ბზ. **მეკჳა̄რჲე̄ლ**, ბქ. **მეკჳარელ**, ლშხ. **მეკჳა̄რჲელ**, ლნტ. **მეკჳა̈რიელ**, ლშხ. **მეღრ̄ღიე̄ლ**)

გუთან (ბქ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გუთა̈ნ** < ქართ. გუთან-ი < არაბ. **fadān** (შდრ. ბზ. **ლა̈ნწჳიშ**, ბქ. **ლენწიშ**)

დებილ (ზს.) < ქართ. დებილ-ი < ლათ. **debilis** „გონებასუსტი“ (შდრ. ზს. **დგბჟგ**)

დედინაცჳალ (ზს., ქს.) < ქართ. დედ-ი-ნა-ცვალ-ი (შდრ. ბზ. **დი-ე̄-ნა-ცა̈დ**, ლშხ. **დი-ე-ნა-ცა̄დ**,

ლნტ. **დი-ნა-ცäდ, დი-ე-ნა-ცäდ**)

დოლ (ზს.) < ქართ. დოლ-ი

დოქ (ზს.) < ქართ. დოქ-ი (შდრ. ბზ. **მანჩაშ**)

დუქან (ბქ.) < ქართ. დუქან-ი < არაბ. **dükkan**

ებრაელ (ბქ.) < ქართ. ებრაელ-ი (შდრ. ბზ. **ჳირღäღ**, ბქ. **ჳურია**)

ელექტრონ (ზს., ქს.) < ქართ. ელექტრონ-ი < ბერძნ. **ēlektron** (შდრ. ბზ. **ნäრჰი**, ბქ. **ნäრჰი**)

ექიმ (ზს.), შდრ. უშგ. **⌈ჰ⌉äქიმ**, ლშხ. **ღექიმ**, ლნტ. **⌈ღ⌉ექიმ**. < ქართ. ექიმ-ი < თურქ. (< არაბ.) **hekim** (შდრ. ჭან. **ჰექიმი**)

ზანდუკ (ლშხ.) < ქართ. ზანდუკ-ი < სპარს.-არაბ. **sandūk**

ზარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ზäრ** < ქართ. ზარ-ი „სამგლოვიარო ჰიმნი" < სპარს.-არაბ. **zārī** „ტირილი"

ზარმაც (ბქ.) < ქართ. ზარმაც-ი (შდრ. ბზ. **მამ⌈ა⌉ჭირäღ**, ბქ. **მამჭირ⌈ჳ⌉ä**, ლშხ. **მამჭირაღ**, ლნტ. **მამაჭრუäლ**, ბზ. **დამზიგäღ**, ჩოლ. **დე̄მიზი**, **ჳომიყო**)

ზაჳ (ზს., ქს.) < ქართ. ზავ-ი

ზეთ (ზს., ქს.) < ქართ. ზეთ-ი < სომხ. ***ձեթ***

ზეიმ (ზს., ქს.) < ქართ. ზეიმ-ი

ზომა (ზს., ქს.) < ქართ. ზომა (შდრ. ბქ. **შენ**)

თათრულა (ლნტ.) < ქართ. თათრ-ულ-ა (გოგრის ჯიშია)

თამამ (ზს., ქს.) < ქართ. თამამ-ი < სპარს. (< არაბ.) **tamām** (შდრ. ბქ. **ლგფირ**, ლხმ. **თხჳიმლგჰიდ**)

თას (ლშხ.) < ქართ. თას-ი < არაბ. **tas** (შდრ. ბზ., ლშხ. **კჳäნჩხჳ**, ბქ., ლნტ. **კჳანჩხ⌈ჳ⌉**)

თასმა (ბქ., ქს.) < ქართ. თასმა (შდრ. ბზ. **ლო̄ბარ**, ზს. **ლებ**, ბქ. **ლობäრ**, ქს. **ლებემ**)

თეატრ (ზს., ქს.) < ქართ ქ. თეატრ-ი < რუს. **Театр** < ბერძ. **theatron**

თეთრეულ (ზს., ქს.) < ქართ. თეთრ-ეულ-ი

თემ (ზს., ქს.) < ქართ. თემ-ი

თითბერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **თითბირ** < ქართ. თითბერ-ი (შდრ. უშგ. **ჳორშაჳ**); მეგრულში დასტურდება **თითმერი** (ქაჯაია II, 2002:47)

თონე (ზს., ქს.) < ქართ. თონე

თოფ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **თჳეფ**, ბქ. **თეფ** < ქართ. თოფ-ი < სპარს. **tup**

თუთუნ (ლშხ.) < ქართ. თუთუნ-ი < თურქ. **tütün**

თხოჳნა (ბზ.) < ქართ. თხოვ-ნ-ა (შდრ. ზს. **ლიშგჳემ**, ლშხ. **ლიშგომ**, ლნტ. **ლიშკჳემ**, ზს. **ლიჰრი**, ბზ. **ლიჰრი̄ნე**, ლშხ. **ლი̄ღერე**, ლნტ. **ლიერი**)

იანჳარ (ზს., ქს.) < ქართ. იანვარ-ი < ლათ. **ianuarius** (შდრ. ბზ. **ქჳäხ**, ბქ., ლნტ. **ქჳäხი**)

იმედ (ზს., ქს.) < ქართ. იმედ-ი < თურქ. (< არაბ., სპარს.) **ümit** (შდრ. ზს., ქს. **მაკახ**, ლშხ. **ბაც**)

ინჳალიდ (ბქ.) < ქართ. ინვალიდ-ი < რუს. **Инвалид** < ლათ. **invalidus** (შდრ. ბქ. **ნäნკლურ**)

იოდ (ზს., ქს.) < ქართ. იოდ-ი < ბერძ. **ioeidēs** „იისფერი"

კალათ (ლშხ.) < ქართ. კალათ-ი[1] < ბერძ. **kalaϑa** „დიდი კალათი" < არაბ. **kalat** (შდრ. ზს.

[1] ქართულ კალათა'ში ბერძნული ლექსემა უცვლელადაა შენახული, ხოლო კალათ'ში ფუძის ბოლოკიდური -ა მოკვეცილია.

ცხი˹ნ˺კ, ლშხ. **ცხიკოლ**, ბზ. **ლაშგყ**, ბქ. **ლაშყ**, ლშხ. **ლაშიყ**)

კალმახ (ზს., ლშხ.) „თევზი" < ქართ. კალმახ-ი < სომხ. ***[illegible]*** (მარი 1910:151), შდრ. ზს., ლნტ. **ცუზ**

კალოშ (ზს., ქს.) < ქართ. კალოშ-ი < რუს. **Калош** < ფრანგ. **galoche**

კამა (ზს., ქს.) < ქართ. კამა

კამათ (ზს., ქს.) < ქართ. კამათ-ი (შდრ. ბზ. **ლიცუ̂᲌ლ**, ბქ. **ლიცუ̂᲌ლ**, ბქ., ლნტ. **ლიცუ᲌ლ**, ლშხ. **ლიცუ᲌ლ**)

კამარა (ლნტ.) < ქართ. კამარა (ცის კამარა) < ბერძ. **καμαρα**

კანფეტ (ზს., ქს.) < ქართ. კანფეტ-ი < რუს. **Канфета** < იტალ. **confeto** < ლათ. **confectus**

კანონ (ზს.), შდრ. ბზ. **კალო̈ნ**, უშგ. **კალუ̂ენ**, ბქ., ლშხ. **კალონ**, ლნტ., ლხმ. **კალენ** < ქართ. კანონ-ი < ბერძ. **Kanōn**

კარტოფილ (ბქ.) < ქართ. კარტოფილ-ი < რუს. **Картофель** < გერმ. **Kartoffel** (შდრ. ბქ. **გარდუ̂იშ**)

კასრულ (ზს.) < ქართ. კასრულ-ი < რუს. **Кастрюля** < გერმ. **Kasserrolle**

კატლეტ (ზს., ქს.) < ქართ. კატლეტ-ი < რუს. **Котлета** < ფრანგ. **Cǒtelette**

კაჰა (ზს., ქს.) < ქართ. (იმერ.) კაჰა „მრუდეფეხებიანი" (შდრ. ლეჩხ., იმ. **კნაჰა**, ქიზიყ. **კნაწა** — გამხდარი, თხელი, მჰლე), შდრ. ბზ. **ფიჰლ᲌Დ**, ბქ. **ფიჰლ᲌‖ფიჰრ᲌** „განიერლაჯება"

კეთილ (ზს., ქს.) < ქართ. კეთ-ილ-ი (შდრ. ბქ. **ლგდბ᲌შ**)

კეტ (ზს., ქს.) < ქართ. კეტ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **ტყენ**, ზს., ლნტ. **ფა˹ჟ˺უ**, ლშხ. **ფ᲌უ**)

კეც (ზს., ქს.) „ქვევრი" < ძვ. ქართ. კეც-ი „თიხა, თიხის ჰურჰელი გამომწვარი, კრამიტი" < ოს. **kæxc/kæxcæ** „დიდი ჯამი, გობი"

კილ (ბქ.) < ძვ. ქართ. (იმერ.) კილ-ი „ნაკლი, წუნი, ზადი, მიზეზი" (შდრ. ბზ. **ცხო̄დ**, ბქ., ქს. **ცხიდ**, ზს. **წგნ᲌უ̂**, ლშხ. **წინაუ̂**, ჩოლ. **თანკილ**)

კინჩხ (ზს., ლნტ.) < ქართ. (იმერ., გურ., აჭ.) კინჩხ-ი „კისერი"

კირ (ზს., ქს.) < ქართ. კირ-ი

კლას „სკოლა" (ზს., ქს.) < ქართ. კლას-ი < რუს. **класс** < ლათ. (< ბერძ.) **classis**

კოკორ (ქს.) < ქართ. კო-კორ-ი „კვერ-ი" (შდრ. ზს. **ტაბლ᲌შ**, ქს., უშგ. **ტაბილ/ტაბგლ**)

კოლოფ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **კოლეფ** < ქართ. კოლოფ-ი (შდრ. ბქ. **შ᲌კუ̂**)

კომპოტ (ზს., ქს.) < ქართ. კომპოტ-ი < რუს. **Компот** < ფრანგ. **compote**

კონვერტ (ზს., ქს.) < ქართ. კონვერტ-ი < რუს. **Конверт** < ფრანგ. **convert**

კოჰობ (ბქ.) < ძვ. ქართ. (ხევს., მოხ., მესხ.) კოჰობ-ი (შდრ. გურ. კოჰობა-ი, ინგ. კოჰოპ, აჭარ. კოჰოპა) „პატარა ქოთანი".

მ. ჩუხუას აზრით, ქართული ენის დიალექტებში გავრცელებული აღნიშნული ტერმინები არქაული ნასესხობაა ზანურიდან, იმდენად ძველი, რომ იგი (კოჰობი) საბას ლექსიკონშიც არის განმარტებული (ჩუხუა 2000-2003:125).

კუ (ზს., ქს.) < ქართ. კუ, შდრ. ძვ. ქართ. კუვ-ი

კუმაშ (ლშხ.) < ძვ. ქართ. კუმაშ-ი < არაბ. **Kumaš** „საქონელი", თუმცა მ. ჩუხუა ამ ძირს საერთოქართველურ დონეზე განიხილავს (ჩუხუა 2004:82)

კუნძულ (ზს., ქს.) < ქართ. კუნძულ-ი

კუტალ (ლშხ.) „სასმისი" < ძვ. ქართ. (ფშ., მოხ., ქართლ., მესხ.) კუტალ-ი „ერთგვარი ჰურჰელი"

კუჭ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **კჳიჭ** < ქართ. კუჭ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **დōრ**, ბქ., ლნტ. **დგრ**)

კუჭმაჭ (ბქ.) < ქართ. კუჭ-მაჭ-ი

კჳანჩხ (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **კჳāნჩხჳ** < ქართ. (იმერ.) კვანჩხ-ი „ხის სასმისი" (შდრ. მეგრ. **კვანჩხა**)

კჳერ (ლნტ.) < ქართ. (თუშ., გურ.) კვერ-ი „ღადარში გამომცხვარი მრგვალი მჭადი", „თხლად გამომცხვარი მრგვალი პური"

კჳიმატ (ლშხ.) „ახალი წლის მეორე დღე" < ქართ. კვიმატ-ი, შდრ. ფშ., ხევს., მთიულ. კუმეტ-ი

კჳირია (ზს.) < ქართ. (ფშ., ხევს.) კვირია („საღვთო სიმღერის სახელწოდება"), ფშავ-ხევსურეთში ხალხური წარმართული ღვთაებაა, ხმელეთის მზრუნველი (ღლონტი 1984:287)

ლამფა (ზს., ქს.) < ქართ. ლამფა „ჭერის თხელი ფიცარი", „ფიცრის ჭერი"

ლამპარ (ლშხ.) < ძვ. ქართ. (გურ.) ლამპ-არ-ი (შდრ. ბზ. **მაშგჳალ**, უშგ. **სუნდუქჳ**, ბქ. **ფაკელ**)

ლაჳაშ (ლშხ.) < ქართ. ლავაშ-ი (შდრ. ბზ. **ქალბაბäრ**)

ლაღუმ (ზს., ქს.) < ქართ. (იმერ., გურ., ზ.აჭარ., იმერხ.) ლაღუმ-ი „ნაღმი" < ბერძნ., თურქ. **lagim**

ლახანა (ზს., ქს.) < ქართ. (ლეჩხ., ფშ., იმერ., გურ.) ლახანა < ბერძ. **lachanon** „ბოსტნეული, მწვანილი", შდრ. სპარს. **lagan**

ლებ (ზს., ქს.) < ქართ. (იმერ., გურ.), მეგრ. ლებ-ი „ლეიბი" (შდრ. ბქ. **ლერშ**, ლშხ. **ჩაჩაბ**)

ლექს (ზს., ქს.) < ქართ. ლექს-ი < ბერძ. **lexis** „სიტყვა"

ლობიო (ბზ., ქს.) < ქართ. ლობიო < სომხ. ***լոբի*** < თურქ. **lobja**

ლოთ (ზს., ქს.) < ქართ. ლოთ-ი (შდრ. ბზ. **თგრäდ**, ბქ. **ჯაზნარä**)

ლომ (ზს., ქს.) < ქართ. ლომ-ი „ძალაყინი" < რუს. **лом**

ლორ (ლშხ.) < ქართ. ლორ-ი (შდრ. ბქ. **აპეხ'ჳ'დ**)

ლხინ (ზს., ქს.) < ქართ. ლხინ-ი (შდრ. ბზ. **ლäხიადōლ**, ბქ., ლნტ. **ლäხიადალ**, **ლäხედალ**, ლშხ. **ლახდადალ**, ზს. **ტაბგობ**)

მათხოჳარ (ლშხ.) < ქართ. მა-თხ-ოვ-არ-ი (შდრ. ბზ. **შგომ'ა'ლäდ**, **მეშგჳმანäლ**, ბქ. **შგომანä**, ლშხ. **შგომად**, ლნტ. **შკომალä**)

მაის (ბქ.) < ქართ. მაის-ი < ლათ. **maius**

მაკარონ (ზს., ქს.) < ქართ. მაკარონ-ი < რუს. **Макарон** < იტალ. **maccheroni**

მამინაცჳალ (ზს., ქს.) < ქართ. მამ-ი-ნა-ცვალ-ი (შდრ. ბზ. **მუ-ე-ნა-ცäდ**)

მანკ (ლშხ.) „ხასიათი, ზნე" < ძვ. ქართ. მა-ნკ-ი „ნაკლი, ზადი, ბიწი" < სომხ. (< ფალ.) **mank** (შდრ. ზს., ლნტ. **კäფ**, ზს., ლნტ. **სäხკäფ**)

მარაგ (ბქ.) < ქართ. მარაგ-ი < ფალ. **marag/k** „რიცხვი" (შდრ. ბზ., ლშხ. **ქāმāრა**, ბქ., ლნტ. **ქამარა** „საკმარისი, საყოფი")

მარხჳ'ა' (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. მარხ-ვ-ა < ფალ. **pāhr**-იდან მეტათეზის გზით **pāhr** > **parx** > მარხ (ანდრონიკაშვილი 1966:256), შდრ. ზს., ლნტ. **ჳიჭმ**, ლშხ. **უჭმ** „მარხვა"

მასწაჳლებელ (ზს., ქს.) < ქართ. მა-სწავ-ლ-ებ-ელ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **მუ-თჳრ-ი**, ლნტ. **მუთჳერი**)

მაღაზია (ზს., ქს.) < ქართ. მაღაზია < რუს. **Магазин** < ბერძ. **μαγαδι**

მაციჳარ (ზს., ქს.) < ქართ. მა-ცივ-არ-ი

მაჭიკ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **მäჭიკ** < ქართ. მაჭიკ-ი (შდრ. ჩოლ. **ქჳინჩაფ**)

მახათ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **მახა̈თ** < ქართ. მახათ-ი < ებრ. **mahat**

მეზობელ (ლნტ.), შდრ. ზს., ლშხ. **მეზჳბელ** < ქართ. მე-ზობ-ელ-ი

მეტრ (ზს., ქს.) < ქართ. მეტრ-ი < რუს. **метр** < ბერძ. **metron**

მეფე (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. მე-ფ-ე

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (ქართ. **მეფე** — მეგრ.-ჭან. **მაფა**) ეს ლექსემა ძირეულ მასალად განიხილება (ჭარაია 1895:103; მარი 1914:72; კლიმოვი 1964:133, 186; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:453-454; კლიმოვი 1998:120, 196; ჩუხუა 2000-2003:17), მაგრამ როგორც **მეფე**, ისე **ხელ˹მ˺წიფ** სვანურ ენაში ალბათ ნასესხებია ქართულიდან.

მეჭეჭ (ზს., ქს.) < ქართ. მეჭეჭ-ი (შდრ. ბზ. **მა̈ჭიჭ**, ჩოლ. **ბეჭეჭ**)

მეხ (ზს., ქს.) < ქართ. მეხ-ი < ოს. **mey** (შდრ. ოს. **miğ/meğ — ğ > x** სიტყვის ბოლოს)

მთაჳარ (ბქ., ლშხ.) < ქართ. მ-თავ-არ-ი

მიზეზ (ზს., ქს.) < ქართ. მიზეზ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ტა̈რ**, ჩოლ. **თანკილ**)

მკერაჳ (ზს., ქს.) < ქართ. მ-კერ-ავ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **მჷშხბიე̄ლი**, ბქ. **მჷშხბ˹ელ˺ი**, **მჷშხბჷრი**, ლნტ. **მჷშხებიელი**)

მოსამართლ˹ე˺ (ზს., ქს.) < ქართ. მო-სა-მართ-ლ-ე

მოწაფე (ზს., ქს.) < ქართ. მო-წაფ-ე (შდრ. ზს., ლშხ. **მუთჳრი**, ლნტ. **მუთჳერი**)

მუთაქა (ზს., ქს.) < ქართ. მუთაქა < არაბ. **mutakā'u** (შდრ. ლხმ. **მჷრთაგა**, რაც, უთუოდ მეგრული **მურთაგა/მურთაქა**'დანაა ნასესხები, იხ. ქაჯაია 2002:330)

მწჳანილ (ზს., ქს.) < ქართ. მწვან-ილ-ი (შდრ. ბქ. **მალაშა**)

ნაბად (ლშხ.) < ქართ. ნაბად-ი „ქეჩა" < სპარს. **namad** (შდრ. ზს., ლნტ. **ღა̈რთ**, ლშხ. **ღართ**, ჩოლ. **შართქჳინ**)

ნალ (ბქ., ლშხ.) < ქართ. ნალ-ი < არაბ. **na'l** (შდრ. უშგ. **ნაშკადუნ**)

„ნალი" არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „ფეხსაცმელს, ტყავს, ძირს ფეხსაცმლისას". დასტურდება სპარსულსა და თურქულშიც. სვანურში ეს ფუძე ქართულიდანაა შეთვისებული (ქერქაძე 1974:168).

ნამცხჳარ (ზს., ქს.) < ქართ. ნა-მ-ცხ-ვ-არ-ი (შდრ. ჩოლ. **ღჳენძილ**)

ნაქ (ლშხ.) < ქართ. ნაქი „რბილი სასა"

ნაჭა (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ნა̄ჭა** „შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდი ჯაჭვი" < ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.), მეგრ. ნაჭა „ჯაჭვ-ი"

ნეზჳ (ზს.) „დედალი ღორი" < ქართ. ნეზვ-ი „დედალი ცხვარი, თხა, ღორი" < ოს. **sijyn** (შდრ. ზს., ქს. **ყ˹ჳ˺ერ**)

როგორც ცნობილია, **ნეზვი** მეგრულსა და სვანურში შეთვისებულია ქართულიდან (თოფურია 1938:89). გარკვეულია ისიც, რომ **ნეზვ** ფუძეს საერთოდ დედალი საქონლის გამოხატვა უნდა ჰქონოდა დაკისრებული (ჯავახიშვილი 1937:181, 193-194).

ზვ-/ზუ- ძირი და მისგან ნაწარმოები ფუძეები სამსავე ქართველურ ენაში გვხვდება (ქერქაძე 1974:23).

ნეზვ ფუძეში **ნე-** მიჩნეულია ნივთის კატეგორიის ნიშნად (ჩიქობავა 1938, 25). მზ. შანიძის აზრით კი, ძვ. ქართულის **ნეზვ-** წარმომდგარია **მეზუ**-საგან ისევე, როგორც **ნეფე** — **მეფე**-საგან ან **ნეტაფრასი** — **მეტაფრასი**-საგან (შანიძე 1967:309).

სპეციალურ ლიტერატურაში არის ცდა ამ საერთოქართველური **ზვ-/ზუ-** ძირის დაკავშირებისა ოსურში შობის აღმნიშვნელ **zajyn/izajun** ფუძესთან (ანდრონიკაშვილი 1966:88; აბაევი 1949:23).

ნერგ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ნერგ-ი

ნერჳ (ზს., ქს.) < ქართ. ნერვ-ი < ლათ. **nervus**

ნიკელ (ბქ.) < ქართ. ნიკელ-ი < რუს. **Никелин** < გერმ. **nikel**

ნიშან (ლშხ.), შდრ. ზს. **ნიშა̈ნ**, ლნტ. **ლგშა̈ნ** < ქართ. ნიშან-ი < სპარს. **nišan**

ნიჭ (ზს., ქს.) < ქართ. ნიჭ-ი

ნოქარ (ბქ.) < ქართ.. ნოქარ-ი[1] < სპარს. **nukär**

ნოხ (ზს., ქს.) < ქართ. ნოხ-ი < არაბ. **nax** (შდრ. უშგ. **ნეხჳ**)

ობოლ (ბქ.) < ქართ. ობოლ-ი (შდრ. ზს. **˹ჳ˺ოჯა̈რ**, ლშხ. **ჳოჯარ**)

პალტო (ზს., ქს.)[2] < ქართ. პალტო < რუს. **Пальто** < ფრანგ. **paletot**

პარკ (ზს., ქს.) < ქართ. პარკ-ი „პატარა ტომარა" (შდრ. ბქ. **ძაძგლდ**)

პატრიჯან (ბქ., ლშხ.) „პომიდორი" < ქართ. (იმერ.) პატრიჯან-ი „ბადრიჯანი" < სპარს. **badniǯan/badliǯan**

პატრონ (ბქ., ლშხ.) < ქართ. პატრონ-ი < ლათ. **patronus** „მფარველი" (შდრ. ზს., ქს. **ფუსდ/ნ**)

პირსახოც (ზს., ლშხ.) < ქართ. პირ-სა-ხოც-ი (შდრ. ბზ. **ლაკჳცა̈̄ნ**, ბქ. **ლაკჳცა̈ნი**, ლშხ. **ლაკჳცა̄ნ**, ლნტ. **ლაკჳცა̈ნ**)

პირუტყჳ (ზს., ქს.) < ქართ. პირ-უ-ტყვ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ქჳინლგმგენე**, ბქ. **ქჳინიმგენე**, **ქჳილგმგენე**, **ქჳინგმგენე**, ლშხ. **ქჳნლგმგენე**, ბქ. **ჳეთხმა/ა̈ლ**)

პოეტ (ზს., ქს.) < ქართ. პოეტ-ი < რუს. **поэт** < ბერძნ. **poiētēs**

პოლ (ზს., ქს.) < ქართ., მეგრ. პოლ-ი < რუს. **пол** (შდრ. ბქ. **ყ˹ჳ˺ერბ**)

ჟაკეტ (ზს., ქს.) < ქართ. ჟაკეტ-ი < რუს. **Жакет** < ფრანგ. **jaquette**

ჟამ (ლშხ.) < ძვ. ქართ. ჟამ-ი < ფალ. **žam** „დრო, საათი" (შდრ. ზს., ქს. **ჳონა**, **ჳანა**)

ჟურნალ (ზს., ქს.) < ქართ. ჟურნალ-ი < რუს. **Журнал** < ფრანგ. **journal** „გაზეთი"

რანგ (ლშხ.), შდრ. ზს. **რა̈ნგ** < ქართ. (რაჭ.) რანგ-ი < ოს. **rong**

რახ (ზს., ქს.) < ქართ. რახ-ი < სპარს. (< არაბ.-თურქ.) **rah** „არაყი" (შდრ. ბქ. **ჯაზნა̈რ** „ნაბოლარა არაყი")

რახიტ (ბქ.) < ქართ. რახიტ-ი‖რაქიტ-ი < ბერძ. **rhachis** „ხერხემალი"

რიცხჳ (ზს., ქს.) < ქართ. რიცხვ-ი (შდრ. ზს., ქს. **შელდ**)

როდინ (ქს.) < ქართ. როდინ-ი, შდრ. მეგრ. როდონი (შდრ. ზს., ლნტ. **ლაყა̈ლ**, ბქ. **ლაყლა̈რ** „სანაყი")

როშ „ქატო" (ქს.) < ქართ. (ლეჩხ., ფშ., ქიზიყ., აჭ.) როშ-ი „დაღერღილი ქერი ან ასლი საქონ-ლის საჭმელად"

რუსეთ (ბქ., ქს.) < ქართ. რუს-ეთ-ი

საათ (ლშხ.) < ქართ. საათ-ი < თურქ. (< არაბ., სპარს.) **saat**, შდრ. ზს. **საღათ**, **საჸათ**, ლშხ. **სა̄თ**, ლნტ. **სათ**, სადაც ფუძეში მოსალოდნელი იყო მეორე (ან ერთადერთ) მარცვალში წარმოდგენილი ა ხმოვნის უმლაუტი. მსგავსი რამ დადასტურებული აქვს გ. კლიმოვს (კლიმოვი, ხალილოვი 2003:130), ოღონდ დიალექტზე მითითების გარეშე (**სა̈̄თ**).

საბან (ლშხ.), ბზ., ლნტ. **საბა̈ნ** < ქართ. საბან-ი (შდრ. ზს. **შართქჳინ**, ლხმ. **შართქჳილ**, ლშხ. **შართქუმ**)

---

[1] ჳ > ო ქართულშივე მოხდა.

[2] შდრ. ბქ. **პა̈ლიტო**, სადაც ნარნარა ბგერის მომდევნო პალატალური ხმოვანი იწვევს წინამარცვლისეული ა-ს უმლაუტს.

საბუთ (ზს., ქს.) < ქართ. საბუთ-ი < არაბ. **sabūt**

სადილობა (ზს.) < ქართ. სა-დილ-ობ-ა (გაგუა 1986:21)

სათითურ (ლშხ.), შდრ. ბზ. **სათა̈თჳრ**, ბქ. **სა̈თეთჳრ** < ქართ. სა-თით-ურ-ი

საკმეჳელ (ბზ., ლშხ.), შდრ. **საკმე̄ლჳ**, **საკმჳე̄ლ**, ბქ., ლნტ. **სა̈კმეჳელ**, ლშხ. **საკმოჳელ** < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ნატჳსუნ**, ბქ., ლნტ. **ნატუსუნ**)

საკუთარ (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს. **საკუთა̈რ**, ლნტ. **საკჳთა̈რ** < ქართ. სა-კუთ-არ-ი

საკურთხ[1] (ზს., ქს.) < ქართ. სა-კურთხ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ნაფჳა̄ნუნ**, ბქ., ლნტ. **ნაფჳანუნ**, ბქ. **ნაჯგრუნ**)

სამსახურ (ზს., ქს.) < ქართ. სა-მ-სახ-ურ-ი

საჟენ (ზს., ლშხ.), შდრ. ბზ., ლშხ. **საჯენ**, ბქ., ლნტ. **სა̈ჯენ**, **სა̈ჟენ** < ქართ. საჟენ-ი < რუს. **Сажень**

სარაჯ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **სარა̈ჯ** < ქართ. სარაჯ-ი (შდრ. ლეჩხ. იმერ. სარაჯა, ფშ. სარაჟი, იმერ. სარაჰ-ი/ა და მეგრ. სარანჯი/სარანგი)

სასუქ (ზს., ქს.) < ქართ. სა-სუქ-ი

სასწაულ (ზს., ქს.) < ქართ. სა-სწა-ულ-ი (შდრ. ზს. **ლემბა̈ჟ**, ლშხ. **ლემბაჟ**, ლნტ. **ლენაბა̈ჟ**)

სასჯელ (ზს., ქს.) < ქართ. სა-სჯ-ელ-ი

საღ (ბქ.) < ქართ. საღ-ი < თურქ. **say** (შდრ. ზს. **ჰა̈დჳირ**, **ჰა̈დურ**, **ჰედურ**, ლშხ. **ჲადურ**, **ჲედურ**, **ედურ**, ლნტ. **˹ჲ˺ედურ**)

საყდარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **საყდა̈რ** < ქართ. სა-ყდ-არ-ი (შდრ. ბზ. **ლაჰჳა̈̄მ**, ქს. **ლაჰჳამ**, ბქ. **ლაჰჳმი**)

საშლელ (ზს., ქს.) < ქართ. სა-შლ-ელ-ი (შდრ. ბქ. **ლა̈ღრა**)

საწყენ (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს. **საწყინ**, ლნტ. **სა̈წყენ** < ქართ. სა-წყ-ენ-ი (შდრ. ზს. **ლესდიკ**, ბზ., ლშხ. **ლელო̄ნე**, ბქ., ლნტ. **ლელონე**)

სახარება (ლნტ.), შდრ. ზს. **სახრა̈ბ**, ლშხ. **სახრებ** < ქართ. სა-ხარ-ებ-ა

სენ (ბქ.) < ქართ. სენ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **მა̈ზიგ**, ლშხ. **მაზიგ**, ზს. **მათგმ**)

სიმინდ (ზს., ქს.) < ქართ. სიმინდ-ი < სომხ. (< ბერძ.) ***սիմինդ*** (შდრ. ბზ., ლშხ. **ციჳალ**, ლნტ. **ციჳა̈ლ**)

სირმა (ბქ., ლნტ.) < ქართ. სირმა < სპარს. **sirmā**

სიტყჳა (ზს., ქს.) < ქართ. სიტყვა (შდრ. ზს., ლნტ. **ამბა̈ჳ**, ბქ. **ამბა̈**, ლშხ. **ამბაჳ**)

სოფელ (ზს., ქს.) < ქართ. სოფ-ელ-ი

თავის დროზე ს. ჯანაშიამ ქართული „სოფელი" დაუკავშირა სვანურ „**სჳიფ**"-ს, რომელიც „სასოფლო შეკრების მოედანს" ნიშნავს და დაასკვნა: „თუ იგი (**სჳიფ**) ქართ. სუფელის ნასესხობაა, მაშინ მისი სემანტიკური ფუნქცია სვანურში ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ხდება: ცხადია, აქ დაცულია ის მომენტი, როცა სასოფლო თემს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ორგანო — სასოფლო ერის კრება; თვით კოლექტივთან ერთად „სუფელი" ამ ერის კრებასაც აღნიშნავს. შემდეგ ტერმინი უკავშირდება, როგორც ეს სვანურშია წარმოდგენილი, იმ ადგილს, სადაც ჩვეულებრივად თავს იყრის სოფელი" (ჯანაშია 1949:286).

ტერმინი **სოფელ**-ით სვანურში აღინიშნება **ჰევ**-ში შემავალი დასახლებული პუნქტი, როგორც **ჰევ**-ის ორგანული ნაწილი (ხარაძე, რობაქიძე 1964:76).

სპილო (ზს., ქს.) < ქართ. სპილო < ფალ. **pīl**

---

[1] მოულოდნელია, რომ სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვას ფუძეში უ ხმოვნის უმლაუტი არ გამოუწვევია.

სტამან (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **სტამა̈̄ნ** < ძვ. ქართ. სტამან-ი „ქილა, კოკა“ < ბერძ. **στaμνa**

სტოლ (ზს., ქს.) < ქართ. სტოლ-ი < რუს. **стол** (შდრ. ზს., ლნტ. **ტაბა̈გ**, ლშხ. **ტაბაგ** „ტაბლა“; ზს., ლშხ. **ფიჩქ** „სამფეხა მაგიდა; ბქ. **გგრჯა̈ბ** „სამფეხა მაგიდა“, ბქ. **გგრდ**)

სტოლბა (ზს., ქს.) < ქართ. სტოლბა < რუს. **столба** (შდრ. ზს., ლნტ. **ბა̈ჯგ**, ზს. **ბეჯგ**, ლშხ. **ბაჯგ**)

სტჳირ (ბქ., ლნტ.) < ქართ. სტვ-ირ-ი „მილი“

სუფთა (ზს., ქს.) < ქართ. სუფთა (შდრ. ზს. **წყილია̈ნ**, **წყგლჲა̈ნ**, ლშხ. **წყგლჲან**, ლნტ. **წყგლია̈ნ**, ბზ. **წყგზა̈მ**, **წყგზემ**, ლშხ. **წყგზემ**, ლნტ. **წყაზარ**, ბზ. **დაჰა̈რ**, ბქ. **დაჰარ**, **გაჰარ**, ლნტ. **დაარ**, ჩოლ. **ცილდგმ**, **დაიაზ**)

სჳეტ (ბქ.) „ბოძი“ < ქართ. სვეტ-ი < ირ. **sut, sutun** (შდრ. ზს., ლნტ. **ბა̈ჯგ**, ზს. **ბეჯგ**, ლშხ. **ბაჯგ**)

სჳინა (ზს.) „ნათლია“ < ქართ. (ქართლ.) სვინა „ნეფის მეჯვარე“; „შვილის მომნათლავი“ (შდრ. ზს. **პა̈პი**, ქს. **პეპი**).

ქართლურ დიალექტში **სვინა** „ნეფის მეჯვარეს“ აღნიშნავს, ხოლო ქართული ენის ლექსიკონთა ძველი თუ ახალი გამოცემების მიხედვით ის „შვილის ნათლიაა“. სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში, გვხვდება **ლი-სჳნ-ალ** („დამოყვრება, დანათესავება“) და **სჳინა̈** („მოკეთე, მოყვარე“) ფორმები. ბალსზემოურ დიალექტში დასტურდება **სჳინა̈ჲ** ვარიანტი. იგივე ლექსემა მეგრულმაც ისესხა.

სწორ (ზს.) < ქართ. სწორ-ი (შდრ. ზს. **მუგჳი**, **მუგუ**, **მეგუ**, ქს. **მეგჳი**)

ტაიჭ (ზს., ქს.), შდრ. ზს. **ტა̈იჭ**, ბზ. **და̈იჭ**, ბქ. **ჭა̈იტ** < ქართ. ტაიჭ-ი „ბედაური ცხენი, რაში“[1] < ფალ. **tāčīk** „არაბული ცხენი“

ტაიჭი ფუძე არაბული ენობრივი სამყაროს კუთვნილებაა და მომდინარეობს იამანური წარმოშობის ჩრდილო არაბული ტომის **ტა**-ის სახელწოდებიდან. ეს უკანასკნელი **ტაზ**-ის სახით სპარსულში (X ს.) და **ტაჯიკ**-ის სახით თურქულში (XI ს.) იხმარება არაბის აღსანიშნავად (ქერქაძე 1974:160). ამავე მნიშვნელობით ეს ფუძე ვრცელდება სომხურშიც **տաճիկ** ფორმით (წერეთელი 1947). სომხურიდან კი — ქართულში ჯერ, ალბათ, არაბის (ბედუინის) და შემდგომში არაბული ჯიშის ცხენის აღსანიშნავად (ქერქაძე 1974:161). შესაძლოა ქართული ფორმა უფრო ძველია შედარებით საშუალ სპარსულ და სომხურ ფორმებთან (ანდრონიკაშვილი 1966:376).

ტან (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ტა̈ნ** < ქართ. ტან-ი < ფალ. **tan** „სხეული“ (შდრ. ბქ. **კჳარდ'ჳ'იმ**)

ტაროს (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ტარჳეს**, ლშხ. **ტაროც** < ქართ. (გურ., იმ.) ტაროს-ი < ბერძ. **ταρωεζ**

ტიკ (ბქ.) < ქართ. (რაჭ.) ტიკ-ი „თიაქარი“ (შდრ. ზს. **ბა̈ჯჳ**, ლშხ. **ბა̄̈ჯჳ**, ლშხ. **ფუშ**)

ტილო (ზს., ქს.) „ჩვარი“ < ქართ. ტილო (შდრ. ბზ. **ლაკჳცა̈̄ნ**, ბქ. **ლაკჳცა̈ნი**, ლშხ. **ლაკჳცა̄ნ**, ლნტ. **ლაკჳცა̈ნ**)

ტიტჳელ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ტჳიტელ**, ზს. **ტიტჷლ** „შიშველი“ < ქართ. ტიტველ-ი (შდრ. ბზ. **ღჳა̈რკლა̈ჲ**, ბქ. **ღჳარკლა̈**, ჩოლ. **ტყლა̈გ**, **ტინტრიკაჲ**)

ტიფ (ზს., ქს.) < ქართ. ტიფ-ი < ბერძ. **typhos**

ტკბილ (ბქ.) < ქართ. ტკბ-ილ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **მუჴხჳი**, ლნტ. **მგჴა̈ხჳი**)

ტკბილეულ (ბქ.) < ქართ. ტკბ-ილ-ეულ-ი

ტკეჩ (ზს., ქს.) „საკერებელი, ბებკი“ < ქართ. (ლეჩხ., იმ., გურ.) ტკეჩ-ი „თხილის წნელის თხლად აჩდილი კანი, რითაც გოდრებს, კალათებსა და გიდელებს წნავენ“ (ღლონტი 1984:512), შდრ. მეგრ. **ტკეჩი**

---

[1] ძველ ქართულში (ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 410) ტაიჭ-ი აქლემს ნიშნავს.

ტონა (ზს., ქს.) < ქართ. ტონა < ფრანგ. **tonne**

ტყუე (ზს.) < ქართ. ტყვე (შდრ. უშგ. **უნბილ**)

უბან (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **უბäნ** < ქართ. უბან-ი

უბედურ (ბქ.) < ქართ. უ-ბედ-ურ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **უბäდჳ**, ლშხ. **უბედ**)

უკმაკურ (ლშხ.) „უშნო, უხეირო“ < ქართ. (იმერ., გურ.) უ-კმაკ-ურ-ი „უწმაწური, უხეირო“ (შდრ. მეგრ. **უკმაკურ-ი** „უკუღმართი; უცნაური; უხეირო“)

უკმეხ (ბქ.) < ქართ. უ-კმეხ-ი

ურემ (ზს., ქს.) < ქართ. ურემ-ი

ურჩხულ (ზს., ქს.) < ქართ. ურჩხულ-ი

უწესო (ზს., ქს.) < ქართ. უ-წეს-ო (შდრ. ბქ. **უნაქურ**)

უწმინდურ (ზს., ქს.) < ქართ. უ-წმინდ-ურ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ჳიდრობა**, ლშხ. **ჳინდრობა**, **ჳონდრობა**, ლნტ. **უდინდრობა**, ბქ. **შელე**)

უხერხულ (ზს., ქს.) < ქართ. უ-ხერხ-ულ-ი

უხეშ (ზს., ქს.) < ქართ. უხეშ-ი (შდრ. ბზ. **მäგჳრēმა**, ბქ. **მäგჳრემა**, ბქ. **უჯმაჯურ**)

ჳარდ (ზს., ქს.) < ქართ. ვარდ-ი < ფალ. **vard**

ჳახშამ (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს. **ჳახშäმ** და ჩოლ. **ჳოხშამ** < ქართ. ვახშამ-ი < თურქ. (< სპარს.) **akşam** („საღამო“). მ. ანდრონიკაშვილის აზრით, შესაძლებელია ქართული **ვახშამი** ალანურიდან მოდიოდეს (ანდრონიკაშვილი 1966:107), შდრ. მთ. **ჳოხშამ**

ჳედრა (ზს., ქს.) < ქართ. ვედრა || ვედრო < რუს. **ведро** (შდრ. ბქ. **გäბ˚ჳ˚**)

ჳეზირ (ზს.) < ახ. ქართ. ვეზირ-ი, ძვ. ქართ. ვაზირ-ი < არაბ. **vazir**

ჳელურ (ბქ., ლშხ.), შდრ. ბზ. **ჳäლჳ̄რ**, ლნტ. **ჳელირ** < ქართ. ველ-ურ-ი (შდრ. ბქ. **ტყäრ**, ბზ. **ნäცხკიშჳ**, ბქ. **ცხეკიშ**, ლშხ. **ნაცხკიშ**, ლნტ. **ნäცხეკ**)

ჳერცხლ (ზს., ქს.) < ქართ. ვერცხლ-ი (შდრ. ზს., ქს. **ჳარჩხილ**, ბზ. **წყ˚ი˚ლიäნ**, **წყგლäნ**)

ჳეფხჳ (ზს.) < ქართ. ვეფხვ-ი

ჳიჩინა (ზს., ქს.) < ქართ. ვიჩინა < რუს. **Ветчина**

ფა (ზს., ქს.) < ქართ. ფა „წვერი (ძაფისა), ცალი“ < სპარს. **pahn** „განი“, „განიერი“

ფაიდა „ბარაქა“, „ბედი“ (ლხმ.), შდრ. ზს. **ფäიდა**, ლშხ. **ფäიდა** < ქართ. (გურ., ქიზიყ.) ფაიდ-ი „ხეირი, სარგებელი, ნაყოფიერება“ < არაბ. **fayda** „სარგებლობა, სარგებელი“ (საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში სვანურში დაცულია ამოსავალი არაბული — და არა ქართული ფორმა), შდრ. ბქ. **ძღ˚ჳ˚ერ**.

ფაკელ (ბქ.) „ჩირაღდანი“ < ქართ. ფაკელ-ი (შდრ. ბზ. **მაშგჳალ**)

ფარ (ზს., ქს.) < ქართ. ფარ-ი < ფალ. **pāhr** „დაცვა“

ფარსაგ (ბზ.), შდრ. ბქ. **ფარსäგ**, ლშხ. **ფარცაგ**, ლნტ. **ფარცäგ** < ქართ. (თუშ., ფშ., კახ.) **ფარსაგ-ი** < ოს. **færssag** „საშუალო, გვერდითი, სხვა“ (შდრ. ბქ. **სäრგბიშ**).

ამ ლექსემის მნიშვნელობები განსხვავებულია ქართული ენის აღმოსავლურსა და დასავლურ დიალექტებში (შდრ. თუშ., ფშ., კახ., იმერ., გურ., ფარსაგ-ი გურ. ფარცაკ-ი — „საკვირველი, მოულოდნელი, უმაგალითო“). ჩვეულებრივ, სვანური ენის მონაცემებში უფრო ასახულია ხოლმე დასავლური ქართულის ვითარება როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ აქ პირიქითაა საქმე.

ფელიკ (ზს., ქს.), შდრ. ბზ. **ფōლიკ** < ქართ. ფელიკ-ი „საკლავის მეოთხედი“

ფერ (ზს., ქს.) < ქართ. ფერ-ი (შდრ. ზს. **ჰა̈ბ**)

ფეტჷ (ბქ., ქს.) < ქართ. ფეტვ-ი

ფინდიხ (ზს.) < ქართ. ფინდიხ-ი „მსხვილი სასროლი ტყვია"[1] < სპარს.-თურქ. **punduķ**

ფინთ (ზს., ქს.) < ქართ. (გურ., ქართლ., ქიზ.) ფინთ-ი < ოს. **fyd** „ავი, ცუდი"

ფოცხჷერ (ქს.), შდრ. ზს. **ფორეცხ**, ლხმ. **ფორენცხ** < ქართ. ფოცხვერ-ი

ფოხალ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ფოხა̈ლ** < ქართ. (იმერ., ქიზიყ.) ფოხალ-ი „საწყაო ერთეულია"

ფუთ (ზს., ქს.) < ქართ. ფუთ-ი < რუს. **пуд**

ფხალ (ზს., ქს.) < ქართ. (რაჭ., იმერ., გურ.,) ფხალ-ი

ფხოჷელ (ქს.) < ქართ. (ლეჩხ., ქართლ.) ფხოველ-ი „ფხიანი, ყოჩაღი, მარდი, მარჯვე, მამაცი" (შდრ. ზს., ქს. **ლამარგ**, ბზ., ლშხ. **გამა̄ნ**, ზს., ლნტ. **ქა̈მქეთ**)

ქაბაბ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ქაბა̈ბ** < ქართ. ქაბაბ-ი

ქართულ (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ქართჷილ** < ქართ. ქართ-ულ-ი

ქართჷელ (ზს., ქს.) < ქართ. ქართ-ვ-ელ-ი

ქასანიკ (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ქასა̈ნიკ** < ქართ. (რაჭ.) ქასანიკ-ი „ეშმაკი, გაიძვერა ადამიანი" (შდრ. ზს., ქს. **გჷეფ**, ბზ., ლშხ. **ფო̄ნ̄ილ**, ლშხ. **ჩოღლოთ**, ლნტ. **ჩოღლა̈თ**, ბზ. **მაბგა̈რ**, ბქ. **მა̈ბგა̈რ**)

ქაფ (ზს.) < ქართ. ქაფ-ი < სპარს. **kaf** (შდრ. ბზ., ლშხ. **პჷ̄რ**, ბქ., ლნტ. **პერ**)

ქაფქირ (ბქ.) < ქართ. ქაფქირ-ი < სპარს. **kafgir** (შდრ. ბქ. **პერიშ ლა̈კდა̈რ**)

ქაშან (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ქაშა̈ნ** < ქართ. (იმერ., აჭ.) ქაშან-ი „მაღალტყიან ადგილას დაშვებული ბუნებრივი თხრილი, რაშიაც შეშას ან მძიმე საშენ მასალას თრევით დააცურებენ ხოლმე"; „შამბთა და თოვზედ გაქელილი გზა" (საბა)

ქაჯ (ლშხ.), ზს., ლნტ. **ქა̈ჯ** < ქართ. ქაჯ-ი < სპარს. **kaǯ** „ყალბი" (შდრ. ზს. **გჷეფ**, ბზ. **სამა̈̄ლ**, ბქ. **სამა̈ლ**, ლშხ. **ყაყელ**)

ქერ (ლშხ.) < ქართ. ქერ-ი < ბერძნ. **κρι** (შდრ. ზს., ქს. **ჰეგმინ**)

ქერცლ (ლშხ.) < ქართ. ქერცლ-ი < ოს. **kærc** (შდრ. ბქ. **ფიქშირ**).

ჰ. ფენრიხი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის აღადგენს *ქერც- არქეტიპს (მაგ. ქართ. ქერც-ლ-ი და მეგრ. ქირც-ა) (ფენრიხი 1998), ხოლო გ. კლიმოვი სვანურ **ქერცლ**'ს ქართული ქერტლ'იდან მომდინარედ მიიჩნევს (კლიმოვი 1998:215). როგორც ჩანს, მან ქართული „ქერცლი" არ იცის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართული ქერც-ლ-ი (ქეც-ი, ქეც-ედ-ი), ქეცი „თევზის ქიცვი" (საბა) სპეციალურ ლიტერატურაში დაკავშირებულია ოსურ **kærc/kæræ** „ქურქი", **kærcxor/ kærcxwar** „ქურქის მასალა" ლექსემებთან (ანდრონიკაშვილი 1966:118), ხოლო ვ. აბაევი მას უკავშირებს ქართ. (კუთხ.) ქეჩო'ს „ქურქი" (აბაევი 1958:588), რაც მ. ანდრონიკაშვილის აზრით, უფრო გვიანდელი ნასესხები ჩანს (ანდრონიკაშვილი 1966:118).

ქილ (ბზ., ქს.), შდრ. ზს., ლნტ. **ქგლ** < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ქილ-ი „ეშვი, ღოჯი"

ქინძისთაჷ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **ქინზისთაჷ** < ქართ. ქინძ-ის-თავ-ი

ქორწილ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ქჷერწილ** < ქართ. ქორწილ-ი (შდრ. ბზ. **ლიჟეძა̈̄ლ**)

ქრისტე (ბქ., ლნტ.), შდრ. ზს., ლშხ. **ქრისდე** < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός**

ღადარ (ლშხ.) < ქართ. (ხევს., გურ., აჭ.) ღადარ-ი „ნაკვერცხალი, ღველფი, ცხელი ნაცარი" (შდრ. ბზ. **ღურჩ**, **ღჷირჩ**, ბქ., ქს. **ღგრჩ**)

[1] შდრ. მეგრ. **ფინდიხ-ი** „სწრაფი, ჩქარი; გაბედული", როგორც ჩანს, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება მეგრულში.

ღართ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ღა̈რთ** < ქართ. (რაჭ., გურ., ჯავახ.), მეგრ. ღართ-ი „ნაბადი, ჩოხა“

ღარიბ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ღა̈რიბ** < ქართ. ღარიბ-ი < არაბ. **ġarīb**

ღირს (ზს.), შდრ. ქს. **ღრის** < ქართ. ღირს-ი

ღუ̂ედ (ზს., ქს.) < ქართ. ღვედ-ი (შდრ. ზს. **პრატ**, ზს., ქს. **ბრატ**, ბქ. **პრა̈ტ**).

გ. კლიმოვს სვანური **ღუ̂ედ-** (ისევე, როგორც სხვა შემთხვევაშიც, მასალა, რომელიც ყველა ქართველურ ენაში ერთნაირი ან თითქმის იდენტური ფორმალური გამოხატულებითაა წარმოდგენილი) საერთოქართველურ დონემდე აჰყავს და მას არქიმორფემის სახით (***ღუ̂ედ-**) აღადგენს (კლიმოვი 1964:179). ჩვენ კი ამგვარი მონაცემები, განსაკუთრებით შედარებით გვიანდელი ხანისა, ძირითადად, ქართული ენიდან ნასესხებად მიგვაჩნია; თუმცა ზოგი მათგანი, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება, შეიძლება მაინც ვივარაუდოთ საერთო მასალად ყველა ქართველური ენისა და, მაშასადამე, არქიმორფემათა სახითაც წარმოვადგინოთ.

ღუ̂არ (ბქ., ქს.), შდრ. ბზ., ლნტ. **ღუ̂ა̈რ** < ქართ. ღვარ-ი

ღუ̂ელფ (ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ღუ̂ე̄ლფ** < ქართ. ღველფ-ი „ღადარი“

ყაბახ (ლშხ.) < ქართ. ყაბახ-ი „სამიზნე“

ყაბულ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ყა̈ლბუნ** < ქართ. ყაბულ-ი „თანახმა“ < თურქ., არაბ. **kabul** (შდრ. ჰან. **კაბული**)

ყანაოზ (ზს.), შდრ. ზს. **ყანაუ̂ეზ** < ქართ. (ქიზიყ.) ყანაოზ-ი „აბრეშუმი, ფარჩა“

ყარაულ (ბქ.) < ქართ. ყარაულ-ი < თურქ. **qarawul** (შდრ. ზს., ლშხ. **მგ-ლჩ-ე**, ლნტ. **მგ-ლეჩ-ე** „მცველი“)

ყოშ „კოვზი“ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ყო̄შ**, ბქ. **ყ˹უ̂˺ეშ** < ძვ. ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) ყოშ-ი „კოვზის მსგავსი ხელსაწყო ფქვილისა და მისთ. ამოსაღებად“, ფშ. ყოშ-ი „ხის სასმისი, ტარიანი ან ყურიანი“ (შდრ. ზს. **კიზ**, ლშხ. **კი̄ზ**, ლნტ. **კობზ**)

ყუთ (ზს., ქს.) < ქართ. ყუთ-ი (შდრ. ბქ. **შა̈კუ̂**)

ყუ̂ითელ (ზს., ქს.) < ქართ. ყვითელ-ი

შამფურ (ლშხ.), შდრ. ზს. **შამფირ˹უ̂˺**, **შა̈მფუ̂ირ**, ლნტ. **შამფირ** < ქართ. შამფურ-ი

შარა (ზს., ქს.) < ქართ. შარა˹გზა˺ < სპარს. **šāhrah**

შაურ (ზს., ქს.) < ქართ. შაურ-ი

შაფრან (ბქ.) < ქართ. შაფრან-ი „ვაშლის ჯიში ერთგვარი“ < არაბ. **za'parān**

შაქარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **შაქა̈რ** < ქართ. შაქარ-ი < ფალ. **šakar** შდრ. ბერძნ. **σάχαρον**, ლათ. **saccharum**

შიფერ (ზს., ქს.) < ქართ. შიფერ-ი < რუს. **Шифер** < გერმ. **sohiefer**

შიფონ (ზს., ქს.) < ქართ. შიფონ-ი < რუს. **Шифон** < ფრანგ. **chiffon**

შკაფ (ზს., ქს.) < ქართ. შკაფ-ი < რუს. **Шкаф** < გერმ. **schkafe**

შტრაფ (ზს., ქს.) „ჯარიმა“ < რუს. **Штраф**

შუბ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **შუ̂იბ** < ქართ. შუბ-ი < სპარს. **žubīn/žūpīn**

შურდულ (ლშხ.), შდრ. ბზ. **შურდუმ**, ბქ. **შურდუ̂იმ** < ძვ. ქართ., მეგრ. შურდულ-ი

შუშპარ „ცეკვა“ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **შუშპა̈რ**, ბქ. **შუ̂იშპა̈რ** < ძვ. ქართ. შუშპარ-ი „ფერხული“ (შდრ. ბზ. **ლისუ̂ბი**)

შხამ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **შხა̈მ** < ქართ. შხამ-ი < სპარს. **sam** (შდრ. ზს., ლნტ. **ჟა̈გ**, ლშხ. **ჟაგ**)

ჩათრ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ჩა̈თრ**, ლნტ. **ჩართ** < ქართ. (ლეჩხ.) ჩათრ-ი „ოთხსახელურიანი პატარა ჩელტი“

ჩანგ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჩა̈ნგ** < ქართ. ჩანგ-ი < სპარს. **čang**

ჩაფრასტ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ჩაფრა̈სტ**, ბქ. **ჩაბრა̈სტ** < ქართ. ჩაფრასტ-ი < სპარს. **čäpräst**

ჩელტ (ზს., ქს.) < ქართ. ჩელტ-ი „ლასტი" (შდრ. უშგ. **ჰაბარ**)

ჩერგენ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ.) ჩერგენ-ი „გასაშრობად აყენებული პურისა და მისთანათა კონა", შდრ. რაჭ. ჩენგელა-ი, ჩერგილ-ი, ლეჩხ., იმ. ჩერგენა, ქვ.იმერ. ჩერგილ-ი, ზ.იმერ. ჩერგილა „პატარა ზვინი, ურმეულზე უფრო პატარა; ზოგან თივის პატარა ზვინი" (ღლონტი 1984:653)

ჩიმჩ „ხორცის მატლი" (ბქ.) < ქართ. (იმერ.) ჩიმჩ-ი, (ლეჩხ.) ჩიმჩა „ჩრჩილი", შდრ. იმერ. ჩინჩა/ე, -ა „ჩრჩილი", გურ., ზ.იმერ., აჭარ. „ჩრჩილი (ჭია)"

ჩოგან (ბქ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ., გურ., აჭარ.), მეგრ. ჩოგან-ი < სპარს. **čougān** (შდრ. ბქ. **ღჳარჩინ**)

ჩონგურ (ზს.) < ქართ. ჩონგურ-ი

ჩონჩხ (ბქ., ლშხ.), შდრ. ბზ. **ჩო̈ნჩხ**, ბქ., ლნტ. **ჩჳენჩხ** < ქართ. ჩონჩხ-ი

ჩხირ (ზს., ქს.) < ქართ. ჩხირ-ი „საქსოვი იარაღი"

ცალმაგ (ლშხ.), შდრ. ბზ. ცა̈ლმა̈გ, ბქ. ცალმა̈გ, ლნტ. ცა̈ლმა̈გ < ქართ. (ლეჩხ.) ცალმაგ/კ-ი „სამკედლიანი ხის ნაგებობა" (შდრ. უშგ. **მაჩ**)

ცერ (ზს., ქს.) < ქართ. ცერ-ი

ცინდალ „მართვე, ბარტყი, ბახალა" (ლნტ.), შდრ. ზს. **ცინდა̈ჳ**, ლშხ. **ცინდაჳ** < ქართ., მეგრ. ცინდალ-ი „კნუტი კატისა"

ცომ (ზს., ქს.) < ქართ. ცომ-ი „საფუარი" (შდრ. ზს., ქს. **ჯიც**)

ცოცხ (ზს., ქს.) < ქართ. ცოცხ-ი (შდრ. ზს. **ნანგა̈ჳ**, **ლანგაჳ**, ლშხ. **ლანგაჳ**, ზს. **ჩეჩხ/ჩა̈ჩხ**, ლნტ. **ლაჯერ**)

ცხიმ (ზს., ქს.) < ქართ. ცხიმ-ი (შდრ. ზს. **მჷ-ჩხიმ**)

ცხოჳრება (ზს., ქს.) < ქართ. ცხოვრ-ებ-ა (შდრ. ზს., ქს. **ლირდე**)

ცხრილ (ქს.), შდრ. ზს. **ცხჷრილ** < ქართ. (გუდამაყრ., ქართლ., ქიზიყ., ზ. აჭარ.) ცხრილ-ი „ცხავი" (შდრ. ბზ. **ძუჰე̄რა**, ლშხ. **ძჳე̄რე**, ბქ. **ლანკჳაჩხა**)

ძაბრ(ზს., ქს.) < ქართ. ძაბრ-ი (შდრ. ბქ. **ქჷმრ**)

ძანძახ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ძანძა̈ხ** < ქართ. (ქართლ.) ძან-ძახ-ი „დიდი ტალახი, ჭყაპი", (მესხ.) ძან-ძალ-ი „წვიმა და დიდი ტალახი"

ძეწკჳ (ზს., ქს.) < ქართ. ძეწკვ-ი < მეგრ., ლაზ. ძეწკვ-ი < ოს. **cæg** „რგოლი"

ძირ (ზს., ქს.) < ქართ. ძირ-ი < ფალ. **azīr**, **zīr** „ფსკერი, ქვედა ნაწილი" (შდრ. ზს. **ჰოკერ**, ქს. **ჳოკერ**, ბზ. **ლენკჳრი**, ბქ., ქს. **ლანკჳრი**, **ნანკჳრი**, ბქ. **ჯემ/ჯომ**, ლშხ. **ფესო**)

ძიძიბ (ზს., ლშხ.), შდრ. ლხმ. **ძიძიფ**, ლშხ. **ძჷძიბ**, ლნტ. **ძინძიფ** < ქართ. (ქართლ.) ძიძიბ-ი „პატარა მუწუკი", (ქიზ.) ძიძიბო „მეჭეჭივით პატარა ხორცმეტი"

ძმარ (ზს., ქს.) < ქართ. ძმარ-ი

ძჳირ (ზს., ქს.) < ქართ. ძვირ-ი < ფალ. **zūr** „სიცრუე, ტყუილი, სიავე"

ძღჳენ (ზს., ქს.) < ქართ., მეგრ. ძღვენ-ი (შდრ. ზს., ქს. **ჯიდ**)

წალდ (ქს.) „წალდი, ნაჯახი" < ქართ. წალდ-ი (შდრ. ბქ. **ნა̈ნსოლ**)

წამ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **წა̈მ** < ქართ. წამ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **რა̈კ**)

წაქ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **წრა̈ქ**, **ნაწრექ** < ქართ. (იმერ., გურ.) წაქ-ი „სველი, შრატი" (შდრ. ფშ. **წაკა**)

წერილ (ზს., ქს.) < ქართ. წერილ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ლა̈ჲრ**, ლშხ. **ლაირ**, **ლაჲრ**)

წეს (ზს., ქს.) < ქართ. წეს-ი < სომხ. ***ծես*** „ჩვეულება" (შდრ. ბზ. **შჳიმ**, ბქ. **შჳმ**, ლშხ. **შუმ**, **შჷმ**, ლნტ. **შჳიმ**)

წესიერ (ბქ.) < ქართ. წეს-იერ-ი

წილ (ზს., ქს.) < ქართ. წილ-ი (შდრ. ბზ. **ნäთი**, ბქ., ლნტ. **ნäთი**, ლშხ. **ნäთი**)

წკიპურტ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **წკიპäრტ**, ბქ. **წკირპäტ**, ლშხ. **წკიპარტ** < ქართ. წკიპურტ-ი

წონა (ზს., ქს.) < ქართ. წონა

წრიაპ (ლნტ.) < ქართ. (ფშ., ხევს.) წრიაპ-ი „კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი"

წუთ (ზს., ქს.) < ქართ. წუთ-ი

წჳეთ (ზს., ქს.) < ქართ. წვეთ-ი (შდრ. ზს. **კჳიფხ**, ზს. **წიქჳ**, ლშხ. **წēქჳ**, ლნტ. **წაქჳ**, ზს. ქს. **წიფხ**, ზს. **კუკუმ**, ბზ. **წყიგ**)

წჳენ (ბქ.) < ქართ. წვენ-ი (შდრ. ზს. **ზგნე**)

ჭაბუკ (ლშხ.), შდრ. ზს. **ჭაბიგჳ** < ქართ. ჭაბუკ-ი < სპარს. **čāpūk** (შდრ. ზს. **ნაღ'ჳ'ჟურ**)

ჭადარ (ლშხ.), შდრ. ბქ. **ჭანდäრ** და მეგრ. **ჭანდარ-ი** < ქართ. ჭადარ-ი

ჭარხალ (ლშხ.) < ქართ. ჭარხალ-ი < სპარს. **čayandar** (შდრ. ბქ. **ჩიგინდჳირ**)

ჭერეხ (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ჭერეხ-ი „რიყის ქვა"

ჭიპ (ზს., ქს.) < ქართ. ჭიპ-ი (შდრ. ზს. **შდიხჳ**, ბქ. **შდჳიხჳ**)

ჭირ (ზს., ქს.) < ქართ. ჭირ-ი

ჭირისუფალ (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჭირისუფäლ** < ქართ. ჭირ-ის-უფ-ალ-ი (შდრ. ბზ. **ასაბია**, ლშხ. **ასაბია'Ⴋ'**, ლნტ. **ასაბიä**)

ჭიშკარ (ზს., ქს.) < ქართ. ჭ-იშ-კარ-ი

ხალ (ზს.) < ქართ. ხალ-ი < არაბ. **hāl**

ხალთა (ბზ.), შდრ. ბქ. **ხალთ** < ქართ. (ლეჩხ.) ხალთა

ხალხ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ხäლხ** < ქართ. ხალხ-ი < არაბ. **xalķ** (შდრ. ზს. **სჳიმრა**, ლშხ. **სიმრა**, **სუმრა**, ზს. **კათ**, ლშხ. **ႫერI**)

ხალჳა (ზს., ქს.) < ქართ. ხალვა < არაბ. **halvā**

ხაჳერდ (ზს., ქს.) < ქართ. ხავერდ-ი

ხელფს (ზს., ქს.), შდრ. ზს., ლნტ. **ხელფäს** < ქართ. ხელფას-ი

ხერხ (ზს., ქს.) < ქართ. ხერხ-ი

ენათმეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ქართველურ ენათა დასავლურ არეალში დასტურდება ადიღური წარმომავლობის ტოპონიმები, ანთროპონიმები და სხვა ლექსიკური ერთეულები (ჯავახიშვილი 1939; ჯანაშია 1940).

განსაკუთრებით საყურადღებოა ს. ჯანაშიას მიერ გამოვლენილი ადიღური ფენა სვანურში როგორც მორფოლოგიაში, ასევე ლექსიკაში (ჯანაშია 1942).

„საერთოდ ქართველურ ენებში და, კერძოდ, სვანურშიც ადიღური ენებიდან შეთვისებული ზოგი სიტყვა საერთოქართველური კუთვნილება გამხდარა" (როგავა 1987:22). ასეთია, სწორედ, ქართ. ხერხ-ი, ზან. (მეგრ.) ხორხ-ი, (ჭან.) ხერხ-ი, სვან. **ხერხ**, რომელიც ქართველურ ენებში ერთგვარ სხვაობას ამჟღავნებს ფუძისეულ ხმოვანში, მაგრამ გ. როგავას აზრით, ხმოვანთა ასეთი მიმართება ამ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს განხილული შესატყვისობის დონეზე, რადგანაც იგი ადიღური სუბსტრატი ჩანს (იქვე: 22).

ადიღურ ენებში დასტურდება **ფხäხ'** სიტყვა „ხერხის" მნიშვნელობით, რომელსაც აქვს საკმაოდ ნათელი ეტიმოლოგია — **ფხä** „შეშა", „ხე" (მოჭრილი) და **ხ'გ** ზმნური ფუძეა განხერხვის მნი-

შვნელობით (იქვე: 22). როგორც ჩანს, სვანურმა ქართულიდან შეითვისა (იქვე:22).

ხეჳს (ბზ., ქს.) „საუზმე" < ძვ. ქართ. ხევს-ი‖ხემს-ი „მცირე რამ საჭმელი" (საბა), შდრ. ბქ. **ნენცელ**

ხილ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ., მეგრ. ხილ-ი

ხმალ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ხმäლ** < ქართ. ხმალ-ი

ხმელეთ (ზს., ქს.) < ქართ. ხმელეთ-ი (შდრ. ზს., ქს. **გიმ**, ზს., ლნტ. **კადäრ**)

ჴმელ (ბზ.) < ძვ. ქართ. ჴმელ-ი „ხმელეთი, ქვეყანა" (შდრ. ზს., ქს. **გიმ**)

ჯამაგირ (ზს.), შდრ. ზს., ლნტ. **ჯამäგირ** < ქართ. ჯამაგირ-ი < სპარს. **ǯamagīr**

ჯანმრთელ (ზს.) < ქართ. ჯან-მრთ-ელ-ი (შდრ. ზს. **ჰäდჳირ**, **ჰäდურ**, **ჰედურ**, ლშხ. **ჲადურ**, **ჲედურ**, **ედურ**, ლნტ. **⌈ჲ⌉ედურ**

ჯარ (ლშხ.) < ქართ. ჯარ-ი

ჯირკ (ქს.) < ქართ. ჯირკ-ი (შდრ. ზს., ქს. **ბიკ**, ზს., ქს. **კჳილ**)

ჯიშ (ზს., ქს.) < ქართ. ჯიშ-ი < არაბ. **ǯins** (შდრ. ბქ., ლნტ. **თან**)

ჯოგ (ლშხ.), ზს. ლნტ. **ჯჳეგ**, ბქ. **ჯეგ** < ქართ. ჯოგ-ი < არაბ. **ǯaux** (სპარს. **ǯok**, ოს. **ǯw̄g/ǯog**, სომხ. **ջոկ**, ფალ. **ǯok**)

ჰაერ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჰäერ** < ქართ. ჰაერ-ი < ბერძ. **aēr**.

განხილულ მასალაში შედარებით მარტივი ვითარებაა. უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, ბუნებრივია, ისეთი ლექსემები, რომელთაც ფონეტიკური ცვლილებები განუცდიათ.

1. 2. ფონეტიკურად შეცვლილი ლექსემები

აუსლაუტის გამარტივება, ღიამარცვლიანი სტრუქტურების მიდრეკილება დახურულმარცვლიანობისაკენ

ა) -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები

აკგლდამ (ბზ., ლშხ.)/**აკალდამ** (ლნტ.) < ქართ. აკლდამა, შდრ. ძვ. ქართ. აკელდამა < ებრ. **akeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი"

ბარაქ (ბზ., ქს.) < ქართ. ბარაქა < არაბ. **barak** (შდრ. ბქ. **ძღჳერ**)

კაბ (ზს., ქს.) < ქართ. კაბა < სპარს. (< არაბ.) **kabā**

კათხ (ზს., ქს.) < ქართ. კათხა

კარბ[1](ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., გურ.) კარბა „წიგნის ყდა" (შდრ. ბზ. **კემოხ/კემუხტ**)

კარდალ (ბზ.) < ქართ. კარდალა < სპარს.-თურქ. **kadar**

ლამპრობ (ზს., ლშხ.) < ქართ. (გურ.) ლამპ-რ-ობ-ა „ჭიაკოკონობა"

მარხჳ⌈ა⌉ (ზს., ქს.) < ქართ. მარხვა < ფალ. **pāhr** (ანდრონიკაშვილი 1966:256), შდრ. ზს., ლნტ. **ჳიჭმ**, ბზ. **ლინ/ლჩäლ**

მასგლ (ზს., ქს.) < ქართ. მასრა

ნიშნობ (ზს., ქს.) < ქართ. ნიშნ-ობ-ა

პირობ (ზს.) < ქართ. პირ-ობ-ა

[1] შდრ. ბქ. **კäრბ** „ძგიდე, ნაპირი; ყუა".

რაზ (ბქ.) < ქართ. რაზა „კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცმევა კოჭაკს (დედალ ანჯამას)“

სამყურ (ქს.) < ქართ. სამ-ყურ-ა (ბალახი), შდრ. ბქ. **პერპილ**

სასჳა̈ბ (ბზ.) „გასაქანი, საშუალება“ < ძვ. ქართ. სასო-ებ-ა („იმედ-ი“, „მინდობა“)

ხახრებ (ლშხ.) 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სა-ხარ-ებ-ა

სუფრ (ზს.) < ქართ. სუფრა < არაბ. **sufre** (შდრ. ზს., ლნტ. **ტაბა̈გ**)

ტყჳი (ზს., ლნტ.) < ქართ. ტყვია

ფალანგ (ზს., ლშხ.) „ხარიხა, დანდალი, ქვიტკირის კედელში გაყრილი ხე, ხარაჩოების გასამართავი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) ფალანგა „დანდალი, ხარიხა“ < სპარს. **palanga**

ფიჭ (ზს., ქს.) < ქართ. ფიჭა

ფშალ (ბქ.), შდრ. ლშხ. **ფშალად** 1. „ყლორტი, მორჩი; ნორჩი“, 2. „სვია“ < ქართ. (ზ. იმერ.) ფშალა, მშრალა „სვია“, (გურ., იმერ.) ფშალო „სვია“

ქანდარ (ლნტ.) < ქართ. ქანდარა

ქინქლ (ბქ., ლშხ.) < ქართ. ქინქლა „პატარა ბუზი“

ქრისტიანობ (ბქ., ქს.) < ქართ. ქრისტ-იან-ობ-ა

ქჳეყან (ქს.) < ქართ. ქვე-ყანა (შდრ. ბზ., ლშხ. **ამაზუ̄სდ**)

ქჳიჯ (ბქ.) < ქართ. (იმერ., გურ.) ქვიჯა-ი, ქვიჯე. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართულსა და მის დიალექტებში გავრცელებული **ქვიჯ-ა||ქვიჯ-ე** ზანიზმად კვალიფიცირდება (ჩუხუა 2000-2003:85), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სვან. **ქჳიჯ** ჩვენ მაინც ქართულიდან ნასესხები გვგონია (შდრ. ბქ. **ლაყლა̈რ**).

ღანდალ (ბქ., ლშხ.) < ქართ. (რაჭ.) ღანდ/ტალა, (შდრ. იმერ., ღანდარა) „ბაღლინჯო“ (შდრ. ბქ., ლნტ. **გჷრდღა̈ბ**, ლშხ. **კიკინტელა**)

ყჷრმილ (ზს.)/**ყირმულ** (ლშხ.) < ქართ. ყირიმ-ულ-ა, ყირიმის თოფი

შენობ (ბქ., ლნტ.)/**შენებ** (ლხმ.) < ქართ. შენ-ობ-ა, შდრ. ფალ. **šēn** „საცხოვრებელი“ (ანდრონიკაშვილი 1966:209, 212, 401), შდრ. ბზ., ლშხ. **ლჷლგიმა̈ლე**, ბზ. **ლა̈ლგმა̈რ**, ქს. **ასმა**

შობ (ზს., ქს.) < ქართ. შ-ობ-ა „დაბადება“

ჩაფჷლ (ზს., ქს.)/**ჩაფულ** (ბქ.) „ყველანაირი ფეხსაცმელი“ < ძვ. ქართ. ჩაფლა „ქალამანი“, ახ. ქართ. ჩაფულა „უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, — წუღა“ (შდრ. აჭარ., იმერხ. ჩაფულია)

ჩერი (ბქ., ლნტ.) < ქართ. (გურ.) ჩერია/ე „თითისტარი“

გ. კლიმოვს სვანური **ჩერი** მეგრულიდან ნასესხები ჰგონია (კლიმოვი, ხალილოვი 2003:109). **ჩერია** ქართულის დასავლურ (გურულ) დიალექტებშიცაა. სვანურში ეს ლექსემა მეგრულიდან კი არა, ალბათ, ქართულის დასავლური დიალექტებიდანაა შესული, თუმცა თვით დასავლურში, როგორც ჩანს, მეგრული ენის დანაშრევია მსგავსი ლექსემები.

ჩიმჩ (ბქ.) < ქართ. (ლეჩხ.) ჩიმჩა, (იმერ.) ჩიმჩ-ი

ჩოინ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ.) ჩოინა „თუჯის ქვაბი“ < თურქ. **čojun**

ძაძ (ლშხ.) < ქართ. ძაძა „სამგლოვიარო სამოსელი“ (შდრ. ბქ. **სუტ/ლასტჳადა̈რ**)

წირჳ (ბზ., ლშხ.) < ქართ. წირ-ვ-ა

წიწილ (ქს.) < ქართ. წიწილა (შდრ. ჩოლ. **ჭიჭუ**)

წმინდ (ქს.) < ქართ. წმინდა < ფალ. **spand** (შდრ. ბზ. **წყზა̈მ**, ზს. **წყილია̈ნ**, ჩოლ. **დაიაზ**)

მ. ანდრონიკაშვილის მოსაზრების თანახმად, საანალიზო ლექსემა (**წმინდა**) ეკუთვნის იმ რელიგიურ ტერმინთა რიცხვს, რომლებიც ქართულში შემოსულია ირანული რელიგიების (ზოროასტრიზ-

მის, მანიქეიზმის ან მითრაიზმის) გავრცელების შედეგად და გადმონაშთის სახით შემონახულია ქრისტიანობაშიც. იქვე შესადარებლად მოჰყავს შემდეგი მაგალითებიც: ეშმაკი, მართალი, იადგარი, მოგჳ და სხვა (ანდრონიკაშვილი 1966:406).

ხალთ (ბქ.) < ქართ. (ლეჩხ.) ხალთა

ჯაყჷ (ზს., ლნტ.) < ქართ. ჯაყვა, შდრ. მოხ. ჯაყო, რაჭ. ჯაყვე < სპარს. **ǰaq**".

ბ) -ე ხმოვანმოკვეცილები

დი̄რ (ბზ., ლშხ.)/**დირ** (ბქ., ლნტ.)/**დგრ** (ბქ.) < ქართ. დირე (შდრ. ზს. **ცხჷი˹რ˺ტ**)

ზედაშ (ლშხ.) < ქართ. ზედაშე. შდრ. ძვ. ქართ. ზედაშე-ჲ „ჟამისწირვისას აუცილებელი ღვინო", სვანეთში კი დღეს ასეთ შემთხვევაში არაყს იყენებენ, მაგრამ ბზ. **ზედა̈შ** ისტორიულად რომ მხოლოდ ღვინოს ნიშნავდა, ეს კარგად ჩანს ვ. თოფურიას მიერ 1927 წელს სოფ. კალაში ჩაწერილი ერთი უძველესი სვანური სიმღერის ტექსტიდან: **მეშხა ძუღჷას ბერა̈ლ ხეზგეხ, ღჷინა̈ლ-ზედა̈შ ეჩხა̈ნ იშგჷმინ** — „შავ ზღვაზე ბერები სახლობენ, ღვინო-ზედაშე იქიდან მოითხოვა" (სვ. პოეზ., 1939:10, 84-85), თუმცა მთლად არც ისაა გამორიცხული, რომ აქ კომპოზიტიც (ღვინო-არაყი) იგულისხმებოდეს.

თორნ (ლშხ.) < ქართ. თორნე < სომხ. ***թոնիր*** „პურის საცხობი ღუმელი"

კიბ (ბქ., ლნტ.) < ქართ. კიბე (შდრ. ბზ. **კიჩხ**)

კუთხ (ზს., ლშხ.) < ქართ. კუთხე (> ზს. **კჷ̈თხ‖კჷითხ** ან **კუთხე** > ლშხ. **კუთხ+ჷ**), შდრ. ზს., ლნტ. **მუხჷირ**

მოახლ (ბქ., ლშხ.) < ქართ. მო-ახლ-ე (შდრ. ზს. **მოსიპ**, ზს., ლშხ. **მესგჷრე** ბზ. **ჯალჩი/გ**)

მოშაირ (ლშხ.) < ქართ. მო-შაირ-ე < სპარს. (<არაბ.) **mošaire**

მოწმ (ზს., ქს.) < ქართ. მო-წმ-ე

რიყ (ზს., ქს.) < ქართ. რიყე < სპარს. **rīg** „ხრეში, წვრილი ქვა"

ძგიდ „კიდე" (ზს., ქს.) < ქართ. ძგიდე (შდრ. ზს., ქს. **პილ** „ნაპირი")

ხელმწიფ (ლნტ.) < ძვ. ქართ. ჴელ-მ-წიფ-ე, ახ. ქართ. ხელ-მ-წიფ-ე

ჯიბ (ზს., ლნტ.) < ქართ. ჯიბე < სპარს. (< არაბ.) **ǰīb**

გ) -ო ხმოვანმოკვეცილი ან ნარედუქციალი (ო > ჷ) ძირები

ასჷ (ზს., ქს.) < ქართ. ასო „სხეულის ნაწილი"

თოთ (ზს., ქს.) < ქართ. თოთო

თოქალთჷ (ბზ.) < ქართ. თოქალთო < სპარს. **tukaltu**

კალჷ (ბზ.)/**კაჷ** (ლხმ.) 1. „კალო", 2. „ეზო" < ქართ. კალო < სომხ. **kal**

კუბ (ზს., ქს.) < ქართ. კუბო > **კუბჷ** > **კუბ**

კჷა̈ნჩხჷ (ბზ., ლშხ.)/**კჷანჩხ˹ჷ˺** (ბქ., ლნტ.) „ხის სასმისი" < ქართ. (იმერ.) კვანჩხა, შდრ. ფშ., მთიულ.-გუდამ., ქიზ. კონჩხო/კონჩხა

ლასფლა̈ჷ (ბზ.)/**ლასფლაჷ** (ბქ., ლშხ.)/**ლასაფლაჷ** (ლნტ.) < ქართ. სა-სა-ფლ-ა-ო (შდრ. ზს. **ლაშდ/თხჷჲა̈რ**)

მარქჷ (ზს., ქს.) < ქართ. მაქო < ფალ. **mākū, mākōk** „საქსოვი მაქო"

ოქრ (ბქ.) < ქართ. ოქრო < ბერძ. **oxpos** „ყვითელი"

როგ (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) როგო „კაკლის წენგო" (შდრ. ბქ. **ჰურყულ**)

სამარხჷ (ბზ., ქს.) < ქართ. სა-მარხ-ო (შდრ. ზს., ლნტ. **საჷიჰმ**)

სამრა̈კჷ (ზს., ლნტ.) <***სამრეკჷ** <***სამრეკლჷ** < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (შდრ. ბზ. **ლაზგნგლა̈გ**)

სასწრაფჷ (||**სასტრაფ**) (ბზ., ლშხ.) „სავაზნე, პატრონტაში" < ქართ. (ფშ.) სა-სწრაფ-ო „თოფის წამლის ჭურჭელი"

საწუთრ (ლშხ.) < ძვ.- ქართ. სა-წუთ-რ-ო

საჯინიბ (ლშხ.) < ქართ. სა-ჯინიბ-ო[1] (შდრ. ლშხ. **ლაჩა̄ჟი̄რ** „საცხენე")

სა̈ჰეჷ (ზს., ლნტ.)/**საჰეჷ** (ქს.) „საქვეყნო" < ქართ. სა-ხევ-ო

უბა̈დჷ (ზს., ლნტ.) < ***უ-ბედ-ჷ** < ქართ. უ-ბედ-ო (უბედური)

უდროჷ (ზს., ლნტ.) < ქართ. უ-დრო-ო

ულგა̈მჷ (ბზ.)/**ულგამჷ/უგამჷ** (ბქ., ლნტ.) „უგემური, უგემოვნო" < ***უ-გემ-ჷ** < ქართ. უ-გემ-ო (შდრ. ბქ. **ბრუყჷ**)

უნა̄რეჷ (ლშხ., ჩოლ.) „ავი, ეშმაკი, ფიცხი, მავნე, უცნაური" < ქართ. (ლეჩხ., იმ.) უნაირო „უნირო", ე. ი. „უმსგავსო", „უშნო"

სვან. **უნა̄რეჷ** და ქართ. **უნაირო** ფორმათა დაკავშირება ეკუთვნის ე. გაზდელიანს, მას სვან. **უნა̄რეჷ** ქართ. დიალექტების **უნაირო** ფორმიდან ნასესხებად მიაჩნია **ა+ი** ხმოვანთკომპლექსის შერწყმის შედეგად, რომელმაც მოგვცა გრძელი ა̄ ხმოვანი (გაზდელიანი 1990:23).

ურწყჷ (ბქ.) „ადამიანი, რომელიც მარხულობს მგლოვიარობის გამო" < ქართ. უ-რწყ-ო (უწყლო — საბა). ძველ ქართულში ურწყო ნიშნავს „წმინდა, წყალშეურევნელი"

უსჷახჷ/უსახჷ (ზს.) „უცნაური, თავისებური" < ქართ. უ-სახ-ო, ძვ. ქართ. უ-სახ-ურ-ი „ურჩი, თავნება..." (შდრ. ბზ., ლნტ. **საჯა̈ყ**)

უსგრგებჷ (ზს.) < ქართ. უ-სა-რგ-ებ-ლ-ო

უცხჷ (ზს., ლშხ.) „უცხო, საპატიო, პატივსაცემი" < ქართ. უ-ცხ-ო (შდრ. ბქ. **მეჰერ**)

ცილა̈ჷ (ზს., ლნტ.)/**ცილაჷ** (ლშხ.) „დავა, შეცილება" < ქართ. ცილ-⌈ა⌉-ობ-ა

წა̈̄ჷრ (ბზ.)/**წა̈ჷრ** (ბქ.) < ქართ. წერო

ხარშჷ (ზს., ლნტ.)/**ხარჩჷ** (ლშხ.) „ხორცის ნახარში წვენი" < ქართ. ხარშო/ხარჩო

ხულუგჷ (ზს.)/**ხულუგ** (ქს.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ხულუგო („უფხო პური")

ჰა̈ზჷ (ზს.) < ***ჰეზჷ** < ***ჰეზო** < ქართ. ეზო.

აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი ძირები

ა) სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი თანმხოვანი აქვთ მოკვეცილი

ამბა̈ (ბქ.) < ქართ. ამბავ-ი < ფალ. ***hambav**

კემუხ (ბზ.) „წიგნის ყდა" < ქართ. კემუხტ-ი „ტყავ-ი"

ლასგრგებ (ზს., ლშხ.) < ქართ. სა-სა-რგ-ებ-ლ-ო („გამოსაყენებელი")

სამრა̈კჷ (ზს., ლნტ.) < ***სამრეკლჷ** < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (შდრ. ბზ. **ლაზგნგლა̈გ**)

ფა̈რფ (ზს.)/**ფარფ** (ლშხ.) „ფარფლ-ი, კიდე" < ქართ. ფარფლ-ი

ფა̈შ (ზს.) < ქართ. ფაშვ-ი, შდრ. ფშ. ფაში (ხორნაული 2000:236)

ფერფ (უშგ.) < ქართ. ფერფლ-ი (შდრ. ზს. **ქიქიმ**, ბქ. **ქა̈მ**)

[1] შდრ. სპარს. **ჯანიბათ (Janibat)** — „სასაპალნე ცხენის".

ფლოქ (ქს.) < ქართ. ფლოქვ-ი („ჩლიქი")

ჩირგ (ბზ., ლშხ.) < ქართ. ჩირგვ-ი („ბუჩქი"), შდრ. ბქ. ჯუჳამ.

ბ) **სახელები, რომელთაც აუსლაუტში ერთი, ორი ან მეტი მარცვალი აქვთ მოკვეცილი**

გაკ (ბზ., ქს.)/**კაკ** (ბქ.) 1. „ნიგოზი, კაკალი", 2. „კაკლის ხე" < ქართ. კაკ-ალ-ი

გამარჯჳ (ზს., ლნტ.) < ქართ. გა-მარჯვ-ებ-ა

გამთაჳ (ლშხ.) „მსუქანი, სრული" < ქართ. გა-⌈მო⌉-თავ-ებ-ულ-ი (ე. ი. სრული; საერთოდ მსუქან საქონელზე ქა **ლგ-გა̄-თჳ-ე**'ს ამბობენ), შდრ. ზს. **ლუგჳა̈რ**

გამკუეთ (ბზ.)/**გა̈მკჳეთ** (ბქ., ლნტ.) „გონიერი, გამჭრიახი" < ქართ. გამო-კვეთ-ილ-ი (სემანტიკური გადაწევით)

გაწკა̈პ (ბზ.)/**გაწკა̈მ** (ბქ.)/**გაწკეპ** (ლშხ.) „მთელი, სრული (კვირა, თვე...)" < ქართ. გა-წკეპ-ილ-ი (ე. ი. გა-მ-წკრ-ივ-ებ-ულ-ი); შდრ. აჭარ. გა-წკიპ-ულ-ი („გაჭიმული")[1]

გჳა̈კჳირ (ბზ.)/**გა̈კჳირ** (ბქ.)/**გჳაკჳრებ** (ლშხ.)/**გჳაკჳრაბ** (ლნტ.) „ყურადღება" < ქართ. და-კვირვ-ებ-ა

ქართულ ზმნისწინს სვანურში სესხებისას ისევ სხვა ქართული პრევერბი ენაცვლება, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს სვანურში, მაგ. სვან. **ჩამსჳა̈ლ** < ქართ. შე-მო-სა-ვალ-ი, სვან. **დამწა̄რებულ** < ქართ. გა-მ-წარ-ებ-ულ-ი და ა. შ.

დამწა̄რა̈ჳ (ბზ.)/**დამწა̄რ/დამწა̄რაჳ** (ლშხ.)/**დამწარა** (ლნტ.) „მონატრებული, მონდომებული, მოსურვებული" < ძვ. ქართ. და-მწარ-ებ-ულ-ი „გამწარებული". შდრ. აგრეთვე ძვ. ქართ. **დამწარება** „გამწარება" და სვან. **დანწარებილ** „გამწარებულ-ი". საკითხი ამგვარი ფორმების შესახებ ჯერ არ დამუშავებულა. ე. ი. არის შემთხვევები, როდესაც სვანური ენა ქართულ-ზანურიდან სესხულობს საკუთრივ ქართული, მეგრული ან ჭანური პრევერბების შემცველ მონაცემებსაც. უფრო მეტია მხოლოდ ძირთა სესხების შემთხვევები, რომლებსაც სვანური ზმნისწინები ახლავს (მაგ. **და̈სიფასელ** (ზს.) < ქართ. და-სა-ფას-ებ-ელ-ი).

დიხსა̈ჲ (ბზ.)/**დიხსა̈ლ** (ბქ.)/**დიასახლ** (ლშხ.) < ქართ. დია-სახლ-ის-ი

კუპრ (ზს., ლნტ.) „ტიკი, ტიკჭორა" < ქართ. (ფშ., გურ.) კუპრ-იელ-ი

კგლ (ზს., ქს.) „კლიტე, გასაღები" < ქართ. კლიტე < თურქ. (< სპარს.) **kilid**

ლა̈̄მბ (ბზ.) „სველი" < ქართ. (ლეჩხ.) ლამბ-ულ-ი, ლამ-ი „წვიმა, თქორი", ხევს. ლამადე „ნისლი", „ნესტი, სისველე", ქართლ. ლანგ-ი „ლექი, ლამი", შდრ. მეგრ. ლამე „ნამიანი, ნოტიო, ტენიანი"

მოახ (ლნტ.) < ქართ. მო-ახლ-ე (შდრ. ზს., ლშხ. **მესგჳრე**)

მოცა̈ლ (ზს., ლნტ.)/**მოცალ** (ლშხ.) „უმნიშვნელო, უბრალო რამ, მოცლილი" < ქართ. მო-ცლ-ილ-ი, *ძვ. ქართ. მო-ცალ-ებ-ულ-ი „უქმი, უსაქმო"

ნათჳალყ (ლშხ.)/**ნათალყჳ** (ლნტ.) „გათვალული, თვალნაცემი" < ქართ. ნა-თვალ-ყბ-ევ-ი. შდრ. ბქ. **ლი-ყბა̈ყ-ი** „გათვალვა" და ბზ. **თე ი აყბა** „თვალ-ყბა". სწორედ ამ ლექსემაშია შემორჩენილი ქართული **თუალ-ი** (შდრ. სვან. **თე**) და **ყბა** (შდრ. სვან. **ჰა̈ყბა**), შდრ. ზს. **ლგგგგნე**, ბქ. **ლგყბაყე**, ბქ. **ლულბურე**

ნაჳსტა̈ტი (ბზ.)/**ნაოსტა̈ტი** (ბქ., ლნტ.)/**ნაოსტატი** (ლშხ.) „ოსტატობა, ხელოსნობა" < ქართ. ნა-ოსტატ-ებ-ი

---

[1] იგივე მნიშვნელობა აქვს **გაცხა̈პ/გა̈ცხეპ** ლექსემასაც.

საბგრწ̈ამ (ბქ.) < ქართ. სა-პირ-ის-წამლ-ე („სამასრე")

სა̈დუ/სუა̈დ (ბზ.) „სადენი მიწის ქვეშ (მილი)" < ქართ. სა-დ-ენ-ი (შდრ. ლეჩხ. სა-დ-ივ-არ-ი „სადინარი, საწნახლის ღარი, რომელზეც ახალდაწურული ყურძნის ტკბილი წვენი გამოდის")

სა̈რგებ (ზს., ლნტ.)/**სარგიბ** (უშგ.)/**სარგებ** (ლშხ.) „სასარგებლო, სარგებელი" < ქართ. სა-რგ-ებ-ელ-ი

სა̈ციქუ (ზს., ლნტ.)/**საციქუ** (ლშხ.) < ქართ. სა-ციქვ-ელ-ი

სა̈ზრ (ბზ., ლშხ.)/**საზრ** (ბქ.)/**სა̈ზრ** (ლნტ.) „აზრი, განსჯა; გონება, აზროვნება" < ქართ. სა-ზრ-იან-ობ-ა, სა-ზრ-ის-ი

ტა̈კ (ბქ.) „ჯიბრ-ი" < ქართ. (ლეჩხ.) ტაკ-ო-ულ-ი „ტაკ-ებ-ა (ჭიდაობა)"; **სა-ტა̈კ** (ბქ.) „⌜შე⌝საჯიბრი" < ქართ. სა-ტაკ-ებ-ელ-ი; **ლი-ტაკ-ალ** „შეჯიბრება" < ქართ. ⌜შე⌝-ტაკ-ებ-ა

უგა̈თუა (ბზ., ლშხ.)/**უგთაუა** (ბქ.)/**უგათუა** (ლნტ.) „გაუთავებელი, დაუმთავრებელი" < ქართ. გა-უ-თავ-ებ-ელ-ი.

მსგავს მიმღეობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მორფემათა რანგს: ქართული ზმნისწინი, რომელიც ყოველთვის ლექსემის თავშია, ნეგატიურობის აღმნიშვნელი მორფემის შემდეგ გადადის, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურ ენაში.

უდა̈უშა (ბზ., ლშხ.)/**უდუაშა** (ბქ.)/**უდაუშა** (ლნტ.) „გაუფუჭებელი, წაუხდენელი" < ქართ. და-უ-შავ-ებ-ელ-ი

უზა̈რა (ბზ., ლშხ.)/**უზარა** (ბქ., ლნტ.) „დაუზოგავი, უზოგველი" < ქართ. ⌜და⌝-უ-ზარ-ებ-ელ-ი.

აღნიშნული ლექსემა, ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, ნასესხები უნდა იყოს ქართული და-**ზარ**-ებ-ა ფორმიდან სემანტიკური გადაწევით. თავად ქართული **და-ზარ-ებ-ა** ლექსემის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია სვანური **ლი-ჟა̈რ**. წარმოდგენილი მასალა (ქართ. **ზარ-**, სვან. **ჟა̈რ-**) შეაპირისპირა და საერთოქართველური ფუძეების დონისათვის ***ზ₁არ-** არქეტიპი აღადგინა ჰ. ფენრიხმა (ფენრიხი 1982:35).

უკლაუა (ზს., ლშხ.)/**უკალაუა** (ლნტ.) „გაულეწავი" < ქართ. „⌜გა⌝-უ-კალო-ებ-ელ-ი"

უმო̄რუა/უმო̄რაუა (ბზ., ლშხ.)/**უმორუა** (ბქ.)/**უმორაუა** (ლნტ.) „გაუსამართლებელი, გაურჩეველი" < ქართ. „⌜გა⌝-უ-მოურ-ავ-ებ-ელ-ი". **მო̄რაუ** ფუძე ქართ. **მოურავ**'ს დაუკავშირა ე. გაზდელიანმა (გაზდელიანი 1990:24).

უფჭაუა (ბზ., ლშხ.)/**უფუჭაუა** (ლნტ.) < ქართ. ⌜გა⌝-უ-ფუჭ-ებ-ელ-ი

უყდა (ბზ., ლშხ.)/**უყიდა** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ⌜გა⌝-უ-ყიდ-ავ-ი

უჩრაუა (ზს., ლშხ.)/**უჩრეუა** (ბქ.)/**უჩერაუა** (ლნტ.) < ქართ. ⌜გა⌝-უ-ჩერ-ებ-ელ-ი

უიწყუდ (ბქ., ლნტ.)/**უიწყდ** (ლშხ.) „მუდამ, განუწყვეტლივ, ხშირად" < ქართ. უ-წყვეტ-ად (შდრ. ბქ. **აშმედ**)

ღილიკ (ზს.) < ქართ. ღილ-კილო (შდრ. ბქ., ქს. **ღირკილ**)

ყუიჩ (ზს., ქს.) „მამალ-ი" < ქართ. ყვინჩილა (შდრ. ზს. **მამილ⌜უ⌝**)

შემინდ (ბზ.) „ნებადართული, ღვთისაგან შენდობილი, დასაშვები; შეწყნარებული" < ქართ. შენ-დ-ობ-ილ-ი

შო̄ნდო (ლშხ.) „საგალობელი მიცვალებულის პატივსაცემად, შენდობის სიმღერა" < ქართ. შე-ნდ-ობ-ა

ცოდ (ზს., ქს.) 1. „ცოდვა", 2. „საცოდავი" < ქართ. ცოდ-ვ-ა < ოს. **cawd** (შდრ. ზს. **ლეჟრი** „საწყალი").

მ. ანდრონიკაშვილის აზრით: „სიტყვები ცუდი, ცოდვა ძალიან ძველი ნასესხებია ალანურიდან, ისინი დადასტურებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამავე დროს, მათ კანონ-

ზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში არ მოეპოვებათ" (ანდრონიკაშვილი 1966:123). გ. კლიმოვი კი საერთოქართველურისათვის აღადგენს ფორმას *kad-/kd- სვანური ქდ-/ქად-ის (ლიქა̈დ) მიხედვით — „ცთომა" (კლიმოვი 1964:195).

წირ (ზს., ლშხ.) < ქართ. წირ-ვ-ა

ჯისმა̈ნდ/ჯეცმა̈ნდ (ბზ.)/**ჯისმანდ** (ლშხ.) „თავსაფარი, ხილაბანდი; თავზე წამოსაკრავი გრძელი და ვიწრო ნაჭერი" შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართულ ლექსემას ხელმანდილი < ხელ-ის — მანდილ-ი, თუმცა ძალზე რთული ფონეტიკური პროცესებია მომხდარი. შ. ფუტკარაძეს დადასტურებული აქვს ჯელმენდილ-ი „ხელმანდილი, ცხვირსახოცი, ხელსახოცი" (ფუტკარაძე 1993:679).

ჰერწა̈მ (ბზ.)/**ჰერწემ** (ბქ.) „გველი, ქვეწარმავალი" < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი" (შდრ. ბზ. ჷიჯ). ქვემოსვანურ დიალექტებში სწორედ ქართული (დიალექტური) ურწმულ (ლშხ.), ჷურწმილ (ჩოლ.) ფორმები დასტურდება.

თანხმოვანთა ცვლილებები აუსლაუტში[1]:

გ ა მ ჟ ღ ე რ ე ბ ა:

აზა̈დ (ლხმ.) < ქართ. აზატ-ი „თავისუფალი გლეხი" < სპარს. **āzād** „თავისუფალი"

აპეხ˙ჷ˙დ (ბქ.) „შაშხ-ი, აპოხტ-ი" < ძვ. ქართ. აპოხტ-ი

გორა̈გ (ბქ.) < ქართ. გორაკ-ი (შდრ. ზს. ფაფალ, ჩოლ. კჷა̄ბ)

გუმბა̈დ (ლხმ.) < ქართ. გუმბათ-ი

ზანგლა̈გ (ბზ.)/**ზანდლა̈გ** (ბქ.) < ქართ. ზან-ზალ-აკ-ი („ზარი"), შდრ. ფშ. ზანგალაკ-ი

ზერდ (ზს., ლნტ.)/**ზე̄რდ** (ლშხ.) „ყველის საწური, ჩეჩო" < ქართ. (იმერ., გურ., აჭარ.) დერგ-ი „ქვევრის მსგავსი ჭურჭელი ყველისა, ქილა".

მ. ჩუხუას სვან. **ზერდ/ზე̄რდ** ლექსემის შესატყვისად გამოვლენილი აქვს ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) **ზინდ**-ან-ი „საკვერავი", იმერ. **ზინდ**-ალ-ი „ქვაბის მჭედელთა გრდემლი" (ჩუხუა 2000-2003:102). ასეთი დაკავშირება, ჩვენი აზრით, ცხადია, ფონეტიკურად დასაშვებია, თუმცა სემანტიკური მიმართება, ვფიქრობთ, არაბუნებრივია. ჩვენ მიერ გამოვლენილი ქართ. **დერგ**-ი სემანტიკურ დაბრკოლებას არ იძლევა. თუკი მეგრულ-ჭანური შესაბამისი სემანტემაც იქნება გამოვლენილი, მაშინ შესაძლოა სვან. **ზერდ/ზე̄რდ** და ქართ. **დერგ**- შესატყვისობის დონეზეც იქნას განხილული. იბადება კითხვა: ხომ არაა სვან. **ზერდ** რომელიმე სხვა არაქართველური ენიდან ნასესხები?

თოქალდ (ლნტ.) < ქართ. თოქალთო < სპარს. **tukaltu**

კახბა (ბქ.) „ცუდი ყოფაქცევის ქალი" < ქართ. კახპა < თურქ. (< არაბ.-სპარს.) **ķaxpa**. შდრ. კახმა (ბქ.) < მეგრ. კახმა „მეძავი (ქალი)" < ქართ. კახპა < სპარს. **qaxbä**

კოსდა (ზს.) < ქართ. კოსტა (საკ. სახ.)

კოშგ (ბზ.)/**კჷეშგ** (ბქ.) < ქართ. კოშკ-ი < ფალ. **kōšāk** (შდრ. ზს., ლნტ. მურყჷამ)

კრამიდ (ზს.) < ქართ. კრამიტ-ი < ბერძ. **kepamid**

ლაზგნგლა̈გ (ბზ.)/**ლაზგნდლაგა̈რ** (ბქ.) „სამრეკლო" < ქართ. *სა-ზან-ზალ-აკ-ო

ლიზგნგლა̈გი (ბზ.)/**ლიზგნდლა̈გი** (ბქ.) „ზარ˙ებ˙ის რეკვა" < ქართ. *ზან-ზალ-აკ-ებ-ა

პა̈პიროზ (ზს., ლნტ.)/**პაპიროზ** (ლშხ.) < ქართ. პაპიროს-ი < რუს. **Папирос** < პოლ. **papieros**

[1] ამ პარაგრაფში განხილული მაგალითების ნაწილი ამოღებულია ვ. თოფურიას (შრომები, I, სვანური ენა, I, ზმნა, თბ., 1967; შრომები II, თბ., 2002; შრომები, III, თბ., 1979), ს. ჟღენტისა (სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949) და გ. ახვლედიანის (ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949) შრომებიდან.

(papier-იდან „ქაღალდი")

პრისდაჸ (ქს.) < ქართ. პრისტავ-ი < რუს. **Пристав**

სვანური **პრისდაჸ** ალბათ ქართულიდან ისესხა სვანურმა, მაგრამ სვანურში გავრცელებული მონათვლის აღმნიშვნელი ომონიმური ტერმინი **ლი-პრისდ-ი/ლი-პრისტ-ე (მგ-პრისდ-ი/მგ-პრისტ-ე, უ-პრისდ-ა/უ-პრისტ-ა** და სხვ.), ე. გაზდელიანის აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ბერძნულ სიტყვას **προιστημι** — „მეთაურობა, ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა, ზრუნვა, დაცვა...". მისთვის საყურადღებოა აგრეთვე გერმ. **prister** — მღვდელი; ქურუმი და ინგლ. **priest** — 1. მღვდელი, ეკლესიის მსახური, 2. ქურუმი (გაზდელიანი 1988:70). აღნიშნული სიტყვის ანალიზი მოცემული აქვს მ. ჩუხუასაც. მისი აზრით, „აქ უნდა ჩანდეს ქართულ-მეგრული (← ბერძნ.) **პირისელ-ი‖პირგსელ-ი** „ნათლია (**кум**)" სიტყვა (ჩუხუა 2000-2003:26).

სამხდო (ზს.) < ქართ. სა-მხთ-ო < სა-მღთო < სა-ღმთ-ო < სა-ღმრთ-ო <*სა-ღმერთ-ო

სჸისდ (ბქ.) < **სჸისტ** < ქართ. სუსტ-ი < ფალ. **sust** „სუსტი, მსუბუქი"

ტა̈ხდ (ზს.) < ქართ. ტახტ-ი < ფალ. **taxt**

ტა̈შდ (ზს.) < ქართ. ტაშტ-ი

ჸიწჸჸდ (ბქ., ლნტ.)/**ჸიწჸდ** (ლშხ.) „მუდამ, განუწყვეტლივ, ხშირად" < ქართ. უ-წყვეტ-ად (შდრ. ბქ. **აშმეიდ**)

ფოჩლიგ (უშგ.) „ჩლიქ-ი" < ქართ. *ფლოქვ-ჩლიქ-ი (შდრ. გამკვეთრებული ბზ. **ფორჩლიკ**, ქს. **ფოჩლიკ**)

ფოშდა (ბქ.) < ქართ. ფოსტა < რუს. **Почта** < ფრანგ.

ქრისდე (ზს., ლშხ.) < ქართ. ქრისტე < ბერძ. **χριστός**

ქრისდე̄შ (ბზ., ლშხ.)/**ქრისდეშ** (ბქ.) 1. „შობა, ქრისტეშობა", 2. „დეკემბერი, ქრისტეშობის თვე" < ძვ. ქართ. ქრისტე-შ-ობ-ა

ქრისდიანობ (ზს.) < ქართ. ქრისტ-იან-ობ-ა

ქრისდია̈ნ (ზს.)/**ქრისდიან** (ლშხ.) < ქართ. ქრისტ-იან-ი

ყა̈ჭ (ზს.) < ძვ. ქართ. ყაჭ-ი (აბრეშუმი)

ყა̈ნჭჸ (ბზ.) < ქართ. ყანჩა

წი̄ბა̈რ (ბზ.)/**წიბა̈რ** (ბქ.)/**წი̄ბა̄რ** (ლშხ.) < ქართ. (ხევს., ფშ.) წრიაპ-ი. ვფიქრობთ, შემდეგ ფონეტიკურ გარდაქმნებს უნდა ჰქონოდა ადგილი: **წი̄ბა̈რ** < ***წი̄რა̈ბ** < ***წრია̈ბ** < ***წრია̈პ** < ქართ. წრიაპ-ი, თუმცა **ი** და **ა** ხმოვანთა დაგრძელების გამომწვევი მიზეზები არ ჩანს.

ჭაბიგჸ (ზს.) < ქართ. ჭაბუკ-ი < სპარს. **čāpūk** (შდრ. ზს. **ნაღ'ჸ'-ჟურ**)

ჭაგჸ (ზს.) < ქართ. ჭლაკვ-ი

ჭახრა̈გ (ბზ.)/**ჭახნეგ/ჭახრეგ** (ბქ.)/**ჭახრაგ** (ლშხ.) < ქართ. ჭახრაკ-ი < ფალ. **čaxrak/ čaxtag**

ჭა̈გ (ზს.)/**ჭაგ** (ლშხ.) < ქართ. ჭაკ-ი

ჭინჭყროგა̈ (ბქ.) < ქართ. ჭინჭრაქა (შდრ. ზს. **გჸა̈ნც**, ბზ. **გჸა̈წინად**, ბქ. **ჭინტრაკა̈**, ჩოლ. **ჭინჭროკოლ** და მეგრ. **ჭინჭა**)

ხაჸის (ბზ., ლშხ.)/**ხაჸიზ** (ბქ.) < ქართ. ხავს-ი (ს > ზ) < ოს. **xos/xwasæ** „თივა, წამალი" (შდრ. ბზ., ქს. **ფანთქჸის**, ბქ. **ფუნთქჸირ**).

ვ. თოფურიას და ს. ჟღენტის შრომებზე დაყრდნობით გ. ახვლედიანი, დებულების სახით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აკეთებს საერთო დასკვნას: „სვანურის ხშულთა დისიმილაციურ გამჟღერებაში მოქმედებს როგორც რეგრესული, ისე პროგრესული გამჟღერება, და დისტანციურში

ჭარბობს რეგრესული, ხოლო კონტაქტურში — პროგრესული (ახვლედიანი 1949:387).

დ ე ზ ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა :

ანზ (ზს.)/**ანს** (ბქ.) „ანძა, წვეტიანი ადგილი" < ქართ. ანძა

გäნზ (ზს.) < ქართ. განძ-ი < ფალ. **ganĵ** „საუნჯე"

თერზ (ბქ.) < ქართ. თერძ-ი (მკერავი), შდრ. ბზ. **მგ-შხბ-იე̄ლ-ი**

ლი-კერზ-ე (ბქ.) < ქართ. კერძ-ვ-ა, მი-კერძ-ო-ებ-ა „უსამართლოდ უპირატესობის მინიჭება, მხარის დაჭერა ვინმესთვის, — მიდგომა", შდრ. ოს. **kærd** „ნაჭერი, ნაკვეთი", „ნახევარი, მხარე". ქართული კერძ- ფუძისათვის, მ. ანდრონიკაშვილის აზრით (ანდრონიკაშვილი 1966:93), ამოსავალია ფორმა **kærd**. იგი თვლის, რომ ახალ ქართულში სიტყვამ კერძო მიიღო მნიშვნელობები: „საკუთარის, წილის, ხვედრის; კერძის — „საჭმელი" და სხვ.

ქინზ (ზს.) < ქართ. ქინძ-ი

ღერზ (ბზ.) < ქართ. ღერძ-ი (შდრ. მეგრ. ღერზე).

ა ფ რ ი კ ა ტ ი ზ ა ც ი ა :

კäჯ (ბზ.), შდრ. ჩოლ: **კäჸ** < ქართ. კაჟ-ი

მარყჳიჯ (ლშხ.) < ქართ. მარყუჟ-ი.

დ ა ყ რ უ ე ბ ა (შედარებით იშვიათად):

აფხნიკ (ლშხ.)/**აფხäნიკ** (ლნტ.) < ქართ. ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak**

ბäჲრäხ (ზს.)/**ბāჲრახ/ბāრახ** (ლშხ.) < ქართ. ბაირაღ-ი (დროშა) < სპარს. **bajrak̦**

დილეკ (ბქ.) < ქართ. დილეგ-ი < ოს. **dællag** „ქვედა, ქვეშეთი"

კორთა (ბქ.) < ქართ. (ხევს.) ისკორტა „სამამაკაცოს ზემოთ, ჭერის ძირში დადებული ფიცარი, რომელზედაც მამაკაცის ნივთები ალაგია", შდრ. ინგ. კორთე-ჲ „ჯამ-ჭურჭლის თარო", იკორთა (საბა), ფშ. კორა „თოფის გასახედი სანიშნებელი, კახ., ქიზ. კორა „ხის კოჭი, კარის ჩარჩოზეა მიმაგრებული, დახურვისას კარს წამოედება და დაკეტავს".

სიფრითჳ (ბზ.)/**სიფრუთ** (ბქ., ლშხ.) „ბურღი" < ქართ. ციბრუტ-ი

ფარდäქ (ბზ., ლნტ.) < ქართ. ფარდაგ-ი < ფალ. **partak** „ფარდა, რიდე"

ქარღäლთ/ქალღäრთ/ქაღალთ (ბზ., ლნტ.)/**ქარღäთ** (ბქ.) 1. „ქაღალდი", 2. „წერილი" < ქართ. ქაღალდ-ი < არაბ.-სპარს. **kagit**

ჰირიკ (ბქ.) „ვირის უნარიგი" < ქართ. (ლეჩხ.) ხირაგა < ოს. **xæræg** „ვირი" (ახვლედიანი 1960:200). იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: **წელიშ ჰირიკ ხაგ** — დიდ ჯაფაშია (ე. ი. ვირის უნაგირი ადგას).

მ კ ვ ე თ რ ბ გ ე რ ა თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა :

ამლäკ (ზს.)/**ამლაკ** (ბქ., ქს.) < ქართ. ამლაყ-ი „ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი", შდრ. ამლაკ-ი (საბა) და ფშ. ამლიკ-ი „გათამამებული ბატკანი".

ს ო ნ ო რ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა მ ო ნ ა ც ვ ლ ე ო ბ ა

ა) სვან. **ლ** — ქართ. **რ**

მასგლ (ზს., ქს.) < ქართ. მასრა

შაშäლ (ბქ.) „ლახვარი" < ქართ. (ფშ., ქიზიყ.) შაშარ-ი „ხმლის წვერი, ორივე მხარეს წამახული" („სისხლის გამოსაშვები მახვილი" — საბა)

ხა̈რზილ (ბზ.)/**ჯა̈რზილ** (ზს.)/**ხარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჯა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა

ბუ̈ლთ˹უ̈˺ (ბზ.)/**ბუ̄ლთ** (ლშხ.)/**ბულთ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **ბირთუ̈**, ბქ. **ბურთ-ი** < ქართ. ბურთ-ი.

ბ) სვან. **რ** — ქართ. **ლ**

ბაბსა̄რ/ბაპსა̄რ (ბზ., ლშხ.)/**ბაბსირ/ბაფსირ** (ბქ., ლნტ.)/**ბაბსგ˹რ˺** (ლხმ.) 1. „ცისტიტი", 2. „სისხლიანი ფაღარათი" < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-ი (წიწილების ავადმყოფობა), ინგ. ბაბასილ „ბუასილ-ი" < არაბ. **bavāsīr** (შდრ. სალიტ. ქართ. ბუასირი)

ხანჯა̈რ (ზს., ლნტ.)/**ხანჯარ** (ლშხ.) < ქართ. ხანჯალ-ი < სპარს. **xančal**.

გ) სვან. **ლ** — ქართ. **ნ**

ბინზილ (ბქ.) < ქართ. ბენზინ-ი < რუს. **Бензин** < ფრანგ. **benzine**

ფინჯალ (უშგ., ლშხ.) < ქართ. ფინჯან-ი

ყაურჯელ/ნ (ზს.) < ქართ. ყავარჯენ-ი

შაუ̈გურმა̈ლ (ზს.) < ქართ. შავ-გვრემან-ი (შდრ. ზს. **მეშხლა̈˹ჲ˺**, ზს. **შიხგოგენ**)

შაუ̈ურდელ (ზს.) < ქართ. შევარდენ-ი.

დ) სვან. **მ** — ქართ. **ლ**[1]

შურდუმ (ბზ.)/**შურდუ̈იმ** (ბქ.) < ძვ. ქართ. შურდ-ულ-ი

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, ქართ. **შურდ-ულ-ი** და მეგრ. **შქურდ-ონ-ი** კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობად არის მიჩნეული (როგავა 1962:98; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:558). რაც შეეხება სვანურ **შურდუმ/შურდუ̈იმ** ფორმას, ვფიქრობთ, რომ ქართულიდანაა ნასესხები სონორთა მონაცვლეობით (შდრ. ჩუხუა 2000-2003:17).

ჰურდუმ (ბზ.) „კარის საკეტი" < ქართ. ურდულ-ი.

ე) სვან. **ნ** — ქართ. **მ**

მუზეინ (ბქ.) < ქართ. მუზეუმ-ი < რუს. **Музей**.

ვ) სვან. **რ** — ქართ. **ნ**

ჩერჩ (ზს., ქს) < ქართ. ჩენჩო „მარცვლეულის ჩენჩო".

ზ) სვან. **ნ** — ქართ. **ლ**.

ჩერგენ (ლშხ.) „ერთმანეთზე მიყუდებული ჩალის კონები" < ქართ. (იმერ.) ჩერგილ-ი.

გაუმლაუტებული ფუძეები

როგორც ცნობილია, სვანური ენის ხმოვანთა უმლაუტი ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი. გარკვეულია უმლაუტის გამომწვევი მიზეზები და დადგენილია პოზიციები (შანიძე 1957:23; თოფურია 1928:37; მაჭავარიანი 1996:39; ქალდანი 1969, ჟღენტი 1960:51; ჟღენტი 1964:51-157; შარაძენიძე 1979:5). უმლაუტების საკითხი ეს ერთ-ერთი ძირითადი საკითხთაგანია სვანური ფონეტიკისა. ხუთ ძირითად ხმოვანთაგან (ა, ე, ი, ო, უ), რომლებიც სვანურის ყველა კილოში მოიპოვება, უმლაუტები მხოლოდ სამისა გვხვდება როგორც მოკლე სახით, ისე გრძელითაც: ა̈, ო̈, უ̈, ა̈̄, ო̈̄, უ̈̄. ამ უმლაუტების წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს — ეს არის ე-ნისა და განსაკუთრებით კი ი-ნის გავლენა (შანიძე 1957:24-325).

[1] ამგვარი მონაცვლეობის მაგალითები შედარებით მცირეა.

ა) პალატალური უმლაუტი

სახელობითი ბრუნვის მორფემის მოკვეცის შედეგები:

აბა̈ზ (ზს., ლნტ.) < ქართ. აბაზ-ი < სპარს. **'abbāsī** „აბაზი" — ფულის ერთეული მეფის სახელიდან **'abbās** — აბასი

აზა̈დ (ლხმ.)/**აზა̈ტ** (ლნტ.) < ქართ. აზატ-ი „თავისუფალი გლეხი" < სპარს. **āzād** „თავისუფალი"

ათა̈ს (ზს., ლნტ.) < ქართ. ათას-ი

რიცხვით სახელებში თითქმის ყველგან საერთოქართველური ფუძეენის დონიდან მომდინარე მონაცემებია, სესხება თითქმის გამორიცხულია (გამონაკლისია **ათა̈ს** და **ხჳა̈ჲ**).

ალა̈ბ (ზს., ლნტ.) < ქართ. ალაბ-ი „ადლი, არშინი"

ალმა̈ს (ზს., ლნტ.) < ქართ. ალმას-ი < ბერძნ. **ἀδάμας** „მკვრივი მეტალი ან შენადნობი, ფოლადი"

ამბა̈ჳ (ზს., ლნტ.) „სიტყვა, ამბავი" < ქართ. ამბავ-ი < ფალ. **hanbav**

ამლა̈კ (ზს.) < ქართ. ამლაკ-ი/ამლაყ-ი „ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი", შდრ. ამლიკ-ი (საბა) და ფშ. ამლიკ-ი „გათამამებული ბატკანი"

ასა̈ნთ (ბზ.) < ქართ. ასანთ-ი

ატა̈მ (ბქ., ლნტ.) < ქართ. ატამ-ი

ატლა̈ს (ზს.) < ქართ. ატლას-ი < რუს. **Атлас** < არაბ. **aṭlas**

აჳყა̈ნდ (ბზ., ლნტ.) 1. „უზანგ-ი", 2. „შარვლის ან პაიჭის პაჭანიკი" < ქართ. ავყანდ-ი „უზანგი", შდრ. მესხ. ავყანდ-ი/აბყანდ-ი „პაჭანიკი"

ბაბსირია̄̈ნ/ბაპსირია̈ნ (ბზ.)/**ბაბსგრია̈ნ** (ბქ.)/**ბაფსირია̈ნ** (ბქ., ლნტ.) „ცისტიტით დაავადებული" < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-იან-ი (წიწილა) < სპარს. **bavāsīr**

ბაზა̈რ (ზს.) < ქართ. ბაზარ-ი < სპარს. **bāzār** „საქონელი, სავაჭრო"

ბალა̈ხ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბალახ-ი < სომხ. ***բալախ*** (შდრ. ზს. მელ˹ჳ˺)

ბა̈ნ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბან-ი (ხმა)

ბა̈ნგ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბანგ-ი < სპარს. **bang** „ჰაშიში"

ბა̈ჲრა̈ხ (ზს.)/**ბა̈ჲრა̈ლ/ბა̈ირა̈ლ** (ზს., ლნტ.) < ქართ. ბაირაღ-ი (დროშა) < სპარს. **bayraḳ**

ბა̈რ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბარ-ი (ნიჩაბი) < სპარს. **barū, bār, pār**

ბა̈რ (ზს.) < ძვ. ქართ. ბარ-ი (დაბლობი) < არაბ.-სპარს. **bār**

ბა̈რგ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბარგ-ი < სპარს. **barg** „იარაღი, საჭურველი, მარაგი"

ბიკენჩხა̈ლ (ბზ.) < ქართ. ნეკერჩხალ-ი (შდრ. ზს. **ფეხჳრა**, ზს. **თეკრა**)

ბირწა̈ლ (უშგ.)/**ბიწა̈ლ/ფიწა̈ლ** (ბზ.)/**ბიწა̈რ/ბიწა̈ლ** (ბქ.)/**ფიწა̈ლ** (ლნტ.) < ქართ. ფიწალ-ი

ბრა̈ზ (ზს., ლნტ.) < ქართ. ბრაზ-ი (შდრ. ზს., ქს. **ხგრ**)

გალჳა̈ნ (ზს.)/**გალაჳა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. გალავან-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ძღჳიდ**, ბზ., ლშხ. **ციბ**)

გა̈ნზ (ზს.)/**გა̈ნძ** (ლნტ.) < ქართ. განძ-ი < ფალ. **ganǰ** „საუნჯე, საფასე, განძი"

გირწყა̈ლ (ზს., ლნტ.) < ქართ. კირ-წყალ-ი (კირხსნარი, დუღაბი)

გოგლა̈ნდ (ზს.) „ცირცელი" < ქართ. (ლეჩხ.) გოგლანდ-ი. თუმცა შესაძლოა **გოგლა̈ნდ** სვანურიდანაც იყოს შესული ქართული ენის ლეჩხუმურ დიალექტში.

გრა̈მ (ზს., ლნტ.) < ქართ. გრამ-ი < რუს. **грамм**

გუთა̈ნ (ბქ., ლნტ.) < ქართ. გუთან-ი < არაბ. **fadān** (შდრ. ზს. **ლა̈ნწჳიშ**)

გულჳა̈ნ (ბზ.)/**გულჲა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. გულ-ოვ-ან-ი/გულ-იან-ი

გუმბა̈თ (ზს., ლნტ.)/**გუმბა̈დ** (ლხმ.) < ქართ. გუმბათ-ი

გჳა̈რ (ზს., ლნტ.) < ქართ. გვარ-ი < ფალ. **gōhar** „ბუნება, მატერა, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა...".

ილია აბულაძეს აღნიშნული ლექსემა მკვიდრ ქართულად მიაჩნია და სომხურ **գաւառ**-ს ქართულიდან ნასესხებად თვლის (აბულაძე 1952:313-369), რასაც არ იზიარებს მზია ანდრონიკაშვილი, მისი მოსაზრების თანახმად, სიტყვა გოვარი — ვუარი — გვარი — ნასესხებია საშ. სპარსულიდან ქართულშიც და სომხურშიც, რასაც ამტკიცებს სრული იდენტობა, როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური, საშუალო და ახალ სპარსულ სიტყვასთან **gōhr — gōhār**, რომელმაც ქართულში კანონზომიერად მოგვცა გოარი > გოვარი > გუარი > გვარი (ანდრონიკაშვილი 1966:303).

გჳია̈ნ (ზს., ლნტ.) < ქართ. გვიან-ი

დამბა̈ლ (ზს., ლნტ.) < ქართ. დაბალ-ი

დარბა̈ზ (ზს., ლნტ.) 1. „დარბაზ-ი", 2. „სვანური სახლის ან ბოსელის ზედა სართული, სადაც ინახავენ პირუტყვის საკვებს (ჩალას, თივას, ბზეს...)" < ქართ. დარბაზ-ი „სახლი" < სპარს. **darbaz** „ალაყაფის კარი", „სასახლე", „დარბაზი"

და̈რ (ზს., ლნტ.) „ამინდი" < ქართ. დარ-ი (ამინდი)

დედფა̈ლ (ზს.)/**დედოფა̈ლ** (ლნტ.) 1. „დედოფალ-ი", 2. „პატარძალ-ი" < ქართ. დედოფალ-ი

დიდა̈რ (ზს., ლნტ.) 1. „მდიდარ-ი", 2. ბქ. „ამაყ-ი, ამპარტავან-ი" < ქართ. მ-დიდ-არ-ი

ეშმა̈კ (ბქ.) < ქართ. ეშმაკ-ი < ფალ. **hēšmak** (შდრ. ზს. ჳობურ)

ზარა̈ლ (ზს., ლნტ.) < ქართ. ზარალ-ი < თურქ. **zarar** (შდრ.ს ზს. კჳა̈დ)

ზა̈რ (ზს., ლნტ.) 1. „ზარ-ი", 2. „ზარ-ი (სამგლოვიარო ჰიმნი)" < ქართ. ზარ-ი < სპარს. **zārī** „ტირილი"

ზეთუნახა̈ჳ/ზითუნახა̈ჳ (ზს., ლნტ.) < ქართ. მზე-თ-უ-ნახ-ავ-ი (შდრ. ზს. მიჟუწჳდუნა)

აღნიშნულ ძირთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ანდრონიკაშვილს, რომელმაც შესაძლებლად მიიჩნია **ცუდ-** ფუძე, ერთი მხრივ, დაეკავშირებინა **ცოდ-** (ცოდვა), **ცთ-** (ცთომა; ცთუნება) ფუძეებთან, ხოლო, მეორე მხრივ, გაეზიარებინა მისი ოსურიდან მომდინარეობა, ვ. აბაევზე მითითებით: „... იგი უკავშირდება ოსურ სიტყვას **cawd(cud/cyd)** „ცუდი, მდარე", რომელიც წარმოადგენს ლექსიკალიზებულ ნამყოს მიმღეობას ზმნიდან **cæwyn** „სვლა", ე. ი. „წასული". შდრ. რუს. "**пошлый**", ლათ. **itus** (В. Абаев, И-Э, Сл., I, გვ. 293)... სიტყვები ცუდი, ცოდვა ძალიან ძველი ნასესხებია ალანურიდან, ისინი დადასტურებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ძეგლებში. ამავე დროს, მათ კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში არ მოეპოვებათ" (ანდრონიკაშვილი 1966:123).

ა. არაბული სრულხმოვნიან არქეტიპად ვარაუდობს **ცჳედ-** ძირს, რომელიც საკმაოდ მდიდარი რეფლექსებისა და შესატყვისების სახით ვლინდება ქართველურ ენებში (არაბული 2001:160).

ძღჳიდ (ზს., ლნტ.)/**ძღუდ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ზღუდე; აგრეთვე ზს. **ძღჳიდე**, ლნტ. **აძღგდე** „ადიდებს; აზვიადებს" და ბზ. **ძღგდ**, ლშხ. **ძღგ̄დ**, ლნტ. **ძღუდ** „დიდი" შესაძლოა უკავშირდებოდეს ქართულ ზღუდეს. როგორც ჩანს უძველესი ნასესხობაა ქართულიდან. მეგრ. ზღუდე და სვან. **ძღჳიდ** შესაძლოა ქართულიდან იყოს შესული (მაჭავარიანი 1965:89)

ჭჳნი̄რ (ბზ.)/**ჭინირ/ჭგნირ** (ბქ.)/**ჭი̄ნურ** (ლშხ.)/**ჭიანჳირ** (ლნტ.) < ქართ. ჭიანურ-ი

ქართ. **ჭიანურ** > ლშხ. **ჭი̄ნურ**, ერთი მხრივ, და ქართ. **ჭიანურ** > ლნტ. **ჭიანჳირ** > ***ჭჳიანირ** > ბზ. **ჭჳნი̄რ** > ბქ. **ჭგნირ||ჭინირ**, მეორე მხრივ.

ბ) უკანა მიმართულების უმლაუტი

მ. ქალდანის თეორიის თანახმად (ქალდანი 1969:25) უმლაუტი შეიძლება განიცადოს სვანურში არა მარტო **ა ო უ** ხმოვნებმა, არამედ **ე** და **ი** პალატალებმაც.

ე+ა პოზიციისეული უმლაუტის სისტემა სვანურში

ამ პოზიციისეული ა ხმოვანი წინამავალ ე'ს იმსგავსებდა და ა̈(>ა)'დ აქცევდა. ამის ყველაზე ნათელი და თვალსაჩინო ილუსტრაცია არის ნასესხები მასალა (იქვე):

ანღლა̈ბ (ზს.)/**ანღლაბ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. ა-მაღლ-ებ-ა

ბჷნა̈ბ (ბზ., ლნტ.) 1. „ბუნება, ხასიათი“, 2. „ავი ზნე, ბნედა“ < ძვ. ქართ. ბუნება < ფალ. **bun** „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაბი, ფესვი, ბუნება, ხასიათი“

განცხადა̈ბ (ზს.)/**განცხადაბ** (ლნტ.) „ნათლისღება, გამოცხადება“ < ძვ. ქართ. გან-ცხად-ებ-ა

გაღა̈ბ (ზს.)/**გაღაბ** (ლხმ., ლნტ.) „აზრი, ჭკუა, გაგება; ცნობიერება, განცდა“ < ქართ. გა-გ-ებ-ა

გუნა̈ბ/გონა̈ბ (ზს.)/**გონაბ** (ლნტ.) „ჯავრი, დარდი, ფიქრი“ < ქართ. გონ-ებ-ა

გჷრცა̈მ (ზს.)/**გარცა̈მ** (ბქ.)/**გჷრცა̈მ/გარცა̈მ** (ლნტ.) „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება“ < ძვ. ქართ. გარდა-ც-ემ-ა. ზს. გჷრცა̈მ < გარცა̈მ < გარდა-ც-ა̈მ < ქართ. გარდა-ც-ემ-ა

და̈ბდა̈ბ (ზს.) „დაბადება, ბედი“ < ძვ. ქართ. და-ბად-ებ-ა

დიდა̈ბ (ზს.)/**დიდაბ** (ლნტ.) < ქართ. დიდ-ებ-ა

ზირა̈ბ (ზს.)/**ზირაბ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა

მოგა̈ბ (ბზ.)/**მოგება** (ბქ.)/**მოგაბ** (ლნტ.) < ქართ. მო-გ-ება (შდრ. ბზ. ქა̈მა, ბქ. ქემა)

მორიდა̈ბ/მორდა̈ბ/მორდებ/მურდა̈ბ/მჷრდა̈ბ (ზს.) **მორდა̈ბ/მორიდაბ** (ლნტ.) „რიდი, მორიდება, ხათრი“ < ქართ. მო-რიდ-ებ-ა (შდრ. ბქ. მალკაფ)

ნა̈ბ (ზს.) **ანაბ/ნა̈ბ** (ლნტ.) < ქართ. ნებ-ა (შდრ. ზს. მაკაფ)

სასჳა̈ბ (ბზ.) „გასაქანი, საშუალება“ < ძვ. ქართ. სასო-ებ-ა

სახრა̈ბ (ზს.)/**სახარება** (ლნტ.) 1. „სახარება“, 2. „აღდგომის ცისკრის წირვა“ < ძვ. ქართ. სა-ხარ-ებ-ა

ფერა̈ბ (ზს., ლნტ.) „პირფერობა; მობოდიშება“ < ქართ. ფერ-ებ-ა (შდრ. ბზ. ნაკ, ბზ. ლიქო̄რდჳლ)

ფერცჳლობ (ბზ., ქს.)/**ფა̈რცჳლობ** (უშგ.)/**ფერცლა̈ბ/ ფერცლაბ** (ბქ.) < ძვ. ქართ. ფერ-ის-ცვალ-ებ-ა

ქონა̈ბ/ქონებ⌜ა⌝ (ზს.)/**ქონებ⌜ა⌝** (ქს.) < ქართ. ქ-ონ-ებ-ა (შდრ. ბზ. მაღჳა̈ნ)

შჳა̈ბ (ბქ.) „მოშვება, მოსვენება, შვება“ < ქართ. შვ-ებ-ა

წაგა̈ბ (ბზ.)/**წაგაბ** (ლნტ.) < ქართ. წა-გ-ებ-ა

წყა̈ნ (ზს.) „ზარალი“ < ქართ. წყენ-ა

ხარა̈ბ (ზს.)/**ხარაბ** (ლხმ., ლნტ.) < ძვ. ქართ. ხარ-ებ-ა

ჯჷრა̈ჳ (ზს.) < ქართ. ⌜და⌝-ჯერ-ებ-ა.

ხმოვანთა სიგრძის მოვლენები

ა) ხმოვანთა შერწყმა (კომბინატორული სიგრძე)

სვანური ენის ვოკალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება არის ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით გარჩევა. გრძელი ხმოვნები სვანური ენის ბალსზემოურ, ლაშხურ და ჩოლურულ დიალექტებს ახასიათებს. დღეს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სვანურში გამოიყოფა ორი სახის სიგრძე: პირველადი, ანუ ისტორიული და მეორეული, ანუ პოზიციით შეპირობებული. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს.

სვანურში გრძელი ხმოვნების არსებობას ნ. მარიდან მოყოლებული არაერთი ენათმეცნიერი (მარი 1937:317; შანიძე 1925:223; ონიანი 1986:204; ოსიძე 1979:213; ონიანი 1962:216; მაჭავარიანი

1965:20; გაზდელიანი 2003:30) შეეხო და ბევრი სერიოზული დასკვნაც გაკეთდა.

ბჲრახ (ლშხ.), შდრ. ზს. **ბჲდრჲხ**, ზს., ლნტ. **ბჲირჲლ/ბჲდრჲლ**, ლშხ. **ბჲდრახ** < ქართ. ბაირაღ-ი „დროშა" < სპარს. **bajraḳ**

სვანურში, კერძოდ, სვანური ენის გრძელხმოვნიან დიალექტებში, არის შემთხვევები, როდესაც ფუძისეული (ან თანდებულისეული) **ი** ხმოვანი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას კარგავს, თვითონ იოტად იქცევა და შემდეგ გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს (ჟღენტი 1949:75), სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე ლშხ. **ბჲრახ/ბჲდრახ** ფორმაში.

ბჷრღჷი (ბზ.)/**ბჷრღუ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ბურღჷი**, ლხმ. **ბირღჷ**, ლნტ. **ბურღუ** „ბუერა" < ქართ. ბუერა, შდრ. გურ. ბულღავა/ბურღავა-ი, ლეჩხ., რაჭ., იმერ. ბულღვა/ბულღავა, აჭარ. ბულღო, იმერ. ბურღველა/ფურღველა/ფურღვენა/ფურღვუნა, ქართლ. ფურღუნა.

ე. გაზდელიანის აზრით, **ბჷრღჷი/ბჷრღუ** ფორმაში **ჷ** ხმოვნის სიგრძე განაპირობა დაკარგულმა **ე** ხმოვანმა, რომელიც გვაქვს ქართულ ბუერა-ში (გაზდელიანი 2003:30), თუმცა ქართულის ზემოდასახელებული დიალექტური მონაცემები ამ აზრს ეჭვქვეშ აყენებენ, რადგანაც არც ერთ მათგანში **ე** ხმოვანი ფუძეში არ დასტურდება.

დი̄კჷენ (ბზ.)/**დი̄კონ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **დიაკენ/დიაკჷჲნ**, ლნტ. **დიაკჷენ** < ქართ. დიაკვან-ი < ბერძ. **διάκονος**

ხშირად სვანურში ხმოვნის სიგრძე ფუძეში წარმომდგარია ორი ხმოვნის შერწყმის შედეგად (მაგ. **კე̄სჲრ** (← კეისარი), **დი̄კჷენ** (← დიაკონი); **პე̄მჲნ** (← პაემანი), **ჰი̄ნურ** (← ჰიანური) და სხვ. (ჟღენტი 1949:75)

ზი̄რებ (ლშხ.), შდრ. ზს. **ზირჲბ**, ლნტ. **ზირაბ** < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა

კე̄სჲრ (ბზ.)/**კჲსჲრ** (უშგ.)/**კე̄სარ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **კესჲრ**, ლნტ. **კეისჲრ** „ხელმწიფე, კეისარი" < ძვ. ქართ. კეისარ-ი < ბერძ. **ḳeisar**

გ. კლიმოვის აზრით, სვანური **კე̄სჲრ** ქართული დიალექტების **კაჲსარ-ი** ფორმისგან მომდინარეობს (კლიმოვი, ხალილოვი 2003), რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ძვ. ქართული **კეისარ-ი** თავისუფლად მოგვცემდა **კე̄სჲრ**'ს, გარდა ამისა, კაისარ-ი ძვ. ქართულშიც იყო.

ლაბტი̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლაბჲტ** < ქართ. სა-ბატ-ე (შდრ. ბქ. **ღარღად**). ბზ., ლშხ. **ლა-ბტ-ი̄რ** < ***ლა-ბატ-ი-ირ** (ი+ი=ი̄)

ლადრაჯჲლ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ლადრჲჯ**, ბქ. **ლადრაჯჲრ**, ლნტ. **ლადარაჯჲლ** „სადარჯო, სათვალთვალო" < ქართ. სა-დარაჯ-ო

დანიშნულების სახელი **ლა-დრაჯ-ჲლ** < ***ლა-დარაჯ-ა-ალ** ნაწარმოებია **ლა** — **ა** ცირკუმფიქსით, რომელიც ქართული **სა** — **ო**'ს ტოლფარდია. მას დაერთვის ხოლმეობითობისა თუ ობიექტის სიმრავლის მაჩვენებელი -ალ მორფემა.

ლაკჷმაში̄რ (ლშხ.), შდრ. ზს. **ლაკჷმაშ**, ლნტ. **ლაკჷმჲშ** „საქონლის სადგომი, ბოსელი, სასაქონლე" < ქართ. *სა-კუმაშ-ე < არაბ. **kumaš**. ლშხ. **ლაკჷმაში̄რ** < ***ლა-კუმაშ-ა-ირ** (შდრ., ზს. **გჷალ**, ბქ. **ლამგნგარ**, ლშხ. **ლაფჷრჲლ**)

ლალცოჷჲლ (ბზ.)/**ლალცოჷჲლ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ლალცოჷალ**, ლნტ. **ლალოცაჷალ** 1. „სალოცავი", 2. „ლოცვა" < ქართ. სა-ლოც-ავ-ი. ბზ. **ლა-ლცოჷ-ჲლ** და ლშხ. **ლა-ლცოჷ-ჲლ** < ***ლა-ლოც-ავ-ა-ალ** (შდრ. ზს. **ლჲმზგრ**, ბზ. **ლაჭჷჲმ**)

ლჲკთილჲრ (ბზ.), შდრ. ბქ. **ლჲკთილჲრ**, ლშხ. **ლაკთილ**, ლნტ. **ლჲკეთილ** „სასიკეთო, საუცხოო" < ქართ. სა-კეთ-ილ-ო

ლჲხი̄რულ (ბზ.)/**ლახი̄რულ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ლჲხირულ** „სამხიარულო, მხიარულება" < ქართ. სა-მ-ხიარ-ულ-ო

ლა̄ჲრაკ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ლაჰრა̈კ**, ბქ. **ლაჰრაკ**, ლშხ. **ლაჲრაკ**, ლნტ. **ლაარა̈კ** „საარაკო, სამაგალითო" < ქართ სა-არაკ-ო (შდრ. ბქ. **სა̈რგბიშ**)

ლედა̄ჳშე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ლედჳა̈ში**, ლნტ. **ლედაჳშე** „გასაფუჭებელი" < ქართ. და-სა-შავ-ებ-ელ-ი. ***ლე-და-შაჳ-ე** > ***ლე-და̄შჳ-ე** > **ლე-და̄ჳშ-ე** (შდრ. ბქ. **ლეცჳდე**)

ლემო̄რჳე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ლემორჳე**, ლნტ. **ლემორა̈ჳ** „გასარჩევი, სამედიატორო საქმე" < ქართ. *გა-სა-მოურავ-ებ-ელ-ი

ლეშნა̄ჳრე (ბზ.), შდრ. ბქ. **ლეშნა̈რი**, ლშხ. **ლეშნაჳრე**, ლნტ. **ლეშნაჳრი** < ქართ. მო-სა-შინ-ა-ურ-ებ-ელ-ი (შდრ. ზს. **ლემთქჳე**)

ლე̄ჲრაყი (ლშხ.), შდრ. ბზ. **ლეჰრა̈ყი**, ბქ. **ლერა̈ყი**, ლნტ. **ლეარა̈ყი** „საარაყე (მასალა)" < ქართ. სა-არაყ-ე

ლიგა̄თჳე (ლშხ.), შდრ. ბქ. **ლიგთა̈ჳი**, ლნტ. **ლიგათჳე** „გათავება, დამთავრება" < ქართ. გა-თავ-ებ-ა (შდრ. ზს. **ლიშდ/თხე**, ზს. **ლიზგგრე**, ზს. **ლილიესგ**)

ლიდა̄ჳშე (ბზ., ლშხ.), შდრ. ზს. **ლიდჳა̈ში**, ლნტ. **ლიდაჳშე** „გაფუჭება, წახდენა, დაღუპვა" < ქართ. და-შავ-ებ-ა (შდრ. ბქ. **ლიცჳდე**).

თუ ბზ., ლშხ. **ლი-და̄ჳშ-ე** ფორმას შევუდარებთ ქართ. დაშავება'ს, საფიქრებელია, რომ ინტერვოკალური პოზიციიდან შ'ს მეტათეზისი მომხდარა, რამაც ა+ა ხმოვანთკომპლექსის შექმნა განაპირობა, ხოლო ამან მორფემათა მიჯნაზე გამოიწვია ორი ა'ს შერწყმა ერთ გრძელ ა̄'დ (გაზდელიანი 2003:34).

ლიშნა̄ჳრე/ლინშა̄რჳე (ბზ.), შდრ. ბქ. **ლიშნა̈რი**, ქს. **ლიშნაჳრი** „მოშინაურება, შეჩვევა" < ქართ. მო-შინ-ა-ურ-ებ-ა (შდრ. ზს. **ლიმთქჳე**)

ლიხი̄რჳლ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ლიხირჳლ** < ქართ. მ-ხიარ-ულ-ებ-ა

ლი̄მბჳი (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ლიმბჳა̄ლ/ლიმბჳალ**, ლნტ. **ლიამბა̈ჳი**, ლხმ. **ლიმბა̈ჳ** „მოყოლა, თხრობა, მბობა" < ქართ. ამბავ-ი < ფალ. **hambav**

ლი̄ყრე (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლია̈ყრე** „აყრა, გადასახლება"; გადატ. „ოჯახის დაქცევა, დაღუპვა" < ქართ. ა-ყრ-ა (შდრ. ზს. **ლიზგჳნე**)

ლგგა̄თჳე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ლგგათჳე/ლგგათჳნე**, ლნტ. **ლგგათჳე** < ქართ. გა-თავ-ებ-ულ-ი

ლგდა̄ჳშე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ლგდაჳშე**, ბქ. **ლგდჳაშე/ლუდჳაშე** „გაფუჭებული, განადგურებული, წამხდარი" < ქართ. და-შავ-ებ-ულ-ი (შდრ. ბქ. **ლუცჳდე**)

მაცხჳა̈რ (ბზ.)/**მაცხჳა̄რ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **მაცხჳა̈რ** 1. „მაცხოვარი", 2. „მაცხოვრის ეკლესია" < ქართ. მა-ცხ-ოვ-არ-ი

მჳმბჳი (ბზ., ლშხ.) „ამბის მთქმელი, მთხრობელი, მოამბე" < ქართ. მო-ამბ-ე

მგთმი̄ნე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **მგთმინე** < ქართ. მო-მ-თმ-ენ-ი (შდრ. ზს. **მგჭკრგნე**)

მგ̄ჲრაყი (ლშხ.), შდრ. ბზ. **მგჰრა̈ყი**, ბქ. **მგ⌈ჲ⌉რა̈ყი**, ლნტ. **მგარა̈ყი** 1. „არყის მხდელი", 2. ლნტ. „არყის მოყვარული" < ქართ. არაყ-ი (*მო-არაყ-ე)

პა̈რპო̄ლდა̈შ (ბზ.)/**პერპო̄ლდაშ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **პა̈რპოლა̈შ/პერპოლა̈შ**, ლნტ. **პერპოლდა̈შ** < ქართ. პეტრე-პავლ-ობ-ა, რომელიც, როგორც ყველასთვის ცნობილია, ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის სახელწოდებაა.

აღნიშნული ლექსემა კომპოზიტური აგებულებისაა, რომელსაც სესხების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია. ამ ფონეტიკური ცვლილებების წყალობით იგი იმდენად გაცვეთილია, რომ, ერთი შეხედვით, თითქოს, შეუძლებელიც კია მისი ქართულთან დაკავშირება.

ამ საერთოქრისტიანული ტერმინის ბალსზემოური ფორმა შემდეგნაირად დაიშლება: **პერ-პ-**

ო̄ლდ-ა̈შ. როგორც მკვლევარი ე. გაზდელიანი აღნიშნავს: „პეტრე-დან მივიღეთ პერ ‖ პა̈რ, ხოლო პავლე საკუთარი სახელიდან მხოლოდ -პ- შემოგვრჩა. როგორც ჩანს, პავლე ხმოვანფუძიან სახელს დაერთო კნინობითობის -ოლდ სუფიქსი (შდრ. დინო̄ლ < *დინა + ოლდ „გოგონა“; მა̈რო̄ლდ < *მარე + ოლდ „კაცუნა“, „პატარა კაცი“, შდრ. ლნტ. მაროლდ) და სუფიქსისეული ხმოვანი დაგრძელდა“ (გაზდელიანი 1988:68). სამეცნიერო ლიტერატურაში კი -ლდ (წინამავალი ხმოვნითურთ) კნინობითობის სუფიქსის პირვანდელ სახედ არის მიჩნეული, რომლის გამარტივებითაც მიღებულია, ერთი მხრივ, -ლ თანხმოვანი, ხოლო მეორე მხრივ -დ თანხმოვნიანი ვარიანტები (ჭუმბურიძე 1977:249). სუფიქსისეული ო̄ ხმოვნის სიგრძე, როგორც ჩანს, მივიღეთ ფუძისეულ და კნინობითის სუფიქსისეულ ხმოვანთა შერწყმით: ო̄<ე+ო (პავლე+ოლდ), შდრ. ლენტეხურში დადასტურებული პავლე სახელის კნინობითი ფორმა პავლოდ ‖ პავლოლდ.[1] სწორედ პავლოდ (< პავლეოლდ) ფორმიდან მივიღეთ კომპოზიტის მეორე ნაწილად შემორჩენილი პ+ო̄ლდ. -ა̈შ/-აშ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია. ეს ტერმინი გაქვავებული გენეტივის ფორმაა. პერპო̄ლდა̈შ-ის ზედმიწევნითი თარგმანი იქნება „პეტრეპავლობის-ᲒაᲓ“ (გაზდელიანი 1988:69).

ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ დასახელებული ლექსემა (და საერთოდ ქრისტიანულ ტერმინთა უმრავლესობა) საკმაოდ ძველი ნასესხობა უნდა იყოს, მაშინდელი, როცა ქრისტიანული აღმსარებლობა დაიწყო საქართველოში.

სა̈̄თ (ბზ.)/სა̄თ (ბზ., ლშხ.), შდრ. ზს. საღა̈თ/საჲათ, ლნტ. სათ < ქართ., ზან. საათ-ი < თურქ. (< არაბ., სპარს.) **saat**

პე̄მა̈ნ (ბზ.) < ქართ. პაემან-ი < სპარს. **paymān** „პირობა, აღთქმა“

საკმე̄ლჳ ბზ. < ბზ. საკმჳე̄ლ < ბზ. საკმეჳელ (შდრ. ბქ. სა̈კმეჳელ და ლშხ. საკმოჳელ) < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი (შდრ. ბზ. ნატჳსუნ)

უნა̈რეჳ (ლშხ., ჩოლ.) „ავი, ეშმაკი, ფიცხი, მავნე, უცნაური“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) უნაირო „უნირო, უმსგავსო, უშნო“

ფეთე̄ნ (ლშხ.), შდრ. ბქ. ფეთია̈ნ „საშიშარი, სახიფათო“ < ქართ. ფეთ-იან-ი (შდრ. ბზ. თხანა̈ჲ)

ქრისდე̄შ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. ქრისდეშ, ლნტ. ქრისტეშ 1. „შობა, ქრისტეშობა“, 2. „დეკემბერი, ქრისტეშობის თვე“ < ქართ. ქრისტე-ის-ᲒაᲓ

ქჳიშა̈̄რ (ბზ.) < *ქჳიშა+ა̈რ/ქჳიშა̄რ (ლშხ.) < ქართ. ქვიშ-იან-ი

შინა̈̄ჳრ (ბზ.), შდრ. ბქ. შინა̈რ, ლშხ. შინაჳრ, ლნტ. შინა̈ჳირ < ქართ. შინ-ა-ურ-ი (შდრ. ზს. ქორა̈ᲒშᲓ, ბზ. ა̈გი̄შ, უშგ. ნაირგილჳ)

შჳე̄ნდბა (ბზ., ლშხ.) < ქართ. შე-ნდ-ობ-ა (ბალსქვემოურ კილოკავებში დასტურდება შენდბა (ლხმ.) და შჳინდბა (ცხმ.) ვარიანტები, ლენტეხურში კი გვაქვს შონდობა ფორმა), აუხსნელი პროცესებია, საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

ჩალა̈̄რ (ბზ.) < *ჩალა+არ+ე/ჩალა̄რ (ლშხ.), შდრ. ლნტ. ჩალა̈რ „ჩალიანი, ჩალაშერეული“ < ქართ. ჩალ-იან-ი (შდრ. ბქ. ჭა)

ჩჳე̄ნი (ბზ.), შდრ. ბქ. ჩჳეჲნ/ჩეჲნ, ლშხ. ჩოინ, ლნტ. ჩჳეინ „სპილენძის ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდალა“ < ქართ. (რაჭ.) ჩოინა < თურქ. **čojun**. ქართ. ჩოინა > ლშხ. ჩოინ > *ჩჳეინ > ზს., ლნტ. ჩჳეჲნ > ლხმ. ჩეჲნ

წი̄ბა̈̄რ (ბზ.)/წი̄ბა̄რ (ლშხ.), შდრ. ბქ. წიბა̈რ, ქს. წიაპ < ქართ. (ხევს.) წრიაპ-ი „კბილებიანი რკინა — ტერფზე ამოსაკრავი, იხმარება ციცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს“. ქართული ფორმის მიხედვით ირკვევა, რომ სვანურში დაკარგულია რ თანხმოვანი, ხოლო ი+ა კომპლექსის შერწყმით მივი-

[1] შდრ. ბქ. პავლიდ.

ღეთ გრძელი ი̄, ფუძისეული პ კი გამჟღერებულია (გაზდელიანი 2003:35). ქვემოსვანურში შედარებით მარტივი ფონეტიკური პროცესია (სონორის დაკარგვა) მომხდარი.

წჳირა̈ლ (ბზ.)/**წჳირა̄ლ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **წჳირა̈ლ** „წვირიანი, ჭუჭყიანი" < ქართ. ˹მ˺წვირ-იან-ი (შდრ. ქართ. ˹მ˺წვირე). ფენრიხ-სარჯველაძე (2000:642) არ გამორიცხავენ ამ ფორმის სვანურში სესხებას.

ჭჳნი̄რ (ბზ.)/**ჭი̄ნურ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ჭინირ/ჭგნირ**, ლნტ. **ჭიანჳირ** < ქართ. ჭიანურ-ი

წყნა̄რო̄ლდ (ლშხ.) < ***წყნარა-ოგლ-დ?** < ქართ. წყნარ-ად (შდრ. ბზ. **თა̄მა̈შდ**)

ხი̄რჳ̈ლ (ბზ.)/**ხი̄რულ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ხირულ** < ქართ. მ-ხიარ-ულ-ი.

ბ) **საკომპენსაციო სიგრძე** (ხმოვანი დაგრძელებულია თანხმოვნის დაკარგვის სანაცვლოდ)

დი̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **დირ**, ბქ. **დგრ** < ძვ. ქართ. დჳრე, ახ. ქართ. დირე, შდრ. გურ. დვირო „მორი, ძელი".

ამგვარ ფორმებში ხმოვნის სიგრძე, როგორც ცნობილია, მიღებულია თანხმოვნის ხმოვნებთან შერწყმითა და ვოკალიზაციის შედეგად (ქლენტი 1949:76)

გზა̄რობ (ლშხ.), შდრ. ბზ. **გზაჳრობ**, ბქ., ლნტ. **გზარობ**, ბქ. **ზგარობ** < ქართ. მ-გზა-ვ-რ-ობ-ა

დე̄ფა̈ნ (ბზ.)/**დე̄ფან** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ტელა̈ფ**, ლნტ. **დელფა̈ნ** „აივანი" < ქართ. დერეფან-ი. ს. ჟღენტის ვარაუდით, ე ხმოვნის სიგრძე, აღნიშნულ ლექსემაში, **რ** თანხმოვნის ხმოვანთან შერწყმისა და ვოკალიზაციის შედეგია (იქვე), ხოლო ე. გაზდელიანის აზრით (გაზდელიანი 2003:31), ინტერვოკალურ პოზიციაში, **რ** თანხმოვნის დაკარგვით ორი იდენტური (ე+ე) ხმოვნის შერწყმით მიღებული სიგრძე გვაქვს. ბზ. **დე̄ფა̈ნ** < ***დეეფა̈ნ** < ქართ. დერეფან-ი.

თა̄რინგზელ (ბზ.)/**თა̄რი˹ნ˺გზელ/თა̄რინძელ** (ლშხ.), შდრ. ზს. **თა̈რგლეზერ**, ლშხ. **თარგლეზერ**, ლნტ. **თა̈რიგზელ/თა̈რიგლეზერ** < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

თა̈სდჳებ/თა̈სჳდებ/თა̈სდო̈ბ (ბზ.)/**თა̄ჲსდომ/თა̄ჳსდომ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **თა̈ჲსდებ**, ლნტ. **თა̈ჳსდებ/თა̈ჳდებ** „ფიცი, პირობის მიცემა (ხელის ჩამორთმევით)" < ქართ. თავ-დ-ებ-ი (სიტყვა-სიტყვით: თავ-ს-მ-დ-ებ-ობ-ა), რომელიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნდობით აღჭურვილი პირია (პასუხისმგებელი ვისიმე მოქმედებისა, საქციელისა), ხოლო სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" (ს.-ს. ორბელიანი 1965:300) **თავს მდები, თავდები** განმარტებულია შემდეგნაირად: „საქმე თავს დაიდვას". იგივე ლექსემა შეტანილია დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში: **თავდები** — თავსმდები, ვინც სხვის მაგივრად პასუხს გასცემს, **თავს-მდებობა**, თავზედ აღება რისამე პასუხის გაცემით, დადგომა თავდებად (ჩუბინაშვილი 1984).

ბალსზემოურ **თა̈სდჳებ/თა̈სჳდებ/თა̈სდო̈ბ** ფორმებში დაკარგულია **თავის** ფუძისეული ჳ'ი და ნათესაობითი ბრუნვის **ი** ხმოვანი, რამაც, ე. გაზდელიანის აზრით (გაზდელიანი 2003:32), განაპირობა წინამავალი **ა** ხმოვნის სიგრძე და უმლაუტი. პირველ ორ მაგალითში ფუძისეული ჳ თანხმოვნის მეტათეზისია მომხდარი, ხოლო **თა̈სდო̈ბ** ფორმაში საერთოდ დაკარგულია. რაც შეეხება ლაშხურ **თა̄ჲსდომ/თა̄სდომ** ფორმებს, აქ დაკარგულია ჳ'ი და, ერთ შემთხვევაში, **ი ჲ**'ტად არის ქცეული, მეორე შემთხვევაში კი მთლიანად დაკარგულია ბრუნვის მორფემისეული **ი**, რამაც განაპირობა წინამავალი ა'ს დაგრძელება (იქვე).

კა̄და (ბზ.)/**კა̄დე** (ლშხ.), შდრ. ბქ. **კა˹ჰ˺და**, ლნტ. **კადა** „ნაჯახი, ცული" < ქართ. კალდიმ-ი ფუძიდან **ლ** სონანტის ამოვარდნითა და აუსლაუტის გამარტივებით. მასალობრივადაც და სემანტიკურადაც **კა̄და** და **კალდიმ** ფორმათა დაკავშირება სავსებით შესაძლებელია; ორივე ლექსემა იარაღის სახელწოდებადაა გამოყენებული იმ განსხვავებით, რომ ერთის (სვან. **კა̄და**) სამეურნეო დანიშნულება აქვს, ხოლო მეორეს (ქართ. **კალდიმი**) — საბრძოლო.

კი̄ზ (ლშხ.), შდრ. ზს. **კიზ** 1. „კოვზი", 2. „ნალვერდლის (ნახშირის) სარევი იარაღი სამჭედლო-

ში“ < ქართ. კოვზ-ი, შდრ. მეგრ. **კირზა**, რომელიც < ქართ. კოვზ-ი.

არნ. ჩიქობავას მეგრულ-ჭანურში **კოვზ**'ის მნიშვნელობით დადასტურებული აქვს **კიზ-ი**, რომლის პარალელურად ჭანურში **კუზ-ი** ლექსემაც დასტურდება (ჩიქობავა 1938:170).

როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებს: „**კოვზ-** და **კუზ-** ერთი და იგივე ფუძეა; **-ვ-** ქართულში ფონეტიკურად უნდა იყოს განვითარებული **ო**-ს შემდეგ; ეგევე **-ო-** **უ**-დ არის დავიწროებული ათინურსა და ვიწურ-არქაბულში; **კიზ-** ხოფურში მიღებულია **უ**-ს **ი**-თ შენაცვლებით. ხოფური ვარიანტი — **კიზ-** მეორდება მეგრულშიც“ (იქვე). რაც შეეხება სვანურ **კი̄ზ** ლექსემას, იგი, ჩვენი ვარაუდით, მომდინარეობს ქართული **კოვზ**'იდან. **ი** ხმოვნის სიგრძე, როგორც ჩანს, თანხმოვნის დაკარგვის შედეგია. მეგრულ-ჭანურიდან რომ ესესხა სვანურს, მაშინ, ალბათ, გრძელხმოვნიანი ვარიანტი არ გვექნებოდა.

არნ. ჩიქობავა, ამ სიტყვის აღნაგობიდან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ **კოვზ-** ფუძე შეიძლება არ იყოს ჩვენი ენების ძველი კუთვნილება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამივე ქართველურ ენაში დასტურდება (იქვე).

მ. ანდრონიკაშვილი ქართულ **კოვზ**'ს სპარსულ **Kuzäh**'ს („დოქი, ჩამჩა“) უკავშირებს (ანდრონიკაშვილი 1996:208).

კო̄ბ (ბზ.)/**კო̄პ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **კობ**, ლნტ. **კოპ** 1. „ხის სახელურიანი ჯამი, ხის დიდი კოვზი, ჩამჩა (ამჟამად ან ლითონისაა ან ემალისა)“, 2. „ხის სასმისი“ < ქართ. კოლბ-ი < გერმ. **Kolbe**. „თხელი მინის ჭურჭელი, გრძელყელიანი და ფართო მუცლიანი, — კულა“ (შდრ. გურ. **კობ-ულ-ი** „მრგვლად გათლილი ხის იარაღი, ტარიანი, რომლითაც ყურძენს ტენიან საწნახელში; **ჩა-კობ-ულ-ვ-ა** „ყურძნის ჩატენა, ჩაჭყლეტა“); სვანური მასდარი **ლი-კიმბ-ი** „ჩატკეპნა, დატკეპნა“ სემანტიკურადაც და ფონეტიკურადაც გურული **ჩა-კობ-ულ-ვ-ა** ზმნის შესატყვისია: ქართ. **კობ-** > სვან. ***კუბ+ი** > ***კüიბ** > ***კიბ** > **კიმბ**, აქედან **ლი-კიმბ-ი**, ხოლო ზემოსვანურ სახელებში ქართული ძირი უცვლელადაა დატოვებული, ქვემოსვანურში კი ანლაუტის მკვეთრი თანხმოვნის გავლენით მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი (**ბ** > **კ** : **კოპ**) აღნიშნულ **კობ/კო̄ბ/კოპ/კო̄პ** ლექსემასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომელიც ეკუთვნის მ. ჩუხუას (ჩუხუა 2000-2003:128), მისი აზრით, სვან. **კობ/კო̄პ/კოპ** „ხის სახელურიანი ჯამი, ხის სასმისი“, ქართ. (გურ., აჭარ.) **კოპ-ე** „ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად“, ზან. კოპ-ეშ-ია „ხაპი; კვახი“, **კოპ-ა** „კოპე“ შესაძლებელია განვიხილოთ შესატყვისობის დონეზე, იგი აღადგენს საერთოქართველურ **კოპ-** ძირს, რომლის ალომორფი უნდა იყოს საერთოქართველური **გობ-** „გობი“ სიტყვა. ამ თვალსაზრისს ეჭვქვეშ აყენებს სვანური გრძელხმოვნიანი (**კო̄ბ/კო̄პ**) ფორმების არსებობა, სადაც ხმოვნის სიგრძე გამოწვეული უნდა იყოს თანხმოვნის დაკარგვის სანაცვლოდ.

„ნიჩაბის“ მნიშვნელობით სვანურ ენაში გამოიყენება ლექსემა, რომელიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი დიალექტებში: **ლა̈̆ხო̄რ** (ბზ.), **ლაჷხი** (ბქ.), **ლა̈̄ღო̄რ** (ლშხ.), **ლა̈ღერ** (ლნტ.).

საანალიზო ფუძეების სეგმენტაცია შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვყოთ დანიშნულების აღმნიშვნელი აფიქსი **ლა̈̆-** — **-ო̄რ/-ერ** (სა- — -ე), ხოლო **-ჷხ-** (< **-ხჷ-**) ძირი დავუკავშიროთ ქართულ **ნე-ხვ-** ფუძის ძირისეულ **ხვ**-ს.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართული **ნეხვ-** ფონემათშესატყვისობის საფუძველზე დაკავშირებულია მეგრულ **ნახვ-** („რეცხვა“, ე. ი. „ნეხვის მოშორება“) ფუძესთან (გ. მაჭავარიანი, მ. ჩუხუა), სვანურში კი საერთოქართველური ძირი თითქოს არ ჩანს. ვფიქრობთ, ქართულ-მეგრული **-ხვ-** სწორედ სვანური მორფოლოგიის შესაბამისად გაფორმებულ საანალიზო ლექსემაში უნდა იყოს დადასტურებული როგორც სხვადასხვა ფონოლოგიური საფეხურების შედეგი: სვან. ***ლა-ნე-ხჷ-ირ** > ***ლა̈-ნ-ხჷ-ირ** > ***ლა̈̆-ხჷ-ირ** > **ლა̈̆-ხ-ო̄რ** (ბზ.).

მაშასადამე, **ნე-** პრეფიქსისეული ხმოვნის რედუცირების შედეგად მიღებული უმლაუტი (**ლა̈-**) და

-ნ-/-ჳ- თანხმოვანთა დაკარგვის საკომპენსაციო სიგრძე (**ლა̄̈-**, **ი̄რ**) გვაძლევს ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ მონაცემს **ლა̄̈-ხ-ი̄რ**; რაც შეეხება ბალსქვემოურს, აქ ძირისეული -ჳ- კი არ იკარგვის, არამედ მეტათეზისის შედეგად ვღებულობთ **-ჳხ-** ვარიანტს, დანიშნულების სუფიქსი კი მარტივდება (**-ირ** > **-ი**) და შესაბამისად გვაქვს **ლა-ჳხ-ი** **ლა-** პრეფიქსისეული ხმოვნის უუმლაუტობით. ქვემოსვანურ დიალექტებში, ინტერვოკალურ პოზიციაში, ძირისეული **-ხ-** თანხმოვანი მჟღერდება და ვღებულობთ **ლა̄-ღ-ი̄რ** (ლშხ.), **ლა̈-ღ-ერ** (ლნტ.) მონაცემებს.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი **ლა-ნხ-ა̄რ** („საზიზღარი, საძაგელი ადამიანი") ფორმაც, ასევე, ქართულ **ნეხვ-** ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში „უწმინდურობის" მნიშვნელობით დადასტურებულია **ნეხ-ოვნ-ებ-ა-ჲ** < ***ნეხვ-ოვნ-ებ-ა-ჲ**; სულხან-საბა ორბელიანისთვის „**ნეხვ-ი** კამეჩის სკორეა (განავალია)", **ნეხვ-ბალახ-ა** კი მცენარეა, ხოლო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „**ნეხვი** საქონლის განავალია (ნაკელი, პატივი)".

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძველ სიტყვასთან გვაქვს საქმე (ყოველ შემთხვევაში, მისი აღდგენა შესაძლებელია არქიფორმის სახით ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქაში), ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სვანურ ენაში **-ხჳ-** ძირი შესაძლებელია ნასესხები იყოს ქართული ენიდან (მეგრული **ნახვ-** რომ ესესხა სვანურს, მაშინ **ლა̈-** გამორიცხული იქნებოდა).

საანალიზო ლექსემა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რა სიძნელეებს აწყდება მკვლევარი, როდესაც ქართველურ ენათა საერთო მასალისა და ურთიერთნასესხობათა გამიჯვნა ხდება საჭირო.

საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სახელებთან შედარებით ზმნური ძირების სესხება ძალზე იშვიათია. მოვიყვანთ მხოლოდ მასდარისეულ ფორმებს:

ბზ. **ლი-გა̄̈-ზდ-ილ-ე** < ***ლი-გა̈-ზრდ-ილ-ე** < ***ლი-გა-ზარდ-ილ-ე** „კარგად გაზრდა; გაწვრთნა" < ქართ. **გა-ზრდ-ა** (შდრ. ბქ., ლნტ. **ლი-გა̈-ზდ-ილ-ე**, ლშხ. **ლი-გა̄ზდ-ილ-ე**)

ლიწკჳლი (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ლიწკული** „წკმუილი, წკმუტუნი" < ქართ. წკმუ-ილ-ი. აქ ხმოვანიცაა დაკარგული და თანხმოვანიც.

იგივე ვითარებაა ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობებშიც:

ლგ-გა̄̈-ზდ-ილ-ე (ბზ.) „კარგად გაზრდილი, ზრდილობიანი; გაწვრთნილი" < ***ლგ-გა̈-ზრდ-ილ-ე** < ***ლგ-გა-ზარდ-ილ-ე** < ქართ. გა-ზრდ-ილ-ი (შდრ. ბქ., ლნტ. **ლგ-გა̈-ზდ-ილ-ე** და ლშხ. **ლგ-გა̄ზდ-ილ-ე**)

ნე̄წჳ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ნეწჳ**[1] < ქართ. ნერწყ-ვ-ი

უმა̄̈ნჳ (ბზ.)/**უმა̄ნ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **უმანი** „ბოროტი, მავნებელი, საზარელი" (სიტყვასიტყვით: უ-მავნ-ო) < ქართ. მავნე; შესაძლოა უარყოფითობის გაგება არც ჰქონდეს

ქო̄̈ბ (ბზ.)/**ქო̄ლბ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ქოლბ** „ბუჩქი" < ქართ. (თუშ., ფშ.) ბოლქვ-ი „გროვა, ჯგუფი". ბზ. **ქო̄̈ბ** < ლშხ. **ქო̄ლბ** < ***ბო̄ლქ** < ქართ. ბოლქვ-ი

ყა̄̈რ (ბზ.)/**ყა̄რ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ყა̈რ**, ბქ. **ყარ** 1. „ყავარი", 2. „სახურავი" < ქართ. ყავარ-ი

წე̄ჳა̈რ (ზს.), შდრ. ბქ., ლშხ. **წეჳარ**, უშგ. **წა̈ჳა̈რ** < ქართ. მ-წ-ევ-არ-ი

ჰყე̄რი (ბზ.)/**ჰყე̄რ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ჰყერი** < ქართ. ჰყორ-ი (მცენარეა). ბქ. **ჰყერი** < ბზ. **ჰყე̄რი** < ***ჰყჳერი** < ***ჰყჳ̈რი** < ქართ. ჰყორ-ი

ხჳა̄̈ჲ (ბზ.)/**ხჳა̄ჲ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ხჳა̈ჲ**, ლშხ. **ხჳაჲ** „ბევრი, მრავალი" < ქართ. ხვავ-ი (ზვინი, გროვა), შდრ. ბზ. **ჳო̄̈ბა̈შ**, ზს. **მახა̈რდ**

ქართული **ხვავ-ი**, სვანური: ბზ., **ხჳა̄̈ჲ**, ლშხ. **ხჳა̄ჲ**, მეგრული **ხვაი** „გუნდი", „გროვა" ლექსემათა ურთიერთშეპირისპირების საფუძველზე, საერთოქართველური ფუძეების დონისათვის, გ. კლიმოვი

---

[1] შდრ. საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე **ნა̈-შყჳ/ნა̈-შხჳ** „ფურთხი" ლექსემა (ძვ. ქართ. **ნერწყუ-ი** „ნერწყვი, ფურთხი", მეგრ. **ლე-რჭყვ-ა**, ლაზ. **ლე-ნჭკვ-ა/ლე-მჭკვ-ა** „ნერწყვი").

(კლიმოვი 1964:258; შდრ. კლიმოვი 1998:328) აღადგენს ***ხჳაჲ** ფორმას, მაგრამ სხვა ქართველოლოგები ამ დაკავშირებას არ იზიარებენ, ამიტომაც არ არის გამორიცხული **ხჳა̈̄ჲ**'ს სესხება. საანალიზო ლექსემაში ხმოვნის სიგრძე, ე. გაზდელიანის აზრით, **ჳ**'ინის დაკარგვამ და **ი**'ს **ჲ**'ოტად ქცევამ განაპირობა (გაზდელიანი 2003:35).

ზოგჯერ თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს, ასეთებია

ამე̄ნ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. ამენ/ამინ/ჰამენ, ლნტ. ამენ! < ქართ. ამინ!

ბედნიე̄რ/ბედნია̄̈რ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ბედნიერ/ბედნია̈რ**, ლშხ. **ბედნჲერ** < ქართ. ბედნ-იერ-ი (შდრ. ზს. **ლგჰა̈̄ჯ**)

ბჳლთ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ბჳლთ'ჳ'/ბირთჳ**, ბქ. **ბჳრთი**, ლნტ. **ბჳლთ** < ქართ. ბურთ-ი

გო̄ჳარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **გოჳა̈რ** „ბადალი, ტოლი, მაგვარი, -ნაირი, -დარი“ < ძვ. ქართ. გოვარ-ი „გვარი...“

გო̄ჯ (ბზ.)/**გო̄ჯა** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გოჯ** < ქართ. გოჯ-ი

გჳა̈̄ლი (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გჳა̈ლი**, ლშხ. **გჳალი** 1. „გვალვა“, 2. ბქ. „მოწმენდილი ცა“ < ქართ. გვალვა

გჳა̈̄ლჲანობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გჳა̈ლიობ**, ლშხ. **გჳალიობ** < ქართ. გვალვ-იან-ობ-ა

დამწა̄რა̈ჳ (ბზ.)/**დამწა̄რ/დამწა̄რაჳ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **დამწარა** „მონატრებული, მონდომებული, მოსურვებული“ < ქართ. გა-მ-წარ-ებ-ულ-ი, შდრ. ძვ. ქართ. და-მ-წარ-ებ-ა „გამწარება“

და̈̄ჳ (ბზ.)/**და̄ჳ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **და̈ჳ** 1. „დევი“, 2. „ბრიყვი, სულელი“ < ქართ. დევ-ი < ფალ. **dēv** „დემონი, ბოროტი სული“

და̈̄ჳბედნიე̄რ (ბზ.), შდრ. ბქ. **და̈ჳბედნიერ** „გულუბრყვილო, უწყინარი“ < ქართ. *დევ-ბედ-ნ-იერ-ი

თა̄სმა (ბზ.), შდრ. ბქ., ქს. **თასმა** < ქართ. თასმა (შდრ. ბზ., ლშხ. **ლო̄ბარ**)

თა̈̄ჳნ (ბზ.)/**თა̄ჳნ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **თა̈მნ/თა̈მ**, ლნტ. **თა̈ჳნ** 1. „თავნი“, 2. „მოგება“ < ქართ. თავ-ნ-ი

თეკე̄რ (ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **თეკრა** „ბოკვი, ნეკერჩხალი“ < ქართ. (რაჭ.) თეკერა „მთის ნეკერჩხალი“ (შდრ. ზს. **ფეხჳრა**)

კი̄ნჩხ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **კინჩხ** „კისერი, კინჩხი, ქეჩო, ქედი (ხარისა)“ < ქართ. (გურ., ზ. აჭარ.) კინჩხ-ი „კისერი“

მალყა̈̄რ (ბზ.) < ქართ. ბალყარ-ეთ-ი

მეჲსა̈̄რობ (ბზ.), შდრ. ბზ. **მეჲსა̈რა̈ბ**, ბქ., ლნტ. **მეჲსარა̈ბ**, ლშხ. **მეჲსარობ** < ქართ. (ლეჩხ.) მეისარ-ობ-ა (დღეობა, ლოცვა)

მოჯმა̈გი̄რ (ბზ.) < ქართ. მო-ჯამაგირ-ე (შდრ. ზს. **ჯალჩი/გ**, ზს., ლშხ. **მესგჳრე**, ბზ. **ლგდია̄ნე**), შდრ. სპარს. **ǰamagīr**

ნა̄ჭა (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ნაჭა** „ჯაჭვი“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) ნაჭა „შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, საკიდელი; ჯაჭვი, საქვაბე“

პა̈'ნ'ღჳი̄რ/პანღჳი̄რ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. უშგ. **პაღჳირ**, ლშხ. **პაღურ** < ქართ. პანღურ-ი

რა̈̄ზ (ბზ.)/**რა̄ზა̈რ** (უშგ.), შდრ. ბქ. **რაზ/რაზა**, ლშხ. **რაზა** 1. „რაზა, კარის საკეტი“, 2. „კარის ჩამოსაკიდი“ < ქართ. რაზა

რე̄კ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **რიკ** 1. „რიკი; რიკ-ტაფელას სათამაშო ჯოხი — ჩილიკა“, 2. „თოკის ბოლოს მობმული ხის გახვრეტილი ნაწილი“ < ქართ. რიკ-ი

სი̄რმა (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **სირმა** < ქართ. სირმა „ყაითანი“ < თურქ., სპარს. **sirmā**

სტჳ̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **სტჳირ** 1. „მილი", 2. „სტვირი, სალამური" < ქართ. სტვირ-ი

უდიე̄რ (ბზ.), შდრ. ბქ., ქს. **უდიერ** < ქართ. უდიერ-ი

ჳა̈ზ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ჳა̈ზ**, ბქ. **ღჳა̈ზ** < ქართ. ვაზ-ი < სომხ. ***վազ***

ფაცე̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ფაცერ** < ქართ. ფაცერ-ი

ფა̈ნთხ (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ფა̈ნთხ** „ობობას ქსელი, აბლაბუდა" < ქართ. (რაჭ.) ფანთხ-ი „ბანდლი, ქსელი" (შდრ. ბქ. **ბენდჳ/ღ**)

ფა̈რა (ბზ.) < ქართ. (გურ., იმერ., აჭარ.) ფარა „ფული საერთოდ" < სპარს., თურქ. **para**

ფა̈რცხ (ბზ., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ფანცხ** „ლასტი" < ქართ. ფარცხ-ი

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **ფარცხ-/ფრცხ-/ფრჩხ** (**ფარცხ**-ი; **ფრცხ**-ილ-ი/**ფრჩხ**-ილ-ი; **ფრცხ**-ენ-ა/**ფრჩხ**-ენ-ა; **ფრცხ**-ენ-ს/**ფრჩხ**-ენ-ს...), მეგრ. **ბუცხ-/ბირცხ-** (**ფოცხ**-ი „ფოცხი"; **ბუცხ**-ა/ბირცხ-ა „ფრჩხილი"; აკა-**ბუცხ**-ა „ძალიან მცირე"...) და ლაზ. **ბუცხ-** (**ბუცხ**-ა „ფრჩხილი; ფოცხი"; **ბუცხ**-უფ-ს „ფოცხავს"; დო-**ბუცხ**-უფ-ს „დაფოცხავს"...) კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:458), ხოლო, რაც შეეხება სვანურში დადასტურებულ მგ-**ფცხ**-ი/მგ-**ფა̈ცხ**-ი („მფარცხავი"), ნა-**ფა̈ცხ** (ბზ.) „მონაფოცხი" ფორმებს, ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ვარაუდით (იქვე:460), ძნელი სათქმელია აღნიშნული ძირი ქართულიდანაა ნასესხები, თუ ქართული და მეგრული ძირების კანონზომიერ შესატყვისს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ალბათ, შესატყვისობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ რაც შეეხება ბზ., ლშხ. **ფა̈რცხ** ლექსემას იგი უთუოდ ქართულიდანაა ნასესხები სვანურში შედარებით გვიან; ასევე, ქართულიდანაა ნასესხები ლნტ. **ფანცხ** ფორმაც ნ/რ სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობით.

ფილე̄ნჯ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ფელინჯ**, ბქ. **ფელენჯ** 1. „კრუნჩხვა; ფილენჯი", 2. ბქ. „დამბლა" < ქართ. (გურ.) ფილენჯ-ი (ავადმყოფობაა)

ფო̄ლიკ (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **ფელიკ** „ფელიკი (საკლავის მეოთხედი)" < ქართ. (რაჭ., გურ., ქიზიყ.) ფელიკ-ი „დიდი ნაჭერი ხორცისა; ხორცის ნაჭერი ან ნაწილი; დაკლული ღორის ნახევარი; საკლავის მეოთხედი"

ქე̄სა (ბზ.), შდრ. ბზ: **ქისა**, ბქ. **კისა̈ღლ** , ქს. **ქესა** < ქართ. ქისა < არაბ.-სპარს. **kisä**, ფალ. **kisak** (შდრ. მეგრ. ქესა)

ყჳელიე̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **ყჳილიერ** < ქართ. ყველ-იერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა, როდესაც ხორცეული არ იჭმებოდა"

ჩა̈რხ (ბზ.), შდრ. ბქ. **ჩა̈რხ/ჩა̈ლხ** < ქართ. ჩარხ-ი/ჩალხ-ი „საბრუნებელი მანქანა (ლითონის, ხის და მისთ. დასამუშავებლად)" < ფალ. **čarx/čaxr** „ჩარხი, ბორბალი"

ჩე̄რი (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ჩერი** „თითისტარი" < ქართ. (გურ.) ჩერია/ე

ჩჳე̄ნი (ბზ.), შდრ. ბქ. **ჩჳეჲნ/ჩეჲნ**, ლშხ. **ჩოინ**, ლნტ. **ჩჳეინ** „სპილენძის ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდალა" < ქართ. (რაჭ.) ჩოინა „თუჯის პატარა ქვაბი" < მეგრ. **ჩუვან-ი, ჩივან-ი** < თურქ. **čojun**

ცა̈რიე̄ლ (ბზ.), შდრ. ლშხ. **ცარიელ**, ლნტ. **ცა̈რიელ** < ქართ. ცარ-იელ-ი (შდრ. ზს. **ჰა̈რი**)

წესიე̄რობ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **წესიერობ** < ქართ. წეს-იერ-ებ-ა

წე̄ჳა̈რ (ზს.), შდრ. უშგ. **წა̈ჳა̈რ**, ბქ., ლშხ. **წეჳარ** < ქართ. მ-წ-ევ-არ-ი (შდრ. იმერ. წევარ-ი)

წჳე̄ნე (ლშხ.), შდრ. ბზ. **წუნე**, ბქ. **წჳენ**, ლნტ. **წჳენე** < ქართ. წვენ-ი (შდრ. ბქ. **ზგნე**)

ჭე̄რ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ჭერ** 1. „ლატანი", 2. „ჭერი (გრძელი და წვრილი ხეებისაგან გაკეთებული)" < ქართ. ჭერ-ი

ჯა̈ჳრ (ბზ.)/**ჯა̄ჳრ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ჯა̈ჳრ** „ჯავრი, დარდი" < ქართ. ჯავრ-ი < არაბ.-სპარს. **javr**.

ხმოვანთა რედუქცია სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში

სვანურ ხმოვანთა რედუქციის მექანიზმი ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი, ჩამოყალიბებულია ამ მექანიზმის ამსახველი მეტად თვალსაჩინო ლინგვისტური წესები (შანიძე 1923-1924:8-10; თოფურია, 1946:67-70; ნიკოლაიშვილი 1984, 3-119; ონიანი 1998, 37-49). რედუქცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია სვანური ენის სამი დიალექტისათვის, კერძოდ, ბალსზემოურისა, ბალსქვემოურისა და ლაშხურისათვის.

სვანურში რედუცირდება ყველა სადა ხმოვანი (თოფურია 1946:67-70), ხოლო, რაც შეეხება გრძელ ხმოვნებს, ისინი რედუქციის წესებს არ ემორჩილებიან (ონიანი 1962:219-224; ნიკოლაიშვილი 1984:15). ალ. ონიანის აზრით, მიუხედავად ცალკეული გამონაკლისებისა, ეს წესი სწორად ასახავს თანამედროვე სვანურის გრძელხმოვნიანი დიალექტების (ბალსზემოურის, ლაშხურისა და ჩოლურულის) ვითარებას (ონიანი 1998: 37).

გრძელხმოვნიან დიალექტებთან შედარებით საგრძნობლად განსხვავებული ვითარებაა ლენტეხურსა და ბალსქვემოურში, განსაკუთრებით კი — ლენტეხურში, სადაც რედუქციის გარკვეული წესები, მართალია, მოქმედებს, მაგრამ უაღრესად შეზღუდულად — სვანურის სხვა დიალექტებში რედუცირებული ხმოვნების უდიდესი ნაწილი ლენტეხურში რედუქციის გარეშეა წარმოდგენილი (შანიძე 1923-1924:9-10; ონიანი 1998:48).

ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც ყველა ხმოვანი მოკლეა, რედუქციის წესებს მხოლოდ ზოგი მათგანი ექვემდებარება (ონიანი 1998:48).

ხმოვანთა რედუქცია, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებშიც მოქმედებს, მათ შორის ისეთ სიტყვებში, რომელთა სესხებაც ახლო წარსულის ფაქტს წარმოადგენს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:36).

ჩვენ მიერ მოპოვებული ნასესხები მასალის საფუძველზე გამოვყოფთ რედუქციის რამდენიმე სახეს:

ა) ა, ა̈, ე, ი, უ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში

მსუბუქ ბირთვში რედუქციის პოზიციაში არაბაგისმიერ ხმოვნებთან ნული მონაცვლეობს, ხოლო ბაგისმიერ ხმოვნებთან -ჳ (ონიანი, 1998:43).

აბდა̈ჳი (ბზ.)/**ა̈ბდა̈ჳი** (ბქ.)/**აბდაჳი** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ა̈-ბედ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ბედ-ავ-ს

ადტკცა̈ჳი (ბქ.)/**ატკცე** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ა̈-მტკიც-ა̈ჳ-ი** < ქართ. ა-მტკიც-ებ-ს (ან *და-ა-მტკიც-ებ-ს)

აკლა̈ჳი (ზს.)/**აკლაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა-კალ-ა̈ჳ-ი** < ქართ. *ა-კალო-ებ-ს

ანგრიშ (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ანგა̈რიშ** < ქართ. ანგარიშ-ი < ფალ. ***(h)angārišn**

აშტრა̈ჳი (ბზ.), შდრ. ბქ. **ა̈შტირე**, ლშხ. **ა-შტერ-აჳ-ი**, ლნტ. **ა̈-შტერ-ა̈ჳ-ი** „აშტერებს (თვალებს)" < ქართ. ა-შტერ-ებ-ს

აშქა̈რი (ზს.), შდრ. ლშხ. **ა-შაქრ-აჳ-ი**, ლნტ. **ა-შაქრ-ა̈ჳ-ი** „ატკბობს" < ქართ. ⌈ა⌉-შაქრ-ავ-ს, შდრ. ქართ. შაქარ-ი < ფალ. **šakar**

აშშა̈ჳი (ბზ.), შდრ. ლშხ. **ა-შეშ-აჳ-ი**, ლნტ. **ა̈-შეშ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ა-შეშ-ებ-ს (შდრ. ბქ. **ლიფჴგნე**)

ხ-აშხმე (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ხ-ა-შხამ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ა-შხამ-ებ-ს

აჩრა̈ჳი (ზს.)/**აჩრაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა̈-ჩერ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ა-ჩერ-ებ-ს

ახტა̈ჳი (ზს.)/**ახტაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა-ხატ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ხატ-ავ-ს

ხ-ა̈ბდაჳა (ზს.)/**ხ-აბდაჳა** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ხ-ა-ბად-აჳ-ა** < ქართ. ა-ბად-ი-ა „გააჩნია" (შდრ. ზს., ლშხ. **ხ-აწჳა**)

ა̈ზთუნე (ზს.)/**აზთუნე** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა̈-ზეთ-ჳნ-ე** 1. „ზეთს ხდის", 2. „ზეთავს, ზეთს უსვამს" < ქართ. *ა-ზეთ-ებ-ს, ზეთ-ავ-ს

ა̈კთილე (ბზ.)/**ა̈კთილი** (ბქ.)/**აკთილე** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა̈-კეთ-ლ-ე** < ***ა̈-კეთ-ილ-ე** „ამდიდრებს; ავსებს; აბედნიერებს“ < ქართ. *ა-კეთ-ილ-ებ-ს

ა̈ნგ˹ჳ˺ლეზ/ა̈ნგლო̈ზ (ბზ., ლნტ.)/**ა̈ნგლეზ/ანგლოზ** (ბქ.)/**ანგლოზ** (ლშხ.) < ქართ. ანგელოზ-ი < ბერძ. **ἄγγελος**

ა̈ნშა̈ნი (ზს.)/**ანშანი** (ლშხ.)/**ალშა̈ნი** (ლნტ.) < ქართ. ნიშნ-ავ-ს

ა̈რგიჳე (ბზ.)/**ა̈რგა̈ჳი** (ბქ., ლნტ.)/**არგაჳი** (ლშხ.) „არიგებს, ანაწილებს“ < ქართ. ა-რიგ-ებ-ს (შდრ. ბზ. **ა̄თა̈̄ლი**)

ა̈სკეთე (ბზ.)/**ა̈სკეთი** (ბქ.)/**ასკეთე** (ლშხ.)/**ა̈სკეთი** (ლნტ.)[1] 1. „აკეთებს; აგვარებს“, 2. „აუმჯობესებს“ < ქართ. *ა-სი-კეთ-ებ-ს

ა̈შნა̈̄ჳი (ზს.)/**აშნაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ა̈-შენ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ა-შენ-ებ-ს

ბალჳერ˹დ˺ (ზს., ლშხ.), შდრ. ქს. **ბალაჳერ** < ქართ. ბალავარ-ი „საძირკველი“ (შდრ. ზს., ქს. **ხუნ**)

ბარბლა̈შ (ბზ., ლნტ.)/**ბარბჳლა̈შ** (ბქ.)/**ბარბლაშ** (ლშხ.) „ბარბალობა (წმინდა ბარბალეს დღესასწაული 17 დეკემბერს)“ < ქართ. ბარბალე-ს˹ი˺

გალტ˹ჳ˺ეზ (ბქ.) < **გალატო̈ზ** „კალატოზ-ი“ < ძვ. ქართ. გალატოზ-ი (შდრ. ბზ. **კალტჳეზ**), ახ. ქართ. კალატოზ-ი

გალჳა̈ნ (ზს.)/**გალჳან** (ლშხ.), შდრ. ლშხ. **გალაჳან**, ლნტ. **გალაჳა̈ნ** < ქართ. გალავან-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ძღჳიდ**, ლშხ. **ძღუდ** „ზღუდე“)

განქრეჳილ (ზს., ლნტ.)/**გამნანქრეჳ** (ლშხ.) „გარყვნილი; შერცხვენილი“ < ძვ. ქართ. გან-ქარ-ვ-ებ-ულ-ი „უარყოფილი (შდრ. ძვ. ქართ. გან-ქარ-ვ-ებ-ულ-ებ-ა „ურცხვობა“)“

განცხდა̈ბ (ზს.)/**განცხდებ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **განცხადაბ** „ნათლისღება, გამოცხადება“ < ძვ. ქართ. განცხად-ებ-ა

განწეს (ზს., ლნტ.) „წესი; ჩვეულება“ < ქართ. გა-ნა-წეს-ი

გოწხირ (ზს., ქს.) < ***გოწხჳირ** < ***გოწახუ̈რ** < ქართ. კოწახურ-ი

და̈ბდა̈ბ (ზს.)/**დაბდებ** (ქს.) „დაბადება, ბედი“ < ქართ. და-ბად-ებ-ა (შდრ. ზს., ლშხ. **ლითნე**, ლნტ. **ლითენე**)

და̈ცმუ̈ლ (ბზ.)/**დაცმულ** (ლშხ.) „სუსტი, გამხდარი, დაცემული“ < ქართ. და-ც-ემ-ულ-ი

დედბერ (ზს., ლნტ.) < ქართ. დედა-ბერ-ი, შდრ. ფალ. **pīr** „მოხუცი“

დე̄ფა̈ნ (ბზ.)/**დე̄ფან** (ლშხ.)/**დელფა̈ნ** (ლნტ.), შდრ. ბქ. **ტელა̈ფ** „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი

დი̄კჳენ (ბზ.)/**დი̄კონ** (ლშხ.), შდრ. ბქ.[2] **დიაკჳა̈ნ/დიაკენ**, ლნტ. **დიაკჳენ** < ქართ. დიაკონ-ი < ბერძ. **διάκονος**

ზანგლა̈გ (ბზ.)/**ზანდლა̈გ** (ბქ.) „ზარი“ < ქართ. ზან-ზალ-აკ-ი

ზარჳილ (ბზ.)/**ზარულ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ზა̈რ-ე-ჳილ** < ქართ. მზარ-ეულ-ი

თა̄რინგზელ (ბზ.)/**თა̈რგლეზერ** (ზს.)/**თა̄რი˹ნ˺გზელ/თა̄რინძელ** (ლშხ.)/**თა̈რიგზელ/თა̈რიგლეზერ** (ლნტ.) < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

თოხრიკ/თუხჳრიკ (ბზ.)/**თუხრიკ** (ლშხ.) შდრ. ბქ. **თ˹ჳ˺ხჳა̈რიკ/თხჳარიკ**, ლნტ. **თუხა̈რიკ** < ქართ. თოხარიკ-ი

კახბერ (ბზ.) < ქართ. კახაბერ-ი

---

[1] ლენტეხურ დიალექტში პრეფიქსი თითქოს სრული სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (*ა-სი-კეთ-ე), რადგანაც ლენტეხურში რედუქცია მოდუნებულია, თუმცა რედუცირებული ფორმები მაინც გვხვდება.
[2] შდრ. ბქ. **დიკჳნილ** „დაბალი და მსუქანი“ (სემანტიკური გადაწევით).

კირჳენ (ზს.)/**კირონ** (ლშხ.)/**კირენ**/**კირჳენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვალებულს)“ < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კერ-ოვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“

ლეკლა̈ნდ (ბქ.), შდრ. ლნტ. **ლე-კალა̈ნდ** < ქართ. სა-კალანდ-ო „საახალწლო“ (შდრ. ბზ. **ლეზომა̈ხ**)

ლეკლა̈ჳი (ზს., ლნტ.)/**ლეკლაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლე-კალ-ა̈ჳ-ი** „⌈გა⌉სალეწი“ < ქართ. *⌈გა⌉-სა-კალო-ებ-ელ-ი

ლიშნა̈ჳი (ზს.)/**ლიშნაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლიშენ-ა̈ჳ-ი** „აშენება, გაშენება“ < ქართ. ა-შენ-ებ-ა (შდრ. საერთოქართველურიდან მომდინარე **ლი-გ-ემ**)

ლიხტა̈ჳი (ზს.)/**ლიხტაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლიხატ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ⌈და⌉-ხატ-ვ-ა

მარგლიტ (ზს.), შდრ. ქს. **მარგალიტ** < ქართ. მარგალიტ-ი

მორდებ/**მჳრდა̈ბ**/**მგრდა̈ბ** (ბზ.)/**მორდა̈ბ** (ზს.)/**მორდებ** (ლშხ.)/**მორდა̈ბ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **მო-რიდ-ა̈ბ**, ლნტ. **მო-რიდ-აბ** < ქართ. მო-რიდ-ებ-ა (შდრ. ბქ. **მალკაფ**). ბზ. **მგ-რდ-ა̈ბ** < ბზ. **მჳ-რდ-ა̈ბ** < ზს., ლნტ. **მო-რდ-ა̈ბ** < ბზ., ლშხ. **მო-რდ-ებ** < ქართ. მო-რიდ-ებ-ა

მოღლა̈ტ (ზს.) < ***მო-ღალა̈ტ** < ქართ. მო-ღალატ-ე

მეცქჳილ (ზს.)/**მოცქჳილ** (ზს., ლნტ.)/**მოცქულ** (ლშხ.) < ქართ. მო-ციქ-ულ-ი (შდრ. ბქ. **ციქჳლ-იდ**)

მჳლზონ (ბზ.)/**მგლზონ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **მოლაზჳენ** „ეკლესიის მსახური კაცი“ < ქართ. (იმერ.) მოლოზან-ი

მგღლა̈ტი (ზს., ლნტ.)/**მგღლატი** (ლშხ.) < ქართ. მო-ღალატ-ე

ნათარჳ (ბზ.)/**ნათარ** (ბქ., ლნტ.) „ნათათრალი, თათრების მიერ დალაშქრული (ნალაშქრი)“ < ქართ. ნა-თათ⌈ა⌉რ-ალ-ი (საგულისხმოა, რომ ბალსქვემოურ დიალექტში გაბინძურების, გაჭუჭყიანების აღსანიშნავად გამოიყენება **თათარ-** ძირისაგან ნაწარმოები მასდარი **ლი-თთა̈რ-ი** და მისგან მომდინარე მიმღეობის ფორმები: **მგ-თთა̈რ-ი** „⌈გა⌉მჭუჭყიანებელი“, **ლე-თთა̈რ-ი** „⌈გა⌉საჭუჭყიანებელი“, **ნა-თთარ** „⌈გა⌉ნაჭუჭყიანები“. ალბათ, გადატანით სემანტიკასთან გვაქვს საქმე)

ნაკლაჳ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ნა-კალ-აჳ** „⌈გა⌉-ნალეწი, გალეწილი (ბზე)“ < ქართ. *ნა-კალო-ებ-ი

ნა̈თსა̈ჳ (ზს.)/**ნათსაჳ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ნა̈ცსა̈ჳ**, ლნტ. **ნა̈სცა̈ჳ** „ნათესავი, შთამომავალი“ < ქართ. ნა-თეს-ავ-ი (შდრ. ბზ. **ნა̈̄თი**, ქს. **ნაღალ**)

ნა̈ღრიბ⌈ჳ⌉ (ზს.)/**ნაღრიბი** (ლშხ.),[1] შდრ. ლნტ. **ნა-ღა̈რიბ-ი** 1. „სიღარიბე“, 2. „გაღარიბებული, გამხდარი; გასაცოდავებული“ < ქართ. ნა-ღარიბ-ევ-ი

ხ-ოღლა̈ტი (ზს., ლნტ.)[2]/**ხ-ოღლატი** (ლშხ.) < ქართ. ღალატ-ობ-ს

ხ-ოშქა̈რი (ზს.)/**ხ-ოშქარი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ხ-ო-შაქრ-ა̈ჳ-ი** „უშაქრავს, უტკბობს“ < ქართ. უ-შაქრ-ავ-ს

საყრულ (უშგ.), შდრ. ზს., ქს. **საყარაულო** < ქართ. სა-ყარაულ-ო, შდრ. თურქ. **karawul**

სა̈დლობ (ზს., ლნტ.) < ***სა̈-დილ-ობ**/**სადლობ** (ლშხ.) < ქართ. სა-დილ-ობ-ა

სა̈კსა̈რ (ზს.) „ბერკეტი“ < ქართ. სა-კის-არ-ი „მანქანის ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა მბრუნავი ლილვი“

სა̈კჳრელ (ზს., ლნტ.)/**საკჳრელ** (ლშხ.) < ქართ. სა-კვირ-ვ-ელ-ი (შდრ. ზს. **ლემბა̈ჟ**)

სა̈ყჳდირ (ზს.)/**საყდურ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **სა̈ყჳედირ**[3] < ქართ. სა-ყვედ-ურ-ი (შდრ. ბქ. **მანდროჳ**)

---

[1] ბალსქვემოური დიალექტი მკვეთრად მიჯნავს **ნა̈ღრიბ⌈ჳ⌉** „ნა-ღარიბ-ევ-ი“ და **ნა̈ღრიბი** „სი-ღარიბ-ე“ ფორმებს ერთმანეთისგან; ვ. თოფურიას და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“, როგორც ჩანს, შეცდომაა.

[2] ლენტეხურში თითქოს მოსალოდნელი იყო **ხ-ო-ღალა̈̄ტ-ი** ფორმა.

[3] შდრ. ბქ. **სა̈ყჳდირ** „გლახაკი, უშნო“.

სა̈ძგელ (ბზ.) < ქართ. სა-ძაგ-ელ-ი (შდრ. ბქ. **ლემსისგ, ლემწიწყჵ**)

სეფსკ⌜ჵ⌝ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** < ქართ. სეფ-ის-კვერ-ი

ჵმზა̈ზ (ბქ., ლნტ.)/**ჵმზაზ** (ლშხ.) < ქართ. უ-მიზეზ-ო

ჵსმა̈რთჵილ (ბზ.)/**ჵსმართჵლ/ჵსმართჵლ** (ბქ.) < ქართ. უ-სა-მართლ-ო

ჵხზაჵა (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჵ-ხაზ-აჵ-ა** < ქართ. ⌜და⌝-უ-ხაზ-ავ-ი

ჵხტაჵა (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჵ-ხატ-აჵ-ა** < ქართ. ⌜და⌝-უ-ხატ-ავ-ი

ფათრა̈კ (ბზ.)/**ფათრეკ** (ბქ., ქს.) < ქართ. ფათერაკ-ი < ფალ. **patīrak**

ფათრა̈კია̈ნ (ბზ.)/**ფათრეკა̈ჲ** (ბქ.)/**ფათრეკია̈ნ** (ბქ., ლნტ.)/**ფათრეკიან** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ფათერაკია̈ნ** < ქართ. ფათერაკ-იან-ი

ქრა̈ფ (ბქ.)/**ქრაფ** (ლშხ.) < ქართ. ქარაფ-ი

ყა̈რჵილ (ბზ.)/**ყარჵილ** (ბქ.)/**ყარჵლ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ყა̈რეჵილ** „გაშაგი, დარაჯი“ < ქართ. ყარაულ-ი < თურქ. **karawul** (შდრ. ზს. **მელეჩ**)

ყგრმილ (ზს.)/**ყირმჵლ** (ლშხ.) < ქართ. ყირიმ-ულ-ა „ყირიმის თოფი“

შალშჵიმ (ბზ.), შდრ. ბზ. **შალაშჵიმ**, ბქ. **შალაშენ**, ლშხ. **შალაშინ**, ლნტ. **შალა̈შინ** < ქართ. შალაშინ-ი

შაჵგჵრმა̈ლ/შეგჵრმა̈ნ (ზს.)/**შაჵგჵრმა̈ნ** (ლნტ.), შდრ. ლშხ. **შეჵგჵრემან** < ქართ. შავ-გვრემ-ან-ი (შდრ. ზს. **შიხგოგა̈ნ**, ლნტ. **შიხდოგა̈ნ** „ძალიან შავი, ნახშირის ფერი“)

ჩამსჵა̈ლ (ბზ.)/**ჩამსჵალ** (ლშხ.) „თოფის წამლის ბეგარა“ < ქართ. შე-მო-სა-ვალ-ი. ქართული ფუძის სავარაუდო ტრანსფორმაცია სვანურში შემდეგი სახისა ჩანს: **შე-მო-სა-ვალ-ი** > **შე-მო-სა-ჵა̈ლ** > ***შე-მ-სა-ჵა̈ლ** > ***შა-მ-სა-ჵა̈ლ** > ***ჩა-მ-სჵა̈ლ**

წითლა̈ჲ (ბზ.)/**წითლა̈** (ბქ.)/**წითლაჲ** (ლშხ.), შდრ. ბქ., ლნტ. **წითელა̈** < ქართ. წითელა (ბატონები)

ჰჵნი̄რ/ჰჵნირ (ბზ.)/**ჰინირ/ჰგნირ** (ბქ.)/**ჰი̄ნჵრ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჰიანჵირ** < ქართ. ჰიანურ-ი

ჰჵი̄ნირ > **ჰჵნირ** (ბზ.) ერთი მხრივ

ქართ. ჰიანურ-ი > **ჰი̄ნჵრ** (ლშხ.) > ***ჰი̄ნჵირ**

ჰინირ > **ჰგნირ** (ბქ.) მეორე მხრივ

ოღონდ ბალსზემოურში **ი** ხმოვნის სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ **ჰჵნი̄რ** შეცდომითაა ჩაწერილი, თუმცა იგი ნამდვილად იხმარება მოხუცთა მეტყველებაში. უშგულურ ტექსტში, რომელიც დამოწმებულია სვანურ ლექსიკონში, არც **ჵ** არის გრძელი და არც **ი** (სვან. პროზ. ტექსტ. I, 1939:12).

ჴა̈რზილ (ზს.)/**ხა̈რზილ** (ბზ.)/**ხარძილ** (ლშხ.)/**ჴა̈რძილ/ხა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ლენტეხური დიალექტის მონაცემები, უმრავლეს შემთხვევაში, ამოსავალია ყველა სვანური დიალექტის რედუცირებული ფორმებისათვის, რადგანაც ქართული ფუძისეული ხმოვანი ხშირად სწორედ იქაა დაცული, თუმცა ზოგჯერ ლენტეხურიც შეკუმშულ ფუძეს გვიჩვენებს: **ხ-ა-ჯრ-ა̈ჵ** (< ქართ. ს-ჯერ-ა), **ა̈ნგლოზ** (< ქართ. ანგელოზ-ი), **ა-ლშა̈ნ-ი** (< ქართ. ნიშნ-ავ-ს), **ა̈-რგ-ა̈ჵ-ი** (< ქართ. ა-რიგ-ებ-ს), **ა̈-ს-კეთ-ი** (< ქართ. *ა-სი-კეთ-ებ-ს), **ბარბლ-ა̈შ** (< ქართ. ბარბალე-ს⌜ი⌝), **გა-ნ-წეს** (< ქართ. გა-ნა-წეს-ი), **გოწხირ** (< ქართ. კოწახურ-ი), **და-ბდ-ებ** (< ქართ. და-ბად-ებ-ა), **დედ-ბერ** (< ქართ. დედა-ბერ-ი), **დელფა̈ნ** (< ქართ. დერეფან-ი), **კირჵენ** (< ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი), **მო-რდ-ა̈ბ** არარედუცირებული **მო-რიდ-აბ** ფორმის პარალელურად (< ქართ. მო-რიდ-ებ-ა), **მო-ცქ-ჵილ** (< ქართ. მოციქ-ულ-ი), **მგდლა̈ტ-ი**

(< ქართ. მო-ღალატ-ე), **ნა-თთარ** (< ქართ. ნა-თათრ-ალ-ი), **ხ-ო-ღლა̈ტ-ი** (< ქართ. ღალატ-ობ-ს), **სა̈-დლ-ობ** (< ქართ. სა-დილ-ობ-ა), **სა̈-კჳრ-ელ** (< ქართ. სა-კვირ-ვ-ელ-ი), **სეფ-ს-კჳერ** (< ქართ. სეფ-ის-კვერ-ი), **უ-მზა̈ზ** (< ქართ. უ-მიზეზ-ო), **ფათრეკ** (< ქართ. ფათერაკ-ი), **შაჳ-გურმ-ა̈ნ** (< ქართ. შავ-გვრემ-ან-ი), **ჯა̈რ-ძილ/ხა̈რ-ძილ** (< ქართ. ხარ-ისძირ-ა) და ა. შ.

ბ) ა, ა̈, ე, ი ხმოვანთა რედუქცია მძიმე ბირთვში ანაპტიქსური ჷ ხმოვნის მონაცვლეობით

რედუქციის პოზიციაში მძიმე ბირთვში, მსუბუქი ბირთვისგან განსხვავებით, ხმოვანთან ხმოვანი მონაცვლეობს და არა—თანხმოვანი (ან ნული) (ონიანი 1998:45). ქვემოჩამოთვლილ ნასესხებ ლექსემებში სხვა ხმოვნებს ენაცვლება ჷ ხმოვანი.

აბჷნგა̈ჳი/აბჷნგაჳე (ბზ.)/**აბჷნგაჳი** (ლშხ.), შდრ. ბზ. **ა-ბანგ-ჳ-ე** < ქართ. ბანგ-ავ-ს (ბანგით ათრობს)

აბჷრდა̈გი (ბქ.) < ქართ. *ა-ბადრაგ-ებ-ს „აცილებს" (შდრ. ბზ. **ა̈გნა̈̄ლი**), შდრ. ახ. სპარს. **badragah**

აზჷნგლა̈გი (ბზ.)/**აზჷნდლა̈გი** (ბქ.) < ქართ. *ა-ზან-ზალ-აკ-ებ-ს „ზარს რეკს" (ძირისეული მეორე მარცვალი სვანურში არ ჩანს)

აჩჷნგი (ზს., ლშხ.) < ქართ. *ა-ჩანგ-ებ-ს „ჩანგს უკრავს", შდრ. ფალ. **čang**

აწმჷნდა̈ჳი (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ა̈-წმინდა-ა̈ʼჳʼ-ი**, ლშხ. **ა-წმინდ-აჳ-ი** < ქართ. წმენდ-ს (შდრ. ზს., ლშხ. **აშდბუნე**)

ახჷრჯე (ბზ., ლშხ.) „საჭმელს აჭმევს, აპურებს, ასადილებს" < ქართ. *ა-ხარჯ-ებ-ს „აპურებს" (შდრ. ბზ. **ა̈დძა̈რნე**)

ა̈წჷრჳელი (ბზ.), შდრ. ბქ. **ʼა̈ʼ-წირ-ჳ-ელ-ი** „გალობს" < ქართ. წირ-ავ-ს

ბაბსჷʼრʼ (ლხმ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ბაბსჷ̄რ/ბაპსჷ̄რ**, ბქ., ლნტ. **ბაბსირ/ბაფსირ** 1. „ცისტიტი", 2. „სისხლიანი ფაღარათი" < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-ი „ქათმის ავადმყოფობაა ერთგვარი", (ინგილ.) ბაბასილ „ბუასილი" < არაბ. **bavāsīr**

ბჷმბე̄თʼაʼ (ბზ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ბემბეც**, ლშხ. **ბემბე̄ც** „ბნელი; წყვდიადი" < ქართ. (ლეჩხ.) ბემბეცო „წყვდიადი, ბნელი"; შდრ. ლეჩხ. ბენბეცო, ლეჩხ., რაჭ. ბენც-ი 1. „ბენბეცი, ბერბეცი (ძლიერ ბნელი ღამე)", 2. „ბეცი", 3. „ბეჩი, წინდაუხედავი"

ბჷნა̈ბ (ბზ., ლნტ.)/**ბჷნაბ** (ლშხ.) 1. „ბუნება, ხასიათი", 2. „ავი ზნე, ბნედა" < ქართ. ბუნება < ფალ. **būn/bun**

გჷრცა̈მ (ზს., ლნტ.), შდრ. ბქ., ლნტ. **გარცა̈მ**, ლშხ. **გარცემ** „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება" < ქართ. გარდა-ც-ემ-ა

ხ-ეხჷრბა̈̄ლ (ბზ.)/**ხ-ეხჷრბა̈ლ** (ბქ.)/**ხ-ეხჷრბა̄ლ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ხ-ე-ხა̈რბ-იელ** < ქართ. ე-ხარბ-ებ-ა „შურს"

თჷრქა̈დ/თჷრქა̈ტ (ზს., ლნტ.)/**თჷრქატ** (ლშხ.) „მაკრატელი" < ძვ. ქართ. დუქარდ-ი „სამართებელი, საპარსი" < სპარს. **duqārd**.

იწყჷლძა̈ნი (ბზ.)/**იწყჷლიანი** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ი-წყლ-ა̈ნ-ი** „სუფთავდება" < ქართ. წყლ-იან-დ-ებ-ა (ე. ი. წყალივით სუფთა ხდება) სემანტიკური გადაწევით

იხჷრჯა̈ჳი (ზს.)/**იხჷრჯაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ი-ხარჯ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ი-ხარჯ-ებ-ა

კახჷმბალ (ლშხ.)/**კახჷმბა̈ლ** (ლნტ.) < ქართ. კახ-ა-მ-ბალ-ი „მსხვილი ბალი"

კჷლ (ზს., ქს.)/**კჷლა̈რ** (ზს., ლნტ.) „გასაღები" < ქართ. კლიტე < თურქ. (< სპარს.) **kilid**

კჷნტჷრ (ზს.), შდრ. ბქ. **კინტჳრი**, ქს. **კინტრ** < მეგრ. კინტირი, კინტჷრი < ქართ. კიტრ-ი (შდრ. ლათ. **citron**)

ლაზგნგლა̈გ (ბზ.)/**ლაზგნდლაგა̈რ** (ბქ.) „სამრეკლო" < ქართ. *სა-ზან-ზალ-აკ-ო (ძირისეული მეორე მარცვალი სვანურში არ ჩანს)

ლასგრგებ (ზს., ლშხ.) „სასარგებლო, გამოსაყენებელი" < ქართ. სა-სა-რგ-ებ-ლ-ო (ან სა-რგ-ებ-ი)

ლიზგნგლა̈გი (ბზ.)/**ლიზგნდლა̈გი** (ბქ.) „ზარ⌜ებ⌝ის რეკვა" < ქართ. *ზან-ზალ-აკ-ებ-ა

ლიკგრნა̈ხი (ზს.) < ქართ. კარნახ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **ლითჳრი**)

ლილგნძლა̈ჳი (ზს.)/**ლილგნძლაჳი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლი-ლანძლ-ა̈ჳ-ი** < ქართ. ⌜გა⌝-ლანძლ-ვ-ა (შდრ. ბზ. **ლიწრა̄̈ლ**)

ლიშგნდები (ბქ.)/**ლიშგნდობი** (ლშხ.), შდრ. ზს. **ლი-შუნდ-⌜ჳ⌝-ებ-ი**, ლშხ. **ლი-შუნდ-ობ-ი**, ლნტ. **ლი-შჳენდ-ებ-ი** < ქართ. შე-ნდ-ობ-ა

ლიცგრცა̈ჳი/ლიძგრცა̈ჳი (ზს.)/**ლიცგრცაჳი/ლიძგრცაჳი** (ლშხ.)/**ლიძგრცა̈ჳი** (ლნტ.), შდრ. ლნტ. **ლი-ცარც-ა̈ჳ-ი** < ქართ. ⌜გა⌝-ძარც-ვ-ა (შდრ. ბქ. **ლიბადჳრე**)

ლიწგნდა̈ჲ (ზს., ლნტ.), შდრ. ზს., ლნტ. **ლი-წინდ-ა̈-ჲ** „ქსოვა" < ქართ. წინდა (წინდის ქსოვა), შდრ. ზს., ლშხ. **ლიჯში**, ბქ. **ლიჯიშ**, ლშხ. **ლიჯიშ/ლიჯშე**, ლნტ. **ლიჯიშ⌜ი⌝**

ლიწგრჳელი (ზს.), შდრ. ზს. **ლი-წირ-ჳ-ელ-ი** „გალობა; წრიპინი (ჩიტისა)" < ქართ. წირ-ვ-ა

ლიჰგლტა̈რი/ლიჰგლტრე (ზს.)/**ლიჰგლტარი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლი-ჰელ-ტა̈რ-ი** 1. „რთვა (მალის ძაფისა)", 2. „რთვა და ქსოვა, საერთოდ ხელსაქმე" < ქართ. (ქართლ.) ხელ-ტარ-ი „ძაფის დასახვევი თითისტარი", ე. ი. *ხელ-ტარ-ობ-ა

ლგბგმბა̈ჲ (ბზ.)/**ლგბგმბა̈** (ბქ., ლნტ.)/**ლგ-ბუმბა̈** (ბქ.)/**ლგბგმბაჲ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ლუ-ბუმბ-ა̈ჳ-ე/ლუ-ბუმბ-ა̈** < ქართ. და-ბამბ-ულ-ი

ლგჳერ (ბზ., ლნტ.) < ქართ. (იმერ.) ლივერ-ი < ქართ. რევოლვერი < ინგლ. **revolver, revolve** „ბრუნვა"

ლგქგრგაჳე (ზს., ლშხ.)/**ლგქგრგაე** (ბქ.), შდრ. ლშხ. **ლგ-ქარგ-აჳ-ე**, ლნტ. **ლგ-ქარგ-ა̈ჳ-ე** < ქართ. მო-ქარგ-ულ-ი

ლგშა̈ნ (ლნტ.), შდრ. ზს. **ნიშა̈ნ**, ლშხ. **ნიშან** < ქართ. ნიშან-ი < ფალ. **nišān**

მგდრა̈ჰ (ზს.)/**მგრდა̈ჰ** (ბქ.), შდრ. ზს. **მადრა̈ჰ**, ლშხ. **მადრაჰ**, ლნტ. **მათრა̈ხ** < ქართ. მათრახ-ი < არ.-სპარს. **mikrak**

მგკეთ (ზს.), შდრ. ქს. **მო-კეთ** „მოკეთე, მოყვარე" < ქართ. მო-კეთ-ე

მგკგლმა̈ხი (ზს.)/**მგკგლმახი** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **მგკალმა̈ხ-ი** „მეთევზე" < ქართ. მო-კალმახ-ე (შდრ. ზს., ქს. **ცუზ** „თევზი")

მგმგრცხე (ბზ., ლშხ.), შდრ. ბქ. **მგ-მარცხ-ე**, ლნტ. **მგ-მა̈რცხ-ე** < ქართ. ⌜და⌝-მ-მარცხ-ებ-ელ-ი (შდრ. ზს., ქს. **მენწირ** „მჯობი, მძლეველი")

მგქარ (ბქ., ლნტ.) 1. „მუქარა", 2. „ჯიბრი" < ქართ. მუქარ-ა (შდრ. ბზ. **ლიხჳნა̄̈ლ**)

მგქაფ (ზს., ქს.) „სამაგიერო, სანაცვლო, მაგიერი" < ძვ. ქართ. მუქაფა-ჲ „ნაცვალი", მუქაფ-ად „სანაცვლოდ", ახ. ქართ. (ქართლ.) მუქაფა, (ინგილ.) მუქაფათ-ი „ჯილდო, გასამრჯელო" < არაბ., თურქ. **mükăfat**

მგცგრცა̈ჳი (ზს., ლნტ.)/**მგძგრცა̈ჳი** (ბქ.)/**მგცგრცაჳი** (ლშხ.) < ქართ. მ-ძარც-ვ-ელ-ი (შდრ. ბქ. **მგბადჳრე**)

მგჯრა (ზს.) < ქართ. (რაჭ.) მუჯირა „რკინის წვერიანი ჯოხი" < ოს. **myzyra** „შუბი, ხიშტი" (ახვლედიანი 1960:138; ძიძიგური 1956:236; ანდრონიკაშვილი 1966:61, 67, 70, 71, 72, 100)

რგდინ (ბზ.), შდრ. ქს. **როდინ** < ქართ. როდინ-ი

საბგრწäმ (ბქ.) „საპირისწამლე, სამასრე" < ქართ. სა-პირ-ის-წამლ-ე

საკგნზელäრ[1] (ზს., ლნტ.) „დგიმის ბაწრები" < ქართ. (ოკრიბ.) სა-კინძ-ალ-ი „ქვაბის შუა ცეცხლზე საკიდელი, საქვაბე, ნაჭა, ჯაჭვი" (იგივეა, ალბათ, რაც ქართული **სა-კინძ-ე**). ვფიქრობთ, რომ არა მხოლოდ სტრუქტურულად, არამედ სემანტიკურადაც სვანური **სა-კგნზ-ელ-äრ** და ქართული **სა-კინძ-ალ-ი** ლექსემათა შორის კავშირის ძიება სავსებით შესაძლებელია.

სამგრთäლ (ზს.)/**სამგრთალ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **სა-მართ-äლ** 1. „სამართალი", 2. ბქ. „სასჯელი" < ქართ. სა-მართ-ალ-ი

საქგლ (ბქ.) „საქალებო, ქალების ხელსაქმისათვის განკუთვნილი სათავსო, ძველებური სვანური სახლის შესასვლელთან მიშენებული" < ქართ. (რაჭ.) სა-ქალ-ებ-ო.

ზოგჯერ ამა თუ იმ ქართული სიტყვის ძირი იმავე მნიშვნელობით შესაძლოა არც დადასტურდეს თანამედროვე ცოცხალ სვანურ მეტყველებაში, მაგრამ მოსალოდნელია მისი მონაწილეობა დერივაციაში. მაგ. **ქალი** მხოლოდ **ზურäლ** ლექსემით გამდოიცემა, ქართულიდან ნასესხები **ქალ** ძირი კი შედის ბალსქვემოური დიალექტის **სა-ქგლ** < *სა-ქალ-ე ფორმაში, აგრეთვე **კარ** არ არის, მაგრამ გვაქვს **მგ-კäრ** „ღია", **ლი-კრ-ე** < **ლი-კარ-ე** „გაღება", **ლე-კრ-ე** „გასაღები", **ნა-კარ** „განაღები" და სხვ. შდრ. **ლადრäჯ**||**ლადრაჯäრ** (და არა „სადარაჯო").

სალგრმათ/სäლგრმათ (ბქ.)/**სალგრბეთ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **სä-ღერბეთ** < ქართ. სა-ღმრთ-ო (შდრ. ბზ. **ღერბეთ**, ზს., ლშხ. **ღერმეთ**, ლნტ. **ღერბეთ** „ღმერთი")

საჩფგლ (ზს.) „ერთი საქალამნე ტყავის ღირებული (საფასური) რამე" < ქართ. სა-ჩაფულ-ე

სä/აკგრცხუილ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **საკარცხუილ**, ლშხ. **საკა⌈რ⌉ცხულ** „უფროსის დასაჯდომი სკამი; სავარძელი" < ქართ. სა-კარცხ-ულ-ი (შდრ. ბქ. **ჰასკამ**). საგულისხმოა აღნიშნულ ფუძესთან სვანური ლექსემის **სიკცხäუ/სიკცხაუ** (ბქ.) „პატივი" დაკავშირება...

პროფ. ი. ჩანტლაძის ვარაუდით, როგორც ქართული **საკარცხული**, ასევე სვანური **საკარცხუილ**|| **საკგრცხუილ** (ბზ.)/**საკურცხილ** (უშგ.)/**საკარცხუილ**||**საკაცხულ** (ლშხ.) შესაძლოა დავუკავშიროთ ქართულ **საკაცე**'ს სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც (ჩანტლაძე 1998:246).

უდგნდაბუირ (ბზ.), შდრ. ბზ. **უდუმბირუ**, ბქ., ქს. **უდუმბურ/უდუნბურ** „უდაბური, უღრანი" < ქართ. უ-დაბ-ურ-ი

სვან. **დäბ** „ყანა" ძირს კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. **დაბ-** და მეგრ. **დობ-** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:162), ხოლო, რაც შეეხება ბზ. **უ-დგნ-დაბ-უირ** ფორმას, ის აშკარად ნასესხებია ქართულიდან, თუმცა რთული ასახსნელია ის ფონეტიკური პროცესები, რაც ამ ლექსემამ განიცადა სესხების პროცესში.

ფგრცქეუილ (ბზ.)/**ფგრცქäუილ** (უშგ.)/**ფგრცქეულ** (ლშხ.), შდრ. ბზ. **ფირ-ცქ-ეუ-ილ**, უშგ. **ფირ-ცქ-äუ-ილ**, ლშხ. **ფირ-ცქ-ეულ/ფარ-ი-ცქ-ეულ/ფარ-ი-ქც-ეულ** 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე", 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი", 3. „სიბინძურე" < ძვ. ქართ. პირ-⌈შე⌉-ქც-ეულ-ი

ქგლ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **ქილ** „ეშვი, ქილი, ღოჯი" < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ქილ-ი „დიდი კბილი, ეშვი"

ყგრმილ (ზს.), შდრ. ლშხ. **ყირმ-ულ** „ყირმულა, ყირიმის თოფი" < ქართ. ყირიმ-ულ-ა

წყგლääნ (ზს.)/**წყგლäან** (ლშხ.)/**წყგლიäნ** (ლნტ.), შდრ. ზს. **წყილ-იäნ**, ბქ. **წყილ-äნ** „წმინდა, სუფთა" < ქართ. წყლ-იან-ი < *წყალ-იან-ი

წყგლääნ (ბზ.), შდრ. ბზ. **წყილ-იäნ** „ვერცხლი" < ქართ. წყლ-იან-ი

წყგზäმ/წყგზემ (ბზ.)/**წყგზემ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **წყაზარ/წყაზäრ** „სუფთა, ფაქიზი, წმინდა" < ძვ.

[1] იხმარება მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით.

ქართ. მ-წყაზ-არ-ი „თეთრი“, ფშ., რაჭ. მ-წყაზ-არ-ი „მორთული, მოხდენილი, კოხტა; ცოცხალი, მარდი, ფხიანი, მარჯვე“

წყჷზ-ემ (ბზ. სრული ასიმილაციით) < **წყჷზ-ა̈მ** (ბზ.) < **წყჷზ-ამ** (ლშხ.) < ***წყაზ-ა̈მ** (სუფიქსისეულ -**მ**/-**რ** სონორთა მონაცვლეობით) < **წყაზ-ა̈რ**[1] (ლნტ.) < ქართ. მ-წყაზ-არ-ი. როგორც ჩანს, სვანურმა მხოლოდ ძირი ისესხა, რადგანაც სვან. -**ემ** და ქართ. -**არ** სხვადასხვა სუფიქსია, ე. ი. სუფიქსებში **რ**/**მ** სონორთა მონაცვლეობაა. ამოსავალი რაკი -ა არის, თუ ჩავთვალეთ, რომ ქართ. -**არ** და სვან. -**ამ** ერთი და იგივეა, მაშინ ა̈'სგან სრული ასიმილაციით შეიძლება -ე'ს მიღება

ჰჷრემ (ბზ.), შდრ. ბქ., ქს. **ჰერამ** „ჰრელა (ძროხის სახელია)“ < ქართ. (ფშ., მთიულ.) ჰერემა „ვეფხვივით ჰრელი საქონელი, — ვეჟანა, ტიგურა, ჰრომახი (ქეგლი); ჰრელი ძროხა (ლ. კაიშაური); ქართ. ჰერემა > **ჰერამ** (ბქ., ქს.) უკანა მიმართულების უმლაუტის მეშვეობით (ქალდანი 1969:68), ხოლო ბალსზემოურ დიალექტში მხოლოდ ე > ჷ რედუქცია გვაქვს (**ჰერემ** > **ჰჷრემ**)

ჯჷლჷყ (ბზ.)/**ჯჷლყჷ** (ბქ.)/**ჯჷლყ** (ლშხ.) „რემა“ < ქართ. (რაჭ.) ჯილყ-ი „ერთად შეკრებილი ნადირი“, შდრ. ჯიკ-ი — ლაშქრის მოჯრა, ჯილფ-ი — ცხენის გვარია (საბა). შეიძლება დადგეს საკითხი მისი რომელიმე უცხოენოვანი სამყაროდან სესხების შესახებ, რასაც გვავარაუდებინებს თვით სიტყვის ჟღერადობა.

ჯჷრა̈ჳ (ზს.) < ქართ. ⌜და⌝-ჯერ-ებ-ა

ჰჷნგირ (ბზ.), შდრ. ბქ. **ჰინგირ**, ლშხ. **უნგირ**, ლნტ. **უნა̈გირ** < ქართ. უნაგირ-ი < **hunagīr**.

ჷ) ანაპტიქსური ჷ თანხმოვანთგამყარი ხმოვნის როლში

ჷ ფონემას, ჩვეულებრივ, ირაციონალურ, ანუ გაურკვეველ, ანაპტიქსურ ან ნეიტრალურ ხმოვანს (და არავითარ შემთხვევაში „ნახევარხმოვანს“) უწოდებენ (ახვლედიანი 1938:158-159). ჷ ხმოვანი, მსგავსად ნებისმიერი სხვა ხმოვნისა, ყოველგვარი ხმოვნური თვისებით ხასიათდება, ამიტომაც, ალ. ონიანის აზრით (ონიანი 1998:12), არ არის მართებული მის აღმნიშვნელად ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორც არის „ნახევარხმოვანი“ ან „ირაციონალური ხმოვანი“. ის, როგორც წესი, მეორეული წარმოშობისაა (ლომთათიძე 1976:45; ჟღენტი 1949:66; ქალდანი 1955:126) და ხშირად გვევლინება თანხმოვანთგამყარი ბგერის როლში (მაჭავარიანი 1965:100). ჷ შეიძლება იყოს: მახვილიანიც, გრძელიც, ნარედუქციალიც, დელაბიალიზებულიც, ნაუმლაუტარიც... (გულედანი 1995:17).

ჷჷმრ (ბქ.), შდრ. ქს. **გმირ** < ქართ. გმირ-ი

ჷჷმრობ (ბქ.) 1. „გმირობა“, 2. „გმირობის ხანა“ < ქართ. გმირ-ობ-ა

გჷრზნეჳილ (ბზ.)/**გჷრზნა̈ჳილ**/**გჷრძნა̈ჳილ** (უშგ.)/**გჷრძნეულ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **გრძნეჳილ** < ქართ. გრძნ-ეულ-ი

ზჷნე (ზს., ქს.) „ზნე, ჩვეულება“ < ქართ. ზნე

კჷლ (ზს., ქს.)/**კჷლა̈რ**[2] (ზს., ლნტ.) „კლიტე, გასაღები“ < ქართ. კლიტე < თურქ. < სპარს. **kilid**

გ. კლიმოვისა და მ. ხალილოვის აზრით, **კჷლ** ნასესხებია მეგრული **კჷლა** ფორმიდან, თავად მეგრულ-ლაზური ფორმები (კილა, კჷლა, კულა) პრაინდოევროპული ***klā(u)** — ძირიდან მომდინარეობენ, ხოლო ქართული კლიტე < თურქ. < სპარს. **kilid** ლექსემისაგან (კლიმოვი, ხალილოვი 2003:112)

მასჷლ (ზს., ქს.) 1. „მასრა“, 2. „ყალიონის ტარი“ < ქართ. მასრა

ფჷრთქჷნ (ბზ.)/**ფჷრთქჷნ** (ბქ., ლნტ.) „ბაგაბუგი“ < ქართ. ფრთქ-იალ-ი

ცხჷრილ (ზს.), შდრ. ქს. **ცხრილ** 1. „ცხრილი, ცხავი“, 2. ბქ. „საცერი“ < ქართ. ცხრილ-ი, შდრ.

[1] **წყაზა̈რ** ლექსემა ბალსქვემოურ დიალექტშიც დასტურდება და იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ფშაურ და რაჭულ **მწყაზარ**'ს (შდრ. ძველი ქართული მ-წყაზ-არ-ი „თეთრი“).

[2] შდრ. მრავლობითი რიცხვის ფორმა **კჷლ-არ-ა̈რ**.

მეგრ. ცხგრილი (შდრ. ბზ. **ძუჰე̄რა**)

ქართულ ძირთან (ცხრ-ილ-ი, ძვ. ქართ. ნა-ცხრ-ენ-ი „ნარჩევი, ნაგავი") ზ. სარჯველაძე აკავშირებს სვანურ ლი-**ცხრ**-ე („გაგება, გარჩევა, გარკვევა") მასდარისა და შესაბამისი პირიანი ფორმების (ათ-**ცხირ**-ე „გაიგე", ხ-ო-**ცხრ**-ე „ურკვევს, ურჩევს", ჩ'-ოთ-**ცხირ**-ე „აუხსნა, გაარკვია", ჩჳ-ა̈დ-**ცხირ**-ე-ხ „გაარკვიეს") თუ მიმღეობის (მგ-**ცხრ**-ე „გამგები", ლგ-**ცხირ** „გაგებული", ლგ-**ცხირ**-დ „გარკვევით", ლგ-**ცხრ**-ე „გასარკვევი") ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:586-587). მაგრამ „საცერის" მნიშვნელობით **ცხგრილ** ალბათ ქართულიდანაა ნასესხები.

წყგნა̈რ (ბზ.)/**წყგნა̄რ** (ლშხ.)/**წყგნა̈̄რ** (ლნტ.) „ნელი, მშვიდი" < ქართ. წყნარ-ი (შდრ. ბზ. **ყჳე̄დი**, ბქ. **მუჰხჳი**)

ჰგრელ (ზს., ქს.) < ქართ. ჰრელ-ი.

დ) ჳ სონანტთან მონაცვლე ბაგისმიერ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში:

ეს არის რედუქციის ერთ-ერთი სახე, ე. წ. საკუთრივ რედუქცია, კერძოდ „მარცვლოვნობა-დაკარგვითი" (ნიკოლაიშვილი 1984:35). ასეთ შემთხვევაში სარედუქციო ხმოვნები შეიძლება იყოს მხოლოდ უ/ჳ და ო/ჵ, რომლებიც მსუბუქ ბირთვში გვაძლევენ მონაცვლეობას ჳ-სთან (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:351).

აღჳპა̈ჳი (ბზ., ლნტ.)/**აღჳპაჳი** (ლშხ.) < ქართ. ღუპ-ავ-ს (შდრ. ზს., ლშხ. **აჴცე**)

ა̈ცჳდე/აცჳდა̈ჳი (ბზ.)/**აცჳდე** (ბქ.), შდრ. ლშხ. **ა-ცდ-აჳ-ი** 1. „აფუჭებს, უსარგებლოს ხდის", 2. „ამარცხებს, აშავებს" < ქართ. ა-ცუდ-ებ-ს (შდრ. ოს. **cawd** „ცუდი, მდარე")

დედ⌜ჳ⌝ფალ (ლშხ.), შდრ. ზს. **დედფა̈ლ**, ლნტ. **დედოფა̈ლ** 1. „დედოფალი", 2. „პატარძალი" < ქართ. დედ-ო-ფალ-ი

ხ-ეცჳდი (ზს.), შდრ. ლშხ. **ხ-ე-ცდ-აჳ-ი** „უფუჭდება" < ქართ. *ე-ცუდ-ებ-ა (შდრ. ბზ. **ხ-ედა̈̄ჳში**)

ხ-ეცჳდილა̈̄ლ (ბზ.)/**ხ-ეცჳდილა̈ლ** (ბქ.)/**ხ-ეცჳდილა̄ლ** (ლშხ.) „ეწვალება" < ქართ. ე-ცოდ-ვ-ილ-ებ-ა (ე. ი. ცოდვილობს)

ისტჳმა̈რი (ზს., ლნტ.)/**ისტჳმარი** (ლშხ.) < ქართ. ⌜გა⌝-ი-სტუმრ-ებ-ს (შდრ. ბზ., ლშხ. **იმშგჳა̄ნე**, ბქ. **იმშგჳა̈ნი**, ბქ. **აბგრდა̈გი**)

იჳრდა̈ნ (ბქ.)[1] < ქართ. იორდანე < ბერძ. **Ιορδανης**

იშჳპარა̈ლ/იშჳპარალ (ბქ.), შდრ. ლშხ. **ი-შუშპარ-ა̄ლ**, ლნტ. **ი-შუშპარ-ა̈ლ** „ცეკვავს" < ქართ. *შუშპ⌜ა⌝-რ-ობ-ს (შდრ. ბზ. **ისჳბი/სუბი**)

ლაკჳმაშ (ზს.)/**ლაკჳმაშირ** (ლშხ.)/**ლაკჳმა̈შ** (ლნტ.) „საქონლის სადგომი, ბოსელი, სასაქონლე" < ქართ. სა-კუმაშ-ე (სემანტიკური გადაწევით), შდრ. ზს. **ლამგნგარ**

ლესჳფელ (ზს.), შდრ. ლნტ. **ლე-სოფელ** < ქართ. სა-სოფლ-ო (სოფლისათვის განკუთვნილი). თუ სვანური **სჳიფ** „სოფლის მოედანი, საკრებულო" **სოფელ** ლექსემიდან მომდინარეობს, მაშინ **სოფელ**-ში ელ უნდა გამოიყოს, როგორც სუფიქსი

ლიკჳმა̈შ⌜ი⌝ (ზს., ლნტ.)/**ლიკჳმაში** (ლშხ.) „მესაქონლეობა" < ქართ. *კუმაშ-ობ-ა (შდრ. ბქ. **ლიქჳმინგენი**)

ლიშჳპარა̈̄ლ (ბზ.)/**ლიშჳპარა̈ლ/ლიშჳპარელ** (ბქ.) „ცეკვა" < ძვ. ქართ. შუშპარ-ი „ფერხული" (შდრ. ბზ. **ლისჳბი**)

ლიცჳრაჳა̈ლ (ლშხ.), შდრ. ბზ. **ლი-ცრ-ოჳ-ა̈̄ლ**, ბქ. **ლი-ცრ-ოჳ-ა̈ლ**, ლშხ. **ლი-ცურ-აჳ-⌜ე⌝**, ლნტ. ლი-ცურ-აჳ-ა̈ლ, 1. „ცურაობა", 2. „გავლება წყალში" < ქართ. ცურ-ა-ობ-ა (შდრ. ბქ. **ლიქნალ**, **ლიღრენი**)

---

[1] **იჳრდა̈ნიშ ლიც**'ს უწოდებენ ნაკურთხ წყალს (აიაზმას).

სპეციალურ ლიტერატურაში (ცაგარელი 1880:63; ჩიქობავა 1938:373; კლიმოვი 1964:230) ეს ლექსემა ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქისთვის განხილულია საერთო მონაცემად, სვანურში კი ლიცურაჵე ქართულიდან ჩანს ნასესხები.

ლიცჵდილა̈̄ლ (ბზ.)/**ლიცჵდილა̈ლ** (ბქ.)/**ლიცჵდილა̈ლ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ლი-ცჵედ-ლ-ა̈ლ** „წვალება" < ქართ. ცოდ-ვ-ილ-ობ-ა

ლიხჵმარა̈ლ (ლშხ.)/**ლიხჵმარა̈ლ** (ლნტ.) < ქართ. ხუმრობ-ა (შდრ. ზს. **ლილყაფა̈ლ**)

მეზჵბელ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **მეზობელ** < ქართ. მე-ზობ-ელ-ი

მესჵფელ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **მე-სოფ-ელ** < ქართ. თანა-მე-სოფ-ლ-ე

სათა̈თჵრ (ბზ.)/**სათეთჵრ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **სა-თით-ურ**, ლნტ. **სა̈-თით-ჵრ** < ქართ. სა-თით-ურ-ი, სა-თით-ე

საკჵთა̈რ (ლნტ.), შდრ. ზს. **სა-კუთ-ა̈რ**, ლშხ. **სა-კუთ-არ** < ქართ. სა-კუთ-არ-ი

საფჵა̈რ (ზს., ლნტ.), შდრ. ზს., ლნტ. **სა-ფუ-ა̈რ**, ლშხ. **სა-ფუ-არ** < ქართ. სა-ფუ-არ-ი

საქჵნელ (ბზ.) „პირნახული" < ქართ. სა-ქონ-ელ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **მაჯა̈დ**, ბზ. **მაღჵა̈ნ**)

ჵარ (ზს., ქს.)/**ჵა̈რია** (ზს.) < ქართ. უარ-ი

შინა̈ჵრ (ბზ.), შდრ. ბქ. **შინ-ა̈რ**, ლშხ. **შინ-ა-ურ**, ლნტ. **შინ-ა̈-ჵირ** < ქართ. შინ-ა-ურ-ი.

როგორც საანალიზო მასალამ გვიჩვენა, ხმოვანთა რედუქციის მექანიზმი სვანური ენის ნასესხებ ფუძეებშიც თითქმის ისეთსავე სურათს იძლევა, როგორც ძირეულ სვანურ ფუძეებში. აქაც გამოიყოფა ორი ტიპის სარედუქციო ბირთვი: მსუბუქი და მძიმე.

თანხმოვანთა ცვლილებები რაგვარობის მიხედვით

ა) გამჟღერება

აზა̈დ (ლხმ.)/**აზატ** (ლშხ.)/**აზა̈ტ** (ლნტ.) „თავისუფალი გლეხი" < ქართ. აზატ-ი (ტ > დ) < ფალ. **āzād**

არაბარა (ზს., ლნტ.) „არაფერი, ერთი და იგივე, სულერთი" < ქართ. არა-ფერ-ი (ფ > ბ)

ბალტო (ჩბხ.), შდრ. ბქ. **პა̈ლიტო** < ქართ. პალტო (პ > ბ) < რუს. **Пальто** < ფრანგ. **paletot**

ბანჵ (ქს.) < ქართ. პაიჭ-ი (პ > ბ), შდრ. ხევს. ბაჭიჭ-ი

ბარდიკჵ (ბზ.) < ***ბარტიკჵ** < ***პარტიკჵ** < ***პატრიკჵ** < ***პატრიქჵ** < ***პატრჵიქ** < ***პატრჵქ** < ქართ. პატრუქ-ი (ორი პროცესი მიმდინარეობს ერთდროულად: გამჟღერება **პ > ბ** და გამკვეთრება **ქ > კ**) < ფალ. **patrōk** „სანთელი"

ბაპ (ზს., ქს.)/**პაპ** (ბქ.) < მეგრ.-ლაზ. პაპ-უ[1] < ბერძნ. **παππας**

***პაპალ-** არქეტიპი, სპეციალური ლიტერატურის (ჭარაია 1918:287-289, 619; ჩიქობავა 1938:14-15; კლიმოვი 1964, 152) მიხედვით, მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვისაა აღდგენილი, სვანურში კი ის მეგრულიდან ნასესხებად ითვლება ანლაუტის მკვეთრი ბგერის გამჟღერების საფუძველზე, თუმცა გ. კლიმოვის უკანასკნელ ნაშრომში საერთო მასალაზე აღარაა მსჯელობა.

ბა̈წკ (ზს., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **პაწკ-ე̄რ** „ხიწვი" < ქართ. პაწკ-ი „ხის გამხმარი წვრილი შტო", იმერ. პაწკვ-ი „წვრილი, სუსტი წნელის საბელი", გურ. პოწკ'ვ'-ი, აჭარ. პაწკ-ი „მცენარის კვირტი" (პ > ბ)

ბირწამა̈ლ (ბზ.) < ქართ. პირ-ის-წამ-ალ-ი (თოფისა), პ > ბ

---

[1] მეგრულ-ლაზურში ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში" მითითებულია პაპ-უ (2000:369), ხოლო გ. კლიმოვისა და ხალილოვის წიგნში "**Словарь кавказских языков**" — მეგრულში პაპ-ი, ლაზურში კი პაპა (2003:46).

ბირწა̈ლ (უშგ.)/**ბიწა̈ლ** (ზს.)/**ბიწა̈რ** ბქ., შდრ. ბზ. ლნტ. **ფიწა̈ლ**, ლშხ. **ფირწალ** < ქართ. ფიწალ-ი (**ფ** > **ბ**)

ბიფხ (ზს., ქს.) 1. „ნამი, ცვარი, წვეთი", 2. იხმარება გამოთქმაში **ბიფხდ ლიგნე** — „სწრაფად განკურნება; დასუფთავება" < ქართ. ფიფქ-ი.

მ. სუხიშვილის აზრით, სვან. **ბიფხ** ქართულიდან შეთვისებული ფიფქია, რომელმაც სვანურის ფონემატური სტრუქტურის შესატყვისი სათანადო ფონეტიკური ცვლილებანი განიცადა (ქართ. **ფიფქ-** > სვან. ***ფიფხ** > **ბიფხ**). მის მიერ ნავარაუდევი ფონეტიკური პროცესი ყრუ ფშვინვიერთა დისიმილაციური გამჟღერების ნიმუშს წარმოადგენს, რაც ქართველური ენებისათვის თითქმის უჩვეულო ჩანს (სუხიშვილი 1997:148-149).

გაკ (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. **კაკ** 1. „ნიგოზი, კაკალი", 2. „კაკლის ხე" < ქართ. კაკ-ალ-ი, რომელიც გ. კლიმოვის მიხედვით (კლიმოვი 1964:185), შესაძლოა ნასესხობაც იყოს. ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში ანლაუტის თანხმოვანი გამჟღერებულია, ხოლო, თუ მივიღებთ სპეციალურ ლიტერატურაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:83) გამოთქმულ მოსაზრებას ქართული -ალ (ფუძის მაწარმოებელი) აფიქსის შესატყვისად სვანური -ჳ- სონანტის მიჩნევის შესახებ (**დედჳ** < ***დედლ** < ***დედალ**), მაშინ ფონეტიკური პროცესები ასე წარმოგვიდგება: ქართ. **კაკალ-** > ***კაკლ** > ***კაკჳ** > ბქ. **კაკ** > ბზ., ქს. **გაკ**, თუმცა არც სხვაგვარი გააზრებაა გამორიცხული: ქართ. **კაკალ** > * **კაკა** > ბქ. **კაკ** > ბზ., ქს. **გაკ**).

გაწრ (ბქ.) „წვივი" < ქართ. (ფშ., ხევს.) კაწარ-ი „ბრჭყალი" (**კ** > **გ**)

გა̈ტ (ზს., ლნტ.)/**გატ** (ლშხ.) < ქართ. ქატო (**ქ** > **გ**)

გირწყა̈ლ (ზს., ლნტ.)/**გირწყალ** (ლშხ.) < ქართ. კირწყალ-ი „კირხსნარი, დუღაბი" (**კ** > **გ**)

გოწხილ (ბზ.) < ზს., ქს. **გოწხირ** < ***გოწახირ** < ***გოწახჳირ** < ***გოწახურ** < ქართ. კოწახურ-ი (**კ** > **გ**)

***კოწახურ-** ძირი ზ. სარჯველაძემ აღადგინა მხოლოდ ქართული და მეგრული ენების მონაცემთა საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქის დონეზე (სარჯველაძე 1999:127)

და̈იჭ (ბზ.) < ქართ. ტაიჭ-ი (**ტ** > **დ**) < ფალ. **tačīk** „არაბი"

ზანგლა̈გ (ბზ.) < ბქ. **ზანდლა̈გ** < ***ზანზლა̈გ** < ***ზანზალა̈გ** < ***ზანზალა̈კ** < *ქართ. ზან-ზალ-აკ-ი (**კ** > **გ**)

კოსდა (ბქ.) < ქართ. კოსტა (საკ. სახელი) < ლათ. კონსტანტინე „მტკიცესი", „ურყევისა", „მედგარისა" (ჭუმბურიძე 1987:351), (**ტ** > **დ**)

კოშგ (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **კოშკ** < ქართ. კოშკ-ი (**კ**>**გ**) < ფალ. **kōšak** „სასახლე" (შდრ. ზს., ლნტ. **მურყჳამ**)

კრამიდ (ბზ.) < ქართ. კრამიტ-ი (**ტ** > **დ**) < ბერძ.

ლაშგა̈რ (ზს.), შდრ. ზს., ლნტ. **ლაშქა̈რ** „ჯარი" < ქართ. ლაშქარ-ი (**ქ** > **გ**) < ფალ. **laškār** „ჯარი, არმია"

მადრა̈ჭ/მგდრა̈ჭ (ზს.)/**მგრდა̈ჭ** (ბქ.)/**მადრაჭ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **მათრა̈ხ** < ქართ. მათრახ-ი < არაბ.-სპარს. **mitrak** (**თ** > **დ**)

პრისდა̈ჳ (ბზ.) < ქართ. პრისტავ-ი < რუს. **Пристав** (**ტ** > **დ**)

საბგრწა̈მ (ბქ.) < ***საბირწა̈მ** < ***საბირიწა̈მ** < ***საპირისწა̈მ** < ***საპირისწა̈მლ** < ქართ. სა-პირ-ის-წამ-ლ-ე (სამასრე), **პ** > **ბ**

სასდიკ (ზს.), შდრ. ლშხ. **სასტიკ**, ლნტ. **სა̈სტიკ** „სასტიკი, მკაცრი" < ქართ. სა-სტიკ-ი (**ტ** > **დ**) < ფალ. **sastīk** „სასტიკი, მკაცრი, მწვალებელი"

დადასტურებულია ასევე ავესტურში, სანსკრიტში, ლათინურში, სომხურში. მ. ანდრონიკაშვილის აზრით, აღნიშნული სიტყვა მკვიდრ სომხურად ითვლება (ანდრონიკაშვილი 1966:368-369).

სვანურში არსებული ობიექტური წყობის ინვერსიული ზმნა **ხასდიკ** „წყინს", ეკ. ოსიძის აზრით,

მომდინარეობს **სასტიკ** ფუძიდან, ე. ი. **სასტიკ** ფუძეა ამოსავალი: **ხასდიკ** < ***ხასასტიკ** (ოსიძე 1990:70-71).

სბენდიკ/სბონდიკ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **სპენდიკ** „ფაშარი და მჩატე ქვა" < ქართ. სპონდიო (პ > ბ)

სგელ (ზს., ლშხ.), შდრ. ლნტ. **სკელ** < ქართ. სქელ-ი (ქ > გ). ლენტეხურში კი პირიქით მოხდა, გამკვეთრდა. შდრ. ძვ. ქართ. ზრქელ-ი, ხევს. ზგელ-ი

სპედა̈გ (ბზ.), შდრ. ბქ. **სპეტაკ** < ქართ. სპეტაკ-ი (კ>გ) < ფალ. **spētak** „თეთრი"

სურდუქ (ბქ.) < ქართ. სერთუკ-ი < ფრანგ. **surtout** „⸢განიერი⸣ ზედა სამოსი" (თ>დ). ბქ. **სურდუქ** < ***სერდუქ** < ***სერდუკ** < ***სერდჷიკ** < ***სერთჷიკ** < ***სერთუკ** < ქართ. სერთუკ-ი

ტაბა̈გ (ზს., ლნტ.)/**ტაბაგ** (ლშხ.) 1. „ტაბაკი, მაგიდა, სუფრა", 2. რელიგ. „ტაბლა (სულებისათვის გაშლილი სუფრა)" < ქართ. ტაბაკ-ი (კ > გ) < ფალ. **tapak** „ტაფა"

ტაბგობ (ზს.) „დღეობა, ლხინი, ნადიმი" < ქართ. *ტაბაკ-ობ-ა (კ > გ)

ტა̈შდ (ზს.), შდრ. ლშხ. **ტაშტ** < ქართ. ტაშტ-ი (ტ > დ)

ტა̈ხდ (ზს.), შდრ. ბქ. **ტა̈ხტ** < ქართ. ტახტ-ი (ტ > დ) < ფალ. **taxt**

ჷორცბია̈ნ (ზს.)/**ჷორცობია̈ნ** (ლნტ.), შდრ. ზს. **ჷორ-ცფ-ია̈ნ** „შურიანი" < ქართ. ცოფ-იან-ი? (ფ > ბ)

ფინდიხ (ზს.), შდრ. ბქ., ქს. ფინთიხ „ტყვია, ფინდიხი" < ქართ. (გურ.) ფინთიხ-ი „გასროლილი ისარი ან ტყვია" (თ > დ) < სპარს.-თურქ. **punduķ** „მახვილი, სასროლი ტყვია"

ფოჩლიგ (უშგ.), შდრ. ბზ. **ფორ-ჩლიკ**, ქს. **ფოჩლიკ** „ჩლიქი" < ქართ. ფლოქვ-ჩლიქ-ი (დიალექტების მიხედვით სხვადასხვა პროცესი ხდება: უშგულურში გამჟღერდა (ქ > გ), ხოლო ბალსზემოურსა და ქვემოსვანურში კი გამკვეთრდა (ქ > კ), შდრ. გურ. ჭლიკ-ი „ფეხი", ფშ. ჭლიკა „ფეხი", მოხ., აჭარ. ჭლიკ-ი „ჩლიქი", რაჭ. ჭლიკვ-ი „ჩლიქი")

ყა̈ნჯჷ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ყა̈ნჩჷ**, ლშხ. **ყა̈ნჩჷ** < ქართ. ყანჩა (აქ გვაქვს აფრიკატიზაცია გამჟღერებით **ჩ** > **ჯ**)

ჩაბრა̈სტ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ჩაფრა̈სტ**, ლშხ. **ჩაფრასტ** „ჩაფრასტი, სამკაული" < ქართ. (ხევს.) ჩაფურასტ-ი „ქალის სამკაული, ყელსაბამი", (თიან.) ჩაფურაშტ-ი „ვერცხლის ერთგვარი სამკაული — მოგრძო ფირფიტა, ამოზნექილი და მოსევადებული" (მიმდინარეობს ორი ფონეტიკური პროცესი: 1. გამჟღერება **ფ** > **ბ**, 2. გასისინება **შ** > ს) < სპარს. **čāprāst**

წ̄იბა̆̈რ (ბზ.)/**წიბა̈რ** (ბქ.)/**წ̄იბა̈რ** (ლშხ.) < ქართ. წრიაპ-ი (პ > ბ)

ჭაბიგჷ (ზს.), შდრ. ლშხ. **ჭაბუკ** < ქართ. ჭაბუკ-ი (კ > გ) < ფალ. **čapūk** „სწრაფი, მოხერხებული"

ჭაგჷ (ზს.) < ქართ. ჭლაკვ-ი (კ > გ)

ჭახრა̈გ (ბზ.)/**ჭახნეგ/ჭახრეგ** (ბქ.)/**ჭახრაგ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჭახრა̈კ** < ქართ. ჭახრაკ-ი (კ > გ) < ფალ. **čaxrak/čaxrag** „კოჭი, ხრახნი, მაქო, ჯარა"

ჭა̈გ (ზს.)/**ჭაგ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **ჭა̈კ** < ქართ. ჭაკ-ი (კ > გ).

ბ) **გამკვეთრება**

აფხნიკ (ლშხ.)/**აფხა̈ნიკ** (ლნტ.), შდრ. ზს. **აფხნეგ** < ქართ. ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak** (გ > კ)

ბარდიკჷ (ბზ.) < ***ბარტიკჷ** < ***პარტიკჷ** < ***პატრიკჷ** < ***პატრიქჷ** < ***პატრჷიქ** < ***პატრჷქ** < ქართ. პატრუქ-ი (ქ > კ) < ფალ. **patrōk** „სანთელი"

ბეჭეტ (ქს.), შდრ. ზს. **ბეჭედ** 1. „ბეჭედი (თითის სამკაული)", 2. „ოფიციალური ნიშანი საბუთებზე", 3. „ნიშანი" < ქართ. ბეჭედ-ი (დ > ტ) < ფალ. **pēčīt** „ხვეული, რკალი"

თგრქატ (ლშხ.) < **თგრქა̈ტ** (ზს., ლნტ.) < **თგრქა̈დ** (ზს., ლნტ.) < ***თურქა̈დ** < ***თუქა̈რდ** <

***დუქა̈რდ** „მაკრატელი“ < ქართ. დუქარდ-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად“ (**დ** > **ტ**, **დ** > **თ**) < სპარს. **dukārd**

ნა̈შტუ̂ები (ლნტ.), შდრ. ზს. **ნა̈-შდ-ებ-ი**, ბქ. **ნა̈-შუ̂დ-ებ-ი**, ლშხ. **ნა-შდ-ობ-ი** „მშვიდობა, ჯანმრთელობა“ < ქართ. *ნა-მშვიდ-ებ-ი (ე. ი. მშვიდობა), **დ** > **ტ**

პა̈ტრიჯან (ზს.)/**პატრაჯან/პატრაჯ** (ბქ.)/**პატრიჯან** (ქს.) „პომიდორი“ < ქართ. ბადრიჯან-ი (**ბ**>**პ**, **დ**>**ტ**) < სპარს. **badniǯan/badliǯan**

პელატ (ლშხ.) < ქართ. (გურ., იმერ.), მეგრ. ბელატ-ი (**ბ** > **პ**). შესაძლოა დასავლური ქართულის იგივეობრივი ლექსემები მეგრული ლექსიკის ნაშთიც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერც სვანურ დანაშრევებს გამოვრიცხავთ.

პილწ (ზს., ლშხ.) < ქართ. ბილწ-ი (**ბ** > **პ**) < ძვ. სომხ. **piłç**

პილწია̈ნ (ბზ.)/**პილწიან** (ლშხ.) „უწმინდური, საძაგელი“ < ქართ. ბილწ-⌈იან⌉-ი (**ბ** > **პ**)

ტელა̈ფ (ბქ.), შდრ. ბზ. **დე̄ფა̈ნ**, ლშხ. **დე̄ფან**, ლნტ. **დელფა̈ნ** „აივანი“ < ქართ. დერეფან-ი (**დ** > **ტ**).

გ) გაფშვინვიერება

ბაბსი̄რ/ბაპსი̄რ (ბზ., ლშხ.)/**ბაბსირ/ბაფსირ** (ბქ., ლნტ.)/**ბაბსგ⌈რ⌉** (ლშხ.) 1. „ცისტიტი“, 2. „სისხლიანი ფაღარათი“ < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-ი „ქათმის ავადმყოფობაა ერთგვარი“, (ინგ.) ბაბასილ „ბუასილი“, ბავასირ-ი (საბა), აღნიშნულ ლექსემაში გვაქვს სამი პროცესი თანხმოვანთა ცვლილებებისა, ე. ი. სამსაფეხურიანი გადასვლა: მჟღერი, ფშვინვიერი და მკვეთრი (**ბ** > **ფ** > **პ**) < არაბ. **bavāsīr**

ბაბსირია̈ნ/ბაპსირია̈ნ (ბზ.)/**ბაბსგრია̈ნ** (ბქ.)/**ბაფსირია̈ნ** (ბქ., ლნტ.)/**ბაბსირიან** (ლშხ.) „ცისტიტით დაავადებული“ < ქართ. (რაჭ.) ბაბასილ-იან-ი

თგრქა̈დ/თგრქა̈ტ (ზს., ლნტ.)/**თგრქატ** (ლშხ.) „მაკრატელი“ < ქართ. დუქარდ-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად“ (**დ** > **თ**) < სპარს. **dukārd**

ეფისკოპოზ (ბზ.) < ქართ. ეპისკოპოს-ი < ბერძ. **επίκοπος**

საფტინ (ზს., ქს.)/**სამტინ** (ბქ.) „შაბათი“ < მეგრ. საბატონ-ი (გვაქვს გაფშვინვიერებაც (**ბ** > **ფ**) და **ბ/მ** თანხმოვანთმონაცვლეობაც)

სიფრით (ბქ.) < **სიფრითუ̂** ბზ. < ***სიფრუ̂ით** < ლშხ. **სიფრუთ** < ლნტ. **სიფრუტ** < ***ციფრუტ** „ბურღი“ < ქართ. ციბრუტ-ი (მიმდინარეობს ორი ფონეტიკური პროცესი: 1. გაფშვინვიერება (**ბ** > **ფ**), 2. სპირანტიზაცია — **ც** > **ს**)

ფაკა̈ნ (ბზ., ლნტ.)/**ფაკნი** (ბქ.)/**ფაკან** (ლშხ.) „ჯამი“ < ქართ. (თუშ., ფშ., ხევს., მოხ., ინგ.) ბაკან-ი 1. „დიდი ჯამი ხისა ან სპილენძისა“; 2. „ვარცლის მსგავსი მრგვალი ჭურჭელი, რომელშიც რძეს ჩაწურავენ“ (საინგილოში იხმარება საწყაოდ), **ბ** > **ფ**

ფარდა̈ქ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ. **ფარდა̈გ**, ლშხ. **ფარდაგ** < ქართ. ფარდაგ-ი (**გ** > **ქ**) < ფალ. **partak** „ფარდა, რიდე, ხალიჩა“

ფირცქეუ̂ილ/ფგრცქეუ̂ილ (ბზ.)/**ფირცქა̈უ̂ილ/ფგრცქა̈უ̂ილ** (უშგ.)/**ფირცქეულ/ფგრცქეულ/ფარიცქეულ/ფარიქცეულ** (ლშხ.) 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე“, 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი“ < ძვ. ქართ. პირ-⌈შე⌉-ქც-ეულ-ი (**პ** > **ფ**)

ფირწამა̈ლ (ბზ.)/**ფირწამალ** (ლშხ.) „საპირისწამლე“ < ქართ. პირ-ის-წამ-ალ-ი (შდრ. ბზ. **სა-ბგრ-წმ-ა̈რ**), **პ** > **ფ**

ფოდნოს (ჩოლ.) < ქართ. პოდნოს-ი < რუს. **Поднос**

ფშუქიან (ქს.) „ფეთიანი, ბრაზიანი“ < ქართ. ფხუკ-იან-ი (**კ** > **ქ**, მაგრამ **შ/ხ** თანხმოვანთმონაცვლე-

ობა ძნელი დასაჯერებელია)

ქართუ̈ებილ/ქართობილ (ბზ.)/**ქართებილ** (ბქ.)/**ქართოფილ** (ქს.), შდრ. ბქ. **კარტეფილ/ კარტოფილ** < ქართ. კარტოფილ-ი (კ > ქ, ტ > თ) < რუს. **Картофель** (შდრ. ბქ. **გარდუ̈იშ**)

ქარდა̈ლთ/ქალდა̈რთ/ქადალთ (ბზ., ლნტ.)/**ქარდა̈თ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **ქადალდ** 1. „ქაღალდი", 2. ქს. „წერილი" < ქართ. ქაღალდ-ი < არაბ.-სპარს. **kaγāz** (დ > თ)

ქუფ (ზს., ლშხ.) 1. „დაწნული კიდობანი", 2. ბზ. „ბუდე", 3. ბქ. „გაწურული ყველის შესანახი მოგრძო ჭურჭელი, რომელიც სახლის ჭერზეა ჩამოკიდებული" < ქართ. (ფშ.) ქუბდია, (ხევს.) ქუბდე „სამარილე ხისა, თავსახურიანი; ხის თავსახურიანი, ჭერში ჩამოსაკიდი ჯამი, მარილისა და მისთანათა შესანახი" (ბ > ფ)

შართქუ̈ინ (ზს.)/**შართქუ̈ილ** (ლხმ.)/**შართქუმ** (ლშხ.) „საბანი" < ქართ. შატქუნ-ი, შათქუნ-ი „დოშაქი" (საბა), ტ > თ.

დ) ასიმილაცია

ართქუ̈ილ/ა̈რთქუ̈ილ (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **ერთ-გუ̈ილ**, ბქ. ˹ჲ˺**ერდ-გუ̈ილ**, ლშხ. **ჲერდ-გულ** < ქართ. ერთ-გულ-ი

მატკლა̈ბ (ბზ.)/**მატკლაბ** (ბქ.)/**მატკლებ** (ლშხ.), შდრ. ლნტ. **მა-და-კლ-ებ** 1. „დანაწება, სინანული", 2. „სიძუნწე" < ქართ. და-კლ-ებ-ა

ნა̈ჲრდგული (ბზ.)/**ნაურდგულე** (ბქ.), შდრ. ბზ. **ნა̈-ჲრთ-გულ-ი**, ლშხ. **ნა-ერთ-გულ-ი**, ლნტ. **ნა̈-ერთ-გულ-ი** < ქართ. ერთ-გულ-ებ-ა (*ნა-ერთ-გულ-ებ-ი)

უ̈ოხთრის (ბზ., ქს.)/**ოხთრის** (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. **უ̈ოხდრის** „სახსნილო (ყველისა, ხორცისა)" < ქართ. (აჭარ.) უ-ხდ-ურ-ი „რძე და რძის პროდუქტები" (ხევს., მოხ.) უ-ჴდ-ურ-ი „ერბო, ყველი"[1]

ფა̈შუი (ლნტ.) < ზს. **ფა̈სუი** (ქლდენტი 1949, 161) < ქართ. ფას-ზე (სჟ > შჟ)

შა̈შობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **სა̈-შშ-ობ**, ლშხ. **სა-შშ-ობ** „ჭიაკოკონობა, ჭინკობისთვის ბოლო ღამე" < ქართ. *სა-შიშ-ობ-ა (ს > შ)

წიმწა̈რ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ** (ლშხ.) < ქართ. ძირ-მ-წ-არ-ა/ე (ძწ > წწ)

წუნწ (ლშხ.)/**წინწკუ̈** (ლნტ.) < ქართ. ძუნწ-ი (ძწ > წწ), შდრ. ზს. **წინგუ̈ილ**, ლშხ. **წინგულ**.

ე) აფრიკატიზაცია

სვანურში აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის მრავალრიცხოვანი შემთხვევა მოიპოვება (ქლდენტი 1949:179). აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, მაგრამ შედარებით ნაკლებად გვაქვს ქართულში, უფრო ხშირად — კოლხურში (მეგრულ-ჭანურში), განსაკუთრებით ხშირია ის სვანურში (ლომთაძე 1999:269).

თა̈რი˹ნ˺ძელ (ლშხ.), შდრ. ბზ. **თა̈რინგზელ**, ზს. **თა̈რგლეზერ**, ლშხ. **თა̈რი˹ნ˺გზელ/თარგლეზერ**, ლნტ. **თა̈რიგზელ/თა̈რიგლეზერ** < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი (ზ > ძ)

ინძგრფაშა (ბზ.) < ქართ. აზარფეშა (ზ > ძ)

კანცერ (ბქ.) < ქართ. კონსერვ-ი (ს > ც) < რუს. **Консерв** < ლათ. **conservo**

კა̈მიცია (ლხმ.) < ქართ. კომისია (ს > ც) < რუს. **Комиссия**

კა̈ჯ (ბზ.), შდრ., ბზ. **კა̈ჭ**, ლშხ. **კაჟ**, ლნტ. **კა̈ჟ** < ქართ. კაჟ-ი (ჟ > ჯ)

---

[1] იგივეა, რაც **მო-უ-ხდ-ელ-ი**. სვანური ფორმა სიტყვა-სიტყვით იქნება **უ-ხდ-ურ-ის-˹ა˺**, ე. ი. მო-უ-ხდ-ელ-ის-˹ა˺.

ლურცმანა̈რ (ბზ.), შდრ. ბზ. **ლუსჳმარა̈რ**, ბქ. **ლუსმარა̈რ**, ლნტ. **ლუსმარა̈ლ**, ლშხ. **ლუსმანარ** < ქართ. ლურსმნ-ებ-ი (ს > ც) < არაბ.-სპარს. **mismar**

მაღაძია (ლნტ.), შდრ. ზს., ლშხ. **მაღაზია** < ქართ. მაღაზია (ზ > ძ) < რუს. **Магазин** < ბერძნ. **μαγαζι**

როძგ (ბზ., ჩოლ.), შდრ. ბქ., ქს. **როზგ** < ქართ. როზგ-ი (ზ > ძ) < რუს. **розги**

საჯენ (ბზ., ლშხ.)/**სა̈ჯენ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **საჟენ**, ბქ., ლნტ. **სა̈ჟენ** < ქართ. საჟენ-ი (ჟ > ჯ) < რუს. **Сажень** (შდრ. დიალ. საჯენ-ი)

ტაროც (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ტარჳეს**, ლშხ. **ტაროს** „ამინდი" < ქართ. ტაროს-ი (ს > ც)

ფარცაგ (ლშხ.)/**ფარცა̈გ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **ფარსაგ**, ბქ. **ფარსა̈გ** „კარგი" < ქართ. ფარსაგ-ი (ს > ც) < ოს. **færssag**

ცხჳენ (ბქ., ქს.)/**ცხენ** (ლხმ.) < ქართ. სხვენ-ი[1] (ს > ც)

ცხჳიშილ[2] (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა" < ქართ. სხვ-ის-ი შვ-ილ-ი (შდრ. მოხ. **ცხო** ← სხვა).

ძაფრა (ზს., ქს.) „დარდი, ჯავრი" < ქართ. ზაფრა (ზ > ძ)

ძაფრანა̈ჲ (ბზ.)/**ძაფრანა** (ბქ.) < ქართ. ზაფრანა (ზ > ძ) < არაბ.-სპარს. **za'farān**

ძეწა̈რ (ზს., ლნტ.)/**ძეწარ** (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ზეწა̈რ**, ლშხ. **ზეწარ** < ქართ. ზეწარ-ი (შდრ. მეგრ. **ძენწარ-ი**), ზ > ძ

ძღჳიდ (ზს., ლნტ.)/**ძღუდ** (ლშხ.) < ქართ. ზღუდე (ზ > ძ)

ჯა̈ნგ (ბზ.)/**გა̈ნჯ'ჳ'** (ზს., ლნტ.)/**განჯ** (ლშხ.) < ქართ. ჟანგ-ი (შდრ. გურ. ჯ/ჟანგარა-ი „ჟანგი", ლეჩხ., გურ. ჯანგარა „ჟანგის მონადები" (ჟ > ჯ) < სპარს. **žang**

ჯინ (ზს.) < ქართ. ჟინ-ი (შდრ. დიალ. ჯინ-ი), ჟ > ჯ.

3) **დეზაფრიკატიზაცია**

დეზაფრიკატიზაციის საკითხს სვანურში არაერთი ენათმეცნიერი (ჟღენტი 1953:179-182; ქობალავა 1958:83-86; როგავა 1952:46-47; ქალდანი 1955:160; ქალდანი 1959:227; მაჭავარიანი 1965:348; გამყრელიძე 1968:7; თოფურია 1956:22; ლომთაძე 1999:269-327) შეეხო და ბევრი სერიოზული დასკვნაც გაკეთდა. დადგინდა, რომ სვანურში დეზაფრიკატიზაცია ძირითადად სპირანტიზაციის ხასიათისაა.

ბერზენ (ბზ.)/**ბერზემ** (ლხმ.), შდრ. ზს., ქს. **ბერძენ**, ლხმ. **ბერძემ** < ქართ. ბერძენ-ი (ძ > ზ)

ბზანება (ბზ.) < ქართ. ბრძან-ებ-ა (ძ > ზ) < ფალ. **frazān** „შეცნობა, გაგება"

ბოზალი (ბზ.) < მეგრ. ბორძალ-ი (ძ > ზ)

გა̈ნზ (ზს.), შდრ. ლშხ. **განძ**, ლნტ. **გა̈ნძ** < ქართ. განძ-ი (ძ > ზ) < ფალ. **ganǯ** „საუნჯე, საფასე, განძი"

გგრზნეჳილ (ბზ.)/**გგრზნა̈ჳილ**/**გგრზნაჳილ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **გგრძნეულ**, ლნტ. **გრძნეჳილ**, უშგ. **გგრძნა̈ჳილ** < ქართ. გრძნ-ეულ-ი (ძ > ზ)

თერზ (ბზ.), შდრ. ლშხ. **თერჯ** < ქართ. თერძ-ი (ძ > ზ) < სპარს. **darzī** „მკერავი" (შდრ. ბზ., ლშხ. **მგშხბიჷლი**)

ლიკგრზა̈ნი (ბზ.)/**ლიკერზე** (ბქ.) < ქართ. მი-კერძ-ო-ებ-ა (ძ > ზ)

---

[1] შდრ. ჭან. ო-ცხონ-ე.
[2] **ცხჳიშილჷლარ** (სვან. პოეზ. 210:58) — ქართ. „სხვის შვილება" (ჟღენტი 1949:180).

მეზბა̈რ (უშგ.), შდრ. ზს. **მეძბა̈რ**, ლშხ. **მეძბარ/მეძმარ**, ლნტ. **მაძებარ** < ქართ. მე-ძებ-არ-ი (ძ > ზ)

მზიჳ (უშგ.), შდრ. ზს., ქს. **ძიჳ** < ქართ. მძივ-ი (ძ > ზ)

საბზანებელისგა (ბზ.) < ქართ. სა-ბრძან-ებ-ელ-ში (ძ > ზ)

სასტრაფ (ბზ.)/**სასწრაფჳ** (ლშხ.) „სავაზნე, პატრონტაში" < ქართ. (ფშ.) სა-სწრაფ-ო „ჩანთა მასრებითურთ, რომლებშიც წინასწარ თითო გასროლა წამალია ჩაყრილი" (წ > ტ)

სიფრით (ბქ.) < ბზ. **სიფრითჳ** < ***სიფრჳით** < ბქ. ლშხ. **სიფრუთ** < ლნტ. **სიფრუტ** < ***ციფრუტ** „ბურღი" < ქართ. ციბრუტ-ი (ც < ს)

სურაჳ (ლშხ.) < ქართ. ცურ-ვ-ა (ც > ს)

ქინზ (ზს.), შდრ. ქს. **ქინძ** < ქართ. ქინძ-ი (ძ > ზ)

ღერზ (ბზ.) < ქართ. ღერძ-ი (შდრ. მეგრ. **ღერზე**), ძ > ზ

ყუნზელ (ზს.), შდრ. ქს. **ყურძენ** < ქართ. ყურძენ-ი (ძ > ზ)

შიშლა̈გ (ბზ.) < ქართ. ჩიჩილაკ-ი (ჩ > შ)

ხარშჳ (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ. **ხარჩჳ** „ხორცის ნახარში წვენი" < ქართ. ხარჩო (ჩ > შ).

ზ) თანხმოვანთა მონაცვლეობა

ბლე˹ჰ˺ (ბზ.)/**ბლე** (ბქ., ლნტ.)/**ბლეჲ** (ლშხ.) „ნაპრალი (მყინვარისა)" < ქართ. (თუშ., ფშ.) მლე „ოდნავ ან მთლიანად ღია" (მ > ბ)?

შესაძლოა შესატყვისობის დონეზეც განვიხილოთ; დასაძებნია მისი ზანური შესატყვისი. მ. ჩუხუა სვან. **ბლე**'ს უკავშირებს ქართ. ლელმა'ს „ბზარი" (ჩუხუა 2000-2003:74)

თებზ (ბზ.) < ქართ. თევზ-ი (ვ > ბ)

თულუყჳ (ზს., ლნტ.) „გუდა" < ქართ. (ფშ.) თულუხ-ი „სპილენძის კოკა, დიდი თუნგი ყელწვრილი" < თურქ. **tuluk** „გუდა, ტიკი"

კაბშჳირ (ლხმ.) < ქართ. კავშირ-ი (ვ > ბ) < სპარს. **kafšir** „შედუღება, მიერთება"

კუმ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., იმერ.) ყუმ-ი „უხასიათო, უსიცოცხლო, მიუკარებელი, მუდამ გაჩუმებული" (ყ > კ)

მურადა (ბქ.) < ქართ. მურაბა

პა̈მიდლო (ბქ.) < ქართ. პავიდლო < რუს. **Повидло** „ხილფაფა"

სარგის (ლშხ.) < ქართ. სა-დგ-ის-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **თეტე̄ნ**, ბქ., ლნტ. **თეტენ**), დ > რ

ტირხინა (ზს., ქს.)/**ტირხინა̈** (ბქ.) < ***ტირხინა̈-ჲ** „საწამლავი" < ქართ. სტრიქნინ-ი (ქ > ხ) < რუს. **Стрихнин**

უკმაკურ (ლშხ.) „უშნო, უხეირო" < ქართ. უ-წმაწ-ურ-ი (წწ > კკ)

ფშუქიან (ქს.) „ფეთიანი" < ქართ. ფხუკ-იან-ი (შ > ხ)

ყაზნა̈ყ (ბქ.) < ქართ. ყაისნაღ-ი „საქსოვი ჩხირი", შდრ. გურ. კასნაღ-ი, თუშ., იმერ., გურ., კახ. ყასნაღ-ი (ღ > ყ) < თურქ. **kasnak**

შაჳფსხალაჲ (ლშხ.)[1] < ქართ. შავ-მსხალ-ა (მსხლის ჯიშია), მ > ფ.

თ) **ხმოვანთა მონაცვლეობა**

[1] სვანურში „შავი" ფერის გადმოსაცემად გამოიყენება „წვის, ნახშირის" აღმნიშვნელი საერთოქართველური ძირი **-შიხ.**: **მე-შხ-ე**, მაგრამ შედარებით გვიანდელ ნასესხობებში დასტურდება ქართ. **შავ**: მაგ. ზს. **შაჳბედ** — „შავი ბედი", ბზ. **შაჳგჳრმა̈ლ**, ბქ. **შეგურმა̈ნ**, ლშხ. **შეჳგჳრემან**, ლნტ. **შაჳგურმა̈ნ** „შავგვრემანი", ბზ., ლშხ. **შაჳლეშდე** „დასაწყევლი", ბქ. **შაჳრა̈ხ** „მავტუხა".

არაბარა (ზს., ლნტ.) „ერთი და იგივე, სულ ერთი“ < ქართ. არა-ფერ-ი

აფხნეგ (ზს.)/**აფხნიკ** (ლშხ.)/**აფხა̈ნიკ** (ლნტ.) < ქართ. ამხანაგ-ი < ფალ. **hamxānak**, შდრ. ხევს. ამხანიგ-ი

ბიკენჩხა̈ლ (ბზ.)/**ბიკენჩხალ/ბიკუნჩხალ/ბიკგნჩხალ** (ლშხ.)/**ბიკინჩხა̈ლ** (ლნტ.) < ქართ. ნეკერ-ჩხალ-ი (შდრ. ზს., ქს. **თეკრა**, ლშხ. **თეკე̄რ**, ბზ. **ფეხჳრა**, ბქ., ლშხ. **ფიხჳრა**)

გომეჯ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომიჯ**, ლშხ. **გომინჯ** „სეფისკვერი; მრგვალი პური“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი“

და̈სიფასელ (ბზ.)/**დასაფასელ/დასაფას** (ბქ.) „ძვირფასეულობა, საფასე, განძი, სიმდიდრე“ < ქართ. და-სა-ფას-ებ-ელ-ი

ზითუნახა̈ჳ (ზს., ლნტ.)/**ზითუნახაჳ** (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ზეთუნახა̈ჳ**, ლშხ. **ზეთუნახაჳ** < ქართ. მზე-თ-უ-ნახ-ავ-ი (შდრ. ზს. **მიჟუწდუნა**)

კირაჳ (ქს.) „საბძელი“ < ქართ. კარავ-ი

მ. ჩუხუა სვან. **კირაჳ** „საბძელი“ ლექსემის შესატყვისად მიიჩნევს ქართ. (მთიულ.) კვილ-ი'ს „თივის პატარა ზვინი“ (სვან. **კირაჳ** ← ***კჳირ-ა** ← ***კჳილ-ა**) (ჩუხუა 2000-2003:127)

კირჳენ (ზს.)/**კირონ** (ლშხ.)/**კირენ** (ლნტ.) „კელაპტარი, ცვილის დიდი სანთელი (უნთებენ მიცვა-ლებულს)“ < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“

მა̈რკლენ (ბზ.)/**მარკლენ/მარკნელ** (ლშხ.) „ფალავანი“ < ქართ. მო-რკინ-ალ-ი

ჲენკანობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. **ჲენკენობ**, ლშხ. **ჲეკენობ/ეკენობ** „ენკენისთვე (სექტემბერი)“ < ქართ. ენკენ-ობ-ა, ენკენია, რომელიც ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს განახლებას (ჭუმბურიძე 1987:76).

ორტოლი/ჳორტოლი (ლშხ.) < ქართ. ოტურ-ი ქლიავი

რე̄კ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **რიკ** 1. „რიკი; რიკტაფელას სათამაშო ჯოხი, — ჩილიკა“, 2. „თოკის ბო-ლოს მობმული ხის გახვრეტილი ნაწილი“ < ქართ. რიკ-ი „მოკლე ჯოხი; რიკ-ტაფელას სათამაშო ჯოხი, — ჩილიკი“

საწყინ (ზს.), შდრ. ლშხ. **საწყენ**, ლნტ. **სა̈წყენ** < ქართ. სა-წყ-ენ-ი

ფა̈̄ჲქარ (ლშხ.), იხმარება გამოთქმებში: **ფა̈̄ჲქარდ ლჷგ** — გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებე-ლია; **ფა̈̄ჲქარშა̈̄ლ ისიპანა̈̄ლ** — მარჯვედ (ჯარასავით, ციბრუტივით, ფეიქარივით) ტრიალებს“ < ქართ. ფეიქარ-ი (შდრ. გურ. ფაიქარ-ი „ძალიან სწრაფი, მალი“)

ფელინჯ (ბზ.), შდრ. ბქ. **ფელენჯ**, ლშხ. **ფილე̄ნჯ** 1. „კრუნჩხვა; ფილენჯი“, 2. ბქ. „დამბლა“ < ქართ. (ქართლ.) ფელენჯ-ი, (გურ.) ფილენჯ-ი „ავადმყოფობაა, სენია დამგრეხელი“ < არაბ. **palaǯ**

ფილკჳა̈ (ბზ.)/**ფილიკჳაჲ** (ლშხ.) „ნავი“ < ქართ. (გურ., ზ. აჭარ.) ფელუკა-ი „პატარა ნავი“ < (იტალ., არაბ.) **feluca**

ქე̄სა (ბზ.)/**ქესა** (ბქ., ქს.), შდრ. ბზ. **ქისა** < ქართ. ქისა < არაბ.-სპარს. **kisä**, ფალ. **kisak**, შდრ. ძვ. ქართ. ქისაკი, სომხ. **ksak**

ქონდორ (ბქ.), შდრ. ბქ. **ქჳანდარ** < ქართ. ქონდარ-ი

ქჳრა (ბზ., ლშხ.)/**ქურა** (ბქ.) 1. ზს. „ნასვენი, მოუხვნელი მიწა“, 2. „მინდორი, მოლი“ < ქართ. (ქართლ.) ქერა მიწა „თიხნარი, მწირი მიწა“

ქჳირეთ (ბქ., უშგ.), შდრ. ზს., ქს. **ქჳირით** < ქართ. ქვირით-ი

ქჳიშე (ზს., ქს.) < ქართ. ქვიშა

ყა̈ლჲან (ზს.)/**ყა̈̄ლჲან** (ლშხ.)/**ყალია̈ნ** (ლნტ.), შდრ. ლშხ. **ყა̈̄ლჲონ** < ქართ. ყალიონ-ი < თურქ.

kalyan (შდრ. ბზ. ლა-თრ-ჴლ „მოსაწევი"). შესაძლოა სვანური ფორმა პირდაპირ თურქულიდან იყოს შეთვისებული

ხა̈ლიკ (ზს.)/**ხგლა̈კ** (ლნტ.) „ღორღი, ხრეში; ჰუჰყი" < ქართ. (რაჭ.) ხალიკ-ი „წვრილი ქვა, ხურდა, ხიჰი"

ხურჯუნ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ხურჯინ** < ქართ. ხურჯინ-ი.

ი) ლ/მ/ნ/რ (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა

ანბა̈ჳ (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **ამბა̈ჳ**, ბქ. **ამბა̈**, ლშხ. **ამბაჳ** < ქართ. ამბავ-ი (მ/ნ) < ფალ. **hambav**

ანდლა̈ბ (ზს.)/**ანდლაბ** (ლნტ.)/**ანდლებ** (ლშხ.) < ქართ. ა-მაღლ-ებ-ა (მ/ნ)

ბანბა̈ჲ (ბზ.), შდრ. ბზ. **ბამბა̈ჲ**, ბქ., ლნტ., უშგ. **ბამბა̈**, ლშხ. **ბამბაჲ** < ქართ. ბამბა (მ/ნ) < სპარს. **pamba**

ბერზემ/ბერძემ (ლხმ.), შდრ. ბზ. **ბერზენ**, ლშხ. **ბერძენ** < ქართ. ბერძენ-ი (ნ/მ)

ბინტყილ (ზს., ლნტ.)/**პინტყილ** (ბქ.) „ბუმბული" < ქართ. ბურტყლ-ი (რ/ნ). *ბურტყლ-არქეტიპი, საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვისაა აღდგენილი, სვანურში კი იგი ნასესხებად ითვლება (კლიმოვი 1964, 55; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:124).

ბჷლთჳ (ბზ.)/**ბჷლთ** (ლშხ.)/**ბულთ** (ლნტ.), შდრ. ბზ. **ბირთჳ**, ბქ. **ბურთ°ი** < ქართ. ბურთ-ი (რ/ლ)

გოწხილ (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **გოწხირ** < ქართ. კოწახურ-ი (რ/ლ)

დელფა̈ნ (ლნტ.) შდრ. ბზ. **დე̄ფა̈ნ**, ბქ. **ტელა̈ფ**, ლშხ. **დე̄ფან** „აივანი" < ქართ. დერეფან-ი (რ/ლ)

ლგშა̈ნ (ლნტ.), შდრ. ზს. **ნიშა̈ნ**, ლშხ. **ნიშან** „ნიშანი, ბელგა" < ქართ. ნიშან-ი (ნ/ლ) < ფალ. **nišān**

მასგლ (ზს., ქს.) 1. „მასრა", 2. „ყალიონის ტარი" < ქართ. მასრა (რ/ლ)

ნეკჷთხა̈რ (ბზ.)/**ნეკურთხა̈რ** (ბქ.)/**ნეკჷთხარ** (ლშხ.), შდრ. ლხმ. **ლეკურთხ-ა̈რ** (და ბქ. მხ. რიცხვის ფორმა **ნეკურთხ**) < ქართ. ლეკვერთხ-ებ-ი (ლ/ნ)

ნეფე (ზს., ქს.) < ქართ. მეფე (მ/ნ), თუკი პირდაპირ ნეფე არ ისესხა სვანურმა.

ორტოლი/ჷორტოლი (ლშხ.) < ქართ. ოტურ-ი (ქლიავი), **რ/ლ**

ტალხუნა̈ჲ (ბზ.) < ქართ. ტარხუნა (რ/ლ) < სპარს. **tarxun**

ტანტაროზ (ლშხ.) „ეშმაკი, კუდიანი" < ქართ. ტარტაროზ-ი „ჯოჯოხეთი" (რ/ნ) < ბერძ. **tartaros** „შავეთი"; ქრისტიანულ წყაროებში — ჯოჯოხეთი, ეშმაკი

უმბილ/უმბულ (ზს., ქს.), შდრ. ზს. **უნბილ** „უნებლიე, უნებური" < ქართ. უ-ნებ-ლ-ი-ე (ნ/მ)

უსურმა̈ნ (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.)[1] < ქართ. მუსულმან-ი (ლ/რ)

ფელანდიშ (ლნტ.) < ქართ. ფელამუშ-ი (მ/ნ)

ფინჯალ (უშგ., ლშხ.) < ქართ. ფინჯან-ი (ნ/ლ)

ქორგა (ზს., ქს.) < ქართ. ქოლგა (ლ/რ) < სპარს. **kūlgā**

ღირკილ (ბქ., ქს.), შდრ. ზს. **ღილიკ** < ქართ. ღილ-კილო (ლ/რ)

ყაურჯელ/ნ (ზს.)/**ყაჷარჯელ** (ბზ.)/**ყაურჯენ** (ბქ., ქს.) < ქართ. ყავარჯენ-ი (ნ/ლ)

ყუნზელ (ზს.), შდრ. ქს. **ყურძენ** < ქართ. ყურძენ-ი (რ/ნ, ნ/ლ)

შალშჷიმ/შალაშჷიმ (ბზ.), შდრ. ბქ. **შალაშენ/შალაშინ**, ლშხ. **შალაშინ**, ლნტ. **შალა̈შინ** < ქართ.

[1] გადატ. გაუტანელი, დაუნდობელი, ურჯულო.

შალაშინ-ი (ნ/მ)

შაჳგურმა̈ლ (ბზ.), შდრ. ბქ. **შეგურმა̈ნ**, ლშხ. **შეჳგჳრემან**, ლნტ. **შაჳგურმა̈ნ** < ქართ. შავ-გვრემ-ან-ი (ნ/ლ)

შაჳურდელ (ზს.), შდრ. ზს., ლშხ. **შაურდენ**, ლნტ. **შაჳარდენ** < ქართ. შევარდენ-ი (ნ/ლ)

შაშა̈ლ (ბქ.) „ლახვარი“ < ქართ. (ფშ., ქიზიყ.) შაშარ-ი „ნესტარი, ლანცეტი; ხმლის წვერი, ორივე მხარეს წამახული“ (რ/ლ)

შა̈რი-ბამბა̈ჲ (ბზ.)/**შჳა̈რი-ბამბა/შა̈რი-ბამბა̈** (ბქ.), შდრ. ბზ. **შალი-ბამბა̈ჲ** 1. „შალი და ბამბა“, 2. ბქ. „მძიმე საქმის მორიგება (მოგვარება)“, 3. ბქ. „მალამო, დამამშვიდებელი წამალი“, გადატ. „ფუფუნება“ < ქართ. შალ-ი და ბამბა (ლ/რ)

შურდუმ (ბზ.)/**შურდჳიმ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **შურდულ** < ქართ. შურდულ-ი (ლ/მ)

ციმბილ (ბზ.)/**ცინბირ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ლხმ. **ცგბგრ/ცგმბგრ** < ქართ. ციმბირ-ი (რ/ლ, მ/ნ)

ჰიმკა (ლშხ.) < ქართ. ჰინკა (ნ/მ)

ჰურდუმ (ბზ.)/**ჰულდუმ** (ბქ.) „ერდო“ < ქართ. ურდულ-ი (ლ/მ, რ/ლ).

ქ) ბგერის ჩართვა (ინლაუტში)

ბანჭ (ქს.) < ქართ. პაიჭ-ი

ბირწა̈ლ (უშგ.)/**ფირწალ** (ლშხ.), შდრ. ბზ. **ბიწა̈ლ/ფიწა̈ლ**, ბქ. **ბიწა̈რ/ბიწა̈ლ**, ლნტ. **ფიწა̈ლ** < ქართ. ფიწალ-ი

ბუხ⌜ჳ⌝არ (ზს.) < ქართ. ბუხარ-ი < სპარს. **buxar**

გომინჯ (ლშხ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომიჯ/გომეჯ** 1. „სეფისკვერი“, 2. „მრგვალი პური“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი“

დამბა̈ლ (ზს., ლნტ.)/**დამბალ** (ლშხ.) < ქართ. დაბალ-ი

დეპუტანტ (უშგ.), შდრ. ზს., ქს. **დეპუტატ** < ქართ. დეპუტატ-ი < რუს. **Депутат**

ზურჩი⌜ა⌝ (ზს., ლშხ.) „მუზარადი“ < ქართ. ზუჩ-ი

ინჯარა (ლნტ.) < ქართ. იჯარა

ლი-ნ-ქროჳ-ე (ბზ.)/**ლი-ნ-ქჳრ-ეჳ-ი** (ბქ.) „მო-ოქრ-ვ-ა“, გადატ. „დაფასება“ < ქართ. მო-ოქრ-ვ-ა, შდრ. ბერძნ. **οχρος** „ყვითელი“

ლუ-ნ-ქროჳ-ე (ზს.)/**ლგ-ნ-ქროჳ-ე** (ლშხ.) < ქართ. მო-ოქრ-ვ-ილ-ი

მარქჳ (ზს., ქს.) < ქართ. მაქო (საქსოვი დაზგის ნაწილი) < სპარს. **mäkū**, **mäkūk** ფალ. **mākū**, **mākōk** „საქსოვი მაქო“

მარწჳენ (ზს., ლნტ.)/**მა̈რწენ** (ბქ.)/**მარწონ** (ლშხ.) < ქართ. მაწონ-ი

მა̈კინდოლ (ლხმ.) < ქართ. მაკიდონ-ი (ერთგვარი მწვანილია), შდრ. გურ., აჭარ. მაკიდო „ოხრახუში“, თუშ., ზ. იმერ. მაკიდონელ-ი „ოხრახუში“

მგნცხარ (ბზ., ქს.)/**მენცხჳა̈რ** (ბქ.)[1] < ქართ. მოცხ-არ-ი

პამინდორ (ლშხ.), შდრ. ზს. **პა̈მიდორ**, ლნტ. **პამიდორ** < ქართ. პამიდორ-ი

სამზლჳარ/სამძლჳა̈რ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **საზლჳა̈რ**, ლშხ. **საზლჳარ** < ქართ. სა-ზლვ-არ-ი (შდრ. ბზ. **ჰა̈ლჳრა**, ბქ. **ა̈ლჳრა**, ლშხ. **ალჳრა**, ლნტ. **ლა̈ლჳერა**)

სამყჳირ⌜ჳ⌝/სანყჳირ (ბზ.)/**სანყჳერ** (ბქ.)/**სამყურ/სანყურ** (ლშხ.)/ **სამყჳირ** (ლნტ.) „ბუკი“ < ქართ.

---

[1] შდრ. კნინობითის სუფიქსით ნაწარმოები **მენცხ⌜ჳ⌝მ-ულდ**.

სა-ყვირ-ი

სალა̈თ (ზს.), შდრ. ზს. **საჲათ**, ბზ., ლშხ. **სა̄თ**, ბქ. **სა̈ა̈თ**, ლნტ. **სათ** < ქართ. საათ-ი < თურქ. (არაბ.-სპარს.) **saat**

საშჩიჳარ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **სა̈ჩიჳა̈რ** < ქართ. სა-ჩივ-არ-ი

სტა̈მფილო (ბზ., ლნტ.)/**სტამფილო** (ლშხ.) < ქართ. სტაფილო (შდრ. ბქ. **ბჷხგ**)

სჳინდის (ზს., ქს.) < ქართ. სინდის-ი

სჳინდისია̈ნ (ზს., ლნტ.)/**სჳინდისიან** (ლშხ.) < ქართ. სინდის-იან-ი

ჳნთოჳ (ბქ.)/**ონთოჳ** (ჩბხ.) < ქართ. უთო (შდრ. მეგრ. უნთო) < სპარს. **ut**

ჳსჳახჳ/ჳსახჳ (ზს.) „უცნაური, თავისებური“ < ქართ. უ-სახ-ო

ჳოფრინდომ (ბზ.) < ქართ. ფრიდონ-ი < აფრიდონ-ი < ფალ. **frēdūn**, შდრ. პართ. **frētōn**

ფინთილაჲ (ლშხ.)/**ფინთილა̈** (ლნტ.), შდრ. ბქ. **ფიტილა̈**, ლნტ. **ფითილ** „ფითილი, პატრუქი“ < ქართ. ფითილ-ი < რუს. **Фитиль** „პატრუქი“ < არაბ. **pātilā**

ქარღა̈ლთ/ქალღა̈რთ (ბზ., ლნტ.)/**ქარღა̈თ** (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ქაღალთ**, ლშხ. **ქაღალდ** 1. „ქაღალდი“, 2. ქს. „წერილი“ < ქართ. ქაღალდ-ი < არაბ.-სპარს. **kaγāz**

ყიჳნულ (ბზ., ლშხ.), შდრ. ლნტ. **ყინილ** „ყინულა (ვაშლის ან მსხლის სახეობა)“ < ქართ. (ოკრიბ.) ყინულა „ყინული ვაშლი (საზამთრო)“

ჩინთ (ბზ., ქს.)/**ჩიმთ** (ბქ.) < ქართ. ჩით-ი

ჩრდილოჳე̄თ (ლშხ.) < ქართ. ჩრდილო-ეთ-ი (შდრ. ზს. **ლამშგედ**, ზს., ლნტ. **ლამგნჩა̈ლ**)

ცინდა (ბქ.) < ქართ. ციდა (შდრ. მეგრ. **ცინდა**)

სვანურშიც და მეგრულშიც ინლაუტში სონორი ჩაერთო, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენაა ნასესხებ სიტყვებში.

წინწილ (ზს.), შდრ. ქს. **წიწილ** < ქართ. წიწილა

ჭანდა̈რ (ბქ.), შდრ. ბზ. **ჭადა̈რ**, ლშხ. **ჭადარ** < ქართ. ჭადარ-ი

ხანსარ (ზს.), შდრ. ქს. **ხაშარ** 1. ბზ. „ყინულის დიდი ნამსხვრევები“, 2. ბქ. „მყინვარი“, 3. ქს. „თრთვილი“ < ქართ. (ლეჩხ.) ხაშარ-ი „თოში, თრთვილი“, შდრ. ფშ. ხაშურ-ი „ნესტიან ადგილზე მოდებული რამ ქაფივით“

ჴჳმალმა̈ნდ (ზს., ლნტ.)/**ჴჳალმანდ** (ლშხ.) < ქართ. ხომალდ-ი < თურქ. **xumald**

ქართ. **ხომალდ-ი** > ***ხომა̈ლდ** > ***ჴომა̈ლდ** > ***ჴჳამა̈ლდ** > ზს., ლნტ. **ჴჳალმა̈ნდ**.

ლ) ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში

ხმოვანთა შემართვა-დამართვა, როგორც ცნობილია, ენების (**resp.** დიალექტების) მიხედვით განსხვავებულია.

იმის მიხედვით, თუ როგორი საწარმოთქმო მოძრაობა აქვთ სახმო სიმებს ამა თუ იმ ბგერის შემართვისას (დასაწყისში) ან დამართვისას (ბოლოში), განასხვავებენ შემართვისა და დამართვის რამდენიმე სახეს, კერძოდ: 1. ფშვინვიერ, 2. ძლიერ და 3. რბილ შემართვა-დამართვას (ზივერსი 1901:151-152; ახვლედიანი 1949:104-105).

ე. ზივერსი ხმოვანთა წარმომქმნელი სამი ძირითადი ფაქტორიდან (როგორიცაა: ექსპირატორული ჰაერნაკადი, სახმო სიმების მდგომარეობა გარკვეული ტონისათვის და ზესადგამი მილის მოწყობა გარკვეული რეზონანსისათვის) შემართვისა და დამართვის ძირითად ფაქტორად სახმო სიმების მდგომარეობას ასახელებს (იქვე), რაც შემდგომ სხვა ავტორების მიერაც იქნა გაზიარებული (ო. ესპერსენი, გ. პანკონჩელი-კალცია, ე. ფროშელსი, ი. სიკორსკი).

გ. ახვლედიანის განმარტებით, „ფშვინვიერია ბგერის შემართვა-დამართვა, თუ ამ ბგერის შემართვა-დამართვისას სახმო სიმები საფშვინვო მდგომარეობაშია და ჰაერნაკადის მეტ-ნაკლები რაოდენობა გაივლის სიმებში გასაგონრად“ (იქვე).

ზემოთ აღნიშნულ შემართვისა და დამართვის რამდენიმე სახეთაგან, როგორც ცნობილია, „უფრო გავრცელებული და თავისებურია ხმოვნის შემართვის ფშვინვიერი სახეობა“ (ჟღენტი 1949:119).

ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები ქართველურ ენათაგან დამახასიათებელია საკუთრივ ქართულისათვის, ჭანურისათვის და სვანურის ზოგიერთი დიალექტისათვის (ჟღენტი 1949:120-126).

როგორც გ. ახვლედიანი შენიშნავს, ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები დღევანდელ სალიტერატურო ქართულს ნაკლებ ახასიათებს. ასეთ ხმოვნებს ვხვდებით ძირითადად შორისდებულებში და სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში (ახვლედიანი 1949:105). რაც შეეხება ძველ ქართულს, მას ფშვინვიერშემართვიანი ხმოვნები უფრო მეტად ახასიათებდა (იქვე).

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტებს, ხოლო ლაშხურ და ლენტეხურ[1] დიალექტებს თითქმის სულ არ ახასიათებს. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (ჟღენტი 1949:123-125). ამასთანავე, ო'ს წინ, უმრავლეს შემთხვევაში, ჟ თანხმოვანი ვითარდება (იქვე:125)

ჩვენი აზრით, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ქართველურ ენათაგან ყველაზე მეტად სვანურისთვის არის დამახასიათებელი, რასაც ადასტურებს ასეთ სიტყვათა სიმრავლე ზემოსვანურ დიალექტებში. მას ადგილი აქვს როგორც სხვა ენებიდან ნასესხებ, ასევე საკუთრივ სვანურ სიტყვებშიც, თუმცა ამჯერად ჩვენი ყურადღება გამახვილდა ქართულ-მეგრულიდან შემოსულ ისეთ სიტყვებზე, რომელთაც ახასიათებთ ხმოვანთა ფშვინვიერი და მაგარი შემართვა.

სხვაობა მაგარ და ფშვინვიერ (რბილ) შემართვას შორის, მკვლევართა აზრით, დიდია (ქალდანი 1955:186). მაგარი შემართვისას სახმო სიმების დაჭიმულობის გამო მაღალ ტონს ვიღებთ, ფშვინვიერი შემართვისას კი „სახმო სიმები ხმოვნებს წარმოთქვამენ უმნიშვნელო დაჭიმულობით“ (ჟღენტი 1949:127).

ფშვინვიერ შემართვას მიიჩნევენ ამა თუ იმ ენის ადრეულ ვითარებად, ხოლო მის მოხსნას ან გაუჩინარებას კი — მეორეულ მოვლენად.

გარდა ამისა, მეტად საინტერესო სურათს იძლევა სვანურში ისეთი შემთხვევები, როდესაც ო და უ ხმოვნების წინ ბილაბიალური ჳ თანხმოვანი ვითარდება, ხოლო ჳ'ს წინ კი ღ თანხმოვანი[2]. ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული.

როგორც უკვე ითქვა, ზოგჯერ სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებს სვანურში თავში უჩნდებათ ფშვინვიერი შემართვა ან იოტაცია. მაგ.:

ჰაბარწა (ჩბხ.), შდრ: ბქ. **აბარწა** „აივანი, დერეფანი“ < მეგრ. აბარწა

ჰაბედ/ჰაბო̈დ (ბზ.)/**ჰობედ** (ბქ.), შდრ. ბქ. ლშხ., ჩოლ. **აბედ**, ლნტ. **ა̈ბედ** < ქართ. აბედ-ი. გ. მაჭავარიანის აზრით, ბქ. **ჰობედ** მეგრულიდანაა ნასესხები (მაჭავარიანი 1965:76), შდრ. მეგრ. ობედ-ი

ჰაბჯა̈რ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აბჯარ**, ლნტ. **ა̈ბჯა̈რ** < ქართ. აბჯარ-ი < ფალ. **apačār** „იარაღი, ინსტრუმენტი, მოწყობილობა“

ჰაეროდრომ (ზს.)/**ჰაეროდრობ** (ლხმ.)/**ჰაერდრომ** (ჩოლ.), შდრ. ზს., ქს., ჩოლ. **აეროდრომ** <

---

[1] ის, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ნაკლებად ახასიათებს ქვემოსვანურ დიალექტებს, ჩანს იქიდანაც, რომ ქართულიდან შეთვისებული **ჰავა** სიტყვა, რომელიც ზემოსვანურ დიალექტებში (უშგ., ლხმ.) უცვლელად შემოგვენახა, ლაშხურსა და ლენტეხურში **აჷა** ფორმით დამკვიდრდა.

[2] **ღუაჰა̈რ** (ზს., ლნტ.)/**ღუაჰარ** (ლშხ.) < ქართ. ვაჰარ-ი < სომხ. (< ფალ.) **vayar**.

ღუა̈ზ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **უა̈ზ**, ლშხ. **უა̈ზ** < ქართ. ვაზ-ი < სომხ. **վազ**.

ღუა̈ჟ (ზს., ლნტ.)/**ღუაჟ** (ლშხ.) „კაცი, მამაკაცი“ < ქართ. ვაჟ-ი.

ქართ. აეროდრომ-ი

ჰაეროპლა̈ნ (ბზ.)/**ჰა̈ჲროპლა̈ნ** (ბქ.)/**ჰაეროპლან** (ჩოლ.) < ქართ. აეროპლან-ი < ბერძ. **aēr** ჰაერი და ლათ. **planum** სიბრტყე

ჰაკჳა̈ნ/ჰანკჳა̈ნ (ბზ.)/**ჰაკჳან** (უშგ.), შდრ. ლშხ. **აკ'ა'ჳან**, ლნტ. **აკაჳა̈ნ**, ჩოლ. **აკაჳან** < ქართ. აკვან-ი (შდრ. ბქ. **ჰენწ**, ჩოლ. **კაკანაი**)

ჰალა̈გ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ალაგ**, ლნტ. **ალა̈გ** 1. უშგ. „ღობის კარი", 2. ზს., ლნტ. „ღობე" < ძვ. ქართ. ალაგ-ი „ბილიკი, გზა; კვალი", ახ. ქართ. ალაგ-ი, (იმერ., გურ.) ალაგე „ღობეზე გადასასვლელი ადგილი" < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება" (შდრ. ზს., ჩოლ. **ნაშხატ'ჳ'**)

ჰალა̈ლ (ზს.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ალალ**, ბქ., ლნტ. **ალა̈ლ** „ალალი, ხელგაშლილი, კეთილი" < ახ. ქართ. ალალ-ი < არაბ. **halāl** „მართალი", თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ძველი ქართული ჰალალ-ი ფორმიდან იყოს ნასესხები (შდრ. ბზ. **გუშა̈ჰრია̈ნ**, უშგ. **ჰა̈რკილედ**). საინტერესოა, რომ უშგულურ კილოკავში **ჰალალ** ლექსემა ადვილ-ის მნიშვნელობით დასტურდება (შდრ. მეგრ. ჰალალ-ი‖ალალ-ი).

ჰალია (ლხმ.) „ქალის საკუთარი სახელი" < მეგრ. ალია

ჰალო̈ნ (ბზ.)/**ჰალჳენ/ჰა̈ლენ** (უშგ.), შდრ. ბზ. **ჲალონ**, ლნტ. **ალიონ** < ქართ. ალიონ-ი (შდრ. ბქ. **ლეჰგრმაშ**, უშგ. **ბგრლან**), შდრ. მეგრ. ialონი

ჰამა̈რ (ზს.)/**ჰამარ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **ამარაჲ**, ლნტ. ამარა < ქართ. ამარა

ჰამენ (ბქ.)/**ჰამენი** (ლხმ.)/**ჰამე̄ნ** (ჩოლ.), შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ამე̄ნ**, ბქ. **ამენ/ამინ**, ლნტ. **ამენ!** < ქართ. ამინ! < ბერძ. **amēn** < ძვ. ებრ., შდრ. მეგრ. ჰამენ-ი

ჰამიკ (ბქ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი" < ქართ. (კახ.) ამიკო

ჰანდრი (ლხმ.)/**ჰანდრა** (ბზ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი" < ქართ. ანდრ-ი, ანდრა < ანდრია < ბერძნ. **Andria** „მამაცი, მხნე, შემმართებელი"

ჰანთუყ (ზს.), შდრ. ზს. **ანთუყჳ/ანთუყჳ-ი** „მამაკაცის საკუთარი სახელი" < ადიღ.-ყაბ. ანთ-ინოყვა

ჰარა̈კ (ზს.), შდრ. ლშხ. **არაკ**, ლნტ. **არა̈კ** 1. „არაკი, ამბავი"; 2. „მაგალითი, სამაგალითო, ნიმუში"; 3. „ბედი, ხვედრი"... < ქართ. არაკ-ი „ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი; 2. გადატ. „ტყუილი, მოგონილი ამბავი"

ჰარა̈კ-ჰურა̈კ (უშგ., ლხმ.), შდრ. ლშხ. **არაკ-ურაკ** „ათასნაირი ამბავი" < ქართ. არაკ-ურაკ-ი

ჰარა̈მ (ბზ.) < ქართ. (თუშ., ფშ.) არამ-ი 1. „რაც არ ეკუთვნის, რაც არ შეერგება; რაც ამოშხამდება"; 2. „ის, ვისთვისაც რამე არმად მიაჩნიათ, — უპატიოსნო, უძღები, უკუღმართი" < არაბ.-თურქ. **haram**, შდრ. მეგრ. ჰარამ-ი‖არამ-ი

ჰარა̈ყ (ზს.), შდრ. ბქ. **ა̈რა̈ყ/ა̈ჲრაყ**, ლშხ. **არაყ**, ლნტ. **არა̈ყ** < ქართ. არაყ-ი < არაბ. **araq** (შდრ. ზს. **თჳირ**)

ჰარყა̈ (ბქ., უშგ.)/**ჰარყა̈ჲ** (ბზ.), შდრ. ბქ. **არყა̈**, ჩოლ. **არყაჲ** „ლოთი" < ქართ. არაყ-ი < არაბ. **araq**

ჰარიქა (ზს., ლშხ.)/**ჰარქა‖ჰარგა** (ლხმ.), შდრ. ზს, ქს. **არიქა!** < ქართ. არიქა! (შდრ. იმერ., გურ. და მეგრ. ჰარიქა)

ჰასა̈კ (უშგ.), შდრ. ჩოლ. **ასაკ** < ქართ. ასაკ-ი (შდრ. ზს., ქს. **შდიქ**)

ჰასკამ (ბქ.) „ტახტრევანი" < ქართ. სკამ-ი

ჰასტა̈მ (ბზ.)/**ჰასტამ** (ბქ.), შდრ. ქს., უშგ. **ასტამ** < ძვ. ქართ. ასტამ-ი „ცეცხლის გასაჩხრეკი რკინა"[1] (შდრ. უშგ. **ხჳირჯ**)

---

[1] ასტამი დასტურდება აჭარულ დიალექტშიც.

ჰაჳეჯ (ზს.)/**ჰა̈ჳეჯ** (ბქ.)/**ჰაჳეჩ** (უშგ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აჳეჯ** „იარაღი" < ქართ. ავეჯ-ი (შდრ. მთარაჭ. ავეჯ-ი — ტანის მოკაზმულობა-მორთულობა: „წაიღე შენი იარაღი და ავეჯი" — ძიძიგური 1954:200), შდრ. ზს., ლნტ. **ნა̈ხე**, ლშხ. **ნახე**

ჰაჳჟენდ (ლხმ.)/**ჰაჳჯენდ** (ბზ.)/**ჰანჯჳედ** (ჩბხ.), შდრ. ბქ. **აჳჟენდ**, ლშხ., ჩოლ., უშგ. **აჳჟანდ** „პაჭანიკი" < ქართ. ავჟანდ-ი (შდრ. ჩოლ. **პაჭნიკ**)

ჰაჳშარა/ჰაჳშარა̈ჲ (ბზ.)/**ჰაჶშარა** (უშგ.), შდრ. ლშხ. **აჳშარა**, უშგ., ჩოლ. **აჳშა̈რაი** < ქართ. ავშარა „ულაგმო აღვირი"

ჰაყა̈რ (ბზ.), შდრ. ლშხ., უშგ. **აყარ**, ლნტ., უშგ. **აყა̈რ** 1. ქს. „აყირო, მწარე კვახი"; 2. ბზ. „ორშიმო; ხრიკა" < ქართ. აყირო „გრძელყელიანი გოგრა, მცოცავღეროიანი და თეთრყვავილებიანი; თესლებგამოცლილ მწიფე ნაყოფს ჭურჭლად ხმარობენ.

ჰაჰ/ჰა̈ჰ (ბქ.)/**ჰაჰ** (ჩოლ.)! 1. „მოწონების ან სიხარულის გამომხატველი შორისდებული: აჰ, ოჰ"; 2. „მუდარის გამომხატველი შორისდებული: აჰ, ოჰ" < ქართ. აჰ! 1. „ნატვრა-დანანების გამომხატველი შორისდებული"; 2. „შეკრთომა-გაოცების გამომხატველი შორისდებული"

ჰა̈ბტკ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აბტკ**, ლნტ. **ა̈ბტკ** 1. „გარსი, ბუდე, აპკი (გულისა); 2. „ბრკე (ღვინისა); 3. ადუღებული რძის მიერ თავზე მოყენებული კარაქი", შდრ. ბქ. **ბეტკ** < ქართ. აპკ-ი < ფალ. **āpak**

ჰა̈დჳილ (ბქ.)/**ჰადჳილ** (უშგ.), შდრ. ზს., ლნტ. **ა̈დჳილ**, ლშხ., ჩოლ. **ადჳილ** < ქართ. ადვილ-ი

ჰა̈ზჳ (ზს.), შდრ. ზს., ლნტ. **ა̈ზჳ**, ლშხ., ჩოლ. **ჲეზჳ** < ***ჰეზჳ** < ***ჰეზო** < ქართ. ეზო

ჰა̈ლ (ზს.)/**ჰა̈ლჳ** (ბზ.) „ბოროტი სული, ალქაჯი" < ქართ. ალ-ი „ზღაპრული მავნე არსება ლამაზი ქალის სახით"

ჰა̈ლჳა/ჰელჳა/ჰელჳა̈ (ბზ.)/**ჰალჳა** (ბქ., უშგ.)/**ჰაჳლა** (ბეჩ., ლხმ.), შდრ. ლშხ. **ჲელჳა**, ლნტ. **ა̈ლ** < ქართ. ალვა „ალვის ხე"

ჰა̈ჲროპორტ (ბქ.) < ქართ. აერო-პორტ-ი < ბერძნ. **aēr** და ფრანგ. **port** „აეროდრომი"

ჰა̈ქიმ (უშგ.), შდრ. ზს. **ექიმ**, ლშხ., ჩოლ., ლხმ. **ჲექიმ**, ლნტ. **⌈ჲ⌉ექიმ**, უშგ. **ა̈ქიმ** < ქართ. ექიმ-ი < თურქ. (< არაბ.) **hekim** (შდრ. ჭან. ჰექიმ-ი)

ჰა̈შკ (ზს.), შდრ. ლშხ. **აშკ**, ლნტ. **ა̈შკ** 1. „შალის ორწვერა ძაფი"; 2. შინნაქსოვი შალი" < ქართ. აშკი „მავთული" (საბა), შდრ. ძვ. ქართ. მაშკ-ი „ხელმოსასხმელი", „ჩადრი, კარვის სახურავი ტყავისა"

ჰა̈ჩუ (ბქ.)! 1. „ცხენისა და ჯორის შესაძახებელი (გასარეკი სიტყვა)"; 2. „ცხენი (ბავშვის ენაზე)" < ქართ. აჩუ! „შეძახილი ცხენ⌈ებ⌉ის გასარეკად

ჰა̄ჳდა̈რ/ჰაჳდა̈რ (ბზ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **აჳდარ**, ლნტ. **აჳდა̈რ** < ქართ. ავ-დარ-ი

ჰა̄ჳდრჲა̈ნ/ჰაჳდრჲა̈ნ (ბზ.) < ქართ. ავ-დრ-იან-ი

ჰა̄ჳდრიანობ/ჰაჳდრიანობ (ბზ.), შდრ. ბქ., ჩოლ. **აჳდრიანობ** < ქართ. ავ-დრ-იან-ობ-ა

ჰა̄ჳდრობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ., **აჳდრობ**, ლნტ. **ა̈ჳდარობ**, ჩოლ. **აჳდარობ** „ავდრიანობა" < ქართ. ავ-დარ-იან-ობ-ა

ჰა̄ჳდრობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **აჳდრობ**, ლნტ. **ა̈ჳდარობ** < ქართ. ავ-დრ-იან-ობ-ა

ჰა̄ღჳირ (ბზ.)/**ჰა̈ღჳირ/ჰაღჳირ** (უშგ.), შდრ. ბქ. **ა̈ღჳირ**, ქს. **აღჳირ** < ქართ. აღვირ-ი

ჰელ (ზს.), შდრ. ქს. **ალ** 1. „ალი (ცეცხლისა)"; 2. ზს. „ელდა" < ქართ. ალ-ი „ცეცხლის მნათი ნაწილი, ცეცხლის ენა".

ს. ჟღენტს სვანური **ჰელ** ქართული ელდა-საგან მომდინარედ მიაჩნია (ჟღენტი 1949:122), რასაც ვერ დავეთანხმებით... ჩვენი აზრით, სვანური **ჰელ** უფრო ქართული ალი-საგან უნდა მომდინარეობდეს და არა ელდა-საგან. ეს უკანასკნელი სვანურში არ დასტურდება. ელდის გამოსახატავად სვანურში

სულ სხვა ფუძე ვლინდება, კერძოდ, ჷა̈ჭმ.

ჰელიფერიშ (უშგ.) < ქართ. ალ-ის-ფერ-ი

ჰელმა̈ჰელ (ბქ.) < ქართ. ალ-ი „ცეცხლის მნათი ნაწილი, ცეცხლის ენა“

ჰერწა̈მ (ბზ.)/**ჰერწემ** (ბქ.,უშგ.) „გველი, ქვეწარმავალი“ < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი“ (შდრ. ბზ., ჩოლ. **ჷიჯ**). ქვემოსვანურ დიალექტებში სწორედ ქართული (დიალექტური) **ურწმულ** (ლშხ.), ⌈**ჷ**⌉**ურწმილ** (ჩოლ.) ფორმები დასტურდება.

ჰეშმა̈ჲ (ბზ.)/**ჰა̈შმა̈** (უშგ.), შდრ. ბქ. **ჲეშმა**, ლშხ., ჩოლ. **ჲეშმაჲ**, ლნტ. ⌈**ჲ**⌉**ეშმა̈**, ლხმ. **ჲეშმა̈** „გრძნეული, ეშმაკი, ეშმა“; შდრ. ბზ. **ჰეშმ** „თილისმა, ავგაროზი“ < ძვ. ქართ. ეშმა⌈კ-ი⌉ < ფალ. **hēšmak, hēšm, hišm** „ავი, ბოროტი, ცოფიანი, მრისხანე“

ჰეწერია (ბქ.), შდრ. ბზ. **ეწერჲა̈** < ქართ. ეწერა „გვიმრა“

ჰეჭჷ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ეჭჷ**, ბქ. **ჲეჭჷ** < ქართ. ეჭვ-ი (შდრ. ბზ. **ჰა̈რკჷ**, ბქ. **ჷა̈რკ**, ბქ. **ჭერ**)

ჰეჭ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ეჭ!** < ქართ. ეჭ!

ჰი̄ბა̈̄რ (ბზ.)/**ჰი̄ბა̄რ** (უშგ.)/**ჰიბარ** (ლხმ.)/**ჰიბა̄რ** (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **იბა̄რ** „სოფლის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დადებული ჯარიმა (უფრო მეტად ნათესების წახდენისათვის)“ < ქართ. (იმერ.) იბარა „დანაშაული, ცოდვა“

ჰუნდილ (ბზ.) < ქართ. უნდილ-ი

ჰურდუმ (ბზ.) < ქართ. ურდულ-ი

ჰურდუმ (ბზ.)/**ჰულდუმ** (ბქ.) „ერდო“ < ქართ. ურდულ-ი (**ლ/მ, რ/ლ**)

ჰჷნგირ (ბზ.)/**ჰინგირ** (ბქ.)/**ჰუნგირ** (უშგ.), შდრ. ლშხ. **უნგირ**, ლნტ. **უნა̈გირ**, ჩოლ. **უნაგირ** < ქართ. უნაგირ-ი < ირან. **hunagīr**.

ქართულ-მეგრულიდან შეთვისებული მასალა ნათლად გვიჩვენებს თუ რა მოდიფიკაცია განიცადეს ხმოვნებმა შემართვის მხრივ. ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ადგილი აქვს თითქმის ყველა სვანური ხმოვნის წინ, მათ შორის უმლაუტიან და გრძელ ხმოვნებთანაც (ა, ა̈, ა̄, ა̈̄, ე, ო̄, უ, ჷ)[1].

ს. ჟღენტის მოსაზრების თანახმად, „ქართულ-მეგრულიდან სვანურში შესულ სიტყვათა ანლაუტის ხმოვნებს ასპირაცია იმიტომ უვითარდებათ, რომ სვანურის ამ დიალექტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მაგ.: **ჰარტამ** „ბოსტანი“, **ჰა̈დჷირ** „ჯანმრთელი“, **ჰალყმა** „გაუმაძღარი“, **ჰა̈წჷ** „პურისა და ხაჭაპურის ნაჭერი“, **ჰალა̈მ** „გონების დაკარგვა“, **ჰენწ** „აკვანი“, **ჰეჭ** „ურდული“, **ჰირიკ** „დამჟავებული სითხე ტყავის გამოსაყვანად“, **ჰირგ** „მოტირალ ქალთა ერთად შეძახილი“ და ა. შ.“ (ჟღენტი 1949:122).

მასალის ანალიზმა ცხადად დაგვანახა, რომ ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად უმეტესად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის, მაგ.: ლნტ. **ა̈ბედ**, ლნტ. **ა̈ბტკ**, ლნტ. **ა̈დჷილ**, ლნტ. **ა̈შკ**, ლშხ. **ჲეშმაჲ**, ლნტ. ⌈**ჲ**⌉**ეშმა̈**, ლნტ. **ა̈ჷდაროფ**, ლნტ. **ა̈ჷდაროფ**, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც, განსაკუთრებით ლახამულურ კილოკავში, დადასტურდა იგივე იოტირებული და ვიწრო ხმოვნები ფშვინვიერშემართვიანი ფორმების გვერდით, მაგ.: ბზ. **ჲალონ**, ბქ. **ა̈რა̈ყ/ა̈ჲრაყ**, ზს., ლნტ. **ა̈დჷილ**, ბქ. **ა̈დჷირ**, ბქ. **ჲეშმა**, ბქ. **ჲეჭჷ**, ლხმ. **ჲექიმ**, ლხმ. **ჲეშმა̈** და ა. შ.

მ. ქალდანის გამოკვლევის შედეგადაც ირკვევა, რომ, მართალია, ლახამულური კილოკავისათვის უცხო არ არის საერთოდ ზემოსვანურისათვის დამახასიათებელი ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მაგრამ ეს მოვლენა ყოველთვის ერთნაირად არ ტარდება ამ კილოკავში. ვრცელი მასალის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ „მასში საკმაოდ რელიეფურად ჩანს ქვემოსვანურისებური ტენდენცია — ხმო-

[1] ერთადერთი გამონაკლისია **ო** ხმოვანი, რომლის წინაც ფშვინვიერი შემართვა ძალზე იშვიათად გვხვდება (შდრ. ბქ. **ჰობედ**).

ვანთა ფშვინვიერი შემართვის უქონლობა“ (ქალდანი 1955:187). რასაც ვერ ვიტყვით ზემოსვანურის დანარჩენ კილოებსა და კილოკავებზე, სადაც ანლაუტის ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, როგორც მასალის ფაქტობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, დღემდე მტკიცედ არის შემორჩენილი.

ლახამულურის ვითარება იმაზე მეტყველებს, რომ აქ **ჸ**-ს პოზიცია საკმაოდ შერყეულია[1], თუმცა ქვემოსვანურ დიალექტებთან შედარებით, მას ამ მხრივ ნაწილობრივ მაინც აქვს დაცული ძველი ვითარება[2] (იქვე:140).

სვანურში არაერთი ნასესხები სიტყვა ფიქსირდება, სადაც ადგილი აქვს თავკიდური **ო** ხმოვნის წინ **ჵ**'ს განვითარებას, რაც ს. ჟღენტის აზრით, **ო**'ს სივიწროვეზე მიანიშნებს (ჟღენტი 1949:125). მისივე მოსაზრებით, „ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ზემოსვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) უვითარდება **ჸ** ბგერა ფშვინვიერი შემართვის გამო, ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურსა და ლენტეხურში) **იოტი** და **ო**'ს წინ **ჵ** თანხმოვანი (იქვე). როგორც ზემოთ ვნახეთ, **იოტი** ზემოსვანურ დიალექტებსაც უვითარდებათ ანლაუტში და ჩვენ ვნახავთ მაგალითებს, სადაც **ო**'ს წინ **ჵ** თანხმოვანი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ვითარდება, და არა მარტო **ო**'ს წინ, არამედ **უ** ხმოვნის წინაც უამრავი შემთხვევა დასტურდება **ჵ**'ს გაჩენისა, რასაც არაერთი მაგალითი უჭერს მხარს.

1. **ო**'ს წინ **ჵ** თანხმოვანი ვითარდება შემდეგ ნასესხებ ლექსემებში:

ჵობელ (ზს., ლნტ.)/**ჵობოლ** (ლშხ.), შდრ. ბქ. **ობოლ**, ლხმ., ჩოლ. **ობელ** < ქართ. ობოლ-ი (შდრ. ზს., **ჵოჯა̈რ**, ჩოლ. **ობელ-ჵოჯა̈რ**)

ჵობობუაჷ (ლშხ.), შდრ. ჩოლ. **ობობაჷ** < ქართ. ობობა (შდრ. ზს. **⌜ჵ⌝ოფლოფა̈ჷ**)

ჵობრედ (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ობრედ** < ქართ. (ზ. იმერ., ლეჩხ.) ობროდ-ი||ობორდ-ი „უცნაური, ახირებული; ჩერჩეტი, ლენჩი“

ჵობურ (ზს., ჩოლ.), შდრ. ბქ., ჩოლ. **ობურ** „ბოროტი, კუდიანი“ < ქართ. (რაჭ.) ობურ-ი „ეშმაკი“

ჵოდა (ბზ.) < ქართ. ოდა

ჵოთა̈ხ (ზს.)/**ჵოთახ** (ლშხ.)/**ჵოთა̄ჵ**[3] (ჩოლ.), შდრ. ზს. **ოთა̈ხ**, ჩოლ. **ოთახ** < ქართ. ოთახ-ი < თურქ. (აზერბ.) **otag**, შდრ. სპარს. **utāk**

ჵოლომფსირ[4] (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ოლომფსი̄რ**, ლნტ. **ოლომსირ** „ამოსარეცხი ქვევრისა“ < ქართ. (ლეჩხ.) ოლოფსირ-ი „ჯოხზე წამოცმული ტილოს ჩვარი, ქვევრის ფსკერზე დარჩენილი წყლის ან თხლის ამოსაშრობად“ (შდრ. უშგ. **ოფიჸი**)

ჵოპერაცია (ზს.) < ქართ. ოპერაცია

ჵორაგულ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ორაგულ** < ქართ. ორაგულ-ი

ჵორბ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. **ჵერბ**, ჩოლ. **ორბ** „არწივი (ზს.), ორბი“ < ქართ. ორბ-ი

ჵორგჵილ (ზს., ჩოლ.)/**ჵორგულ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ორგულ** „მტერი“ < ქართ. ორ-გულ-ი

ჵორთით (უშგ.) < ქართ. ორ-თით-ი

ჵორი (ზს.), შდრ. ბზ. **ჷ̄რი/ჷ̄რუ/ჷერუ**, ბქ. **ჷორი**, ლშხ. **ჷერუ**, ლნტ. **ჷერბი**, ჩოლ. **ჷ̄რუ** < ქართ. ორ-ი

[1] იგულისხმება **ჸ**-ს დასუსტება **ჷ**-დ, რასაც ადასტურებს ლახამულურის როგორც ბალსზემოურთან, ასევე ბალსქვემოურის ეცერულ კილოკავთან შეპირისპირება, მაგ.: ბზ. **ლიჸრა̈ყი**, ლხმ. **ლიჷრა̈ყი** „არყის გამოხდა“, ბზ. **ლიყჸე**, ლხმ. **ლიყჷე** „ჩაყოფა“, ბზ. **აჸა**, ლხმ. **აჷა** „აი“ და ა. შ.

[2] ლახამულურში დაცულ **ჸ**-ს ქვემოსვანურში უმეტესად **ჷ, ი, ჵ** ბგერები ენაცვლება (**ჷ** ლაშხურში, **ი** ლენტეხურში და **ჵ** ორივეგან).

[3] ჩოლურულში ამ ლექსემას სხვაგვარი ახსნა აქვს, კერძოდ — უსარკმლოდ აგებული სახლი, უშნოდ ნაგები, ციკლოპური შენობა. ძველი სვანური სიმღერების ენაში დაცულია **ოთაჵ-თეს̈გა** „ოთახში“ და **ოთაჵ-ხა̈ნქა** „ოთახიდან“ ფორმები (სვ. პოეზია 1939:38, 44-58).

[4] იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც და ნიშნავს ყოვლად უვარგის მამაკაცს.

ჳორმაგჳ (ზს.)/**ჳორმაგ** (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **ორმაგ**, ჩოლ. **ორმაგჳ** < ქართ. ორ-მაგ-ი

ჳორმოც (ბქ., ლნტ.), შდრ. ლშხ., ჩოლ. **ორმოც** < ქართ. ორ-მ-ოც-ი „მიცვალებულის სულის მოსახსენებელი დღე“ (შდრ. ბქ. **კონჩხა̈რ**)

ჳორმო (ბზ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ორმო** < ქართ. ორმო (შდრ. ზს., ქს. **ფათქ**, უშგ. **პედ**)

ჳორჟამო (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ.) ორ-ჟამ-ო „დათვიმარწყვა“

ჳორტკეც/ჳორკეც (ბზ.)/**ჳორკა̈ც** (ბქ., ლნტ.), შდრ. უშგ. **ერჳკეც** < ქართ. ორ-კეც-ი „ორფა“

ჳორტოლი (ლშხ.)/**ჳოტოლ** (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ორტოლი** < ქართ. (ზ. აჭარ., გურ., მესხ.) ოტურ-ი „ერთგვარი ქლიავია, მსხვილი და მკვრივი ნაყოფი აქვს“, (ლეჩხ.) ორტოლე „ქლიავისმაგვარი მცენარეა“

ჳორღაჳიან (ჩოლ.), შდრ. ჩოლ. **ორღაჳ** „შურიანი“ < ქართ. (რაჭ.) ორღავ-ი „ეშმაკი, დაუნდობელი“ (შდრ. ბქ. **ჳორცფია̈ნ**, ბზ., ჩოლ. **თხამია̈ნ**)

ჳორჩხ (ლშხ.),შდრ. ზს., ლნტ. **ჳერჩხ** < მეგრ. ორჩხე „დანის, ხანჯლის ბუდე, — ქარქაში“, შდრ. ლაზ. ოჩხე „ქარქაში“

ჳოსა̈რ (ზს., ლნტ.)/**ჳოსარ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.), შდრ. ბქ. **ოსა̈რ** „ჩოხა“ < მეგრ. ოსარე „პერანგი“

ჳოსტა̈ტ (ზს., ლნტ.)/**ჳოსტატ** (ლშხ., ჩოლ., უშგ.) < ქართ. ოსტატ-ი „ხელოსანი, დურგალი“ < სპარს. **ustād** < ფალ. **ōstāt**

ჳოტია (ზს., ქს.)/**ჳოტი** (ჩოლ.) „მამაკაცის საკუთარი სახელი“ < ქართ. ოტია

ჳოფოფა̈ (ბზ.), შდრ. ბქ. **ოფლოფა̈** < ქართ. ოფოფ-ი

ჳოფრინდომ (ბზ.) < ქართ. ფრიდონ-ი < აფრიდონ-ი < ფალ. **frēdūn**, შდრ. პართ. **frētōn**

ჳოქჳრ (ზს., ლნტ.)/**ჳოქრ** (ბქ., ლშხ.), შდრ. ზს., ქს. **ოქრ** < ქართ. ოქრო < ბერძნ. **ωχρος** „ყვითელი“

ჳოლლაჳირ (ჩოლ.) „მაგიური ბალახი, რომელსაც ხმარობენ დათვალულის წინააღმდეგ“ < ქართ. (აჭარ.) ოლლავარა „მცენარეა, ხარის ჩლიქა“

ჳოყალ (ლშხ., უშგ.), შდრ. ჩოლ. **ოყალ** „თიხა“ < ქართ. აყალო (წითელი თიხა)

ჳოშჲორ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ოხშივარ-ი, შდრ. ლეჩხ. ოშიორ-ი „ოხშივარი“

ჳოჩან (ჩოლ.) < ქართ. (ფშ.) ოჩან-ი „დაკნინებული, დაბეჩავებული“

ჳოწინწალ (ჩოლ.)[1] „მაღალი და წვრილი სარი“ < ქართ. (ოკრიბ.) ოწინწალ-ი „მსხვილი ხის ბერკეტი“, შდრ. ქართლ. ოწინწალა ხიდი „ბაგირის ხიდი“

ჳოჭარო (ჩოლ.) „დიდი, ღრმა ჭურჭელი“ < ქართ. (რაჭ.) ოჭარო „სასაპალნე კეხი“

ჳოჭიპ (ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ.) ოჭიპო „გახეული კუპრიელის შესაერთებელი ხის პატარა კვირისტავისებრი ნაფოტი“

ჳოჭროჭინაჲ (ჩოლ.)[2] < ქართ. (ლეჩხ.) ოჭოჭინა, იგივეა, რაც გურ., იმერ. ოჭივარა-ი „ბავშვის ფეხის ასადგმელი, სატარებელი“

⌜ჳ⌝ოხა̈რ (ზს., ლნტ.)/**ჳოხარ** (ლშხ., ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოხა̈რ**, ლშხ. **ოხარ** < ქართ. (იმ.) ოხარო „მხარზე გადასაკიდებელი ხის ჭურჭელი“

ჳოხერ (ზს.) < ქართ. ოხერ-ი (შდრ. უშგ. **ჳირქნელ**)

ჳოხთრის (ბზ., ქს.)/**ჳოხდრის** (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. **ოხთრის** „სახსნილო (ყველისა, ხორცისა)“ < ქართ. (აჭარ.) უ-ხდ-ურ-ი „რძე და რძის პროდუქტები“, (ხევს., მოხ.) უ-ჰდ-ურ-ი „ერბო, ყველი“. ჩვენი ვარაუდით, იგივეა, რაც **მო-უ-ხდ-ელ-ი**. სვანური ფორმა სიტყვა-სიტყვით იქნება **უ-ხდ-ურ-ის-⌜ა⌝**, ე. ი.

---

[1] გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობითაც, მაგ.: **ჳოწინწალს ლახზე** „აჩქარებს, არ აცლის...“.

[2] ეს ლექსემაც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება, მაგ.: **ჳოჭროჭინაჲ** „კოჭლი“.

მო-უ-ხდ-ელ-ის-⌜ა⌝. როგორც ჩანს, სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

ჳოხრა̈ხუშ (ზს., ლნტ.)/**ჳოხრახუშ** (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოხრა̈ხუშ**, ლშხ. **ოხრახუშ** < ქართ. ოხრახუშ-ი

ჳოჴა̈რ (ზს.)/**ჳოჴარ** (ლშხ., ჩოლ.) „ობოლი" < ძვ. ქართ. ოჴერ-ი „უდაბნო, უშენი, აოხრებული; ნანგრევი, ცარიელი; კორდი, მოუხნავი, ყამირი", ახ. ქართ. ოხერ-ი, შდრ. არაბ.-სპარს. **axīr** „უკანასკნელი, ბოლო" (ანდრონიკაშვილი II, 1996, 210)

ჳოჯა̈ხ (ზს., ლნტ.)/**ჳოჯახ** (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ოჯა̈ხ** < ქართ. ოჯახ-ი < თურქ.-სპარს. **ojāq** (შდრ. ზს., ქს. **მე-ზგ-ე** „მოსახლე").

2. უ'ს წინ ჳ თანხმოვანი ვითარდება შემდეგ ნასესხებ ლექსემებში:

ჳუბა̈დჳ (ბქ.), შდრ. ზს., ლნტ. **უბა̈დჳ** < ***უ-ბედ-ჳ** < ქართ. უ-ბედ-ო „უბედური"

ჳუბედურ (ბქ.), შდრ. ბქ. **უბედურ**, ლშხ. **უბდურ** < ქართ. უ-ბედ-ურ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **უბა̈დჳ**)

ჳუდაბნო (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **უდაბნო** < ქართ. უ-დაბ-ნ-ო

ჳუდრეკჳ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უდრეკ** < ქართ. უ-დრეკ-ი

ჳუდროჳ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უდროჳ** < ქართ. უ-დრო-ო

ჳუკალონო (ბქ.), შდრ. ბქ. **უკალონო** < ქართ. უ-კანონ-ო < ბერძნ. **kanōn**

ჳუკმეხ (ბქ.), შდრ. ბქ. **უკმეხ** < ქართ. უ-კმეხ-ი

ჳუკცრა̈ჳს (ბქ.), შდრ. ჩოლ. **უკცრაჳს!** < ქართ. უ-კაცრავ-ად!

ჳუნთოჳ (ბქ.)/**ჳოთო** (ბზ.), შდრ. ზს., ქს. **უთო**, ბქ. **უნთოჳ**, ჩბხ. **ონთოჳ** < ქართ. უთო (შდრ. მეგრ. უნთო)

ჳურემ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ურემ** < ქართ. ურემ-ი

⌜ჳ⌝ურწმილ (ჩოლ.), შდრ. ლშხ. **ურწმულ**, ბზ. **ჰერწა̈მ**, ბქ. **ჰერწემ** „უხსენებელი, გველი" < ქართ. (იმერ.) უ-რწმ-ილ-ო, უ-რწმ-უნ-ო „უხსენებელი, გველი" (შდრ. ბზ. **ჳიჯ**)

ჳულუფ (უშგ.), შდრ. უშგ. **ულუფ** „სადილი, იჯრა" < ქართ. ულუფა (შდრ. უშგ. **ფა̈ნ**)

ჳურია (ბქ.), შდრ. ბზ. **ჳირჲა̈ჲ**, ბქ. **ურია**, უშგ. **ჳირია** < ქართ. ურია

ჳურჩხულ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **ურჩხულ** < ქართ. ურჩხულ-ი

ჳურწყულ (ბქ.), შდრ. ზს., ლნტ. **ურწყულ/ურწყჳულ**, ჩოლ. **ურწყულ** „უწმინდური, ბინძური" < ძვ. ქართ. უ-რწყ-ო „წმინდა, წყალშეურევნელი", „ფარული", უ-რწყ-ულ-ი „უწყლო" (შდრ. ბზ., ლშხ., ჩოლ. **ჳიდრობა**, უშგ. **ჳიშდა**)

ჳურჯულ (ბქ.), შდრ. ბზ., ჩოლ. **ურჯულ** < ქართ. უ-რჯულ-ო

ჳუსახჳ (ბქ.), შდრ. ზს. **უსჳახჳ/უსახჳ**, ჩოლ. **უსახჳ** „უცნაური, თავისებური" < ახ. ქართ. უ-სახ-ო, ძვ. ქართ. უ-სა-ხურ-ი „ურჩი, თავნება..." (შდრ. ბზ., ლნტ. **საჯა̈ყ**)

ჳუსინდის (ბქ.)/**ჳუსჳინდის** (ჩოლ.), შდრ. ზს. **უსინდისჳ**, ზს., ქს. **უსინდისო** < ქართ. უსინდისო

ჳუსმართულ (ბქ.)/**ჳუსმართჳილ** (ჩოლ.), შდრ. ბზ. **უსმართჳალ**, ბქ. **უსმართჳლ/უსმართულ**, ჩოლ. **უსმართულ** < ქართ. უ-სა-მართლ-ო (ბზ. **ულა̈დ‖ულღა̈დჳ**, ბქ. **ულადჳ**, ზს., ქს. **უკაფ**)

ჳუსგრგებ⌜ჳ⌝ (ზს.), შდრ. ზს., ჩოლ. **უსგრგებ** < ქართ. უ-სა-რგებ-ლ-ო (შდრ. ზს., ქს. **უმკახა‖უმკახ⌜ჳ⌝**)

ჳუცხჳ (ზს.), შდრ. ზს. **უცხჳ‖ჳიცხჳ** „უცხო, საპატიო, პატივსაცემი" < ქართ. უ-ცხ-ო (შდრ. ბქ. **მეჰერ**)

ჶუწესო (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უწესო** < ქართ. უ-წეს-ო (შდრ. ბქ. **უნაქურ**)

ჶუწმაწურ (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **უწმაწურ** „უხეში, ცუდი ენის პატრონი (კაცი)“ < ქართ. უწმაწურ-ი

ჶუწმინდურ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უწმინდურ** < ქართ. უ-წმინდ-ურ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ჶიდრობა**, ბქ. **შელე**)

ჶუხერხულ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **უხერხულ** < ქართ. უ-ხერხ-ულ-ი

ჶუხეშ (ზს.), შდრ. ზს., ქს. **უხეშ** < ქართ. უ-ხეშ-ი (შდრ. ბზ. **მა̈გჶრე̄მა**, ბქ. **უჯმაჯურ**) და სხვ.

თავკიდურ ო-ს და უ-ს წინ განვითარებული ჶ მიუთითებს სწორედ ამ ხმოვანთა სივიწროვეზე.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ბაგისმიერი ხმოვნების ო-ს და უ-ს წინ სვანურში ძალზე ხშირად ვითარდება წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური ჶ თანხმოვანი, ამ მოვლენას, ე. ი. ო-ს და უ-ს წინ ჶ-ს განვითარებას, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **ბილაბიალური შემართვა**.

3) როგორც უკვე ითქვა, შემართვის მეორე სახეა ხმოვნის მაგარი შემართვა. გ. ახვლედიანის განმარტებით, „ძლიერია ანუ მაგარი ბგერის (უმეტესად ხმოვნის) შემართვა, თუ ამ ბგერის შემართვისას სახმო სიმების მჭიდროდ დახშული მდგომარეობა სწრაფად იცვლება მათი გაპობით, რის შედეგადაც გვესმის ერთგვარი ძლიერი კვნესისებრი ჩქამი“ (ახვლედიანი 1949:106).

ხმოვნის მაგარი შემართვა, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია შორისდებულთა ანლაუტური ხმოვნებისათვის ქართულ კუთხურ მეტყველებაში. სვანურშიც, ისევე როგორც ქართულში, ხშირ შემთხვევაში თავკიდურხმოვნიანი შორისდებულები მაგარი შემართვით წარმოითქმის (ჟღენტი 1949:120). მაგ.:

ჸა (ბქ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ა“, მაგ.: ჸა, მა̈დილ ჯერი! „ა, მადლის გულისათვის, ღვთის გულისათვის“! < ქართ. ა!

ჸაჶ (ბქ.) 1. „გაკვირვებისა და უკმაყოფილების გამომხატველი შორისდებული — აუ“, მაგ.: **ჸაჶ**, მა̈ ხოლა გჶეშ ათხუა „აუ, რა ცუდი საქმე მომხდარა“! 2. „უარყოფითი ნაწილაკი — არა“, მაგ.: **ჸაჶ**, დემის ღური! „არა, არ წავალ! < ქართ. აუ! **ჸაჶ** შორისდებული დასტურდება მეგრულშიც, რომელიც გამოხატავს წყენასა და გაკვირვებას და ისიც, ჩვენი ვარაუდით, ქართული აუ-სგან უნდა მომდინარეობდეს.

ჸაჰ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)/**ჸა̈ჰ** (ბქ.) 1. „დანანებისა და გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — აჰ, ეჰ“, მაგ.: **ჸა̈ჰ**, ამიშ მამაგჶეშ მიხა! „აჰ, ამისი არაფერი არ ვიცი“! 2. „უარყოფითი ნაწილაკი — არა“, მაგ.: **ჸა̈ჰ**, დემე მაკუ! „არა, არ მინდა“ < ქართ. აჰ! შდრ. მეგრ. **ჸაჰ**/**ჸა** „არა“

ჸაჰა̄ (ბქ.) „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებული — აჰა“, მაგ.: **ჸაჰა̄**, მა̈ ხოჩჶმინა! „აჰა, რა უქნია“! < ქართ. აჰა!

ჸე (ზს., ჩოლ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ე“, მაგ.: **ჸე**, სი მარე! „ე, შე შე კაცო“! < ქართ. ე! შდრ. მეგრ. **ჸე** „ეხ“

ჸეჲ (ზს., ლშხ., ჩოლ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ეი“, მაგ.: **ჸეჲ**, ბა̄ტო! „ერიჰა, ბატონო“! < ქართ. ეი!

ჸეჶ (ბქ.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — აუ, ეუ“, მაგ.: **ჸეჶ**, სი ზურალ! „აუ, შე ქალო“! < ქართ. ეუ!

ჸეჰ (ბქ., ლშხ., ჩოლ.) „დანანების გამომხატველი შორისდებული — ეჰ“, მაგ.: **ჸეჰ**, მა̈ ხოჩა ამსჶალდ ლა̈სჶ! „ეჰ, რა კარგი ადამიანი იყო“! < ქართ. ეჰ! შდრ. მეგრ. **ჸეჰ** „დანანების გამომხატველი შორისდებული — ეხ“

ჸეჰა (ბქ.) „გაკვირვებისა და გაოცების გამომხატველი შორისდებული — ეჰა, არიქა“, მაგ.: **ჸეჰა**,

ალი მǟ ხოჩუმინა! „ეჰა, ეს რა უქნია"! < ქართ. ეჰა!

ციჰ (ბქ.) „დანანების გამომხატველი შორისდებული — იჰ, ეჰ", მაგ.: **ციჰ**, მǟ ხოჩა ლესდი ლǟსუ! „იჰ||ეჰ, რა ლამაზი იყო"!

ცო (ზს.) „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ბიჭოს", მაგ.: **ცო**, სი მǟრე! „ო, შე კაცო"! < ქართ. ო!

ცოᲓტ (ზს.) „გაკვირვებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული — ოიტ", მაგ.: **ცოᲓტ**, სი მǟრე! „ოიტ, შე კაცო"! **ცოᲓტ**, ჯღესერ დეიშაფერიშ! „ოი, შე უმსგავსო შენაო"! < ქართ. ოიˊტ˙ (შდრ. მეგრ. **ცოᲓტ**!)

ცოო (ბქ.) 1. „გაკვირვების გამომხატველი შორისდებული — ბიჭოს", მაგ.: **ცოო**, ალი დემეგ მიხალდა! „ბიჭოს, ეს არ ვიცოდი"; 2. „უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი — ოო" < ქართ. ოო!

ცოუ (ბქ.) „განცვიფრებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული — ოუ"! < ქართ. ოუ! შდრ. მეგრ. **ცოუ** „განცვიფრების გამომხატველი შორისდებული — ოუ"!

ცოხ/ცოჰ (ზს., ჩოლ.) „მწუხარებისა და წყენის გამომხატველი შორისდებული — ოხ/ოჰ", მაგ.: **ცოხ**, უკაცრაუǟთ, მართǟლ როქ ლი! „ოხ, უკაცრავად, მართალიაო"! **ცოჰ**, მǟ ხოლა გუეშ ოლჩუემნელი! „ოჰ, რა ცუდი საქმე მომხდარა"! < ქართ. ოხ/ოჰ! შდრ. მეგრ. **ცოხ/ცოხგ** „შებრალების გამომხატველი შორისდებული — ოხ"!

ცუჰ (ბქ.) „სიხარულის გამომხატველი შორისდებული — უჰ, ვიშ", მაგ.: **ცუჰ**, მǟ ხოჩა ლი! „უჰ, რა კარგია"! < ქართ. უჰ! შდრ. მეგრ. **ცუჰ** „მწუხარება-დანანების გამომხატველი შორისდებული — უჰ"!

ცუჰ-ცუჰ-ცუჰ (ბქ.) „სიხარულისა და აღფრთოვანების გამომხატველი შორისდებული — უჰ-უჰ-უჰ, ვიშ-ვიშ-ვიშ", მაგ.: **ცუჰ-ცუჰ-ცუჰ** მǟ გამǟშ ლი! „ვიშ-ვიშ-ვიშ, რა გემრიელია"! < ქართ. უჰ-უჰ-უჰ!

ხმოვნის მაგარი შემართვა, მკვლევართა აზრით, განსაკუთრებით დამახასიათებელია მეგრულ-ჭანურისათვის, ხოლო სვანურში, როგორც მაგალითებმა აჩვენეს, შორისდებულების გარდა, ხმოვნის მაგარი შემართვა სხვაგან არ დასტურდება.

ასევე შესაძლოა სვანურში ხმოვნის მაგარი დამართვაც შეგვხვდეს. ეს მოვლენაც, ძირითადად, მხოლოდ შორისდებულებთან არის შესაძლებელი, მაგ.: **ეც** „ე, აი", **აც** „ა, აი", **ოც** „ო" და ა. შ.

ამრიგად:

1. კვლევამ აჩვენა, რომ სვანური ენის ვოკალიზმისათვის დამახასიათებელია ხმოვანთა შემართვის ორი სახე — **ფშვინვიერი** და **ძლიერი შემართვა**.

2. ხმოვანთა **ფშვინვიერი შემართვა** ახასიათებს ბალსზემოურსა და ბალსქვემოურ დიალექტებს, ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებს (ლაშხურს, ლენტეხურსა და ჩოლურულს) ძალზე იშვიათად.

3. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც დადასტურდა იგივე იოტირებული და ვიწრო ხმოვნები ფშვინვიერშემართვიანი ფორმების გვერდით.

4. სვანურში არაერთი ნასესხები სიტყვა დაფიქსირდა, სადაც ადგილი აქვს თავკიდური **ო** და **უ** ხმოვნების წინ ჳ'ს განვითარებას, რომელსაც პირობითად **ბილაბიალური შემართვა** ვუწოდეთ. ამ შემთხვევაშიც პროცესი ერთნაირად არ მიმდინარეობს სვანური ენის დიალექტებსა თუ კილოკავებში. ნიუანსური განსხვავებები აქაც თვალნათლივ იჩენს თავს.

5. რაც შეეხება ხმოვანთა შემართვის მეორე სახეს, **ძლიერ შემართვას**, იგი სვანურში შორისდებულების გარდა არსად არ დასტურდება.

მ) **ბგერის დაკარგვა ანლაუტში**

ანაგებ (ლშხ.)/**ანა̈გებ** (ლნტ.) „ბუნებრივად, თავისთავად; განგებ“ < ქართ. განგებ

გზაჳრობ (ბზ.)/**გზარობ** (ბქ., ლნტ.)/**გზა̄რობ** (ლშხ.) < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ობ-ა

გზა̈ჳრ (ბზ.)/**გზა̄ჳრ** (ლშხ.)/**გზა̈ჳრ** (ბქ., ლნტ.)/**გზა̈რ** (ბქ.) < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ი

დიდა̈რ (ზს., ლნტ.)/**დიდარ** (ლშხ.) 1. „მდიდარი“, 2. ბქ. „ამპარტავანი“ < ქართ. მ-დიდ-არ-ი

დჳერი (ლნტ.) < ქართ. მდორე

ზარჳილ (ბზ.)/**ზარულ** (ლშხ.)/**ზა̈რეჳილ** (ლნტ.) < ქართ. მ-ზარ-ეულ-ი

ზეთუნახა̈ჳ/ზითუნახა̈ჳ (ზს., ლნტ.)/**ზეთუნახაჳ/ზითუნახაჳ** (ლშხ.) < ქართ. მზე-თ-უ-ნახ-ავ-ი (შდრ. ზს. **მიჟუწდუნა**)

თაჳა̈რ (ზს., ლნტ.)/**თაჳარ** (ლშხ.) „მოზრდილი“ < ქართ. მ-თავ-არ-ი

ინდბანდ (ლშხ.)/**ინდბა̈ნდ** (ლნტ.) „გარიჟრაჟი, გამთენია“ < ქართ. ბინდ-ბუნდ-ი (შდრ. ზს. **ლეჰგრმა̈შ**)

კჳიდრ (ზს., ლნტ.) „ღვიძლი ნათესავი“ < ქართ. მ-კვიდრ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **წა̈მ**)

კჳინჩ (ზს.), შდრ. ქს. **სკჳინჩ** < ქართ. სკვინჩა

ჟაჳ (ლშხ.) < ქართ. მჟავე (შდრ. ზს., ქს. **მგხიმ**)

ტეჳან (ლშხ.)/**ტეჳა̈ნ** (ლნტ.)/**ტა̈ჳა̈ნ** (უშგ.) < ქართ. მტევან-ი

ტერ (ლშხ.) < ქართ. მტერ-ი (შდრ. ზს., ქს. **ამახჳ**)

ტკიც (ზს., ქს.) 1. „სიმართლე“, 2. „მართლის მთქმელი“ < ქართ. ⌐სი⌐-მ-ტკიც-ე

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. მტრედის-ფერ-ი

ტყელ (ლშხ.) < ქართ. ბრტყელ-ი (შდრ. ბქ. **ტყგფრი**)

უსურმა̈ნ (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.) „ურჯულო“ < ქართ. მუსულმან-ი

ჳარილ (ბზ.), შდრ. ბქ. **ჳარყა** „თავნება ცხენი“ < ქართ. (გურ.) ყვერ-ულ-ი „დაკოდილი მამალი (ქათამი)“, შდრ. ბზ. **ყჳა̈რჳულ/ყჳა̈რილ**, ბქ., ლნტ. **ყჳარილ** „ლაფშა ცხენი“

ფერთხა̈ (ლნტ.) „ციცხვი, ლობიოს ამოსაქნელი კოვზი (ხისა), ლაფერთხა“ < ქართ. (ლეჩხ.) ლა-ფერთხ-ა (შდრ. ბზ., ლშხ. **ჟი̄შხა**, ბქ. **ჟიშხე** „ლაფერთხა“)

შჳიდბა (ზს.)/**შჳიდებ** (ბქ.)/**შჳიდობ/შუდობ⌐ა⌐** (ქს.) < ქართ. მ-შვიდ-ობ-ა

შჳიდბობ/შჳიდბა̄რობ (ბზ.)/**შჳიდბა̄რობ** (ლშხ.)/**შჳიდბარობ** (ლნტ.) < ქართ. მ-შვიდ-ობ-იან-ობ-ა

ცონა̈რ (ზს.) „უსუსური, სუსტი“ < ქართ. მცონარა/ე „ზარმაცი, უქმი, მუქთახორა“ < ოს. **æncojnæ** „მოსვენება“

ძეჳა̈ლ (ზს., ლნტ.)/**ძა̈ჳა̈ლ** (უშგ.)/**ძეჳალ** (ლშხ.) 1. „მძევალი“, 2. „საფუარი“, 3. „მაწვნის დედა“, 4. „საბუდარში ჩატოვებული კვერცხი, მძევალი“ < ქართ. მ-ძევალ-ი

ძიჳ (ზს., ქს.) < ქართ. მძივ-ი

ძჳერ (ზს., ლნტ.)/**ძერ** (ბქ.)/**ძორ** (ლშხ.) 1. „რბილი ხორცი“, 2. „მძორი, ლეში“ < ქართ. მძორ-ი

წე̄ჳა̈რ (ზს.)/**წა̈ჳა̈რ** (უშგ.)/**წეჳარ** (ბქ., ლშხ.) < ქართ. მ-წ-ევ-არ-ი

წინდ (ბქ., ლშხ., უშგ.) < ქართ. სა-წინდ-არ-ი

წჳანილ (ზს., ქს.) < ქართ. მწვანილ-ი (შდრ. ბქ. **მალაშა**; ზს. **⌐ა⌐გრჟი** „მწვანე“)

წჳა̈დ (ზს., ლნტ.)/**წჳად** (ლშხ.) < ქართ. მწვად-ი

წყგზა̈მ/წყგზემ (ბზ.)/**წყგზემ** (ლშხ.)/**წყაზარ** (ლნტ.) „სუფთა, ფაქიზი, წმინდა“ < ძვ. ქართ. მწყა-ზარ-ი „თეთრი; მეტად ლამაზი, მოხდენილი, მშვენიერი“

ხინ (ბზ., ქს.), შდრ. ბქ. **ხლინ** < ქართ. ლხინ-ი (შდრ. ბზ. **ლა̈ხიადა̄ლ**, ბქ., ლნტ. **ლა̈ხედალ**, ლშხ. **ლახჷადალ**)

ხინობ (ზს., ლშხ.) < ქართ. ლხინ-ობ-ა (ლხინის გადახდა).

ნ) ბგერის დაკარგვა ინლაუტში:

გაჭირება (ზს.)/**გა̈ჭირობ** (ლხმ.), შდრ. ზს., ლნტ. **გაჭირჳება**, ლშხ. **გაჭიჳრება** < ქართ. გაჭირ-ვ-ებ-ა

გგრცა̈მ (ზს.)/**გარცა̈მ** (ბქ.)/**გარცემ** (ლშხ.)/**გგრცა̈მ/გარცა̈მ** (ლნტ.) „ხატზე გადაცემა, ხატზე დაფიცება" < ძვ. ქართ. გარ-და-ც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზეშთ-გარდაცემა", ახ. ქართ. გა-და-ც-ემ-ა

და̈სიფასელ (ზს.)/**დასაფასელ/დასაფას** (ბქ.) „ძვირფასეულობა, საფასე, განძი, სიმდიდრე" < ქართ. და-სა-ფას-⌜ებ⌝-⌜ელ⌝-ი

დე̄ფა̈ნ (ბზ.)/**ტელა̈ფ** (ბქ.)/**დე̄ფან** (ლშხ.)/**დელფა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. დერეფან-ი

დიხსა̈ჲ (ბზ.)/**დიხსა̈ლ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **დიასახლ** < ქართ. დია-სახლ-ის-ი

კანდა (ბქ.), შდრ. ლნტ. **კალანდა** < ქართ. (გურ.) კალანდა „ახალი წელი" < ლათ. **calandae** (შდრ. ბზ., ლშხ. **ზომხა**)

ქდე (ლშხ.) < ქართ. კლდე (შდრ. გურ. კტე), შდრ. ზს., ქს. **კოჯ**

მა̈სძელ (ბზ., ლნტ.)/**მასძელ** (ლშხ.) < ქართ. მასპინძელ-ი (შდრ. მაინძელი) < ფალ. **aspanǯ**

საბგრწა̈მ (ბქ.) < ქართ. სა-პირ-ის-წამლ-ე „სამასრე"

სათა̈ლ (ბზ.)/**სანთალ** (ბქ.), შდრ. ბქ. **სჳანთალ** 1. „დურბინდი", 2. ბქ. „კორა (სამიზნე თოფისა") < ქართ. სა-თვალ-ე (შდრ. ბქ. **სანთლა̈რ** „სათვალეები")

სამნელ (ბზ., ქს.) < ქართ. სამურველ-ი, საურველ-ი

სა̈კჳრელ (ზს., ლნტ.)/**საკჳრელ** (ლშხ.) „საოცარი" < ქართ. სა-კვირ-ვ-ელ-ი

ტოლიბა̈შ (ზს.)/**ტოლბა̈შ** (ბქ.)/**ტოლიბაშ** (ლშხ.)/**ტოლობაშ** (ლნტ), შდრ. ბზ. **სტოლუმბა̈შ** „თამადა" < ქართ. ტოლუმბაშ-ი < თურქ. **tulumbaši** ტიკის უფროსი"

ჳოშჷორ (ლშხ.) < ქართ. ოხშივარ-ი

ფანელ (ბზ., ლშხ.)/**ფა̈ნელ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ფლანელ-ი < რუს. **Фланель** ფრ. **flanelle**

ფა̈სეჳელ (ბზ.), შდრ. ბზ. **ფა̈რისეჳელ**, ლშხ. **ფარისეჳელ** < ქართ. ფარისეველ-ი

ფილ (ლხმ.) < ქართ. ფერფლ-ი (შდრ. ბქ. **ქამა̈რ**)

ფირწამა̈ლ (ბზ.)/**ფირწამალ** (ლშხ.) „საპირისწამლე" < ქართ. პირ-ის-წამ-ალ-ი

ფორეცხ (ზს.), შდრ. ლხმ. **ფორენცხ**, ქს. **ფოცხჳერ** < ქართ. ფოცხვერ-ი

ღადალ (ზს.), შდრ. ბქ., ლშხ. **ღანდალ** „ბაღლინჯო" < ქართ. (ზ.რაჭ.) ღანდალა, (იმერ.) ღანდარა

ღო̄ლა (ბზ., ლშხ.) < ქართ. ღორღოვანა (ბალახია)

ყა̈̄რ (ბზ.)/**ყა̈რ** (ბქ., ლნტ.)/**ყა̆რ** (ლშხ.) 1. „ყავარი", 2. „სახურავი" < ქართ. ყავარ-ი, შდრ. თურქ. **ķavara** „ნაჭერი"

ყჳიჩ (ზს., ქს.) „მამალი" < ქართ. ყვინჩილა

შაშკლაჳ (ზს., ქს.), შდრ. ზს., ქს. **შაშკჳლაჳ** „რეჰანი" < ქართ. (ლეჩხ.) შაშკვლავ-ი

ცხჳიშილ (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა" < ქართ. სხვ-ის-ი-შვ-ილ-ი, შდრ. მოხ. ცხო ← სხვა.

წიმწა̈რ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ** (ლშხ.) < ქართ. ძირ-მწარ-ა

ჰაგჷ (ზს.) < ქართ. (გურ.) ჰლაკვ-ი „სოხვი (ბოსტნეული)"

ხა̈რზილ (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ზს.)/**ხარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა

ხეკ (ბქ., ლშხ.) „მწირი, ხრიოკი ადგილი" < ქართ. ხრიოკ-ი. ბქ., ლშხ. **ხეკ** < ***ხჷეკ** < ***ხრჷეკ** < ***ხრიჷეკ** < ქართ. ხრიოკ-ი

ხელწიფ (ზს.)/**ხენწიფხე** (ბქ.)/**ხენწიფ** (ქს.), შდრ. ლნტ. **ხელმწიფ** < ქართ. ხელ-მ-წიფ-ე

ჴისმა̈ნდ/ჴეცმა̈ნდ (ბზ.)/**ჴისმანდ** (ლშხ.) „თავსაფარი, ხილაბანდი; თავზე შემოსაკრავი გრძელი და ვიწრო ნაჭერი" < ქართ. ხელ-მანდილ-ი (ხელ-ის-მანდილ-ი).

ო) ბგერის დაკარგვა აუსლაუტში

ბოთ (ლშხ.), შდრ. ზს. **ბოთლიკ** < ქართ. ბოთლ-ი

გამარჯჷ (ზს., ლნტ.), შდრ. ლშხ. **გამურჯობ** < ქართ. გა-მარჯვ-ებ-ა

გჷა̈ლი (ბზ.)/**გჷა̈ლო** (ბქ., ლნტ.)/**გჷალი** (ლშხ.) 1. „გვალვა", 2. ბქ. „მოწმენდილი ცა" < ქართ. გვალვა

დიხსა̈ჳ (ბზ.)/**დიხსა̈ლ** (ბქ.)/**დიასახლ** (ლშხ.) < ქართ. დია-სახლ-ის-ი

კუპრ (ზს., ლნტ.) „ტიკი, ტიკჭორა" < ქართ. (მთიულ.) კუპრ-იალ-ა „გადაბრუნებული ტყავი ბეწვით შიგნით", (ქართლ.) კუპრ-იელ-ი „მოკუპრული ტყავი", (გურ.) კუპრ-იელ-ი „მამალი თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდატიკი"

მოჳა̈ხ (ბზ.)/**მოჷა̈ხ** (ბქ.)/**მოახ/მუახ** (ლნტ.)/**მოჷა̈ხ** (ლხმ.), შდრ. ბზ. **მოა̈ხლ/მოჳა̈ხლ**, ბქ., ლშხ. **მოახლ** < ქართ. მოახლე (შდრ. ზს., ლშხ. **მესგჷრე**)

მოცა̈ლ (ზს., ლნტ.)/**მოცალ** (ლშხ.) „უმნიშვნელო, უბრალო რამ" < ქართ. მო-ცლ-ილ-ი

პატრაჯ (ბქ.), შდრ. ბზ. **პა̈ტრიჯან**, ბქ. **პატრაჯან**, ქს. **პატრიჯან** „პომიდორი" < ქართ. ბადრიჯან-ი < სპარს. **badniǯan/badliǯan**

სამრა̈კჷ (ზს., ლნტ.) < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო (შდრ. ბზ. **ლაზგნგლა̈გ**, ბქ. **ლაზგნდლაგა̈რ**)

სა̈დჷ/სჷა̈დ (ბზ.) „სადენი მიწის ქვეშ (მილი)" < ქართ. სა-დ-ენ-ი

სა̈ციქჷ (ზს., ლნტ.)/**საციქჷ** (ლშხ.) < ქართ. (თუშ., ფშ., მესხ., მოხ.) სა-ციქვ-ელ-ი „საოჯახო ნივთები; მეზობლისაგან ნათხოვარი საოჯახო ნივთი", (რაჭ., ზ. იმერ., გურ.) სა-ციქვ-ელ-ი „მათხოვრის მისაცემი შემწეობა; მეალილოეების ან მეჭონეების საჩუქარი"

სა̈ზრ (ბზ., ლშხ.)/**საზრ** (ბქ.)/**სა̈ზრ** (ლნტ.) „აზრი, განსჯა; გონება, აზროვნება" < ქართ. სა-ზრ-იან-ობ-ა (საზრისი?)

სოხ (ზს.) „ჰლაკვი" < ქართ. (გურ.) სოხვ-ი/სოხი „ჰლაკვი, უთავო ხახვი" < თურქ.-ირ. **soγ** „ხახვი"

უბედრ (ლშხ.) < ქართ. უბედურება

ფა̈რფ (ზს.)/**ფარფ** (ლშხ.) „ფარფლი, კიდე" < ქართ. ფარფლ-ი

ფა̈შ (ზს.), შდრ. ლშხ. **ფაშჷ**, ლნტ. **ფა̈შჷ** < ქართ. ფაშვ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **ქაშბეკ** „მუცელი, ფაშვი")

ფერფ (უშგ.), შდრ. ლშხ. **ფერფილ** < ქართ. ფერფლ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ქა̈მ**, ლშხ. **ქამ**, ბქ. **ქამა̈რ**)

ფლიჷ (ბზ., ლხმ.) < ქართ. ფლურ-ი (ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად)

ფშალ (ბქ.), შდრ. ლშხ. **ფშალაჳ** 1. „ყლორტი, მორჩი; ნორჩი", 2. „სვია" < ქართ. (ზ. იმერ.) ფშალა, მშრალა „სვია", (გურ., იმერ.) ფშალო „სვია"

ღილიკ (ზს.)/**ღირკილ** (ბქ., ქს.) < ქართ. ღილ-კილო

ღო̄ღა (ბზ., ლშხ.) < ქართ. ღორღ-ოვან-ა (ბალახია)

შო̄ნდო (ლშხ.) „საგალობელი მიცვალებულის პატივსაცემად, შენდობის სიმღერა" < ქართ. შენდ-ობ-ა

ჩირგ (ბზ., ლშხ.) „ჩირგვი, ბუჩქი" < ქართ. ჩირგვ-ი (შდრ. ზს. ჯჳამ)

ცოდ (ზს., ქს.) 1. „ცოდვა", 2. „საცოდავი" < ქართ. ცოდ-ვ-ა < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე" (შდრ. ზს., ქს. **ლეჟრი**)

წირ (ზს., ქს.) < ქართ. წირ-ვ-ა

ჭა̄ნტი (ბზ., ლშხ.)/**ჭა̈ნტი** (ლნტ.) „კორკოტი" < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) ჭანტილა „წანდილი, კორკოტი".

პ) **მეტათეზისი**

როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ხშირად მეტათეზისი მოსდის ჳ ბგერას, თუმცა სვანურში დასტურდება სხვა ბგერათა გადასმის შემთხვევებიც.

ა̈ნგჳლეზ (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **ა̈ნგლო̈ზ**, ბქ. **ა̈ნგლეზ**, ლშხ. **ანგლოზ** < ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **ἄγγελος** „შიკრიკი, მაცნე"

ბერჳკილ/ბერკჳილ (ბზ.), შდრ. ზს., ლნტ. **ბერკილ**, ბზ. **ბჳერკილ**, ლშხ. **ბორკილ** < ქართ. ბორკ-ილ-ი

ბირღჳ (ზს., ლშხ.)/**ბიღჳ** (ბქ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ბუღჳი̄რ**, ლნტ. **ბუღჳირ**[1] „ბული, ბღლვირი, ნაგავი, მტვერი" < ქართ. ბულ-ი (შდრ. ზს. **პისჳ**)

ბირღჳ (ბზ.), შდრ. ლშხ. **ბურღჳ** < ქართ. ბურღ-ი < თურქ. **burγi**

ბირჯჳ (ბზ.) < ქართ. ბურჯ-ი (ხიდისა) < არაბ.-სპარს. **burǰ** „კოშკი, ბურჯი, ციხე-სიმაღლე" < ბერძნ. **Πύργος** „ციხე-სიმაგრე, ბურჯი"

ბლენ (ლხმ.) < ქართ. ბნელ-ი (შდრ. ზს. **მუბ˹ჳ˺ირ**)

ბლენურ (ლხმ.) < ქართ. არა-ბნელ-ი

ბლიჳ (ზს., ლნტ.), შდრ. ზს., ქს. **ბლუჳ** „მუნჯი" < ქართ. ბლუ

ბუღჳდა̈ნ (ლნტ.) „ნოყიერი" < ქართ. (რაჭ.) ბუღდავან-ი „კაი მისადგომი ადგილი", (ლეჩხ.) ბალდავან-ი „კარგი, ბარაქიანი ადგილი"

ბირთჳ (ბზ.), შდრ. ბზ. **ბჳლთ˹ჳ˺**, ბქ. **ბურთი**, ლშხ. **ბჳლთ**, ლნტ. **ბულთ** < ქართ. ბურთ-ი

გაჭიჳრება (ლშხ.), შდრ. ზს. **გაჭირება**, ბზ., ლნტ. **გაჭირჳება**, ლხმ. **გა̈ჭირო̄ბ** < ქართ. გა-ჭირ-ვ-ებ-ა

დიხსა̈ჲ (ბზ.)/**დიხსა̈ლ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **დიასახლ** < ქართ. დია-სახლ-ის-ი

ზანდიკჳ (ბზ.), შდრ. ლშხ. **ზანდუკ**, ლნტ. **ზანდჳიკ** < ქართ. ზანდუკ-ი < არაბ.-სპარს. **sandūk**

ზგარობ (ბქ.), შდრ. ბზ. **გზაჳრობ**, ბქ., ლნტ. **გზარობ**, ლშხ. **გზა̄რობ** < ქართ. მ-გზ-ავ-რ-ობ-ა

თა̈კჳ (ზს., ლნტ.)/**თეკჳ** (ლშხ.) < ქართ. თოკ-ი < სომხ. **tok̹**

თა̄რინგზელ (ბზ.)/**თა̈რგლეზერ** (ზს.)/**თა̄რი˹ნ˺გზელ/თა̄რინძელ** (ლშხ.)/**თა̈რიგზელ/თა̈რიგლეზერ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

თა̄̈სდჳებ/თა̄̈სჳდებ (ბზ.), შდრ. ბზ. **თა̄̈სდო̈ბ**, ბქ. **თა̈ჲსდებ**, ლშხ. **თა̄ჲსდობ/თა̄ჳსდობ**, ლნტ. **თა̈ჳსდებ/თა̈ჳდებ** „ფიცი, პირობის მიცემა (ხელის ჩამორთმევით)" < ქართ. თავ-დ-ებ-ი

თგრქა̈დ (ზს.)/**თგრქა̈ტ** (ლნტ.)/**თგრქატ** (ლშხ.) „მაკრატელი" < ქართ. დუქარდ-ი „დიდი მაკრატელი ცხვრის საპარსად" < სპარს. **dukārd**

---

[1] **ბუღჳი̄რ||ბუღჳირ** ლექსემა, როგორც ჩანს, ქართული **ბღლვირი**'სგან მომდინარეობს.

კიბდჳენ (ზს.)/**კიბდონ** (ბქ.)/**კიბდენ** (ლხმ., ლნტ.)/**კიდბონ** (ლშხ.) < ქართ. კიდობან-ი

რილა (ბზ.) < ქართ.. ლირა (ფულის ერთეული)

მა̈ლდია̈ნ (ზს.), შდრ. ზს. **მა̈დლია̈ნ**, ლნტ. **მადლია̈ნ**, ლშხ. **მადლიან** < ქართ. მადლ-იან-ი.

მა̈რკლენ (ბზ.)/**მარკლენ** (ლშხ.), შდრ. ლშხ. **მარკნელ** 1. „ფალავანი, მორკინალი", 2. ლშხ. „სწრაფი, მარჯვე" < ძვ. ქართ. მო-რკინ-ალ-ი

ქართ. მო-რკინ-ალ-ი > ***მო-რკინ-ა̈ლ** > ***მო̈-რკინ-ა̈ლ** > ***მჳე-რკინ-ა̈ლ** > ***მე-რკინ-ა̈ლ** > ***მე-რკნ-ელ** > ერთი მხრივ, ლშხ. **მა-რკნ-ელ** < ლშხ. მა-რკლენ, და მეორე მხრივ, ბზ. **მა̈-რკლენ**

ლშხ. **მა-რკნ-ელ** < ლშხ. **მა-რკლენ**, ბზ. **მა̈-რკლენ** <***მე-რკლენ** <***მჳე-რკნ-ელ** <***მჳე-რკინ-ა̈ლ** <***მო̈-რკინ-ა̈ლ** < ქართ. მო-რკინ-ალ-ი

ნა̈მგებ/ნამგებაჳ (ზს.) „მონაგები, მონაგარი" < ქართ. მო-ნა-გ-ებ-ი. ზს. **ნა̈მგებ** <***მონა̈გებ** < ***მონაგებ** < ქართ. მო-ნა-გ-ებ-ი

საკმე̄ლჳ/საკმჳე̄ლ (ბზ.), შდრ. ბზ. **საკმეჳელ**, ბქ., ლნტ. **სა̈კმეჳელ**, ლშხ. **საკმოჳელ/საკმეჳელ** < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი

საქლეჳ (ბზ.)/**სა̈ქლეჳ** (ბქ.), შდრ. ბზ. **საქუელ**, ლშხ. **საქოლ** < ქართ. (რაჭ.) სა-ქ-ოლ-ი „სახლის სახურავზე ულურსმნოდ დახურული ყავრის დასამაგრებელი ქვა ან სხვა რამ". ბზ. **სა-ქ-ლ-ეჳ** < ბქ. **სა̈-ქ-ლ-ეჳ** <***სა-ქ-ჳელ** < ლშხ. **სა-ქ-ოლ** < ქართ. სა-ქ-ოლ-ი

სიფრითჳ (ბზ.), შდრ. ბქ., ლშხ. **სიფრუთ**, ბქ. **სიფრით**, ლნტ. **სიფრუტ** „ბურღი" < ქართ. ციბ-რუტ-ი

სეჳ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **სჳეჳ**, ბზ. **სჳეჲ/სო̈ჲ**, ბქ., ლშხ. **სოჳ/სოჲ** < ქართ. სვე < ოს. **fes** „ბედი" (ანდრონიკაშვილი 1966, 108-109)

სჳრილ (ზს., ლნტ.)/**სჳირილ** (ბქ.), შდრ. ლშხ. **სრულ** < ქართ. სრულ-ი

ტურბა (ზს.) < ქართ. ტრუბა (ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებული ლექსემა) < რუს. **труба** „მილი კვამლსადენი"

ტჳიტელ (ზს., ქს.), შდრ. ზს. **ტიტო̈ლ** < ქართ. ტიტველ-ი (შდრ. ბქ. **ლგსინტლაჳე**)

ჳა̈ლირჳ (ბზ.), შდრ. ბზ. **ჳა̈ლჳ̈რ**, ლშხ. **ჳელურ**, ლნტ. **ჳელირ** < ქართ. ველ-ურ-ი (შდრ. ბქ. **ტყა̈რ**)

ჳოქჳრ (ზს., ლნტ.), შდრ. ბქ., ლშხ. **ჳოქრ** < ქართ. ოქრო < ბერძნ. **ωχρος** „ყვითელი"

ფირჳენ (ბზ.) < ქართ. ფრინ-ვ-ელ-ი (შდრ. ბზ. **ნა̈პო̄ლ**, ბქ. **ნა̈პჳრ/ნეპოლ**)

ფლიჳ (ბზ., ლხმ.) < ქართ. ფლურ-ი (ოქროს ან ვერცხლის ფული ძველად)

ქო̄ბ (ბზ.)/**ქო̄ლბ** (ლშხ.)/**ქოლბ** (ლნტ.) „ბუჩქი" < ქართ. ბოლქვ-ი (შდრ. ზს. **ჯჳამ**)

ქრუჳ (ლშხ.), შდრ. ზს., ლნტ. **ქჳრიჳ** < ქართ. ქვრივ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ოჯა̈რ**)

ღრის (ქს.), შდრ. **ღირს** < ქართ. ღირს-ი

ყა̈̄ჳრილ (ბზ.), შდრ. ბზ. **ყა̈რჳილ/ყა̈̄რჳილ**, ბქ. **ყარჳილ**, ლშხ. **ყარულ**, ლნტ. **ყა̈რეჳილ** < ქართ. ყარაულ-ი (შდრ. ზს. **მელეჩ**) < რუს. **Караул** < სპარს. **kara'ul**

შამფირ'ჳ' (ზს.), შდრ. ზს. **შა̈მფჳირ**, ლშხ. **შამფურ**, ლნტ. **შამფირ** < ქართ. შამფურ-ი

წა̈̄ჳრ (ბზ.)/**წა̈ჳრ** (ბქ.) < ქართ. წერო

წკირპა̈ტ (ბქ.), შდრ. ბზ., ლნტ. **წკიპა̈რტ**, ბქ. **წკიპურტ**, ლშხ. **წკიპარტ** < ქართ. წკიპურტ-ი

ჭაბიგჳ (ზს.), შდრ. ლშხ. **ჭაბუკ** < ქართ. ჭაბუკ-ი < ფალ. **čāpūk** „ცოცხალი, მარდი, მოხერხებული, მჯნე, სწრაფი"

ხლინ (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. **ხინ** < ქართ. ლხინ-ი (შდრ. ბზ. **ლა̈ხიადა̄ლ**)

ხირკ (ბქ., ლნტ.) „ხრიკი, სარმა; ფანდი, ილეთი“ < ქართ. ხრიკ-ი

ჰჳალმა̈ნდ (ზს., ლნტ.)/**ჰჳალმანდ** (ლშხ.) < ქართ. ხმალდ-ი < თურქ. **xumald**.

1. 3. ნასესხები კომპოზიტები სვანურში

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

კომპოზიტი, როგორც ცნობილია, თავიდანვე იყო დამახასიათებელი ყველა ქართველური ენისათვის. ყველაზე უფრო უხვად იგი წარმოდგენილია ქართულში, შედარებით ნაკლებად — სვანურსა და ზანურში.

კომპოზიტთა სახეობა, შედგენილობა, შეერთების საშუალება, მეტყველების ნაწილები და მნიშვნელობა ძირითადად ისეთივეა სვანურში, როგორიც ქართულში, ოღონდ ზოგი სახის წარმოება ნაკლებ პროდუქტიულია ან სულ არა გვაქვს (თოფურია 1979:288).

ჩვენ ამჯერად განვიხილავთ ქართულ-მეგრულიდან ნასესხებ რამდენიმე კომპოზიტს:

აპდაუპდა (ლშხ.) < ქართ. აბდაუბდა

არაბარა (ზს., ლნტ.) „არაფერი, ერთი და იგივე, სულ ერთი“ < ქართ. არა-ფერ-ი

ართქჳილ/ერთგჳილ (ბზ.)/**ჷრდგულ** (ლშხ.)/**ერთგჳილ** (ლნტ.) < ქართ. ერთ-გულ-ი

გა̈ნზნაგა̈ნზ (ბქ.) < ქართ. განძ-ეულ-ობ-ა

ფუძეგაორკეცებულ რთულ სახელთა კომპონენტებს ხშირად შუაში ერთვის **მა̈** და **ნა̈** ელემენტები (ქალდანი 1959:233)

გეგო̄შალჳარ (ლშხ.)/**გეგოჷშალჳარ** (ლნტ.) < ქართ. გუგულის შარვალა (მცენარეა)

გეტკეცაჷ (ლშხ.) „ერთგვარი მხალია“ < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ტკეტკეცა „კლდის დუმა (მცენარეა)“

გირწყა̈ლ (ზს., ლნტ.)/**გირწყალ** (ლშხ.) „კირხსნარი, დუღაბი“ < ქართ. კირ-წყალ-ი

გუბა̈ნდ (ზს.)/**გუბანდ** (ქს.) „სვანური სახლის ზედა ნაწილი ან ამავე სახლზე მიდგმული შენობა საზაფხულო საცხოვრებლად“ < მეგრ. გულბანდ-ი „სენაკი; ოთახი“ (შდრ. თუშ. ბან-ედ-ა-ი „ბანი“)

გუდმეცა̈რ/ა̈ლ (ზს.)/**გუდმეცარ** (ლშხ.)/**გუდმეცა̈რ/გულთმეცა̈რ** (ლნტ.) „გულთმისანი, მკითხავი, მარჩიელი“ < ქართ. (ლეჩხ., რაჭ.) გულ-თ-მე-ც-არ-ი/ა „გულთმისანი, წინასწარმეტყველი, ჯადოსანი“

გულ-ჩჳენჩხ/გჳიჷჩჳენჩხ (ბზ.)/**გუ-ჩენჩხ** (ბქ.)/**გულ-ჩონჩხ** (ლშხ.)/**გუ-ჩენჩხ** (ლნტ.) „გულღვიძლი; გულ-მკერდი“ < ქართ. *გულ-ი და ჩონჩხ-ი

გჳელჷა̈რშა̈პ (ბზ.)/**გჳელეშაპ/გელა̈რშა̈პ/გოლერშა̈პ/გჳელერშა̈პ** (ბქ.)/**გოლიერშაპ** (ლშხ.)/**გჳელჷაშა̈პ/გჳელიე⌜რ⌝შა̈პ** (ლნტ.) < ქართ. გველეშაპ-ი < ფალ. **vēšap**

საანალიზო კომპოზიტის ორივე შემადგენელი კომპონენტი ქართულიდანაა შეთვისებული სვანურში.

ვეშაპ ფუძის წარმომავლობის შესახებ არაერთ მეცნიერს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრება და მათ შორის აკად. ნ. მარს, რომელიც აღნიშნავს: ქართული ვეშაპი მომდინარეობს სომხური ***վիշապ*** ფუძიდან და ბერძნული **τό χέτος**-ის შესატყვისად იხმარება. თვით სომხურში ეს ფუძე ზოგადად საშიშ ცხოველს — ურჩხულს — ნიშნავს. როცა ეს სიტყვა ზღვის დიდი ცხოველის აღსანიშნავად უნდოდათ გამოეყენებინათ, მაშინ მას თევზის აღმნიშვნელ ძუკნ ***ձուկն*** ფუძეს უმატებდნენ, ხოლო, როცა გველეშაპს გულისხმობდნენ, მაშინ ქართულის მსგავსად **გველ** სიტყვას „ოძ“-ს (***օձ***) უმატებდნენ. ქართული ვეშაპიც უპირველესად ზღვის უზარმაზარი ცხოველია, გველეშაპი კი — ზღაპრული ურჩხულის აღმნიშვნელი“ (მარი 1930:217).

ძველ ქართულში ვეშაპი ამ უკანასკნელი მნიშვნელობითაც გვხვდება (ქერქაძე 1974:177).

როგორც ვარაუდობენ, ვეშაპი მომდინარეობს ავესტური **višāpa** ფუძიდან. ამასვე უკავშირებენ სომხურ ***վիշապ***'ს, ხოლო ქართ. **გველვეშაპ-ი** **aži višapa**-ს სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს, სადაც **aši** ნიშნავს „გველ'ს“, ხოლო მეორე ნაწილს მკვლევართა უმრავლესობა უკავშირებს **apa**'ს, რაც ნიშნავს „სითხეს“, „წყალს“, ე. ი. **ვიშაპა** ნიშნავს „შხამის მთხეველს“ (ანდრონიკაშვილი 1966:238-239).

გ. მელიქიშვილის მოსაზრების მიხედვით, ეს ზემოთ დასახელებული ფუძეები შეთვისებული უნდა იყოს ხურიტული ენიდან (მელიქიშვილი 1959:178).

და̈ჳბედნიე̄რ (ბზ.)/**და̈ჳბედნიერ** (ბქ.) „გულუბრყვილო, უწყინარი“ < ქართ. *დევ-ბედ-ნ-იერ-ი, შდრ. ფალ. **dēv** „ბოროტი სული, დემონი“

დიმთილ (ბზ., ლშხ.)/**დიმეთილ** (ლნტ.) < მეგრ. დია-ნთილ-ი < ქართ. დედა-მთილ-ი (შდრ. ზს., ქს. გიგა). საენათმეცნიერო ლიტერატურაში სვან. **დიმთილ-** მეგრულიდან ნასესხებად არის მიჩნეული (კლიმოვი 1964:72; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:170).

დიხსა̈ჲ (ბზ.)/**დიხსა̈ლ** (ბქ.)/**დიასახლ** (ლშხ.) < ქართ. დია-სახლ-ის-ი

ზანგლა̈გ (ბზ.)/**ზანდლა̈გ** (ბქ.) „ზარი“ < ქართ. ზან-ზალ-აკ-ი

ზეთუნახა̈ჳ/ზითუნახა̈ჳ (ზს., ლნტ.)/**ზეთუნახაჳ/ზითუნახაჳ** (ლშხ.) < ქართ. მზე-თ-უნ-ნახ-ავ-ი (შდრ. ზს. მიჟუწდუნა)

თაჳკა̈ც (ზს.,[1] ლნტ.)/**თაჳკაც** (ლშხ.) „თავკაცი, წინამძღოლი“ < ქართ. თავ-კაც-ი

თა̄რინგზელ (ბზ.)/**თა̈რგლეზერ** (ზს.)/**თა̄რი⌈ნ⌉გზელ/თა̄რინძელ** (ლშხ.)/ **თა̈რიგზელ/თა̈რიგლეზერ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი

ინდბანდ (ლშხ.)/**ინდბა̈ნდ** (ლნტ.) „ბინდბუნდი, გარიჟრაჟი, გამთენია“ < ქართ. ბინდ-ბუნდ-ი (შდრ. ზს. ლეჰგრმა̈შ)

მიმთილ (ზს.)/**მუმთილ** (ლშხ.)/**მუმეთილ** (ლნტ.) < მეგრ. მუანთილ-ი < ქართ. მამა-მთილ-ი გ. კლიმოვის მიხედვით (კლიმოვი 1964:63), ისე კი ალბათ ქართულიდანაა ნასესხები ერთი მარცვლის რედუქციით.

პა̈რპო̄ლდა̈შ (ბზ.)/**პა̈რპოლა̈შ/პერპოლა̈შ** (ბქ.)/**პერპო̄ლდაშ** (ლშხ.)/**პერპოლდა̈შ** (ლნტ.) < ქართ. პეტრე-პავლ-ობ-ა

პირსახოც (ზს., ლშხ.)/**პირსახჳეც** (ლნტ.) < ქართ. პირ-სა-ხოც-ი

მგქემთა̈რგლეზერ (ბქ.) < ქართ. მიქაელ მთავარანგელოზ-ი

რა̈შ-ბედაჳირ (ზს.)/**რაშ-ბედაურ** (ქს.) < ქართ. რაშ-ბედაურ-ი, შდრ. სპარს. **raxš** და არაბ.-სპარს. **bedavī, bedoū**

სეფსკ⌈ჳ⌉ერ (ზს., ქს.) < ქართ. სეფ-ის-კვერ-ი

სინოხსნა̈ბ (ბქ.) < ქართ. სულ-ის ⌈მო⌉-ხს-ენ-ებ-ა

ტა̈რბედნიე̄რ (ბზ.)/**ტა̈რბედნიერ** (ბქ.) < ქართ. ნეტარ-ბედ-ნ-იერ-ი

ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი ნაწარმოები უნდა იყოს ქართ. ნეტარიდან (**ტა̈რ** < **ნეტა̈რ** < **ნეტარ**), ხოლო ქართ. **ნეტარ**'ის ამოსავალ ფორმად მ. ანდრონიკაშვილს მიაჩნია ფალ. **nēttar** (ანდრონიკაშვილი 1966:358).

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. მტრედ-ის ფერ-ი

ჳა̈ჲბედუშჳ (ბქ.) „ძლივს, ვაი-ვაგლახით“ < ქართ. *ვაი-ბედ-ით (შდრ. ბზ. **ჳედდ**, ზს. **ჳედნ**)

ჳეთხმალ (ბქ.)/**ჳეთხმა̈ლ** (ლხმ.) „საქონელი, პირუტყვი“ < ქართ. ოთხ-მა-ვ-ალ-ი

[1] ზემოსვანურ დიალექტებში **თაჳკა̈ც** უშვილოსაც ნიშნავს, ალბათ ესეც ქართულ თავკაც'ს უკავშირდება (ე. ი. მარტოხელა კაცი).

ჳორტკეც/ჳორკეც (ბზ.)/**ჳორკა̈ც** (ბქ., ლნტ.) „ორფა“ < ქართ. ორ-კეც-ი

ფა̄რ-ხანგა̈რ (ბზ.)/**ფა̄რ-ხანგარ** (ლშხ.)/**ფა̈რ-ხანჯა̈რ** (ლნტ.) „ფარ-ხმალი“ < ქართ. ფარ-ხანჯალ-ი, შდრ. ფალ. **pāhr** „ფარი“ და სპარს.-თურქ. **xanǰar**

ფერცჳლობ (ბზ., ქს.)/**ფა̈რცჳლობ** (უშგ.)/**ფერცლა̈ბ/ფერცლაბ** (ბქ.) < ძვ. ქართ. ფერ-ის-ცვალ-ებ-ა

ფირცქეჳილ/ფჷრცქეჳილ (ბზ.)/**ფირცქა̈ჳილ/ფჷრცქა̈ჳილ** (უშგ.)/**ფირცქეულ/ფჷრცქეულ/ფარიცქეულ/ფარიქცეულ** (ლშხ.) 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე“, 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი“ < ძვ. ქართ. პირ-⌈შე⌉-ქც-ეულ-ი

ფირწამა̈ლ (ბზ.)/**ფირწამალ** (ლშხ.) < ქართ. სა-პირ-ის-წამლ-ე (შდრ. ბქ. **საბგრწმა̈რ**)

ქალაკოდა̈⌈ჲ⌉ (ბქ., ლნტ.)/**ქალაკოდაჲ** (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) ქალა-კოდა „ნიუკა, მცენარეა; საჭმელი სოკო“

ქარბა̈ქ (ბზ.)/**ქარბაქ** (ლშხ.)/**ქარბა̈კ** (ლნტ.) „საქონლის დროებითი სადგომი, ბაკი (ქვის ყორით ან ხის ღობით შემოკავებული), ქართა“ < ქართ. (მესხ.) კარ-ბაკ-ი „მიწური სახლის შემავალი, კარი და ბაკი ერთად“, შდრ. ბქ. **დჷრყუ**, მეგრ. ქაბარკა — **хлев для коз**, ქარა „ეკალი, ხიწვი“

ქა̈ჯიჰეშმა̈ჲ (ბზ.)/**ქა̈ჯჲეშმა̈** (ბქ., ლნტ.)/**ქა̈ჯეშმა̈** (ბქ.)/**ქაჯჲეშმაჲ** (ლშხ.) < ქართ. ქაჯ-ი და ეშმაკ-ი < ფალ. **kaǰ** და ფალ. **hēšm** „ბოროტი გენია, ავი სული, სატანა“

ქუნმასწარაჲ (ლშხ.) < ქართ. სულ-წა-ს-ულ-ი

ღილიკ (ზს.)/**ღირკილ** (ბქ., ქს.) < ქართ. ღილ-კილო

ყურმა̈ნჯ (ბზ., ლნტ.)/**ყურმანჯ** (ლშხ.) „ყრუ-მუნჯი“ < ქართ. (გურ.) ყურ-მანჯ-ა-ი (← ყრუ-მუნჯი) „ყურნაკლული, სმენადახშული, გადატ. ჩამორჩენილი)“.

ყურმა̈ნჯ კომპოზიტური აგებულებისაა და ნიშნავს ყრუს. მისი პირველი წევრია **ყურ**. ყურის აღსანიშნავად ამჟამად სვანურში გაბატონებულია სრულიად სხვა სიტყვა (**შდიმ**), რომელსაც შესატყვისები არ ეძებნება ქართულ-ზანურში. თ. შარაძენიძის აზრით, დასახელებულ კომპოზიტს შემოუნახავს უძველესი ქართველური ფუძე (შარაძენიძე 1991:123), ხოლო რაც შეეხება კომპოზიტის მეორე ნაწილს, იგი (მანჯ) მკვლევარს ქართული **მანკ**-ისგან მომდინარედ მიაჩნია, ე. ი. **ყურმა̈ნჯ** = ყურმანკიანი. ოღონდ დაბრკოლებას ის ქმნის, რომ **კ**'ს **ჭ** უნდა მოეცა და არა **ჯ** (იქვე:124).

ყურმანჯ, როგორც ცნობილია, ქართული ენის გურულ დიალექტშიც დასტურდება და ამიტომ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ იქნებ, სწორედ, **ყურმანჯ** ისესხა სვანურმა ქართულიდან ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე.

სვან. **ყურმა̈ნჯ** ქართ. **ყრუმუნჯ**-ი ფორმისაგან მომდინარეობს **უ** ხმოვნის მეტათეზისით, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ვარაუდით (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:118).

შაჳგურმა̈ლ/შეგურმა̈ნ (ზს.)/**შეჳგჳრემან** (ლშხ.)/**შაჳგურმა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. შავ-გვრემ-ან-ი (შდრ. ზს. **მეშხლა̈⌈ჲ⌉**, ზს. **შიხგოგენ**)

შაჳფსხალაჲ (ლშხ.) „მსხლის ჯიში“ < ქართ. შავ-მსხალ-ა

შა̈რი-ბამბა̈ჲ/შალი-ბამბა̈ჲ (ბზ.)/**შჳა̈რი-ბამბა** (ბქ.) 1. „შალი და ბამბა“, 2. ბქ. „მძიმე საქმის მორიგება (მოგვარება)“ < ქართ. შალ-ი და ბამბა

ცადაქჳეყანა/ცადაქჳეყნიერობა (ზს., ლშხ.)/**ცადა̈ქჳეყანა** (ბქ., ლნტ.) „მთელი სამყარო“, გადატ. „ყველაფერი“ < ქართ. ცა და ქვე-ყანა

ცოდა̈-კალ⌈ჳ⌉ენ (ბზ.)/**ცოდა̈-კალა̈** (ბეჩ.)/**ცოდა̈შკალა̈ნ** (ბქ.)/**ცოდ-კალონ** (ლშხ.)/**ცოდიკალენ** (ლნტ.) „ცოდვა-ბრალი; საცოდავი! აფსუს!“ < ქართ. ცოდ-ვ-ის კანონ-ი, შდრ. ოს. **cawd** „ცუდი, მდარე“, ბერძ. **kanōn**

წა̈მწუთ (ლნტ.) „წამდაუწუმ“ < ქართ. წამ-ი და წუთ-ი

წე̄ჶა̈რ-მეძბა̈რ (ბზ.)/**წეჶა̈რ-მეძბა̈რ** (ბქ.)/**წეჶარ-მეძბარ** (||**მეძმარ**) (ლშხ.)/**წეჶა̈რ-მაძებარ** (ლნტ.) < ქართ. მ-წ-ევ-არ-მე-ძებ-არ-ი

წიმწა̈რ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ** (ლშხ.) < ქართ. ძირ-მწარ-ა, შდრ. ფალ. **azīr, zīr** „ფსკერი, ქვედა ნაწილი“

წყა̈რშინდ (ბქ.)/**წყა̈სინჯ** (ლხმ.)/**წყარშგნდ** (ლშხ.) „იხვი“ < მეგრ. წყარ-⌈ი⌉-სინდ-ი/წყარ-⌈ი⌉-სინჯ-ი „გარეული იხვი; წყლის ჩიტი“

ჭირისუფა̈ლ (ზს., ლნტ.)/**ჭირისუფალ** (ლშხ.) < ქართ. ჭირ-ის-უფალ-ი

ხა̈რზილ/ჴა̈რზილ (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.)/**ხარძილ**[1] (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა

ხილმა̈ხილ (ზს.)/**ხილმახილ** (ქს.) < ქართ. ხილ-ეულ-ი

აღნიშნულ კომპოზიტში ფუძის გაორკეცებისას ჩართულია **მა** მარცვალი, რომელიც ვ. თოფურიას აზრით, შეიძლება საწარმოებელი თავსართი იყოს (თოფურია 1979:291).

ჰელტა̈რ (ზს., ლნტ.)/**ჰელტარ** (ლშხ.) „მქსოველი“ < ქართ. (ქართლ.) ხელ-ტარ-ი „ძაფის დასაძახავი თითისტარი“

ჴისმა̈ნდ/ჴეცმა̈ნდ (ბზ.)/**ჴისმანდ** (ლშხ.) „თავსაფარი, ხილაბანდი; თავზე შემოსაკრავი გრძელი და ვიწრო ნაჭერი“ < ქართ. ხელ-ის მანდილ-ი.

1. 4. მცენარეთა აღმნიშვნელი ნასესხები კომპოზიტები სვანურში

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

სვანური ენის კომპოზიტური სიტყვაწარმოება არაერთხელ ყოფილა ქართველ ენათმეცნიერთა კვლევის საგანი. ცალკეულ ნაშრომებში აღწერილია კომპოზიტთა ძირითადი ტიპები და გამოვლენილია შესაბამისი სიტყვაწარმოებითი კანონზომიერებანი.

კომპოზიტთა სახეობა, შედგენილობა, შეერთების საშუალება, მეტყველების ნაწილები და მნიშვნელობა ძირითადად ისეთივეა სვანურში, როგორიც ქართულში, ოღონდ ზოგი სახის წარმოება ნაკლებ პროდუქტიულია ან სულ არა გვაქვს (თოფურია 1979:288).

ამჯერად განვიხილავთ ქართულიდან და მეგრულიდან სვანურში შემოსულ მცენარეთა აღმნიშვნელ რამდენიმე რთული შედგენილობის კომპოზიტს.

ძირითადად ვემყარებით ა. ონიანის მიერ ჯერ კიდევ 1917 წელს პეტროგრადში გამოცემულ სვანურ ტექსტებს **მეგმარეშ ი ბალხარე ჟახე̄ლე ხორაჴ** — ხეებისა და ბალახების სახელების კრებული, ამასთანავე, გამოყენებულია სვანური სალექსიკონო (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, კ. დონდუა, ა. ლიპარტელიანი, ბ. ნიჟარაძე) და ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალები.

ცნობილია, რომ ახალი სიტყვის შესადგენად, ჩვეულებრივ, ძირეულ სიტყვებთან ერთად მიმართავენ ნასესხებ სიტყვებსაც. სვანურში აღმოჩნდა ბევრი ისეთი კომპოზიტი, რომლებიც მეტწილად ქართული ენიდანაა შეთვისებული, თუმცა დაიძებნა ზანური ენიდან (კერძოდ, მეგრულიდან) ნასესხები კომპოზიტებიც. მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ნასესხებ კომპოზიტთა მცირე ნაწილი უცვლელად არის შემოსული სხვა ქართველური ენებიდან, ნაწილი კი დამორჩილებულია სვანურის ფონეტიკურ კანონზომიერებებს.

1. ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა მცირე ჯგუფში თითქმის არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ შეინიშნება:

სამყურა (ბქ.) „იონჯა“ < ქართ. სამ-ყურ-ა (ბალახი), შდრ. ბქ. **პერპილ/პირპილ**

---

[1] ვ. თოფურიას (1979:295) ლაშხურში დადასტურებული აქვს **ხარძირ** ლექსემაც.

სამყურა ლეჰმე ლაროლისგა ანღრი (ბქ.) — სამყურა სათიბ მინდვრებში („სათიბებში") მოდის

ძელქჟა (ლშხ.) < ქართ. ძელ-ქვა „ლეკა, აკაკი" (შდრ. მეგრ. ძერქვა)

ძელქჟა მეშხე მეგემ ლი (ლშხ., ონიანი 1917:36) — ძელქვა შავი ხეა

2. ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა გარკვეულ ჯგუფში დასტურდება სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებები. უპირველეს ყოვლისა, ხდება აუსლაუტის გამარტივება (ე. ი. ადგილი აქვს ღიამარცვლიანი სტრუქტურების მიდრეკილებას დახურულმარცვლიანობისაკენ).

ა) ძალიან ხშირად გვხდება -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ფუძეები:

გეგუ̄შალჟარ (ლშხ.)/**გეგოდშალჟარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა)

გეგუ̄შალჟარ ... ნიჟრā მაჯჳნ ჭრელ ბალახ ლი (ლშხ., ონიანი 1917:7) — *გუგულის შარვალა ნივრის მსგავსი ჭრელი ბალახია

თხეფსე̄ლ (ჩოლ.) „დათვის მოცვი" < ქართ. (გურ.) თხ-ი-ფსალ-ა, (ქართლ., ლეჩხ., რაჭ., აჭარ., გურ., კახ.) თხ-ი-ფსელ-ა, (თუშ.) თხ-ა-ფსელ-ა „კვიდო, ხეჭრელი" (შდრ. სვან. **გეყრუდ, თჟეფილა, თოფრა, კჸკჸნდ**)

თხეფსე̄ლ კოჭოლ მეგემ ლი (ჩოლ.) — თხიფსელა პატარა ხეა

კაცისთაჟ (ბქ.) < ქართ. კაც-ის-თავ-ა „საშემოდგომო მსხვილი მსხალი"; შდრ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) კაცთავა/კაციᵑთავა, (ოკრიბ.) კაცისთავა; კაცითაჟაი (შ. ფუტკარაძე) (შდრ. ბქ. **გჟაბა**)

კაცისთაჟ მარემ თხუმშალ მეგრე ჟიცხ ლი (ბქ.) — კაცისთავა ადამიანის („კაცის") თავივით მსხვილი მსხალია

კჟარკჟალიტ (ჩოლ.) „სარეველა ბალახი", „წვრილი ცერცვი" < ქართ. (იმერ.) კვარ-კვალ-ᴵიტᴵ-ა, (ლეჩხ., გურ.) კვარ-კვალიტ-ე „ცერცველა (სარეველა ბალახია)". შდრ. სვან. **მეჭჩგლ, მგლდერილ**

მგწა/ეჟäშ (ბქ.)/**მიწაჟაშ** (ლშხ., ჩოლ.)/**მიწაჟაშლ** (უშგ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ ჟისგ**

მიწაჟაშᴵსᴵ ქართოფილშāლ ძირალ ხār ი იზბიხ უჯბა-უტყბად (ლშხ., ონიანი 1917:15) — მიწავაშლს კარტოფილივით ძირები აქვს და უმად („უხარშავ-უწვავად") ჭამენ

სამყურ (ქს.) „იონჯა" < ქართ. სამ-ყურ-ა (ბალახი), შდრ. ბქ. **პერპილ/პირპილ**

სამყურ ლეჭმა ლāრელისა ხოხალ (ლშხ., ონიანი 1917:25) — სამყურა სათიბებში იცის („სათიბ სათიბებში იცის")

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში" < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი"

ტრედიფერ კჟახნესჟ ლი ხოჩა გემაშ ლეზობდ (ლშხ., ონიანი 1917:28) — მტრედისფერა კვახია („კვახ-ნესვ-ი-ა") საჭმელად ძალიან გემრიელი („კარგი გემ-ო-სი საჭმელად")

ჟაციწჟერ (ლშხ.) < ქართ. (ზმ. რაჭ., ფშ.) ვაც-ი-წვერ-ა „ძიგვა, ფამფარა" (შდრ. სვან. **ჭაფხჟირ**).

არაკდ არი, ერე მეთხჟäარას ლოქ ე **ჟაციწჟერ** მო ხეთხოლდეხ ლაგდურდ კოჯარქა, ღო ლოქ ლითხჟäარს დეშერ იჩმგნი (ლშხ., ონიანი 1917:3-4) — ნათქვამია („არაკ-ად არის"), მონადირეებს ხელის მოსაკიდებლად კლდეებზე ვაციწვერა რომ არ ხვდებოდეთ („მოეპოვებოდეთ"), („მერეო") ვერავინ ვერ ინადირებსო

ქათნაცერ (ლშხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (შდრ. ბქ. **მესგჟლა**)

ქათნაცერᴵსᴵ ... კჺლთხი კელ ხār ქანშāლ ი გიმბაშшāლ კაკლარს იჯდე ... (ლშხ., ონიანი 1917:29) — ნაცარქათამას მაღალი ღერო აქვს კანაფივით და კანაფის თესლივით მარცვლები გამოაქვს.

აღნიშნული კომპოზიტი ქვემოსვანურში იმერულიდან ჩანს ნასესხები. ზემოსვანურ დიალექტებ-

ში კი ქართული ნაცარქათამას გამოსახატავად საკუთრივ სვანური ლექსემა (**მესგუ̈ლა**) დასტურდება.

როგორც ცნობილია, „ნასესხები მასალა სვანურში შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენიდან, არამედ დიალექტებიდანაც (შდრ. ბზ. **ჩაბა̈ნა̈ლ** „მარცვლეულის საწყაო“ < მესხ. ჩანალ-ი < სალიტ. ქართ. ჩანახ-ი < თურქ. **čanak** „თიხის ჭურჭელი“). ამ მხრივ განსაკუთრებით შეიმჩნევა ქართული ენის დასავლურ კილო-თქმათა მონაცემების სიმრავლე. სხვაობაა თვით სვანური ენის დიალექტების შიგნითაც: ლაშხურსა და ლენტეხურში გაცილებით მეტია ქართული ნასესხობანი, ვიდრე ბალსზემოურ დიალექტში, ხოლო ბალსქვემოურში უფრო ჭარბობს მეგრული ლექსიკა“ (საღლიანი 2004-2005:150).

წიმწა̈რ (ზს., ლნტ.)/**წიმწარ/ძინწარ** (ლშხ.) < ქართ. ძირ-მწარ-ა/ე, (იმერ., მესხ.) ძიმ-წარ-ა „ერთგვარი ბალახი“.

ძინწარ[ი] ... ძირს შდიქრე მაზიგი ჟაგდ იჴმარიხ (ლშხ., ონიანი 1917:36) — ძირმწარას ფესვს („**ძირ-ს**“) კბილის ტკივილის წამლად იყენებენ („ხმარობენ“).

წიმწარ მგლნი ბალახ ლი მე̄უარ ი ამშა ძირს შდიქრე მაზიგი ჟაგარდ იჴმარიხ (ლშხ., ონიანი 1917:37) — ძირმწარა მეტისმეტად მწარე ბალახია და ამის ფესვს (**ძირ-ს**) კბილის ტკივილის წამლად იყენებენ.

გარდა იმისა, რომ საანალიზო კომპოზიტში -ა ხმოვანია მოკვეცილი, მომხდარია სხვა სახის ცვლილებებიც, კერძოდ: პირველ რიგში ადგილი აქვს ასიმილაციის პროცესს (ქართ. **ძწ** > სვან. **წწ**), ამასთანავე შეინიშნება ლაშხურ დიალექტში **მ/ნ** (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა და **რ** თანხმოვნის დაკარგვა სვანური ენის ყველა დიალექტში. ზემოსვანური და ლენტეხური ფორმის (**წიმწა̈რ**) აუსლაუტში გამოვლენილი უმლაუტიანი ხმოვანი გამოწვეულია ქართული სუფიქსისეული **ე** ხმოვნის გავლენით (ა+ე).

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: (ზს., ლნტ.) **წიმწა̈რ** < **ძიმწა̈რ** < **ძირმწა̈რ** < **ძირმწარე**. თუკი სვანური ლექსემა ქართული **ძირმწარა** ფორმისგან მივიღეთ, მაშინ **ა̈**'ს უმლაუტი ნამდვილად მოულოდნელი იქნება, ვინაიდან „უმლაუტის ეს სახე (ე. ი. მოულოდნელი უმლაუტი) არ ემორჩილება სვანური უმლაუტებისათვის დღემდე დადგენილ რაიმე კანონზომიერებას“ (საღლიანი 2005:74). მ. ქალდანის აზრით, ა̈'ს უმლაუტი ამგვარ ფორმებში (შდრ. სვან. **ბარა̈ქ** < ქართ. ბარაქა, სვან. **ბეგა̈რ** < ქართ. ბეგარა, სვან. **და̈ფ** < ქართ. დაფა, სვან. **ქანდა̈რ** < ქართ. ქანდარა და ა. შ.) არ არის გამოწვეული რომელიმე მომდევნო ვიწრო ხმოვნის ზეგავლენით (ქალდანი 1959:218).

ხა̈რზილ/ჴა̈რზილ (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ჴარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.)/ **ხარძილ** (ჩოლ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ხარძილ ბალახ ლი დამბალო̄ლ (ლშხ., ონიანი 1917:40) — ხარისძირა დაბალი ბალახია.

ხარძირ ქო̄ლბდ ჭედნი ი ამშა ძირს ... იჴმარიხ (ლშხ., იქვე) — ხარისძირა ბუჩქად ამოდის და ამის ფესვს („**ძირ-ს**“) ხმარობენ.

სვანურ ფუძეებში, პირველ რიგში, ხელშესახებია სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობა (სვან. **ლ**: ქართ. **რ**), ამასთანავე, ადგილი აქვს დეზაფრიკატიზაციის პროცესს ზემოსვანურ დიალექტებში (**ხა̈რზილ /ჴა̈რზილ** (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.), ე. ი. **ძ** > **ზ**), ხოლო ქვემოსვანურ დიალექტებში ეს პროცესი არ შეინიშნება (**ხარძილ/ხარძირ/ჴარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.)/**ხარძილ** (ჩოლ.)). ერთცნებიანი, ფუძეგანსხვავებული კომპოზიტის პირველ ნაწილში (**ხა̈რზილ/ჴა̈რზილ** (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.)) დადასტურებული უმლაუტიანი ხმოვანი მსაზღვრელის ბრუნვის, კერძოდ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტის მოკვეცის შედეგია. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯერ თანხმოვნითი, ხოლო შემდეგ ხმოვნითი ელემენტის მოკვეცა დასტურდება უძველეს კომპოზიტებში (ტოპონიმები, კვირის დღეთა თუ მცენარეთა სახელწოდებები) და ზმნისართებთან ან თანდებულებთან მართვით დაკავში-

რებისას (ჩანტლაძე 1998:25-26).

ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობასთან, რასაც ჭ-იანი ფორმების (**ჭäრზილ, ჭარძილ, ჭäრძილ**) არსებობაც უჭერს მხარს (შდრ. ძვ. ქართ. **ჭარი**).

საანალიზო ლექსემებში ფონეტიკურ პროცესთა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგი სურათი იხატება: ქართ. ***ჭარ-ის-ძირ-ა** > სვან. (ზს.) **ჭარ-ის-ძირ** > **ჭარ-ი-ძირ** > **ჭäრ-ძილ** > **ჭäრ-ზილ** ან ქართ. **ხარ-ის-ძირ-ა** > სვან. (ბზ.) **ხარ-ის-ძირ** > **ხარ-ი-ძირ** > **ხäრ-ძილ** > **ხäრ-ზილ**.

ბ) მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის ფორმანტი არაერთი რთული შედგენილობის ფუძეში:

ზაკალ/ბზაკა/äლ (ზს.) „ბზა" < მეგრ. ბზაკალ-ი, ზაკალ-ი, ზაკა-ი „ბზა" < ქართ. *ბზა-ეკალ-ი.

ზაკალ შუäნსი ჩუ წუა (ბქ.) — ბზა სვანეთშიც არის („მოიპოვება").

კახგმბალ (ლშხ.)/**კახგმბäლ** (ლნტ.)/**კახამბალ** (ჩოლ.) < ქართ. (გურ., იმერ.) კახამბალი, (ლეჩხ., გურ.) კახა-ბალ-ი „თეთრი, მსხვილი, ბლის ჯიში".

კახგმბალ ლი მენგრე ჲებ (ლშხ., ონიანი 1917:10)— კახამბალი არის მსხვილი ბალი.

ოქროცხალ (ლშხ.)/**ოქრეცხალ** (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ა/ი.

ოქროცხალ ხოჩა გემაშ იცხ ლი (ლშხ.) — *ოქრომსხალა გემრიელი („კარგი **გემო-ს**") მსხალია.

საანალიზო ლექსემის ქართული ენიდან მომდინარეობა აშკარაა, თუმცა ქართულში დღესდღეობით აღნიშნული კომპოზიტი არ გამოიყენება, ყოველ შემთხვევაში ვერც ერთ ლექსიკონში ვერ დავადასტურეთ. ლაშხურში კომპოზიტის პირველი ნაწილი (**ოქრო**) უცვლელად არის შეთვისებული ქართულიდან, ხოლო ჩოლურულში მოკვეცილია აუსლაუტისეული **ო** ხმოვანი, სამაგიეროდ დართული აქვს საკუთრივ სვანური ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ელემენტი ე, თანხმოვნითი ნაწილი კი, როგორც წესი, დაკარგულია. რაც შეეხება რთული კომპოზიტის მეორე ნაწილს (ცხალ), იგი, როგორც ცნობილია, ქართ. **მსხალ-** სიტყვის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია (სვან. **ცხ-ალ** < ქართ. **მსხ-ალ-**). სვანურში თავკიდურა პოზიციაში თანხმოვნის წინ დაკარგულია თანხმოვანი მ.

სეფსკ'უ'ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კიდობანა, ჰანჭყატა" < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ალე მეგემ ლი, ლäშხარ მუნგიროლს ხაყლეხ, ლატლარ — **სეფსკუერს** (ლშხ., ონიანი 1917:26) — ეს ხეა, ლაშხელები **მუნგიროლ**'ს ეძახიან, ლატალელები — სეფისკვერს.

საგულისხმოა, რომ სვანური ენის დიალექტებში **სეფსკუერ** ლექსემა მცენარის სახელწოდებად გამოიყენება. მსგავსი მოვლენა ვერც ერთ ქართველურ ენაში ვერ დავაფიქსირეთ.

ქართველურ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობა, როგორც ვხედავთ, თვალსაჩინოა, თუმცა მნიშვნელობა საკმაოდ განსხვავებულია.

შუიდკუირჲან (ლშხ.) < ქართ. *შვიდ-კვირ-იან-ი „ბუშტარა სიმინდი", (იმერ.) შვიდ-კვირ-ევ-ა, (რაჭ.) შვიდ-კვირ-ეულ-ა.

შუიდკუირჲან ... სიმინდ ლი კოჰოლ ტანაშ (ლშხ., ონიანი 1917, 33) — შვიდკვირიანი სიმინდია პატარა ტანისა.

შუიდკუირან ბოლოკ (ლშხ.) < ქართ. შვიდ-კვირ-იან-ი ბოლოკ-ი.

ჩალäმ-კალäმ (ბზ.)/**ჩალამ-კალამ** (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ჩალამ-კალამ-ი, (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) კალამ-ი „შალაფა). შდრ. მეგრ. ჩალამი-კალამი „ლერწამი" — მისგან ამზადებენ საკრავ ლარჭებს (მაკალათია 1992:256).

äმირან, **ჩალäმ-კალäმსა**, ჰაუ ჰალäგსა, ბäდრს, უისიბსა მოკლე ხანგäრ ჩეგებსა (სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 35:26-27) — ამირან, ჩალამ-კალამსა, ჰავ ღობესა, ბადრის, უსუპს მოკლე ხანგარი ჩეგებსა.

ბალსზემოური კომპოზიტის ორივე შემადგენელი კომპონენტი უმლაუტიზირებულია, რაც გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვით (ბზ. **ჩალა̈მ-კალა̈მ** < ქართ. ჩალამი-კალამ-ი).

გ) ა-ზე დაბოლოებულ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელთა უმრავლესობას დაერთვის სახელობითი ბრუნვის მაწარმოებელი (კერძოდ **-ჲ** ალომორფი):

ასისთაჳაჲ (ლშხ.) < ქართ. (კახ., მესხ., აჭარ.) ასის-თავა „ნაღველა" (შდრ. სვან. **არსთაჳ**).

მაშრი ბალარ ხა̄რ, გეგჳ შალჳარს ხაჯეშ; ქარი ჟაგ ლი (ლშხ., ონიანი 1917:1) — ფართო ფოთლები აქვს, გუგულის შარვალას გავს; რევმატიზმების („ქარ-ი⸢ს⸣") წამალია.

ბურტყელაჲ (ლშხ.) < ქართ. (გურ.) **ბურტყულა** „ფუჩფუჩა", (ზ. აჭარ., ლეჩხ.) **ბურტყალე** „ფრთაშეჭრილა".

ბურტყელაჲ კჳლთხი ლი, თხუმჳარს იჯდე ალ ბალახ (ლშხ., ონიანი 1917:1) — **ბურტყულა** მაღალია, თავებს იკეთებს („გამოიტანს ხოლმე") ეს ბალახი.

როგორც ჩანს, ადგილი აქვს ხმოვანთმონაცვლეობას — ქართ. **ბურტყულა** : სვან. **ბურტყელაჲ**, რაც ქართულიდან ნასესხებ ფორმებში არც თუ ისე იშვიათია (შდრ.: ქართ. გომიჯ-ი „ცოტათი მოგრძო, ერთ მხარეს სქელი და მეორე მხარეს თხელი პური; ფეტვის მჭადი" : სვან. (ბზ., ლნტ.) გომეჯ; ქართ. ოტურ-ი ქლიავი : სვან. (ლშხ.) ორტოლ-ი/ჳორტოლ-ი; ქართ. ქისა : სვან. (ბზ.) ქჷსა, (ბქ., ქს.) ქესა და სხვ.).

ბურტყილაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., იმერ., გურ.) **ბურტყილა** „ფუჩფუჩა"

ბურტყილაჲ ფხალ ლი ლეზობ, გიმჟი არი ი მაშრი ბალარ ხა̄რ (ლშხ., ონიანი 1917:1) — **ბურტყილა** საჭმელი ბალახია, მიწაზეა და ფართო ფოთლები აქვს

გეტკეცაჲ (ლშხ.) „ერთგვარი მხალია" < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) **ტკე⸢ც⸣-ტკეც-ა** „კლდის დუმა (მცენარეა)"

გეტკეცაჲ⸢ს⸣ სგელ ბალე ხა̄რ, მუსგჳენ ი მუქჳრუხ (ლშხ., ონიანი 1917:7) — **ტკეტკეცას** მსხვილი ფოთოლი აქვს, სწორი და რუხი

ჩვენი აზრით, სიტყვის დასაწყისში ჯერ **ტკ** კომპლექსი უნდა გამარტივებულიყო — **ტკ** → **კ** (შდრ. ქართ. **მტკაველ-** „მტკაველი": სვან. (ზს.) **კამინ**, (ლშხ.) **კამგლ**, (ლნტ.) **კამილ** „მტკაველი"; სვან. **კიბ-ნ-**‖**კიმბ-** „ტკეპნა" ← ქართ. **ტკეპ-**‖**ტკეპ-** „ტკეპნა"; სვან. (ბქ.) **კეც** „წნელი" ← ქართ. **ტკეჩ-ი** და ა. შ.), ხოლო შემდეგ **კ** → **გ**; **კ** → **გ** პროცესი სამეცნიერო ლიტერატურაში ახსნილია, როგორც მკვეთრთა პოზიციურ-დისიმილაციური გამჟღერება (შდრ. ქართ. **ტუტა** → სვან. **დგტ**; ქართ. **ჭაჭა** : სვან. **ჯა̈ჭ**; ქართ. **კაწ-არ-ი** „ბრჭყალი" : სვან. **გაწ-რ** „წვივი"; ქართ. **კოწ-ოლ-ი** „ცეცხლის ალი" : სვან. **კოჭ-ობ-ი** „ჭრაქი"... გ. როგავა, მ. ჩუხუა)

გეყრუ⸢ა⸣ჲ (ბზ.) „დიდგულა" < ზან. (მეგრ.) გე-ყრუ-ა-ჲ < ქართ. (ზმ. იმერ.) გულ-ყრუ, გულ-ყურ-ო; შდრ. ერწ.-თნ. ყრუ-ა ხე, ლეჩხ., რაჭ. ხე-ყრუ-ა

დათუხალაჲ (ბზ.) < ქართ. (რაჭ., იმერ.) დათვ-ი-ხალ-ა „თამელი", შდრ. რაჭ., იმერ. დათვ-ი-მსხალ-ა, გურ. დათვ-ის-ხალ-ა-ჲ „მსხლის ჯიშია"; გურ., აჭარ. დათვ-ა-მსხალ-ა „თამელი"

დათუხალაჲ მეგემ ლი ქილჲაჳდ ხოშა ი შდიხზუმ კაკლარ ხა̄რ (ლშხ., ონიანი 1917:8) — დათვისთხილა ქლიავზე უფრო დიდი ხეა და თხილისოდენა მარცვლები აქვს

თხიფსალაჲ (ლშხ.) „დათვის მოცვი" < ქართ. (გურ.) თხ-ი-ფსალ-ა, (ქართლ., ლეჩხ., რაჭ., აჭარ., გურ., კახ.) თხ-ი-ფსელ-ა, (თუშ.) თხ-ა-ფსელ-ა „კვიდო, ხეჭრელი" (შდრ. სვან. **გეყრუჲ**, **თჳეფილა**, **თოფრა**, **კჳკჳნდ**)

კაცისთაჳაჲ (ლშხ.) .< ქართ. კაც-ის-თავ-ა „საშემოდგომო მსხვილი მსხალი"; შდრ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) კაცთავა/კაცი⸢ს⸣თავა, (ოკრიბ.) კაცისთავა; კაცითაჳაი (შ. ფუტკარაძე) (შდრ. ბქ. **გჳაბა**)

კაცისთაჳაჲ იცხ ლი მენგრე (ლშხ., ონიანი 1917:10) — კაცისთავა მსხვილი მსხალია

კჳარა-კუნჩხაჲ/კჳარან-კუნჩხაჲ (ლშხ.)/**კჳარან-კუჩხაჲ** (ჩოლ.) < ქართ. (ქვ. იმერ., გურ.) კვარა-კუნჩხ-ა „ქართული ყოჩივარდა" (შდრ. მეგრ. კარა-კუნჩხ-ა)

კჳარა-კუნჩხაჲ˹ს˺ ...: ყჳითელ მეღჳჲარ ხა̄რ კჳთხი (ლშხ., ონიანი 1917:11) — კვარა-კუნჩხას ოთხკუთხედი ყვითელი ყვავილები აქვს.

ლაშხურსა და ჩოლურულში განვითარებული ჩანს სონორი **ნ** საანალიზო ლექსემის პირველი ნაწილის აუსლაუტში (**კჳარან**), ამასთანავე, ჩოლურულში **ნ** სონორივე ჩანს დაკარგული აღნიშნული კომპოზიტის მეორე ნაწილის ინლაუტში (**კუჩხაჲ**).

კჳარკჳალიტაჲ (ლშხ.) „სარეველა ბალახი", „წვრილი ცერცვი" < ქართ. (იმერ.) კვარ-კვალ-˹იტ˺-ა, (ლეჩხ., გურ.) კვარ-კვალიტ-ე „ცერცველა (სარეველა ბალახია)". შდრ. სვან. **მეჭჩგლ, მგღდერილ**.

კჳარკჳალიტაჲ˹ს˺ ... ბა̄რდ ხა̄რ ი პარკალ ნეცინ ღედერშა̄ლ (ლშხ., ონიანი 1917:11) — კვარკვალიტას ბარდი აქვს და წვრილი გარეკანი („პარკ-ებ-ი") ბარდასავით.

კჳახნესჳაჲ (ლშხ.) „გოგრა" < ქართ. *კვახ-ნესვ-ი.

მაგ **კჳახნესჳაჲ** ბესშე̄რალ — ყველა გოგრიჭამია ბესისანები (ლშხ., სვ. პოეზ., 208:24).

ლაშხური **კჳახნესჳაჲ** აშკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ნესჳ-** არქეტიპი, რომლის შესატყვისად სწორედ კომპოზიტური შედგენილობის კჳახ-**ნესგ** სიტყვაში შემონახული სვანური ერთეული (-**ნესგ**) მიაჩნიათ (ჩუხუა 2000-2003:169).

მზისუმზირაჲ (ლშხ.) < ქართ. მზე-ს-უ-მზირ-ა (შდრ. ლშხ. **მგჷე̄მგსგდი**)

პიმპილაჲ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., იმერ., გურ.) პიმ-პილ-ი, (რაჭ.) პიპ-ილ-ა, პიმ-პილ-ა, (აჭარ.) პირ-პილ-ო, (ინგ.) პირ-პილ „წიწაკა"

ქალაკოდა̈˹ჲ˺ (ბქ., ლნტ.)/**ქალაკოდაჲ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., იმერ.) ქალა-კოდა „ნიუკა, მცენარეა; საჭმელი სოკო" (შდრ. სვან. **ლაკოდა**)

ქალაკოდა̈ჲ˹ს˺... ტე̄ლე̄ფიდ ხოჯეშ ბალარ ... (ლშხ., ონიანი 1917:29) — ქალაკოდას ღოლოსთვის მიუგავს ფოთლები

ქალა̈კუდა̈ჲ (ბზ.) < ქართ. (რაჭ.) ქალა-კუდ-ა „ბალახეული მცენარეა"

ჟა̈გ-ნა̈ჟგუნ მოლრე ჟახა̈ლ ˹ლიხ˺: ... ბჷრღჷ̄ რ ბალე, **ქალა̈კუდა̈ჲ** ძირ, ღეჭ... (სვან. ქრესტ., 1978, 141:41) — სამკურნალო ბალახების სახელებია: ბუერას ფოთოლი, ქალაკუდას ძირი, დუცი.

ქალშაჳაჲ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ.) ქალ-შავ-ა „თეთრყვავილა ლაშქარა". შდრ. მეგრ. ქარშავე

ქალშაჳაჲ მერხელს ხაჯეშ, ხოშულ ბალარ ხა̄რ ი ლეზობ ფხალ ლი (ლშხ., ონიანი 1917:29) — ქალშავა ჭინჭარს ჰგავს, უფრო დიდი ფოთლები აქვს და საჭმელი ფხალია

ქრისდე̄სისხლაჲ (ლშხ.) < ქართ. ქრისტე-სისხლ-ა „მრავალწლოვანი ბალახი ყაყაჩოსებრთა ოჯახისა", (გურ.) ქრისტე-ს სისხლ-ა-ი „ბალახეული მცენარეა ერთგვარი" (შდრ. სვან. **მგღფი მელილდ, ჭედიშ მელილდ**). ადგილი აქვს დისიმილაციურ გამჟღერებას: **სტ > სდ**.

ქრისდე̄სისხლაჲ˹ს˺ ნეცინ ლგკცანჲელე ბალჾლარ ხა̄რ, კელ — ფაფიაჲ (ლშხ., ონიანი 1917:31) — ქრისტესისხლას წვრილი დაკეპილი ფოთლები აქვს, ღერო — განიერი.

ღოშუბლაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) ხბო-შუბლ-ა „სასტვენა"; ქართლ. ხბო-შუბლ-ა „ჩვეულებრივი ცერცველა"

ღოშუბლაჲ˹ს˺ ... ჭარხლი მაჯჾნ ბალე ხა̄რ, ფხალდ იხჷრიხ ი იზბიხ მგჯაბს (ლშხ., ლუშნუ ონიანი 1917, 31) — ხბოშუბლას ჭარხლის მსგავსი ფოთოლი აქვს, ფხლად კრეფენ და მოხარშულს ჭამენ.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებული კომპოზიტი ხბო-შუბლ-ა და სვანური, კერძოდ, ლაშხური, **ღოშუბლაჲ** ერთი და იგივე კომპოზიტია, სადაც გამოიყოფა ორი ფუძე: **ღო-** და

შუბლ-ა. მეორე ნაწილი, როგორც ვხედავთ, უცვლელად არის შეთვისებული სვანურში, რასაც ვერ ვიტყვით კომპოზიტის პირველ შემადგენელ ნაწილზე (**ღო-**), რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა საკუთრივ სვანური **ღუნ** „ხბო" ლექსემისგან მომდინარეობდეს (**ღო-** < **ღუნ**), და, მეორეს მხრივ: **ღო** < ***ღბო** < ქართ. **ხბო**.

ყურჭუმელაჲ (ლშხ.) < ქართ. (იმერ., რაჭ., ლეჩხ.) ყურ-წუმელა „ეკალღიჭი; კურკანტელა; ძლიერ შავი, გადამწიფებული ხილი", შდრ. იმერ., რაჭ., ლეჩხ. ბურწუმელა, კურწუმელა; ბურწუმელი (საბა) და (ზ. რაჭ.) ყურჭუმალა „ძალიან მწიფე ხილი"

ყურჭუმელაჲ⌈ს⌉ ... თუთუნდ ხოჯეშ ბალარ ი გიმჲი ხადღაბაჳა, გჳამი ბალე ხა̄რ (ლშხ., ონიანი 1917, 32) — ყურწუმელას თუთუნისთვის მიუგავს ფოთლები და მიწაზეა გართხმული, მძიმე ფოთოლი აქვს.

მართალია, საანალიზო კომპოზიტში **წ—ჭ** ბგერათშესატყვისობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში **ჭ**-ს შემცველი (**ყურჭუმალა**) ვარიანტიც დასტურდება, ამიტომ შეუძლებელია სვანურ-ქართულ ფორმათა საერთოქართველურ დონეზე აღდგენა.

ყჳაჳიფჩხილაჲ (ლშხ.) < ქართ. (მესხ., ქიზ.) ყვავ-ი-ფრჩხილ-ა „კოფრჩხილა", (რაჭ., ზმ. იმერ.) ყვავ-ის-ფრჩხილ-ა „ოფოფა, მდელოს მატკვარცანა".

ყჳაჳიფჩხილაჲ⌈ს⌉ ... ნეცინ ბალარ ხა̄რ, ჳოხრახუში მაჯო̄ნ ბალახ ლი (ლშხ., ონიანი 1917:32) — ყვავიფრჩხილას წვრილი ფოთლები აქვს, ოხრახუშის მსგავსი ბალახია

შაჳბალახაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ., გურ., ფშ.) შავ-ბალახ-ა „თეთრყვავილა ლაშქარა, შავწამალა, გობისცხვირა თავშავა, შმაგა (შდრ. სვან. **მატატა‖მათათა**)

შაჳბალახაჲ მერხელს ხაჯეშ (ლშხ., ონიანი 1917:32) — შავბალახა ჭინჭარს ჰგავს.

შაჳფსხალაჲ (ლშხ.)[1] „მსხლის ჯიში" < ქართ. *შავ-მსხალ-ა (**მ** > **ფ**)

შაჳფსხალაჲ ... ლი გჳრამბი მაჯო̄ნ (ლშხ., ონიანი 1917, 3) — *შავმსხალა არის გვიმრის მსგავსი

შაჳძირაჲ (ლშხ.) < ქართ. ძირ-შავ-ა

შაჳძირაჲ ... სიყჳითლი ჟაგ ლოქ ლი (ლშხ., ონიანი 1917:33) — ძირშავა სიყვითლის წამალიაო.

სვანური, კერძოდ, ლაშხური **შაჳძირაჲ** ქართული ძირ-შავ-ა'ს მეტათეზირებული სახეობა ჩანს.

ძირწითელაჲ (ლშხ.) < ქართ. (იმერ., გურ.) ძირ-წითელ-ა‖წითელ-ძირ-ა „მსუქანა, წითელძირა" (შდრ. სვან. **მუსტუნილ**)

ძირწითელაჲ დამბალ ბალახ ლი ი გიმს ერ ხეფშენი, ეჩქა ჴედნი (ლშხ., ონიანი 1917:36) — ძირწითელა დაბალი ბალახია და მიწა რომ იღლება, მაშინ ამოდის

ხარიკბილაჲ (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ხარ-ის-კბილ-ა „ცხენისკბილა სოკო"

ხარიკბილაჲ სოკ ლი, არყაჲ სოკს ხაჯეშ, მგტყაბს ლეზობდ ხაყა (ლშხ., ონიანი 1917:27, 40) — ხარ-ი-კბილ-ა სოკოა, არყა სოკოს ჰგავს, შემწვარი საჭმელად ვარგა.

ჯაშკუტაჲ (ლშხ.) < ქართ. (ქვ. იმერ., გურ.) ჯაშკუტა „ღვედკეცი", შდრ. მეგრ. ჯაშქვიდუ.

ჯაშკუტაჲ მეგემ ლი ... ი ჟი ხეჭო̄ნი მეგემს სჳროშა̄ლ (ლშხ., ონიანი 1917:39) — ჯაშკუტა ხეა და სუროსავით შემოეხვევა ხოლმე ხეს.

ჯორტერფაჲ (ლშხ., ჩოლ.)/**ჯორტელფაჲ** (ლშხ.)/**ჯარსტეფლაჲ** (ლშხ.)/**ჯჳალტელფაჲ** (ჩოლ.) „ვირისტერფა" < ქართ. (გურ., კახ., რაჭ.) ჯორ⌈ის⌉-ტერფ-ა; შდრ. ლეჩხ. ჯორტოფა, ჯორტოფილა (შდრ. სვან. **მგჭშდჳა̈რილ**).

ჯარსტეფლაჲ ... ბალახ ლი (ლშხ., ონიანი 1917:39) — ჯორისტერფა ბალახია; **ჯორტელფაჲ⌈ს⌉**

[1] სვანურში „შავი" ფერის გადმოსაცემად გამოიყენება „წვის, ნახშირის" აღმნიშვნელი საერთოქართველური ძირი -**შიხ**.: **მე-შხ-ე**, მაგრამ შედარებით გვიანდელ ნასესხობებში დასტურდება ქართ. **შავ**: მაგ. ზს. **შაჳბედ** — „შავი ბედი", ბზ. **შაჳგურმა̈ლ**, ბქ. **შეგურმა̈ნ**, ლშხ. **შეჳგჳრემან**, ლნტ. **შაჳგურმა̈ნ** „შავგვრემანი", ბზ., ლშხ. **შაჳლეშდე** „დასაწყევლი", ბქ. **შაჳრა̈ხ** „შავტუხა" (საღლიანი 2005:128).

... მაშრი ბალარ ხა̄რ (ლშხ., ონიანი 1917:40) — ჯორტერფჳას ფართო ფოთლები აქვს.

ლაშხურ ფორმებში (**ჯორტელფაჲ/ჯარსტეფლაჲ**) ადგილი აქვს დისიმილაციის პროცესს. საერთოდ, როგორც ცნობილია, ორი **რ**-ს შეხვედრისას ლაშხურსა და ლენტეხურში, განსხვავებით ზემოსვანური დიალექტებისგან, თითქმის ყოველთვის გვაქვს დისიმილირებული ფორმები (ყღენტი 1949:164).

საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე ლაშხურივე ფორმაში — **ჯარსტეფლაჲ**, სადაც შემორჩენილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული არა ხმოვნითი, არამედ თანხმოვნითი ელემენტი **ს**[1], რაც იშვიათი მოვლენაა, ვინაიდან, ძირითადად, სწორედ ასეთ კომპოზიტებში ხდება ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტის დაკარგვა ან ზოგჯერ მთელი მარცვლის. **ო**-მ, როგორც ჩანს, ჯერ **ჳა**- მოგვცა, ხოლო შემდეგ **ჳ** დაიკარგა და დაგვრჩა მხოლოდ **ა**, ამისი ნათელი დადასტურებაა ჩოლურული ჯჳალ-ტელფ-ა-ჲ, სადაც **ჳა** < **ო** პროცესის გარდა უნდა განხორციელებულიყო ჯერ დისიმილაცია, ხოლო შემდეგ ასიმილაციის პროცესი (< **ჯჳარ-ტელფ-ა-ჲ** < **ჯორ-˹ის˺-ტერფ-ა**“).

ჯიხორხაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) გლი-ხორხ-ა, მგლ-ის-ხორხ-ა „თეთრი ნარი“ (საბა). შდრ. ბქ. **ყერიშ ცა̈გ**.

ჯიხორხაჲს˺ მაშრი ბალარ ხოხალ მანკჳ ი ეჩანღო ჟი იცხემ (ლშხ., ონიანი 1917:40) — გლიხორხას თავდაპირველად ფართო ფოთლები აქვს („იცის“) და მერე გაიზრდება ხოლმე.

რა შეიძლება ითქვას ლაშხური **ჯიხორხაჲ**-ის შესახებ? ჩვენი აზრით, კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი (**ხორხ-ა-ჲ**) უცვლელადაა ნასესხები ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან, ხოლო პირველი ნაწილი მიღებულია ქართული **გლი**-საგან (< **მგლ-ისაგან**) პალატალიზაცია-აფრიკატიზაციისა და თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში -ლ-ს დაკარგვის შედეგად.

ფონეტიკური პროცესები, რომლებიც საანალიზო ლექსემამ (**ჯიხორხაჲ**) სვანურში სესხების პროცესში განიცადა, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ჯიხორხაჲ** < **ჯიხორხა** < **ჯლიხორხა** < **გლიხორხა**

ჯიჯლაყაჲ (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. ჯიჯ-ლაყ-ა, (იმერ., გურ.) ჯიჯილაყა, (აჭარ.) ჭიჭილაყა (შდრ. ბზ. **გა̈ბროლ**, ბქ. **გერბლა**)

ჯიჯლაყა, ვ. თოფურიას აზრით, სწორად აქვს გაანალიზებული ივ. ჯავახიშვილს და მიაჩნია, რომ შედგება ორი ნაწილისაგან: **ჯიჯ** (= მეგრ. **ჯინჯი** „ძირი“) და **ლაყე** (ცარიელი) (თოფურია 1979:262).

დ) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ რამდენიმე კომპოზიტში ადგილი აქვს ხმოვანთა რედუქციას:

თხგფსე̄ლ (ჩოლ.) „დათვის მოცვი“ < ქართ. (ქართლ., ლეჩხ., რაჭ., აჭარ., გურ., კახ.) თხ-ი-ფსელ-ა, (თუშ.) თხ-ა-ფსელ-ა „კვიდო, ხეჭრელი“, (გურ.) თხ-ი-ფსალ-ა, (შდრ. სვან. **გეყრუჲ**, **თჳეფილა**, **თოფრა**, **ძგძგნდ**).

როგორც ირკვევა, რედუცირებულია საანალიზო კომპოზიტის პირველი ნაწილი (სვან. **თხგ**-: ქართ. თხი-), ხოლო მეორე ნაწილში (**ფსე̄ლ**) ადგილი აქვს ხმოვნის სიგრძეს, რომლის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს. როგორც ცნობილია, სვანურში გამოიყოფა ორი სახის სიგრძე: პირველადი, ანუ ისტორიული და მეორეული, ანუ პოზიციით შეპირობებული, თუმცა დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ნასესხებ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს (მაგ.: **ამე̄ნ** (ბზ., ლშხ.)! < ქართ. ამინ! **ბედნიე̄რ/ბედნია̄რ** (ბზ.) < ქართ. ბედ-ნ-იერ-ი; **გო̄ჯ** (ლშხ.) < ქართ. გოჯ-ი, **თეკე̄რ** (ლშხ.) < ქართ. (რაჭ.) თეკერა „მთის ნეკერჩხალი“ და ა. შ.)[2]. მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე **თხგფსე̄ლ** კომპოზიტშიც.

[1] მსგავსი მოვლენა გვაქვს **ხეფსკ˹ჳ˺ერ** (ზს., ქს.) ლექსემაშიც, რომელიც < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

[2] იხ. მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, 2005:99-102.

კახჷმბალ (ლშხ.)/**კახჷმბäლ** (ლნტ.)/**კახამბალ** (ჩოლ.) < ქართ. (გურ., იმერ.) კახამბალი, (ლეჩხ., გურ.) კახა-ბალ-ი „თეთრი, მსხვილი, ბლის ჯიში“ (სვან. ჷ: ქართ. ა).

მჷწა/ეჳäშ (ბქ.)/**მიწაჳაშ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ ჳისგ** (სვან. ჷ: ქართ. ი).

მჷწა/ეჳäშ წნეჳიანäრეშდ ლი გჳäმიდ ხოჩა (ბქ.) — მიწავაშლა წნევიანებისთვის არის ძალიან კარგი.

ხმოვანთა რედუქცია, როგორც წესი, ნასესხებ სიტყვებშიც მოქმედებს, მათ შორის ისეთ სიტყვებში, რომელთა სესხებაც ახლო წარსულის ფაქტს წარმოადგენს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:36). სამეცნიერო ლიტერატურაში, ნასესხები მასალის საფუძველზე, გამოყოფილია რედუქციის რამდენიმე სახე: 1) ა, ä, ე, ო, ჷ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში, 2) ა, ä, ე, ო ხმოვანთა რედუქცია მძიმე ბირთვში ანაპტიქსური ჷ ხმოვნის მონაცვლეობით, 3) ანაპტიქსური ჷ თანხმოვანთგამყარი ხმოვნის როლში, 4) ჳ სონანტთან მონაცვლე ბაგისმიერ ხმოვანთა რედუქცია მსუბუქ ბირთვში, რის საფუძველზეც დადგენილია, რომ „ხმოვანთა რედუქციის მექანიზმი სვანური ენის ნასესხებ ფუძეებშიც თითქმის ისეთსავე სურათს იძლევა, როგორც ძირეულ სვანურ ფუძეებში“ (საღლიანი 2005:229-239).

სეფსკ'ჳ'ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კიდობანა, ჰანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი

ხäრზილ/ჴäრზილ (ბზ.)/**ჴäრზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ** (ლშხ.)/**ხäრძილ/ჴäრძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა და ა. შ.

ე) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში ზოგჯერ გვაქვს, აგრეთვე, თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები:

ზაკალ/ბზაკა/äლ (ზს.) „ბზა“ < ქართ. *ბზა-ეკალ-ი. შდრ. მეგრ. ბზაკალ-ი, ზაკალ-ი, ზაკა-ი „ბზა“.

მჷწა/ეჳäშ (ბქ.)/**მიწაჳაშ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა; შდრ. ბქ. **გიმიშ ჳისგ**.

ოქრეცხალ (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ი.

სეფსკ'ჳ'ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კიდობანა, ჰანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“.

ქათნაცერ/ქათნაცერად (ლშხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (შდრ. ბქ. **მესგჳლა**), თუმცა არ გამოვრიცხავთ აღნიშნული ლექსემის იმერულიდან სესხებასაც.

ვ) როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანია ამოვარდნილი შემდეგ კომპოზიტებში:

სეფსკ'ჳ'ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კიდობანა, ჰანჭყატა“ < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი.

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში“ < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი“ და ა. შ.

ზ) დასტურდება ხმოვანთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა შემდეგ კომპოზიტებში:

ბურტყელად (ლშხ.) < ***ბურტყელე** < ქართ. (ზ. აჭარ., ლეჩხ.) **ბურტყალე** „ფრთაშეჭრილა“, შდრ. (გურ.) **ბურტყულა** „ფუჩფუჩა“ (სვან. ე : ქართ. (გურ.) უ; სვან. ე : ქართ. (ზ. აჭარ., ლეჩხ.) ა). ჩვენი მოსაზრების თანახმად, უფრო მოსალოდნელი იყო აღნიშნული საანალიზო კომპოზიტის ლეჩხუმური დიალექტიდან სესხება.

მჷწა/ეჳäშ (ბქ.)/**მიწაჳაშ** (ლშხ., ჩოლ.) < ქართ. მიწა-ვაშლ-ა (სვან. ე : ქართ. ა); შდრ. ბქ. **გიმიშ ჳისგ**.

ქათნაცერ/ქათნაცერაჲ (ლშხ.)/**ქათნაცერ** (ჩოლ.) < ქართ. ნაცარ-ქათამ-ა, შდრ. იმერ. ქათა-ნაცარ-ა, ქათამ-ნაცარ-ა (სვან. ე : ქართ. ა); შდრ. ბქ. **მესგჳლა**.

ჯარხტეფლაჲ (ლშხ.)/**ჯჳალტელფაჲ** (ჩოლ.) „ვირისტერფა" < ქართ. (გურ., კახ., რაჭ.) ჯორ⌜ის⌝-ტერფ-ა; შდრ. ლეჩხ. ჯორტოფა, ჯორტოფილა (სვან. ა : ქართ. ო); შდრ. სვან. მჷჭშდჳა̈რილ და ა. შ.

თ) შეგვხვდა რთული შედგენილობის რამდენიმე კომპოზიტი, რომლებიც აშკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა დღეს ქართულში არ დასტურდება:

ათისთაჳაჲ (ლშხ.) < ქართ. *ათის-თავ-ა-ჲ

ალ ბალახს თხუმთე ნაღალდ თუთნი მაჯო̄ნ თხუმჳლარ ხა̈რ (ლშხ., ონიანი 1917:1) — ამ ბალახს ზევიოკენ („თხემ-⌜ის⌝-კენ გასწვრივ") თუთუნის მსგავსი თავები (შდრ. ძვ. ქართ. „თხემ-ი") აქვს

გეგო̄შალჳარ (ლშხ.)/**გეგოჲშალჳარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა)

ოქრეცხალ (ჩოლ.) < ქართ. *ოქრო-მსხალ-ი

სეფსკ⌜ჳ⌝ერ (ზს., ქს.), შდრ. ბქ. **სეფისკერ** „კიდობანა, ჰანჭყატა" < ქართ. *სეფ-ის-კვერ-ი

ხუთდალაჲ (ლშხ.) < ქართ. *ხუთ-დაღ-ა

ხუთდალაჲ ძღგდ ღერს იჯდე (ლშხ., ონიანი 1917:40) — ხუთდაღა დიდ ღეროს იკეთებს და ა. შ.

ი) მცენარეთა აღმნიშვნელი ერთადერთი კომპოზიტი დადასტურდა სვანურში, სადაც ადგილი აქვს ლაბიალური ო ხმოვნის წინ წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური) ჳ თანხმოვნის განვითარებას, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ ბილაბიალური შემართვა (საღლიანი 2008:207):

ჳორჟამო (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ.) ორ-ჟამ-ო „დათვიმარწყვა".

ჳორჟამო ... ჟაჳელაჲს ხაჯეშ, მარა ხოშულ ბალარ ხა̈რ (ლშხ., ონიანი 1917:4) — ორჟამო მჟაველას ჰგავს, მაგრამ უფრო დიდი ფოთლები აქვს.

კ) რამდენიმე ნასესხებ კომპოზიტში, რომლის კომპონენტებიც, შედგენილობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია, სავარაუდოდ დაკარგულია მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -ს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ამ ბრუნვის ნიშნის გარეშე ესესხოს სვანურს:

ტრედიფერ (ლშხ.) „გოგრის ჯიში" < ქართ. *მტრედ-ის ფერ-ა; შდრ. აჭ. ტრედ-ის-ფერ-ა „შავი თავთუხი".

ყჳაჳიფჩხილაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ზმ. იმერ.) ყვავ-ის-ფრჩხილ-ა „ოფოფა, მდელოს მატკვარცანა", შდრ. მესხ., ქიზ. ყვავ-ი-ფრჩხილ-ა „კოფრჩხილა".

ხარიკბილაჲ (ლშხ.) < ქართ. (იმერ.) ხარ-ის-კბილ-ა „ცხენისკბილა სოკო".

ხა̈რზილ/ჴა̈რზილ (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ჴარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ჯიხორხაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) გლი-ხორხ-ა, მგლ-ის-ხორხ-ა (საბა).

ლ) აქა-იქ შეინიშნება მარცვლის დაკარგვის შემთხვევებიც:

დათჳხალაჲ (ბზ.) < ქართ. გურ. დათვ-ის-ხალ-ა-ჲ „მსხლის ჯიშია", შდრ. რაჭ., იმერ. დათვ-ი-ხალ-ა „თამელი", რაჭ., იმერ. დათვ-ი-მსხალ-ა, გურ., აჭარ. დათვ-ა-მსხალ-ა „თამელი".

ხა̈რზილ/ჴა̈რზილ (ბზ.)/**ჴა̈რზილ** (ბქ.)/**ხარძილ/ხარძირ/ჴარძილ** (ლშხ.)/**ხა̈რძილ/ჴა̈რძილ** (ლნტ.) < ქართ. ხარ-ის-ძირ-ა.

ჯიხორხაჲ (ლშხ.) < ქართ. მგლ-ის-ხორხ-ა (საბა), შდრ. რაჭ., ლეჩხ. გლი-ხორხ-ა და ა. შ.

მ) ქართულიდან არის შეთვისებული რთული სიტყვის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ფუძე (კერძოდ მეორე):

გეგო̄შალჳარ (ლშხ.)/**გეგოჲშალჳარ** (ლნტ.) < ქართ. *გუგულის შარვალა (მცენარეა).

საანალიზო კომპოზიტის მეორე, კერძოდ საზღვრული ნაწილი (**შალჳარ**) ქართული (**შარვალ**) ფორმის მეტათეზირებული სახეობა ჩანს.

ღოშუბლაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ., იმერ.) ხბო-შუბლ-ა „სასტვენა"; ქართლ. ხბო-შუბლ-ა „ჩვეულებრივი ცერცველა".

ჯიხორხაჲ (ლშხ.) < ქართ. (რაჭ., ლეჩხ.) გლი-ხორხ-ა, მგლ-ის-ხორხ-ა „თეთრი ნარი" (საბა). შდრ. სვან. **ყერიშ ცა̈გ**.

ამრიგად, მცენარეთა აღმნიშვნელი ნასესხები რთული შედგენილობის კომპოზიტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა ერთ ნაწილში თითქმის არავითარი ფონეტიკური ცვლილება არ შეინიშნება, ხოლო ქართულიდან შესულ რთულ ფუძეთა გარკვეულ ჯგუფში დასტურდება მრავალი სახის ფონეტიკური ცვლილებები, კერძოდ:

ა) ძალიან ხშირად გვხდება -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ძირები; ბ) მოკვეცილია სახელობითი ბრუნვის მორფემა არაერთი რთული შედგენილობის ფუძეში; გ) ა-ზე დაბოლოებულ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელთა უმრავლესობას დაერთვის სახელობითი ბრუნვის მორფემა (-ჲ ალოფონი); დ) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში აქა-იქ შეიმჩნევა ხმოვანთა ამოღების რამდენიმე შემთხვევა; ე) ქართულიდან ნასესხებ მცენარეთა აღმნიშვნელ სახელებში აქა-იქ შეიმჩნევა აგრეთვე თანხმოვანთა ამოღების რამდენიმე შემთხვევა; ვ) როგორც თანხმოვანი, ასევე ხმოვანია ამოვარდნილი ზოგ კომპოზიტში; ზ) დასტურდება ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები; თ) რამდენიმე ნასესხებ კომპოზიტში ადგილი აქვს ხმოვანთა რედუქციას; ი) შეგვხვდა რთული შედგენილობის რამდენიმე კომპოზიტი, რომლებიც აშკარად ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა დღეს საკუთრივ ქართულში არ დასტურდება; კ) მცენარეთა აღმნიშვნელი ერთადერთი კომპოზიტი დადასტურდა სვანურში, სადაც ადგილი აქვს ლაბიალური **ო** ხმოვნის წინ წყვილბაგისმიერი (ბილაბიალური) **ჳ** თანხმოვნის განვითარებას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ბილაბიალური შემართვა; ლ) რამდენიმე ნასესხებ ფუძეგანსხვავებულ კომპოზიტში, რომლის კომპონენტებიც, შედგენილობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია, სავარაუდოდ დაკარგულია მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -ს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგი მათგანი ამ ბრუნვის ნიშნის გარეშე ესესხოს სვანურს; მ) აქა-იქ შეინიშნება მარცვლის დაკარგვის შემთხვევებიც; ნ) ქართულიდან არის შეთვისებული რთული სიტყვის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ფუძე (კერძოდ მეორე).

1. 5. ნასესხები ზმნური ძირები სვანურში

ლი-ბა̈რგ-ე (ბზ.)/**ლი-ბარგ-ე** (ბქ.) < ქართ. „⌜გადა⌝ბარგება, ⌜გა⌝მგზავრება, ⌜ა⌝ბარგება"

ლი-ბდ-ა̈ჳ-ი (ზს.)/**ლი-ბედ-ა̈ჳ-ი** (ზს., ლნტ.)/**ლი-ბდ-აჳ-ი** (ლშხ.) < ქართ. გა-ბედ-ვ-ა, შე-ბედ-ვ-ა

ლი-ბურღ-ე (ბქ.)/**ლი-ბო̄რღჳ-ე** (ლშხ.) < ქართ. ბურღ-ვ-ა

ლი-ბოდ-აჳ-ი (ლშხ.)/**ლი-ბოდ-ა̈ჳ-ი** (ლნტ.) < ქართ. ბოდ-ვ-ა

ლი-გა̄-თჳ-ე (ლშხ.)/**ლი-გა-თჳ-ე** (ლნტ.) < ქართ. გა-თავ-ებ-ა (ამ ლექსემაში ადვილი ასახსნელია ა ხმოვნის სიგრძე, როგორც თავ- ძირის ა ხმოვნის რედუქციის შედეგი), შდრ. ბზ. **ლიზგრე**, ზს. **ლიზგრე**.

ლი-გა̈-ზდ-ილ-ე (ბქ.) „აღზრდა“ < ქართ. გა-ზრდ-ა

ლი-გურგუნ-ე (ბზ.)/ლი-გურგჳინ-ე (ზს.)/ლი-გჳირგჳ⌜ი⌝ნ-ე (ქს.) „ჯვრისწერა“ < ქართ. და-გვირგვინ-ებ-ა

ლი-გ-ცხა̈დ-ი (ბქ.) „გამოცხადება“ < ქართ. გან-ცხად-ებ-ა (ქართული პრევერბის თავკიდურა თანხმოვანი მასდარის მაწარმოებლის შემდეგაა მოქცეული, შდრ. ლი-გა̄-თჳ-ე, ლი-გა̈-ზდ-ილ-ე და ა. შ.)

ლი-და̄-წყ-ე (ბზ.)/ლი-და-წყ-ე (ბქ.) „დაწყობა, დალაგება“ < ქართ. და-წყ-ობ-ა

ლი-დდარ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-დდარ-ა̈/ალ (ბქ.) „მედიდურობა, ამპარტავნობა, მეტიჩრობა“ < ქართ. მედიდურ-ობ-ა (შდრ. ქართ. მ-დიდ-არ-ი)

ლი-დდარ-⌜ი⌝ (ზს., ლშხ.)/ლი-დიდა̈რ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-მ-დიდ-რ-ებ-ა

ლი-დლა̈მბ-ი (ზს.)/ლი-დამბალ-ი (ლშხ.)/ლი-დამბა̈ლ-ი (ლნტ.) „დადაბლება, დაქვეითება“ < ქართ. და-დაბლ-ებ-ა

ლი-ეშმაკ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-ეშმაკ-ა̈ლ (ბქ.)/ლი-ჲეშმა-ჳ-ა̄ლ (ლშხ.)/ლი-ეშმა-ჳ-ა̈ლ (ლნტ.) „ეშმაკობა, მოხერხება“ < ქართ. ეშმაკ-ობ-ა < ფალ. **hēšm** „ბოროტი გენია, ავი სული, სატანა“

ლი-ზგნგლა̈გ-ი (ბზ.)/ლი-ზგნდლა̈გ-ი (ბქ.) „ზარ⌜ებ⌝ის რეკვა“ < ქართ. *ზან-ზალაკ-ებ-ა

ლი-თო̈ფ/ლი-თჳეფ (ზს., ლნტ.)/ლი-თოფ (ბქ., ქს.) < ქართ. თოფ-ის სროლა (*თოფ-ობ-ა)

ლი-კე̄ნ-ე (ბზ., ლშხ.)/ლი-კენ-ე (ლნტ.) 1. „შეკონვა, შეხვევა“, 2. „შეგროვება“ < ქართ. ⌜შე⌝-კონ-ვ-ა (შდრ. ბზ. ლიჰჳე̄ნი)

ლი-კთილ-ე/ი (ზს., ლშხ.)/ლი-კეთლ-ე/ლი-კეთილ-ი (ლნტ.) „გამდიდრება; აშენება“ < ქართ. *გა-კეთილ-ებ-ა

ლი-კუნკჳ-ე (ბზ.) „მოღუნვა, მოკუზვა“ < ქართ. (იმერ.) მო-კუკ-ვ-ა, აჭარ. მო-კუნკ-ვ-ა „წელში მოხრა, მოკუზვა“

ლი-კჳმა̈შ-⌜ი⌝ (ზს., ლნტ.)/ლი-კჳმაშ-ი (ლშხ.) „მესაქონლეობა“ < ქართ. კუმაშ-ი < არაბ. **kumaš** „საქონელი“ (შდრ. ბქ. ლიქჳმინგენი)

ლი-ლაგ-აჳ-ი (ლგშხ.)/ლი-ლაგ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. ლაგ-ებ-ა

ლი-ლოც-აჳ-ა̄ლ (ლშხ.)/ლი-ლც-ოჳ-ალ (ბქ.) < ქართ. ლოც-ვ-ა (შდრ. ლი-მზირ/ლი-მზგრ)

ლი-ლყაფ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-ლყაფ-ა̈ლ/ლი-ლყაფ-ელ (ბქ.) „ხუმრობა“ < ქართ. ლაყაფ-ი, ლაყაფ-ობ-ა < სპარს. **laqab**

ლი-ლხნ-ე (ზს., ქს.) < ქართ. მო-ლხენ-ა

ლი-ლგნძლ-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-ლგნძლ-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-ლანძლ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. ⌜გა⌝-ლანძლ-ვ-ა (შდრ. ზს. ლირჲა̈ლი)

ლი-მ-კეთ (ბქ.)/ლი-მ-კათ (ლნტ.) „მოყვრობა“ < ქართ. მო-კეთ-ე-ობ-ა

ყურადღებას იქცევს ბალსქვემოური მასდარი ლიმსა̈ნი (დაკვებება, მისნობა), რომელსაც ბალსქვემოურ დიალექტშივე და ბალსზემოურშიც ენაცვლება ლისტა̈რინე, ლისტა̄რუნა̈ლ. ამ უკანასკნელის მთავარ მნიშვნელობას (პირჯვრის წერა), როგორც ცნობილია, განაპირობებს მისი ძირის (სტა̄რუნ) ბერძნული წარმომავლობა, ხოლო დაკვებების სემანტიკა ქართული ენის მთიულური დიალექტის და-მსნ-ებ-ა ფორმაშია წარმოდგენილი („საჩუქარს დავემსნები“ — ლია კაიშაური).

ლი-მორჩილ-ე (ლშხ.) < ქართ. და-მორჩილ-ებ-ა

ლი-მსხარ-ა̈ლ (ბზ.)/ლი-მსხარ-ა̄ლ (ბქ.)/ლი-მსხარ-ა̄ლ (ლშხ.)/ლი-მასხარ-ა̄ლ (ლნტ.) „ხუმრობა“ < ქართ. მასხრ-ობ-ა

ლი-მციქულ/ლი-მციქჳილ (ბზ.)/ლი-მცოქულ (ბქ.)/ლი-მციქჳლ-იელ (ლშხ.)/ ლი-მოცქჳლ-იელ (ლნტ.) < ქართ. მოციქულ-ობ-ა

ლი-ნშან-ა̈̄ლ (ბზ.) „ნიშანში სროლა" < ქართ. ნიშან-ი < ფალ. **nišān**

ლი-ნშინ-ა̈̄ლ (ბზ.)/ლი-ნშინ-ალ (ბქ.) „ნიშნობა, დაწინდვა" < ქართ. ნიშნ-ობ-ა < ფალ. **nišān**

ლი-ნჩქრ-ალ(ბქ.) < ქართ. და-ჩქარ-ება (ე. ი. ჩქარობს)

ლი-ნჩქრ-ე (ზს.) < ქართ. ა-ჩქარ-ებ-ა (შდრ. ბზ. ლიჰა̈̄ლ, ბქ. ლიკჷლდინე)

ლი-პი̄რ-ე[1] (ბზ., ლშხ.)/ლი-პირ-ე (ბქ.) < ქართ. და-პირ-ებ-ა (ე. ი. რაღაცას რომ აპირებს)

ლი-პტიჳ (ბზ.)/ლი-პა̈ტიჳ (ბქ.) „გამასპინძლება, პატივისცემა" < ქართ. პატივ-ი < ფალ. **pativ**

ლი-პჷრტა̈ხ-ი (ბქ.) <.ქართ. გა-პარტახ-ებ-ა < სპარს. **pardāxt**

ლი-სრულ-ე (ზს., ქს.) < ქართ. და-სრულ-ებ-ა (შდრ. ბზ. ლი-ზჷრ-ე, ზს. ლი-ზგჷრ-ე)

ლი-ქურწილ-ალ (ბზ., ლშხ.)/ლი-ქჳერწილ (ბქ.) < ქართ. ქორწილ-ობ-ა, ე. ი. ქორწინება

საინტერესოა თვით ქართული **ქორწინება** (→ **ქორწილი**) ლექსემის აგებულება, რომელიც ა. ჭინ-ჭარაულის ვარაუდით, სამკომპონენტიანი კომპოზიტია, რომლის პირველი კომპონენტია ბერძნულიდან ნასესხები **ქორ** („სახლი", „ოჯახი"), მეორე — ზმნისართი **წინ**, მესამე — ზმნა **დება** (ჭინჭარაული 2002:37).

ლი-ქჷრთა̈მ-ი (ზს.) < ქართ. მო-ქრთამ-ვ-ა

ლი-ღლა̈ტ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ღლატ-ი (ლშხ.) < ქართ. ღალატ-ი, ღალატ-ობ-ა

ლი-ღჳპ-ა̈ჳ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ღუპ-აჳ-ი (ლშხ.) < ქართ. და-ღუპ-ვ-ა

ლი-ღჳჭარ (ზს.)/ლი-ღჳჭა̈რ-ი (ბქ., ლნტ.)/ლი-ღჳაჭარ (ლნტ.) < ქართ. ვაჭრ-ობ-ა, შდრ. სომხ. **vaçar** < ფალ. **vācār**

ლი-ყდ-ი (ზს., ქს.) „ყიდვა, გაყიდვა" < ქართ. ყიდ-ვ-ა

ლი-შნ-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-შნ-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-შენ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. ა-შენ-ებ-ა, გაშენ-ებ-ა, შდრ. ფალ. **šēn**, ძვ. ირ. **šaina**

ლი-შნა̄ჳრ-ე/ლი-ნშა̄რჳ-ე (ბზ.)/ლი-შნარ-ი/ლი-შნა̈რ-ი (ბქ.)/ლი-შნაურ-ი (ქს.) < ქართ. მო-შინ-ა-ურ-ებ-ა „შეჩვევა" (შდრ. ზს. ლიმთქჳე)

ლი-შტრ-ა̈ჳ-ი (ბზ.)/ლი-შტრ-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-შტერ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) 1. „მიშტერება", 2. „გამოშტერება"[2] < ქართ. მი-შტერ-ებ-ა, გამო-შტერ-ებ-ა

ლი-შუნდჳებ-ი (ბზ.)/ლი-შუნდებ-ი/ლი-შჷნდებ-ი (ბქ.)/ლი-შჷნდობ-ი/ლი-შუნდობ-ი (ლშხ.)/ლი-შჳენდებ-ი (ლნტ.) < ქართ. შე-ნდ-ობ-ა

ლი-შჳდობ-ე (ბზ., ლშხ.)/ლი-შუდობ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-მო-მშვიდ-ობ-ებ-ა

ლი-შჳპარ-ა̈̄ლ (ბზ.)/ლი-შჳპარ-ა̈/ალ/ლი-შჳპარ-ელ/ლი-შჳპა̈რ-ი (ბქ.)/ლი-შუშპარ (ლშხ.)/ლი-შუშპარ-ა̈ლ (ლნტ.) „ცეკვა" < ძვ. ქართ. შუშპარ-ი „ფერხული" (შდრ. ბზ. ლისჳბი)

ლი-შქა̈რ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-შქარ-ი (ქს.) „დაშაქვრა, დატკბობა" < ქართ. და-შაქვრ-ა < სპარს. **šakar** (შდრ. სკრ. **šarkara**)

ლი-შშ-ა̈ჳ-ი (ბზ.)/ლი-შშ-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-შეშ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-შეშ-ებ-ა (შდრ. ბქ. ლიფჯჷნე)

ლი-შჩუქჳრ-ე/ლი-სჩქჳა̈რ-ი (ბზ.)/ლი-შჩქჳა̈რ-ი/ლი-ჩქჳა̈რ-ი (ბქ.)/ლი-შჩუქჳრ-ი/ლი-შჩქჳარ-ი (ლშხ.)/ლი-საჩქჳა̈რ-ი (ლნტ.) < ქართ. და-სა-ჩუქრ-ებ-ა

ლი-შხმ-ე (ზს., ლშხ.)/ლი-შხამ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) 1. „მოწამვლა", 2. „ჩაშხამება", გადატ. „დაყვედრება"

---

[1] საერთოდ ნასახელარ ზმნურ ძირებში ძირისეული ხმოვანი გრძელდება სვანურში, ლი-პი̄რ-ე გამონაკლისი არაა (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 247).

[2] შდრ. ბქ. ლი-შტირ-ან-ალ „თვალების ბრიალი უშნოდ, უაზროდ".

< ქართ. მო-შხამ-ვ-ა, შდრ. სპარს. **sam**

ლი-შხმ-ჳნ-ე (ბზ., ლშხ.)/ლი-შხმ-უნ-ე (ბქ.)/ლი-შხამ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) „ჩახეთქვა, ჩაშხამება (შხამად შერგება)“ < ქართ. ჩა-შხამ-ებ-ა, შდრ. სპარს. **sam**

ლი-ჩემ-აჳ-ა̈̄ლ (ბზ.)/ლი-ჩემ-აჳ-ა̈ლ (ლშხ.)/ლი-ჩემ-აჳ-ა̈ლ (ლნტ.) „დამუქრება, დაქადნება, დაჩემება“ < ქართ. და-ჩემ-ებ-ა

ლი-ჩმა̈თ-ი (ბზ.)/ლი-ჩმათ-ი (ლშხ.)/ლი-ჩამა̈თ-ი (ლნტ.) „შეჩეჩება, შეტყუება“ < ქართ. მი-ჩუმათ-ებ-ა.

რაც შეეხება ბალსქვემოურ ლი-ჩმა̈ქ-ი „შეჩეჩება, შეტყუება“ ფორმას, იგი, როგორც ჩანს, ქართულ მი-ჩქმ-ალ-ვ-ა'საგან მომდინარეობს, შდრ. ბქ. მჷ-ჩმა̈ქ-ი „შემჩეჩებელი, შემტყუებელი“, ლე-ჩმა̈ქ-ი „შესაჩეჩებელი, შესატყუებელი“, ნა-ჩმაქ „შენაჩეჩები, შენატყუები“.

ლი-ჩრ-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-ჩრ-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-ჩერ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-ჩერ-ებ-ა, შე-ჩერ-ებ-ა

ლი-ჩქო̈ჳ-ი/ლი-ჩქჳეჳ-ი (ზს.)/ლი-ჩქეჳ-ი (ლხმ.)/ლი-ჩქოჳ-ი (ლშხ.)/ლი-ჩოქა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. და-ჩოქ-ებ-ა < თურქ. **čokmek**

ლი-ჩხრიკ-ი/ლი-ჩხრიკ-ე (ზს.) „ჩხრეკა, ქექვა“ < ქართ. **ჩხრეკ-ა**

ლი-ჩჷნგ-ი (ზს.) < ქართ. **ჩანგ**-ის დაკვრა, შდრ. ფალ. **čang**

ლი-ცომ-აჳ-ი (ლშხ.) „ცომის მოზელა“ < ქართ. (ლეჩხ.) მო-ცომ-ვ-ა „მოზელა ცომად“ (შდრ. ბზ. **ლიშგურდენი**, ბქ. **ლიბურდი**).

ლი-ცრ-ოჳ-ა̈̄ლ (ბზ.)/ლი-ცრ-ოჳ-ა̈ლ (ბქ.)/ლი-ცჳრ-აჳ-ა̈ლ/ლი-ცჳრ-აჳ-⌜ე⌝/ლი-ცურ-აჳ-⌜ე⌝ (ლშხ.)/ ლი-ცურ-აჳ-ა̈ლ (ლნტ.) 1. „ცურაობა“, 2. „გავლება (წყალში)“ < ქართ. ცურ-ვ-ა (შდრ. ბქ. **ლიქნა/ა̈ლ**).

ლი-ცხრ-ჷლ-ი (ბზ., ლნტ.)/ლი-ცხრ-ილ-ი (ბქ.)/ლი-ცხრ-ილ-ე (ლშხ.) „გაცხრილვა, გაცრა“ < ქართ. გა-**ცხრ**-ილ-ვ-ა.

ლი-ცჷრც-ა̈ჳ-ი/ლი-ძჷრც-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-ცჷრც-აჳ-ი/ლი-ძჷრც-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-ცარც-ა̈ჳ-ი/ლი-ძჷრც-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-ძარც-ვ-ა (შდრ. ბქ. **ლიბადჳრე**)

ლი-ძჳრ-ე (ზს., ლშხ.)/ლი-ნ-ძჳირ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-ძვირ-ებ-ა, შდრ. ფალ. **zūr** „სიცრუე, ბოროტება, სიმრუდე“

ლი-ძხ-ა̈ლ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ძხ-ალ-ი (ლშხ.) „საქონლის გარეკვა, გადენა“ < ქართ. გა-ძახ-ებ-ა, შე-ძახ-ებ-ა (შდრ. ზს. **ლირკა̈ლი**)

ლი-წირჳ-ელ-ი/ლი-წჷრჳ-ელ-ი (ზს.) „გალობა; წრიპინი (ჩიტისა)“ < ქართ. **წირვ-ა** (სემანტიკური გადაწევით)

ლი-წიწინ-ი (ქს.) „წუხილი, წუწუნი; წიწინი“ < ქართ. (ფშ., მოხ.) **წიწინ-ი** „ჭივჭავის ხმა; ბევრი ლაპარაკი წვრილი ხმით“

ლი-წნ-ი (ზს., ლშხ.)/ლი-წონ-ე (ლნტ.) < ქართ. ა-წონ-⌜ვ⌝-ა

ლი-წჷნდა̈-ღ/ლი-წინდა̈-ღ (ზს., ლნტ.)/ლი-წინდ-ა̈ჳ-ი (ბქ.) „(წინდის) ქსოვა“ < ქართ. **წინდა** (შდრ. ზს., ლშხ. **ლიჯიში**, ბქ. **ლიჯიშ**, ლშხ. **ლიჯიშ/ლიჯშე**, ლნტ. **ლიჯიშ⌜ი⌝**

ლი-წჷრპჷნ-ი (ზს., ლნტ.) < ქართ. **წრიპინ-ი**

ლი-ჭნჳრ-ი (ბზ., ლშხ.)/ლი-ჭნურ-ი (ბქ.)/ლი-ჭიანურ-ი (ლნტ.) „ჭიანურზე დაკვრა“ < ქართ. ***ჭიანურ-ობ-ა**

ლი-ხჷრჯ-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-ხჷრჯ-აჳ-ი (ლშხ.) < ქართ. ⌜და⌝-**ხარჯ**-ვ-ა < თურქ. (< არაბ., სპარს.) **xarǯ** „გასავალი“

ლი-ხეხ-ა̈ჳ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-ხეხ-აჳ-ი (ლშხ.) < ქართ. **ხეხ**-ვ-ა (შდრ. ბქ. **ლი-ხჯჷნ-ე**, **ლი-ხჷრჯინ-ე**)

ლი-ხე̄ჳს-ა̈̄ლ (ბზ.)/ლი-ხეჳს-ა̈ლ (ლშხ.)/ლი-ხეჳს-ა̈ლ (ლნტ.) „საუზმობა“ < ქართ. **წა-ხემს-ებ-ა**

ლი-**ხროჳ**-ი (ზს.) „დაყრა, დახვავება“ < ქართ. და-**ხორავ**-ებ-ა „მოგროვება“, (შდრ. ზს., ლშხ. **ხორეჳ**, ლნტ. **ხორა̈ჳ** — გროვა, ხროვა < ქართ. (მთიულ., გუდამაყრ., იმერ.) **ხორა** „თივის ყალო დახვეული; საჟნებად დაწყობილი შეშა“, შდრ. საკუთრივ სვანური ფორმა **ლი-კრჩ-ე**)

ლი-**ხზ**-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-**ხზ**-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-**ხაზ**-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. **ხაზ**-ვ-ა

ლი-**ხტ**-ა̈ჳ-ი (ზს.)/ლი-**ხტ**-აჳ-ი (ლშხ.)/ლი-**ხატ**-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. **ხატ**-ვ-ა

ლი-**ხჳმარ**-ა̄ლ (ლშხ.)/ლი-**ხჳმარ**-ა̄ლ (ლნტ.) < ქართ. **ხუმრ**-ობ-ა

ლი-**ჯრ**-ა̈ჳ-ი (ზს., ლნტ.)/ლი-**ჯრ**-აჳ-ი (ლშხ.) „რწმენა, დაჯერება“ < ქართ. და-**ჯერ**-ებ-ა

ლი̄-მბჳ-ა̈̄ლ/ლი̄-მბუ-ა̄ლ (ბზ.)/ლი-მბჳ-ა̈ლ/ლი-მბუ-ა̈/ალ (ბქ.)/ლი̄-მბჳ-ა̄ლ (ლშხ.)/ლი-ამბაჳ-ა̈ლ (ლნტ.) „ლაპარაკი, საუბარი“ < ქართ. ამბ-ობ-ა (ე. ი. ამბ-ის მოყოლა) < ფალ.***hambav**

ლი̄-მბჳ-ი (ბზ., ლშხ.)/ლი-მბუ-ა̈ლ/ალ/ლი-მბა̈ჳ-ი (ბქ.)/ლი-მბა̈ჳ (ლხმ.)/ლი-ამბა̈ჳ-ი (ლნტ.) „მოყოლა, თხრობა“ < ქართ. ამბ-ობ-ა < ფალ.***hambav**

ლი̄-ჲ-ყრ-ე (ლშხ.)/ლი-ა̈ყრ-ე (ლნტ.) < ქართ. აყრ-ა (შდრ. ზს. **ლიქფე**).

1. 6. სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ნასესხები ლექსიკა

გარჯ-ულ (ბზ., ლნტ.)/**გარჯ**-ურ (ბქ., ლშხ.) „გაუჭირვებლად, გაურჯელად“ < ქართ. გარჯა

თჳალ-ა̈შ (ზს., ლნტ.)/**თჳალ**-აშ (ლშხ.) „თვალადი, ლამაზი; შესახედავი“ < ქართ. თვალ-ის-⌈ა⌉

კაბ-ჲა̈ქ (ბზ., ლშხ.)/**კაბ**-ჲაქ (ბქ., ლნტ.) „საკაბე“ < ქართ. კაბ-ის-თვის

ლა-**ბარგ** (ზს., ლნტ.) < ქართ. სა-ბარგ-ე (ზანდუკი, სკივრი...)

ლა-**ბტ**-ი̄რ (ლშხ.)/ლა-**ბა̈ტ** (ლნტ.) < ქართ. სა-ბატ-ე

ლა-**დრა̈ჯ** (ბზ.)/ლა-**დრაჯ**-ა̈რ (ბქ.)/ლა-**დრაჯ**-ა̄ლ (ლშხ.)/ლა-**დარაჯ**-ა̈ლ (ლნტ.) < ქართ. სა-დარაჯ-ო (შდრ. ზს. **ლა̈ლჩა**)

ლა-**ზგნგლა̈გ** (ბზ.)/ლა-**ზგნდლაგ**-ა̈რ (ბქ.) „სამრეკლო“ < ქართ. ***სა-ზან-ზალ-აკ-ო**

ლა-**თთუნ**-ა̈̄რ (ბზ.)/ლა-**თთუნ**-ა̈რ (ბქ., ლნტ.)/ლა-**თთუნ**-ა̄რ (ლშხ.) < ქართ. სა-თუთუნ-ე, შდრ. თურქ.-სპარს. **tütün** „თამბაქო“

ლა-**კგლდა̈მ** (ბქ.), შდრ. ბზ., ლშხ. **აკგლდამ**, ლნტ. **აკალდამ** „აკლდამა“ < ქართ. სა-აკლდამ-ე < ებრ. **akeldam** „სისხლისათვის განკუთვნილი სახლი“

ლა-**ლყაფ**-ალ (ბქ.) „სახუმარო, სამასხრო“ < ქართ. სა-ლაყაფ-ო < სპარს. **laqab**

ლა-**ლცოჳ**-ა̄ლ (ბზ., ლშხ.)/ლა-**ლცოჳ**-ალ (ბქ.)/ლა-**ლოცაჳ**-ალ (ლნტ.) 1. „სალოცავი“, 2. „ლოცვა“ < ქართ. სა-ლოც-ავ-ი (შდრ. ზს. **ლა̈მზგრ**)

ლა-**მცერ** (ლშხ.) „სამკითხაო, სამარჩიელო“ < ქართ. ***სა-მეცარ-ო**

ლა-ს-**ფლ**-ა̈ჳ (ბზ.)/ლა-ს-**ფლ**-აჳ (ბქ., ლშხ.)/ლა-სა-**ფლ**-აჳ (ლნტ.) < ქართ. სა-სა-ფლ-ა-ო (შდრ. ზს. **ლაშდ/თხჳჲა̈რ**)

ლა-**სგრგებ** (ზს., ლშხ.) < ქართ. სა-სა-რგ-ებ-ლ-ო (გამოსაყენებელი)

ლა-**ღჳჭა̈რ** (ბზ., ლშხ.)/ლა-**ღჳაჭა̈რ** < ქართ. სა-ვაჭრ-ო, შდრ. სომხ. **vāčār** < ფალ. **vačar** „ბაზარი“

ლა-**ჭბუგ**-ჳ-ა̄ლ (ბზ.) „სათამაშო; გასართობი ადგილი“ < ქართ. სა-ჭაბუკ-ო < ფალ. **čāpūk** „ცოცხალი, მარდი, მოხერხებული, მჭნე, სწრაფი“

ლა-**ჯოგ** (ზს., ლნტ.)/ლა-**ჯოგ**-ა (ლშხ.) < ქართ. სა-ჯოგ-ე

ლა-ჰ-**რა̈კ** (ბზ.)/ლა-ჰ-**რაკ** (ბქ.)/ლა-ჲ-**რაკ** (ლშხ.)/ლა-**არა̈კ** (ლნტ.) „სამაგალითო“ < ქართ. სა-არაკ-ო

ლა-ჰ-**რა̈ყ** (ბზ.)/ლა̈-ჲ-**რა̈ყ**-ი (ბქ.)/ლა-ჲ-**რაყ**-ი (ლშხ.)/ლა-**არა̈ყ**-ი (ლნტ.) „არყის გამოსახდელი მო-

წყობილობა“ < ქართ. სა-არაყ-ე, შდრ. არაბ. **araq**

ლა̈-კირ (ზს., ლნტ.)/**ლა-კირ** (ლშხ.) < ქართ. სა-**კირ**-ე

ლა̈-წმინდ-ა̈ჳ (ბზ.)/**ლა̈-წმინდ-ა̈ჳ-ი** (ბქ.) < ქართ. გა-სა-წმენდ-ი (შდრ. ბქ. ლა-შდბ-გნ-ა)

ლა̈-ხილ (ზს., ლნტ.)/**ლა-ხილ** (ლშხ.) „ხილნარი, ბაღი“ < ქართ. სა-**ხილ**-ე

ლე-ანღლა̈ბ (ბქ.)/**ლე-ა̄ნღლებ** (ლშხ.)/**ლე-ანღლაბ** (ლნტ.) „ამაღლების დღესასწაულისათვის განკუთვნილი საკლავი“ < ქართ. სა-ა-მაღლ-ებ-ო

ლე-ბდ-ა̈ჳ-ი (ბზ.)/**ლე-ბდ-აჳ-ი** (ლშხ.)/**ლე-ბედ-ა̈ჳ-ი** (ბქ., ლნტ.) < ქართ. გა-სა-ბედ-ავ-ი

ლე-კა̈ბ (ზს., ლნტ.)/**ლე-კაბ** (ლშხ.) < ქართ. სა-კაბ-ე, შდრ. სპარს. **kabā**

ლე-კლა̈ნდ (ბქ.)/**ლე-კალა̈ნდ** (ლნტ.) „საახალწლო“ < ქართ. (გურ.) სა-კალანდ-ო (შდრ. ზს. **ლეზომა̈ხ**)

ლე-ლხინ (ზს., ლშხ.)/**ლე-ჳხინ** (ლხმ.)/**ლე-ლხნ-ე** (ლნტ.) „სასიამოვნო, მოსაწონი, მოსალხენი“ < ქართ. სა-**ლხინ**-ო (სა-ლხენ-ი)

ლე-ნ-გზა̈ჳრ-ʻეʼ (ბზ.)/**ლე-ნ-გზა̈რ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. გა-სა-მ-გზ-ავ-რ-ებ-ელ-ი, სა-მ-გზ-ავ-რ-ო

ლე-ქურწილ (ბზ.)/**ლე-ქორწილ** (ბქ., ლშხ.)/**ლე-ქჳერწილ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. სა-**ქორწილ**-ო

ლე-ყუნზელ-ა (ბზ.)/**ლე-ყუნზელ-ა/ე** (ბქ.) „სავენახე ადგილი, ვენახი“ < ქართ. *სა-ყურძნ-ე

მ. ჩუხუა ქართველურ ენებში საერთო ძირად ***ყურძ-**'ს გამოყოფს (ჩუხუა 2000-2003:280). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სვანურში ყუნზელ, სწორედ, რომ ქართულიდან შევიდა.

ლე-ხეჳს-ა̈ლ (ბზ.)/**ლე-ხეჳს-ა̄ლ** (ლშხ.)/**ლე-ხეჳს-ა̈ლ** (ბქ.)/**ლე-ხეჳს-ალ-ი** (ლნტ.) „საუზმე (სასაუზმე)“ < ქართ. *სა-ხევს-ო

ლი-თო̄დრ-ი/ლი-თო̄დჳრ-ი/ლი-თო̄დრ-იელ (ბზ., ლშხ.)/**ლი-თოდრ-ი/ლი-თოდჷრ-ი** (ბქ., ლნტ.)/ **ლი-თოდურ-ი** (ბქ.) < ქართ. თევდორ-ობ-ა, შდრ. ქართ. თევდორე < თეოდორე, აგრეთვე ბერძნ. **Θεόδωρος**

ლუ-ხურდ-აჳ-ე (ზს., ლშხ.)/**ლუ-ხურდ-ა̈ჳ-ე** (ლნტ.) < ქართ. და-**ხურდ**-ავ-ებ-ულ-ი < ფალ. **xurtak** „მცირე, პატარა“

ლჷ-ბა̈რგ (ზს., ლნტ.)/**ლჷ-ბარგ** (ლშხ.) „ქონებიანი, მზითვიანი“ < ქართ. **ბარგ**-იან-ი

ლჷ-ბჭედ (ზს.)/**ლჷ-ბჭედ-ე** (ბქ., ლშხ.)/**ლჷ-ბეჭდ-ე** (ლნტ.) < ქართ. და-**ბეჭდ**-ილ-ი < ფალ. **pēčītak** „ხვეული, რკალი“

ლჷ-ბჷმბა̈-ჲ (ბზ.)/**ლჷ-ბჷმბა̈** (ბქ., ლნტ.)/**ლჷ-ბუმბა̈/ლუ-ბუმბ-ა̈ჳ-ე** (ბქ.)/**ლჷ-ბჷმბა-ჲ** (ლშხ.) < ქართ. და-**ბამბ**-ულ-ი (თუ ბამბიანი?), შდრ. სპარს. **pamba**

ლჷ-ზეთ (ზს., ქს.) 1. „ზეთიანი“, 2. „ზეთგამოხდილი“, 3. „დაზეთილი“ < ქართ. **ზეთ**-იან-ი

ლჷ-თხილმ-ა̈რ (ზს.)/**ლჷ-თხლა̈მ** (ბქ.)/**ლჷ-თხ-ილმ-ა̄რ** (ლშხ.)/**ლჷ-თხილამ-ა̈რ** (ლნტ.) < ქართ. **თხილამ**-ურ-იან-ი

ლჷ-ჲრა̈ღ (ბზ.)/**ლჷ-ჲრა̈ღ** (ბქ.)/**ლჷ̄-ჲრაღ/ლჷ-ჲარაღ** (ლშხ.)/**ლჷ-ჲარა̈ღ** (ლნტ.) „იარაღიანი, შეიარაღებული“ < ქართ. **იარაღ**-იან-ი

ლჷ-რა̈შ (ბქ., ლნტ.)/**ლჷ-რაშ** (ლშხ.) < ქართ. **რაშ**-იან-ი, შდრ. სპარს. **raxš**

ლჷ-სი̄რმ-ე (ბზ., ლშხ.)/**ლჷ-სირმ-ე** (ბქ., ლნტ.) < ქართ. მო-**სირმ**-ულ-ი, შდრ. თურქ.-სპარს. **sirmā**

ლჷ-ტა̈ნ (ზს., ლნტ.)/**ლჷ-ტან** (ლშხ.) „ზორბა, დიდი, სრული“ < ქართ. **ტან**-იან-ი, შდრ. სპარს. **tan**

ლჷ-ფა̈ს (ზს., ლნტ.)/**ლჷ-ფას** (ლშხ.) „ძვირად ღირებული, ფასიანი, შეფასებული; დაფასებული“ < ქართ. **ფას**-იან-ი < ძვ. ალან. ***fæs(fas)**

ლჷ-ქჷრგ-აჳ-ე (ბზ., ლშხ.)/**ლჷ-ქჷრგ-ა-ე** (ბქ.)/**ლჷ-ქარგ-აჳ-ე** (ლშხ.)/**ლჷ-ქარგ-ა̈ჳ-ე** (ლნტ.) < ქართ.

მო-ქარგ-ულ-ი (ნაქარგი)

ლგ-ღრიბ-ე (ზს., ლშხ.)/ლგ-ღა̈რიბ-ე (ლნტ.) < ქართ. გა-ღარიბ-ებ-ულ-ი

ლგ-ყიდ (ზს., ქს.) < ქართ. ნა-ყიდ-ი

ლგ-ჩრ-აჳ-ე (ზს., ლშხ.)/ლგ-ჩერ-ა̈ჳ-ე (ლნტ.) „გაჩერებული, შეჩერებული, უქმად მყოფი“ < ქართ. გა-ჩერ-ებ-ულ-ი

ლგ-ხა̈ნ (ზს., ლნტ.)/ლგ-ხან (ლშხ.) 1. „ხნიერი, დროული“, 2. „დაძველებული“ < ქართ. ხან-იან-ი

მგ-ბგერ-ი (ზს., ლშხ.) < ქართ. და-მ-ბეგრ-ავ-ი

მგ-ბდ-ა̈ჳ-ი (ზს.)/მგ-ბდ-აჳ-ი (ლშხ.)/მგ-ბედ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-მ-ბედ-ავ-ი

მგ-კაკუნ-ი (ლნტ.) < ქართ. და-მ-კაკუნ-ებ-ელ-ი (შდრ. ზს., ქს. მგჳხკგნე)

მგ-შნ-ა̈ჳ-ი (ზს.)/მგ-შნ-აჳ-ი (ლშხ.)/მგ-შენ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) < ქართ. გა-მ-შენ-ებ-ელ-ი, შდრ. ფალ. **šēn**, ძვ. ირ. **šaina**

მგ-ჩრ-ა̈ჳ-ი (ზს.)/მგ-ჩრ-აჳ-ი (ლშხ.)/მგ-ჩერ-ა̈ჳ-ი (ლნტ.) „შემჩერებელი, გამჩერებელი, შემაყოვნებელი“ < ქართ. გა-მ-ჩერ-ებ-ელ-ი

ნა-ჳსტა̈ტ-ი (ბზ.)/ნა-ოსტა̈ტ-ი (ბქ., ლნტ.)/ნა-ოსტატ-ი (ლშხ.) „ხელოვნება“ < ქართ. ოსტატ-ობ-ა, შდრ. სპარს. **ustād**, ფალ. **ōstāt**

ნა-ჳ-ყიდ-ი (ზს., ლნტ.) „შეუსყიდველობა, უყიდველობა“ < ქართ. უ-ყიდ-ვ-ელ-ობ-ა

ნა-შნ-აჳ (ზს., ლშხ.)/ნა̈-შენ-აჳ (ლნტ.) „განაშენები, გაშენებული“ < ქართ. გა-ნა-შენ-ებ-ი < ფალ. ***šēn**, ძვ. ირ. **šaina**

ნა̈-ტტჳელ-ი (ბზ., ლნტ.)/ნა-ტტჳელ-ი/ნა̈-ტტელ-ი (ბქ.)/ნა-ტტჳელ-ი (ლშხ.) „სიშიშვლე“ < ქართ. სი-ტიტვლ-ე

ჟაჳ-ო̄რ-ა (ლშხ.)/ჟაჳ-ორ-ა (ლნტ.) < ქართ. მჟავე-ულ-ი (შდრ. ბქ. მგხმგრა)

სა̈ხ-იშ (ზს., ლნტ.)/სახ-იშ (ლშხ.) 1. „სახისა, შესახედაობისა“, 2. „ხასიათი“ < ქართ. სახ-ის-⌜ა⌝

ჳა̈ი-ბედ-ჳ-შჳ (ბქ.) „ძლივს, ვაი-ვაგლახით“ < ქართ. ვაი-ბედ-ით (შდრ. ბზ. ჳედდ, ზს. ჳედნ)

ფერ-იშ (ზს., ლნტ.) „მსგავსი; უცნაური“, იხმარება გამოთქმაში „დეიშა ფერიშ, — უცნაური (არავისი მსგავსი)“ < ქართ. ფერ-ის-⌜ა⌝

ქართობლ-ა̈̄რ (ბზ.)/ქართოფლ-ა̄რ (ლშხ.)/ქართოფილი დიარ (ლნტ.) „კარტოფილისგულიანი პური“ < ქართ. კარტოფილ-იან-ი

ქჳიშ-ა̈̄რ (ბზ., ლშხ.) < ქართ. ქვიშ-იან-ი

წიდ-ა̈̄რ (ბზ.)/წიდ-ა̈რ (ბქ., ლნტ.)/წიდ-ა̄რ (ლშხ.) „წვირიანი, ჭუჭყიანი“ < ქართ. წიდ-იან-ი.

1. 7. სემანტიკურად იგივეობრივი ლექსემები

აბა̈ზ (ზს., ლნტ.)/აბაზ (ლშხ.) < ქართ. აბაზ-ი < სპარს. **'abbāsī** „ფულის ერთეული“

აბგა (ზს., ქს.) < ქართ. აბგა

აბზინდა̈ჲ (ბზ.)/აბზინდაჲ (ლშხ.)/აფსინდ (ბქ.)/ა̈ბზინდ (ლნტ.) < ახ. ქართ. აბზინდა, ძვ. ქართ. აფსინდ-ი, აფსინთ-ი

ამბა̈ჳ (ზს., ლნტ.)/**ამბა̈** (ბქ.)/**ამბაჳ** (ლშხ.) < ქართ. ამბავ-ი < ფალ. ***hambav**

ანგრიშ (ბზ., ლშხ.)/**ანგა̈რიშ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ანგარიშ-ი < ფალ. ***(h)angārišn** „გამოანგარიშება, გამოთვლა“

ანღლა̈ბ (ზს.)/**ანღლაბ** (ლნტ.)/**ანღლებ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ამაღლება

ასაბია (ბზ.)/**ასაბია⌈ჷ⌉** (ლშხ.)/**ასაბია̈** (ლნტ.) < ძვ. ქართ. ასაბია („მეშველი, შემწე“), ახ. ქართ. „ჭირისუფალი“

ასტამ (ბზ., ქს.)/**ჰასტამ** (ბქ.) < ძვ. ქართ. ასტამ-ი

ატამა (ბზ.)/**ატა̈მ** (ბქ., ლნტ.)/**ატამ** (ლშხ.) < ქართ. ატამ-ი

აღაპ (ლშხ.) < ძვ. ქართ. აღაპ-ი < ბერძ. **αγαπος** „სიყვარული“

ა̈ბრეგ (ზს.)/**აბრეგ** (ბქ.)/**აბრაგ** (ლშხ.)/**აბრა̈გ** (ლნტ.) < ქართ. აბრაგ-ი < ოსურ. **abyræg/abæræg**

ა̈ნგჳლეზ/ა̈ნგლო̈ზ (ბზ.)/**ა̈ნგლეზ** (ბქ.)/**ანგლოზ** (ლშხ.) < ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **αγγεος** „შიკრიკი, მაცნე“

ა̈ქიმ/ექიმ (ზს.)/**ჷექიმ** (ლშხ.)/**⌈ჷ⌉ექიმ** (ლნტ.) < ქართ. ექიმ-ი < არაბ.-სპარს. **ḫakīm**

ბალა̈ხ (ზს., ლნტ.)/**ბალახ** (ლშხ.) < ქართ. ბალახ-ი < სომხ. **balax** (შდრ. ბზ. **მელჳ**)

ბალჳერ⌈დ⌉ (ზს., ლშხ.)/**ბალაჳერ** (ლნტ.) < ქართ. ბალავარ-ი („საძირკველი“), შდრ. ზს. ქს. **ხუნ**

ბამბა̈ჷ/ბანბა̈ჷ (ბზ.)/**ბამბა̈** (ბქ., ლნტ.)/**ბამბაჷ** (ლშხ.) < ქართ. ბამბა < სპარს. **pamba**

ბა̈ნ (ზს., ლნტ.)/**ბან** (ლშხ.) < ქართ. ბანი (ხმა)

ბა̈რგ (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) < ქართ. ბარგ-ი („მოძრავი ქონება“) < სპარს. **barg**

ბეგა̈რ (ზს.)/**ბეგარა** (ქს.) < ახ. ქართ. ბეგარა, ძვ. ქართ. ბეგარ-ი „ხარკი“ < სპარს. **bīgār, bīgārī**

ბერდენა̈ჷ (ბზ.)/**ბერდანა̈** (ბქ.)/**ბერდენაჷ** (ლშხ.)/**ბერდენა/ბერდენა̈** (ლნტ.) < ქართ. ბერდანა („ერთლულიანი თოფი“)

ბეღელ[1] (ზს., ქს.) < ქართ. ბეღელ-ი, შდრ. სპარს. **bayil** „ბოსელი, საძროხე“

ბეწჳ (ზს., ქს.) < ქართ. ბეწვ-ი

ბლუჳ/ბლიჳ (ზს., ლნტ.)/**ბლუჳ** (ლშხ.) < ქართ. ბლუ („მუნჯი“)

ბრა̈ზ (ზს., ლნტ.)/**ბრაზ** (ლშხ.) < ქართ. ბრაზ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ხგრ**)

ბრა̈ზია̈ნ/ბრაზჷა̈ნ (ზს., ლნტ.)/**ბრაზიან** (ლშხ.) < ქართ. ბრაზიან-ი

ბჳშტ/ბიშტჳ (ზს.)/**ბუშტ⌈ჳ⌉** (ქს.) < ქართ. ბუშტ-ი

გადო (ლშხ.)/**გადო‖-უ** (ლნტ.) < ქართ. გადია („გამზრდელი“), შდრ. ზს., ქს. **მგრდი**

გალჳა̈ნ (ზს.)/**გალჳან/გალაჳან** (ლშხ.)/**გალაჳა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. გალავან-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ძღჳიდ**)

განცხდა̈ბ (ზს.)/**განცხდებ** (ლშხ.)/**განცხადაბ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. განცხადება (გამოცხადება „ნათლისღება“)

განწეს (ზს., ლნტ.) < ქართ. განაწესი

გარდანაკაფ (ქს.) < ძვ. ქართ. გარდანაკაფ-ი

გარეჳილ (ზს., ლნტ.)/**გა̈რა̈ჳილ** (უშგ.)/**გარეულ** (ლშხ.) < ქართ. გარეულ-ი (შდრ. ბქ. **ტყა̈რ**)

გაჭირება (ზს.)/**გა̈ჭირობ** (ლხმ.)/**გაჭირჳება** (ზს., ლნტ.)/**გაჭიჳრება** (ლშხ.) < ქართ. გაჭირვება

გზაჳრობ (ბზ.)/**გზარობ** (ბქ., ლნტ.)/**ზგარობ** (ბქ.)/**გზა̄რობ** (ლშხ.) < ქართ. მგზავრობა

[1] შდრ. ლხმ. „ახმახი, ვეებერთელა“.

გზა̈ჳრ (ბზ.)/**გზა̄ჳრ** (ლშხ.)/**გზა̈ჳრ** (ბქ., ლნტ.)/**გზა̈რ** (ბქ.) < ქართ. მგზავრ-ი

გოდერ (ზს., ლნტ.)/**გოდორ** (ლშხ.) < ქართ. გოდორ-ი

გრილ (ზს., ქს.) < ქართ. გრილ-ი (შდრ. ზს., ქს. ქჳეირ, ბზ., ლშხ. ქჳე̄რ)

გუბანდ (ლნტ.) „გულ-ღვიძლის არე“ (პირუტყვისა) < ქართ. (გურ.) გულბანდ-ი „მკერდი“ („გულ-ის — ბად-ე“)

გულჳა̈ნ (ბზ.)/**გულა̄ნ** (ლშხ.)/**გულა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. გულიან-ი, გულოვან-ი

გურგჳინ (ბზ.)/**გჳირგჳინ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. გვირგვინ-ი

გჳა̈რ (ზს., ლნტ.)/**გჳარ** (ლშხ.) < ქართ. გვარ-ი < ფალ. **gōhr/gōhār** „ბუნება, მატერია, არსი, წარმოშობა, რასა, გვარეულობა, შთამომავლობა“

გჳია̈ნ (ზს., ლნტ.)/**გჳიან** (ლშხ.) < ქართ. გვიან-ი

გჳიმბრა (ზს.)/**გჳრიმბ** (ქს.), შდრ. ზს., ქს. **გჳიმრა**, ბქ. **გჳიმორ** < ქართ. გვიმრა, შდრ. გურ., აჭარ. გუმბრა „გვიმრა“.

სპეციალურ ლიტერატურაში (ჭარაია 1895:106; კლიმოვი 1998:29; ფენრიხი, სარჯველაძე 1990:80; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:143-144) ქართ. **გვიმ- გვიმ-რ-ა** და მეგრ. **გვიმ- გუიმ-ორ-ა** „გვიმრა“ ერთმანეთთანაა დაკავშირებული შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო რაც შეეხება მეგრულ **გუიმარა/გუმარა** ფორმებს, ისინი ქართულიდანაა შეთვისებული, ასევე ქართულიდან ნასესხობად არის მიჩნეული სვანური **გჳიმბრა, გურიმბ** (შდრ. უორდროპი 1911:604; მარი 1915, II, 836; ЭСКЯ, 62).

გგრზნეჳილ (ბზ., უშგ.)/**გგრზნა̈ჳილ/გგრძნა̈ჳილ** (უშგ.)/**გგრძნეულ** (ლშხ.) /**გრძნეჳილ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. გრძნეულ-ი

დამბა̈ლ (ზს., ლნტ.)/**დამბალ** (ლშხ.) < ქართ. დაბალ-ი

დარბა̈ზ[1] (ზს., ლნტ.)/**დარბაზ** (ლშხ.) < ქართ. დარბაზ-ი

დაშნა̈ა̄ (ბზ.)/**დაშნა̈** (ბქ., ლნტ.)/**დაშნაა̄** (ლშხ.) < ქართ. დაშნა

და̈რ (ზს., ლნტ.)/**დარ** (ლშხ.) < ქართ. დარ-ი

დედბერ (ზს., ქს.) < ქართ. დედაბერ-ი, შდრ. ფალ. **pīr** „მოხუცი“, **pīrīh** „სიბერე“, **pīrak** „მოხუცი ქალი, დედაბერი“

დედფა̈ლ (ზს.)/**დედ⌈ჳ⌉ფალ** (ლშხ.)/**დედოფა̈ლ** (ლნტ.) < ქართ. დედოფალ-ი

დეკა̈ჳილ (ბზ.)/**დეკეულ** (ლშხ.)/**დეკეჳილ** (ლნტ.) < ქართ. დეკეულ-ი

დიდა̈ბ (ზს.)/**დიდებ** (ლშხ.)/**დიდაბ** (ლნტ.) < ქართ. დიდება

დი̄კჳენ (ბზ.)/**დიაკენ/დიაკჳა̈ნ** (ბქ.)/**დი̄კონ** (ლშხ.)/**დიაკჳენ** (ლნტ.) < ქართ. დიაკონ-ი < ბერძ. **διάκογος**

დოლებ (ზს.)/**დოლობ** (ლშხ.)/**დოლა̈ბ** (ლნტ.) < ქართ. დოლაბ-ი < სპარს. **dūbab**

დომბა̈ა̄ (ბზ.)/**დომბა̈** (ბქ.)/**დომბაა̄** (ლშხ.) < ქართ. დომბა

დორა̈ა̄ (ზს.)/**დორაა̄** (ლშხ.)/**დორა̈** (ლნტ.) < ძვ. ქართ. დორა „ღვინის საწყაო“, ახ. ქართ. „თიხის ჭურჭელი წყლისთვის“

დუმა̈ა̄ (ბზ.)/**დუმა̈** (ბქ., ლნტ.)/**დუმაა̄** (ლშხ.) < ქართ. დუმა < ფალ. **dum, dumb, dumbak, dunb, dunbak**

ზანდიკჳ (ბზ.)/**ზანდუკ** (ლშხ.)/**ზანდჳიკ** (ლნტ.) < ქართ. ზანდუკ-ი < სპარს.-არაბ. **sandūk**

ზარჳილ (ბზ.)/**ზარულ** (ლშხ.)/**ზა̈რეჳილ** (ლნტ.) < ქართ. მზარეულ-ი

ზირა̈ბ (ზს.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ზი̄რებ** (ლშხ.) < ქართ. ზიარება

---

[1] შდრ. „სვანური სახლის ან ბოსლის ზედა სართული“.

თაჳა̈რ (ზს., ლნტ.)/თაჳარ (ლშხ.) < ქართ. მთავარ-ი

თა̄სმა (ბზ.)/თასმა (ბქ., ქს.) < ქართ. თასმა

თეთრ (ბზ., ქს.) < ქართ. თეთრ-ი (ფულის ერთეული)

თუჯ (ზს., ქს.) < ქართ. თუჯ-ი

თჳინგ/თჳ̈ნგ (ზს., ლნტ.)/თუნგჳ (ლშხ.) < ქართ. თუნგ-ი

იმედ (ზს., ქს.) < ქართ. იმედ-ი

იღბა̈ლ (ზს., ლნტ.)/იღბალ (ლშხ.) < ქართ. იღბალ-ი < არაბ.-სპარს. **’ikbāl**

კარა̈ჳ (ზს., ლნტ.)/კარაჳ (ლშხ.) < ქართ. კარავ-ი

კარა̈ქ (ზს.) < ქართ. კარაქ-ი[1] < სომხ. **karag**

კახგმბალ (ლშხ.)/კახგმბა̈ლ (ლნტ.) < ქართ. კახამბალ-ი

კა̈ნ (ზს., ლნტ.)/კან (ლშხ.) < ქართ. კან-ი

კა̈ჰ (ბზ.)/კაჲ (ლშხ.)/კა̈ჲ (ლნტ.) < ქართ. კაჲ-ი

კეჴ (ზს., ქს.)/კეჰ (უშგ.) < ქართ. კეხ-ი

კოლეფ (ზს., ლნტ.)/კოლოფ (ლშხ.) < ქართ. კოლოფ-ი (შდრ. ბქ. შა̈კჳ)

კჳიჰ (ზს., ლნტ.)/კუჰ (ლშხ.) < ქართ. კუჰ-ი (შდრ. ბქ. დგრ)

ლაბარგ (ზს., ლნტ.) < ქართ. საბარგო („ზანდუკი, სკივრი“...)

ლაბტი̄რ (ბზ., ლშხ.)/ლაბა̈ტ (ლნტ.) < ქართ. საბატე

ლადრა̈ჯ (ბზ.)/ლადრაჯა̈რ (ბქ.)/ლადრაჯა̄ლ (ლშხ.)ლადარაჯა̈ლ (ლნტ.) < ქართ. სადარაჯო (შდრ. ზს. ლა̈ლჩა).

ლათთუნა̄̈რ (ბზ.)/ლათთუნა̈რ (ბქ., ლნტ.)/ლათთუნა̄რ (ლშხ.) < ქართ. სათუთუნე

ლაშგა̈რ/ლაშქა̈რ (ზს.)/ლაშქა̈რ (ლნტ.) < ძვ. ქართ. ლაშქარ-ი < სპარს. **laškar**

ლერწ (ლნტ.) < ქართ. ლერწ-ი „ვაზი“

ლიეშმაკა̄̈ლ (ბზ.)/ლიეშმაკა̈ლ (ბქ.)/ლიჲეშმაჳა̄ლ (ლშხ.)/ლიეშმაჳა̈ლ (ლნტ.) < ქართ. ეშმაკობა < ფალ. **hēšm** „ბოროტი გენია, ავი სული, სატანა“

ლიმსხარა̄̈ლ (ბზ.)/ლიმსხარა̈ლ (ბქ.)/ლიმსხარა̄ლ (ლშხ.)/ლიმასხარა̈ლ (ლნტ.) < ქართ. მასხრობა (შდრ. ზს. ლიჯღა̈ჳ)

ლიღლა̈ტი (ზს., ლნტ.)/ლიღლატი (ლშხ.) < ქართ. ღალატ-ი, შდრ. არაბ.-სპარს. **γalat**

ლგჲარა̄̈ღ (ბზ.)/ლგჲარა̈ღ (ბქ.)/ლგ̄ჲარაღ/ლგჲარაღ (ლშხ.)/ლგჲარა̈ღ (ლნტ.) < ქართ. იარაღიან-ი

ლგღრიბე (ზს., ლშხ.)/ლგღრიბ (ბქ.)/ლგღა̈რიბე (ლნტ.) < ქართ. გაღარიბებულ-ი, შდრ. არაბ.-სპარს. **qarīb**

მადა̈ნ (ბზ., ლნტ.)/მა̈დენ/მადან (ბქ.)/მადენ (ლშხ.) < ქართ. მადან-ი

მანა̈თ (ზს., ლნტ.)/მანათ (ლშხ.) < ქართ. მანეთ-ი

მარა̈ნ (ზს., ლნტ.)/მარან (ლშხ.) < ქართ. მარან-ი

მარწჳენ (ზს., ლნტ.)/მა̈რწენ (ლხმ.)/მარწონ (ლშხ.) < ქართ. მაწონ-ი

მაცხჳა̄̈რ (ბზ.)/მაცხჳა̈რ (ბქ., ლნტ.)/მაცხჳა̄რ (ლშხ.) < ძვ. ქართ. მაცხოვარ-ი

მახა̈თ (ზს., ლნტ.)/მახათ (ლშხ.) < ქართ. მა-ხათ-ი

მა̈სძელ (ბზ., ლნტ.)/მასძელ (ლშხ.) < ქართ. მასპინძელ-ი, გურ., აჭარ. მაინძელ-ი < ფალ. **aspanj**

[1] ძვ. ქართულში კარაქ-ი რძე’ს ნიშნავდა.

„დასასვენებელი ადგილი, სასტუმრო, თავშესაფარი“

მა̈ჭიკ (ზს., ლნტ.)/**მაჭიკ** (ლშხ.) < ქართ. მაჭიკ-ი

მესჳფელ (ზს., ლშხ.)/**მესოფელ** (ლნტ.) < ქართ. სოფლელ-ი

მეწეჳა̈რ (ლნტ.) < ქართ. მწევარ-ი

მეჯჳეგ/მეჯეგ (ზს.)/**მეჯჳეგ** (ლნტ.)/**მეჯოგ** (ლშხ.) < ქართ. მეჯოგე

მოა̈ხლ/მოჲა̈ხლ/მოჲა̈ხ (ბზ.)/**მოჳა̈ხ** (ბქ.)/**მოახლ** (ბქ., ლშხ.)/**მოახ** (ლნტ.) < ქართ. მოახლე

მოგა̈ბ (ბზ.)/**მოგება** (ბქ.)/**მოგებ** (ლშხ.)/**მოგაბ** (ლნტ.) < ქართ. მოგება

მორიდა̈ბ (ზს., ლნტ.)/**მორდა̈ბ/მურდა̈ბ/მჷრდა̈ბ** (ზს.)/**მორდებ** (ზს., ლშხ.)/**მორიდაბ** (ლნტ.) < ქართ. მორიდება (შდრ. ბქ. მალკაფ)

მჷკეთ (ზს.)/**მოკეთ** (ქს.) < ქართ. მოკეთე

ნათთარჳ (ბზ.)/**ნათთარ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ნათათრალ-ი

ნალშგარჳ (ზს.)/**ნალშგარ** (ლშხ.) < ქართ. ნალაშქრევ-ი < ფალ. **laškār** „ჯარი, არმია, ბანაკი“

ნა̈თსა̈ჳ (ზს.)/**ნათსაჳ** (ლშხ.)/**ნა̈სცა̈ჳ** (ლნტ.) < ქართ. ნათესავ-ი (შდრ. ბზ. **ნა̈̄თი**, ქს. **ნადალ**)

ნეფე (ზს., ლნტ.)/**მეფე** (ბქ.) < ქართ. მეფე

*მე-უფ-ე, *უფ- არქეტიპები აღდგება მხოლოდ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის (კლიმოვი 1964:186), ხოლო სვანურში **ნ/მეფე** ნასესხები ჩანს, თუმცა მ. ჩუხუას სვანური **ნეფე** ქართულიდან ნასესხებად არ მიაჩნია და საერთოქართველურ დონეზე აღადგენს **მეფე**'ს, როგორც დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს (ჩუხუა 2000-2003:170).

პასჳიხჳ (ზს., ლნტ.)/**პასუხ** (ბქ., ლშხ.) < ძვ. ქართ. პასუხ-ი < სპარს. **Pāsux**

პატჳრენ (ბზ., ლნტ.)/**პატრონ** (ბქ., ლშხ.) < ქართ. პატრონ-ი (შდრ. ზს. **ფუსდ**, ბზ., ლშხ. **ფუს˹ჳ˺ნ**, ლნტ. **ფუსტ**)

პა̈˹ნ˺ლჳჹრ (ბზ.)/**პალჳირ** (უშგ., ბქ., ლნტ.)/**პალურ** (ლშხ.) < ქართ. პანლურ-ი

პა̈პიროზ (ზს., ლნტ.)/**პაპიროზ** (ლშხ.) < ქართ. პაპიროს-ი

პა̈ტიჳ (ზს., ლნტ.)/**პატიჳ** (ლშხ.) < ქართ. პატივ-ი < ფალ. ***pativ**

პიტნა̈ჲ (ბზ.)/**პიტნაჲ** (ლშხ.)/**პიტნა̈** (ლნტ.) < ქართ. პიტნა (შდრ. ბქ. **მინთჳ**)

ჟამობ (ზს., ქს.) < ქართ. ჟამიანობა < ფალ. **zamān** „დრო“

ჟა̈მ (ზს., ლნტ.)/**ჟამ** (ლშხ.) < ქართ. ჟამ-ი < ფალ. **zamān** „დრო“

რა̈ნგ (ზს., ლნტ.)/**რანგ** (ლშხ.) < ქართ. რანგ-ი < ოს. **rong**.

რა̈შ (ზს., უშგ.)/**რა̈შჳ** (ბქ., ლნტ.)/**რაშ** (ლშხ.) < ქართ. რაშ-ი < სპარს. **raxš**

რჷდინ (ბზ.)/**როდინ** (ქს.) < ქართ. როდინ-ი

საბა̈ნ (ბზ., ლნტ.)/**საბან** (ლშხ.)[1] < ქართ. საბან-ი < ბერძნ. **σαβανον** „გადასაფარებელი“

საბდჳარ (ბზ., ქს.) „ბუდე“ < ქართ. საბუდარ-ი (შდრ. ბქ. **ლაპონტყ**)

საბჷრწა̈მ (ბქ.) < ქართ. საპირისწამლე, სამასრე

სადგჳემ (ბზ., ლნტ.)/**სადგემ** (ბქ.)/**სადგომ** (ლშხ.) < ქართ. სადგომ-ი

საკმეჳელ/საკმე̄ლჳ/საკმჳე̄ლ (ბზ.)/**სა̈კმეჳელ** (ბქ., ლნტ.)/**საკმოჳელ/საკმეჳელ** (ლშხ.) < ქართ. საკმეველ-ი (შდრ. ბზ., ლშხ. **ნატჳსუნ**, ბქ., ლნტ. **ნატუსუნ**)

საკუთა̈რ (ზს.)/**საკუთარ** (ბქ., ლშხ.)/**საკჳთა̈რ** (ლნტ.) < ქართ. საკუთარ-ი

სასდიკ (ზს.)/**სასტიკ** (ლშხ.)/**სა̈სტიკ** (ლნტ.) < ქართ. სასტიკ-ი < ფალ. ***sāstīk**

[1] შდრ. ზს. **შართქჳინ**, ლხმ. **შართქჳილ**, ლშხ. **შართქუმ**, მეგრ. **შქართუნ-ი**.

საჩქჳა̈რ (ზს., ლნტ.)/**საჩქჳარ** (ლშხ.) < ქართ. საჩუქარ-ი

ხაჴსნილ (ბზ.)/**სა̈ხსნილ** (ლნტ.) < ქართ. სახსნილო (შდრ. ზს., ლშხ. **ლგშრაჳე**)

ჴ შენახულია სვანურში ქართულიდან ადრე ნასესხებ სიტყვებში (**ჴერჴ**, **ჴსნილ**, **ჴოხჳებ**, **ჴეც**, **იჴმა̈რი**, **ჴეჳ** (**ჴეჳობ**), **ჴარჴ** (**ჴაჴა**), **ჴჳალმა̈ნდ** (-ჴვამალდ ‖ ჴუმალდ: საბა) და სხვ.), ხოლო გვიან ნასესხებში კი **ხ** არის დაცული (**ხელწიფ**, **ხმელე̄თ**, **ხმა̈ლ**, **ჴეჳ** ‖ **ხეჳ**, **ჴელობ** ‖ **ხელობ**, **ჴელოჳა̈ნ** ‖ **ხელოჳა̈ნ** და სხვ.) (თოფურია 1979:266).

სა̈კსა̈რ (ზს.) < ქართ. საკისარ-ი („ბერკეტი")

სა̈კჳრელ (ზს., ლნტ.)/**საკჳრელ** (ლშხ.) < ქართ. საკვირველ-ი (შდრ. ზს. **ლემბა̈ყ**)

სჳინდის (ზს., ქს.) < ქართ. სინდის-ი

სჳინდისია̈ნ (ზს., ლნტ.)/**სჳინდისიან** (ლშხ.) < ქართ. სინდისიან-ი

ტჳიტელ (ზს., ქს.)/**ტიტო̈ლ** (ზს.) < ქართ. ტიტველ-ი (ბქ. **ლგსინტლაჳე**)

ტყჳე (ზს., ლნტ.)/**ტყჳეა̲** (ლშხ.) < ქართ. ტყვე

უდიე̄რ (ბზ.)/**უდიერ** (ბქ., ქს.) < ქართ. უდიერ-ი

უდროჳ (ზს., ლნტ.)/**უდროა̲** (ლშხ.) < ქართ. უდროო

უსმართჳ̈ლ/**უსმართულ** (ბქ.) < ქართ. უსამართლო

უხზაჳა (ზს., ლშხ.)/**უხაზაჳა** (ლნტ.) < ქართ. ⌜და⌝უხაზავ-ი

უხტაჳა (ზს., ლშხ.)/**უხატაჳა** (ლნტ.) < ქართ. ⌜და⌝უხატავ-ი

ჳა̈ლ (ბზ., ლნტ.)/**ჳალ** (ლშხ.) < ქართ. ვალ-ი (შდრ. ზს., ლშხ. **გადან**)

ჳობელ (ზს., ლნტ.)/**ჳობოლ** (ლშხ.) < ქართ. ობოლ-ი (შდრ. ზს. ⌜**ჳ**⌝**ოჴა̈რ**)

ჳოსტა̈ტ (ზს., ლნტ.)/**ჳოსტატ** (ლშხ.) < ქართ. ოსტატ-ი („ხელოსანი, დურგალი") < სპარს. **ustād**, ფალ. **ōstāt**

ჳოჯა̈ხ (ზს., ლნტ.)/**ოჯახ** (ლშხ.) < ქართ. ოჯახ-ი < თურქ.-სპარს. **ojāq** „კერა" (შდრ. ზს., ქს. **მეზგე**)

ფალაჳა̈ნდ (ბზ.)/**ფალჳა̈ნდ** (ზს.)/**ფალჳა̈ნ** (უშგ.)/**ფალჳანდ** (ლშხ.) < ქართ. ფალავან-ი

ფანცალა̈ა̲ (ბზ.)/**ფანცალა̈** (ბქ.)/**ფანცალა̄ა̲** (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ.) ფანცალა (ძაღლის ავადმყოფობაა)

ფარდა̈გ (ბზ.)/**ფარდა̈ქ** (ბზ., ლნტ.)/**ფარდაგ** (ლშხ.) < ქართ. ფარდაგ-ი < ფალ. **partak** „ფარდა, რიდე, ხალიჩა"

ფაცე̄რ (ბზ., ლშხ.)/**ფაცერ** (ლნტ.) < ქართ. ფაცერ-ი

ფა̈რისეჳელ/**ფა̈სეჳელ** (ბზ.)/**ფარისეჳელ** (ლშხ.) < ქართ. ფარისეველ-ი

ფოლა̈დ (ბზ., ლნტ.)/**ფოლედ** (ბქ.) < ქართ. ფოლ-ად-ი

ფერცჳლობ (ბზ., ქს.)/**ფა̈რცჳლობ** (უშგ.)/**ფერცლა̈ბ**/**ფერცლაბ** (ბქ.) < ძვ. ქართ. ფერისცვალება (რელიგ. დღესასწაული)

ფურცელ (ზს., ქს.)/**ფორცელ** (ბქ.) < ქართ. ფურცელ-ი

ქალაკოდა̈⌜**ა̲**⌝ (ბქ., ლნტ.)/**ქალაკოდაა̲** (ლშხ.) < ქართ. კალაკოდა („ნიუკა")

ქარჳა̈ნ (ზს.)/**ქარჳან** (ლშხ.)/**ქარაჳა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. ქარავან-ი < ფალ. **karvān**

ქასანიკ (ლშხ.)/**ქასა̈ნიკ** (ლნტ.) < ქართ. (რაჭ.) ქასანიკ-ი („გაიძვერა, ეშმაკი ადამიანი")

ქარა̈ხს/**ქერახს** (ბზ.)/**ქერახს** (ლშხ.) < ქართ. ქარახს-ი („ყანწი")

ქლიბ (ბზ., ქს.)/**ქგლიბ**/**ქილიბ** (ბქ.) < ქართ. ქლიბ-ი

ქჳანდარ/**ქონდორ** (ბქ.) < ქართ. ქონდარ-ი

ქჳეყანა (ბზ., ქს.)/**ქეყანა** (ბქ.) < ქართ. ქვეყანა

ღალა̈ტ (ზს., ლნტ.)/**ღალატ** (ლშხ.) < ქართ. ღალატ-ი < არაბ.-სპარს. **γalat**

ღა̈რიბ (ზს., ლნტ.)/**ღარიბ** (ლშხ.) < ქართ. ღარიბ-ი < არაბ.-სპარს. **qarīb**

ღინღილ (ზს., ლშხ.) < ქართ. ღინღლ-ი

ღჳაჭა̈რ (ზს., ლნტ.)/**ღჳაჭარ** (ლშხ.) < ქართ. ვაჭარ-ი < სომხ. **vač̣ar** < ფალ. **vāčār**

ყანაოზ/ყანაჳეზ (ზს.) < ქართ. (ქიზიყ.) ყანაოზ-ი („აბრეშუმი, ფარჩა")

ყა̈ლჲან (ზს.)/**ყა̄ლჲან/ყა̄ლჲონ** (ლშხ.)/**ყალიოა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. ყალიონ-ი

ყურმა̈ნჯ (ბზ., ლნტ.)/**ყურმანჯ**(ლშხ.) < ქართ. (გურ.) ყურმანჯა-ჲ (ყრუ-მუნჯი), შდრ. ბქ. **ყუგ˹რა̈˺**

ყგრმილ (ზს.)/**ყირმულ** (ლშხ.) < ქართ. ყირიმულა („თოფი")

შამფირ˹ჳ˺/შა̈მფჳირ (ზს.)/**შამფურ** (ლშხ.)/**შამფირ** (ლნტ.) < ქართ. შამფურ-ი

შაჳგურმა̈ლ/შეგურმა̈ნ (ზს.)/**შეჳგჳრემან** (ლშხ.)/**შაჳგურმა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. შავგვრემან-ი (შდრ. ბზ. **მეშხლა̈˹ჲ˺**, ზს. **შიხგოგა̈ნ**)

შაჳფსხალაჲ (ლშხ.) < ქართ. შავმსხალა

შენობ (ბქ., ლნტ.)/**შენებ** (ლხმ.) < ქართ. შენობა < ფალ. **šēn** „საცხოვრებელი"

შიბა̈ქ (ზს., ლნტ.)/**შიბაქ** (ლშხ.) < ქართ. შიბაქ-ი (შდრ. ბქ. **საბრუნა̈**)

შურდუმ (ბზ.)/**შურდჳიმ** (ბქ.)/**შურდულ** (ლშხ.) < ქართ. შურდულ-ი

შჳე̄ნდბა (ზს., ლშხ.)/**შენდბა** (ლხმ.)/**შონდობა** (ლნტ.) < ქართ. შენდობა

ჩა̈ხმა̈ხ (ბზ., ლნტ.)/**ჩახმა̈ხ** (ბქ.)/**ჩახმახ** (ლშხ.) < ქართ. ჩახმახ-ი < თურქ.-სპარს. **čakmak**

ჩინთ (ბზ., ქს.)/**ჩიმთ** (ბქ.) < ქართ. ჩით-ი

ცარიელ (ლშხ.)/**ცა̈რიელ** (ლნტ.) < ქართ. ცარიელ-ი, შდრ. ოს. **cal** (შდრ. ზს. **ჭა̈რი**)

ცა̈ქჳ (ბზ.) „მოციქული, შიკრიკ-ი" < ქართ. მო-ციქ-ულ-ი

აშკარაა, რომ აღნიშნული ლექსემა ქართულიდანაა ნასესხები (ჩუხუა 2000-2003:157) და დამაჯერებლად აჩვენებს **ი** → **ე** → **ა̈** უკუუმლაუტის რეალურობას, რაც მომდევნო **ჳ**'ს მიეწერება (ქალდანი 1969:108) ე. ი. სვან. **ცა̈ქჳ** < ქართ. ციქვ-ი, რომელიც დღეს დამოუკიდებლად არ იხმარება ქართულში, მაგრამ გვხვდება მიმღეობურ ფორმებში: მო-ციქ-ულ-ი, სა-ციქვ-ელ-ი.

ცოდლია̈ნ/ცჳედლია̈ნ (ზს., ლნტ.)/**ცოდრია̈ნ** (ბქ.)/**ცოდლიან** (ლშხ.) < ქართ. ცოდვილიანი < ოს. **cawd** „ცუდი, მდარე"

ცხგრილ[1] (ზს.)/**ცხრილ** (ქს.) < ძვ. ქართ. (გუდამაყრ., ქართლ., ქიზიყ., ზ. აჭარ.) ცხრილ-ი „ცხავი"

ძეწა̈რ/ზეწა̈რ (ზს., ლნტ.)/**ძეწარ/ზეწარ** (ლშხ.) < ქართ. ზეწარ-ი

წაგა̈ბ (ბზ.)/**წაგაბ** (ლნტ.)/**წაგებ** (ლშხ.) < ქართ. წაგება

წინდა̈ჲ (ბზ.)/**წინდა̈** (ბქ.)/**წინდაჲ** (ლშხ.)/**წინდა** (ლნტ.) < ქართ. წინდა

წყგნა̈რ (ბზ.)/**წყგნა̄რ** (ლშხ.)/**წყგნა̈რ** (ლნტ.) < ქართ. წყნარი

ჭახრა̈გ (ბზ.)/**ჭახნეგ/ჭახრეგ** (ბქ.)/**ჭახრაგ** (ლშხ.)/**ჭახრა̈კ** (ლნტ.) < ქართ. ჭახრაკ-ი < ფალ. **čaxrak, čaxrag** „კოჭი, ხრახნი, მაქო, ჯარა", შდრ. სომხ. **č̣axrak**

ჭილჳფ (ბზ.)/**ჭილოფ** (ლშხ.)/**ჭილეფ** (ლნტ.) < ქართ. ჭილოფ-ი

ჭირისუფა̈ლ (ზს., ლნტ.)/**ჭირისუფალ** (ლშხ.) < ქართ. ჭირისუფალი

ხათრ (ზს., ლშხ.)/**ხა̈თრ** (ბქ., ლნტ.) < ქართ. ხათრ-ი (შდრ. ბქ. **მალკაფ**)

ხარა̈ბ (ზს.)/**ხარაბ** (ლხმ., ლნტ.)/**ხარებ** (ლშხ.) < ქართ. ხარება (რელიგ. დღესასწაული)

---

[1] ბალსქვემოურში „საცერ"-საც ნიშნავს.

ხა̈რბ (ზს., ლნტ.)/**ხა̄რბ** (ლშხ.) < ქართ. ხარბ-ი (შდრ. ზს. ⌈ჳ⌉ორცფდა̈ნ, ზს., ლნტ. თხა̈მდა̈ნ) < სპარს. **xarb**

ხელწიფ (ზს., ლნტ.)/**ხენწიფხე** (ბქ.)/**ხენწიფ** (ლშხ.)/**ხელმწიფ** (ლნტ.) < ქართ. ხელმწიფე

ხჳრჯინ (ზს., ლნტ.)/**ხჳრჯჳნ** (ლშხ.) < ქართ. ხურჯინ-ი

ჰარდან (ზს., ქს.) < ქართ. (ლეჩხ., იმერ.) ხარდან-ი (ვაზის სარი, ჭიგო)

ჰერჰ (ზს., ქს.) < ძვ. ქართ. ჰერჰ-ი („ხერხი, მიხვედრილობა“), შდრ. ზს., ლნტ. **კა̈ფ**

ჰმელ/ჰმელეთ (ბზ.) < ძვ. ქართ. ჰმელ-ი „ქვეყანა, ხმელეთი“

ჯა̈̄ჳრ (ბზ.)/**ჯა̈ჳრ** (ბქ., ლნტ.)/**ჯა̄ჳრ** (ლშხ.) < ქართ. ჯავრ-ი (შდრ. ზს., ლნტ. **ხგრ**) < არაბ.-სპარს. **ǯavr**

ჯოჯხეთ (ზს.)/**ჯოჩხეთ** (ბქ.) შდრ. ქს. **ჯოჯოხეთ** < ქართ. ჯოჯოხეთ-ი < ფალ. **dōžax, dužax**ᶜ

ჯჳა̈რ (ზს., ლნტ.)/**ჯჳარ** (ლშხ.) < ქართ. ჯვარ-ი (შდრ. ბზ. **სტა̄რჳ̈ნ**, ბქ. **სტარინ**, ლშხ. **სტა̄რჳნ**, ლნტ. **ჳსტარჳნ, ჳსტარჳინ** „ჯვარი; პირჯვარი“)

ჯჳეგ (ზს., ლნტ.)/**ჯეგ** (ბქ.)/**ჯოგ** (ლშხ.) < ქართ. ჯოგ-ი < სპარს. **ǯug, ǯuγ**

ჵაბედ (ბზ.)/**ჵობედ** (ბქ.)/**აბედ** (ბქ., ლშხ.)/**ა̈ბედ** (ლნტ.) < ქართ. აბედ-ი (შდრ. ზს. **ლა̈ჰჩია̈რ** „საკვესი“)

ჵაბჯა̈რ (ზს.)/**აბჯარ** (ლშხ.)/**აბჯა̈რ** (ლნტ.) < ქართ. აბჯარ-ი

ჵაკჳა̈ნ (ბზ.)/**აკჳან** (ლშხ.)/**აკაჳა̈ნ** (ლნტ.) < ქართ. აკვან-ი (შდრ. ბქ. **ჰენწ**)

ჵარა̈კ (ზს.)/**არაკ** (ლშხ.)/**არა̈კ** (ლნტ.) < ქართ. არაკ-ი.

1. 8. სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ლექსემები

ადგომ (ზს., ლნტ.) „მძიმე მარხვა და უქმე, ნათლისღების წინა დღე“ < ქართ. ა⌈ღ⌉დგომა

ა̈გი (ზს., ლნტ.)/**აგი** (ლშხ.)/**არგი** (უშგ.) „შინ“ < ქართ. ადგილ-ი, ალაგ-ი < ფალ. **ārak** ‖ **ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება“. ფონეტიკურად ქართული ფორმა ფალაურის იდენტურია: ალაგ — **ālak** (**k** > **g** — გვიანდელი გამოთქმის შედეგია — ანდრონიკაშვილი 1966:279)

ა̈გო̄შა̈რ/ა̈რგლო̄შა̈რ (ბზ.)/**ა̈გიშა̈რ** (ბქ., ლნტ.)/**აგი̄შარ** (ლშხ.) „შინაურები“ < ქართ. ადგილისან-ი, ალაგისან-ი

ბაბანიკ (ქს.) „ძვრა, განძრევა“ < ქართ. (გურ.) ბაბნიკ-ი „ერთ ადგილას ტკეპნა“

სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური, კერძოდ, ქვემოსვანური **ბაბან-იკ**, ბზ., ლშხ. ა-**ბა̄ბ**-ე, ბქ., ლნტ. ა-**ბაბ**-ე „ანიავებს“ (← ეტ. „ათრთოლებს, შეანძრევს“) და ქართ. (ფშ., მოხ., გუდამაყრ., ქართლ.) **ბაბან-ი** „კანკალი, თრთოლა, ძაგძაგი“; **ბაბან-ი** „სიცივის აყოლის ხმა (საბა)“ შესატყვისობად არის მიჩნეული და ამდენად საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ბაბ-ან** („ნიავი, რხევა“ → ქართ. **ბაბან-ი**: სვან. **ბაბ-, ბაბ-ან-იკ**) არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:56), ჩვენი ვარაუდით კი სვანური **ბაბანიკ** ნასესხებია ქართულიდან, კერძოდ, დასავლური დიალექტებიდან ა ხმოვნის რედუქციით. ამ ლექსემის სტრუქტურული ანალიზი ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს.

ბალჳერ⌈დ⌉ (ზს., ლშხ.)/**ბალაჳერ** (ქს.) 1. ბზ. „ბალავარ-ი, საძირკველი“, 2. ბზ., ლხმ., ლშხ. „თახჩა, ნიში (კარის ან ფანჯრის თავზე, ქვითკირის კედელში)“ < ქართ. ბალავარ-ი.

ბარძიმ/ბა̈რძიმ (ზს., ლნტ.) 1. „ბარძიმ-ი“, 2. „შხამი, საწამლავი“ < ძვ. ქართ. ბარძიმ-ი < ფალ. ***barz-in** „მაღალი“ (ჰურჰელი), თუმცა მეორე მნიშვნელობა ქართულში არ აქვს. **ბა̈რძიმ მარე** (ბქ.)

გადატ. — გესლიანი კაცი

ბა̈რგ (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) „ნადირის (ჯიხვი, არჩვი) ჯგუფი" < ქართ. ბარგ-ი

ბა̈რგ (ზს., ლნტ.)/**ბარგ** (ლშხ.) „მოკეთე, ახლო ნათესავი გვარში" < ქართ. ბარგ-ი

ბა̈რობ (ზს.)/**ბარობ** (ლნტ.) „ბარობა (ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, ძველისძველი პერიოდი, როდესაც ზამთარი საერთოდ არ არსებობდა)" < ქართ. ბარ-ი „ვაკე, დაბლობი" < არაბ.-სპარს. **bār**

ბედ (ზს., ქს.) „მიზეზი, ბრალი" < ქართ. ბედ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ტა̈რ**)

ბეღელ (ლხმ.) „ახმახი", „ვეებერთელა" < ქართ. ბეღელ-ი

საფიქრებელია, რომ საანალიზო ლექსემა (**ბეღელ**) შედარებით გვიანდელი ნასესხობაა სვანურში.

ბგნა̈ბ (ბზ., ლნტ.)/**ბგნაბ** (ლშხ.), „ავი ზნე", „ბნედა" < ქართ. ბუნება < ფალ. **būn** „საფუძველი, ძირითადი პრინციპი, საბაბი, ფესვი"

გარჯ (ზს., ქს.) „გაჭირვება; ძნელი" < ქართ. გარჯა

გარჯობ (ზს., ქს.) „გასაჭირი" < ქართ. გარჯა (გარჯობა?)

გა̄მ (ბზ.)/**გამ** (ბქ.)/**გა̄ნ** (ლშხ.) „სამაგიერო, სანაცვლო" < ქართ. გემო

გჳა̈კჳირ (ბზ.)/**გა̈კჳირ** (ბქ.)/**გჳაკჳრებ** (ლშხ.)/**გჳაკჳრაბ** (ლნტ.) „ყურადღება" < ქართ. დაკვირვება (პრევერბის მონაცვლეობით)

გჳიწყილჲა̈ნ (ზს.)/**გჳიწყგლჲა̈ნ** (ბზ.)/**გუწყგლიან** (ლშხ.)/**გჳიწყლია̈ნ** (ლნტ.) „გულწრფელი" < ქართ. გულწყლიან-ი (ნასესხებია მხოლოდ კომპოზიტის მეორე ნაწილი)

დამწა̄რა̈ჳ (ბზ.)/**დამწა̄რ/დამწა̄რაჳ** (ლშხ.)/**დამწარა** (ლნტ.) „მონატრებული, მონდომებული, მოსურვებული" < ქართ. გამწარებულ-ი (პრევერბის შენაცვლებით), შდრ. ძვ. ქართ. დამწარება „გამწარება"

და̈̄ჳ (ბზ.)/**და̈ჳ** (ბქ., ლნტ.)/**და̄ჳ** (ლშხ.) „ბრიყვი, სულელი" < ქართ. დევ-ი < ფალ. **dēv** „ბოროტი სული, დემონი"

და̈̄ჳბედნიე̄რ (ბზ.)/**და̈ჳბედნიერ** (ბქ.) „გულუბრყვილო, უწყინარი (ადამიანი)" < ქართ. *დევ-ბედნიერ-ი

დე̄ფა̈ნ (ბზ.)/**ტელა̈ფ** (ბქ.)/**დე̄ფან** (ლშხ.)/**დელფა̈ნ** (ლნტ.) „აივანი" < ქართ. დერეფან-ი

თაჳა̈რ (ზს., ლნტ.)/**თაჳარ** (ლშხ.) „მოზრდილი" < ქართ. მთავარ-ი

თაჳკა̈ც (ზს.) „უშვილო" < ქართ. თავკაც-ი (შდრ. ზს., ლშხ. **უგზელა**)

თულუყჳ (ზს., ლნტ.) „გუდა" < ქართ. (ფშ.) თულუხ-ი „სპილენძის კოკა, დიდი თუნგი ყელწვრილი" < თურქ. **tuluk** „გუდა, ტიკი"

იჳასიდამს (ბქ.)/**იჳა̈სიდამს** (ლნტ.) „ოდითგან (ევას და ადამის დროიდან)" < ქართ. ევას და ადამს. ევა, როგორც ცნობილია, ძვ. ებრაული სახელია და ნიშნავს „ცოცხალ'ს", ხოლო ადამი, ასევე, ძვ. ებრაული სახელია და ნიშნავს „თიხა'ს", „ადამიან'ს" (ჭუმბურიძე 1987:385, 320).

იჳა̈̄ში'შ' (ბზ.)/**იჳა̈შ** (ბქ.)/**იჳა̄შიშ** (ლშხ.)/**იჳა̄შჲა̈** (ლნტ.) „ძველისძველი, დიდი ხნის; უკვდავი; ევას დროის" < ქართ. *ევასის⌜ა⌝

კალმახ (ზს., ლშხ.)/**კალმახჳ** (ლხმ.) „თევზი" < ქართ. კალმახ-ი

კალჳ (ბზ.)/**კაჳ** (ლხმ.)/**კალ** (ბქ., ქს.) „ეზო" < ქართ. კალო

კეპილ (ზს., ქს.) „ძეხვი, კუპატი" < ქართ. ⌜და⌝კეპილ-ი

ბალსქვემოურ დიალექტში უმეტესად **კეპლა̈რ** ფორმას ხმარობენ უსისხლო ძეხვის აღსანიშნავად.

კერძ (ქს.) „მეგობარი, მოკეთე, მოყვარე, ნათესავი" < ძვ. ქართ. კერძ-ი, კერძო < ოს. **kærd**.

ქართულ **კერძო**'ს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: „მხარე, ნახევარი", თანდებული „-კენ", „წილი, ნაწილი, ხვედრი" და ა. შ. მ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით, ქართული სიტყვისათვის კ ე რ ძ ო ამოსა-

ვალია ცნება „ჭრისა, კვეთისა“, რომელიც წარმოდგენილია ოსურ ზმნაში: **kærdyn: karst/kærdun: karst** „ჭრა, კვეთა, ხევა, კუწვა“ და სხვა, თუმცა თვით ოსურში ირ. ***karti**-ს შეეძლო მოეცა ფორმა **kærc** (ანდრონიკაშვილი 1966:92-93).

კერძობ (ქს.) „დანათესავება, დამოყვრება“ < ქართ. *კერძოობა

კირაჳ (ქს.) „საბძელი“ < ქართ. კარავ-ი (შდრ. ბზ. **ლა̈ნნჳნა̈ლ**)

ლაკჳმაშ (ზს.)/**ლაკჳმაშო̄რ** (ლშხ.)/**ლაკჳმა̈შ** (ლნტ.) „საქონლის სადგომი, ბოსელი, სასაქონლე“ < ქართ. *საკუმაშე < არაბ. **kumaš** (შდრ. ბქ. **ლამგნგარ**, ლნტ. **ლამანგარ**)

ლეგა̈რჯ (ზს., ლნტ.)/**ლეგგრჯ** (ლშხ.) „ძნელი, საძნელო“ < ქართ. საგარჯო

ლეკერძგლი (ლშხ.) „ნათესავი; სანათესაო“ < ქართ. ⌜სა⌝კერძო (შდრ. ბზ. **ნა̈თი**, ქს. **ნაღალ**)

ლეკლა̈ჳი (ზს., ლნტ.)/**ლეკლაჳი** (ლშხ.)/**ლეკალა̈ჳი** (ლნტ.) „გასალეწი, სალეწი“ < ქართ. *⌜გა⌝საკალოებელ-ი

ლემო̄რჳე (ბზ., ლშხ.)/**ლემორჳე** (ბქ.)/**ლემორა̈ჳ** (ლნტ.) „გასარჩევი, სამედიატორო საქმე“ < ქართ. *⌜გა⌝სამოურავებელ-ი

ლესკეთე (ბზ., ლნტ.)/**ლესკეთი** (ბქ., ლშხ.) „გასაკეთებელი, მოსაგვარებელი“ < ქართ. *⌜გა⌝სასიკეთებელ-ი (შდრ. ზს. **ლესყი**)

ლეტკლებე (ბზ., ლშხ.)/**ლეტკლებ** (ბქ.)/**ლედაკლებ** (ლნტ.) „დასანანი“ < ქართ. ⌜და⌝საკლებ-ი

ლეძხა̈ლი (ბზ.)/**ლეძხალი/ლეზხალი** (ლშხ.)/**ლეზხა̈ლი** (ბქ., ლნტ.) „გასარეკი (საქონელი)“ < ქართ. ⌜გა⌝საძახებელ-ი

ლეჭო̄რე (ბზ., ლშხ.)/**ლეჭირე** (ბქ., ლნტ.) „გასაწვალებელი, საშრომი“ < ქართ. ⌜გა⌝საჭირვებელ-ი

ლიგჳრიზი (ბქ.) „დახვევა, დაგრაგნა“ < ძვ. ქართ. გრუზ-ი/გროზ-ი „ხშირი“ (შდრ. ბქ. **გჳირიზ** „ხვეულა“)

ლიკე̄რძა̈ლ (ლშხ.)/**ლიკერძა̈ლ** (ლნტ.) „დანათესავება“ < ქართ. კერძი, კერძო

ლიკთილე/ი (ზს., ლშხ.)/**ლიკეთლე/ლიკეთილი** (ლნტ.) „გამდიდრება; აშენება“ < ქართ. *⌜გა⌝კეთილება

ლიკლა̈ჳი (ზს., ლნტ.)/**ლიკლაჳი** (ლშხ.)/**ლიკალა̈ჳი** (ლნტ.) „⌜გა⌝ლეწვა“ < ქართ. *⌜გა⌝კალოება

ლიკჳმა̈შ⌜ი⌝ (ზს., ლნტ.)/**ლიკჳმაში** (ლშხ.) „მესაქონლეობა“ < ქართ. *კუმაშობა < არაბ. **kumaš** (შდრ. ბქ. **ლიქჳმინგენ⌜ი⌝**)

ლიმდილალ (ზს.) „ხვეწნა, მუდარა“ < ქართ. მადლ-ი (შდრ. ბზ. **ლიჴჵრა̈ლ**)

ლიმო̄რჳე (ბზ., ლშხ.)/**ლიმორჳე/ლიმორეჳ** (ბქ.)/**ლიმორა̈ჳ** (ლნტ.) „გარჩევა, მედიატორობა“ < ქართ. *⌜გა⌝მოურავება (შდრ. ზს. **ლილხჳერი**)

ლიტკლებე (ზს., ლშხ.)/**ლიდაკლებ** (ლნტ.) „დანანება“ < *ლი-დაკელებ-ე'საგან < ქართ. დაკლება. სვანურ ფორმაში ამოღებულია ა ე ხმოვნები და თავმოყრილი **დკ** ასიმილაციის ძალით ქცეულია **ტკ** კომპლექსად (თოფურია 1979:148).

ლიცხჳლე (ზს., ლნტ.)/**ლიცხჳლი** (ლშხ.) „⌜შე⌝ტრუსვა“[1] < ქართ. გაცხელება

ლიწგნდა̈ჲ/ლიწინდა̈ჲ (ზს., ლნტ.)/**ლიწინდა̈ჳი** (ბქ.) „ქსოვა“ < ქართ. წინდის ქსოვა. ბალსქვემოურ დიალექტში ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, ბალსზემოურში კი მხოლოდ „წინდის ქსოვის“ მნიშვნელობა აქვს (შდრ. ზს., ლშხ. **ლიჯში**, ლშხ. **ლიჯიშ/ლიჯშე**, ლნტ. **ლიჯიშ⌜ი⌝** „ქსოვა“).

ლიწირჳელი/ლიწგრჳელი (ზს.) „გალობა“; წრიპინი (ჩიტისა)“ < ქართ. წირვა

ლიჭლა̈ჲ (ზს.)/**ლიჭლაჲ** (ლშხ.)/**ლიჭალა̈ჲ** (ლნტ.) 1. „ჩაძირვა“, 2. „გადათელვა“ < ქართ.

[1] შდრ. ბზ., **ნა-ტჳს-უნ** „საკმეველი“ < ძვ. ქართ. ნა-ტუს-ავ-ი.

*⌜გა⌝ჭალება (შდრ. ბზ. **ჭალა̈ჲ**, ლშხ. **ჭალაჲ**, ბქ., ლნტ. **ჭალა̈** 1. „მდინარე“, 2. „ჭალა; მდინარის პირა მინდორი“) < ფალ. **čālak** „კუნძული, ხმელეთი“

ლიჭგლტა̈რი/ლიჭგლტრე (ზს.)/**ლიჭგლტარი** (ლშხ.)/**ლიჭელტა̈რი** (ლნტ.) 1. „რთვა (შალის ძაფისა)“, 2. „რთვა და ქსოვა, საერთოდ ხელსაქმე“ < ქართ. *ხელტარობა (შდრ. ქართ. ხელტარ-ი „ძაფის დასაძახავი თითისტარი“).

ლჳსდგომე (ზს., ლშხ.) „დაბინავებული“ < ქართ. *⌜და⌝სადგომებულ-ი

ლგკთილ⌜ე⌝ (ზს., ლშხ.)/**ლგკეთლე** (ლნტ.) „ქონებიანი, მდიდარი, შეძლებული, აშენებული, დოვლათიანი“ < ქართ. ⌜გა⌝კეთილებულ-ი

ლგკლაჳე (ზს., ლშხ.)/**ლგკალა̈ჳე** (ლნტ.) „გალეწილი“ < ქართ. ⌜გა⌝კალოებულ-ი

ლგსჳეჳ (ზს., ლნტ.)/**ლგსეჳ** (ლხმ.)/**ლგსოჳ** (ლშხ.) „ბარაქიანი, ხვავრიელი, დოვლათიანი“ < ქართ. სვიან-ი < ოს. **fesgun** „სვიანი, ბედნიერი“

მასდიკ (ზს.) „საწყენი, წყენა, მწუხარება“ < ქართ. სისასტიკე < ფალ. **sāstīk** „ძლიერი, მტკიცე, მკაცრი“

მატკლა̈ბჳა̈რ (ბზ.)/**მატკლება̈რ/მატკლობა̈** (ბქ.)/**მატკლებჳა̄რ** (ლშხ.)/ **მადაკლებუა̈რ** (ლნტ.) „ძუნწი, ხელმოჭერილი“ < ქართ. ⌜და⌝კლება

მა̈ნკ (ზს., ლნტ.)/**მანკ** (ლშხ.) „ხასიათი, ზნე“ < ქართ. მანკ-ი „ნაკლი, ზადი, ბიწი, უარყოფითი მხარე“

მა̈ჲდან (ზს.) „აივნის კარი“ < ქართ. მოედან-ი < სპარს. **maydān**

მგკგლმა̈ხი (ზს.)/**მგკგლმახი** (ლშხ.)/**მგკალმა̈ხი** (ლნტ.) „მეთევზე“ < ქართ. მოკალმახე

მგქსარ (ბქ.) „ფეხშიშველი (ფეხსაცმელში წინდების გარეშე ჩაყოფილი ფეხები)“ < ქართ. (ხევს.) მუქასარ-ი „შარვალი; შარვლის ტოტის ბოლო“, (ინგილ.) მუქასარ „ქალის შარვალი (ინგილოების ეროვნული ტანსაცმლის ქვედა ნაწილი)“

ნაზა̄რ⌜ჳ⌝ (ბზ.)/**ნაზარ⌜ჳ⌝** (ბქ.)/**ნაზა̄რ** (ლშხ.)/**ნაზარ** (ლნტ.) „დანაზოგი“ < ქართ. *⌜და⌝ნაზარებ-ი

სპეციალურ ლიტერატურაში (ფენრიხი 1984:42) ქართ. ზრ-უნ-ვ-ა; ზრ-უნ-ავ-ს; მ-ზრ-უნ-ვ-ელ-ი... და სვან. ლი-ზარ-ე „ზრუნვა; დაცვა...“ შესატყვისობად არის მიჩნეული. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული სვან. ზარ- ძირის ქართულიდან ნასესხობა. მეგ.-ლაზ. შესატყვისი ძირი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

ნაკლაჳ (ზს., ლშხ.)/**ნაკალაჳ** (ლნტ.) „⌜გა⌝ნალეწი (ბზე)“ < ქართ. *ნაკალოებ-ი

ნა̈ნო̄ლ/ნა̈ნჳლ (ბზ.)/**ნანჳლ** (ლშხ.) „ქალიშვილი“ < ქართ. ნანა + სვანური კნინობითის სუფიქსი. ბალსქვემოურში ეს ლექსემა არ დასტურდება, ალბათ იმიტომ, რომ იქ დედის აღმნიშვნელად *ნანა* ფორმა არ გვხვდება.

მ. ჩუხუას აზრით, სვან. **ნა̈ნო̄ლ** მომდინარეობს ძვ. ქართ. ნინველ-ი'საგან „ჩჩვილზე მეტი, ჭაბუკისა უმცირესი“ (საბა), ხოლო საქართველოში გავრცელებული ქალის საკუთარი სახელი **ნანულ-ი** მისი ვარაუდით, შეიძლება სვანური წარმოშობისა იყოს (ჩუხუა 2000-2003:166).

ნა̈ჭი̄რ (ბზ.)/**ნა̈ჭირ** (ბქ.)/**ნაჭი̄რ** (ლშხ.)/**ნა̈⌜ნ⌝ჭირ** (ლნტ.) „ნაშრომი, ნაჯაფი, ჭირგამოვლილი“ < ქართ. *განაჭირ-ი

პა̈ტრიჯან (ზს.)/**პატრაჯან** (ბქ., ჩბხ.)/**პატრაჯ/პატრეჯან** (ბქ., ლხმ.)/**პატრიჯან** (ქს.) „პომიდორი“ < ქართ. ბადრიჯან-ი < სპარს. **badnijan, badlijan**

პილჳარდა̈ჲ (ბზ.)/**პილჳარდა̈** (ბქ.)/**პილჳარდაჲ/პილოტაჲ** (ლშხ.)/**პილოჩა̈** (ლნტ.) „დიდტუჩა, ლაშებიანი“ < ქართ. პირვარდა/ი

რა̈გჳ (ბქ.)/**რაგჳ** (ლშხ.) „მორყეული, მოფამფალებული შენობა, გზა...“ < ქართ. რაგვ-ი „წნელის

ლობე" (შდრ. ქართ. რეგვავს „ამტვრევს, ამსხვრევს"), გურ. „თაგვისა და ფრინველის დასაჭერი მახე", ლეჩხ. „გაუთლელი მორი, ძელი"; რაგუ, შარაგულ-ი „სუფთად დაწნული ღობე" (საბა).

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (ნაისერი 1953:45; შმიდტი 1962:129; ჩიქობავა 1974:74; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:381; არაბული 72:133, 134, 135, 201, 313), ***რეგუ-** ძირი ივარაუდება მხოლოდ ქართულ, მეგრულ და ლაზურ ლექსემებში (ქართ. სა-რეგუ-ავ-ი „მახე"; მეგრ. რაგვ-ი „მახე"; ლაზ. რაგ-ი „ჩიტის საჭერი მახე"); სვანურში, როგორც ჩანს, ის ნასესხებია მეგრულიდან ან ქართული ენის დასავლური დიალექტებიდან, თუმცა მ. ჩუხუა ***რეგუ-** არქეტიპს საერთოქართველურ მონაცემად წარმოაჩენს (იქვე:188).

რიგ (ბქ., ლშხ.) „წესი" < ქართ. რიგ-ი

რიდ (ბზ., ლშხ.) „შნო" < ქართ. რიდ-ი („ხათრი, მორიდება")

რიდიäნ (ბზ.) „შნოიანი, წარმოსადეგი შეხედულებისა" < ქართ. *რიდიან-ი („მორიდებული")

საბრალ (ზს., ქს.) „ღარიბი" < ქართ. საბრალო

სათäლ (ბზ.)/**სჳანთალ/სანთალ** (ბქ.) 1. „დურბინდი", 2. ბქ. „კორა (სამიზნე თოფისა)" < ქართ. სათვალე

სანეფ (ბზ., ლშხ.)/**სანäფ/სანაფ** (ბქ.)/**სäნეფ** (ლნტ.) < ქართ. სინაფ-ი (ვაშლის ჯიში), ბალსქვემოურში გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობით (შდრ. ზს. **ჳისგ**)

საუდ (ბზ.)/**სეუდ/სეჳდ** (ბქ., ქს.) „მონატრება, ნახვის ნატვრა" < ქართ. სევდა < არაბ.-სპარს. **souda**

საწუთრ (ლშხ.) „ლამაზი, კოხტა, სანატრელი, სასურველი" < ქართ. საწუთრო

სäხ (ბქ.) „საქმე; წესი" < ქართ. სახე

სäხიშ (ზს., ლნტ.)/**სახიშ** (ლშხ.) „ხასიათი" < ქართ. სახის⌈ა⌉

სიკცხäჳ/სიკცხაჳ (ბქ.) „პატივი" < ძვ. ქართ. სიკიცხევა „კიცხვა, ლანძღვა, შერცხვენა; შეურაცხყოფა", შდრ. ქართ. საკიცხავ-ი, განკიცხულ-ი, აგრეთვე საკაცრავ-ი „საქციელი-მართებული" (საბა), შდრ. სვან. **ხესკიცხäჳ** „პატივს სცემს, მიაგებს," **ლესკიცხäჳ** „მოსახათრებელი, საპატივცემლო, საკითხავი" (ადამიანი)

ტარჳეს (ზს., ლნტ.)/**ტაროს/ტაროც** (ლშხ.) „გუნება, განწყობილება, ჯანმრთელობა" < ქართ. ტაროს-ი

ტკიც (ზს., ქს.) „სიმართლე; ჭეშმარიტი, ნამდვილი, მართალი" < ქართ. მტკიცე, სიმტკიცე

ქართ. **ტკეც-/ტკიც-** და სვან. **ტკიც-** ერთმანეთთან შეაპირისპირა პროფ. ზ. სარჯველაძემ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ძნელია მისი ქართულიდან ნასესხობის გამორიცხვა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:437). ასევე, **ტკიც** ქართული **მტკიცე**'დან ნასესხებად მიაჩნია გ. კლიმოვსაც (კლიმოვი 1964:336).

უკლაჳა (ზს., ლშხ.)/**უკალაჳა** (ლნტ.) „გაულეწავი" < ქართ. *⌈გა⌉უკალოებელ-ი

ურწყულ/ურწყჳულ (ზს., ლნტ.) „უწმინდური, ბინძური" < ძვ. ქართ. ურწყო „წმინდა, წყალშეურევნელი", „ფარული", ურწყულ-ი „უწყლო" (შდრ. ბზ., ლშხ. **ჳიდრობა**)

ჳარჩხილ (ზს., ქს.) „ფულ-ი" < მეგრ. ვარჩხილ-ი „ვერცხლი"

ჳეთხმალ/ჳეთხჳმალ (ბქ.)/**ჳეთხმäლ** (ლხმ.) „საქონელი, პირუტყვი" < ქართ. ოთხმავალ-ი (შდრ. ბზ., ლნტ. **ქჳინლგმგენე**, ბქ. **ქჳინიმგენე**)

ჳიმცäრ (ბქ.) „სუსტი, უძლური" < ქართ. უმეცარ-ი (შდრ. ბქ. **ჳინცბäრილ**)

ჳიჭმ (ზს., ლნტ.)/**უჭმ** (ლშხ.) 1. „მარხვა, ქრისტეშობის მარხვა", 2. „ქრისტეშობისთვე, დეკემბერი" < ძვ. ქართ. უჭმება „უჭმელობა", უჭმელი „მარხული"

ჳოჯäრ (ზს.)/**ჳოჯარ** (ლშხ.) „ობოლ-ი" < ძვ. ქართ. ოჯერ-ი, ახ. ქართ. ოხერ-ი

ფერა̈ბ (ზს., ლნტ.)/**ფერებ** (ლშხ.) „პირფერობა; მობოდიშება“ < ქართ. ფერება

ფირცქეჷილ/ფჷრცქეჷილ (ბზ.)/**ფირცქა̈ჷილ/ფჷრცქა̈ჷილ** (უშგ.)/**ფირცქეულ/ფჷრცქეულ/ფა-რიცქეულ/ფარიქცეულ** (ლშხ.) 1. ბზ. „ტყუილი, სიცრუე“, 2. „მატყუარა, ცრუპენტელა; ფარისეველი“ < ძვ. ქართ. პირ⌜შე⌝ქცეული

ფურთხ⌜ჷ⌝ (ბქ.) 1. „საქონლის მჭლე ხორცისათვის დამახასიათებელი ბუშტუკები“, 2. „ქონში დაბუდებული მავნე უჯრედი, ხორცის შემაგრებული ბურთულა“ < ქართ. ფურთხ-ი.

აღნიშნული ლექსემა აშკარად ნასესხებია ქართულიდან. ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში, აუს-ლაუტში, ჷ'ს განვითარება სვანურისთვის უცხო არ არის.

მ. ჩუხუა სვან. **ფუთხ-ჷ||ფურთხ-ჷ** ლექსემის შესატყვისად წარმოაჩენს ქართულ (ზ. აჭარ.) **ფუთხ-ო** „ხმელი მუწუკი“ და ქართულ-სვანურში ძირად გამოყოფს **ფუთხ**-'ს. ბოლოკიდური -ჷ (← -ო): -ო, მისი აზრით, სადერივაციო აფიქსებია (ჩუხუა 2000-2003:242).

ქაჯრა̈ჲ (ბზ.)/**ქაჯრა̈** (ბქ.)/**ქაჯრა** (ლშხ.)/**ქაჯარა̈** (ლნტ.) „მოუსვენარი, ცელქი, დაუდეგარი“ < ქართ. *ქაჯ-ია, ქაჯ-ი < სპარს. **kaJ**

შესაძლოა ბალსქვემოური ფორმა **ლი-ქაჟ-ალ** „გიჟობა, ქაჯობა“ და **ლგ-ქაჟ-ე** „სულელი, გიჟი“, **მგლქაჟ** „მოგიჟო“ **ქაჯ** სიტყვისგან მომდინარეობდეს. ამ ფორმების ერთმანეთთან დაკავშირება ფონე-ტიკურად და სემანტიკურად დაბრკოლებას არ უნდა წარმოადგენდეს.

ყაბა (ლშხ.) „ცალ მხარეზე გადაწონილი ტვირთი“ < ქართ. (ლეჩხ.) ყაბა „მსუბუქი ტვირთი“, შდრ. გურ. ყაფა „არამკვიდრად მოკრული ტვირთი“.

აღნიშნული ქართულ-სვანური ლექსემის შესახებ მ. ჩუხუა შენიშნავს: „ამ ფუძის დისტრიბუცია შეზღუდულია ქართველურ ენებში: სხვა ენებიდან ხომ არ მომდინარეობს?“ (იქვე:242) ზანური ეკვივა-ლენტი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის და ამდენად, სვანური ლექსემის ქართულიდან ნასესხობას ამჯერად არ გამოვრიცხავთ, მითუმეტეს, რომ საანალიზო ლექსემა სვანური ენის სხვა დიალექტებში არ დასტურდება.

ყო̄შ (ბზ., ლშხ.)/**ყჷეშ/ყეშ** (ბქ.)/**ყოშ** (ლნტ.) „კოვზ-ი“ < ქართ. (ქართლ., ქიზიყ.) ყოშ-ი „მოკლე-ტარიანი პატარა ნიჩაბი“, შდრ. ძვ. ქართ. კოშ-ი „ხისა და გოგრის თასი“

შა̈შომბ (ბზ.)/**სა̈შშობ** (ბქ., ლნტ.)/**საშშობ** (ლშხ.) „ჭიაკოკონობა, ჭინკობისთვის ბოლო ღამე“ < ქართ. *საშიშობა

ჩირთ (ზს., ლნტ.) „ქვების გროვა < ქართ. (ფშ.) ჩირთ-ი (?) „ახლად გამოსული ფოთოლი გაზა-ფხულის პირას“

ცა̈ლ (ზს., ლნტ.)/**ცალ** (ლშხ.) „ტოლ-ი, ხელა; კბილა, ერთი ასაკისა“ < ქართ. ცალ-ი < ოს. **cal** „რაოდენი, ერთეული“

ცონა̈რ (ბზ., ჩბხ.) „უსუსურ-ი, სუსტი“ < ძვ. ქართ. მცონარე/ი „ზარმაცი, მუქთახორა; უქმი“ < ოს. **æncoj/æncojnæ** „სიმშვიდე, დასვენება“

ცხჷიშილ (ლშხ.) „შინაყმა, მოჯამაგირე, ნაყიდი ყმა“ < ქართ. სხვი⌜ს⌝-⌜ი⌝ შვილ-ი

წყა̈ნ (ზს.) „ზარალ-ი“ < ქართ. საწყენ-ი, წყენა

წყილია̈ნ/წყგლჲა̈ნ (ზს.)/**წყგლჲან** (ლშხ.)/**წყგლია̈ნ** (ლნტ.) „წმინდა, სუფთა“ < ქართ. წყლიან-ი

წყილია̈ნ/წყგლჲა̈ნ (ბზ.) „ვერცხლი“ < ქართ. წყლიან-ი

წყგზა̈მ/წყგზემ (ბზ.)/**წყგზემ** (ლშხ.)/**წყაზარ** (ლნტ.) „სუფთა, ფაქიზი, წმინდა“ (შდრ. ბქ. **წყაზა̈რ ტა̈ნიშ** „კოხტა ტანის, მოხდენილი“ (ადამიანი) < ძვ. ქართ. მწყაზარ-ი „თეთრი“, რაჭ., ფშ. „მორთული, მოხდენილი, კოხტა; ცოცხალი, მარდი, ფხიანი, მარჯვე“.

არაერთი ლექსემის სტრუქტურულ-სემანტიკური მხარის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სვანური მა-სალა გაცილებით ახლოა ძველ ქართულთან, ვიდრე სხვა მონაცემებთან.

ჭალა̈ღ (ბზ.)/**ჭალა̈** (ბქ.) „მდინარე" < ქართ. ჭალა (მდინარის პირა მინდორი) < ფალ. **čālak** „კუნძული, ხმელეთი", თუმცა სვანურში საანალიზო ლექსემას იგივე მნიშვნელობაც აქვს, რაც ქართულში (**ჭალა̈ღ** (ბზ.)/**ჭალა̈** (ბქ., ლნტ.)/**ჭალაღ** „ჭალა")

ჭა̈გ (ზს.)/**ჭაგ** (ლშხ.)/**ჭა̈კ** (ლნტ.) „ჭაკი", მაგრამ ბალსქვემოურსა და ჩოლურულ მეტყველებაში უწესო ქალის სალანძღავ სიტყვად გამოიყენება < ქართ. ჭაკ-ი

ჭერ (ბქ.) „ეჭვი" < ქართ. ჭორ-ი (შდრ. ბქ. **ჳა̈რკ**)

ჭირ (ზს., ლნტ.) „შრომა, გარჯა, ჯაფა" < ქართ. ჭირ-ი

ხარჯობ (ბზ., ქს.)/**ხა̈რჯობ** (ბქ.) „პურობა, სადილობა, ვახშმობა" < ქართ. *ხარჯობა < არაბ. **xarǯ** (შდრ. ბზ. **ლიდღარა̈ლ**)

ხა̈რჯ (ზს., ლნტ.)/**ხარჯ** (ლშხ.) „საჭმელი, საგზალი" < ქართ. ხარჯ-ი < არაბ. **xarǯ** (შდრ. ზს., ლნტ. **ლეზჳებ**)

ჴელტა̈რ (ზს., ლნტ.)/**ჴელტარ** (ლშხ.) „მქსოველი" < ქართ. (ქართლ.) ხელტარ-ი „ძაფის დასაძახავი თითისტარ-ი" (შდრ. ზს., ლნტ. **მგჯიშ**, ბქ., ლშხ. **მგჯში**)

ჴელჳა̈ნ (ზს., ლნტ.)/**ჴელჳან** (ლშხ.) „კალატოზი, ხელოსანი" < ძვ. ქართ. ჴელოვან-ი

ჴეც (ზს., ქს.) „დევი" < ძვ. ქართ. მჴეც-ი, ახ. ქართ. მხეც-ი

ჰალა̈გ (ზს.)/**ალაგ** (ლშხ.)/**ალა̈გ** (ლნტ.) 1. „ჭიშკარი", 2. „ღობე" < ძვ. ქართ. ალაგ-ი „ბილიკი, გზა; კვალი", ახ. ქართ. ალაგ-ი, (იმ., გურ.) ალაგე „ღობეზე გადასასვლელი ადგილი" < ფალ. **ārak/ālak** „მხარე, გვერდი, მიმართულება"

ჰაჳეჯ (ზს.)/**აჳეჯ** (ლშხ.) „იარაღი" < ქართ. ავეჯ-ი (შდრ. მთარაჭ. ავეჯ-ი — ტანის მოკაზმულობა-მორთულობა: „წაიღე შენი იარაღი და ავეჯი" — ძიძიგური 1954:200), შდრ. ზს., ლნტ. **ნა̈ხე**, ლშხ. **ნახე**.

არაერთი ლექსემის სტრუქტურულ-სემანტიკური მხარის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სვანური მასალა გაცილებით ახლოა ძველ ქართულთან, ვიდრე სხვა მონაცემებთან.

2. ნასესხები რელიგიური ლექსიკა სვანურ ენაში

2. 1. ქრისტიანული დღესასწაულები

სინიმოხსნა̈ბ. ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით არაერთი ქართული რელიგიური ტერმინი ისესხეს სხვადასხვა დროს როგორც სვანურმა, ისე მეგრულ-ჭანურმა ენებმა. აღნიშნულ ლექსემათა მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნილია ქართველურ ენათა წიაღში, ზოგი კი ნასესხებია სხვა ენებიდან, პირველ რიგში — ბერძნულიდან, ქართულისა და მეგრულის მეშვეობით; გზადაგზა მათ თვალსაჩინო ფონოლოგიური და სემანტიკური ცვლილებები განუცდიათ (ჭუმბურიძე 2000:152).

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ სვანურ ენაში არსებულ ქართული წარმომავლობის რელიგიურ ტერმინს **სინიმოხსნა̈ბ**, რომელსაც ქართულში, ანუ გამსესხებელ ენაში, შეესაბამება სინტაგმა „სულის ⌈მო⌉ხსენება".

აღნიშნული რელიგიური ლექსემა, ჩვენი აზრით, შედარებით ახალ ნასესხობას წარმოადგენს (ამას ისიც ადასტურებს, რომ მასში -ჭ- ფონემა კი არ გვხვდება, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ **-ხ-**). მისი სემანტიკა სვანურში იგივეა, რაც ქართულში. რაც შეეხება ფონეტიკურ ცვლილებებს, ამ მხრივ ლექსემამ **სინიმოხსნა̈ბ** საკმაოდ დიდი გზა გაიარა.

თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში ზემოაღნიშნული ლექსემის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები მოგვეპოვება. განსხვავებას ადგილი აქვს ერთი დიალექტის კილოკავებს შორისაც. განსაკუთრებით ეს ეხება ბალსქვემოური დიალექტის კილოკავებს. ჩვენთვის საინტერესო ლექსემა ყველაზე მეტ ცვლილებებს სწორედ ბალსქვემოურში ავლენს, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სინიმოხსნა̈ბ სვანეთში, კერძოდ, ზემო სვანეთში გავრცელებული რელიგიური დღესასწაულია, რომელიც იმართება 3 ივნისს და, როგორც ამას თვითონ ტერმინი გვიჩვენებს, სულის მოსახსენებელი დღეა[1].

ჩვენთვის საინტერესო ლექსემა სვანური ენის დიალექტებში (და კილოკავებში) შემდეგი სახით გვხვდება:[2]

ბალსზემოური

სინი-მოხსნა̈ბაშდ ჩი̄ ლა̈ჲსა ხორდა (სვ. ქრესტ. 1978, 16) — სულის მოხსენებისთვის („მო-ხს-ენ-ებ-ის-⌈ა⌉-დ") ყველას საკლავი ჰყავდა.

სინი-მოხსნა̈ბ ლიმგრჲეშა̈ლ ... ქჷინი ლადჲ̈ლ ლა̈სჷ (იქვე 16) — სულის მოხსენება მარიამობასავით სულის დღე იყო.

იმჷა̈ჲეჷ̄ნ ლიმგრჲეს ხემთქჷა̈ნხ, ეჯ სა̈ხეჷ̄ნ იჩომდახ **სინი-მოხსნა̈ბს** (იქვე 16) — როგორც მარიამობას იცოდნენ („სჩვეოდათ"), იმ სახით იხდიდნენ („იკეთებდნენ") სულის მოხსენებას.

ბალსქვემოური

სინ-მოხსნა̈ბს ხეჩო მეზგე მახა ლგდგა̈რს (იქვე 179) — სულის მოხსენებას უხდის („უკეთებს") მოსახლე ახალ მკვდარს.

სინ-მოხსნა̈ბჟი ... ზურალ ა̈ჲნე ლამუართე ლა̈ჲსას, მა̈ნცინს, ა̈რა̈ყს ი ლენყა (იქვე 179) — სულის მოხსენებაზე ქალი მიიყვანს მამისეულ სახლში საკლავს, წვრილფეხას, არაყს და ⌈გამო⌉საცხობს.

---

[1] ამ დღისთვის სვანები საგანგებოდ ემზადებოდნენ; წინასწარ აგროვებდნენ ყველსა და კვერცხს. ყველა ოჯახს ჰყავდა ზვარაკი, რომელსაც დილით ადრე დაკლავდნენ და მოხარშავდნენ; ქალები სალოცავ პურებს (ლემზგრა̈რს) და ლავაშებს აცხობდნენ, ყველსა და კვერცხებს ხარშავდნენ, ყველაფერს ერთად ტაბლებზე დებდნენ და მიჰქონდათ სასაფლაოზე.

[2] მაგალითები მოგვყავს როგორც გამოქვეყნებული, ისე ჩვენ მიერ შეგროვილი ტექსტებიდან.

ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავში ერთმანეთის პარალელურად გვხვდება **სინოხსნäბ** და **სჷინოხსნäბ** ფორმები. ერთი და იგივე მთქმელი ხან **სინოხსნäბ**'ს ამბობს, ხანაც — **სჷინოხსნäბ**'ს. ზოგიერთი მთქმელისთვის **სინოხსნäბ** არის სწორი ფორმა, ზოგიერთი კი უპირატესობას **სჷინოხსნäბ**'ს ანიჭებს.[1] ჩვენი თვალსაზრისით, **სჷინოხსნäბ** უნდა იყოს ამოსავალი დანარჩენი ფორმებისათვის.

ჩემ მიერ ვასილ საღლიანისგან (63 წლისა) ჩაწერილ ტექსტში მხოლოდ **სინოხსნäბ** ფორმები გვხვდება, მაგ.:

> **სინოხსნäბ** ... ჩიგარ ეშხუ რიცხჷს დემეგ ხეხოლი — სულის მოხსენება ყოველთვის ერთ რიცხვს არ ხვდება.
>
> **ხინოხსნäბს** იჷნისისგა იჩოხ — სულის მოხსენებას ივნისში იხდიან („იკეთებენ").
>
> **სინოხსნäბ** ლადელ ლäდსას äდსენიხ — სულის მოხსენების დღეს საკლავს კლავენ.

ვფიქრობთ, პროფ. მაქსიმე ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკაში" წარმოდგენილი ფორმა **სჷინოსხნäბ** (ქალდანი 1969:29) მეტათეზისის შედეგია (**სჷინოხსნäბ > სჷინოსხნäბ**).

ლახამულური კილოკავი განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს, აქ დასტურდება **სინოხსნობ** ფორმა.

როგორც აღნიშნულმა მაგალითებმა გვიჩვენეს, ბალსქვემოური დიალექტის სხვადასხვა კილოკავი ერთმანეთს უპირისპირდება საანალიზო ლექსემის ნაირ-ნაირ ფონეტიკურ ვარიანტთა გამოყენების თვალსაზრისით: **სინმოხსნäბ**[2]||**სინოხსნäბ** (ბეჩ.), **სჷინოხსნäბ**||**სინოხსნäბ** (ცხუმ.), **სინოხსნობ** (ლხმ.).

ყველა შემთხვევაში ბალსქვემოური დიალექტის მონაცემებში მთლიანადაა დაკარგული ნათესაობითი ბრუნვის მორფემა.

რაც შეეხება ქვემო სვანეთს, იქ ზემოაღნიშნული დღესასწაული დღეს არ გვხვდება, თუმცა გამორიცხული არაა, რომ იგი იქაც ყოფილიყო. რელიგიური დღესასწაულის არქონა არ ნიშნავს იმას, რომ ამ დღესასწაულის აღმნიშვნელი ტერმინიც არ გვქონდეს. როგორც გაირკვა, ქვემოსვანურში იგივე ერთცნებიანი კომპოზიტი დასტურდება, ოღონდ პირველ კომპონენტად სხვა ძირი გვხვდება (**ქჷინიმოხსნäბ** — ლნტ., **ქუნიმოხსნაბ** — ლშხ., შდრ. **ქჷინარე ლირშჷნი** — ჩოლ.), რომელიც **სინიმოხსნäბ** ლექსემის პარალელურად იშვიათად ბალსზემოურ დიალექტშიც შეიძლება შეგვხვდეს (**ქჷინიმოხსნäბ**).

სინიმოხსნäბ მხოლოდ ქრისტიანული დღესასწაულის აღმნიშვნელ ტერმინად გვხვდება სვანურში, ხოლო ქართული „სულის ხსენების" შესაბამისად სვანური ენის ყველა დიალექტში იმავე სტრუქტურის სვანური სინტაგმა გამოიყენება: **ქჷინი ლირშჷნი** — ბზ., ლნტ., ჩოლ., **ქჷინიშ ლირშჷნი** — ბქ., **ქუნი ლირშჷნი** — ლშხ.

ყველა ზემოაღნიშნულ ფორმას რომ თავი მოვუყაროთ, ასეთ სურათს მივიღებთ: **სინიმოხსნäბ**||**ქჷინიმოხსნäბ** — ბზ., **სინმოხსნäბ**||**სინოხსნäბ**||**სჷინოხსნäბ**||**სჷინოსხნäბ**||**სინოხსნობ** — ბქ., **ქჷინიმოხსნäბ** — ლნტ., **ქუნიმოხსნაბ** — ლშხ., **ქჷინარე ლირშჷნი** — ჩოლ.

სინიმოხსნäბ (ბზ.) ერთცნებიანი, ფუძეგანსხვავებული კომპოზიტია, რომლის პირველი ნაწილი ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელია, ხოლო მეორე — მასდარი. ამ რთული სიტყვის კომპონენტები, შედგენილობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია. მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -**შ**, საერთო წესის თანახმად, იკარგება ბალსზემოურ დიალექტში (**სინ-ი მოხსნäბ**). რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, ადრე გამოქვეყნებულ ტექსტებშიც და თანამედროვე მეტყველებაშიც გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრული დაკარგვა (**სინ მოხსნäბ**).

---

[1] **სინოხსნäბ** — ბადრი საღლიანის (42 წლისა) თქმით, **სჷინოხსნäბ** — მურადი ქალდანის (31 წლისა) თქმით.

[2] „სვანური ენის ქრესტომათიაში" დაბეჭდილ ბეჩოურ ტექსტში დადასტურებული ამ ფორმის გვერდით ცოცხალ მეტყველებაში **სინოხსნäბ** ფორმაც დავაფიქსირეთ (47 წლის ქეთევან კვიციანი ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას).

„ნათესაობითი ბრუნვის მორფემის თანხმოვნითი ელემენტი -ს (ქართული) და -შ (მეგრულ-ლაზურ-სვანური) ფონეტიკური შესატყვისებითაა წარმოდგენილი, ხოლო ხმოვანი, ჩვეულებრივ, ი̂ნია, ზოგჯერ კი ენიც. ფორმაწარმოების თვალსაზრისით ყველა ქართველურ ენაში ზოგადად ანალოგიური სურათია: თუ ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს უახლოეს პრეპოზიციურ მართულ მსაზღვრელს, მისი თანხმოვნითი ელემენტი, როგორც წესი, იკვეცება, ხოლო სხვა შემთხვევებში იგი შენარჩუნებულია. შესაბამისი მორფემის თანდათანობითი ცვეთის პროცესი ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში ყველგან მიმდინარეობდა, თუმცა განსხვავებული ძალით. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ჯერ თანხმოვნითი, ხოლო შემდეგ ხმოვნითი ელემენტის მოკვეცა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, დასტურდება უძველეს კომპოზიტებში (ტოპონიმები, კვირის დღეთა თუ მცენარეთა სახელწოდებები) და ზმნისართებთან ან თანდებულებთან მართვით დაკავშირებისას“ (ჩანტლაძე 1998:25-26).

სვანურში ბგერათა დაკარგვა-განვითარება გავრცელებული ფონეტიკური პროცესია (გაგუა 1986:219). სწორედ ბგერათა დაკარგვასთან გვაქვს საქმე ზემოაღნიშნულ ლექსემაში, რასაც გვავარაუდებინებს **სჷინოხსნა̈ზ||სჷინოსხნა̈ზ** ფორმების არსებობა (სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში), ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, **სინიმოხსნა̈ზ||სინმოსხნა̈ზ||სინოხსნა̈ზ** ფორმები, ფუძეგანსხვავებული კომპოზიტის პირველ ნაწილში **სჷინ-** ძირეული -ჷ- დაცულია, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დანარჩენ ფორმებშიც (**სინიმოხსნა̈ზ, სინმოხსნა̈ზ, სინოხსნა̈ზ||სინოსხნა̈ზ**) უნდა გვქონოდა ძირში -ჷ- ფონემა. აშკარაა, რომ აქ ბგერის დაკარგვასთან გვაქვს საქმე. საანალიზო კომპოზიტის მეორე ნაწილში, რიგ შემთხვევებში, იკარგება თავკიდური მ- ფონემაც. პროცესი ასე უნდა განვითარებულიყო:

სჷინ-იშ მოხსნა̈ზ → სჷინი მოხსნა̈ზ → სჷინმოხსნა̈ზ → სინმოხსნა̈ზ → სინოხსნა̈ზ → სინოსხნა̈ზ.

საკითხავია, რატომ გვაქვს **სჷინოხსნა̈ზ||სჷინოსხნა̈ზ** (ცხუმ.) კომპოზიტის პირველ ნაწილში **სჷინ-** და არა **ქჷინ-**?

ქჷინ (ბზ., ბქ., ლნტ.)/**ქუნ** (ლშხ.) ფუძე სვანურში ფართოდ გავრცელებული ლექსემაა და მას მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსები მოეპოვება. „სულის“ გარდა, იგი გვხვდება „სუნის“ მნიშვნელობითაც და მისგან ნაწარმოებია არა ერთი და ორი კომპოზიტი (**სინმოხსნა̈ზ** — „სულის მოხსენება“, **ქჷინლგმგენე||ქუნლგმგენე** — „სულდგმული“, **ქჷინმგწლე̄ბი||ქუნმგწლე̄ბი** — „სულთმობრძავი“, **ქჷინმეყჷლე** — „ორგული, ბოროტი“ („სულ'გა'ყოფილი“), **ქჷინმეჩდე** — „სულწასული“, **ქუნმასწარაჲ** — „სულწასული“,...), ზმნები (**ლიქჷნი** — „სუნება“, **ლიქჷნაჷა̈ლ** — „სულთმობრძაობა“) და ა. შ.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, **სული სუნის** მნიშვნელობით ძველთაგანვე გვხვდება ქართულშიც, ხოლო რაც შეეხება **სუნ** ლექსემას, იგი, პროფ. ზურაბ სარჯველაძის ცნობით, პირველად თავს იჩენს შატბერდის კრებულში (973—976 წწ.), მანამდე კი ამ მნიშვნელობით გვხვდება მხოლოდ **სული**, რომელსაც ეს მნიშვნელობა დღემდე აქვს შენარჩუნებული ზოგ თანამედროვე დიალექტში (ხევსურულში, იმერულში, გურულში,...). მსგავს ვითარებას აქვს ადგილი ზანურშიც, სადაც **სული** და **სუნი** ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულით (**შურ-ი**) გამოიხატება. ყოველივე ამის საფუძველზე პროფ. ზ. სარჯველაძე ვარაუდობს, რომ „ქართულ-ზანურის დონეზე ***სულ** არქეტიპი ითავსებდა **სულ-** და **სუნ-** მნიშვნელობებს“ (სარჯველაძე 1971:245). მისი აზრით, **სუნი** მიღებულია **სულ-ისა**გან ასიმილაციის გზით (**სულ-ნელი → სუნ-ნელი; სულ-თქმა → სუნ-თქვა**). ავტორი დასძენს: „სავარაუდოა, რომ **სულ-ი** და **სუნ-ი** ერთხანს თანაარსებობდნენ კიდეც ცოცხალ მეტყველებაში, როგორც სინონიმური წყვილი (ამგვარი შესაძლებლობა რეალიზებულია გურულ დიალექტში, სადაც **სულ-ი** და **სუნ-ი** სინონიმებია, ოღონდ **სულ-ს** მეორე მნიშვნელობაც მოეპოვება), ხოლო შემდგომში ეს სინონიმები გამოყენებულ იქნა **სულ-ი** და **სუნ-ი** სემანტემების აღმნიშვნელებად“ (იქვე:246-247).

ზოგიერთი მკვლევარი **სულ-ს** მიიჩნევს თავდაპირველ ფორმად (მარტიროსოვი 1941:230), ზოგი კი **სუნ-ს** აძლევს უპირატესობას (ძიძიშვილი 1960:58). პროფესორი ა. არაბული გელათის ბიბლიაში,

ზმნურ ფორმაში, ისეთ კონტექსტში ადასტურებს სუნ- ფუძეს, რომ საეჭვოდ მიიჩნევს მისი გვიანდელი სახელური ვარიანტიდან მომდინარეობის შესაძლებლობას (არაბული 2001:77):

და განჭრნა ძარღუნი, ვითარ ვინ განჭრის წმასნილი სელისაჲ, უ ს უ ნ ი ს რაჲ მას ცეცხლი, G — რაჟამს ეცის ს უ ლ ი ცეცხლისაჲ (M მსჯ. 16, 9).

ეს მოსაზრება, **სუნ-** ფორმასთან დაკავშირებით, უთუოდ დამაფიქრებელია და ჩვენი საკითხისთვისაც ძალზე საინტერესო, რადგანაც საანალიზო კომპოზიტის (**სჟინოხსნჰ||სინოხსნჰ,...**) პირველ ნაწილში გვაქვს **სჟინ-/სინ-** ფორმები და არა **სჟილ-/სილ-**, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, თუმცა **ნ/ლ** მონაცვლეობა სვანური ენისათვის, ისევე, როგორც საერთოდ ქართველური ენებისათვის, უცხო მოვლენას არ წარმოადგენს.

აკად. ნ. მარიდან მოყოლებული დღემდე არაერთ მკვლევარს (პროფ. ს. ჟღენტი, გ. მაჭავარიანი, ზ. ჭუმბურიძე, ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე,...) უცდია **ქუნ-/ქჟინ-** ძირის ეტიმოლოგიის გარკვევა ქართველური ენების მონაცემთა მიხედვით, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სვანური **ქუნ > ქჟინ** ყველაზე ადვილად იხსნება ძველი ქართული **აღ-მო-ქუინ-ვ-ა** („სუნთქვა, ქშენა") ფორმიდან ამოსვლით (მაჭავარიანი 1965:61, 64), თუკი აღნიშნული ფუძე ნამდვილად არსებობდა ძველ ქართულში. აქვე შეიძლებოდა დაგვემატებინა სხვა სონორის შემცველი ძირიც: **აღ-ქუმ-ა||აღ-მო-ქუმ-ა** („აქოშინება") (სარჯველაძე 2001:20), **აღ-მო-ქუმ-ულ-ი** (იქვე:16), **ა-ქუმ-ულ-ი||ა-ქმ-ულ-ი** („ნათლული") (სარჯველაძე 1995:5).

პროფ. ჰ. ფენრიხი ქართული **სულ-**ის შესატყვისად სვანურში მიიჩნევს **შურ-** ძირს, რომელიც დასტურდება **ლი-შურ-იჱლ** („ამოოხვრა") ფორმაში (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:287).

განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა აკად. ნ. მარს, რომელიც სვანურ **ქუნ-ს** ქართულ **სულ-**თან აკავშირებდა (მარი 1914:106). იგი აღნიშნავდა, რომ „ქართულის წინაენისმიერებს სვანურში უკანაენისმიერები ედრებიან"-ო და ასახელებდა შემდეგ მაგალითს: ქართ. **ცდ-უნ-ებ-ა** — სვნ. **ლი-ქდ-უნ-ე** (**ც / ქ**) (მარი 1937:318).

იმავე ძირს (ე. ი. **სულ-ს**) შესაძლოა უკავშირდებოდეს სვანური **ლი-შჟლ-ი**[1] (სარჯველაძე 1987:287) / **ლი-შულ-ი** („კოშინი") მასდარიც (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:424), თუ სპეციალურ ლიტერატურაში ნავარაუდევი ფონეტიკური პროცესი (დისიმილაცია) **შურ ← შულ** მისაღებია.

ნ. მარის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იმოწმებდა პროფ. ს. ჟღენტი, რის საფუძველზეც მან სცადა სვან. **ქჟინ-/ქუნ-** ფუძის დაკავშირება ქართულ **სულ-**თან (**ს / ქ**) (ჟღენტი 1949:135), მაგრამ შემდგომი კვლევა-ძიებისას ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული პროფ. გ. მაჭავარიანის მიერ. როგორც უკვე ვთქვით, მან სვან. **ქჟინ-/ქუნ-** ფუძეს დაუკავშირა ძველი ქართული **-ქუინ-** („სუნთქვა, ქშენა") ძირი და ჭან. **ქუნ** („ტვინი"). იქვე, სქოლიოში, მკვლევარი შენიშნავს: „**ქუინ-** ფუძის არსებობაზე ძველ ქართულში მიმითითა ილია აბულაძემ"-ო (მაჭავარიანი 1965:61).

პროფ. ზ. ჭუმბურიძე წერს: „პირადად ჩვენთვის **ქუინ-** სიტყვა ძველ ქართულში უცნობია. საგულისხმოა, რომ ის შეტანილი არ არის თვით ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში" (ჭუმბურიძე 1999:113).

სვანური **ქუ-ნ** (სული) სიტყვასთან ძველი ქართული **ექუ-ა** („კოშინი, ოხვრა, ქშინვა") (აბულაძე 1973:152) ზმნის დაკავშირება სცადა მკვლევარმა ლ. გელენიძემ, რომელიც ორივე ენაში **-ქუ-** ძირს გამოყოფდა ქართ. **სუ-ლ**, მეგრ. **შუ-რ** სიტყვებთან შეპირისპირებით (გელენიძე 1974:181). აღნიშნულ ფუძეებში (ქართ. **სულ-**, ზან. **შურ-**, სვან. **ქუნ-**) ბოლოკიდური სონანტის გამოყოფას სუფიქსად არ იზიარებს პროფ. ზ. ჭუმბურიძე: „სვანური **ქჟინ** (**ქუნ**) უშუალო კავშირშია არა ძველ ქართულ **ექუა** ზმნასთან და ლაზურ **ქუნ** („ტვინი") სახელთან, არამედ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფუძესთან, რომე-

---

[1] აღნიშნული ფორმა ამ სახით სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ გვხვდება (როგორც ჩანს, შესაბამის პუბლიკაციებში კორექტურული შეცდომაა!), სწორი ფორმაა **ლი-შჟლ-ი** (ბზ., ლშხ.), **ლი-შულ-ი** (ბქ., ლნტ., ჩოლ.).

ლიც ქართულსა და მეგრულ-ლაზურში არის გავრცელებული **სულ/სუნ, შურ** ლექსემების სახით. აქ ფონეტიკური შესატყვისობა არსებობს არა ქართულ **ს** და სვანურ **ქ** ფონემებს შორის, როგორც ამას ვარაუდობდა ს. ჟღენტი, არამედ **ქ** მიღებულია **სქ** კომპლექსის გამარტივების გზით, ეს კომპლექსი კი ქართული ს-ს შესატყვისად გვევლინება ზანურსა და სვანურში რიგ შემთხვევაში (ისევე, როგორც **შ:შქ, ზ:ზგ, ც:ცქ...**) (ჭუმბურიძე 1999:114). ე. ი. სვანურში **ქუნ (ქჳინ)**, ზ. ჭუმბურიძის მოსაზრების თანახმად, **სქუნ**-ისაგან არის მიღებული თავკიდური თანხმოვანთკომპლექსის გამარტივების გზით, ხოლო აღნიშნული კომპლექსი ქართული **ს** ფონემის შესატყვისია. არ არის გამორიცხული ის ვარაუდიც, რომ **ქუნ** სვანურში მიღებულია ***შქუნ** (და არა ***სქუნ**) ფუძის გამარტივებით (იქვე:115).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე აკეთებს შემდეგ დასკვნებს: „**სული** ერთ-ერთი უძველესი, საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულია, რომელიც ***სურ** ფუძის სახით აღდგება. მისი ფონეტიკურ-სემანტიკური განშტოებებია ქართ. **სულ-ი, სუნ-ი**, მეგრ. **შურ-ი** („სული, სუნი“), ლაზ. **შურ-ი** („სული“), **შურ-ა** („სუნი“), სვან. **ქუნ, ქჳინ** ← ***სქუნ, *შქუნ** („სული; სუნი“) (იქვე:120).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **სჳინოხსნა̈ზ||სჳინოსხნა̈ზ** ლექსემის პირველი კომპონენტი **სჳინ**- უნდა მომდინარეობდეს ქართული **სულ**- ძირისაგან; ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ქართული -**უ**- სვანურში -**ჳი**- კომპლექსს გვაძლევს, ხოლო **ლ / რ / მ / ნ** თანხმოვანთა მონაცვლეობა ცნობილი ფაქტია ქართველურ ენებში, რასაც ადასტურებს, ერთი მხრივ, ქართული **სულ-/სუნ**- ძირთა არსებობა და, მეორე მხრივ, სვანური ენის ჩოლურული დიალექტის მონაცემები: **ქჳლა** („სუნება“), **ქჳლ** („შებერვა“), **ქუნა̈გ** („სული“) (ლიპარტელიანი 1994:288); შდრ. ზს., ლნტ. **ქჳინ**, ლშხ. **ქუნ** („სული, სუნი“), **ქუნეგ⸢ა⸣** („ყნოსვა“) და ბქ. **ლი-ქულ-ი** („სუნება“).

იმავე ფუძეს შეიძლება დავუკავშიროთ **ლი-სე̄ლჳ-ე** ზმნა, რომელიც სვანური ენის ყველა დიალექტშია დაფიქსირებული (ბზ., ლშხ. **ლი-სე̄ლჳ-ე**, ბქ., ჩოლ. **ლი-სელჳ-ე**, ლნტ. **ლი-სელ-ე**) და აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, ესენია:

1. რჩენა, გამოკვება, მაგ.:

ბქ. **ლინთჳ სურუ გარჯ ლი ქჳინგმგენემ ლისელჳე** — ზამთარში (ზამთარს) ძალიან ძნელია საქონლის („სულდგმულის“) რჩენა („კვება“).

ლშხ. **ალემაგ ხალხს ლისე̄ლჳე მა̄მ ხაკუა?** — ამდენ ხალხს რჩენა („კვება“) არ უნდა?

2. მოსულიერება, გაცოცხლება, მაგ.:

ბზ. **წინწლიდი⸢შ⸣ (წინწლიდა̈⸢შ⸣) ჟი ლისე̄ლჳე ძღვდ ამხი̄დდა||ამხიდგნდა** — წიწილის მოსულიერება („გაცოცხლება“) ძალიან („დიდად“) გამიხარდა.

3. გახარება, მაგ.:

ბზ. **გჳიგ ზა̈ისგა ნარგნგაჳა̈ლს ლისე̄ლჳენ ბაც მა̄მ ხა̄რ** — შუა („გულ“) ზაფხულში ნარგავებს გახარების იმედი („შეძლება“) არა აქვთ („აქვს“) (თოფურია, ქალდანი 2000:447-448).

რამ გამოიწვია ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში ძირეული -ე- ხმოვნის სიგრძე?

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, ხმოვანთა სიგრძე სვანურში, ჩვეულებრივ, გვხვდება სონანტ თანხმოვანთა **ლ, ნ, ჳ** და ნაწილობრივ მ-ს წინ, უფრო ხშირად ბოლო მარცვლის პოზიციაში (ჟღენტი 1949:82).

ლი-სე̄ლჳ-ე ზმნა არა მარტო სემანტიკურად, არამედ მასალობრივადაც უნდა უკავშირდებოდეს ქართული **ა-სულ-იერ-ებ-ს** ზმნის ფუძეს. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს საერთოქართველურ ფუძესთან, მაგრამ ამ ვარაუდს ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ქართული -**უ**- ბგერის შესატყვისად სვანურში გვაქვს -**ჳი**- კომპლექსი და არა -ე- ხმოვანი. შესაძლებელია პროცესი ასე განვითარებულიყო: **ლი-სე̄ლ-ე** ← **ლი-სელჳ-ე** ← **ლი-სილჳ-ე** ← **ლი-სჳილ-ე** ← ქართ. ⸢მო⸣-სულ-⸢იერ⸣-ებ-ა, აქ, როგორც ჩანს, ადგილი აქვს საკომპენსაციო სიგრძეს ხმოვნისა, რომელიც -**ჳ**- სონანტის დაკარგვის შედეგად არის მიღებული.

ქართულიდან შეთვისებული ჩანს სვანურში უშგ. **ლი-სურ-ნ-ა̈ლ-ა̈ლ** და ბქ. **ლი-სურ-ნ-ელ-ა̈ლ** („სულელობა") (ქალდანი 1969:49), აგრეთვე ქვემოსვანურ დიალექტებში დადასტურებული **სურ-ნ-ელ** („სულელი") და მისგან ნაწარმოები სხვადასხვა ფორმები: ქა **ლი-სურ-ნ-ელ-ი** („გასულელება, გაგიჟება"), ქა **ლუ-სურ-ნ-ჷლ-ე** („გასულელებული, გაგიჟებული") და ა. შ., ვფიქრობთ, რომ **სურნელ** კომპოზიტს არ უნდა წარმოადგენდეს; ქს. **სურნელ** ← **სულელ-ი** (დისიმილაციის გზით), **-ნ-** თანხმოვანი, ეტყობა, ჩანართია.

ხომ არა აქვს რაიმე კავშირი სვანურ **ქჳინ-/ქუნ-** ფუძესთან ლეჩხუმურ **მაქუნა-ს**, რომელიც მოუსვენარს ნიშნავს (ღლონტი 1984:348), და ქვემოიმერულ რელიგიურ დღეობას **ქვანთახობა-ს** (იქვე:568)? ლეჩხუმური **მაქუნა-ს** დაკავშირება საანალიზო ფუძესთან, ვფიქრობთ, შესაძლებელია, ხოლო, რაც შეეხება **ქვანთახობა-ს**, ამ სიტყვის ეტიმოლოგია ჩვენთვის ჯერჯერობით მთლად ნათელი არაა.

რა შეიძლება ითქვას საანალიზო სვანური კომპოზიტის მეორე ნაწილზე? როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, აქაც გვაქვს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები: **მოხსნა̈ბ/ოხსნა̈ბ/ოსხნა̈ბ/ოსხნობ**. გასარკვევია, ფონეტიკური ცვლილებების რა გზა გაიარა სესხების პროცესში აღნიშნულმა ლექსემამ. მას, როგორც ეს ქართულიდან ჩანს, ფუძის ბოლოკიდურ ხმოვნად ა ჰქონდა, რომელსაც გასვანურების პროცესში ა̈ (/ა)'დ (ლხმ. ო'დ) მოდიფიცირებული ე ხმოვნის მომდევნო პოზიციაში რედუქცია განუცდია. ღიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის გზით აუსლაუტის გამარტივების პროცესი, როგორც ცნობილია, სვანური ენის დამახასიათებელი ტენდენციაა (ა. შანიძე, ვ. თოფურია, თ. გამყრელიძე, ს. ჟღენტი, გ. მაჭავარიანი, ალ. ონიანი, ი. ჩანტლაძე,...).

ა ხმოვნის დაკარგვის შემდეგ ბოლო მარცვალში უმლაუტიანი ხმოვანი აღმოჩნდა, რადგანაც უკანასკნელის წინა მარცვალში **ე** გვაქვს, რომელიც უკანა მიმართულების უმლაუტის შედეგად (ა-ს გავლენით) იცვალა ა̈-დ. ამ მოვლენის ყველაზე ნათელი და თვალსაჩინო ილუსტრაცია, პროფ. მ. ქალდანის აზრით, არის ნასესხები მასალა; ეს მასალა შედარების გზით რელიეფურად წარმოგვიდგენს ე ხმოვნის გაფართოებასთან დაკავშირებულ იმ თავისებურებას, რომელიც სვანური ენის უმლაუტიან დიალექტებს ახასიათებდა (ქალდანი 1969:26).

ქართული „ხსენება" ფორმის სვანური შესატყვისია **ლი-რშ-ჳნ-ი**, რომელიც მეგრულიდან არის ნასესხები (მაჭავარიანი 1965:112), ე. ი. საქმე გვაქვს საკმაოდ ძველ ნასესხობასთან, ხოლო სვანური **მოხსნა̈ბ** ფორმის შემთხვევაში — შედარებით ახალ ნასესხობასთან. ქრონოლოგიურად **ლირშჳნი** უფრო ძველი მონაცემია, ვიდრე **მოხსნა̈ბ** ლექსემა, რომელიც, ცალკე აღებული, სვანური ენის არც ერთ დიალექტში არ იხმარება — ის მხოლოდ გარკვეული რელიგიური ტერმინის შემადგენელი ელემენტია, თანაც აღნიშნული ლექსემის არც ერთი ფორმა სვანური ენის დიალექტებსა თუ კილოკავებში ჴ არ არის წარმოდგენილი, მაშინ, როცა ძველ ქართულში ყველგან ჴ'-იანი ფორმები გვხვდება, მაგ: **ჴსენება, ჴსოვ/ბა, მოსაჴსენებელი, მოსაჴსენებლად, მოჴსენება, მოუჴსენებელი** და სხვ.

საანალიზო ლექსემაში ფონეტიკურ პროცესთა განვითარების უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით შემდეგი სურათი იხატება:

ქართ. სულ/ლ-ის მო-ხსენ-ებ-ა > სვან. **სჳინ-იშ მო-ხსენ-ა̈ბ > სჳინ-ი-მო-ხსნ-ა̈ბ > სჳინ-მო-ხსნ-ა̈ბ > სინ-მო-ხსნ-ა̈ბ > სინ-ო-ხსნ-ა̈ბ > სინ-ო-ხსნ-ობ** ან **სჳინ-მო-ხსნ-ა̈ბ > სჳინ-ო-ხსნ-ა̈ბ > სჳინ-ო-სხნ-ა̈ბ**.

რაც შეეხება ბალსზემოურ, ლენტეხურ, ჩოლურულ **ქჳინიმოხსნა̈ბ** და ლაშხურ **ქუნიმოხსნაბ** ფორმებს, მათი პირველი ელემენტი **ქჳინ-ი/ქუნ-ი** შედარებით არქაულ ვითარებას ასახავს.

საანალიზო ტერმინები სვანურ ტექსტთა პუბლიკაციებში ხან დეფისით წერია, ხან კი — ცალ-ცალკე. რაკი ისტორიულად მსაზღვრელ-საზღვრულის შემცველი სინტაგმა უკვე ჩამოყალიბდა ერთცნებიან კომპოზიტად, ამიტომ როგორც **ქჳინიმოხსნა̈ბ**, ისე **სʼჳʼინʼიʼმოხსნა̈ბ** უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ჩოლურული **ქჳინ-არ-ე ლი-რ-შჳნ-ი** („სულების ხსენება"), როგორც მსაზღვრელ-საზღვრული, უნდა დაიწეროს ცალ-ცალკე.

ვფიქრობთ, რომ როგორც **ქჳინიმოხსნა̈ბ**, ისე **სʼჳʼინʼიʼმოხსნა̈ბ** სვანურში ნასესხებია ქართული

ენიდან სვანეთში ქრისტიანული ლიტურგიკის გავრცელების შემდეგ, ოღონდ სხვადასხვა ქრონოლოგიურ სიბრტყეზე: **ს˹უ̈˺ინ-** ძირის შემცველი კომპოზიტი შედარებით გვიანდელ დონეს უნდა განეკუთვნებოდეს (საყურადღებოა, რომ „ნათლულ / ნათლიის“ აღსანიშნავად ქართულშივე გამოიყენება როგორც **ქუმ-**, ისე **სვინ-** < ***სუნ-** ძირები (სულხან-საბა ორბელიანი 1949:600)[1], შდრ. სვანური **სუ̈ინა̈ლ** (ბზ.), **სუ̈ინა** (ბქ.) — ნათლია, ნათლიმამა, ნათლიდედა (თოფურია, ქალდანი 2000:712), **ლი-სუ̈ნ-ალ** (ბქ.) — ნათლიობა), ხოლო **ქუ̈ინ-/ქუნ-** ძირის შემცველი, როგორც უკვე ითქვა, ძველ ნასესხობას.

სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში ქრისტიანობასთან დაკავშირებული რელიგიური ტერმინები დიდი რაოდენობით არის დაცული, რომელთა გარკვეული ნაწილი ქართული სალიტერატურო ენიდანაა დამკვიდრებული.

ყურადსაღებია რელიგიური ლექსიკის ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფის ნაწილი — ქრისტიანულ დღეობათა აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი, რომლებსაც სვანური ენა (ანუ მსესხებელი ენა) თავისი მორფოლოგიური სისტემის შესაბამისად აფორმებს და ამდენად, უმრავლეს შემთხვევაში, ნასესხები მხოლოდ ფუძე გამოდის.

განვიხილოთ ზოგი მათგანი:

1. სვანურში ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის — ფერიცვალების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი **ფერც˹უ̈˺ლობ** (ბზ.)/**ფა̈რც˹უ̈˺ლობ** (უშგ.)/**ფერცუ̈ლობ** (ქს.)/**ფერცლა̈ბ/ფერცლაბ** (ბქ.).

მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, აღნიშნული დღესასწაული იმართება ძველი სტილით 6 აგვისტოს.

ფერც˹უ̈˺ლობ||ფა̈რცუ̈ლობ კომპოზიტური აგებულებისაა, რომელიც, მეგრული **ფერცვალობა||ფერცველობა||ფერცელობა** ფორმათა მსგავსად, ქართული დერივაციული **-ობა** სუფიქსითაა გაფორმებული.

თუ ნაწარმოებია ესა თუ ის ფუძე, მაშინ საწარმოებელი აფიქსებიც, ცხადია, აღმოჩნდება ნასესხებ სიტყვებში (ჩიქობავა 1952:246).

2. ქრისტიანულ დღესასწაულს — **კონსტანტინობა**' ს — სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავში **კოსდა̈ნტბელ** ჰქვია, ხოლო ბალსზემოური დიალექტის ლატალურ კილოკავში **კასანპო̄ლა̈ ჯგმა̈შ** — („კონსტანტინეს ოთხშაბათი“). სვანური ენის სხვა დიალექტებსა და კილოკავებში საანალიზო ლექსემა ამ ფორმებით ვერ დავაფიქსირეთ (არც სპეციალურ ლიტერატურაშია მათ შესახებ საგანგებო მსჯელობა).

„სვანურ ქართულ დღეობათა კალენდრის“ მიხედვით, ეს დღესასწაული თებერვლის პირველ ნახევარში იმართება და საქონლისა და მწყემსებისათვის ლოცვის დღეა. ამ დღისთვის ქალები საგანგებოდ აგროვებდნენ ყველს, რისგანაც დიდი ზომის ხაჭაპურებს აცხობდნენ და წმინდა კონსტანტინეს სახელზე შესწირავდნენ ხოლმე.

ბქ. **კოსდა̈ნტბელ** შეიძლება ასე დავშალოთ: **კოსდა̈ნტ-ბ-ელ**, რომელშიც **კოსდა̈ნტ** არის ქართული „კონსტანტინეს“ რედუცირებული ფორმა, **-ბ-** უნდა იყოს ქართული აბსტრაქტულობის მაწარმოებელი **-ობა** სუფიქსის ნაშთი, ხოლო **-ელ** გამოხატავს მოქმედების დროს ან აბსტრაქტულ სახელს სვანურში (თოფურია 1967:227).

რაც შეეხება ლატალურ **კასანპო̄ლ||კონსტანპო̄ლ** ფორმას, აქ უდავოდ გამოიყოფა კნინობითობის **-ოლ** სუფიქსი, რომელიც გრძელია. ხმოვნის სიგრძე გრძელხმოვნიან დიალექტებში, როგორც ცნობილია, ორი ხმოვნის ან ხმოვნისა და თანხმოვნის ან რომელიმე ბგერის გაუჩინარების შედეგია: კონ-

[1] შდრ., ასევე, ხევს. სვინა „ნათლია“.

სტანტინე + ოლ = **კონსტანტინო̄ლ** (ალ. ონიანი, ბ. გიგინეიშვილი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ე. გაზდელიანი).

აღსანიშნავია ისიც, რომ სვანურში საკუთარ სახელად გავრცელებულია **კოსდა**, **კოსდა̈ნტილ** ვარიანტები.

როგორც ვხედავთ, ქართულიდან შესულ „კონსტანტინე"-სა და სვანურ „**კასანპო̄ლა**" ფორმებს შორის მეტად რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნებს უნდა ჰქონოდა ადგილი.

3. ქართული ქრისტიანული დღესასწაული — „გამოცხადების" — სვანური შესატყვისია **განცხადა̈ბ** (ზს.)/**განცხნა̈ბ** (ბქ.)/**განცხდებ** (ლშხ.) **განცხადაბ** (ლნტ.): **განცხადება** > **განცხადებ** > **განცხადაბ** > **განცხდა̈ბ** > **განცხნა̈ბ**.

შესაბამისი ლექსემა ძველ ქართულშიც დასტურდება „განცხადება — გამოცხადება, ჩვენება, განმარტება, გამოჩენა, ზმანება, გამოაშკარავება" (აბულაძე 1973:77).

სვანური სწორედ ძველი ქართულის ფორმას უჭერს მხარს.

შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ ფუძესთან შემდეგი ფორმათა დაკავშირება: **ცხა̈ჲ** (ბზ.)/**ცხა̈ჲ** (ზს.)/**ცხაჲ** (ლშხ.)/**ცხა̈ჲ/ცხა̈ეშ** (ლნტ.) — ხომ, განა, რა თქმა უნდა, ცხადია და **გაცხა̈ჲდ** (ბზ.)/**გაცხაჲდ** (ლშხ.)/**გაცხა̈დ** (უშგ., ლხმ., ლნტ.) — 1. „ცხადად, ნამდვილად; მართლაც, მართლა"; 2. ბზ., ლშხ. „კარგი, ნამდვილი".

4. კვირიკობის დღესასწაულს სვანურში **ლიგურკე** (ზს., ლშხ.) / **ლიგჳირკე** (ბქ., ლნტ.) ეწოდება, ხოლო წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესიას **ლა̈გურკა** (ბზ.)/**ლაგურკა** (ბქ.)/**ლა̈გჳირკა** (ბქ., ლნტ.)/**ლაგჳირკა**'ს (ლშხ.) ეძახიან, ივლისის თვეს კი **გჳირკ**' ს (ზს.). წარმოქმნილ ლექსემაში გამოიყოფა **ლი-ე**; **ლა̈-ა/ლა-ა** აფიქსები. ფუძეა **-გურკ-/-გჳირკ-**, რომელიც მომდინარეობს „კვირიკე" ფორმისაგან, რომელიც შესაძლოა ქართულიდან არც იყოს ნასესხები, თუმცა მაინც საგულისხმოა (შდრ. ქართ. კვირიაკე, მეგრ. კვირკვე „ივლისი").

5. ცხუმარის საზოგადოების სოფელ ლეზგარაში წმინდა გიორგის ეკლესიასთან ზამთრობით იმართება რელიგიური დღესასწაული „**ტეხშობი**". მასში მონაწილეობას მხოლოდ ქალები ღებულობენ, რომლებიც ევედრებიან „**ჭგგრა̈გ ტეხშიშ**"-ს რევმატული დაავადებისგან განკურნებას. საანალიზო ლექსემების აგებულება გამჭვირვალეა (*ნაგენეტივარი წარმოება* + *აბსტრაქტულობის მორფემა*), მაგრამ საკვლევია ძირის წარმომავლობა.

ანალოგიური დღესასწაული უნდა იყოს ოკრიბის სოფელ გურნაში აღდგომის მესამე კვირას გამართული **ტეხის-ობა**, ხოლო სვანური **მა̈ითჳა-მა̈კჳშა** გვაფიქრებინებს, რომ აქ ყოველგვარი ტკივილი (**მასტუნ**) კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ადამიანს მთელ სახსრებში **ტეხს**, ასე რომ, როგორც ჩანს, ქართული **ტეხისობა** გასვანურდა მხოლოდ გრამატიკულად, ძირის სემანტიკა კი უცვლელი დარჩა თავისივე ფორმის დაცვით. სხვა შემთხვევაში სალოცავ ადგილს უნდა დარქმეოდა **ჭგგრა̈გ მა̈ჲთჳამა̈კჳშა̈შ** (ვერა ბარდაველიძის „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში" წმინდა გიორგის 35 სალოცავია დასახელებული; სამწუხაროდ, მათში არ შედის **ჭგგრა̈გ ტეხშიშ**).

2. 2. წმინდანთა სახელწოდებანი

სვანური ენა საკმაოდ მდიდარია ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთოქართულიდან მომდინარეობს.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ სვანურში ქრისტიანობასთან ერთად შესულ რამდენიმე რელიგიურ ლექსემას, კერძოდ, წმინდანთა სახელწოდებებს:

1. **იჳა̈ნ ნა̈თგმცემელ** (ბზ.) / **ნათგნმცეჳელ** (ლატ.) / **ნა̈ცემულ** (ბქ.) < ქართ. იოანე ნათლისმცემელი[1].

აღნიშნული ლექსემა სვანურში, როგორც ჩანს, ქართულიდანაა ნასესხები, რომელიც მხოლოდ ფონეტიკურად შეცვლილა, სემანტიკურად კი — არა; სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში მისი ხმარების შემთხვევები ასეთია:

ბალსზემოური

აშხუ ლადა̈ლ ანღრიხ ესნა̈რ ჭგგრა̈̄გ, **იჳა̈ნ ნა̈თგმცემელ** ი მიქა̈მ თა̄რინგზელ... (ლენჯ., სვ. ქრესტ., 1978:90) — ერთ დღეს მოდიან თურმე წმინდა გიორგი, იოანე ნათლისმცემელი და მიქაელ მთავარანგელოზი.

ბალსქვემოური

მინს ცაჳრია ‖ ცა̈ლრია[2] **ნა̈ცემულიშ** ლაჰჳმიხენქა... მა̈გ ლაგოჯათეჲი ქ̓ოთხჳა̈დახ (ნაკრ.)[3] — მათ ცალერის ნათლისმცემლის ეკლესიიდან („სალოცავიდან") ყველაფერი („ყველა") ლაგოჯაზე აუტანიათ.

ეჯის ხაჟხა **ნა̈ცემულ** ცა̈ლრიშ (ნაკრ.) — იმას ჰქვია ნათლისმცემელი ცალერის"ა".

სვანურ პუბლიკაციებში საანალიზო ლექსემა ბალსქვემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში არ დადასტურდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უცხოა დასახელებული მეტყველებისთვის.

სვანურს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ფუძის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის მოკვეცა, მოკვეცილი პალატალური ხმოვანი კი კვალს ტოვებს უმლაუტის სახით (ნ. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, მ. ქალდანი, ბ. გიგინეიშვილი); სწორედ ეს ვითარება გვაქვს ზემოაღნიშნული სინტაგმის პირველ ნაწილში **იჳა̈ნ**; ქართულიდან ბერძნული ლექსემის სესხების დროს ბოლოკიდური **ე** ხმოვანი დაიკარგა, რამაც გამოიწვია წინამავალი **ა** ხმოვნის გაუმლაუტება: ბზ. **იჳა̈ნ** < * **იოა̈ნ** < **იოანე**. ამავე ლექსემაში გამოვლენილი წყვილბაგისმიერი **-ჳ-** ლაბიალური **-ო-** ხმოვნის ნარედუქციალია.

ქართველური წარმომავლობის რელიგიურ ტერმინს **ნა̈თგმცემელ** ქართულში, ანუ გამსესხებელ ენაში, შეესაბამება ერთცნებიანი კომპოზიტი „ნა-თ-ლ-ი-ს-მ-ც-ემ-ელ-ი", რომელიც გარკვეული სინტაგმიდან („ნათლის მცემელი") მომდინარეობს. ის შედგება მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელისა და **მ-** — **-ელ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობისაგან. ამ რთული სიტყვის კომპონენტები, წარმოშობის თვალსაზრისით, ერთმანეთის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულია. მსაზღვრელი არის ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელი, რომლის მორფემული ელემენტი **-იშ** სვანური ენის ყველა ზემოაღნიშნულ ფორმაში დაკარგულია. საერთო წესის თანახმად, მსაზღვრელის ბრუნვის მორფემის მხოლოდ თანხმოვნითი ელემენტი (**-შ**) უნდა დაკარგულიყო ბალსზემოურ დიალექტში, გვაქვს კი სრული დაკარგვა, ხოლო ბალსქვემოურში **-იშ** მთლიანად უნდა ყოფილიყო დაცული.

[1] დიდი ქრისტიანული წმინდანი, „წინამორბედად" წოდებული.
[2] ცალერ სოფელია ნაკრაში, სადაც აშენებულია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.
[3] ბალსქვემოური ილუსტრაციები მოყვანილია ჩვენ მიერ სოფელ ნაკრაში ჩაწერილი ტექსტებიდან.

საანალიზო ლექსემის პირველ ნაწილში, ბალსზემოურ დიალექტში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის გარდა, დაკარგულია ფუძისეული -ელ ელემენტიც, რომელმაც, როგორც ჩანს, კვალი დატოვა უმლაუტის სახით (**ნა̈თგმცემელ**), მაგრამ იგივე ლექსემა პალატალიზებული ა̈ ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი ბალსზემოური დიალექტის ლატალურ კილოკავში (**ნათგნმცეუ̂ელ**).

ბალსქვემოური ფორმაც უმლაუტიანი ხმოვნით გვევლინება (**ნა̈ცემულ**). ქართული კომპოზიტი ძალზე გაცვეთილი სახითაა წარმოდგენილი თანამედროვე ბალსქვემოურ მეტყველებაში; ვფიქრობთ, რომ მას საკმაოდ რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნათა გზა უნდა გაევლო: ქართ. ნა-თ-ლ-ი-ს-მ-ც-ემ-ელ-ი > სვან. ***ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ულ** > ***ნა-თ-ლ-ის-ც-ემ-ულ** > ***ნა̈-თ-ლ-ი-ც-ემ-ულ** > ***ნა̈-თ-ლ-ც-ემ-ულ** > ***ნა̈-თ-ც-ემ-ულ** > **ნა̈ცემულ**.

ამ რთული სიტყვის (ბზ. **ნა̈თგმცემელ**, ლატ. **ნათგნმცეუ̂ელ**) ინლაუტში წარმოდგენილია ანაპტიქსური **გ** ხმოვანი ბალსზემოურ დიალექტში, ხოლო ბალსქვემოურ **ნა̈ცემულ** ფორმაში თანხმოვანთგამყარი არ გვაქვს, რადგანაც ამის საჭიროება არ იგრძნობა.

რაც შეეხება საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილს (ბზ. **მცემელ**, ლატ. **მცეუ̂ელ**, ნაკრ. **ცემულ**), იქ, როგორც წესი, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ზემოდასახელებულ ყველა ფორმაში დაკარგულია. ლატალურში რთული სიტყვის კომპონენტებს შორის არსებული **-ნ-** თანხმოვანი (**ნათგნმცეუ̂ელ**) შესაძლოა ნათესაობითი ბრუნვის არქაული -ინ- მორფემის ნაშთიც იყოს. საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: ქართ. ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ემ-ელ-ი > სვან. ***ნა-თ-ლ-ის-მ-ც-ეუ̂-ელ** > ***ნა-თ-ლ-ინ-მ-ც-ეუ̂-ელ** > სვან. ***ნა-თ-ინ-მ-ც-ეუ̂-ელ** > **ნა-თ-გნ-მ-ც-ეუ̂-ელ**.

იმავე ლექსემის ლატალურ ვარიანტში **მ** სონორის ნაცვლად წყვილბაგისმიერი **-უ̂-** გვაქვს, რაც უნდა განვიხილოთ როგორც **მ/უ̂** სუბსტიტუცია, ხოლო ბალსქვემოურ ფორმაში (**ნა̈ცემულ**) გამოვლენილი **-უ-** მომდინარეობს **-ე-** ხმოვნისაგან წინამავალ სონორ **მ**'სთან ასიმილაციის გზით.

2. **ჲა̈ნ/ჲან** < ქართ. იონა წინასწარმეტყველი.

ჲა̈ნ/ჲან[1] ქართული ენიდან შესული *იონა* ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია, რომელიც ზემოსვანურის დიალექტებსა და კილოკავებში ასეთი სახით გვხვდება:

ბალსზემოური

თერლე მემშედა̈ლ ხებეჟა̈ნხ **ჲა̈ნ** ლატლი̄შ (ლენჯ., სვ. ქრესტ., 1978:21) — თვალების მაშველად („მშველელი") მიაჩნდათ („ეგონათ") იონა ლატალის⌜ა⌝.

ბალსქვემოური

ალ ლაჯუ̂მის ხა̈ჯხენა **ჲან** (ფარ.) — ამ ეკლესიას („სალოცავს") ჰრქმევია იონა.

როგორც ვხედავთ, **ჲა̈ნ/ჲან** წმინდა იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის სახელწოდებადაც გვხვდება სვანურში, მაგ. ლატ. **ჲან ლატლი̄შ**, ჩუბეხ., ლხმ. **ჲან ლატლია̈შ** — იონა ლატალის⌜ა⌝.

აღნიშნულ ლექსემაში (**ჲა̈ნ/ჲან**) ძირეული **ა** ხმოვნის უმლაუტი გასარკვევია, რადგანაც „სვანურ საკუთარ სახელთა ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში **ა**, **ო**, **უ** ხმოვნები უმლაუტს არ განიცდიან (ჟღენტი 1964:154), რადგანაც ისინი, როგორც საკუთარი სახელები, სახელობით ბრუნვაში არ დაირთავდნენ **-ი** ან **-ე** მორფემებს (შდრ. ძველი ქართულის ვითარება — საკუთარ სახელთა გაუფორმებლობა სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში), თუმცა გამონაკლისის სახით მაინც გვხვდება მცირერიცხოვანი მაგალითები, რომლებიც საპირისპირო სურათს გვიჩვენებენ. პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ამგვარ სახელთა ერთ ნაწილში უმლაუტი გამოწვეულია ფუძისეული **ი** ხმოვნის გავლენით, რო-

[1] სვანთა წარმოდგენით, **ჲა̈ნ/ჲან** არის ფეტვის მოსავლის ავკარგიანობის ღვთაება. ამასთანავე, მას მიაწერენ თვალთა შუქის მინიჭება-დაკლების, თვალის ტკივილით დაავადებისა და, აგრეთვე, განკურნების უნარსაც.

მელიც ამჟამად გაუჩინარებულია (მაგ.: **აჳთა̈ნდ** ← ავთანდილ, **თინა̈თ** ← თინათინ, **გიერგ** ← გიორგი), მაგრამ, როგორც წესი, **ი** ხმოვანი სვანურში მაშინაც იწვევს წინამავალი **ა** ხმოვნის უმლაუტს, როცა დაცულია, მაგ.: **ა̈ლი, ბა̈დრი, და̈ჯი, თა̈მი** და სხვ. (ჟღენტი 1964:155). ავტორი ვარაუდობს, რომ ეს მეორეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ (იქვე:156).

როგორც ცნობილია, ისტორიულად სვანურს აუსლაუტში ხმოვნის მოკვეცა ახასიათებდა, რის გამოც ხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა რიცხვი ძალზე მცირეა. „ანთროპონიმები ამ მხრივ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ — რაოდენობრივად ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები ჭარბობს თანხმოვანფუძიანს“ (მარგიანი 1998:16), ამათგან თანამედროვე სვანურში ყველაზე მრავალრიცხოვანია **-ი**-ზე დაბოლოებული ანთროპონიმები, რომელთა დიდი ნაწილი უმლაუტიანია: **ხა̈რქი, ბა̈სლი, ა̈ჩი, ჯა̈ხი, ა̈ბი, თა̈მბი, მა̈ცგი, მა̈ზი, ა̈ნთი, და̈ფი, ვა̈ში, პარა̈სკი, ხა̈ჯი, ჩა̈გი, ჩა̈სი, ქა̈მი, ნა̈ჳი, მა̈ძი, ხა̈ბჯი**... — მარგიანი:21), უმლაუტის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია; იქნებ ეს იყოს უმლაუტიან (საზოგადო) სახელთა გავლენის შედეგი.

ჩვენი ვარაუდით, საანალიზო ლექსემის პირველადი ფორმა უნდა ყოფილიყო **იონაჲ** (ამ ქრისტიანული ტერმინის სესხების ეპოქაში ანთროპონიმები, ალბათ, უკვე დაირთავდნენ სახელობითი ბრუნვის მორფემას საზოგადო სახელთა ანალოგიით), რომლისგანაც მივიღეთ სვანური **ჲა̈ნ/ჲან** ფორმა; როგორც ჩანს, ჯერ ბოლოკიდური **ი** ხმოვნის გავლენით წინამავალმა **ო**'მ განიცადა პალატალიზაცია (***იონ**), შემდეგ ეს **ო** დაიშალა **ჳე** კომპლექსად (***იჳენ**) (შდრ.: ზს. **გა̈ბჳ** < ლნტ. **გჳებ** < ლშხ. **გობ** < ქართ. გობ-ი; ზს., ლნტ. **თა̈კჳ** < ლშხ. **თეკჳ** < ***თჳეკ** < ქართ. თოკ-ი და ა.შ., ქალდანი 1969:78), ამის შემდეგ **ჳე** კომპლექსის პირველი კომპონენტი **ჳ** დაიკარგა (***იენ**), ნაუმლაუტარი **ე** ხმოვანი კი **ა̈**'დ იქცა (ამას გვავარაუდებინებს, ერთი მხრივ, ტოპონიმი **ჲენა̈შ**[1] < ქართ. იონა-ის-⌈ა⌉ და, მეორე მხრივ, დღესასწაულის სახელდებისათვის გამოყენებული ტერმინები: ბზ. **ჲა/ა̈ნა̈შ**, ქს. **ჲენაშ**[2] < ქართ. იონა-ის-⌈ა⌉ — ბარდაველიძე 1939:188); უმლაუტიზებული **ა̈** ხმოვნის წინამავალი **ი**, ბუნებრივია, დასუსტდა და მივიღეთ **ჲ** (**ჲა̈ნ**), რომელიც სვანური ენისთვის ჩვეულებრივი აღმავალი დიფთონგის (განსხვავებით ქართულისაგან) კომპონენტია. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს სვანურში (შდრ.: **ჲარა̈ლ** < ქართ. იარაღ-ი, **ჲა̈ფ** < ქართ. იაფ-ი და სხვ.).

ფონეტიკური პროცესები, რომლებიც საანალიზო ლექსემამ (**ჲა̈ნ/ჲან**) სვანურში სესხების პროცესში განიცადა, ასეთნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ჲან** < **ჲა̈ნ** < ***ჲენ** < ***იჳენ** < ***იო̈ნ** < ქართ. **იონაჲ** (თუმცა ერთი სუსტი ადგილი მაინც აქვს ჩვენს ვარაუდს — სახელობითი ბრუნვის მორფემას, რომელიც პალატალურ ხმოვანს წარმოადგენდა, გავლენის მოხდენა, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ მის წინა პოზიციაში მდებარე **ა** ხმოვანზე შეეძლო).

დიალექტებში ერთმანეთის პარალელურად იხმარება უმლაუტიანი და უუმლაუტო ფორმები (**ჲა̈ნ/ჲან**).

ასევე ქართული **იონა** ფორმისგანაა ნაწარმოები ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ფარში, დაფიქსირებული რელიგიური შინაარსის ამსახველი ტოპონიმი **ინა̈შ** < ქართ. იონა-ის-⌈ა⌉, რომელიც არის ნაგენეტივარი ფორმა. ამ უკანასკნელში ფონეტიკური პროცესები კიდევ უფრო შორს წასულა და აუსლაუტის ხმოვანთან ერთად ძირისეული **ო** ხმოვნის რედუქციაც მომხდარა.

„სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდრის“ მიხედვით, **ჲანობ||ჲანა̈შ** („იონობა“) რელიგიური დღეობაა, ზემო სვანეთში არსებული, მაგრამ თითქმის გამქრალი, რომელსაც 9(22) დეკემბერს უქმობდნენ. ჩუბეხეური მასალის საფუძველზე მას **ჲენშიერი** ეწოდებოდა. „**ჲანა̈შ** დღეს დიასახლისი გამოა-

[1] სოფელია ზემო სვანეთში, ლატალის თემში, სადაც აშენებულია იონა წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია.

[2] ახალი წლის ციკლის დღეობა; განკუთვნილი იყო ფეტვის მოსავლიანობისათვის და თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. ბალსქვემოურ დიალექტში **ჲანობ** „იონობა“ ფორმაც დასტურდება.

ცხობდა ყველიან ან უბრალო შესაწირავ კვერებს, რომლებსაც სვანურად **ლემზირები** ეწოდებოდა და მათ **თან'ს** შეავედრებდნენ. **ჲენშიერს** უქმობდნენ განსაკუთრებით ქალები. ხალხში შემონახული გადმოცემის მიხედვით, უქმე დაწესებული იყო ფეტვის მოსავლის დასაბევებლად" (აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991:8-9).

პროფ. ვ. ბარდაველიძის მოსაზრების თანახმად, **ჲან დეცეშ**-ის კულტი დაკავშირებულია იონა წინასწარმეტყველთან, რომელიც ფეტვის მოსავლიანობის ღვთაებად არის მიჩნეული (ბარდაველიძე 1939:195), ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების მიხედვით, **ჲან დეცეშ**-ი, ფუნქციონალური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, იგივე მართალი ანაა, **ჲენშიერ**-ი კი — მისდამი მიძღვნილი დღეობა, რომელიც სვანეთში სპორადული სახით შემორჩენილა (აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991:9).

ზემოდასახელებული მკვლევრების აზრთა სხვადასხვაობა არსებული საკითხის ირგვლივ, ვფიქრობთ, საკმაოდ პრობლემატურია. გასარკვევია, **ჲა̈ნ/ჲან** ლექსემა ქართულ **იონა**'საგან მომდინარეობს თუ ქართულ **ანა**'საგან? **ჲა̈ნ/ჲან** ფუძის დაკავშირება ორივე ლექსემასთან შესაძლებელია ფონეტიკური თვალსაზრისით, ხოლო კალენდარული ნიშნით მისი დაახლოება ბუნებრივი ჩანს მართალ ანასთან.[1] ამასთანავე, **ჲა̈ნ/ჲან** ლექსემას მკურნალის ფუნქციაც აკავშირებს ამ უკანასკნელთან, მაგრამ ზემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ლატალში, იენაში აშენებული ეკლესია იონა წინასწარმეტყველის სახელს ატარებს, რაც **ჲა̈ნ/ჲან** ფორმის ანა'საგან მომდინარეობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

როგორც ჩანს, სვანეთში, დროთა განმავლობაში წმინდანთა სახელების ერთმანეთში აღრევა მოხდა.

3. **ელჲა/ჲელია** (ზს., ლნტ.)/**ჲელი** (ზს., ქს.)/**ჲელ/ელ** (ბზ.)/**ჲელია** (ლშხ.)/**ელია̈** (ლნტ.) < ქართ. (წმინდა) ელია.[2]

აღნიშნული ლექსემაც ქართულიდან შეთვისებული ჩანს და სვანური ენის ყველა დიალექტში იხმარება:

ბალსზემოური

.. ბუბნი'დ'... რა̈ქუ: „... **ჲელ**, იმ ესერ იჰო?" (ლენჯ., სვ. პროზ. ტ. I, 1939:20) — ბუბნიმ თქვა: „ელიავ, რას („რასო") აკეთებო („იქმს")?

გუა̈ლჲანობეჲნ სოფელ **ჲელსი** ხემზირ (ლენჯ., სვ. ქრესტ. 1978:32) — გვალვის („გვალვიანობაზე") დროს სოფელი ელიასაც ევედრება („ეზორვება").

ზედა̈შს ი ფუკუა̈რს ჟი ხუა̈მზგრიდ **ელს** (ლენჯ., იქვე:7) — ზედაშეს და ვაცებს შევავედრებთ („ზე ვზორავთ") ელიას.

ტაბგარე ლიგა̈ლა̈ლდ ჰარა̈ყს ჟი ხა̈მზგრდახ **ელს**... (მესტ., იქვე:14) — სუფრების („ტაბლების") დადგმამდე („დადგმად") არყით ევედრებოდნენ („არაყს ზე უზორავდნენ") უფროსები ელიას.

ბალსქვემოური

მიჲდ ხა̈ქუე [ნაღუეურს]: „...ეჩქანღუ'ესერ **ჲელი** ხოჲდე ხა̈რჯს..." (ბეჩ., სვ. ქრესტ. 1978:219) — მზემ უთხრა ბიჭს („ნავაჟევს"): „მერე („მერეო") ელია მოგიტანსო („მოუტანს") საჭმელს („ხარჯს").

ნებოზთე **ჲელიდ** ოხჲიდ ლეზუებ [ნაღუეურს] (ბეჩ., იქვე) — საღამოსკენ ელიამ მოუტანა საჭმელი ბიჭს („ნავაჟევს").

---

[1] 9(22) დეკემბერი ქრისტიანულ ტრადიციაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მართალი ანასაგან მუცლადღების დღედ ითვლება.

[2] ძველი და ახალი აღთქმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინასწარმეტყველი. „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარში" 20(2) ივლისს ტაროსის განმგებლის — ელიას ან ელია-ზაქარიას სახელობის დღეობა აღინიშნება, ხოლო საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ამ დღეს მოიხსენიება ილია წინასწარმეტყველი.

ლენტეხური

წმინდა ელია̈ ლი თერა̈ლლგგენე ა̈ნგელოზ (ცხუმ., სვ. პროზ. ტ. III, 1967:79) — წმინდა ელია არის ბრმა („თვალებმდგარი“) ანგელოზი.

მი ხჳი ღერბეთ, წმიდა ელია̈ (გულ., იქვე:220) — მე ვარ ღმერთი, წმინდა ელია.

შომას სკარხალ ჭედენდა, შჳანა̈რ ეჯის წმინდა ელია̈ს ხაბრა̈ლდახ (ცხუმ., იქვე:78) — როცა სეტყვა მოდიოდა, სვანები იმას წმინდა ელიას აბრალებდნენ.

[უხეიროდ] წმიდა ელია̈ ჩუქუან ა̈დნა̈ხ (გულ., იქვე:220) — უხეირომ წმინდა ელია ქვეშ მოიტნია.

როგორც მასალიდან ჩანს, ქართულიდან ნასესხები წმინდანის სახელწოდება სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში რამდენიმე ფორმით გვხვდება, თუმცა სვანურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები აქ ნაკლებად ხელშესახებია.

ჲელია/ჲელი/ჲელ ფორმების თავკიდურ პოზიციაში **ჲ**'ს გაჩენა სვანურში, როგორც ჩანს, მახვილის შედეგია, რომელმაც ხელი შეუწყო **ჲე** დიფთონგოიდის წარმოშობას (ქლენტი 1949:111).

ჲელი/ჲელ/ელ ფორმებში ბოლოკიდური ხმოვნები მოკვეცილია. აუსლაუტის ხმოვნების მოკვეცამ, როგორც ეს მასალიდან ჩანს, თავისი კვალი არ დატოვა, საკომპენსაციოდ მოსალოდნელი იყო წინამავალი ჷ'ს დაგრძელება.

უმლაუტიანი ფორმები შეგვხვდა მხოლოდ ლენტეხურ დიალექტში (ელია̈), სადაც შედარებით გვიანდელი ასიმილაციის გამომწვევი მიზეზი უნდა იყოს სახელობითი ბრუნვის მორფემა **-ი** ან **-ჷ**.

განსხვავებული ვითარება გვაქვს მაშინ, როცა საანალიზო ლექსემა სინტაგმის წევრია, კერძოდ, მსაზღვრელის ბოლოკიდური ა ხმოვანი ყოველთვის უმლაუტიანია ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში, ხოლო ლაშხურში, რომელმაც უმლაუტი არ იცის, აუსლაუტში სიგრძე გვაქვს: ბზ. **ჲელჲა̈ სჳიფ** — „წმინდა ელიას მოედანი“, ბზ. **ჲელია̈ მა̈რე** — „წმინდა ელიას კაცი“, ბზ. **ჲელჲა̈ განზა̈რ** — „წმინდა ელიას ნაწილები“, შდრ.: ბქ. **ჲელი დეცეშ** — „წმინდა ელია ცისა“, ზს., ლნტ. **ელჲა̈-მგლა̈მ/ჲელჲა̈-მგლა̈მ**, ბქ. **ელა̈შ-მგლა̈მ**, ლშხ. **ჲელია̄-მგლამ** — „წმინდა ელიას ალი, ცეცხლი“.

ელია წინასწარმეტყველის სახელთან არის დაკავშირებული სვანეთში დღემდე ცოცხალი რელიგიური დღესასწაული **ჲ-ელჲ-ობ** (ბზ.)/**ჲ-ელი-ობ** (ბქ., ქს.)/**ჲ-ელ-ობ/ელ-ობ** (ბქ.), რომელიც ქართულში „ელიაობა“ (‖ილიაობა) ფორმით არის ცნობილი.

სვანური **ელჲა/ჲელჲა/ჲელ/ელ/ჲელია/ელია̈** ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც ქართული „ელია“ ფორმის იდენტურია.

როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, წმინდანთა სახელწოდებებში წარმოდგენილი ფუძეები ქართულია, ხოლო, როცა იმავე მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები დამოუკიდებლად იხმარება, მაშინ, ჩვეულებრივ, სვანური ძირი გვხვდება ხოლმე (შდრ.: **ნა̈-თ-გ-მ-ც-ემ-ელ**, ერთი მხრივ, და **რგჳ-ი, ნა̈რჳ-ი** — „ნათელი“, **ლიყერ, ლიტყცი** — „ცემა“, „დარტყმა“, მეორე მხრივ).

ამრიგად, კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რომ რელიგიურ ტერმინთა უმეტესი ნაწილი სვანურში ნასესხებია ქართულიდან. რაკი სვანური უმწერლობო ენაა, ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიური საზღვრების დადგენას ყოველთვის ვერ ვახერხებთ. ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა — დაფიქსირებულია თუ არა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ან ძველ ხალხურ სვანურ სიმღერებში ესა თუ ის ლექსემა. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, შედარებით არქაულ ნასესხობასთან გვექნება საქმე.

2. 3. ანგელოზთა სახელწოდებანი სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში

სვანური მეტად მდიდარია ქრისტიანული ტერმინოლოგიით, რომლის დამკვიდრება არასამწერლობო ენაში განაპირობა მართლმადიდებლური სარწმუნოების გავრცელებამ. ამ ტერმინთა ძირითადი ნაწილი, როგორც ცნობილია, სესხების გზით არის შესული თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში, თუმცა არ გამოვრიცხავთ საკუთრივ სვანურ მასალასაც.

ამჯერად ჩვენ შევეხებით ქრისტიანულ ტერმინთა ერთ ნაწილს, რომელსაც სესხების პროცესში სვანურისათვის დამახასიათებელი გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები განუცდია, თუმცა შესაბამის ქართულ ლექსემებთან (ისევე, როგორც მეგრულთან) შედარებისას სემანტიკური თვალსაზრისით სრული იდენტურობა მეღავნდება.

ქრისტიანობასთან ერთად სვანურში შესული რელიგიური ტერმინებია:

1. **ა̈ნგ˹უ̈˺ლეზ/ა̈ნგლო̈ზ** (ბზ., ლნტ.)/**ა̈ნგლეზ/ანგლოზ** (ბქ.)/**ანგლოზ** (ლშხ.) < ქართ. ანგელოზი[1].

აღნიშნული ლექსემა ქართულიდანაა ნასესხები და სვანური ენის ყველა დიალექტში დასტურდება:

ბალსზემოური

ფუსნა̈ბუასღდ ჩუ̈ანზგზე **ა̈ნგულეზ** დეცხა̈ნჩუ̈ნ (იფარ., სვ. პროზ. ტ. 1939:172) — უზენაესმა ჩამოგზავნა ანგელოზი ციდან
ხოშა̈მ ღე̄რთემ საკუთარ **ა̈ნგლეზდ** ესსიპე მა̈ლდია̈ნ ჯგგრა̄გ (იფარ., იქვე:90) — დიდმა ღმერთმა საკუთარ ანგელოზად აქცია მადლიანი წმინდა გიორგი
ხელწიფს ქ'ა̈ხგაცხდა̈ნ **ა̈ნგლო̈ზ** (მულახ., იქვე:298) — ხელმწიფეს გამოეცხადა ანგელოზი.

ბალსქვემოური

ალ ბეფშუ̈ **ა̈ნგლეზიშ** მაჯონ ლგმა̈რ (ცხუმ.)[2] — ეს ბავშვი ანგელოზის მსგავსი ყოფილა
დინად ხექე [ალექსანდრეს]: „მი ჲორი **ანგლოზ** მაყა მოსიპდ" (ბეჩ., სვ. პროზ. ტ. 1957:33) — გოგომ უთხრა ალექსანდრეს: „მე ორი ანგელოზი მყავს მომვლელად („მოტრიალედ")".

ლაშხური

ანგლოზი ნასგოჯ ამბაუ̈ ადგა̄თუ̈ე ღერთემ (სვ. პროზ. ტ. 1979:66) — ანგელოზის ნაბრძანები ამბავი დაამთავრა („გაათავა") ღმერთმა.

ლენტეხური

აჯალ ჟ'ა̈ნწუხაუ̈ან **ა̈ნგუ̈ლეზ** (ცხუმ., სვ. ქრესტ. 1978:333) — ისევ შეწუხდა ანგელოზი.
[მუგუ̈დ]... **ა̈ნგუ̈ლეზს** ხა̈ქუ̈: „...მარე ლოქ ალდაგა̈რ" (იქვე) — მტრედმა ანგელოზს უთხრა: „კაციო მომკვდარა".
მგლდელ **ა̈ნგუ̈ლეზს** ხა̈ჯეშ (ხელედ., სვ. პროზ. ტ. 1967:158) — მწყემსი („მედღეური") ანგელოზს ჰგავს.

ა̈ნგუ̈ლეზ||ა̈ნგლეზ||ა̈ნგლო̈ზ ერთმანეთის პარალელურად იხმარება სვანური ენის ბალსზემოურ დიალექტში. მხოლოდ ორი ვარიანტი (**ა̈ნგუ̈ლეზ||ა̈ნგლო̈ზ**) გამოიყენება ლენტეხურ მეტყველებაში, თუმცა „სვანური ენის ქრესტომათიაში" აღნიშნული ფორმების პარალელურად დავადასტურეთ **ა̈ნგუ̈ლეჯ** (333:7) ფორმაც, რაც აფრიკატიზაციის შედეგი უნდა იყოს (**ზ** > **ჯ**). ასევე ორი ვარიანტი (**ა̈ნგლეზ||ანგლოზ**) გვხვდება ბალსქვემოურშიც. რაც შეეხება ლაშხურს, იქ მხოლოდ **ანგლოზ** იხმარება (ფუძისეუ-

[1] ბერძნულია და ქართულად ნიშნავს „მოციქულს, მოამბეს," ანუ „მაუწყებელს".
[2] ცხუმარული მაგალითი მოგვყავს ჩვენ მიერ შეგროვილი ტექსტებიდან.

ლი ე ხმოვნის ჩავარდნისა და სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგი), რომელსაც პარალე-ლური ფორმები არ ეძებნება. აღნიშნულ დიალექტში ფონეტიკური პროცესები ისე შორს არ წასულა, როგორც სვანურის დანარჩენ კილოებსა და კილოკავებში.

ბალსზემოურ, ბალსქვემოურ და ლენტეხურ დიალექტებში წარმოდგენილი **ა̈ნგ'ჳ'ლეზ** ქართუ-ლი ანგელოზის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა: **ა̈ნგჳლეზ** < ქართ. ანგელოზ-ი, სადაც ა ხმოვნის მაუმლაუტებელია ფუძისეული **ე**, რომელიც აღნიშნულ ლექსემაში რედუცირებულია სვანური ენის ყველა დიალექტში.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, „ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლაშხურ დიალექტებს ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია ახასიათებთ — მარცვალთა რაოდენობის შემცირება მახვილის გავლენის შედეგად. ხშირად ეს ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხო და სა-კუთარი წარმომავლობის სამმარცვლიან ფუძეებს ეს დიალექტები ორმარცვლიანად წარმოგვიდგენენ" (ქღენტი 1949:111), ე. ი. სვანური ახდენს შუა ხმოვნის სინკოპირებას (შდრ. ბზ. **მაცხჳა̈რ** < ქართ. მა-ცხ-ოვ-არ-ი, **ჯოჯხე̄თ** < ქართ. ჯოჯოხ-ეთ-ი, **დედბერ** < ქართ. დე-და-ბერ-ი, ბქ. **ფათრეკ** < ქართ. ფათე-რაკ-ი, **კალპეტ** < ქართ. კალაპოტ-ი, **სა̈ყჳდირ** < ქართ. სა-ყვედ-ურ-ი, ლშხ. **ჰი̄ნურ** < ქართ. ჰიანურ-ი, **დე̄ფან** < ქართ. დერეფან-ი და ა. შ.).

ა̈ნგჳლეზ ლექსემაში გამოვლენილი **ჳ** სონანტი არის ნაუმლაუტევი (**ო̈** > **ჳე**), რომელიც მეტა-თეზისის გზით ჩანს მიღებული, მაგრამ იმავე ბალსზემოურსა და ბალსქვემოურშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ა̈ნგლეზ** ფორმაც დასტურდება, ნაუმლაუტევი **ჳ**'-ს გარეშე, ე. ი. საქმე გვაქვს დელაბიალი-ზაციის შემთხვევასთან.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, სვანური ენის ისტორიული განვითარე-ბის გრძელ გზაზე შეინიშნება ორი ურთიერთსაპირისპირო ფონეტიკური პროცესი; ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს **ჳ** სონანტის გაუჩინარებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გაჩენას, ლაბიალიზაციისაკენ მი-დრეკილებას. ქრონოლოგიურად პირველი პროცესი უნდა მოსდევდეს მეორეს. თავდაპირველად აღნიშ-ნულ ვითარებას ადგილი უნდა ჰქონოდა მხოლოდ გარკვეულ ფონეტიკურ სიტუაციაში — **ჳ** ვითარდე-ბოდა, ძირითადად, ბაგისმიერი ხმოვნების (ო, უ) შემცველ ფუძეებთან, ხოლო იკარგებოდა სონორ (მ, რ, ნ, ლ) თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში; შემდგომ კი ანალოგია შორს წასულა და გარკვეული შე-ზღუდვებიც მოსპობილა. ამ მხრივ არც დღეს გვაქვს ერთგვარი სურათი სვანურის დიალექტებსა და კი-ლოკავებში (ჩანტლაძე 1998:6).

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **ა̈ნგლეზ** < **ა̈ნგჳლეზ** < **ა̈ნგლჳეზ** < **ა̈ნგლო̈ზ** <***ანგელო̈ზ** < ქართ. ანგელოზ-ი.

2. **თა̈რინგზელ** (ბზ.)/**თა̈რგლეზერ** (ზს.)/**თა̈რი'ნ'გზელ/თა̈რი'ნ'ძელ/თარგლეზერ** (ლშხ.)/**თა̈რიგ-ზელ/თა̈რიგლეზერ** (ლნტ.) < ქართ. მთავარანგელოზი.

ქართველური წარმომავლობის რელიგიურ ტერმინს **თა̈რინგზელ** ქართულში, ანუ გამსესხებელ ენაში, შეესაბამება ერთცნებიანი კომპოზიტი „მ-თავ-არ-ანგელოზ-ი" (ქრისტიანული მითოლოგიის თა-ნახმად, ერთ-ერთი ზეციური არსება), რომელიც გარკვეული სინტაგმიდან (მთავარი ანგელოზი) მომდი-ნარეობს.

აღნიშნული ლექსემა სვანური ენის ყველა დიალექტში გვხვდება:

ბალსზემოური

...ა̈შხჳ ლადა̈ლ ქრისდე ფუსდ ი **თა̈რინგზელ** ...ჩჳანსგჳეჯდახ გიმთეჩუ (ლენჯ., სვ. ქრესტ. 1978, 88) — ერთ დღეს ქრისტე უფალი და მთავარანგელოზი ჩამობრძანდნენ მიწაზე („მიწ-ის-კენ-ქვე").
ლჳაჟა̈რ ... **თა̈რინგზელს** ... ჟი ხა̈მზგრიხ ჰარა̈ყს (ლენჯ., სვ. პროზ. ტ. 1939:16) — მამაკაცები („ვაჟები") მთავარანგელოზს შეულოცავენ („ადღეგრძელებენ") არაყს.

...ანკა̈დხ ...ჯგჷრა̈გ, ბარბალ ი **თა̄რინგზელ** (მულახ., იქვე:332) — მოვიდნენ წმინდა გიორგი, ბარბარე და მთავარანგელოზი.

ბალსქვემოური

თა̄რგლეზერიშ ლაკუმი სგუეჯი მეზგრჲი (ბეჩ., სვ. ქრესტ. 1978:179) — მთავარანგელოზის ეკლესია („სალოცავი") ბრძანდება მეზირზე.

ჩეყნა̈რ ხაკხახ **თა̄რგლეზერიშ** მარე ჲერუა̈ჲ ლიხ, ეჯა̈რს (იქვე) — ჩეყანები ჰქვიათ მთავარანგელოზის ადამიანები („კაცი") ვინც არიან, იმათ.

ლაშხური

საუჲარ°ნ° **თა̄რიგძელდ** ქ'ახბაჟე (ლამფ., სვ. ქრესტ., 1978:259) — „სავებს" (ჩრდილოკავკასიელ თურქულენოვან ხალხებს) მთავარანგელოზმა მიუსწრო.

...საუჲარ ... ლახა̈დახ **თა̄რიგძელს** ლატფურას (იქვე) — „სავები" (ჩრდილოკავკასიელი თურქულენოვანი ხალხები) შეუდგნენ მთავარაგელოზის („მთავარანგელოზს") გაძარცვას („გატყავებას").

ხოშა ნაღალდ ლოლჲა̈ქარს ხოლგენიხ **თა̄რინძელს** (სვან. პროზ. ტექსტ., 1979:10) — მეტწილად ცხვრებს აღუთქვამენ („უყენებენ") მთავარანგელოზს.

ლენტეხური

ამ ლა̈დეღ **თა̄რიგზელს** ხუეკგრა̈ლდ ... (ფაყ., სვ. პროზ. ტ., 1967:67) — ამ დღეს მთავარანგელოზს ვევედრებით.

თარიგზელი ლაკუა̈მ ლახუს ლგგ (ხელედ., იქვე:95) — მთავარანგელოზის ეკლესია („სალოცავი") მთაში („მთას") დგას.

განსახილველი ლექსემა ერთცნებიანი, ფუძეგანსხვავებული კომპოზიტია, რომელიც შედგება დერივაციული (მ-არ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები) და ძირეული არსებითი სახელებით გამოხატული კომპონენტებისაგან, წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულისაგან.

საანალიზო ლექსემის პირველ ნაწილში (ეს ეხება ყველა დიალექტის მონაცემს) ფონემათა დაკარგვასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია სვანურში ბგერათა დაკარგვა-განვითარება გავრცელებული ფონეტიკური პროცესია. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ ასეთ მოვლენად მიჩნეულია უკანა რიგის ხშულ-მსკდომთა წინ მ თამხმოვნის დაკარგვა (გაგუა 1986:219), სწორედ თავკიდური მ თანხმოვანი არის დაკარგული საანალიზო ლექსემაში. მასში გაუჩინარებულია ძირეული **ვ** 'ც, რამაც გრძელი ხმოვნის წარმოქმნას შეუწყო ხელი. ამის შემდეგ ძირეული ხმოვანი და სუფიქსისეული **ა** ერთმანეთს შეერწყა და შედეგად მოგვცა ა̄; აღნიშნულ ლექსემაში ს. ჟღენტი სიგრძეს **ვ** თანხმოვნის ხმოვანთან შერწყმისა და ვოკალიზაციის გზით ხსნის (ჟღენტი 1949:76); არაერთი მკვლევარი (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. გიგინეიშვილი, ალ. ონიანი, ზ. ჭუმბურიძე, ე. ოსიძე) საგანგებოდ გახაზავს, რომ ზოგ ფუძეში, რომელიც სვანურში გრძელ ხმოვანს შეიცავს, ხმოვნის სიგრძე მეორეულია, მიღებული ხმოვანთა შერწყმით ან დაკარგული ბგერის (მარცვლის) საკომპენსაციო დაგრძელების შედეგად; მაგალითად: ქართ. **ყავარ-ი** და სვან. **ყა̄რ**, ქართ. **მთავარ-ი** და სვან. **თა̄რინგზელ** („მთავარანგელოზი"). ე. გაზდელიანის ვარაუდით, ზემოაღნიშნულ ლექსემაში, ინტერვოკალურ პოზიციაში, **ვ**'ინი დაიკარგა, რამაც განაპირობა ორი იდენტური **ა+ა** ხმოვნის შერწყმა ერთ გრძელ ხმოვნად ან ამ ფუძეში დაკარგულმა **-ვა-** მარცვალმა საკომპენსაციოდ წინამავალი **ა** ხმოვანი დააგრძელა (გაზდელიანი 2003:31).

თა̄რინგზელ/თა̄რი°ნ°ძელ/თა̄რიგზელ/თა̄რიგლეზერ ლექსემაში დაცული **ი** ხმოვანი, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც სესხების დროს გადმოჰყვა სვანურს ქართულიდან, მაგრამ თავად ქართულში **ი** ხმოვნიანი ვარიანტი რომ არ გვხვდება?!

ჩვენი ვარაუდით, ამ რთული სიტყვის ინლაუტში წარმოდგენილი -ი- ხმოვანი შესაძლოა თანხმოვანთგამყარად გვევლინებოდეს, რადგანაც საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილში თავკიდური ა ხმოვნის დაკარგვის შემდეგ ინლაუტში თანხმოვნებმა მოიყარეს თავი და ენამ, როგორც ჩანს, მათ გასათიშავად გამოიყენა -ი- ხმოვანი. ამ ვარაუდს ადასტურებს ბალსზემოურ დიალექტში გამოვლენილი **თა̄რგნგზელ** **ფორმა**, ანაპტიქსურ **გ** ხმოვანჩართული.

რაც შეეხება საანალიზო კომპოზიტის მეორე ნაწილს, აქ გვაქვს სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები: **ʼნʼგზელ/გლეზერ/ნძელ** (< ქართ. ანგელოზ-ი), არც ერთ მათგანში არაა შემორჩენილი თავკიდური ა ხმოვანი, იგი ყველა ფორმაში დაკარგულია (ერთადერთი ა ხმოვნიანი ვარიანტი ლაშხურ დიალექტში გვხვდება — **მთაჵარანგლოზ**[1], რომელიც, ეტყობა, შედარებით ახალ ნასესხობას წარმოადგენს).

რამ გამოიწვია ანლაუტური ა ხმოვნის დაკარგვა საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილში?

ვფიქრობთ, რომ ამისი მიზეზი უნდა იყოს აღნიშნული კომპოზიტის პირველ ნაწილში შემორჩენილი თუ გაჩენილი **ი** ხმოვნისა და მეორე კომპონენტის თავკიდური ა ხმოვნის ერთად შეყრა. ორი ხმოვნიდან ერთ-ერთი უნდა დაკარგულიყო ან შერწყმულიყო გრძელ ფონემად — დაიკარგა მეორე კომპონენტის თავკიდური ხმოვანი. აღნიშნული ლექსემის ნაირ-ნაირი ფონეტიკური ვარიანტების არსებობა მეტათეზისის შედეგი უნდა იყოს, და არა მარტო მეტათეზისისა, აქ სხვა ფონეტიკური პროცესებიც მიმდინარეობს, რომელთა ახსნა ჯერ-ჯერობით გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული; გაურკვეველია აგრეთვე ფუნქცია ზს. **თა̄რგლეზერ**, ლშხ. **თარგლეზერ**, ლნტ. **თა̄რიგლეზერ** ფორმების აუსლაუტში გამოვლენილი ბოლოკიდური -ერ-ისა, რომელიც ჩვენ სუფიქსი გვგონია (შდრ. ქართ. **ჩანჩქ-ერ-ი**, სვან. **მა-ჩხ-ა̈ფ**, ქართ. **ჩქ-ეფ-ა**).

საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილში, ზოგიერთ შემთხვევაში, ფუძისეული -ნ- ბგერის დაკარგვასთან გვაქვს საქმე, მაგ. ზს. **თა̄რგლეზერ**, ლშხ. **თა̄რიგზელ‖თა̄რიძელ‖თარგლეზერ**, ლნტ. **თა̄რიგზელ‖თა̄რიგლეზერ** (შდრ. ბზ., ლშხ. **თა̄რინგზელ/თა̄რგნგზელ**, ლშხ. **თა̄რიʼნʼძელ**).

ლაშხურ დიალექტში დადასტურებული **ნძელ-‖ძელ-**, როგორც ჩანს, აფრიკატიზაციის შედეგია.

საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, რომ ანლაუტში საანალიზო ლექსემის გრძელხმოვნიანი ვარიანტების გვერდით პალატალიზებული ფორმებიც გვხვდება (შდრ. ერთი მხრივ, ბზ. **თა̄რინგზელ**, ლშხ. **თა̄რიგზელ‖თა̄რიʼნʼძელ** და, მეორე მხრივ, ზს. **თა̄რგლეზერ**, ლნტ. **თა̄რიგზელ‖თა̄რიგლეზერ**). ეს ოპოზიციაც ჩვენთვის ჯერ-ჯერობით აუხსნელია. პალატალიზებულ ფორმებში მეორე კომპონენტის თავკიდური ან- ყველგან დაკარგულია. ან'ის დაკარგვა გამოიწვევდა მხოლოდ სიგრძეს და არა უმლაუტს.

საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: **თა̄რინგზელ < *თა̄რინგლეზ < *თა̄რინგლჳეზ < *თა̄რანგლო̈ზ < *მთა̄რანგლო̈ზ < *მთავარანგლო̈ზ < *მთავარანგელო̈ზ** < ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი. ამ გარდაქმნებში ***თა̄რინგელო̈ზ** ვერ ჩავსვით; როგორც ჩანს, იგი ურედუქციო ან რედუქციაშესუსტებული (ლენტეხური?) მეტყველების სავარაუდო საფეხურია.

ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თანამედროვე სვანური ენის დიალექტებსა ან კილოკავებში შესაძლებელია განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში ამოსავალი, შედარებით უფრო მწყობრი სურათის აღდგენა ზოგჯერ ხერხდება ძველი ხალხური სიმღერების ენის მიხედვით, სადაც მოსალოდნელ ინოვაციათა გვერდით ბევრი საინტერესო არქაიზმი გვხვდება (ჩანტლაძე 1998:6).

თა̄რინგზელ სვანურ ხალხურ პოეზიაში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება:

ცხუმარული

ოი, ლილე, დიდა̈ბ, დიდა̈ბ **თარ-გლეზ-ერ-ს-ი**, ოი, ლილე! — ოი, ლილე, დიდება, დიდება მთავარანგელოზს, ოი, ლილე! (სვ. პოეზია 1939:314).

---

[1] ნატალია ონიანის (32 წლისა) თქმით.

მულახური

ჰოდ-და ლილე და, დიდება **თარ-ი-ნგლაზ-ელ-ი-ს**, ჳოდ-და, ლილე, ჰო! — ჰოდ-და ლილე და, დიდება მთავარანგელოზს, ჳოდ-და ლილე, ჰო! (იქვე).

ლაშხური

დიდებ. დიდებ **თარ-ი-გძ-ელ-ა-ს**, ლელჰგრალედ ლიშედს გუშგჳე! — დიდება, დიდება მთავარანგელოზს, ვევედრებით ჩვენს შველას! (316).

ჩვენი აზრით, საკმაოდ ძველ ნასესხობასთან გვაქვს საქმე, რასაც ზემოაღნიშნული ლექსემის ნაირ-ნაირი ფონეტიკური ვარიანტებიც ცხადყოფენ.

საგულისხმოა, რომ წმინდანთა სახელწოდებები სვანურში, ძირითადად, კომპოზიტური აგებულებისაა. როცა მათი შემადგენელი რომელიმე კომპონენტი დამოუკიდებლად იხმარება, მასში განსხვავებული ფონეტიკური პროცესები მოქმედებს (შდრ. ბზ. **ა̈ნგჳულეზ‖ა̈ნგლო̈ზ**, ბქ., ლნტ. **ა̈ნგლეზ**, ლშხ. **ანგლოზ**, მაგრამ: ბზ. **თა̄რინგზელ**, ზს. **თა̈რგლეზერ**, ლშხ. **თა̄რი˹ნ˺გზელ‖თა̄რინძელ**, ლნტ. **თა̈რიგზელ‖თა̈რიგლეზერ**).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსემა **თა̄რინგზელ** (ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი) ისესხა სვანურმა ქართულიდან; მოსალოდნელია, რომ სვანურში ქართულიდან შეთვისებულიყო უმანო ფორმაც (შდრ. ქართ. „თარანგელოზობა" — მოხევეთა რელიგიური დღესასწაული სოფელ ყანობში ძველი სტილით 13 ივლისს, აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991:104).

3. **მიქა̈მ თა̄რინგზელ** (ბზ.)/**მიქა̈მ თა̈რგლეზერ/მგქემ თა̈რგლეზერ** (ბქ.)/**მგქიმ თა̄რი˹ნ˺გზელ/ მგქიმ მთაჳარანგლოზ** (ლშხ.) < ქართ. მიქაელ მთავარანგელოზი.

მიქა̈მ/მგქემ/მგქიმ შეთვისებული უნდა იყოს ქართულიდან.

ბზ. **მიქა̈მ** < **მიქე̄მ** < **მიქე̄ლ** < ქართ. მიქაელ-ი.

4. გა̈ბრელ/გებრელ თა̈რგლეზერ (ბქ.) < ქართ. გაბრიელ მთავარანგელოზი.

გა̈ბრელ/გებრელ გამოყენებულია სახელწოდებად სვანეთში გაბრიელ მთავარანგელოზის სახელზე აგებული ტაძრისა, რომელიც დგას სოფელ ბეჩოს ერთ-ერთ უბანში — გულში, და ამიტომ ეძახიან **გულა̈ გებრელს/გა̈ბრელს**. აღნიშნული ტაძარი უძლიერეს სალოცავად ითვლება ზემო სვანეთში.

გა̈ბრელ/გებრელ ქართული ენიდან შესული **გაბრიელ** ფორმის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია.

აღნიშნულ ლექსემაში დაიკარგა სახელობითი ბრუნვის **-ი** მორფემა, ხოლო შემდეგ ფუძისეული **ი** ხმოვნის სინკოპირებამ გამოიწვია წინამავალი ა'ს ჯერ ნაწილობრივი გაუმლაუტება, მერე კი სრული პალატალიზაცია (**გაბრიელ-ი** > **გაბრიელ** > **გა̈ბრელ** > **გებრელ**).

ლენტეხურ დიალექტში გვხვდება სინტაგმა **მიქელ-გაბრიელ თაჳარანგელოზ**, რომელიც, ისევე, როგორც ლაშხური **მ-თაჳ-არ-ანგლოზ**, შედარებით ახალი ნასესხობა ჩანს.

სვანური ენის რელიგიური ლექსიკის განხილვამ საინტერესო სურათი წარმოგვიდგინა. ქრისტიანული ტერმინოლოგია, ძირითადად, ნასესხები ჩანს ქართულიდან სვანეთში მართლმადიდებლობის გავრცელებასთან დაკავშირებით. უფრო ძველი ჩანს წარმართული ეპოქის ამსახველი მასალა, რომელსაც თავის დროზე არაერთი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ ენათმეცნიერთა სპეციალური ანალიზის საგანი ჯერ არ გამხდარა.

2. 4. ნასესხები ქრისტიანული ტერმინების შესწავლისათვის სვანურში

სვანურის დიალექტებსა და კილოკავებში ქრისტიანობასთან დაკავშირებული არაერთი რელიგიური ტერმინი დასტურდება; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, ბუნებრივია, შექმნილია ქართველურ ენათა წიაღში, ნაწილი კი, როგორც ცნობილია, ნასესხებია სხვა ენობრივი სამყაროდან.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ქრისტიანობასთან ერთად ქართულიდან ან ბერძნულ-ებრაულიდან ქართულის გზით სვანურში შესულ რამდენიმე რელიგიურ ტერმინს, რომლებიც სხვადასხვა ფონეტიკური სახით არის დამკვიდრებული:

1. ფონეტიკურად უცვლელი ფორმით არის წარმოდგენილი შემდეგი ლექსემები: **ტრაპეზ** (ბქ.) < ქართ. ტრაპეზ-ი, **ალაპ** (ჩოლ.) < ქართ. ალაპ-ი, **ბარძიმ** (ზს., ქს.) < ქართ. ბარძიმ-ი, **საკურთხ** (ზს., ქს.) < ქართ. სა-კურთხ-ი, **ხალენ** (ჩოლ.) < ქართ. ხალენ-ი „სასულიეროთა ჩასაცმელი", **მირონ** (ლშხ.) < ქართ. მირონ-ი, **საკმეჳელ** (ლშხ.) < ქართ. სა-კმევ-ელ-ი, **ყჳელიერ** (ლშხ.) < ქართ. ყველ-იერ-ი, **სახარება** (ლნტ.) < ქართ. სა-ხარ-ებ-ა, **კერასი** (ჩოლ.) < ქართ. კერას-ი „წვრილი სანთელი" (საბა) და ა. შ.

2. გარკვეული ფონეტიკური პროცესებია მომხდარი ზოგ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულში, კერძოდ:

ა) მომხდარა დისიმილაციური გამჟღერება [მაგ., **ტრაბეზ** (ლშხ.) < ქართ. ტრაპეზ-ი (პ > ბ)]

ბ) გაფშვინვიერება (მაგ., **ჲეფისკოპოზ** (ბზ.) < ქართ. ეპისკოპოს-ი (< ბერძნ.).

3. რამდენიმე ნასესხებ რელიგიურ ლექსემაში ადგილი აქვს როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა მონაცვლეობასაც:

ა) მონაცვლეობს ხმოვნები (მაგ., **წასაგება** (ბქ.) < ქართ. წეს-ის ა-გ-ებ-ა (ე > ა), **გომეჯ** (ბზ., ლნტ.) 1. „სეფისკვერი", 2. „მრგვალი პური" < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ერთგვარი სარიტუალო პური" (ი > ე), **ირსელან** (ბქ.) < ქართ. იერუსალიმ-ი, **ზირაბ** (ჩოლ.) < ქართ. ზიარ-ებ-ა (ე > ა), **კირჳენ** (ზს., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ.)/**კირენ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. (< ბერძნ.) კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა" (ე > ი), **კირიელაისგნ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. (< ბერძნ.) კირიელეისონ-ი, კჳრიელესონ-ი „უფალო, შემიწყალე", **მიტა̈ნია** (ჩოლ.) „ლიტანიობა" < ქართ. (< ბერძნ.) მეტანია „თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა" (ე > ი), **საკმოჳელ** (ლშხ.) < ქართ. სა-კმევ-ელ-ი (ე > ო), **ყჳილიერ** (ბქ.) < ქართ. ყველიერ-ი (ე > ი) და ა. შ.)

ბ) მონაცვლეობს თანხმოვნები (მაგ., **ანღლა̈ბ** (ზს.)/**ანღლაბ** (ლნტ.)/**ანღლებ** (ლშხ.) < ქართ. ა-მაღლ-ებ-ა, **დღესასტაულ** (ლშხ.) < ქართ. დღე-სა-სწა-ულ-ი, **ირსელან** (ბქ.) < ქართ. იერუსალიმ-ი, **ჩალაგან** (ჩოლ.) „ეკლესიის შიდა სამტიხარი შესანიშნავი ჩუქურთმებითა და მოხატულობით, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს საერთო დარბაზიდან" < ქართ. ჩალანგარ-ი „აგურით ამოშენებული ხის ან ლითონის კარკასი კედლად" და ა. შ.).

4. დასტურდება აუსლაუტის გამარტივების შემთხვევებიც. ძირითადად გვხვდება -ა ხმოვანმოკვეცილი (უუმლაუტო) ფუძეები (მაგ., **სჳიმნობ** (ზს.) < ქართ. სვიმონ-ობ-ა, **ანღლაბ** (ლნტ.)/**ანღლებ** (ლშხ.) < ქართ. ა-მაღლ-ებ-ა, **აზმა** (ლშხ.) < ქართ. (< ბერძნ.) აიაზმა, **ზირა̈ბ** (ზს.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ზი̄რებ** (ლშხ.)/**ზირაბ** (ჩოლ.) < ქართ. ზიარ-ებ-ა, **სახრებ** (ლშხ.) 1. „სახარება", 2. აღდგომის ცისკრის წირვა" < ქართ. სა-ხარ-ებ-ა, **შეწირულობ** (ლნტ.) < ქართ. შე-წირ-ულ-ობ-ა და ა. შ.).

5. უუმლაუტო ფუძეების პარალელურად დასტურდება გაუმლაუტებული ფუძეებიც (მაგ., **საყდა̈რ** (ზს., ლნტ., ჩოლ.) < ქართ. სა-ყდ-არ-ი, **ჯჳა̈რ-პა̈ტიოხა̈ნ** (ფარ.) < ქართ. ჯვარ-ი-პატი-ოსან-ი, **ხარა̈ბ** (ზს.), შდრ. (ლნტ., ლხმ.) **ხარაბ**, (ლშხ.) **ხარებ** < ქართ. ხარ-ებ-ა, **შენაწირა̈ჳ** (ლნტ.) < ქართ. შე-ნა-წირ-ˆავˆ-ი, **შესა̈წირ** (ლნტ.) < ქართ. შე-სა-წირ-ი და ა. შ.

6. ნასესხები რელიგიური ლექსიკის საფუძველზე გამოიყოფა ბგერის ჩართვა-დაკარგვის რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ:

ა) ბგერის ჩართვა (მაგ., **გომინჯ** (ლშხ.) < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი „ერთგვარი სარიტუალო პური“)

ბ) თანხმოვნის დაკარგვა (მაგ., **იელოგიად** (ჩოლ.) „ზვარაკად დაკლული ცხვრის ნაწილების დარიგება მორწმუნეთა შორის“ < ძვ. ქართ. ევლოგია „კურთხევა, მოსაკითხი“, **თაჷყანიცემა** (ლნტ.) < ძვ. ქართ. თავ-ყან-ის-ც-ემ-ა||თავ-ყუან-ის-ც-ემ-ა||თა-ყუან-ის-ც-ემ-ა „ლოცვა, მსახურება“, შდრ. ახ. ქართ. თა-ყვან-ის-ც-ემ-ა, **ჩალაგან** (ჩოლ.) „ეკლესიის შიდა სამტიხარი შესანიშნავი ჩუქურთმებითა და მოხატულობით, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს საერთო დარბაზიდან“ < ქართ. ჩალანგარ-ი „აგურით ამოშენებული ხის ან ლითონის კარკასი კედლად“ და ა. შ.)

გ) მთელი მარცვლის მოკვეცა აუსლაუტში (მაგ., **სოლომ** (ლშხ., ჩოლ.)/**სჷალӓმ** (ბქ.) „არყის, საკირის, სამჭედლოს, ნადირობისა და მშენებლობის ღმერთი“, შდრ. **სოლომნ** (ბზ.) < ქართ. სოლომონ-ი და ა. შ.)

დ) რედუქცია (მაგ., **სახრა̈ბ** (ზს.)/**სახრებ** (ლშხ.) 1. „სახარება“, 2. აღდგომის ცისკრის წირვა“ < ქართ. სა-ხარ-ებ-ა, **კირჷენ** (ზს., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ.)/**კირენ**/**კირჷენ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. (< ბერძნ.) კერეონ-ი, კეროვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“, **ზირა̈ბ** (ზს.)/**ზირაბ** (ლნტ.)/**ზი̄რებ** (ლშხ.)/**ზირაბ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა, **აზმა** (ლშხ.) < ქართ. (< ბერძნ.) აიაზმა, **ანღლӓბ** (ზს.)/**ანღლაბ** (ლნტ.)/**ანღლებ** (ლშხ.) < ქართ. ამაღლ-ებ-ა, **მირჷნობ** (ლშხ.) < ქართ. ⌜ნათელ⌝მირონ-ობ-ა, **სოლომნ** (ბზ.) < ქართ. სოლომონ-ი, **სჷიმნობ** (ზს.) < ქართ. სვიმონ-ობ-ა, **კირიელაისგნ** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. (< ბერძნ.) კირიელეისონ-ი, კჳრიელესონ-ი „უფალო, შემიწყალე“, **ირსელან** (ბქ.) < ქართ. იერუსალიმ-ი და ა. შ).

7. დასტურდება გრძელხმოვნიანი ფუძეები (მაგ., **წა̄დი̄ლ** (ლშხ.) < ქართ. წანდილ-ი, **მიტа̄ნია** (ჩოლ.) „ლიტანიობა“ < ქართ. (< ბერძნ.) მეტანია “თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა“, **ზი̄რებ** (ლშხ.) < ძვ. ქართ. ზიარ-ებ-ა, **დი̄კჷენ** (ბზ.)/**დი̄კონ** (ლშხ.) < ქართ. დიაკვან-ი, **საკმე̄ლჷ** (ბზ.) < ქართ. სა-კმ-ევ-ელ-ი, **მეჲსӓ̄რობ** (ბზ.) < ქართ. (ლეჩხ.) მე-ისარ-ობ-ა „დღეობა, ლოცვა“ და ა. შ.).

8. საინტერესოა ერთი სემანტიკური გადაწევა ჩოლურულში (მაგ., **ქერახს** (ჩოლ.) „დიდი და მსხვილი სანთელი“, შდრ. **ქӓრӓხს||ქერახს** (ბზ.)/**ქერახს** (ლშხ.) „ყანწი“ < ქართ. ქარაჴს-ი „დიდი ყანწი“ (საბა), (გურ.) ქარახს-ი „ხარის ან კამეჩის რქა“).

საანალიზო რელიგიურ ტერმინთა მეტი წილი ნასესხები ჩანს ქართული სალიტერატურო ენიდან მართლმადიდებლობის გავრცელების კვალდაკვალ.

ზოგადი დასკვნები

1. ამრიგად, სვანურში, ისევე, როგორც ნებისმიერ (უმწერლობო თუ დამწერლობის მქონე) ენაში, სიტყვათა სესხება ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი წყაროა. ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა დიდძალი საილუსტრაციო მასალის ანალიზმა.

2. სვანურში ვხვდებით ჩრდილოკავკასიურ (ყაბარდოულ, ჩერქეზულ, აფხაზურ, ოსურ...), ბერძნულ, ლათინურ, აღმოსავლურ (თურქულ, სპარსულ, არაბულ) რუსულ და სომხურ ენათა ლექსიკის არაერთ ნიმუშს, რაც, ბუნებრივია, განაპირობა გარკვეულმა კონტაქტებმა დროსა და სივრცეში. მათ გვერდით დასტურდება ნასესხობანი სხვა ქართველურ ენათაგან (ქართული, მეგრული-ლაზური); ამ ნასესხობათა საერთოქართველურ მონაცემთაგან გამიჯვნა ყოველთვის არ არის ადვილი. სესხებისა და ადაპტაციის (ინტერფერენციის) შედეგად რეგულარულ ფონეტიკურ შესატყვისობებს ვერ მივიღებთ (გ. მაჭავარიანი). რაკიღა არსებული არაიდენტური შესატყვისობანი, მცირეოდენი გამონაკლისის

გარდა, ჯერჯერობით მხოლოდ სიბილანტებს ეხება, საკონტროლო საშუალებად გამოგვადგება ზანური ხმოვანთგადაწევები (ქართ. ა — ზან. ო, ქართ. ე — ზან. ა).

3. ირკვევა, რომ უცხოენოვან ლექსემათა ფუძეები სვანურში დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით, ისე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა თუ სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილ მონაცემთა ვითარებაში. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ძირითადად სალიტერატურო ენის, წიგნის ენის გავლენით შესული სიტყვები.

4. ზოგიერთი ნასესხები ფუძე „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისთვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს (პალატალურ, ველარულ თუ ლაბიალურ უმლაუტს, გრძელ ხმოვანს, ანაპტიქსურ ელემენტს, ორფუძიანი ბრუნების სისტემას, ზმნათა უღლების თავისებურებებს და ა. შ.), რაც ხშირად გვეხმარება სესხების გეოგრაფიული მიმართულების გარკვევაში (მაგ.: ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში **კალჷ̈თ** რომ სწორედ ქართული ენის საშუალებითაა შესული, ამაზე ბოლოხმოვნისეული უმლაუტი მიუთითებს, რომელიც სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვის კვალს წარმოგვიდგენს; ამოსავალი ბერძნული **καλαζα** კი მხოლოდ ქართულ ენაშია დაცული).

ზოგჯერ იმდენადაა „გასვანურებული“ ქართულიდან ნასესხები ძირი, რომ საკმაოდ რთულ ფონოლოგიურ გარდაქმნათა გათვალისწინებაა საჭირო თავდაპირველი სახის აღსადგენად (მაგ., ბზ. **ლჷ̈ხირ** „ნიჩაბი“ < ***ლჷ̈-ხჳ-ირ** < ***ლჷ-ნ-ხჳ-ირ** < ***ლა-ნე-ხჳ-ირ** < ქართ. სა-ნეხვ-ე; შდრ. ბქ. **ლაჳხი**, ლშხ. **ლჷ̈ღჷ̈რ**, ლნტ. **ლჷ̈ღერ**; მხოლოდ ქვემოსვანური მონაცემები რომ გვქონოდა, ალბათ, გაჭირდებოდა ამ ფუძის დაკავშირება ქართულ „ნეხვ-“ ძირთან).

5. ნასესხებ ფუძეებში ყველაზე ხშირადაა გამოხატული სვანურ სახელთა აუსლაუტის ბუნების ერთი ფრიად გამოკვეთილი ტენდენცია ღიამარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნისა, რაც ფორმათა გამარტივებას გულისხმობს.

6. სვანურ ნასესხებ სიტყვებში ყველაზე მეტადაა ხელშესახები თანხმოვანთა დაკარგვისა თუ ხმოვანთა შერწყმის შედეგად მიღებული კომპენსატორული ან კომბინატორული სიგრძე, დეზაფრიკატიზაცია-სპირანტიზაცია, თანხმოვანთა გამჟღერება (შედარებით იშვიათად — დაყრუე-ბაც), სონორთა მონაცვლეობა, რედუქციის (ა, ე, ი, ო, უ > ჷ) პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში, ასიმილაცია-დისიმილაცია, ბგერათა ჩართვა, ასპირაცია, მეტათეზისი...

7. ნასესხები მასალა სვანურში შესულია არა მხოლოდ სალიტერატურო ენიდან, არამედ დიალექტებიდანაც (შდრ. ბზ. **ჩაბჷ̄ნჷ̈ლ** „მარცვლეულის საწყაო“ < მესხ. **ჩანალ-ი** < სალიტ. ქართ. **ჩანახ-ი** < თურქ. **çanak** „თიხის ჭურჭელი“). ამ მხრივ განსაკუთრებით შეიმჩნევა ქართული ენის დასავლურ კილო-თქმათა მონაცემების სიმრავლე. სხვაობაა თვით სვანური ენის დიალექტების შიგნითაც: ლაშხურსა და ლენტეხურში გაცილებით მეტია ქართული ნასესხობანი, ვიდრე ბალსზემოურ დიალექტში, ხოლო ბალსქვემოურში უფრო ჭარბობს მეგრული ლექსიკა.

8. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ნასესხებ სიტყვათა ქრონოლოგიურ სიბრტყეს. განსაკუთრებით რთულია ვითარება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს უძველეს ნასესხობებთან, რომლებიც შესაძლოა ბგერათშესატყვისობებითაც იყვნენ წარმოდგენილნი ქართველურ ენებში: მიუხედავად იმისა, რომ ქართ. **სპილენძ-ი** და სვან. **სპილენჯ̌** ერთი შეხედვით თითქოს ავლენენ კანონზომიერ ფონემათშესატყვისობას (ძ — ჯ̌), ჩვენ მათ მაინც ვერ განვიხილავთ პრექართველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელ მონაცემებად, რადგანაც ძველ ქართულში **პილენძ-ი** (< საშუალსპარს. ***pirinz**) უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე **სპილენძ-ი**; ეს უკანასკნელი შედარებით გვიანდელი ჩანს და ამიტომაც ბუნებრივია, რომ სვანურში შესატყვისს ვერ მოგვცემდა. იგივე ითქმის **ვერცხლ-** ფუძის შესახებაც, რომელიც ძველ წერილობით ძეგლებში მხოლოდ XI-XII საუკუნეებიდან დასტურდება, ხოლო უძველეს წყაროებში ეს ლექსემა სონორის გარეშეა წარმოდგენილი ინლაუტში (**ვეცხლ-ი**). სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, გ. კლიმოვი), სვანური **ჳარჩ̈ხილ** ითვლება მეგრული

ვარჩხილ-ი'დან ნასესხებად. სონორის ჩართვა ინლაუტში მეგრულისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რაკილა ქართული **ვერცხლ-** ფორმა გვიანდელია, ცხადია, ამ ფუძეს საერთოქართველური დონიდან მომდინარედ ვერ განვიხილავთ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სვანურში „შავ“ ფერს გადმოსცემს პრექართველური ენის დიფერენციაციის შემდგომდროინდელი „წვის“ აღმნიშვნელი -**შხ**- ძირი (შდრ. ქართული „ნა-**ხშ**-ირ-ი“), მაინც შედარებით გვიანდელ ნასესხობებში (ზს. **შაჳბედ** „შავი ბედი“, ბზ. **შაჳგჳრმა̈ლ**, ბქ. **შეგჳრმა̈ნ**, ლშხ. **შეჳგჳრემან**, ლნტ. **შაჳგჳრმა̈ნ** „შავგვრემანი“, ბქ. **შაჳრა̈ხ** „შავტუხა“) დასტურდება შავ-.

3. ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის (ჸითინ/უთინ/ითინ/ჲგთინ/გთინ/ლგთინ) წარმომავლობისათვის

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე)

სვანეთში, როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, ჩვენამდე მოღწეული წარმართული ხასიათის სამლოცველოს მიწისზედა ნაგებობის ერთ-ერთ ძირითად ტიპს **ჸითინი‖ითინი** წარმოადგენს, რომელსაც აგებდნენ როგორც საკულტო ადგილზე, ასევე მთის უღელტეხილებსა და გადასასვლელებზე, სანადიროებში, სახლებში და ა. შ. (მაკალათია 1977:32).

ასეთი სალოცავი ნიშები დღემდეა შემორჩენილი სვანეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, რომელთაგანაც ზოგი წარმართობის დროინდელი უნდა იყოს, ზოგი კი შედარებით ახალი, ანუ ქრისტიანობის შემდგომდროინდელი.

ქრისტიანულ ეკლესიათა დიდი ნაწილი, ცნობილ მკვლევართა თვალსაზრისით (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი...), აგებულია წარმართულ სამლოცველოთა ადგილზე, რაზეც მეტყველებს სვანეთის ზოგიერთ თემში (უშგულში, მულახში, წვირმიში, ელიში, ადიში...)[1] ქრისტიანულ სამლოცველოთა გვერდზე შემორჩენილი ზემოდასახელებული უძველესი წარმართული სამლოცველო **ჸითინი‖ითინი**, რომელიც სვანური ენის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით დასტურდება:

ბზ. **ჸითინ/ითინ/ჲგთინ**, ბქ. **გთინ/ლგთინ**, ლშხ. **უთინ, ჸითინ, გთინ**[2], ლნტ. **ჸითინ**, ჩოლ. **უთინ, ჸითინ, ითინ** „ნიში სალოცავ ადგილზე, ბორძკით აშენებული სენიანი შენობა, რომელშიც ასვენებდნენ ჯვარს ან ხატებს". მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ნიშგჸე̄ჲ სოფელისგა ოჷრუ ლა̈მზგრ ჸითინ ლჷგ „ჩვენს სოფელში ორი სალოცავი ნიში დგას"
ალ ლა̈მზგრ ჸითინ გუნ ჯჸინელ ლი „ეს სალოცავი ნიში ძალიან ძველია"
ლა̈მზგრ ჸითინა̈რს ათხე̄ჲ აგემხ შჸანა̈რ „სალოცავ ნიშებს ახლაც აშენებენ სვანები"

ლ ა შ ხ უ რ ი

ამშა ჩუქჸა̈ნ ჸითინ ლჷ̄გა̈ნ ი ერა ფე̄დჲას ხჸაგმჷდად მუსი მჸრყჸამს (სვან. ქრესტ., 238:28) „ამის ქვეშ სალოცავი ნიში იდგა და მასთან („იმის") ახლოს ვაშენებდით („ვ-ა-გ-ებ-დ-ი-თ") თოვლის კოშკს"
ცაცხჸ... ჩუქჸა̈ნ ჸითინ ლჷ̄გა̈ნ... (იქვე) „ცაცხვის ქვეშ სალოცავი ნიში იდგა"
ამეჩუი̄ ჸითინ ლჷ̄გა̈ნ (იქვე:238:31) „აქაც სალოცავი ნიში იდგა"
ჯგგრა̈გი საყდრი ნაგემჟი ათხე უთინ ლჷ̄გ (ლაშხ. ტექსტ., 50:23) „წმინდა გიორგის ნასაყდრალზე („ა-ნა-გ-ებ-ზე") ახლა სალოცავი ნიში დგას"

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ეჩქად ამეჩუ ჸითინ ლჷგდა „მანამდე აქ სალოცავი ნიში იდგა"
ჸითინჟი ხჸაშჸედ მუტჸა̈რს „სალოცავ ნიშზე ვანთებთ სანთელს"

---

[1] ლაშხეთის თემში დღესაც არაერთი მსგავსი საკულტო ნაგებობა ფიქსირდება, რომელთა უმეტესი ნაწილი შედარებით ახალი აშენებულია.

[2] ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში" აღნიშნული ტერმინი, რომელიც სვანური ენის ყველა დიალექტშია გავრცელებული, მხოლოდ ლაშხურისთვისაა მითითებული (როგორც ჩანს, ან შემთხვევითაა გამორჩენილი, ან ავტორებს სათანადო მასალაზე ხელი არ მიუწვდებოდათ).

ჩოლურული

ჭითინს ამე̄ჲ იგემხ ჩამოსახლებულ შჭანარ „სალოცავ ნიშს აქაც აშენებენ („ი-გ-ებ-ენ“) ჩამოსახლებული სვანები“

ჭითინს ხოშა ნაღალდ ცხეკი პილჟი იგემხ „სალოცავ ნიშს უფრო მეტად ტყის პირას („პირ-ზე“) აშენებენ („ი-გ-ებ-ენ“) და ა. შ.

ბალსქვემო სვანეთში კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, **ჭითინი** საკულტო ნაგებობისა და სალოცავი ნიშის ფუნქციით არ გვხვდება, თუმცა ტერმინი **გთინ||ლგთინ** გამოყენებულია ნიშისა და სამანის აღსანიშნავად, ე. ი. ეს არის მაღალი ქვა, მიწაში ჩასობილი ისე, რომ კაცის სიმაღლისა ჩანს მიწის ზემოთ. ასეთი ნიშები, როგორც ამბობენ, უფრო გადასასვლელებზეა (მაღალ მთებსა და უღელტეხილებზე) გაკეთებული. უთვირის გადასასვლელზე სამი ასეთი ნიში ფიქსირდება, რის გამოც ამ გადასასვლელის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ ულამაზეს მთას სახელად **გთნა̈რ** დარქმევია.

1993 წელს სვანეთში ექსპედიციაში ყოფნის დროს ჩვენ მიერ სოფელ ნაკრაში ვენერა ვიბლიანისგან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში **კესრიშ ლგფა̈შდ** („კეისრ-ის ნაქებარი“) დავაფიქსირეთ **ლგთნა̈რ** ტერმინიც. მაგ.:

კესრიშ ლგფა̈შდ ა̈დგილს ხაშხა. ამეჩუ ჯჷინელ ნა̈ლზიგ ლი. შომა ამეჩუ დჷისიშ ლიგნე ოხბინა, ეჩქას ახქეფახ ლა̈ლზიგალდ ჟი. ეჩხენჩუ, ლგთნა̈რხენჩუ, ლგბნე შდგხირთეჩუ, თიხიშ მილა̈რ ლგმა̈რ, ალ მილა̈რთეჲსგა სგა ლგმგჷეშინხ ნაშგჷს ი შდგხირთეჩუ ჩუ ლგმფიშჷდინხ. ეჯი მილა̈რ ათხეჲ ჩუ ლიხ „კეისრის ნაქებარი ადგილს ჰქვია. აქ ძველი ნამოსახლარია. როდესაც აქ თრთვილის დადება („დგ-ომ-ა“) დაუწყია, მაშინ იქიდან აყრილან („სამოსახლოდ“). იქიდან, ლუთინ-ებიდან, დაწყებული შდიხირამდე, თიხის მილები ყოფილა, ამ მილებში ჩაასხამდნენ თურმე („ჩანასხამან“) რძეს („ნაწველს“) და შდიხირამდე ჩაუშვებდნენ ხოლმე („ჩანაშვებან“). ის მილები ახლაცაა („ქე არიან“)“.

ჩანაწერიდან ჩანს, რომ **გთნა̈რ** ტერმინის პარალელურად **ლგთნა̈რ-იც** დასტურდება. ეს უკანასკნელი ტერმინია გავრცელებული სოფელ ცხუმარშიც და იქაც იგივე მნიშვნელობა აქვს.

როგორც ჩანს, ცხუმარში ერთ-ერთი ცნობილი მთის „**ლგთლერ**“-ის სახელწოდებას სწორედ **გთინ||ლგთინ** დაედო საფუძვლად, რადგანაც იმ მთაში რამდენიმე ასეთი ნიშია ბუნებრივად აღმართული.

შოთა საღლიანისგან ჩავიწერეთ:

ლგთლერ ლახჷს ხაშხა, ამხაჷ სოფელხენქა მასა̈რდ ხოზი. ამეჩუ ლი ბაჩემ ლაჴჷმჲა̈შ ხუნა̈რ, ჯგგრა̈გიშ ლაჴჷმი ლგმგენ. ეჩხენ ნა̈ჴიდ ხა̈ტ ლაფსყალდა̈შ თა̈რგლეზრიშ ლაჴჷმიჲსგა ზი, ჟი ხა̈ჲრა ლახჷ ლგთლერ — ლუთლერი მთას ჰქვია, სოფლიდან იქამდე („აქეთ“) დიდი მანძილია („ბლომად უ-ძ-ევ-ს“). აქ არის ქვის სალოცავის საძირკველი („საძირკვლები“), წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია („სალოცავი“) მდგარა. იქიდან წამოღებული ხატი ლაფსყალდის მთავარანგელოზის ეკლესიაში ბრძანდება („ძ-ევ-ს“), აწერია „მთა ლუთლერი“.

ლახჷ ლგთლერს ბაჩა̈რჟი ლი ნახტაჷა̈რშალ კალხმა̈რ. ისკორეხ, ერე ეშხუ დრეჷქა ალ ა̈დგილჟი ზუღჷა ლგმა̈რ ი ეჯის ოთცჷირა მიჩა ნაზჷ ბაჩა̈რჟი. მეურნეობას ამეჩუ ჭეთხჷმალ ხორდა ამზაჷხენქა ქამიზალდ. ლახჷ ლგთლერს მასა̈რდ ჰყერუ წჷა ი ხოჩა ლათხჷარ ა̈დგჲა̈რ ლიხ — მთა ლუთლერში ქვებზე არის გამოსახული („ნა-ხატ-ებ-ივ-ით“) თევზები. ფიქრობენ, რომ ერთ დროს ამ ადგილას ზღვა ყოფილა და იმას დაუტოვებია თავისი კვალი („ნავალი“) ქვებზე. მეურნეობას აქ საქონელი („ოთხ-მა-ვალ-ი“) ჰყავდა ზაფხულიდან შემოდგომამდე. მთა ლუთლერში ბევრი კირქვა მოიპოვება („იშოვება“) და კარგი სანადირო ადგილებია.

ჩვენი ძირითადი მიზანია აღნიშნული საკულტო ტერმინის როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ასევე მისი გენეზისის გარკვევა.

როგორც ცნობილია, ი. ყიფშიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში (ყიფშიძე 1914:240) ერთმანეთთან შეაპირისპირა ქართული **თენ-ებ-ა**; **გან-თენ-ა** („გათენდა“) და მეგრული **თან-აფ-ა** („თენება; განთიადი; აღდგომა); **გო-თან-დ-უ** („გათენდა“); **გო-თან-ელ-ი** („გათენებული“) ფორმები, ხოლო არ. ჩიქობავამ გამოავლინა ლაზური ექვივალენტი **თან-აფ-ა** („ნათება; თენება“); **თან-უ-ნ** („ანათებს“); **ქო-დო-ლო-თან-უ** („გაანათა“); **მ-თან-ურ-ა** („ციცინათელა“); **დო-ლო-თან-ერ-ი** („განათებული“); **დო-თან-ურ-ი** („განთიადი“) (ჩიქობავა 1938:277). შემდგომში ქართულ-ზანურ შეპირისპირებულ მასალას, მიუხედავად ქართული და სვანური ფუძეების სემანტიკური სხვაობისა, გ. კლიმოვმა დაუმატა სვანური ენის მონაცემებიც: **ლი-თნ-ე** („დაბადება; გაჩენა“); **ა-ხ-თენ-ან** („გაუჩნდა“); **ლგ-თნ-ე** („გაჩენილი“; შექმნილი“); **ლი-თენ/ლი-თნ-ე** („გამოჩენა“); **ო-ხ-თენ-ი** („გამოვჩნდები“); **ქა ი-თნ-ე** („გამოიჩენს“); **ლე-თნ-ე** („გამოსაჩენი“...) (ЭСКЯ, 92). მანვე ***თენ-** (ЭСКЯ, 92) და ***თენ-/თნ-** (კლიმოვი 1998:68) არქეტიპები აღადგინა საერთოქართველური ფუძეების დონისთვის, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***თენ-** არქეტიპი (ЭСКЯ, 92) და ***თენ-ებ-ა** (კლიმოვი 1998:68).

ი. ყიფშიძის, არ. ჩიქობავასა და გ. კლიმოვისეული დაკავშირება საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამაჯერებლადაა მიჩნეული.

ამ რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ იქნა განსხვავებული დაკავშირება: სვანური **ლე̄-თ** (ბზ., ლშხ.), **ლე-თ** (ბქ., ლნტ.) „ღამე“, **ლე̄-თ-ი** (ბზ., ლშხ.), **ლე-თ-ი** (ბქ., ლნტ.) „წუხელ“ : ქართული **თ-ევ-**, **თ-ენ-**, **მ-თ-ენ-ი**, **სა-თ-ევ-ი** : ზანური **თ-ან-** „თენება“, **ო-თ-ან-უნ-ან-ს** „ღამეს ათევს“, **გ-ი-ფ-თ-ან-ე** „ღამე ვათიე“, **თ-ან-აფ-ა** „აღდგომა“ (ჩუხუა 2000-2003:106), რომელიც, ავტორის თვალსაზრისით, არ გამორიცხავს ქართ. **თ-ევ-/თ-ენ-** : ზან. **თ-ან-** : სვან. **თ-აჳ-** „გაჩენა“ ფუძეთა ერთიანობას (სარჯველაძე 2000:231-233). იგი მხოლოდ მის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე მიუთითებს სვანურ **ლე̄-თ/ლე̄-თ-ი** „ღამე, წუხელ“ ლექსემებთან — სვან. **თ-** „თევა“ → **ლე̄-თ(ი)** „სათევი“ → „ღამე“ (ჩუხუა იქვე).

ჩვენი დაკვირვებით, რეკონსტრუირებულ ***თენ-** ***თენ-/თნ-** ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული სვანურში საყოველთაოდ გავრცელებული უძველესი საკულტო ნაგებობის, სალოცავი ნიშის, აღმნიშვნელი ცნობილი ტერმინი **ჳითინ/უთინ/ითინ/გთინ/ჲგთინ/ლგთინ**, რომელშიც **-თინ** ძირი გამოიყოფა და სემანტიკურად იგივეა, რაც მიჩენილი, მითითებული ადგილი.

სვანურში გავრცელებულ სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებიდან ამოსავალ ფორმად მიგვაჩნია ბალსქვემოური გასუბსტანტივებული **ლგ-თინ**, რომელიც, ჩვენი აზრით, მომდინარეობს ნამყო მიმღეობის ფორმისგან **ლგ-თნ-ე** „დაბადებული, გაჩენილი, მიჩენილი, მითითებული“, რომლისგანაც ჩანს ნაწარმოები დანარჩენი საანალიზო ვარიანტები სხვადასხვა ფონეტიკური საფეხურების გავლით.

როგორც ცნობილია, სვანურში ნამყო მიმღეობის საწარმოებლად რამდენიმე აფიქსი დასტურდება: **ლგ-** — **-ე**, **მგ-** — *****-ე**, **ნა-** — **-⌜ა⌝**. ამათგან „**ლგ-** — **-ე** ჩვეულებრივ გვევლინება ნამყო წყვეტილში -ე-თი ნაწარმოებ და თანხმოვან-ხმოვნის ან ხმოვან-თანხმოვნისაგან შემდგარ ფუძეებთან (**ლგმა̄/არე** „მომზადებული“; **ლგთე**, ქს. **ლგთიე**||ლშხ. **ლგთიი** „მომკილი“; ბზ. **ქა ლუგჳეჲ**, ეცერ. **ქა ლგგეჲ**, ლნტ. **ლუგჳე** „დაფქული“), მაგრამ ნამყო წყვეტილში III პ. **-ე** მოკვეცილ და თანხმოვანკომპლექსიან ფუძეებთან **ლგ-** გვხვდება, სუფიქსი **-ე** მეტწილად დაკარგული ჩანს, რაც უმლაუტით დასტურდება. II ჯგუფის მოქმედებითი გვარის ფუძეთა **ი** გრძელდება (**ლგ-დგა̈რ/არ** „მკვდარი“, „მოკლული“; **ლგშიხ**||**ლგშხე** „დამწვარი“; **ლგტი̄ხ**, **ლგტიხ** „დაბრუნებული“)“, თუმცა გვხვდება პარალელური ფორმებიც: ზს. **ლგლფარე**||ზს., ლშხ. **ლგლფა̈რ/არ** ← ლნტ. **ლგლაფა̈რ⌜ე⌝** „დაფარებული“ (თოფურია 2002:197). საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიმღეობის თანამედროვე სისტემის თვალსაზრისით უნიკალური ე. წ. ნამყოს მიმღეობა არქაული ნიშნების შემცველადაა მიჩნეული (არაბული 2001:178).

როგორც ზემოთ ითქვა, საანალიზო ლექსემა **ლგთინ** < **ლგ-თნ-ე** -ე სუფიქსის დაკარგვის შედეგად. აღნიშნული სუფიქსის დაკარგვის შემდეგ ფუძეში თავმოყრილ თანხმოვანთა შორის გაჩნდა **ი**. **ლგთენ** ფორმის მაგივრად მივიღეთ **ლგთინ** (შდრ. ლნტ. **ლგთენე**). საინტერესოა უბრალოდ (ე/ი) ხმოვანთმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, თუ სხვა პროცესთან?

რაც შეეხება ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ **ჲგ-თინ** ლექსემას, იგი მიღებული ჩანს **ლგთინ** ფორმისგან: **ლ** → **ჲ** (შდრ. ქართ. ლურჯ-ი → სვან. **ჲგრჟი**, ქართ. (ქართ.) ლას-ა → სვან. **ჲგნში**, იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003), ხოლო ბალსქვემოურ-ლაშხური **გ-თინ** კი მიღებულია ლ'ს ფონეტიკური დაკარგვის შედეგად.

საანალიზო ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ლგ-თინ → **ბზ. ჲგ-თინ > ბქ., ლშხ. გ-თინ ერთი მხრივ**

ლგ-თინ → *** ლუ-თინ > ლშხ., ჩოლ. უ-თინ > ბზ., ლშხ., ლნტ. ჳი-თინ > ბზ., ჩოლ. ი-თინ მეორე მხრივ**

ვფიქრობთ, სოფელ ცხუმარში დაფიქსირებული ერთ-ერთი ცნობილი მთის სახელწოდება **ლგთლერ**-ს სწორედ საერთოქართველური რეკონსტრუირებული ***თენ- *თენ-/თნ-** ძირი უნდა დასდებოდა საფუძვლად, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ მთაში, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე ასეთი ნიშია ბუნებრივად აღმართული და იქვე გვხვდება ნაეკლესიარიც — **ჯგრäგ ლგთლერ** „ლუთლერის წმინდა გიორგი", რომელიც უფრო ამყარებს ჩვენს ვარაუდს.

4. ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის ქართველურ ენებში

ზომა-წონის ერთეულებს, როგორც ცნობილია, შეისწავლის მეტროლოგია (ივ. ჯავახიშვილის ტერმინით, საზომთმცოდნეობა). ამ ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით კვლევა ენათმეცნიერული ინტერესის საგანია.

საზომი ერთეულები უძველეს პერიოდში შეიქმნა, თუმცა ძირითადი ცნობები ქართული ზომა-წონის სისტემების შესახებ მოგვეპოვება IX საუკუნიდან. მათი წარმოშობა და განვითარება ადამიანის შრომით საქმიანობასთან არის დაკავშირებული. სათანადო ლექსიკური ერთეულები (**resp.** ტერმინები) ადგილობრივი წარმოშობისაც შეიძლება იყოს და ნასესხებიც.

ქართული მეტროლოგიის ისტორიულ ასპექტში შესწავლისას ძირითადი წყაროა წერილობითი ძეგლები და თანამედროვე ქართველურ ენებსა და დიალექტებში დაცული მასალა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. მათ შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ივ. ჯავახიშვილს[1], ნ. ხანიკოვს, გ. ჯაფარიძეს.

მეგრულში საზომ-საწყაოს ლექსიკა მეცნიერული თვალსაზრისით მეტნაკლებად შესწავლილია (ბებია 2002:28-31), ხოლო რაც შეეხება სათანადო სვანურ მასალას, იგი ამ თვალსაზრისით დღემდე გაანალიზებული არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღეთ ის თითოოროლა ლექსიკური ერთეული, რომელიც გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორის სტატიასა თუ წიგნში. თუმცა მასალა თითქმის სრულად არის თავმოყრილი სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით ა. ჩარკვიანის წიგნში „სვანეთი". როგორც ავტორი შენიშნავს, „რეფორმამდელი და რეფორმის მომდევნო დროის სვანეთში (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) ზომა-წონის ერთეულებს არ განუცდიათ რაიმე არსებითი ცვლილება (ჩარკვიანი 1967:240). მანამდე, ჯერ კიდევ 1938 წელს აფხაზეთის სვანეთში (დალში), ნ. მარის სახელობის ინსტიტუტის დავალებით, მივლინებით იმყოფებოდა მ. გუჯეჯიანი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა ესა თუ ის საზომ-საფასური დალის ხეობის სოფლების მიხედვით, მის მიერ შეკრებილი მეტროლოგიური და სხვა ტერმინების (სივრცის საზომები, ნართის საზომები, მცენარეულობის, სახელდობრ: მარცვლეულისა და მასთან ერთად საზიდი საზომები, სითხის საწყავები, საჭმლის, დროის საზომები, გამომცხვარი პურის სახელები (მათ ფორმებთან დაკავშირებით) რიცხვი 250-ზე მეტი ყოფილა (გუჯეჯიანი 1938:273-276).

საქართველოში საყოველთაოდ მიღებული მრავალფეროვანი საზომ-საწონი ერთეულების გვერდით არსებობდა ადგილობრივი მნიშვნელობის საზომებიც, რომლებითაც იზომებოდა სიმძიმე, ტევადობა და სივრცე.

საუკუნეთა მანძილზე ქართულმა საზომებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ღრმა ცვლილებები განიცადა. ძველის გაქრობის პარალელურად ხმარებაში შემოდიოდა მრავალი ახალი ტერმინი თუ ერთეული. XIX საუკუნიდან განსაკუთრებით სწრაფად გავრცელდა და დაკანონდა რუსული ზომა-წონის ერთეულები, თუმცა ქართული საზომები მაინც განაგრძობდნენ არსებობას, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდეა დაცული ქართულ ყოფაში (ქსე, ტ. 6, 1973:617-618).

სამიწათმოქმედო ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც ცნობილია, მარცვლეულის საზომ-საწყაოს ლექსიკა წარმოადგენს. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი საზომ-საწყაო გამოიყენებოდა, მათი უდიდესი ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზე იყო წარმოშობილი და შესაბამისად ამ კუთხის ყოფას უკავშირდებოდა (ჯაფარიძე 1973:5).

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბ., 1925; თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996; მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწილი I, მეჭურჭლეობა, თბ., 1979 (აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით).

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილი იქნება როგორც საკუთარ ისე ნასესხებ საწონ-საწყაო-საზომ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში.

ზოგადი კლასიფიკაციის შესაბამისად, ქართველური ენებიც საზომ ერთეულთა სამ ჯგუფს წარმოგვიდგენენ:

1. საწონი (მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები: ქართ. **კილო** : ზან. (მეგრ.) **კილო** : სვან. **კილო**; ქართ. **გრამ-ი** : ზან. (მეგრ.) **გრამ-ი** : სვან. **გრამ**; ქართ. **ფოხალ-ი** : ზან. (მეგრ.) **ფოხალ-ი** : სვან. (ზს., ლნტ.) **ფოხäლ**, (ლშხ.) **ფოხალ**; ქართ. **კოდ-ი** : ზან. (მეგრ.-ლაზ.) **კოდ-ი** „ხის ჭურჭელი (პატარა სატლი) : სვან. **კუიდ‖კუიდ-ოლ** „გოდორი"; სვან. (ბზ., ლნტ.) **კარäნ**, (ბქ.) **კარუა** „ჩანახი (მარცვლეულის საწყაო, ნახევარი ბათმანის მოცულობისა)"; ქართ. (გურ.) **ბურწინ-ი** „დიდი საღვინე ჭურჭელი, კასრი" : ზან. (მეგრ.) **ბურწენ/მ-ი** „ხის დიდი კასრი" და სხვ.

2. საწყაო[1] (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები: ქართ. **ლიტრა** : ზან. (მეგრ.) **ლიტრა** : სვან. **ლიტრა‖ლიტრ‖ნიტრა**; ქართ. **ჩარექა** : ზან. (მეგრ.) **ჩარექა** : სვან. **ჩარექ**; ქართ. **დორა** : ზან. (მეგრ.) **დორა** : სვან. (ზს.) **დორä-ჲ**, (ლშხ.) **დორა-ჲ**, (ლნტ.) **დორä**; სვან. (ბზ.) **ზექä-ჲ**, (ბქ.) **ზექä** „შვიდლიტრიანი კოკა"; სვან. (ქს.) **საწურ-იან** „სამი ლიტრის მოცულობის"; სვან. (ქს.) **დარაჩ** „ოცდაათი ლიტრის მოცულობის" და სხვ.

3. საზომი (სივრცის გასაზომად განკუთვნილი) ერთეულები[2]: ქართ. **არშინ-ი** : ზან. (მეგრ.) **არშინ-ი** : სვან. **არშინ**; ქართ. **მეტრ-ი** : ზან. (მეგრ.) **მეტრ-‖მეტრა** : სვან. **მეტრ**; ქართ. **ალაბ-ი**[3] : ზან. (მეგრ.) **ალაბ-ი‖აჲაბ-ი** : სვან. (ზს., ლნტ.) **ალäბ**, (ლშხ.) **ალაბ**; სვან. (ზს.) **ირთხინ/ჲერთხილ**, (ქს.) **ირთხინ** „ციდა"; ზან. (მეგრ.) **ბურჭულიშ ტარი** „ოთხი მტკაველი და ერთი ხელის დადება" (ზედმიწ. „წალდის ტარის ხელა") (ქეცბაია 2005, 13); სვან. (ბზ.) **ცხუადეშ**, (ბქ.) **ცხუადიშ** „ერთი დღიური მიწა" და სხვ.

საწონი ნივთიერების სიმძიმის დასადგენად, როგორც ცნობილია, ხმარობდნენ და დღესაც ხმარობენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომელიც „**სასწორ**"-ით აღინიშნება, სასწორი იყო ორსაკიდრიანი, ამ ორსაკიდრიანი სასწორის გარდა „**ცალსასწორი**"-ც არსებობდა, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „**ლოღარიკ'ონ'ი**"-ც ეწოდებოდა. ტერმინი „**ლოღარიკონი**" საზომად მხოლოდ ლიხთიმერეთის ძეგლებში დასტურდებოდა და XVI საუკუნიდან მოყოლებული სანთლისთვის იხმარებოდა. ჭყონდიდელ-ბედიელის XVII საუკუნის მესამე მეოთხედის შეწირულობის წიგნში კი „**ლაღარიკონ**"-ად ეწერა (ჯავახიშვილი 1996:597; 621-622).

ქართულის გარდა წონის ერთეულის აღმნიშვნელად **ლაღარიკონი** მეგრულშიც გამოიყენება, რომელიც ასევე სასწორსაც ნიშნავდა. ხოლო უძველესი საბუთი, სადაც ეს სიტყვა პირველად არის მოხსენიებული, შედგენილია 1564 წელს. ეს არის ხობელ ნიკოლოზ წულუკიას შეწირულობის წიგნი — ხობის მონასტრისადმი, სადაც სკვამკოჩა ფაციას გადასახადებს შორის აქ დასახელებულია „ერთი ლაღარიკონი სანთელი" (ქ. ს. ძ. III, 1970:275). დოკუმენტებში კი ეს სიტყვა დასტურდება **ლოღარიკონის**, **ლოღარიკის**, **ლაღარიკის** ფორმით (ბებია 2002:31). მეგრულში დაფიქსირებულია **ლაღანკონ-ი** ფორმაც, რომელიც ი. ყიფშიძის აზრით 14 კვერცხს ანუ ორ გირვანქა წონით ერთეულს ეწოდებოდა (ყიფშიძე 1914:271).

მართალია, ვერც ერთ სვანურ პუბლიკაციაში წონის აღმნიშვნელი ეს ტერმინი ვერ დავადასტურეთ, თუმცა ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ იგი სვანურშიც; კერძოდ

---

[1] სითხოვანი ნივთიერების საზომს „საწყაო"-ს გარდა „საწყაული" და „საწყეო"-ც ეწოდებოდა (ივ. ჯავახიშვილი, ტ. IX, თბ., 1996:595).

[2] საინტერესოა ჩოლურულში გავრცელებული ერთ-ერთი ლექსემა **ჭინჭოლა** „ერთი კაბისთვის საკმარისი ნაჭრის ფართობი", თუმცა არ არის მითითებული კაბის ფორმა და ქალის აღნაგობა.

[3] იგივეა, რაც არშინი.

ბალსქვემოურში[1], საკმაოდ იყო გავრცელებული და უფროსი თაობის მეტყველებაში დღესაც ფიქსირდება მისი ხმარების შემთხვევები[2]. ბალსქვემოური **ლადა̈ნიკ** ადრე, როგორც ინფორმატორები აღნიშნავენ, იმავე მნიშვნელობის იყო, რაც ქართულში, ე. ი. ჰქონდა სასწორის მნიშვნელობა, თუმცა დღეს, როგორც ირკვევა, მხოლოდ და მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. მაგ. **ლადა̈ნიკობ** „გაიძვერობა, მერყეობა, ეშმაკობა...".

ტერმინი **სასწორ-ი** მეგრულსა და სვანურში შესულია ქართულიდან ფონეტიკურად უცვლელი სახით: მეგრ. **სასწორ-ი** (თუმცა პარალელურად **სახწორ-ი** ფორმაც დასტურდება, სადაც **ხ**, როგორც ჩანს, ფონეტიკური დანართია), სვან. **სასწორ**.

სასწორის მნიშვნელობითვე გამოიყენება სვანურში ლა-**ზმ-ძა̈რ** „გასაზომი" ფორმაც, რომელიც ასევე ქართულიდან შემოსულად ითვლება.

ქართველურ ენათა საზომ ერთეულებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი საერთოქართველური დონის მონაცემებია:

ქართ. **კათხა**||**კართხა** „ხის მოზრდილი სასმისი" : ზან. (მეგრ.) **კო(რ)თხო**[3] „ხის ჭურჭელი (მარცვლეულის საწყაო)" : სვან. **კათხ** „ხის ფეხებიანი სასმისი", **კათხ-ტაბა̈გ** „ქელეხი". საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***კათხ-ა** არქეტიპი (ჩუხუა 2002-2003:116). რაც შეეხება ქართული ენის დიალექტებში გავრცელებულ (გურ., ზ. აჭარ., ლეჩხ.) **კოთხო-ს**, იგი ზანიზმად კვალიფიცირდება (შდრ. ქართ. **ა** — **ა** : ზან. **ო** — **ო**) (იხ. იქვე).

ქართ. **მტკავ-** მ-**ტკავ**-ელ-ი : ზან. (მეგრ.) **ტკო-/ტკუ- ტკო/ტკუ/ტკჳ** : ზან. (ლაზ.) **მტკო- მტკო** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:337) : სვან. **კამ-გლ**||**კამ-ინ**||**კამ-ილ** ← **ტკავ**-ელ (ჩუხუა 2002-2003:38).

ქართ. ნა-**ზომ**-ი : ზან. (მეგრ.) ნა-**ზგმ**-ი „საზომი, საწყავი" : სვან. (ზს.) ნა-ლ-**ჯჳემ**||ნა-ლ-**ჯომ**, (ლშხ.) ნა-ლ-**ჯომ** „ფართობის საზომი ერთეული", სვან. ნა-**ზგმ**.

ზან. (მეგრ.) ნა-**ზგმ**-ი და სვან. ნა-**ზგმ** < ქართ. ნა-**ზომ**-ი, ხოლო, რაც შეეხება სვანურ ნა-ლ-**ჯჳემ**||ნა-ლ-**ჯომ** ფორმას, იგი ქართული ნა-**ზომ**-ი ფორმის კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს წარმოადგენს. ნა-ლ-**ჯჳემ**-ში წარმოდგენილი **ჳე** კომპლექსი **ო** ხმოვნის ნაუმლაუტარია, ქართული **ზ** სვანურში, როგორც წესი, აფრიკატიზაციის შედეგად ჯერ **ძ**-ში უნდა გადასულიყო (**ზ** ← **ძ**), შემდეგ კი **ჯ**-ში. სვანურში გამოვლენილი სონორი **ლ** ფონეტიკური დანართია.

ს.ქართვ. ***ძომ-** „ზომა" → ქართ. **ზომ-** : სვან. **ჯჳემ-** ← ***ძჳემ-** ← ***ძომ-** ← **ზომ-**.

შენიშვნა: სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში (ცხუმარულში და ეცერულში), მიწის ფართობის საზომ ერთეულად დაფიქსირებულია ერთი მეტად საინტერესო ფორმულარი, მაგ.: **ჭანდა̈ნძა̈შ ნალჯომ ცხჳადიშ** „ჭანდანის 'გა'ნაზომი ქცევა", სამივე ერთეული, როგორც ცნობილია, ცალ-ცალკე გამოიყენება სვანურში, როგორც მიწის ფართობის საზომ ერთეულებად და მათი ზომებიც ცნობილია. ერთ-ერთ სვანურ ლეგენდაში, რომელიც ეხება საღლიანების გვარს და რომლის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს ჩაწერილი, სწორედ იქ არის ნახსენები ზემოთ აღნიშნული მიწის ფართობის საზომი ერთეული. ლეგენდის თანახმად, ეცერელმა თავადებმა, დადეშქელიანებმა, საღლიანებს აჩუქეს მიწის ფართობი ცხუმარში, რომელიც ამ სახელწოდებით არის დღემდე შემორჩენილი. როდესაც ამ მიწის შესახებ ვიკითხე, რათა გამერკვია მისი ადგილმდებარეობა და აგრეთვე მისი დღევანდელი სახელწოდება, აღმოჩნდა, რომ ის მიწა **ჭანდა̈ნ**-ის სახელწოდებით ცხუმარში ნამდვილად არსებობს. გამოდის, რომ **ჭანდა̈ნ**-ი, რომელიც მიწის ფართობის საზომ ერთეულს წარმოადგენდა, დროთა განმავლობაში ტოპონიმად იქცა, ან პირიქით, ტოპონიმი იქცა საზომ ერთეულად, არც ეს არის, ჩვენი ვარაუდით, გამორიცხული.

---

[1] შესაძლოა სვანურის ყველა დიალექტში იხმარებოდა და დროთა განმავლობაში დაიკარგა ისევე, როგორც უამრავი სხვა სიტყვა.

[2] პირადად მე ბაბუაჩემისგან, მიხეილ საღლიანისგან, ბავშვობაში ბევრჯერ მსმენია, თუმცა მაშინ მისი მნიშვნელობა ჩემთვის გაუგებარი იყო.

[3] იტევს ფუთის მეოთხედს; ძველებური ქილა ახლანდელზე მეტი იყო, იტევდა 16 ოყას (ოყა = 3 გირვანქას). **კორთხო** ხისგან კეთდებოდა. ზოგ ქილაში 6 კორთხო ჩადის, ზოგში — 4 (იხ. ივ. ჯავახიშვილი, გვ. 230).

საერთოქართველური დონის მონაცემი შეიძლება იყოს ქართ. (გურ.) **ჩხაკ-ი** „ხილის საკრეფი კალათა“, (იმერ.) **ჩხაკ-ი** „წვრილი ტკეჩით ან წნელით მოწნული, საცრის მოყვანილობის ჭურჭელი, რომელშიაც ტყემალს წურავენ; ხახალი, ცხრილი : და სვან. (ზს.) **ცხი˹ნ˺კ** „კალათი“, (ლშხ.) **ცხიკ-ჳლ** „გოდორი“ (შდრ. იმ., გურ. „ჩხ-ავ-ი“).

სვანურში საერთოქართველური **ჩხ** კომპლექსის შესატყვისად, როგორც ვხედავთ, **ცხ** დასტურდება (**ჩხ** → **ცხ**), რაც ასახსნელია (შდრ. ქართ. **ჩხიკვ-ი**, ზან. (მეგრ.) **ჩხვირკ-ი**, ჭან. **ჩხვიკ-ი**, სვან. **ცხეკჷ||ცხä̈კჷ** „ქორი“ — იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003:340); ძირეული სონორი **ნ**, რომელიც მხოლოდ ბალსქვემოურში იჩენს თავს, ფონეტიკური დანართია.

ს.-ქართვ. ***ჩხაკ-** „კალათა, გოდორი“ → ქართ. **ჩხაკ-ი** : სვან. **ცხი˹ნ˺კ** ← ***ცხიკ-** ← ***ცხეკ-** ← ***ჩხä̈კ-** ← ***ჩხაკ-**.

სვან. **შიგელ** „საწურიდან ამოღებული ჭყინტი ყველის შესანახი ჭურჭელი (შეიძლება იყოს ყუთის ფორმის, ან ტკეჩისგან მოწნული კალათი)“.

ქართ. **ცეკა** „კალათი“.

ზან. (მეგრ.) **ჩაკა** „დაწნული კალათი, გიდელი“.

ს.-ქართვ. ***ცეგ-(ა)** „ცეკა, კალათი, ყუთი“ → ქართ. **ცეკა** ← ***ცეგ-ა** : ზან. **ჩაკ-ა** ← ***ჩაგ-ა** : სვან. **შიგ-ელ** ← ***ჩეგ-ელ**.

ქართული **ცეკ-ა** ძირი, როგორც მ. ჩუხუა შენიშნავს, ძველმა ბერძნულმა შეითვისა **საკ-** „ტომარა“ სახით: **ცეკა** → **საკ** (ჩუხუა 2000-2003:304).

ქართ. (გურ.) **ცეკა** „კალათი“ : ზან. (მეგრ.) **ცეკა** „დიდი დაწნული ჭურჭელი, რომელიც იტევს სამ კალათა სიმინდის ტაროს, მარცვლად კი — შვიდ ფუთს“.

ძვ. ქართ. **წონ-** ი-**წონ**-ს; აღ-**წონ**-ს; და-**წონ**-ს; მი-**წონ**-ა...

ზან. (მეგრ.) **წონ- წონ-უ-ა** „აწონა; შედარება“; **ვ-წონ-გნ-ქ** „ვ-წონ-ი“; **დო-ვ-წონ-ი** „ავწონე“; **გე-წონ-უ-ა** „შეფარდება“... (ჩიქობავა 1938:401); **ო-წონ-ალ-ი** „ასაწონი, სასწორი“.

ზან. (ლაზ.) **წონ-/წინ- ო-წონ-აფ-უ/ო-წინ-აფ-უ** „აწონა“; **ფ-წონ-ი** „ავწონე“...

სვან. **წონ-/წჵნ-/წნ- ლი-წჵნ-ე||ლი-წნ-ე||ლი-წნ-ი; ხჵ-ა-წჵნ-ე||ხჵ-ა-წნ-ი** „ვწონი“; **ლჵ-წჵნ-ე||ლგ-წნ-ე||ლგ-წინ** „აწონილი“... (ფენრიხი 1982a:38); ბქ. **ლა-წნ-ი||ლა-წნ-ä̈რ** „ასაწონი, სასწორი“.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის გ. კლიმოვმა აღადგინა ***წონ-** არქეტიპი (კლიმოვი 1998:301).

ძვ. ქართ. **წყრთ- წყრთა-ჲ**: ზან. (მეგრ.) **ჭყირთა-/ჭყგრთა- ჭყირთა-/ჭყგრთა** „წყრთა“ : სვან. **ჭითხ- ჭითხ** „წყრთა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:679) და სხვ.

ზომა-წონის ზოგიერთი ერთეული მხოლოდ ცალკეული ქართველური ენისათვის არის დამახასიათებელი: ძვ. ქართ. **ჭარიკ-ი** „ნახევარი კოკა“; ქართ. **გოზაური** „დიდი საღვინე“; ქართ. **ბორჩხულა** „დოქის ნახევარი“; ზან. (მეგრ.) **ხეშფორ-ი||ხეშფორ-იშ-ხელ-ა** „ოთხი თითის დადება“ (ზედმიწ. „ხელის გულის ხელა“), **ართიხეშფორ-ი** „ერთი ხელის დადება“; ზან. (მეგრ.) **სარღა** „ხის დიდი გობი, თაბახი“; სვან. **ყუჩ** „გოჯი“; სვან. (ბქ.) **კურთხელä̈ნ-ი** „მიწის ფართობის საზომი ერთეული“; სვან. (ბზ.) **ლერქჵä̈შ** „ოთხი ლიტრის მოცულობის სითხის საზომი ერთეული“; სვან. (ბქ.) **ჭანდä̈ნ-ი** „მიწის ფართობის საზომი ერთეული = 484 კვ. საჟენს“; **ლედჵლიაქ||ლედჵლიაქ**[1] (უშგ.) „მარცვლეულის საზომი ერთეული = 24 კგ.; სვან. (ეცერ.) **ჭებშიშ** = 400 კვ. საჟენს; **ლაყჵლა** „მარცვლეულის საზომი ერთეული = ნახევარ კვიდოლას (მთელ სვანეთში) და სხვ.

---

[1] როგორც ცნობილია, შეესაბამება ცხვრის ღირებულებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკური ერთეულები[1], რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოუნახავს სამსავე ქართველურ ენას, ზოგს კი ამა თუ იმ ენაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განუცდია[2]. ვფიქრობთ, რომ ბევრი მათგანი ქართულის გზით არის შემოსული მეგრულ-სვანურში, განსაკუთრებით კი სვანურში. მაგ.:

ქართ. **არშინ-ი** (< რუს. **аршин**): ზან. (მეგრ.) **არშინ-ი** : სვან. **არშინ**.

ქართ. **ბათმან-ი** „საწყაო (მარცვლეულის, ფქვილის...)" (< თურქ. < საშ. სპარს. **patmān**, ახ. სპარს. **paiman** „ზომა") : ზან. (მეგრ.) **ბათმან-ი** = ნახევარ ფუთს, 8 კგ-ს : შდრ. ზან. (ლაზ.) **ბათმან-ი** „თიხის დოქი ხელიანი, სითხეთა საწყაო, რომლის ნახევარია ბარდაღი" (ანდრონიკაშვილი II, 1996:216-217) : სვან. (ჩოლ.) **ბათმან** „მარცვლის საწყაო".

ქართ. (გურ.) **ბურწინ-ი** „დიდი სალვინე ჭურჭელი, კასრი" : ზან. (მეგრ.) **ბურწენ-ი‖ბურწემ-ი ‖ბურწინ-ი** „ხის დიდი კასრი" (მეგრულში შეინიშნება სონორ თანხმოვანთა (**ნ / მ**) მონაცვლეობა და **ი/ე** ხმოვანთმონაცვლეობა)[3]: შდრ. სვან. ფორმები: **ლი-ბგრწინ-ე** „გაწელვა, გადიდება, გაზრდა მიწის ფართობისა", **ლგ-ბგრწინ-ე** „გაწელილი, გადიდებული მიწის ფართობი", **ლე-ბგრწინ-ე** „გასაწელი, გასადიდებელი მიწის ფართობი"..., როგორც ჩანს, სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

ზან. (მეგრ.) **ბუყინ-ი‖ბუყუნ-ი‖ბუცუნ-ი** „ხისგან საგანგებოდ დამზადებული ჭურჭელი, კასრი, რომელსაც იყენებენ რძის ჩასასხმელად, მაწვნის შესადედებლად; ხშირად მარცვლეულის (სიმინდის), ფქვილის ჩასაყრელად : სვან. **ბუყჳინ** „საზამთროდ ყველის შესანახი ხის კასრი", აშკარაა მისი მეგრულიდან ნასესხობა.

ზან. (მეგრ.) **ბუყინ-ი‖ბუყუნ-ი‖ბუცუნ-ი** ფუძის შესატყვისად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში, გამოვლენილია ქართულ-სვანური ფუძეებიც:

სვან. (ზს.) **ბეყჳ**, (ბქ., ლშხ.) **ბოყჳ**, (ლშხ., ლნტ.) **ბეყჳ-ილ** „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის" : ქართ. (გურ., იმერ.) **ბოყჳ-ი** „ხის ჩარჩო", ზ. იმერ. „კრამიტის ყალიბი (კეთდება ხისაგან)", აჭარ. ბოქლომი, კლიტე" : ზან. (მეგრ.) **ბუყუნ-ი‖ბუცუნ-ი** „ხის კასრი" და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ბოყჳ-** არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:66).

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში" დაფიქსირებულია **ბეცე** „დიდი როფი, ვარცლი საქონლის დასარწყულებლად" ფორმაც (ქაჯაია 2001:236), რომლის ზემოთ აღნიშნულ ფუძეებთან სიახლოვე აშკარაა.

ქართ. **ვერს-ი** (< რუს. **верста**) : ზან. (მეგრ.) **ვერს-ი** : სვან. **ჳერს**, (უშგ.) **ჳერსტ**.

ქართ. **კუბ⌈ურ⌉-ი** მეტრი : ზან. (მეგრ.) **კუბა** : სვან. **კუბ‖კუბამეტრ**.

ქართ. **ლიტრა**, (კახ.) **ნიტრა** „საწყაოს ერთეული, დაახლოებით გირვანქა": ზან. (მეგრ.) **ლიტრა‖ნირტა‖ნიტრა** : სვან. **ლიტრა‖ლიტრ‖ნიტრა** (**ლ/ნ** მონაცვლეობა თვალშისაცემია არა მხოლოდ ქართულში, არამედ მეგრულ-სვანურშიც).

ეს უცხოური წარმომავლობის ტერმინი უძველეს ნასესხობად ითვლება ქართულში, რომელიც საწონი ერთეულის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც ისტორიული საბუთებითაც დგინდება. ჩვეულებრივი ლიტრის გარდა არსებობდა აგრეთვე „**ქალაქური ლიტრა**" და „**გორული ლიტრა**" (ფხაკაძე 2007:285).

ტერმინი ლიტრა, როგორც ცნობილია, ნასესხებია სხვა ენათაგან. იგი არსებობს მრავალ ენაში (შდრ. ბერძნ. „**ლიტრა**", ლათინ. „**ლიბრა**", ასურ. „**ლიტრა**", სომხ. „**ლიტრ**", არაბ.-სპარს. „**რიტლ**"). ეს

---

[1] აქვე განვიხილავთ საკუთრივ ქართული წარმომავლობის ლექსიკურ ერთეულებსაც, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვა ქართველურმა ენებმაც ისესხეს.

[2] ეს ცვლილებები განსაკუთრებით ხელშესახებია მეგრულ-სვანურისათვის.

[3] კეთდება ცაცხვისგან. მრგვალ ხეს აქვს ამოღებული გული. მისი ზომა ასეთია: სიმაღლე — 170 სმ., გარშემოწერილობა — 3 მეტრი და 71 სმ. ბურწენს ხმარობენ სიმინდის ჩასაყრელად, იტევს 70 ფუთს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, გვ. 228).

ტერმინი ბერძნებს რომაელებისაგან შეუთვისებიათ და ქართულში, როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, ბერძნულიდან (**litra**) შემოსულა (იხ. ჯავახიშვილი, ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, 72). „თავდაპირველად მას საზომ-საწონი ერთეულის მნიშვნელობა ჰქონდა, შემდეგ კი ქრონოლოგიურად და ენობრივ ქვესისტემებშიც სემანტიკური ცვლილება განიცადა“ (ფხაკაძე 2007:289).

ქართ. **მისხალ-ი** „დრამ-ნახევარი“; ზან. (მეგრ.) **მისხალ-ი||მირცხალ-ი**, როგორც ჩანს, ქართულიდანაა ნასესხები დეზაფრიკატიზაციის (ც > ს) საფუძველზე, სადაც რ ბგერა ფონეტიკური დანართია. სვან. (ბქ.) **მირცხა̈ლ** კი მეგრულიდან უნდა იყოს შეთვისებული; აუსლაუტისეული ა ხმოვნის უმლაუტი სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია.

ქართ. **ქსან-ი** „გვერდის ნაოთხალი“ (საბა) : სვან. (ჩოლ.) **ქსან** „კანაფის ბოჭკოს საზომი; სანთლის ცვილის საზომ-სა̈წონი, სარწყავი“ (ლიპარტელიანი 1994:288).

ქართ. **ქცევა** „ფართობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, რომლის ოდენობა XIX საუკუნის დამლევს 900 კვადრატულ მხარს უდრიდა“ (ჯავახიშვილი 1925:139) : ზან. (მეგრ.) **ქცევა** < ქართ. (იმერული ან გურული კილოდან) (ბებია 2002:28).

ქართ. (ზ. რაჭ.) **ყურიანა** (ყურიანი სალობიოე) : შდრ. (ქს.) **ყურიანათ** = 4 კგ.

ქართ. **ჩარექა** „სითხის საზომი ერთეული“ (< სპარს.) : ზან. (მეგრ.) **ჩარექა||ჩარიქ-ი** : სვან. (ქს.) **ჩარექ**.

ქართ. **საჟენ-ი** (< რუს. **сажень** „ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული, სამი არშინი) : ზან. (მეგრ.) **საჯენ-ი** (ჟ → ჯ პროცესით) = 2, 134 მეტრს : სვან. (ბზ., ლშხ.) **საჯენ||საჟენ**, (ბქ., ლნტ.) **სა̈ჯენ||სა̈ჟენ** (ჟ → ჯ). ჩოლურულში **საჯინიან** ფორმაც დასტურდება, რომელიც ორმეტრიანია.

ქართ. **ფოხალ-ი** : ზან. (მეგრ.) **ფოხალ-ი** : სვან. (ზს., ლნტ.) **ფოხა̈ლ**, (ლშხ.) **ფოხალ** (სვანურში ა-ს უმლაუტი მომხდარა დაკარგული სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით).

ქართ. **კილო||კილოგრამ-ი** : ზან. (მეგრ.) **კილო** : სვან. **კილო**.

სვანურში ფართობის საზომ ერთეულად გამოყენებული იყო აგრეთვე ქართული სვრელ-ის შესატყვისი სვან. (ბქ.) **ლუსა̈**, (ჩოლ.) **ლუსჳეჲ** „ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათოხნილი ფართობი“ ფორმაც, რომლის ზომაც სოფლების მიხედვით განსხვავებულია, რადგანაც მამაკაცები, ყველანი ერთნაირად ვერ მუშაობენ, აქედან გამომდინარე, ამ ერთეულის ფართობის ზომაც, რა თქმა უნდა, ყველგან სხვადასხვაა.[1]

ქართ. **სვე||სვრელ-ი**, (ქართლ.) **სვრე**, (მოხ.) **სჳე**, (ლეჩხ.) **სრ-იელ-ი**, (ხევს., რაჭ.) ლე-**სურ-ი**, (გურ.) **სრელ-ი** : ზან. (მეგრ.) **სვე||სვრელ-ი** : სვან. (ბქ.) ლუ-**სა̈**, (ჩოლ.) ლუ-**სჳე-ჲ** „ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათოხნილი ფართობი“.

აღნიშნულ ფუძეთა საერთოქართველურ დონეზე აღდგენა არ ხერხდება, უფრო სესხებასთან გვაქვს საქმე. მეგრულში პირდაპირ არის შესული ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, ხოლო, რაც შეეხება სვანურს, იქ ქართულიდან ნასესხები ძირი სვანური მორფოლოგიური ინვენტარითაა გაფორმებული. ფონეტიკურ ცვლილებას აქვს ადგილი მხოლოდ ბალსქვემოურ ლუ-სა̈ ფორმაში, სადაც ძირეული -ჳ- დაკარგულია, ხოლო ქართული ე ხმოვანი სვანურში ა̈-შია გადასული.

ნასესხები მასალა სვანურში, როგორც ცნობილია, შესულია არა მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენიდან, არამედ დიალექტებიდანაც, სწორედ ამისი ნათელი დადასტურებაა სვან. (ბზ.) **ჩაბა̈ნა̈ლ**/ (ჩოლ.) **ჩაბა̈ნალ** „მარცვლეულის საწყაო“ < მესხ. **ჩანალ-ი** < სალიტ. ქართ. **ჩანახ-ი** < თურქ. **canak** „თიხის ჰურჰელი“. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია ქართული ენის დასავლურ კილოთქმათა მონაცემების სიმრავლე. სხვაობაა თვით სვანური ენის დიალექტების შიგნითაც: ქვემოსვანურ

[1] ცნობები ამ (და სხვა) ლექსიკური ერთეულის შესახებ მოგვაწოდა ჩოლურის — თეკალის საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ქალბატონმა დოდო ბაბლუანმა, რომელიც დაინტერესებულია სვანური საზომი ერთეულებით და ცდილობს მათ სრულად აღნუსხვასა და მათი მოცულობების განსაზღვრას.

დიალექტებში გაცილებით მეტია ქართული ნასესხობანი, ვიდრე ბალსზემოურ დიალექტში, რაც შეეხება ბალსქვემოურს, იქ უფრო ჭარბობს მეგრული ლექსიკა (საღლიანი 2004-2005:150).

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ქართველური ენებიც, სხვა ენათა მსგავსად, საზომ ერთეულთა სამ ჯგუფს წარმოგვიდგენენ: 1. საწონი (მკვრივი და მარცვლეული სხეულებისა და საერთოდ არასითხოვანი ნივთიერებისათვის მიღებული საზომი) ერთეულები; 2. საწყაო (სითხოვანი ნივთიერების საზომი) ერთეულები; 3. საზომი (სივრცის გასაზომად განკუთვნილი) ერთეულები.

ქართველურ ენათა საზომ ერთეულებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი საერთოქართველური დონის მონაცემი აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი მხოლოდ ცალკეული ქართველური ენისათვის დამახასიათებელი. საკმაო რაოდენობით გამოვლინდა სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკური ერთეულებიც, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სამივე ქართველურმა ენამ, ზოგმა კი ამა თუ იმ ენაში მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. ნასესხებ ფორმათა მეტი წილი, როგორც ჩანს, ქართულის გზით არის შემოსული მეგრულ-სვანურში.

ზომა-წონის ერთეულები ქართველურ ენებში

1. მოცულობის საზომი ერთეულები

ა) მარცვლეულის საზომი ერთეულები:

ქ ა რ თ უ ლ ი

			გურ.	
გრამი	კილო	კოდი	ბურწიხი	ფოხალი

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ბზ.	ქს.	ეცერ.	ჩბხ.	ჰუბ.	უშგ.	ლნტ.	ლშხ.	ჩოლ.
	კუ̂იდოლა =40 კგ.		კუ̂იდოლა =32 კგ.	კუ̂იდოლა =39 კგ.	კუ̂იდოლა =40 კგ.	.			
ლაყუ̂ლა =ნახევარი კვიდოლა									
						ლედუ̂ლიაქ॥ ლიდუ̂ლიაქ =24 კგ			
		ყურიანათ =4 კგ.							
კუ̂იდ = 128 კგ.									
	აცსიშ =6 მანეთი =12 ფუთი								
		ფოხალ =8 კგ.							ფოხა̈ლ॥ ფოხლიან =8 კგ.
კარუ̂ა =5-14 კგ.									
		ლახდილ =32 კგ.							

ჩაბანალ =5-14 კგ									
		დახლაშ =24 კგ.							
კარან =5-14 კგ									
ჩაფლაშ‖ ხარფულ =6კგ.									
									კოლეფ =8 კგ.[1]
	ჩარექ						ჩა̈რექა̈	ჩარექაჲ	
ლალაშ =16 კგ.									ლალა̄შ =8 კგ.

მ ე გ რ უ ლ ი[2]

ატარი	ბურწემი‖ბურწენი =70 ფუთს.	ბუყუნი	ბარქაში	კალათი	კარაჩხა
კოთხო/კორთხო	კოპეშია	ლაგუჯი	ლიჯი	ნისორი	საკი
სარღა	ტომარე	ურემი	ქილა	ცეკა	ძანძა
ხართა	ოგორდულო	გვერდი/გუ̂ერდი	მახათელა	ძარა	ოუა
ლალარიკონი	ბლიკვი =მჭიდი, მუშტი, მუჭი		ბათმანი		

ბ) სითხის საზომი ერთეულები:

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ბზ.	ბქ.	ქს.	ლშხ.	უშგ.	ჩოლ.
ლახნისგ =3-3,5 ლიტრს	ლერქუ̂აშ =4 ლიტრს	ზექა =7 ლიტრს	დარაჩ =30 ლიტრს	შიყუ̂ილ[3] =პეშვს	შუყუ̂ილ =მუჭს	
	ლაყუ̂ლაშ =6 ლიტრს	აბზიშ =1,5 ლიტრს	ლაყუ̂ილ =12 ლიტრს			
		ლაჟრაშ =„საარაყე კასრი"	ლაზემ‖ლაზმა =5 ლიტრს			
			საწურიან =3 ლიტრს			
თუ̂ინგ‖ თუ̈ნგ „თუნგი"				თუნგუ̂ „თუნგი"		თუნგ „თუნგი" = 3,5-4 ლიტრს

მ ე გ რ უ ლ ი

ლიტრა‖ნირტა‖ნიტრა	ნიგა‖ნგგა =ხის კასრი რძისათვის — სათლი	ბეცე =დიდი როფი, ვარცლი საქონლის დასარწყულებლად

[1] ჩოლურელი (ტვიბელი) გულა გაბლიანის თქმით, კოლოფში ჩადის ოთხი კილო, ხოლო ფოხალში — ორი კოლოფი, ე. ი. 8 კგ.

[2] მეგრული მასალა ამოღებულია ი. ბებიას სტატიიდან „საზომ-საწყაოს ლექსიკა მეგრულში".

[3] ეშხუ შიყუ̂ილ ლიცუ̂ლ „ერთი პეშვი წყალი".

2. მიწის ფართობის საზომი ერთეულები:

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ზს.	ბზ.	ეცერ.	ბეჩ.	ლატ.	ლხმ.	ლშხ.
	ცხუადიშ =144 კვ. საჟენს					ცხუადიშ =100 კვ. საჟენს	
ლადლიშ =350 კვ. საჟენს							
	ნალჯუემ‖ ნალჯომ =132 კვ. საჟენს				გიგი ნალჯომ =156 კვ. საჟენს		ნალჯომ =ქცევა
			ჰანდანი =484 კვ. საჟენს				
				კურთხელანი =441 კვ. საჟენს			
			ჰებშიშ =400 კვ. საჟენს				

მ ე გ რ უ ლ ი

ქცევა	ორთალი	მარგალი	უაზაყი	

3. სიგრძის საზომი ერთეულები

ს ვ ა ნ უ რ ი

ზს., ქს.	ზს.	ჩბხ., ლხმ.	უშგ.	ბზ.	ლშხ.	ბქ.	ლნტ.	ჩოლ.
ალაბ-არშინ =71 სმ.								
	ალäბ =არშინს							
						ლუსä „სვე‖ სვრელი"		ლუსჳეჲ =ადრე დილიდან სადილობამდე სამი მამაკაცის მიერ დათოხნილი ფართობი
			უერსტ					
				საჯენ‖ საჟენ	საჯენ‖ ხაჟენ	სäჯენ‖ ხäჟენ	ხäჯენ‖ ხäჟენ	საჯენ‖ხაჟენ
ბაჯ =ნაბიჯს								
	არშინ							
პალ =ორივე გაშლილ ხელს								
პითხ =წყრთას								
კამინ =მტკაველს								
ცერმგკäჩ‖ ცერმგკაჩ =მუშტს გაშლილი ხელით								

ირთხენ = ცილას								
ყუჩ̂ = გოჯს		ყუჩ̂||ყუჯ̂[1] ქითხ = წყრთა თითების მოლუნვით ანუ თითებმოლუნული წყრთა						

მ ე გ რ უ ლ ი

არშინი	ორგია

[1] ყუჭ||ყუჩ̂ ლექსემა სვანურის სხვა დიალექტებშიც დასტურდება განსხვავებული მნიშვნელობით, კერძოდ: 1. ზს. „ბლაგვი, თავმოკეცილი რამე, მომრგვალებული თავი"; 2. ლშხ. „მაგარი აგებულების უშნო არსება".

5. ზოგი საერთოქართველური ფუძის შესახებ

ნაშრომში წარმოდგენილია რამდენიმე საერთოქართველური ძირის სტრუქტურულ-სემანტიკური და შეპირისპირებითი ანალიზი:

1. ქართ. (ხევს., იმერ., ზ. აჭარ.) სა-რეკ-ელ-ა „ხის პატარა თავკომბლის ფორმის პალო, რომელიც ერთი ნაპირით ღოლაბზე დევს, ხოლო მეორეთი ნაჭლიკასთან არის შეერთებული...", (იმერ.) სა-რაკ-უნ-ე/სა-რეკ-ულ-ე, (გურ.) სა-რაკ-უნ-ა/ე, -ი; შდრ. ძვ. ქართ. ჰ-რეკ-ს „სცემს; აკაკუნებს", რეკ-ა/რეკ-ებ-ა „ცემა; კაკუნი" : ლაზ. ო-რაკ-ალ-ონ-ი „სარეკელა", ო-რაკ-ალ-უ „რეკა" (გ. კლიმოვი) : სვან. (ბზ.) ლა-რყ-ა̈ნ, (ბქ.) ლა-რყ-ინ „სარეკელა"; შდრ. ბქ. ლი-რყ-ი/ლი-რყ-ინ-ე „დარტყმა", ლა-ხ-რეყ „მიარტყა".

ს.-ქართვ. *რეყ- „ცემა, მირტყმა; კაკუნი" → ქართ. რეკ- ← რეყ- : ლაზ. რაკ- ← *რაყ- ← *რეყ- : სვან. რყ-/რეყ- ← *რეყ-.

აუსლაუტური მიმართება ქართ. კ : ზან. (ლაზ.) კ : სვან. ყ აიხსნება როგორც ყ → კ გადაბგერება ქართულში [შდრ. ქართ. რეკ- „გარეკვა" : ზან. რაც- ← რაყ- : სვან. რეყ-, ქართ. კალ- „კვლა" : ზან. ყჳილ- ← ყულ-, ქართ. კუნტ- ← ყუნტ- : სვან. ყუნტ- (მ. ჩუხუა)].

ქართველური ფუძეები სემანტიკურად იგივეობრივია.

2. ქართ. კომბალ-ი „თავიანი ჯოხი" : ზან. (ლაზ.) კოპალ-ი „თავიანი ჯოხი" (მ. ჩუხუა) : სვან. (ბქ.) ყჳალა̈ნ˹გ˺ „კომბალი", (ლხმ.) ყჳარა̈ნ˹გ˺ „დიდთავა ადამიანი", შდრ. (ბქ.) ყჳამბალ-ა̈ „დიდთავა". შდრ. ბქ. ლი-ყჳენგ-ე „ჯოხით ცემა, მიბეგვა", ჩოლ. ყჳა̈ნგ-ი „გადახრილი მაღალი ხე".

ს.-ქართვ. *ყომბალ- „თავიანი ჯოხი" → ქართ. კომბალ- : ჭან. კოპალ- : სვან. ყჳალა̈ნ˹გ˺/ყჳარა̈ნ˹გ˺ ← *ყჳალბა̈ლ ← *ყჳამბა̈ლ ← *ყომბა̈ლ ← *კომბა̈ლ ← კომბალ-ი.

სვანურ ფორმათა აუსლაუტისეული გ განვითარებული ჩანს, ამასთანავე აუსლაუტშივე ჳ ალოფონი თითქოს ისმის (ყჳალა̈ნ˹გჳ˺/ყჳარა̈ნ˹გჳ˺). რაც შეეხება ყ/კ მონაცვლეობას, იგი ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია.

სემანტიკური სიახლოვე ცხადია.

3. ქართ. წერო „ფრინველი" : ზან. (მეგრ.) ჭარო „ფრინველი, რომელიც ქორსა ჰგავს, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს (საბა)" (მ. ჩუხუა) : სვან. (ბზ.) ჭო̈̄რ, (ბქ.) ჭჳერ||ჭერ, (ლნტ.) ჭჳერ „ყვავი". ქართულ-ზანურში ო-ს სუფიქსად გამოყოფას ხელს უშლის სვანურში გამოვლენილი ფორმა.

ს.-ქართვ. *წერო „წერო" → ქართ. წერო : ზან. ჭარო : სვან. ჭო̈̄რ||ჭჳერ||ჭერ ← *ჭერჳ.

რაც შეეხება სვანურ (ბზ.) წა̈̄ჳრ, (ბქ.) წა̈ჳრ, (ლნტ.) წერო ლექსემას, იგი ქართულიდანაა ნასესხები (მ. ქალდანი).

სემანტიკური სხვაობა ასახსნელია.

4. ქართ. (გურ.) ბარ-ბალ-ი „ცეცხლის ალის ბრიალი, პრიალი", ა-ბარ-ბალ-ებ-ა „აპრიალება" : ზან. ბარ-ბალ-ი „ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაური, — ბრიალი, გიზგიზი" : სვან. ლი-ბგრ-ბგნ-ი||ბგრ-ბგნ „ცეცხლის აგუზგუზება, აპრიალება; ხმაური". შდრ. ზან. (მეგრ.) ბარ-ბაჩ-ი||ბარ-ბანჩ-ი||ბორ-ბოჩ-ი||ბორ-ბონჩ-ი „ბურბური, გიზგიზი, ბრიალი" და აგრეთვე რ. აბაშიას მიერ გამოვლენილი ზან. (მეგრ.) ბორ-ბონჯ-ი „გიზგიზი, ბრიალი".

ს.-ქართვ. *ბარ-ბარ- „ცეცხლის ბრიალი, პრიალი, ხმაური" → ქართ. ბარ-ბალ- ← *ბარ-ბარ- : ზან. (მეგრ.) ბარ-ბაჩ-||ბარ-ბანჩ-||ბორ-ბოჩ-||ბორ-ბონჩ-||ბორ-ბონჯ- : სვან. ბგრ-ბგნ- ← *ბარ-ბარ-.

როგორც ჩანს, ქართველური ფუძეები მიღებულია რედუპლიკაციის გზით.

მნიშვნელობის მხრივ ქართული და სვანური ფუძეები იდენტურია.

5. ქართ. მე-კობრ-ე „ზღვის ყაჩაღი" : სვან. (ბქ.) **კჳემბრ-ა̈** „ქურდბაცაცა; ყაჩაღი", (ცხუმ.) **კჳემბრჲა̈ჳ** „გადატ. — ამძუვნებული ღორები".

ს.-ქართვ. ***კობრ-** „ყაჩაღი" → ქართ. მე-კობრ-ე : სვან. **კჳემბრ-** ← ***კჳებრ-** ← ***კობრ-** ← მე-კობრ-ე. **მ** ფონეტიკური დანართია სვანურში.

სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც ქართულ-სვანური ფუძეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ. საკვლევია ზანური შესატყვისი.

6. ქართ. (მოხ.) **ცეგ-უა-ლ** „ბზრიალა" : სვან. (ბქ.) **ცäგ** „წისქვილის ბორბლის რკინის წვეტიანი ფეხი, რომლითაც ბორბალი კიბორჩხალაზე ტრიალებს".

ს.-ქართვ. ***ცეგ-** „ბზრიალა, სატრიალებელი" → ქართ. **ცეგ-უა-ლ** : სვან. **ცäგ** ← ***ცეგ-**.

ამოსავალი სემანტიკა ქართველურ ენებში „ტრიალისა" უნდა ყოფილიყო.

ვ. აბაევს სვანური **ცäგ** ოსურ-ალანურიდან შეთვისებულად მიაჩნია (შდრ. ოს. **cæg** „რკალი, რგოლი, მარყუჟი").

7. ქართ. (ქიზიყ.) **წოწოქ-ი**, (ზ. აჭარ.) **წოწოქ-ა-ლ** „ტყემლის შეჭამადი, მწვანით შეზავებული, ჭრიანტელი, ცივად იხვრიპება ზაფხულში, გრილია" : სვან. (ბქ.) **ჭოჭოქ-ä**, (ჩოლ.) **ჭოჭოქ-ა-ლ** „გადამჟავებული (მაწონი, ნაღები...)".

ს.-ქართვ. ***წოწოქ-** „მჟავე" → ქართ. **წოწოქ-ი** : სვან. **ჭოჭოქ-**.

ამოსავალი მნიშვნელობა ისტორიულად ქართულ-სვანური ფუძეებისათვის სწორედ „მჟავე" უნდა ყოფილიყო.

8. ქართ. **თავთა** „თხელი ნაქსოვია" (საბა), (ქიზიყ.) **თავთა** „აბრეშუმის თხელი ქსოვილი", შდრ. ინგ. **თაფტა-ლ** „თავთა, აბრეშუმის ქსოვილი" : სვან. **თჳალთ** „მარლა; თხელი ნაქსოვი".

ს.-ქართვ. ***თაჳთა** → ქართ. **თავთა** : სვან. **თჳალთ** ← ***თჳათ** ← ***თაჳთ** ← **თავთა**.

სვანური ფუძე მეტათეზირებული სახეობაა ისტორიული ***თაჳთა** არქეტიპისა. **ლ**, რომელიც სვანურ ფუძეში იჩენს თავს, ფონეტიკური დანართია.

სემანტიკის მხრივაც დაბრკოლება არა გვაქვს.

9. ქართ. (გურ.) **მო-ტოლ-ვ-ა** ძაფისა „ძაფის ორფად ახვევა, სანამ შეიგრიხებოდეს" : სვან. (ბზ.) **ლი-ნ-ტ-ი/ლი-ნ-ტჳლ-ი**, (ბქ.) **ლი-ნ-ტჳლ-ი** „თოკის, ძაფის აკეცვა (დახვევა)".

ს.-ქართვ. ***ტოლ-** „აკეცვა, დახვევა" → ქართ. **მო-ტოლ-ვ-ა** : სვან. **ტ-/ტჳლ-** ← ***ტოლ**.

ბალსზემოურში პროცესი კიდევ უფრო შორს წასულა და გამარტივების შედეგად ფუძე ცალ თანხმოვნამდე დასულა (**-ტ-**). სვანურში გამოვლენილი **ნ** ფონეტიკური დანართია.

სემანტიკური მიმართება სავსებით კანონზომიერია.

10. ქართ. (იმერ.) **ჭიკორ-ი** „სალაობაში მრგვალი რიყის ქვაა, რომელსაც 5-6 მეტრიდან ესროდნენ ბრტყელ რიყის ქვას, სანიშნო იყო" : სვან. (ლხმ.) **წინაკჳ** „ქვა".

ს.-ქართვ. ***ჭიკორ-** „ქვა" → ქართ. **ჭიკორ-ი** : სვან. **წინაკჳ** ← ***წინკჳ** ← ***წიკჳნ** ← ***ჭიკჳნ** ← ***ჭიკჳრ** ← ***ჭიკორ-** ← ***ჭიკორ-ი** ან **წინაკჳ** ← ***წინაკჳე-** ← ***წინკჳე-** ← ***წიკჳენ-** ← ***წიკჳერ-** ← ***ჭიკჳერ-** ← ***ჭიკორ-ი**.

ხელშესახებია სვანურში **რ/ნ** მონაცვლეობა და **ნ**-ს მეტათეზისი.

ქართველურ სემანტემათა იდენტურობა ნათელია.

11. ქართ. **წურ-წურ-**, მო-**წურ-წურ**-ებ-ს (ოფლი, სისხლი...), **წურ-წურ**-ით სდის, **წურ-წურ**-ი : ზან. (მეგრ.) **ჭურ-ჭულ-**, **ჭურ-ჭულ**-ი „წურ-წური", მ-ა-**ჭურ-ჭულ**-უ(ნ)||მ-ა-**ჭვარ-ჭვალ**-უ(ნ) „წურწურით ჩამოსდის (ოფლი, წყალი, ცრემლი...)" : სვან. **წჳრ-**, ხ-ო-**წჳრ**-ე „უდენს, ადენს (ოფლს, ცრემლს...), მე-**წჳრ**-ე „მდენი, თხევადი" (მ. ჩუხუა), შდრ. (ლეჩხ. ← სვან.) **ჭვერ**-ვ-ა „ჟონა, დენა" : სვან. ლი-**წჳრ**-ე „ჟონა, დენა", ნა-**წურ** „განაჟონი, გამონადენი", მუ-**წჳირ** „გახვრეტილი, საიდანაც სითხე ჟონავს...". .

ქართველურ ფუძეთა გენეტიკური ერთიანობა ცნობილია (მ. ჩუხუა). ლეჩხუმური **ჭვერ**-ვ-ა „ჟონა, დენა" ლექსემაც ადვილად დაუკავშირდება სხვა ქართველურ ფუძეებს.

ს.-ქართვ. ***წურ-** „ჟონა, დენა" → ქართ. **წურ-წურ** : ზან. **ჭვარ-ჭვალ-**||**ჭურ-ჭულ-**: სვან. ← **წჳრ-**/**ჭვერ-**.

საერთოქართველურ ***წურ-** ფუძეს „დენის, ჟონის" სემანტიკა უნდა ჰქონოდა.

12. ძვ. ქართ. **გრუზ**-ი/**გროზ**-ი „ხშირი", ახ. ქართ. **გრუზა** „ხშირი და ხუჭუჭი (თმა)", (თუშ.) **გრუზ**-აჷ-ი „ხუჭუჭთმიანი", (თუშ.) **გვრეზა-ჲ** „დახუჭუჭება", და-**გვრეზ**-ილ-ი „ხშირი თმა"; შდრ. (ქიზიყ.) **გურჯ**-ალ-ი „გადახვეული მატყლი ან ბამბა ან ბუმბული" : სვან. **გჳირ**ᴳ**ი**ᴵ**ზ** „გრაგნილი, ხვეულა", ლი-**გჳრიზ**-ი „დაგრაგნა, დახვევა", ლე-**გჳრიზ**-ი „დასაგრაგნი, დასახვევი".

ს.-ქართვ. ***გრუზ-** „გრაგნა, ხვევა, დახუჭუჭება" → ქართ. **გრუზა** : სვან. ***გჳირ**ᴳ**ი**ᴵ**ზ**/**გჳრიზ-** ← ***გურზ-** ← ***გრუზ-**.

ქართულ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს „დაგრაგნის, დახვევის, დახუჭუჭების" საერთო სემანტიკა. სემანტიკური გადაწევა მინიმალურია.

13. ზან. (მეგრ). **ჩორომა** „დიდი მოცულობის (ვეებერთელა) სასმისი" : სვან. **ჩარა̈ნ**-ი „დიდი მოცულობის ჭურჭელი", შდრ. ქართ. **ჩარა** „კათხასავით სასმისია ყურიანი" (საბა).

ს.-ქართვ. ***ჩარან-** → მეგრ. **ჩორომ-ა** ← ***ჩორონ-** : სვან. **ჩარა̈ნ-ი** ← ***ჩარან-**.

ქართულში მოსალოდნელი იყო *ცარან- ფორმა.

ხმოვანთშესატყვისობა ორივე ქართველურ ენაში დაცულია, ხოლო რაც შეეხება ზანური ფორმის აუსლაუტში გამოვლენილ მ-ს, იგი ნ-ს ფონეტიკური ვარიანტია.

სტრუქტურულ-სემანტიკური მიმართება კანონზომიერია.

14. ქართ. **სხვირპ-ლ-**||**სხჳრპ-ლ-**, **სხჳრპ-ლ**-ვ-ა „ტანთ მუწუკთ სხმა (საბა), ქიზიყ. **სხრუპ-ელ**-ი „ღუდუდი, პატარა მუწუკი" : ზან. **ჩხუპ-ურ**-ი „მუწუკი", ო-**ჩხუპ-ურ**-უ||**ჩხუპ-ურ**-უ-ა „ტანზე მუწუკების გამოყრა", **ჩხუპ-ურ-ელ**-ი „დაწერტილი, გამოყრილი" (მ. ჩუხუა) : სვან. **შხარპ**-ᴳაᴵლ-ა̈||**შხარპ**-ატ-ა̈ „ჭრელი ქსოვილი, საქონელი".

ს.-ქართვ. ***ცხჳირპ-(ალ-)**||***ცხურპ-(ალ-)** „მუწუკი, მუწუკთ გამოყრა; ჭრელი" → ქართ. **სხჳრპლ-**||**სხვირპ-ლ-**, **სხრუპ-ელ-ი** : ზან. **ჩხუპ-ურ-ი**, **ჩხუპ-ურ-** : სვან. **შხარპ-** ← ***ჩხჳარპ-**.

სვანურის სემანტიკა დიდად არ სხვაობს ქართულ-ზანურისაგან.

15. ქართ. (ქართლ.) **ყურუთ**-ი „გამხმარი დოს გუნდა". შდრ. (რაჭ.) **ჯურტ**-ი „მაწვნის მსგავსი შეჭამადი" და ნახური ენებიდან ნასესხები (ხევს., ფშ., მთიულ., გუდა.-მაყრ., თუშ., გარეკახ.) **კალტ**-ი „ხაჭო, ხაჭოს კვერი; ნადუღი" : სვან. **ყურა̈შდ** „ხაჭო; ნადუღი".

ს.-ქართვ. ***ყურუთ-** „გამხმარი დოს გუნდა; ხაჭო, ნადუღი" → ქართ. **ყურუთ-ი** : სვან. **ყურა̈შდ** ← ***ყურეშდ-** ← ***ყურჳეშდ-** ← ***ყურუთ-**.

ქართულ-სვანურ ფუძეებს აერთიანებს „ხაჭოს, ნადუღის, დოს" საერთო სემანტიკა.

16. „ნიჩაბის“ მნიშვნელობით სვანურ ენაში გამოიყენება ლექსემა, რომელიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი დიალექტებში: **ლა̈̄ხა̄რ** (ბზ.), **ლაჳხი** (ბქ.), **ლა̈და̄რ** (ლშხ.), **ლა̈დერ** (ლნტ.).

საანალიზო ფუძეების სეგმენტაცია შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვყოთ დანიშნულების აღმნიშვნელი აფიქსი **ლა̈̄-** — **-ა̄რ/-ერ** (სა- — -ე), ხოლო **-ჳხ-** (< **-ხჳ-**) ძირი დავუკავშიროთ ქართულ **ნე-ხვ-** ფუძის ძირისეულ **ხვ**-ს.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართული **ნეხვ-** ფონემათშესატყვისობის საფუძველზე დაკავშირებულია მეგრულ **ნახვ-** („რეცხვა“, ე. ი. „ნეხვის მოშორება“) ფუძესთან (გ. მაჭავარიანი, მ. ჩუხუა), სვანურში კი საერთოქართური ძირი თითქოს არ ჩანს. ვფიქრობთ, ქართულ-მეგრული **-ხვ-** სწორედ სვანური მორფოლოგიის შესაბამისად გაფორმებულ საანალიზო ლექსემაში უნდა იყოს დადასტურებული როგორც სხვადასხვა ფონოლოგიური საფეხურების შედეგი: სვან. ***ლა-ნე-ხჳ-ირ** > ***ლა̈-ნ-ხჳ-ირ** > ***ლა̈̄-ხჳ-ირ** > **ლა̈̄-ხ-ა̄რ** (ბზ.).

მაშასადამე, **ნე-** პრეფიქსისეული ხმოვნის რედუცირების შედეგად მიღებული უმლაუტი (**ლა̈-**) და **-ნ-/-ჳ-** თანხმოვანთა დაკარგვის საკომპენსაციო სიგრძე (**ლა̈̄-**, **ა̄რ**) გვაძლევს ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ მონაცემს **ლა̈̄-ხ-ა̄რ**; რაც შეეხება ბალსქვემოურს, აქ ძირისეული **-ჳ-** კი არ იკარგვის, არამედ მეტათეზისის შედეგად ვღებულობთ **-ჳხ-** ვარიანტს, დანიშნულების სუფიქსი კი მარტივდება (**-ირ** > **-ი**) და შესაბამისად გვაქვს **ლა-ჳხ-ი** **ლა-** პრეფიქსისეული სადა ხმოვნით. ქვემოსვანურ დიალექტებში, ინტერვოკალურ პოზიციაში, ძირისეული **-ხ-** თანხმოვანი მჟღერდება და ვღებულობთ **ლა̈-დ-ა̄რ** (ლშხ.), **ლა̈-დ-ერ** (ლნტ.) მონაცემებს.

სვანური ენის ლაშხურ დიალექტში გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი **ლა-ნხ-ა̈რ** („საზიზღარი, საძაგელი ადამიანი“) ფორმაც, ასევე, ქართულ **ნეხვ-** ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს.

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში „უწმინდურობის“ მნიშვნელობით დადასტურებულია **ნეხ-ოვნ-ებ-ა-ჲ** < ***ნეხვ-ოვნ-ებ-ა-ჲ**; სულხან-საბა ორბელიანისთვის „**ნეხვ-ი** კამეჩის სკორეა (განავალია)“, **ნეხვ-ბალახ-ა** კი მცენარეა, ხოლო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „**ნეხვი** საქონლის განავალია (ნაკელი, პატივი)“.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძველ სიტყვასთან გვაქვს საქმე (ყოველ შემთხვევაში, მისი აღდგენა შესაძლებელია არქიფორმის სახით ქართულ-ზანური ერთიანობის ეპოქაში), ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ სვანურ ენაში **-ხჳ-** ძირი შესაძლებელია ნასესხები იყოს ქართული ენიდან (მეგრული **ნახვ-** რომ ესესხა სვანურს, მაშინ **ლა̈-** გამორიცხული იქნებოდა).

საანალიზო ლექსემა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, თუ რა სიძნელეებს აწყდება მკვლევარი, როდესაც ქართველურ ენათა საერთო მასალისა და ურთიერთნასესხობათა გამიჯვნა ხდება საჭირო.

17. ქართ. (ხევს., თუშ.) **სერკვ-ი** „მომკილი იფქლის ძნა; ზვინი“ : ზან. **შანკვ-ი**, შდრ. ლეჩხ. **შანკვ-ი**, **მაშაკ-ი** „მახის ან ზანდურის მოსაკრეფი ხელსაწყო“, გურ. **შანკო** ← ***შანკვ-ი** „ჯოხი, რომელსაც საპალნე ყავარს უკეთებენ თავებში და წირეხით კრავენ“ (ჩუხუა 2004:78) : სვან. **ლი-შანკ-ურ-ე** „ჩარაზვა, ჩაკეტვა კარ-ფანჯრისა“, **მგ-შანკ-ურ-ე** „ჩამკეტი (კარ-ფანჯრისა)“, **ლა-შანკ-ურ-ა** „ჯოხი ან რაიმე შესაკრავი, ჩასარაზი (კარ-ფანჯრისა)“. საკითხი დაისმება სვანური **ლი-სანკურ-ე** „მუდმივად ვინმეს თანხლება, მიკვრა, მიტყუპება“ ზმნის მიმართების შესახებ შეპირისპირებულ ქართველურ ფუძეებთან.

18. ს.-ქართვ. ***სერკჳ-** „მომკა, კრეფა“, **სერკჳ-(ი)** „საკრეფი; ნაკრეფი, მომკილი“ → ქართ. **სერკვ-ი** : ზან. **შანკვ-ი** ← ***შარკვ-ი** (იქვე) : სვან. **ლი-შანკ-ურ-ე** „ჩარაზვა, ჩაკეტვა“ ← ***შა̈რკვ-**.

ე → **ა̈** სვანურში, როგორც ცნობილია, მიეწერება მომდევნო **ჳ**'ს, რომელიც ქართულშიც დასტურდება და მეგრულშიც.

19. ქართ. (იმერ., ლეჩხ.) **კოფ**-ი „ობი, კოფსი, ღვინის ობი, ბრკე“; და-**კოფ**-ებ-ა „დაობება“ : სვან. **კოკ˹ჷ˺ეფ**- „ხორცის ნახარში სქელი ქონი“.

ს.-ქართვ. ***კოფ**- „ობი, ბრკე, ქონი“ → ქართ. **კოფ**- : სვან. **კოკ˹ჷ˺ეფ**- ← ***კჷეფ-კჷეფ**- ← ***კოფ-კოფ**-. როგორც ჩანს, სვანური **კოკ˹ჷ˺ეფ** საერთოქართველური **კოფ**- ძირის რედუპლიცირებულ სახეობას წარმოადგენს.

20. ქართ. მო-**ტვლეპ**-ა „მოშიშვლება“, მო-**ტვლეპ**-ილ-ი „მოშიშვლებული“, (ქართლ.) **ტვლეპ**-ენ-ა „უთმო, თმაგაპარსული“, შდრ. (იმერ.) **ტვლიპ**-ინ-ა „შიშველ-ტიტველი, შეუმოსავი“ : მეგრ. **ტვეფ**-ე, **ტვეფ**-ერ-ე, **ტვეფ**-ერ-ია, **ტვეფ**-ერ-უა „მოტვლეპილი, უთმო (თავი)“, **ტვიფ**-ა, **ტვიფ**-ა˹ლ˺-ი „თავმსხვილი და მელოტი; ფართე“ : სვან. ლი-**სტჷფ**-უნ-ე‖ლი-**სტფ**-უნ-ე „მოტვლეპა“, ლუ-**სტჷფ**-უნ-ე, ლუ-**სტფ**-უნ-ე, **სტუფ**-ა, **სტჷიფ**-ლ-ა̈ „მოტვლეპილი, უთმო“; შდრ. მეგრ. **ტვეფ**-უ-ა „ხეთქვა; მაგარი სხეულის (ჯოხი, ქვა...) ჩარტყმა თავში“ : სვან. ლი-**სტჷფ**-ი, ლი-**სტჷემფ**-ე „სილის გაწნა; ჩარტყმა თავში“, ნა̈-**სტჷე˹მ˺ფ** „ნაცემი, ნარტყამი“, მუ-**სტჷფ**-ი „გამრტყმელი, გამლაწუნებელი“, ლე-**სტჷემფ**-ე „გასალახი“, **სტჷიფ**-იშ ლიღნე „გარტყმა, ჩარტყმა“. ანლაუტში ს'ს გაჩენა მიეწერება ძირის ბგერწერითობას სვანურში.

ს.-ქართვ. ***ტვლეპ**- „მოტვლეპა, მოტვლეპილი“ → ქართ. **ტვლეპ**- : მეგრ. **ტვეფ**- ← ***ტვლეფ**- : სვან. **სტ˹ჷ˺ფ**-, **სტ˹უ˺ფ**-, **სტჷიფ**- ← ***ტვლიფ**-.

21. ქართ. **დრუზ**-ვ-ა „ღონივრად, ძლიერად დარტყმა (კეტისა, ქვისა...)“ : მეგრ. **დრუზ**-უ-ა „დრუზვა; სროლა, მორტყმა (ქვისა და მისთ.)“ : სვან. (ბზ.) ლი-**დრჷ̄ნზ**-ე, (ბქ.) ლი-**დრენზ**-ე „ღონივრად, ძლიერად დარტყმა“, (ბზ.) მგ-**დრჷ̄ნზ**-ე, (ბქ.) მგ-**დრენზ**-ე „გამლახავი“, (ბზ.) ნა̈-**დრჷ̄ნზ**, (ბქ.) ნა̈-**დრენზ** „ნაცემი“, **დრიზ**-იშ ლიღნე „ღონივრად, ძლიერად დარტყმა“.

ს.-ქართვ. ***დრუზ**- „დარტყმა“ → ქართ. **დრუზ**- : მეგრ. **დრუზ**- : სვან. **დრჷ̄ნზ**- ← ***დრინზ**- ← ***დრჷიზ**- ← ***დრჷ̈ზ**-.

22. ქართ. (ძვ. ქართ.) და-**კნინ**-აკ-ებ-ა „დამცირება“, და-**კნინ**-ებ-ა „დამცირება, შემცირება“, და-**კნინ**-ებ-ულ-ი „დამცირებული“ : სვან. ლი-**ნგნკ**-ა̈ნ-ი „აბუჩად აგდება, დამცირება“, ლგ-**ნგნკ**-ან-ე „აბუჩად აგდებული, დამცირებული“, მგ-**ნგნკ**-ა̈ნ-ი „აბუჩად ამგდები, დამამცირებელი“; შდრ. (ზს.) **ნა̈ნკ**-დ „ცალკე, განმარტოებით“.

ს.-ქართვ. ***კნინ**- „დამცირება“ → ქართ. **კნინ**- : სვან. **ნგნკ**- ← ***კნინ**-.

23. ქართ. (ძვ. ქართ.) აღ-მ-**ტკმ**-ებ-ა, ა-მ-**ტკმ**-ებ-ა „პირის დაღება, გაღება“, მ-**ტკმ**-ობ-ა, მ-**ტკმ**-ებ-ა „დაღება, გახსნა“ (ი. აბულაძე), აღ-მ-**ტკმ**-ობ-ა, ა-მ-**ტკმ**-ობ-ა „გაღება“, აღ-მ-**ტკმ**-ობ-ილ-ი „გაღებული“ (ზ. სარჯველაძე) : სვან. ლი-**ტკრ**-ე „ოდნავ გაღება პირისა, კარისა...“; „ოდნავ ამოწევა რაიმე მძიმე ნივთისა“; „ოდნავ წამოწევა ადგილიდან (ადამიანისა)“; „კრინტის დაძვრა“; მგ-**ტკირ** „ოდნავ ღია“, მგ-**ტკრ**-ე „გამღები“.

ს.-ქართვ. ***ტკიმ**- „გაღება, გახსნა, ძრვა, დაძვრა“ → ქართ. **ტკმ**- : სვან. **ტკრ**- ‖ ← **ტკირ**- ← ***ტკიმ**-.

24. ქართ. (თუშ.) ˹გა˺-**ზეკ**-ვ-ა-ჲ „დატკეპნა, დატენა, გატენა (ტომრისა, გუდისა...)“, შდრ. (ქიზიყ.) გა-**ძეკ**-ვ-ა „მაგრად გატენა, დატკეპნა“, (ქართლ.) გა-**ძეკ**-ილ-ი, ჩა-**ძეკ**-ილ-ი „ძალიან გავსებული, გატენილი, გატიკნილი“ : სვან. ლი-**ზკ**-გნ-ე „მაგრად გატენა, დატკეპნა“, ლგ-**ზკ**-გნ-ე „მაგრად გატენილი, დატკეპნილი“.

ს.-ქართვ. ***ძეკ**- „ტკეპნა, გატენა“ → ქართ. **ზეკ**-‖**ძეკ**- : სვან. **ზკ**- ← ***ძეკ**-.

25. ქართ. (მთიულ., ხევს.) **ქურთ**-ი „გამხმარი ნეხვი; წივა“ : სვან. **თჷირქჷ** „ბინძური, უწმინდური“, ლუ-**თურქჷ**-ე „გაჭუჭყიანებული, გაბინძურებული“, ლი-**თურქჷ**-ე „გაჭუჭყიანება, გაბინძურება“,

მუ-თურქუ-ე „გამჰუჰყიანებელი, გამბინძურებელი", ლე-თურქუ-ე „გასაჰუჰყიანებელი, გასაბინძურებელი".

ს.-ქართვ. *ქურთ- „ნეხვი, სიბინძურე" → ქართ. ქურთ- „ნეხვი" : სვან. თუირქუ- / თურქუ- ← *ქურთუ-.

26. ქართ. (ძვ. ქართ.) გოდაბ-ო „გაროდ მწვარი" (გარო „მჟავით მწვარი") (საბა), შდრ. ხევს. გოდაბ-ან-ა „ფაშფაშა, მოშვებული, დონდლო" : მეგრ. გაგაბ-ი „ხორცის ნახარში ქონი, ღომის მოხარშვის, ხარჩოს მომზადების დროს მოყენებული ქონი, ქაფი" : სვან. (ლხმ.) გგგჳ „ხარის მკერდის თავზე დაგროვილი ქონი".

მეგრული და სვანური მასალის შეპირისპირებითი ანალიზი ეკუთვნის მ. ჩუხუას (2000-2003:88-89). შესაბამისი ქართული ფუძე არ ყოფილა დღემდე გამოვლენილი. სვანური ენის ჩოლურულ დიალექტში წარმოდგენილი გოდჵბ „სქელი ცხიმი" (ა. ლიპარტელიანი) ლექსემა ნასესხები უნდა იყოს ქართულიდან, სადაც ხმოვნის სიგრძე ფუძეში მომდევნო ხმოვნის ზეგავლენითაა მიღებული.

ს.-ქართვ. *გოდაბ- „ქონი, ქაფი" → ქართ. გოდაბ- : მეგრ. გაგაბ- ← *გოგაბ- ← *გოდებ- : სვან. გგგჳ ← *გოგაჳ- ← *გოდაჳ-.

27. ქართ. (გურ., იმერ.) ხვანც-ალ-ი „თევზისა და ქვეწარმავლის სწრაფი მოძრაობა; ახლად დაჭერილი თევზის მოძრაობა-ხტომაზე იტყვიან; ფხაკური, მიტრიალ-მოტრიალება" : მეგრ. ხვანც-ალ-ი „ნძრევა, რხევა; სწრაფი კლაკნა, სხმარტალი||მოუსვენრად ყოფნა, ცქმუტვა" : სვან. ლი-ხურც-ან-ალ „ცქმუტვა, ხვანცალი, მოუსვენრობა", მე-ხურც-ან-ალ „ვინც ცქმუტავს, ხვანცალებს". მეგრული ხვანც-ალ-ი ქართულიდან ჩანს შეთვისებული.

ს.-ქართვ. *ხუანც- „მოძრაობა, ცქმუტვა, კლაკნა" → ქართ. ხვანც- : სვან. ხურც- ← *ხუანც-.

6. სვანურ-აფხაზურ-ადიღური (resp. ჩერქეზული) ლექსიკური შეხვედრები

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, დიდი ხანია გამახვილებულია ყურადღება სვანურში აფხაზურ-ადიღური ენებიდან შესულ ლექსიკაზე (ს. ჯანაშია, გ. როგავა, ვ. შენგელია...). გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ს. ჯანაშია სვანური ენის ლექსიკურ ფონდში ქართველურ-ადიღეური საერთო ელემენტების გარდა, მთელ ჩერქეზულ ფენას გამოყოფდა (ჯანაშია 1959:85). მისი აზრით, ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურს და, ზოგადქართველურის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებო ენას რომელიღაც ისტორიულ პერიოდში მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან (იქვე:86). საყურადღებოა ისიც, რომ სვანურში, გარდა ჩერქეზულისა, აფხაზურთან საერთო ლექსიკაც დასტურდება.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართველურ და ჩერქეზულ ენათა ურთიერთობის ფაქტებს სამ კატეგორიად აჯგუფებდნენ: 1. საერთო ელემენტები, 2. გავლენები ქართველური ენებისა ჩერქეზულზე და 3. გავლენები ჩერქეზული ენებისა ქართველურზე (იქვე:85).

ცნობილია ისიც, რომ განსაკუთრებით საყურადღებო შეხვედრები მოეპოვებათ სვანურსა და ადიღურ ენებს ლექსიკაში.

ჩვენი დაკვირვების შედეგადაც სვანურში არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული დაიძებნა, რომელთა ქართველური ეტიმოლოგია ვერ ხერხდება და ისინი აღნიშნული ენებიდან შემოსულად შეიძლება მივიჩნიოთ.

სტატიაში განხილულია როგორც სვანურ-ადიღური და სვანურ-აფხაზური საერთო მასალა, ასევე ნასესხობანიც.

შევეხებით რამდენიმე მათგანს:

1. სვან. (ბქ.) **ჳოღურცუზ/ოღურცუზ/ჳოღურცუ**[1] „ბოროტი, შურიანი (ადამიანი)" : ადიღ. **ჳპ̇ლჾგრცგზ** „უბედურების, წარუმატებლობის მომტანი".

რა შეიძლება ითქვას საანალიზო ლექსემის შესახებ?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ლექსემას პარალელები არ ეძებნება ზანურსა და ქართულში.

შესაძლოა, აღნიშნული ფორმა ადიღეურის გზით იყოს შეთვისებული სვანურში, ვინაიდან თვით ადიღეურში თურქული ენებიდან ჩანს ნასესხები, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ **ჳპ̇ლჾგრცგზ** ფუძეს ადიღეურ ენა-კილოებში დიალექტური ფორმები არ მოეპოვება (ა. ხატანოვი, ზ. კერაშევა).

ადიღეურ-სვანური ფუძეები მატერიალურად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან. სემასიოლოგიურადაც „უბედურება" და „ბოროტი" ცნებებს შორის კავშირი შეუძლებელი არ უნდა იყოს.

2. სვან. (ზს., ლნტ.) **გჳä̈მი**, (ლშხ.) **გჳამი** „მძიმე" : ადიღ. **ჵაჳ(ჾ)** 1. „მძიმე (საჭმელზე ითქმის)", 2. „უსიამოვნო" (**ჳ** → **მ**, შდრ. ადიღ. **ჳპ̇ს**, სვან. **მუს** „თოვლი").

სვანურ-ადიღეურ ფუძეთა სტრუქტურული ერთიანობა თვალსაჩინოა, ხოლო შეფარდება სემანტიკურ დონეზე მ ძ ი მ ე ~ ძ ნ ე ლ ი, ჩვენი აზრით, კანონზომიერია.

3. სვან. (ბქ.) ტოპ. **ქჳანდარ** : ადიღ. **ჭანდ‖ჭანდჾ** „ბუჩქი".

როგორც აღნიშნავენ, ადიღეურში ამ სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია. თანხმოვან **ნ**'ს ინლაუტში ჩამატებულად თვლიან, ვინაიდან შაფსუღურში ეს სიტყვა წარმოდგენილია **ნ**'ს გარეშე.

ადიღეურ **ჭანდჾ**-ში **დჾ** შეიძლება გამოიყოს და გვრჩება **ჭან**. ეს უკანასკნელიც მარტივდება შაფსუღურ დიალექტში, სადაც სწორედ **ნ**'ს გარეშეა წარმოდგენილი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ **რ** სახელობითი ბრუნვის ნიშანია ადიღეურ ენაში. როგორც ჩანს სახელობითი ბრუნვის ნიშნითურთ ისესხა სვანურმა (შდრ. ქართ. **ბოკვერი** და ადიღ. **ბგჾჳრ** „ხბო", შენგელია 2006:154).

საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა სვანურმა ადიღეურიდან ისესხა, თუმცა შესაძლოა სულაც საერთო ძირთან გვქონდეს საქმე.

4. სვან. (ზს.) **ქ̈ჳ̈ელ** „კარავი ანუ დროებითი ღამის სათევი (იალაღებზე, ყანასა ან ტყეში)" : აფხაზ. **ა-ქ̇ჾლა**, ბზიფ. **ა-ქ̇ჾლ** „კარავი".

5. სვან. (ბქ.) **ქჳეფ** „ბევრი", **ქჳეფდ** „ბლომად" : ადიღ. **ჭჾგფ** „ჯგუფი" : ყაბ. **ჵჾგფ** „ჯგუფი" (იხ. ა. შაგიროვი I, გვ. 117), რომელსაც პარალელები ეძებნება აფხაზურ და თურქულ ენებში.

სვანურ-ადიღეურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური სიახლოვე ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება სემანტიკურ მიმართებას, ვფიქრობთ, „ბევრისა" და „ჯგუფის" დაკავშირება შეუძლებელი არ უნდა იყოს. ამოსავალი „სიბევრის" გაგება შეიძლება იყოს.

საანალიზო სვანური ფუძე ადიღეურიდან შემოსულად მიგვაჩნია, რადგანაც აღნიშნული ფუძის ქართველური შესატყვისები ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

---

[1] აუსლაუტმოკვეცილი **ჳოღურცუ** ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის კუთვნილებაა.

6. სვან. (ზს.) **ცგრცმა** „ფაფა (ქონნარევი)“ : აფხაზ. **ა-ცჾგრცჾმა** „თაფლითა და ქონით შეზავებული ღომი“.

საანალიზო ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ადვილი დასანახია, ხოლო რაც შეეხება წარმომავლობას, ვფიქრობთ, სვანური **ცგრცმა** აფხაზურიდანაა ნასესხები.

7. სვან. (ბქ.) **ლჵკჷ** „საკეტი, ურდული (კარისა, ჰიშკრისა...) ხისგან გამოთლილი“: აფხაზ. **ა-ლჴკº** „ურდული, სანძალი“, მაგ.: **აშალჴკº ჴლარშ!** „კარს ურდული გაუყარე!“).

სვანურში თითქოს ლა- პრეფიქსი უნდა გამოყოფილიყო, რასაც ეწინააღმდეგება აფხაზური ა-**ლჴკº**, სადაც **ლ** ძირეულია. ეს კი გვავარაუდებინებს სვანური ლექსემის აფხაზურიდან სესხებას.

8. სვან. (ზს.) საკ. სახელი **გჷაშა** : ადიღ. **გჾასჾჳ/გჾაშჳ** „თავადის ქალი, კნეინა“, შდრ. სვან. **გჷაშაყან** და ასევე ადიღ. **გჾასჾნან** „თავადის ასულთა საალერსო სახელთა წოდება“.

საგულისხმოა, რომ **გჾაშჳ/გჾასჾჳ** ადიღეურსა და ყაბარდოულში, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, საკუთარ სახელად არ დასტურდება, თუმცა გვხდება კომპოზიტებში პირველ კომპონენტად (მაგ.: ადიღ. **გჾშმაფ**, ყაბ. **გჾშსგრგმჳ, გჾშჳმარჳ||გჾშაფ, გჾშჳნჳ**), ან მეორე კომპონენტად [მაგ.: ადიღ. **ბჷსგმგჾაშ, ძჷგჾაშ** (კოკოვი 1973:143, 144, 145)].

საანალიზო ლექსემის ადიღეური წარმომავლობა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მას აქვს ჩერქეზული ეტიმოლოგია და შესატყვისები ეძებნება აფხაზურ-აბაზურ ენებშიც (შაგიროვი 1977:109-110).

ადგილობრივი სახელების გვერდით, როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ენაში გვხდება უცხოური წარმოშობის ანთროპონიმები და, რაღა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ქართველური ენებია.

9. სვან. (ბქ.) **ჩილედჷ** „ცური, „ჯიქანი“ : აფხაზ. **ა-ჩგრგჷ**. მოცემული სვანურ-აფხაზური ფუძეები სემანტიკურად იგივეობრივია, ხოლო ფონეტიკურად სვან. **ი** : აფხაზ. **გ**, ასევე, სვან. **ლ** : აფხაზ. **რ**, სვან. **დ** : აფხაზ. **გ** და სვან. **ჷ** : აფხაზ. **უ** შესატყვისობა ივარაუდება.

ქართულსა და ზანურში სვანურ **ჩილედჷ** „ცური, „ჯიქანი“ ფორმას შესატყვისი არ ეძებნება, რაც გვავარაუდებინებს მის აფხაზურ წარმომავლობას.

10. სვან. (ბქ.) **ჯურჯʽჷʾმა** „კუპატი (საქონლის შიგნეულისა)“ : ადიღ. **ჯორმჳ/ჟჳრჷჳ** „ნაწლავებისგან გამზადებული ძეხვი“, შდრ. უბიხ. **ჯჳმა** „შებოლილი ძეხვი“, ყარაჩ.-ბალყ. **ჴёрmă** „ძეხვი (ნაწლავებისა)“, ნოღ. **ჲორმჲე** „გულღვიძლის ძეხვი“, ყირგიზ. **ჴёрmwă** „ძროხის მსუქანი ნაწლავები“... შესაძლოა, სვან. **ჯურჯʽჷʾმა** ფუძის გაორკეცებით იყოს მიღებული. რაც შეეხება რაჭულ დიალექტში დადასტურებულ **ჯურმა**'ს, იგი სვანურიდან უნდა იყოს შეთვისებული, რადგანაც ამჟამად ქართული ენის დიალექტთაგან **ჯურმა** დადასტურებულია მხოლოდ რაჭულ დიალექტში, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ როგორც სვანურში, ასევე რაჭულში დამოუკიდებლად იყოს შეთვისებული სხვა ენიდან. აქვე დგება ზან. (მეგრ.) **ჯურჯანი** „კუჭმაჭი“ ფორმის საკითხიც.

11. ბქ. (ბეჩ.) **ჩორფუ/ჩოლფუ** : ყარაჩ. **ჩორფა** „ქაფჩა“ (?).

ვფიქრობთ, არაქართულ ფუძესთან გვაქვს საქმე, მითუმეტეს, რომ შესატყვისი ფუძე სხვა ქართველურ ენებში არ ჩანს.

12. სვან. (ბქ.) **კურპი** „მრგვალი“ : აფხაზ. **ა-კუმპალ** „მრგვალი რამ“.

ძნელია სესხების მიმართულების გარკვევა. სემანტიკის მხრივ სვანურ-აფხაზური ფუძეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ.

13. სვან. (ბქ.) **ბგხგ** : ადიღ. **ფხგ**[1] : აბაზ. **შვხგ** „სტაფილო".

სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში ფიქსირებული **ბგხგ** „სტაფილო", როგორც ცნობილია, უცნობი ეტიმოლოგიის სიტყვაა. სვანურის დანარჩენ დიალექტებში ქართულიდან შემოსული **სტამფილო** (ბზ.), **სტაფილო** (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) „სტაფილო" გამოიყენება. ბალსზემოურ **სტამფილო**-ში **მ** ფონეტიკური ჩანართია, დანაჩენ დიალექტებში კი ფონეტიკურად უცვლელი სახითაა შემოსული.

ჩვენი აზრით, აღნიშნული **ბგხგ** ფუძე აფხაზურ-ადიღური ენებიდან უნდა იყოს ნასესხები, ხოლო თვით ადიღეურში თურქული ენებიდან ნასესხები ჩანს. ამ ენებიდან სესხების დროს ადგილი უნდა ჰქონოდა რიგ ფონეტიკურ ცვლილებებს სვანურში, კერძოდ: თავკიდური თანხმოვნის გამჟღერებას და თანხმოვანთგასაყარი **გ**'ს გაჩენას.

ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ***ბგხგ → ფხგ**, როგორც ჩანს, ამოსავალი სახეობა (მჟღერი **ბ**) შემოინახა სვანურმა.

აღნიშნული სვანური ფუძის ქართველურ ფუძეებთან დაკავშირება სცადა პროფ. მ. ჩუხუამ, რომელმაც აღადგინა საერთოქართველური ***(მ)ხალ-** „ფხალი, მიწაფხალი" არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003:75).

14. ასევე, ადიღეურიდან უნდა იყოს შეთვისებული შემდეგი სვანური ფუძეები: სვან. (ბქ.) **ყან-ჯა̈ლ** „თუნუქი", შდრ. ყაბ. **ჯა̈ნჯალ'**, ადიღ. **ჯა̈ნჯალ'** „რკინა (ფურცლოვანი), თუნუქი" < თურქ. (შაგიროვი 1077:224); სვან. (ზს., ლშხ.) **ლგ-ლ-ღენ** „დიდი ზომის ქვაბი (ჩვეულებრივ, ხარის მოსახარ-ში)", შდრ. ადიღ. **ლ'ა̈ლგუ** „სპილენძის ქვაბი" და სხვ., რომელთა ეტიმოლოგიზაცია ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება, თუმცა, შესაძლოა, პირუკუ სესხებასთანაც გვქონდეს საქმე.

15. როგორც ცნობილია, სვანური ენის დიალექტებში „გველის", „ქვეწარმავლის" აღმნიშვნელი რამდენიმე ფუძეა დადასტურებული: **მებულ||მებილ**, **ჰუიჯ||უიჯ**, **ჰერწემ**, **შიხუნდ** და ა. შ. ცნობილია ისიც, რომ რამდენიმე მათგანის ეტიმოლოგია გარკვეულია და მათ კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისები ეძებნებათ ქართველურ ენებში.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ცნება „**მებულ||მებილ**"-ს, რაც ნიშნავს „გველს", „ქვეწარმავალს", „ქვემძრომს" (ე. ი. მიწაზე მხოხავს).

ადიღეურ ენაში **ბლ'ჳ** „გველის" სახელწოდებაა, რომლის ეტიმოლოგიაც უცნობია. აფხაზურში, აბაზურსა და უბიხურში, ა. შაგიროვის ცნობით, სხვა ფუძეა წარმოდგენილი.

საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გველის აღმნიშვნელი **ბლ'ჳ** ადიღეურმა სვანურიდან ისესხა და არა პირიქით სვანურმა ადიღეურიდან.

მე-ბულ||მე-ბილ ფუძეში აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი **მე-** პრეფიქსი გამოიყოფა (შდრ. **მე-თხუძა̈რ** „მონადირე", **მე-ბგრგუელ** „მოჭიდავე", **მე-ზელა̈ლ** „მოსიარულე", **მე-ჰედ** „მომსვლელი" და ა. შ.). გვრჩება **-ბულ** ძირი, რაც სიახლოეს აჩენს ადიღეურ **ბლ'ჳ**-სთან. ამ ძირის შემცველი ფუძეები კი უხვადაა წარმოდგენილი სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში (მაგ.: **ლი-ბულ-ალ** „ძლივს სიარული, ხოხვა", **მე-ბულ-ალ** „ძლივს მოსიარულე, ძირს მხოხავი", **ლი-ბოლ-ე** „აცოცება" და ა. შ.), რასაც ვერ ვიტყვით ადიღეურზე.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანურში არაერთი ისეთი ლექსიკური ერთეული დაფიქსირდა, რომელთა ქართველური ეტიმოლოგია ვერ ხერხდება, ხოლო აფხაზურ-ადიღური ენებისათვის საერთოა, ამიტომ ზოგი მათგანი აღნიშნული ენებიდან შემოსულად მივიჩნიეთ, თუმცა პირუკუ სესხებაც არ გამოირიცხება. ცხადია, ზოგ შემთხვევაში საერთო მასალასთანაც გვაქვს საქმე.

---

[1] **ფხგ** ფუძე დასტურდება ყაბარდოულშიც (იხ. ა. შაგიროვი, III, გვ. 24).

7. ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი)

7. 1. სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით წარმოდგენილია ცალკეულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში (იხ. თოფურია 1979; სანიკიძე 1976; საღლიანი 1995; გიგლემიანი 2006; დავითიანი 2008, ჭკადუა 2013), თუმცა საკითხი საფუძვლიანად დღემდე არ არის შესწავლილი.

ერთადერთი სპეციალური გამოკვლევა, რომელიც სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის (ხმაბაძვითი და „გარეგანი სახეობის") პრობლემებს ეძღვნება, ეს არის ა. დავითიანის სამეცნიერო სტატია „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში"[1] (დავითიანი 2008:315-331).

ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ფონოსემანტიკური ლექსიკის, კერძოდ, ხმაბაძვითი და გარეგნობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების აღწერა და ამ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელების კვლევა სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტებით სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის), ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემების საფუძველზე. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება კილოკავური მონაცემებიც.

ე. წ. „ხმაბაძვითი" (ონომატოპოეტური) სიტყვები, როგორც ცნობილია, ყველა ენაში დასტურდება, „მაგრამ ენათა მიხედვით განსხვავებულია როგორც მათი ხმარების სიხშირე, ისე მათი ადგილიც ენის გრამატიკულ და ლექსიკურ სისტემაში" (ქობალავა 1979:107). ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მდიდარია „ხმაბაძვითი" ლექსიკური ერთეულებით. სწორედ მათი საშუალებით გადმოიცემა სხვადასხვა სახის ხმიანობა და, ამასთანავე, სხვადასხვა ენაში ამ ტიპის სიტყვები გამოხატავენ მოქმედებისა თუ მდგომარეობისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას (მოქმედი საგნის გარეგნობას, სულიერ განწყობილებას, ბუნების მოვლენებს და ა. შ.) (იქვე). აქედან გამომდინარე, „ხმაბაძვითი" ლექსიკის კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გარეგნობასთან, ა. დავითიანის ტერმინოლოგიით, „გარეგანი სახეობის" ლექსიკასთან დაკავშირებული საკითხებიც.

ხმაბაძვით სიტყვათა სტრუქტურა და სემანტიკა, მათი წარმოების შესაძლებლობანი ლექსიკოლოგიურ კვლევათა საინტერესო სფეროა სვანურში, ვინაიდან, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში განმარტავენ, „ფუძეთა შენების პრინციპები ნებისმიერ ენაში განსაზღვრავს არა მხოლოდ ცალკეულ ფორმათა სტრუქტურას, არამედ მთლიანად ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართების სტატუსს" (ჯორბენაძე 1980:194). სწორედ ზმნურ ფუძეთა შენებაში ვლინდება როგორც ფორმათწარმოების უძველესი ფენა, ასევე შედარებით გვიანდელ ფორმაციათა წარმონაქმნები, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ხმაბაძვით სიტყვათა სტრუქტურის ანალიზის დროს (იქვე: 214-215; არაბული 1999:6).

სვანური ხმაბაძვითი ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია **უსუფიქსოდ — მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძით, ფუძის გაორკეცებითა და აფიქსაციით.** ამჯერად ჩვენ წარმოვადგენთ რედუპლიცირებულ ფუძეთა ანალიზს, რომელიც, ს. ჟღენტის აზრით, „ქართველურ ენებში დიდ უმრავლეს შემთხვევაში ხმაბაძვითი წარმოშობისაა" (ჟღენტი 1960:169).

სანამ უშუალოდ საკითხის კვლევაზე გადავალთ, მანამდე შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ სვანური (**ხმოვნითი და თანხმოვნითი**) ბგერწერითი ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური

---

[1] აღნიშნული სტატია, 1949 წლით დათარიღებული, მიკვლეულ იქნა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების საარქივო დოკუმენტებში და დაიბეჭდა ინსტიტუტის კრებულში (იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი, 2008:315-331).

ჯგუფები, რომლებიც, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად[1], პირობითად ოთხ ძირითად სემანტიკურ ჯგუფად შეიძლება დავყოთ[2]:

1. **საკუთრივ ხმაბაძვითი ლექსიკა** (ანუ სხვადასხვა სახის ხმიანობის გამოხატვა), რომელიც თავის მხრივ შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფად დაიყოს:

ა) ხმები, რომლებიც მოქმედების თანმხლებ ხმას გამოხატავენ:

ბჷრბჷ̄ნ (ბზ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“
ბჷრთქჷ̄ნ‖ბურთქუ̄ნ (ბზ.), ბჷრთქჷნ‖ბურთქუნ (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი“
გურბუ̄ნ (ბზ., ლშხ.), გურბუნ (ბქ., ლნტ.)	„რახრახი“
თხურპუ̄ნ (ბზ., ლშხ.), თხურპუნ (ბქ., ლნტ.)	„თუხთუხი; სრუტუნი“
ჟჷრჟღჷნ (ბქ.)	„ჟღარუნი“
სჷრტჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), სჷრტჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ლაწა-ლუწი, ჭახჭახი; ქალის მჭექარე ხმა“
ტკჷრცჷნ (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...)“
ტურშუ̄ნ (ბზ.), ტურშუნ (ბქ.)	„ლაწალუწი“
ტყურსგუ̄ნ (ბზ.), ტყურსგუნ (ბქ.)	„ტკაცანი, ტკაცატკუცი“
ტყურფუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტყურფუნ (ბქ., ლნტ.)	„ტკაცანი, სროლის ხმა“
ფჷრჩხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრჩხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)“
ღჷრწკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრწკჷნ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი“
ღჷრჭჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრჭჷნ (ბქ., ლნტ.)	„ღრჭიალი“
ყჷრფჷნ (ზს.), ყურფუნ (ბქ.)	„ტკაცანი (ძვლისა)“
შყურბუნ (ბქ.)	„ბრაგუნი“
შჷრგჷნ (ჩოლ.)	„შლიგინით სიარული“
შჷრშხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), შჷრშხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)“
შჷრშჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), შჷრშჷნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი“
ჩხურმუ̄ნ (ბზ.), ჩხურმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი“
ცხურკუნ (ბქ.)	„ცხუკუნი“
ცჷრცხჷნ (ბქ.)	„დუღილი, ფუცხუნი (მაგ. მჟავეულისა)“
ძგურბუ̄ნ (ბზ.), ძგურბუნ (ბქ.)	„გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა“
ძჷრწკჷნ (ბქ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი“
ჭჷრხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრხჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭახანი, ბათქუნი, ბათქაბუთქი“
ხჷრგჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხჷრგჷნ (ბქ.), ხურგუ̄ნ (ლნტ.)	„ხრამუნი“
ხჷრგჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხჷრგჷნ (ბქ.), ხურგუ̄ნ (ლნტ.)	„ხრიგინი (ავეჯისა)“
ხჷრპჷ̄ნ (ბზ.)	„ხრამუნი“ და მისთ.

ბ) მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ზმნები:

ბურდღუნ (ზს.)	„ბურდღუნი“
ბჷრბჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“
ბ/ზჷრზჷნ (ბქ.), ზურზუნ (ლხმ.)	„ბზუილი“
თჷრტჷნ (ზს., ქს.)	„ჭიხვინი, ფრუტუნი“
თჷრყჷ̄ნ (ლშხ.), თჷრყჷნ (ბქ.)	„კისკისი“
კურკუნ (ბქ.)[3]	„კრუსუნი“
კჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), კჷრკჷნ (ბქ., ლნტ.), ქჷრკჷნ (ლნტ.)	„კისკისი“
მურღუ̄ნ (ბზ., ლშხ.), მურღუნ (ბქ., ლნტ.)	„ბუზღუნი“
ჟღჷრმჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჟღჷრმჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჟღავილი“

[1] ქართულში, როგორც ცნობილია, ოთხი ძირითადი სემანტიკური ჯგუფია გამოყოფილი (იხ. ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №3, თბილისი, 1999).

[2] ცხადია, თითოეულ ჯგუფში მეტი თვალსაჩინოებისათვის ქვეჯგუფებიც იქნება წარმოდგენილი.

[3] შდრ. ჩოლ. კურკუნ „ბავშვის სიარული“ (ლიპარტელიანი 1994:268).

ყჷრყჷნ (ლხმ.)	„ყრიამული"
ხჷრტჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხჷრტჷნ (ბქ., ლნტ.)	„ქალის გამაყრუებელი, მჭექარე ხმა"
ტჷრტყჷ̄ნ (ბზ.), ტჷრტყჷნ (ბქ.)	„ტატყანი"
ტჷრტჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ტჷრტჷნ (ბქ., ლნტ.)	„რატრატი"
ფურსდუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული"
ყჷრყჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ყჷრყჷნ (ბქ., ლნტ.)	„ყიყინი"
ცურცუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ცურცუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული"
ცქჷრტჷნ (ბქ.)	„თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"
წიწინ (ბზ.)	„წიწინი, წრიპინი"
წჷრპჷნ (ზს.)	„წიწინი, წრიპინი"
წჷრწჷნ (ბქ.)	„წრიპინი ბარტყებისა"
ჭკჷლპჷნ (ბქ.)	„კრიჭინი"
ჭკჷრპჷნ (ბქ.)	„კრაჭუნი"
ჭყურტუნ (ბქ.)	„ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"
ჭყჷრმჷნ (ბქ.)	„ჭიჭყინი"
ჭჷრქჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრქჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭიხვინი"
ჭჷრჭყჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრჭყჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭიჭყინი"
ჭჷრჭჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრჭჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭრიჭინი, ჭიკჭიკი "
ხურხუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხურხუნ (ბქ.)	„კრუტუნი (კატისა)"
ხურხუ̄ნ (ჩოლ.)	„ადამიანის სუნთქვა"
ხჷრტჷნ (ბქ.)	„ხროტინი"
ხჷრხჷნ (ბქ.)	„ხიხინი"
ჭჷრზჷნ (ბქ.)	„ყრუ ხმაურობა შინაგანად, უსიამოვნების გამოსავლენად"
ჯურჯღუნ (ბქ.)	„ჯუჯღუნი"
ჯჷრდღჷნ (ბქ.)	„ჯადღუნი, უშნო საუბარი" და სხვ.

გ) წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

დგურბუნ||ლი-დგუ̂ბუნ-ე||დგუ̂ლიბ-დგუ̂ლიბ (ბქ.)	„დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"
კურკუნ (ჩოლ.)	„წანწკარი (წყლისა)"
ღურღუნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ჩქჷრფჷნ||ლი-ჩქფჷნ-ე (ბქ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ჩხჷრფჷნ (ზს.), ლი-ჩხფუნ-ე (ბზ.), ლი-ჩხფჷნ-ე (ბქ.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"
ჩხიფ-ჩხაფ (ბქ.)	„წყლის გადასხმის ხმა"
ჩჷრჩხჷნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"
წურქუ̄ნ (ბზ.)	„წანწკარი"
წყჷრგჷნ (ბქ.)	„წანწკარი", შდრ. მეგრ. წყურგვინ
პურფუნ||ლი-პ'უ̂'ფუნ-ე (ზს.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"
პურპუნ (ბქ., ჩოლ.)	„დუღილისნაირი ჩუხჩუხი (წყლისა)"
პუ̂იფ-პუ̂იფ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ლი-დგუ̂ირბლა̈უ̂-ი (ბქ.)	„წყლის დგაფუნი"
ლი-თქრჷნ-ე (ბქ.)	„თქრიალით, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)"
ლი-სხჷლინ-ე (ბქ.)	„თქეში, ძლიერი წვიმა; თქრიალი, ღვარად დენა (წყლისა, სისხლისა)"
ლი-შხრჷნ-ე (ბქ.)	„წყლის ძლიერი დენა"
ლი-შხჷლ-ი (ბქ.)	„შხაპუნი; შხუილი (წყლისა)" და ა. შ.

2) სინათლისა და ცეცხლის ნათება-მოძრაობის აღმნიშვნელი ლექსიკა:

ლი-დღგჳ-ე (ბქ.)	„ბრდღვიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-კზ̄რ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-კგრ-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, კაშკაში; ნაირფერად ელვარება, ბზინვარება"
ლი-კზ̄ჳ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-კგჳ-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რკგნ-ე (ზს.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რსგნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-რფგნ-ე (ბზ.)	„ციმციმი (თამაში შუქისა)"
ლი-ტგლტგნ-ე (ბქ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ფარფა̄ლ-ი (ჩოლ.)	„ბრიალი, აალება (ცეცხლისა)"
ლი-ღაჳ-ღა̄ჳ-ი (ჩოლ.)	„ნაღვერდლისფრად ციმციმი"
ლი-ღჳზ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ღუზ-ე (ბქ., ლნტ.)	„გუზგუზი, ცეცხლის ალის ხმაური, გიზგიზი, ბრიალი"
ლი-ღზ̄ჳ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ღგჳ-ე (ბქ., ლნტ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ყჳარყჳა̄ც-ი (ჩოლ.)	„ხორცის ნახარშში ქონის ბუშტულების ციმციმი"
ლი-ჭკი̄ჳე̄ნ-ე (ბზ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი"
ჭკლჳგ/უნ (ბქ.)	„ციმციმი (ვარსკვლავთა)"
ლი-ჭკზ̄ჳ-ე (ბზ., ლშხ.), ლი-ჭკგჳ-ე (ბქ., ლნტ.)	„ციმციმი, სხივის (შუქის, ფერის) კრთომა, ლიფლიფი, ციალი, კიაფი, კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა"
ლი-ჭღზ̄ჳ-ე (ბზ.)	„კრიალი, ბრჭყვიალი, ბრწყინვა" და მისთ.

3) მოძრაობისა და მოქმედების ამსახველი ლექსიკა; ადგილზე მოძრაობა:

ლი-ბგრცა̈ნ-ä̈ლ (ბზ.), ლი-ბგრცან-ალ (ბქ.)	„ბანცალი"
ბგრგგნ‖ლი-ბგრგან-ალ (ბქ.)	„ბანცალი"
ლი-ბგრძგზ̄ნ-ე (ლშხ.)	„კანკალი, ცახცახი"
ლი-კგლკგნ-ე (ბქ.)	„სიცივისგან კანკალი"
ლი-რკუნ-ე (ზს., ქს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ლი-რსგნ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ლი-ტრო̄ნტ-ე (ბზ., ლშხ., ჩოლ.)	„ტორტმანი"
ლი-ფსგგნ-ე (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ლი-ფგრცხგნ-ი (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"
ფგრღზ̄ნ (ბზ.), ფგრღგნ‖ (ბქ.), ლი-ფგრღგნ-ე (ზს.)	„კანკალი, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"
ლი-ცანგუნ-ალ (ბქ.)	„ცუნცული"
ლი-ცგრღი̄ნ-ე (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ჭინდრიკ (ჩოლ.)	„ძუნძული"
ჭულჭუნ (ბქ.)	„ძუნძული"
ჭგლჭგგნ (ბქ.), ლი-ჭჭგგნ-ე (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგ-ძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)" და სხვ.

4) ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას:

ბითქ-ბათქ (ბქ.)	„ბათქაბუთქი (თოფის, დამბაჩის და მისთ. ზედიზედ სროლის ხმა"
ბიჩხ-ბაჩხ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
ბგრბგნ (ბზ.)	„ბათქუნი"
ბგრთქგნ (ზს.)	„ბათქუნი"
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგურბუნ (ბქ.)	„დუგდუგი"
დგჳიბ-დგჳაბ (ბქ.)	„დუგდუგი"

დღილ-დღალ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა“
თქჷრშჷნ (ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“
ჟიტუ-ჟატუ (ბქ.)	„ტალღის ტყლაშუნის ხმა“
რისტ-რასტ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
რიხ-რახ (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა“
ტკირ-ტკარ (ზს.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
ტკჷრჩჷ̄ნ (ბქ.)	„ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“
ტყიპ-ტყაპ (ბქ.)	„ტყაპატყუპი (ზედიზედ დარტყმის ან დაცემის ხმა, ხშირი ტყაპუნი“
ტჳ̄რიმ-ტჳ̄რამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“
ტუჳ̄ისგ-ტუჳ̄ასგ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი“
ფხიკ-ფხაკ (ბქ.)	„ფხაკუნი, ფხაკაფხუკი“
ფხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხჷრკჷნ (ბქ., ლნტ.)	„ფხაკუნი“
ფჷრცხჷნ (ზს., ქს.)	„ფაცი-ფუცი“
ღჳ̄ლიპ-ღჳ̄ლაპ (ჩოლ.)	„გაქნილი წყნელის გადაჭერ-გადმოჭერა“
ჟუჳ̄ისგ-ჟუჳ̄ასგ (ზს.)	„სროლის ხმა, ჭახანი“
შუო̄ბ-შუა̈ბ (ბზ.), შუიბ-შუაბ (ბქ.)	„ჯახაჯუხი“
ჩხიკ-ჩხაკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი“
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„სროლის ხმა, ჭახანი, ჭახაჭუხი“
პუფ-პუფ (ბქ.)	„თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)“ და ა. შ.

ცხადია, აღნიშნული ჯგუფები, ქართულის მსგავსად, ვერც სვანურში ამოწურავენ ბგერწერითი ლექსიკის ძალზე მდიდარ შესაძლებლობებს, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი რედუპლიცირებულ ფუძეთა ანალიზია და ამ ანალიზის საფუძველზე ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურული მოდელების წარმოჩენა.

მიუხედავად იმისა, რომ გაორკეცების თითოეული სახე ვრცლად არის ლ. სანიკიძის ნაშრომში — „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში“ წარმოდგენილი და გზადაგზა ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებზეც არის მსჯელობა, ვფიქრობთ, საკითხი მაინც შემდგომ გაღრმავებულ კვლევას საჭიროებს.

სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში გამოკვეთილ ბგერწერით ყალიბებს ქმნიან ი / უ / ჷ ხმოვნები. ფონოსემანტიკურ ექსპრესიულ ფუძეში შეიძლება იყოს ან ერთი (მაგ.: სჷ̄ლ „სისინი“, შჷ̄ლ „შიშინი“, სტჷ̄ლ „გამაყრუებელი ხმაური“, ბლჷ̄ლ „ბღავილი“ და ა. შ.), ან ორი ხმოვანი (მაგ.: კჷრკჷნ „კისკისი“, ტჷრტჷნ „რატრატი, ლაქლაქი, ყბედობა“, ფჷრფჷნ „რატრატი, ჩიფჩიფი“ და სხვ.). ერთზე მეტხმოვნიანი ძირები, უმეტეს შემთხვევაში, რედუპლიკაციით არის მიღებული.

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა[1]:

1. უ ~ ჷ

თხურბუნ	„თხუპუნი“	თხჷრპჷნ	„თხუპუნი“
ღურღუნ[2] (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“	ღჷრღჷნ (ბქ.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“
ყურყუნ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი“	ყჷრყჷნ (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი“
შკურფუნ (ბქ.)	„ხმაური, კაკუნი“	შკჷრფჷნ (ბქ.)	„ხმაური, კაკუნი“
ჩხურმჳ̄ნ (ბზ.), ჩხურმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა“	ჩხჷრმჷ̄ნ (ბზ.), ჩხჷრმჷნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა“

[1] დაწვრილებითი ანალიზი იხ. ქვემოთ!
[2] შდრ. ჩოლ. ღურღუნ „ჩუხჩუხი (წყლისა)“.

ჩხურფუნ (ზს.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"	ჩხჷრფჷნ (ზს.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ცურცხუნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი"	ცჷრცხჷნ (ჩოლ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი"
ჰურჰყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი"	ჰჷრჰყჷ̄ნ (ბზ.), ჰჷრჰყჷნ (ბქ.)	„ჰიჰყინი" ...

2. ი̣ ~ უ ~ ჷ

დგუ̂იბ-'დგუ̂აბ' (ბქ.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"	დგურბუნ (ბქ.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"		
ტუ̂რიმ-'ტუ̂რამ' (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"	ტურმუნ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"		
ღრიჰ-'ღრაჰ' (ზს., ქს.)	„ღრჰიალი"	ღურჰუნ (ბქ.)	„ღრჰიალი (თმისა)"	ღჷრჰჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრჰჷნ (ბქ., ლნტ.)	„ღრჰიალი"
შკუ̂იფ-'შკუ̂აფ' (ბქ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა"	შკურფუნ (ბქ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა"	შკჷრფჷნ	„ჯოხის დარტყმის ხმა"
ჩხიკ-'ჩხაკ' (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი"			ჩხჷრკჷნ	„ჩხაკაჩხუკი"
წუიგ-'წუაგ' (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი"			წუჷრგჷნ (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი"
ხუ̂რიმ-'ხუ̂რამ' (ბქ.)	„ხრამუნი"	ხურმუნ (ბქ.)	„ხრამუნი" ...		

ზოგიერთი ფორმის (მაგ.: **თხურპუნ** (ბქ.) „თხუპუნი", **ღურჰუნ** (ბქ.) „ღრჰიალი (თმისა)", **შკურფუნ** (ბქ.) „ჯოხის დარტყმის ხმა" და ა. შ.) გაორკეცებულ ფუძედ მიჩნევა შესაძლოა საეჭვოც იყოს, ვინაიდან სიტყვაწარმოების დონეზე ისინი ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სონორ თანხმოვანთა მონაცვლეობა აღნიშნულ ფუძეებში მათ გაორკეცებულ ფუძეებად მიჩნევას ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს.

ჩვენი დაკვირვებით, ბგერწერითად გამოყენებული **უ ~ ჷ** დაპირისპირება სვანურში ხმაბაძვის შემთხვევაში გამოხატავს მაღალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება **ი ~ უ ~ ჷ** დაპირისპირებას, აქ **ი** ხმოვანი **უ** და **ჷ** ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ /**ი**/ ხმოვნის მეშვეობით სიპატარავის, სიმცირის გამოხატვაზე (ე. სეპირი, ო. იესპერსენი, რ. იაკობსონი...), რასაც, ვფიქრობთ, სვანურ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს.

ვინაიდან ბგერწერითი ყალიბები ყველაზე უფრო გამოკვეთილად რედუპლიცირებულ ფუძეებში ვლინდება, აქედან გამომდინარე შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ რედუპლიკაციის ყველა სახე სვანურში, სადაც წარმოდგენილი იქნება ხმაბაძვითი და გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები.

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში გამოვლინდა რედუპლიკაციის რამდენიმე სახე:

1. **ხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე** (ანუ მარტივი გაორკეცება)
2. **ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე**
3. **თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე**
4. **თანხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე**

მარტივი (ფუძეუცვლელი) გაორკეცება, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი საშუალებაა წარმოქმნისა. იგი ფართოდ არის გავრცელებული ხმაბაძვით ზმნებში და ამოსავალ ფუძეთა ბგერითი შედგენილობა სხვადასხვაგვარია. აქვე შევნიშნავთ, რომ ხმაბაძვითი სიტყვებისათვის უცხოა

ბრუნვისფორმიანი, კავშირებიანი და ა. შ. ფუძის გაორკეცება. რაც შეეხება მარტივი ფუძის განმეორებას, იგი გამოხატავს როგორც მრავლობითობას, ინტენსივობა-მრავალგზისობას, ასევე გვევლინება წარმოქმნის ფუნქციითაც (სანიკიძე 1976:9-40).

უპირველეს ყოვლისა, განვიხილავთ ხმოვანუცვლელი და ხმოვანცვლილი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურულ ყალიბებს.

1. ხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე:

ა) **C V C - C V C** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1V_1C_2 - C_1V_2C_2$, სადაც $C_1 = C_1$, $C_2 \neq C_2$, $V_1 = V_2$

აღნიშნულ ფონემატურ სტრუქტურაში **C** შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი, თუმცა რედუპლიცირებული ფუძის ორივე ნაწილის ბოლოკიდური თანხმოვანი თითქმის ყოველთვის სონორია. ხმოვანი კი ძირითადად უ და ჷ ხმოვნებითაა წარმოდგენილი.

უ ~ უ		ჷ ~ ჷ	
Ø		ბჷრბჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"
ზურზუნ (ლნტ.)	„ზუზუნი"	ზჷრზჷნ (ბქ.)	„ზუზუნი; ბუზღუნი"
კურკუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურკუნ (ბქ., ლნტ.)	„კრუსუნი", შდრ. ქართ. კურკური	კჷრკჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„კისკისი"
Ø		ჟჷრჟღჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჟჷრჟღჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჟღარუნი"
		ტჷრტჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ტჷრტჷნ (ბქ., ლნტ.)	„რატრატი"
ღურღუნ (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"	ღჷრღჷნ (ბქ.)	„ბოხი ხმით საუბარი"
ღურღუნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"	Ø	
ყურყუნ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი"	ყჷრყჷნ (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი"
ჩურჩუნ (ბქ.)	„ჩურჩული"	ჩჷრჩჷნ (ბქ.)	„პატარა ბავშვის საუბარი"
ცურცუნ (ბქ.)	„ჩურჩული"	Ø	
		წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"...

ბ) **C V C C C V C** ტიპის რედუპლიკაცია, რომელიც გართულებულია ფუძეში თანხმოვანთა თავმოყრით[1], თუმცა **V** აქაც უ ~ უ და ჷ ~ ჷ ხმოვნებითაა წარმოდგენილი.

უ ~ უ		ჷ ~ ჷ	
ფურსდუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბქ., ლნტ.), ფურსტუნ (ბქ.)	„ჩურჩული"		
		ფჷრჩხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრჩხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"
ქუნქრუზ (ჩოლ.)	„პირფერობა, ლაქუცი"		
		ღჷლწკჷნ (ბზ.)	„ღრაჭუნი"
		ჩჷრჩხჷნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"

[1] აქ წარმოდგენილი **C V C C C V C** ტიპის რედუპლიკაცია დაწვრილებით იქნება განხილული თანხმოვანთმონაცვლე რედუპლიცირებული ფუძეების განხილვისას.

ცურცხუნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"	ცჷრცხჷნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"
წურწკუ̄ნ (უშგ.), წურწკუნ (ბქ., ქს.)	„წკმუტუნი; წუწუნი"	წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"
ჭურჭყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი"	ჭჷრჭყჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრჭყჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ხმაური, ყრიამული, ჭიჭყინი"
		ხჷრგჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხჷრგჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ხრიგინი" და ა. შ.

გ) **C C V C C V C** ტიპის რედუპლიკაცია, რომელიც წარმოდგენილია ანლაუტში ჰარმონიული კომპლექსით და უ ~ უ და გ ~ გ ხმოვნებით.

უ ~ უ		გ ~ გ	
თხურპუ̄ნ (ბზ., ლშხ.), თხურპუნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„თუხთუხი; სრუტუნი"	თხჷრპჷნ (ბქ.)	„თუხთუხი; სრუტუნი"
		თხჷრშჷნ (ბქ.)	„თხლაშანი"
ფხურკუნ (ჩოლ.)		ფხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხჷრკჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ფხაკუნი"
		ფხჷრჭჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხჷრჭჷნ (ბქ., ლნტ.)	„ფხაჭუნი (თავისა...)"
შკურფუნ (ბქ., ჩოლ.)	„ხმაური, კაკუნი"	შკჷრფჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ხმაური, კაკუნი"
ჩხურმუ̄ნ (ბზ.), ჩხურმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"		
ჩხურტუნ (ბქ.)	„ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში"		
		ჩხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჩხჷრკჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჩხაკაჩხუკი"
		ჩხჷრმჷ̄ნ (ბზ.), ჩხჷრმჷნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"
ცხურკუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ცხურკუნ (ბქ., ლნტ.)	„რაიმეს შეწვის ხმა"		
		ცხჷრპჷნ (ბქ.)	„წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)"
ძგურბუნ (ბქ.), ძგურბუ̄ნ (ჩოლ.)	„გლეჯა"		
		წკჷლპჷნ (ბქ.)	„წკლაპუნი"
		ჭყჷრმჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭყჷრმჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭიჭყინი"...

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ მოდელებში (ა, ბ, გ) წარმოდგენილი ფუძეები სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე, ფ. ერთელიშვილი, რ. ჭკადუა...) რედუპლიცირებულ ფორმებადაა მიჩნეული, ბევრი მათგანის რედუპლიცირებულ ფორმებად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურიდან გამომდინარე თითქოს საეჭვოა, თუმცა აღნიშნული ფუძეების რეკონსტრუირება და შესაბამისად ამოსავალი მარტივი ძირების ჩვენება ამ ეჭვს შეძლებისდაგვარად აქარწყლებს.[1]

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით იხ. ქვემოთ!

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, ბოლოკიდური თანხმოვანი თითქმის ყველგან სონორია, რასაც ვერ ვიტყვით ქვემოთ მოცემულ რედუპლიკაციის რამდენიმე ტიპზე, სადაც ბოლოკიდური თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი.

დ) **CVC-CVC, CCVC-CCVC** და **CCCVC-CCCVC** (იშვიათად **CCCVC ⌜C⌝-CCCV C ⌜C⌝**) ტიპის რედუპლიკაცია, რომელშიც უცვლელი ხმოვანი (ი ~ ი, უ ~ უ და ჷ̄ ~ ჷ̄) რიტმულ გამეორებას გადმოსცემს. გაორკეცებული ფუძეების ორივე სეგმენტი იდენტურია, შეერთება კი უკავშირო.

1. **CVC-CVC** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1V_1C_2$-$C_1V_2C_2$, სადაც **$C_1 = C_1$, $V_1 = V_2$, $C_2 = C_2$**

ი ~ ი		უ ~ უ - უ̄ ~ უ̄	
ბიგ-ბიგ (ჩოლ.)	„დიდი კაცის უგნური სიარული“	Ø	
ბიტ-ბიტ (ჩოლ.)	„ბრუციანის მოღრეცილი სიარული“	Ø	
Ø		გულ-გულ (ბქ.)	„ყმუილი“
ზიპ-ზიპ (ბქ.)	„მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“	Ø	
კილ-კილ (ზს., ქს.)	„კივილი“	Ø	
კიტ-კიტ (ჩოლ.)	„უაზროდ სიარული“	Ø	
ლიფ-ლიფ (ჩოლ.)	„ალის ხმა“	Ø	
პიტ-პიტ (ლშხ., ჩოლ.)	„ქალის ან გოგოს ცანცარული სიარული; რატრატი“	Ø	
პიუ̄-პიუ̄ (ლშხ., ჩოლ.)	„უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი“	Ø	
Ø		ჟულ-ჟულ (ბქ.)	„მანქანის ადგილიდან უცებ დაძვრის და გაქანების ხმა“
რიტ-რიტ (ჩოლ.)	„ბრიყვული სიარული“	Ø	
რიყ-რიყ (ჩოლ.)	„თავის კანტური სიარულისას“	Ø	
ტიუ̄-ტიუ̄ (ლშხ.)	„მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“		
Ø		ტულ-ტულ (ბქ.)	„დაძახება, ყვირილი“
ფიგ-ფიგ (ლშხ., ჩოლ.)	„სუსტი, გამხდარი ადამიანის სიარული“	Ø	
Ø		ღულ-ღულ (ბქ.)	„მანქანის ხმა“
ყიტ-ყიტ (ჩოლ.)	„სითხით არასავსე ურჭლის შენჯღრევით გამოწვეული ხმა“	Ø	
ყლიპ-ყლიპ (ჩოლ.)	„ფართო ნაბიჯებით სწრაფი სიარული დოყლაპია კაცისა“	Ø	
Ø		ყულ-ყულ (ბქ., ქს., ჩოლ.), ყუ̄ლ-ყუ̄ლ (ბზ.)	„გაბმული ყვირილი“

Ø		ყუტ-ყუტ (ლშხ.)[1]	„ბაასი“
Ø		ყუპ-ყუ̄პ (ჩოლ.)	„სიხარულისგან ჩუმი სიცილი“
Ø		ყუჯ-ყუჯ (ჩოლ.)	„დიდთავა ადამიანის სიარული, ჩუმჩუმად მოქმედება“
შიკ-შიკ (ჩოლ.)	„ბლუკუნი“	Ø	
		შუ̄ლ-შუ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შულ-შულ (ბქ., ლნტ.)	„ფშვინვა“
ციგ-ციგ (ბქ.)	„ფეხის წვერების დარტყმით ჩქარი სიარული“	Ø	
ჭიუ̄-ჭიუ̄ (ჩოლ.)	„ჩიტებისა და ბავშვების ხმაური“	Ø	
ჭიხ-ჭიხ (ბქ.)	„ჭახ-ჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა“	Ø	
		ჭუ̄ლ-ჭუ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭულ-ჭულ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„წუილი (ქარისა)“
Ø		ხულ-ხულ (ბქ.)	„ხვრეპა (სითხისა)“
Ø		პუღ-პუღ (ბქ., ჩოლ.)	„თანმიმდევრული ხმა (მაგ., ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის მოწოლით დენისა)“
ჯიგ-ჯიგ (ჩოლ.)	„ცუდი ცხენის სიარული“	Ø	
ჯიყ-ჯიყ (ლშხ., ჩოლ.)	„ჯლოყინი, ბრიყვული სიცილი“...	Ø	

2. **C V C C - C V C C** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 V_1 C_2 C_3 - C_1 V_2 C_2 C_3$, სადაც $C_1 = C_1$, $V_1 = V_2$, $C_2 = C_2$, $C_3 = C_3$

ი ~ ი		უ ~ უ	
ბიგუ̄-ბიგუ̄ (ჩოლ.)	„დარტყმის ხმა რბილ საგანზე, ბაგუნი, ხის იარაღის რტყმევა რაიმე საგანზე“	ბუგუ̄-ბუგუ̄ (ჩოლ.)	„დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“
ბიდღ-ბიდღ (ბქ.)	„ბურდღუნი“	Ø	
ზიტყ-ბიტყ (ბქ.)	„გაბუტუდლი ქალის, ბავშვის სხეულის მოძრაობით სწრაფი სვლა“	Ø	
ჟიტყ-ჟიტყ (ბქ.)	„წყლის ტყლაშუნის ხმა (სათლში, ქვაბში...)“	Ø	
რისტ-რისტ (ბქ.)	„გალაწუნების ხმა“	Ø	
შითქ-შითქ (ბქ.)	„უხეშად, გაბრაზებუალდ გამოგვის ხმა; სიარული“	Ø	

[1] შდრ. ლშხ. ლი-ყუტ-ყუტ-ი „ბაასი“

ძიწკ-ძიწკ (ბქ.)	„რაიმეს გაზზარვის ხმა"	Ø	
პიტყ-პიტყ (ბქ.)	„თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა"	Ø	
ხიპკ-ხიპკ (ბქ.)	„რაიმეს კვნეტის ხმა"	Ø	
		ხუკჷ-ხუკჷ (ბქ.)	„რაიმეს კვნეტის, ჭამის ხმა"
ჭიპკ-ჭიპკ (ბქ.)	„ძლიერი დარტყმის ხმა"...	Ø	

3. C C V C - C C V C ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 C_2 V_1 C_3$ - $C_1 C_2 V_2 C_3$, სადაც $C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, $V_1 = V_2$, $C_3 = C_3$

ი ~ ი		უ ~ უ	
		ბღულ-ბღულ (ბქ.)	„ბღუილი"
გლიჯ-გლიჯ (ზს., ქს.)	„უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა"	Ø	
Ø		დღულ-დღულ (ბქ.)	„წველის დროს გამოცემული რძის მონოტონური ხმა"
კლიპ-კლიპ (ბქ.)	„კბენა"	Ø	
ჟჷიფ-ჟჷიფ (ბქ.)	„მუშტის სახეში ჩარტყმის ხმა"	Ø	
ჟღიბ-ჟღიბ (ბქ.)	„მუშტის სახეში ჩარტყმის ხმა"	Ø	
Ø		სტულ-სტულ (ბქ.)	„გამაყრუებელი ხმა"
ხყიფ-ხყიფ (ჩოლ.)	„ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების ხრჭიალით"	Ø	
ქლიფ-ქლიფ (ჩოლ.)	„დამშეულის აჩქარება საჭმლის მზადების დროს"	Ø	
ყლიფ-ყლიფ (ბქ.)	„ძვლის და მისთ. გატეხვის ხმა"	Ø	
შხიპ-შხიპ (ბქ.)	„გაწკეპლვის ხმა"	Ø	
ჩხōჷ-ჩხōჷ (ჩოლ.)	„ძროხის მოშარდვის ხმა"	Ø	
Ø		ჩხჷრ-ჩხჷრ (ჩოლ.), ჩხურ-ჩხურ (ბქ.)	„პირუტყვის შარდვის ხმა"
Ø		ცხულ-ცხულ (ბქ.)	„ცეცხლის წაკიდების ხმა; შეტრუსვა"
Ø		წკულ-წკულ (ბქ.)	„წკმუილი"
Ø		წრუფ-წრუფ (ჩოლ.)	„გოჭების მიერ ძუძუს წოვაზე იტყვიან"
Ø		ხრუკ'ჷ'-ხრუკ'ჷ' (ჩოლ.)	„შაქრის ჭამა ბავშვის მიერ"
პლიფ-პლიფ (ბქ.)	„უხეშად კბეჩის ხმა"...	Ø	

4. C C C V C ʿCʾ - C C C V C ʿCʾ ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 C_2 C_3 V_1 C_4$ - $C_1 C_2 C_3 V_1 C_4$, სადაც $C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, $C_3 = C_3$, $V_1 = V_2$, $C_4 = C_4$

ი ~ ი	
სტჷიფ-სტჷიფ (ზს.)	„მსუბუქად გარტყმის ხმა"
ტკჷირ-ტკჷირ (ჩოლ.)	„ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას"
ტჷრიმ-ტჷრიმ (ბქ.)	„მტვრევის ხმა"
ქჷლიზ-ქჷლიზ (ბქ.), ქჷიზ-ქჷიზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი"
ჩხჷიფ-ჩხჷიფ (ბქ.)	„დარტყმის ან მტვრევის ხმა"
წკჷიბ-წკჷიბ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა"

ჭკუ̈იპ-ჭკუ̈იპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“
ხუ̈რიგ-ხუ̈რიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“
ხუ̈რიკ'უ̈'-ხუ̈რიკ'უ̈' (ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა ბავშვის მიერ“
ხუ̈რიმ-ხუ̈რიმ (ბქ.)	„ხრამუნი“
ხუ̈რიპ-ხუ̈რიპ (ზს.)	„ხვრეპა“
ხუ̈რიჭ-ხუ̈რიჭ (ბქ.)	„თაგვის ხმა, რომელიც რაღაცას ხრავს“
ჯგუ̈იბ-ჯგუ̈იბ (ბქ.)	„მუჯლუგუნის გარტყმის ხმა“...

უკავშირო ფუძეუცვლელი კომპოზიტები, სადაც არ გვაქვს უაზრო მარცვალთა გაორკეცება[1]:

5. **C V C - C V C** და 6. **C C V C - C C V C** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 V_1 C_2 - C_1 V_2 C_2$, სადაც $C_1 = C_1$, $V_1 = V_2$, $C_2 = C_2$

$C_1 C_2 V_1 C_3 - C_1 C_2 V_2 C_3$, სადაც $C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, $V_1 = V_2$, $C_3 = C_3$

გ ~ გ/გ̄ ~ გ̄		გ ~ გ/გ̄ ~ გ̄	
		ბღგლ-ბღგლ (ბქ.)	„ბღავილი“
ბგკ-ბგკ (ჩოლ.)	„ბლუყუნით საუბარი“		
ბგლ-ბგლ (ბქ.)	„ხეთქვის ხმა“		
ბგც-ბგც (ლხმ.)	„ჩიფჩიფი“		
		დღგლ-დღგლ (ბქ.)	„მუშტის ჩარტყმის ხმა“
ზგლ-ზგლ (ჩოლ.)	„დასაშინებლად მამაკაცის მიერ ხმის გალება“		
		ჟღგლ-ჟღგლ (ბქ.)	„ტირილი, ბღავილი“
ჟგლ-ჟგლ (ბქ.)	„ბზუილი; ხმა ყურში“		
სგლ-სგლ (ბქ.)	„სისინი“		
ღგლ-ღგლ (ბქ.)	„მისუსტებული ხმით ხრიალი“		
		შხგლ-შხგლ (ბქ.)	„წყლის ხმაური; შხრიალი“
შგლ-შგლ (ბქ.)	„შრიალი; ხმა ყურში“		
		ჩხგლ-ჩხგლ (ზს., ქს.)	„ჭურჭლის მტვრევის ხმა; წყლის დაღვრის ხმა“
		ძგ̄ლ-ძგ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ძგლ-ძგლ (ბქ., ლნტ.)	„ძლიერი სროლის ხმა“
		წკგლ-წკგლ (ბქ.)	„წკრიალი“
წგლ-წგლ (ბქ.)	„წუილი“		
		ჭყგლ-ჭყგლ (ბქ.)	„ყვირილი“...
ხგლ-ხგლ (ბქ.)	„ხეების წაქცევის ხმა“...		

6. **C V C - C V C** ტიპის რედუპლიკაცია (სხვადასხვა მარტივი ძირებისაგან შედგენილი)

$C_1 V_1 C_2 - C_1 V_2 C_2$, სადაც $C_1 \neq C_1$, $V_1 = V_2$, $C_2 = C_2$

გ ~ გ/გ̄ ~ გ̄	
ჟგლ-ბგლ (ბქ., ჩოლ.)	„დიდი ხმაური“
სგლ-ბგლ (ბქ.)	„სისინი (ქარისა)“
შგ̄ლ-ბგ̄ლ (ბზ., ლშხ.), შგლ-ბგლ (ბქ., ლნტ.)	„დიდი ხმაურით რამის გაკეთება, გაბმული ხმაური, შრიალი“
ხგ̄ლ-ბგ̄ლ (ლშხ.), ხგლ-ბგლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„დიდი ხმაური“...[2]

---

[1] ამოსავალი მარტივი ფუძეები ცნობილია (შდრ.: ბგკ||ბგკ „ენაბლუ“, ბგლ „ხეთქვის, ფხრეწის ხმა“, დღგლ „მუშტის ჩარტყმის ძლიერი ხმა“, სგლ „სისინი“, შგლ „შრიალი“ და სხვ.

[2] იშვიათად ბალსქვემოურში ჟღგლ-ბღგლ (ბქ.) „ბღავილი“ და ხხგლ-შხგლ (ბქ.) „თავსხმა წვიმის ხმა; წყლის ხმაური; თქრიალი“ ტიპის რედუპლიცირებული ფორმებიც გვხვდება.

სვანურში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორ-ორი ხმოვნის შემცველი რთული შედგენილობის რედუპლიცირებული ფუძეებიც:

ე) **C V C C V C - C V C C V C** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 V_1 C_2 C_3 V_2 C_4 - C_1 V_3 C_2 C_3 V_4 C_4$ სტრუქტურის ფუძეში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, C_4 = C_4$, V_1 და $V_2 = V_3$ და V_4

$C_1 V_1 C_2 V_2 C_3 - C_1 V_3 C_2 V_4 C_3$ სტრუქტურის ფუძეში $C_1 \neq C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3$, V_1 და $V_2 = V_3 V_4$

ვ) **C V C C -V - C V C C -V** ტიპის რედუპლიკაცია (< * **C V C C -VC - C V C C -VC**)

$C_1 V_1 C_2 C_3 V_2 - C_1 V_3 C_2 C_3 V_4$ სტრუქტურის ფუძეში $C_1 \neq C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3$, V_1 და $V_2 = V_3 V_4$

ჷ/ჷ̄ ~ ჷ/ჷ̄		ჷ/ჷ̄ ~ ჷ/ჷ̄ — ჷ/ჷ̄ ~ ჷ/ჷ̄	
ბჷრტჷნ-ბჷრტჷნ (ჩოლ.)	„ტორტმან-ტორტმანით სიარული“		
ჟჷრგჷნ-ფჷრგ'ნ (ბქ., ჩოლ.)	„უაზრო, ბრიყვული ქცევა და ლაპარაკი“		
ქჷრგჷნ-ფჷკჷნ (ჩოლ.)	„გაწბილება, ლიქინი“		
ცჷგჷ̄ლ-ბჷგჷ̄ლ (ჩოლ.)	„მიდებ-მოდება, უსაფუძვლო საუბარი“...		
		ხჷლდჷ-ბჷლდჷ (ჩოლ.)	„დანგრევა ბავშვის ენაზე“
		ხჷრტჷ-პჷრტჷ (ჩოლ.)	„უაზროდ აჩქარებული, უაზროდ მოქმედი“, შდრ. ბქ. ხჷრტჷ-პჷრტჷ „ნაყარნუყარი ნივთები, წვრილმანები“ ...

შენიშვნა: სვანურში დადასტურდა **C V C C V - C V C C V** ტიპის (ანუ **ხჷლდჷ-ბჷლდჷ** „დანგრევა ბავშვის ენაზე“, **ხჷრტჷ-პჷრტჷ** „უაზროდ აჩქარებული, უაზროდ მოქმედი“, შდრ. ბქ. **ხჷრტჷ-პჷრტჷ** „ნაყარნუყარი ნივთები, წვრილმანები“ ტიპის) თითოოროლა რედუპლიცირებული ფუძე, რომელთა სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: **ხჷლდ-ჷ-ბჷლდ-ჷ**, **ხჷრტ-ჷ-პჷრტ-ჷ**. საანალიზო რედუპლიცირებული ფუძეების ინლაუტსა და აუსლაუტში გამოვლენილი -ჷ- ხმოვანი, ჩვენი აზრით, -ჷნ- სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (შდრ., ერთი მხრივ, **ჟჷრგჷნ-ფჷრგ'ნ** (ბქ., ჩოლ.) „უაზრო, ბრიყვული ქცევა და ლაპარაკი“, **ქჷრგჷნ-ფჷკჷნ** „გაწბილება, ლიქინი“ და ა. შ., მეორე მხრივ კი, ***ხჷლდჷნ-ბჷლდჷნ**, ***ხჷრტჷნ-პჷრტჷნ**) და მას მაერთ ხმოვნად ვერ მივიჩნევთ.

ზ) ქვემოსვანურ დიალექტებში დადასტურდა ა ~ ა და ო ~ ო ხმოვნის შემცველი **C V C - C V C** ტიპის რედუპლიცირებული ფორმებიც:

ა/ა̄ ~ /ა̈		ო ~ ო	
		ლი-ბორ-ბოტ-ი (ჩოლ.)	„დაბნეულობა“
ლი-დარ-და̄ლ-ი (ჩოლ.)	„დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი“		
		ლი-დორ-დოლ-ი (ჩოლ.)	„შედედება“
ლი-კა̄ნ-კარ-ა̄ლ (ჩოლ.)	„გამხდარი დედაკაცის საქმიანობა კანკალით“		
ლი-ლაპ-ლაპ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„ყბედობა“	ლი-როხ-როხ-ი (ჩოლ.)	„ღორის ხმაურობა, ჭყივილი“
ლი-მარ-მა̄ლ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„კრიალი, ლაპლაპი“		
ლი-მატ-მა̄ტ-ი (ჩოლ.)	„გამხდარი, ფეხმიშველი ხნიერი ქალის ლაპარაკი, სიარული“		

ლი-ფან-ფა̄ლ-ი (ჩოლ.)	„კანკალი, ფამფალი“		
ლი-ფა̄ლ-ფა̄ლ-ი (ჩოლ.)	„ალზე გავლება, ოდნავ შეტრუსვა“		
ლი-ქაჳ-ქა̄ჳ-ი (ჩოლ.)	„ქალის ქაქანი“		
ლი-ღად-ღა̄დ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„ხმამაღლა ბევრი საუბარი; ღაღადება“		
ლი-დაჳ-დაჳ-ი (ჩოლ.)	„ცუდად მეტყველება“		
ლი-ყარ-ყა̄ლ-ი (ჩოლ.)	„ზარმაცი და ოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა“		
ლი-ყჳარ-ყჳა̄ც-ი (ჩოლ.)	„ბრწყინვა“		
		ლი-შოქ-შო̄ქ-ი (ჩოლ.)	„დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“
		ლი-ჩორ-ჩოტ-ი (ჩოლ.)	„წამოჩიტება“ ...
ლი-ხჳარ-ხჳაც-ი (ლნტ.)	„დუღილი (ძლიერი)“ ...		

ქვემოსვანურში იშვიათად, ასევე, შეიძლება შეგვხვდეს **ა** და **ო** ხმოვნის შემცველი მარტივი ფუძეების გაორკეცების შემთხვევები მასდარის მაწარმოებელი აფიქსების გარეშეც (ანუ შიშველი ფუძეების გაორკეცებით), მაგ.: **ჰაფ-ჰაფ** (ჩოლ.) „ზედმეტი ყეფა; ჩუხჩუხი (წყლისა)“, **ყჳარ-ყჳაც** (ჩოლ.) „ბრწყინვა“, **ხჳარ-ხჳაც** (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)“; **როხ-როხ** (ლშხ., ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჰყივილი“, **ბორ-ბოტ** (ჩოლ.) „დაბნეულობა“ და ა. შ.

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში **ე** ხმოვნის გარდა თითქმის ყველა ხმოვანი (**ა**, **ი**, **ო**, **უ**, **ჷ**) ორმაგდება:

ა-ხმოვნიანი: ლი-ლაპ-ლაპ-ი (ლშხ., ჩოლ.) „ყბედობა“, ლი-ფან-ფა̄ლ-ი (ჩოლ.) „კანკალი, ფამფალი“, ლი-ყჳარ-ყჳა̄ც-ი (ჩოლ.) „ბრწყინვა“, ლი-**ხჳარ-ხჳაც**-ი (ლნტ.) „დუღილი (ძლიერი)“...

ი-ხმოვნიანი: **ბიტ-ბიტ** (ჩოლ.) „ბრუციანის აცა-ბაცა, მოღრეცილი სიარული“, **გლიჯ-გლიჯ** (ზს., ქს.) „უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა“, **ზიპ-ზიპ** (ბქ.) „მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“, **ხჳრიგ-ხჳრიგ** (ბქ., ჩოლ.) „შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“ ...

ო-ხმოვნიანი: ლი-**როხ-როხ-ი** (ჩოლ.) „ღორის ხმაურობა, ჰყივილი“, ლი-შოქ-შო̄ქ-ი (ჩოლ.) „დედაკაცის ბევრი და ხმამაღალი ლაპარაკი“ ...

უ-ხმოვნიანი: **ბუგჳ-ბუგჳ** (ჩოლ.) „დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“, **შჳლ-შჳლ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შულ-შულ** (ბქ., ლნტ.) „ფშვინვა“, **პჳლ-პჳლ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **პულ-პულ** (ბქ., ლნტ.) „წუილი (ქარისა)“, **ზურზუნ** (ლნტ.) „ზუზუნი“, **კურკჳნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **კურკუნ** (ბქ., ლნტ.) „კრუსუნი“, **ცურცუნ** (ბქ.) „ჩურჩული“ ...

ჷ-ხმოვნიანი: **ბჷრბჷნ** (ბქ., ჩოლ.) „ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“, **ზჷრზჷნ** (ბქ.) „ზუზუნი; ბუზღუნი“, **თღრტჷ̄ნ** (ბზ.) **თღრტჷნ** (ბქ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი“, **კჷლპჷნ‖კჷრპჷნ** (ბქ.) „წკლაპუნი“, **ბჷც-ბჷც** (ლხმ.) „ჩიფჩიფი“, **ყუტ-ყუტ** (ლშხ.) „ბაასი“, **შჷლ-შჷლ** „გაბმული შრიალი“ ...

ე ხმოვნის გაორმაგების შემთხვევები არ შეგვხვედრია, იშვიათობაა ქართულშიც, თუმცა, როგორც ფ. ერთელიშვილი ვარაუდობდა, რედუპლიცირებული ფუძეები **ე** გახმოვანებით ქართულში უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ერთელიშვილი 1970:182), შესაბამისად მისი გავრცელებულობა შეიძლება დავუშვათ სვანურშიც.

2. ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე:

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (**ი** ~ **ა**, **ი** ~ **უ** - **ი** ~ **უ**, **ა** ~ **უ**, **ა** ~ **ი**, **ი** ~ **უ**, **ი** ~ **ჷ**, **ჷ** ~ **ო̄**) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამო-

ვლინდა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ი ~ ა ხმოვანმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები.

ა) $C_1V_1C_2 - C_1V_2C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 \neq V_2, C_2 = C_2$

$C_1V_1C_2C_3 - C_1V_2C_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 \neq V_2, C_2 = C_2, C_3 = C_3$

$C_1C_2V_1C_3 - C_1C_2V_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 \neq V_2, C_3 = C_3$

$C_1C_2V_1C_3C_4 - C_1C_2V_2C_3C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 \neq V_2, C_3 = C_3, C_4 = C_4$

$C_1C_2C_3V_1C_4 - C_1C_2C_3V_2C_2C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2, C_4 = C_4$

$C_1C_2C_3C_4V_1C_5 - C_1C_2C_3C_4V_2C_5$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, C_4 = C_4, V_1 \neq V_2, C_5 = C_5$

ა) ი ~ ა[1]	
ბიგუ-ბაგუ (ჩოლ.)	„ბაგუნი, რბილად მირტყმა-მორტყმა"
ბითქ-ბათქ (ზს.)	„ბათქაბუთქი"
ბიტყ-ბატყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
ბიყუ-ბაყუ (ჩოლ.)	„რბილ რაიმეზე დარტყმის ყრუ ხმა"
ბიუ-ბა̈უ (ბზ.), ბიუ-ბაუ (ბქ.)	„აურზაური"
გუ̄ლიბ-გუ̄ლაბ (ბქ.)	„სითხეში მძიმე რამეების ზედიზედ ვარდნის ხმა"
დგუ̄იბ-დგუ̄აბ (ზს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი; დაგადუგი"
დგუ̄ლიბ-დგუ̄ლაბ (ბქ.)	„ღრმა წყალში ან თხევად რამეში მძიმე საგნის ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა"
დღუ̄ლიბ-დღუ̄ლაბ (ბქ.)	„წყალში ჩავარდნის თანმიმდევრული ხმა"
დღილ-დღალ (ჩოლ.)	„ბრტყელი რაიმეს მირტყმა-მორტყმის ხმა"
ზიპ-ზაპ (ბქ.)	„დაცემის, ვარდნის ხმა"
ზიჲ-ზაჲ (ბქ.)	„დიდმუცლიანის სიარულის დროს გამოღებული ხმა"
ზღუ̄იპ-ზღუ̄აპ (ჩოლ.)	„წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა"
თუ̄რის-თუ̄რას (ბქ., ლნტ.)	„გაიძვერული სიარული, მელაკუდასებური სიარული"
თხიკ-თხაკ (ბქ.)	„სითხის წვეთის ზედიზედ მაგარ რამეზე დაცემის ხმა"
თხისკ-თხასკ (ბქ.)	1. „ჩანისკარტების ხმა", 2. „სითხის წვეთის მაგარ რამეზე დაცემის ხმა"
თხლიპ-თხლაპ (ლხმ.)	„თანმიმდევრული ხმა ქალამნებით ტლაპოში სიარულის დროს"
თხუ̄იზ-თხუ̄აზ (ბქ.)	1. „გამრომ-გამოძრომა", 2. „რბილ რამეში ზედიზედ ჩარჭობის ხმა"
კლიჭ-კლაჭ (ბქ.)	„მჭრელი იარაღის ზედიზედ ჩარტყმის ხმა"
მიჭუ̄-მაჭუ̄ (ჩოლ.)	„ცხვირპირში მირტყმა-მორტყმა"
ჟითქ-ჟათქ (ბქ.)	„გაშლილი რამეების ცემის ხმა"
ჟითხ-ჟათხ (ბქ.)	„სველი რამის ცემის თანმიმდევრული ხმა; სველი ფეხსაცმლიანის სიარულის ხმა"
ჟიტჟ-ჟატჟ (ბქ.)	„ტალღის მოტყლაშუნების ხმა"
რისტ-რასტ (ზს., ქს.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა; ხმელი რამის მკვრივზე ცემის თანმიმდევრული ხმა"
რიყ-რაყ (ბქ.)	„ცარიელ რამეში ჩაგდებული საგნის ხმა"
რიჭ-რაჭ (ბქ.)	„მ ითქმა-მოთქმა; ჭიკ-ჭიკი"
რიხ-რახ (ჩოლ.)	„ხმელი ჯოხის მირტყმა-მორტყმის ხმა; რახარუხი"
რიჯგ-რაჯგ (ჩბხ.)	„მტკიცე ნაბიჯების თანმიმდევრული ხმა"
სგუ̄იჭ-სგუ̄აჭ (ბქ.)	„თოფის სროლის ან ხმელი საგნის მაგარზე დარტყმის თანმიმდევრული ხმა"
სიტ-სატ (ზს., ქს.)	„ლაწალუწი"
ტკუ̄იც-ტკუ̄აც (ჩოლ.)	„სახრის მირტყმა-მორტყმის ხმა"
ტუ̄რიმ-ტუ̄რამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"

[1] იშვიათად ბალსზემოურ დიალექტში ი ~ ა̈/ა̄ ხმოვანთმონაცვლეობაც დასტურდება.

ტყიც-ტყაც (ბქ.)	„გაკერილი რამის გარღვევის თანმიმდევრული ხმა"
ფლიჩ-ფლაჩ (ჩოლ.)	„ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული"
ქჳლიზ-ქჳლაზ (ბქ.)	„მსუქანი ქალის სიარული"
ღიბ-ღაბ (ლხმ.)	„რამის გასრესის ხმა"
ღჳიქ-ღჳაქ (ჩბხ.)	„ლაყბობა, ლიკლიკი, კამათი, მითქმა-მოთქმა"
ღჳლიქ-ღჳლაქ (ჩოლ.)	„გაქნილი წკნელის გადაჭერ-გადმოჭერა"
ღჳრიმ-ღჳრამ (ჩბხ.)	„ხრამუნის ხმა"
ყჳიგ-ყჳაგ (ბქ.)	„ჩაკაკუნების თანმიმდევრული ხმა"
ყჳლიფ-ყჳლაფ (ბქ.)	„ორივე მხრიდან თოფის სროლის ხმა; ზედიზედ სროლის ხმა"
ყჳლიჩ-ყჳლაჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"
ყჳრიგ-ყჳრაგ (ბქ.)	„კაკუნის თანმიმდევრული ხმა"
შითქ-შათქ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„დარტყმის ხმა"
შკჳიფ-შკჳაფ (ზს., ქს.)	„ხმელი საგნის თავში დარტყმის თანმიმდევრული ხმა"
შჳლიპ-შჳლაპ (ბქ., ჩოლ.)	„ჩასობ-ამოძრობის ხმა (ბქ.)"; „ჭანჭრობში სიარულის ხმა (ჩოლ.)"
შხიპ-შხაპ (ბქ.)	„წკნელის გატყლაშუნების ხმა"
შხჳიპ-შხჳაპ (ბქ.)	„წკნელის გატყლაშუნების ხმა"
შყōბ-შყäბ (ბზ.), შყიბ-შყაბ (ბქ.)	„ბრახაბრუხი; ჯახუნი, რახუნი, კაკუნი"
შყჳიბ-შყჳაბ (ბქ.)	„ჯახაჯუხი, თავების მიჯახუნება ერთმანეთზე"
ჩრით-ჩრათ (ბქ.)	„ჩლატაჩლუტი, ჩლატუნი"
ჩლითხ-ჩლათხ (ბქ.)	„ჩლატაჩლუტი"
ჩხიკ-ჩხაკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი"
ციმ-ცამ (ჩოლ.)	„შიშისგან თვალების აქეთ-იქით ცეცება"
ძგჳიბ-ძგჳაბ (ზს.)	„გლაჯა-გლუჯი; რამის გაწყვეტის თანმიმდევრული ხმა"
წყიგ-წყაგ (ბქ., ჩოლ.)	„წყლის წვეთის დაცემის ხმა"
ჭიტყ-ჭატყ (ბქ.)	„გუბეში ფეხის ჩადგმის რიტმული ხმა"
ჭიფხ-ჭაფხ (ჩოლ.)	„კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით"
ჭჳიხჳ-ჭჳახ (ბქ.)	„ორთა კოცნის ხმა"
ჭიხ-ჭახ (ბქ.)	„ჭახ-ჭახი"
ჭკჳიპ-ჭკჳაპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა"
ხჳრიგ-ხჳრაგ (ბქ.)	„ხრაგუნი"
ხჳრიმ-ხჳრამ (ბქ.)	„ხრამუნი"
ხჳრიჭ-ხჳრაჭ (ბქ.)	„'გა'კრეჭის თანმიმდევრული ხმა"
ჯრიბ-ჯრაბ (ჩბხ.)	„ჯლაგუნით სიარულის ხმა"...

ბ) $C_1C_2V_1C_3 - C_1C_2V_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

$C_1V_1C_2 - C_1V_2C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, V_1 \neq V_2$

გ) $C_1C_2C_3V_1C_4 - C_1C_2C_3V_2C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, C_4 = C_4, V_1 \neq V_2$

$C_1V_1C_2C_3 - C_1V_2C_3C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

ბ) ა ~ უ/უ̄ ~ ჳ		გ) ა ~ ი	
		ბაჩხ-ბიჩხ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
ბრახ-ბრუხ (ზს.)	„ბრახაბრუხი, ბრახვანი"		
		ჟღაპ-ჟღიპ (ბქ.)	„გახეთქვის ხმა"
სხამ-სხუმ (ჩოლ.)	„ბავშვების ერთდროული, სხვადასხვა ხმაზე ტირილი"		
ტუ̄მ-ტუმ (ჩოლ.)	„ბავშვების ტირილი ჩხუბის შემდეგ"		
ტუ̄ნ-ტჳნ (ლშხ.)	„წივილ-კივილი"		
		ტჳრამ-ტჳრიმ (ბქ.)	„მტვრევა-მსხვრევა"

ფხაკ-ფხუკ (ბქ.)	„კაკუნი"		
		ჰატყ-ჰიტყ (ბქ., ჩოლ.)	„თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა"
		ჰახ-ჰიხ (ბქ.)	„ჰახანი"...

ა ~ უ/ა̄ ~ უ̄ და ა ~ ი ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეები იშვიათად დასტურდება სვანურში

დ) $C_1C_2V_1C_3 - C_1C_2V_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

ე) $C_1C_2V_1C_3 - C_1C_2V_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 \neq V_2$

დ) ი ~ უ		ე) ი ~ ჷ	
ბრიხ-ბრუხ (ზს.)	„ბრახაბრუხი, ბრახვანი"		
დრიზ-დრუზ (ბქ.)	„ბრახაბრუხი, ბრახვანი; დარტყმის ხმა"		
		დღილ-დღჷლ (ბქ.)	„ცემის, დარტყმის ხმა"
თხირ-თხურ (ბქ.)	„ხეოქვის ხმა"		
		ჟღილ-ჟღჷლ (ბქ.)	„ტირილის, ბღავილის ხმა"
ღრიწ-ღრუწ (ბქ.)	„ღრჭიალი"		
ჟლიპ-ჟლუპ (ბქ.)	„ჟლაპვის ხმა"		
ჟლიტ-ჟლუტ (ბქ.)	„ჟლაპვის ხმა"		
შხიპ-შხუპ (ბქ.)	„წკეპლის გატყლაშუნების ხმა"		
		ჩხიკ-ჩხჷკ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი, ჩხაკუნი"
		ჩხილ-ჩხჷლ (ბქ.)	„მტვრევა-მსხვრევის ხმა"
		ძგილ-ძგჷლ (ბქ., ჩოლ.)	„ძლიერი სროლის ხმა" ...

შენიშვნა: როგორც საილუსტრაციო მასალის ანალიზმა აჩვენა, განხილული სტრუქტურული მოდელებიდან ერთგვარ სისტემას სვანურში მხოლოდ ი ~ ა ხმოვანმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები ქმნიან, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ სტრუქტურულ მოდელებზე, ვინაიდან მასალის სიმცირე ამის თქმის უფლებას არ იძლევა.

ხმოვანუცვლელ და ხმოვანმონაცვლე რედუპლიცირებულ ყალიბებს შორის სემანტიკური სხვაობაც, რაღა თქმა უნდა, ხელშესახებია. ხმოვნის მონაცვლეობა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც თითქოს საგანთა უწესრიგო, არარეგულარულ, ქაოტურ სიმრავლეს ასახავს, ხოლო უცვლელი ხმოვანი რიტმულ, განგრძობით გამეორებას[1].

რა შეიძლება ითქვას ***თანხმოვანუცვლელ*** და ***თანხმოვანშეცვლილ*** რედუპლიცირებულ ფუძეებზე?

უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებულ ფუძეებს, რომელთა გავრცელებულობა სვანურში ხშირია, თუმცა უფრო გავრცელებულია სხვადასხვა თანხმოვნის მონაცვლეობით მიღებული რედუპლიცირებული ფორმები.

3. თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძეები

სვანურში თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძეები წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სტრუქტურული მოდელებით:

1. **C V C – C V C**
2. **C C V C – C C V C**
3. **C C C V C – C C C V C**
4. **C V C C – C V C C**

---

[1] ივარაუდება საკითხზე მუშაობის გაგრძელება.

5. **C C C V C C – C C C V C C**
6. **C V C V – C V C V**
7. **C V C C – C V C C** და ა. შ.

აღნიშნულ სტრუქტურულ მოდელებში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, არ ფიგურირებს სონორები, გაორკეცებული ფუძეების ორივე თანხმოვნითი სეგმენტი (ანლაუტ-აუსლაუტში) კი იდენტურია. დასტურდება ისეთი მოდელებიც, სადაც გაორკეცებული ფუძეების ანლაუტში ორი ან სამი თანხმოვანია წარმოდგენილი და, ასევე, შეგვხვდა ისეთი რედუპლიცირებული ფუძეებიც, რომელშიც აუსლაუტში ჰარმონიული კომპლექსები ფიგურირებენ (იხ. გ) დ) ე) ვ) და ზ) მოდელები).

ა) $C_1 V_1 C_2 + C_1 V_2 C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, $V_1 = V_2$

ბ) $C_1 V_1 S_2 + C_1 V_2 S_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1$, $S_2 = S_2$, $V_1 = V_2$

ა)		ბ)	
ბიტ-ბიტ (ჩოლ.)	„ბრუციანის მოღრეცილი სიარული“		
		გულ-გულ (ბქ.)	„ყმუილი“
ზიპ-ზიპ (ბქ.)	„მსუქანი ადამიანის მძიმე სიარული“		
ლიფ-ლიფ (ჩოლ.)	„ალის ხმა“		
პიტ-პიტ (ლშხ., ჩოლ.)	„ქალის ან გოგოს ცანცარული სიარული; რატრატი“		
ბიუ̄-ბიუ̄ (ჩოლ.)	„უაზროდ, დაუფიქრებლად, ზერელედ ლაპარაკი“		
		ჟულ-ჟულ (ბქ.)	„მანქანის ადგილიდან უცებ დაძვრის და გაქანების ხმა“
რიტ-რიტ (ჩოლ.)	„ბრიყვული სიარული“		
რიყ-რიყ (ჩოლ.)	„თავის კანტური სიარულისას“		
		ტულ-ტულ (ბქ.)	„გაბმული, გამაყრუებელი ძახილი“
ფიგ-ფიგ (ლშხ., ჩოლ.)	„სუსტი, გამხდარი ადამიანის სიარული“		
		ღულ-ღულ (ბქ.)	„მანქანის ხმა“
ყიტ-ყიტ (ჩოლ.)	„სითხით არასავსე ურჭლის შენჯღრევით გამოწვეული ხმა“		
		ყულ-ყულ (ზს., ქს., ჩოლ.)	„გაბმული ყვირილი“
		ყუჰ-ყუ̄ჰ (ჩოლ.)	„სიხარულისგან ჩუმი სიცილი“
		ყუჯ-ყუჯ (ჩოლ.)	„დიდთავა ადამიანის სიარული, ჩუმჩუმად მოქმედება“
შიკ-შიკ (ჩოლ.)	„ბლუკუნი“		
		შუ̄ლ-შუ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შულ-შულ (ბქ., ლნტ.)	„ფშვენვა“
ციგ-ციგ (ბქ.)	„ფეხის წვერების დარტყმით ჩქარი სიარული“		
ჭიუ̄-ჭიუ̄ (ჩოლ.)	„ჩიტებისა და ბავშვების ხმაური“		
ჭიხ-ჭიხ (ბქ.)	„ჭახ-ჭახი“		
		ჭუ̄ლ-ჭუ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭულ-ჭულ (ბქ., ლნტ.)	„წუილი (ქარისა)“
ჯიგ-ჯიგ (ჩოლ.)	„ცუდი ცხენის სიარული“		
ჯიყ-ჯიყ (ჩოლ.)	„ჯლოყინი, ბრიყვული სიცილი“		
		ხულ-ხულ (ბქ.)	„ხვრეპა (სითხისა)“...

გ) $C_1 C_2 V_1 C_3 + C_1 C_2 V_1 C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 = V_2$.

დ) $C_1 C_2 C_3 V_1 C_4 + C_1 C_2 C_3 V_1 C_4$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 = V_2, C_4 = C_4$.

გ)		დ)	
გლიჯ-გლიჯ (ზს., ქს.)	„უხეშად სიარული; მირტყმა-მორტყმის ხმა"		
ხტულ-ხტულ (ბქ.)	„გაბმული, გამაყრუებელი ძახილი"		
ხყიფ-ხყიფ (ჩოლ.)	„ძაღლის ძლიერი ყეფა კბილების ხრჭიალით"		
		ტკჷირ-ტკჷირ (ჩოლ.)	„ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას"
		ტჷრიმ-ტჷრიმ (ბქ.)	„დარტყმის ხმა"
ტყიპ-ტყიპ (ბქ.)	„ტყაპანი"		
ქლიფ-ქლიფ (ჩოლ.)	„დამშეულის აჩქარება საჭმლის მზადების დროს"		
		ქჷლიზ-ქჷლიზ (ბქ.), ქჷიზ-ქჷიზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული"
ყლიპ-ყლიპ (ჩოლ.)	„ფართო ნაბიჯებით სწრაფი სიარული დოყლაპია კაცისა"		
ჩხīჷ-ჩხōჷ (ჩოლ.)	„ძროხის მოშარდვის ხმა"		
ჩხჷრ-ჩხჷრ (ჩოლ.), ჩხურ-ჩხურ (ბქ.)	„პირუტყვის შარდვის ხმა"		
წრუფ-წრუფ (ჩოლ.)	„გოჭების მიერ ძუძუს წოვაზე იტყვიან"		
		ჭკჷიპ-ჭკჷიპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა"
		ხჷრიგ-ხჷრიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა"
		ხჷრიმ-ხჷრიმ (ბქ.)	„შაქრის, ვაშლის, კიტრის და ა. შ. ჭამის დროს გამოცემული ხმა"

ე) $C_1 V_1 C_2 C_3 + C_1 V_1 C_2 C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 \neq V_2, C_2 = C_2, C_3 = C_3$

ე)	
ბიტყ-ბატყ (ლშხ., ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგჷიბ-დგჷაბ (ზს., ქს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"
ბითქ-ბათქ (ზს., ქს.)	„ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით"
სგჷიჭ-სგჷაჭ (ბქ.)	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა"
სიტ-სატ (ბქ., ჩოლ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი"
ტჷრიმ-ტჷრამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"
ტყჷისგ-ტყჷასგ (ბქ.)	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა"
ღრიჭ-ღრაჭ (ზს., ქს.)	1. „ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)"; 2. „ღრჭიალი (თმისა)"
ყჷლიჩ-ყჷლაჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"
შკჷიფ-შკჷაფ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა"
შხიპ-შხაპ (ბქ.)	„წკეპლის გადაჭერის ხმა"
ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ქს.)	„ჩხაკაჩხუკი"
წყიგ-წყაგ (ბქ.)	„წყლის წვეთების ხმა, წანწკარი"
ხჷრიმ-ხჷრამ (ბქ.)	„ხრამუნი"
ხჷრიპ-ხჷრაპ (ბქ.)	„ხვრეპა"...

ვ) $C_1V_1C_2C_3 + C_1V_1C_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, C_2 = C_2, C_3 = C_3$.

ზ) $C_1V_1C_2C_3 + C_1V_1C_2C_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, C_2 = C_2, C_3 = C_3$.

ვ)		ზ)	
		ბუგჷ-ბუგჷ (ჩოლ.)	„დაბეჟვა (ვაშლისა) უკბილოს შესაჭმელად“
პიტყ-პიტყ (ბქ., ჩოლ.)	„ტყლაშუნი“		
		ჩუხჷ-ჩუხჷ (ზს.)	„უაზრო საუბარი
წიფხ-წიფხ (ბქ., ჩოლ.)	„თანაბარი ხმა წვიმის წვეთებისა“		
ჭიტყ-ჭიტყ (ბქ.)	„თანაბარი ხმა გუბეში ფეხის ჩადგმისა“		

თ) $C_1C_2C_3V_1C_4 ⌜C_5⌝ + C_1C_2C_3V_1C_4 ⌜C_5⌝$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_2 = C_2, C_3 = C_3, V_1 = V_2, C_4 = C_4, ⌜C_5 = C_5⌝$

თ)	
სტჷიფ-სტჷიფ (ზს.)	„მსუბუქად გარტყმის ხმა“
ტკჷირ-ტკჷირ (ჩოლ.)	„ხმა, რომელსაც გამოსცემს ღორი კურკების ჭამისას“
ტჷრიმ-ტჷრიმ (ბქ.)	„მტვრევის ხმა“
ქჷლიზ-ქჷლიზ (ბქ.), ქჷიზ-ქჷიზ (ჩოლ.)	„მსუქანი ქალის სიარული; ქუნქრუზი“
ჩხჷიფ-ჩხჷიფ (ბქ.)	„დარტყმის ან მტვრევის ხმა“
წკჷიპ-წკჷიპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“
ჭკჷიპ-ჭკჷიპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“
ხჷრიგ-ხჷრიგ (ბქ., ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა“
ხჷრიკ⌜ჷ⌝-ხჷრიკ⌜ჷ⌝ (ჩოლ.)	„შაქრის ჭამის დროს გამოცემული ხმა ბავშვის მიერ“
ხჷრიმ-ხჷრიმ (ბქ.)	„ხრამუნი“
ხჷრიპ-ხჷრიპ (ზს.)	„ხვრეპა“
ხჷრიჭ-ხჷრიჭ (ბქ.)	„თაგვის ხმა, რომელიც რაღაცას ხრავს“
ჯგჷიბ-ჯგჷიბ (ბქ.)	„მუჯლუგუნის გარტყმის ხმა“...

ი) $C_1V_1C_2V_2 + C_1V_1C_2V_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, C_2 = C_2, V_2 = V_2$

ი)	
ბუგუ-ბუგუ (ბქ.)	„ხელის დარტყმით ცემის ხმა (ბავშვის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეული“
პუტუ-პუტუ (ბქ.)	„პუტუნი; ჩუმად ბუტბუტი“
ფურუ-ფურუ (ბქ.)	„ფაჩუნი“
ღუდუ-ღუდუ (ბქ.)	„გოჭის დაძახების ხმა“
ძუნუ-ძუნუ (ბქ.)	„ხბოს დაძახების ხმა“...

ბოლო სტრუქტურულ მოდელებში (ვ, ზ, თ, ი) თითოროლა მაგალითი წარმოვადგინეთ, თუმცა არაა გამორიცხული მეტი მასალა დაფიქსირდეს.

საინტერესოა, ი) მოდელში წარმოდგენილი რედუპლიცირებული ფუძეების შემადგენელი კომპონენტების აუსლაუტში გამოვლენილი -უ- ხმოვანი ძირის კუთვნილებაა თუ რომელიმე მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთი?

CVCV+CVCV ტიპის რედუპლიცირებულ ფორმათა სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: **CVC+V+CVC+V < *CVC+VC+CVC+VC**. როგორც წარმოდგენილი სტრუქტურული მოდელიდან ჩანს, -უ- ხმოვანი არის რომელიღაცა მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთი და ეს სუფიქსი, ჩვენი დაკვირვებით, ზოგ საანალიზო რედუპლიკატში კნინობითის მაწარმოებელი -ულ- სუფიქსის ნაშთია (ძუნ-უ < ძუნ-ულ „პატარა ხბო (ზედმიწ. — ხბო-უკა)“, ღუდ-უ < ღუდ-ულ „პატარა გოჭი (ზედმიწ. — გოჭ-უკა)...“),

ზოგში კი -უნ- სუფიქსისა[1] (პუტ-უ < ქართ. პუტ-უნ-ი, ფუჩ-უ < ქართ. ფაჩ-უნ-ი...). ეს კი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ აღნიშნული ხმოვანი ამა თუ იმ მაწარმოებელი სუფიქსის ნაშთად მივიჩნიოთ და არა მაერთ ხმოვნად. როგორც წესი, სვანურს ღიამარცვლიანი სტრუქტურები არ ახასიათებს.

რა თქმა უნდა, თანხმოვანუცვლელი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურული მოდელები ამით არ ამოიწურება (იხ. ხმოვანმონაცვლე და ხმოვანუცვლელი რედუპლიცირებული ფუძეების სტრუქტურული მოდელები!).

4. თანხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე

სვანურში სხვადასხვა თანხმოვნის (რ ~ ნ, ნ ~ ლ, რ ~ ლ, ს ~ ბ, ჟ ~ ბ, შ ~ ბ, ხ ~ ბ, რ ~ ტ და სხვ.) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია სონორთა მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები[2].

1. დახურული მარცვლის რედუპლიკაცია სონორ თანხმოვანთა (რ ~ ნ და რ ~ ლ) მონაცვლეობით:

ა) $C_1 V_1 S_2 + C_1 V_1 S_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, S_2 \neq S_2$

ბ) $C_1 V_1 S_2 + C_1 \ulcorner V_1 \urcorner S_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, S_2 \neq S_2$

გ) $C_1 V_1 S_2 + C_1 C_2 V_2 S_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_1 \neq C_2, V_1 = V_2, S_2 \neq S_3$

რ ~ ნ		რ ~ ლ	
ბგრ-ბგნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი; უხეში ლაპარაკი", შდრ. ქართ. (ფშ., ხევს.) ბუბუნი „ხარის ხმიანობა"	ლი-ბგრ-ბლ-აჟ̄-ი (ლშხ.) < ლი-ბგრ-ბგლ-აჟ̄-ი, იგივეა, რაც ლი-ბგრ-ბგნ-ი (ბქ., ჩოლ.)	„ბურდღუნი, როშვა"
		გარ-გალ-ა (ლნტ.) < გარ-გარ-ა (ლშხ.)	„ლაპარაკი"
გურ-გუნ (ბქ.)	„გრგვინვა; გუგუნი"		
		ლი-დარ-დალ-ი (ლშხ.), ლი-დარ-და̈ლ-ი (ჩოლ.)	„დიდი ტანის ქალის ხმამაღალი ლაპარაკი; ტატყანი"
გგრ-გგ̄ნ (ბზ., ლშხ.)	„გრგვინვა; გუგუნი"		
ზურ-ზუნ (ლნტ.)	„ზუზუნი; ზარი, ზრუნი"		
ზგრ-ზგ̄ნ (ბზ., ლშხ.) ზგრ-ზგნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. ზუ̄ლ/ზულ „ზმუილი"	„ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი"		
˹ლი-˺თურ-თუნ˹-ი˺ (ლხმ.)	„თუხთუხი"		
ლი-თგრ-თგნ-ი (ბქ.)	„ენის მოჩლექით ლაპარაკი"		
კურ-კუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურ-კუნ (ბქ., ლნტ.)	„კრუსუნი"		
კგრ-კგნ (ბქ., ჩოლ.)	„კისკისი; რაკუნი"		
		ლი-მარ-მა̈ლ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„კრიალი, ლაპლაპი"

[1] -უნ- სუფიქსი, როგორც ვიცით, მასდარის მაწარმოებელი სუფიქსია.
[2] თუმცა ამ უკანასკნელთ სხვა კვალიფიკაცია ეძლევათ, რაზეც სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

პგრ-პგნ (ლხმ.)	„რატრატი, ლაქლაქი, ჩქარი ლაპარაკი; პარპალი"		
ჟგრ-ჟგნ (ლხმ.)	„ჟრიამული"		
		ლი-ტარ-ტალ-ი (ლშხ., ჩოლ.)	„ტატყანი"
ტგრ-ტგნ (ბქ.), შდრ. ლი-ტგრ-ტგნ-ი და ლი-ტგრჹტ-ი (ბქ.)	„რატრატი, ლაქლაქი, ყბედობა"		
ფგრ-ფგნ (ბქ.)	„დაუკვირვებელი რატრატი; ჩიფჩიფი"		
ღურ-ღუნ (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"		
ღურ-ღუნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"		
		ღ̄უარ-ღ̄ულ-ა (ლხმ.) < ღ̄უარ-ღ̄ალ-ა, შდრ. ღგრ-ღგნ (ლხმ.) „ლუღლუღი" და ლი-ღგრ-ღგნ-ი (ბქ.) „ხიხინი"	„ლუღლუღი"
ღგრ-ღგნ (ბქ.)	„ბოხი ხმით საუბარი; ლუღლუღი; ხიხინი; ხმაჩახლეჩით საუბარი"		
		ლი-ყარ-ყāლ-ი (ჩოლ.)	„ზარმაცი და მოქეიფე ადამიანის ბევრი ლაპარაკი, ლიყბობა"
ყურ-ყუნ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი"		
ყგრ-ყგნ (ზს.), შდრ. ლი-ყგრ-ყგნ-ი (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი; ყიყინი; ყავყავი"		
შგრ-შგნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. შḡლ/შგლ „შუილი"	„შუილი"		
ჩურ-ჩუნ (ბქ.)	„ჩურჩული"		
ჩგრ-ჩგნ (ბქ.)	„პატარა ბავშვის საუბარი"		
ცურ-ცუნ (ბქ.)	„ჩურჩული"		
ხურ-ხū̄ნ (ბზ.)	„კრუტუნი (კატისა)"		
ხგრ-ხგნ (ბქ.), ხგრ-ხḡნ (ლშხ.)	„ხროტინი"...		

2. დახურული მარცვლის რედუპლიკაცია სონორ თანხმოვანთა (რ ~ ნ) მონაცვლეობითა და თავკიდურა თანხმოვნის შეცვლით:

ა) $C_1 V_1 S_2 + C_1 V_1 S_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, V_1 = V_2, S_2 \neq S_2$

ბ) $C_1 V_1 S_2 + C_1 C_2 V_2 S_3$ სტრუქტურაში $C_1 = C_1, C_1 \neq C_2, V_1 = V_2, S_2 \neq S_3$

რ ~ ნ	
გგრ-ჯḡნ (ბზ., ლშხ.)	„როხროხი; გუგუნი"
'ლი-'თურ-თხუნ'-ი' (ბქ.)	„თუხთუხი" შდრ. გურ. თუთხუნი „თუხთუხი"
'ლი-'თურ-ფუნ'-ი' (ლხმ.)	„თუხთუხი"
თგრ-თხგნ (ბქ.)	„თითხინი"
კგრ-პგნ (ბქ.)	„წკლაპუნი"
ჟურ-ყუნ (ბქ.)	„ტყლაშუნი"
ყგრ-ჭგნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"
ჩგრ-ჩხგნ (ბქ.), შდრ. ჩხგლ „ჩხრიალი"	„ჩხარაჩხური; ჩხრიალი"

ცჷრ-ცხჷ̄ნ (ბზ.), ცჷრ-ცხჷნ (ბქ.), შდრ. ცხჷ̄ლ/ცხჷლ „მუშხუნი“	„მუშხუნი“
წჷრ-წკჷ̄ნ (ბზ.), წჷრ-წკჷნ (ბქ.), შდრ. წკჷ̄ლ/წკჷლ „წკმუტუნი“	„წკმუტუნი“
ჭურ-ჭღუნ (ჩბხ., ლხმ.)	„ჭუჭღუნი, ბუზღუნი“...

გ) $C_1 V_1 S_2 + C_1 V_1 S_2$ სტრუქტურაში $C_1 \neq C_1$, $V_1 = V_2$, $S_2 \neq S_2$

ლ ~ ნ	
კჷლ-პჷნ (ბქ., ჩოლ.)	„წკლაპუნი; ლიკლიკი“
ბჷლ-ბჷნ (ბქ.), შდრ. ჩბხ., ლხმ. ბჷლ-ბჷნ „დაძონძილი, ძონძებით სიარული“, შდრ. ბჷლ „ხევის, ფხრეწის ხმა“	„ძუნძული“
ბჷლ-დჷნ‖ფჷლ-თჷნ (ლშხ.)	„ძონძებით შემოსილის მოძრაობა“
კჷლ-კჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ლიკლიკი“
ფჷლ-ფჷნ (ბქ.)	„ფამფალი, მოფამფალებული, დაძაბუნებული სიარული“
ფჷლ-თჷნ (ბქ.)	„ფამფალი“...

ზემოთ წარმოდგენილი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მეორე ნაწილში თავკიდური თანხმოვნის მონაცვლედ გვევლინება ბაგისმიერი ბგერები (**ბ** — ბ, **გ** — გ, **დ** — დ, **ზ** — ზ, **თ** — თ, **კ** — კ, **პ** — პ, **ჟ** — ჟ, **ტ** — ტ, **ფ** — ფ, **ლ** — ლ, **ყ** — ყ, **შ** — შ, **ჩ** — ჩ, **ც** — ც, **ხ** — ხ), ხშირ შემთხვევაში კი პროგრესულ დისიმილაციასთანაც გვაქვს საქმე (**თ — თ > თ — ფ, კ — კ > კ — პ, ყ — ყ > ყ — ქ, ბ — ბ > ბ — დ, გ — გ > გ — ჰ, ფ — ფ > ფ — თ, ჟ — ჟ > ჟ — ყ**...). გვხვდება, ასევე, მარცვლის შეცვლით გაორკეცების შემთხვევებიც (**თ — თხ, ჩ — ჩხ, ც — ცხ, წ — წკ, ჭ — ჭღ**...).

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც უკვე ითქვა, მსგავსი წარმოების ფორმები რედუპლიცირებულ ფუძეებადაა მიჩნეული, აუსლაუტისეული სეგმენტები კი სუფიქსებად და ჩვენ ამ თვალსაზრისს ვიზიარებთ, თუმცა არც სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამოვრიცხავთ (იხ. ქვემოთ!).

დ) $C_1 V_1 S_2 + C_1 V_1 C_2$ სტრუქტურაში $C_1 = C_1$, $V_1 = V_2$, $S_2 \neq C_2$

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რედუპლიცირებული ფუძეების პირველი ნაწილის აუსლაუტში გვაქვს *სონორი*, მეორე ნაწილის აუსლაუტში კი *ხშული* ან *სისინ-შიშინა ნაპრალოვანი თანხმოვნები* (გაორკეცება ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით[1] — **რ — ტ, რ — ც, რ — შ**):

ბორ-ბოტ‖ლი-ბორ-ბოტ-ე (ლშხ., ჩოლ.)	„აზრის, გონების არევა; დაბნეულობა“
ბურ-ბუტ (ლშხ., ჩოლ.)	„ტრიალი; მზრუნველობა“
ზურ-ზუტ (ლშხ.)	„ტრიალი; მზრუნველობა“
კარ-კაც‖ლი-კარ-კ'ა'ც-ე (ბქ., ჩოლ.)	„კაკანი“
კან-კაც (ლნტ.)	„კაკანი“
ყარ-ყაშ[2] (ზს., ლნტ., ჩოლ.)	„აყალმაყალი, აურზაური“...

მიუხედავად მასალის სიმცირისა (ვგულისხმობთ ფონოსემანტიკურ ლექსიკურ ერთეულებს), ჩვენ ის მაინც შევიტანეთ ნაშრომში, როგორც განსხვავებული სტრუქტურის ფუძეები. ლ. სანიკიძის აზრით, აღნიშნულ ფორმებში ადგილი აქვს გაორკეცებას ბოლოკიდური თანხმოვნის დისიმილაციით (მაგ.: რ

[1] მასალა ამოღებულია ლ. სანიკიძის ნაშრომიდან „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში“ (1999:31-39).

[2] შდრ. ქართ. **ყარყარი** 1. „კარკარი, რაკრაკი“, 2. ყაყანი, ხმაურობა“; **ყაშყაში** „მტაცებელი ფრინველის ყივილი“; **ყარყაში** „განგაში, ხმაურობა“.

— რ > რ — ტ, რ — რ > რ — ც, რ — რ > რ — შ...), მაგრამ არ უჩვენებს ამოსავალ სავარაუდო ძირებს. საინტერესოა, რედუპლიცირებული ფუძეების შემადგენელი კომპონენტებიდან რომელია ამოსავალი? სანამ ამოსავალ სავარაუდო ძირებს არ მივაგნებთ, მანამდე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაჭირდება.

ე) $C_1V_1C_2$ - $C_1V_1C_2$ სტრუქტურაში $C_1 \neq C_1$, $C_2 = C_2$, $V_1 = V_1$[1]

სვანურში დაფიქსირდა რამდენიმე ისეთი რედუპლიცირებული ფორმა, რომელშიც ორივე ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი -ლ- სონორია, პირველი ფუძის თავკიდური თანხმოვნები სხვადასხვა რიგისაა, მეორე ფუძის თანხმოვანი კი ყველგან ხშული -ბ- თანხმოვანია (ჟ ~ ბ, ს ~ ბ, შ ~ ბ, ხ ~ ბ):

ჟგლ-ბგლ (ბქ.)	„დიდი ხმაური"
სგლ-ბგლ (ბქ.)	„სისინი (ქარისა)"
შგ̄ლ-ბგ̄ლ (ბზ., ლშხ.), შგლ-ბგლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„დიდი ხმაურით რამის გაკეთება, გაბმული ხმაური, შრიალი"
ხგ̄ლ-ბგ̄ლ (ლშხ.), ხგლ-ბგლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.), შდრ., ჩოლ. ხგლ-ბილ „არაფრის გამო ხმაური"	„დიდი ხმაური"...

თუმცა კომპოზიტის შემადგენელი სეგმენტები სემანტიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ფონოსემანტიკურ ლექსიკაში იშვიათობაა.

ა) $C_1V_1S_2 + C_1V_1S_2$, ბ) $C_1V_1S_2 + C_1$ 'V$_1$' S_2, გ) $C_1V_1S_2 + C_1V_1S_3$, დ) $C_1V_1S_2 + C_1V_1C_2$ და ე) $C_1V_1C_2$ - $C_1V_1C_2$ C_4 მოდელების პარალელურად სვანურში, ასევე, დასტურდება უფრო რთული შედგენილობის ხმაბაძვითი ფორმებიც:

ა) ხმაბაძვითი ფუძეების ანლაუტში ხშირად ადგილი აქვს თანხმოვანთა ჯგუფის თავმოყრას:

დგურბუნ (ბქ., ჩოლ.)	„დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"		
		დგრდგგნ (ჩბხ.)	„დაგადუგი, დუგდუგი", შდრ. ქართ. დუდუნი „დაბალი ხმით დაუნაწევრებელი ბგერების გამოცემა, ყრუ და წყნარი ხმიანობა, ბუტბუტი"
		თქგრშგნ (ლშხ., ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი"
თხურპუ̄ნ (ბზ., ლშხ.), თხურპუნ (ბქ., ლნტ, ჩოლ.)	„თუხთუხი; სრუტუნი"		
ჟღგრმგ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჟღგრმგნ (ბქ., ლნტ.)	„ყლავილი"		
		ტკგრცგნ (ბქ., ჩოლ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი"
		ტკგრჩგნ (ბქ., ჩოლ.)	„ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"
ტყურსგუ̄ნ (ბზ.), ტყურსგუნ (ბქ.)	„ტკაცანი, ტკაცატკუცი"		
ტყურფუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტყურფუნ (ბქ., ლნტ.)	„ტკაცანი, სროლის ხმა"		

[1] თითქმის არ მოგვეპოვება ნ — ნ და რ — რ სონორ თანხმოვანთა გაორკეცებით მიღებული ფორმები, თუმცა გამონაკლისის სახით დასტურდება ტäნტუ̄ნ (ლშხ.) და ტäმტუ̄მ „წივილ-კივილი" ფორმებიც. ძირითადად მაინც დისიმილირებულ ფორმებთან გვაქვს საქმე.

		ტყჷრგგნ (ლშხ., ჩოლ.)	„ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი"
		ფხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხჷრკჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ფხაკუნი"
შყურბუნ (ბქ.)	„ბრაგუნი"		
ჩხურმუ̄ნ (ბზ.), ჩხურმუნ (ბქ.)	„ლაწალუწი"		
		ჩქჷრფჷნ‖ლი-ჩქფჷნ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
		ჩხჷრფჷნ (ზს.), ლი-ჩხფუნ-ე (ბზ.), ლი-ჩხფჷნ-ე (ბქ., ჩოლ.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"
		ცქჷრტჷნ (ბქ.)	„თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"
ცხურკუნ (ბქ.)	„ცხუკუნი"		
		ცხჷრპჷნ (ბქ.)	„წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფეულისა...)"
ძგურბუ̄ნ (ბზ.), ძგურბუნ (ბქ.)	„გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა"		
		წკჷლპჷნ (ბქ.)	„წკლაპუნი"...
		წყჷრგჷნ (ბქ., ჩოლ.)	„წანწკარი", შდრ. მეგრ. წყურგვინ
		ჭკჷლპჷნ (ბქ.)	„კრიჭინი"
		ჭკჷრპჷნ (ბქ.)	„კრაჭუნი"
ჭყურტუნ (ბქ.)	„ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)"		
		ჭყჷრმჷნ (ბქ.)	„ჭიჭყინი"...

ბ) თანხმოვანთა ჯგუფი გვხვდება ხმაბაძვითი ფუძეების აუსლაუტშიც:

ბურდღუნ (ზს.)	„ბურდღუნი"		
ბურთქუ̄ნ (ბზ.), ბურთქუნ (ბქ.)		ბჷრთქჷ̄ნ (ბზ.), ბჷრთქჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"
		დჷრდგჷნ (ჩბხ.)	„დაგადუგი"
		მჷრტყჷნ (ბქ.)	„უშნო ჭამა ხმის გამოცემით"
		ფჷრთღჷნ (ბქ.)	„ყლარუნი"
		ტჷრტყჷ̄ნ (ბზ.), ტჷრტყჷნ (ბქ.)	„ტატყანი"
ფურსდუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული"		
		ფჷრთქჷ̄ნ (ბზ.)/ფჷრთქჷნ (ბქ., ლნტ.)	„ბაგაბუგი, ფრთქიალი"
		ფჷრჩხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრჩხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"
		ფჷრცხჷნ ‖ ლი-ფჷრცხჷნ-ი (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"
		ღჷრწკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრწკჷნ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"
		შჷრთქჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით"
		შჷრშხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), შჷრშხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"
		ჩჷრჩხჷნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"
ცურცხუნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი"	ცჷრცხჷნ (ბქ.), ცჷრცხჷ̄ნ (ლშხ.) < *ცხჷლცხჷნ	„შუშხუნი; ფუცხუნი", შდრ. ქართ. (გურ.) ცუცხუნი „ფუცხუნი, ცაცხანი; გალიზიანება"

		ძჷრწკჷნ (ბქ.)	„ღრჭიალი"
წურწკუ̄ნ (უშგ.), წურწკუნ (ბქ., ქს.)	„წკმუტუნი; წუწუნი; წკავწკავი "	წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"
		პჷრპკჷ̄ნ (ბზ.), პჷრპკჷნ (ბქ.)	„ყრიამული, ხმაური; ჭიკჭიკი"
პურპყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; პუპყუნი"	პჷრპყჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), პჷრპყჷნ (ბქ., ლნტ.)	„ხმაური, ყრიამული, ჭიჭყინი"
		პჷრპჷ̄ნ (ბზ.), პჷრპჷნ (ბქ.)	„ჭიკჭიკი, ჭრიჭინი"
ხურპკუნ (ბქ.)	„ჭამის დროს გამოცემული ხმა"		
		ჭჷლჭგჷნ (ბქ.), ლი-ჭჭგჷნ-ე (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)" ...

ცხადია, აქაც იგივე პრობლემაა, ანუ გასარკვევია აუსლაუტში გამოვლენილი უნ/-უ̄ნ და -ჷნ/-ჷ̄ნ სეგმენტები წარმოშობით სუფიქსებია თუ უბრალოდ რედუპლიცირებული ფუძის ბოლო სეგმენტები?[1]

7. 2. ინტერფიქსური (resp. „მაერთხმოვნიანი" და „მაერთმარცვლიანი") რედუპლიკაცია სვანურში

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ა ~ უ/ჳ ~ უ̄, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ ჷ) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი (**CVCn-CVCn, CnVC-CnVC, CVC-CVC, CnVC-CnVC, CVCn-CVCn, CnVC-CnVC, CnVC-CnVC**) გამოიყოფა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია **ი ~ ა** ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები (მაგ.: **ბიგუ̄-ბაგუ̄** (ჩოლ.) „ბაგუნი; რბილად მირტყმა-მორტყმის ხმა", **ზღუ̄იპ-ზღუ̄აპ** (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა", **სიტ-სატ** (ზს.) „ლაწალუწი", **რისტ-რასტ** (ზს.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა", **ბიჩხ-ბაჩხ** (ბქ.) „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა" და ა. შ.), თუმცა **CVCn - CVCn / CVC - CVC** ტიპის სტრუქტურული მოდელების პარალელურად ძალზე ხშირად დასტურდება **CVCn-V-CVCn-V** ტიპის რედუპლიკაცია (ანუ ე. წ. **ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით**).

მაერთ ხმოვნად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, წარმოდგენილია -ი- ხმოვანი, რომელიც სხვა ტიპის (**CVC-V-CVC-V**) რედუპლიკაციაშიც გვევლინება ინტერფიქსად. ვფიქრობთ, ამ ორ ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ მოდელში გამოვლენილი მაერთებელი -ი- წარმოშობით ერთი და იგივე არ არის და მას სხვადასხვა ფუნქცია აკისრია.

აქვე შევნიშნავთ, რომ სვანურში ფუძის გაორკეცებისას, ასევე, ხშირია ინფიქსად მა- მარცვლის ჩართვაც.

თვალსაჩინოებისათვის ცალ-ცალკე წარმოვადგენთ „მაერთხმოვნიან" და „მაერთმარცვლიან"[2] რედუპლიცირებულ მოდელებს და სვანურ მრავალფეროვან დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით როგორც მაერთი ხმოვნის, ისე მაერთი მარცვლის ფუნქციისა და წარმომავლობის გარკვევას. ბუნებრივია, ნაშრომში ყურადღება გამახვილდება სემანტიკურ მხარეზეც.

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ § 3.

[2] ცნება „მაერთმარცვლიანი" შემოვიღეთ „მაერთხმოვნიანის" ანალოგიით.

არაიდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია / ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით

1. CVC_n-V-CVC_n-V ტიპის რედუპლიკაცია

$C_1 V_1 C_2 C_3 - V_2 - C_1 V_3 C_2 C_3 - V_4$, აღნიშნულ სტრუქტურაში **$C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, $C_3 = C_3$, V_1** და **$V_2 \neq V_3$** და **V_4**, სადაც **V_2** არის ორი ძირის შემაერთებელი ხმოვანი და იგი ყოველთვის ემთხვევა პირველი მარცვლის ხმოვანს, აუსლაუტისეული **V_4** კი მეორე მარცვლის ხმოვანს.

ი ~ ი - ა/ä ~ ა — ი ~ ა/ä/ი ~ ა	
ბითქ-ი-ბäთქ-ა (ზს.), ბითქ-ი-ბათქა (ჩოლ.)	„ბათქაბუთქი"
ბიჭკუ̄-ი-ბäჭკუ̄-ა (ზს.)	„ტკაცატკუცი; სკდომა-ხეთქვა"
ბრიხ-ი-ბრახ-ა (ბქ.)	„ბრახაბრუხი; ბრახვანი"
თუ̄იგ-ი-თუ̄აგ-ა (ლხმ., ჩბხ.)	„გაძრომ-გამოძრომით სიარული"
პილტ-ი-პალტ-ა (ჩოლ.)	„უაზრო ლაპარაკი ბავშვის, ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის"
რისტ-ი-რასტ-ა (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა"
რიყ-ი-რäყ-ა (ბზ.), რიყ-ი-რაყ-ა (ბქ.)	„რახარუხი"
რიჭ-ī-რäჭ-ა (ბზ.), რიჭ-ი-რაჭ-ა (ბქ., ქს.)	„მითქმა-მოთქმა; ჭორიკნობა; ჭრიჭინის მაგვარი საუბარი"
სგუ̄იჭ-ი-სგუ̄აჭ-ა (ბქ., ჩოლ.)	„ტყვიების სროლა მიჯრით"
ხიტ-ი-სატ-ა (ბქ., ჩოლ.)	„ლაწალუწი"
ტყიგ-ī-ტყäგ-ა (ბზ.), ტყიგ-ი-ტყაგა (ბქ.)	„ბლაყუნი"
ტყიპ-ი-ტყაპ-ა (ბქ.)	„ტყაპატყუპი; ტყაპანი"
ქუ̄იზ-ი-ქუ̄აზ-ა (ბქ.)	„გაძრომ-გამოძრომა ხალხში"
შკუ̄იფ-ი-შკუ̄აფ-ა (ზს., ქს.)	„ჯოხის დარტყმის ხმა; ბრახვანი"
ჰიფხ-ი-ჰაფხ-ა (ჩოლ.)	„კოხტად ჩაცმული ფეხებით სიარული, ხმის გამოცემით"
ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა (ლხმ.)	„ჯაჯგური"
ჯიჯკ-ი-ჯაჯკ-ა (ლხმ., ჩოლ.)[1]	„ჯაჯგური; გარტყმის ხმა"...

არაიდენტურხმოვნიან (ი ~ ა / ä) რედუპლიცირებულ ფუძეებში წარმოდგენილი მაერთი ხმოვანი, ვფიქრობთ, მაერთებელი კავშირია, რომელიც დროთა განმავლობაში ფუძეს შეერწყა და თავდაპირველი მნიშვნელობაც ნელ-ნელა მიიჩქმალა. სავარაუდოდ, **ბითქიბäთქა < ბითქ ი ბäთქ⌜ა⌝**, **შკუ̄იფიშკუ̄აფა < შკუ̄იფ ი შკუ̄აფ⌜ა⌝**, **ჯიჯგიჯაჯგა < ჯიჯგ ი ჯაჯგ⌜ა⌝**... (შდრ., აგრეთვე, ქართ. **ჩახ-ა-ჩუხ-ი < ჩახ და ჩუხ-ი**, **ჰახ-ა-ჰუხ-ი < ჰახ და ჰუხ-ი**, **ტაკ-ა-ტუკ-ი < ტაკ და ტუკ-ი** და ა. შ[2]). ჩვენ მიერ საანალიზოდ საანალიზოდ წარმოდგენილი ფორმები, ძირითადად, ძველი სვანური ხალხური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი, რასაც აშკარად ლექსის ზომა (resp. რითმა) განაპირობებს. ვ. თოფურიას აზრით, ფუძეგანსხვავებული რთული შედგენილობის კომპოზიტები ან ი „და" კავშირიანია ან — უკავშირო, თუმცა სვანურში, განსაკუთრებით პოეზიაში, საკმაოდ ბევრია ისეთი კომპოზიტებიც, სადაც ი „და" კავშირი იგულისხმება (შდრ. **მგლახ-მგჟალე** „მულახ-მუჟალი (ანუ მულახი და მუჟალი)", **წვირმი-**

[1] საანალიზო კომპოზიტებში მაერთი ხმოვანი დეფისებით მეტი თვალსაჩინოებისათვის გამოვყავით. აქვე შევნიშნავთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმების შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა, თუმცა რამდენიმე მაგალითი, როგორც ი — ა ხმოვანთმონაცვლეობის ნიმუში, ვ. თოფურიასა და ლ. სანიკიძის ნაშრომებში ფიქსირდება.

[2] შდრ. *ფუძეგანსხვავებული რთული რიცხვითი სახელები*: **ერუ̄ემდიეშხუ** „ოცდაერთი („ორ-ათ და ერთი")", **ერუ̄ემდისემი** „ოცდასამი („ორ-ათ და სამ-ი")", **ერუ̄ემდიარა** „ოცდარვა („ორ-ათ და რვა")"... და, ასევე, ი *კავშირით შეერთებული ბრუნვისფორმიანი* (ვგულისხმობთ მიცემითი ბრუნვის უძველეს ნიშნად მიჩნეულ ნ-იან ფორმებს!) *გაორკეცებული ფუძეები გარემოების ან განაწილებითის ფუნქციით*: **თხუმნითხუმნ** „თავდაპირველად (ზედმიწ. — თავ-ს და თავ-ს)", **დრეუ̄ნიდრეუ̄ნ** „დროდადრო (ზედმიწ. — დრო-ს და დრო-ს)", **მეზგანიმეზგან** „ოჯახდაოჯახ (ზედმიწ. — მოსახლე-ს და მოსახლე-ს)", **ყორნიყორნ** „კარდაკარ (ზედმიწ. — კარ-ს და კარ-ს)", **სოფნისოფელ** „სოფელ⌜და⌝სოფელ (ზედმიწ. — სოფელ-ს და სოფელ-ს)", **ბაჩნიბაჩარ** „ქვადაქვა (ზედმიწ. — ქვა-ს და ქვა-ს)"... — *ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე*).

იფ̈არე' „წვირმი-იფარი (ანუ წვირმი და იფარი)", **კალა-უშგულა** „კალა-უშგული (ანუ კალა და უშგული)", **ჳიცბილ-მ̈აცბილ** „ვიცბილ-მაცბილი (ანუ ვიცბილი და მაცბილი)"... — თოფურია 1979:113). ცხადია, საანალიზო ფუძეებში წარმოდგენილი მაერთი ხმოვანიც წარმოშობით მაერთებელი კავშირია, თუმცა დღევანდელი ვითარების მიხედვით, მას ეს ფუნქცია დაკარგული აქვს და იგი ინტერფიქსად მოიაზრება.

რაც შეეხება კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ აუსლაუტში) დადასტურებულ -ა- ხმოვანს, იგი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სვანურში განყენებულ (resp. აბსტრაქტულ) სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია (თოფურია 1967:213), რომელიც ბალსზემოურში წინამავალ ე'ს ა̈'დ აფართოებს (ქალდანი 1969:52); ქართულში კი -ა- მიჩნეულია საწყისის ნიშნად (შანიძე 1980:560), შესაბამისად კი, შდრ., ერთი მხრივ, სვან. **ბ̈ათქა/ბეთქა** „წყვეტა", **ხჳ̈ატა/ხჳეტა** „წყვეტა", **ჭკ̈აჟა/ჭკეჟა** „წყვეტა", **თხ̈არა/თხერა** „სკდომა", **ბ̈აჭკჷა/ბეჭკჷა** „წყვეტა", **კ̈ადა/კედა** „წყვეტა" ... და, მეორე მხრივ, ქართ. *წყვეტა, ხეთქვა, ბეგვა, ბრეგვა, ღეჭვა, კრეჭა, ტყეპა*... თუმცა, ქართულ ფორმებში დადასტურებული -ა, შესაძლოა, -ან სუფიქსის ნაშთიც იყოს (შდრ. *ბრაგვანი, ტყაპანი, ბრახვანი* და ა. შ.), რასაც, ერთი შეხედვით, თითქოს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ხშირად სვანური რედუპლიცირებული ფუძეების მეორე ნაწილში უცვლელად არის დაცული ქართულისათვის ამოსავალი სავარაუდო ფუძეების ძირეული ფორმები, მაგ.: სვან. **ტყაპ-ა** (< ქართ. *ტყაპ-ან-ი*), სვან. **ბრახ-ა** (< ქართ. *ბრახ'ვ'-ან-ი*), სვან. **ჯაჯგ-ა** (< ქართ. *ჯაჯგ-ან-ი*) და ა. შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო კომპოზიტთა შემადგენელი სეგმენტები (**ბითქ** და **ბ̈ათქა**, **ბიჭკჷ** და **ბ̈აჭკჷა/ბეჭკჷა**, **შკჷიფ** და **შკჷაფა** და ა. შ.) ერთდროულად თანაარსებობენ ენაში, პირველი მათგანი (**ბითქ, ბიჭკჷ, შკჷიფ**...) უმეტესად იდიომატურ გამოთქმებში გამოიყენება, მეორე (**ბ̈ათქა, ბ̈აჭკჷა/ბეჭკჷა, შკჷაფა**...) კი დამოუკიდებლად, როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეული. ამოსავალი, ცხადია, რედუპლიცირებული ფუძეების პირველი კომპონენტია, რომლის რედუპლიკაციის შედეგად ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებითა და რედუპლიკატებში **ი** ~ **ა** ხმოვანთა ალტერნაციით უნდა მიგვეღო ჯერ **ბითქ-ბ̈ათქ, რისტ-რასტ, სიტ-სატ, ჯიჯკ-ჯაჯკ**... (შდრ., ასევე, **ბითქ ი ბათქ, რისტ ი რასტ, სიტ ი სატ, ჯიჯკ ი ჯაჯკ**..., რომელთა მართლწერასაც ინტონაცია განსაზღვრავს!), ხოლო შემდეგ ინტერპოზიციურად მაერთებელი კავშირის ჩართვით ზემოთ დასახელებული რედუპლიცირებული ფორმები, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ისინი, ძირითადად, სვანური ხალხური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი და ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში **ბითქ-ბ̈ათქ, რისტ-რასტ, სიტ-სატ, ჯიჯკ-ჯაჯკ** და ა. შ. ფორმები გამოიყენება.

შენიშვნა: ჩვენი აზრით, ქართული რედუპლიცირებული ფუძეების მაერთი ხმოვანი -ა- (**ჩახაჩუხ-ი, ჭახაჭუხ-ი, ტაკატუკ-ი** და ა. შ), რომელიც დღეს უკვე ფუძესთან არის შეხორცებული, მაერთებელი და კავშირის ხმოვნითი ელემენტი უნდა იყოს. თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვის შემდეგ ხმოვანი ფუძეს შეერწყა და თავდაპირველი მნიშვნელობაც დაიკარგა. ვფიქრობთ, ამ აზრს სვანურის ჩვენებაც ამყარებს.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმატული ცხრილის სახით წარმოვადგენთ საანალიზო (ანუ „მაერთხმოვნიან") ფუძეთა ყველა შესაძლო, ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ, პარალელურ ვარიანტს სავარაუდო ქრონოლოგიური თანმიმდევრობით:

ბითქ	ბითქ-ბითქ	ბითქ-ბ̈ათქ	ბითქ-ი-ბ̈ათქ-ა	ბურთქჷნ	ბგრთქჷნ
ბიჭკჷ	ბიჭკჷ-ბიჭკჷ	ბიჭკჷ-ბ̈აჭკჷ	ბიჭკჷ-ი-ბ̈აჭკჷ-ა	Ø	Ø

[1] საანალიზო ფუძეები, როგორც ვ. თოფურია შენიშნავს, სვანური პოეზიიდანაა მითითებული, არაზუსტი ორთოგრაფიული დაწერილობაც, ალბათ, ამისი შედეგია (ანუ ლექსის ზომამ განაპირობა!). ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში **წჳირმი-იფ̈არე**-ს ნაცვლად უნდა ყოფილიყო **წჳირმ̄-იფ̈არ** (< **წჳირმი-ი-იფ̈არ**) „წვირმი და იფარი". გრძელხმოვნიან დიალექტებში მორფემათა ზღვარზე ორი იდენტურ (ი + ი) ხმოვნის შერწყმის შედეგად საკომპენსაციოდ უნდა მიგვეღო გრძელი (ī) ხმოვანი, რაც პოეზიაში არ განხორციელდა.

ბრინ	ბრინ-ბრინ	ბრინ-ბრან	ბრინ-ი-ბრან-ა	Ø	Ø
თჳიგ	თჳიგ-თჳიგ	თჳიგ-თჳაგ	თჳიგ-ი-თჳაგ-ა	Ø	Ø
პილტ	პილტ-პილტ	პილტ-პალტ	პილტ-ი-პალტ-ა	Ø	Ø
რისტ	რისტ-რისტ	რისტ-რასტ	რისტ-ი-რასტ-ა	Ø	Ø
რიყ	რიყ-რიყ	რიყ-რაყ	რიყ-ი-რäყ-ა	Ø	Ø
რიპ	რიპ-რიპ	რიპ-რაპ	რიპ-ი-რაპ-ა	Ø	Ø
სგჳიპ	სგჳიპ-სგჳიპ	სგჳიპ-სგჳაპ	სგჳიპ-ი-სგჳაპ-ა	სგჳრპჳნ	Ø
სიტ	სიტ-სიტ	სიტ-სატ	სიტ-ი-სატ-ა	Ø	სგრტგნ
ტყიგ	ტყიგ-ტყიგ	ტყიგ-ტყაგ	ტყიგ-ი-ტყაგა	Ø	Ø
ტყიბ	ტყიბ-ტყიბ	ტყიბ-ტყაბ	ტყიბ-ი-ტყაბ-ა	Ø	ტყგრბგნ
ქჳიზ	ქჳიზ-ქჳიზ	ქჳიზ-ქჳაზ	ქჳიზ-ი-ქჳაზ-ა	Ø	Ø
შკჳიფ	შკჳიფ-შკჳიფ	შკჳიფ-შკჳაფ	შკჳიფ-ი-შკჳაფ-ა	შკჳრფჳნ	შკგრფგნ
ჰიფხ	ჰიფხ-ჰიფხ	ჰიფხ-ჰაფხ	ჰიფხ-ი-ჰაფხ-ა	Ø	Ø
ჯიჭგ	ჯიჭგ-ჯიჭგ	ჯიჭგ-ჯაჭგ	ჯიჭგ-ი-ჯაჭგ-ა	Ø	Ø
ჯიჭკ	ჯიჭკ-ჯიჭკ	ჯიჭკ-ჯაჭკ	ჯიჭკ-ი-ჯაჭკ-ა		ჯგრჭკგნ...

როგორც ცხრილიდან ჩანს, „მაერთხმოვნიან“ ყველა ფუძეს მოეპოვება პარალელური ვარიანტი „შიშველი“ ანუ გაუფორმებელი ფუძის სახით (**ბითქ, ბიჭკჳ, ქჳიზ, ჰიფხ, ჯიჭკ...**), ასევე, მოეპოვება როგორც ი ~ ა ხმოვანთმონაცვლეობით რედუპლიცირებული ვარიანტები მაერთი ხმოვნის გარეშე (**ბითქ-ბათქ, ბიჭკჳ-ბაჭკჳ, ჰიფხ-ჰაფხ...**), ისე პარალელური ფორმები იდენტური ხმოვნებით (**ბითქ-ბითქ, ბიჭკჳ-ბიჭკჳ, ჰიფხ-ჰიფხ...**), აგრეთვე მაერთი ხმოვნის გარეშე. ამ ტიპის ფუძეთა ერთ ნაწილს მოეპოვება **-ჳნ/-ჳნ** და **-გნ/-გნ-** სუფიქსებით გართულებული რედუპლიცირებული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია ამოსავალი „შიშველი“ ფუძეებისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით, მაგ.: **ბითქ** → **ბურთქუნ/ბგრთქგნ, შკჳიფ** → **შკურფჳნ, ჯიჭკ** → **ჯგრჭკგნ...** (დაუშვებელია: **ბითქინ** ან **ბუთქუნ, შკჳიფინ** ან **შკჳიფჳნ, ჯიჭკუნ** ან **ჯიჭკგნ...**).

აქვე შევნიშნავთ, რომ ყველა სხვა რედუპლიცირებულ ფუძეში (ვგულისხმობთ რედუპლიცირებული ფუძის პირველ ნაწილს) ამოსავალი, თავდაპირველი ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი. ცვლილებათა მთელი სპექტრი, როგორც ვნახეთ, **-ჳნ/-ჳნ** და **-გნ/-გნ-** სუფიქსიან რედუპლიცირებულ ფუძეებში ვლინდება.

რაღა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა ის სემანტიკური სხვაობაც, რაც „მაერთხმოვნიან“ რედუპლიცირებულ ფუძეებსა და მის პარალელურ ვარიანტებს (resp. ბგერწერით რიგებს) შორის ვლინდება. ე. წ. „პირველადი მასდარები“, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი (არნ. ჩიქობავა, ა. დავითიანი, რ. ჭკადუა...), გადმოსცემენ სხვადასხვა სახის ხმიანობას, ანუ ეს არის ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას. ბუნებრივია, ერთგვარი სემანტიკური სხვაობა შეინიშნება დანარჩენ ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ პარალელურ ვარიანტებს შორისაც, კერძოდ:

1. **ბითქ-ბითქ, რისტ-რისტ, სგჳიპ-სგჳიპ, შკჳიფ-შკჳიფ, ჯიჭკ-ჯიჭკ** და ა. შ. ფორმები გამოხატავენ რაიმე თანმიმდევრულ, წყვეტილ მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას;
2. **ბითქ-ბäთქ, რისტ-რäსტ, სგჳიპ-სგჳäპ, შკჳიფ-შკჳäფ, ჯიჭკ-ჯäჭკ** და სხვ. ფორმები ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას;
3. **ბითქ-ი-ბäთქ-ა, რისტ-ი-რäსტ-ა, სგჳიპ-ი-სგჳäპ-ა, შკჳიფ-ი-შკჳäფ-ა, ჯიჭკ-ი-ჯäჭკ-ა** და მისთ. ფორმები კი, როგორც უკვე ითქვა, სვანური სიმღერების ენისთვისაა დამახასიათებელი და **ბითქ-ბäთქ** ტიპის ფორმათაგან თითქოს მხოლოდ ინტონაციურად განსხვავდებიან, თუმცა ამა თუ იმ მოქმედების შედეგად გამოცემული ჟღერადობის ხანგრძლივობაც ხელშესახებია, რასაც მაერთი **-ი-** უნდა განაპირობებდეს.

4. „მაერთხმოვნიან“ რედუპლიცირებულ ფუძეთა ერთ ნაწილს, როგორც უკვე ითქვა, მოეპოვება **-უნ/-ჷნ** და **-გნ/-გ̂ნ-** სუფიქსებით გართულებული რედუპლიცირებული ფუძეებიც (**ბურთქჷნ, სგურჰუნ, შკურფუნ, ბგრთქგ̂ნ, სგრტგნ, ტყგრპგნ, შკგრფგნ...**), რომლებიც სხვადასხვა სახის (სულიერის თუ უსულოს მიერ გამოცემულ) გაბმულ, განუწყვეტელ ხმიანობას გამოხატავენ.

2. **CVC-V-CVC-V** ტიპის რედუპლიკაცია

$C_1V_1C_2$-V_2 – $C_1V_3C_2$-V_4 სტრუქტურაში $C_1 = C_1$, $C_2 = C_2$, V_1 და $V_2 \neq V_3$ და V_4, სადაც V_2 არის ორი ძირის შემაერთებელი ხმოვანი და ყოველთვის ემთხვევა პირველი მარცვლის ხმოვანს, V_4 კი მეორე რედუპლიკატის ხმოვანს — V_3.[1]

ი ~ ი — უ ~ უ	
ბილ-ი-ბულ-უ (ჩოლ.)	„ლუღლუღი, უაზრო საუბარი არმცოდნე ადამიანის“
ბირ-ი-ბურ-უ (ჩოლ.)	„კრეტინის ლაპარაკი“
კირ-ი-კურ-უ (ჩოლ.)	„უაზრო, ჩქარი, გაუთვებელი ლაპარაკი“
ბირ-ი-პურ-უ (ჩოლ.)	„უაზრო, ჩქარი, გაუთვებელი ლაპარაკი“
პიწ-ი-პუწ-უ (ჩოლ.)	„განებივრებული გოგოს ხმაშეცვლილი, წვრილი ლაპარაკი“
ჟირთხ-ი-ჟურთხ-უ (ჩოლ.)	„თლიფინით ლაპარაკი“
ყირ-ი-ყურ-უ (ჩოლ.)	„კრეტინის ლაპარაკი“
ფირფ-ი-ფურფ-უ (ჩოლ.)	„უკბილოს ლაპარაკი, ენაჩლიფინას ლაპარაკი“
ფიჩ-ი-ფუჩ-უ (ლშხ., ლნტ., ჩოლ.)‖ფიჩ-ი-ფუჩ-ი (ლშხ.)	„ჩურჩული; ფაჩიფუჩი; ფაჩუნი“
ყირტ-ი-ყურტ-უ (ჩოლ.)	„ხმამაღლა როყიო საუბარი ერთმანეთში“
ჩირ-ი-ჩურ-უ (ჩოლ.)	„ენაჩლიფინით ლაპარაკი“
ციც-ი-ფუც-უ‖ციც-ი-ფუც-ი (ბქ.)[2]	„ფაცაფუცი, „ფაციფუცი“
პირ-ი-პურ-უ[3] (ჩოლ.)	„ქალების მითქმა-მოთქმა“...

არაიდენტური **ი ~ უ** ხმოვანთმონაცვლეობა, ძირითადად, ქვემოსვანური დიალექტებისათვის აღმოჩნდა დამახასიათებელი. პირველი მოდელის ფორმათაგან განსხვავებით მათ არ აღმოაჩნდათ არც პარალელური ხმოვანმონაცვლე ვარიანტები (მაგ.: **ბილ-ბულ, ბირ-ბურ, კირ-კურ, ჩირ-ჩურ...; ბილ-ბალ, ბირ-ბარ, კირ-კარ, ჩირ-ჩარ...**) მაერთი ხმოვნის გარეშე, არც იდენტურხმოვნიანი (**ბილ-ბილ, ბირ-ბირ, კირ-კირ, ჩირ-ჩირ** და ა. შ.) ვარიანტები და, არც „პირველად მასდარებად“ წოდებული ე. წ. „შიშველი“ (გაუფორმებელი) ფუძეები (***ბილ, *ბირ, *კირ, *ჩირ...**).

სემანტიკურად **ბილ-ი-ბულ-უ-ს** ტიპის რედუპლიცირებული ფუძეები, ძირითადად, მეტყველებასთან მიახლოებული ხმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია, თუმცა ზოგი მათგანი (**ფიჩ-ი-ფუჩ-უ/ფიჩ-ი-ფუჩ-ი, ციც-ი-ფუც-უ/ციც-ი-ფუც-ი**) ერთდროულად გამოხატავს რაიმე მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას.

საინტერესოა, რა განსხვავებაა პირველ (**CVCn-V-CVCn-V**) და მეორე (**CVC-V-CVC-V**) მოდელში წარმოდგენილ ფორმებს შორის და რა ფუნქცია აკისრია მაერთ ხმოვანს?

ჩვენი აზრით, პირველ მოდელში (**CVCn-V-CVCn-V**) ი-ს ფუნქცია სავსებით ნათელია, იგი, როგორც უკვე ითქვა, მაერთებელი კავშირია[1]. რაც შეეხება მეორე მოდელში (**CVC-V-CVC-V**) წარმოდგე-

---

[1] შდრ., ასევე, **კიპ-ი-მიპ-ი** (ლშხ.) „მითქმა-მოთქმა“, **რიზ-ი-მიზ-ი** (ლხმ.) „უთავბოლო ყბედობა“ ფორმები (სანიკიძე 1977:29), სადაც მაერთი ი, ჩვენი აზრით, სახელობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს, თუმცა მსგავსი მაგალითები იშვიათობას წარმოადგენს სვანურში.

[2] ბალსქვემოურში ერთადერთი ფუძე შეგვხვდა გამონაკლისის სახით.

[3] ჩოლურულ მეტყველებაში დადასტურდა **ჟღიპრ-ი-ჟღგრპ-უ** „ტირილით ლაპარაკი“ სტრუქტურის რედუპლიცირებული ფუძე, თუმცა ჯერჯერობით მეტი მაგალითი ვერ მოვიძიეთ.

ნილ ი-ს, ვფიქრობთ, წარმოშობით სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რომელსაც დაკარგული აქვს პირვანდელი ფუნქცია და დღეს უკვე მოიაზრება რედუპლიცირებული ძირების მაერთ ხმოვნად ანუ ინტერფიქსად. ვინაიდან ქართულში გვაქვს *ფაციფუცი, ფაჩიფუჩი* და სხვ. ფორმები, სადაც ი აშკარად სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ეს საშუალებას იძლევა სვანური საანალიზო ფორმების ი-ც სახელობითი ბრუნვის ნიშნად მივიჩნიოთ. დაბრკოლებას ქმნის რედუპლიცირებული ფუძის მეორე ნაწილის აბსოლუტურ ბოლოში (ანუ აუსლაუტში) გამოვლენილი -უ ხმოვანი, რომელიც, შესაძლოა, მაერთი ხმოვნის ანალოგიით გაჩენილადაც მივიჩნიოთ, თუმცა -უ ხმოვნიანი ფორმების (-ფუჩუ, -ფუცუ) პარალელურად -ი ხმოვნიანი (ლშხ. -ფუჩი, ბქ. -ფუცი) ფორმების არსებობა გვავარაუდებინებს, რომ აუსლაუტისეული -უ ხმოვანი სწორედ -ი ხმოვნისაგან მომდინარედ ჩავთვალოთ. ვფიქრობთ, იგი იმავე ფუძის წინამავალმა ხმოვანმა (-უ'მ) დაიმსგავსა.

შენიშვნა: ი ~ უ ხმოვანთმონაცვლეობის ერთადერთი მაგალითი — **ფიჩიფუჩუ** „ჩურჩული" აქვს მოხმობილი თავის ნაშრომში „რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში" ლ. სანიკიძეს და შესადარებლად უთითებს ქართულ (კუთხურ) ფორმას — **ფუჩ-უნ-ი** (1977:28), როგორც ჩანს, მკვლევარს სვანური საანალიზო ლექსემის ბოლოკიდური -უ- ქართული -უნ- სუფიქსის ნაშთად მიაჩნდა, თუმცა ახსნას არ იძლევა. ვინაიდან ქართულში *ფაციფუცი, ფაჩიფუჩი* და ა. შ. ფორმები დასტურდება, ადვილი შესაძლებელია **ფიჩიფუჩუ** და მისთ. ფორმები ქართულიდან შემოსულად ვივარაუდოთ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით და არა **ფუჩ-უნ-ი-ს** ტიპის ფორმებისაგან. ამ შემთხვევაში სვანური რედუპლიცირებული ფუძეების ინტერპოზიციაში გამოვლენილი -ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიჩნევა უფრო მართებულად მიგვაჩნია.

იდენტურხმოვნიანი რედუპლიკაცია მარცვლის ჩართვით

CnVS და **CVS** სტრუქტურათა დუბლირებითა (resp. კონსონანტური და ვოკალური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) და ინტერპოზიციურად -მა- მარცვლის ჩართვით ვიღებთ **CnVS + CV + CnVS** და **CVS + CV + CVS** სტრუქტურის რედუპლიცირებულ ფუძეებს[2]:

ჷ/ჷ̄ ~ მა ~ ჷ/ჷ̄		უ/უ̄ ~ მა ~ უ/უ̄	
ბეჷ̄ლ-მა-ბეჷ̄ლ (ბზ., ლშხ.), ბეჷლ-მა-ბეჷლ (ბქ., ლნტ.)	„განუწყვეტლივ ზუზუნი, ბზუილი, ჭყიპინი, ბჟუილ-ბჟუილი"		
ბღჷ̄ლ-მა-ბღჷ̄ლ (ბზ., ლშხ.), ბღჷლ-მა-ბღჷლ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„განუწყვეტელი ბღავილი"		
		ბღუ̄ლ-მა-ბღუ̄ლ (ჩოლ.)	„განუწყვეტელი ბღავილი"
		გუ̄ლ-მა-გუ̄ლ (ბზ., ლშხ.), გულ-მა-გულ (ბქ., ლნტ.)	„გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური"
გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ (ჩოლ.)	„გაბმული ყმუილი; დიდი ხმაური"		
დრიზ-მა-დრიზ (ბქ.), დრიზ-მა̈-დრიზ (ლხმ.)	„ხელის გარტყმის ძლიერი ხმა"		
დუ̄რიმ-მა̈-დუ̄რიმ (ლხმ.)	„ბრაგვანი"		
დღჷლ-მა-დღჷლ (ბქ., ჩოლ.)	„ხევის ერთიმეორეზე მიყოლებული ხმა;		

[1] ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, რედუპლიკაციის პროცესებში გადამწყვეტი როლი ინტონაციასაც უნდა ეკისრებოდეს, თუმცა ექსპერიმენტული ფონეტიკის აპარატურით შესწავლის გარეშე ამ საკითხზე საუბარი ნაადრევად გვეჩვენება.

[2] 1. $C_1 C_2 V_1 S_3 + CV + C_1 C_2 V_2 S_3$, სადაც $C_1 = C_1, C_2 \neq C_2, S_3 = S_3, V_1 = V_2$, 2. $C_1 V_1 S_2 + CV + C_1 V_2 S_2$, სადაც $C_1 = C_1, S_2 = S_2, V_1 = V_2$.

	ფხრეწის მრავალგზისი ხმა; ხელის გარტყმის ხმა"		
		ზულ-მა-ზულ (ბქ.), ზუ̄ლ-მა-ზუ̄ლ (ჩოლ.)	„ზუზუნი"
ზგ̄ლ-მა-ზგ̄ლ (ჩოლ.)	„ზუზუნი"		
თხგლ-მა-თხგლ (ჩოლ.)	„გაბმული სიცილი, ხითხითი"		
კილ-მა̈-კილ (ზს., ლნტ.), კილ-მა-კილ (ლშხ., ჩოლ.)	„წივილ-კივილი"		
		ჟულ-მა-ჟულ (ზს.)	„ხმაური (ხალხისა, ქარისა...), ქარბუქის ზუზუნი"
ჟღგლ-მა-ჟღგ̄ლ (ბზ.), ჟღგლ-მა-ჟღგლ (ბქ.), ჟღგ̄ლ-მა-ჟღგ̄ლ (ლშხ., ჩოლ.)	„ბავშვის გაბმული ტირილი; მოთქმა (თავმოყრილი ხალხისა)"		
ჭგლ-მა-ჭგლ (ბზ.), ჭგლ-მა-ჭგლ (ბქ.), ჭგლ-მა-ჭგლ (ჩოლ.)	„გაბმული ხმაური ყურებში"		
სგლ-მა-სგლ (ზს., ლნტ.), სგ̄ლ-მა-სგ̄ლ (ლშხ.)	„სისინი (ქარისა, ტყვიისა, გველისა,...)"		
		ტულ-მა-ტულ (ბქ.)	„გაბმული ყვირილი"
		ღუ̄ლ-მა-ღუ̄ლ (ბზ., ლშხ.), ღულ-მა-ღულ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ღმუილი"
		ყუ̄ლ-მა-ყუ̄ლ (ბზ., ლშხ.), ყულ-მა-ყულ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„გაბმული ყვირილი"
ყგრ-მა-ყგრ (ბქ.)	„ყვირილი"		
		შულ-მა-შულ (ბქ.), შუ̄ლ-მა-შუ̄ლ (ჩოლ.)	„ქშინვა"
ცხგლ-მა-ცხგლ (ბქ.)	„შიშხინი მწვადისა"		
ძგ̄ლ-მა-ძგ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ძგგლ-მა-ძგგლ (ბქ., ლნტ.)	„ძლიერი სროლის ხმა"		
		ჰულ-მა-ჰულ (ბქ.)	„ჰუილ-წუილი"
ჰყგ̄ლ-მა-ჰყგ̄ლ (ბზ.), ჰყგლ-მა-ჰყგლ (ბქ., ჩოლ.)	„ჰყავილი, ჰყვირილი"		
		ხულ-მა-ხულ (ჩბხ.)	„რახარუხი"...
ხგ̄ლ-მა-ხგ̄ლ (ბზ., ჩოლ.), ხგლ-მა-ხგლ (ბქ.)	„რახარუხი"...		

წარმოდგენილ სტრუქტურულ მოდელებში რედუპლიცირებული ფუძეების აუსლაუტისეული თანხმოვანი ყველგან სონორია, რაც, ალბათ, მაერთი მარცვლის თანხმოვნითმა (ე. წ. სონორულმა) ელემენტმა შ'შ განაპირობა (ანუ დაიმსგავსა). უნდა ითქვას ისიც, რომ მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად უუმლაუტო ა ხმოვნით არის წარმოდგენილი, რედუპლიცირებული ფუძეების ხმოვნები კი უ/უ̄ და გ/გ̄-ა.

მაერთი მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანი აღმოჩნდა რამდენიმე ფორმაში — კილმა̈კილ „კივილი", დრიზმა̈დრიზ „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა", დჷრიმმა̈დჷრიმ „ბრაგვანი", რომელთა შემადგენელი კომპონენტების ძირეული ხმოვანია ი. საინტერესოა რამ გამოიწვია აღნიშნული ხმოვნის უმლაუტი, როცა ზემოთ წარმოდგენილ ფუძეთა უმეტესობაში მაერთი მარცვლის ხმოვანი არაპალატალურია?

ჩვენი დაკვირვებით: როდესაც კომპოზიტის შემადგენელი ძირები ხმაბაძვითია, ფუძეებში კი უ/უ̈ და ჷ/ჷ̈ ხმოვნებია წარმოდგენილი და ინფიქსად **-მა-** მარცვალი გვევლინება, ამ შემთხვევაში მაერთი მარცვლის ხმოვანი უმეტესად მოკლე ხმოვანია, არახმაბაძვითი ძირების შემთხვევაში კი კომპოზიტის მეორე შემადგენელი კომპონენტი (ანუ მაერთი მარცვალი) ა/ა̈ ხმოვნით არის წარმოდგენილი (მაგ.: **ხილმა̈ხილ** „ხილეული", **გუ̈იზმა̈გუ̈იზ** „კვირტიანი თხილის ტოტების კონა", **ბიდუ̈მა̈ბიდუ̈** „ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა", **ტიშმა̈ტიშ** „ტილეულობა" და ა. შ.), თუმცა მიზეზი ამ შემთხვევაში არახმაბაძვითი ძირები კი არ უნდა იყოს, რადგანაც უმლაუტიანი **-მა̈-** ხმაბაძვით ფუძეებშიც დადასტურდა (შდრ. **კილმა̈კილ** „კივილი", **დრიზმა̈დრიზ** „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა", **დუ̈რიმმა̈დუ̈რიმ** „ბრაგვანი"), არამედ სწორედ საანალიზო ფუძეებში გამოვლენილი მოკლე **ი** ხმოვანი, რომელსაც უნდა გამოეწვია **ა** ხმოვნის უმლაუტი. ზემოთ წარმოდგენილ ჷ/ჷ̈ და **უ/უ̈** ხმოვნისშემცველ ფუძეებში კი უმლაუტის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს.

სვანურში, როგორც ირკვევა, ძალზე ხშირია **-მა-** მარცვლის ჩართვა ფუძის გაორკეცებისას, რაც, ვ. თოფურიას ვარაუდით (1979:291), საწარმოებელი თავსართი შეიძლება იყოს. სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენადაც ვიცით, აღნიშნული მარცვლის შესახებ სხვა არაფერია ნათქვამი. ცხადია, ვიზიარებთ იმ აზრს, რომ **-მა-** ნამდვილად საწარმოებელი თავსართია, თუმცა უნდა აიხსნას, რა ფუნქცია აკისრია მას გაორკეცებულ ფუძეებში და როგორია მისი წარმომავლობა.

მსგავსი ფორმების არსებობა სვანურში აუცილებლად გაგვახსენებს, უპირველეს ყოვლისა, ქართულ — ***წარამარა, ხათრიმათრი, ხურდამურდა, გიჟმაჟი, კუჭმაჭი, ქოხმახი*** და ა. შ. ფორმებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიღებულია თავკიდური თანხმოვნის ან მარცვლის (თანხმოვან-ხმოვნის) შენაცვლებით, რაღა თქმა უნდა, მსგავსი წარმოების რედუპლიცირებული ფუძეები სვანურშიც გვხვდება (შდრ.: **დელემელე** (ლშხ.) „ავადმყოფის უგრძნობლად ყოფნა", **ჯაყალმაყალ**[1] (ზს.), **ჯაყაუ̈მაყაუ̈** (ლხმ., ჩბხ.) „შეშინება (გეშინია-მეშინია-ს ტიპის)", **ცაქუ̈ამა̈ქუ̈ა** (ლშხ.) „ჭორაობა, ერთი ამბავი, მითქმა-მოთქმა (გითხარი-მითხარი-ს ტიპის)", **ხულდუბულდუ** (ზს.) „ხურდამურდა", **ჯექარმექარ** „ჭორაობა, მითქმა-მოთქმა (გითხარი-მითხარი-ს ტიპის)" და ა. შ., თუმცა მახვილი თვალი იმ დიდ განსხვავებასაც დაინახავს, რაც ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ **კილ-მა̈-კილ, ტულ-მა-ტულ, გუ̈ლ-მა-გუ̈ლ**... ტიპის ფუძეებსა და შესადარებლად მოყვანილ ქართულ-სვანურ ფორმებს შორის ვლინდება.

P.S. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი **-მა-** მარცვლის შემცველ სვანურ რედუპლიცირებულ ფორმებს ვერ მივიჩნევთ გაორკეცების იმ ტიპად, რაც ქართულშიც და სვანურშიც გვაქვს (კერძოდ, გაორკეცება დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით — შდრ. ერთი მხრივ, ქართ.-სვან. ***ხათრიმათრი, ხურდამურდა***..., **ჯაყალმაყალ, ცაქუ̈ამა̈ქუ̈ა**... და, მეორე მხრივ, სვან. „**ბეჷ̈ლ-მა-ბეჷ̈ლ, გჷ̈ლ-მა-გჷ̈ლ, ბლუ̈ლ-მა-ბლუ̈ლ** და ა. შ.). როგორც ვხედავთ, სვანურში რედუპლიცირებული ფუძის ორივე სეგმენტის თავკიდური თანხმოვნები იდენტურია, **-მა-** კი ინტერფიქსად გვევლინება; ამოსავალი მარტივი ფუძეებიც ცნობილია, რომელთა გამოყენება სვანურში ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულ **უ-ზარ-მა-ზარ, უ-ჩინ-მა-ჩინ, უ-სწორ-მა-სწორ-ო** (შდრ. ასევე, სვანური **უ-ჭირ-მა-ჭირ-დ** „უწვალებლად (ზედმიწ. — უ-ჭირ-ვ-ებ-ლ-ად-მა-ჭირ-ვ-ებ-ლ-ად)", **უ-დლ-ა-მა-**

---

[1] **ცაქუ̈ამა̈ქუ̈ა** და **ჯაყალმაყალ** ტიპის ფორმებში თავკიდურ თანხმოვანთა თუ მარცვალთა მონაცვლეობა სავსებით ნათელია, რასაც ამოსავალი მარტივი ფუძეების არსებობაც ადასტურებს (შდრ. სვან. **მაყალ/მაყაუ̈** „შიში" და **მა̈ქუ̈ა** „მითხრას" მნიშვნელობით, ეს უკანასკნელი ხშირად იხმარება წყევლის ფორმულებში (მაგ.: **შაუ̈ოდუ̈ ჯაქუ̈ა!** (ბქ.) „დაწყევლილი იყავი (ზედმიწ. — შავ-ი-მც გ-ე-თქვ-ა-ს!)!" და ა. შ.). ზოგი საანალიზო კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტების (მაგ.: **დელემელე**...) პირველადი მნიშვნელობა კი დღემდე გაურკვეველია, ამიტომ ძნელია ვისაუბროთ თავკიდურ თანხმოვანთა ან მარცვალთა მონაცვლეობაზე. ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა დიფერენცირება ქართულშიც სავსებით შესაძლებელია. ჩვენი აზრით, ქართ. ***გიჟ-მაჟ-ი, ქოხ-მახ-ი***... < **გიჟ-მა-გიჟ-ი, *ქოხ-მა-ქოხ-ი* ფორმებისაგან, ხოლო ***ხათრიმათრი, ხურდამურდა***... ფორმებში აშკარად თავკიდურ თანხმოვანთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე, რასაც *ხათრი, ხურდა*... ფორმათა არსებობაც უჭერს მხარს). რაც შეეხება ***წარამარა*** ფორმას, მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობა უცნობია, ამიტომ გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია.

ღლ-ად „მოუცდელად, ლოდინის გარეშე“... ფორმებიც — იხ. ქვემოთ!) და ა. შ. ფორმებში ინტერფიქსად გამოვლენილი -მა- სწორედ სვანური საანალიზო -მა- მარცვლის იდენტური აღმოჩნდეს. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა დღემდე არც ქართულში ყოფილა[1].

ვინაიდან -მა- მარცვალი არახმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებშიც ვლინდება სვანურში, აქედან გამომდინარე, უნდა გაირკვეს, სად რა ფუნქცია და სემანტიკა აკისრია, საკითხის უკეთ გასარკვევად კი პარადიგმის სახით წარმოვადგენთ -მა- მარცვლის შემცველ არახმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებს:

პარადიგმა I

არახმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები (კრებითი სახელების ფუნქციით)	
ბიღჷ-მა̈-ბიღჷ (ბქ.)	„ყოველგვარი მტვერი, ნაგავი; ნაგვეულობა“
გჷიზ-მა̈-გჷიზ (ზს.)	„კვირტიანი თხილის ტოტების კონა; კონეულობა“
ტიშ-მა̈-ტიშ (ბქ.)	„ტილეულობა“
ღჷნ-მა-ღჷნ (ბქ.)	„დღესასწაულები“
შედ-მა-კჷედ (ზს., ლშხ.), შედ-მა̈-კჷედ (ლნტ.), შედ-მა-შედ (ლშხ., ჩოლ.)	„ჭამ-პურჭელი; ჭურჭლეულობა“
ხილ-მა̈-ხილ (ზს.), ხილ-მა-ხილ (ქს.)	„ხილეული, ხილეულობა“
ჯიდ-მა-ჯიდ (ჩოლ.)	„მისატან-მოსატანი; შემოწირულობა“...

პარადიგმა II

არახმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები (ვითარებითი ზმნისართების ფუნქციით[2])	
ჷ-გნ-ა-მა-გნ-ად (ბქ., ჩოლ.)	„ადრიანად, დილაუთენია“
ჷ-ღლა-მა-ღლა-დ (ზს., ქს.)	„მოუცდელად; ლოდინის გარეშე“
ჷ̄-ზნ-ა-მა̈-ზნ-ად (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჷ-ზნ-ა-მა-ზნ-ად (ბქ., ლნტ.)	„მიუსვლელად, წაუსვლელად“
ჷ̄-ქჷ-ა-მა̈-ქჷ-ად (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჷ-ქჷ-ა-მა-ქჷ-ად (ბქ.)	„უთქმელად; მოულოდნელად, უცაბედად“
ჷ-ცხ-ა-მა-ცხ-ად (ბქ.)	„გაუზრდელად“
ჷ-ცხიდ-ა-მა-ცხიდ-ად (ბქ.)	„დაუწუნებლად“
ჷ-წს-ა-მა-წს-ად (ბქ.)	„დაუპატიჟებლად“
ჷ-ჭირ-მა-ჭირ-დ (ბქ.)	„უწვალებლად, გაურჯელად“
ჷ-ხალ-მა-ხალ-დ (ბქ.)	„უცოდინრად“
ჷ-ჭგრ-ა-მა-ჭგრ-ად (ბქ.)	„უკურთხებლად“...

ვფიქრობთ, პირველ პარადიგმაში მოცემულ მასალაში -მა- მარცვალი კრებითობას გამოხატავს და ქართული -ობა- სუფიქსის ტოლფარდია (შდრ. ქართ. *ხილეულობა*, *ტკბილეულობა*, *ჭურჭლეულობა* და ა. შ.), რაც შეეხება მეორე პარადიგმაში წარმოდგენილ მასალს, იქ -მა- აშკარად მაწარმოებელი აფიქსია, თუმცა გასარკვევია რისი მაწარმოებელია და რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს მას რედუპლიცირებულ ფუძეებში.

პრეფიქსი მა- სვანურში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფუნქციით დასტურდება, კერძოდ:

1. აწარმოებს განყენებულ (ე. წ. აბსტრაქტულ) სახელებს — **მა-ლატ** „სიყვარული“, **მა-ხალ** „ცოდნა; ეშმაკობა“, **მა-ყალ** „შიში“, **მა̈-ზიგ/მა-ზიგ** „ტკივილი; სნეულება“, **მა-მჷირ/მა-მა̈ჷირ** „სიზარმაცე“, **მა-ჟარ** „მოწყენა“, **მა̈-გიდ** „ძილი“ და სხვ.

2. მა- საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი თავსართია — **მა̈-შა̈დ/მა̈-შედ** „მაშველი“, **მა-ჟოღ/მა-ჟოღჷ** „გამძღოლი“, **მა-ჯა̈დ/მა-ჯედ/მა-ჯად** „მოსავალი“, **მა-ზჷა̈ბ/მა-ზჷაბ/მა-ზჷებ**

[1] ჩვენი ვარაუდით, აღნიშნულ მარცვალს ქართველურ ენებში სიტყვათმაწარმოებელი აფიქსის ფუნქცია უნდა ჰქონოდა, თუმცა მეგრულ-ლაზურში მისი კვალი არ ჩანს, ქართულში კი ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

[2] საანალიზო ფუძეთა პირველი სეგმენტები — **ჷ-გნ-ა**, **ჷ̄-ზნ-ა**, **ჷ-წს-ა** და ა. შ. მიჩნეულია უარყოფითი მიმღეობის ფორმებად (თოფურია 1967:223) და შეტანილია ნამყოს მიმღეობათა რიგში, როგორც წარსულში შეუსრულებელი მოქმედების აღმნიშვნელი (ჭკადუა 2011:241).

„წყარო (ზედმიწ. — ამომსვლელი, ამომავალი)“, მა-შა̈ნ/მა-შან „ნაყოფი, რაც ასხია)“ და მისთ. (თოფურია 1967:212-215).

ვფიქრობთ, უ-ჭირ-მა-ჭირ-დ ტიპის ფუძეებში (შდრ., ასევე, ჩოლ. ტიხ-მა-ტიხ „ნათხოვარი ნივთების დაბრუნება (ზედმიწ. — ბრუნება-მობრუნება)“, ბქ. გუჟიმატახ, ჩოლ. გუჟიმატიხ „გულძმარვა (ზედმიწ. — გულ-ზე ამობრუნება, მაბრუნება)“...) და, შესაბამისად, კილ-მა-კილ ფორმებში ინტერფიქსად გამოვლენილი -მა- გენეტიკურად საშუალ-ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსი უნდა იყოს, თუმცა კილ-მა-კილ, ტულ-მა-ტულ, დრიზ-მა̈-დრიზ და ა. შ. რედუპლიცირებულ ფორმათა მეორე სეგმენტი — მა-კილ, მა-ტულ, მა̈-დრიზ, როგორც ცალკე აღებული ლექსიკური ერთეული, დღევანდელი მონაცემების მიხედვით, სვანურში არ გამოიყენება.[1]

ჩვენი ვარაუდით, -მა- მარცვალი, რომელიც ინტერფიქსად გვევლინება სვანურში და რომლის კვალი ქართულ არახმაბაძვით ფორმებშიც არცთუ ისე იშვიათად ჩანს, მარედუპლიცირებელი (ანუ „ფუძეთგამყარი“) აფიქსი უნდა იყოს, მისი ჩართვა რედუპლიცირებულ ძირებს შორის, ცხადია, სემანტიკურ ცვლილებასაც იწვევს (შდრ., ერთი მხრივ, კილ-კილ „კივილი (ზედმიწ. — კივ-ილ-კივ-ილ-ი)“, გჷ̄ლ-გჷ̄ლ „ყმუილი (ზედმიწ. — ყმუილ-ყმუილი)“, დრიზ-დრიზ „ხელის გარტყმის ხმა (ზედმიწ. — დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა)“... და, მეორე მხრივ, კილ-მა̈-კილ „წივილ-კივილი“, გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ „ყმუილი“, დრიზ-მა̈-დრიზ „ხელის გარტყმის ხმა“ და სხვ.), მისი საშუალებით მრავალგზისი და, ასევე გაბმული ხმიანობა გადმოიცემა (სემანტიკური ცვლილების შესახებ იხ. ქვემოთ!).

„მაერთმარცვლიანი“ რედუპლიცირებული ფუძეების პარალელური ვარიანტები:

ბჟჷ̄ლ	ბჟჷ̄ლ-ბჟჷ̄ლ	ბჟჷ̄ლ-მა-ბჟჷ̄ლ	∅
ბღჷ̄ლ	ბღჷ̄ლ-ბღჷ̄ლ	ბღჷ̄ლ-მა-ბღჷ̄ლ	∅
ბღუ̄ლ	ბღუ̄ლ-ბღუ̄ლ	ბღუ̄ლ-მა-ბღუ̄ლ	∅
გუ̄ლ	გუ̄ლ-გუ̄ლ	გუ̄ლ-მა-გუ̄ლ	∅
გჷ̄ლ	გჷ̄ლ-გჷ̄ლ	გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ	∅
დრიზ	დრიზ-დრიზ	დრიზ-მა-დრიზ	∅
დუ̂რიმ	დუ̂რიმ-დუ̂რიმ	დუ̂რიმ-მა̈-დუ̂რიმ	∅
დღჷლ	დღჷლ-დღჷლ	დღჷლ-მა-დღჷლ	∅
ზულ	ზულ-ზულ	ზულ-მა-ზულ	∅
ზჷ̄ლ	ზჷ̄ლ-ზჷ̄ლ	ზჷ̄ლ-მა-ზჷ̄ლ	∅
თხჷლ	თხჷლ-თხჷლ	თხჷლ-მა-თხჷლ	∅
კო̄ლ	კოლ-კოლ	კოლ-მა-კოლ	∅
ჟულ	ჟულ-ჟულ	ჟულ-მა-ჟულ	∅
ჟღჷლ	ჟღჷლ-ჟღჷლ	ჟღჷლ-მა-ჟღჷ̄ლ	ჟღჷრმჷნ
ჟჷლ	ჟჷლ-ჟჷ̄ლ	ჟჷლ-მა-ჟჷ̄ლ	∅
სჷლ	სჷლ-სჷლ	ხჷლ-მა-სჷლ	∅
ტულ	ტულ-ტულ	ტულ-მა-ტულ	∅
ღუ̄ლ	ღუ̄ლ-ღუ̄ლ	ღუ̄ლ-მა-ღუ̄ლ	ღურმუნ
ყუ̄ლ	ყუ̄ლ-ყუ̄ლ	ყუ̄ლ-მა-ყუ̄ლ	∅
ყჷრ	ყჷრ-ყჷრ	ყჷრ-მა-ყჷრ	∅
შულ	შულ-შულ	შულ-მა-შულ	∅

[1] სვანური ენის დიალექტებში კილ-მა-კო̄ლ, წკულ-მა-წკუ̄ლ, გუ̄ლ-მა-გუ̄ლ და ა. შ. ფორმების პარალელურად დაფიქსირდა კილ-ნა-კო̄ლ (ჩოლ.) „წივილ-კივილი (ზედმიწ. — კივ-ილ-ი ნა-კივ-ლ-არ-ი)“, წკულ-ნა-წკუ̄ლ (ჩოლ.) „წკმუილი (ზედმიწ. — წკმუილ-ი-ნა-წკმუილ-არ-ი)“, გუ̄ლ-ნა-გუ̄ლ (ჩოლ.) „ყმუილი (ზედმიწ. — ყმუილი ნაყმუილარი)“... ტიპის ფორმები, სადაც -ნა- წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსია. ამ ფორმების არსებობამ კი გვავარაუდებინა მარცვლისეულ მ/ნ (ე. წ. სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, რაც ძალზე გავრცელებული ფონეტიკური პროცესია სვანურში (შდრ. უნბილ/უმბილ „უნებლიე“, ანბა̈უ̂/ამბა̈უ̂ „ამბავი“...), თუმცა -მა- მარცვლიანი არახმაბაძვითი ფორმებისა და, ამასთანავე, მა̈-შედ, მა-ჭა̈დ... ტიპის მიმღეობური ფორმების არსებობამ, ეს ვარაუდი ეჭვქვეშ დააყენა.

ცხჷლ	ცხჷლ-ცხჷლ	ცხჷლ-მა-ცხჷლ	∅
ძგჷ̄ლ	ძგჷ̄ლ-ძგჷ̄ლ	ძგჷ̄ლ-მა-ძგჷ̄ლ	∅
ჭულ	ჭულ-ჭულ	ჭულ-მა-ჭულ	∅
ჭყჷ̄ლ	ჭყჷ̄ლ-ჭყჷ̄ლ	ჭყჷ̄ლ-მა-ჭყჷ̄ლ	ჭყჷრმჷ̄ნ
ხულ	ხულ-ხულ	ხულ-მა-ხულ	∅
ხჷ̄ლ	ხჷ̄ლ-ხჷ̄ლ	ხჷ̄ლ-მა-ხჷ̄ლ	∅

„მაერთმარცვლიან" ყველა რედუპლიცირებულ ფუძეს გააჩნია **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძე** (**ბეჷ̄ლ, ბღჷ̄ლ, ზჷ̄ლ, ხჷ̄ლ**...) და პარალელურად იდენტურხმოვნიანი, მარტივი სტრუქტურის მქონე ვარიანტები (**ბეჷ̄ლ-ბეჷ̄ლ, ძგჷ̄ლ-ძგჷ̄ლ, ჭყჷ̄ლ-ჭყჷ̄ლ**...). რაც შეეხება **-უნ/-უ̄ნ** და **-ჷნ/-ჷ̄ნ-** სუფიქსებით ნაწარმოებ რედუპლიცირებულ ფორმებს, წარმოდგენილი მოდელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ისინი იშვიათად იწარმოებიან (**ჟღჷრმ-ჷნ, ღურმ-უნ, ჭყჷრმ-ჷ̄ნ**).

რა თქმა უნდა, ზემოთ წარმოდგენილ პარალელურ ვარიანტებს შორის სემანტიკური სხვაობაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად თვალშისაცემია:

1. **კილ-კილ, გჷ̄ლ-გჷ̄ლ, დრიზ-დრიზ** და ა. შ. ფორმები გამოხატავენ რაიმე თანმიმდევრულ, წყვეტილ მოქმედებას და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას; ეს მოქმედება კი, ერთი შეხედვით, თითქოს ერთჯერად მოქმედებას მოგვაგონებს.

2. რაც შეეხება **კილ-მä-კილ, გჷ̄ლ-მა-გჷ̄ლ, დრიზ-მä-დრიზ** და მისთ. ფორმებს, ისინი ერთდროულად გამოხატავენ მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას. **კილ-კილ** ტიპის ფორმათაგან განსხვავებით, **-მä-** მარცვლიანი რედუპლიცირებული ფორმები მრავალჯერად ანუ მრავალგზის, უწყვეტ მოქმედებას გამოხატავენ.

შენიშვნა: ჩვენ მიერ განხილულ ყველა ტიპის რედუპლიცირებულ ფორმათა გამოყენებას ხშირად კონტექსტიც განსაზღვრავს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი, ძირითადად, მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში გამოიყენება: **კილ-'კილ' ენკიდ** „დაიკივლა (ზედმიწ. — კივ-ილ-კივ-ილ-ი აიღო)", მაგრამ **ჩუ ხოგ კილ-მä-კილ** „ერთი ამბავი აქვს, გაჰკივის (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-ს წივილ-კივილი)"; **დრიზ-'დრიზ' ახღანე** „დაარტყა (ზედმიწ. — **დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა** გაადინა)", მაგრამ **ჩუ ხოგხ დრიზ-მä-დრიზ** „აქვთ ერთი ამბავი, ჩხუბობენ მუშტებით (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-თ **დრუზ-ვ-ა**)"; **სგუ̈იპ-'სგუ̈იპ' ენკიდ** „გასროლის ხმა მოისმა (ზედმიწ. — ჭახანი აიღო)", მაგრამ **ჩუ ხოგ სგუ̈იპ-სგუ̈აპ** „ისვრის განუწყვეტლივ (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-ს ჭახან-ჭახანი)" და ა. შ. ცხადია, ფორმათა სპონტანური ჩანაცვლება ერთგვარ დისონანსს შეიტანს სვანურ ფონოსემანტიკურ სისტემაში, ამიტომ კონტექსტის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

სვანური ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ რედუპლიცირებულ ფუძეებში შეერთება უმეტესად უკავშიროა, თუმცა გამონაკლისები მაინც იჩენს თავს და უკავშირო ფუძეგაორკეცებული ფორმების პარალელურად „მაერთხმოვნიანი" ვოკალური ალტერნაციაც დასტურდება და „მაერთმარცვლიანიც" სხვადასხვა ფუნქციით. ინტერფიქსად წარმოდგენილ -ი-ს, რომელიც ორ განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელში დაჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში აერთიანებს დახურული მარცვლით წარმოდგენილი დუბლირებული (ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) ძირის სტრუქტურებს (**ფიც-ი-ფუც-უ, ფირფ-ი-ფურფ-უ, ყირტ-ი-ყურტ-უ**...; **ბითქ-ი-ბäთქ-ა, ძგუ̈იბ-ი-ძგუ̈აბ-ა, ჯიჯგ-ი-ჯაჯგ-ა**...), მას მაინც სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, კერძოდ: ერთ შემთხვევაში -ი-ს მივიჩნევთ სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მეორე შემთხვევაში კი, საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით, მაერთებელ კავშირად, რომელიც ფუძეს შეერწყა და თანდათანობით დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა.

უნდა ითქვას ისიც, რომ საანალიზო სტრუქტურულ მოდელებში (ვგულისხმობთ ზემოთ წარმოდგენილ სამივე სტრუქტურულ მოდელს, ე. ი. **-ი-** ხმოვნითა და **-მა-** მარცვლით ნაწარმოებ ფორმებს)

ერთი მეორეს არ ცვლის, ანუ -მა- მარცვალს არ შეიძლება ჩაენაცვლოს მაერთი -ი- და, პირიქით, მაერთ -ი-ს არ ჩაენაცვლება -მა- მარცვალი (დაუშვებელია **ბუზ̈ლ-მა-ბუზ̈ლ** ფორმის ნაცვლად **ბუზ̈ლ-ი-ბუზ̈ლ-ა** ან **ყირტ-ი-ყურტ-უ**-ს ნაცვლად **ყირტ-მა-ყურტ-უ** და მისთ.), არც ორ სხვადასხვა სტრუქტურულ მოდელში ინტერფიქსად გამოვლენილი -ი- ენაცვლება ერთმანეთს ანუ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ცხადია, „მაერთხმოვნიან" და „მაერთმარცვლიან" რედუპლიცირებულ ფუძეებს შორის სემანტიკური სხვაობაც ხელშესახებია და ამ სემანტიკურ სხვაობას სწორედ მაერთი -ი- და -მა- იწვევენ, რომელთა მეშვეობით ახალი ბგერწერითი რიგები ჩამოყალიბდა სვანურში.

როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ ჷ) მონაცვლეობით რედუპლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული აღმოჩნდა **ი ~ ა** ხმოვანმონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძეები. როგორც ი. მელიქიშვილი მიუთითებდა, „მეგრულსა და სვანურში /ი – ა/ კონტრასტი არის გამოყენებული ევროპულ ენათა მსგავსად და ქართულისაგან განსხვავებით" (მელიქიშვილი 199:86). **ა ~ უ** ხმოვანმონაცვლეობა კი, რომელიც ძალზე ხშირია ქართულში, იშვიათობაა სვანურში. ასევე, იშვიათად გვხვდება **ი ~ უ**, **ა ~ ი** და **ი ~ ჷ** დაპირისპირება. რაც შეეხება საშუალო აწეულობის /ე – ო/ ხმოვნებს, ისინი, როგორც წესი, არ მონაწილეობენ ამ სახის ბგერითი შინაარსის გადმოსაცემად, ამიტომ ი. მელიქიშვილი აყალიბებს წესს, რომელსაც, სავარაუდოდ, უნივერსალური ხასიათი უნდა ჰქონდეს: „თუ არარეგულარული მოქმედება/ხმიანობის გადმოსაცემად ენაში ხმოვნითი ალტერნაცია არის გამოყენებული, ეს პირველ რიგში მაღალი — დაბალი აწეულობის ხმოვანთა მაქსიმალურად კონტრასტული დაპირისპირება იქნება (ი ~ ა, უ ~ ა)" (იქვე).

ჩვენი დაკვირვებით, სვანურში არა მხოლოდ მაღალი — დაბალი აწეულობის ხმოვანთა კონტრასტული დაპირისპირება გვაქვს, არამედ მაღალი აწეულობის /ი – უ – ჷ/ ხმოვანთა დაპირისპირებაც (ი ~ უ, ი ~ ჷ).

რედუპლიცირებულ ფუძეთა უმეტესი ნაწილი კავშირის გარეშეა წარმოდგენილი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც უკავშირო ფუძეგაორკეცებული ფორმების პარალელურად „მაერთხმოვნიანი" ვოკალური ალტერნაციაც დასტურდება და „მაერთმარცვლიანიც" სხვადასხვა ფუნქციით.

7. 3. სუფიქსაციისათვის სვანურ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში

სვანური ფონოსემანტიკური ლექსიკის შედარებითი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მათი გამოყენება საკმაო ხშირია **უსუფიქსოდ — მარტივი (ე. წ. შიშველი) ფუძეებით**:

ბითქ (ზს., ქს.)	„ბათქაბუთქი"
ბიტყ (ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგუ̄იბ (ბქ., ჩოლ.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"
დგუ̄ლიბ (ბქ.)	„დუგდუგი"
ზღუ̄იბ (ჩოლ.)	„წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა"
თხიბ (ბქ.)	„ბლანტი სითხის დასხმის ხმა, თხაპანი"
რისტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა"
ტკირ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის, ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"
ტკუ̄იბ (ბქ.)	„ტკაპანი"
ტუ̄რიმ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"
ტყუ̄იფ (ბქ.)	„ხელის გარტყმის ხმა"

ფლიჩ (ბქ., ჩოლ.)	„ფაჩუნი; ხმელ ფოთლებზე ფრთხილი სიარული“
ღრიჭ (ზს., ქს.)	„ღრჭიალი, ღრიჭინი“
ყჷლიჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“
შკჷიფ (ბქ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა, კაკუნი“
ჩხიკ (ზს., ქს.)	„ჩხაკაჩხუკი, რაიმე ნივთის დავარდნის ხმა“
ჩხჷიფ (ბქ.)	„მსხვრევის ხმა“
წყიგ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი“
ჭიხ (ზს.)	„ჭახ-ჭახი, ჭახანი; გარტყმის ხმა“
პკჷიპ (ბქ.)	„ძაფის გაწყვეტის ხმა“
ხჷრიმ (ბქ.)	„ხრამუნი“
ხჷრიპ (ზს., ლშხ., ჩოლ.)	„ხვრეპა“...

ფუძის გაორკეცებით:

ბითქ-ბითქ (ზს., ქს.)	ბითქ-ბათქ (ზს., ქს.)	„ბათქაბუთქი“
ბიტყ-ბიტყ (ლშხ., ჩოლ.)	ბიტყ-ბატყ (ლშხ., ჩოლ.)	„მირტყმა-მორტყმის ხმა“
დგჷიბ-დგჷიბ (ზს., ქს.)	დგჷიბ-დგჷაბ (ზს., ქს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი“
სგჷიპ-სგჷიპ (ბქ.)	სგჷიპ-სგჷაპ (ბქ.)	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა“
სიტ-სიტ (ბქ., ჩოლ.)	სიტ-სატ (ბქ., ჩოლ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი“
ტჷრიმ-ტჷრიმ (ბქ.)	ტჷრიმ-ტჷრამ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“
ტყჷისგ-ტყჷისგ (ბქ.)	ტყჷისგ-ტყჷასგ (ბქ.)	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა“
ღრიჭ-ღრიჭ (ზს., ქს.)	ღრიჭ-ღრაჭ (ზს., ქს.)	1. „ღრჭიალი (ფიცრისა, ქალალდისა)“; 2. „ღრჭიალი (თმისა)“
ყჷლიჩ-ყჷლიჩ (ბქ.)	ყჷლიჩ-ყჷლაჩ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“
შკჷიფ-შკჷიფ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	შკჷიფ-შკჷაფ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა“
შხიპ-შხიპ (ბქ.)	შხიპ-შხაპ (ბქ.)	„წკეპლის გადაჭერის ხმა“
ჩხიკ-ჩხიკ (ზს., ქს.)	ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ქს.)	„ჩხაკაჩხუკი“
წყიგ-წყიგ (ბქ.)	წყიგ-წყაგ (ბქ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი“
ხჷრიმ-ხჷრიმ (ბქ.)	ხჷრიმ-ხჷრამ (ბქ.)	„ხრამუნი“
ხჷრიპ-ხჷრიპ (ბქ.)	ხჷრიპ-ხჷრაპ (ბქ.)	„ხვრეპა“...

და სუფიქსაციით:

ა) -ჷნ/-უნ

ბურდღ-უნ (ზს.)	„ბურდღუნი“
ბურთქ-ჷნ (ბზ.), ბურთქ-უნ (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით“
გურგ-უნ (ბქ.)	„გრგვინვა; გუგუნი“
დგურბ-უნ (ზს., ქს.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი“
დგურბ-უნ (ბქ., ჩოლ.)	„დგაფუნი, ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)“
ზურზ-უნ (ლნტ.)	„ზუზუნი; ზარი, ზრუნი“
თხურპ-ჷნ (ბზ., ლშხ.), თხურპ-უნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„თუხთუხი; სრუტუნი“
კურკ-ჷნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურკ-უნ (ბქ., ლნტ.)	„კრუსუნი“, შდრ. ქართ. კურკური
ჟურყ-უნ (ბქ.)	„ტყლაშუნი“
სგურპ-უნ (ბქ.)	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა“
ტურმ-უნ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა“
ტყურსგ-ჷნ (ბზ.), ტყურსგ-უნ (ბქ.)	„ტკაცანი, ტკაცატკუცი; თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ტყორცნის ხმა“
ტყურფ-ჷნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტყურფ-უნ (ბქ., ლნტ.)	„ტკაცანი, სროლის ხმა“
ფურსდ-ჷნ (ბზ., ლშხ.), ფურსდ-უნ (ბქ., ლნტ.),	„ჩურჩული“

ფჷრსტ-ჷნ (ბქ.)	
ფხჷრკ-ჷნ (ჩოლ.)	„ფხაკუნი“
ღჷრღ-ჷნ (ზს.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი“
ღჷრღ-ჷნ (ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)“
ყჷრფ-ჷნ (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა; ტკაცატკუცი“
ყჷრყ-ჷნ (ბქ.)	„მუცლის ბუყბუყი“
ყჷრჩ-ჷნ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა“
შკჷრფ-ჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ჭოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა; კაკუნი“
მყჷრბ-ჷნ (ბქ.)	„ბრაგუნი“
ჩჷრჩ-ჷნ (ბქ.)	„ჩურჩული“
ჩხჷრმ-ჷ̄ნ (ბზ.), ჩხჷრმ-ჷნ (ბქ.)	„ლაწალუწი“
ჩხჷრტ-ჷნ (ბქ.)	„ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში“
ცჷრც-ჷნ (ბქ.)	„ჩურჩული“
ცჷრცხ-ჷნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი“
ცხჷრკ-ჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ცხჷრკ-ჷნ (ბქ., ლნტ.)	„რაიმეს შეწვის ხმა; ცხუკუნი“
ძგჷრბ-ჷ̄ნ (ბზ.), ძგჷრბ-ჷნ (ბქ.)	„გლეჯის ხმა, (თოკის) გაწყვეტის ხმა“
წჷრწკ-ჷ̄ნ (ბზ.), წჷრწკ-ჷნ (ბქ., ქს.), შდრ. წკჷ̄ლ/წკჷლ „წკმუტუნი“	„წკმუტუნი; წუწუნი“
ჭყჷრტ-ჷნ (ბქ.)	„ჭყუტუნი, ჭუკჭუკი (მწყრისა)“
ჭჷრჭყ-ჷნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი“
ხჷრმ-ჷნ (ბქ.)	„ხრამუნი“
ხჷრპ-ჷნ (ბქ.)	„ხვრეპა“
ხჷრჭკ-ჷნ (ბქ.)	„ჭამის დროს გამოცემული ხმა“
ხჷრხ-ჷ̄ნ (ბზ.)	„კრუტუნი (კატისა)“
ჯჷრჯღ-ჷნ (ჩბხ., ლნძ.)	„ჯუჯღუნი, ბუზღუნი“...

ბ) -გნ/-გ̄ნ

ბგლბ-გნ (ბქ.), შდრ. ჩბხ., ლნძ. ბგლ-ბგნ „დაძონძილი, ძონძებით სიარული“, შდრ. ბგლ „ხევის, ფხრეწის ხმა“	„ძუნძული“
ბგლდ-გნ‖ფგლთ-გნ (ლშხ.)	„ძონძებით შემოსილის მოძრაობა“
ბგრბ-გნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. ლი-ბგრ-ბლ-აჷ-ი (ლშხ.) < ლი-ბგრ-ბგლ-აჷ-ი, იგივეა, რაც ლი-ბგრ-ბგნ-ი (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი“; უხეში ლაპარაკი; ბურდღუნი, როშვა“, შდრ. ქართ. (ფშ., ხევს.) ბუბუნი „ხარის ხმიანობა“
ბგრთქ-გ̄ნ (ბზ.), ბგრთქ-გნ (ბქ., ჩოლ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით“
გგრგ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.)	„გრგვინვა; გუგუნი“
დგრდგ-გნ (ჩბხ.)	„დაგადუგი, დუგდუგი“, შდრ. ქართ. დუდუნი „დაბალი ხმით დაუნაწევრებელი ბგერების გამოცემა, ყრუ და წყნარი ხმიანობა, ბუტბუტი“
ზგრზ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.) ზგრზ-გნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. ზჷ̄ლ/ზჷლ „ზმუილი“	„ზუზუნი; ბუზღუნი; ზანზარი“
თქგრშ-გნ (ლშხ., ჩოლ.)	„ოთხფეხის, ჯოგის უწესრიგო სირბილი“
თხგრპ-გნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„თხუპუნი“
თხგრშ-გნ (ბქ.)	„თხლაშანი“
თგრთხ-გნ (ბქ.)	„თითხინი“
კგლკ-გნ (ბქ., ჩოლ.)	„ლიკლიკი“
კგლბ-გნ (ბქ., ჩოლ.)	„წკლაპუნი; ლიკლიკი“
კგრკ-გნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„კისკისი“

კგრპ-გნ (ბქ.)	„წკლაპუნი"
მგრტყ-გნ (ბქ.)	„უშნო ჭამა ხმის გამოცემით"
პგრპ-გნ (ლხმ.)	„რატრატი, ლაქლაქი, ჩქარი ლაპარაკი, ყბედობა; პარპალი"
ჟღგრმ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჟღგრმ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ჟღავილი"
ჟგრჟღ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჟგრჟღ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ჟღარუნი"
ჟგრჟ-გნ (ლხმ.)	„ჟრიამული"
სგრტ-გნ (ბქ.), სგრტ-გ̄ნ (ლშხ., ბქ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი"
ტკგრჩ-გ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტკგრჩ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ჭახაჭუხი, შირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა"
ტკგრც-გნ (ბქ., ჩოლ.)	„ტკაცანი (ძვლისა, ნაპერწკლისა...), ტკაცატკუცი"
ტყგრგ-გნ (ლშხ., ჩოლ.)	„ფეხშიშველა, მსუქანი ადამიანის სირბილი"
ტგრტ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ტგრტ-გნ (ბქ., ლნტ.), შდრ. ლი-ტგრ-ტგნ-ი და ლი-ტგრეტ-ი (ბქ.)	„რატრატი, ლაქლაქი, ყბედობა"
ტგრტყ-გ̄ნ (ბზ.), ტგრტყ-გნ (ბქ.)	„ტატყანი"
ფხგრკ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხგრკ-გნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ფხაკუნი"
ფხგრჭ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფხგრჭ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ფხაჭუნი (თაგვისა...)"
ფგლთ-გნ (ბქ.)	„ფამფალი"
ფგლფ-გნ (ბქ.)	„ფამფალი, მოფამფალებული, დაძაბუნებული სიარული"
ფგრთქ-გ̄ნ (ბზ.)/ფგრთქ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ბაგაბუგი, ფრთქიალი"
ფგრფ-გნ (ბქ.)	„დაუკვირვებელი რატრატი; ჩიფჩიფი"
ფგრჩხ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფგრჩხ-გნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"
ფგრცხ-გნ ‖ ლი-ფგრცხ-გნ-ი (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"
ღგლწკ-გნ (ბზ.)	„ღრაჭუნი"
ღგრწკ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღგრწკ-გნ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"
ღგრღ-გნ (ბქ.)	„ბოხი ხმით საუბარი; ღუღლუღი; ხიხინი; ხმაჩახლეჩით საუბარი"
ყგრფ-გნ (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა; ტკაცატკუცი"
ყგრყ-გნ (ზს.), შდრ. ლი-ყგრ-ყგნ-ი (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი; ყიყინი; ყავყავი"
ყგრჭ-გნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"
შკგრფ-გნ (ბქ.), შკგრფ-გ̄ნ (ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის ან რაიმე ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა; კაკუნი"
შხგრპ-გნ (ბქ.)	„წყლის გადაპერის ხმა"
შგრთქ-გნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„წრიალი, უშნო მოძრაობა ხმის გამოცემით"
შგრშ-გნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. შგ̄ლ/შგლ „შუილი"	„შუილი"
შგრშხ-გ̄ნ (ბზ., ლშხ.), შგრშხ-გნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"
ჩქგრფ-გნ‖ლი-ჩქფგნ-ე (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ჩგრჩ-გნ (ბქ.)	„პატარა ბავშვის საუბარი"
ჩგრჩხ-გნ (ბქ.), შდრ. ჩხგლ „ჩხრიალი"	„ჩხარაჩხური; ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"
ჩხგრკ-გ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჩხგრკ-გნ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი"
ჩხგრმ-გ̄ნ (ბზ.), ჩხგრმ-გნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"
ჩხგრფ-გნ (ზს.), ლი-ჩხფუნ-ე (ბზ.), ლი-ჩხფგნ-ე (ბქ., ჩოლ.)	„ძლიერი ჩუხჩუხი (წყლისა)"
ცქგრტ-გნ (ბქ.)	„თავშეკავებული სიცილი ქალებისა, ცქმუტუნი"
ცხგრპ-გნ (ბქ.)	„წვეთწვეთობით მისხმა-მოსხმის ხმა (ფაფუულისა...)"
ცგრცხ-გნ (ბქ.), ცგრცხ-გ̄ნ (ლშხ.) < *ცხგლცხგნ, შდრ.	„დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი", შდრ. ქართ.

ცხჷ̄ლ/ცხჷლ „შუშხუნი"	(გურ.) ცუცხუნი „ფუცხუნი, ცაცხანი; გალიზიანება"
ძჷრწკ-ჷნ (ბქ.)	„ღრჭიალი"
წკჷლპ-ჷნ (ბქ.)	„წკლაპუნი"
წჷრწკ-ჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"
წყჷრგ-ჷნ (ბქ., ჩოლ.)	„წყლის წვეთვის ხმა, წანწკარი", შდრ. მეგრ. წყურგვინ
პყჷრმ-ჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), პყჷრმ-ჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჭიჭყინი"
წჷრწკ-ჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"
პკჷლპ-ჷნ (ბქ.)	„კრიჭინი"
პკჷრპ-ჷნ (ბქ.)	„კრაჭუნი"
პყჷრმ-ჷნ (ბქ.)	„ჭიჭყინი"
პჷრპკ-ჷ̄ნ (ბზ.), პჷრპკ-ჷნ (ბქ.)	„ჟრიამული, ხმაური; ჭიკჭიკი"
პჷრპყ-ჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), პჷრპყ-ჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი"
პჷრპ-ჷ̄ნ (ბზ.), პჷრპ-ჷნ (ბქ.)	„ჭიკჭიკი, ჭრიჭინი"
ხჷრგ-ჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ხჷრგ-ჷნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ხრიგინი"
ხჷრმ-ჷ̄ნ (ლშხ., ჩოლ.)	„ხრამუნი"
ხჷრხ-ჷნ (ბქ.), ხჷრხ-ჷ̄ნ (ლშხ.)	„ხროტინი"
ჭჷლჭგ-ჷნ (ბქ.), ლი-ჭჭგჷნ-ე (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"...

გ) -ინ/-ი̄ნ

კჷრკ-ი̄ნ (ჩოლ.)	„კისკისი"
ფჷრღ-ი̄ნ (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ყჷრყ-ი̄ნ (ბზ.)	„პირდაღებული ტირილი"
ჩჷრჩხ-ი̄ნ (ბზ.)	„ჩხარუნი"; „ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"
ცჷრღ-ი̄ნ (ჩოლ.)	„კანკალი, ცახცახი"
ცჷრცხ-ი̄ნ (ბზ., ჩოლ.)	„დუღილი, ფუცხუნი"

დ) -ეჳ/-ე̄ჳ

ტ-ე̄ჳ-ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტ-ეჳ-ა (ბქ.), ტ-ა̄ჳ-ა (უშგ.)	„აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი"
ტიმტ-ეჳ-ა (ბქ.)	„აურზაური, აყალმაყალი"
ფჷც-ე̄ჳ-ა (ბზ., ლშხ.), ფჷც-ეჳ-ა (ბქ., ლნტ.)	„ფუთფუთი (ფრინველებისა, ჭიაღუებისა)"
ჭიმპკ-ე̄/ეჳ-ა (ჩოლ.)	„ხმაური (ბავშვებისა)"
პკლ-ე̄ჳ-ა (ლშხ.)	„ხმაური (დიდი)"
პჷნპყ-ე̄ჳ-ა (ბზ.)	„ხმაური (ბავშვებისა)"
ჭგლ-ე̄ჳ-ა (ჩოლ.)	„ხმაური (ხალხისა)"
ხლ-ე̄ჳ-ა (ჩოლ.)	„ხმაური (ხალხისა)"
ჭჷნჭღ-ე̄ჳ-ა (ბზ.)	„ხმაური (ბავშვებისა)"...

სვანური -ჳნ/-უნ და -ჷნ/-ჷ̄ნ სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულების შესახებ მსჯელობა ამა თუ იმ სახით (ლ. სანიკიძე, რ. პკადუა) დასტურდება საენათმეცნიერო ლიტერატურაში, -ინ/-ი̄ნ და -ეჳ/-ე̄ჳ სუფიქსიანი ხმაბაძვითი ფორმების შესახებ კი დღემდე არაფერია ნათქვამი.

იმისათვის, რომ ფონოსემანტიკური ექსპრესიული ფუძეების აუსლაუტში წარმოდგენილი სეგმენტების (-ჳნ/-უნ, -ჷნ/-ჷ̄ნ, -ინ/-ი̄ნ, -ეჳ/-ე̄ჳ) ფუნქცია და წარმომავლობა გაირკვეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამოსავალი მარტივი ფუძეების გამოვლენა და ანალიზი.

როგორც უკვე ითქვა, სვანურში საკმაო ხშირია ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულების **უსუფიქსოდ — მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძით** გამოყენების შემთხვევები. მათ გამოყენებას სვანურში სის-

ტემური ხასიათი აქვს, ახასიათებთ ფუძის გაუფორმებლობა, რაც მათ არქაულობაზე მეტყველებს და ისინი ენათმეცნიერთა მიერ მიჩნეულია *პირველად მასდარებად*[1] (არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, ა. დავითიანი...).

უნდა ითქვას ისიც, რომ **უსუფიქსოდ — მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძით** წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკის უმეტესი ნაწილი შემონახულია იდიომატურ გამოთქმებში (მაგ.: გჷიდ აშ **დგჷიბ ენკიდ** (ბქ.) „გულმა დაიგუგუნა („გულ-მა ასე ბაგაბუგი აიღო")", ღჷინალს **ხჷრიმ ახღანე** (ბქ.) „ღვინო ხვრეპით დალია („ღვინო-ს ხვრეპა გაადინა")", ბეფშჷს **ჭიხ ახღანე** (ბქ.) „ბავშვს გაარტყა („ბავშვ-ს ჭახან-ი გაადინა")" და მრავ. სხვ.), თუმცა ისინი ხშირად ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულებიც (მაგ.: **იმემ ხჷრიმ ჯარ?** (ბქ.) „რას ახრამუნებ („რისი **ხრამ-უნ-ი** გაქვს?")?", **მოლემ ღრიჭ მესმიჷ** (ბქ.) „რაღაცის ღრჭიალი მესმოდა", **ჩხიკ ესერ ახსგმა** (ბქ.) „ჩხაკუნი გავიგონეო („**ჩხაკ-უნ-ი-ო** 'მო'-**ხმ-ენ-ი-ა**")" და ა. შ.) ანუ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ე. წ. „პირველადი მასდარები" გარკვეულ ზმნებთან კომბინაციაში ექსპრესიული შინაარსის მოქმედებას გამოხატავენ (ჭკადუა 2013:237).

მიუხედავად იმისა, რომ **უსუფიქსო — მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძეები** დიდ როლს ასრულებენ რედუპლიკაციაში, კერძოდ კი ხმოვნის მონაცვლეობით ფუძის გაორკეცებაში (შდრ. **ი** ~ **ა**, **ა** ~ **ჷ**, **ი** ~ **ჷ** ...), მათ ყოველთვის არ ძალუძთ **ჷ** და **გ** ხმოვნის შემცველი (ანუ **დგურბუნ, ტურშუნ, ბგრთქგნ, დგრჭგნ**... ტიპის) ფუძეების წარმოება; ერთგვაროვან ბგერით ყალიბებს ან **ჷ**-ხმოვნიანი რედუპლიცირებული ფუძე აკლიათ, ან **გ**-ხმოვნიანი (იხ. მოდელი 1. **ი** ~ **ჷ** ~ **გ**). აქვე დავძენთ, რომ არც ყველა **ჷ** და **გ**-ხმოვნის შემცველ ფორმებს გააჩნიათ **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) **ფუძეები** (მაგ. შდრ. **ცურცჷნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ცურცუნ** (ბქ., ლნტ.) „ჩურჩული", მაგრამ არ დასტურდება — **ცირცჷ**; **ცხურკჷნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ცხურკუნ** „შიშხინი; რაიმეს შეწვის ხმა", მაგრამ არ მოგვეპოვება — **ცხირკჷ** და ა. შ.).[2]

შ.).[2]

ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში გვაქვს შემდეგ ხმოვანთა მონაცვლეობა:

1. **ი ~ ჷ ~ გ || ი ~ ი || ი ~ ა**

ბიტყ (ლშხ., ჩოლ.)	ბიტყ-ბიტყ (ლშხ., ჩოლ.)	ბიტყ-ბატყ (ლშხ., ჩოლ.)	Ø	Ø	„მირტყმა-მორტყმის ხმა"
დგჷიბ (ზს., ქს.)	დგჷიბ-დგჷიბ (ზს., ქს.)	დგჷიბ-დგჷაბ (ზს., ქს.)	დგურბჷნ (ზს., ქს.)	Ø	„დუგდუგი; ბაგაბუგი"
ბითქ (ზს., ქს.)	ბითქ-ბითქ (ზს., ქს.)	ბითქ-ბათქ (ზს., ქს.)	ბურთქჷნ (ბქ.)	ბგრთქგნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ბათქაბუთქი; ხმაური ფეხების მოძრაობით"
სგჷიჭ (ბქ.)	სგჷიჭ-სგჷიჭ (ბქ.)	სგჷიჭ-სგჷაჭ (ბქ.)	სგურჭჷნ (ბქ.)	Ø	„ბათქაბუთქი; იარაღის სროლის ხმა"
სიტ (ბქ., ჩოლ.)	სიტ-სიტ (ბქ., ჩოლ.)	სიტ-სატ (ბქ., ჩოლ.)	Ø	სგრტგნ (ბქ.), სგრტḡნ (ლშხ., ბქ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი"
ტჷრიმ (ბქ.)	ტჷრიმ-ტჷრიმ (ბქ.)	ტჷრიმ-ტჷრამ (ბქ.)	ტურმჷნ (ბქ.)	Ø	„მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა"
ტყჷისგ (ბქ.)	ტყჷისგ-ტყჷისგ (ბქ.)	ტყჷისგ-ტყჷასგ (ბქ.)	ტყურსგჷნ (ბქ.)	Ø	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა"
ღრიჭ (ზს., ქს.)	ღრიჭ-ღრიჭ (ზს., ქს.)	ღრიჭ-ღრაჭ (ზს., ქს.)	ღურჭჷნ[3] (ბქ.)	ღგრჭგნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ღგრჭგნ (ბქ.,	1. „ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)"; 2. „ღრჭიალი

[1] ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სახელურ-ზმნურ" ფუძეებსაც უწოდებენ (იხ. ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკე, XXXVI, თბ., 2008, გვ. 315-331).

[2] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ქვემოთ!

[3] ბალსქვემოური ამ შემთხვევაში (ანუ ერთგვაროვან ბგერით ყალიბში) ახდენს დიფერენცირებას: **ღრიჭ, ღრიჭ-ღრაჭ** და **ღგრჭგნ** გამოხატავს სემანტიკურად რაიმე ნივთის (მაგ. ფიცრის, ქაღალდის...) ღრჭიალს, ხოლო **ღურჭჷნ** თმის ღრჭიალს, რომელსაც თან ბზინვარებაც ახლავს. სემანტიკური სხვაობა მინიმალურია, თუმცა საკმაოდ ხელშესახებიც.

				ლნტ.)	(თმისა)"
ყჳ̂ლიჩ (ბქ.)	ყჳ̂ლიჩ-ყჳ̂ლიჩ (ბქ.)	ყჳ̂ლიჩ-ყჳ̂ლაჩ (ბქ.)	ყჳრჩჳნ (ბქ.)		„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"
შკჳ̂იღ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	შკჳ̂იღ-შკჳ̂იღ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	შკჳ̂იღ-შკჳ̂აღ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	შკჳრღჳნ (ბქ.)	შკჷრღჷნ (ბქ.), შკჷრღჷ̂ნ (ლშხ., ჩოლ.)	„ბოხის დარტყმის ხმა"
შხიპ (ბქ.)	შხიპ-შხიპ (ბქ.)	შხიპ-შხაპ (ბქ.)	Ø	შხჷრპჷნ	„წკეპლის გადაკვრის ხმა"
ჩხიკ (ზს., ქს.)	ჩხიკ-ჩხიკ (ზს., ქს.)	ჩხიკ-ჩხაკ (ზს., ქს.)	Ø	ჩხჷრკჷ̂ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჩხჷრკჷნ (ბქ.)	„ჩხაკაჩხუკი"
წჳიგ (ბქ.)	წჳიგ-წჳიგ (ბქ.)	წჳიგ-წჳაგ (ბქ.)	Ø	წჳჷრგჷნ (ბქ.)	„წყლის წვეთის ხმა, წანწკარი"
ხჳ̂რიმ (ბქ.)	ხჳ̂რიმ-ხჳ̂რიმ (ბქ.)	ხჳ̂რიმ-ხჳ̂რამ (ბქ.)	ხჳრმჳნ (ბქ.)	ხჷრმჷ̂ნ (ლშხ., ჩოლ.)	„ხრამუნი"
ხჳ̂რიპ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	ხჳ̂რიპ-ხჳ̂რიპ (ბქ.)	ხჳ̂რიპ-ხჳ̂რაპ (ბქ.)	ხჳრპჳნ (ბქ.)	Ø	„ხვრეპა"...

შენიშვნა: ჩვენი დაკვირვებით, ისეთ მარტივ ფუძეებს, როგორიცაა **ბრიხ** (ზს.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი", **დრიზ** (ბქ.) „ბრახაბრუხი, ბრახვანი; დარტყმის ხმა" და მისთ., გაორკეცებისას კომპოზიტის მეორე ნაწილში -ჳ- ხმოვანი ენაცვლება (შდრ. **ბრიხ-ბრჳხ** და **დრიზ-დრჳზ**) და საპირისპირო ფორმებს (ანუ -ჳ- და -ჷ-ხმოვნის შემცველს) ან საერთოდ ვერ აწარმოებს, ან იშვიათად და ისიც ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

2. ჳ ~ ჷ[1]

თხჳრპჳნ (ბქ., ჩოლ.)	„თხუპუნი"	თხჷრპჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„თხუპუნი"
კჳრკჳნ (ბქ.)	„კრუსუნი"	კჷრკჷ̂ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კჷრკჷნ (ბქ., ლნტ.), ქჷრკჷნ (ლნტ., ჩოლ.)	„კისკისი"
ღჳრღჳნ[2] (ზს., ჩოლ.)	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი"	ღჷრღჷნ (ბქ., ჩოლ.), შდრ. ლშხ. ლი-ღჳრ-ღჳ̂ლ-აჳ̂-ი „ბურდღუნი"	„გაბმული ტირილი, ღმუილი, ღნავილი; ბურდღუნი"
ყჳრღჳნ (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა"	ყჷრღჷნ (ზს.)	„ძვლების მსხვრევის ხმა"
ყჳრყჳნ (ბქ.)	„მეცლის ბუყბუყი"	ყჷრყჷნ (ზს.)	„ყაყანი; ყროყინი"
ჩხჳრმჳ̂ნ (ბზ.), ჩხჳრმჳნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"	ჩხჷრმჷ̂ნ (ბზ.), ჩხჷრმჷნ (ბქ.)	„ლაწალუწი; მსხვრევის ხმა"
ჩხჳრღჳნ (ზს.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"	ჩხჷრღჷ̂ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჩხჷრღჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჩუხჩუხი (წყლისა)"
ცჳრცხჳნ (ბქ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი"	ცჷრცხჷნ (ჩოლ.)	„დუღილი, შიშხინი, ცუცხუნი"
წჳრწკჳ̂ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წჳრწკჳნ (ბქ., ლნტ.)	„წკმუტუნი"	წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"
პჳრპყჳნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი"	პჷრპყჷ̂ნ (ბზ.), პჷრპყჷნ (ბქ.)	„პიპყინი" ...

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ბგერწერითად გამოყენებული **ჳ ~ ჷ** სვანურში ხმაბაძვის შემთხვევაში გამოხატავს მაღალ ტონს, ხოლო, რაც შეეხება **ი ~ ჳ ~ ჷ** დაპირისპირებას, აქ **ი** ხმოვანი **ჳ** და **ჷ** ხმოვნებთან შედარებით დაბალი ტონის მაჩვენებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ /**ი**/ ხმოვნის მეშვეობით სიპატარავის, სიმცირის გამოხატვაზე (ე. სეპირი, ო. იესპერსენი, რ. იაკობსონი...), რასაც, ვფიქრობთ, სვანურ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს (საღლიანი 2014:183).

[1] ზოგჯერ -ჳ- და -ჷ- ხმოვნიან ფორმებს შორის სემანტიკურ სხვაობასაც აქვს ადგილი, რაც თავისთავად აისახა ერთგვაროვან ბგერით ყალიბებში (შდრ., ერთი მხრივ, **კჳრკჳნ** (ბქ.) „კრუსუნი" და, მეორე მხრივ, **კჷრკჷ̂ნ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **კჷრკჷნ** (ბქ., ლნტ.), **ქჷრკჷნ** (ლნტ., ჩოლ.) „კისკისი" და ა. შ.).

[2] შდრ. ჩოლ. **ღჳრღჳნ** „ჩუხჩუხი (წყლისა)".

სვანურში ი ~ უ ~ ჷ და უ ~ ჷ დაპირისპირების პარალელურად ხშირად დასტურდება როგორც -უ̄ნ/-უნ, ისე -ჷ̄ნ/-ჷნ სუფიქსიანი რედუპლიცირებული ფუძეები პარალელური ვარიანტების გარეშე (მაგ.: გვაქვს **ბჷრბჷნ**, მაგრამ არ გვაქვს **ბურბუნ**, გვაქვს **ფურსდუ̄ნ**, მაგრამ არ გვაქვს **ფჷრსდჷ̄ნ** და ა. შ.):

-უ̄ნ/-უნ		-ჷ̄ნ/-ჷნ	
Ø		ბჷრბჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ენაბრგვილი მამაკაცის ლაპარაკი"
Ø		ზჷრზჷნ (ბქ.)	„ზრიალი"
კურკუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), კურკუნ (ბქ., ლნტ.)	„კრუსუნი"	Ø	
		ძჷრძჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ძჷრძჷნ (ბქ., ლნტ.), ჭჷრძჷნ (ლნტ., ჩოლ.)	„კისკისი"
მურღუ̄ნ (ბზ., ლშხ.), მურღუნ (ბქ., ლნტ.)	„ბუზღუნი"	Ø	
Ø		ფჷრფღჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრფღჷნ (ბქ., ლნტ.)	„ქლარუნი"
Ø		ტჷრტჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ტჷრტჷნ (ბქ., ლნტ.)	„რატრატი"
ფურსდუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბქ., ლნტ.), ფურსტუნ (ბქ.)	„ჩურჩული"	Ø	
Ø		ღჷლწკჷნ (ბზ.)	„ღრაჭუნი"
Ø		ჩჷრჩხჷნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"
ცურცუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ცურცუნ (ბქ., ლნტ.)	„ჩურჩული"	Ø	
ცხურკუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ცხურკუნ (ბქ., ლნტ.)	„რაიმეს შეწვის ხმა"	Ø	
Ø		წჷრპჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წჷრპჷნ (ბქ., ლნტ.)	„წრიპინი"
Ø		წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"...

ვინაიდან ბგერწერითი ყალიბები ყველაზე უფრო გამოკვეთილად რედუპლიცირებულ ფუძეებში ვლინდება, აქედან გამომდინარე თავის დროზე შევეცადეთ დაწვრილებით შეგვესწავლა რედუპლიკაციის ყველა სახე სვანურში (1. **ხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე**; 2. **ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე**; 3. **თანხმოვნის შეუცვლელად რედუპლიცირებული ფუძე** და 4. **თანხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ფუძე**), და წარმოგვედგინა „ხმაბაძვითი" და გარეგნობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი (იხ. ჩვენი სტატია — „ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში", იკე, 2014:175-198), თუმცა **-უ̄ნ/-უნ, -ჷნ/-ჷ̄ნ, -ინ/-ი̄ნ** და **-ეუ̄/-ე̄უ̄** სეგმენტიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულების შესახებ საგანგებო მსჯელობა დღემდე არ გვქონია.

საინტერესოა, ზემოთ წარმოდგენილი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულების აუსლაუტში გამოვლენილი **-უ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** წარმოშობით სუფიქსებია თუ უბრალოდ რედუპლიცირებული ფუძის ბოლო სეგმენტები?

მიუხედავად იმისა, რომ ა) და ბ) მოდელებში (იხ. ზემოთ!) წარმოდგენილი ფუძეები სამეცნიერო ლიტერატურაში (ვ. თოფურია, ლ. სანიკიძე, ფ. ერთელიშვილი, რ. ჭკადუა...) რედუპლიცირებულ ფორმებადაა მიჩნეული, აუსლაუტისეული სეგმენტები კი „სუფიქსოიდებად", ბევრი მათგანის რედუპლიცირებულ ფორმებად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე

თითქოს საეჭვოა, თუმცა აღნიშნული ფუძეების რეკონსტრუირება და შესაბამისად ამოსავალი მარტივი ძირების ჩვენება ამ ეჭვს შეძლებისდაგვარად აქარწყლებს.[1]

ჩვენი აზრით, როდესაც რედუპლიცირებულ ფუძეებად მიჩნეული ფორმების პარალელურად ამოსავალი სავარაუდო ფუძეებიც (მაგ.: **წკუ̄ლ/წკულ, ზუ̄ლ/ზულ, შგ̄ლ/შგლ, რისტ, სიტ, ბრიგუ̄, ტკიჩ, დგუ̄იბ** და ა. შ.) დასტურდება, ამ შემთხვევაში შედარებით ადვილი მისახვედრია აუსლაუტისეული სეგმენტების წარმომავლობა, ამიტომ სასურველია შეძლებისდაგვარად ყველა სავარაუდო ამოსავალი მარტივი ფუძის გამოვლენა.[2] აღსანიშნავია ისიც, რომ -**უ̄ნ/-უნ** და -**გ̄ნ/-გნ** სუფიქსიანი ფორმების პარალელურად **ლი — ი** მოდელით ნაწარმოები საწყისებიც (მაგ.: **ლი-ზუ̄ლ-ი** „ზმუილი“, **ლი-შგ̄ლ-ი** „შუილი“, **ლი-წკუ̄ლ-ი** „წკმუტუნი“...) გვაქვს, რომლებიც, ბუნებრივია, რომ უფრო გავრცელებულია სვანურში და ზმნური სემანტიკაც უფრო მეტად აქვთ (ჭკადუა 2007:113). ამოსავალი მარტივი ფუძეები უცვლელი სახით სწორედ ამ პარალელურ საწყისებში გვხვდება (შდრ. **ზუ̄ლ, შგ̄ლ, წკუ̄ლ**...), საანალიზო რედუპლიცირებულ ფუძეებში კი სხვადასხვა ფონეტიკური პროცესებია მომხდარი.

-**უ̄ნ/-უნ** და -**გ̄ნ/-გნ** სეგმენტიანი რთული სტრუქტურის ფუძეები (**ჭურჭყუნ** (ბქ.) „მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი“, **ხურჭკუნ** (ბქ.) „ჭამის დროს გამოცემული ხმა“; **ჟგრჟღგნ** (ბქ.) „ჟღარუნი“, **ცგრცხგნ** (ბქ.) „დუღილი, შიშხინი, ფუცხუნი“, **ჭგრჭყგ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **ჭგრჭყგნ** (ბქ., ლნტ.) „ხმაური, ყრიამული, ჭიჭყინი“ და ა. შ.), რომლებიც სავარაუდოდ რედუპლიკაციის გზით მიღებულად არის მიჩნეული, **სიტყვაწარმოების დონეზე ფუნქციონირებენ უკვე როგორც დაუშლელი ფუძეები** და შესაბამისად რედუპლიკაციაც დაჩრდილულია. სტრუქტურული შედგენილობა კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ბურ+თქუნ, ტყურ+ფუ̄ნ, ტგრტ+ყგ̄ნ, ცგრ+ცხგ̄ნ, წურ+წკუ̄ნ, ჭგრ+ჭყგ̄ნ, ჯგლ+ჯგგნ და ა. შ., თუმცა საანალიზო ფუძეების მეორე სეგმენტის აუსლაუტში ბალსზემოურში, ლაშხურსა და ჩოლურულში გამოვლენილი გრძელი ხმოვნები ამგვარ სტრუქტურულ დაყოფას დაბრკოლებას უქმნის.

შენიშვნა: *როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ფონოსემანტიკურ ლექსიკაში (კერძოდ, ხმაბაძვით და გარეგნობასთან დაკავშირებულ ლექსიკაში)* აუსლაუტისეული სეგმენტების წარმომავლობა ქართულშიც არ არის ბოლომდე გარკვეული.

ცნობილია ისიც, რომ ქართულსა და მეგრულში -**ინ** დაბოლოების მქონე ფუძეებში (ქართ.: *სისინ-ი, ღიღინ-ი, კაკანი, შიშინ-ი, ბიბინ-ი, ყაყან-ი*...; მეგრ.: *კვიკვინ-, სვისვინ, ფიფინ-, ღვიღვინ-, ყვიყვინ-, ძგიძგინ-*...) პირველი კომპონენტის ბოლო თანხმოვანი დაკარგულად მიაჩნიათ და მას სავარაუდოდ აღადგენენ:

ქართ. სისინ-ი < სინსინ-ი

ღიღინ-ი < ღინღინ-ი

კაკან-ი < კანკან-ი

ყიყინ-ი < ყინყინ-ი

მეგრ. ღვიღვინ < ღვინღვინ

სვისვინ < სვინსვინ და ა. შ. (ქობალავა 1979:111; ქობალავა 1980:74).

*როგორც სვანური მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში სხვა ქართველური ენებისათვის სავარაუდო სონორი ყველა -**უ̄ნ/-უნ** და -**გ̄ნ/-გნ** დაბოლოებიანი ფუძის ძირეულ ნაწილში ფიგურირებს (შდრ.: **თხურპუ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **თხურპუნ** (ბქ., ლნტ.) „თუხთუხი; სრუტუნი“, **ჟღგრმგ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **ჟღგრმგნ***

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით იხ. ქვემოთ!

[2] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ქვემოთ!

(ბქ., ლნტ.) „ყლავილი“, **ტკვრჩჷნ** (ბქ.) „ჭახაჭუხი, მირტყმა-მორტყმის, ბლაგვი საგნის დარტყმის ხმა“, **შყურბუნ** (ბქ.) „ბრაგუნი“, **ჩხურმუ̄ნ** (ბზ.), **ჩხურმუნ** (ბქ.) „ლაწალუწი“...), რაც, ერთი შეხედვით, თითქოს ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს ქართულსა და მეგრულში თანხმოვნის დაკარგვისა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სვანურში ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორი ყოველთვის არ ჩანს[1].

იმისათვის, რომ ფონოსემანტიკური ექსპრესიული ფუძეების აუსლაუტში წარმოდგენილი სეგმენტების (-უ̄ნ/-უნ, -ჷ̄ნ/-ჷნ) წარმომავლობა გაირკვეს, აუცილებელია ამოსავალი **მარტივი** (ე. წ. **მიმველი**) ფუძეების ჩვენება. ხშირად ამ ფუძეების, ანუ, როგორც არნ. ჩიქობავა უწოდებდა (ჩიქობავა 1950:075), „პირველადი მასდარების“ გამოვლენა არ ხერხდება, რაც გვავარაუდებინებს, რომ ზოგი ფორმა დაკარგულია, ზოგიც შესაძლოა საერთოდ არ იყოს წარმოქმნილი[2], თუმცა საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად შესაძლებელია სავარაუდო ფუძეების ხელოვნურად აღდგენა, რაც მთლიანი ქრონოლოგიური სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის მიხედვით, უაფიქსო, გაუფორმებელი ძირებიდან (მაგ.: **ბრიგუ̄||ბრიგ, ბიჩხ, ზიპ, ტუ̄რიმ, ღრიჭ, ჩხიკ, ჭიჭგ**...) გაორკეცებით უნდა მიგვეღო გაორმარცვლიანებული ფუძეები, რომელთაც დაერთო (-უ̄ნ/-უნ, -ჷ̄ნ/-ჷნ) სუფიქსები. კიდევ ერთი სონანტის დართვას უნდა გამოეწვია რედუპლიცირებული ფუძის მეორე სეგმენტის სონანტის ჩავარდნა, ერთმანეთის მეზობლობაში მოხვედრილი ორი ერთნაირი ხმოვანი კი ერთმანეთს შეერწყა და აღნიშნული ბოლოსართის ხმოვანი დაგრძელდა: **ზიპ** → ***ზგრ-პგრ** → ***ზგრ-პგრ-ჷნ** → **ზგრ-პჷ̄ნ** (ჭკადუა 2007:113; 2013:238-239). ვფიქრობთ, ეს ვარაუდი აუსლაუტისეული ხმოვნის სიგრძის დადგენის ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალებაა, თუმცა არც სხვაგვარ ინტერპრეტაციას გამოვრიცხავთ.

შენიშვნა: როგორც ცნობილია, სვანურში ა̈, ო̈, უ̈, ა̄̈, ო̄̈, უ̄̈ ხმოვანთა უმლაუტების წარმოშობას განსაზღვრული ფონეტიკური საფუძველი აქვს — ეს არის ე-ნისა და განსაკუთრებით კი ი-ნის გავლენა (შანიძე 1957:324-325), მაგრამ სვანურში ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გვხვდება მოულოდნელი უმლაუტის შემთხვევები, რომელიც არ ემორჩილება სვანური უმლაუტებისათვის დღემდე დადგენილ რაიმე კანონზომიერებას (მაგ.: **ა̈ბრეგ** (შდრ. **აბრა̈გ**) „აბრაგი“, **ა̈რა̈ყ/ა̈ჲრაყ** „არაყი“, **ქა̈რა̈ხს** „ყანწი, ქარახსი“ და მისთ., საღლიანი 2005:74-75), ასევე არ ჩანს თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში (+ ჩოლურულ მეტყველებაში) ზოგიერთ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ამისი მიზეზი, შესაძლოა, დაკარგული სახელობითი ბრუნვის ნიშანიც იყოს, რომელსაც, როგორც ჩანს, უმლუტის გამოწვევის გარდა, ხმოვნის დაგრძელებაც შეუძლია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სვანურში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფუძისეული (ან თანდებულისეული) **ი** ხმოვანი წინამავალი ხმოვნის გავლენით ხმოვნობას კარგავს, თვითონ *იოტად* იქცევა და შემდეგ გამვლენელ ხმოვანს აგრძელებს (მაგ.: **ბა̄რახ/ბა̄ჲრახ** „ბაირაღი“...) (ქლდიტი 1949:75; საღლიანი 2005:88). თუკი ამგვარ ინტერპრეტაციას დავუშვებთ, მაშინ ორმარცვლიანი ფუძეების აუსლაუტში დადასტურებული მარცვლები -უ̄ნ/-უნ და -ჷ̄ნ/-ჷნ, ქართულის მსგავსად (იხ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, 1970, გვ. 209), წარმომავლობით რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტებად, ან მათი ანალოგიით გაჩენილად უნდა მივიჩნიოთ.

---

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა იხ. ქვემოთ!

[2] შენიშვნა: ამოსავალი მარტივი — სჷ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), სჷლ (ბქ., ლნტ.) „სისინი (ქარისა, გველისა...)“ (რედუპლიკაციით სჷლ-სჷლ; შდრ. ლი-სჷ̄ლ-ი), შჷ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), შჷლ (ბქ., ლნტ.) „შიშინი“ (რედუპლიკაციით შჷლ-შჷლ; შდრ. ლი-შჷლ-ი), ხჷ̄ლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ხჷლ (ბქ., ლნტ.) „ხროტინი, ხიხინი“ (რედუპლიკაციით ხჷლ-ხჷლ; შდრ. ლი-ხჷლ-ი) და ა. შ. ფორმები ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან ისინი არა ქართული *სისინი, შიშინი, ხიხინი*... ფორმების შესატყვისია, არამედ *სივილი, შუილი||შხუილი, ხუილი*... ფორმებისა და მათგან სუფიქსიანი ფორმები არ იწარმოება.

თვალსაჩინოებისათვის დაწვრილებით წარმოვადგენთ საანალიზო ფუძეთა სავარაუდო ფონეტიკურ ტრანსფორმაციას დიდძალი მასალის საფუძველზე:

Ø	ბურთქუ̄ნ (ბზ., ლშხ.)/ბურთქუნ (ბქ., ლნტ., ჩოლ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"	*ბუ̄ითქ → *ბუ̄ირთქ → *ბურთქ → *ბურ-თქურ → *ბურ-თქურ-უნ → ბურ-თქ-უ̄ნ
ბითქ (ზს., ქს.)	ბჷრთქჷ̄ნ (ბზ., ჩოლ.)/ბჷრთქჷნ (ბქ.)	„ბათქუნი, ბათქაბუთქი"	ბითქ → *ბირთქ → *ბჷრთქ → *ბჷრ-თქჷრ → *ბჷრ-თქჷრ-ჷნ → ბჷრ-თქ-ჷ̄ნ
დგუ̄იბ‖დგუ̄ლიბ (ბქ.)	დგურბუნ (ბქ., ჩოლ.)	„დუგდუგი; ბაგაბუგი"	დგუ̄იბ → *დგუ̄ირბ → *დგურბ → *დგურ-ბურ → *დგურ-ბურ-უნ → დგურ-ბ-უ̄ნ
Ø	დჷრდგჷნ (ჩბხ.)	„დაგადუგი"	*დიდგ → *დირდგ → *დჷრდგ → *დჷრ-დგჷრ → *დჷრ-დგჷრ-ჷნ → დჷრ-დგ-ჷნ
Ø	თჷრტჷ̄ნ (ბზ.) თჷრტჷნ (ბქ., ჩოლ.)	„ჭიხვინი, ხვიხვინი: ფრუტუნი"	*თიტ → *თირტ → *თჷრტ → *თჷრ-ტჷრ → *თჷრ-ტჷრ-ჷნ → თჷრ-ტ-ჷ̄ნ
შდრ. ბქ. კლეპ	კჷლპჷნ‖კჷრპჷნ (ბქ.)	„წკლაპუნი"	*კილპ → *კჷლპ → *კჷლ-პჷლ → *კჷლ-პჷლ-ჷნ → კჷლ-პ-ჷნ
მიტყ (ბქ.)	მჷრტყჷნ (ბქ.)	„უშნო ქამა ხმის გამოცემით"	მიტყ → *მირტყ → *მჷრტყ → *მჷრ-ტყჷრ → *მჷრ-ტყჷრ-ჷნ → მჷრ-ტყ-ჷნ
Ø	ჟღჷრჟღჷ̄ნ (ბზ.)	„ჟღარუნი"	*ჟღიჟღ → *ჟღირჟღ → *ჟღჷრჟღ → *ჟღჷრ-ჟღჷრ → *ჟღჷრ-ჟღჷრ-ჷნ → ჟღჷრ-ჟღ-ჷ̄ნ
Ø	ჟჷრჟღჷნ (ბქ.)	„ჟღარუნი"	*ჟიჟღ → *ჟირჟღ → *ჟჷრჟღ → *ჟჷრ-ჟღჷრ → *ჟჷრ-ჟღჷრ-ჷნ → ჟჷრ-ჟღ-ჷნ
სიტ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	სჷრტჷ̄ნ (ბზ.), სჷრტჷნ (ბქ.)	„ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი: ლაწალუწი"	სიტ → *სირტ → *სჷრტ → *სჷრ-ტჷრ → *სჷრ-ტჷრ-ჷნ → სჷრ-ტ-ჷ̄ნ
ტუ̄რიმ (ბქ.)	ტურმუნ (ბქ.)	„მირტყმა-მორტყმის, მტერევის ძლიერი ხმა"	ტუ̄რიმ → *ტუ̄ირმ → *ტურმ → *ტურ-მურ → *ტურ-მურ-უნ → ტურ-მ-უნ
ტყუ̄ისგ (ბქ.)	ტყურსგუნ (ბქ.)	„თოფის, ნაპერწკლის გავარდნის/ ტყორცნის ხმა"	ტყუ̄ისგ → *ტყუ̄ირსგ → *ტყურსგ → *ტყურ-სგურ → *ტყურ-სგურ-უნ → ტყურ-სგ-უნ
Ø	ტჷრკჷნ (ბქ.)	„ჩქარი სირბილით გამოწვეული ხმაური"	*ტირკ → *ტჷრკ → *ტჷრ-კჷრ → *ტჷრ-კჷრ-ჷნ → ტჷრ-კ-ჷნ
Ø	ტჷრტყჷ̄ნ (ბზ.), ტჷრტყჷნ (ბქ.)	„ტატყანი"	*ტიტყ → *ტირტყ → *ტჷრტყ → *ტჷრ-ტყჷრ → *ტჷრ-ტყჷრ-ჷნ → ტჷრ-ტყ-ჷ̄ნ
შდრ. (ბქ.) ფა̈სტუ̄ „ჩურჩული"	ფურსდუ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფურსდუნ (ბქ., ლნტ.) ‖ ფურსტუნ (ბქ.)	„ჩურჩული"	*ფუ̄ისდ → *ფუ̄ირსდ → *ფურსდ → *ფურ-სდურ → *ფურ-სდურ-უნ → ფურ-სდ-უ̄ნ
Ø	ფჷრთქჷ̄ნ (ბზ.)/ფჷრთქჷნ (ბქ., ლნტ.)	„ბაგაბუგი; ფრთქიალი"	*ფითქ → *ფირთქ → *ფჷრთქ → *ფჷრ-თქჷრ → *ფჷრ-თქჷრ-ჷნ → ფჷრ-თქ-ჷ̄ნ
Ø	ფჷრჩხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრჩხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)"	*ფიჩხ → *ფირჩხ → *ფჷრჩხ → *ფჷრ-ჩხჷრ → *ფჷრ-ჩხჷრ-ჷნ → ფჷრ-ჩხ-ჷ̄ნ
ფიცხ[1] (ბქ.)	ფჷრცხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ფჷრცხჷნ (ბქ.)	„კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)"	ფიცხ → *ფირცხ → *ფჷრცხ → *ფჷრ-ცხჷრ → *ფჷრ-ცხჷრ-ჷნ → ფჷრ-ცხ-ჷნ
Ø	ღურჭუნ (ზს., ქს.)	„ღრჭიალი (ფიცრისა, ქაღალდისა)"	*ღუ̄იჭ → *ღუ̄ირჭ → *ღურჭ → *ღურ-ჭურ → *ღურ-ჭურ-უნ → ღურ-ჭ-უნ
ღრიჭ (ზს., ქს.)	ღჷრჭჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრჭჷნ	„ღრჭიალი	ღრიჭ → *ღირჭ → *ღჷრჭ → *ღჷრ-ჭჷრ →

[1] გამოიყენება ძირითადად იდიომატურ გამოთქმებში (მაგ., ფიცხს დემ ხა̈ლნე „უხმაუროდ აკეთებს ყველაფერს, წყნარადაა") და სემანტიკური სხვაობაც მინიმალურია.

	(ბქ., ლნტ.)	(თმისა)"	*ღჷრ-ჭჷრ-ჷნ → ღჷრ-ჭ-ჷ̄ნ
ღიწკ (ბქ.)	ღჷრწკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ღჷრწკჷნ (ბქ., ლნტ.)	„ღრიჭინი, ღრჭიალი"	ღიწკ → *ღირწკ → *ღჷრწკ → *ღჷრ-წკჷრ → *ღჷრ-წკჷრ-ჷნ → ღჷრ-წკ-ჷ̄ნ
ყჳლიჩ (ბქ.)	ყურჩუნ (ბქ.)	„ხმელი ნივთების მტვრევის ხმა"	ყჳლიჩ → *ყჳრიჩ → *ყურჩ → *ყურ-ჩურ → *ყურ-ჩურ-უნ → ყურ-ჩ-უნ
Ø	უჷრჭჷნ (ჩოლ.)	„გრძელკისერა ადამიანის უადგილო სიცილი"	*უიჭ → *უირჭ → *უჷრჭ → *უჷრ-ჭჷრ → *უჷრ-ჭჷრ-ჷნ → უჷრ-ჭ-ჷნ
მკჳიც (ზს., ქს.)	მკურცუნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა"	მკჳიც → *მკჳირც → *მკურც → *მკურ-ცურ → *მკურ-ცურ-უნ → მკურ-ც-უნ
მკიც (ზს., ქს.)	მკჷრცჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჯოხის დარტყმის ხმა"	მკიც → *მკირც → *მკჷრც → *მკჷრ-ცჷრ → *მკჷრ-ცჷრ-ჷნ → მკჷრ-ც-ჷნ
მითქ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	მჷრთქჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„წრიალი, უხმო მოძრაობა ხმის გამოცემით"	მითქ → *მირთქ → *მჷრთქ → *მჷრ-თქჷრ → *მჷრ-თქჷრ-ჷნ → მჷრ-თქ-ჷნ
Ø	მჷრშხჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), მჷრშხჷნ (ბქ., ლნტ.)	„შიშხინი, შიშინი (ხორცისა, ცხიმისა...)"	*მიშხ → *მირშხ → *მჷრშხ → *მჷრ-შხჷრ → *მჷრ-შხჷრ-ჷნ → მჷრ-შხ-ჷ̄ნ
ჩხიკ (ზს., ქს.)	ჩხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჩხჷრკჷნ (ბქ., ლშხ., ჩოლ.)	„ჩხაკაჩხუკი"	ჩხიკ → *ჩხირკ → *ჩხჷრკ → * ჩხჷრ-კჷრ → * ჩხჷრ-კჷრ-ჷნ → ჩხჷრ-კ-ჷ̄ნ
ჩხჳიტ	ჩხურტუნ (ბქ.)	„ხმაური, ტოტების მტვრევის ხმა ტყეში"	ჩხჳიტ → *ჩხჳირტ → *ჩხურტ → *ჩხურ-ტურ → *ჩხურ-ტურ-უნ → ჩხურ-ტ-უნ
Ø	ჩჷრჩხჷნ (ბქ.)	„ჩხრიალი, სწრაფი დინების ხმა (წყაროსი, ნაკადულისა)"	*ჩიჩხ → *ჩირჩხ → *ჩჷრჩხ → *ჩჷრ-ჩხჷრ → *ჩჷრ-ჩხჷრ-ჷნ → ჩჷრ-ჩხ-ჷნ
Ø	ცჷრცხჷნ (ბქ.)	„ფუცხუნი"	*ციცხ → *ცირცხ → *ცჷრცხ → *ცჷრ-ცხჷრ → *ცჷრ-ცხჷრ-ჷნ → ცჷრ-ცხ-ჷნ
ძგჳიბ (ბქ., ჩოლ.)	ძგურბუნ (ბქ.), ძგურბჳ̄ნ (ჩოლ.)	„გლეჯა"	ძგჳიბ → *ძგჳირბ → ძგურბ → *ძგურ-ბურ → *ძგურ-ბურ-უნ → ძგურბ-უნ
ძიწკ (ბქ.)	ძჷრწკჷნ (ბქ.)	„ღრჭიალი"	ძიწკ → *ძირწკ → *ძჷრწკ → *ძჷრ-წკჷრ → *ძჷრ-წკჷრ-ჷნ → ძჷრწკ-ჷნ
შდრ. წკჳლ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წკულ (ბქ., ნტ.), შდრ. ბქ. წäწკჳ „წკმუტუნი"	წურწკჳ̄ნ (უშგ.), წურწკუნ (ბქ., ქს.)	„წკმუტუნი; წუწუნი"	*წჳიწკ → *წჳირწკ → *წურწკ → *წურ-წკურ → *წურ-წკურ-უნ → წურ-წკ-ჳ̄ნ
წყიგ (ბქ., ჩოლ.)	წყჷრგჷნ (ბქ., ჩოლ.)	„წყლის წვეთის ხმა, წანწკარი"	წყიგ → *წყირგ → *წყჷრგ → *წყჷრ-გჷრ → *წყჷრ-გჷრ-ჷნ → წყჷრ-გ-ჷნ
Ø	წჷრპჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), წჷრპჷნ (ბქ., ლნტ.)	„წრიპინი"	*წირპ → *წჷრპ → *წჷრ-პჷრ → *წჷრ-პჷრ-ჷნ → წჷრ-პ-ჷ̄ნ
Ø	წჷრწკჷნ (ბქ.)	„გაბზარვის ხმა"	*წიწკ → *წირწკ → *წჷრწკ → *წჷრ-წკჷრ → *წჷრ-წკჷრ-ჷნ → წჷრ-წკ-ჷნ
Ø	ჭურჭყუნ (ბქ.)	„მომაბეზრებელი ტირილი; ჭუჭყუნი"	*ჭჳიჭყ → *ჭჳირჭყ → *ჭურჭყ → *ჭურ-ჭყურ → *ჭურ-ჭყურ-უნ → ჭურ-ჭყ-უნ
შდრ. ზს., ჩოლ. ჭიქ	ჭჷრქჷ̄ნ (ბზ., ჩოლ.), ჭჷრქჷნ (ბქ.)	„ხმაური (ქალისა), ხმამაღლა ჩხუბი"	*ჭიქ → *ჭირქ → *ჭჷრქ → *ჭჷრ-ქჷრ → *ჭჷრ-ქჷრ-ჷნ → ჭჷრ-ქ-ჷ̄ნ
Ø	ჭჷრჭკჷნ (ბქ.)	„ჟრიამული, ხმაური"	*ჭიჭკ → *ჭირჭკ → *ჭჷრჭკ → *ჭჷრ-ჭკჷრ → *ჭჷრ-ჭკჷრ-ჷნ → ჭჷრ-ჭკ-ჷნ
Ø	ჭჷრჭყჷ̄ნ (ბზ., ლშხ.), ჭჷრჭყჷნ (ბქ., ლნტ.)	„ხმაური, ჟრიამული, ჭიჭყინი"	*ჭიჭყ → *ჭირჭყ → *ჭჷრჭყ → *ჭჷრ-ჭყჷრ → *ჭჷრ-ჭყჷრ-ჷნ → ჭჷრ-ჭყ-ჷ̄ნ
შდრ. ბქ. ჭჷრიჭა „ხმაური"	ჭჷრჭჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჭჷრჭჷნ (ბზ.)	„ჭიკჭიკი, ჭრიჭინი"	*ჭიჭ → *ჭირჭ → *ჭჷრჭ → *ჭჷრ-ჭჷრ → *ჭჷრ-ჭჷრ-ჷნ → ჭჷრ-ჭ-ჷ̄ნ

ხჳრიმ (ბქ.)	ხურმუნ (ბქ.)	„ხრამუნი"	ხჳრიმ → *ხრჳიმ → *ხრუმ → *ხურმ → *ხურ-მურ → *ხურ-მურ-უნ → ხურ-მ-უნ
ხჳრიპ‖ხჳლიპ (ბქ.)	ხურპუნ (ბქ.)	„ხვრეპა"	ხჳრიპ → *ხრჳიპ → *ხრუპ → *ხურპ → *ხურ-პურ → *ხურ-პურ-უნ → ხურ-პ-უნ
ხჳიჭკ (ბქ.)	ხურჭკუნ (ბქ.)	„ჭამის დროს გამოცემული ხმა"	ხჳიჭკ → *ხჳირჭკ → *ხურჭკ → *ხურ-ჭკურ → *ხურ-ჭკურ-უნ → ხურ-ჭკ-უნ
ჯიჯგ (ბქ., ჩოლ.)	ჯჷლჯგჷნ (ბქ.), ლი-ჯჯგჷნ-ე (ზს., ქს.)	„ძუნძული, ძაგძაგი (შიშისაგან, სიცივისაგან)"	ჯიჯგ → *ჯილჯგ→ *ჯჷლჯგ → *ჯჷლ-ჯგჷლ → *ჯჷლ-ჯგჷლ-ჷნ → ჯჷლ-ჯგ-ჷნ...

როგორც საანალიზო ფუძეთა ფონეტიკურმა ტრანსფორმაციამ აჩვენა, -ჳ̄ნ/-უნ და -ჷ̄ნ/-ჷნ სუფიქსიანმა ხმაბაძვითმა ლექსიკურმა ერთეულებმა საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი ქრონოლოგიური გზა განვლეს (**ბითქ → *ბირთქ → *ბჷრთქ → *ბჷრ+თქჷრ → *ბჷრ+თქჷრ+ჷნ → ბჷრ+თქ+ჷ̄ნ; წყიგ → *წყირგ → *წყჷრგ → *წყჷრ+გჷრ → *წყჷრ+გჷრ+ჷნ → წყჷრ+გ+ჷნ; ხჳრიმ → *ხრჳიმ → *ხრუმ → *ხურმ → *ხურ+მურ → *ხურ+მურ+უნ → ხურ+მ+უნ; ჯიჯგ → *ჯილჯგ→ *ჯჷლჯგ → *ჯჷლ+ჯგჷლ → *ჯჷლ+ჯგჷლ+ჷნ → ჯჷლ+ჯგ+ჷნ** და მისთ.). ჩვენ მიერ წარმოდგენილი რამდენიმე საფეხურიდან ენაში. რეალიზდება მხოლოდ ორი ფორმა — ამოსავალი მარტივი ფუძე (**ბითქ, წყიგ, ხჳრიმ, ჯიჯგ**...)[1] და ამ მარტივი ფუძის გაორკეცებით მიღებული გაორმარცვლიანებული ფორმები (**ბჷრთქ̄ჷნ, წყჷრგჷნ, ხურმუნ, ჯჷლჯგჷნ**...), რომლებიც, როგორც აქ წარმოდგენილი სტრუქტურული მოდელებიდან ჩანს, მიღებულია სამმარცვლიანი ფუძეებისგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (პალატალიზაცია-დეპალატალიზაცია, ბგერათა გადასმა, გაჩენა და ა. შ.) გავლით. გაორკეცებულ — ***ბჷრთქჷრ, *წყჷრგჷრ, *ხურმურ, *ჯჷლჯგჷლ**... ფუძეებზე -**VC** სუფიქსის დართვის შედეგად უნდა მიგვეღო გასამმარცვლიანებული ფუძეები (***ბჷრთქჷრჷნ, *წყჷრგჷრჷნ, *ხურმურუნ, *ჯჷლჯგჷლჷნ**...), რომლებიც ენაში ვერ დამკვიდრდა სვანური ენის ფონოტაქტიკის წესებიდან გამომდინარე. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, „ბალსზემოურს, ბალსქვემოურსა და ლაშხურ დიალექტებს ერთი მეტად საყურადღებო ტენდენცია ახასიათებთ — მარცვალთა რაოდენობის შემცირება მახვილის გავლენის შედეგად. ხშირად ეს ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ უცხო და საკუთარი წარმომავლობის სამმარცვლიან ფუძეებს ეს დიალექტები ორმარცვლიანად წარმოგვიდგენენ (ჟღენტი, 1949:111). ს. ჟღენტის ეს თეზა, ცხადია, ჩვენ მიერ წარმოდგენილ მასალაზეც ვრცელდება.

ვინაიდან ამოსავალი მარტივი ძირების საერთოქართველურ დონეზე რეკონსტრუირება და საფუძვლიანი დიაქრონიული ანალიზი ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, ამიტომ ძალზე რთულია გადაჭრით იმისი მტკიცება, რომ ამ ფუძეთა ერთ ნაწილში გამოვლენილი **ჳი** კომპლექსი, რომელიც ზოგჯერ გახლეჩილია (მაგ., შდრ. ერთი მხრივ, **დგჳიბ, ტყჳისგ, შკჳიფ, ჩხჳიტ, ძგჳიბ, ხჳიჭკ**... და, მეორე მხრივ, **დგჳლიბ, ტჳრიმ, ყჳლიჩ, ხჳრიმ, ხჳრიპ‖ხჳლიპ**...) ამა თუ იმ სონანტით, ჳ'ს პალატალიზებულ ვარიანტად მივიჩნიოთ, რედუპლიცირებულ ფორმათა უ კი დეპალატალიზაციის შედეგად მიღებულად. **დგჳლიბ, ტჳრიმ, ყჳლიჩ, ხჳრიმ, ხჳრიპ‖ხჳლიპ**... უნდა მომდინარეობდეს ***დგლჳიბ, *ტრჳიმ, *ყლჳიჩ, *ხრჳიმ, *ხრჳიპ‖*ხლჳიპ** ფორმათაგან, რომელთა არსებობა სვანურში რეალურად არ დასტურდება. სონანტი **ჳ**, რომელიც **ჳი** კომპლექსის თანხმოვნით ელემენტად მივიჩნიეთ, ანლაუტში თავმოყრილი თანხმოვნების (**დგლ, ტრჳ, ყლჳ, ხრჳ, ხლჳ**...) გასათიშად გამოიყენა ენამ (ანუ თანხმოვანთგამყარი ბგერის როლში მოგვევლინა). საგულისხმოა ისიც, რომ რედუპლიცირებული **დგურბუნ, ტყურსგუნ, შკურფუნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, ხურჭკუნ** და ა. შ. ფორმები მიღებულია **ჳ** სონანტის შემცველი თავდაპირველი ფუძეებისაგან, ხოლო **სჷრტჷ̄ნ, ფჷრცხჷ̄ნ,**

[1] და ისიც არა ყოველთვის, რასაც ჩვენ მიერ ხელოვნურად აღდგენილი ფორმებიც ადასტურებენ.

ღჷრჭჷ̄ნ, ღჷლწკჷ̄ნ, ჯჷლჯჷჷნ და მისთ. არაბაგისმიერი ვიწრო **ი** ხმოვნიანი ისეთი მარტივი ძირებისაგან, როგორიცაა: **სიტ, ფიცხ, ღრიჭ, ჯიჯგ** და სხვ.[1]

სვანურში, როგორც ცნობილია, ხშირია ჳ ხმოვნის უმლაუტის შემთხვევები, რაც უმეტესად გამოწვეულია სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით ან მომდევნო პოზიციაში მყოფი პალატალური ხმოვნის ზეგავლენით, აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავუშვათ თავდაპირველი სავარაუდო ***დგუბ-ი, *ტყუსგ-ი, *შკუფ-ი, *ჩხუტ-ი, *ძგუბ-ი, *ხუჭკ-ი**... ფორმებისაგან პალატალიზაციით — **დგჳიბ, ტყჳისგ, შკჳიფ, ჩხჳიტ, ძგჳიბ, ხჳიჭკ** ფორმათა მიღება და შემდგომ ამ პალატალურ ფორმათაგან დეპალატალიზაციით **დგურბუნ, ტყურსგუნ, შკურფუნ, ჩხურტუნ, ძგურბუნ, ხურჭკუნ**... ფორმათა მომდინარეობა. რაც შეეხება **ი** ხმოვნიან მარტივ (**სიტ, ფიცხ, ღრიჭ, ჯიჯგ**) ძირებს, ვფიქრობთ, ამ ფორმებში სონანტი **ჳ** დაიკარგა, ვიწრო **ი** ხმოვანი კი ჷ-ში გადავიდა, რამაც გამოიწვია ორი რიგის — ჳ-ხმოვნიანი და ჷ-ხმოვნიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულების ჩამოყალიბება ენაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ***ბჷრთქჷრ, *წყჷრგჷრ, *ხურმურ, ჯჷლჯჷლ**... ტიპის რედუპლიცირებული ფორმები, რომლებიც დღეს უცხოა სვანურისათვის, ჩვეულებრივია ქართულისათვის (შდრ.: *ბურბურ, გურგურ, დურდურ, ზურზურ, კურკურ, ტურტურ, ღურღურ, ტუნტურ* და ა. შ.), თუმცა მათ, მიუხედავად ფორმობრივი დამთხვევისა, ვერ მივიჩნევთ ქართულიდან შემოსულად, ვინაიდან სვანურში ქართულისაგან დამოუკიდებლად უნდა წარმართულიყო რედუპლიკაციის პროცესი, ამ პროცესის წარმართვაში კი მთავარი ადგილი სამივე ქართველურ ენაში სონანტებს უჭირავთ (ჭკადუა 2013:239). ქართულ ფორმებში დადასტურებული აუსლაუტისეული *-ურ*, რომელიც სუფიქსის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფ. ერთელიშვილის აზრით, რედუპლიცირებული ძირების ბოლო სეგმენტია წარმომავლობით (1970:209). შესაბამისად, ვერც სვანურ ***ბჷრთქჷრ, *წყჷრგჷრ, *ხურმურ, ჯჷლჯჷლ**... ტიპის ფორმათა ბოლო სეგმენტებს მივიჩნევთ სუფიქსებად.

საანალიზო ფუძეების სეგმენტაცია და სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების[2] ჩვენება შესაძლებლობას იძლევა გავარკვიოთ, რომ **-ჳ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** საანალიზო ფუძეებში სუფიქსია და არა ძირეული მასალის კუთვნილება. მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ე. წ. „პირველადი მასდარები" (შდრ. **ჩხიკ, ბრიგ, ღრიჭ, ტჳრიმ**...) და მარტივი გაორკეცების შედეგად წარმოქმნილი ფუძეებიც (**ჩხიკ-ჩხაკ, ბრიგ-ბრაგ, ღრიჭ-ღრაჭ, ტჳრიმ-ტჳრამ**...), რომელთაც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე, „პირველად მასდარებად" მოიხსენიებენ (ფ. ერთელიშვილი), ყოველგვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე არიან წარმოდგენილი. ცხადია, ზემოთ დასახელებულ (**-ჳ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სეგმენტების მქონე) ფორმებში სუფიქსაციასთან გვაქვს საქმე, სუფიქსისეული ხმოვნის სიგრძე კი, როგორც უკვე ითქვა, განაპირობა რედუპლიცირებული ფუძის აუსლაუტისეული თანხმოვნის დაკარგვამ და მორფემათა ზღვარზე ორი იდენტური (ჳ + ჳ, ჷ + ჷ) ხმოვნის შერწყმამ (ანუ გვაქვს კომბინატორული სიგრძე).

ნათქვამია ისიც, რომ რედუპლიკაციის პროცესის წარმართვაში მთავარი ადგილი სონანტებს უჭირავთ. სვანურში ამ პროცესში ძირითადად *-რ-* სონორი ფიგურირებს, იგი ზოგ ფუძეში ძირეულია (მაგ.: ბქ. **ტურმუნ** „მირტყმა-მორტყმის, დამტვრევის ძლიერი ხმა", შდრ. **ტჳრიმ**; ბზ., ლშხ. **ღჷრჭჷ̄ნ**, ბქ., ლნტ. **ღჷრჭჷნ** „ღრჭიალი (თმისა)", შდრ. **ღრიჭ**; **ხურმუნ** (ბქ.) „ხრამუნი", შდრ. **ხჳრიმ** ...), ზოგში კი აშკარად ფონეტიკური დანართია (მაგ.: ბქ. **მჷრტყჷნ** „უშნო ჭამა ხმის გამოცემით", შდრ. **მიტყ**; ბქ. **სჷრტჷნ** „ქალის გამაყრუებელი ხმაური, ჩხუბი", შდრ. **სიტ**; ბქ. **შჷრთქჷნ** „წრიალი, უშნო მოძრაობა

[1] ვფიქრობთ, საკითხი უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს.

[2] აღნიშნული ფორმები, როგორც ზემოთ ითქვა, გვხვდება ძირითადად იდიომატური გამოთქმების პირველ კომპონენტად და, ისინი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „პირველად მასდარებად" იწოდებიან (ჩიქობავა 1950:075). მათგან უნდა იყოს ნაწარმოები ზემოთ წარმოდგენილი ხმაბაძვითი სიტყვების (**ტურმუნ, ბურგუნ, ფჷრცხჷნ, ჯჷლჯჷჷნ** და ა. შ.) უმეტესი ნაწილი, თვითონ კი, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, როგორც ცალკეული ლექსიკური ერთეულები, იშვიათად გვხვდება.

ხმის გამოცემით", შდრ. შითქ...), რასაც, ვფიქრობთ, თავდაპირველი ფუძეების ჩვენებაც ადასტურებს. ერთი რამ კი ცხადია, ამოსავალ მარტივ ფუძეებში სონორის არსებობამ ხელი შეუწყო რედუპლიკაციის პროცესებს, შესაბამისად კი სუფიქსების გაჩენას.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მოდელი (1.), სადაც **-უ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სუფიქსიანი ლექსიკური ერთეულების სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაციაა მოცემული, ნაკლულია. რაში გამოიხატება ეს ნაკლულობა? როგორც ითქვა, **-უ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სუფიქსიანი ფუძეების ამოსავალი **მარტივი** (ე. წ. **შიშველი**) ფუძეები ყოველთვის არ ჩანს, ამიტომ აუცილებელი გახდა სავარაუდო ამოსავალი ძირების ხელოვნურად აღდგენა. ყველა ფუძეს არ მოეპოვება პარალელური ფორმა, მაგალითად, გვაქვს **დჷურბუნ, ყურჩუნ, ხურმუნ** ..., მაგრამ არ გვაქვს **დჷრბჷნ, ყჷრჩჷნ, ხჷრმჷნ**[1] ..., გვაქვს **ფჷრცხჷნ, ჩჷრჩხჷნ, ჯჷლჯგჷნ** ..., მაგრამ არ გვაქვს **ფურცხუნ, ჩურჩხუნ, ჯულჯგუნ**. ამასთანავე, გვაქვს **ბითქ-ბათქ, დჷუ̄იბ-დჷუ̄აბ, ტუ̄რიმ-ტუ̄რამ, ძჷუ̄იბ-ძჷუ̄აბ**..., მაგრამ არ მოგვეპოვება **დჷრდგჷნ, თურთხუნ, წჷრწკჷნ** და ა. შ. ფორმათა სხვადასხვა ხმოვნის მონაცვლეობით რედუპლიცირებული ვარიანტები.

ჩვენი დაკვირვებით, **-უ̄ნ/-უნ** და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სუფიქსები გვხვდება ძირითადად ონომატოპოეტურ სიტყვებში, კერძოდ, *მოქმედებისა* და *მდგომარეობის* გამომხატველ, *ხმის* აღმნიშვნელ სახელებში და ა. შ.[2] ამ სახელთა ფუძეები, როგორც სავარაუდო თავდაპირველი ფუძეების ანალიზმა აჩვენა, ნაწარმოებია **ი**-ხმოვნიანი ძირებისაგან, ხმოვანთმონაცვლეობის, სუფიქსაციისა და რედუპლიკაციის (შდრ. **ბითქ, ბითქ-ბათქ, ბითქ-ბითქ, ბითქი-ბათქა, ბურთქუნ, ბჷრთქჷნ; კილ, კილ-კილ, კილ-მა̈-კილ; ტკიჩ, ტკიჩ-ტკაჩ, ტკიჩ-ტკიჩ, ტკიჩი-ტკაჩა, ტკჷრჩჷნ; ჩხიკ, ჩხიკ-ჩხაკ, ჩხიკ-ჩხიკ, ჩხიკი-ჩხაკა, ჩხჷრკჷნ; ძჷუ̄იბ, ძჷუ̄იბ-ძჷუ̄აბ, ძჷუ̄იბ-ძჷუ̄იბ, ძჷუ̄იბი-ძჷუ̄აბა, ძჷურბუნ; ხუ̄რიმ, ხუ̄რიმ-ხუ̄რამ, ხუ̄რიმ-ხუ̄რიმ, ხურმუნ**...) სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით. ქართულში კი, როგორც ცნობილია, ხმაბაძვით სახელთა ფუძეები იწარმოება ერთი და იმავე (ა-ხმოვნიანი) ძირებისაგან (ტყაპ-უნ-ი, ტყაპ-ან-ი, ტყაპ-ტყაპ-ი, ტყაპ-ა-ტყუპ-ი; ლაწ-უნ-ი, ლაწ-ან-ი, ლაწ-ლაწ-ი, ლაწ-ა-ლუწ-ი...) (ქობალავა 1980:67). ერთი შეხედვით ქართული **ა** ხმოვნის შესატყვისად სვანურში თითქოს **ი** ხმოვანი ჩანს, თუმცა ქართულ-სვანურ ხმაბაძვით ფუძეთა შედარებით ირკვევა, რომ ა-ხმოვნიანი ძირები, რომლებიც ქართულში რედუპლიცირებული ფუძის პირველ კომპონენტად არის წარმოდგენილი, სვანურში რედუპლიცირებული ფუძის მეორე კომპონენტად დასტურდება, რაც გამორიცხავს ქართულ-სვანურ ხმოვანთშესატყვისობას. ცხადია, სვანურში რედუპლიკაციის წესებიც განსხვავებულია.

-უ̄ნ/-უნ და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სუფიქსიანი სახელები, როგორც უკვე ითქვა, ძირითადად აღნიშნავენ ხმას (შესაბამისად ამ ხმის გამომწვევი მოქმედების *დიურატიულობას, განგრძობითობას*), რომელიც ახლავს ამა თუ იმ სახის მოქმედებას (ცემას, დარტყმას, მტვრევას, მსხვრევას, სროლას, სიარულს, ჭამას და სხვ.) გარკვეული ხმის თანხლებით. ეს სახელები, თავის მხრივ, წარმოადგენენ „პირველად მასდარებს", რომელთაგან იწარმოება ახალი ზმნური ფორმები, ზოგჯერ რამდენადმე შეცვლილი სემანტიკით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად ეს სემანტიკური ცვლილება ხელშესახებია არა მხოლოდ დიალექტების დონეზე, არამედ ერთი დიალექტის ფარგლებში, კილოკავების დონეზეც კი.

ვფიქრობთ, **-უნ/-უ̄ნ** და **-ჷნ/-ჷ̄ნ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები შედარებით ახალი წარმოქმნილია სვანურში ამოსავალი მარტივი ფუძეების რედუპლიკაციითა და შემდგომ სუფიქსაციით, რასაც თავდაპირველი შიშველი ფუძეების არსებობაც ადასტურებს.

-ჷ̄ნ/-ჷნ დაბოლოებიანი ფუძეების პარალელურად სვანურში შეგვხვდა რამდენიმე **-ა̄ნ** სეგმენტიანი ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული:

---

[1] ეს ფორმა ცალკე არ გვხვდება, მაგრამ რედუპლიცირებული ფორმის პირველ ნაწილში დასტურდება (შდრ. **ხჷრმჷ̄ნ-ტურმუ̄ნ** (ბზ.), **ხჷრმჷნ-ტურმუნ** (ბქ.) „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა).

[2] არახმაბაძვით ფორმებში ეს სუფიქსები არ შეგვხვედრია.

ქგრქი̄ნ (ჩოლ.), შდრ. ზს. კგრკგნ, ლშხ., ჩოლ. ქგრქგ̌ნ, ლნტ. ქგრქგნ	„კისკისი"
ფგრღი̄ნ (ჩოლ.), შდრ. ბქ. ფგრღგნ, ჩოლ. ფგრღგ̌ნ	„კანკალი, ცახცახი"
ყგრყი̄ნ (ბზ.), შდრ. ზს. ყგრყგნ	„პირდაღებული ტირილი"
ცგრღი̄ნ (ჩოლ.), შდრ. ცგრღგ̌ნ	„კანკალი, ცახცახი"
ცგრცხი̄ნ (ბზ., ჩოლ.), შდრ. ბქ. ფ/ცურც'ხ'უნ‖ცგრცხგნ	„დუღილი, ფუცხუნი"

რომელთა სტრუქტურული შედგენილობა და სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაცია თითქმის იგივეა, რაც -ū̄ნ/-უნ და -გ̌ნ/-გნ დაბოლოებიანი ფუძეებისა, თუმცა -ი̄ნ სუფიქსის დართვა გ-თი გახმოვანებულ ძირებთან, ჩვენი აზრით, უჩვეულოა.

საინტერესოა, -ი̄ნ სეგმენტიანი ფონოსემანტიკური ლექსიკური ერთეულები ახალი გაჩენილია სვანურში თუ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე? ცხადია, ორივე შესაძლებლობის დაშვება შეიძლება, თუმცა მასალის სიმცირე საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა.

-ი̄ნ დაბოლოებიანი ლექსიკური ერთეულები, როგორც მოცემული პარადიგმიდან გამოჩნდა, სისტემას არ ქმნიან სვანურში; ისინი არც ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება. თუ ჩავთვლით, რომ ეს ფორმები ახალი დამკვიდრებულია სვანურში ქართული — *ყროყ-ინ-ი, ყიყ-ინ-ი, ჭიხვ-ინ-ი, კიკ-ინ-ი* და ა. შ. ფორმათა ანალოგიით, მაშინ სვანურის მოვლენას არქაიზმად ვერ მივიჩნევთ და შესაძლოა ფონეტიკური პროცესები თანდათან უფრო შორს წავიდეს (ანუ ძირეული გ → ი გადავიდეს), შესაბამისად კი მივიღოთ — *კირკი̄ნ, ფირღი̄ნ, ყირყი̄ნ, ცირღი̄ნ, ფირცხი̄ნ*, თუმცა ვერც იმ ფაქტს გამოვრიცხავთ, რომ სვანურმა სწორედ უძველესი საერთოქართველური -ინ დაბოლოება შემოინახა ნაშთის სახით.

სვანურში ასევე გამოვლინდა -ე̄ჷ(ა)/-ეჷ(ა) სუფიქსიანი რამდენიმე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეული:

ხლ+ე̄ჷ+ა (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"

ჯგლ+ე̄ჷ+ა[1] (ჩოლ.) „ხმაური (ხალხისა)"

ჰგნჰყ+ე̄ჷ+ა (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"

ჰიმჰკ+ე̄/ეჷ+ა (ჩოლ.) „ხმაური (ბავშვებისა)"

ჰკლ+ე̄ჷ+ა (ლშხ.) „ხმაური (დიდი)"

ტ+ე̄ჷ+ა (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტ+ეჷ+ა (ბქ.), ტ+ä̈ჷ+ა (უშგ.) „აურზაური, აყალმაყალი, ჩხუბი"

ტიმტ+ევ+ა (ბქ.) „აურზაური, აყალმაყალი"

ფგც+ე̄ჷ+ა (ბზ., ლშხ.), ფგც+ეჷ+ა (ბქ., ლნტ.) „ფუთფუთი (ფრინველებისა, ჰიაღუებისა)"[2]

ჯგნჯლ+ე̄ჷ+ა (ბზ.) „ხმაური (ბავშვებისა)"...

რომლებიც, შესაძლოა, ქართული *ზრიალ-, სრიალ-, ჟრიალ-, შრიალ-, ჭრიალ-,* წრიალ-, გრიალ-, კრიალ- ... ტიპისა იყოს, თუმცა სტრუქტურული შედგენილობით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (შდრ. ქართ. **CS+VVC** და სვან. **CS+VCV**, **CCS+VCV**, **CVCCC+VCV**, **CVSCC+ VCV**, **C+VCV**, **CVSC+VCV**, **CVC+VCV**, **CVSCC+VCV**).

ჩვენი აზრით, სვანური -ე̄ჷ(ა)/-ეჷ(ა) სუფიქსის ქართულ -იალ სუფიქსთან ფონეტიკური დაკავშირება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. საანალიზო სუფიქსთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია

---

[1] შდრ. ლეჩხ. „ჯგრ-იალ-ი".

[2] შდრ. ფგციჷä̈ (ბქ.), ფგციჷა (ლხმ.) „ფუსფუსა".

კი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. -იალ > სვან. *-ია̈ლ > *-იელ > *-ე̄ლ > ე̄უ̄ (?). რაც შეეხება ბოლოკიდურ -ა'ს, იგი განყენებულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსია სვანურში (შდრ.: **ხუ̄ეტა** „წყვეტა“, **ჰკეჟა** „წყვეტა“, **თხერა** „სკდომა“, **ბეჰკუ̄ა** „წყვეტა“, **კედა** „წყვეტა“ და ა. შ.).

შენიშვნა: ფ. ერთელიშვილს *-იალ* დაბოლოებიანი პირველადი მასდარების ერთი ჯგუფი, მათი სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე (თანხმოვანი + სონანტი *რ* + *იალ*) და, აგრეთვე, ამ ფუძეთა ისტორიის გათვალისწინებით, რედუპლიცირებულ ფორმებად მიაჩნდა (1970:213), თუმცა სვანური ფორმების რედუპლიცირებულ ფორმებად მიჩნევა მათი რთული სტრუქტურული შედგენილობიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

სვანურში ასევე დადასტურდა რთული შედგენილობის **CVSCVS – CVSCVS / CVSCnVS – CVSCnVS / CnVSCVS – CnVSCVS** ტიპის რედუპლიცირებული ფორმები -უ̄ნ/-უნ და -ჷ̄ნ/-ჷნ დაბოლოებით:

ზჷრზჷ̄ნ-ფჷრზჷ̄ნ (ბზ.)	„კანკალი, ზანზარი შიშისაგან“
თჷრთხჷნ-ფჷრთხჷნ (ბქ.), თჷრთხჷ̄ნ-ფჷრთხჷ̄ნ (ლშხ., ჩოლ.)	„თითხნა“
სჷრტჷნ-პჷრტჷნ (ბქ.), სჷრტჷ̄ნ-პჷრტჷ̄ნ (ჩოლ.)	„ქალის გამაყრუებელი ჩხუბი; ხმაური“
ტურშუ̄ნ-ბურგუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ტურშუნ-ბურგუნ (ბქ.)	„რახარუხი; რახუნი“
ტჷრშჷ̄ნ-ბჷრგჷ̄ნ (ჩოლ.)	„რახარუხი; რახუნი“
ჩხჷრკჷ̄ნ-ფხჷრკჷ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ჩხჷრკჷნ-ფხჷრკჷნ (ბქ., ლნტ.)	„ჩხაკაჩხუკი“
ცურცუნ-ფურცუნ (ბქ.)	„ჩურჩული; ჭორაობა“
ხჷრმჷ̄ნ-ტურმუ̄ნ (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ხჷრმჷნ-ტურმუნ (ბქ., ლნტ.)	„დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა“
ხჷრტჷნ-პჷრტჷნ (ბქ.)	„ხროტინი; ხვრინვა“...

მათი ერთი ნაწილი მიღებულია თავკიდურ თანხმოვანთა ალტერნაციით: **თჷრთხჷნ-ფჷრთხჷნ** (თ/ფ), **სჷრტჷნ-პჷრტჷნ** (ს/პ), **ხჷრტჷნ-პჷრტჷნ** (ხ/პ)[1], ხოლო მეორე ნაწილი ორი სხვადასხვა ხმაბაძვითი ფუძის შერწყმით (ანუ კონტამინაციით): **ზჷრზჷ̄ნ** „ზანზარი“ — **ფჷრზჷ̄ნ** „კანკალი, ზანზარი“, **ტურშუ̄ნ** „რახუნი“ — **ბურგუ̄ნ** „ბრაგაბრუგი, რახუნი“, **ჩხჷრკჷ̄ნ** „ჩხაკუნი“ — **ფხჷრკჷ̄ნ** „ფხაკუნი“, **ცურცუნ** „ჩურჩული“ — **ფურცუნ** „ჩურჩული“, **ხჷრმჷ̄ნ** „ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა“ — **ტურმუ̄ნ** „დიდი ხმაური, მტვრევა-მსხვრევის ხმა“), თუმცა **ზჷრზჷ̄ნ** — **ფჷრზჷ̄ნ**, **ცურცუნ** — **ფურცუნ** ფორმები მხოლოდ სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სემანტიკურად კი თითქმის იდენტურნი არიან.

როგორც მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულთა გარკვეული ნაწილი იწარმოება უაფიქსო, გაუფორმებელი ძირების გაორკეცებით მიღებულ გაორმარცვლიანებულ ფუძეებზე **-უ̄ნ/-უნ**, **-ჷ̄ნ/-ჷნ** და **-ი̄ნ/-ინ** სუფიქსთა დართვით[2]:

1. **-უნ/-უ̄ნ** სუფიქსი დასტურდება იმ შემთხვევაში, როცა ფუძეში გვაქვს -უ- ხმოვანი: **ბურთქ-უ̄ნ** (ბზ., ლშხ.)/**ბურთქ-უნ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „ბათქუნი, ბათქაბუთქი“, **ფურსდ-უ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **ფურსდ-უნ** (ბქ., ლნტ.)/**ფურსტ-უნ** (ბქ.) „ჩურჩული“, **წურწკ-უ̄ნ** (უშგ.), **წურწკ-უნ** (ბქ., ქს.) „წკმუტუნი; წუწუნი“...

2. **-ჷნ/-ჷ̄ნ** სუფიქსი დაერთვის -ჷ̄/-ჷ ხმოვნის შემცველ ფუძეებს: **თჷრტ-ჷ̄ნ** (ბზ.) **თჷრტ-ჷნ** (ბქ., ჩოლ.) „ჭიხვინი, ხვიხვინი: ფრუტუნი“, **ფჷრჩხ-ჷ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **ფჷრჩხ-ჷნ** (ბქ., ლნტ.) „შრიალი, შარი-შური (ქაღალდისა, ფოთლისა)“, **ფჷრცხ-ჷ̄ნ** (ბზ., ლშხ.), **ფჷრცხ-ჷნ** (ბქ.) „კანკალი, ცახცახი (შიშისაგან)“...

3. რაც შეეხება **ი̄ნ** სუფიქსს, იგი დაერთვის -ჷ̄/-ჷ ხმოვნის შემცველ ფუძეებს: **კჷ̄რკ-ი̄ნ** (ჩოლ.) „კისკისი“, **ფჷრღ-ი̄ნ** (ჩოლ.) „კანკალი, ცახცახი“, **ყჷრყ-ი̄ნ** (ბზ.) „პირდაღებული ტირილი“...

---

[1] ამოსავალია რედუპლიცირებულ ფორმათა პირველი კომპონენტები: **თჷრთხჷნ, სჷრტჷნ, ხჷრტჷნ**.

[2] სავარაუდო ძირ-ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაციის შესახებ იხ. ზემოთ!

4. რაც შეეხება -ე̄ჵ(ა)/-ეჵ(ა) სუფიქსს, ის დაერთვის სხვადასხვა სტრუქტურის (**CS+VCV, CCS+VCV, CVCCC+VCV, CVSCC+VCV, C+VCV, CVSC+VCV, CVC+VCV, CVSCC+VCV**) ფორმებს.

-უ̄ნ/-უნ და **-ჷ̄ნ/-ჷნ** სუფიქსიანი სახელებისა და შესაბამისად მათი საწყისი, თავდაპირველი ფუძეების სტრუქტურული მოდელები ზოგადად შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

C V C; C C V C; C V C C; C C C V C; C V C C C + SUF; C C V C C+ SUF; C C V C C+ SUF; CVSC+ SUF – CVSC+ SUF; CVSCC+ SUF – CVSCC+ SUF; CCVSC+ SUF – CCVSC+ SUF; CS+ SUF+V; CCS+ SUF+V; CVCCC+ SUF+V; CVSCC+ SUF+V; C+ SUF+V; CVSC+ SUF+V; CVC+ SUF+V; CVSCC+ SUF+V.

ფონემური შედგენილობის მიხედვით შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

როდესაც ანლაუტში თითო თანხმოვანია, ეს თანხმოვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რიგის და სერიის თანხმოვანი (**ბ, ფ, პ, დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ, გ, ქ, კ**...), მათ შორის ზოგი სონორიც კი. აუსლაუტში კი ამ შემთხვევაში ორწევრა ან სამწევრა მიმდევრობები გვხვდება, რომელთა შედგენილობა ასეთია:

ორწევრიანი ჯგუფის. პირველი კომპონენტი ყველგან სონორია, მეორე კომპონენტად კი ჩქამიერი თანხმოვნები დასტურდება (**რბ, რდ, რტ, რმ, რკ, რჭ, რჩ, რგ, რქ**...), იშვიათად სონორი + სონორი (**რმ**).

სამწევრიანი ჯგუფის პირველი კომპონენტიც მუდამ *სონორია* + *ჩქამიერი* + *ჩქამიერი* თანხმოვნები (**რთქ, რდგ, რთხ, რტყ, რჟღ, რსგ, რსდ, რჩხ, რცხ, რწკ, რჭყ, რჭკ, ლჯგ**).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ანლაუტში ორწევრა ჯგუფი დასტურდება — *ჩქამიერი* + *ჩქამიერი*, აუსლაუტში კი ამ შემთხვევაში იშვიათი გამონაკლისების გარდა (**რსგ**) მუდამ ორწევრა მიმდევრობები გვხვდება — *ჩქამიერი* + *ჩქამიერი* (**დგ, ტყ, შკ, ჩხ, ძგ, წყ**...).

-უ̄ნ/-უნ დაბოლოებიან სახელებში ძირეული ხმოვანი ყოველთვის ბაგისმიერი **უ** ხმოვანია, **ჷნ/-ჷ̄ნ**- დაბოლოებიან სახელებში ნეიტრალური **ჷ**, ხოლო **-ი̄ნ/-ინ** დაბოლოებიან სახელებში ძირეულ ხმოვნად ყველგან ნეიტრალური **ჷ** დასტურდება.

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სვანურს ხმაბაძვით სიტყვებში, ქართულის მსგავსად, კომპლექსის გამეორება არ ახასიათებს (შდრ. ქართ. **CVCC** > მეგრ. **CCVCC** > სვან. **CVCC**), მეგრულში კი, როგორც ცნობილია, ძალზე ხშირია (მაგ.: **გვაგვალ, ქვაქვალ, კვაკვალ; ჯგიჯგონ, ჩქიჩქონ, ჭკიჭკონ**...)[1]. და ის რაც მას ქართულისაგან განასხვავებს, ისაა, რომ სვანურში ღია მარცვალი განხილულ მასალაში არ დასტურდება, თუმცა თუ **რ** სონორის მეორეულობას დავუშვებთ, მაშინ სვანურშიც სავსებით შესაძლებელი გახდება ამოსავალი ღია მარცვლების დაშვება[2].

---

[1] ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა ბალსზემოურში — **ჟღჷრჟღჷ̄ნ** „ჟღარუნი".

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულში იხ. ბ. ქობალავას ნაშრომი "ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში", თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი, 1980, გვ. 67-76).

8. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში

ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობის შესწავლას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში, რადგან მისი შედეგები ფასეულია არა მხოლოდ თავად ლინგვისტიკისათვის, არამედ სხვა სამეცნიერო დისციპლინებისთვისაც. უნდა ითქვას ისიც, რომ სემანტიკის შესწავლის ძირითად ობიექტად ლექსიკური მნიშვნელობები ივარაუდება.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სწორედ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური ანალიზია სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით და აღნიშნულ ზმნათა ურთიერთმიმართების საკითხი მყოფობა-მქონებლობის გამომხატველ ზმნებთან.

ობიექტის სივრცული ლოკალიზაციის აღსანიშნავად, როგორც ცნობილია, ენები სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს უჭირავს, რომელთა შესწავლას ბოლო ათეული წლების ლინგვისტურ კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რაღა თქმა უნდა, სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაციის თვალსაზრისით ენებში განსხვავებული ვითარებაა (ნიუმანი 2002:1-24). ვფიქრობთ, სვანურს ამ თვალსაზრისით (*თავისი უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნებით*) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ქართველურ ენათა შორის.

ცნობილია, რომ *საგნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციის, მდებარეობის აღსანიშნავად ენების ნაწილი ირჩევს უნივერსალურ ზმნას, რომელიც გამოხატავს ნებისმიერ ლოკატიურ მდგომარეობას და დამოკიდებული არ არის ობიექტის ტიპზე. ასეთი ენის ნიმუშად მიიჩნევენ ფრანგულს, რომელიც ნებისმიერი ობიექტის მდებარეობას აღნიშნავს ზმნით *etre*. განსხვავებული ვითარებაა ისეთ ენებში, რომლებიც ობიექტის მდებარეობის აღნიშვნისას გარკვეულ დიფერენცირებას ახდენენ. ამ ენებში ერთი და იგივე ლოკატიური მდგომარეობა შეიძლება აღიწეროს სხვადასხვა პრედიკატით, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ობიექტზე არის საუბარი. მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების მეშვეობით კი გარკვეულწილად ხდება საგნობრივი ლექსიკის კლასიფიცირება (ნ. ლოლაძე), ამიტომაც ამგვარ ზმნებს მაკლასიფიცირებელ, ანუ სხვაგვარად პოზიციურ ზმნებსაც („stance verbs") უწოდებენ (რახილინა 1998:69).

სემანტიკა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად იკვლევს მნიშვნელობათა ცვლილებებს და ცდილობს მათ კლასიფიკაციას სხვადასხვა ტიპებად, რისთვისაც მიმართავს მეტყველების ფიგურებს. ამავე დროს სიტყვის მნიშვნელობა განიხილება როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი — იდეა ან წარმოდგენა (აბულაძე 2000:5). ცხადია, სემანტიკა ეძებს მნიშვნელობათა ცვლილების მიზეზებს ფსიქოლოგიურ პროცესებში და საკვლევ მასალას მისთვის ძირითადად მკვდარი ენების ტექსტები წარმოადგენს, ანუ სემანტიკა ცდილობს ისტორიული ტექსტების ინტერპრეტაციას (იქვე). საინტერესოა რა ვითარებაა ამ მხრივ არქაიზმებით მდიდარ სვანურ ენაში.

მყოფობის, სივრცული ლოკაციისა და მქონებლობის (verba habendi) სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური მოდელების ურთიერთმიმართების საკითხი სხვადასხვა ასპექტით განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც ქართველი (ლომთათიძე 1973:29-32; გაჩეჩილაძე 1974:76-82; სუხიშვილი 1976: 43-48; კორტავა 1981:109-115; გიგინეიშვილი 1987:90; მაჭავარიანი 1987:43-44; ჯანაშია 1991:93-101; ლოლაძე 1995; ოსიძე 1998:231-233; არაბული 2001:228-229; სუხიშვილი 2005:242-253; ლოლაძე 2005:186-191...), ისე უცხოელი (დეეტერსი 1954:109-119; კლიმოვი 1976; კლიმოვი, ალექსეევი 1980:128-131; ბოედერი 1980...) ენათმეცნიერების მიერ და საინტერესო დასკვნებიც არის გამოტანილი სამივე ქართველური ენისათვის, თუმცა სვანურში სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის" მნიშვნელობათა მიმართების საკითხი გამოწვლილვით დღემდე არავის შეუსწავლია.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა აღნიშნული საკითხის გამოწვლილვით შესწავლისა სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით. საანალიზოდ გამოყენებულია სვანური ენის პროზაული ტექსტების ოთხტომეული, სვანური ენის ქრესტომათია, ლექსიკონები და, ასევე, მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული სათანადო მასალა.

8. 1. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში

• სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, მსგავსად ქართულისა, მყარ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან. მათ, რამდენადაც ცნობილია, უძველესი ფორმაციის ზმნებად მიიჩნევენ (შანიძე 1980:385-392; ჩიქობავა 1950:74), რადგანაც, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს გარკვეული არქაულობა — მონაცვლეობა რიცხვის, გვარის, დრო-კილოთა მიხედვით, მეორე მხრივ კი, განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც მეტად საგულისხმოა როგორც ამ ზმნათა შესწავლის, ისე საერთოდ ენის ტენდენციების თვალსაზრისით (ლოლაძე 2011:138). ცნობილია ისიც, რომ ოპოზიცია **დინამიკურობა-სტატიკურობა** მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართველურ ზმნათა გრამატიკულ-სემანტიკური სტრუქტურების ფორმირებაში და, როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, იგი ერთ-ერთ ძირითად საკლასიფიკაციო ნიშნადაც გვევლინება (ჩიქობავა 1950:051). ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სწორედ **სტატიკურ** ზმნათა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზია სივრცულ მიმართებათა ენობრივი ასახვის თვალსაზრისით. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი, ბუნებრივია, დამყარებული იქნება უძრაობა-მდებარეობის აღმნიშვნელ სტატიკურ ზმნათა (**ლგგ** „დგას", **აყჷრე** „წევს", **სგურ** „ზის" და ა. შ.) მონაცემებზე[1].

• სვანური *საგნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციისათვის, ჩვენი დაკვირვებით, რამდენიმე პრედიკატს იყენებს, ესენია: **ლჷ̈გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) **ლგგ** (ბქ., ლნტ.) „დგას", **ხა̈გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაგ** (ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, დგას („ა-დგ-ა-ს")", **ხო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „აქვს, უდგას"; **აყჷრე** (ზს., ქს.), **ყურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს", **ზი** (ბზ.), **ზი‖ზგ** (ბქ.), **ლგზ‖ლგდ** (ლნტ.) „ძევს დევს", **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის"; **სგჷე̄ჯი** (ბზ.), **სგჷეჯი** (ბქ.), **სგოჯ** (ლშხ.), **სკჷეჯი** (ლნტ., ჩოლ.)[2] „ზის, ბრძანდება"; **ხაქჷიქჷ** (ზს.), **ქჷქ'ჷ'** (ბქ., ლნტ.), **ხაქჷი̄ნქჷა** (ჩოლ.) „ჩაცუცქულია („აცუცქია")"; **ხაფო̄რცხა** (ბზ., ლშხ.), **ხაფორცხა** (ბქ.) „აცოცებულია („აცოცია")"; **ხაცო̄ნცა** (ბზ., ლშხ.), **ხაცონცა** (ბქ., ლნტ.) „აცოცებულია („აცოცია"), ძლივს ჰკიდია"; **ხაკა̄რჩხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაკარჩხა** (ბქ., ლნტ.) „აცოცებულია („აცოცია")"; **ხასჷარტა** (ლშხ.) „აცოცებულია („აცოცია")"; **ხაბო̄ლა** (ბზ.), **ხაბოლა** (ბქ.) „აცოცებულია („აცოცია")"; **ხოლჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხოლაჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია"; **ხონგრგაჷა** (ზს.), **ხონერგაჷა** (ლნტ.) „უთესია, ურგია („უნერგია")"; **ხო̄ზ** (ბზ.), **ხოზ** (ბქ.) „აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)"; **ხაჰიდ** (ზს., ქს.) „მიყრდნობილია, მიყუდებულია („აყრდენია, აყუდია")"; **ხა̈ლერშა**[3] (ბქ.) „გადაწოლილია, გართხმულია ძირს (მაგ.,

---

[1] უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ზმნები სვანურში დეფექტურია. ამ ტიპის ზმნებს საკუთარი გააჩნიათ მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთები, სხვაგან კი სათანადო ი'ნიანი ვნებითის ფორმებია წარმოდგენილი (იხ. კ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბილისი, 1976).

[2] **სგჷე̄ჯი** (ბზ.), **სგჷეჯი** (ბქ.), **სგოჯ** (ლშხ.), **სკჷეჯი** (ლნტ., ჩოლ.) „ზის, ბრძანდება" პრედიკატი ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის გარდა გამოხატავს *ხატების, ეკლესია-მონასტრების, წმინდანების* და, ასევე, *ცხოველების* (მონადირულ ენაზე) სივრცულ ლოკალიზაციასაც.

[3] ეს ფორმა დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში და მიემართება სიმინდს, ლობიოს, ხორბლეულს (მაგ.: **ნაჷჩხჷნლჷე სიმინდ, ფეტჷ ი ლებია მა̈გ გიმქა ხა̈ლერშა** (ბქ.) „წვიმის შემდეგ სიმინდი, ფეტვი და ლობიო მთლიანად მიწაზეა გართხმული", **სიმინდ მა̈გ გიმჷი ხა̈ლერშა** „სიმინდი მთლიანად მიწაზეა გართხმული", თუმცა, ლახამულურ კილოკავში, რ. ჭკადუას თქმით, მსხვილი და წვრილი ღეროიანი მცენარეების მიმართ ორი პრედიკატი გამოიყენება, კერძოდ, მსხვილღეროიანზე (მაგ., სიმინდი) ამბობენ **ხა̈ლერშა** ზმნას,

სიმინდი, ფეტვი...)“, **ხადუ̄წა** (ბზ.), **ხადუწა** „გადაწოლილია, გართხმულია (მაგ., სიმინდი, ხორბალი, ლობიო...)“ და ა. შ. ჩამოთვლილ პრედიკატთაგან ძირითადია — **ლგგ** „დგას“, **აყჷრე** „წევს“, **ზგ** „დევს“ და **სგჷრ** „ზის“. ამათგან **აყჷრე** „წევს“ ზმნა სულიერის[1] მდებარეობას აღნიშნავს, ხოლო **ზი||ზგ** — უსულოსას[2]. რაც შეეხება **ლგგ** „დგას“ ზმნას, იგი სულიერის მდებარეობასაც აღნიშნავს (**ლგგ ამსჷალდ** „დგას ადამიანი“, **ლგგ ლჷაშ** „დგას ჯიხვი“ და ა. შ.) და, ამავე დროს, უსულოსაც (**ლგგ ქორ** „დგას სახლი“, **ლგგ მეგემ** „დგას ხე“ და სხვ.), ე. ი. გვაქვს ე. წ. ბინარული ოპოზიცია. **სგჷრ** „ზის“ კი მხოლოდ სულიერს მიემართება[3]. რაც შეეხება დანარჩენ პრედიკატებს, ისინი შესაძლოა მეტაფორებად მივიჩნიოთ.

• აღნიშნულ პრედიკატთა გარდა, სვანურში *საგნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირველად მასდარებად წოდებული ფორმები[4]: **თიგ** „კისერაწეული, გამართული დარჭობილია ერთ ადგილას, დგას (ზედმიწ. — არჭვია)“, **გლიგ** „უშნო სიმაღლის ადამიანი ერთ ადგილას დგას“, **ფიჭ** „გაფარჩხულად დგას ერთ ადგილას“, **კიკ||კლიკ** „ყურადღებით, ყურებდაცქვეტილი დგას (მაგ., ქალიშვილი, ფრინველი)“, **გიდ||გლიდ** „უშნოდ ამართული დგას (მაგ., ბატი)“, **ბიგ||ბრიგ** „მყარად, მაგრად დგას ერთ ადგილას...“; **ყჷიყჷ** „ზის ზარმაცად, უშნოდ“, **თხიკ** „გამხდარი ადამიანი უშნოდ, მოშვებულად ზის...“; **კაჩ** „ფეხზე დგას გამართულად, აღმართულია“, **ჭჷიჭ** „ზის ზარმაცად, მოჭმუხნული სახით“, **ყჷ̄ეყჷი** (ბზ.), **ყჷიყჷ||მიყჷ** (ბქ.) „ზის უშნოდ, მოდუნებულად, ზარმაცად (დიდი კაცი, ფრინველი, ცხოველი) — ზედმიწ. ა-ყუყ-ია)“, **თირ** (ზს.) „ზის, დგას, არის (ზედმიწ. — ა-თრ-ევ-ი-ა)“, **კაჩ** „დგას („აღმართულია)“ და მრავ. სხვ., რომელთა გამოყენებას სვანურში სისტემური ხასიათი აქვს. ამგვარ სტატიკურ ზმნებს, როგორც ცნობილია, ფუძის გაუფორმებლობა ახასიათებთ, რაც სწორედ მათ არქაულობაზე მეტყველებს (არნ. ჩიქობავა, რ. ჭკადუა). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმები მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგადაა მიღებული და ისინი ზედმიწევნით ასახავენ რეალური *საგნის* (resp. *ობიექტის*) გარეგნულ იერსა და მოძრაობა-მოქმედების თავისებურებას; სუბიექტს წარმოადგენენ გადამეტებული სიდიდით ან სიმცირით, მათი ძირითადი ამოსავალი სემანტიკა კი, როგორც ა. დავითიანის ნაშრომიდან — „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ ჩანს, ადამიანის აღნაგობისა და ქცევის დამახასიათებელი ნიშან-თვისების გადმოცემაა (დავითიანი 2008:315-331).

გარდა აღნიშნული ფორმებისა, სვანურში *საგნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაციისათვის მეტაფორული მნიშვნელობით არაერთი მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნის პირიანი ფორმაა გამოყენებული: **ხაპიჭყ** (ბზ.) „აზის, ზის (ზედმიწ. — ა-პარჭყ-ი-ა)“, **ხ-აყჷინყჷა||ხ-აბōნყჷა** (ლშხ.) „ზის უშნოდ, მოდუნებულად, ზარმაცად (დიდი კაცი, ფრინველი, ცხოველი) — ზედმიწ. ა-ყუყ-ი-ა)“; **ხ-აჩōნ-**

ხოლო წვრილღეროიანზე (მაგ., ხორბალი) — **ხაფანა** პრედიკატს: **სიმინდ დაბქა ხ̈ალერშა** „სიმინდი მიწაზეა გართხმული“, **კეცენ მჲ̈გ გიმქა ხაფანა** „ხორბალი მთლიანად ყანაშია დაწოლილი („გართხმულა“)“.

[1] თუმცა, იშვიათად, მაგრამ მაინც უსულო საგანსაც მიემართება, მაგ., **სიმინდ გიმჟი აყჷრე** (ბქ.) „სიმინდი მიწაზეა გართხმული (ანუ სიმინდი მიწაზე წევს)“, **თელ სიმინდ გიმჟი ყჷრ** (ლნტ.) „სიმინდი მთლიანად მიწაზეა გართხმული (ანუ სიმინდი მიწაზე წევს)“...

[2] **ზი||ზგ** „დევს“ ზმნა კი პირიქით, ზოგჯერ გადატანითი მნიშვნელობით სულიერსაც მიემართება, მაგ., **ჰამუნლჷე ნებოზდ ლაყჷრალეჟა ზგ მაშდმა̈რ** (ბქ.) „დილიდან საღამომდე ლოგინზე დევს მთვრალი“..., რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

[3] თუმცა მეტაფორული გადააზრიანებით ზოგჯერ უსულო საგნებსაც მიემართება. მაგ.: **ბინტჷ ხასგჷრ ჩიგჷაშჷ** (ბქ.) „ნისლითაა ყველაფერი დაფარული („ნისლი აზის ყველაფერს“)“; **კჷა̈მ ახსგჷრდა ქორს** (ბქ.) „კვამლით დაიფარა სახლი („კვამლ-ი მოაჯდა სახლს“)“; **ლიც ახჷსგჷრდა მთელ სოფელს** (ბქ.) „წყლით დაიფარა მთელი სოფელი („წყალი მოაჯდა მთელ სოფელ-ს“)“; **ლიც ხასგჷრ ჩიგჷაშ** (ბქ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“)“, **ლიც ხასგჷრ ჩōს** (ჩოლ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს“)“ და სხვ.

[4] ამ ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში „სახელურ-ზმნურ“ ფუძეებსაც უწოდებენ (იხ. ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იკე, XXXVI, თბ., 2008, გვ. 315-331).

ჩხჟა (ჩოლ.) „ზის ქალი უდარდელად (ზედმიწ. — აჩენჩხვია)“; **ხაბო̄ნჯლა** (ჩოლ., ლშხ.), **ხაბრო̄ნგა** (ჩოლ.) „დგას გაბღენძილი“, **ხაპიტყ||ხაბიჯღ** (ჩოლ.) „ზის (ზედმიწ. — ატყეპია)“, **ხ-აძჟნძგჟა** (ჩოლ.) ჩაცუცქულია (ზედმიწ. — აძუძგია)“, **ხათხიფ** (ზს.) „წევს მოდუნებული, მოთენთილი საწოლზე (ზედმიწ. — აფენია)“, **ხათხიკ** (ზს.) „წევს მოდუნებული, მოთენთილი საწოლზე (ზედმიწ. — აფენია)“, **ხაკჟა̄რა** (ბზ., ლშხ.), **ხაკჟარა** (ბქ.) „ზის (ზედმიწ. — აგდია)“, **ხა̈თო̄რ** (ბზ.), **ხათირ** (ბქ.) „ზის (ზედმიწ. — ა-თრ-ევ-ი-ა)“ და მრავ. სხვ., რომელთა ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს, რადგანაც მეტაფორული ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული ზმნების რაოდენობა სვანურში ძალზე დიდია.

• მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: ვერტიკალურს — **ლგგ** „დგას“, ჰორიზონტალურს — **აყჟრე** „წევს“ და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ** „ზის“, თუმცა აქ შეიძლება დაემატოს მეოთხეც, რომელსაც ნეიტრალური მდებარეობა უკავია *დგომასა* და *ჯდომას* შორის — **ხაქჟიქჟ** (ზს.), **ქუქ'ჟ'** (ბქ., ლნტ.), **ხაქჟო̄ნქჟა** (ჩოლ.) „ჩაცუცქულია („აცუცქია“)“. გარდა ამისა, ეს ზმნები გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც, მაგრამ ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და ქვეწარმავლების მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით ადამიანთან შედარებით სვანურში კიდევ უფრო განსხვავებულია და, ამავე დროს, ზოგ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულიც. ქართულში ზოგიერთ ცხოველს, რამდენადაც ცნობილია, სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., *ძაღლი დგას/წევს/ზის*), ზოგს — ორი (მაგ., *ძროხა დგას/წევს*), ზოგს კი მხოლოდ ერთი (მაგ., *ბაყაყი ზის*) (ლოლაძე 2013:20). რაც შეეხება სვანურს, იქ დიალექტების მიხედვით სხვაობას აქვს ადგილი. ზოგიერთ ცხოველს ამა თუ იმ დიალექტში ან სამივე პრედიკატი მიემართება (მაგ., **ჟეღ ლგგ/აყჟრე/სგურ** „ძაღლი დგას/წევს/ზის; **ციცჟ ლგგ/აყჟრე/სგურ** (ბზ.) „კატა დგას/წევს/ზის“), ან — ორი (მაგ., **ფჟირ ლგგ/აყჟრე** „დგას/წევს“; **ღჟაშ ლგგ/აყჟრე** „ჯიხვი დგას/წევს“), ან მხოლოდ — ერთი (მაგ., **ჰერწემ აყჟრე** (ბქ.) „გველი წევს), ან საერთოდ ნულთანაა გათანაბრებული და მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან[1].

გამომდინარე იქიდან, რომ სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით ენები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ როგორც სულიერსა და უსულოს, ასევე ვინ და რა ჯგუფის სახელებს შორის, შევეცდებით ნაშრომში ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ სემანტიკური დაპირისპირება: **ადამიანი (ვინ ჯგუფი) — არაადამიანი (რა ჯგუფი) და სულიერი (ცოცხალი) — უსულო (არაცოცხალი)**. ამ დაპირისპირებას (ანუ გარჩევას ცოცხალსა და არაცოცხალს შორის) ჩვენი ნაშრომისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისინი მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემებს გვაწვდიან ქართველურ ენათა ზმნის სისტემისა და ისტორიის თვალსაზრისით. ნაშრომში, როგორც უკვე ითქვა, განხილული იქნება სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის“ მნიშვნელობათა მიმართების საკითხი მრავალფეროვანი სვანური დიალექტური მასალის გათვალისწინებით.

8. 2. ადამიანის მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში

• როგორც უკვე ითქვა, მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას გამოხატავენ: ვერტიკალურს — **ლგ̈გ** „დგას“, ჰორიზონტალურს — **აყჟრე** „წევს“ და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ** „ზის“.

ვინაიდან სვანური ენის დიალექტ-კილოკავებს შორის სივრცული მიმართებების თვალსაზრისით

[1] ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მნიშვნელოვანი სხვაობაა, ამიტომ შევეცდებით საკმაო საილუსტრაციო მასალის საფუძველზე მოვახდინოთ მდებარეობის აღმნიშვნელ ზნათა ანალიზი სინქრონიულ დონეზე და გამოვავლინოთ ყველა ის სემანტიკური შესაძლებლობანი, რაც ამ დიალექტ-კილოკავებში ვლინდება. უპირველეს ყოვლისა თვალსაჩინოებისათვის შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას სამივე ძირითადი პრედიკატისთვის.

1. ვერტიკალური — ***ლგ̄გ*** *(ბზ., ლშხ., ჩოლ.),* ***ლგგ*** *(ზს., ლნტ.) „დგას“*

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ამეჩუ ჩუ ლგგ ხელწიფ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 86:12) „აქ დგას ხელმწიფე“
სამ ლაჰარ შუკუ̂ჲი ეშხუ მა̈რე ბა̈ჩჲი ლგგ (იქვე 225:18) „გზაჯვარედინზე ერთი კაცი ქვაზე დგას“
ესღრი ი შუკუ̂ისგა ჩუ ლგგ მა̈რე (იქვე 353:9) „მიდის და გზაში დგას კაცი“
ლგდგა̈რ იშდღუ̂ი, ეჩქას სერ ა̈გითე ჰედნიხ ი ჩუ ისგუ̂რი მა̈გ, ერ კაჩ ლგგ (იქვე 8:11) „მიცვალებულს რომ დაასაფლავებენ („მიცვალებული იმარხება“), მაშინ შინ ბრუნდებიან და ჯველა ჯდება, ზოგი ფეხზე დგას“
ხოშა თუ̂ეთნე ნადჵ̄ურ ყო̄რჲი ლგგ (იქვე 108:8) „დიდი თეთრი დევი („ნა-დევ-არ-ი“) კარებთან („კარ˹ს˺ზე“) დგას“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ქორა̈შ მახუ̂ში, ჰედ მაშენამთეშ ლუ̂აჟმარე ქა ღგრი ტაბა̈გთექა, შგა̈რს სგებნაუ̂ ხა̈ხლინე ლა̈მზგრჲიშმალ ი აშხუ̂ალა̈გდ ჩუ ლგგ უშკუშუნდ (სვან. ქრესტ., 1978, 174:13) „ოჯახის უფროსი, ან შედარებით უფროსი მამაკაცი მივა („გავა“) ტაბლასთან, ხელებს წინ გაიშვერს ისე, როგორც ლოცვის დროს და კარგა ხანს უხმოდ დგას“
ამეჩუ მიჩა დი ყორჲი ლგგ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 175:12) „აქ დედამისი კართან დგას“
დინა მიჩა ჯიმილს ჰყა̈ნს ხოკუ̂ანე ჰგშხა̈რისგა, მარე ალი ჷ'იკედ ი ჰყა̈ნჲი და̈უ̂ს ა̈გნე ი ჯი მეგჰად ლგგ „გოგო თავის ძმას ქონს უგდებს ფეხებში, მაგრამ ეს იღებს და ქონზე დევს აყენებს და თვითონ მაგრა დგას“
ბეფშუ̂ ქორა̈შ ყარჲი ლგგ ი ეჩხენქა იტულალ „ბავშვი სახლის სახურავზე დგას და იქიდან ყვირის“
ჩუ ლგგ ამეჩუ, ყორჲი, მეშხე და̈უ̂ ი ჲი ხასგურ მეშხე რა̈შს[1] „აქ, კართან, დგას შავი დევი და აზის შავ რაშს“ ...

ლ ა შ ხ უ რ ი

ბაჩი ხილ ჩუქუ̂ა̄ნ ლგ̄გ ი ხოლლი შომა̄ძღენ ოხკუ̂ა̄ნნეხ კინძილს „ბაჩი ხის („ხილ-˹ი˺“) ქვეშ დგას და ელოდება როდის ჩამოუგდებენ ბლის ასხმულას“
მანქანაძმგუ ლგ̄გხ ლუ̂აჟარ „მანქანასთან დგანან მამაკაცები“
შუკუ̂ი პილჲი ბოფშ ლგ̄გ „გზის პირას ბავშვი დგას“
ზურა̄ლ ჩუ ლგ̄გ ყო̄რჲი „ქალი დგას კარებთან“ ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

მარე ბოგჩუქა̈ნ ლგგ (ლნტ.) „კაცი ხიდის ქვეშ დგას“
ჩიჲე კიბე თხუმჲი ლგგ „სიძე კიბის თავში დგას“
ჰყინტ ჩუ ლგგ ძუღუ̂ა̈ძ პილმოყ „ბიჭი ზღვის პირას დგას“
ალ დენა ჩუ ლგგ ეშხუ ლეღუმრა̈ძსა ი ხაყამნი „ეს გოგო დგას ერთ ნაძვნარში და ეშინია“ ...

[1] ნაშრომში გამოყენებულია საველე პირობებში ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოპოვებული მასალა.

ჩოლურული

ბაპ ეკლესიაჲ ყო̄რმოყ ლჷ̄გ „მღვდელი ეკლესიის კართან დგას“
ბესი ჟი ხაბა̈ჯგა ფა̈უს ი ეჯჟი ლჷ̄გ „ბესი ჯოხზეა დაყრდნობილი და ისე დგას“
ლაფა̈ნაჟი ზურა̈ლ ჰიშხეი ლჷ̄გ „საკურთხი სუფრის წადგმის დროს ქალიფეხზე დგას“
თამარ ჩუ ლჷ̄გ ლესკთე ი დე̄სღამ ხოჲე̄მე მე̄ზა̈ლას „თამარი განზე დგას და გამვლელებს ხელს არ უშლის“... ·

*2. ჰორიზონტალური — **აყჷრე** (ზს., ქს.), **ყჷრ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“*

ბალსზემოური

ტოტა ჰაჲხან მახად ა̈მჲედ, მახად ა̈მჲედ ლათხჷიარხა̈ნ, ჩუ ლალ აყჷრე ი იშჷმინე (სვან. პოეზ., 1937, 52:31) „ტოტა ჰახანი ახლახან მოსულა, ახლახან მოსულა ნადირობიდან, წევს და ისვენებს“
ნალჷაჟჷს ჩა̈ჷისგა ფა̈ტჷა̈ ჩალ ხორშა ი ეჩე̄სგა აყჷრე (სვან. ქრესტ., 39:3) „ნამშობიარებს ჩეოში ფეტვის ჩალა უფენია და იმაში წევს“
... ლა̈თშჷ ნე̄შკაჟე̄ნ ჲერჷე̄ჲ აყჷრე, ეჯას კჷა̈მი ბა̈დშჷ მე̄რმა ლადა̈ლ თე̄რა̈რ ნალა̈ლჷდ ხოჯეშ (იქვე 115:33) „ღამე სხვენზე ვინც წევს, იმას კვამლისგან მეორე დღეს თვალები ჩასისხლიანებული აქვს“
სჷლასახელ ჷოქჷრა̈ ჰაკჷა̈ნისგა აყჷრე (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 100:14) „სულასახელი ოქროს აკვანში წევს“ ...

ბალსქვემოური

სოსლან აშხჷ ლადეღ მინდერისგ’აყჷრე ჩუ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 171:1) „ერთ დღეს სოსლანი მინდორში წევს“
ლა̈ჲსგიდიჷ ი კარაჷა̈ტ ლეჟა აყჷრე სიმაქ ი ალი ხარგა̈დი (იქვე 210:21) „გაიხედა და საწოლზე წევს ქალიშვილი და ეს ელაპარაკება“
... მიჩა დის ხა̈ქჷე ‘ბეფშჷდ’, ერე „დია, ჯი როქ მიჩა ჯიმილს ლგმგრშჷენინ, ეჩა როქ მაჯონ აყჷრე მინდჷერისგა (იქვე 55:11) „დედამისს უთხრა ბავშვმა, რომ „დედა, შენ რომ ძმას ახსენებდი, იმისი მსგავსი წევსო მინდორში“
მესგჷრე ჰამუნლჷე ნებოზდ ჩუ გარ აყჷრე (იქვე 269:18) „მოჯამაგირე დილიდან საღამომდე წევს“ ...

ლაშხური

მახა ნალღჷაჟს შიშდ ხაბშეხ კოტრლ ლეზობე̄ლს ი ამჟი აყჷრე (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 10:33) „ახალ ნამშობიარებს ხელად აწვდიან ცოტაოდენ საჭმელს და ასე წევს“
... ჷეზირ ... ხეწად, ერე ზურა̈ლ ნე̄ნსგა̈ჲსა აყჷრე ი ჰყჷინტარ ეჩხენ-ამხენ მეკრა̈ლჟი ხოყჷრეხ (იქვე 76:12) „ვეზირმა დაინახა, რომ ქალი შუაში წევს და ბიჭები აქეთ-იქით მკლავებზე უწევს“
ჩუ ერ ილღჷაჟალ ზურალ, ... ჲესინ უსგჷა ნაგზათექა ღო̄თ აყჷრეხ (იქვე 10:30) „ქალი რომ იმშობიარებს, ზოგჯერ ლამის ექვსი თვე წევს“
ჰყინტ ჰაბ-ჰაბე̄ლ აყჷრე „ბიჭი გულაღმა წევს“ ...

ლენტეხური

მაულ ხეწად ალ მარეს ... ი ათაყამნიდა: „ჯე ლოქ დეშ ღგრი ეჩა მიარეხო, იმალე ლოქ აყჷრე ხუმლა̈ჲ ძირს“ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967, 299:7) — მელიამ დაინახა ეს კაცი და შეეშინდა: „მე ვერ მივალო მასთან ახლოს, რაღაცა წევსო ხურმის ძირას“
აჯალ ათალაკა ეშხუ ჲეხჷ-ჭა̈შს: კადა̈ჲ ლადარეჟი აყჷრეხ (სვან. ქრესტ., 1978, 341:36) „ისევ გადააწყდა თურმე ცოლ-ქმარს: ნაჯახის ყუაზე წვანან“
მერბე ჲეხჷ-ჭა̈შს ა̈თელაკან: კა̈მბეჩი გჷერეჟი აყჷრეხ (იქვე 341:37) „მეორე ცოლ-ქმარს გადააწყდა: კამეჩის ტყავზე წვანან“
ზურალ ლაყჷრაჲსკა აყჷრე||ყჷრ (ლნტ.) „ქალი ლოგინში წევს“ ...

ჩოლურული

ბლაჷ აყჷრე ლაყჷრაჟი „ბავშვი წევს საწოლზე“
ეჩხენ თურმე მელციā **ხალხ აყჷრე** „იქით თურმე პოლიციის („მილიცი-ის“) ხალხი წევს“
ხუთკუნჭულა ჩჷაყჷრე ფიცრიშ ლაყჷრაჟი „ხუთკუნჭულა წევს ფიცრის საწოლზე“
ალდარ ჩჷაყჷრეხ მაგ, ქოყანა **ხალხ**, ამჩუ „ესენი ყველანი წვანან, ქვეყნის ხალხი, აქ“ ...

*3. შუალედური (ე. წ. „მოკეცილი“) — **სგჷრ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკჷრ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“*

ბალსზემოური

ჯაჯუ ესნäრ საკარცხჷილეäნ **სგჷრ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 26:22) „ჯაჯუ თურმე საკარცხულში ზის“
ამä ჩუქჷäნ **ზურäლ სგჷრ** (იქვე 56:3) „ამის ქვეშ ქალი ზის“
ამეჩუ, ლგცჷი **ჩუ სგჷრ კäსრი გეზალ** ი იგჷნი (იქვე 146:3) „აქ, წყაროზე ზის კეისრის შვილი და ტირის“
ამჩიქა **მიჩა დი ჩუ სგჷრ** ბაღისგä გაკ ჩუქჷäნ (იქვე 250:4) „ამ დროს დედამისი ზის ბაღში კაკლის ხის ქვეშ“ ...

ბალსქვემოური

ალ მეზგემ ლარდäშ ბალკონჷი **სიმაქ სგჷრ** ... (სვან. პროზ. ტექსტ., II, 108:11) „ამ ოჯახის სახლის აივანზე ქალიშვილი ზის“
მერბელად ხäქჷეხ: „იმ ესერ ატმურე გიცäრს, **მინე მუხჷიტან ლეჷან** ესერ სჷიფისგა **სგჷრ**“ (იქვე 127:38) „მცხობელებმა უთხრეს: „რას ატყავებო ამ ვერძს, ჩვენი ამომწყვეტი ლევანი სოფლის მოედანზე ზისო“
მგელაწადხენ **სგჷრ მუ**, ნენსგაჩუ მინე გეზალ (იქვე 182:30) „აღმოსავლეთისკენ ზის მამა, შუაში მათი შვილი“
ისგუ ლოშგიმხენ მი სგჷრდე, ამეი **ბუა სგჷრ** სგჷებინხენ, მი ლოშგიმხენ „შენს უკან მე რომ ვიჯდე, ასე მამა ზის წინ, მე უკან“ ...

ლაშხური

... ამეეი **სგჷრ ზითუნახაჷ** ი იცხäნäელ (სვან. (ლაშხ.) ტექსტ., 19??, 61:13) „ამაზე ზის მზეთუნახავი და თმას ივარცხნის“
ნაცარქექäაä ჩუ სგჷრ დäჷა ლაზგääსა ი ლეზობ-ლეთრას მიჩაჷშ იმäრე ი იზბი (იქვე 81:11) „ნაცარქექია ზის დევის სახლში და საჭმელ-სასმელს თავისით იმზადებს და ჭამს“
კოჯა კეცხჷი **ჩუ სგჷრ დäჷ-დედბერ** (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 128:4) „კლდის წვერზე ზის დედაბერი დევი“
ლერექჷი მგბäნდე **ზურäლ** ეჩეჩუ **სგჷრ** „მკერავი ქალი იქ ზის“ ...

ლენტეხური

ლგდგäრი თხუმმოყ **სკჷრ** ხოჩა ლგმხäლ **ხოშა მარე** ი äედ **ზურალ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 51:33) „მიცვალებულის თავთან ზის გონიერი უფროსი კაცი და ან ქალი“
ჰირისუფäლ ჩუ სკჷრ ლგდგäრმოყ ი იგჷნიხ (იქვე 52:1) „ჭირისუფალი ზის მიცვალებულთან და ტირის („ტირიან“)“
ალ მარე **ჩუ სკჷრ** მოშ, სტოლ ხულჷა ი ლääრალი (იქვე 53:11) „ეს კაცი ზის ცალკე, მაგიდა აქვს და საწერიც“
ბაპ ძაძფურად **სკჷრ** (იქვე 181:7) „მღვდელი შეწუხებული ზის“ ...

ჩოლურული

სინამდჷილäსა **გირგოლ** ამჩუ **სგჷრ** „სინამდვილეში გირგოლი აქ ზის“

სტოლა თხუმ **ჩუ სგურ** ალე, მგზმჷრჷლ, მარე დესამა ხოჩა ამშა ლისდის „სუფრის თავში ზის ეს, მელორე, მაგრამ არაფერი სჯობია ამის ყურებას“

... **ეჩა ჲეხჳ, ე. კუკჳშ, ჩუ სგურ** ეშჩუ, ეჯჲარეშმოყ „იმისი ცოლი, ე. კუკუსი, იქ ზის, იმათთან“

ეშხუ ნებოზს **ჩუ სგურ** აჯალ ეჯი მჷრე „ერთ საღამოს ისევ ზის ის კაცი“ ...

ადამიანის მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს, აგრეთვე, **სგჳე̄ჯი** (ბზ.), **სგჳეჯი** (ბქ.), **სგოჯ** (ლშხ.), **სკჳეჯი** (ლნტ., ჩოლ.) „ზის, ბრძანდება“ პრედიკატი, რომელიც ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის გარდა მიემართება *ხატების, ეკლესია-მონასტრების, საკრალური ნივთებისა* და, მონადირულ ენაზე, *ნადირის* სივრცულ ლოკალიზაციასაც, თუმცა მას უფრო „მყოფობის“ სემანტიკა გააჩნია, რაც საილუსტრაციო მასალიდანაც ნათლად ჩანს:

მეთხჳჲარ კოჯა ძირად აჩად, ეჟი ლახგარგლე ჟიბაჳ დალილდს: „დიდაბ აჯჳად, მა ლე **სგოჯი**, ქა დო მისგჳჯი, გუნ მეკჳადი“ (ბზ., ლატ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 270:18-20) — მონადირე კლდის ძირას მივიდა, შეელაპარაკა ზევით დალს: „დიდება მოგივიდეს, ვინც ბრძანდები, მიბრძანე, ძალიან მინდა!“

ხადა ჯადეს მუ˹შ˺ჳდი მიშგჳი, **ნამ˹ყ˺სურ სგოჯი** მუ˹შ˺ჳდი მიშგჳი, დედეს ისგჳა ხახიენი! (ბზ., უშგ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 84:18-20) „ვინს გყავდეს ჩემი გამყიდველი, ˹თუ˺ ნამყსური ბრძანდება ჩემი გამყიდველი, დედაშენს მიახარე!“

ხელწიფხეშ გეზალ ... შიშდ ლახსგურდა მიჩა რäშს ი აჩად, იმგჳა მიჩა **ხეხჳ სგჳეჯი** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 112:28-30) „ხელმწიფის შვილი ხელად თავის რაშს მოაჯდა და წავიდა, ˹იქ˺ სადაც მისი ცოლი ბრძანდებოდა“

ჟიბე მაცხჳარი ყორჟი **დედუფალ სგოჯი** (ბქ., სვან. პოეზ. I, თბ., 1939, 356:4-5) „ზემო მაცხოვრის კარზე დედოფალი ბრძანდება“

მეთხჳიäრ დეშ äბედäჳი ეჟი ლიზის ˹ი ხäქჳ˺: „**იმä ჰაბუკჳ ლოქ სკჳეჯი**, ჩუჳ ანჩად ძირხო!“ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 162:28) — მონადირე ვერ ბედავს ასვლას და უთხრა: „რომელი ჭაბუკიც ბრძანდებით, ძირს ჩამოდით!“

მე̄სმე მუხჳბე ესნäრ, დიდäბი ლეჰედ, **ჯგგრäგ სგჳეჯი** (ბზ., სვან. ქრესტ., 88:12) „მესამე ძმა თურმე, დიდება მის სახელს („დიდება მოსასვლელი“), წმინდა გიორგი ბრძანდება“

თäრგლეზერიშ ლაჰჳმი სგჳეჯი მეზგრჟი (ბქ., სვან. ქრესტ., 179:13) „მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია მდებარეობს („ბრძანდება“) მეზირის მთაზე“

თჳäლ მäჲ მეზგაისგა როქჳ **სგჳეჯი**, ეჯ მეზგე ჩიგარ როქჳ ლერსგჳანთე გარ სიპ ჩიე̄სგა (ბზ., სვან. ქრესტ., 78:5) „ნატვრის თვალი რომელ ოჯახშიც დევს („ბრძანდება“), ის ოჯახი ყოველთვის ბედნიერიაო („ყოველთვისო მარჯვნისკენ მხოლოდ ტრიალებს ყველაფერში“)“

ქ'ემმა ხეკვრქიხ ხედას, ... ამჟი ხოცäდიხ: „**ეშხუ** ესერ ამეჩუ **სგეჯი**“ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 235:14-15) — თუ რომელიმე მოკლავს ნანადირევს („თუ ეშოვათ რომელიმეს“), მაშინ ასე პასუხობენ: „ერთი აქ არისო („ბრძანდებაო“)“ და მრავ. სხვ.

ჩვენი აზრით, ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფში ვერ მოექცევა ისეთი მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები, როგორიცაა, მაგ.: **ხაქჳიქჳ** (ზს.), **ქუქ˹ჳ˺** (ბქ., ლნტ.), **ხაქჳჷნქჳა** (ჩოლ.) „ჩაცუცქულია („აცუცქია“)“, **ხაბიჯლ** (ჩოლ.) „აცუცქია“. აღნიშნული ფორმები გამოხატავენ როგორც ადამიანის, ისე ზოგიერთი ცხოველის მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას და მათ ნეიტრალური მდგომარეობა უკავიათ *დგომასა* და *ჯდომას* შორის, ამიტომ, ვფიქრობთ, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას (*ვერტიკალურს* — **ლჷგ** „დგას“, *ჰორიზონტალურს* — **აყჳრე** „წევს“ და *შუალედურს* (ე. წ. „მოკეცილს“) — **სგურ** „ზის“) უნდა დაემატოს მეოთხეც, რომლისთვისაც სახელი უნდა შეირჩეს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს სამივე პირის ფორმა გააჩნიათ: 1. **ხჳგ** „ვდგავარ“, **ხჷგ** „დგახარ“, **ლჷგ** „დგას“; 2. **ხჳაყჳრე** „ვწევარ“, **ხაყჳრე** „წევხარ“,

აუჩრე „წევს“; 3. სგურ „ვზივარ“, სგურ „ზიხარ“, სგურ „ზის“, რომლებიც, როგორც ვხედავთ, არამარკირებულია, და, გარდა იმისა, რომ მათი ძირითადი მნიშვნელობა სივრცული ლოკალიზაციის აღნიშვნაა, ყველა ამ ზმნისათვის, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, საერთოა *„მყოფობა-არსებობის“* სემანტიკით გამოყენება. რაც შეეხება ლჵ̈გ „დგას“ ზმნის მაქცევრიან (ე. წ. მარკირებულ) ხ-ა-გ „ადგას“, ხ-ო-გ „უდგას“ ფორმებს, მათ შესახებ სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

ადამიანის სივრცული ლოკალიზაციის ამსახველი გრადაციების სქემა სვანურში



- **მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში.**

1. ზმნა ლჵ̈გ (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/ლჵგ (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „დგას“ სვანურში შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ზეზეა, ფეხზე იმყოფება, ამართულია მთელი ტანით ⌈ადამიანი⌉ (საპირისპ. აუჩრე „წევს“, სგურ „ზის“); 2. ამართულად, ვერტიკალურად არის განლაგებული რაიმე ზედაპირზე ⌈საგანი⌉, დევს; 3. გაჩერებულია, ერთ ადგილზეა, არ მიდის, არ იძვრის. 4. არ მოქმედებს, გაჩერებულია, შეჩერებულია. 5. რაიმეში ასხია ⌈სითხე⌉; არ დის, უძრავადაა, დაგუბებულია. ‖ არის, დარჩენილია სითხე ⌈ჭურჭელში⌉. 6. დაბანაკებულია, იმყოფება ⌈ლაშქარი⌉; რაიმე პოზიცია უკავია. 7. ბინადრობს, სახლობს, ცხოვრობს. 8. ამართულია, აგებულია ⌈რაიმე მაღალი შენობა, ნაგებობა⌉; მოწყობილია რაიმე კონსტრუქცია. ‖ დარგულია ან ამოსულია ⌈ხე⌉. 9. არის, იმყოფება ⌈რამედ⌉, ასრულებს რაიმე სამუშაოს, მოვალეობას. 10. გავრცელებულია, ტრიალებს; ირევა ⌈სუნი⌉. ‖ ისმის, ვრცელდება (რაიმე ხმა...). 11. დამდგარია, მოსულია ⌈რაიმე დრო⌉. 12. ქარია, ქარბუქია. 13. დაგლეჯილია, დაფლეთილია ⌈ქაღალდი, ტანსაცმელი...⌉. 14. გავარვარებულია, ცხელია. 15. დამწვარია, ფერფლადაა ქცეული ⌈სახლი, ნაგებობა⌉. 16. მოასფალტებულია ⌈ქუჩა⌉[1] და მრავ. სხვ.

მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნებისთვის ქართულში, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია *„არსებობა-მყოფობისა“* და *„კუთვნილების“* სემანტიკით მათი გამოყენება. სვანურშიც ამ ზმნების ერთ-

[1] მაგ., ლენტეხä̈ დაბä̈სკა თელდ ახფä̈ლტ ლჵგ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967, 10:31) „ლენტეხის ცენტრში მთლიანად მოასფალტებულია („ლენტეხ-ი⌈ს⌉ დაბა-ში მთლ-ად ასფალტ-ი დგ-ა-ს“)“.

ერთი მნიშვნელობა სწორედ *„არსებობა-მყოფობის“* გამოხატვაა, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას **ლიგნე**[1] „დგომა“ ზმნის შესახებ, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დგომაც რეალურად შესაძლებელია (მაგ.: **ლგგ** „დგას“ — **მარე** „კაცი“, **ქორ** „სახლი“, **მეგემ** „ხე“, **ლაყურა** „საწოლი“, **ჰიქ** „ჰიქა“, **მäშინა** „მანქანა“ და ა. შ.), მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში (თუ სხვადასხვა იდიომატურ გამონათქვამში):

ბäლდ ლიგნე (ზს.), **ბäლდ ლიგენე** (ლნტ.) / **გლაჯდ ლიგნე** (ჩოლ., ლშხ.) / **წაწდ ლიგნე** (ჩოლ.) / **ტრაკდ** / **ტრაშდ ლიგნე** (ჩოლ., ლშხ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა (ზედმიწ. — ფლეთად **დგ**-მ-ა)“; **ბგლäმდ ლიგნე** (ბზ.) „დაფლეთა, დაგლეჯა; დამსხვრევა, დამტვრევა (ზედმიწ. — ფლეთად‖მსხვრევად... **დგ**-მ-ა)“; **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გგნჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად დგ-მ-ა**)“; **გგლäჯდ ლიგნე** (ბზ.), **გლäჯდ ლიგნე** (ბქ.), **გლაჯდ ლიგნე** (ლშხ.), **გლäჯდ ლიგენე** (ლნტ.) „დაგლეჯა, დაფლეთა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად დგ-მ-ა**)“; **გრäმდ ლიგნე** (ზს., ჩოლ.) „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ**-მ-ა)“; **გუäსპდ ლიგნე** (ბზ., ჩოლ.), **გუäსპდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ**-მ-ა)“; **ბიფხდ ლიგნე** (ზს.) „სწრაფად განკურნება; დასუფთავება (ზედმიწ. — ნამად **დგ**-მ-ა)“; **ბრäნჴდ ლიგნე** (ჩოლ.) „წაქცევა“; **ბრიკს‖ბäნკირს ლიგნე** (ბქ.) „ურჩობა, ოჩნობა (ზედმიწ. — ნაბიჯს **დგ**-მ-ა)“; **ლაგას ლიგნე** (ზს., ლშხ..), **ლაგას ლიგენე** (ლნტ.) სხვადასხვა სემანტიკით. მაგ.: 1. დარიგება, რჩევის მიცემა, გზაზე დაყენება (ზედმიწ. — **ალაგა-ს დგ-მ-ა**). 2. ზს. მოგვარება, მოწესრიგება, დადგენა; **თხუმემ ლგცფექდ ლიგნე** (ბქ.) „თავის დანაყვა, გახეთქვა (ზედმიწ. — თავის წყალ-ფქვ-ილ-ად და-**დგ**-მ-ა)“; **ხოლა ჩქიმიშ ლიგნე** (ბქ.), **ხოლა ჩქიმი ლიგენე** (ლნტ.) „ცუდი შეხედულება (ზედმიწ. — ცუდი იერი'ს' და-**დგ**-მ-ა“); **ხოლა დჳრეჲა ლიგნე** (ჩოლ., ლშხ.) „გალანძღვა“; **გუäჰდ ლიგნე**, **გუახდ ლიგნე** (ზს.) — 1. დამსხვრევა, მოსპობა, დამტვრევა; დაბეგვა. 2. დაწვა, გადაბუგვა. 3. გადაღლეტა, გადაყვლეფა. 4. უშგ. შესანსვლა; **გუასპდ ლიგნე** (ჩოლ., ლშხ.) „შესანსვლა, ჩაყლაპვა“ (ზედმიწ. — ფქვად **დგ**-მ-ა); **გუერად ლიგნე** (ბქ.) „ტყავის აძრობამდე ცემა; დაბეგვა (ზედმიწ. — ტყავად **დგ**-მ-ა), **გუე̄რად ლიგნე** (ლშხ., ჩოლ.)“, **როფდ ლიგნე** (ბზ.) „დიდი ჩხუბი (ზედმიწ. — საფანელად **დგ**-მ-ა)“; **ციცუდ ი შტუგუდ ლჳგხ** (ჩოლ., ლშხ.) „ჩხუბობენ“; **ბიზიკდ ლგგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია, ჩქარი არის (ზედმიწ. — **ბზიკ-ად დგ-ა-ს**)“, **ცხვნდდ ლგგ** (ბქ.) „გავარვარებულია, გავარვარებული არის; მაღალი სიცხე აქვს (ზედმიწ. — ნაკვერცხლად **დგ**-ა-ს)“, **ბიქუიშ ჰულ ჩუ ლგგ** „ქარია, ქარი არის (ზედმიწ. — ქარის წუილი ქე **დგ**-ა-ს)“; **თე ხაგ** (ზს., ქს.) „გათვალულია (ზედმიწ. — **თვალ-ი** ა-**დგ**-ა-ს)“, **ფäთუ ხäგ** „გაბზარულია, გაბზარული არის (ზედმიწ. — **თმა** ა-**დგ**-ა-ს)“, **ყაყა ხაგ** „მისი ყველაფერი ჩანს, მასზე ყველა ლაპარაკობს (ზედმიწ. — **ყაყან-ი** ა-**დგ**-ა-ს)“, **საზანდარდ/საროსტად ლჳგ** (ჩოლ.) „ბევრს ლაპარაკობს“ და მრავ. სხვ., რაც მის სემანტიკურ შესაძლებლობებზე მიანიშნებს. ცხადია, რომ ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური **ლჳგ** „დგას“, მნიშვნელობით ყოველთვის სუბიექტის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნას („დგომას“) არ გამოხატავს, არამედ ზოგადად *„მყოფობასაც“*, რასაც აქ წარმოდგენილი იდიომატური გამოთქმებიც ცხადყოფენ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ყველაზე ხშირად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დასტურდება მასდარი **ლიგნე** „დგომა“ და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები. ქართულში, თითოოროლა გამონაკლისის გარდა, *დ გ ო მ ა* და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბებაში დიდ როლს არ ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ **ლიგნე** „დგომა“ სვანურში ბევრ სიტყვასთან კავშირში გვხვდება და მისი ასპარეზი სხვა ზმნებთან შედარებით ფართოა, არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ამბობენ: **ჩქიმდ ლგგ** „ლამაზია (ზედმიწ. — იერად **დგ**-ა-ს)“, **თხუიმს პიცდ ხოგნე** „თავს დაუჩეჩქავს (ზედმიწ. — თავს ცომად უ-**დგ**-ა-მ-ს)“, **ხოჩა ლესდი ხაგ**

[1] და, ასევე, მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები.

„ლამაზია (ზედმიწ. — კარგი შეხედვა ა-დგ-ა-ს)“ და ა. შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი აღნიშნული ზმნის ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოფარგლული ყოფილიყო ერთი მიმართულების ემოციებით და შემდგომ, დროთა განმავლობაში, მისი ხმარების რადიუსი გაზრდილიყოს[1].

2. **აჯურე** (ზს., ქს.), **ჯურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“ პრედიკატი სვანურში სულ ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. წევს ʻადამიანი, ცხოველიʼ (ძირითადი მნიშვნელობით). 2. გართხმულია, გაწოლილია ძირს ʻმცენარეʼ (გადატანითი მნიშვნელობით), რაც მის სემანტიკურ შეზღუდულობაზე მიანიშნებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას სრულებით არ შესწევს უნარი ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში მიიღოს მონაწილეობა.

3. **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“ პრედიკატი კი შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. ზის ʻადამიანი, ცხოველიʼ. 2. მიხვედრა. 3. ხელისგულზე ტარება, განებივრება. 4. ცოლად გაყოლა. 4. დარდიანობა, წუხილი. 5. დაწყობა, დალაგება ʻხალხისʼ. როგორც ვხედავთ, არც **სგურ** ზმნა არ გამოირჩევა თავისი სემანტიკური შესაძლებლობებით.

4. ჰორიზონტალური მდებარეობის აღსანიშნავად მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენებული **კაჩ** „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“ პრედიკატი შემდეგი მნიშვნელობით დასტურდება სვანურში: 1. დგას ფეხზე ʻადამიანიʼ. 2. აღმართულია ʻკლდე, მწვერვალი, ხეʼ. 3. ქარია. 4. მეტისმეტად შეშინება, უზომოდ აღელვება, შეძრწუნება, გულის გახეთქვა:

მიშგჷ ქორ სგჷებინ იცხ კაჩ (ბზ.) „ჩემი სახლის წინ მსხლის ხე დგას („აღმართულია“)“

ეშჩჷ მეჩი ზურა̈ლ კაჩ (ბზ.) „იქ მოხუცი ქალი დგას („აღმართულია“)“

ქესა̈რს მაყალშჷ ფა̈თჷ მა̈გ კაჩ ოთოგან, მარე ჷარ დეშ ხა̈ქჷე (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 276:7) „კეისარს შიშით თმა ყალყზე დაუდგა, მაგრამ უარი ვერ უთხრა („კეისარ-ს შიშით თმა ყველა აღმართ და-უ-დგ-ა, მაგრამ უარ-ი ვერ უთხრა“)“

ჴამუნდჷე ნებოზდ ჭგშხეი კაჩ ალ მარე (ბქ.) „დილიდან საღამომდე ფეხზე დგას („აღმართულია“) ეს კაცი“

ბეფშჷ ჭგშხეი კაჩ ლეთილადეღ (ბქ.) „ბავშვი ფეხზე დგას („აღმართულია“) დღე და ღამე“

მიშგჷ სგჷებინ კოჯ კაჩ (ბქ.) „ჩემ წინ კლდეა აღმართული“

ამეჩჷ ხოშაჷსახჷიშ მეგმა̈რ კაჩხ (ბქ.) „აქ უზარმაზარი ხეებია აღმართული („აქ უზარმაზარი ხეები აღმართულან“)“

ამეჩჷ ბოფშ კაჩ (ლშხ.) „აქ ბავშვი დგას („აღმართულია“)“

სგობინ ბეტონ კაჩ (ლშხ.) „წინ ბეტონი დგას („აღმართულია“)“

გირკტან ჩია̈გ ხილარ კაჩ (ლშხ., ჩოლ.) „ირგვლივ ყველგან ხეებია აღმართული“

ფათჷ კაჩ-კაჩ ოთოგა̈ნ (ლშხ., ჩოლ.) „შიშისაგან თმები ყალყზე დაუდგა“

ხილ კაჩ (ჩოლ.) „ხილი დგას („აღმართულია“)“

ამეჩჷ ეჯ მარე კაჩ (ლნტ.) „აქ ის კაცი დგას („აღმართულია, აყუდია“)“

ამეჩჷ ლგფრე მეგა̈მ კაჩ (ლნტ.) „აქ გამხმარი ხეა აღმართული („აყუდია“)“

ეჷქა̈ლი ბიქჷ ანკაჩდა, ერე იყჷფურე მეგამა̈რს, ეშ აჭემა მეგამა̈რს (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 307:32) „იმისთანა ქარი ამოვარდა, რომ ხეებს ძირფესვიანად თხრიდა, ცელავდა ხეებს („ის ჟალიბ-ი ბუქ-ი აღიმართა, რომ ითხრის ხეებს, ი-ს-ე თიბავდა ხეებს“)“

ბიქჷ ენკაჩა̈ნ (ჩოლ.) „ქარი ამოვარდა“ და ა. შ.

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი გამოკვლევა იხ. მე-5 თავში!

როგორც საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, კაჩ „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)" პრედიკატი სვანურში უსულოსაც მიემართება და სულიერსაც.

ამრიგად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნები სვანურში, ქართულის მსგავსად, სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს: ვერტიკალურს — ლჷგ „დგას", ჰორიზონტალურს — აყჷრე „წევს" და შუალედურს (ე. წ. „მოკეცილს") — სგურ „ზის". სივრცული ლოკალიზაციის გამოხატვის გარდა, აღნიშნული ზმნებისათვის, განსაკუთრებით კი ლჷგ „დგას" ზმნისათვის, დამახასიათებელია *„არსებობა-მყოფობისა"* და *„კუთვნილების"* სემანტიკით გამოყენება, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს.

8. 3. ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და ქვეწარმავალთა მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების სივრცული ლოკალიზაცია და მათი ურთიერთმიმართება „მყოფობის" ზმნებთან

• **ცხოველთა სივრცული ლოკალიზაცია.** მდებარეობის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნები (ლჷგ „დგას", აყჷრე „წევს", სგურ „ზის"), რომლებიც სივრცეში ადამიანის სამ განსხვავებულ მდებარეობას აღნიშნავს, როგორც უკვე ითქვა, გამოიყენება ცხოველთა მდებარეობის, პოზის აღსანიშნავადაც. მათი მდგომარეობა სივრცული მიმართებების ცვლის თვალსაზრისით ადამიანთან შედარებით სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში კიდევ უფრო განსხვავებულია და შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულიც, თუმცა, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ცხოველთა მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ხშირად *„მყოფობის"* ზმნები ენაცვლებიან:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ჟეღ ლჷგ/აყჷრე/სგურ[1] „ძაღლი დგას/წევს/ზის
ფირჷ ლჷგ/აყჷრე „დგას/წევს"
ღჷაშ ლჷგ/აყჷრე „ჯიხვი დგას/წევს"
დäშდჷ ლჷგ/აყჷრე „დათვი დგას/წევს"
ციცჷ ლჷგ/სგურ/აყჷრე (ბზ.) „კატა დგას/ზის/წევს"
მერმ'ჴგის, ძუღჷას ამხäნთე, ბუღჷა ლჷგ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 415:18) „სხვა ადგილას, ზღვის აქეთა მხარეს, მოზვერი დგას"
ნäფკუნ ჯუჷოლ ყორჟი აყჷრე (სვან. პოეზ., I, თბ., 1939, 52:31) „ნალეკვარი ძუ ძაღლი კარებთან წევს" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ჟეღ ლგგ/აყჷრე „ძაღლი დგას/წევს/ზის
ფჷირ ლგგ/აყჷრე „დგას/წევს"
ღჷაშ ლგგ/აყჷრე „ჯიხვი დგას/წევს"
ციცჷ ლგგ/აყჷრე/ხაქჷიქჷ (ბზ.) „კატა დგას/წევს/აცუცქია"...
მალ აყჷრე წიფრა ჩუქა ი ბäლე ხოჷახ შდიმჩუ ი ლäႵბინე ლიქინე (ბქ., სვან. ქრესტ., 210:9) „მელია წევს წიფლის ხის ქვეშ და ფოთოლი დაეცა ყურზე და გაიქცა („დაიწყო სირბილი")"
სი მარე, ჩუႵჯ äრი ალ დäშდჷ იმგჷალეგ, ალ ლეჟäჷäრისგაႵჯ აყჷრე (ბქ., ეკლინგის მასალები) „შე კაცო, სადღაც არის-მეთქი ეს დათვი, ამ არყნარში წევს-თქო" ...

ლ ა შ ხ უ რ ი

ჟეღ ლჷგ/აყჷრე‖ყურ „ძაღლი დგას/წევს/ზის
ფურ ლჷგ/აყჷრე‖ყურ „დგას/წევს"
ღჷაშ ლჷგ/აყჷრე‖ყურ „ჯიხვი დგას/წევს"

---

[1] თუმცა ეს უკანასკნელი ძაღლის ჯდომის აღსანიშნავად იშვიათად გამოიყენება.

დაშტჷ ლჵგ/აჲჷრეǁჲჷრ (ლშხ.) „დათვი დგას/წევს"
მართლა ძღგდ კჷიცრა ლას ი ჩჷ ჲჷრ ამჩჷ (ეკლინგის მასალები) „მართლა დიდი შუნი იყო და წევს აქ" ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ჟეღ ლჵგ/აჲჷრეǁჲჷრ „ძაღლი დგას/წევს/ზის
ფჷირ ლჵგ/აჲჷრეǁჲჷრ „დგას/წევს"
ღჷაშ ლჵგ/აჲჷრეǁჲჷრ „ჯიხვი დგას/წევს"
ჰა̈ნ ლჵგ/აჲჷრეǁჲჷრ „ხარი წევს" ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

ჟეღ ლჵგ/აჲჷრე „ძაღლი დგას/წევს/ზის
ფჷრ ლჵგ/აჲჷრე „დგას/წევს"
ღჷაშ ლჵგ/აჲჷრე „ჯიხვი დგას/წევს" და ა. შ.

სვანურ მრავალფეროვან საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ლჵგ** „დგას" და **აჲჷრე** „წევს" პრედიკატი თითქმის ყველა ცხოველის სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს. რაც შეეხება **სგჷრ** „ზის" პრედიკატს, იგი ყველა ცხოველს არ მიემართება, რასაც საველე პირობებში მოძიებული მასალებიც ადასტურებენ. თუმცა, თუკი რომელიმე ინფორმატორს **სგჷრ** „ზის" ცხოველთან მიმართებაში მაინც წამოცდა, ეს აუცილებლად ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს, ვინაიდან აღნიშნული პრედიკატის შერჩევის პრინციპი ამ შემთხვევაში სავსებით ნათელი არ არის ზოგი მათგანის აღნაგობიდან თუ მდგომარეობიდან გამომდინარე.

ზოგიერთი ცხოველის (მაგ.: *ძაღლის, კატის, მელიის, კვერნის, მგლის* და ა. შ.) ჯდომის „ჩაცუცქვის" აღსანიშნავად სვანურში, ძირითადად, **ხაქჷიქჷǁქჷქ'ჷ̄** (ზს., ლნტ.), **ხაქჷ̄ნქჷა/ხაბიჯღ** (ლშხ., ჩოლ.) „აცუცქია" პრედიკატი გამოიყენება, რაც, ვფიქრობთ, ბევრად უფრო რეალურად ასახავს ცხოველთა მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას.

აქვე უნდა განვიხილოთ ხეზე „*მყოფობის*" ამსახველი ისეთი პრედიკატებიც, როგორიცაა **ხაკა̈რჩხა/ხაფორცხა** (ზს., ლნტ.), **ხაფო̄რცხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაფჷთა** (ლშხ., ჩოლ.) „აცოცია", რომლებიც ერთნაირად მიემართება როგორც ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილ ზოგიერთ ცხოველს, ისე ადამიანსაც.

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ბეფშჷ ჰაზჷისგა ხაქჷიქჷ „ბავშვი ეზოში არის ჩაცუცქული („აცუცქია")"
ციცჷ ხაფო̄რცხა იცხჷი „კატა არის აცოცებული ხეზე („კატა აცოცია ხეს")"
ჰჷინტ ლარტამისგა ხაქჷიქჷ „ბიჭი ბოსტანში არის ჩაცუცქული („აცუცქია")"
ბეფშჷ ჷისგჷეი ხაფო̄რცხა „ბავშვი ვაშლის ხეზე არის აცოცებული („აცოცია")"
ჰჷინტ ჰებჷი ხაკა̄რჩხა „ბიჭი ბლის ხეზე არის აცოცებული („აცოცია")" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ჟეღ კალისგა ხაქჷიქჷǁქჷქ'ჷ̄ „ძაღლი ეზოშია ჩაცუცქული („აცუცქია")"
ციცულდ ჲორჷი ხაქჷიქჷǁქჷქ'ჷ̄ „კატა კარებშია ჩაცუცქული („აცუცქია")"
ბეფშჷ ჰა̈ზჷისგა ხაქჷიქჷǁქჷქ'ჷ̄ „ბავშვი ეზოშია ჩაცუცქული („აცუცქია")"
და̈შდჷ მეგემჷი ხაკარჩხა/ხაფორცხა „დათვი ხეზეა („დათვ-ი ხეზე აცოცია")"
მალ ჟა̈ჰჷრაშ მეგემს ხაკარჩხა/ხაფორცხა „მელია არყის ხეზეა („აცოცია")"
ნაღჷჟჷრ ხოშაჷსახჷიშ კგლთხი კოჯა̈შ თხუმჷი ხაქჷიქჷǁქჷქ'ჷ̄ „ბიჭი უზარმაზარი კლდის წვერზეა ჩაცუცქული („აცუცქია")"
სოფლიშ ბეფშჷ მა̈გ ნიშგე ჰებს ხაკარჩხა „მთელი სოფლის ბავშვი ჩვენს ხეზეა ასული („სოფლის ბავშვი ყველა ჩვენ ხეს აცოცია")"
მიშგჷა ბაბა კაკს ხაკარჩხა „ბაბუაჩები კაკლის ხეზეა ასული („აცოცებულია")" ...

ლაშხური

კიტაჳლ სგა ლǟზისა ხაქჷი̄ნქჷა „კნუტი შესასვლელში ჩაცუცქულა"
ციცჷ ლამფას ხაფჷ̄რცხა/ხაფჷ̄თა „კატა ჰერს აცოცია"
ბაყაჲ ნიცისა ბალაჟი სგჷრ „ბაყაყი წყალში ფოთოლზე ზის", თუმცა უფრო ხშირია არსებობის გამომხატველი **არი** „არის" ზმნის გამოყენების შემთხვევები.

ლენტეხური

ჟეღ კალისა ქჷქ˹ჷ˺ „ძაღლი ეზოშია, ზის („აცუცქია")" და არა **ჟეღ სკჷრ** „ძაღლი ზის"
მაჷლ ჩირთ ჩჷქჷან ქჷქ˹ჷ˺ „მელია ბუჩქის ძირას არის ჩაცუცქული"
დǟშტჷ ცინჷას ხაფორცხა „დათვი მოცვის ბუჩქზეა აცოცებული („აცოცია")" ...

ჩოლურული

კიტაჳლ სგა ლǟზისა ხაქჷი̄ნქჷა „კნუტი შესასვლელში ჩაცუცქულა"
მაჷლ ხილმოყ ხაბიჯღ „მელა ხესთან აცუცქია"
ციცჷ ლამფას ხაფჷ̄რცხა/ხაფჷ̄თა „კატა ჰერზეა („აცოცია")" ...

გარდა ზემოთ წარმოდგენილი ფორმებისა, სვანურ დიალექტებში ცხოველთა წოლის აღსანიშნავად დასტურდება მეტაფორული გადააზრიანებით მიღებული შემდეგი ზმნები — ლშხ., ჩოლ. **ხაბრǟნჯღა/ხაპრǟნწყა/ხაგრǟნგა/ხაბრǟნყჷა/ხაბრი̄ნგა** (მაგ., **ციცჷ ბახრǟნჯღა/ხაპრǟნწყა** „წევს", **ჟეღ ბახრǟნჯღა/ხაპრǟნწყა** „ძაღლი წევს (ზედმიწ. — „აფარჩხია/აპარჭყია")", **ფჷრ ხაგრǟნგა** „ძროხა წევს (ზედმიწ. — „აგორია")"...), ბზ. **ხაგრǟნგა** (მაგ., **დǟშდჷ ხაგრǟნგა** „დათვი წევს (ზედმიწ. — „აგორია")", ბქ. **ხაკრანკა** (მაგ., **დǟშდჷ ხაკრანკა** „დათვი წევს (ზედმიწ. — „აგორია")"), ბზ., ლშხ., ჩოლ. **ხაბჯგგნა** (მაგ., **ფირჷ ხაბჯგგნა** „ძროხა დგას (ზედმიწ. — „აბიჯგია")" და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანურში ძაღლის დგომას მიემართება **კაჩ** „დგას („აღმართულია") პრედიკატიც [მაგ., **ჟეღ კაჩ** „ძაღლი დგას (ზედმიწ. — აღმართულია)"], რომელიც ადამიანსაც მიემართება და ზედმიწევნით გამოხატავს მის სივრცულ ლოკალიზაციას.

ლაშხურსა და ჩოლურულში, მეტაფორული გადააზრიანების შემთხვევაში, გარჩეულია დიდი ძაღლისა და პატარა, ფინია ძაღლის სივრცული ლოკალიზაცია მათი აღნაგობიდან გამომდინარე, მაგ., **ჟეღ ხაგრǟნგა** „ძაღლი წევს („აგორია")", მაგრამ **ჟეღ ხაპრǟნჭყა** „ფინია ძაღლი წევს („აპარჭყია")", რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ სვანურში, მსგავსად ქართულისა, *საგნის* (resp. *ობიექტის*) ფორმა განაპირობებს მის სივრცულ მიმართებას და არა ფუნქცია.

შენიშვნა: სვანურის თითქმის ყველა დიალექტში **ამფხჷ** „ბაყაყი" ლექსემას არც ერთი ზემოთ დასახელებული პრედიკატი არ მიემართება. ვერც სვანურ ტექსტებში (მაგ., შდრ. ეშხუ ხოშა ოთახისა .... **ოქჷრე თახტეი ბაყაჲ ხეყადხ, ეჩეხ-ამეხ ხემწიფ ი მიჩა ჲეხჷ დედფალ ლგგდახ, გირიმურგჷალ ნაზირ-ჷეზირალ. ხემოლ სკადჷად ალ ღარიბ მაროლ, შიშტ ლახეჰჷედდახ: „მა ლოქ ლი ალე, ა, ტახტეი ლოქ ერ არი?"** (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 322:8-12) „ერთ დიდ ოთახში **ოქროს ტახტზე ბაყაყი ჰყავდათ**, აქეთ-იქით ხელმწიფე და მისი მეუღლე დედოფალი იდგნენ, ირგვლივ ვეზირები. როგორც კი შევიდა ეს ღარიბი კაცი, ხელად ჰკითხეს: „**რა არისო ეს, აი, ტახტზე რომ არისო?**") და ვერც საველე პირობებში მოძიებულ მასალებში **ამფხჷ** „ბაყაყი" ლექსემის სივრცეში ლოკალიზაციისათვის **ლგგ** „დგას" / **სგჷრ** „ზის" პრედიკატი ვერ დავაფიქსირეთ. **ამფხჷ** „ბაყაყი" გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ძირითადად ასოცირდება ხტომასთან, მაგრამ თუ ზის, ამ შემთხვევაში **სგჷრ** „ზის" პრედიკატის ნაცვლად ამბობენ **ა̈რი** „არის, იმყოფება" (მაგ., **ბაყაჲ ა̈რი** (ბზ., ლნტ.), **ბაყაჲ არი** (ქს.), **ამფხჷ ა̈რი** (ბქ.) „ბაყაყი არის") პრედიკატს. ასეა სვანურის თითქმის ყველა დიალექტში ლაშხურის გარდა, სადაც *ბაყაჲ*-ს მიემართება როგორც **სგჷრ** „ზის" პრედიკატი (მაგ., **ბაყაჲ ნიცისა ბალაჟი სგჷრ** „ბაყაყი წყალში ფოთოლზე ზის"), ისე **ხაპრǟნჭყა**

„აპარჰყია" პრედიკატი (მაგ., ბაყაყ ნიცისა ჰაბჰაბე̄ლ ხაპრა̄ნჰყა... „ბაყაყი წყალში გაფარჩხულად ზის („აპარჰყია")", თუმცა ეს უკანასკნელი პრედიკატი მეტაფორული ინტერპრეტაციითაა გაჩენილი.

შესაძლოა ჩოლურულ მეტყველებაში ადამიანის მიმართ გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებულ გამოთქმაში დაფიქსირებული პრედიკატი **ხაპიტჷ** „ზის (მაგ., **იმჟი ბაყაუშალ ხაპიტჷ** „როგორ ბაყაყივით ა-ტუეპ-ია")" სწორედ ბაყაყს მიემართებოდეს.

● **ფრინველთა სივრცული ლოკალიზაცია.** რაც შეეხება ფრინველებს, მწერებს და ზოგიერთ ქვეწარმავალს, მათ მიემართება ძირითადად ლოკატიური პრედიკატი **ხაგ** „ადგას", თუმცა როგორც ფრინველების, ისე ზოგიერთი მწერისა და ქვეწარმავლის[1] აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცული მიმართება სვანურში დიალექტების მიხედვით განსხვავებულ სურათს იძლევა, რაზეც მეტყველებს ერთი და იმავე ობიექტის მდებარეობის მიმართ ამა თუ იმ დიალექტში გამოყენებული სხვადასხვა პრედიკატები. ჩოლურული, რომელიც ძალზე საინტერესო ვითარებას ავლენს სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით, ჩიტის მდებარეობას სგურ „ზის" პრედიკატით გადმოსცემს, თუმცა არც **ხაგ** „ადგას" პრედიკატს გამორიცხავს, როცა სხვა დიალექტებში *ჩიტის ჯდომა* უმეტესად **ხაგ** „ადგას" პრედიკატით გადმოიცემა, ზოგიერთ დიალექტში კი არალოკატიური **ა̈რი** / **არი** „არის" ზმნით, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ დიალექტოლოგიურ მასალას, რაც საშუალებას მოგვცემს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნული საკითხის შესახებ.

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ნა̈პო̄ლ მეგამჟი ხა̈გ „ჩიტი ხეზე ზის („ა-დგ-ა-ს")"
ლაჰუ̄რაჟი ნა̈პო̄ლ ხა̈გ „ფანჯარაზე ჩიტი ზის („ა-დგ-ა-ს")"
მურყუ̄ამჟი ქათალ ხა̈გ „კოშკზე ქათამი ზის („ა-დგ-ა-ს")" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ნა̈პრ ლაჰუ̄რაჟი ხაგ „ჩიტი ფანჯარაზე დგას („ა-დგ-ა-ს")"
უ̄ერბ კოჯჟი ხაგ „ორბი კლდეზე დგას („ა-დგ-ა-ს")"
ქათლა̈რ მეგემჟი ხაგხ „ქათმები ხეზე სხედან („ა-დგ-ან-ან")" ...

ლ ა შ ხ უ რ ი

უ̄ორბ კოჯჟი ხა̈გ „არწივი||ორბი კლდეზე ზის („ა-დგ-ა-ს")"
ნეპო̄ლარ ხილარს ხა̈გხ „ჩიტები ხეებზე სხედან („ჩიტები ხილებს ადგანან")" ..., მაგრამ **ქათალ მეგემჟი ლჷგ** „ქათამი ხეზე დგას" ან **ქათალ მეგემჟი არი** „ქათამი ხეზე არის" ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ნეპოლ ნეშკაჟი ხაგ „ჩიტი სხვენზე ზის („ადგას")"
ყუ̄იჩ მეგა̈მჟი ხაგ „მამალი ხეზე ზის („ადგას")"
უ̄ერბ ნაშხატჟი ხაგ „არწივი||ორბი ღობეზე ზის („ა-დგ-ა-ს")" ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

ნეპო̄ლარ ხილარს ხა̈გხ (ჩოლ.) „ჩიტები ხეებზე არიან („ჩიტები ხილებს ადგანან")"

---

[1] მწერებისა და ქვეწარმავლების სივრცული ლოკალიზაციის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

ნეპო̄ლ ხა̈გ „ჩიტი ზის („ა-დგ-ა-ს")" ..., მაგრამ ნეპო̄ლ სგურ „ჩიტი ზის" და ა. შ.

ფრინველთა სივრცული ლოკალიზაცია სვანური ენის ყველა დიალექტში, როგორც მასალის ანალიზმა გვაჩვენა, გამოიხატება მდებარეობის აღმნიშვნელი რამდენიმე პრედიკატით, თუმცა ერთგვაროვანი ვითარება დიალექტებში არც ამ მხრივ გვაქვს. „მყოფობის" აღმნიშვნელი ა̈რი „არის" ზმნა კი ფრინველთა სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ყველა დიალექტში გვაქვს და მათ შორის ბალსქვემოურშიც, რომელიც სხვა დიალექტებთან შედარებით აღნიშნულ საკითხში არქაულ ვითარებას ინარჩუნებს.

• **მწერთა სივრცული ლოკალიზაცია**. როგორც უკვე ითქვა, სვანურში ქართულისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს მწერთა სივრცული ლოკალიზაცია. ჩვენი დაკვირვებით, მწერებს (მაგ.: *პეპელას, ბუზს, კოღოს, კალიას* და ა. შ.), რომლებიც დაფრინავენ, ძირითადად მიემართება ლოკატიური პრედიკატი **ხაგ** „ადგას" სვანურის ყველა დიალექტში, ხოლო ძირსმხოხავი მწერების სივრცული ლოკალიზაცია **ხაბოლა**[1] „აცოცია" პრედიკატით გადმოიცემა, თუმცა ბალსზემოურსა და ნაწილობრივ ქვემოსვანურ დიალექტებში აღნიშნულ პრედიკატებს აქაც უმეტესად *„მყოფობის"* აღმნიშვნელი ა̈რი „არის" ზმნა ენაცვლება.

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ბუზუ̄ლ ხა̈გ ლაჰუ̄რაჟი „ბუზი ზის („ა-დგ-ა-ს") ფანჯარაზე", მაგრამ **ბუზუ̄ლ ა̈რი ლაჰუ̄რაჟი** „ბუზი არის ფანჯარაზე"
მგრშკ ხა̈გ სა̈ჲნს „ჭიანჭველა არის თეფშზე („ჭიანჭველა ა-დგ-ა-ს თეფშს")", შდრ. **მგრშკ ა̈რი სა̈ჲნისგა** „ჭიანჭველა არის თეფშზე"
ყუ̄აუ̄ილს პა̈რპო̄ლდ ხა̈გ „პეპელა აზის („ა-დგ-ა-ს")"
მეჰრაჟი ბუზუ̄ლ ხა̈გ (ბზ.) „მკლავზე ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს")"
მგრშკ ხაბო̄ლა სა̈ჲნს „ჭიანჭველა არის („აცოცია")" თეფშზე („თეფშს")" და სხვ.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ლედღუ̄ს მერ ხაგ „ხორცს ბუზი ადგას"
ყუ̄აუ̄ილს მერ ხაგ „ფანჯარას ბუზი ადგას"
ყუ̄აუ̄ილს ჭგრელ პა̈რპოლ ხაგ „ყვავილს ჭრელი პეპელა ადგას"
ლეზუ̄ებს მგშკ ხაგ „საჭმელს ჭიანჭველა ადგას"
ბეფშუ̄ს მუნწუ̄ლა ხაგ ბარჯჟი „ბავშვს კალია აზის („ა-დგ-ა-ს") ბეჭზე"
მეჰრაჟი კგლგნ ხაგ „მკლავზე კოღო აზის („ა-დგ-ა-ს")"
თხუ̄იმჟი კგლგნ ხაგ „თავზე კოღო აზის („ა-დგ-ა-ს")", მაგრამ
ბეფშუ̄ს მგშკა̈რ ხაბოლახ „ბავშვს ჭიანჭველები ახვევია („მაცოციან")"
მეგემს მგშკა̈რ ხაბოლახ „ხეს ჭიანჭველები ახვევია („აცოციან")"
ყუ̄აუ̄ლა̈რს მგტა̈რ ხაბოლახ „ყვავილებს მატლები ახვევია („აცოციან")"
ლერექუ̄ს მუღულ ხაბოლა „ტანსაცმელს ჭიაღუა აზის („აცოცია")" და ა. შ.

ლ ა შ ხ უ რ ი

ლიდღუ̄ჟი ბუზუ̄ლ ხა̈გ „ხორცს ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს")"
კოღო̄ლ ხა̈გ სტოლჟი „კოღო ზის („ა-დგ-ა-ს") მაგიდაზე"

[1] ძირსმხოხავი მწერების სივრცული ლოკალიზაცია იშვიათად, მაგრამ მაინც **ხაცონცა** „აცოცებულია" პრედიკატითაც გადმოიცემა ბალსქვემოურში, მაგ., **სანაფს მგტ ხაცონცა** „ვაშლზე მატლია („სინაფ-ს მატლ-ი აცოც-ია")", **ბა̈ლეჟი მგტ ხაცო̈ნცა** (ლხმ.) „ფოთოლზე მატლია („აცოცია")"

ტოტეი ბუზჳლ ხა̈გ „მკლავზე ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს")"
მგტ ხაბო̄ლა ბალას „ფოთოლს მატლი აზის („მატლ-ი აცოცია ფოთოლს")"
შტიმეი ტიშ ჯაბო̄ლა „ყურზე ტილი აზის („აცოცია")"
ზურა̈ლს ტიშ ხაბო̄ლა „ქალს ტილი აზის („აცოცია")" ...

ბალსზემოური დიალექტის მსგავსი ვითარება ვლინდება ლაშხურშიც, სადაც მწერთა სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებულ პრედიკატებს სწორედ მყოფობის აღმნიშვნელი **არი** „არის" ენაცვლება (მაგ.: **ლეღჳეი ბუზჳლ არი** „ხორცს ბუზი არის", **კოღო̄ლ არი სტოლჟი** „კოღო არის მაგიდაზე", **ბუჭუნჭელაჲ არი სტოლჟი** „ჭიანჭველა არის მაგიდაზე"...), რომელიც წინადადების სინტაქსური კონსტრუქციიდან გამომდინარე ხშირად უფრო ბუნებრივია და მას მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ვერ ჩავანაცვლებთ, თუმცა ბალსქვემოურ დიალექტს ამ შემთხვევაში ერთგვარი დისონანსი შემოაქვს და **ხაგ** „ადგას" პრედიკატის შემოტანით სინტაქსურ კონსტრუქციებს არღვევს. მაგ., შდრ. ერთი მხრივ, **სტოლჟი მერ ხაგ** „მაგიდაზე ბუზი ადგას" და, მეორე მხრივ, **სტოლს მერ ხაგ** „მაგიდას ბუზი ადგას" და ა. შ. ვფიქრობთ, პირველ შემთხვევაში (**სტოლჟი მერ ხაგ** „მაგიდაზე ბუზი ადგას") უფრო მართებული იქნებოდა — **სტოლჟი მერ ა̈რი** „მაგიდაზე ბუზი არის". სვანურის ყველა სხვა დიალექტში სწორედ ეს კონსტრუქცია დასტურდება.

ლენტეხური

სტოლს მგშკა̈რ ხაბოლახ „მაგიდას ჭიანჭველები ასევია („აცოციან")"
კოღონ ჩუ სკურ[1] **ყორმოყ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 120:14) „კოღო ზის კარებთან"
ნიჩჳეი ტიშ ხაბოლა „სახეზე ტილი დასდის („აცოცია")" ...

ჩოლურული

ლეღჳს ბუზჳლ ხა̈გ „ხორცს ბუზი აზის ადგას" ‖ **ლეღჳს ბუზჳლ ხასგურ** „ხორცს ბუზი აზის"
ლამფას ბუზჳლ ხა̈გ „ლამპას ბუზი აზის („ა-დგ-ა-ს")", მაგრამ **ბუჭუნჭელაჲ არი სტოლჟი** „ჭიანჭველა არის მაგიდაზე"
ბლაჳს კოღო̄ნ ხა̈გ ბა̈რჯეი „ბავშვს კოღო ადგას მხარზე"
ტიშ ხაბო̄ლა ლერექჳეი „ტანსაცმელზე ტილი აზის („აცოცია")", მაგრამ **ტიშ ჯა̈რ ნიჩჳეი** „ტილი გაზის („გაქვს") სახეზე"
ლერექჳეი ბუღჳლ ჯაბო̄ლა „ჭიაღუა გაზის ტანსაცმელზე", მაგრამ **ნიჩჳეი ჯა̈რ ბუღჳლ** „მაგრამ სახეზე ჭიაღუა გაზის („გაქვს")"
ტიშ / გგჯღ / ზგსყ ხაბო̄ლა „ტილი / ტკიპა / რწყილი ჰყავს („აცოცია")", მაგრამ **ტიშ / გგჯღ / ზგსყ ხორი** (ჩოლ.) „ტილი / ტკიპა / რწყილი ჰყავს"და მისთ.

საინტერესოა, რომ ჩოლურულში რელიქტის სახით შემორჩენილი **ხორი** „ჰყავს („უვის")" ზმნა მხოლოდ მწერთა (**ტიშ / გგჯღ / ზგსყ** „ტილი, ტკიპა, რწყილი") აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებს მიემართება. მისი მნიშვნელობა დავიწროებულია, რაც აღნიშნული ზმნის თანდათანობით გაქრობაზე მიანიშნებს. ლაშხურსა[2] და ლენტეხურში თითქმის არ დასტურდება, რასაც ემპირიულ მასალაზე დაკვირვებაც ცხადყოფს.

[1] ვფიქრობთ, კოღოს სივრცული ლოკალიზაციისათვის გამოყენებული **სკურ** „ზის" მეტაფორიზაციის შედეგია, რაც ზღაპრის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია.
[2] ლაშხურში ამ შემთხვევაში **მიჩი / ჯიჩი / ხოჩი** „მყავს / გყავს / ჰყავს" პრედიკატს **მაყა / ჯაყა / ხაყა** „მყავს / გყავს / ჰყავს" ენაცვლება, რაც, აშკარაა, ქართულის გავლენის შედეგია.

შენიშვნა: **ხა̈გ||ხაგ** „ადგას“ პრედიკატი სვანურის ყველა დიალექტში მიემართება *მუზ*-ს, რასაც ვერ ვიტყვით **ხასგურ** „აზის“ პრედიკატზე, რომელიც ჩოლურულის გარდა სვანურის არც ერთ დიალექტში არ მიემართება მწერებს.

• **ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია.** ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია სვანურში რამდენიმე პრედიკატით გადმოიცემა: **აყჷრე** „წევს“, **ხაბოლა** „აცოცია“, **ხაფორცხა** „აცოცია“..., თუმცა ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში (იშვიათად ბალსქვემოურშიც) მათ მდებარეობას ძირითადად „მყოფობის“ გამომხატველი **ა̈რი** „არის“ ზმნა მიემართება.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ჰერწემ აყჷრე კალისგა „გველი წევს ეზოში“, მაგრამ **ჰერწემ ა̈რი ჰა̈ზჷისგა** „გველი არის ეზოში“
ჭჷილას ჰა̈შდეკჷ ხაბოლა „ზღუდეზე ხვლიკია (ზედმიწ. — ზღუდეს ხვლიკი აცოცია)“, მაგრამ **ჰა̈შდეკჷ ა̈რი ჭჷილაჟი** „ზღუდეზე ხვლიკი არის“
ზურალს ჰა̈შდეკჷ ხაბოლა „ქალს ხვლიკი აცოცია“
ჭჷედს ჰა̈შდეკჷ ხაფორცხა „კედელზე ხვლიკია (ზედმიწ. — კედელს ხვლიკი აცოცია)“
ჯი ანღრი ჟი თაჷრა̈რთეჟი ი ა̈მეჩჷ შუკჷლისგა ხოშა **ჰერწემგდ აყჷრე** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 314:2) „თვითონ ამოდის თავრარში და აქ გზაში დიდი გველი წევს ისევ“ ...

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ჟიჯ აყჷრე (ბზ.) „გველი წევს“, მაგრამ **ჟიჯ ხაბო̄ლა ჭჷილას** „გველი არის ზღუდეზე („გველი აცოცია ზღუდეს“)“
ფხჷლ ხაბო̄ლა ჭჷა̈დს (ბზ.) „ხვლიკი არის კედელზე („ხვლიკი აცოცია კედელს“)“
შჷა̈ლ ხაბო̄ლა ჭჷილას (ბზ.) „ხვლიკი არის ზღუდეზე („ხვლიკი აცოცია ზღუდეს“)“, მაგრამ **ამჩუ ლგყა̄რჩჩ̄ბიშ ა̈რი**[1] „აქ თრითინა არის“ ...

ლ ა შ ხ უ რ ი

აშდეკჷ ხაბო̄ლა ჭჷილაჟი „ზღუდეზე ხვლიკია („ხვლიკი აცოცია ზღუდეზე“)“
ზურა̄ლს აშდეკჷ ხაბო̄ლა „ქალს ხვლიკი დასდის („აცოცია“)“
ჟიჯ ხადჷ̄წა ძეზჷისა „გველი წევს („აწელია“)“ ეზოში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში **აყჷრე** „წევს“ ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ჭჷადს აშტაკჷ ხაბოლა „კედელზე ხვლიკია („კედელს ხვლიკი აცოცია“)“
ჭჷილას აშტაკჷ ხაცონცა „ზღუდეზე ხვლიკია („ზღუდეს ხვლიკი ა-ცოც-ი-ა“)“
ჟიჯ აყჷრე||ყჷრ „გველი წევს“ ...

თუმცა უფრო ხშირად *ქვეწარმავალთა* სივრცულ ლოკალიზაციას ლენტეხურში, სხვა დიალექტების მსგავსად, **ა̈რი** „არის“ (მაგ., **აშტაკჷ არი ამეჩჷ** „ხვლიკი არის აქ“) პრედიკატი მიემართება.

რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებას, იქ ქვეწარმავალთა სივრცული ლოკალიზაცია უძრაობა-მდებარეობის აღმნიშვნელი სტატიკური ზმნებით არ გამოიხატება, აქ ძირითადად ფიგურირებს „*მყოფობის*“ გამომხატველი **არი** „არის“ ზმნა (მაგ.: **ლაგჷ̂გიჟი აშდა̈კჷ არი** „ზღურბლზე თრითინა არის“, **შიხუნდ არი ლაჭმა̄ძსა** „ძლოკვი არის სათიბში“ და ა. შ.), მაგრამ გარკვეულ კონტექსტში

[1] *როგორც ბალსზემოური დიალექტის (კერძოდ ლატალურის) წარმომადგენელმა სპარტაკ ფარჯიანმა აღნიშნა, თრითინა*-ს მხოლოდ მყოფობის გამომხატველი **ა̈რი** „არის“ პრედიკატი მიემართება. მსგავსი ვითარებაა ბალსქვემოურშიც, სადაც *თრითინა*-ს||*ღედოფალა*-ს შესატყვისი **ჷრშჷნა**-ს სივრცული ლოკალიზაცია მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნით არ გამოიხატება. ვფიქრობთ, ამისი მიზეზი მისი ტაბუირებული მნიშვნელობა უნდა იყოს.

რომელიმე *ქვეწარმავლის*, მაგალითად, *ხვლიკის*, სივრცული ლოკალიზაცია, სხვა დიალექტების მსგავსად, **ხაფრ̄თა** „აცოცია“ პრედიკატით გადმოიცემა (**ჰ̄უადს ხუ̄ლიკ ხაფრ̄თა** „კედელზე ხვლიკია (ზედმიწ. — კედელს ხვლიკი აცოცია)“). გარდა ამისა, ჩოლურულში ერთი მეტად საინტერესო ტენდენციაც იკვეთება, კერძოდ, **ჟ̄იჯ**-ს „გველი“, რომელიც **შიხუნდ**-ზე „ძლოკვზე“ უფრო გრძელია, მიემართება **ხადუ̄წა** „წევს (ზედმიწ. — აწელია)“ პრედიკატი, ხოლო **შიხუნდ**-ს, როგორც გველზე უფრო პატარას და მოკლეს მყოფობის გამომხატველი **ა̈რი** „არის“ ზმნა. ვფიქრობთ, საინტერესო ვითარებასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, ესა თუ ის პრედიკატი შერჩეულია იმის მიხედვით, თუ რა და როგორ აღიქმება ადამიანის თვალით, ანუ *საგნის* (resp. *ობიექტის*) სივრცული ლოკალიზაცია დამოკიდებულია სწორედ ამ ობიექტის ფორმაზე, რასაც ყველაზე კარგად და ზედმიწევნით ასახავს ჩოლურული მეტყველება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაშხურშიც, ისევე, როგორც ჩოლურულში, **ჟ̄იჯ** „გველი“ ლექსემას **აყუ̄რე** „წევს“ პრედიკატი არ მიემართება, მას ენაცვლება **ხადუ̄წა** „გაწოლილია“ პრედიკატი (მაგ., **ჟ̄იჯ ხადუ̄წა** (ლშხ., ჩოლ.) „გველი წევს „გაწოლილია (ზედმიწ. — აწელია)“. ბალსქვემოურ დიალექტში კი, სადაც **ჰერწემ აყუ̄რე** „გველი წევს“ ფორმაა უფრო გავრცელებული, **ხადუწა**||**ხადრუწა** „გაწოლილა („აწელია“)“ ფორმაც გვხვდება [მაგ., **ლარალეჟა ხოშაჟ̄სახჟ̄იშ სჟ̄ირილ ჰერწემ ხადრუწა** (ბქ.) „სათიბზე უზარმაზარი გველი არის გაწოლილი („სათიბის“ ზემოთ უზარმაზარი სრული გველი აშხლართია“)“], რომელიც, ჩვენი აზრით, მეტაფორული მნიშვნელობითაა გამოყენებული, თუმცა *გველის* ფორმასა და მდგომარეობას ზედმიწევნით ესადაგება.

შენიშვნა: ქვემოსვანურ დიალექტებში **ხაბოლა** ფორმა გამოიყენება ასეთ კონტექსტშიც, მაგ., **ზისხ ხაბოლა დენას ტჟ̄ეტჟი** (ლნტ.) „ქალიშვილს ხელზე სისხლი აცხია („აცოცია“)“, **ნიჩჟ̄ჟი წჟ̄ირ ხაბოლა** „სახეზე ჭუჭყი აცხია („აცოცია“)“, **ქჟ̄ეყანა̄ ბონდ ი ჟ̄ე̄ბ ეხბო̄ლა̄ნ** (ჩოლ.) „უამრავი ნაგავი და მტვერი მოედო („მოეხვია, ააცოცდა“)“, ანუ *ცოცვ*-ის გარდა *აცხია*'ს მნიშვნელობაც აქვს.

აღნიშნული ზმნებით გარკვეულწილად ხდება ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა, ქვეწარმავალთა სამყაროს (ფართო გაგებით) ერთგვარი კლასიფიკაცია მათი ფორმისა და მათთვის დამახასიათებელი სივრცული მდგომარეობის, მდებარეობის — მათი ტოპოლოგიის მიხედვით, თუმცა ამა თუ იმ პრედიკატის შერჩევის პრინციპი ყოველთვის ნათელი არ არის, ტოპოლოგიური კომპონენტი ერთგვარად დაჩრდილულია, ქართულში, მაგალითად, *ზის* პრედიკატის შემთხვევაში (*კუ ზის*, *თაგვი ზის*...), სვანურში კი **სგურ** „ზის“ პრედიკატის ადგილას **ა̈რი** „არის“ იკავებს (**შდუგჟ̄ ა̈რი** „თაგვი არის“, **ბუძგჟ̄ ა̈რი** „ზღარბი არის“ და ა. შ.). ასევე საინტერესოა სვანურში, კერძოდ ბალსქვემოურ დიალექტში **შდუგჟ̄** „თაგვი“ ლექსემის მიმართ გამოყენებული პრედიკატი **ა̈რიჰჟ̄ანე** „ყურებდაცქვეტილი იყურება“ (შდრ. ჩოლ. **რაჰჟ̄შა̄ლ არი̄ჰჟ̄ანე** „კურდღელივით აქვს ყურები დაცქვეტილი“), რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში *თაგვი* აუცილებლად ერთ ადგილასაა გაშეშებული, ანუ *ზის*, თუმცა სვანური **სგურ** „ზის“ პრედიკატი მას არ მიემართება, რაც რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგადაც დასტურდება.

როგორც წარმოდგენილმა მასალამ ცხადყო, ძალზე საინტერესო ვითარება ვლინდება ზოგიერთი მწერისა და ქვეწარმავლის აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცულ მიმართებასთან დაკავშირებით სვანურში, რაც ქართულისაგან განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს. განსაკუთრებით ხშირად მწერებსა და ქვეწარმავლებს, როგორც უკვე ითქვა, მიემართება **ხაბოლა** „აცოცია“ პრედიკატი. ამ პრედიკატით გადმოიცემა სიტყვის მნიშვნელობა როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი — იდეა ან წარმოდგენა. ის, რაც მიწაზე დახოხავს, ადამიანის თვალში აღიქმება როგორც უსუსური, პატარა არსება, რომელიც ცოცავს, დახოხავს, მოძრაობს ნელა. **ხაბოლა**-ს მასდარია **ლიბოლე** „აცოცება“. გვაქვს, აგრეთვე, **ლიბულალ** „ლასლასი, ძლივს სიარული“ ფორმაც, რომელიც მიემართება როგორც ადამიანს, ისე ცხოველებსაც:

ნა̈მჩოშ ქა ჳენდ იბჳლალ (ბქ.) „სიბერისგან ძლივს დალასლასებს"
ლინთჳისგა ხოლა ნა̈ბედ ჳეთხჳმალ ქა ჳენდ იბჳლალხ (ბქ.) „ზამთარში ცუდად გამოკვებილი საქონელი ძლივს დალასლასებს"
მეჲად ჩუმდ იბჳლა̈ლ / იჳჳენდჳლა̈ლ (ჩოლ.) „ყოველთვის ჩუმად საქმიანობს („დაბოდიალობს, დალასლასებს")"
ბუღჳლშა̈ლ იბჳლა̈ლ (ჩოლ., ლშხ.) „ობობასავით ჩუმად დალასლასებს"
ბგნარჷთისა ჳენდ იბჳლა̈ლხ (ჩოლ.) „სიბნელეში ძლივს დალასლასებენ" და სხვ.

აქვე შევნიშნავთ, რომ **ლიბოლე** „აცოცება" მიემართება მწერებსა და ქვეწარმავლებს, ხოლო **ლიბულალ** „ლასლასი, ძლივს სიარული" ადამიანებს და, ძირითადად, მსხვილფეხა საქონელს. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანურში ქვეწარმავლებს **მებულა̈რ** ფორმით აღნიშნავენ, ანუ მიწაზე მცოცავი||მხოხავი არსებები. რაც შეეხება **მებულალ** ფორმას, იგი ყოველგვარ სულიერ არსებას გულისხმობს, მაგ., **გიმჟი ქა მებულალ მა̈გ** (ბქ.) „მიწაზე მოსიარულე ყველა სულიერი („მიწაზე მოლასლასე ყველა")".

ჩოლურული მეტყველება, რომელიც მრავალი თავისებურებებით გამოირჩევა, ამ შემთხვევაშიც საინტერესო ვითარებას ავლენს, კერძოდ, **ხაბო̄ლა** „აცოცია" პრედიკატი სულიერს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემართება, თუ საქმე ეხება ისეთ მწერებს, როგორიცაა: **ტიშ** „ტილი", **გგჯღ** „ტკიპა", მაგ.: **სჳიტრჟი ტიშ მაბო̄ლა** „სვიტრზე ტილი მაზის („მაცოცია")", **კაბჟი გგჯღ მაბო̄ლა** „კაბაზე ტკიპა მაზის („მაცოცია")" და ა. შ., ყველა სხვა შემთხვევაში, უგამონაკლისოდ უსულო საგნის მდებარეობას, ლოკალიზაციას გამოხატავს, მაგ.: **მეჯარჟი ფათჳ მაბო̄ლა** „მკლავზე თმა მაქვს („მაცოცია)", **კაბჟი ბონდ მაბო̄ლა** „კაბაზე მტვერი მაქვს („მაცოცია)", **ლერექჳჟი ბალე მაბო̄ლა** „ტანსაცმელზე ფოთოლი მაქვს („მაცოცია)" და მისთ.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ის, რაც ერთი დიალექტის წარმომადგენლისთვის მდებარეობის აღმნიშვნელი **ხაგ** „ადგას" პრედიკატით გადმოიცემა, მეორე დიალექტის წარმომადგენლისთვის ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნაა ნიშანდობლივი, თუმცა არაერთგვაროვანი სურათია თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი; ხშირად ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულს ხან მდებარეობის აღმნიშვნელი პრედიკატი მიემართება, ხან — ქონა-ყოლის. აღნიშნულ მასალაში ცხადად იგრძნობა ამ ენის მატარებელი ხალხის შემოქმედებითი დამოკიდებულება ამა თუ იმ გამოთქმისადმი.

8. 4. უსულო *საგნების* (resp. *ობიექტების*) სივრცული ლოკალიზაცია

რა შეიძლება ითქვას უსულო *საგნების* (resp. *ობიექტების*) სივრცული ლოკალიზაციის შესახებ სვანურში? ასეთ შემთხვევაში, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ტოპოლოგიურ საფუძველზე ობიექტების კლასიფიცირება კიდევ უფრო არათანმიმდევრულია, რაც სვანური მასალის ანალიზიდანაც ნათლად ჩანს. უფრო მეტიც, სვანური ენის დიალექტები ამ მხრივაც ერთგვარ უნივერსალურ ვითარებას ასახავენ. ცნობილია ისიც, რომ უსულო საგნებს შემდეგნაირად აჯგუფებენ: ერთი მხრივ, გამოიყოფა ზევით წაგრძელებული — „ვერტიკალურად ორიენტირებული" ობიექტები, მეორე მხრივ, ბრტყელი — „ჰორიზონტალურად ორიენტირებული" ობიექტები. ე. რახილინის აზრით, მოსალოდნელი იყო, რომ ამ ობიექტების მდებარეობა შესაბამისი ზმნებით (ზოგადად, „დგომა", „დება") აღნიშნულიყო, მაგრამ აშკარაა, რომ ენებში ეს მიმართება ასე ცალსახა არაა. ერთი მხრივ, მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს სხვადასხვა პრედიკატი მიემართება; მეორე მხრივ, ობიექტთა ნაწილის აღწერა ჰორიზონტალური / ვერტიკალური მიმართებებით „მეტისმეტად მეტაფორულია". მაგ.: В конце предложения *стоит* точка (რახილინი 1998:70), შდრ. ქართ. წინადადების ბოლოს *ზის* / დასმულია წერტილი (ნ. ლოლაძე) და, ასევე, სვან. **წინადადებიშ ლოშგიმ** ***ლგგ/ხაგ*** **წერტილ/** „დასმუ-

ლია წერტილი (ანუ „*დგას/ადგას* წერტილი")". გარდა ამისა, მეტაფორიზაციად შეიძლება ჩაითვალოს სვანურში **ხäდრა** „აწერია" პრედიკატის ნაცვლად გამოყენებული **ხāგ** „ადგას" (მაგ.: äხგუäბ ამეისგა მიჩა მუō ლäირ, ... **ამეჟი ხāგ** ალ **ჰყინტი დალატ** (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 151:24-26) „ამაში იპოვა მამამისის წერილი, სადაც ეწერა ამ ბიჭის დაღუპვის ამბავი („ამაზე ა-დგ-ა-ს ამ ბიჭის დალატ-ი")"; ალ **ლäდრისგა** მä **ხაგ**, ალი მäგ ტკიც ლი (ბქ.) „ამ წიგნში რაც წერია („ა-დგ-ა-ს"), ეს ყველაფერი სიმართლეა"; **ლელāშხā** ზაგარ ჩīხენ ქა თერა ი **რუქāლეჟი** ჩდāგ **ჟი ხāგ** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 203:23-24) „ლაშხეთის გორაკი ყველა მხრიდან ჩანს და რუკებზე ყველგან გამოსახულია („ზე ა-დგ-ა-ს")" და ა. შ.

აღნიშნულ ზმნათა სემანტიკური განაწილების საფუძვლის ახსნა, მეცნიერთა აზრით, ტოპოლოგიით შეუძლებელია (რახილინი 1998:70).

სამეცნიერო ლიტერატურაში საუბარია, ასევე, ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც აღნიშნული ზმნები ამა თუ იმ მოვლენას მიემართება და არა კონკრეტულ ობიექტებს (მაგ., ქართ. *საშინელი ხმაური იდგა; ცუდი სუნი დგას*...). აღნიშნული ვითარებას ქართულში ეხება ნ. ლოლაძე. რაც შეეხება სვანურს, ჩვენ ამ საკითხის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

საინტერესოა რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში და რის მიხედვით ხდება არაცოცხალი სამყაროს ობიექტების კლასიფიკაცია (ანუ *მცენარეების, საგნების, ნივთების* მდებარეობის, პოზიციის აღნიშვნა)?

ვფიქრობთ, არაცოცხალი სამყაროს ობიექტები (ანუ *მცენარეები, საგნები, ნივთები*) მათი სივრცული ლოკალიზაციიდან გამომდინარე ორ ნაწილად უნდა დაიყოს — *მცენარეები* და *არაცოცხალი საგნები*, ვინაიდან აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირება სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია.

• **მცენარეთა სივრცული მიმართებები სვანურში.** ძალზე საყურადღებო სურათს წარმოგვიდგენს სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით მცენარეთა აღმნიშვნელი სახელები სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში, რომელთაც მიემართება რამდენიმე პრედიკატი — **ხāგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაგ** (ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, დგას („ადგას")", **ხōგ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)[1], **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „აქვს, უდგას", **ხალāშა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხალაშა** (ბქ., ლნტ.), **ხოლāშა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოლაშა** (ბქ., ლნტ.) „უთესია („ურგია")", **ხალჯა** (ზს., ქს.), **ხოლჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხოლაჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია", **ხონგრგაჭა** (ზს.), **ხონერგაჭა** (ლნტ.) „უთესია, ურგია (უნერგია")" და ა. შ.

ხāგ *(ბზ., ლშხ., ჩოლ.),* ***ხაგ*** *(ბქ., ლნტ.) „ხარობს, მცენობს, დგას („ადგას")"*

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

გოროოდისგა ლახილ ლი: ჩიäგ გაკ ი ქილჭäრდ ი ბარყჭენდ, ჭისგჭ ი ამგნქა მამაგჭეშ ხāგ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 47:7-8) „ქალაქში ხილნარია: ყველგან კაკალი და ქლიავი და ტყემალი, ვაშლი და ამის მეტი არაფერი ხარობს („ა-დგ-ა-ს")"

ცხეკდ ჯიჰრა გარ ხāგ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 48:1-2) „ტყეში მხოლოდ მუხა ხარობს („ტყედ მუხა მხოლოდ ა-დგ-ა-ს")"

ამეჩუ ხოშა ჯიჰრა ხāგ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 117:3) „აქ დიდი მუხა დგას („ა-დგ-ა-ს")"

ცხეკი ეჩხō პილს ცäცხჭ ხāგ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 117:14-15) „ტყის მეორე მხარეს ცაცხვი დგას („ა-დგ-ა-ს")"

... მინე ყōრყეი სემი ჰäლჭä მეგäმ ხāგ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 411:16) „მათ ეზოში სამი ალვის ხე დგას („ა-დგ-ა-ს")"

ბეჭას ლოხჭტīხა: „äმგჭäდ ხოჩა თჭალäშ წიფრ'ესერ დēსა ხāგ მინეშმგყ (ბზ., სვან. ქრესტ., 77:6-7) — ბევამ უპასუხა თურმე: „ამისთანა ლამაზი წიფლის ხე ჩვენთან არ ხარობსო („ა-დგ-ა-ს")"

---

[1] ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)" შეგვხვდა **ციჭალდე** „ჭეჭილობს" პრედიკატი, რომელიც, ჩვენი აზრით, უდრის „ხარობს, მცენობს" (1994:322).

ჰäზჳისგა ყჳაჳილ ხǟგ „ეზოში ყვავილი ხარობს („ყვავილი ა-დგ-ა-ს")"
ლǟრას ამზაჳ ხოჩა ლეჭმე ხǟგ „სათიბში წელს ბევრი ბალახია („სათიბს წელს კარგი მოსათიბი ა-დგ-ა-ს")"
წჳირმის ხჳäდ გǟნჭჳ ხǟგ „წვირმიში ბევრი ანწლია („ა-დგ-ა-ს")", თუმცა უფრო გავრცელებულია მყოფობის გამომხატველი ǟრი „არის" პრედიკატი.
ბზ. ბალისგა ხჳäდ ხილ მīგ „ბაღში ბევრი ხილი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს")"
ჰäზჳისგა ხოშა კჷლთხი გაკ მīგ „ეზოში ძალიან მაღალი კაკლის ხე მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს")"
ლარǟდსგა ხოჩა ხილäრ ჯīგ „სათიბში კარგი ხილი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს")" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ნიშგეშმგჷ გǟნჭჳი მასäრდ ხაგ (ბქ., სვან. ქრესტ., 205:11) „ჩვენთან ანწლიც ბევრი ხარობს („ა-დგ-ა-ს")"
... ნიშგეშმგჷ მäგთან ხილ ხაგ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 204:42) „ჩვენთან ყველანაირი ხილი ხარობს („ა-დგ-ა-ს")"
ხილ ხაგ დäლს ხოშა კაკ, ეჩქანლო ბარყჳენ, ჳიცხ ი ჳისგ, გჳიჯ, ადäდ ქილჳäრდ, შდიხ, ატამა, ბია, ანთროლ, ადäდ ყუნზელ, მენგმგლდ, ინდა, ციწყა, ჳილჳ, მენცხჳარ (ბქ., სვან. ქრესტ., 188:15-17) „ხილი ხარობს („ა-დგ-ა-ს")" დალის ხეობაში უფრო კაკალი, მერე ტყემალი, მსხალი და ვაშლი, წაბლი, კიდევ ქლიავი, თხილი, ატამი, ბია, მსხვილი ვაშლი, კიდევ ყურძენი, მიწის მოცვი, ჟოლო, მოცვი, მაყვალი, მოცხარი"
ჰäზჳისგა ხოჩა თჳალäშ ყჳაჳილ ხაგ (ბქ.) „ეზოში ძალიან ლამაზი ყვავილი ხარობს („ყვავილი ა-დგ-ა-ს")"
ცხეკისგა ხოშა სჳირილ მეგმäრ ხაგხ „ტყეში უზარმაზარი ხეებია („ხეები ა-დგ-ან-ან")" ...

ლ ა შ ხ უ რ ი

... სასǟშˇსˀ ... ეიქǟნჩუ ხოჩა ლელმჳრა ხǟგ ი ეჩა ქუნ ოხლჳა ბუქს (სვან. (ლაშხ.) ტექსტ., 3:33) „სასაშს ზემოდან ნაძვნარი აკრავს („ა-დგ-ა-ს") და იმისი სუნი მოაქვს ქარს"
... ლალჭანīრ შუკჳ ერ ხǟდეს, ეჩქა თელდ ლენტხას ქ'ēხēრი, ეჯიმაგ ლეჭმēლ ხǟგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 198:22-23) „სამარხილო გზა რომ იყოს („ჰქონდეს"), მაშინ მთელ ლენტეხს ეყოფა, იმდენი თივა მოდის („ა-დგ-ა-ს")"
ლესგარს ხოჩა ლგცხეკ ლელმჳრ ხǟგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 200:6) „ფერდობებზე კარგი ხშირი ნაძვნარია („ა-დგ-ა-ს")"
ალე ლგცხეკ გიმ ლი, მარა ნეცინ ცხეკ გარ ხǟგ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 211:9) „ეს ტყიანი მიწაა, მაგრამ წვრილი ტყეა მხოლოდ („ა-დგ-ა-ს")"
მეგმი გჳარიშ დēსა ხǟგ ი დე იშგენ შარტამ ი დე ბალხōრǟ გჳარიშ მǟლე (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 221:18-19) „ხის მაგვარი არაფერი დგას („ა-დგ-ა-ს") და არც ბოსტნეული და არც ბალახის მსგავსი არაფერი"
ალ სოფისა ხǟგ ცაცხჳი მეგემ იჳǟშიშ (სვან. პროზ. ტექსტ., IV, 223:5-6) „ამ სოფლის მოედანზე დგას („ა-დგ-ა-ს") უძველესი ცაცხვის ხე"
ამზაჳ ლეჭმას ეზარდ ხǟგ (ლშხ.) „წელს სათიბში ბევრი თივაა („წელს სათიბებს კარგად ა-დგ-ა-ს")" ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

მინე ლეგჳერი ღäრი თხუმჟი ჳისკჳ ლოჭ ხაგ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 244:17-18) „თქვენი წისქვილის ღარის თავზე ვაშლის ხე დგასო"
ყჳაჳილäრ ხაგ ჲäზჳისა (ლნტ.) „ეზოში ყვავილებია („ადგას")", მაგრამ ბოჭოჭგლäრ ǟრი კალისა (ლნტ.) „ეზოში ყვავილებია", ეს უკანასკნელი უფრო ბუნებრივია ლენტეხურისათვის, ხაგ ფორმას იშვიათად იყენებენ.
ბელყეჩ ჩჲäგ ხაგ (ლნტ.) „არყის ხე ყველგან ხარობს („ადგას")", მაგრამ ბელყეჩ ჩჲäგ ǟრი „არყის ხე ყველგან ხარობს („არის")" ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

ამზაჳ ლეჭმას ეზარდ ხǟგ (ჩოლ.) „წელს სათიბში ბევრი თივაა („წელს სათიბებს კარგად ადგას")"
ამზავ ხოჩა ლეჭმე ხǟგ (ჩოლ.) „წელს კარგი სათიბი ადგას" ...

ხო̄გ *(ბზ., ლშხ., ჩოლ.),* ***ხოგ*** *(ბქ., ლნტ.) „აქვს, უდგას"*

ბალსზემოური

ლარა̈ჲსგა ხჳა̈ჲ **ხილა̈რ ხო̄გ** „სათიბში ბევრი ხილი აქვს („უ-დგ-ა-ს")"
ჰა̈ზჳისგა ხოშა კჷლთხი გაკ **ხო̄გ** „ეზოში ძალიან მაღალი კაკლის ხე აქვს („უ-დგ-ა-ს")"
დაბისგა კჷლთხი **ჳისგჳ ხო̄გ** „ყანაში მაღალი ვაშლის ხე აქვს („უ-დგ-ა-ს")" ...

ბალსქვემოური

... დაჩჷირდ ხა̈ქჷე შიჩა ჯიმილს': „... ა̈ნთროლ ესერ **ხოგ** ოქრეშ, ეჯისოღ ოთტგრხნე ალი" (სვან. პროზ., ტექსტ., II, 113:34-36) „დამ უთხრა თავის ძმას: „ოქროს მსხვილი ვაშლი მიდგასო, იმას ესროლეო ეს („იმასმცა ესროლა ეს")"
მეზგა ფიშირს **ხოგ** ნალაჯჷ, მოღეი მიჩეშჷ ნა̈გენჷ: **ქირჷა̈დ, მარგჷილ, ბია, ატამა, ჰებ, ბა̈რყენ** (სვან. პროზ., ტექსტ., II, 282:18-19) „ბევრ ოჯახს აქვს („უ-დგ-ა-ს") დარგული, ან თავისით ამოსული: ქლიავი, შავი ქლიავი, ბია, ატამი, ბალი, ტყემალი"
მიჩა-მიჩა კაკ ჩი **ხოგ** (სვან. პროზ., ტექსტ., II, 282:30) „თავ-თავისი კაკალი ყველას აქვს („უ-დგ-ა-ს")"
ლუხორს ხოჩა ლგმბეც მეზგე გარ იჩო, ჲესჷა̈ჲს ფიშირ ჯანა̈რ ხორი ი **კჷეცენ** მასა̈რდ **ხოგ**[1], ეჯი (სვან. ქრესტ., 181:2-3) „თავყრილობას მხოლოდ შეძლებული ოჯახი იხდიდა, ვისაც ბევრი ხარი ჰყავს და ხორბალი ბევრი აქვს („უ-დგ-ა-ს")" ...

ლაშხური

ჲეზჳისა **ბარყჳენ ხო̄გ** ბაბას „ეზოში ტყემალი უდგას ბაბუას"
ხჳა̄ჲ **ხილ ხო̄გ** „ბევრი ხილი უდგას"
დაბისა **ჳსგჳ ხო̄გ** „ყანაში ვაშლის ხე უდგას" ...

ლენტეხური

ა̈ზჳისა **ჳისკჳ ხოგ** ლამარას „ეზოში ვაშლი უდგას ლამარას"
ძღუდ **ჲებ ხოგ** ლარეჲსა მიშკჳი მეზჳბელს „დიდი ბლის ხე უდგას სათიბში ჩემ მეზობელს"
ხჳა̈ჲ **ხილა̈რ ხოგხ** ჩოლა̈რს „ბევრი ხეხილი უდგათ ჩოლურელებს" ...

ჩოლურული

ლაჰმა ჟიქა̈ნქა **ჲები ხილ ხოგ** ჳიტალს „სათიბის თავში („ზემოდან") ბლის ხე („ხილ-ი") უდგას ვიტალის"
ქორ სგობინ ძღგდ **ჳისკჳი ხილ ხოგ** მიშგჳი მამას „სახლის წინ დიდი ვაშლის ხე („ხილ-ი") უდგას მამაჩემს"
ლაჲღჳერჟი **წანწოფ ხოგ** ნუგზარს „საზღვარზე ძახველი უდგას ნუგზარს" ...

ხალა̄შა *(ბზ., ლშხ., ჩოლ.),* ***ხალაშა*** *(ბქ., ლნტ.),* ***ხოლა̄შა*** *(ბზ., ლშხ., ჩოლ.),* ***ხოლაშა*** *(ბქ., ლნტ.) „უთესია („ურგია")"*

ბალსზემოური

დაბისგა **კარტოფილ ხალა̄შა**[2] „ყანაში კარტოფილი თესია"

---

[1] მცენარის ქონის აღსანიშნავად **ხოგ** „უდგას" პრედიკატის გამოყენება ბალსქვემოურში მოულოდნელი აღმოჩნდა. მსგავსი რამ სხვა დიალექტებში არ დაგვიფიქსირებია.
[2] ბალსზემოურში **ხალა̄შა** „ათესია" პრედიკატი მიემართება მარცვლეულ კულტურებსაც.

ქა̈ზჳისგა ყჳაჳლა̈რ ხოლა̄შა „ეზოში ყვავილები უთესია“
მიშგუ დის დაბისგა სიმინდ ხოლა̄შა „დედაჩემს ყანაში სიმინდი უთესია“
ლარტამისგა მწჳანილ მილა̄შა „ბოსტანში მწვანილი მითესია“ ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ლენჰერა̈შ სოფლა̈რს ხოლაშახ: სიმინდ, ლებია ი კობეშია (ბქ.) „ლენხერის სოფლებში უთესიათ: სიმინდი, ლობიო და გოგრა“
ნამშა̈რხენ ხოლაშახ: კეცენ (ლგჳხა̈ ი გჳრ), კჳლ (მჳეღჳრეშიშ ი ქამლიზა̈ლიშ), ლჳჳრჳსჳ კეცენ, ... ჰეგმინ, მანა̈შ, ფეტჳ, ზჳნთხ, სიმინდ; ლგითქჳრახენ: ლებია ფიშირ თანა̈შ, როგ, ღედა̈რ, ქორხ. იმგჳა ნა̈ნკდ ხოლჯახ, მოდეი სიმინდდ ხოჩდინახ ლებიაცახა̈ნ: გარდჳიშ, კობეშია, ლჳჳრჳსჳ შდიხ („სემიჩკა“) ი გიმიშ ჳისგ (ლხმ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 280:25-33) „პურეულებიდან უთესიათ: ხორბალი (ფხიანი და უფხო), წმინდა საგაზაფხულო ხორბალი (შემოდგომის და გაზაფხულის), რუსული ხორბალი, ქერი, ჰვავი, ფეტვი, შვრია, სიმინდი; მარცვლეულებიდან: სხვადასხვა ჯიშის ლობიო, ცერცვი, მუხუდო, ოსპი. ხან ცალკე აქვთ დარგული („ურგიათ“), ანდა სიმინდში აქვთ გარეული ლობიოსთან ერთად: კარტოფილი, გოგრა, მზესუმზირა („რუს-ულ-ი თხილ-ი“) და მიწის ვაშლი“
დადას დაბისგა სიმინდ ხოლაშა (ბქ.) „ბებიას ყანაში სიმინდი უთესია“
ბაბას ფეტჳ ხოლაშა (ბქ.) „ბაბუას ფეტვი უთესია“
ზურალს ჰარტამისგა მალაშოლ ხოლაშა (ბქ.) „ქალს ბოსტანში მწვანილეული უთესია “ ...

ლ ა შ ხ უ რ ი

სიმინდ ი კჳეცენ მოშ-მოშ ხოლა̄შახ (ლშხ.) „სიმინდი და ხორბალი ცალ-ცალკე უთესიათ“
ლარტამისა ხჳად მწჳანილ ხოლა̄შა ნაილის „ბოსტანში ბევრი მწვანილი უთესია ნაილის“
ბებეს ლელგრტამი ხჳად ხოლა̄შა „ბებიას ბევრი ბოსტნეული უთესია“ ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ესრენე ძეშმა̈ს მანცხა̈რ ქერ ი ჟელი ყურძენ გარ ხოლაშა (სვან. პროზ. ტექსტ., III, 8:8-9) „თურმე ეშმაკს მხოლოდ ველური ქერი და ძაღლყურძენა დაუთესავს“
ნიორიდ მეჳარ მილაშა „ნიორიც ბევრი მითესია“
დედეს კარტოფილ ხოლაშა (ლნტ.) „დედას კარტოფილი უთესია“, მაგრამ არა — ხოლჯა „ურგია“ ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

დედეს ქან ხოლა̄შა ლარტამისა (ჩოლ.) „დედას კანაფი აქვს დარგული („უთესია“) ბოსტანში“
დაბისა სიმინდ ხოლა̄შა დედეს „ყანაში სიმინდი უთესია დედას“
ხოლა̄შახ კარტოფილ, სიმინდ ი ფატჳ „უთესიათ კარტოფილი, სიმინდი და ფეტვი“
ჩითილარ ეჩექა ხჳღჳა, ე́, კასრჳკა̄ლშჳ. ჩითილარს გადარგაჳს ი ეჰკა პამიდორ ლი, ხოჩა̄მდ იმა̄ ჩჳ. პამიდორ, ლახანა, ჰარხალ, ოხრახჳშ, ქინძ, კამა, ნიჳრა, მაგ, მაგ ხოლა̄შა (ჩოლ.) „ჩითილები იქ აქვს, ე, ქვაბებით. ჩითილებს გადარგავს და იმისთანა პამიდორი არის, კარგად იჰმევა. პამიდორი, კომბოსტო, ჰარხალი, ოხრახუში, ქინძი, კამა, ნიორი, ყველაფერი, ყველაფერი უთესიათ“ ...

***ხალჯა** (ზს., ქს.), **ხოლჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხოლაჯა** (ლნტ.) „უთესია, ურგია“*

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ქოთანისგა ყჳაჳილ ხოლჯა „ქოთანში ყვავილი აქვს დარგული („ურგია“)“
დედეს ხჳა̈დ ყჳაჳილა̈რ ხოლჯა ქორს „დედას ბევრი ყვავილები აქვს სახლში დარგული („ურგია“)“ ...

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში **ხოლჯა** „დარგული აქვს („ურგია“)“ პრედიკატი ყვავილის „მქონებლობასთან“ ასოცირდება (შდრ. **ხოჾგ/ ხოგ** „უდგას“, რომელიც უდრის „აქვს“-ს).

ბალსქვემოური

ნიშგე დაბისგა კარტოფილგნქა მამაგჷეშ ხალჯა (ბქ.) „ჩვენს ყანაში კარტოფილის გარდა არაფერი თესია („არგია“)“
ჰა̈ზჷისგა ხოჩა თჷალა̈შ ყჷაჷილა̈რ მილჯა „ეზოში ძალიან ლამაზი ყვავილები მირგია“)“
ლენჯერა̈შ სოფლა̈რს ... არტმა̈რს ხოლჯახ: კგნტგრ, ხერხლა̈შ ლებია, სტა̈ფილო, ლახანა, ქინზ, ჷოხრახუშ, კამა, ხარბუზ, ხა̈ხჷ, ნიჷრა, ჩიგინდჷირ, ძაფანა, ჯგმემ ყჷაჷილ ი იშგენ (ლხმ., სვან. ქრესტ., 204:28-30) „ლენხერის სოფლებში ბოსტნებში დარგული აქვთ („ურგიათ“): კიტრი, სარის ლობიო, სტაფილო, კომბოსტო, ქინძი, ოხრახუში, კამა, საზამთრო, ხახვი, ნიორი, ჭარხალი, წიწაკა, მარილის ყვავილი და სხვა“
ბაღა̈რისგა ხოლჯახ ... ჷსგა̈რ ი ჷცხა̈რ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 2:4-5) „ბაღებში დარგული აქვთ („ურგიათ“) ვაშლები და მსხლები“
ათხე მა̈გხი ხილმა̈ხილ ხოლჯახ ამეჩუ: ... ხანაფ, მარგჷილ, ლგლტეხუ ჰებ, ყუნზელ, კაკ... (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 228:4-5) „ახლა ყველანაირი ხილი აქვთ დარგული („ურგიათ“) აქ: სინაფი, ქლიავი, ლენტეხური ბალი, ყურძენი, კაკალი“
მიშგჷადის ჩუბე დაბისგა კარტოფილ ხოლჯა (ბქ.) „დედაჩემს ქვედა ყანაში კარტოფილი უთესია (ზედმიწ. — ურგია)“
მიშგომუს ჲორერჷეშდიეშდ ძირ კაკ ხოლჯა ნიშგე ქორ ჩუქამჩუ „მამაჩემს ორმაცდაათი ძირი კაკალი აქვს დარგული ჩვენი სახლის ქვემოთ“
კინტჷრი, პამიდორ, ლახანა ი ბადრიჯან მა̈გ ჩუ მილჯა „კიტრი, პამიდორი, კომბოსტო და ბადრიჯანი ყველაფერი დათესილი მაქვს“
ჲეხჷა̈რს არტმა̈რე ლისყი ხა̈მთქჷახ ი მოშ-მოშ მალაშა[1] **ხოლაშახ ი ხოლჯახ: ქართ, ლახანა, ჩიგინდჷირ, ხა̈ხჷ, სოხ||ჭაგჷ, ნიჷრა, პრასა, შა̈ბლიკა̈, ქინზ, კამა, ნიახურ, ჷოხრახუშ, ქჷანდარ** (ლხმ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 282:4-8) „ქალებმა ბოსტნის გაკეთება იციან („ცოლებს ბოსტნების კეთება სჩვევიათ“) და სხვადასხვა მწვანილეული უთესიათ და ურგიათ: თალგამი, კომბოსტო, ჭარხალი, ხახვი, ჭლაკვი, ნიორი, პრასი, უცხო სუნელი, ქინძი, კამა, ნიახური, ოხრახუში, ქონდარი“ ...

ლაშხური

ათხე̄ჲ ბაბა̄ ნალჯენ იცხარ ხოლჯახ სასა̄შ „ახლაც ბაბუას დარგული მსხლები აქვთ („ურგიათ“) სასაში“
გარდაბანს ჩა̄ს ხილარ ხოლჯახ „გარდაბანში ხილი ყველას აქვს („ურგიათ“)“
ბებეს ჷსგჷ ხოლჯა დაბისა „ბებიას ვაშლი აქვს („ურგია“) ყანაში“ ...

ლენტეხური

ჯჷინელ კასრუკაჲსა ბოჭოჭოლა̈რ ხოლაჯა დედეს „ძველ ქვაბში ყვავილები ურგია დედას“
ჷისკჷეი იცხ ხოლაჯა[2] **მამას** „ვაშლის ხეზე მსხალი აქვს დამყნობილი („ურგია“) მამას“ ...

ჩოლურული

მიშგჷი მუს გაკ ხოლჯა ლაჭმა̄ჲსა (ჩოლ.) „მამაჩემს კაკალი აქვს დარგული („ურგია“) სათიბში“
ჲეზჷი სგა ლაჴადისა ყჷაჷილარ ხოლჯა დედეს „ეზოს შემოსასვლელში ყვავილები აქვს დარგული („ურგია“) დედას
იშგნა ლაჲლჷერი ფე̄დჲას ხილ და̄რს ხოლჯა „სხვის საზღვართან ახლოს ხილი არავის აქვს დარგული („ურგია“)“ ...

---

[1] ლახამულურში **მალაშა** ბოსტნეულის მნიშვნელობითაც დასტურდება.

[2] ამ პრედიკატს ძირითადად მაშინ ხმარობენ, როცა მცენარე დამყნობილია, თუმცა მის პარალელურად **ხოლყინა** „დამყნობილი აქვს“ პრედიკატიც გამოიყენება, რაც უფრო გავრცელებულია.

***ხანგრგაჲუა** (ბქ.), **ხონგრგაჲუა** (ზს.), **ხონერგაჲუა** (ლშხ., ლნტ., ჩოლ.) „უთესია, ურგია (უნერგია")"*

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

მიშგუ დის სტამფილო ხონგრგაჲუა „დედაჩემს სტაფილო აქვს დათესილი („უ-ნერგ-ია")"
მი ლარტამისგა ლახანა მინგრგაჲუა „მე ბოსტანში კომბოსტო მაქვს დათესილი („მ-ი-ნერგ-ია")" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

დადას კასრულისგა **ნერგჲრ ხონგრგაჲუა** „ბებიას ქვაბში ნერგები აქვს დარგული"
ნერგჲრ ჰარტამისგა **ხონგრგაჲუა** „ნერგები ბოსტანში აქვს დათესილი („უ-ნერგ-ია")"
ამეჲსგა **კინტჲრი, ლახანა, ბადრიჯან, ჩიჳინდჲირ ი პჲმიდორ ხანგრგაჲუა** „ამაში კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ჭარხალი და პამიდორი არის დათესილი („ა-ნერგ-ია")" ...

ლ ა შ ხ უ რ ი

ნიჲრა ... **ჩჲს ხონერგაჲუა** (ლშხ.) „ნიორი ყველას უთესია („უ-ნერგ-ია")"
ლგსმინდ დაბისა **ლობჲოჲ ხონერგაჲუახ** (ლშხ.) „სიმინდის ყანაში ლობიოც უთესიათ („უ-ნერგ-ია-თ")" ...

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ესრენე ჲეშმჲს მანცხჲრ ქერ ი ჟეჲო ჲურძენ გარ ხოლაშა ი **ხონერგაჲუა** ლეჲაჲ (სვან. პროზ. ტექსტ., III, 8:8-9) „თურმე ეშმაკს მხოლოდ ველური ქერი და ძაღლყურძენა დაუთესავს და დაურგავს"
დედეს კარტოფილ ხოლაშა / ხონერგაჲუა (ლნტ.) „დედას კარტოფილი უთესია / უნერგია", აგრამ არა — **ხოლჯა** „ურგია" ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

მახე ნატყჲიფ გიმეი **ქართოფილ ხონერგაჲუა** ცისანას „ახალ გადახნულ მიწაზე კარტოფილი აქვს დარგული („უ-ნერგ-ი-ა-თ") ცისანას"
ლარტამისა პამიდორი **ჩითილჲრ ხონერგაჲუა** დედეს „ბოსტანში პამიდორის ჩითილები აქვს დარგული („უ-ნერგ-ი-ა") დედას"
ლარტამ ჩუქჲჲნქა **პრასი ჲჲაჲილარ ხონერგაჲუა** მიშგჲი ბებეს „ბოსტნის ბოლოში („ბოსტანს ქვემოთ") პრასის ყვავილები აქვს დარგული („უ-ნერგ-ი-ა") ბებიაჩემს" და ა. შ.

ჩოლურელ რესპონდენტთა განმარტებით, **ლინერგაჲი** „დათესვა, დარგვა (ზედმიწ. — გადა-ნერგ-ვ-ა)" მიემართება ძირითადად *ბოლქვიან მცენარეებს* (*კარტოფილს, ნიორს, ხახვს*...) და, ამასთანავე, *ჩითილებს*, ხოლო **ლილჯი** „დარგვა" — *ხეხილს, ყვავილებს, სიმინდს, ხორბალს, ფეტვს* და მისთ.

როგორც მრავალფეროვანი საანალიზო მასალის განხილვამ აჩვენა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში მცენარეების სივრცული ლოკალიზაციის თვალსაზრისით სავსებით არაერთგვაროვანი სურათია. **ხჲგ/ხაგ** „ადგას" პრედიკატი მცენარეების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ყველა დიალექტში დასტურდება, მაგრამ ნიუანსური განსხვავება მისი გამოყენების შემთხვევაშიც ვლინდება ბალსზემოურში; მაგალითად, **ხჲგ** „ადგას" პრედიკატი იმ შემთხვევაში მიემართება მცენარეებს, თუ თავისით არის ამოსული რომელიმე მცენარე, მაგრამ თუ ადამიანის მიერაა დარგული ან დათესილი, მაშინ **ხოლჯა** „ურგია", **ხოლჲშა** „უთესია" ფორმები გამოიყენება, თუმცა **ხოლჯა** „ურგია", **ხოლჲშა** „უთესია" ფორმებიც გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში, კერძოდ, აქ გარჩეულია *მარცვლოვანი* და *არამარცვლოვანი მცენარეები, ბოსტნეული, ყვავილები, ხეები* და ა. შ. მა-

თი სივრცული ლოკალიზაცია კი მეტად საინტერესო ვითარებას ასახავს. **მილჯა** „მირგია“, **ჯილჯა** „გირგია“, **ხოლჯა** „ურგია“ ფორმები ბალსქვემოურ დალექტში ნებისმიერ მცენარეს მიემართება, ქვემოსვანურ დიალექტებში კი მხოლოდ ხეების სივრცულ ლოკალიზაციას. რაც შეეხება ბალსზემოურს, აქ იკვეთება ერთი მეტად საინტერესო ტენდენცია, ანუ **მილჯა** „მირგია“, **ჯილჯა** „გირგია“, **ხოლჯა** „ურგია“ ფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა ქოთნის ყვავილზეა საუბარი (მაგ., **ქოთანისგა ყუ̂აჟ̂ილ მილჯა/ჯილჯა/ხოლჯა** „ქოთანში ყვავილი მირგია /გირგია/ურგია “...), სხვა შემთხვევაში კი **მილა̄შა** „მითესია“, **ჯილა̄შა** „გითესია“, **ხოლა̄შა** „უთესია“ პრედიკატები გამოიყენება, მაგრამ არა იმ სიხშირით, რა სიხშირითაც ეს გვხვდება ბალსქვემოურ დიალექტში, რადგან მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს, როგორც უკვე ითქვა, უმეტესად *„მყოფობა-მქონებლობის“* აღმნიშვნელი ზმნები ჩაენაცვლებიან.

მიუხედავად იმისა, რომ **მილა̄შა** „მითესია“, **ჯილა̄შა** „გითესია“, **ხოლა̄შა** „უთესია“ ფორმები მცენარეების სივრცულ ლოკაციას სვანურის ყველა დიალექტში მიემართება, ნიუანსურ სხვაობას მეტნაკლებად აქაც აქვს ადგილი, რაზეც მეტყველებს **ხოლჯა** „ურგია“ პრედიკატის ნაცვლად მისი გამოყენება როგორც ბალსზემოურში, ისე ქვემოსვანურ დიალქტებში.

ჩვენი აზრით, სვანურში ნაწილობრივ აღრეულია ერთმანეთში *დათესვა, დარგვა* და *გადარგვა* ფორმების გამოყენება, რასაც საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს და ის მწყობრი სისტემა, რასაც ამ შემთხვევაში ბალსქვემოური დიალექტი ავლენს. ვფიქრობთ, ბალსქვემოური ზედმიწევნით სწორად ახდენს მცენარეთა სივრცული ლოკაციისათვის გამოყენებული პრედიკატების დიფერენცირებას, რისი თქმის უფლებასაც იძლევა შემდეგი გარემოება: ლენტეხურ[1] დიალეტში დავაფიქსირეთ ასეთი წინადადება — ლგსმინდ დაბისგა **ლობჲოი ხონერგაჟ̂ახ** „სიმინდის ყანაში ლობიოც უთესიათ („უ-ნერგ-ია-თ“)[2]“, რაც არაბუნებრივად აღიქმება იქიდან გამომდინარე, რომ ლობიო, როგორც მარცვლოვანი კულტურა, ითესება და არ ხდება მისი ჩარგვა ნერგის სახით. ბალსქვემოური კი **ხონგრგაჟ̂ა** „უთესია („უ-ნერგ-ია“)“, **ხოლჯა** „ურგია“ და **ხოლაშა** „უთესია“ ფორმებს ასე ანაწილებს:

ლობიოს, სიმინდის, კარტოფილის სივრცული ლოკალიზაცია **ხანგრგაჟ̂ა** „თესია („ა-ნერგ-ია“) პრედიკატით არ გამოიხატება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან **ლინგრგა̈ჟ̂ი** „დათესვა („და-ნერგ-ვ-ა“) გულისხმობს სწორედ ჩითილების გადანერგვას‖დარგვას და არა დათესვას. **ლილა̈ში** „თესვა“ მიემართება ისეთი მცენარეების დათესვას, რომლებიც მარცვლოვანია (მაგ.: **კჟ̂ეცენ** „ხორბალი“, **ფეტჟ̂** „ფეტვი“, **ქირს** „ოსპი“, **როგ** „ცერცვი“, **სიმინდ** „სიმინდი“ და ა. შ.), **ლილჯი** „დარგვა“ კი არამარცვლოვანი მცენარეების (მაგ.: **კარტოფილ** „კარტოფილი“, **კობეშია** „გოგრა“და სხვ.), ხეების და, ასევე ჩითილების (სვან. **ნერგა̈რ**) დარგვას.

მცენარეთა სივრცული ლოკაციის გამოსახატავად სვანურში, როგორც საილუსტრაციო მასალიდან გამოჩნდა, მარკირებული **ხო̄გ/ხოგ** „უდგას“ პრედიკატიც გამოიყენება, რომელიც ძირითადად ხეებს (მაგ.: **სანფა̈რ ხოგ** (ბქ.) „ვაშლის ხეები უდგას“) და ყვავილებს (**ყუ̂აჟ̂ილა̈რ მასა̈რდ ხოგ** (ბქ.) „ბევრი ყვავილები აქვს („უ-დგ-ა-ს“) და ა. შ.) მიემართება და გამოხატავს არაორგანულ კუთვნილებას, რომელიც მქონებლობასთან არის გაიგივებული.

რადგანაც მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის სივრცულ ლოკაციას სტატიკური შინაარსის ზმნათა საქცეო სისტემის სამივე წევრი (**ლჷ̄გ/ლგგ** „დგას“, **ხა̄გ/ხაგ** „ადგას“, **ხო̄გ/ხოგ** „უდგას“) მიემართება სვანურში, ამიტომ უპრიანი იქნება გავითვალისწინოთ ყველა ის ნიუანსი, რაც სვანური ენის დიალექტკილოკავებში ვლინდება. ვფიქრობთ, საინტერესოა ბალსზემოური დიალექტის წვირმულ კილოკავში ხეების სივრცული ლოკალიზაციის გამომხატველი **მიგ** „მიდგას“ პრედიკატის პარალელურად დადასტურე-

[1] იშვიათად, მაგრამ მაინც ხეების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ლენტეხური დიალექტი **ლჷ̄გ/ლგგ** „დგას“ პრედიკატსაც იყენებს (მაგ., შდრ.... **მინე სკუ̂ებინ ლოქ მეგამ ლგგ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 187:1) „ჩვენს წინ ხე დგასო“; **ჟ̂იცხ ლგგ ძღვდ ალ ა̈ზუ̂ისა** (იქვე, 221:26) „დიდი მსხალი დგას ამ ეზოში...).

[2] მსგავსი ვითარებაა ლაშხურსა და ჩოლურულშიც, სადაც ბოსტნეულის სივრცული ლოკალიზაცია **ხოლა̄შა** „უთესია“ და **ხონგრგაჟ̂ა** „ურგია“ პრედიკატებით გადმოიცემა.

ბული საზედაო ურთიერთობის (ა. შანიძის მიხედვით, სიტუაციის გრამატიკული კატეგორია) ამსახველი მაგ „მადგას“ პრედიკატი (მაგ.: მი ჰäზუისგა ჲისგუ მäგ||მōგ „მე ეზოში ვაშლის ხე მიდგას („მ-ა-დგ-ა-ს“), სი ჰäზუისგა ჲისგუ ჯäგ||ჯōგ „შენ ეზოში ვაშლის ხე გიდგას („გ-ა-დგ-ა-ს“), **ნä ხუäდ ხილ ნაგ** (ბზ.) „ჩვენ ბევრი ხილი გვიდგას („გვ-ა-დგ-ა-ს“)“), რაც ვერც ერთ სხვა დიალექტსა თუ კილოკავში მცენარის მქონებლობის გამოსახატავად ვერ დავაფიქსირეთ. იგი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში მხოლოდ ადამიანის სხეულის ნაწილებთან გამოიყენება, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

შენიშვნა: ზევით საუბარი გვქონდა იმის შესახებ, რომ სვანურში ძალზე ხშირად მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს უმეტესად *„მყოფობა-მქონებლობის“* აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკვეთრად იკვეთება ბალსზემოურსა და ქვემოსვანურ დიალექტებში და მათშორის ჩოლურულ მეტყველებაშიც, რომელიც მრავალი თავისებურებით გამოირჩევა. ჩვენ მიერ 2008 წელს ჩოლურის ხეობაში ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში ვკითხულობთ:

ჩითილარ ეჩექა მუღუა მი, ე̂, კასრუკäლშუ. ჩითილარს გადაურგაუ ი ეჰკა პამიდორ ლი, ხოჩäმდ იმō ჩუ. პამიდორს, ლახანას, ჰარხალს, ოხრახუშს, ქინძს, კამას, ნიურას, ჩōს, ჩōს ხუალäშიდ (ჩოლ.) „ჩითილები იქ მაქვს მე, ე, ქვაბებით. ჩითილებს გადავრგავ და იმისთანა პამიდორი არის, კარგად იჰმევა. პამიდორს, კომბოსტოს, ჰარხალს, ოხრახუშს, ქინძს, კამას, ნიორს, ყველაფერს, ყველაფერს ვთესავთ“.

როგორც ვხედავთ, **მილჯა** „მირგია“ / **მილäშა** „მითესია“ ფორმების ნაცვლად ჩოლურულშიც გამოიყენება **მუღუა** „მაქვს“ პრედიკატი, რაც არაბუნებრივად გვეჩვენება[1].

აქ კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, კერძოდ, ისეთ მეტაფორულ ფორმებზე, რომლებიც მცენარეთა მდებარეობას, მათ სივრცულ ლოკაციას ასახავენ, ესენია: **ხäლერშა** (ბქ., ლნტ.) „გადაწოლილია, გართხმულია ძირს (მაგ., სიმინდი, ფეტვი...)“, **ხადუწა** (ბზ.), **ხადუწა** (ბქ.) „გადაწოლილია, გართხმულია (მაგ., სიმინდი, ხორბალი, ლობიო...)“, **ხაფანა** (ლხმ.) „გადაწოლილია, გართხმულია („ა-ფენ-ი-ა“, მაგ., ხორბალი, ფეტვი, ოსპი, ბარდა...)“ და ა. შ. ამათგან **ხäლერშა** დასტურდება ბალსქვემოურსა და ლენტეხურ დიალექტებში და მიემართება სიმინდს, ლობიოს, ხორბლეულს (მაგ.: **ნაუჩხუნღუე სიმინდ, ფეტუ ი ლებია მäგ გიმქა ხäლერშა** (ბქ.) „წვიმის შემდეგ სიმინდი, ფეტვი და ლობიო მთლიანად მიწაზეა გართხმული“), **ხადუწა||ხადუწა** კი გავრცელებულია ზემოსვანურ დიალექტებში და ასახავს სიმინდის, ლობიოს და მისთ. მიწაზე გართხმას. ლახამულურ კილოკავში, რომელიც, როგორც ცნობილია, მრავალი თავისებურებით გამოირჩევა ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის — რ. ჭკადუას თქმით, მსხვილ და წვრილ ღეროიანი მცენარეების მდებარეობის მიმართ ორი პრედიკატი გამოიყენება, კერძოდ, მსხვილღეროიან მცენარეებზე (მაგ., *სიმინდი*) ამბობენ **ხäლერშა (სიმინდ დაბქა ხäლერშა** „სიმინდი მიწაზეა გართხმული“) ზმნას, ხოლო წვრილღეროიანზე (მაგ., *ხორბალი, ფეტვი, ცერცვი*...) — **ხაფანა** პრედიკატს (**კეცენ მäგ გიმქა ხაფანა** „ხორბალი მთლიანად ყანაშია დაწოლილი — „გართხმულა“)“.

მცენარეების სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავს ასევე **კაჩ** „აღმართულია“ პრედიკატიც, მაგ. **ხილ კაჩ** (ზს., ქს.) „ხილი დგას („აღმართულია“)“, **მეგემ კაჩ** (ბქ.) „ხე დგას („აღმართულია“)“, **იმშა ხილშäლ კაჩ?!** (ჩოლ.) „როგორ ხესავით დგას“?! და სხვ.

ქვემო სვანურში, კერძოდ, ლაშხურსა და ჩოლურულში, თუ მოჰრილ ხეხილზეა საუბარი, ამ შემთხვევაში შემდეგი პრედიკატები გამოიყენება: **ხასყა / ხარäნწყა / ხასუაპაუა** „აწყვია“ (მაგ.: **ხილ ხასყა** „ხეხილი აწყვია“, **ხილ ხარäნწყა** (ჩოლ., ლშხ.) „ხეხილი აწყვია“, **ხილ ხასუაპაუა** „ხეხილი აწყვია“...), ბალსქვემოურში კი — **ხახუროუა** (ბქ.) „აწყვია“ და ა. შ., რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

---

[1] აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა იხ. ქვემოთ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, მსგავსი მახასიათებლების მქონე ობიექტებს სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში სხვადასხვა პრედიკატი მიემართება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაცოცხალი სამყაროს ობიექტების სივრცული ლოკაციის ამსახველი ზოგი პრედიკატი ერთწევრა სისტემას გვიჩვენებს, ზოგი კი — სამწევრას.

მცენარეთა სივცული ლოკაციის გამომხატველი ერთწევრა და სამწევრა სისტემების სქემა

ერთწევრა:

ლჷ̄გ „დგას", ხალაშა „ათესია", ხალჯა „თესია („არგია")", ხანგრგაჲა „თესია (ზედმიწ. — ა-ნერგ-ი-ა")

სამწევრა:

მა̄გ (წვირმ.) „მიდგას", ჯა̄გ (წვირმ.) „გიდგას", ხა̄გ (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ადგას"
მო̄გ „მიდგას", ჯო̄გ „გიდგას", ხო̄გ „უდგას"
მილა̄შა „მითესია", ჯილა̄შა „გითესია", ხოლა̄შა „უთესია"
მილჯა „მირგია", ჯილჯა „გირგია", ხოლჯა „ურგია"
მინერგაჲა „მირგია", ჯინერგაჲა „გირგია", ხონერგაჲა „ურგია".

• **საგნების, ნივთების სივრცული ლოკალიზაცია სვანურში.** სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში, ჩვენი დაკვირვებით, უსულო საგნის / ობიექტის[1] მდებარეობის აღსანიშნავად შემდეგი პრედიკატები გამოიყენება: ვერტიკალური მდებარეობის აღმნიშვნელი **ლჷ̄გ/ლჷგ** „დგას" და ჰორიზონტალურისა — **ზი/ზგ** „დევს, ძევს"[2].

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ამართულად, რაიმე ზედაპირზე ვერტიკალურად განლაგებული საგნის მდებარეობის აღნიშვნისას *დგას* და *დევს* ზმნები შეიძლება სინონიმურად იქნას გამოყენებული, თუმცა ჩნდება კითხვა იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაშია ეს ჩანაცვლება ქართულისათვის ბუნებრივი (ლოლაძე 2013). ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო საინტერესო ვითარებაა ამ მხრივ სვანურში.

სვანურში აღნიშნულ ზმნათა (**ლჷ̄გ/ლჷგ** „დგას", **ზი/ზგ** „დევს, ძევს") სემანტიკური განაწილების ძირითადი წესის მიხედვით, ავეჯის მდებარეობა აღინიშნება ზმნით **ლჷ̄გ/ლჷგ** „დგას". ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ქართულში, არც სვანურში არა აქვს მნიშვნელობა „ვერტიკალურად ორიენტირებულია" ობიექტი (მაგ., **შკაფ ლჷგ** „კარადა დგას" ...), თუ „ჰორიზონტალურად ორიენტირებული" (მაგ., **ტა̈ხტ ლჷგ** „ტახტი დგას" ...). როდესაც ჭურჭლის მდებარეობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში ყურადღე-

[1] შენიშვნა: ვინაიდან სვანური ენის დალექტ-კილოკავებში შენობა-ნაგებობანის სივრცული ლოკალიზაცია ერთი საერთო პრედიკატით **ლჷ̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ლჷგ** (ზს., ლნტ.) „დგას" და მისი მაქცევრიანი (**მო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **მოგ** (ბზ., ლნტ.) „მიდგას", **ჯო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ჯოგ** (ბქ., ლნტ.) „გიდგას", **ხო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „უდგას") ფორმებით გადმოიცემა (მაგ.: **ქორ ლჷ̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ქორ ლჷგ** „ბქ., ლნტ.), **თთინჷ̄ლ ლჷ̄გ** (ლშხ., ჩოლ.) „სალოცავი ნიში დგას", **მურყუამ ლჷ̄გ** (ბზ.) „კოშკი დგას", **ლამგრგარ ლჷგ** „ბოსელი დგას"; **ეშხუ ზექრო̄ლ მო̄გ** „ერთი ძელური მიდგას", **ქორ მო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „სახლი მიდგას", **ქორ ჯო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „სახლი გიდგას", **მურყუამ ხოგ** (ბქ., ლნტ.) „კოშკი უდგას", ... **ჩი მეზგეს ხოგ ნადგამობ: ქორ, ნა̈ლია̈, ბეღელ, თორნ, მარა̈ნ, კირაჲ, ლაკჲმა̈შ, ლახამ, ლაქათალ** (სვან. პროზ., ტექსტ., III, 20:29-30) „ყველა ოჯახს უდგას შემდეგი შენობები: სახლი, ნალია, ბეღელი, თონე, მარანი, სათივე, საძროხე, საღორე, საქათმე" და ა. შ.) და ა. შ.), ამიტომ ცალკე მსჯელობის საგანი არ იქნება, თუმცა ლენტეხურში პარალელურად შენობა-ნაგებობანის მდებარეობა მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატითაც აღინიშნება (მაგ., **ა̈რი ეშხუ გელტგტა̈რ, ხუდჲა ესრენ კჲეჟოლ ქორულდ** (სვან. ქრესტ., 349:24) „იყო და არა იყო რა („არის") იყო ერთი ნაცარქექია, თურმე ერთი პატარა სახლი აქვს"...).

[2] რაც შეეხება **კაჩ** „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)" პრედიკატს, იგი, ვფიქრობთ, მეტაფორული გადააზრიანებით ვერტიკალური მდებარეობის აღმნიშვნელია და, როგორც უკვე ითქვა, მიემართება უსულოსაც (*ხეებს, გარკვეულ საგნებს*...) და სულიერსაც (*ადამიანს, ცხოველებს*...).

ბა ექცევა საგნის ფორმას: **დოქ ლჷგ** „დოქი დგას“, **ქჷც ლჷგ** „ქვევრი დგას“, **ტა̈შდ ლჷგ** „ტაშტი დგას“, **გაბ ლჷგ** „სათლი დგას“, **ფაკნი ლჷგ** „ჯამი დგას“, **სა̈ძნ ლჷგ** „თეფში დგას“ (შდრ. ქართ. *თეფში დევს*)..., თუმცა „ვერტიკალურად ორიენტირებული“ საგნებისათვის **ლჷგ** „დგას“ ზმნის პარალელურად იშვიათად, მაგრამ მაინც **ზი||ზგ** „დევს“ ზმნაც გამოიყენება. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა სვანურში *თეფშის, ჭიქის* მდებარეობის გამოსახატავად **ლჷ̄გ/ლჷგ** „დგას“ ზმნას იყენებს, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ამგვარი საგნების მდებარეობის აღსანიშნავად **ზი||ზგ** „დევს“ ზმნის გამოყენებას. ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ მასალაში, მიუხედავად იმისა, რომ **ლჷგ** „დგას“ ზმნის გამოყენების შემთხვევები სჭარბობს, არცთუ იშვიათად **ზი||ზგ** „დევს“ ზმნის ხმარების შემთხვევებიც ფიქსირდება და მის გამოყენებას, ერთი შეხედვით, თითქოს კონტექსტი განსაზღვრავს (მაგ.: **სა̈ძნა̈რ ი ჭიქა̈რ შკაფისგა ლჷგხ** (ბქ.) „თეფშები და ჭიქები კარადაში დევს („დგანან“)“, მაგრამ **სა̈ძნა̈რ სტოლჲი ზგხ** (ბქ.) „თეფშები მაგიდაზე დევს („დვანან“) “; **ტა̈შდ ჰა̈ზჳისგა ლჷგ** (ბქ.) „ტაშტი ეზოში დგას“, მაგრამ **ტა̈შდ იმეგ ზგ?** (ბქ.) „ტაშტი სად დევს?“), თუმცა მთლიანი დიალექტოლოგიური სურათი ამის თქმის უფლებას ნაკლებად იძლევა.

წარმოვადგენთ საანალიზო მასალას სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) და, ასევე, ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემთა გათვალისწინებით. ცხადია, ნაშრომში საჭიროებისამებრ გათვალისწინებული იქნება სხვა კილოკავთა მონაცემებიც.

*1. **ლჷ̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ლჷგ** (ზს., ლნტ.) „დგას“*

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

სკიჳრისგა კოლეფ ლჷ̄გ (სვან., პროზ. ტექსტ., I, 206:17) „სკივრში კოლოფი დგას“
აშხჳ მინდჳერისგა ლჷ̄გ ჳოქჳრე სჳეტ ი ეჩეჲჷნ ჳოქჳრე ჭიქჷლდ ლჷ̄გ (სვან., პროზ. ტექსტ., I, 325:21) „ერთ მინდორში დგას ოქროს სვეტი და იმაზე დგას ოქროს ჭიქა“
ალ ჰარჷყს ჟი ხა̈მზჷრდახ თანღი თა̄რინგზელს ი სგ'ჷგჳშახ აშხჳ ქეცთე, ალ ქჷც ჩიგარ ჩუ ლჷ̄გ ეჩე (სვან. ქრესტ., 20:25) „ამ არაყს შეულოცავდნენ მთავარანგელოზს და ერთ ქვევრში ჩაასხამდნენ ხოლმე, ეს ქვევრი ყოველთვის იქ დგას“
გუბა̈ნდისგა კერა̈ძ გარ ლჷ̄გ, საკარცხჳილ ი ბანდრა̈რ ი ლა̄შგ-ლაყჷ̄ლძა̄ ბა̈რგ (სვან. ქრესტ., 115:26-27) „სვანურ სახლის ზედა ნაწილში მხოლოდ კერია დგას, საკარცხული და გრძელი სკამები და ყველის ნაწარმისთვის განკუთვნილი ნივთები („ბარგ-ი“)“
სტოლჲი სა̈ძნ ლჷ̄გ „თეფში დგას მაგიდაზე“, მაგრამ **სა̈ძნ ა̈რი სტოლჲი** „თეფში დევს („არის“) მაგიდაზე“, **სა̈ძნ ა̈რი შკაფისგა** „თეფში არის კარადაში“ და ა. შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბალსზემოურ დიალექტში იშვიათად, მაგრამ მაინც **ლჷ̄გ** (ბზ.) „დგას“ ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **მჷ̄გ** „მიდგას“, **ჯჷ̄გ** „გიდგას“, **ხჷ̄გ** „უდგას“ ფორმებიც დასტურდება:

ჳოქჳრეშ კათხჷლდ სგჳებინჩუ მჷ̄გ (სვან. პოეზ., 19??, 320:9) „ოქროს კათხა წინ მიდგას“
ჳედრაძსგა ნიც მჷ̄გ (ბზ.) „სათლში წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **ჳედრაძსგა ნიც მირი** (ბზ.) „სათლში წყალი მაქვს („მივის“)“
ქორს დეს ჯჷ̄გ ლა̈ჯშა̈რ, მა̄დძა? (ეკლინგის მასალები) „სახლში არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“) საქსოვი დაზგა, არა?“
ჳოშა ცხჳად ჯჷ̄გ? „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს?“)?“
მიშგუ დის ქორს ძერჳეშდ სა̈ძნ ხოგ „დედაჩემს სახლში ოცი თეფში აქვს („უ-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **მიშგუ დის ქორს ძერჳეშდ სა̈ძნ ხორი** „დედაჩემს სახლში ოცი თეფში აქვს („უვის“)“
მიშგუ ჯგმილს მანქანა ხოგ „მანქანა აქვს („უ-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **მანქანა ხაყა** (ბზ.) „მანქანა ჰყავს“ და სხვ.

თუმცა ამას ბალსზემოურში სისტემის სახე არა აქვს, რადგან საანალიზოდ წარმოდგენილ მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ძირითადად ქონა-ყოლის ზმნები ენაცვლებიან და ისინი უფრო ბუნებრივია მათი მეტყველებისათვის. ვფიქრობთ, ის მცირე რაოდენობის მაგალითები, რაც სვანურ პუბლიკაციებსა და ჩვენ მიერ საველე პირობებში მოძიებულ მასალებში დავადასტურეთ, ქართულის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ ზემოაღნიშნულ ზმნათა გამოყენებას უსულო *საგნის / ობიექტის* მდებარეობის გამოსახატავად სისტემის სახე აქვს, რასაც ქვემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალაც ცხადყოფს.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

სტამან ტაბäგჟი ლგგ „დოქი მაგიდაზე დგას"
გაბ გიმჟი ლგგ „სათლი ძირს („მიწაზე") დგას"
ეჯი ზანგლäგ ამჟი ლგგ სერ ლაჰუმიჲსგა „ის ზარი („ზანზალაკ-ი") ასე დგას მოკლეთ ეკლესიაში"
ხäჲნäრ ი ჰიქäრ ჟიბე სართულჟი ლგგხ „თეფშები და ჰიქები მეორე („ზემო") სართულზე დევს („დგ-ა-ნ-ან")"
ლამäრ დარბäზისგა ლგგ „თივის გოდორი სათივეში („დარბაზ-ში") დევს („დგ-ა-ს")"
ნäრჩუშ გუეში ბუყუნ გუემისგა ლგგ „საზამთრო ყველით სავსე კასრი („ბუყუნ-ი") სარდაფში დგას" და მრავ. სხვ.

ბალსქვემოურ დიალექტში, სხვა დიალექტებისაგან შედარებით, **ლგგ** (ბქ.) „დგას" ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **მიგ** „მიდგას", **ჯიგ** „გიდგას", **ხოგ** „უდგას" ფორმების გამოყენების ხშირი შემთხვევები დასტურდება:

აშირთეჲი ხäჲნ მიგ ი ჲორერუეშდიეშდ ჰიქ „ასამდე თეფში მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს") და ორმოცდაათამდე ჰიქა"
ჰიქიშ ბäრგ მäგ ლაჰურაჟი მიგ „შუშის პურჰელი ყველა ფანჯარაზე მიდგას"
სი ხტოლ ჯიგ ი მი მäჲდშუ ხუიდგäრი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 42:26) „შენ სუფრა გიდგას და მე მშიერი ვკვდები"
ლაჱრაშ კალისგა იმღა ჯიგ? „საარაყე კასრი ეზოში რატომ გიდგას?"
ჰუფ ხäჲნäრ იმეგ ჯიგ? „ღრმა თეფშები სად გიდევს („გ-ი-დგ-ა-ს")?"
სი ქორს მასäრდ ბარგäრ ჯიგ „შენ სახლში ბევრი ავეჯი გიდგას"
გიგუს ხოქუა 'ბეჱაშდ': „**მიჩ ესერ ქორს ყუბ სტამნგლ ხოგ**" (სვან. პროზ. ტექსტ., II, 48:3-5) — გუგულს უთქვამს ბევასთვის: „შენ სახლში ცარიელი დოქი გიდგასო"
... **ჯგგრäგ ზურალს ლახჰედნა:** „**მ'ესერ ხოგ კონტისგა?**" (სვან. პროზ. ტექსტ., II, 246:5-6) „წმინდა გიორგი შეეკითხა თურმე ქალს: „რა გაქვსო („უ-დგ-ა-ს") თიხის ქოთანში?"
დäჱდ ხექე: „... **ჰადუისგ'ესერ კოლფგდ ხოგ**" (სვან. პროზ. ტექსტ., II, 48:3-5) „დევმა უთხრა: „მუცელში კოლოფი მაქვსო („უ-დგ-ა-ს")"
'ზოხრა მეუხუბედ' ... **ხäქუე:** „**ბოგჟი ესერ ოქრშუ ი ჳარჩხილშუ გუეში ლამäრ ხოგ**" (სვან. პროზ., ტექსტ., II, 158:35-36) „უმცროსმა ძმამ უთხრა: „ხიდზე ოქროთი და ვერცხლით სავსე გოდორი მიდგასო („უ-დგ-ა-ს")" და სხვ.

ბალსქვემოურში *საგნების / ნივთების* სივრცული ლოკალიზაცია ძირითადად **ლგგ** „დგას" და **ზი/ზგ** „დევს" პრედიკატებით გადმოიცემა. მათ, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები არ ენაცვლებიან და თუკი ჩაენაცვლებიან, იმასაც თავისებური ახსნა ეძებნება[1].

[1] მსჯელობა იხ. ქვემოთ.

რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს და მათშორის ჩოლურულ მეტყველებას, იქ **ლგ̈გ/ლგგ** „დგას" და მისი მარკირებული **მიგ̈/მიგ** „მიდგას", **ჯიგ̈/ჯიგ** „გიდგას", **ხოგ̈/ხოგ** „უდგას" ფორმათა ხმარება საგნებისა და ნივთების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ძალზე იშვიათია:

ლ ა შ ხ უ რ ი

ჩანალ ფერჟი ლგ̈გ „ჩანახი ღუმელზე დგას"
ტაბაგჟი ფაკან ლგ̈გ „მაგიდაზე ჯამი დგას"
გაზჟი ცხუად ლგ̈გ „გაზზე ქვაბი დგას"
შკაფჟი ფაკან ლგ̈გ „კარადაზე ჯამი დგას"
ფერჟი კასრულაჲ მიგ̈ „ღუმელზე ქვაბი მიდგას", მაგრამ **ფერჟი კასრულაჲ მუდუა** „ღუმელზე ქვაბი მიდგას („მაქვს")"
სტოლჟი საჲნარ ლგ̈გხ „მაგიდაზე თეფშები დგას („დგ-ან-ან")", მაგრამ პარალელურად **ლგ̈ზხ** „დევს („დვანან")" ფორმაც გამოიყენება.
საჲნარ შკაფისა ლგ̈გხ „თეფშები კარადაში დგას („დგ-ან-ან")", მაგრამ პარალელურად **ლგ̈ზხ** „დევს („დვანან")" და **არიხ** „არიან" ფორმებიც იხმარება.

ლაშხური დიალექტის წარმომადგენელი ნ. ონიანი შეეცადა აეხსნა რა შემთხვევაში *დგას* ან *დევს* ესა თუ ის ჭურჭელი, თუმცა ორივე პრედიკატს „მქონებლობის" გამომხატველ ფორმებს უნაცვლებდა, რაც სისტემის მოშლაზე და უნიფორმაციისკენ სწრაფვაზე მიანიშნებს.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ალ კეც ათხეი **ჩუ ლგგ** (სვან. პროზ. ტექსტ., III, 5:16-17) „ეს ქვევრი ახლაც დგას"
ცხუად ცჰრიელ მიგ „ქვაბი ცარიელი მიდგას", მაგრამ **ცხუად ცჰრიელ მუდუა** „ქვაბი ცარიელი მაქვს"
სტამან სტოლჟი მიგ „დოქი მაგიდაზე მიდგას", მაგრამ **სტამან სტოლჟი მუდუა** „დოქი მაგიდაზე მაქვს"
კუაპა˹ს˺ ... **კჰრი ჩუ ხოგ** მუხუირისკა შიხშუ გუეში (სვან. ქრესტ., 344:39-40) „კვაპას კუთხეში გოდორი უდგას ნაცრით სავსე"
˹ალეს˺ სკუებინჩუ **ხოგ**[1] დგრჩჴლ (სვან. ქრესტ., 294:38) „ამას წინ უდგას ნაკვერჩხლები" ...

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

გაზჟი ცხუად ლგ̈გ „გაზზე ქვაბი დგას"
ჩანალ ფერჟი ლგ̈გ „ღუმელზე დგას"
ბოცა იმე ჯიგ̈? „ბოცა სად გიდევს („გ-ი-დგ-ა-ს)?"
ბოჭკა ეშჩუ იმნარ ჯიგ̈? „კასრი იქ რატომ გიდევს („გ-ი-დგ-ა-ს)?"
ლემეს ლოქ ხოშუხ ალჲარს ი კერიაჲ ხოგხ „ცეცხლი უნთიათო ამათ და კერიაც უდგათო"
ხაფამდ ლოქ ... **ეშხუ ამჩუ ხუუა, მერბე ლოქ ეჩე ხოგ**, ცხეკისა „ხაფანგი ერთი აქ მაქვსო და მეორე იქ მიდგასო, ტყეში" ...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვემოსვანურ დიალექტებში უსულო *ობიექტების* (resp. *საგნების*) სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად უფრო ხშირია „*მყოფობა-მქონებლობის*" ზმნათა გამოყენება, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საინტერესო ვითარება ვლინდება თხიერი და საერთოდ სხვადასხვა საგნების სივრცულ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში. აქ შემდეგი ტენდენცია ვლინდება: როცა საუბარია სითხოვან ნივთიერებებზე, ამ შემთხვევაში **ლგ̈გ/ლგგ** „დგას" და მისი მარკირებული **მიგ̈/მიგ** „მიდგას", **ჯიგ̈/ჯიგ** „გიდგას", **ხოგ̈/ხოგ** „უდგას" ფორმები გამოხატავენ სივრცულ ლოკალი-

[1] ამ შემთხვევაში ბალსქვემოურში ენაცვლება **ხოზ** „უდევს".

ზაციას, მაგრამ თუ საუბარია თხიერ (შედარებით უფრო მკვრივ) ობიექტებზე (მაგ.: *პური, ფქვილი, ყავა; ტომატი, თაფლი, ქონი, კარაქი* და ა. შ.), მაშინ უკვე **ზი/ზგ** „დევს" და ამ ზმნის მაქცევრიანი (resp. მარკირებული) ფორმები გამოხატავენ მათ სივრცულ ლოკაციას. რაც შეეხება სვანურის სხვა დიალექტებს, იქ ამ შემთხვევაშიც უმეტესად ქონა-ყოლის ზმნები ფიგურირებენ, თუმცა გამონაკლისები იშვიათად, მაგრამ მაინც აქაც იჩენს თავს.

ბალსქვემოური

თხიერი (არამკვრივი) ნივთიერებები:

ეშხუ წექჷ ლიც დემეგ ლჷგ ქორისგა „ერთი წვეთი წყალი არაა („დგას") სახლში"
ლეთრემიშ წინალ მამაგჷეშ ლჷგ ნიშგე ქორისგა (ბქ.) „სასმლის მაგვარი არაფერი დგას ჩვენს ოჯახში"
ჩჷეჲნისგა შჷელ ლჷგ „კარდალაში შრატი დგას"
ნაყუნ ხოშა ჩჷეჲნისგა ლჷგ „შეჭამანდი დიდ კარდალაში დგას"
ალ ბოთლიკისგა გიმბშიშ ზეთ ლჷგ „ამ ბოთლში კანაფის ზეთი დგას"
ლეგმერდეაქ ლჷჯე დემეგ მიგ „ავადმყოფისთვის რძე არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს")"
სგიმ დემეგ მიგ (ბქ.) „მჟავეწყალი არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს")"
ხოჩა მარწჷენ მიგ კასრულისგა „კარგი მაწონი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს") ქვაბში"
ხარგიშ ლიც დემეგ ჯიგა ქორს? „წყაროს წყალი არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს") სახლში?"
ჷოშა ლიტრა ჰარა̈ყ ჯიგ? „რამდენი ლიტრა არაყი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს")?"
მიშგჷა დადას სტამნა̈რისგა ჰარა̈ყ ი ლჷინალ ხოგ „ბებიაჩემს დოქებში არაყი და ღვინო აქვს („უ-დგ-ა-ს")"
ალ ზურალს სგიმიშ წჷეთ დემეგ ხოგ ქორისგა „ამ ქალს წვეთი მჟავეწყალი არა აქვს („უ-დგ-ა-ს") სახლში"
თჷი მასა̈რდ ხოგ ალ მეზგა „თაფლი ბევრი აქვს ამ ოჯახს", თუმცა თაფლის ქონის აღსანიშნავად **ხოზ** „უდევს („უ-ძ-ევ-ს") პრედიკატიც გამოიყენება.
ზეთ როქ დემეგ ხოგ, მარე ტომატ როქ ჩუ ხოზ „ზეთი არა აქვსო („უ-დგ-ა-ს"), მაგრამ ტომატი აქვსო („უ-ძ-ევ-ს")" და მისთ.

არათხიერი ნივთიერებები:

ჰისჷ ფექ დემეგ ზი/ზგ კიბდონისგა „ერთი ნამცეცი ფქვილი არ არის („ძ-ევ-ს") კიდობანში"
ქორისგა ნა̈პუ დჲა̈რ დემეგ ზი/ზგ „ოჯახში ერთი ლუკმა პური არ არის („ძ-ევ-ს")"
ლეზჷებიშ წინალ დემეგ ზი ქორისგა „საჭმლის ნასახი არაა („ძ-ევ-ს") სახლში"
მოჲდილ თჷი დემეგ ჯიზა? „ცოტა თაფლი არ გაქვთ („ცოტა თაფლი არ გიდევთ
ეშხუ ნა̈პუ დია̈რ დემეგ მიზ/ჯიზ/ხოზ (ბქ.) „ერთი ლუკმა პური არ მაქვს, გაქვს, აქვს („მ-ი-ძ-ევ-ს/გ-ი-ძ-ევ-ს/უ-ძ-ევ-ს")"
ჰისჷ ფექ დემეგ ნიზ/გჷიზ/ჯიზხ/ხოზხ ქორისგა „ერთი ნამცეცი ფქვილი არ გვაქვს/გაქვთ/აქვთ („გვიძევს/გიძევთ/უძევთ")" ოჯახში"
ლეზჷებიშ წინალ დემეგ მიზ/ჯიზ/ხოზ (ბქ.) „საჭმლის ნასახი არ მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ი-ძ-ევ-ს/გ-ი-ძ-ევ-ს/უ-ძ-ევ-ს")" და ა. შ.

ბალსქვემოური დიალექტისაგან არსებითად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს ბალსზემოური, სადაც ნებისმიერ უსულო საგანს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი **ხორი** „აქვს, ჰყავს" / **ხაყა** „ჰყავს" / **ა̈რი** „არის" პრედიკატები მიემართება. თუმცა არც **ლჷ̄გ** „დგას", **ზი** „დევს" და მათ მარკირებულ ფორმებს გამორიცხავს (მაგ., შდრ. ერთი მხრივ: **ჷედრაჲსგა ნიც მი̄გ/ჯი̄გ/ხო̄გ** (ბზ.) „სათლში წყალი მაქვს/გაქვს, აქვს („მ-ი-დგ-ა-ს, გ-ი-დგ-ა-ს, უ-დგ-ა-ს")"; **ლეზჷებ ეშჩჷნ ზგ** (ლენჯ.) „საჭმელი იქ დევს („ძ-ევ-ს")") და, მეორე მხრივ: **ჷედრაჲსგა ნიც ხორი** „სათლში წყალი მაქვს („მივის")"; **ლეზჷებ ეშჩჷნ ა̈რი** (წვირმ.) „საჭმელი იქ არის"; **ჷოშა კასრულ ჯირი?** (ბზ.) „რამდენი ქვაბი გაქვს?", მაგრამ **ჷოშა კასრულ ჯიგ?** „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს?")?" და სხვ.).

ბალსზემოურში ხშირად თავს იჩენს კილოკავური სხვაობაც. მაგ.: **ლეზჷებ ეშჩჷ̄ნ ზგ** (ლენჯ.) „საჭმელი იქ დევს", მაგრამ **ლეზჷებ ეშჩჷ̄ნ ა̈რი** (წვირმ.) „საჭმელი იქ არის"; **გა̈ჩ იმე ჯიზ?** (ლენჯ.) „დანა სად გიდევს („გივის?")?", მაგრამ **გა̈ჩ იმე ჯირი?** (წვირმ.) „დანა სად გიდევს?". როგორც ვხედავთ, წვირმული კილოკავი **ზი||ზგ** „დევს", **ჯიზ** „გიდევს" ფორმების ნაცვლად ძირითადად **ხორი** პრედიკატს იყენებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არა მხოლოდ სვანურ დიალექტებს შორისაა ამ მხრივ განსხვავება, არამედ თვით ერთი დიალექტის შიგნითაც კი.

რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ ერთი შეხედვით ბალსზემოურისებური ვითარებაა, თუმცა ერთგვაროვნება არც ქვემოსვანურში იგრძნობა და ნიუანსური სხვაობა აქაც დაჩნდება, განსაკუთრებით კი ჩოლურულ მეტყველებაში. უსულო საგნების (*თხიერი* და *არათხიერი ნივთიერებების*) მდებარეობის აღსანიშნავად **ლჷ̄გ/ლჷგ** „დგას" და არაორგანული კუთვნილების გამომხატველი: **მო̄გ/მიგ** „მიდგას", **ჯო̄გ/ჯიგ** „გიდგას", **ხოგ/ხოგ** „უდგას" პრედიკატები ძალზე იშვიათად შესაძლოა ქვემოსვანურშიც შეგვხვდეს [მაგ.: **ჷედრაჲსა ლიც მიგ** (ლნტ.) „სათლში წყალი მაქვს („მიდგას")"], თუმცა ამას სისტემად ვერ მივიჩნევთ, რადგან ნებისმიერი უსულო საგნის *მდებარეობას* / *სივრცულ ლოკალიზაციას* ქონა-ყოლის ზმნები გამოხატავენ, რომლებიც ქვემოსვანური დიალექტების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა:

ლ ა შ ხ უ რ ი

გაზეი ცხჷადისა ნიც მუჷა „გაზზე ქვაბში წყალი მიდგას („მაქვს")"
ეშხუ წჷეთ ნიც მა̄ მუღჷა ქორს „ერთი წვეთი წყალი არ მაქვს სახლში"
ჷედრაჲსა ნიც ჯუღჷამა? „ვედროში წყალი გაქვს?"
ბანკაჲსა თუ მუღჷა „ქილაში თაფლი მაქვს", მაგრამ **ბანკაჲსა თუ მიგჷშა** „ქილაში თაფლი მისხია", შდრ. ბქ., **ბანკაისგა თჷი მიგ** „ქილაში თაფლი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს")"
კოტო̄ლ ზეთ მა̄ ჯუღჷა̄ ბოთლისა? „ცოტა ზეთი არ გაქვს ბოთლში?", ან **კოტო̄ლ ზეთ მა̄ არია ბოთლისა?** „ცოტა ზეთი არ დგას („არის") ბოთლში?", შდრ. ბქ., **მოჲდილ ზეთ დემეგ ჯიგა ბოთლიკისგა?** „ცოტა ზეთი არ გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს") ბოთლში?"
ცხჷადისა ხჷაი ქონ||ღჷესე მუღჷა „ქვაბში ბევრი ქონი მაქვს"
ტომატ დესა ჯუღჷა̄ კოტო̄ლ, ერ ლამო̄მა? „ტომატი არ გაქვთ ცოტა, რომ მომცეთ?"
ქორს დიარ დესა მუღჷა „სახლში პური არ მაქვს" და სხვ.

ლ ე ნ ტ ე ხ უ რ ი

ზურალდ ხა̈ქჷ: „... **ლიც ლოქ მა̈დ ხუღჷა**" (სვან. ქრესტ., 313:12-13) „ქალმა უთხრა: „წყალი არ მაქვსო"
ლიც დესა გუღჷა „წყალი არ გვაქვს"
ეშხუ ფინცხ'ჷ' დჲა̈რ დესა მუღჷა „ერთი ნამცეცი პური არ მაქვს"
ბანკაჲსა თჷი მუღჷა „ქილაში თაფლი მაქვს"
ჷედრაჲსა ლიც მუღჷა[1] „ვედროში წყალი მაქვს (მიდგას მნიშვნელობით)" და ა. შ.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ლაშხურსა და ლენტეხურში კუთვნილების მნიშვნელობით გამოყენებული **მუღჷა/ჯუღჷა/ხუღჷა** „მაქვს/გაქვს/აქვს" დომინირებს. რაც შეეხება მყოფობის გამომხატველი **არი** „არის" ზმნას, იგი იმ შემთხვევაში მიემართება უსულო *საგნებს* (resp. *ობიექტებს*), როცა ზოგადად რომელიმე ამ საგნის მყოფობაზეა საუბარი (მაგ.: **ეშხუ წჷეთ ნიც მა̄ არი სტამანისა** „ერთი წვეთი წყალი არ არის დოქში", **ცხჷადისა ხჷაი ქონ||ღჷესე არი** „ქვაბში ბევრი ქონი არის", **ქორს დიარ დესა არი** „სახლში პური არ არის"...). ძალიან ხშირად კი ლაშხურში და ჩოლურულში ჭურჭელში სითხის დგომის აღსანიშნავად **მიგჷშა/ჯიგჷშა/ხოგჷშა** „მისხია/გისხია/უსხია" პრედიკატს

[1] **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს („უვის")", ბალსქვემოური დიალექტის მსგავსად, უსულო საგნებს არც ქვემოსვანურ დიალექტებში არ მიემართება.

(მაგ.: **ეშხუ წჳეთ ნიც მა̄ მიგჳშა სტამანისა** „ერთი წვეთი წყალი არ მაქვს („მისხია“) დოქში“ და სხვ.) იყენებენ.

ჩოლურულშიც სითხის სივრცული ლოკალიზაცია ძირითადად მქონებლობის აღმნიშვნელი **მუღჳა/ჯუღჳა/ხუღჳა** „მაქვს/გაქვს/აქვს“ პრედიკატით გადმოიცემა. რაც შეეხება **მი̄გ** „მიდგას“, **ჯი̄გ** „გიდგას“, **ხო̄გ** „უდგას“ ფორმებს, ისინი სითხის სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად იშვიათად ფიგურირებს და ისიც გარკვეულ კონტექსტში, მაგალითად, თუ ჭურჭელში *წყალი, ღვინო, არაყი* და ა. შ. დგას, ამ შემთხვევაში **ხუღჳა** „აქვს“ ზმნის პარალელურად **ხო̄გ** „უდგას“ პრედიკატსაც ხმარობენ.

ჩოლურული

კასრულისა||ჳედრაჲსა ლიც მუღჳა „ქვაბში||სათლში წყალი მაქვს“
ლიცშჳ გჳეში ჳედრა იმე ჯუღჳა? „წყლიანი („წყლით სავსე“) სათლი სად გაქვს?“, მაგრამ **ლიცშჳ გჳეში ჳედრა იმე ჯი̄გ?** „წყლიანი სათლი სად გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს“)?“
სტამანისკა ლიც მუღჳა „დოქში წყალია“
ბანკაისა თჳი მუღჳა „ქილაში თაფლი მაქვს“
ქორს დიარ დესა მუღჳა „სახლში პური არ მაქვს“
ეშხუ წა̄ქჳ ზეთ დესა მუღჳა „ერთი წვეთი ზეთი არ მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“ და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა ზოგადად აღნიშნულ *საგანთა* (resp. *ობიექტთა*) მდებარეობაზეა საუბარი, მაშინ ჩოლურულშიც „*მყოფობის*“ გამომხატველი **ა̈რი** „არის“ ზმნა გამოიყენება (მაგ., **სტამანისკა ლიც ა̈რი||ხაგჳშა** „დოქში წყალია||ასხია“), რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოურზე, სადაც გამორიცხულია ჩოლურისებური კონსტრუქცია, იქ, როგორც მრავალგზის აღინიშნა, **ა̈რი** „არის“ ზმნის ნაცვლად **ლგგ** „დგას“ პრედიკატი იხმარება.

საინტერესოდ გვესახება, ასევე, ლახამულური კილოკავის მონაცემთა ჩვენებაც, რომელიც ამა თუ იმ *საგნის / ობიექტის* სივრცული ლოკალიზაციის აღნიშვნისას ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებისაგან მეტნაკლებად განსხვავებულ ვითარებას ავლენს.

ლახამულური

სა̈ჲნა̈რ სტოლეჲ მიზ/ჯიზ/ხოზ „თეფშები მაგიდაზე მიდევს/გიდევს/უდევს“, შდრ. ბქ., **სა̈ჲნა̈რ სტოლეჲ მიგ/ჯიგ/ხოგ** „თეფშები მაგიდაზე მიდგას/გიდგას/უდგას“
დოქისგა ლიც ლგგ „დოქში წყალი დგას“, მაგრამ **დოქისგა ლიც მიგ/ჯიგ/ხოგ** „დოქში წყალი მიდგას/გიდგას/უდგას“
ბანკაჲსგა თჳი ლგგ „ქილაში თაფლია („დგას“)“, მაგრამ **ბანკაჲსგა თჳი მიზ/ჯიზ/ხოზ** „ქილაში თაფლი მიდევს/გიდევს/უდევს“
სა̈ჲნა̈რ შკაფისგა მიგ/ჯიგ/ხოგ[1] „თეფშები კარადაში მიდგას/გიდგას/უდგას“
სა̈ჲნა̈რ შკაფისგა ზიხ „თეფშები კარადაშია („დვანან“)“, შდრ. ბქ., **სა̈ჲნა̈რ შკაფისგა ლგგხ** „თეფშები კარადაშია („დგანან“)“..., მაგრამ თუ ერთმანეთზე აწყვია თეფშები, ამ შემთხვევაში ლახამულელი იყენებს **ლგგხ** „დგანან“ პრედიკატს.

ცხადია, ლახამულურში არის ცდა ნიუანსურ დონეზე *საგნის / ობიექტის* მდგომარეობის მიხედვით პრედიკატთა განაწილებისა[1], რასაც ბალსქვემოური დიალექტი, სვანურის სხვა დიალექტთაგან

---

[1] **ხოგ** „დამაგრებული აქვს („უდგას“)“ პრედიკატი მიემართება აგრეთვე შემდეგ ფორმებს: **ფოლექ ხოგ** (ბქ.) „ღილი აქვს დაკერებული („უდგას“)“, **ქინძისთაჳ ხოგ კაბჟი** (ბქ.) „ქინძისთავი აქვს დამაგრებული კაბაზე“, **მედა̈ლ ხოგ ბულუზაჟი** (ბქ.) „მედალი აქვს დამაგრებული პერანგზე“, **ფოლაქა̈რ ხოგ პალტოჟი** (ლნტ.) „ღილები აქვს დამაგრებული პალტოზე“, **ბროშკა მიგ პალტოჟი** (ლნტ.) „ბროშკა მაქვს დაბნეული („მიდგას“) პალტოზე“ და ა. შ.

განსხვავებით, უკეთ ახერხებს და, შეიძლება ითქვას, რომ ბალსქვემოურში სწორედ ნივთის მდგომარეობა ხდება ხშირ შემთხვევაში პრედიკატთა განაწილების საფუძველი.

*2. **ზი** (ბზ.), **ზი||ზგ** (ბქ.), **ლგზ** (ლშხ.) **ლგზ||ლგდ** (ლნტ.) „დევს (ზედმიწ. — ძ-ევ-ს)"*

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილი ზმნური ფორმის (**ზი** (ბზ.), **ზი||ზგ** (ბქ.), **ლგზ** (ლშხ.) **ლგზ||ლგდ** (ლნტ.) „დევს (ზედმიწ. — ძ-ევ-ს)") გამოყენება სვანური ენის დიალექტკილოკავებში საკმაოდ შეზღუდულია. ქვემოსვანურ დიალექტებში (კერძოდ — ლენტეხურსა და ჩოლურულში) თითქმის გადასულია ხმარებიდან, ბალსზემოურში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება, თუმცა არა ყველა კილოკავში (შდრ. ლენჯერული: **ლეზუ̈ებ ეშჩუ̈ნ ზგ** „საჭმელი იქ დევს („ძ-ევ-ს")") და წვირმული: **ლეზუ̈ებ ეშჩუ̈ნ ა̈რი** „საჭმელი იქ არის"), ბალსქვემოურში კი ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე გამოიყენება და უსულო საგნების, ნივთების მდებარეობას აღნიშნავს „ჰორიზონტალურ სიბრტყეზე". მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არსებულ სვანური ენის პუბლიკაციებში ქვემოსვანური **ლგზ||ლგდ** „დევს (ზედმიწ. — ძ-ევ-ს)" ზმნის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ დადასტურებულა და მათ არსებობაში ეჭვი ეპარებოდა თავად პროფ. ვ. თოფურიასაც (თოფურია 1967:245)[2], თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი დღემდე პროდუქტიულია ლაშხურში, რასაც ჩვენ მიერ ლაშხელი რესპონდენტებისაგან[3] ჩაწერილი მასალებიც ადასტურებს[4]. ვინაიდან ბალსზემოურში, ლენტეხურსა და ჩოლურულში საანალიზო ზმნური ფორმისა და მისგან ნაწარმოები მარკირებული **მიზ/მიზ** „მიდევს", **ჯიზ/ჯიზ** „გიდევს", **ხოზ/ხოზ** „უდევს" ფორმების ხმარება ან შეზღუდულია, ან საერთოდ არ ფიქსირდება, აქედან გამომდინარე, საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მხოლოდ და მხოლოდ ბალსქვემოური და ლაშხური დიალექტის მონაცემებს.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ბლოდ კიბდონისგა ზი/ზგ „სინი კიდობანშია („ძ-ე-ვს")"
ნიკელიშ ბლოდა̈რ მიზ/ჯიზ/ხოზ „ნიკელის სინები მაქს/გაქვს/აქვს („მ-ი-ძ-ევ-ს/გ-ი-ძ-ევ-ს/უ-ძ-ევ-ს")" და არა, **მიგ/ჯიგ/ხოგ** „მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/უ-დგ-ა-ს"
ლა̈ჲრა̈რ მახა̈რდ მიზ „წიგნები ბევრი მაქვს („მ-ი-ძ-ე-ვს")"
კჷლა̈რ ჯიბისგა ხო̄ზ ქა̈ჯს (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 276) „გასაღები ჯიბეში უდევს ქაჯს"
ბაბა, წაბ ჯიზმა? (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 101:10) „ბაბუა, სამართებელი გაქვს („გიდევს?")?"
სხუ̈ათაშორის ეშხუ მიზ მი ქორს ფოტო, მეზგახენქა ლგჭიდ მარ, ეჯჟიშ მიჟ დემეგ-იმეგ მიწუ̈ა (ბქ., ეკლინგის მასალები) „სხვათაშორის ერთი ფოტო მაქვს („მიდევს") სახლში, ოჯახიდან მაქვს გამოტანილი, იმისთანა მზე არსად მინახავს"
სუნკაჲსგა მიზ ალი ჟ'ონჭუ ი ალი ჩ'ოცურა, ა, მერმე, ქა უტმურა (ბქ., ეკლინგის მასალები) „ჩანთაში ⌜რომ⌝ მიდევს ეს ამოვიტანე და ეს დავტოვე, აი, მეორე, გაუტყავებელი"
სიმაქს კიბდონისგა მჷსკა̈დ ხოზ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 30) „ქალიშვილს კიდობანში ბეჭედი უდევს"
დо̄ნას მაგ სგობინჩუ ხო̄ზ (ლშხ.) „გოგოს ყველაფერი წინ უდევს"
ბოფშა̈რს ლეზუ̈ებ ტაბა̈გჟი ხოზხ (ლნტ.) „ბავშვებს საჭმელი ტაბლაზე უდევთ"
შკაფჟი თუ̈ეფ ხო̄ზ (ჩოლ.) „გარდერობზე თოფი უდევს" და ა. შ.

[1] მსჯელობა აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ.

[2] ვ. თოფურიას აზრით, თუკი ლენტეხურში აღნიშნული ზმნის არსებობა დადასტურდა, ამით S3 ლ- პრეფიქსიანი ზმნათა რიცხვი კიდევ ერთით გაიზრდებაო (იქვე). თავის დროზე ჩვენ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ხუთიოდე ლ- პრეფიქსიან ზმნას დავამატეთ მეექვსე ზმნური ფორმა ლჵ-კა̈ჩ „აღმართულია" (იხ. მედეა საღლიანი, პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში, თბილისი, 2011:34). ვფიქრობთ, ამ ზმნათა რიცხვი დღესდღეობით უკვე შვიდს აღწევს და როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, არ არის გამორიცხული, რომ სვანურში კიდევ დაიძებნოს მსგავსი მაგალითები (იქვე).

[3] ონისე ჯანხოთელი (38 წლისა), ნატალია ონიანი (43 წლისა), ჟუჟუნა ონიანი (65 წლისა) და ა. შ.

[4] მაგალითები იხ. ქვემოთ.

ლაშხური

ბალონ იმე ლჷ̄ზ? „ბალონი სად დევს („ძ-ე-ვს")?", მაგრამ **ბალონ იმე ლჷ̄გ?** „ბალონი სად დგას?" ან **ბალონ იმე არი?** „ბალონი სად არის?"

კო̄პ ტაბაგჟი ლჷ̄ზ „კოვზი ტაბლაზე დევს („ძ-ე-ვს")", მაგრამ **კო̄პ ტაბაგჟი არი** „კოვზი ტაბლაზე არის"

გაზჟი ცხჳად ლჷ̄ზ „გაზზე ქვაბი დგას („ძ-ე-ვს")", მაგრამ **გაზჟი ცხჳად ლჷ̄გ** „გაზზე ქვაბი დგას" ან **გაზჟი ცხჳად არი** „გაზზე ქვაბი არის"

ჳედრა იმე ჯო̄ზ? „სათლი სად გაქვს („გ-ი-ძ-ე-ვს")?", მაგრამ **ჳედრა იმე ჯო̄გ?** „სათლი სად გიდგას?"

ხორგ იმე ჯო̄ზ? „კასრი სად გაქვს („გ-ი-ძ-ე-ვს")?", მაგრამ **ხორგ იმე ჯო̄გ?** „კასრი სად გიდგას?"

ალეს ხოშა ცხჳად ხო̄ზ „ამას დიდი ქვაბი აქვს („უ-ძ-ე-ვს")", მაგრამ **ალეს ხოშა ცხჳად ხო̄გ** „ამას დიდი ქვაბი უდგას"

სტოლჟი საჲნარ ლჷ̄ზხ „მაგიდაზე თეფშები დევს", მაგრამ **სტოლჟი საჲნარ ლჷ̄გხ** „მაგიდაზე თეფშები დგანან"

საჲნარ შკაფისა ლჷ̄ზხ „თეფშები კარადაში დევს", მაგრამ **საჲნარ შკაფისა არიხ** „თეფშები კარადაში არიან" და ა. შ.

თუმცა უფრო ხშირად *საგნის* (resp. *ობიექტის*) მქონებლობას **მუღჳა/ჯუღჳა/ხუღჳა** „მაქვს/გაქვს/აქვს" ფორმით გამოხატავენ (მაგ.: **ჳოშა საჲნ ჯუღჳა?** „რამდენი თეფში გაქვს?", შდრ. ბქ., **ჳოშა სა̈ჲნ ჯიგ?** „რამდენი თეფში გიდგას?"; **დედეს საჲნარ შკაფისა ხუჳა** „დედას თეფშები კარადაში აქვს", შდრ. ბქ., **დიას სა̈ჲნა̈რ შკაფისგა ხოგ** „დედას თეფშები კარადაში უდგას"; **ძღგდ კასრულაჲ ჯუღჳამა?** „დიდი ქვაბი გაქვს?", შდრ. ბქ., ხოშა კასრულ ჯიგმა? „დიდი ქვაბი გიდგას?" ...). ხშირად კი **ლჷ̄ზ** „დევს" და მის მარკირებულ ფორმებს „მყოფობის" აღმნიშვნელი **არი** „არის" ენაცვლება. ვფიქრობთ, ამ ჩანაცვლებასაც თავისი ახსნა აქვს და ხშირად კონტექსტი განსაზღვრავს მდებარეობისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა მონაცვლეობას, თუმცა ეს ჩანაცვლება ბალსქვემოურად მეტყველი ადამიანისთვის ბუნებრივი არ არის. ჩვენი აზრით, **ჯო̄ზ** „გიდევს („გ-ი-ძ-ევ-ს")" და **ხო̄ზ** „უდევს („უ-ძ-ევ-ს")" კონკრეტული საგნის კუთვნილებას გულისხმობს, ხოლო **არი** „არის" ზოგადად მყოფობას. ვფიქრობთ, ლაშხური ამ საკითხში ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებს არქაულობას, მაგრამ ამ დიალექტშიც აშკარად იგრძნობა უნიფორმაციისაკენ მისწრაფება; ჩანაცვლების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რასაც მასალის ანალიზიც ადასტურებს.

შენიშვნა: ჩვენ არაერთგზის შევნიშნეთ, რომ ტრადიციულად ცნობილი სვანური ოთხი დიალექტის გარდა ნაშრომში საჭიროებისამებრ მოხმობილი იქნებოდა ჩოლურული მეტყველებისა და ლახამულური კილოკავის მონაცემებიც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბევრ საინტერესო ვითარებას ავლენენ, მათი უგულებელყოფა და გვერდის აქცევა შეუძლებელია.

საინტერესოა, რა ვითარებაა ლახამულურში უსულო საგნების, ნივთების მდებარეობის აღნიშვნისას როგორც „ჰორიზონტალურ", ისე „ვერტიკალურ სიბრტყეზე"?

შდრ. ერთი მხრივ, ლხმ. **ლახანკა/ტა̈შდ/გარჳ ზი** „ლახანკა, ტაშტი, გეჯა დევს" და, მეორე მხრივ, **სტამან/ჭიქ/ჳაზა ლგგ** (ლხმ.) „დოქი, ჭიქა, ვაზა დგას". ამ ორ ილუსტრაციას შორის, როგორც ვხედავთ, სხვაობა აშკარაა. შეიძლება დაისვას კითხვა, რამ განაპირობა ეს სხვაობა? როგორც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა რ. ჭკადუამ მიგვითითა, ლახამულურში ბრტყელი ფორმის ჭურჭელს ძირითადად მიემართება პრედიკატი **ზი** „დევს („ძ-ევ-ს"), დანარჩენ ჭურჭელს კი **ლგგ** „დგას". ვფიქრობთ, დაახლოებით ასეთი ვითარებაა ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებშიც, რაც უნივერსალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლახამულური კილოკავი რაღაც დონეზე თითქოს განარჩევს, ერთი მხრივ, **ლგგ** „დგას" და **ზი** „ძევს" პრედიკატების სივრცულ ლოკალიზაციას და, მეორე მხრივ, **მიზ** „მაქვს („მ-ი-ძ-ევ-ს")" და **მუღჳა** „მაქვს" პრედიკატებისას, რასაც შემდეგი საილუსტრაციო მასალაც ადასტურებს: **მი მასა̈რდ კაბა̈რ მიზ** „მე ბევრი კაბები მაქვს („მიდევს")", მაგრამ **ქჳერწილთე ლაზ კაბ დემეგ მუღჳა**

„ქორწილში წასასვლელი კაბა არ მაქვს" (შდრ. ლნტ., **კაბäრ ხჩääæ მუდჩა**[1] „კაბები ბევრი მაქვს"), რასაც ვერ ვიტყვით ბალსქვემოური დიალექტის სხვა კილოკავებზე, სადაც **მუდჩა** „მაქვს" ფორმა მიემართება მხოლოდ იმას, რაც ხელში გიჭირავს (მაგ.: **ლäæრ მუდჩა** „წიგნი მაქვს", **ჩარჩხილ მუდჩა** „ფული მაქვს" და სხვ.) და არა იმას, რაც შენგან მოშორებით დევს, რასაც ხელს ვერ კიდებ საუბრის მომენტში, ანუ რაზეც ხელი არ მიგიწვდება[2].

ლგვ „დგას" ზმნის რამდენიმე მნიშვნელობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება **ზი||ზგ** „დევს („ძ-ევ-ს")" ზმნას, მას, ქართულის მსგავსად, *მოთავსებულია, მდებარეობს* მნიშვნელობა აქვს და, უპირველეს ყოვლისა, მიემართება ამა თუ იმ უსულო საგნის, ნივთის მდებარეობას, თუმცა მისი სემანტიკური შესაძლებლობანი სვანურში, კერძოდ, ბალსქვემოურ დიალექტში, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი მეტაფორული გადააზრიანებით *მიწის მდებარეობასაც* გამოხატავს:

> **ჰეცერ ზი ენგურიშ ლერსგჩან ფოყხენ, ბეჩჩäæშ ი ფäრიშ უშხჩäრნენსგა** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 121:3) „ეცერი მდებარეობს („ძ-ევ-ს") ენგურის მარჯვენა მხარეს, ბეჩოსა და ფარის შუაში"
> **ჩსგჩირ ზი ჰუმფრერიშ თხუმ ი ჰეცერხენ ეშხუ ლადღიშ ლეზნე ხოზი** (სვან. პროზ. ტექსტ., II, 121:22) „უსგვირი მდებარეობს ხუმფრერის თავში და ეცერიდან ერთი დღის სავალზეა („ერთი დღ-ის სავალი უ-ძ-ევ-ს")"
> **უთჩრიშ ჰარჯ ჩჩäფშხენ..., აშხჩ გორäგჟი, ნენსგა ნენჩäæსგა ზი მასäრდ ჯჩედი ი მაშრი შჩიშელ ნაკ** (იქვე 247:3) „უთვირის ყელის ქვემოთ, ერთ ზეგანზე, ხშირი ტყის მასივის შუაში მდებარეობს („ძ-ევ-ს") საკმაოდ გრძელი და ფართო მოშიშვლებული ვაკე ადგილი"
> **ნიშგეშმგყ ხოჩა გიმäრ ზგხ** (ბქ.) „ჩვენთან კარგი მიწებია („ჩვენთან კარგი მიწები ძევს")", შდრ. **ჩოლ. გიმარ არი** „მიწებია" და, ასევე, ლნტ. **გუშგჩეშმოყ გიმäრ ხჩäæ äრი** „ჩვენთან ბევრი მიწებია" და სხვ.

მაგრამ თუ მიწა ზმნაში წარმოდგენილი მფლობელი პირის კუთვნილებაა, ამ შემთხვევაში ზემოსვანურშიც და ქვემოსვანურშიც **მუდჩა** „მაქვს" ზმნა გამოიყენება. მაგ.: **გიმ მასäრდ მუდჩა** (ბქ.), **ხჩäæ გიმäრ მუდჩა** (ლნტ.) „ბევრი მიწა მაქვს". ვფიქრობთ, ბალსქვემოურ დიალექტში მიწის მდებარეობის გადმოსაცემად გამოყენებული **ზი||ზგ** „ძევს" ზმნას „მყოფობის" სემანტიკა აქვს, რასაც სვანურის სხვა დიალექტური მონაცემებიც უჭერს მხარს.

გარდა ამისა, **ზი||ზგ** „ძევს" ზმნის მარკირებული **ხäზ** „ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს")" *მიწის, სოფლის* და ა. შ. მდებარეობას, სივრცულ ლოკაციას გამოხატავს ზემოსვანურ დიალექტებში[3].:

> **ჰეცერ'ს'** ... **მგულაწäდხენ ხäზ ბეჩჩი, მგულაჰჩäრხენ — ფäრ. ჟიქამშხენჩჩ ხäზ გოგიშიშ ყჩიმბ მერმა ფოყხენ — ჯჩäრილდ** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 121:3) „ეცერს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს") ბეჩო, დასავლეთიდან — ფარი. ზემოთა მხრიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს") გოგიშის ყვიმბი (მთაა), მეორე მხრიდან — ჯვარილდი (ესეც მთაა)"
> **ჟიბშხენჩჩ ჯაკჩათäრ ნäზხ** (ბქ.) „ზემოთა მხრიდან ჯაკვათისანი გვესაზღვრებიან"
> **ლეზგარას ჟიქამშხენჩჩ ხოშაჩსახჩიშ გორäგ ხäზ** (ბქ.) „ლეზგარას ზემოთა მხრიდან ესაზღვრება („ა-ძ-ევ-ს") უზარმაზარი მთა („გორაკი")" და ა. შ.

გადატანითი მნიშვნელობითვე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის, ან ცხოველის მდგომარეობა უსულო საგნის მდგომარეობასთან ასოცირდება (მაგ.: **ბეშშა ხოშ'ესნäრ ჩუ ლგკäფ ზი ი** ისემწäლ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 21:17) „ბეშისანის უხუცესი თურმე დავარდნილია („წაქცეული ძ-ევ-ს") და შველას ითხოვს"; ეჩქას ლäæბინეხ ლიზი მინე ბაბა რომ ბაპთე, სგ'äჩäდხ ყორთესგა ი ლახტჩილხ: „**ბაბა, მინე მუ ლგდგäრ ესერ ზი...**" (სვან. პროზ. ტექსტ., I, 407:14) — მაშინ წავიდნენ („დაიწყეს სვლა") თავიანთ ბაბუასთან, რომ მღვდელთან, მივიდნენ („შევიდნენ") კარებთან და დაუძახეს: „ბაბუა, მამაჩვენი

[1] დაწვრილებითი მსჯელობა აღნიშნული პრედიკატის შესახებ იხ. ქვემოთ.

[2] ბალსქვემოურისებური ვითარება ვლინდება აღნიშნულ პრედიკატთან დაკავშირებით ბალსზემოურ დიალექტშიც.

[3] ქვემოსვანურ დიალექტებში **ხäზ** ფორმის ადგილს იკავებს **ხაიღჩრა** „ესაზღვრება" ფორმა.

მკვდარი გდიაო („ძ-ე-ვს“)“; **ამეჩუ ლგდგა̈რ ზგ** (ბქ.) „აქ მიცვალებული დევს“, **ჰამუნდუ̄ე-ნებოზდ ლაყუ̄რალეჟა ზგ** (ბქ.) „დილიდან-საღამომდე ლოგინზე გდია („ძევს“)“ და ა. შ.), თუმცა თუ გავითვალისწინებთ ძველი ქართულის ვითარებას, შესაძლოა, მეტაფორიზაცია გამოვრიცხოთ და ჩავთვალოთ, რომ ცოცხალი საგნის მდებარეობასაც მიემართება, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

განსახილველი ზმნის ფუძეა გამოყენებული შემდეგ ფორმებშიც: (ბზ.) **ხა̈̄ზ**, (ბქ., ლნტ.) **ხა̈ზ**, (ლშხ., ჩოლ.) **ხა̄ზ** „აცვია (ფეხსაცმელი, წინდა...)“:

> **წი̄პარა̄ლ ხგა მა̈̄ზ**, ალე დემ ემორჩილება უკუ̄ე წი̄პარელს, ალე კოჯა̈რს (ბზ., ეკლინგის მასალები) „წრიაპები მაცვია, ეს არ ემორჩილება უკვე წრიაპებს, ამ კლდეებს უკვე“
> **ნასკა̈რ მა̈̄ზდა**, მახე ნაჩომ ამი̄შ, ა, ბერა̈ლ, ეჯჲა̈რ გაჩუ̄შ ჩუ ლეპკუ̄რე მა̄დ, ქა ლეკდღ̄რე (ბზ., ეკლინგის მასალები) „წინდები მეცვა, ახალი მოქსოვილი ამისი, აი, წინდები, ისინი დანით გასაჭრელი გამიხდა, გასახდელი“
> სალდათა̈რს **ჩექმა̈̄ლ ხა̈̄ზდახ** (ბზ.) „ჯარისკაცებს ჩექმები ეცვათ“
> ბეფშუ̄ს **ჩაფგლ დემეგ ხა̈სდა** (ბქ.) „ბავშვს ფეხსაცმელი არ ეცვა“
> ნალღუ̄ურს **სახუ̄შირ ხგა ხა̈ზ** (ბქ.) „ბიჭს შარვალი აცვია“
> მიშგუ̄ითა̄ნ **ფ̈ალინკა̄ლ და̄რს ხა̄ზდა** (ჩოლ.) „ჩემისთანა ვალინკები არავის ეცვა“
> მახე **შარუ̄ალ ხა̄ზ** (ლშხ.) „აცვია“
> მახე **ჩაფლარ მა̄ზდა** (ლშხ.) „ახალი ფეხსაცმელი მეცვა“
> ჯუ̄ინელ **ჩაფლა̈რ ხაზდა** (ლნტ.) „ძველი ფეხსაცმელი ეცვა“
> **ლგგლღ̄რე ნაჩფულუარ ხა̄ზ** (ჩოლ.) „დახეული ფეხსაცმელები ეცვა“ და სხვ.

როგორც საილუსტრაციო მასალამ აჩვენა, სვანურში ამ მხრივაც განსაკუთრებული ვითარებაა. ის, რაც ქართულში *აცვია* პრედიკატით გადმოიცემა, სვანურში **ხა̈ზ** „აძევს“ ფორმით გამოიხატება.

ზი||ზგ „დევს“ და მისი მარკირებული ფორმების გამოყენება **ლგგ** „დგას“ / **ხაგ** „ადგას“ ფორმებთან შედარებით საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა იდიომატურ გამოთქმებში იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება. მაგ.: **ჰარა̈კდ ზი||ზგ** (ბქ.) „ნათქვამია (ზედმიწ. — **არაკ**-ად დევს)“, **სა̈ყუ̄დირდ ხა̈ზ** (ბქ., ლნტ.) „გალანძღულია (ზედმიწ. — **საყვედურ**-ად ადევს)“, **ლეშგურდ ხა̄ზხ** (ლაშხ.) „სასირცხვილოდ ადევთ“, **ქუ̄ეყნიშ ჯა̈ლდ ზგ** (ბქ.) „ქვეყნის სათრევია (ზედმიწ. — **ქვეყნ**-ის მძორად დევს)“, **ლაჯღაუ̄დ ზგ** (ბქ.) „ქვეყნის დასაცინია (ზედმიწ. — სა-**ჯღანავ**-ად დევს)“ და ა. შ. შდრ. ჩოლ. **ნა̄ქუ̄ ლი** „ნათქვამია“, ლნტ. **არა̈კდ ლი ალე ნა̈ქუ̄ისკ** „ნათქვამია ეს („არაკად არის ეს ნათქვამი“)“ და მისთ. როგორც მასალის ანალიზიდან ირკვევა, **ზგ||ზი** „დევს“ პრედიკატს აქაც უგულებელყოფენ ქვემოსვანური დიალექტები. ვფიქრობთ, ქვემოსვანურის ვითარება მეორეულია და მას არქაულ მოვლენად ვერ ჩავთვლით.

საინტერესოდ გვესახება, ასევე, **ხო̄ზი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოზი** (ბქ., ლნტ.) „უძევს (მანძილი, დრო)“ ფორმის აქ შემოტანა, თუმცა ამჯერად მისი განხილვისაგან თავს შევიკავებთ, ვინაიდან ჩვენ მიერ განსახილველ საკითხს საგრძნობლად სცილდება; მასზე მსჯელობას სამომავლოდ ვვარაუდობთ.

საინტერესოა, რა სხვაობას იძლევა სვანური უსულო *საგნების* / *ობიექტების* აღნიშვნისას ქართულთან შედარებით?

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, როდესაც ჭურჭელზეა საუბარი, ამ შემთხვევაში ქართულში ყურადღება ექცევა საგნის ფორმას (მაგ., *დოქი დგას*, მაგრამ *თეფში დევს*), თუმცა იმ შემთხვევებზეც მიუთითებენ, როდესაც „ვერტიკალურად ორიენტირებული“ საგნებისათვის *დევს* ზმნაც გამოიყენება (*ჭიქა დგას*, მაგრამ *ჭიქა დევს*) (ნ. ლოლაძე). სვანურშიც, ბუნებრივია, პრედიკატის შერჩევისას ყურადღება ექცევა საგნის ფორმას და დიფერენცირება ხდება შემდეგი წესის მიხედვით: საგანი, რომელიც ოდნავ მაინც ვერტიკალურ მდგომარეობაშია, მნიშვნელობა არა აქვს *დოქია*, *ჭიქა*, *ბოთლი*, *ქვაბი* თუ *თეფში*, მას აუცილებლად ბალსქვემოურ დიალექტში **ლგგ** „დგას“[1] პრედიკატი

---

[1] თუ *ჭიქა*, *ბოთლი* ან *კასრი*... არ დგას, არამედ ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, ამ შემთხვევაში მათ მდებარეობას სვანურში მიემართება პრედიკატი **ხაკრანკა** „აგორია“ და არა **ზგ** „დევს“ ან **ლგგ** „დგას“.

მიემართება, ხოლო *სინს*, რომელიც „ჰორიზონტალურადაა ორიენტირებული“, მიემართება პრედიკატი **ზგ** „დევს“ (შდრ., ასევე, **ლა̈ჲრ ზგ** „წიგნი დევს“, **ქარღჳთ ზგ** „ქაღალდი დევს“ და ა. შ.).

ქართულში ასევე გახაზავენ *დგას* და *დევს* ზმნათა მონაცვლეობის ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა: *ტელევიზორი ოთახში დგას*, მაგრამ *ტელევიზორი ჯერ კიდევ ყუთში დევს*; ველოსიპედი აივანზე დგას, მაგრამ ველოსიპედი სარდაფში დევს (ნ. ლოლაძე). შესადარებლად მოვიხმობთ ბალსქვემოური დიალექტის მონაცემებს:

ტელეჳიზორ ჯიგხმა? (ბქ.) „ტელევიზორი გაქვთ („გიდგათ?“)?“, მაგრამ **ტელეჳიზორ იმეგ ლგგ?** (ბქ.) „ტელევიზორი სად დგას?“, **ტელეჳიზორ ოთა̈ხისგა ლგგ** „ტელევიზორი ოთახში დგას“, **ტელეჳიზორ ყუთისგა ლგგ** (ბქ.) „ტელევიზორი ყუთში დგას“, ამ შემთხვევაში, ქართულისგან განსხვავებით, სვანურში **ლგგ** „დგას“ და **ზგ** „დევს“ ზმნები არ მონაცვლეობენ. უფრო მეტიც, ლენტეხურში ამ შემთხვევაში საერთოდ არ დომინირებს აღნიშნული ზმნები, მაგ., **ტელეჳიზორ მუღჳა ა̈გის** „ტელევიზორი მაქვს სახლში“, **ტელეჳიზორ მიჩა ყუთისა ა̈რი** „ტელევიზორი თავის ყუთშია“ და სხვ. როგორც ვხედავთ, **ლგგ** „დგას“ და **ზგ** „დევს“ ზმნებს ლენტეხურ დიალექტში ჩაენაცვლა ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნები.

ამგვარ შემთხვევებში პრედიკატთა განაწილების საფუძვლად რუსულში (რახილინა 1998:72), ობიექტის ფუნქციონალურობა მიიჩნევა, კერძოდ, „დგომისთვის“ (**ლიგნე**) მნიშვნელოვანია სივრცეში საგნის ისეთი ორიენტაცია, რომელიც შეესაბამება მის ფუნქციას, ხოლო „დებისთვის“ (**ლიდისგ**) მთავარია არა ის, ჰორიზონტალურად მდებარეობს საგანი თუ არა, არამედ ის, რომ საგნის მდებარეობა არ შეესაბამება მის ფუნქციას. სინქრონიულ დონეზე ამ ზმნათა სემანტიკაში ლოკატიურობა იმდენად არ დომინირებს, რამდენადაც ფუნქციონალურობა. როგორც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, „ერთი შეხედვით, თითქოს ქართულისთვისაც შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებად ჩაითვალოს პრედიკატთა განაწილების ამგვარი მოტივაცია, მაგრამ ქართულში, რუსულისაგან განსხვავებით, ამ ზმნების (*დგას* და *დევს*) ძირითადი ფუნქცია სივრცული მიმართებების აღნიშვნაა“ (ლოლაძე 2013), ამიტომ ლოკატიურ ზმნათა განაწილება ქართულში, რუსულთან შედარებით, ბევრად უფრო თანმიმდევრულად და სისტემურად მიაჩნიათ.

ვფიქრობთ, ამ ზმნათა (**ლგგ** „დგას“ და **ზი||ზგ** „დევს“) განაწილების მხრივ სვანურიც თავისებურებას ავლენს და ქართულს ხშირ შემთხვევაში არ მისდევს, ამასთანავე არც იმას გამოვრიცხავთ, რომ სვანური ზედმიწევნით ზუსტად ასახავს ამა თუ იმ საგნის მდებარეობას (ის, რაც ფეხზე დგას და წაქცეული არ არის, სწორედ **ლგგ** „დგას“ პრედიკატით გამოიხატება (მაგ., შდრ., ერთი მხრივ, **ლგგ ჰიქ** „დგას ჰიქა“, **ლგგ სა̈ჲნ** „დგას თეფში“, **ლგგ ბუყჳინ** „დგას კასრი“ და, მეორე მხრივ, **ზგ ლა̈ჲრ** „დევს წიგნი“, **ზგ ყუჳეშ** „დევს კოვზი“, **ზგ ქარღჳთ** „დევს ქაღალდი“ და ა. შ.), ანუ ობიექტის ფორმა განაპირობებს აღნიშნულ ზმნათა სივრცულ მიმართებას და არა ფუნქცია. რა თქმა უნდა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა გამოგვაქვს ძირითადად ბალსქვემოური დიალექტის მონაცემებზე დაყრდნობით, ვინაიდან **ლგგ** „დგას“ და **ზი||ზგ** „დევს“, აგრეთვე ამ ზმნათა მაქცევრიანი (ე. წ. მარკირებული) ფორმების ხმარებას სივრცული მიმართებების აღსანიშნავად ბალსქვემოურში სისტემის სახე აქვს. ზემოთ საუბარი გვქონდა იმაზეც, რომ ქვემოსვანურსა და ბალსზემოურში, როგორც წესი, მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები ენაცვლებიან (შდრ.: **სა̈ჲნ სტოლჟი ლგგ** (ბზ.) „თეფში მაგიდაზე დგას“, მაგრამ **სა̈ჲნ სტოლჟი ა̈რი** „თეფში მაგიდაზე დევს („არის“)“, **სა̈ჲნ ა̈რი შკაფისგა** (ბზ.) „თეფში არის კარადაში“; **ჳოშა კასრულ ჯირი?** (ბზ.) „რამდენი ქვაბი გაქვს?“, თუმცა იშვიათად შეიძლება ითქვას — **ჳოშა კასრულ ჯიგ?** „რამდენი ქვაბი გაქვს („გ-ი-დგ-ა-ს?“)?“;

ჳედრაჲსგა ნიც მი̄გ (ბზ.) „სათლში წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“, მაგრამ **ჳედრაჲსგა ნიც მირი** (ბზ.) „სათლში წყალი მაქვს („მივის“)“; **გაჩ იმე ჯირი?** (ბზ., ლენჯ.) „დანა სად გიდევს („გივის?“)?“, მაგრამ იშვიათად **გაჩ იმე ჯიზ?** „დანა სად გიდევს?“; **გაჩ იმე ჯუღჳა?** (ჩოლ.) „დანა სად გიდევს („გაქვს?“)?“; **მახჳაჲ კჳილ ჯუღჳა** (ლშხ., ჩოლ.) „რამდენი სკამი გაქვს?“, შდრ. ბქ. **ჳოშა კჳილ ჯიზ?**

„რამდენი კუნძი გაქვს („გიდევს?")?"; **სტოლჟი ჰიქ ლზ̆გ** (ლშხ) „მაგიდაზე ჰიქა დგას", მაგრამ **სტოლჟი ჰიქ არი** „მაგიდაზე ჰიქა დგას („არის")"; **მაციჷარჟი სტამა̈ნ ლზ̆ზ** (ლშხ) „მაცივარზე დოქი დგას („ძ-ევ-ს")", მაგრამ **მაციჷარჟი სტამა̈ნ ლზ̆გ** „მაცივარზე დოქი დგას", ან **მაციჷარჟი სტამა̈ნ არი** „მაცივარზე დოქი დგას („არის")"; **სტოლჟი საინ არი** (ჩოლ.) „მაგიდაზე თეფში დევს („არის")"; **კასრულისა ლიც მუღჷა** (ჩოლ.) „ქვაბში წყალი მიდგას („მაქვს")", ან **კასრულისა ლიც მიგჷშა** (ჩოლ.) „კასრულში წყალი მაქვს („მისხია")" და მრავ. სხვ.), რაც სისტემის თანდათან მოშლაზე მიანიშნებს.

როგორც საკმაოდ ვრცელი მასალის ანალიზმა აჩვენა, სვანურში კუთვნილების გამოსახატავად რამდენიმე ზმნური ფორმა გამოიყენება: **მაგ/ჯაგ/ხაგ** „მადგას/გადგას/ადგას", **მიგ/ჯიგ/ხოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას", **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს", **მარ/ჯარ/ხარ** „მაქვს/გაქვს/აქვს". საინტერესოა მათი განაწილება სივრცული მიმართებების ასახვის თვალსაზრისით სვანური ენის დიალექტების მიხედვით:

მაგ/ჯაგ/ხაგ „მადგას/გადგას/ადგას", ძველი ქართულის მსგავსად, მაშინ გამოიყენება, როცა მორფოლოგიური სუბიექტი ადამიანის, ცხოველის, ან ფრინველის სხეულის რაიმე ნაწილს შეადგენს (მაგ.: **ფაყჷ მაგ/ჯაგ/ხაგ** „ქუდი მახურავს/გახურავს/ახურავს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს")", ცილინდრ **მა̈გ/ჯა̈გ/ხა̈გ თხჷიმჟი** (ლშხ.) „ცილინდრი /გახურავს/ახურავს(„მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს") თავზე", **მუჭჷა̈რ მაგ/ჯაგ/ხაგ** „რქა მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს")", **ჩა̈ჟს ფაფრა̈ნჯ ხაგ** „ცხენს ფაფარი აქვს („ა-დგ-ა-ს")", **ფა̈თჷ მაგ/ჯაგ/ხაგ** „თმა მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს")", **ნექჭა̈რ მაგ/ჯაგ/ხაგ** „წარბები მაქვს/გაქვს/აქვს („მ-ა-დგ-ა-ს/გ-ა-დგ-ა-ს/ა-დგ-ა-ს")", **ქათაჷს პინტყელ ხაგ** (ბქ., სვან. ქრესტ., 205:31) „ქათამს ბურტყლი აქვს („ა-დგ-ა-ს")" და ა. შ.[1], თუმცა **ხაგ** „ადგას" პრედიკატის სემანტიკური შესაძლებლობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. იგი ასევე მიემართება რა ჯგუფის სახელებსაც:

> მინე ყორჟი ბა̈ჩ ხაგ, ეჩეჟი ჩუ სგურ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 147:18) „თავიანთ კარზე ქვა დევს („ა-დგ-ა-ს"), იმაზე ზის"
>
> აშხჷ ლადეღ ანჴა̈დ ქორთე ი მინე ქორს ბეჭედ ხაგ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, 170:8) „ერთ დღეს მოვიდა სახლში და თავიანთ სახლს ბეჭედი აზის („ა-დგ-ა-ს")"
>
> ესრენიშ ალ დენას ეშხუ ლუსჟი დოშტულ ხაგ ი მერბა ლუსჟი — მიჟ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 191:30) „თურმე ამ გოგოს ერთ ძუძუზე მთვარე ახატია („ა-დგ-ა-ს") და მეორე ძუძუზე — მზე"
>
> ლიც ხაგ ჩის (ლნტ., ეკლინგის მასალები) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი ა-დგ-ა-ს ყველაფერს")", შდრ. ბქ., ლიც ხასგურ ჩიგჷაშ „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს")", ლიც ხასგურ ჩა̈ს (ჩოლ.) „ყველაფერი წყლითაა დაფარული („წყალი აზის ყველაფერს")"...
>
> მჷჟ ხა̈გ ალეს (ჩოლ.) „მზე ადგას ამას" და სხვ.

მიგ/ჯიგ/ხოგ „მიდგას/გიდგას/უდგას" ძირითადად ნივთის/საგნის მქონებლობას, კუთვნილებას გამოხატავს (მაგ.: **ქორ მიგ/ჯიგ/ხოგ** „სახლი მიდგას/გიდგას/უდგას", **ხილ მიგ/ჯიგ/ხოგ** „ხილი მიდგას/გიდგას/უდგას", **სა̈ჲნ მიგ/ჯიგ/ხოგ** „თეფში მიდგას/გიდგას/უდგას", **ტაბა̈გ მიგ/ჯიგ/ხოგ** „მაგიდა მიდგას/გიდგას/უდგას"||სუფრა გაქვს გაშლილი", **ყჷავილა̈რ მიგ/ჯიგ/ხოგ** „ყვავილები გაქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს")", **სგიმ მიგ/ჯიგ/ხოგ** „მჟავე წყალი აქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს")", **ღჷინა̈ლ მიგ/ჯიგ/ხოგ** „ღვინო აქვს („მ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს/გ-ი-დგ-ა-ს ")" და მისთ.

> შენიშვნა: ბალსქვემოურში **მიგ/ჯიგ/ხოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას" ზმნური ფორმები გამოიყენება, ასევე, *ღილის, სამკაულის* და ა. შ. სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავადაც: **ფოლექ მიგ** „ღილი მაქვს (ანუ მ-ი-დგ-ა-ს, დაკერებული მაქვს")", **ბროშკა მიგ** „ბროშკა მიკეთია („მ-ი-დგ-ა-ს")", **ქინძისთაჷ მიგ** „ქინძისთავი მიკეთია" (შდრ. ჩოლ. **ფოლაქ მარ** (ჩოლ.) „ღილი მაქვს"), ბალსქვემოურშივე **მიგ** „მიდგას" ფორმის პარალელურად ღილის სივრცული ლოკაციის გამოსახატავად **მილჯა** „მაქვს („მარგია")" პრედიკატიც გამოიყენება (მაგ., **ფოლექ მილჯა პა̈ლტოჟი** „ღილი მაქვს დამაგრებული („მირგია, მიმაგრია") პალტოზე"), თუმცა უფრო

[1] დაწვრილებითი მიმოხილვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ!

გავრცელებულია **მიგ/ჯიგ/ხოგ** „მიდგას/გიდგას/უდგას“ და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან სვანურში ღილების შეკვრა ლიგემ „დგმა“ ზმნით გამოიხატება, ე. ი. იგულისხმება ღილების შეკვრა (ზედმიწ. *დადგმა*).

რაც შეეხება **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ ფორმათა გამოყენებას, აქ შედარებით არამწყობრი სურათი იხატება დიალექტების მიხედვით:

ბალსზემოურში იგი სულიერის ყოლას და უსულო საგნის მქონებლობას აღნიშნავს. ანუ ერთნაირად მიემართება როგორც ვინ ჯგუფის (მაგ.: სგა̈ჲ მა̄რჷლ, მა̈ჲ ჯინდე̄ლხ, ეჯა მაყერდ: **ხეხჳ მირი**, ეჯა ნჷსა ა̈მდაგრად! (სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 157:26) „თქვე კაცებო, რაც გინდათ, ის მიქენით: ცოლი მყავს, ის არ მომიკლათ!“, დიდა̈ბჷ ხა̄რ ღე̄რბათ, იმჳა̈ჲ ალმასხანს ჰყინტგეზალ **ჩჷ ხორი!** ალმასხანს ნიშგჳეჲცახა̈ნ დე̄სა ხორქჳა, ერე ჰყინტგეზალ **ჩჷ მირი** (იქვე, 227:14) „დიდება უფალს, რომ ალმასხანს ვაჟიშვილი ჰყავს („**დიდ**-ებ-ა-მცა აქვს **ღმერთ**-ს, სადაც **ალმასხან**-ს ვაჟიშვილი ქე უ-ვ-ი-ს!“)! ალმასხანს ჩვენთან არ უთქვამს, რომ ვაჟიშვილი მყავს („ქე მივის“)“, ეშხუ გაბრა̈ხ ჩა̈ჟ მირი „ერთი ჯაგლაგი ცხენი მყავს“ და სხვ.), ისე რა ჯგუფის სახელებსაც (მაგ., **ყანწა̈რ** მი დე̄ს **მირი** ქორს (ეკლინგის მასალები) „ყანწები მე არ მაქვს („მივის“) სახლში“, **გაჩ იმე ჯირი?** (ბზ.) „დანა სად გიდევს („გივის?“)?“...).

ბალსქვემოურში კი **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ მხოლოდ სულიერს მიემართება (მაგ., **ეშხუ გეზალ გარ მირი** (ბქ.) „მხოლოდ ერთი შვილი მყავს“; **მიშგჳ მეზჳბელს ჲერჳეშდ ქჳინიმგენე ხორი** (ბქ.) „ჩემ მეზობელს ოცი სული საქონელი ჰყავს („სულდგმული უვის“)“ და ა. შ.).

ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებული ვითარებაა ქვემოსვანურ დიალექტებში, კერძოდ, ჩოლურულში, სადაც აღნიშნული ზმნა რელიქტის სახით არის შემორჩენილი. **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა რომელიმე მწერის (*ტილის, რწყილის, ტკიპას*...) ყოლაზეა საუბარი. მაგ.: **ტიშარ მირი** „ტილები მყავს („მახვევია“)“, **ზგსყარ მირი** მყავს („მახვევია“)“, **გგჯლარ მირი** „ტკიპები მყავს („მახვევია“)“, მაგრამ გამორიცხულია — **კასრულ მირი** „ქვაბი მაქვს“, **საინ მირი** „თეფში მაქვს“ ან **ბოფშარ მირი** „ბავშვები მყავს“, **გეზლირ მირი** „შვილები მყავს“ და მისთ. გაუგებარია რა პრინციპით ანსხვავებენ სულიერს (?), თუმცა ერთი რამ ფაქტია, უძველესი ფორმაციის ზმნის მნიშვნელობა ქვემოსვანურ დიალექტებში თანდათან ვიწროვდება, ბალსქვემოური ნაწილობრივ ინარჩუნებს არქაულობას, ბალსზემოურში კი, როგორც უკვე ითქვა, ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. ვფიქრობთ, ბალსზემოურის ვითარება მეორეულია.

რაც შეეხება **მაგ** „მადგას“ და **მიგ** „მიდგას“ ფორმებს, ისინი მხოლოდ უსულო საგნის კუთვნილებას გამოხატავენ (მაგ.: **ფაყჳ მა̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ქუდი მახურავს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ფაყჳ მაგ**[1] (ბქ.) „ქუდი მახურავს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ყაბჳ მა̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)„წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ყაბ მაგ** (ბქ., ლნტ.) „წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“, **ჳეფ მა̄გ** (ბზ., ჩოლ.) „ოფლი მადგას“, **ჳეფ მაგ** (ბქ.) „ოფლი მადგას“, **ჳოფ მა̄გ** (ლშხ.) „ოფლი მადგას“, **ჩაჩ მა̄გ** (ჩოლ.) „წვერი მაქვს („მ-ა-დგ-ა-ს“)“...; **ქორ მიგ** (ზს., ქს.) „სახლი მიდგას“, **მჳრყჳამ მიგ** (ლშხ.) „კოშკი მიდგას“, **სგიმ მიგ** (ბქ.) (ბქ.) „მჟაველწყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“ და ა. შ.), თუმცა ნიუანსური სხვაობა დიალექტების მიხედვით აქაც იჩენს თავს, რაც ძირითადად ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნებით ჩანაცვლებაში გამოიხატება. შდრ., ერთი მხრივ, ბალსქვემოური **სგიმ / ლიც მიგ** (ბქ.) (ბქ.) „მჟაველწყალი / წყალი მაქვს („მ-ი-დგ-ა-ს“)“, და, მეორე მხრივ, ქვემოსვანური **სგიმ||სკიმ / ლიც მუღჳა** „მჟაველწყალი / წყალი მაქვს (მიდგას მნიშვნელობით)“. ბალსზემოურში **მიგ** „მიდგას“ და **მუღჳა** „მაქვს“ პრედიკატების ადგილს, როგორც ყოველთვის, **მირი** „მაქვს (მ-ი-ვ-ი-ს“)“ იკავებს.

შენიშვნა: ლენტეხელი თავზე ქუდის სივრცულ ლოკაციას **მაგ** „მადგას“ პრედიკატით გადმოსცემს (მაგ., **ფაყჳ მაგ** „ქუდი მახურავს („ა-დგ-ა-ს“)“), მაგრამ თუ ქუდის მქონებლობაზეა საუბარი, ამ

[1] მაგრამ **ნეფყჳ მაჰონა** „თავსაფარი მახურავს („მახვევია“)“.

შემთხვევაში, ბალსქვემოური დიალექტისაგან განსხვავებით, კვლავ **მუდუა** „მაქვს“ ზმნას მიმართავს (მაგ., **ფაყუ ჯუდუამა?** „ქუდი გაქვს?“)?“. ბალსქვემოურში კი ქუდის (და არა მხოლოდ ქუდის) მქონებლობის გამოსახატავად, ქუდის მდგომარეობისდა მიხედვით, სხვადასხვა პრედიკატები გამოიყენება: **მუდუა** „მაქვს“ და **მიზ** „მიდევს („მ-ი-ძ-ევ-ს“)“, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება, კერძოდ, თუ ქუდის ხელში მქონებლობაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში **მუდუა** „მაქვს“ ზმნა იხმარება, მაგრამ თუ ქუდი (და საერთოდ ნებისმიერი ნივთი) ადამიანს ხელში არ უჭირავს (ანუ ხელშეხება არა აქვს მასთან), ამ შემთხვევაში **მიზ** „მიდევს („მ-ი-ძ-ევ-ს“)“ პრედიკატს იყენებს.

ძველი ქართულის მსგავსად, სვანურშიც **მაგ / მიგ / მიზ** ზმნები ნივთის მქონებლობას აღნიშნავენ, ამათგან **მაგ** „მადგას“ სხეულის ნაწილებთან გამოიყენება, **მიგ** „მიდგას“ — „უძრავი ქონების“, საქონლის კუთვნილებას აღნიშნავს, თუმცა აქ იკვეთება ერთი მეტად საინტერესო ვითარება, კერძოდ, **მიგ** „მიდგას“ სიცოცხლის გამომხატველიცაა, მაგ., **ქუინ მიგ** „სული მიდგას“. ხოლო **მიზ** „მიდევს“ ზმნით გამოხატული, მსგავსად ძველი ქართულისა, კუთვნილების სახეობაა — „ჩემთან დევს, ჩემთან არის“, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იშვიათ შემთხვევაში მყოფობის სემანტიკასაც ითავსებს (მაგ., **ხოჩა გუი მიზ** „გახარებული ვარ („კარგი გულ-ი მ-ი-ძ-ევ-ს“)“ და ა. შ.).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ნაშრომში განხილულ თითქმის ყველა სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმას ქვემოსვანურ დიალექტებში *„მყოფობა-მქონებლობის“* გამომხატველი ზმნები — **მუდუა/ჯუდუა/ხუდუა** „მაქვს/გაქვს/აქვს“, **მაყა/ჯაყა/ხაყა** „მყავს/გყავს/ჰყავს“, **არი** „არის“ ენაცვლებიან. ბალსზემოურში კი აღნიშნულ ზმნებს **მირი/ჯირი/ხორი** „მყავს/გყავს/ჰყავს“ პრედიკატიც ემატება. ბალსქვემოურში სივრცული ლოკალიზაციის გამომხატველ ზმნებს შედარებით მყარი ადგილი უჭირავთ და უმრავლეს შემთხვევაში არ საჭიროებენ მათ ქონა-ყოლის ზმნებით ჩანაცვლებას.

მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნათა სივრცული განაწილება სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით




აჲჩრეIIყურ „წევს"
სულიერი
უსულო (გადატ.)


სგურ „წევს"
სულიერი
უსულო (გადატ.)
ვინ ჯგუფი
რა ჯგუფი


სგჩეჭი „ზის, ბრძანდება"
სულიერი
უსულო
ვინ ჯგუფი
რა ჯგუფი


ზი||ზგ „დევს („ძევს")
უსულო
სულიერი (გადატ.)
რა ჯგუფი


ხო̃ზ||ხოზ „უდევს („უ-ძ-ევ-ს“)
უსულო
სულიერი (გადატ.)
რა ჯგუფი


ხო̃გ||ხოგ „აქვს („უ-დგ-ა-ს“)
უსულო
სულიერი (გადატ.)
რა ჯგუფი


ხა̃გ||ხაგ „ხარობს, მცენობს,
დგას („ადგას“)“
სულიერი
უსულო
რა ჯგუფი

8. 5. ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაცია

• **ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვების სივრცული ლოკალიზაცია.** ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სიტყვები (resp. **სომატიზმები**) XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა. სომატური ლექსიკისადმი ინტერესი შემთხვევითი ნამდვილად არ არის, რადგან სომატური ლექსიკა ყოველი ენის ლექსიკური სისტემის უძველეს ფენას მიეკუთვნება. მათ ბაზაზე კი ხშირია ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის შემთხვევები. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც სვანური ენა წარმოადგენს, სადაც საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვანია სომატური იდიომები, თუმცა ამჯერად საკითხის კვლევას სულ სხვა მიმართულებით წარვმართავთ, კერძოდ, ამ ლექსიკური ერთეულების *მდებარეობის* (ანუ *სივრცული ლოკალიზაციის*) *თვალსაზრისით*.

როგორც ცნობილია, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ სახელებს ყოფენ გარეგანი (*თავი, ხელი, ფეხი, თითი, ყური* და ა. შ.) და შინაგანი ორგანოების (*გული, ღვიძლი, ელენთა, კუჭი, ნაწლავი* და სხვ.) სახელწოდებებად, რომელთა სივრცული ლოკალიზაცია მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში. ვინაიდან ქართველ მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სომატიზმების შემადგენლობაში მართებულია არა მარტო ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსემების შეყვანა, არამედ იმ სიტყვებისაც, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ადამიანის ორგანიზმთან (*ძვალი, კანი, სისხლი, ნერვი, კუნთი* და ა. შ.) (რუსაძე, ყიფიანი 2011:220), აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ აღნიშნული ლექსიკური ერთეულების სივრცული ლოკალიზაციის შესწავლა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, სწორედ ისინი აღნიშნავენ მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს ცოცხალი ორგანიზმი.

საინტერესოა როგორ ასახავს სვანური ენა სხეულის გარეგანი და შინაგანი ორგანოების სივრცულ ლოკალიზაციას?

ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანოების მდებარეობა სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ძირითადად ერთი საერთო, მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატით **ხარ||ხა̈რ** „აქვს" (მაგ., **გჷი ხა̈რ** (ბზ., ჩოლ.), **გჷი ხარ** (ბქ., ლნტ.), **გუ ხა̈რ** (ლშხ.) „გული აქვს"; **კჷიჳ ხა̈რ** (ბზ., ჩოლ.), **კჷიჳ ხარ** (ბქ., ლნტ.), **კუჳ ხა̈რ** (ლშხ.) „კუჭი აქვს"; **ყჷიჲე ხა̈რ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ყჷიჲე ხარ** (ბქ., ლნტ.) „ღვიძლი აქვს"; **ჯიჯჷ ხა̈რ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ჯიჯჷ ხარ** (ბქ., ლნტ.) „ძვალი აქვს" და ა. შ.) გამოიხატება, თუმცა ზოგიერთი შინაგანი ორგანოს (*გულის, ღვიძლის*...), *ნაწლავების* და, ასევე, მატერიალური სუბსტანციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ელემენტების (*ტვინისა* და *სისხლის*...) მდებარეობის სივრცული ლოკალიზაცია. დიალექტების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავებულია:

თჷელ ხო̄ზ (ბზ., ჩოლ.), **თჷელ ხოზ** (ბქ.) „ტვინი აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)", **ჰინჭლა̈რ ხო̄ზ** (ბზ.), **ჰინჭლა̈რ ხოზ** (ბქ.) „ნაწლავები აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)", **ბგრმანა̈წლაჷ ხოზ** (ბქ.) „ბრმანაწლავი აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)", **გჷი ხო̄ზ** (ჩოლ.) „გული აქვს („უ-ძ-ევ-ს")", **ზისხ ხო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ზისხ ხოგ** (ბქ., ლნტ.) „სისხლი აქვს (ზედმიწ. — უ-დგ-ა-ს)" და მისთ.

ლაშხურში *ტვინისა* (**თჷელ**) და *გულის* (**გუ**) სივრცული ლოკალიზაცია **ხო̄ზ** „უძევს" პრედიკატით არ გადმოიცემა. იგი ამ შემთხვევაშიც ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებს მიმართავს: **ტჷინ ხუჷა** (ლშხ.) „ტვინი აქვს", **გუ ხა̈რ / ხუჷა** (ლშხ.) „გული აქვს" და ა. შ.

მსგავსი ვითარებაა ლენტეხურშიც, სადაც ნებისმიერი შინაგანი ორგანოს სივრცული ლოკაცია მქონებლობის აღმნიშვნელი **ხუღჷა** „აქვს" პრედიკატით გადმოიცემა (მაგ., **გჷი ხუღჷა** „გული უდევს

(„აქვს“)“; **წიკანტა̈რ ხუდჳა** „ნაწლავები უდევს („აქვს“)“. იშვიათად მყოფობის აღმნიშვნელი **ხორი** „ჰყავს, აქვს“ ზმნური ფორმაც იხმარება (მაგ., **წიკანტა̈რ ხორი** „ნაწლავები აქვს („უ-ვ-ი-ს“)“ ...), რაც ლაშხურ-ჩოლურულისთვის მიუღებელია.

რაც შეეხება ადამიანის სხეულის გარეგანი ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას, ამ მხრივ სვანური ენის დიალექტ-კილოკავები მეტად საინტერესო და განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავებულია თვით სხეულის გარეგანი ნაწილების, მაგალითად, *სახის ნაწილის შემადგენელი ელემენტების, ხელისა* და *ფეხის კიდურების* და ა. შ. სივრცული ლოკალიზაცია.

სანამ მასალის ანალიზზე გადავიდოდეთ, მანამდე თვალსაჩინოებისათვის სრულად წარმოვადგენთ ერთ-ერთი ცნობილი სვანური უძველესი ხალხური ლექსის — **თამარ დედფა̈ლ** „თამარ დედოფალი“ ორ ვარიანტს, რომელთაგან პირველი, კერძოდ, ბალსზემოური ვარიანტი ჩაწერილია მ. ნიგურიანის მიერ სოფ. მულახში (მურშკელში) კასიანა გიგანისგან 1936 წელს, მეორე ვარიანტი, კერძოდ, ბალსქვემოური კი ჩავიწერეთ 1992 წელს სოფელ ცხუმარში 78 წლის აბაშხა გოშუანისგან. რაღა თქმა უნდა, აღნიშნული ლექსის ორივე ვარიანტი მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

ბალსზემოური ვარიანტი (სვან. პოეზ., I, თბ., 1939)

ო, ხიადულ, თამარ დედფა̈ლ,	ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ჩინ მარჩენე თამარ დედფა̈ლ!	ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
ფა̈თუ̈ა̈რ ჯაგა̈ნდა ყუ̈ა̈რყუ̈ლაი,	თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თერა̈ლ ჯისგურდა გიშრიშე,	თვალები გქონდა („გეჯდა“) გიშრისა,
შდგქა̈რ ჯადდა მარგლიტიშე;	კბილები გქონდა მარგალიტისა;
სგაშხან ჯაქუდა ატლასე,	შიგნით გეცვა ატლასი,
ქა̈შ̈ხან ჯაქუდა აბჯარე,	გარეთ გეცვა აბჯარი,
ქჷშხას ჯასდანდა, ო, ჩექმარე,	ფეხზე გეცვა, ო, ო, ჩექმები,
თხუმას ჯაგა̈ნდა ზურჩია;	თავზე გედგა ზუჩი;
ჩაჟილდ ჯეყად ქჳიშმიშ ფერიშ,	ცხენი გყავდა ქვიშისფერისა,
ჰჷნგრილ ჯიგანდა, ოდ, ლგჷშკა̈დი,	უნაგირი გედგა, ოი, მოჭედილი,
ჰა̈ლუ̈ირ ჯისდა̈ნდა ლუნცროუ̈ე,	აღვირი გედგა („გედო“) მოვერცხლილი,
მადრა̈ჰ ჯულუ̈ა̈ნდა ოქუ̈რა̈ში,	მათრახი გქონდა ოქროსი,
თამარ დედფა̈ლ, თადამარა̈ლსი,	თამარ დედოფალო, თამარს,
ჩიდ მარჩენე თადამარა̈ლსი!	ყველაზე უკეთეს თამარს!

ბალსქვემოური ვარიანტი

თამარ დედფა̈ლ ანიჳა **სგუ̈ეჯდა,**	თამარ დედოფალი (?) ბრძანდებოდა,
ჩა̈ჟილდ ხორდა ქჳიშემ ფერიშ,	ცხენი ჰყავდა ქვიშისფერისა,
ჰინგრილ ხაგან ოქრეშ ლგჷშკა̈დ,	უნაგირი ედგა მოოქროვილი („ოქრო-ს მოჭედილი“)
ა̈ღუ̈რილ ხოსდა უ̈არჩხლიშ ლგჷშკა̈დ,	აღვირი ედგა („ედო“) მოვერცხლილი („ვერცხლ-ის მოჭედილი“)
ფაყულდ ხაგან ზურეჩია,	ქუდი ედგა ზუჩის,
ფათუ̈ა̈რ ხაგან ყალყმიშ,	თმები ჰქონდა („ედგა“) ყალყმის,
ნექჳა̈რ ხაგან წაწიკუ̈ეტიშ,	წარბები ჰქონდა („ედგა“) წაწიკვეტის,
შდგქა̈რ ხაგან მარგალიტიშ,	კბილები ჰქონდა („ედგა“) მარგალიტის,
სგაშხენ ხა̈ქუ̈და ატილასი,	შიგნით ეცვა ატლასი,
ქა̈შ̈ხენ ხაქუდ ჰა̈ბიჯარი,	გარედან ეცვა აბჯარი,
ჩაფლა̈რ ხა̈სდა პოლიასკები.	ფეხსაცმელი ეცვა პოლიასკები, პოლსაპოშკი.

როგორც სვანურ ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ადამიანის სხეულის (კერძოდ *სახისა და თავის*) ნაწილებს მიემართება ძირითადად **ჴა̄გ/ჴაგ** „ადგას", **ჴოსგჷრ** „ჩასმული აქვს", **ჴალჯა** „აბია („არგია")", **ჴაყა** „აქვს (აბიას მნიშვნელობით)" და **ჴა̈ბ** „აბია" პრედიკატები[1]:

ჴა̄გ/ჴაგ *„ადგას"*

ადამიანის სხეულის (კერძოდ *სახისა და თავის*) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად **ჴაგ** „ადგას" პრედიკატი სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში დასტურდება, თუმცა აშკარაა, რომ მას თანდათან ენაცვლება „მქონებლობის" გამომხატველი **ჴარ** „აქვს" პრედიკატი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ქვემოსვანურ დიალექტებში:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

... ყიქა̄ნ **ლელგჷიძა̈რ ჩუ ჴა̄გ** (სვან. ქრესტ., 139:36) „ზედა მხარეს საძირე კბილები აქვს („ქე ა-დგ-ა-ს")"
ეჩის **ჴა̄გ** ჷოქჷრა̈ **ლუსდგჷა̈რ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 229:25) „იმას აქვს („ა-დგ-ა-ს") ოქროს ნაწნავები"
ხელწიფი ხეხჷს ჯრ̄დი **ლუსდგჷა̈რ ჴა̄გ** (სვან. პროზ. ტექსტ., I, 272:17-18) „ხელმწიფის ცოლს გრძელი ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს")"
ალ ხელწიფი **დი̄ნას** ლერსგჷან ბარჯჷე̄ნ **ფა̈თჷ ჴა̄გ** ლა̈ნშა̈ნდ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 425:17) „ამ ხელმწიფის გოგოს მარჯვენა მხარზე თმა აქვს („ა-დგ-ა-ს") სანიშნად"
დინას ხოჩა **ნექჵა̈რ ჴაგ** „გოგოს კარგი წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს")"
დინას ყჷა̈რყჷლაი **ფა̈თჷა̈რ ჴა̄გ** „გოგოს ხვეული თმები აქვს („ა-დგ-ა-ს")" და ა. შ.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

... მიჩა ხახჷ ეჯგჷა̈რ როქ გეზალ ოხთაჷ'ერე ეშხუ ესერ მგჵ **ჴაგ** თხუმეი, ეშხუ თე როქ **ჴარ** ნებგჷადსგა (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 193:26-27) „შენმა ცოლმა იმისთანა შვილი გააჩინაო, რომ ერთი რქა თავზე ადგასო, ერთი თვალი აქვს შუბლზეო"
ეჯა̈რდ ოხუმბაჷეხ: „მინ ესერ ლიხ და̈ჷა̈შ ანდაჷა, ეჯი და̈ჷს ესერ ხორი ეშხუ ხოჩა დინაგეზალ, ჷოქრა̈შ ესერ **ლუსდგჷა̈რ ჴაგ** ი ჰაგჷთეჩუ ესერ ხეჰოლიხ" (სვან. პროზ. ტექსტ., II, 1957, 46:5-7) — ისინი მოუყვნენ: „ჩვენ ვართო დევის მწყემსები, იმ დევს ჰყავსო ერთი კარგი ქალიშვილი, ოქროს ნაწნავები აქვსო („ა-დგ-ა-ს")" და ქუსლებამდე წვდებაო"
ალჷე, დადალო, ეჯის ბიქჷიშ რა̈შ ჴაყა ი ისგუ რა̈შს ჩჷაყალჷე ი ეი ჯა̈წრე. სი ნა̈თხჷრა̈შ კეშ ოხოშხბ ისგჷა რა̈შს, ეჯი მგშკიდთ'ათხა̈ ი ჷოშა **ფა̈თჷ ჴაგ**, ამშელდ ჯინჯილ ახრეკინ (სვან. პროზ. ტექსტ., II, 170:25-27) „აბა, ბებია გენაცვალოს, იმას ქარის რაში ჰყავს და შენს რაშს დააშინებს და მოგერევა. შენ ნანადირევის ქურქი შეუკერე შენს რაშს, ის მჭედელთან წაიღე და რამდენი თმაც აქვს („ა-დგ-ა-ს"), იმდენი ჯინჯილი? ჩამოაკიდებინე"
ჩა̈რჩს იგნე, ეჯ ამსჷალდ ცდილობს, ერე ლგდგა̈რს ეჩეჩუ ოხტეხეს ეჯი ღერმათ სგებინჩუ, ერე მიჩეშლა ყი იჷეა̈შნი ალ ამსჷალდ, ძურინერჷეშდ ლადეღს **ჩა̈რჩ ჴაგ**, ამნოშ ჩუ იწჷალა̈ჷი ი ალი ეჯის ეჩქა ქა ხეზზენი (ეკლინგის მასალები) „წვერს რომ უშვებს („ი-დგ-ა-მ-ს"), ის ადამიანი ცდილობს, რომ მიცვალებულს იქ დახვდეს („მოუბრუნდეს") ის ღვთის წინაშე, რომ მისთვის წუხდება ეს ადამიანი, ორმოც დღეს წვერი რომ აქვს მოშვებული („ა-დგ-ა-ს"), ამით წვალდება და ეს იმას მაშინ იქ დახვდება"
სი ეჯგჷა̈რ **შდიქ ჯაგ**, ეჯის ბაჩჷ ხა̈ჳდე, ბა̈ჩ გეზალს ჯითაჷე (სვან. პროზ. ტექსტ., II, 169:125-13) „შენ იმისთანა კბილი გაქვს („გ-ა-დგ-ა-ს"), იმას რომ ქვას დაარტყამ, ქვა შვილს გაგიჩენს"
ბეფშჷს ჯჷედი **თანაფგლა̈რ ჴაგ** „ბავშვს გრძელი წამწამები აქვს („ა-დგ-ა-ს")"
ალ ლჷაყმარეს ხოშა შხიჷლა̈ **ნექჵა̈რ ჴაგ** „ამ მამაკაცს უზარმაზარი, უშნო წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს")"
ბიძილს ტყეფრი **შდიქილდა̈რ ჴაგ** „ბიჭუნას ბრტყელი კბილები აქვს („ა-დგ-ა-ს")" და სხვ.

[1] იშვიათად, მაგრამ მაინც **ჴა̈ბ** „აბია" პრედიკატიც ფიქსირდება, რაც შედარებით ახალი მოვლენა ჩანს.

ლაშხური

… **ზურა̈̄ლს** … **ხოჩა ჷოქრე ლჷსდგჷარა̈̄ლ ხა̈̄გ** (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., IV, 123:29-30) „ქალს კარგი ოქროს ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“
ჩაჩ ხა̈̄გ „სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ …

მაგრამ **ლჷსდგჷარა̈̄ლ ხა̈̄რ / ხუჷა** „ნაწნავები აქვს“ და ა. შ. გამოკითხულ ლაშხელ რესპონდენტთა უმრავლესობა ადამიანის სხეულის (*კერძოდ სახისა და თავის*) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნებს — **ხარ** „აქვს“, **ხუღჷა** „აქვს“ იყენებს. **ხა̈̄გ** „აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ პრედიკატი მხოლოდ სამგლოვიარო წვერის მქონებლობას გამოხატავს, რაც საკმაოდ ბევრ კითხვას აჩენს.

ლენტეხური

მელთერს ხოქჷა, ერ „სემი ლეთ ი ლა̈დეღ ლოქჷ არდა მინე მარა̈ნისა ტინტრიკა̈ ი ეჩქა ქა ლოქ ლა̈ხეისნა̈ჷი, მა ლოქ ხერა ბაც ი მიჩა ძეხჷს ნომა ლოქჷ ლახოკჷიშ, ედო ეჯის შტიქ ლოქ ხაგ ეჯკა̈ლი, ერ ეჯი ლოქ ხოშჷრი“ (სვან. ქრესტ., 343:15-18) — მკითხავს უთქვამს, რომ „სამი დღე და ღამე იყოსო ჩვენს მარანში ტინტრიკა და მაშინ დაგესიზმრებაო, თუ რა მოგელისო და შენს მეუღლეს არ გაუმხილოო, თორემ იმას იმისთანა კბილი აქვსო („ა-დგ-ა-ს“)“, რომ ზიანს მოგაყენებსო“
ხოჩა ფა̈თჷ ხაგ „კარგი თმა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“
ნიქეჰ ხაგ „წარბი აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და ა. შ.

თუმცა, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნებისმიერი სახის ნაკვთის აღსანიშნავად ლენტეხური მქონებლობის ზმნებს — **ხარ** „აქვს“, **ხუღჷა** „აქვს“ მიმართავს. მაგ.: **ნიქეჰ ხარ / ხუღჷა** „წარბი აქვს“, **თალაფა ხარ / ხუღჷა** „წამწამი აქვს“, **ხოჩა ფა̈თჷ ხარ / ხუღჷა** „კარგი თმა აქვს“, **მაკაძ წგრნი ძაგჷარ ხა̄რ** „როგორი წითელი ბანჯგვლები აქვს“, **ჯრ̄დი ფათჷარ ხა̄რ** „გრძელი თმები აქვს“, **ხოჩა ლესდი შდიქარ ხა̄რ** (ლაშხ.) „კარგი შესახედი კბილები აქვს“ და სხვ., რაც, ჩვენი აზრით, მეორეული მოვლენა უნდა იყოს.

ჩოლურული

ეჰკა̈ ჯრ̄დი ჩაჩ მაძღენა ხა̈̄გ ალე მა̄რას, ეჰკა̈ ჯრ̄დი, ერე ძირს ხამარ ი კუმაშ მაგ ხეზელა̄ლ „იმისთანა გრძელი სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“) ამ კაცს, იმისთანა გრძელი, რომ ძირს ღორები და საქონელი ზედ გადადიან“
მეჰარი ნანგრი ლუსდგჷარ ხა̈̄გ „მკლავის სიმსხო ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“
მეშხე ნიქჰა̄რ ხა̈̄გ „შავი წარბები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ და მისთ.

ჩოლურული მეტყველება, რომელიც სვანური დიალექტებისაგან მრავალი თავისებურებით გამოირჩევა, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მეტწილად ლაშხურსა და ლენტეხურს მიჰყვება და მქონებლობის აღმნიშვნელი ზმნების (მაგ.: **ლენტიელ თალა̄ფა̄რ ხა̄რ** (ჩოლ.) „სანატრელი წამწამები აქვს“, **მეჰარი ნანგრი ლუსდგჷარ ხა̄რ** (ჩოლ.) „მკლავის სიმსხო ნაწნავი აქვს“, **მეშხე ნიქჰა̄რ ხა̄რ** „შავი წარბები აქვს“ …) პარალელურად, როგორც ვნახეთ, **ხა̈̄გ** „აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ პრედიკატსაც იყენებს.

ხოსგურ *„აქვს (ზედმიწ. უსვია, უზის)“*

აღნიშნული პრედიკატის გამოყენება ადამიანის სხეულის (*კერძოდ სახისა და თავის*) ნაწილების სივრცული ლოკალიზაციისათვის ძირითადად დამახასიათებელია ზემოსვანური დიალექტებისათვის, ქვემოსვანურ დიალექტებში კი მისი გამოყენების შემთხვევები არც გამოქვეყნებულ ტექსტებში და არც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში არ დაგვიდასტურებია. შესაბამისად საილუსტრაციო მასალა მხოლოდ ზემოსვანური დიალექტებისთვის იქნება წარმოდგენილი:

თერა̈ლ ჯისგურდა გიშრიშე (ბზ., სვან. პოეზ., I, თბ., 1939, 2:6) „თვალები გქონდა („გეჯდა“) გიშრისა“

ა̈მირმ ლა̈ხჭედიჳ მიჩა ლახჳბას: „მ'ესერ ლი, მინე მუს ეშხუ გარ თე იმღა **ხოსგურ?**" (სვან. პროზ., ტექსტ., II, 257:38, 258:1) „ამირანი შეეკითხა თავის ძმებს: „რა არისო, მამაჩვენს მხოლოდ ერთი თვალი რატომ აქვსო („უზის")?"

ნეცინ თერა̈რ ჲესჳა̈ს ხოსგურ, ლა̈სგიდა̈რიჟი მუგჳდა̈ჲ აშ ხოსიპ, ჩიგჳაშჳ თეს ხა̈ფხრე ი გუმი უჭჳდად დემგჳაშჳ ცჳირე, ეჯღა რაგდიხ: **„ქა̈ჯიშ ესერ თერა̈რ ხოსგურ** (ბქ.) „წვრილი თვალები ვისაც აქვს, ხედვის დროს თითქოს უტრიალებს, ყველაფერს თვალს ავლებს და დაუკვირვებლად არაფერს ტოვებს, იმაზე ამბობენ: ქაჯის თვალები აქვსო („წვრილი თვალ-ებ-ი ვისაც უყენია, ხედვისას თითქოს ა-ს-ე უტრიალებს, ყველაფერს თვალ-ს ახელს და გულ-ი'ს' მიუცემლად არა საქმეს ტოვებს, იმისთვის ლაპარაკობენ: „ქაჯ-ის-ო თვალ-ებ-ი უყენია")"

ალ დინას ჳობურიშ **თერა̈რ ხოსგურ** (ბქ.) „ამ გოგოს ეშმაკის თვალები აქვს („უზის")"

ალ მარეს ხოჩა **შდიქა̈რ ხოსგურ**[1] (ბქ.) „ამ კაცს კარგი კბილები აქვს ჩასმული („უზის")" და ა. შ.

***ხალჯა** „აბია („არგია")"*

ხალჯა „აბია, არგია" პრედიკატი ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის აღსანიშნავად მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში დაფიქსირდა:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ქრისდე ღე̄რბათ ხრქჳა: „... **თხჳიმ** ესერ იმხა̈ნ **ხა̈რ** მა̈რა, ამი̄შ ესერ მა̈მგჳე̄შ ხომჴერა ი აი̄ი̄ ლალთა̈რს ესერ ერჳა̈ჲ ქა ლახთჳე̄ნი, ეჩი̄ ა̈რთგჳილ ესერ ... ი̄რა". ეჩქას ალ მა̈რე̄მ ხა̈ქჳ ესნა̈რ: „ჲაღჳ ე̄სერ მიჩა თა̈სდჳებ ქა̈ჳ ლახჳე̄მ ი ეჩქას ესერ ჯა ქა ლახთჳე̄ნი, ამსჳა̈ლდს **თხჳიმ** იმხა̈ნ **ხალჯა**" (ბზ., სვან. ქრესტ., 103:18-23) — ქრისტე ღმერთს უთქვამს: „თავი რომელ მხარეს აქვს ადამიანს, ამისი არაფერი გამეგებაო და ამას ვინც ამიხსნისო, იმისი ერთგული ვიქნებიო". მაშინ ამ კაცმა უთხრა თურმე: „აბა, შემპირდიო („მისი თავსდება მისცამცა") და მაშინ მე გასწავლიო, ადამიანს თავი რომელ მხარეს **აბია** („არგია")"[2]

ეჩქას ალ მა̈რ'ათხა̈რა: „ჲაღჳე̄სერ ლგჲარჟი̄ნ მა̈მ ხოხალ მა̈რა **თხჳიმ** იმედო **ხალჯა** ი ლგდგარუნღჳე̄სერ იმ ა̈ნმეჴრი?" (იქვე 103:25-26) — მაშინ ამ კაცს უთქვამს: „აბა, სიცოცხლეში არ იცისო ადამიანმა თავი სად აბია და გარდაცვალების მერე რას გაიგებსო?"

ნებგჳა, ჩჳენჩხ, თე̄მი გალჳანა̈რ, შდგმრარე ჴურჳა̈რ, მუჭჳა̈რ ი ალ თხჳიმ სგა ხალჯა კინჩხს (იქვე 139:37-38) „შუბლი, ცხვირ-პირი, თვალის გუგები, ყურის ხვრელები, რქები და ეს თავი მიბმული აქვს („არგია") კისერს" ...

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

ალ მარა ხოშა **ნეფხჳნა ხალჯა** (ბქ.) „ამ კაცს დიდი ცხვირი აქვს (ზედმიწ. — აბია, არგია)"

დინას ხოჩა თჳალა̈შ **შდგმრა̈რ ხალჯა** (ბქ.) „გოგოს ძალიან ლამაზი („კარგი თვალ-ის") ყურები აქვს (ზედმიწ. — აბია, არგია)"

მაშრი **ნებგჳა ხალჯა** (ბქ.) „ფართო შუბლი აქვს (ზედმიწ. — აბია, არგია)"

ამიცა̈ლ **თხჳიმ** მეჳარ **ხალჯაჲა**?! (ბქ.) „ეს თავი ტყუილა აბია (ზედმიწ. — არგია)?!"[3]

ჯჳედი **ნინ ხალჯა** (ბქ.) „გრძელი ენა აქვს (ზედმიწ. — აბია, არგია)" ...

იმ შემთხვევაში, როცა ჭორიკანა ქალზეა საუბარი, მაშინ მეტაფორული გადააზრიანებით ბალსქვემოურში **ხოზ** „უდევს („უ-ძ-ევ-ს") პრედიკატი გამოიყენება. მაგ., ალ ზურალს **ხოლა ნინ ხოზ** „ამ ქალს ცუდი ენა აქვს (ზედმიწ. — უ-ძ-ევ-ს)".

---

[1] შდრ. **მანქანას ბარბლა̈რ ხოსგურ** (ბქ.) „მანქანას ბორბლები აქვს ჩასმული", **მანქანას ნა̈წილა̈რ ხოსგურ** (ბქ.) „მანქანას ნაწილები უკეთია („უსვია")".

[2] საინტერესოა, რომ ერთსა და იმავე ტექსტში **ხალჯა** „აბია" პრედიკატის პარალელურად დადასტურდა მქონებლობის აღმნიშვნელი **ხა̈რ** „აქვს", რაც ამჟამად ბალსზემოურში უფრო გავრცელებულია. უფრო მეტიც, მან თითქმის მთლიანად გამოდევნა **ხალჯა** „აბია" პრედიკატი, რომელიც ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას გამოხატავდა სადღაც ნახევარი საუკუნის წინ.

[3] მაგრამ მეტაფორული გადააზრიანებით ასეთ კონტექსტშიც დასტურდება საანალიზო პრედიკატი. მაგ., **ალ მარა ხოჩა თხჳიმ ხალჯა** (ბქ.) „ეს კაცი ჭკვიანია (ზედმიწ. — ამ კაცს კარგი თავი აბია, არგია)".

შესაძლოა, ენის მდებარეობის აღსანიშნავად გამოყენებული იყოს **ხა̈ბ** „აბია“ პრედიკატიც: მა̈ჲსახჳ ჯჳედი **ნინ ხა̈ბ**, პილა̈რისგა დეშ ხოსკდა (ბქ.) „რამხელა ენა აქვს, პირში ვერ იტევს“, მაგრამ მეტაფორიზაციით — **ჯჳედი ნინ ხა̈ბ** (ბქ.) „ენაგრძელია („გრძელი ენა ა-ბ-ი-ა“)“, **ჯო̄დი ნინ ხა̄ბ** (ჩოლ.) „გრძელი ენა აქვს“, **ლგჩშმე ნინ ხა̄ბ / ხა̄რ** (ჩოლ.) „ბინძური ენა აბია||აქვს“, **ლგწერ ნინ ხა̄რ** (ლშხ.) „აყროლებული ენა აქვს“ და ა. შ., თუმცა ბალსქვემოურში ენის მდებარეობის გამოსახატავად უფრო გავრცელებულია **ხალჯა** „აბია, არგია“ პრედიკატი.

აღნიშნული პრედიკატის ნაცვლად დღეს სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში, და მათ შორის ბალსქვემოურშიც, გამოყენებულია მქონებლობის გამომხატველი **ხარ** „აქვს“ პრედიკატი, რაც, ჩვენი აზრით, ინოვაციის ელფერს ატარებს.

***ხაყა** „აქვს (ზედმიწ. — აბია)“*

რაც შეეხება **ხაყა** „აქვს („აბია)“ პრედიკატს, იგი ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად მეტნაკლებად სვანური ენის ყველა დიალექტში გამოიყენება, თუმცა გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა მაინც **ხარ** „აქვს“ პრედიკატს ანიჭებს უპირატესობას:

ბალსზემოური

მიშგუ ლახჳბა, ალა მა̈ჲ ჩრა̄, გჳიშგჳეჲ ბაბას ეშხუ **თე** მა̄მა **ხაყა**? (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 93:4) „ჩემო ძმებო, ნეტა ეს რა არის („ეს რა იქნება, ა“), მამაჩვენს ერთი თვალი არა აქვს („აბია“)“?
ალას ეშდჲერუ **თხჳიმ ხაყა** (იქვე 94:31) „ამას თორმეტი თავი აქვს („აბია“)“
ჲერქჳდა **ხაყა თე̄რა̈ლ**, მარე მიზეზ ხულჳე: მგრთენ **თე** მურსგჳენხა̈ნ **ხო̄გ**[1], მურსგჳენ თე მგრთენხა̈ნ **ხო̄გ** (იქვე 122:27) „ორივე თვალი აქვს („აბია“), მაგრამ ერთი ნაკლი („**მიზეზ**-ი“) აქვს: მარცხენა თვალი მარჯვენა მხარეს აქვს („უ-დგ-ა-ს“), მარჯვენა თვალი კი მარცხენა მხარეს აქვს („უ-დგ-ა-ს“)“
ზურალს **ნინ** მა̄მ **ხაყა** (იქვე 430:25) „ქალს ენა არა აქვს („აბია“)“ ...

ბალსქვემოური

დინილს ხოხრა **ნეფხჳნა ხაყა** (ბქ.) „გოგონას პატარა ცხვირი აქვს (ზედმიწ. — აბია)“
ნალჳეურს ხოშა **პილა̈რ ხაყა** (ბქ.) „ბიჭს დიდი ტუჩები აქვს (ზედმიწ. — აბია)“
ზურალს სკგრა̈ **კაპრა̈ ხაყა** (ბქ.) „ქალს წვეტიანი ნიკაპი აქვს (ზედმიწ. — აბია)“ და მისთ.

სვანურ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზემოთ წარმოდგენილ სივრცული ლოკალიზაციისა და კუთვნილების გამომხატველ ზმნებს ძალზე ხშირად ენაცვლება „მქონებლობის“ აღმნიშვნელი **ხარ** „აქვს“ ზმნა (მაგ., ბქ. **თხჳიმ ხარ** „თავი აქვს“, **ნებგჳა ხარ** „შუბლი აქვს“, **ნეფხჳნა ხარ** „ცხვირი აქვს“, **ჰაყჳბა̈რ ხარ** „ლოყები აქვს“ და სხვ.), თუმცა ქვემოსვანურ დიალექტებში ძირითადად სწორედ **ხარ** „აქვს“ ზმნა გამოხატავს ადამიანის სხეულის (კერძოდ *სახისა და თავის*) ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას (მაგ.: ლშხ. **ჯო̄დი შტიმრა̄ლ ხა̄რ**[2] „გრძელი ყურები აქვს“, **სკგრი კაპრაჲ ხა̄რ** „წვეტიანი ნიკაპი აქვს“; ლნტ. **თერა̈ლ ხარ** „თვალები აქვს“, **ნეფხჳნა ხარ** „ცხვირი აქვს“; ეშხუ თე გარ ხულჳა „მხოლოდ ერთი თვალი აქვს“; ჩოლ. **ლეგ ლგჩო̄პე გაგდაჲ ხა̄რ** „ნამეტანი მოღრეცილი ნიკაპი აქვს“, **მიჩა მუეშშალ მასგჳენ ლეფხჳნა ხა̄რ** (ჩოლ.) „მამამისივით ლამაზი ცხვირი აქვს“...), რაც, როგორც უკვე ითქვა, შედარებით ახალ მოვლენად მიგვაჩნია. საინტერესოა, რომ ლენტეხურში აღნიშნულ შემთხვევაში **ხარ** „აქვს“ პრედიკატის პარალელურად **ხულჳა** „აქვს“ ფორმაც გამოიყენება (მაგ. ეშხუ **თე** გარ **ხულჳა** „მხოლოდ ერთი თვალი აქვს“ ...).

არანაკლებ საინტერესოდ გვესახება ადამიანის სხეულის დანარჩენი ნაწილების სივრცული მიმართებების შესწავლა სვანურში. როგორც დიალექტოლოგიურ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვა-

[1] ადამიანის სახის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ თვალის მდებარეობას, როგორც აღნიშნული ილუსტრაციიდან ჩანს, ლგგ „დგას“ ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **ხო̄გ** „უდგას (შდრ. ძვ. ქართ. **უდგს**)“ პრედიკატიც მიემართება, რაც აშკარად მქონებლობას გამოხატავს და უძველეს ვითარებას უნდა ასახავდეს.
[2] იშვიათად **ხა̄ბ** „აბია“ ფორმაც გამოიყენება.

ნური ენის თითქმის ყველა დიალექტში ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილების მქონებლობა **ხარ** „აქვს" (ლშხ.: ძღ̄ჷდ **მუჭოდ ხა̄რ** „დიდი მკერდი აქვს", მაჲზუმ **განთხარ ხა̄რ** „რამხელა ფეხები აქვს"...; ჩოლ.: მაშრი **ჯაჭარ ხა̄რ** (ჩოლ.) „ფართე ზურგი აქვს", მაშრი **ბარჯა̄ლ ხა̄რ** (ჩოლ.) „ფართე ბეჭები აქვს", ნეცინ **ფხულო̄ლარ ხა̄რ** (ჩოლ.) „წვრილი თითები აქვს", ლუგჷარ **მაყჷშდაგა̄რ ხა̄რ** (ჩოლ.) „მსუქანი ბარძაყები აქვს"...) პრედიკატით გადმოიცემა, თუმცა გამონაკლისები აქაც იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით ხელშესახებია ბალსქვემოურ დიალექტში, სადაც სხეულის ამა თუ იმ ნაწილებს მიემართება — **ხალჯა** „აბია („არგია")", **ხაყა** „აქვს (აბიას მნიშვნელობით)" და **ხა̈ბ** „აბია" პრედიკატები: **კინჩხ ხალჯა** „კისერი აქვს (ზედმიწ. — კინჩხი არგია)", **მეჭრა̈რ ხალჯა** „მკლავები აქვს (ზედმიწ. — არგია)", **ჭგშხა̈რ ხალჯა** „ფეხები აქვს (ზედმიწ. — არგია)", **ფხულა̈რ ხალჯა** „თითები აქვს (ზედმიწ. — არგია)"; **მუჭჷედ ხაყა** „მკერდი აქვს (ზედმიწ. — აბია)", **ჭა̈დ ხაყა** „მუცელი აქვს (ზედმიწ. — აბია)", **ფოყა̈რ ხაყა** „თეძოები აქვს (ზედმიწ. — აბია)" და ა. შ.

ბალსზემოური დიალექტი, რომელიც სივრცული მიმართებების აღნიშვნისას ძირითადად მქონებლობის ზმნებს ანიჭებს უპირატესობას, იშვიათად, მაგრამ მაინც **ხა̈ბ** „აბია" პრედიკატსაც იყენებს (მაგ.: **ჭიშხ ხა̈ბ** „ფეხი აქვს („ა-ბ-ი-ა")", **მეჭა̈რ ხა̈ბ** „მკლავი აქვს („ა-ბ-ი-ა")", **ფხულე ხა̈ბ** „მკლავი აქვს („ა-ბ-ი-ა")" და მისთ.).

რაც შეეხება ჩოლურულ მეტყველებას, იგი მქონებლობის აღმნიშვნელი **ხარ** „აქვს" ზმნის პარალელურად **ხალჯა** „აბია („არგია")" და **ხასგურ** „აქვს („აზის")" პრედიკატებსაც მიმართავს (მაგ.: **მეგრე კჷნჩხ ხალჯა‖ხასგურ** (ჩოლ.) „მსხვილი კისერი აბია („არგია‖აზის")", ჩიგარ ნათუნ მაჲზუმ **ფაშ ხასგურ** (ჩოლ.) „მუდმივი სმისგან რამხელა მუცელი აქვს („აზის")"...).

მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზემოსვანურ დიალექტებში ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული მიმართებების გამოსახატავად გამოყენებულია რამდენიმე პრედიკატი. შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა პრინციპით არის შერჩეული ესა თუ ის პრედიკატი და არის თუ არა სავსებით ნათელი პრედიკატის შერჩევის პრინციპი? ვფიქრობთ, ჩვენ მიერ *ადამიანის სხეულის* (*შინაგანი* და *გარეგანი*) *ნაწილების* სივრცული მიმართებების აღსანიშნავად გამოყენებული პრედიკატის შერჩევის პრინციპი ნათელია: აქ, ჩვენი აზრით, არ არის დაჩრდილული ტოპოლოგიური კომპონენტი, ვინაიდან ეს პრედიკატები ზედმიწევნით ასახავენ ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცულ ლოკალიზაციას მათი ფორმიდან, აღნაგობიდან გამომდინარე. მაგ., *თვალსა* და და *კბილს* მიემართება **ხოსგურ** „უზის (ანუ ჩასმული აქვს)" პრედიკატი, რაც სავსებით მიესადაგება მათ სივრცულ ლოკაციას, ვინაიდან *თვალიც* და *კბილიც* შესაძლოა ამოვარდეს თავისი ბუდიდან და კვლავ მოხდეს მათი ჩასმა სათანადო ადგილას. ასევე; ტოპოლოგიურად სწორად არის შერჩეული *ხელის, ფეხის, თითის, ყელის*... მდებარეობის გამომხატველი **ხალჯა** „აბია (ანუ ჩარგული აქვს)" პრედიკატი. ე. ი. რისი გადახსნაც სახსარში შეიძლება, მას ზედმიწევნით შეესაბამება აღნიშნული პრედიკატი და ა. შ. რაც შეეხება ქვემოსვანურ დიალექტებს, იქ პრედიკატთა ასეთი მრავალფეროვნება არ შეინიშნება და სხეულის თითქმის ყველა ნაწილის სივრცულ ლოკალიზაციას **ხარ** „აქვს" პრედიკატი მიემართება, თუმცა არც **ხაყა** „აბია" პრედიკატს გამორიცხავენ. ქვემოსვანურისებური ტენდენცია ვლინდება თანამედროვე ბალსზემოურ დიალექტშიც, რაც, ვფიქრობთ, ინოვაციის იერს ატარებს, რასაც სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ ლექსში — **თამარ დედფა̈ლ** „თამარ დედოფალი" დაფიქსირებული არქაული ფორმების არსებობა გვავარაუდებინებს.

• **ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების სივრცული მიმართებები.** ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილებს თითქმის იგივე პრედიკატები მიემართება, რაც ადამიანის სხეულის ნაწილებს. ეს პრედიკატებია: **ხაგ** „ადგას", **ხოსგურ** „ჩასმული აქვს", **ხალჯა** „აბია („არგია")", **ხაყა** „აქვს (აბიას მნიშვნელობით)", **ხა̈ბ** „აბია", **ხო̄ზ** „უდევს („უ-ძ-ევ-ს")":

ხაგ *„აღვას“*

ბალსზემოური

ძღლჳაისგა თჳეთნე ჭა̈ნ ა̈რი, ჳოქჳრა̈ მუჰჭჳა̈რ ჟი ხა̄გ (სვან. პროზ. ტექსტ., I, 129:4-5) „ზღვაში თეთრი ხარი არის, ოქროს რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“

ალ ჯჳეგს ესერ ეშხუ ბოტა ხონჭრი, ეჩზუმ ჳერ'ესერ ხა̄გ, ერე ალამა̈გ ჯჳეგს ი მეჯჳგს ჰაჳდა̈რეჲნ ... სგა ისგ̄მე (სვან. პროზ. ტექსტ., I, 415:15-17) „ამ ჯოგს ერთი ვაცი ახლავსო, იმმხელა წვერი აქვსო („ა-დგ-ა-ს“), რომ ამდენ მეჯოგეს და ჯოგს ცუდი ამინდისას ქვეშ იფარებსო“

ჩა̈ჩ ხა̄გ მიშგუ ბაბას „სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს“) ბაბუაჩემს“...

ბალსქვემოური

გიცა̈რს ხოშა კირკოზა̈ მუჰჭჳა̈რ ხაგ „ვერძს დიდი ხვეული რქები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“

ჭა̈ნს ეშხუ მიჰჭუ გარ ხაგ „ხარს მხოლოდ ერთი რქა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“

ჩა̈ჟს ტყჷფრი შდგქა̈რ ხაგ „ცხენს ბრტყელი კბილები აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

ლაშხური

ფურს თხუმჟი მიჰჭუ ხა̄გ „ძროხას თავზე რქა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“

ჭანს მიჰჭუ დჷსა ხა̄გ „ხარს რქა არა აქვს („ა-დგ-ა-ს“)“ ...

ლენტეხური

და̈ჳ ლოქ ლი ძღუდ ლგჷფა̈თჳ, ... თხჳიმჟი ძღუდ მუჰჭჳა̈რ ლოქ ხაგ, ხუღჳა ლოქ ძღუდ ქილა̈ლ (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 70:5-8) „დევი არისო ძალიან თმიანი, თავზე დიდი რქა ადგასო, აქვსო დიდი ეშვები“[1]

ჭა̈ნს მუჰჭჳა̈რ ხაგ „ხარს რქები აქვს („ა-დგ-ა-ს)“ ...

ჩოლურული

ჭანს ძღჷდ მუჰჭჳარ ხა̄გ „ხარს დიდი რქები აქვს („ა-დგ-ა-ს)“

დინას ხოჩა ლუსდგჳარა̄ლ ხა̄გ „გოგოს კარგი ნაწნავები აქვს („ა-დგ-ა-ს)“

მგნგლოჳს ჯრდი ჩაჩ ხა̄გ „მგლოვიარეს გრძელი სამგლოვიარო წვერი აქვს („ა-დგ-ა-ს)“ ...

ხალჯა *„აბია („არგია“)“*

ცხოველის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის გამოსახატავად ბალსზემოური დიალექტი მქონებლობის აღმნიშვნელი **ხა̄რ** „აქვს“ პრედიკატის გარდა **ხალჯა** „აბია („არგია“)“ პრედიკატსაც იყენებს, რაზეც მეტყველებს „სვანური ენის ქრესტომათიაში“ ერთ-ერთ ტექსტში — **მანგრი ლიმსენი, ლიტფჳრე ი ლიმსჳრე** „საქონლის დაკვლა, გატყავება და ასოებად აქნა“ წარმოდგენილი მასალა:

ბალსზემოური

თხჳიმს ხა̄რ: ჩარბა̈რ, კაპრა̈მ, კაკაფ, ჩუბე შდგქა̈რ, ჟიბე შდგქა̈რ. მანგა̈რს ი მა̈ნცინს მა̄მა ხა̄რხ, მარე ჟიქა̄ნ ლელგჳიმა̈რ ჩუ ხა̄გხ. კაპრა̈მ ი თხჳიმ უშხჳა̄რ ხელჯიხ, ეჯას ლაღა̄ჭა ხაყხა. ნებგჳა, ჩჳენჩხ, თე̄მი გალჳანა̈რ, შდგმრარე პურჳა̈რ, მუჰჭჳა̈რ ი ალ თხჳიმ სგა ხალჯა კინჩხს. კინჩხს ცხაპ ხალჯა ი ცხაპს — ჰაკჳა̈დ. სგა̈ნჩჳნ ლა̈მსას ხოზ: უჳიჟე ი პერშჳდა. ალმა̈რს ხალჯა ყაყრჷნჯ. ფა̈შს ხალჯა გჳი, უჳან, მეგრე ჭინჭლა̈რ ი ნეცინ ჭინჭლა̈რ, ლა̈მრ... ალა ჰოკერ ხა̄რხ (ბზ., სვან. ქრესტ., 139:37-38) „თავს აქვს: დრუნჩები, ნიკაპი, თავის ქალა, ქვედა კბილები, ზედა კბილები. მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს არა აქვს, მაგრამ ზემოდან საძირე კბილები აქვთ („ა-დგ-ა-თ“). ნიკაპი და თავი ერთმანეთს რომ უერთდება, იმას ყბა ჰქვია. შუბლი, ცხვირ-პირი, თვალის გუგები, ყურის ხვრელები, რქები და ეს თავი

[1] **ხაგ** „აქვს“ პრედიკატის გამოყენების არე რომ შეზღუდულია, ამ ილუსტრაციიდანაც კარგად ჩანს. მთქმელი ერთსა და იმავე წინადადებაში **ხაგ** „აქვს“ ზმნის პარალელურად მქონებლობის გამომხატველ **ხუღჳა** „აქვს“ ფორმასაც ხმარობს.

მიბმული აქვს („არგია") კისერს. კისერზე ხერხემალი არის მიბმული („კისერს ხერხემალი არგია") და ხერხემალს — კუდი. შიგნით საკლავს აქვს („უ-ძ-ევ-ს"): ღვიძლი და ფილტვი. ამათ აქვს მიმაგრებული („არგია") ყანყრატო. ფაშვს აქვს მიმაგრებული („არგია") გული, მსხვილი ნაწლავი, წიგნარა. ესენი ბოლოში („ფსკერზე") აქვთ"
ტოტა̈რ იმნა̈რ ჯა̄ლჯა? „ხელები რისთვის გაბია?"...

თითქმის მსგავსი ვითარებაა ბალსქვემოურშიც, სადაც ერთმანეთს ენაცვლება **ხა̄რ** „აქვს" და **ხალჯა** „აბია („არგია")" პრედიკატები ცხოველთა და ფრინველთა სხეულის ნაწილების მქონებლობის გამოსახატავად.

ბ ა ლ ს ქ ვ ე მ ო უ რ ი

მამჳილს ... ხოშა ჰა̈კედ ხაყა (‖ხარ) (ლხმ., სვან. ქრესტ., თბ., 1978, 206:38) „მამალს დიდი კუდი აქვს (ზედმიწ. — აბია)"
მუჰდურას ხოკედხ გჳეჴს, კაპრა̈ სგა ხაყა, ეჯჷი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 71:10-11) „მკერდის წინა ნაწილს უღებენ გჳეჴს, ნიკაპი აქვს („მიბმული აქვს"), ისე"
ძიკჳს (‖თხუმ) **ნა̈ცხტჳნა̈რ** (‖მგჰა̈რ) **ისგა ხაყა, ეჯჷ ა̈ჲსგხ ქორთე** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., II, თბ., 1957, 235:23-24) „ნანადირევის თავს რქები ისევ აქვს („მიბმული აქვს"), ისე მიაქვთ სახლში", თუმცა **ხაყა** „აბია" პრედიკატს ხშირად ბალსქვემოურ დიალექტში **ხალჯა** „აბია, არგია" პრედიკატი ენაცვლება.

ქვემოსვანურ დიალექტებში ამ შემთხვევაშიც მქონებლობის აღმნიშვნელი **ხა̄რ** „აქვს" პრედიკატი დომინირებს (მაგ.: **ყჳიჩს** ხჵნსგე **ჰინჰორ** გარ **ხა̄რ** (ლშხ.) „მამალს მხოლოდ ნახევარი ბიბილო აქვს", **ფურს აკჳედ ხა̄რ** (ლშხ.) „ძროხას კუდი ქვს", **ფეკჳნოლს ხოხრა ჰიშხ ხა̄რ** (ლშხ.) „ლეკვს პატარა ფეხი აქვს", **ღოლია̈ქს** ძღჵდ **დუმაჲ ხა̄რ** (ლშხ.) „ცხვარს დიდი დუმა აქვს", დუნა̄ **ქათლარს** ჩის მეშხე **ბუნტყულ ხა̄რხ** (ლშხ.) „დუნას ქათმებს ყველას შავი ბუნტყული აქვთ"; მგშაჲ **ჯანს** მეგრე **მუჰჳარ ხა̄რ** (ჩოლ.) „მუშა ხარს მსხვილი რქები აქვს", **თხე̄რას** სგობნე **ქილარ** სკგრი **ხა̄რ** (ჩოლ.) „მგელს წინა ეშვები წაწვეტებული აქვს"; **ჯა̈ნს** ეშხუ **მუჰჳ** გარ **ხარ‖ხუღჳა** (ლნტ.) „ხარს მხოლოდ ერთი რქა აქვს" ...), თუმცა იშვიათად **ხაბ‖ხა̈ბ** „აბია" პრედიკატიც დასტურდება (მაგ.: ხოხრა **ნეპოლარს** მეკჳშტე **აკჳდარ ხა̄ბხ** (ჩოლ.) „პატარა ჩიტებს მოკლე კუდები აქვთ („ა-ბ-ი-ა-თ")", **მა̄ლზჳმ აკჳად** დე̄სიამ **ხა̄ბ** (ჩოლ.) „მელიისხელა კუდი არაფერს აქვს („ა-ბ-ი-ა")"...). რაც შეეხება **ხაყა** „აქვს (აბიას მნიშვნელობით)" პრედიკატს, იგი მოცემულ კონტექსტში არ დასტურდება.

ცხოველთა და ფრინველთა სხეულის შინაგანი ორგანოების სივრცული ლოკალიზაცია სვანურში დიდად არ განსხვავდება ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანოების სივრცული ლოკალიზაციისაგან. სვანური ენის თითქმის ყველა დიალექტში ერთი საერთო, მქონებლობის აღმნიშვნელი პრედიკატი **ხა̄რ/ხარ** „აქვს" მიემართება ცხოველთა და ფრინველთა სხეულის შინაგან ორგანოებს (მაგ., **გჳი ხა̄რ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **გჳი ხარ** (ბქ.) „გული აქვს", **კჳიჰ ხა̄რ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **კჳიჰ ხარ** (ბქ.) „კუჰი აქვს", **ყჳიყე ხა̄რ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ყჳიყე ხარ** (ბქ.) „ღვიძლი აქვს" და სხვ., თუმცა **ხა̄რ/ხარ** პრედიკატის ადგილს ლენტეხურ დიალექტში უმეტესად **ხუღჳა** „აქვს" იკავებს (მაგ.: **გჳი ხუღჳა** „გული აქვს", **კჳიჰ ხუღჳა** „კუჰი აქვს" და ა. შ.) და ის არც ბალსზემოური დიალექტისათვის არის უცხო. რაც შეეხება **ხო̄ზ/ხოზ** „აქვს („უ-ძ-ევ-ს") პრედიკატს, იგი ზოგიერთი შინაგანი ორგანოს (*გულის, ნაწლავების*) და, ასევე, *ტვინისა* და *სისხლის*, მდებარეობის სივრცულ ლოკალიზაციას სვანური ენის ყველა დიალექტში გამოხატავს (მაგ.: **გჳი ხო̄ზ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **გჳი ხოზ** (ბქ., ლნტ.) „გული აქვს („უ-ძ-ევ-ს")", **ჰინჰლა̈რ ხოზ** (ბქ.) „ნაწლავები აქვს („უ-ძ-ევ-ს")", **თჳელ ხო̄ზ** (ბზ., ლშხ., ჩოლ), **თჳელ ხოზ** (ბქ.) „ტვინი აქვს („უ-ძ-ევ-ს")", ლგგრე **ხო̄ზ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „კვერცხი უდევს („უ-ძ-ევ-ს")", **ლგგრე ხოზ** (ბქ., ლნტ.) „კვერცხი უდევს („უ-ძ-ევ-ს")"; **ზისხ ხო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ზისხ ხოგ** (ბქ., ლნტ.) „სისხლი აქვს („უ-დგ-ა-ს")" და ა. შ.

ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების სხეულის ნაწილების აღმნიშვნელ ზმნათა სივრცული განაწილება სვანური ენის დიალექტ-კილოკავების მიხედვით



8. 6. სივრცული ლოკალიზაციისა და მყოფობა-მქონებლობის აღმნიშვნელ ზმნათა ურთიერთმიმართების საკითხი სვანურში

მყოფობის, სივრცული ლოკაციისა და მქონებლობის (verba habendi) სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური მოდელების ურთიერთკავშირს, როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული თვალსაზრისებიც ადასტურებენ და მას ენობრივი უნივერსალიების კუთხითაც განიხილავენ. ამ სემანტიკური მოდელების ურთიერთმიმართების საინტერესო სურათი კი ძველი ქართულის სტატიკურ და საშუალი გვარის ზმნების საქცეო სისტემის მონაცემთა მიხედვით იკვეთება (სუხიშვილი 2005:242). ვფიქრობთ, სივრცული ლოკაციისა და „მყოფობა-მქონებლობის" მნიშვნელობათა მიმართების არანაკლებ საინტერესო სურათი ვლინდება სვანური ენის დიალექტ-კილოკავებშიც, რაც, ჩვენი აზრით, სვანური ენის არქაულობაზე მეტყველებს.

ვინაიდან მდებარეობის აღმნიშვნელ ზოგ ზმნას სვანურში, ძველი ქართულის მსგავსად, მარკირებული ხმოვანპრეფიქსიანი წევრები მოეპოვება, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ამ საკითხზე მსჯელობას გვერდს ვერ ავუქცევთ, თუმცა საკითხს სხვა კუთხით განვიხილავთ.

უნდა ითქვას ისიც, რომ ძველი ქართულის საშუალი გვარის ზმნათა ერთ ნაწილში რეალიზებული ქცევის კატეგორიის მორფოლოგიური ოპოზიციის გრამატიკული მნიშვნელობის მოძიების ცდას წარმოადგენს მ. სუხიშვილის წერილი „მყოფობა" : „მქონებლობის" გამოხატვისათვის ძველი ქართულის საშუალი გვარის ზმნათა საქცეო სისტემაში" (იკე, IX, თბ., 2005). ავტორის აზრით, ოპოზიციაში — *დგას* : *ა-დგ-ს* : *უ-დგ-ს*, *ჯამ* : *უ-ჯმ-ს* და მისთ. მარკირებული ხმოვანპრეფიქსიანი წევრები მქონებლობას („აქვს", „ჰყავს") გამოხატავენ და სტრუქტურულადაც „ქონა-ყოლის" ზმნებს ემსგავსებიან (სუხიშვილი 2005:243).

ვფიქრობთ, ნაწილობრივ ძველი ქართულისებური ვითარება გვაქვს სვანურშიც, თუმცა დიალექტ-კილოკავთა მიხედვით სხვაობას აქვს ადგილი. ჩვენ მიერ განხილული მრავალრიცხოვანი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ „*მყოფობის*", *სივრცული ლოკაციისა* და *მქონებლობის* სემანტიკის გამომხატველ ზმნათა ლექსიკურ-სემანტიკური მოდელების ურთიერთკავშირი სვანურშიც აშკარად თვალშისაცემია. **ლჷგ** „დგას" ზმნის მაქცევრიანი (ე. წ. მარკირებული) **ხ-ა̄-გ** „ადგას", **ხ-ო̄-გ** „უდგას" და **ზი||ზგ** „უძევს" ზმნის მაქცევრიანი (ე. წ. მარკირებული) **ხ-ო̄-ზ** „უძევს" ფორმები, ძველი ქართულის მსგავსად, მქონებლობას („აქვს", „ჰყავს") გამოხატავენ და სტრუქტურულადაც სწორედ „ქონა-ყოლის" ზმნებს ემსგავსებიან.

ცხადია, რომ ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური **ლჷ̄გ** „დგას", მნიშვნელობით ყოველთვის სუბიექტის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნას („დგომას") არ გამოხატავს, არამედ ზოგადად „*მყოფობასაც*". რაც შეეხება საქცეო სისტემის მეორე წევრს — ხ-ა̄-გ „ადგას", ის მარკირებულია და ასახავს ე. წ. საზედაო ურთიერთობას სუბიექტსა (ქვემდებარეს) და ირიბ ობიექტს, ირიბ დამატებას შორის. „ეს სივრცული ლოკალიზაცია („ზედ დგომა" || > „ზედ მყოფობა") სუბიექტისა და ობიექტის პარციალური (ნაწილისა და მთელის) მიმართების პირობებში", მ. სუხიშვილის აზრით, „ბუნებრივად გადაიზრდება კუთვნილებით ურთიერთობაში გრამატიკული სუბიექტ-ობიექტის ფუნქციათა თანხვედრით ინვერსიით" (სუხიშვილი 1970:217-219).

იმისათვის, რომ წარმოჩნდეს დასკვნების ადეკვატურობა, პარადიგმების სახით წარმოვადგენთ აღნიშნულ ზმნათა სემანტიკურ მოდელებს სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით, ზოგადად — სივრცული ლოკალიზაციისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზნათა სემანტიკურ დისტრიბუციას:

- **ვინ ჯგუფი (ადამიანი): ლჷ̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ლჷგ** (ზს., ლნტ.) „დგას";
- ***რა ჯგუფი* (სულიერი და უსულო): ლჷ̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ლჷგ** (ზს., ლნტ.) „დგას";
- **ვინ ჯგუფი (ადამიანი): სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის";

- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო — მეტაფორიზაციით): **სგურ** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **სკურ** (ლნტ., ჩოლ.) „ზის“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **აყჳრე** (ზს., ქს.), **ყურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო — მეტაფორიზაციით): **აყჳრე** (ზს., ქს.), **ყურ** (ლნტ., ჩოლ.) „წევს“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **კაჩ** (ზს., ქს.) „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო): **კაჩ** (ზს., ქს.) „დგას (ზედმიწ. — აღმართულია)“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **ხაქჳიქჳ** (ზს.), **ქუქ˹ჳ˺** (ბქ., ლნტ.), **ხაქჳა̄ნქჳა** (ჩოლ.) „ჩაცუცქულია („აცუცქია“)“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი): **ხაქჳიქჳ** (ზს.), **ქუქ˹ჳ˺** (ბქ., ლნტ.), **ხაქჳა̄ნქჳა** (ჩოლ.) „ჩაცუცქულია („აცუცქია“)“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **ხაფო̄რცხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაფორცხა** (ბქ.) „ხეზე და ა. შ. არის აცოცებული („აცოცია“)“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი): **ხაფო̄რცხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაფორცხა** (ბქ.) „ხეზე და ა. შ. არის აცოცებული („აცოცია“)“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **ხაკა̄რჩხა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაკარჩხა** (ბქ., ლნტ.) „ხეზე და ა. შ. არის აცოცებული („აცოცია“)“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო): **ხა̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაგ** (ბქ., ლნტ.) „ადგას“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხო̄გ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხოგ** (ბქ., ლნტ.) „უდგას“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი): **ხაბო̄ლა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხაბოლა** (ბქ., ლნტ.) „ადგას („აცოცია“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო): **ხადუ̄წა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხადუწა** (ბქ., ლნტ.) „წევს („აწელია“)“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **ხასგურ** (ზს.) „აზის“
- **რა ჯგუფი** (სულიერი): **ხასგურ** (ზს., ჩოლ.) „აზის“
- **რა ჯგუფი** (უსულო — მეტაფორიზაციით): **ხასგურ** (ზს., ქს.) „აზის“
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხალჯა** (ზს., ლშხ., ჩოლ.), **ხალაჯა** (ლნტ.) „დარგულია („არგია“)“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხალა̄შა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ხალაშა** (ბქ., ლნტ.) „ათესია“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხანგრგაჳა** (ზს.), **ხანერგაჳა** (ქს.) „დარგულია („ა-ნერგ-ი-ა“)"
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ზი** (ბზ.), **ზი||ზგ** (ბქ.), **ლგზ||ლგზდ** (ლნტ.) „ძევს, დევს“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი — მეტაფორიზაციით): **ზი** (ბზ.), **ზი||ზგ** (ბქ.), **ლგზ||ლგზდ** (ლნტ.) „ძევს, დევს“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხო̄ზ** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), (ბქ., ლნტ.), **ხოზ** (ბქ.);
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხალჯა** (ბქ.) „აბია („არგია“)“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხაყა** (ბქ.) „აქვს (აბიას მნიშვნელობით)“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხა̈ბ** (ზს.) „აქვს („აბია“)“;
- **რა ჯგუფი** (უსულო): **ხოსგურ** (ზს.) „აქვს („უსვია, უზის“)“;
- **ვინ ჯგუფი** (ადამიანი): **ხო̄რი** (ბზ.), **ხორი** (ბქ., ლნტ.) „ჰყავს („უ-ვ-ი-ს“)“;
- **რა ჯგუფი** (სულიერი და უსულო): **ხო̄რი** (ბზ.) „ჰყავს („უ-ვ-ი-ს“)“;

- ***რა ჯგუფი* (*უსულო*): ხო̄რი (ბზ.) „ჰყავს („უ-ვ-ი-ს")"**;
- ***რა ჯგუფი* (*სულიერი*): ხო̄რი (ჩოლ.) „ჰყავს („უ-ვ-ი-ს")"**;
- ***ვინ ჯგუფი* (*ადამიანი*): ხაყა (ზს., ქს.) „ჰყავს"**;
- ***რა ჯგუფი* (*სულიერი*): ხაყა (ზს., ქს.) „ჰყავს"**;
- ***რა ჯგუფი* (*უსულო* — მეტაფორიზაციით): ხაყა (ზს., ქს.) „ჰყავს"** ;
- ***რა ჯგუფი* (*უსულო*): ხუღჳა (ზს., ლნტ., ჩოლ.), ხუჳა (ლშხ.) „აქვს"** ...

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სივრცული ლოკაციის აღმნიშვნელი სემანტიკური ველის შიგნით სვანურში, თანამედროვე მეტყველების მიხედვით, რელევანტურია დაპირისპირება როგორც *ვინ ჯგუფის* (*პიროვნების, ადამიანის*) სახელებში, ისე *რა ჯგუფის* (*სულიერი და უსულო*) სახელებს შორის.

ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები კი, რომლებიც ძალზე ხშირად მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს ენაცვლებიან, ნაწილდება სულიერსა და უსულო საგნებს (resp. ობიექტებს) შორის, ანუ გამოხატავენ დაპირისპირებას ცოცხალსა და არაცოცხალს შორის, თუმცა გამონაკლისები აქაც იჩენს თავს, კერძოდ, **ხორი** „ჰყავს, უვის" და **ხაყა** „ჰყავს" ზმნები ზოგ დიალექტში სულიერის პარალელურად არაცოცხალ ობიექტებსაც მიემართება, რაც, ჩვენი აზრით, შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს სვანურში. ე. წ. სემანტიკური დაპირისპირების რეალიზაცია ზოგ შემთხვევაში მოშლილია, რასაც მასალის ანალიზიც ცხადყოფს.

როგორც მრავალფეროვან ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ამა თუ იმ ობიექტის მდებარეობის აღმნიშვნელ (**ხო̄გ** „უდგას", **ხო̄ზ** „უძევს") პრედიკატებს „მქონებლობის" აღმნიშვნელი ძირითადი ზმნები (**ხუღჳა** „აქვს", **ხორი** „ჰყავს („უვის")", **ხაყა** „ჰყავს") ენაცვლება, რაც, ვფიქრობთ, უძველეს ვითარებას ასახავს. ამის თქმის საფუძველს კი გვაძლევს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1954 წელს გ. დეეტერსის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ verba habendi-ს რიგის ჰ ყ ა ვ ს და ა ქ უ ს ზმნებს ძველ ქართულშივე ენაცვლება სინონიმთა ფართო წყება. კერძოდ, ძველ ქართულში „ქონა-ყოლის" მნიშვნელობით გამოიყენება სტატიკური სემანტიკის მქონე (*დგას, წევს, ზის, ძეს, აბია* და ა. შ.) ზმნათა ე. წ. „საზედაოსა" და სასხვისო ქცევის ფორმები: *მადგს, მიდგს, მიც* (**მიძს*), *მაბს / მიბს, მივის, მისხენან* და სხვ. უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ ძველი ქართულისებური ვითარება დაჩნდება სვანურშიც.

ლჷგ „დგას" ზმნის მაქცევრიანი (მარკირებული) **ხა̈გ** „ადგას", **ხო̄გ** „უდგას" ფორმები, რომლებიც ამა თუ იმ ობიექტის სივრცულ მიმართებას ასახავენ, ამოსავალში, როგორც ჩანს, ქონა-ყოლის მნიშვნელობით გამოიყენებოდა (**ფა̈თჳ ხაგ** „თმა ადგას = თმა აქვს", **თანაფგლა̈რ ხაგ** „წამწამები ადგას = წამწამები აქვს"; **ლიც ხოგ** „წყალი უდგას = წყალი აქვს", **ღჳინა̈ლ ხოგ** „ღვინო უდგას = ღვინო აქვს" და ა. შ.), რასაც ადასტურებს ზოგიერთ დიალექტში **ხა̈გ** „ადგას", **ხო̄გ** „უდგას" ფორმათა ჩანაცვლება ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნებით (მაგ., შდრ., ერთის მხრივ, ბქ. **ნექჳა̈რ ხაგ** „წარბები ადგას" და, მეორე მხრივ, ლშხ. **ნიქჳა ხა̈რ** „წარბი აქვს"...). ვფიქრობთ, საქცეო სისტემის მარკირებულ წევრებს (**ხა̈გ** „ადგას", **ხო̄გ** „უდგას", **ხო̄ზ** „უძევს", **ხა̈ზ** „აძევს" და ა. შ.) სვანურშიც, ძველი ქართულის მსგავსად, მქონებლობის სემანტიკა გააჩნიათ.

ხა̈გ „ადგას", **ხო̄გ** „უდგას" ფორმები გრამატიკული სუბიექტის სათანადო რეფერენტების (*სომატური სახელები, ნათესაობის სახელები, ქონების სახელები*) მიხედვით ასეა გადანაწილებული სვანურში: **ხა̈გ** „ადგას" გვაქვს მაშინ, როცა მორფოლოგიური სუბიექტი ადამიანის ან ცხოველის სხეულის რაიმე ნაწილს შეადგენს, მაგ.: **ხა̈გ: ფა̈თჳ, ნექჳა, თანაფგლა̈რ, ყაბ, ჩა̈რჩ, მუჭჳა̈რ** „ადგას: თმა, წარბი, წამწამები, წვერი, სამგლოვიარო წვერი, რქები" (შდრ. ძვ. ქართ. **ადგს** თავი, პირი, ცხჳრი, თუალი, ყური, ჴელი, ფერჴი, მუცელი, რქაჲ — იხ. ი. იმნ., ვ. იმნ., II, 507), აგრეთვე მაშინაც, როდესაც, ძველი ქართულის მსგავსად, ერთ-ერთი ამათგანის (განსაკუთრებით, თ ა ვ ი ს) საჭიროებისათვის არის დანიშნული (მაგ.,

ფაყჳ ხაგ „ქუდი ადგას“...), სხვა გარეშე საგნების მქონებლობა კი სასხვისო ქცევის ფორმით აღინიშნება, მაგ.: **ხოგ: ქორ, მურყჳამ, ლაპჳმი, სა̈ჳ.., ფოლექ, ქინძისთაჳ.., ლიც, ღჳინა̈ლ, თჳი, სგიმ**... „უდგას: სახლი, კოშკი, ეკლესია, მარხილი.., ღილი, ქინძისთავი.., წყალი, ღვინო, თაფლი, მჟავე წყალი“, მაგრამ არა **ხეხჳ** „ცოლი“, **ღოლა̈ქ** „ცხვარი“, **ჯა̈ნ** „ხარი“, **ჟეღ** „ძაღლი“ და ა. შ., ძველი ქართულის მსგავსად. აღნიშნულ სისტემაში ა- ხმოვანპრეფიქსი სვანურშიც ორგანული კუთვნილების აფიქსად გვევლინება, ო-კი — არაორგანულისა.

როგორც უკვე ითქვა, სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში ამა თუ იმ ობიექტის მდებარეობის აღმნიშვნელ (**ხო̄გ** „უდგას“, **ხო̄ზ** „უძევს“) პრედიკატებს „მქონებლობის“ აღმნიშვნელი ძირითადი ზმნები (**ხუღჳა** „აქვს“, **ხორი** „ჰყავს („უვის“)“, **ხაყა** „ჰყავს“) ენაცვლება. **ხუღჳა** „აქვს“ უსულო საგნის (ანუ ნივთის) მქონებლობას გამოხატავს, **ხაყა** „ჰყავს“ კი მყოფობა-მქონებლობას[1]. რაც შეეხება **ხორი** „ჰყავს („უვის“)“[2] მაქცევრიან (მარკირებულ) ზმნას, მისი სემანტიკური განაწილება სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ბალსზემოურში **ხორი** „ჰყავს („უვის“)“ მიემართება როგორც სულიერს (**გეზალ ხო̄რი** „შვილი ჰყავს“, **ფირჳ ხო̄რი** „ძროხა ჰყავს“...), ისე უსულოსაც (**დია̈რ ხო̄რი** „პური აქვს“, **ლერექჳ ხო̄რი** „ტანსაცმელი აქვს“...), ბალსქვემოურში კი მხოლოდ სულიერს მიემართება (**გეზალ ხორი** „შვილი ჰყავს“, **ჳეთხჳმალ ხორი** „საქონელი ჰყავს“...), ლენტეხურში, სადაც მისი გამოყენების შემთხვევები იშვიათობას წარმოადგენს, სულიერსაც (**ხოჩა დენა ხორი**[3] „კარგი გოგო ჰყავს“) მიემართება და უსულოსაც (**წიკანტარ ხორი ჯადისა** „ნაწლავები აქვს („უვის“) მუცელში“). ჩოლურულში, როგორც ზემოთ ითქვა, აღნიშნული ზმნის სემანტიკური შესაძლებლობანი საკმაოდ შეზღუდულია, გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი მწერის „*მყოფობის*“ გამოსახატავად (ე. ი. რელიქტის სახით არის შემორჩენილი). ლაშხურში კი აღნიშნული ზმნის ხმარების შემთხვევები არც ტექსტებში და არც თანამედროვე მეტყველებაში არ დასტურდება და მას თითქმის ყველგან (სულიერთანაც და უსულოსთანაც) ენაცვლება **ხაყა** „ჰყავს“ ზმნა. იგივე ზმნა **ხორი** „ჰყავს“ ზმნას ხშირად ენაცვლება სვანური ენის სხვა დიალექტებშიც. ერთადერთი გამონაკლისია ბალსქვემოური, სადაც სულიერის ყოლის მნიშვნელობით **ხორი** „ჰყავს“ ფორმაა გავრცელებული და **ხაყა** „ჰყავს“ სხვა კონტექსტში გამოიყენება, კერძოდ, როცა საუბარია რა ჯგუფის სახელების (მაგ.: **მანქანა ხაყა** „მანქანა ჰყავს“, **ჯანა̈რ ამეჩუ ხაყა** „ხარები აქ ჰყავს“, **ჳეთხჳმალ ლახჳს ხაყა** „საქონელი მთაში ჰყავს“ და ა. შ.) ქონა-ყოლაზე.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ვ. ბოედერის დამოწმებით მითითებულია, რომ „გამოთქმაში **მაგჳა̈რდ ჯირი ბოფშა̈რ** „როგორ გყავს ბავშვები?“ — *მყავს* ჩართვა დაუშვებელია“ (ლოლაძე 2005:189). თუ ბალსქვემოური დიალექტის მასალა იგულისხმება, მაშინ ეს მითითება საფუძველს მოკლებული არაა, თუმცა იმავეს სხვა დიალექტებზე ვერ ვიტყვით, რადგან **ხორი** „ჰყავს“ ზმნას ყველგან **ხაყა** „ჰყავს“ ენაცვლება.

უვის ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელთა (**ღვთისა და ადამიანის**) ყოლას აღნიშნავდა (შენგელია 2006:90), ხოლო ს.-ს. ორბელიანის მოღვაწეობის ეპოქაში, **ჰყავს** და ესუა

---

[1] გ. დეეტერსი ძველ ქართულ ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნებში სულიერისა და უსულოს დაპირისპირებას ხედავდა (დეეტერსი 1954:113-115), რაც ვ. შენგელიას აზრით, არ არის მართებული, ვინაიდან ძველ ქართულში არ არის დადასტურებული **ჰყავს** ზმნის ცხოველის ყოლის აღსანიშნავად ხმარების შემთხვევა. მისი აზრით, ეს ზმნა მხოლოდ *ვინ* ჯგუფის სახელთა ყოლას გამოხატავდა (შენგელია 2006:92), სვანურში კი (**ხაყა** „ჰყავს“) — სულიერი საგნის ყოლას (შენგელია 2006:112). ზოგიერთი არაცოცხალი საგნის (*ურემი, მანქანა, ფაეტონი, ველოსიპედი*..., შდრ., ასევე, სვან. **ხაყა ალას ფა̈ეტონ**, მიჩა საკუთა̈რ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 113:13) „ამას ჰყავს ფაეტონი“; ბქ., **მანქანა ხაყა** „მანქანა ჰყავს“, **ჰა̈ეროპლა̈ნ ხაყა** „თვითმფრინავი ჰყავს“ და ა. შ.) მიმართ იმავე ზმნის გამოყენება აიხსნება აღნიშნულ საგანთა (*როგორც მოძრავი ობიექტების*) ცოცხალ საგნებთან გათანაბრებით. ადამიანის სხეულის ნაწილების სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი **ხაყა** კი, რომელიც „აბია“-ს მნიშვნელობით დასტურდება, ჩვენი დაკვირვებით, უდრის *აქვს* ზმნას.

[2] აღნიშნული ზმნის საქცევო სისტემის მეორე და მესამე პირი (მ-ი-რ-ი „მყავს („მივის“)“, ჯ-ი-რ-ი „გყავს („გივის“)“ ი- ხმოვანპრეფიქსიანია და ასახავს სათავისო ქცევას.

[3] მაგრამ უფრო გავრცელებულია **ხაყა** „ჰყავს“ პრედიკატი.

ზმნების მსგავსად, მნიშვნელობა უკვე გაფართოებული ჰქონდა და ადამიანის ყოლასთან ერთად ცხოველის ყოლასაც აღნიშნავდა (იქვე:91). საინტერესოა რა ვითარებას ასახავს სვანური **ხორი** „ჰყავს („უვის")", ახალს თუ ძველს? ვფიქრობთ, აღნიშნული ზმნის სემანტიკური განაწილება სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში შედარებით ახალი ვითარების ამსახველია, რაზეც მეტყველებს **ხორი** „ჰყავს („უვის")" ზმნის გაფართოებული მნიშვნელობა (**ადამიანისა** და **ცხოველის** ყოლის აღნიშვნა ბალსქვემოურში და **სულიერთან** ერთად **უსულო საგნის** „მქონებლობის" გამოხატვა ბალსზემოურში, ნაწილობრივ კი ლენტეხურში). ბალსქვემოური მეტნაკლებად ინარჩუნებს არქაულობას, თუმცა ვერც ამ დიალექტში დადასტურებულ ვითარებას მივიჩნევთ ძველისძველად, რადგან ნებისმიერ სულიერს მიემართება, ბალსზემოური კი ინოვაციისკენ მიისწრაფვის. ქვემოსვანურ დიალექტებში, როგორც მრავალგზის ითქვა, მისი გამოყენების არე შეზღუდულია და არის იმისი საფუძველი, რომ თანდათან გადავიდეს ხმარებიდან.

სულიერება-უსულობის მიხედვით არსებობისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა განაწილება სვანურში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ძლიერი ტენდენციის ხასიათს ატარებს და არა დასრულებული ენობრივი ფაქტისა" (ლოლაძე 2005:189), რასაც მრავალფეროვანი მასალის ანალიზიც ადასტურებს, თუმცა ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანი სივრცული ლოკალიზაციის გამომხატველი ზმნების ანალიზი იყო სვანურის ყველა დიალექტისა და ზოგი კილოკავის მონაცემთა გათვალისწინებით[1].

დასკვნა

როგორც სვანური მრავალფეროვანი ემპირიული მასალის სისტემურმა აღწერამ და სინქრონიულმა კვლევამ ცხადყო, სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაცია როგორც ლინგვისტური, ისე კოგნიტიური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნების შესწავლამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა სივრცული აღქმის კანონზომიერებანი, ცნებათა სისტემა, რომლის საშუალებითაც ადამიანი შეიმეცნებს სამყაროს. ცნობილია, რომ სხვადასხვა ენაში ამ მიმართებების რეალიზაცია განსხვავებულია, უფრო მეტიც, სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაცია განსხვავებულია თვით ერთი ენის შიგნით დიალექტ-კილოკავთა დონეზეც კი, რაც ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა ზმნის სისტემისა და ისტორიის თვალსაზრისით. ჩვენი დაკვირვებით, სვანური ენის დიალექტ-კილოკავები ამა თუ იმ ობიექტის მდებარეობის აღნიშვნისას გარკვეულ დიფერენცირებას ახდენენ და ერთი და იგივე ლოკატიური მდგომარეობა უმეტესად სხვადასხვა (კერძოდ, **სივრცული ლოკალიზაციისა** და **ქონა-ყონის**) პრედიკატით აღიწერება, იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის ობიექტზე არის საუბარი. მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნების მეშვეობით კი გარკვეულწილად ხდება საგნობრივი ლექსიკის კლასიფიცირება. ვფიქრობთ, სვანურს (თავისი უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნებით) ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ქართველურ ენათა შორის.

[1] აღნიშნულ საკითხზე მუშაობის გაგრძელება სამომავლოდ ივარაუდება.

9. მასალები სვანური ტოპონიმიკური ლექსიკონისათვის

ტოპონიმიკა, როგორც ცნობილია, ონომასტიკის ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტრუქტურას, განსაზღვრავს მათ წარმომავლობასა და ენობრივ კუთვნილებას, აგრეთვე, მათ სემანტიკასა და ეტიმოლოგიას. ტოპონიმებში, როგორც ენის განვითარების ამსახველ ერთეულებში, შენახულია არა მხოლოდ არქაული, არამედ დიალექტური ლექსიკა და სუბსტრატის კვალი. ტოპონიმიკური ძიება, როგორც ცნობილია, საკუთრივ ენათმეცნიერულ ინტერესთან ერთად, ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას...

განსაკუთრებით საინტერესოა უმწერლობო ქართველურ ენათა მრავალფეროვანი ტოპონიმიკური მასალის როგორც აღწერა, ასევე ამ მასალის სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი. სვანური ენის მონაცემები ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია.

ამჯერად წარმოვადგენთ ჩვენ მიერ წლების განმავლობაში მოპოვებულ ბალსქვემოურ, კერძოდ, სოფელ ცხუმარის შვიდივე უბნისა (სვიფი, ღვებალდი, ტვიბერი, ლეზგარა, მაგარდელი, ლაფსყალდი, ჰალაში) და სოფელ ფარის თორმეტივე უბნის (საკუთრივ ფარი, სვიფი, კაცხი, ზაგარი, ლამხერი, ზედა ლუჰა, ქვედა ლუჰა, ლაყვრი, ღეშდერი, ფალედი, ხოსრარი, ყვანა) ტოპონიმიკურ მასალას.

9. 1. სოფელ ცხუმარის ტოპონიმია

სოფელ ცხუმარის ტერიტორიაზე, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის საფუძველზე, აღირიცხება 350 ტოპონიმი.

ცხუმარის ტოპონიმიურ მასალაში ტოპონიმთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

- **უაფიქსო, მარტივი სახელები**
- **აფიქსებით ნაწარმოები: ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები, გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები**
- **სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)**
- **ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები**
- **მცენარეთა კრებულის სახელები**
- **წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები**
- **უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები**

• უაფიქსო, მარტივი სახელები

აღწერითი თვალსაზრისით მარტივი სახელები, რომელთაც მაწარმოებელი არ გააჩნიათ, ძირითადად, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, ტოპონიმის ფუძედ აღებულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ მიმღეობა.

არსებითი სახელი: **ტობ** „ტბა", **ბარჯ** „მხარი, ბეჭი", **ფოშდელ** „წივანა", **ჰუერუ** „კვარცი", **ლჵცხნირ** „სავარცხელი", **სჷიფ** „მოედანი, საკრებულო".

ზედსართავი სახელი: **კუდჵ** „მოკლე", **ჯოდილ** „მოგრძო", **წჷრან** „წითელი", **ჰჵლ** „მხარი (ჰჵლ საზომი ერთეულია სვანურში = ორივე გაშლილ ხელს)", **მანჭარა** „ჩამწკრივებული", **თეთელ** „თეთრი კლდე", **მოლ** „გაკაფული". ტოპონიმთა ამ ტიპში, როგორც ჩანს, მსაზღვრელი სახელი ქცეულია დამოუ-

კიდებელ გეოგრაფიულ სახელად. მაგ.: **თოგორა̈** < **თოგორა̈ კოჯ** „წვეტიანი კლდე“, **წგრან** < **წგრანი ჟერ** „წითელი მიწა“. რამდენადაც ზედსართავი სახელები ამ შემთხვევაში ტოპონიმური სახელების დანიშნულებას ასრულებენ, ამდენად, ისინი გაარსებითებულ სახელებად გვევლინებიან. ასეთი სახელები მრავლად მოიპოვება ცხუმარის ტოპონიმიაში (შდრ. საზოგადო სახელი **თოგორა̈** „წვეტიანი“, რომელიც ზედსართავია, და საკუთარი სახელი, ტოპონიმი **თოგორა̈**, რომელიც უკვე გაარსებითებულია).

• აფიქსებით ნაწარმოები სახელები

ა) **პრეფიქსით ნაწარმოები სახელები.** ცხუმარის ტოპონიმიაში გვხვდება **ლა-** და **ას-** პრეფიქსით ნაწარმოები სახელები. მაგ.: **ლაღარ** „საღარე“, **ლაკუნ** „საკვერნე“, **ლაბულ** „სამტვერე“, **ლა̈ხილ** „სახილე“, **ლატა̈ფ** „საფერდე“ (შდრ., ასევე, **ტელეფი** „მთის ღოლო“, **ტელა̈ფ** „დერეფანი“), **ასქართ** „სათალგამო“ და ა. შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ **ას-** პრეფიქსით ნაწარმოები სხვა ტოპონიმი ვერსად ვერ დავაფიქსირეთ;

ბ) **სუფიქსით ნაწარმოები სახელები:**

-ელ: **შდუგრელ** „სათაგვე“, **სა̈რკელ** „სარკიანი, სარკესავით სუფთა, პრიალა მიწა“

გ) **თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სახელები:**

ლა- — -ა: **ლამგუშკა** „საჰიანჭველო“, **ლატობა** „დასატბორი“, **ლაჩუმა** „სასაქმო“, **ლაყარა** „საყავრია“, **ლა̈შერა** „სალესი“, **ლაშდაულა** „სამერცხლე“, **ლალქანა** „საკანაფე“, **ლახუბაშრა** „საძმო“ და სხვ.

ლა- — -ა̈რ: **ლაგუნია̈რ** „სატირალი“, **ლაშგალა̈რ** „ჩამოსაწველი“, **ლა̈ჭბიდალა̈რ** „დასამწყვდევი“, **ლა̈შუმინა̈რ** „დასასვენებელი“

ლა- — -ა̈რ (ი): **ლაღუნა̈რი** „სახბორე“

ლა- — -ერ (ი): **ლაგუჭერი** „საწაბლე“

ლა̈- — -ილ: **ლა̈თკერილ** „სანაკერჩხლე“

ლე- — -ინ (ი): **ლეშგუდინი** „საჩრდილობელი“

სა — ა̈ნ(ი): **საქრა̈ნი** „სასრიალო“

მა — ელ: **მაგარდელ** „მრგვალნარი“.

• სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმებია: **პაპაროზ** „მღვდლის სათიბი“; **კირისოტა̈რ** „კირის სვეტები“. აღნიშნული ფუძეგანსხვავებული კომპოზიტების პირველი წევრი ბრუნვაში დგას, თუმცა, საერთო წესის თანახმად, მოკვეცილია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული (**-იშ**) თანხმოვნითი ელემენტი **-შ** (**პაპაროზ** < **პაპა̈შ როზ**, **კირისოტა̈რ** < **კირიშ სოტა̈რ**).

წარმოების მხრივ კი სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში ორი ჯგუფი გამოიყოფა, ესენია:

ა) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები: **ჯუედი ლარა** „გრძელი სათიბი“, **ჰუიწ ზაგა̈რ** „საყელო გორა“, **ლგვა̈ნ ზაგა̈რ** „მოხნული გორა“, **წგრნი ქურა** „წითელი ყამირი“

ბ) მართულმსაზღვრელიანი სახელები: **ატოშ კალ** „ატოს ეზო“, **ბათგრიშ ლა̈ჭმოლ** „ბათურის სათიბები“, **პაპა̈შ ლარა** „მღვდლის სათიბი“, **მეგნია̈შიშ დაბ** „ღამისმთეველთა ყანა“.

• ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები

ცხუმარის ტოპონიმიაში დიდი რაოდენობით დასტურდება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი:

ა) **კა̈ცხ** „წვერი“, **გორა̈გ** „გორა“, **კუდა̈** „მოკლე“, **ლა̈ცგა** „ბილიკი“, **ნაკ** „ვაკე“, **ლატა̈ფ** „ფერდობი“ და სხვ.

ბ) **წყლის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელები: გოტრეშ** „გოტრესისა (ადგილი, სადაც წყარო მოედინება)“, **ლა̈იშ** „დასალევი“, **ლატობა** „დასატბორი“, **ლახჳბაშრა** „ღელე, მდინარე“, **მგჰლა̈შ** „გუბურა“, **წჳიდილდ** „წყარო, **მანჩხაფ** „ჩანჩქერი“

გ) **მცენარეული საფარის აღმნიშვნელი სახელები.** რიგი ტოპონიმი პირდაპირ მცენარის სახელს აღნიშნავს, ზოგ ტოპონიმში კი აღნიშნულია ადგილი, რომელიც ამა თუ იმ ჯიშის მცენარეული საფარითაა დაფარული, მაგ.: **ასქართ** „სათალგამო“, **ერხალდ** „ვერხვნარი“, **კაკა̈რ** „ნიგვზნარი“, **ლაგჳჯერი** „წაბლნარი“, **ლა̈თკერილ** „ბოკვნარი“, **ლა̈კცილდ** „საკენკეშო“, **ლებურღჳა̈შ** „საბუერე“, **მესგლდა̈შ** „შვრიისა“, **ფეტჳრა̈რ** „ფეტვნარი“

დ) **ტოპონიმები, რომლებიც სხვადასხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობა-გამოყენებაზე მიუთითებენ: თეთელ** „თეთრი კლდე (სადაც კირს ამუშავებდნენ)“, **თრა̈რ** „წითელი მიწა (რომელსაც იყენებდნენ სვანური „მარჩუბების“ მოსაწყობად)“, **ჰყერჳ** „კვარცი“, **კა** „ფიქალი ქვა, კლდე“

ე) **ამა თუ იმ ადგილზე ცხოველთა და ფრინველთა სახელების შემცველი ტოპონიმები: ლაკუნ** „საკვერნე“, **ლაუღულდ** „სახბორე“, **ლამგშკა** „საჰიანჭველო“, **ლაღჳნა̈რი** „სახბორე“, **ლაღჳაშ** „საჯიხვე“, **ლაშდალჳა** „სამერცხლე“, **ლეფურ** „საძროხე“, **შდუგჳრელ** „სათაგვე“, **შყა̈ყოლა̈რ** „სამეწყრე“, **ჰჳა̈რილდ** „საყვავო“ და ა. შ.

ვ) **საანალიზო მასალაში გამოიყოფა ტოპონიმების ერთი ნაწილი, რომლებიც უკავშირდება ადამიანთა სახელს ან გვარს,** ე. ი. გვარი ან სახელია გამოყენებული მატოპონიმებლად. ასეთი ტოპონიმები მრავლად მოგვეპოვება, ესენია: **ესპლა̈ნი** „ესპლანისანი“, **თამარშა̈ნი** „თამარისანი“, **ჯაჰჳლა̈ნი** „ჯაჰულანისანი“, **მილდა̈ნი** „მილდანისა“, **საღლა̈ნი** „საღლანისა“, **გენგესა̈ნი** „გენგესანისა“, **რატა̈ნი** „რატანისანი“, **ოღლა̈ნი** „ოღლანისანი“, **ყუბუშა̈ნი** „ყუბუსანისა“, **ფირცხლა̈ნი** „ფირცხელისანი“ და ა. შ.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელ ტოპონიმთა ერთი ნაწილი ბრუნვის ნიშნებითაა ნაწარმოები, ნაწილი კი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსებით, შესაბამისად გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ა) **ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები სახელები.** ამგვარ სახელებში ბრუნვის ნიშნად წარმოგვიდგება: **-შ, -ა̈შ, -იშ, -ეშ, -ემ.** მაგ.: **პაპა̈შ** „მღვდლისა“, **ატოშ** „ატოსი“, **ქჳინილდა̈შ** „სულისა“, **სა̈რგჲა̈შ** „წყაროისა“, **მგჷერა̈შ** „მახარობლისა“, **ლაფსყალდა̈შ** „ლაფსყალდისა“, **მგჰა̈შ** „გუბისა“, **ცხჳიმლა̈შ-‖ცხუმლა̈შ** „რცხილნარისა“, **ბეჩა̈შ** „ქვისა“; **ჰადჳიშ** „მუცლისა“, **ტჳირბიშ** „სამტვერისა“, **თა̈რგლეჲშ** „მთავარანგელოზისა“, **მეგნია̈შიშ დაბ** „ღამის მთეველთა ყანა“; **ბაჩემ** „ქვისა“; **გოტრეშ** „გოტრისა (ისტ. ადგ.)“. როგორც ვხედავთ, აღნიშნული სუფიქსები მატოპონიმებელ სუფიქსებად არის ქცეული.

-ერ, -ა̈რ: -ერ, -ა̈რ სუფიქსი იგივეა წარმოშობით, რაც ქართულში კარგად ცნობილი ქონების სუფიქსი **-იერ.** სვანურში ორი ხმოვნის შეხვედრისას ერთის დაკარგვა და მეორის დაგრძელება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ გზით **-იერ** იქცევა **-ერ**-ად (**-იერ > -ჲერ > -ე̄რ**), იშვიათად კი მიიღება **-ო̄რ** (**-იერ > -ო̄რ**). შესაძლოა საზოგადო სახელებში **-იერ**-ს სვანურში ერთვოდა კიდევ მეორე სუფიქსი **ა**, რომლის მოკვეცისას წარმოიშობოდა უკანა მიმართულების უმლაუტი (**იერ — ა > ე̄რ — ა > ა̈რ**). მაგრამ ასეთი პროცესი, მ. ქალდანის აზრით, სავალდებულო არ არის, **ე** და **ა** ხმოვანთა მონაცვლეობა სვანურში უამისოდაც შესაძლებელია.

როგორც აღვნიშნეთ, **ერ** სვანურში მატოპონიმებელი სუფიქსია, რომელიც არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაში გამოიყოფა. მაგ.: **ლა̈ცერ** „სარწყავიანი“, **ტჳიბერ** „ღელიანი, ღელეთი“, **ფეტჳრა̈რ** „ფეტვიანი“, **ჯიჰა̈რ** „მუხიანი“ და სხვ.

ბ) **მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.** არა ერთი და ორი გეოგრაფიული სახელია წარმოების მიხედვით მრავლობითის ფორმა. ცხუმარის ტოპონიმიაში გვხვდება, ძირითადად, **-არ‖ა̈რ** სუფიქსით ნაწარმოები სახელები: **ჰიბა̈რ** „ჰაობები“, **კაჩა̈რ** „აღმართები“, **თხუმა̈რ** „თავები“, **კალა̈რ** „კალოები“.

• მცენარეთა კრებულის სახელები

სვანურში მოიპოვება სუფიქსი ერ, ა̈რ, რომელიც მნიშვნელობით უდრის ქართულ **ნარ||ნალ** სუფიქსს, ის დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ესა თუ ის მცენარე, მაგ.: **თეკერ** „ბოკვნარი“, **კაკა̈რ** „ნიგვზნარი“, **ჩირთა̈რ** „ბუჩქნარი“ და მისთ.

• წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

ცხუმარის ტოპონიმიაში დასტურდება შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: **დანიშნულების სახელები, წინა ვითარებისა, ქონებისა და კნინობით-ალერსობითი.**

ა) დანიშნულების სახელებს აწარმოებს შემდეგი პრეფიქს-სუფიქსები:

ლა-/ლა̈- — -ა: ლა̈-შდალჷ-ა „სამერცხლე“, **ლა-ლ-ქან-ა** „საბოსტნე, საკანაფე“, **ლა̈-ყჷდურ-ა** „საჩიხე“ და სხვ.

ლა- — -ა̈რ: ლა-შგალ-ა̈რ „ჩამოსაწველი“, **ლა̈-შჷმინ-ა̈რ** „დასასვენებელი“, **ლა̈-ჰბიდალ-ა̈რ** „დასამწყვდევი“ და ა. შ.

ლა-(ლა̈-): ლა-ბუღ „სამტვერე“, **ლა-ღჷაშ** „საჯიხვე“ და სხვ.

ლე- — -აშ: ლე-ბურღჷ-ა̈შ „საბუერე“, **ლე-ნჯბგრ** „სამხრე“(?)

ლე- — -ალდ: ლე-ცხჷ-ალდ „საისრე“; **ლე-: ლე-ფურ** „საძროხე“...

ბ) წინა ვითარების სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი **ნა- (ნა̈-) — -არ: ნანგმა̈რ** „ნამოსახლარი“, **ნა̈ლქორჷა̈რ** „ნაწისქვილარი“

გ) ქონების სუფიქსებით ნაწარმოები სახელები:

-ა̈რ: ცხგმა̈რ „რცხილიანი“ (შდრ. **ცხჷიმ||ცხჷიმრა**, ლშხ. **ცხუმ||ცხუმრა** „რცხილა“), **წილმა̈რ** „შხაპრიანი“, **ქართა̈რ** „თალგამიანი“

-ლი: ბეჩლი „ქვიანი“.

შენიშვნა: **ა̈რ||-ა̈რ** ქონების სუფიქსია, რომელიც უდრის ქართულ „იან“-ს;

დ) კნინობითის სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

-ილ: წიფრილ „წიფელუკა“, **ჟა̈ჰჷრილ** „არყუკა“, **კჷა̈ნჰილ** „კვერუკა“

-ილდ: ქჷიშილდ „ქვიშუკა“, **ჰჷემრილდ** „ბუჩქუკა“, **ლა̈კცილდ** „საკენკეშო“

-ულდ: ქურულდ „ყამირუკა, ნასვენი მიწა“, **ყორულდ** „კარუკა“

-ალდ: ერხალდ „ვერხვუკა“, **მეშხალდ** „შავუკა“, **ლეცხჷალდ** „საისრე“, **ლაფსყალდ** „სამარწყვე“. სოფლის სახელწოდება **ლაფსყალდ** იწარმოება **ლა-** თავსართის საშუალებით, **-ა** ბოლოსართი, რომელიც ჩვეულებრივ **ლა-** თავსართიან წარმოებას ახასიათებს, აქ უკვე მოკვეცილია. ფუძედ გვრჩება **ფსყალდ**, რომლისგანაც გამოიყოფა **ფსყ < ბსყ < ბა̈სყ** „მარწყვი“ ძირი. **ლა-ფსყ-ალდ** ტოპონიმის წარმომავლობა ასეთი უნდა იყოს: **ლა-ბსყ-ელდ-ა < *ლა-ბსყ-ილდ-ა < * ლა-ბა̈სყ-ილდ-ა** (ზ. ჭუმბურიძე)

-გლდ: ქართგლდ „თალგამუკა“, **ქორბგლდ** „სახლუკა“, **ცხინკგლდ** „პატარა კალათა“, **ტყაბგლდ** „სოკუკა“ (შდრ. სვან. **ტყუბულ||ბუტყულ** „სოკო“)

-იდ: მადბუნა̈ლიდ „მოჩუხჩუხე“, **ლალა̈ძდ** „სალილაო“.

ცხუმარის ტოპონიმიაში გამოიყოფა ასევე სიტყვათა ერთი საინტერესო სემანტიკური წრე, რომელიც ემთხვევა **ადამიანის ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილთა სახელებს**, ესენია: **ბარჯ** „მხარი“, **თხუმა̈რ** „თავები“, **ჰადჷიშ** „მუცლისა“...

გარდა ზემოთქმულისა, ცხუმარის ტოპონიმიაში გამოიყოფა შემდეგი **სემანტიკური ჯგუფები:**

ა) **საცხოვრებელ ადგილთა ამსახველი ტოპონიმია: ატოშ კალ** „ატოს კალო, ეზო“, **გუაშ ბაჷ** „გუას ნაკარვალი“, **ნა̈ნგმარ** „ნამოსახლარი“, **ჩაგაშ მურყჷამ** „ჩაგას კოშკი“ და სხვ.

ბ) **ნაგებობათა ამსახველი ტოპონიმია: ბეგიშე ნა̈მხჷირ** „ბეგისაანთ ნანგრევი“, **ნა̈კრილ** „ნაკარვალი“, **ნაქორა̈რ** „ნამოსახლარი“

გ) **ხელოსნობის ამსახველი ტოპონიმია: ლა̈შერა** „სალესი“, **ლენკერა** „საფიქალე“ (ადგილი, სადაც ჰრიდნენ ფიქალს კერიისთვის პურის გამოსაცხობად)

დ) **რელიგიის ამსახველი ტოპონიმია: კა̈ჩრიშ** „ალმართისა (**ჭგჷრა̈გ კა̈ჩრიშ** „კაჩრისის წმ. გიორგი“)“, **ლგცხტა̈შ** „სალოცავი, შესაწირი ადგილი“, **მუ̈ჩფია̈შ** „ნაეკლესიარი“, **მგხერიშ** „მახარობლისა“, **ტეხიშ** „ტეხისა (**ჭგჷრა̈გ ტეხშიშ** „ტეხიშის წმ. გიორგი“)“, **ფხაკუ̈ა̈შ** „ალმართისა (**ჭგჷრა̈გ ფხაკუ̈ა̈შ** „ფხაკვის წმ. გიორგი“)“

ე) **სამეურნეო ტოპონიმია: კალა̈რ** „კალოები“, **ლალქანა** „საბოსტნე, საკანაფე“, **ლა̈ცერ** „სარწყავი“, **ნაკლაუ̈ა̈რ** „ნაკალოები“, **ნალდბა̈რ** „ნაყანარი“, **ნა̈მექუ̈ა̈რ** „ნაზვინარი“.

- **უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები**

გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა სტრუქტურა დღეისათვის ვერ იხსნება და არც მათი სემანტიკაა ნათელი. ესენია: **ყუ̈ა̈ხი, ჰომა̈ნდი, იღი, გუ̈ა̈ნგუ̈, ლენჰყ, უ̈იტხირი** და ა. შ.

9. 2. სოფელ ფარის ტოპონიმია

სოფელი ფარიც ენგურის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია (თემია). მასში შედის თორმეტი პატარა სოფელი, ესენია: საკუთრივ ფარი, სვიფი, კაცხი, ზაგარი, ლამხერი, ზედა ლუჰა, ქვედა ლუჰა, ლაყვრი, ღეშდერი, ფალედი, ხოსრარი და ყვანა.

ფარის უძველესი სახელწოდებაა „**მა̈ჟუბჩუ̈**“, რომელიც გადმოცემის თანახმად სვანეთის დიდგვაროვანთა, დადეშქელიანების შერქმეულია.

აღნიშნულ სოფელში აღვრიცხეთ სულ 340 ტოპონიმი.

ფარის ტოპონიმიურ მასალაში ტოპონიმთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

- **უაფიქსო, მარტივი სახელები**
- **აფიქსებით ნაწარმოები: ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები, გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები**
- **სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)**
- **ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები**
- **მცენარეთა კრებულის სახელები**
- **წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები**
- **უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები.**

- **უაფიქსო, მარტივი სახელები**

მარტივი სახელები, რომლებშიც აღწერითი ანალიზის თვალსაზრისით მაწარმოებელი არ გამოიყოფა, ძირითადად, სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, ტოპონიმის ფუძედ აღებულია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი თუ მიმღეობა.

არსებითი სახელი: **სუ̈იფ** „მოედანი, საკრებულო“, **კა̈ცხ** „წვერო, თხემი“, **ზაგა̈რ** „გორა“, **ყუ̈ანა** „ყანა“, **ბაჯ** „ნაბიჯი“, **გარმაჰ** „ხატის სახელია“, **ბებან** „მსხალი“, **ქაშუ̈ეთ** „ქაშუეთი“, **აკლდამა** „აკლდამა“, **შგედ** „ჩრდილი“, **ქრისდე** „ქრისტე“, **ჰუ̈იწ** „საყელო“, **ბა̈რბოლ** „წმინდა ბარბარე“, **ჰიბ** „ჰაობი“, **აბა̈ნი** „მსხალი“ და ა. შ.

ზედსართავი სახელი: **ლგჰა** „მწიფე“, **ფალა** „ფლატე“, **ფა̈რ** „რუხი“.

- **აფიქსებით ნაწარმოები სახელები:**

ა) **პრეფიქსით ნაწარმოები სახელები.** ფარის ტოპონიმიაში გვხვდება სხვადასხვა პრეფიქსით ნაწარმოები სახელები:

ლა-: **ლამურყჷამ** „საკოშკე“, **ლაკა̈ჩ** „ასამაღლებელი“, **ლაკა̈ლ** „საკალოე, საეზოე“, **ლაღა̈რ** „საღარე“.

გვხვდება **სა-** პრეფიქსით ნაწარმოები ორიოდე სახელი: **საჭა̈ჷ** „სასხვისო, სახევე“, **სანგეჰ** „სამაგრო“.

გვაქვს, აგრეთვე, **ნა-** პრეფიქსით ნაწარმოები სახელებიც: **ნალჰჷამ** „ნაეკლესიარი“, **ნანგომ** „სახელი განუმარტავია“, **ნაქორ** „ნასახლარი“, **ნაწორ** „ნასისხლარი“.

ბ) **სუფიქსით ნაწარმოები სახელები:**

-ელ: **ცაგელ** „საეკლე“, **მუნყჷელ** „გასაყოფი“, **ჯოჰელ** „ეტიმოლოგიურად ნათელი არაა ჯოჰ-ძირის მნიშვნელობა“.

გ) **თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები სახელები:**

ლა- — **-ა**: **ლატბა** „სატბორე“, **ლაკარა** „საფიქალე“, **ლაჯარა** „საიფნე“, **ლა̈კჷშა** „მოსატეხი“, **ლაგალჷა** „საგალავნე“, **ლა̈სჷთა** „სათარი (შეშის ან თივის სათრევი ადგილი)“, **ლა̈ზგა** „სამოსახლო“

ლა- — **-ა̈რ**: **ლა̈ქჷშარ** „საქვიშე“, **ლატფა̈რ** „საფერდე“, **ლა̈სქარ** „საშეშე“

ლა- — **-ა̈რ(ი)**: **ლა̈ჯბერა̈რი** „სახელი განუმარტავია“

ლა- — **-ერ**: **ლამხერ** „საკვარო“

ლა- — **-ერ(ი)**: **ლაცგგერი** „საეკლე“

ლა- — **-ურ(ი)**: **ლა̈ცხკური** „სატყეო“

ლა- — **-ილ**: **ლალცომრილ** „საქონე“, **ლალჯილ** „დასატვირთი“, **ლაჰმუნილ** „საქერო“, **ლადბა̈შილ** „სადიდებო (ადგილი, სადაც უფლის სახელზე ლოცვას აღავლენენ)“, **ლაჷსგჷრილ** „საჯდომუკა“, **ლა̈ღდერილ** „საბარდნარო“, **ლა̈წჷრემილ** „სანიავო“

ლა̈- — **-ალ**: **ლა̈დეჷალ** „სადევო“, **ლახორკალ** „ცუდი გასავალი გზა“

ლა̈- — **-ელ(ი)**: **ლა̈წირჷელი** „სამწირველო“

ლა- — **-ა̈ნ(ი)**: **ლასტყრა̈ნი** „სატალახო“

ლა- — **-ალდ**: **ლაშხალდ** „დასაწვავი“, **ლამჟალდ** „სამზეო“, **ლა̈ქირჷალდ** „საქლიავო“, **ლაყარალდ** „საყავრია“, **ლა̈ზჷრალდ** „საკრებულო, თავშესაყრელი ადგილი“

ლა- — **-გლდ**: **ლათშგლდ** „საყველო“

ლა̈- — **-იდ**: **ლა̈ჯჰელიდ** „საიფნო“

ლა- — **-ა̈შ**: **ლატყამა̈შ** „სახელი განუმარტავია“

ლე- — **-ა**: **ლერახა** „ჩამონაშალი ქვების გროვა“

ლე- — **-ერ**: **ლეჩჰჷერ** „სამეწყრე“

ლე- — **-ერა**: **ლექჷშერა** „საქვიშნარო“

ლე- — **-ილ**: **ლებგა̈რილ** „საბეგრო“

ლგ- — **-ა**: **ლგხრამა** „გადაბუგული“, **ლგქგრთა** „შემოღობილი“

ნა- — **-ა̈რ**: **ნაღლაბა̈რ** „ნაღალატევი“, **ნაროგა̈რ** „ნაცერცვალი“, **ნაჩჷლა̈რ** „ნამეწყრალი“, **ნანცჷრა̈რ** „დანატოვარი“

ნა- — **-ირ**: **ნაძძაჷირ** „ნაძიძარი“

ნა- — **-ილ**: **ნასლეთილ** „ნაშვრიალი“

ნე- — **-ა̈რ**: **ნენკჷშა̈რ** „მოსატეხელი“, **ნენტყა̈რ** „სატალახო“, **ნენჯლა̈რ** „სახელი განუმარტავია“

ნე- — **-გლ**: **ნენტყრგლ** „სატალახო“

ნე- — **-ა̈შ**: **ნენგჷლა̈შ** „სანეხვისა“

მა- — **-იშ**: **მაცხკიშ** „ტყისა“.

• სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები)

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმებია: **ჩუბღა̈ლი** „ქვედა ღელე“, **ჟიბღა̈ლი** „ზედა ღელე“, **ორლაკა̈დ** „მიწის ასაღები“, **ჯგჷრნაჷა̈შ** „წმინდა გიორგისა“...

წარმოების მხრივ კი სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, ესენია:

1. **ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები:** **ყჷითელ ტობ** „ყვითელი ტბა“, **როკ ბაჩა̈რ** „სიპი ქვები“, **ჟიბე ჰა̈ჲშილ** „ზედა ჰაიში“, **ჩუბე ჰა̈ჲშილ** „ქვედა ჰაიში“, **მოლ ზაგა̈რ** „გაკაფული გორა“, **მეშხე კოჯა̈რ** „შავი კლდეები“, **ჟაბე ლგჰა** „ზედა ლუჰა“, **ჩჷაბე ლგჰა** „ქვედა ლუჰა“, **ჩჷაბე შგედ** „ქვედა შგედი (საჩრდილობელი)“, **ჟაბე შგედ** „ზედა შგედი (საჩრდილობელი)“, **ლაყლა ზაგა̈რ** „დასაძახებელი გორა“.

2. მართულმსაზღვრელიანი სახელები. აქ გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა) სახელები, სადაც ბრუნვის ნიშანი დაცულია: **სიგუგიშ ნაკ** „სიგუგის ვაკე“, **დაჰლა̈შ მუჰჷა̈რ** „თხის რქები“, **რაჰჷა̈შ სარა̈გ** „კურდღლის წყარო“, **ქაბა̈შ დაბ** „ქაბას ყანა“, **კაბერიშ ნა̈მშყედ** „კაბერის გადანავარდნი“, **ორბეთიშ ბა̈ჩ** „ორბეთის ქვა“...

ბ) სახელები, სადაც ბრუნვის ნიშანი დაკარგულია: **ლემინ ლაშთხჷი** „ლემინის სამარხი“, **ჷიცხილდ ზაგა̈რ** „მსხლის გორა“, **ჷა̈რგ ლა̈გნა** „ბატონის სადგომი“, **და̈ჷ ნაკ** „დევის ვაკე“, **ჯგჷრა̈გ სჷიფიშ** „სვიფის წმინდა გიორგი“, **სგიმ ზაგა̈რ** „მჟავეწყლის გორა“, **ჰაბგჷი ლარა** „ჰაბუკის სათიბი“...

• ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმები

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი ტოპონიმებია: **კა̈ცხ** „წვერო, თხემი“, **ზაგა̈რ** „გორა“, **ზაგლა̈დ** „გორაკი“, **ნაკა̈რ** „ვაკეები“, **გორა̈შ** „გორისა“, **ნაკგლდა̈რ** „ვაკეები“, **კოჯულდა̈რ** „კლდეები“, **კაჩრგლ** „მაღლობი“, **მოლ ზაგა̈რ** „გაკაფული გორა“, **კაჩგლდ** „მაღლობი“, **ფელტა̈რ** „ფლატეები“, **ლაცგგერი** „საბილიკო“...

ფარის ტოპონიმიაში ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელ ტოპონიმებში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი, ესენია:

ა) **საცხოვრებელ ადგილთა ამსახველი ტოპონიმია:** **ლა̈ზგა** „სამოსახლო“, **ბაჷა̈რ** „კარვები (ყანაში, ტყეში ან სხვაგან ღამის სათევი ნაგებობა, დროებითი საცხოვრებელი)“, **სიგუგიშ ნაკ** „სიგუგის ვაკე“...

ბ) **ნაგებობათა ამსახველი ტოპონიმია:** **ლამურყჷამ** „საკოშკო“, **ნანქორ** „ნასახლარი“, **ლაგალჷა** „საგალავნო“, **ქორა̈შ** „სახლისა“, **ქორა̈რ** „სახლები“, **ლექჷერა̈რ** „წისქვილები“...

გ) **ხელოსნობის ამსახველი ტოპონიმია:** **ლა̈კჷშა** „მოსატეხი“, **ორლაკა̈დ** „მიწის ასაღები“, **ჩეჲშ** „სპილენძისა“, **ჩელა̈რ** „სპილენძიანი“, **ლა̈ჯრება̈რი** „საჯერაბო (მასა, რომლითაც ღებავდნენ ტყავს)“, **ლაკარა** „საფიქალო“...

დ) **საკულტო ტოპონიმია:** **ქაშჷეთ** „ქაშუეთი“, **ნასლეთილ** „ხატის სახელია“, **ლა̈წირჷელი** „სამწირველო“, **გარმაჰ** „ხატის სახელია“, **კა̈ჲშ** „კაიშისა“, **ფინგლა̈შ** „სასაფლაო“, **მგრცხელა̈შ** „წმინდისა“, **მუჩჷფა̈შ** „მაცხოვრისა, ღვთაებისა“, **ბა̈რბოლ** „წმინდა ბარბარეს ნაეკლესიარი“, **ჯგჷრა̈გ სჷიფიშ** „სვიფის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია“, **ჯგჷრნაჷა̈შ** „წმინდა გიორგისა“, **შარლა̈ნი** „შალიანი“, **თა̈რგლეჲშ** „მთავარანგელოზისა“, **ინა̈შ** „იონასი“, **ნალჰჷამ** „ნაეკლესიარი“ და სხვ.

ე) **სამეურნეო ტოპონიმია:** **ლაჰმუნილ** „საქერო“, **ჰა̈ნდი** „სახნავი“, **დაბა̈რ** „ყანები“, **დაბერ** „საყანე“, **კალგლდა̈რ** „კალოები“...

ვ) **ჰიდრონიმები:** **ტჷიბა̈რ** „ღელეები“, **სგიმა̈რ** „მჟავე წყლები“, **მგრცხელა̈შ** „წმინდისა“, **სგიმ ზაგა̈რ** „მჟავე წყლის გორა“, **ჰიბილდა̈რ** „ჰაობები“, **ყჷითელ ტობ** „ყვითელი ტბა“, **ლატბა**

„დასატბორი“, **სარგა̈შ** „წყაროისა“, **წჷიდილდა̈რ** „წყაროები“, **ტობგლდა̈რ** „გუბურები“, **რაჭჷა̈შ სარა̈გ** „კურდღლის წყარო“, **ჰიბა̈რ** „ჰაობები“ და ა. შ.

ზ) **ცხოველთა და ფრინველთა სახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები:** **კუცა̈რ** „ჯიხვნარი“, **ღჷლა̈ნი** „ხბორებისანი“, **ლა̈ცხკური** „საკვერნე“, **ჟჷა̈ნიშა̈რ** „შურთხისანი“, **მამლა̈რ** „მალები“...

თ) გვხვდება, აგრეთვე, **ტოპონიმები, რომლებიც სხვადასხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობა-გამოყენებაზე მიუთითებენ:** **ჩედშ** „სპილენძისა“, **კარერა̈რ** „ფიქალები“, **ლაკარა** „საფიქალო“, **ჩელა̈რ** „სპილენძიანი“, **ორლაკა̈დ**[1] „მიწის ასაღები“...

ი) ფარის ტოპონიმიაში გამოიყოფა **ტოპონიმების ერთი ნაწილი, რომელიც უკავშირდება ადამიანთა სახელს ან გვარს,** ე. ი. გვარი ან სახელია გამოყენებული მატოპონიმებლად, ესენია: **სუმაშა̈ნი** „სუმასეული“, **რატა̈ნი** „სარატიანო“, **გუჯელა̈ნი** „გუჯელისანი“, **კურხჷა̈დშ** „კურხვაისა“, **გურბიშა̈ნი** „გურბისეული“, **ტელეშა̈ნი** „ტელესანი“, **უდელა̈ნი** „უდელისანი“, **გჷარმა̈ნი** „საგვარმიანო“, **პატოშა̈ნი** „პატოსეული“, **თოთოლა̈შ** „თოთლისანი“, **ჯაფრა̈ნი** „ჯაფრანისანი“ და ა. შ.

ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელ ტოპონიმთა ერთი ნაწილი სხვადასხვა ბრუნვის ნიშნითაა ნაწარმოები, ნაწილი კი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსებით, შესაბამისად გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ა) **-შ, -ა̈შ, -იშ, -ეშ, -ემ ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები სახელები:** **გოგეშ** „გოგესი“, **მგრცხელა̈შ** „წმინდისა“, **ჯგგრნაჷა̈შ** „წმინდა გიორგისა“, **ნესგა̈შ** „შუისა“, **ჯჷედა̈შ** „შორეულისა“, **რაჭჷა̈შ** „კურდღლისა“, **სარგა̈შ** „წყაროისა“, **ინა̈შ** „იონასი“, **მურჷჷა̈შ** „მაცხოვრისა“, **ქაბა̈შ** „ქაბასი“, **ბალა̈შ** „ბალისა“ (აქ -ა̈შ მატოპონიმებელი სუფიქსია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს), **თა̈რგლედშ** „მთავარანგელოზისა“, **ქათრიშ** „თალგამისა“, **ჩედშ** „სპილენძისა“, **მგჷა̈დშ** „მზისა“, **ზაგრიშ** „გორისა“, **სიგუგიშ** „სიგუგისა“, **კურხჷა̈დშ** „კურხვაისა“, **სტარმუნიშ** „ჯვარისა“, **ჰებრეშ** „ბლებისა“, ამ უკანასკნელში წარმოდგენილი -ეშ სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებსაც ხშირად აწარმოებს.

ბ) **მრავლობითი რიცხვის სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.** არა ერთი და ორი გეოგრაფიული სახელია წარმოების მიხედვით მრავლობითის ფორმა. ფარის ტოპონიმიაში გვხვდება ძირითადად -არ/-ა̈რ სუფიქსით ნაწარმოები სახელები: **ნაკა̈რ** „ვაკეები“, **ლექჷერა̈რ** „წისქვილები“, **ფელტა̈რ** „მაღლობები“, **ფათქა̈რ** „ორმოები“, **ყორა̈რ** „კარები“, **ქორა̈რ** „სახლები“, **დაბა̈რ** „ყანები“, **ჰიბა̈რ** „ჰაობები“, **ლარილა̈რ** „სათიბები“, **ლუმრა̈რ** „ნაძვები“, **ბაჷა̈რ** „კარვები“, **ტობგლდა̈რ** „ღელეები“, **ცხუმა̈რ** „რცხილიანი“, **ქოშა̈რ** „ქვიშიანი“, **ტყაბრა̈რ** „ტყავიანი“ (სვან. **ტყაბ** ← ზან. (მეგრ.) **ტყაბ** ე-ს ა-ში გადასვლით) და სხვ.

გვხვდება, ასევე, -ერ სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც. -ერ სვანურში მატოპონიმებელი სუფიქსია, რომელიც არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებაში გამოიყოფა. მაგ.: **კარერ** „ფიქალიანი“, **ღუაზერ** „ვაზიანი“...

• მცენარეთა კრებულის სახელები

სვანურში მოიპოვება სუფიქსი **-ერ/-ა̈რ**, რომელიც მნიშვნელობით უდრის ქართულ **-ნარ** (**-ნალ**) სუფიქსს, ის დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ესა თუ ის მცენარე, მაგ.: **ცხუმა̈რ** „რცხილნარი“, **ცა̈გდერ** „ეკლნარი“, **ლა̈ქირჷალდ** „საქლიავო“, **ლა̈ღდერილ** „საბარდო“, **ქართგლდ** „თალგამუკა“, **იფგლდ** „იფნუკა“, **განჭჷერა̈რ** „ანწლიანები“, **გგნწშა̈რ** „ტირიფნარი“, **წიფა̈რ** „წიფლნარი“, **წიფრულ** „წიფლუკა“, **გოგლგნდა̈რ** „ცირცელნარი“, **მელლა̈რ** „ბალახნარი“, **ნიჷრა̈ნი** „ნიორისანი“, **ჯიჰა̈რ** „მუხნარი“ და მისთ.

---

[1] ამ ადგილის მიწას იყენებდნენ სვანური მაჩუბების მოსაწყობად.

• წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები

ფარის ტოპონიმიაში დასტურდება შემდეგი სემანტიკური ჯგუფები: **დანიშნულების, წინა ვითარებისა, კნინობით-ალერსობითი და ქონების სახელები.**

ა) დანიშნულების სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი ლა- — -ა: **ლატბა** „სატბორე“, **ლაკარა** „საფიქალე“...

ლა- — -ა̈რ: **ლა̈ქჷშარ** „საქვიშნარო“, **ლატფა̈რ** „საფერდე“

ლა-/ლა̈-: **ლამურყჷამ** „საკოშკო“, **ლაკა̈ლ** „საკალოე“, **ლაღა̈რ** „საღარე“

ლე- — -ერ: **ლეჩჰჷერ** „სამეწყრე“

ლე- — -ილ: **ლებგა̈რილ** „საბეგრო“

ლე-: **ლესჷფელ** „სასოფლო“

ნე- — -ა̈რ: **ნენკჷშა̈რ** „სატეხები“

ნე- — -გლ: **ნენტყრგლ** „სატალახო“ და ა. შ.

ბ) წინა ვითარების სახელებს აწარმოებს პრეფიქს-სუფიქსი ნა-/ნა̈- — -არ: **ნაღლაბა̈რ** „ნაღალატევი“, **ნაროგა̈რ** „ნაცერცვალი“, **ნაჩჷლა̈რ** „ნამეწყრალი“...

გ) ქონების -ა̈რ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები: **ცხუმა̈რ** „რცხილიანი“, **ჟჷა̈ნიშა̈რ** „შურთხისანი“, **ტყაბრა̈რ** „ტყავიანი“, **ქოშა̈რ** „ქვიშიანი“ და სხვ.

დ) კნინობითის სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

-ილ: **ლარილ** „სათიბუკა“, **მგნკგრილ** „პრიალუკა“, **ძაგჷა̈ნილ** „ჯაგარუკა“, **გაბა̈ნილ** „სახელი განუმარტავია“, **ნეშილ** „სახელი განუმარტავია“...

-ულ: **წიფრულ** „წიფლუკა“, **მეხრულ** „ნგრევუკა (ანუ ადგილი, რომელიც მუდმივად ჩამოიშლება ხოლმე)“...

-გლ: **ჰინგრილ** „უნაგირუკა“, **ცალგმგლ** „კარაპანუკა, ცალმაგი“, **კაჩრგლ** „მაღლობუკა“, **მეშხგლ** „შავუკა“...

-ილდ: **ჷიცხილდ** „მსხალუკა“, **წჷიდილდ** „წყარუკა“...

-ულდ: **ყუჩულდ** „მოკლე, პატარა“...

-ალდ: **მეფხანალდ** „მოწმენდილუკა“, **ლა̈ქირჷალდ** „საქლიავო“, **ლაყარალდ** „საყავრია“...

-გლდ: **ქართგლდ** „თალგამუკა“, **კაჩგლდ** „მაღლობუკა“, **მგჰგლდ** „გუბურა“, **იფგლდ** „იფნუკა“, **რახგლდ** „ჩამონაშალი ქვების გროვა“...

-იდ: **მეჰელიდ** „საადრეო“...

-ა̈დ: **ზაგლა̈დ** „გორუკა“...

-გდ: **ზაგლგდ** „გორუკა“...

ფარის ტოპონიმიაში გამოიყოფა ერთი მეტად საინტერესო ტოპონიმი: **თხუმა̈რ** ზედმიწ. „თავები“. საყურადღებოა, აგრეთვე, **ბაჯ** „ნაბიჯი“...

• უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები

გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა სტრუქტურა დღეისათვის ვერ იხსნება და არც მათი სემანტიკაა ნათელი. ეს ტოპონიმებია: **ნეტყჷა̈დ, მუნჰჷჷ, კახგრ, დოფა, ჩარა̈რ, ლა̈სნაყელ, ნეშილ, ანჭგლ** და სხვ.

ვფიქრობთ, აღნიშნული მასალის როგორც აღწერა, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებს: ისტორიულ გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, მხარეთმცოდნეობას, არქეოლოგიას და ა. შ.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

აბაევი 1949 — В. И. Абаев, Осетинский язык и фолклор, т I, М-Л., 1949.

აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე 1991 — ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1991.

აბულაძე 2000 — ლ. აბულაძე, ლექსიკური სემანტიკის ისტორიიდან, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, თბილისი, 2000.

ანდრონიკაშვილი 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბილისი, 1966.

ანდრონიკაშვილი 1996 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. II, თბილისი, 1996.

არაბული 1999 — ა. არაბული, ერთი ტიპის სახელზმნური წარმოებისათვის ქართულში, XIX რესპ. დიალექტ. სამეცნიერო სესია, ახალციხე, თბილისი, 1999.

არაბული 2001 — ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001.

ახვლედიანი 1960 — Г. Ахвледиани, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тбилси, 1960.

ბარდაველიძე 1939 — ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1939

ბებია 2002 — ი. ბებია, საზომ-საწყაოს ლექსიკა მეგრულში, ქართველოლოგიური კრებული, I, თბილისი, 2002

ბოპი 1846 — Fr. Bopp, Über das Georgische in sprachverwadtschaftlicher Beziehung, Berlin, 1846

გაგუა 1986 — კ. გაგუა, ქართულიდან შესულ ლექსიკურ ერთეულთა ზოგი ცვლილებისათვის სვანურში, იკე, XXV, თბილისი, 1986.

გაზდელიანი 1988 — ე. გაზდელიანი, ზოგი სვანური რელიგიური ტერმინის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1988.

გაზდელიანი 2003 — ე. გაზდელიანი, ხმოვნის სიგრძის გენეზისისათვის ზოგ სვანურ ლექსემაში, ქართველოლოგიური კრებული, II, თბილისი, 2003.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.

გელენიძე 1974 — ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974.

გიგლემიანი 2006 — ლ. გიგლემიანი, ჰიდროლექსიკა ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2006.

გულედანი 1995 — ლ. გულედანი, გ ფონემის დისტრიბუციისათვის სვანურში (ანდაზების ენისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების მიხედვით), საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბილისი, 1995.

გუჯეჯიანი 1938 — მ. გუჯეჯიანი, საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ, ენიმკის მოამბე, ტ. IV3, თბილისი, 1938.

დავითიანი 2008 — ა. დავითიანი, გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, თბილისი, 2008.

დეეტერსი 1930 — G. Deeters, Das kartwelische Verbum, Leipzig, 1930.

დეეტერსი 1957 — G. Deeters, Bemerkungen zu K. Bouda's "Südkaukasisch-nordkaukasischen Etymologien": Sonderdruck aus Die Welt des Orients, 1957.

ერთელიშვილი 1970 — ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.

თანდილავა 2004 — ლ. თანდილავა, თურქული ლექსიკური ერთეულები ლაზურში, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004.

თოფურია 1927 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927.

თოფურია 1938 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, თსუ შრ. VII, თბილისი,1938.

თოფურია 1946 — ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, თბილისი, 1946.

თოფურია 1960 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკე, XII, თბილისი, 1960.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები, I, სვანური ენა, ზმნა, თბილისი, 1967.

თოფურია 1979 — ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, შრომები, III, თბილისი, 1979.

თოფურია 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი, 2002.

კლიმოვი 1965 — Г. А. Климов, Заимствованные числительные в общекартвельском. _ Этимология, Москва, 1965.

კოკოვი 1973 — Дж. Н. Коков, Вопросы адыгсой (черкесской) антропонимии, Нальчик, 1973.

ლოლაძე 2005 — ნ. ლოლაძე, არსებობისა და ქონა-ყოლის ზმნათა მიმართებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005.

ლოლაძე 2011 — ნ. ლოლაძე, სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIV, თბილისი, 2011.

ლოლაძე 2013 — ნ. ლოლაძე, „პოზიციური" პრედიკატები დგას, დევს/წევს, ზის (სემანტიკური ანალიზი), 72-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2013.

ლომთათიძე 1976 — ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი, 1976.

მაკალათია 1941 — ს. მაკალათია, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი, 1941.

მარგიანი 1998 — ქ. მარგიანი, სვანური ონომასტიკა, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1998.

მარი 1910 — Н. Марр, Грамматика чанскаго (лазскаго) языка, чанско-русский словарь, С.-Петербургъ, 1910.

მარი 1914 — Н. Я, Марр, Определение языка второй котегории Ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкознания, ЗВОРАО, т. XXII, вып. I-II, Санкт-Петербург, 1914.

მარი 1915 — Н. Я. Марр, Яфетические названия деревьев и растений, II, ИИАН, Санкт-Петербург, 1915.

მარი 1937 — ნ. მარი, ქართული ენათმეცნიერებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, თბილისი, 1937.

მარტიროსოვი 1941 — ა. მარტიროსოვი, ჰილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფიული და ფონეტიკური თავისებურებანი (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1941.

მაჭავარიანი 1965 — გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.

მელიქიშვილი 1999 — ი. მელიქიშვილი, ბგერწერითი ლექსიკისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, №5, თბილისი, 1999.

მილერი 1953 — Р. В. Миллер, Персидско-русский словарь, М., 1953.

ნიკოლაიშვილი 1984 — მ. ნიკოლაიშვილი, ხმოვანთა რედუქციის სტრუქტურული ანალიზი (სვანური ენის ბალსზემოური დიალექტის მასალაზე), თბილისი, 1984

ნიუმანი 2002 — J. Newman, A cross-linguistic overview of the posture verbs 'sit', 'stand' and 'lie', *The Linguistics of Sitting, Standing, and Lying*, (Amsterdam, 2002), s. 1-24.

ონიანი 1962 — ა. ონიანი, გრძელი ხმოვნების საკითხისათვის სვანურში, იკე, XIII, თბილისი, 1962.

ონიანი 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998.

ოსიძე 1987 — ე. ოსიძე, სვანური ენის ლექსიკის შესწავლისათვის ისტორიული თვალსაზრისით, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1987.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949.

ჟღენტი 1960 — ს. ჟღენტი, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, თბილისი, 1960.

რახილინა 1998 — Рахилина, Семантика русских «позиционных» предикатов: стоять, лежать, сидеть, висеть, *Вопросы Языкознания*, № 6., 1998.

როგავა 1952 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ფონეტიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის ძირითადი საკითხები, იკე, IV, თბილისი, 1952.

როგავა 1962 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1962.

როგავა 1987 — გ. როგავა, ზოგი ადიღური სიტყვა ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1987.

რუსაძე, ყიფიანი 2011 — ი. რუსაძე, ს. ყიფიანი, სომატური ლექსიკა, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXII, თბილისი, 2011

სანიკიძე 1976 — ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, IV, თბილისი, 1976.

სარჯველაძე 1971 — ზ. სარჯველაძე, **სულ** და **სუნ** ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის, სმამ, 62, №1, თბილისი, 1971.

საღლიანი 1995 — მ. საღლიანი, სიარულის, სმისა და ჭამის აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურში, სადიპლომო ნაშრომი, თბილისი, 1995.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ხმოვანთა რედუქცია სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005

საღლიანი 2004-2005 — მ. საღლიანი, ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი, 2004-2005.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2005.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 2008.

საღლიანი 2014 — მ. საღლიანი, ონომატოპოეტური სიტყვების შესახებ სვანურში, იკე, XLII, თბილისი, 2014.

სუხიშვილი 1970 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ძველ ქართულში, მაცნე 6 (57), საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, თბილისი, 1970.

სუხიშვილი 2005 — მ. სუხიშვილი, „მყოფობა" : „მქონებლობის" გამოხატვისათვის ძველი ქართულის საშუალი გვარის ზმნათა საქცეო სისტემაში", ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005.

ფოჩხუა 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.

ფენრიხი 1982a — H. Fähnrich, Kartwelischer wortschatz: Georgica, 5, Jena-Tbilissi, 1982a.

ფენრიხი 1998 — H. Fähnrich, Kartwelischer Wortchatz, VI: Georgica, 21, Konstanz, 1998.

ფხაკაძე 2007 — ფხაკაძე, არქაული ნასესხობანი საწყლე ჰურჰლის ტერმინოლოგიაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბილისი, 2007.

ქალდანი 1955 — მ. ქალდანი, სვანური ენის ლახამულური კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი, იკე, VII, თბილისი, 1955.

ქალდანი 1959 — მ. ქალდანი, სვანური ენის ჩუბეხეური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, თბილისი, 1959.

ქალდანი 1969 — მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბილისი, 1969.

ქერქაძე 1974 — რ. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974.

ქეცბაია 2005 — ნ. ქეცბაია, სამშენებლო ლექსიკა მეგრულში, ავტორეფერატი, თბილისი, 2005.

ქობალავა 1979 — ი. ქობალავა, მეგრული სიტყვაწარმოებიდან. — იკე, XXI, თბილისი, 1979.

ქობალავა 1980 — ი. ქობალავა, ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვების წარმოებისათვის ქართულში, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, V, თბილისი, 1980.

ქსძ. III, 1970 — ქართული სამართლის ძეგლები, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. III, თბილისი, 1970.

ყიფშიძე 1914 — ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამატიკა, ლექსიკონი — И. Кипшидзе, Грамматика мегрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПБ., 1914.

ყიფშიძე 1914 — И. Кипшидзе, "Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем": "Материалы по яфетическому языкознанию", VII, Санкт-Петерсбург, 1914.

შანიძე 1923-1924 — ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, თბილისი, 1923-1924.

შანიძე 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957.

შანიძე 1967 — მზ. შანიძე, ნეზვის ეტიმოლოგიისათვის, ორიონი, თბილისი, 1967.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.

შანიძე 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი III, თბილისი, 1980.

შენგელია 2006 — ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბილისი, 2006.

ჩანტლაძე 1998 — ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1998.

ჩარკვიანი 1967 — ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-ქართულ-მეგრული შედარებით ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ჩიქობავა 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბილისი, 1950.

ჩიქობავა 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952.

ჩიქობავა 1955 — არნ. ჩიქობავა, „ცეცხლი“ და „წითელი“ — საერთო ფუძის სიტყვები იბერიულ-კავკასიურ ენებში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955.

ჩუხუა 2004 — მ. ჩუხუა, პროტოიბერიული ლექსიკა ქართველურ ენებში, XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2004.

ცაგარელი 1880 — А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II, Санкт-Петербург, 1880.

ძიძიგური 1960 — შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი, 1960.

ძიძიშვილი 1960 — მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი, 1960.

წერეთელი 1947 — გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესიები, №1, მოხსენებათა კრებული, თბილისი, 1947.

ჭარაია 1895 — პ. ჭარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოამბე“, XII, თბილისი, 1895.

ჭკადუა 2007 — რ. ჭკადუა, „პირველად მასდართა“ წარმოების ერთი ტიპისათვის სვანურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი, 2007.

ჭკადუა 2011 — რ. ჭკადუა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ფუძედრეკად ზმნათაგან მიმღეობის წარმოებისათვის სვანურში, XXXIX, თბილისი, 2011.

ჭკადუა 2013 — რ. ჭკადუა, ზმნურ ფუძეთწარმოების პრინციპთა ურთიერთმიმართებისათვის სვანურში, იკე, XII, თბილისი, 2013.

ჭუმბურიძე 1964 — ზ. ჭუმბურიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 20, თბილისი, 1964.

ჭუმბურიძე 1987 — ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბილისი, 1987.

ჭუმბურიძე 1999 — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სული და შური, მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1999.

ჭუმბურიძე 2000 — ზ. ჭუმბურიძე, სვანური ქრისტიანული ტერმინოლოგიის შესწავლისათვის, ქუთაისური საუბრები, VII, ქუთაისი, 2000.

ხარაძე, რობაქიძე 1964 — რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბილისი, 1964.

ჯავახიშვილი 1925 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, თბილისი, 1925.

ჯავახიშვილი 1937 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.

ჯავახიშვილი 1996 — ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1996.

ჯანაშია 1949 — ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბილისი, 1949.

ჯანაშია 1959 — ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

ჯაფარიძე 1973 — გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბილისი, 1973.

ჯორბენაძე 1980 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980.

ბ) ლექსიკონები

აბაევი 1958-1989 — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I-IV, М.-Л., 1958-1989.

აბულაძე 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი,1973.

აჭარიანი 1926 — ჰრ. აჭარიანი, Этимологический коренной словарь армянского языка, т. I-VII, Ереван, 1926.

დეეტერსი 1954 — G. Deeters, "Haben" im Georgishen. _ Sprachgeschichte und Wortbedeutung. Festschrift Albert Debrunner, Bern., 1954.

დონდუა 2001 — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

იმნაიშვილი, იმნაიშვილი 1996 — ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, I, II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

კლიმოვი 1998 — G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New-Vork, 1998.

კლიმოვი 2003 — Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков (сопоставление основной лексики), Москва, 2003.

კლიმოვი, ხალილოვი 2003 — Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков (Сопоставление основной лексики), Москва, 2003.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994.

მაყაშვილი 1991 — ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი, 1991.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007.

ორბელიანი 1949 — ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.

სარჯველაძე 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

სარჯველაძე 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქაჯაია 2001 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 2001.

ქაჯაია 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 2002.

ქსე 1973 — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი, 1973.

ღლონტი 1984 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

შაგიროვი 1977 — А. К. Шагиров, Этимологический словарь адыгских (черкесской). I, Москва, 1977.

ჩიქობავა 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

გ) წყაროები

ონიანი 1917 — ა. ჲონჲა̈ნ, მეგმარეშ ი ბალხარე ჟახჷლე ხორაჲ, პეტროგრადი, 1917

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

სვან. პოეზ. 1939 — სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979.

ნაწილი V

ფრაზეოლოგიზმები სვანურში

1. მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ამა თუ იმ ენის ფრაზეოლოგიის, კერძოდ, იდიომატიკის ძირითადი საკითხების გაშუქებას დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს თითოეული ენის მეცნიერული შესწავლისათვის. ამასთან, ლექსიკოლოგიის საკითხების შესწავლა არ შეიძლება სრულყოფილი იყოს ისე, თუ ჯეროვნად არ არის შესწავლილი იდიომატიკის საკითხები. იდიომატიკის საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ლექსიკოგრაფიის, სტილისტიკისა და გრამატიკისათვის, თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც. თუ ენის ლექსიკა, როგორც ადამიანის ყოველ საქმიანობასთან დაკავშირებული, უნდა შევისწავლოთ საზოგადოების ისტორიასთან განუყრელ კავშირში, ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, იდიომებს. სწორედ მათში ვპოულობთ საზოგადოების წარსული ცხოვრების, მისი ისტორიული ბედის, მისი უფლებრივი, პოლიტიკური, მხატვრული, ფილოსოფიური, რელიგიური შეხედულებების ანაბეჭდს. ამდენად, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, იდიომატიკა უკავშირდება სათანადო საზოგადოების ისტორიასა და ეთნოგრაფიას (ალ. ონიანი).

ფრაზეოლოგია, როგორც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემა, ერთ-ერთი ყველაზე დაუმუშავებელი უბანთაგანია ენათმეცნიერებაში. მიუხედავად ცნობილ მეცნიერთა უდიდესი ცდისა, დღემდე არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული აზრი ფრაზეოლოგიის საზღვრებისა და მოცულობის შესახებ, მისი შესწავლის ობიექტის შესახებ. ასევე არ არის დადგენილი მისი ადგილი ენათმეცნიერებაში, ე. ი. არ არის სავსებით ნათელი, თუ ენათმეცნიერების რომელმა დარგმა უნდა იკვლიოს ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეერთებათა სტრუქტურა და სემანტიკა — სინტაქსმა თუ ლექსიკოლოგიამ. თუმცა ზოგი მეცნიერის თვალსაზრისის მიხედვით, რამდენადაც ფრაზეოლოგიზმი განუყოფელი და მთლიანია, ამდენად ის მას ლექსიკურ ერთეულად მიაჩნია (ღლონტი 1988:98). გარდა ამისა, გაურკვეველია ფრაზეოლოგიური ერთეულის ცნების არსი და დაუდგენელია თვით ტერმინოლოგიაც კი.

ალ. ონიანის აზრით, „ეს განსაკუთრებით ითქმის ქართული და, მით უმეტეს, სვანური ფრაზეოლოგიის შესახებ" (1954:1).

მიუხედავად ფრაზეოლოგიის დიდი ხვედრითი წონისა, მისი შესწავლის საქმე, როგორც ა. თაყაიშვილი შენიშნავს, ვერ დგას ჯეროვან სიმაღლეზე (1961:6). განსაკუთრებით უყურადღებოდაა იგი დატოვებული დასავლეთ ევროპელ ლინგვისტთა მიერ, ხოლო ფრანგულ ფრაზეოლოგიურ ქცევათა ანალიზის მხოლოდ ცალკეული ცდები აქვთ მოცემული ფრანგ ენათმეცნიერებს ა. სეშაისა და შ. ბალის.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, შედარებით ფართოდაა განხილული ფრაზეოლოგიური ერთეულები რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ რუსულ ლიტერატურაში XIX საუკუნის ბოლოს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კრებულებიც კი გამოიცა (მაგ.: მ. ი. Михельсон, Русская мысль и речь, свое и чужое. Опыт русской фразеологии, т. I, и II. 1903-1904 г.; С. В. Максимов, Крылатые слова, 1899 г.), თუმცა, როგორც ალ. ონიანი შენიშნავს, „არავითარი მოძღვრება ფრაზეოლოგიის შესახებ არ არსებობდა", რითაც იყო განპირობებული ის ნაკლოვანებანი, რაც ამ შრომებს ახლდა (1954:2).

რუსული ენის ფრაზეოლოგიის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ა. შახმატოვს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზოგიერთი შესიტყვების სემანტიკურ დაუშლელობაზე. ფრაზეოლოგიის საკითხებს ეხებიან ასევე ი. ვულფიუსი და ს. აბაკუმოვი, თუმცა მათი შეხედულებები არსებულ საკითხთან დაკავშირებით ძლიერ ზოგადი და სქემატურია.

რუსული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და, საერთოდ, ფრაზეოლოგიის საკითხების მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. ვ. ვინოგრადოვს, რომელიც აღნიშ-

ნულ საკითხს ყველაზე უფრო ფართოდ და თანმიმდევრულად აშუქებს (იხ. В. В. Виноградов: 1) Об основных типах фразеологических единиц в русском языке: Академик Шахматов. Сборник статей и материалов, М.-Л., 1974 (შემდეგში – Об основных типах фразеологических единиц); 2) Русский язык (Грамматическое учение о слове), М., 1974 (შემდეგში – Русский язык); 3) Основные типы лексических значений слова: Вопросы языкознанияб 1953, № 3 და სხვ.). იგი ენაში გავრცელებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას, როგორც ცნობილია, ყოფს სამ დიდ ჯგუფად: ფრაზეოლოგიური შენაზარდები (Фразеологические сращения), ფრაზეოლოგიური მთლიანობები (Фразеологические единства) და ფრაზეოლოგიური შესიტყვებები (Фразеологические сочетания). ეს დაყოფა სამეცნიერო ლიტერატურაში ვ. ვინოგრადოვის სამწევროვანი კლასიფიკაციითაა ცნობილი. მის მიერ გამოყოფილ პირველ და მეორე ჯგუფს შორის არსებული განსხვავება, ალ. ონიანის აზრით, საკმარისი არ არის მათი ცალ-ცალკე კატეგორიად გამოყოფისათვის (1954:240).

ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა, ვრცლად აქვს წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციაში ა. კუნინს (იხ. Основные понятия английской фразеологий как лингвистической дисциплины и создание Англо-русского фразеологического словаря, Докт. дисс. м., 1964), რომელმაც შემდგომში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვარიანტი დაურთო თავის ფუნდამენტურ ორტომეულს (Англо-русский фразеологический словарь, М., 1955).

ამასთანავე, საკითხი იდგა იმის შესახებაც, თუ მეცნიერების რომელ დარგს უნდა მიკუთნებოდა ფრაზეოლოგია. მასალის მიმართ ლინგვისტური პოზიციის არარსებობის გამო იგი ზოგ მეცნიერს ლიტერატურათმცოდნეობაში შეჰქონდა, ზოგმა სტილისტიკის საგნად გამოაცხადა (ვ. რუდოვი), მეცნიერთა ერთმა ნაწილმა კი მისი ლექსიკოლოგიაში შეტანის საკითხი დასვა (ვ. ვინოგრადოვი). ყოველივე ამის გამო, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმას, რომ ფრაზეოლოგია მიჩნეული ყოფილიყო ლინგვისტურ დისციპლინად.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ენათმეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ფრაზეოლოგია დამოუკიდებელი ლინგვისტური დარგია, რომელსაც შეხება აქვს სხვადასხვა დარგის მეცნიერებასთან, რადგანაც ფრაზეოლოგიზმებში კარგად ჩანს ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ყოფილი რეალიები თუ ისტორიული ამბები. სწორედ ამიტომ ამ კუთხით ენის შესწავლა განაპირობებს ამ ენაზე მეტყველი ხალხის გონებრივი თუ სულიერი ცხოვრების გამოცდილების შეცნობას. ქართველურ ენებში თვალის ერთი გადავლებითაც დასტურდება ფრაზეოლოგიზმების სიმრავლე. ძალიან ხშირად მას მიიჩნევდნენ მწერლის ენისთვის დამახასიათებელ მხატვრულ საშუალებად და აიგივებდნენ მეტაფორასთან, ეპითეტთან და სხვა ლიტერატურათმცოდნეობით ცნებებთან. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფრაზეოლოგიზმები არანაკლები სიხშირით გვხვდება უმწერლობო ენაშიც, მაგალითად, სვანურში.

ქართული ფრაზეოლოგიის შესახებ არსებული შრომები, ძირითადად, გულისხმობს სხვა ენების (რუსული, ინგლისური...) მასალასთან შეპირისპირებას, რადგანაც ცოტაა ქართული ფრაზეოლოგიის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევები. უშუალოდ ქართული ენის მასალასთან დაკავშირებით მონოგრაფიული გამოკვლევა აქვს ა. თაყაიშვილს „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები" (1961 წ.). უხვი ფრაზეოლოგიური მასალა არის წარმოდგენილი თ. სახოკიას შრომაში „ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი" (1979). ცალკე აღსანიშნავია ალ. ონიანის წიგნი „ქართული იდიომები" (1966). ქართული იდიომატიკის ზოგიერთი საკითხის შესწავლის ცდა არის მოცემული აგრეთვე ა. ნეიმანისა (ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის" მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები, პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1941) და შ. ძიძიგურის (წამძღვარებულია თ. სახოკიას წიგნზე „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი", ტ. I, თბილისი, 1950) წერილებში. ფრაზეოლოგიური მასალის კლასიფიკაციასა და მისი დაჯგუფების პრინციპებს განიხილავს აგრეთვე ლ. ლეჟავა (ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შესწავლისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისე-

ბი, თბილისი, 1956), ხოლო რამდენიმე ავტორთა (ნ. საყვარელიძე, გ. შალამბერიძე) გამოკვლევებში საგანგებოდ არის განხილული ილია ჭავჭავაძის თხზულებებში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები.

როგორც აკად. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, **ლექსიკასა და ფრაზეოლოგიას** მწერლის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი აზრით, აქ გამოჩნდება, რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში **ლექსიკა-ფრაზეოლოგიას** გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის.

ფრაზეოლოგიზმების საკმაო რაოდენობაა წარმოდგენილი სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში". განსაკუთრებით სისტემურად და დიდი მოცულობით გვაქვს ფრაზეოლოგიზმები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" რვატომეულში: **იდიომები, მყარი ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, მისალმებისა და წყევლის ფორმულები, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები** და სხვ. (გამოყოფილია რომბით და განსხვავებული შრიფტითაა დაბეჭდილი).

სვანური ენა მდიდარია მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით, რომლებიც დიალექტ-კილოკავთა ვრცელ მასალაზე დაყრდნობით დღემდე გამოწვლილვით არავის შეუსწავლია.

ერთადერთი სოლიდური ნაშრომი, რომელიც სვანურ ფრაზეოლოგიზმებს ეძღვნებოდა, ეს იყო ალ. ონიანის საკანდიდატო დისერტაცია „ქართულ-სვანური იდიომატიკის საკითხები", სადაც ავტორი ზოგადთეორიული საკითხების გარდა, აანალიზებს სვანურის (ძირითადად **ლაშხურის**) მონაცემებსაც. ერთმანეთს უდარებს იდიომსა და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას და დაასკვნის, რომ ქართულ ენას ისტორიულად დიდი გავლენა მოუხდენია სვანური ენის იდიომატიკის განვითარებაზე, თუმცა, თავის მხრივ, სვანურსაც გარკვეული როლი შეუსრულებია ქართული ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში (1954:1-246).

მიუხედავად მასალის სიმცირისა, აღნიშნული ნაშრომი მაინც ძალზე საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგანაც ეს იყო პირველი ცდა სვანური იდიომების შესწავლისა.

ჩვენი აზრით, სრულიად ბუნებრივია აღნიშნული თემატიკის გაღრმავებული მეცნიერული დამუშავება (სვანურის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავური მასალის მიხედვით), მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი უმწერლობო ენებს დიდ საფრთხეს უქმნის.

უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააქტიურებული ქართველოლოგიური კვლევა-ძიების ფარგლებში მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემები, კერძოდ, **სვანური, რომლის ძირითად ლექსიკურ ფონდში, გრამატიკულ სტრუქტურასა თუ ფონოლოგიურ სისტემაში არაერთი არქაიზმია შენარჩუნებული**. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ რთულ ლინგვისტურ სფეროში მუშაობა, როგორიცაა სვანური ენის **ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი), მეორეული კომპოზიტები, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები, მისალმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულები...**, რომლებიც ხშირად შეიცავენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა მეტი წილი თანამედროვე ენაში უკვე აღარ გვხვდება და მათი ეტიმოლოგიის დადგენაც, ცხადია, ძალზე რთულია. ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. მაგ.: **ლäრჰენდ ლგგნე** „ყოჩაღი, სწრაფი", **კიკბერ ახბეკ** „ჩააცივდა", **ჲოს ხოსიპ** „ცქმუტავს, მოუსვენრობს", **ქაბაბäჲშ ჯიჯუäრდ ეთსიპდა** „არ მოიხარშა, დიდი დრო დასჭირდა", **გელა ლახჳ ენცხიპ** „ბევრი იარა", **სგრიგაგას ჟი ხაგ** „აწრიალებულია" და ა. შ. ამ გამოთქმათა სახელადი ნაწილი (**ლäრჰინ, კიკბერ, ჲოს, ქაბაბäჲ, სგრიგაგა**) დღევანდელ სვანურში დამოუკიდებლად არ დასტურდება, ისინი მხოლოდ გარკვეულ შესიტყვებებში გვხვდება და მათი წარმოშობა, რა თქმა უნდა, საკვლევია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ზღვასთან და ცასთან დაკავშირებული ლექსიკის შემცველი ისეთი ფრაზეოლოგიზმების არსებობა სვანურში**, როგორიცაა, მაგ.: **აჟრ ლგსპე** „დაბნეული"

(სიტყვასიტყვით — „აფრა შებრუნებული“), **ანსს ლგრკინე** „გაწამებული (ბევრი მუშაობით)“ (სიტყვასიტყვით — „ანძაზე ჩამოკიდებული“), **ძუღუ̈აშ მელ ამჩეხუ̂ნე** „გამაწამა, გამაწვალა“ (სიტყვასიტყვით — „ზღვის ბალახი მომაძოვინა“), **ძუღუ̈ალგტობე მეზგე** “მდიდარი“ (სიტყვასიტყვით — „ზღვადატბორილი ოჯახი“), **დეცე ნა̈კუ̂იშ გიმდ ანღრი** „კოკისპირულად წვიმს“ (სიტყვასიტყვით — „ცის ნატეხი მიწაზე („მიწად“) მოდის“), **დეცე ნა̈რჰი ოთთუ̂აფ** „გარდაიცვალა“ (სიტყვასიტყვით — „ცის სინათლე დაეკარგა“), **დეცემეფხას ხეპე̄ნა̈ლ** „სწრაფია, მარდია“ (სიტყვასიტყვით — „ცამოწმენდილს ახტება, აფრინდება“), **დეცელაჲუ̂რას ფგტე** „კივის“ (სიტყვასიტყვით — „ცის სარკმელს ხვრეტს“), **დეცელაჲუ̂რა ოთფატხ**. „ბედს ეწიენ“ (სიტყვასიტყვით — „ცის სარკმელი გაეხვრიტათ“), **ძუღუ̂ოთგენახ** „დაუტბორიათ“ (სიტყვასიტყვით — „ზღვა დაუყენებიათ“) და მრავალი სხვა. უნდა ითქვას, რომ ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების შემცველი ფრაზეოლოგიზმების არსებობა სვანურ ენაში განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ბერძენ მწერალთა ცნობით, სვანები სახლობდნენ გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე დღეს ცხოვრობენ, თვით დიოსკურიამდე (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI).

საინტერესოდ გვესახება, აგრეთვე, **რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულებისა** (მაგ.: **ათა̈ს ერუ̂ეშდთე ათქარჩუ̂ნე** „გადააკეთა, გადაასხვაფერა“ (სიტყვასიტყვით — „ათას ოცამდე შეცვალა“), **ათა̈ს ქესალა მად ლეჲკაკლე** „თავისი გაიტანა, არ შეისმინა“ (სიტყვასიტყვით — „ათასი ქისისათვის არ შეისმინა“), **აშირ ათა̈სოლღუ̂ აჩიენა ხოჩა გუჟი** „დალოცვილი ყოფილიყავი“ (სიტყვასიტყვით — „ასიათასიმცა მოგსწრებია კარგ გულზე“), რომლებიც ვერც ერთ ქართველურ ენაში ვერ დავაფიქსირეთ, და ფრაზეოლოგიზმებში დადასტურებული **გაურკვეველი ეტიმოლოგიის კომპოზიტების** არსებობა სვანურში (მაგ. ჩოლ. **ორიო̄ნ-კორიო̄ნს ხაჲიდ** „გაფანტა“, შდრ. ლშხ. **ორო̄-კორო̄ს ლახო̄მ** „გაფანტა“, ჩოლ. **სო̄ნტი-პო̄ნტის აჩადხ** “გაიფანტნენ“, შდრ. ბქ. **ანტაპანტას ახსგურდახ** „გაიფანტნენ“, ბქ. **სადა̈რ-კუდა̈რ ჰაჰა̈რლექუ̂ა ხაჲიდ** „გალანძღა“, ბქ. **მა̈გ ხურდუბურდუდ ადგენე** „აურდაურია, ურთიერთობა გააფუჭა“, ბზ. **ოსო̈შ ი დოსო̈შ მირ მა̈გ ჩუ ჯიგფა** „ათასგვარი მითქმა-მოთქმა წინ გილაგია“ და სხვ.).

სვანური ენის დიალექტებში მოიპოვება ისეთი იდიომებიც, რომლებიც ან მხოლოდ ერთი დიალექტისათვისაა დამახასიათებელი, ან ორისათვის, იშვიათად კი სამისათვის (მაგ.: იდიომი „**უშკუ̂ე ნა̈შყი**“ გვხვდება მხოლოდ ლაშხურში, „**ქორონიკ ახოსიპდა**“ მხოლოდ ლენტეხურში, „**ნინი ლიდე̄სგი**“ მხოლოდ ბალსზემოურში, **ბამბა̈ჲ ფიც/ფიჩ** „მძინარა“ მხოლოდ ლაშხურში, **ბა̈ჲიშ ლგდგა̈რ** „ზარმაცი, მცონარა“ მხოლოდ ბალსქვემოურში, **ბიზიკდ ლგგ** „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია“ მხოლოდ ბალსზემოურში და ა. შ. განსხვავება უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფონეტიკური ხასიათისაა (საღლიანი, ჰკადუა 2011:162).

უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი სვანურში წყევლის აღმნიშვნელი ფორმულები, რომელთა ქართულ ენაზე თარგმნა ძალზე რთულია, რადგანაც მათში უამრავი არქაული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება. ნიმუშისათვის დავასახელებთ რამდენიმეს. მაგ., ბზ. **ისგუ̂ა თე̄რა̈რს, ნიჩუ̂ა̈რს ი ტა̈ნს ჲელჲა̈ მგლა̈მუ ხეკგრუ̂ა̈ლე დო̄სგ!** (სვან. ქრესტ., 1978:56:3) „შენს თვალებს, სახესა და ტანს ელიას ცეცხლი („ნაპერწკალიმცა“) წაეკიდოს მალე („ადრე“)!“ **სუნდუქუ̂ დეცეშ მიჩა მეფშუ̂და მა̈ზიგს ქა ნო̄მთე̄უ̂ ჯაქა̈ბუ̂ნე სი ი ისგუ̂ა ქორს!** (სვან. ქრესტ., 1978, 55:17) „ცის ღვთაებამ („სკივრი“) თავისი („მის“) გაშვებული („გაშვებულ“) ავადმყოფობა („ტკივილს“) არ („ნუ-არ-⌈ის⌉-კენ-მცა“) აგაცდინოს („გაცდის“) შენ და შენს ოჯახს („ქორა-ს“)!“ **ჯგგრა̈გ წინალდ ი წირკამა̈ლდუ ჯაბლო̄კეხ სი ი ისგუ̂ა ლიზგე-ლირდეს!** (სვან. ქრესტ., 1978:56:5) „წმინდა გიორგიმ („წმინდა გიორგი“) სამუდამოდ („ნასახად, მსგავსად“) მოგსპოთ („გსპობთ“) შენ და შენი ცხოვრება („მოსახლეობა-ყოფა“)!“ ბქ. **ფისეგარგასისგოლუ̂ ხარ ლაქუ̂ნ!** „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო („მდუღარე ფისშიმცა აქვს სასულეთი“)!“ და ა. შ.

ფრაზეოლოგიზმების ფუნდამენტური კვლევა და შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია როგორც

წმინდა **ლინგვისტური**, ასევე **კულტუროლოგიური** თვალსაზრისითაც.

ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ მდგრადი სიტყვათ-შეთანხმების, ენათა ფრაზეოლოგიის შესწავლაა, ამ ტერმინების ფართო გაგებით. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, „ასეთ ერთეულთა განსახილველ კორპუსს შეადგენენ როგორც სიტყვებთან შეფარდებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე პრედიკატული შესიტყვებები, ანდაზები, თქმულებები, აფორიზმები და ა. შ. ამ ენობრივ ერთეულებში, რომელთა უმრავლესობა ინარჩუნებს გამომსახველობით-სტრუქტურულ მოტივაციას, ასახულია, ზოგჯერ განსაკუთრებული სისრულითა და სიცხადით, არა მარტო მატერიალური და სულიერი ობიექტები, რომლებსაც ეროვნული სპეციფიკა გააჩნიათ, არამედ ეროვნული სულისა და ეროვნული პიროვნების ცნების შემადგენელი ზნეობრივი, მორალური, ფსიქოლოგიური შეფასებები, მახასიათებლები, მიდრეკილებები. ფრაზეოლოგიის ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიური პოზიციებიდან მსოფლიოს ენობრივი სურათის უტყუარი მონაცემებით შევსების საშუალებასაც იძლევა. ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულები ფართოდ არის წარმოდგენილი ენებში და მრავალფეროვანია ფორმითა და შინაარსით, მათი ნებისმიერი შესწავლა გარდაუვალად იფარგლება რაოდენობრივი და სემანტიკურ-გრამატიკული ჩარჩოებით" (ხოფერია 2007:330-331). ფრაზეოლოგიზმების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი კი წარმოდგენას გვიქმნის ენის სისტემასა და კულტურას შორის ურთიერთქმედებაზე, ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა ასახვაზე ენაში (იქვე:335).

მართალია, იდიომი თავისი სტრუქტურის მიხედვით დიდად არ განსხვავდება თავისუფალი შესიტყვებისაგან, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დარღვეულია სინტაქსური წყობა სიტყვებს შორის (მაგ.: ბქ. **გიმს ხაჰიდ** — ნაცვლად **გიმჟი ხაჰიდ** ფორმისა „დაამცირა" (სიტყვასიტყვით — „მიწას დაარტყა, დაანარცხა", **გიმს ლახტყგფნე** — ნაცვლად **გიმჟი ლახტყგფნე** ფორმისა „დაამცირა" (სიტყვასიტყვით — „მიწას დაარტყა, დაანარცხა, მიატყეპა"), ლხმ. **ჸიშკ-პილს დეშ ხასკდგნე** — ნაცვლად **ჸიშკ-პილლისგა დეშ ასკდგნე** „გაბრაზებულია" (სიტყვასიტყვით — „პირისახეში ვერ ატევს"), ცხუმ. **ჸიშკ-ჭარჭს დეშ ხასკდგნე ეჩა მანჩგლს** — ნაცვლად **ჸიშკ-პილისგა დეშ ასკდგნე ეჩა მანჩგლს** „გაბრაზებულია" (სიტყვასიტყვით — „პირ-ხახას ვერ ატევს იმის საყვედურს"), ცხუმ. **ჰიშხს ოსქორცხე** — ნაცვლად **ჰიშხდ ოსქორცხე** „წაბორძიკდა" (სიტყვასიტყვით — „ფეხს წაუბორძიკა") და ა. შ. შეიძლება ეს უკავშირდებოდეს თვითონ სვანურის სინტაქსის სპეციფიკას, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო შესიტყვებათა საფუძვლიან შესწავლას, რომლებიც ერთ, სემანტიკურად გაუთიშავ მთელად, იდიომატურ გამოთქმად გადაიქცევა ხოლმე, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მოცემულ სინტაგმაში სიტყვათა ხმარების წესი დაირღვა.

ცხადია, საკვლევი თემატიკის მეცნიერულ დონეზე დამუშავება განხორციელდა სვანურის ყველა დიალექტისა და ამ დიალექტებში შემავალი კილოკაური მასალის საფუძველზე. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ ქართველ თუ უცხოელ ლინგვისტთა შრომებს, საანალიზო ლექსიკურ ერთეულებს კი ვუდარებთ როგორც ქართულ, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებულ უნიკალურ თანამედროვე სვანურ მასალას.

1. 1. სიტყვათა კავშირები სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში

ენის ლექსიკურ სისტემაში, როგორც ცნობილია, მნიშვნელობათა ყოველგვარი გადაწევა ეყრდნობა არსებულ ნომინატიურ მნიშვნელობებს. ბუნებრივია, ფრაზეოლოგიურად დაკავშირებული მნიშვნელობის საფუძველსაც თავისუფალი, პირდაპირი მნიშვნელობა ქმნის, რომელიც, მეცნიერთა აზრით, სიტყვის საგნობრივ-ნივთიერ შინაარს ატარებს. იგი გრამატიკულად გაფორმებულია და ენის საერთო-სემანტიკური სისტემის ელემენტად ითვლება (თაყაიშვილი 1961:68-69).

ნომინატიური მნიშვნელობანი, ა. თაყაიშვილის მოსაზრების თანახმად, მყარია და თავისუფალი. მათი გამოყენებისა და კავშირების წრე შეესაბამება თვით საგნებსა, მოვლენებსა და პროცესებს შორის კავშირებს. მაგალითად, ზმნა *გატეხა* თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა გატეხაც რეალურად შესაძლებელია: *გაუტყდა — ჭიქა, თეფში, თავი, მანქანა, კალამი*... ასევე *შეიტანა* ზმნა უკავშირდება ყველა იმ საგანს, რომლის შეტანაც მოსახერხებელია: *შეიტანა — ფული, განცხადება, ლოგინი, თოფი* და სხვ. მაგრამ, როდესაც მნიშვნელობა მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში ჩაიკეტება და მხოლოდ მცირერიცხოვან სიტყვებს უერთდება, მაშინ უკვე თავისუფალ მნიშვნელობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. იგივე ზმნები — *გატეხა* და *შეიტანა* შესიტყვებებში: *სახელი გაუტყდა, ძილი გაუტყდა, ფიცი გატეხა, პირობა გატეხა; ეჭვი, ხალისი, გარდატეხა შეიტანა* და ა. შ. აღარ იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით (იქვე). აქ მას სხვა შინაარსი აქვს მიღებული, რომელიც აშკარად განსხვავებულია ნომინატიურისგან.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში?

ისევე, როგორც ქართულში, სვანურშიც გვხვდება ისეთი სიტყვათა კავშირები, რომელშიც მნიშვნელობა ჩაკეტილია მკაცრად განსაზღვრულ ფრაზეოლოგიურ გარემოცვაში, თუმცა ერთგვაროვნება ამ მხრივ ქართულსა და სვანურში ნამდვილად არ არის და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც ა. თაყაიშვილი მიუთითებდა, არა მხოლოდ ენებს შორისაა განსხვავება სიტყვათა შეკავშირების მხრივ, არამედ ერთი ენის ფარგლებში, მის სხვადასხვა ეტაპებს შორისაც (იქვე:71). და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება სიტყვათა კავშირები. ზოგი სიტყვათკავშირი დროთა განმავლობაში ხმარებიდან გამოდის და შესაბამისად იცვლება ახლით. ასეთი შემთხვევები, როგორც ცნობილია, ყოველი ენის შიგნით შეიმჩნევა და ემორჩილება ღირებულებათა გადაფასების გარდაუვალ პროცესს. რაღა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია გამოთქმისადმი ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი დამოკიდებულებაც.

სვანურში ნიმუშად ავიღეთ რამდენიმე ისეთი ზმნა, რომელიც არ უკავშირდება სხვა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სწორედ სიტყვის არანებისმიერ კავშირში შესვლა არის პირველი ნიშანი მისი ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის.

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარადაა შესწავლილ-გაანალიზებული სვანურ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალი ძირითადი ზმნები და დაჯგუფებულია მათი სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით.

1. **ლიგნე** „დგომა" თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა დგომაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ლგჷ** „დგას" — **ქორ** „სახლი", **მეგემ** „ხე", **ლაყჳრა** „საწოლი", **ჭიქ** „ჭიქა", **მა̈შინა** „მანქანა" და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში:

ბა̈ლდ ლიგნე (ზს.), **ბა̈ლდ ლიგენე** (ლნტ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა (ზედმიწ. — ფლეთად **დგ-მ-ა**)"

ʻამნემʼ მიჩა მუხჳბე ბა̈ლდ ადგენე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, თბ., 168:20-21) „ამან თავისი ძმა დაფლითა („ამან მისი ძმა ფლეთად დააყენა")";

ბგლა̈ჷდ ლიგნე (ბზ.) „დაფლეთა, დაგლეჯა; დამსხვრევა, დამტვრევა (ზედმიწ. — ფლეთად||მსხვრევად... **დგ-მ-ა**)"

ა̈მირანʻდʼ გჳელჷა̈რშა̈ბი ჭა̈დ ბგლა̈ჷდ ადგენე (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, თბ., 95:28-29) „ამირანმა გველეშაპის მუცელი ნაფლეთებად აქცია („**ამირან-მა გველეშაპ-იჳʼ** მუცელი ფლეთად დააყენა")";

გინჯილდ ლიგნე (ზს.), **გჷნჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად დგ-მ-ა**)"

˹წეჳა̈რ-მეძბარა̈ლ˺ სგა̈ჰი̄დხ ი გინჯილდ ადგენეხ ˹მა̈ლ˺ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, თბ., 363:5) „ძაღლები დაეწივნენ და ნაფლეთებად აქციეს მელია („მწევარ-მეძებრ-ებ-ი დაეწივნენ და **გლეჯ-ად და-დგ-ე-ს მელია**")";

გჷლა̈ჯდ ლიგნე (ბზ.), **გლა̈ჯდ ლიგნე** (ბქ.), **გლაჯდ ლიგნე** (ლშხ.), **გლა̈ჯდ ლიგენე** (ლნტ.) „დაგლეჯა, დაფლეთა (ზედმიწ. — **გლეჯ-ად დგ-მ-ა**)"

სამთჷლა̈ მუხუბედ ხა̈ქუ ... ˹დედბერს˺ ...: „**შიშდ ესერ ქა̈უ ხა̈ქუ, მიჩა მუხუბად მა̈ჲ ოთყერა, ადო გჷლა̈ჯდ ესერ ხა̈გნა̈უნე მიჩა თხუმ!**" (ბზ., იქვე, 400:12-16) — სამთილის ძმამ უთხრა დედაბერს: „ახლავე მითხარიო, ჩემს ძმას რა უქენიო, თორემ შენს თავს დავაგლეჯინებო („**სამთილ-ი˹ს˺** ძმამ უთხრა **დედაბერ-ს**: „ხელადო უთხრამცა, მისი ძმისთვის რა დაუმართნია, თორემ **გლეჯ-ად-ო და-ა-დგ-მ-ევ-ინ-ებ-ს** მის თავს!")!"

გრა̈მდ ლიგნე (ზს.) „ფერფლად ქცევა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ-მ-ა**)"

დედბერ შიშდ გრა̈მდ ადჷ̄გა̈ნ (ბზ., იქვე, 418:36) „დედაბერი უცებ დაიწვა („**დედაბერ-ი** ხელად ფერფლად **და-დგ-ა**")"

ჰყინტდ გრა̈მდ ადგენე ქორ (ბქ.) „ბიჭმა სახლი გადაბუგა („ბიჭმა ფერფლად **და-დგ-ა** სახლი ")";

გუა̈სპდ ლიგნე (ბზ.), **გუა̈სპდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ფერფლად **დგ-მ-ა**)"

დია̈რ გუა̈სპდ ლგჷ (ბქ.) „პური დამწვარია („პური ფერფლად **დგ-ა-ს**)"

˹ჰელდ˺ ... ხია̈რილდა̈შდეთ მა̈გ გუა̈სპდ ადგენე (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, თბ., 263:31-32) „ალმა კინაღამ ყველაფერი ფერფლად აქცია („ალ-მა ლამის ყველა ფერფლად **და-დგ-ა**)";

გუა̈ლიბდ ლიგნე (ბზ.), **გულიბდ ლიგნე** (ლშხ.), **გულა̈ბდ ლიგენე** (ლნტ.) სხვადასხვა სემანტიკით:

1. დაბლაგვება (ზედმიწ. — ბლაგვად **დგ-მ-ა**)

ციოყდ ლგჷშე̄რე კა̈და გუა̈ლიბდ ადგენე (ბზ.) „ციოყმა გალესილი ნაჯახი დააბლაგვა („**ციოყ-მა** გალეს-ილ-ი ნაჯახი ბლაგვად დააყენა")";

2. დალეწვა, დამსხვრევა; მუსრის გავლება

˹ბეუად˺ და̈უარ გულიბდ ადგენა̈ლე (ლშხ.) „ბევამ დევებს მუსრი გაავლო („**ბევა-მ დევ-ებ-ი** ბლაგვად დააყენა")"...;

ბიფხდ ლიგნე (ზს.) „სწრაფად განკურნება; დასუფთავება (ზედმიწ. — ნამად **დგ-მ-ა**)"

ლეგმერდე ბიფხდ ადჷ̄გა̈ნ (ბზ.) „ავადმყოფი უცებ მორჩა („ცუდად მყოფი ნამად **და-დგ-ა**)"

ქორ ბიფხდ ლგჷ (ბზ.) „სახლი კარგადაა დალაგებულ-დასუფთავებული („სახლი ნამად **დგ-ა-ს**)"

ბეუად ლეჩემ მა̈გ ბიფხდ ადგენე (ბქ.) „ბევამ ყველაფერი დაასუფთავა||მოაწესრიგა („**ბევა-მ** საქმნელი ყველა ნამად დააყენა");

ბრიკს||ბა̈ნკირს ლიგნე (ბქ.) „ურჩობა, ოჩნობა (ზედმიწ. — ნაბიჯს **დგ-მ-ა**)"

ეჩა ქუერწილთე ბა̈ნკირს დემის ხუგემ (ბქ.) „იმის ქორწილში არ წავალ („იმის **ქორწილ-˹ის˺-კენ** ნაბიჯს არ **ვ-დგ-ამ**")";

ლაგას ლიგნე (ზს., ლშხ..), **ლაგას ლიგენე** (ლნტ.), ასევე, სხვადასხვა სემანტიკით:

1. დარიგება, რჩევის მიცემა, გზაზე დაყენება (ზედმიწ. — **ალაგა-ს დგ-მ-ა**)

დიდ გეზალ ლაგას ესგენე (ბქ.) „დედამ შვილი გზაზე დააყენა||მიხედა („**დე-დ-ამ** შვილი **ალაგა-ს** დააყენა")";

2. ზს. მოგვარება, მოწესრიგება, დადგენა

... **ლაგას დეშ ხოგნახ, ძარდო ლიხ ხოშა** (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, თბ., 27:15) „ვერ დაუდგენიათ, ვინ არის უფროსი („ალაგა-ს ვერ და-უ-დგ-ამ-თ, ვინ არიან უფროსი")";

თხუმემ ლგცფექდ ლიგნე (ბქ.) „თავის დანაყვა, გახეთქვა (ზედმიწ. — თავის წყალ-ფქვ-ილ-ად და-დგ-მ-ა)"

ჟი ნომ'ამხირნა, ედო თხუიმს ლგცფექდ ჯიგნე! (ბქ.) „არ გამაბრაზო, თორემ თავს დაგიჩეჩქვავ („ნუ-არ გამაბრაზო, თორემ თავს წყალ-ფქვ-ილ-ად და-გ-ი-დგ-ა-მ!")!"

ხოლა ჩქიმიშ ლიგნე (ბქ.), **ხოლა ჩქიმი ლიგენე** (ლნტ.) „ცუდი შეხედულება (ზედმიწ. — ცუდი იერი"ს" და-დგ-მ-ა")

ჩაჟარ ქ'ალღარბელიხ, ხოლა ჩქიმ ახაგენახ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, თბ., 315:27) „ცხენები გამხდარან, დაუშნოებულან („ცხენები გა-ღარიბ-ებ-ულ-ან, ცუდი იერი და-ს-დგ-ომ-ია-თ")"

„ჩქიმი ხოჩ'ესერ ხჴგნენა: ნეფხუნა ი ჰაუბოლ წგრნი პატრაჯანდ ესერ ხჴგნენა ნალგუჟაროშუ" (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 252:2-3) „კარგად გამოიყურებოდაო: ცხვირი და ლოყები სიმსუქნისგან პამიდორივით წითელი ჰქონდაო („შნოც კარგიო ნა-დგ-ამ-ა: ცხვირი და ყბები წითელ **ბადრიჯნ-ად-ო** ნა-დგ-ამ-ა სიმსუქნით")"...

ლიგნე ასევე დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **გუჰჰდ ლიგნე, გუახდ ლიგნე** (ზს.) — 1. დამსხვრევა, მოსპობა, დამტვრევა; დაბეგვა. 2. დაწვა, გადაბუგვა. 3. გადაღლეტა, გადაყვლეფა. 4. უშგ. შესანსვლა (ზედმიწ. — ფქვად დგ-მ-ა); **გუერად ლიგნე** (ბქ.) „ტყავის აძრობამდე ცემა; დაბეგვა (ზედმიწ. — ტყავად დგ-მ-ა)", **როფდ ლიგნე** (ბზ.) „დიდი ჩხუბი (ზედმიწ. — საფანელად დგ-მ-ა)", **ბიზიკდ ლგგ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. — **ბზიკ-ად დგ-ა-ს**)", **ცხგნდდ ლგგ** (ბქ.) „გავარვარებულია; მაღალი სიცხე აქვს (ზედმიწ. — ნაკვერცხლად **დგ-ა-ს**)" და მრავ. სხვ.

შენიშვნა: ყველაზე უფრო ხშირად სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დასტურდება მასდარი **ლიგნე** „დგომა" და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები. ქართულში *დ გ ო მ ა* და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი ფორმები ფრაზეოლოგიზმთა ჩამოყალიბებაში დიდ როლს არ ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ **ჴგნე** „დგამს" სვანურში ბევრ სიტყვას შეიძლება დაუკავშირდეს და მისი ასპარეზი სხვა ზმნებთან შედარებით ფართოა, ის არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიტყვით: **ლეზობდ ლგგ** „ჭამადაა ქცეული (ზედმიწ. — საჭმლად **დგ-ა-ს**)", **ჩქიმდ ლგგ** „ლამაზია (ზედმიწ. — იერად **დგ-ა-ს**)", **თხუიმს ჭიცდ ხოგნე** „თავს დაუჩეჩქვავს (ზედმიწ. — თავს ცომად უ-**დგ-ა-მ-ს**)", **ხოჩა ლესდი ხაგ** „ლამაზია (ზედმიწ. — კარგი შეხედვა ა-**დგ-ა-ს**)" და ა. შ. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის პირველი ნიშანი აღნიშნული ზმნის ფრაზეოლოგიურად ჩაკეტვისათვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, თავდაპირველად ამ ზმნის გადატანითი გაგება შემოფარგლული ყოფილიყო ერთი მიმართულების ემოციებით და შემდგომ, დროთა განმავლობაში, მისი ხმარების რადიუსი გაზრდილიყო.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, -ა სუფიქსიანი საწყისების (მაგ.: ბზ. **შდჲხა||შდჲხობ** „ამოწყვეტა", ბქ. **ცუერა||ცუეროზ** „"მი"ტოვება", ბქ., ქს. **ხ"უ"ეტა||ხ"უ"ეტობ** „ამოწყვეტა" და ა. შ.) ერთი ნაწილი თავისებურებას ამჟღავნებს სწორედ **ლიგნე** „"და"დგომა, "და"ყენება" ზმნასთან კომბინაციაში. აღნიშნულ ზმნას ძირითადი მნიშვნელობის გარდა, გარდაქცევითობის სემანტიკაც აქვს და ასეთ შემთხვევაში მასთან დაკავშირებულ სახელს ვითარებით ბრუნვაში მოითხოვს. მაგ.: **კოჯ-დ ლიგნე** „გაქვავება, გამაგრება (ზედმიწ. — კლდედ დგმა)"; **ბიფხ-დ ლიგნე** „საქმის მოგვარება, მოწესრიგება (ზედმიწ. — ცვარ-ნამად დგმა)"; **ძაფანა-დ ლიგნე** „გაწითლება (ზედმიწ. — წიწაკად დგმა)" და სხვ. (ჭკადუა 2005:324).

აქვე წარმოვადგენთ, აგრეთვე, ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში შემავალ რამდენიმე იმ სვანურ

ზმნას, რომელიც შედარებით უფრო საინტერესოდ მივიჩნიეთ:

2. **ლიკედ** „აღება“ თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა აღებაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ჟკედ** „იღებს“ — **ლეზჳებს** „საჭმელს“, **ბა̈რგს** „ავეჯს, ნივთებს“, **ბა̈ჩს** „ქვას“, **ხილს** „ხილს“, **ფექს** „ფქვილს“ და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში:

1. **აქა̈ნჷ ლიკედ** (ბზ.), **აქა̈ნდა̈შ ლიკედ** (ბქ.), **აქა̈ნი ლიკედ** (ლშხ.), **აქანი ლიკედ** (ლნტ.) „მისალმება (ზედმიწ. — სალმის აღება)“

მეხმა̈რიდ აქა̈ნი მა̈მ’ოხკიდ ⌈**ა̈ფიცარს**⌉ (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, თბ., 350:2) „მეღორე არ მიესალმა ოფიცერს („მეღორემ სალამი არ აუღო ოფიცერ-ს“)“

ნაქამა̈რს აქა̈ნი ოხკიდხ ⌈**დაჳა̈რდ**⌉ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 26:9) „სტუმრებს მიესალმნენ დევები („ნაგარეთალებს სალამი აუღეს დევ-ებ-მა“)“

ძაძუდ აქა̈ნი ოხკიდ ⌈**შაშიკოს**⌉ (ლშხ.) „ძაძუ მიესალმა შაშიკოს („ძაძუ-მ სალამი აუღო შაშიკო-ს“)“

ბაპდ ჭყინტს აქანი ახოკიდ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., III, 1967, 178:26) „მღვდელი ვაჟს მიესალმა („მღვდელმა ბიჭს სალამი აუღო“)“;

ბოლეკდ ლიკედ (ზს.) „ძირფესვიანად ამოგდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — ბოლოკ-ად აღება)“

კიბოლანა̈რ ცხუმა̈რისგა ბოლეკდ ომკედხ (ბქ.) „კიბოლანები ცხუმარში ძირფესვიანად ამოწყვეტილან („კიბოლან-ებ-ი ცხუმარ-ში ბოლოკ-ად აღებულან“)“;

თან ლიკედ (ბქ., ლნტ.) „გადაშენება, მოდგმის მოსპობა (ზედმიწ. — ნათესავად აღება)“

თანდოლჳ ომკედეხიდ ჩა̈გინენსგა! (ბქ.) „ამოგიწყდეთ ჯიში და ჯილაგი („ნათესავადმცა აღებულხართ ყველგანი⌈ს⌉შუა!“)!“

ლეჩჳემ-ლეგონა̈ჳა̈ ლიკედ (ლნტ.) „საქმის გამოლევა (ზედმიწ. — სა-ქმნ-ელ-მო-სა-გონ-ებ-ლ-ი⌈ს⌉ აღება, ამოწყვეტა)“

... **ლენტეხას ... ჲერჳა̈ გეზალს ლა̈თჳერის ა̈ჲეს, ეჯს მა̈ჲ სულელს ხაყლე: ლეჩჳემ-ლეგონა̈ჳი ლოქ ახაკედა ი ბოფშს ლოქ ლიჭრელალის ხა̈თჳერი** (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 304:9-11) „ლენტეხში ვინც შვილს სასწავლებლად წაიყვანს, იმას ყველა სულელს ეძახის: საქმე გამოელია და ბავშვს აჭრელებას ასწავლისო („**ლენტეხ**-ში ვინც შვილს სასწავლოს წაიღებს, იმას ყველა **სულელ**-ს ეუბნება: სა-ქმნ-ელ-მო-სა-გონ-ებ-ელ-ი-ო ანაღება და **ბავშვ-ს**-ო ა-ჭრელ-ებ-ა-ს ასწავლის“)“;

ჳნხა̈ჳდ||ჳმხალდ ლიკედ (ბქ.) „დიდი ამბით მიღება, ანუ ვიღაცის ნახვით გამოხატული დიდი სიხარული (ზედმიწ. — უნახავ-ად აღება)“

გეგიდ ჳმხალდ||ჳნხა̈ჳდ ა̈ნკიდ მუშგჳრა̈რ (ბქ.) „გეგიმ დიდი ამბით||სიხარულით მიიღო სტუმრები („გეგი-მ უნახავ-ად აიღო სტუმრები“)“;

ფშიკი ლიკედ (ბზ.), **ფშიტი ლიკედ** (ლშხ.) „სიკვდილი (ზედმიწ. — ფშეკ-ი⌈ს⌉ აღება)“, შდრ. ქართ. ფეხები გაფშიკა

მიშგჳა მეზჳბელდ ფშიკ გარ ა̈ნკიდ (ბზ.) „ჩემი მეზობელი უცებ გარდაიცვალა („ჩემმა **მეზობელ**-მა **ფშეკა** მხოლოდ აიღო“)“;

ქოქდ ლიკედ (ზს., ქს.) „ძირფესვიანად, მთლიანად ამოგდება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — ფუტუროდ აღება)“

თელდ ჳოჯა̈ხ ქოქდ ანკა̈დ (ბზ.) „მთელი ოჯახი ძირფესვიანად ამოწყდა („**მთლ-ად ოჯახ-ი** ფუტუროდ აიღო“)“

ქოქდ ანკდენიხ ეჯჲარ (ლშხ.) „ისინი მთლიანად გაწყდებიან („ფუტუროდ აიღებიან ისინი“)“;

ცხარა̈რთეჟი ლიქედ (ბქ.) „აბუჩად აგდება (ზედმიწ. — ფრჩხილებ⌜ის⌝კენზე აღება)"

ალ დინა ცხარა̈რთეჟი ენკიდ მთელ სოფელდ (ბქ.) „ეს გოგო აბუჩად აიგდო მთელმა სოფელმა („ეს გოგო ფრჩხილებ⌜ის⌝კენზე აიღო მთელ სოფელ-მა")";

ბრიგი ლიქედ (ბზ.) „უეცარი გარდაცვლება, ფეხების გაფშეკა (ზედმიწ. — ბრაგვან-ი⌜ს⌝ აღება)"

ბესიდ ბრიგ გარ ა̈ნკიდ (ბზ.) „ბესი უეცრად გარდაიცვალა („ბესი-მ ბრაგვან-ი მხოლოდ აიღო")"...

არც ა̈ნკიდ „აიღო" ზმნა არ უკავშირდება სვანურში ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. მაგალითად, არ ვიტყვით: გინჯილდ ა̈ნკიდ (ბზ.) „დაგლიჯა (ზედმიწ. — გლეჯ-ად აიღო)", გუდ ა̈ნკიდ (ბქ.) „მიხვდა (ზედმიწ. — გულ-ად აიღო)", სისოდ ა̈ნკიდ (ბქ.) „სიჩუმე ჩამოვარდა (ზედმიწ. — სიჩუმე აიღო)" და ა. შ.

3. ლიჲედ „მოსვლა". თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ სულიერის აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა მოსვლაც რეალურად შესაძლებელია. მაგ.: ჲედნი „მოვა" — მარე „ადამიანი", ზურალ „ქალი", ჭა̈ნ „ხარი", მუშგუ̈რი „სტუმარი", თხერე „მგელი" და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა ხშირად გამოიყენება შემდეგ შესიტყვებებში:

ხოლა კუჭი ლიჲედ‖ფისა̄რ კუჭი ლიჲედ (ლშხ.) „გაბრაზება (ზედმიწ. — ცუდი კუჭ-ი⌜ს⌝ მოსვლა‖ფის-იან-ი კუჭ-ი მოსვლა)", შდრ. ქართ. (გურ.) კუჭი მოუვიდა

⌜ალ მეთხუ̈იარს⌝ ხოლა კუჭ ოხჲად (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 283:26) „ეს მონადირე ძალიან გაბრაზდა („ამ მე-სა-თხევ-ლ-ე-ს ცუდი კუჭ-ი მოუვიდა")"

კესა̈რს ახოჲად ხოლა კუ̈იჭ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 311:15) „კეისარი ძალიან გაბრაზდა („კეისარ-ს მოუვიდა ცუდი კუჭ-ი")"

ფისა̄რ კუჭ ემჲად (ლშხ.) „გული მომივიდა, გავგულისდი, ძალიან გავბრაზდი („ფის-იან-ი კუჭ-ი მომივიდა")";

გუდ ჲედნი (ზს., ლშხ.), გუდ ჲედენი (ლნტ.) „ხვდება (ზედმიწ. — გულ-ად მოვა)"

... ბაბა ბეჳა ... ჩიმი რაგა̈დს გუდ ჲედნიჳ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 197:7) „ბაბუა ბევა ყველას ლაპარაკს იგებდა („ბაბ-უა ბევა ყველას ლაპარაკს გულ-ად მოდიოდა")"

დადა ათხე აჲად გუდ, ერე ლგდროჳე ლასხ (ლშხ.) „ბებია ახლა მიხვდა, რომ მოტყუებული იყვნენ („ბებია ახლა მოვიდა გულ-ად, რომ მო-ღორ-ებ-ულ-ი იყვნენ")"

... ალეს ... იშკენ და̈რ ა̈მეჲედ გუდ (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., III, 1967, 207:4) „ამას სხვა ვერავინ მიმხვდარა („ამას სხვა არავინ მოსულა გულ-ად")";

შდგქდ ლიჲედ (ზს.) „ასაკში შესვლა, ვინმეს (ჩვეულებრივ მოხუცის) ასაკამდე მისვლა (ზედმიწ. — კბილად მოსვლა)"

მიშგუ̈ა შდგქდოლუ̈ ომჲედეხი! (ბქ.), მიშგუ̈ა შდგქდუ̈ ომჲედე̄ლხი! (ლშხ.) „ჩემს ასაკამდე მოგეღწიოს („ჩემს კბილადმცა მოსულხარ!")!"

შერობა̈შ ლიჲედ (ჩბხ.) „მოღლა, მოქანცვა, დაშვრომა, მოთმინებიდან გამოსვლა; თავმობეზრებულობა (ზედმიწ. — მაშვრალ-ობ-ის მოსვლა)"

შერობ ა̈მჲად ა̈ლიმა̈გ ნა̈ჭირ (ბქ.) „დავიქანცე ამდენი გაჭირვებით („მაშვრალ-ობ-ა მომივიდა ეს ყველა ნა-ჭირ-ვ-ებ-ი")";

ხოლა გუმი ლიჲედ (ლშხ.) „გაბრაზება (ზედმიწ. — ცუდი გულ-ი⌜ს⌝ მოსვლა)"

ალეს ხოლა გუ ოხჲად (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 248:15) „ეს ძალიან გაბრაზდა („ამას ცუდი გულ-ი მოუვიდა")";

ხოჩა ლირდე̄მი ლიჲდე (ლშხ.) „კარგი ცხოვრების გატარება (ზედმიწ. — კარგი ყოფი⌜ს⌝ მიტანა)"

ალჲარდ ... ხოჩა ლირდე ედჭიდხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 282:1-3) „ამათმა კარგი ცხოვრება გაატარეს („ამეებმა კარგი ყოფა გაიტანეს")";

ხოჩა ლირდე-ლიზგემი ლიჭდე (ლნტ.) „კარგი ცხოვრების გატარება (ზედმიწ. — კარგი ყოფა-სახლობი⸢Ს⸣ მიტანა)"

ეჯ მარად ... ხოჩა ლირდე-ლიზგე ა̈დჭიდ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 321:7-8) „იმ კაცმა ბედნიერი ცხოვრება გაატარა („იმ კაცმა კარგი ყოფა-სახლობა გადაიხადა")";

დეცე ნა̈კუ̂იშიშ გიმდ ლიჭედ (ბქ.) „კოკისპირული წვიმა, თავსხმა, დელგმა (ზედმიწ. — ც-ის ნატეხის მიწად მოსვლა)"

დეცე ნა̈კუ̂იშ გიმდ ანჭა̈დ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 154:24-25) „კოკისპირულად იწვიმა („ც-ის ნატეხი მიწად მოვიდა");

ჭიდ ლიჭედ (ბქ.) „გაზრდა (ზედმიწ. — მოსწრებად მოსვლა)"

ჭიდ ნომოუ̂ ომჭედეხი! (ბქ.) „არ გაზრდილიყავი („მოსწრებად ნუ-არ-მცა მოსულხარ!")!"

თანახმას ლიჭედ (ზს.) „დათანხმება (ზედმიწ. — **თანახმა**-ს მოსვლა)"

ხელწიფს თანახმას ანჭა̈დ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 169:4-5) „ხელმწიფე დათანხმდა („**ხელმწიფე თანახმა**-ს მოვიდა")"

... **აშხუ̂ნლო თანახმას ჭედნიხ** ⸢**ალჲა̈რ**⸣ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 174:31) „რაღაც დროის შემდეგ ესენი თანხმდებიან („ერთის მერე **თანახმა**-ს მოდიან ესენი")"

ჭყინტ თანახმა ანჭად (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 339:10) „ბიჭი დათანხმდა („ბიჭი **თანახმა**-⸢Ს⸣ მოვიდა")" და მრავ. სხვ.

ცხადია, ვერც **ანჭად** „მოვიდა" ზმნა დაუკავშირდება სვანურში ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვას, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა უფრო გაფართოვდეს აღნიშნულ ზმნათა ხმარების რადიუსი.

4. **ლიცუ̂რე** „დატოვება, მიტოვება" თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა *მიტოვება* თუ *დატოვება* რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ცუ̂ირე** „ტოვებს" — **ხეხუ̂ს** „ცოლს", **უ̂ოჯა̈ხს** „ოჯახს", **ქალა̈ქს** „ქალაქს", **ჭა̈შს** „ქმარს", **ბეფშუ̂ს** „ბავშვს" და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა გამოიყენება შემდეგ შესიტყვებებში:

ქუ̂ინი ლიცუ̂რე (ბზ., ქს.), **ქუ̂ინიშ ლიცუ̂რე** (ბქ.) „გადარჩენა, თავის რჩენა (ზედმიწ. — სული⸢Ს⸣ ⸢და⸣რჩენა")

... **თხე̄რე̄მ ხა̈ქუ̂** ⸢**თანთხე̄რი̄ლს**⸣: „**მიჩ ესერ მიჩეშდ ქუ̂ინ ოთცუ̂ი̄რა, ეჩი̄ მა̈გიე̄რს ესერ ღალ იმ ხა̈ჩომდა ჯა**" (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 155:6-7) „მგელმა უთხრა თანთხერილს: „შენ რომ მე გადამარჩინეო, იმის სამაგიეროს მე რას გაგიკეთებდიო („**მასო მისთვის სული დაუტოვებია, იმის მაგიერ-ს-ო-ღა რას უ-ქმ-ოდ-ა თვითონ**")"

ჲეხუ̂დ ხექუ̂ ⸢ჭა̈შს⸣, ერე „... **ხოშა დენა მოსამსახუ̂ირდ ლოქ ხაყა ეშხუ̂ მეზგას ი ... ეშხუ̂ დიარს ლოქ ხაუ̂დიხ, ეჩოუ̂შ ჯე ლოქ იცუ̂რე ქუ̂ინს**" (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 323:33-35) „ცოლმა უთხრა ქმარს, რომ „უფროსი გოგო მოსამსახურედ ჰყავსო ერთ ოჯახს და ერთ პურს აძლევენო, იმითი მე ვირჩენო თავს („ცოლმა უთხრა ქმარს, რომ „დიდი გოგო **მოსამსახურე-დ-ო** ჰყავს ერთ მოსახლეს და ერთ პურსო აძლევენ, იმით თვითონო იტოვებს სულს")";

ყაბა̈ ნა̈თსა̈უ̂ი ლიცუ̂რე (ბზ.) „ცხვირ-პირის ჩამოხოკვა მწუხარებისგან (ზედმიწ. — ყბ-ი⸢Ს⸣ ნა-თეს-ავ-ი⸢Ს⸣ ტოვება)"

... **ყაბა̈ ნა̈თსა̈უ̂ს დე̄მის იცუ̂რე** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46:3-4) „ჩამოიხოკავს ყველაფერს („ყბ-ი⸢Ს⸣ ნა-თეს-ავ-ს არ იტოვებს")...

5. **ლიტხე||ლიტეხ** „დაბრუნება" თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა დაბრუნება რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ლახტიხ** „დაუბ-

რუნა" — **ფჳირ** „ძროხა", **ბერგ** „თოხი", **გადან** „ვალი", **ლაჳხი** „ნიჩაბი", **პასუხჳ** „პასუხი" და ა. შ., მაგრამ იგივე ზმნა გვხვდება შემდეგ შესიტყვებებში:

ლე̄ქი̄ლ-ბე̄დი̄ლს ლიტეჴ (ბზ.) „ძველი გაჭირვებული ცხოვრების დაბრუნება, კვლავ სიღარიბეში ჩავარდნა (ზედმიწ. — გაჭირვებას დაბრუნება)"

... **მა̄ლ ჩჳადგან ი ტგტა̈̄რ გიე̄რგი̄ლ ჯჳინელ ლე̄ქი̄ლ-ბე̄დი̄ლს ლა̈ხტა̈ჴ ი ლგმზგრე̄ჳ ხიშდ!** (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 321:34-36) „მელია მოკვდა და ღარიბი გიერგილი ძველ გაჭირვებას დაუბრუნდა და დალოცვილები იყავით („მელ-ია მოკვდა და ნაცრიანი **გიერგ-ილ-ი** ძველ გაჭირვებას დაუბრუნდა და დალოცვილიმცა ხართ!")!"

ჟ'ანმა̈ზრა̄ლე მა̄ლდ: „**ჰე̄, ბაღო, ჰე იმჟი მო̄დ ლამღჳე̄ნე̄ნს სა̈ხ, ლო ჯჳინელ ლე̄ქი̄ლ-ბე̄დი̄ლსჳ ლახტეხა!**" (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 321:30-33) — მელიამ დაილოცა: „ჰე, აბა, თუ საკადრისი არ მომიზღო, მაშინ ძველ სიღარიბეს დაბრუნებოდეო („დაილოცა **მელ-ია-მ**: „**ჰე**, აბა, **ჰე** როგორ არ მომეცეს **სახე**, მერე ძველ გაჭირვებასამც დაბრუნებია!")!"

კგკი ლიტხე (ბზ.), **კგკიშ||კგკგშ ლიტხე** (ბქ.) „პასუხის დაბრუნება (ზედმიწ. — კრინტის დაბრუნება)"

ხოშა ლახჳბად კგკ მა̄დ ლახტიხხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 171:35-36) „უფროსმა ძმებმა კრინტი არ დაძრეს („დიდმა ძმებმა კრინტი არ დაუბრუნეს")"

კგკგ და̈ს ლოხტიხახ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 207:25) „პასუხი არავის დაუბრუნებია („კრინტი არავის დაუბრუნებიათ")";

ბაჟთე ლიტეჴ (ბქ.) „გონს მოსვლა (ზედმიწ. — გონებ˹ის˺კენ დაბრუნება)"

დინა ეშერ ხა̈ნჳნლო ბაჟთ'ანტახ (ბქ.) „გოგო კარგა ხნის შემდეგ გონს მოვიდა („გოგო კარგა **ხნ**-ის მერე გონებ˹ის˺კენ დაბრუნდა")";

ქჳნემ ლიტხე (ბქ.) „გაცოცხლება (ზედმიწ. — სულის დაბრუნება)"

... შაურდენს ხოქჳა: „... **მიჩა ჟაგრა̈რ ესეროჳ ადიეჴ ი ქჳინს ესერ ლახტიხეჴ**" (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 228:1-2) „შევარდენს უთქვამს: „ჩემი წამალი წაიღეთო და გააცოცხლებთო („**შევარდენ**-ს უთქვამს: „მისი წამალიომცა წაიღეს და სულსო დაუბრუნებენ")";

მა̈ჰდგრიშ ლიტეჴ (ბქ.) „გადაფიქრება (ზედმიწ. — სინანულის დაბრუნება)"

˹დაჳითს˺ მა̈ჰდგრ ოხტა̈ჴ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 116:11) „დავითმა გადაიფიქრა||ინანა („**დავით**-ს სინანული დაუბრუნდა")" და ა. შ.

6. **ლიყერ** „დარტყმა, გალახვა, ცემა" თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა გალახვა, ცემა, დარტყმა რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ხაჭიდ** „დაარტყა" — **ბეფშჳს** „ბავშვს", **ღჳნს** „ხბოს", **დინას** „გოგოს", **თხჳიმ** „თავი" და სხვ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში:

შჳა̈ბიშ ლიყერ (ბქ.) „მოსვენება, დაწყნარება (ზედმიწ. — **შვებ**-ის რტყმა)"

ა̈მის ხოქჳა: „... **ეჩქა̈ხი ესერ ჭერსკნს ადგა̈რი ი გაჳიშ ჭაჭგლდისგ'ესერ მ'ახხჳიდეს, ეჯი ხოჩამდოჳ აშხჳინ ი სერ შჳა̈ბ გაროჳ იყირ**" (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 207:37-39) — ამას უთქვამს: „ცოტა მოშორებით არჩვს მოკლავო და გავის თირკმელში რასაც იპოვი, ის კარგად შეინახეო და დაწყნარდიო („ამას უთქვამს: „ცოტა მოშორებითო არჩვს მოკლავს და **გავ**-ის **ჭაჭ**-უკა-ში-ო რა ეპოვოს, ის კარგადმცა შეინახა და მეტი **შვებ**-ა მხოლოდმცა ირტყა")";

ყითიშ ლიყერ (ბქ.) „ქალების ერთობლივი დატირება (ზედმიწ. — ბანის||მოძახილის რტყმა")

მერმე ხეხჳა̈რ ეჯშელდგნ ყითს ხოყერხ (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 182:20-21) „სხვა ქალები იმდენჯერ ერთობლივად წამოიტირებენ („**მე-ორ-ე** ცოლები იმრიცხვჯერ ბანს ურტყამენ");

ჭგშხემ ჭგშხეი ლიყერ (ბქ.) „კვალდაკვალ მიყოლა (ზედმიწ. — ფეხის ფეხზე რტყმა)"

ჭიშხს ჭიშხჟი მატყცი ბეფშუ, ქა დემ მაქჳთუნალნე (ბქ.) „ბავშვი სულ უკან დამდევს, განძრევის საშუალებას არ მაძლევს („ფეხს ფეხზე მირტყამს ბავშვ-ი, არ მამოძრავებს")";

ნექჭა̈რე უშხუარ ლიყერ (ბქ.) „განრისხება, გაწყრომა, გაბრაზება, დანაღვლიანება (ზედმიწ. — წარბების ერთმანეთს რტყმა)", შდრ. ქართ. კოპების შეკვრა

ჩიღად უშხუარ ლგყირ ხარ ნექჭა̈რ ალის (ბქ.) „მუდამ წარბშეკრულია („ყოველთვის ერთმანეთს ნარტყამი აქვს წარბები ამას")" და ა. შ.

მსგავსი წარმოებისაა, აგრეთვე, შემდეგი ზმნები: **ლიჰჷჭუი** „ზელა", რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა *მოზელა, დაზელა* რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ა̈ჰჳიჰი** „ზელს" — **ჯიცს** „ცომს", **ტუფს** „ტყავს", **ლებიას** „ლობიოს" და სხვ., მაგრამ იგივე ზმნა დასტურდება შემდეგ შესიტყვებებში: **ამბა̈ჳი ლიჰჷჭუი** (ბზ.) „გადახარშვა, აწონ-დაწონვა (ზედმიწ. — ამბ-ი^ს^ დაზელვა)"; **ლიქჳცე** „ჭრა, გაწყვეტა", რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებით სახელთან, რომელთა ჭრა, გაწყვეტა რეალურად შესაძლებელია. მაგ.: **ქჳიცე** „ჭრის" — **თა̈კუს** „თოკს", **მეგემს** „ხეს, მორს", **დია̈რს** „პურს", მაგრამ იგივე ზმნა იხმარება შემდეგ შესიტყვებებში: **ქუნე ლიქჳცე** (ბზ.) „სიცოცხლის დასრულება, სიკვდილი (ზედმიწ. — სული^ს^ წყვეტა)"; **ლიჰუდი** „მიცემა", მაგრამ **გუმი ლიჰუდი** (ზს.) „ყურადღების მიქცევა, ყურადღებით დაკვირვება (ზედმიწ. — გულ-ი^ს^ მიცემა)"; **ლიდჷსგი** „დება", მაგრამ **ბა̈ქი ლიდჷსგი** (ბზ.), **ბაქა̈ ლიდისგ** (ზს.) „ცილისწამება; ბაქიბუქი, კვეხნა, ტრაბახი (ზედმიწ. — ტყუილი^ს^ დება)", **გუხოლა̈შ ლიდისგ** (ბქ.) „დამდურება, გაბუტვა (ზედმიწ. — გულ-ცუდის დება)", **ხოლა გუიმი ლიდისგ** (ბქ.) „გულის არევა (ზედმიწ. — ცუდი გულ-ი^ს^ დ-ებ-ა") და მისთ.

ვფიქრობთ, მსგავსი ზმნების სრულად აღწერა და სემანტიკური შესაძლებლობის მიხედვით დაჯგუფება მეტად საინტერესო იქნება სვანური ფრაზეოლოგიზმების სრულფასოვანი შესწავლისათვის.

ა. თაყაიშვილს მონოგრაფიაში „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები" ნიმუშად მოყავს შემდეგი მაგალითები: *გატეხა* და *შეიტანა*. ზმნა *გატეხა*, მისი აზრით, თავისი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება ყველა იმ საგანთა აღმნიშვნელ არსებითთან, რომელთა გატეხაც რეალურად შესაძლებელია, მაგ.: *გაუტყდა — ჭიქა; თეფში, თავი, მანქანა, კალამი* ... ასევე *შეიტანა* ზმნა უკავშირდება ყველა იმ საგანს, რომლის *შეტანაც* მოსახერხებელია: *შეიტანა — ფული, განცხადება, ლოგინი, თოფი* და ა. შ., მაგრამ იგივე *გატეხა* ზმნა შესიტყვებებში: *სახელი გაუტყდა, ძილი გაუტყდა, ფიცი გატეხა, პირობა გატეხა* აღარ იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით, ანუ მას მიღებული აქვს *წახდენის, მოშლის* ელფერი. ასევე *შეიტანა* ზმნა კონტექსტში: *ეჭვი, ხალისი, გარდატეხა, გამოცოცხლება, არევ-დარევა — შეიტანა* თავისებური ნიუანსის მატარებელია (თაყაიშვილი 1961:69). რადგანაც ენები განსხვავებული არიან სიტყვათშეკავშირების კანონებით, აქედან გამომდინარე საინტერესოდ მივიჩნიეთ ქართულის იდენტური სვანური ზმნების — **ჩუათკუშურე** და **სგ'ადიე** სიტყვათა კავშირების დადგენა.

ჭიქა, თეფში, თავი, მანქანა, კალამი... (პირდაპირი მნიშვნელობით)

ქართ. *გაუტყდა*

სახელი, ძილი, ფიცი, პირობა... (არაპირდაპირი მნიშვნელობით)

ჭიქ, ხა̈მნ, დოქ, ჯიჯუ, ნაბა̈ნ... (პირდაპირი მნიშვნელობით)

სვან. ***ჩ'ოთკუაშ***

ჯიჯუ (არაპირდაპირი, ანუ სირცხვილი ჭამა||სახელი გაუტყდა'ს მნიშვნელობით)

ნაბა̈ნ (არაპირდაპირი, ანუ ფიცი გატეხა'ს მნიშვნელობით).

როგორც ვხედავთ, სვანური **ჩ’ოთკჷაშ** „გაუტყდა“ ზმნის მნიშვნელობა არ არის თავისუფალი, იგი არ უკავშირდება ყველა სინონიმურ და სემანტიკურად ახლოს მდგომ სიტყვებს. უფრო მეტიც, სვანურში, ქართულისგან განსხვავებით, აღნიშნული ზმნის არათავისუფალი მნიშვნელობა კიდევ უფრო შეზღუდულია, თუმცა რაიმე კონკრეტული საფუძველი ამ შეზღუდვისათვის არ არსებობს. როგორც ა. თაყაიშვილი აღნიშნავს: „სიტყვათა კავშირებს ზღუდავს არა საგნობრივი მიმართებანი, არამედ კომპონენტთა სემანტიკური თავისებურებანი და სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირის კანონები. ეს ფრაზეოლოგიური კონტექსტები ჩამოყალიბებულია საუკუნეთა მანძილზე და ასეა დღემდე მოღწეული. ამიტომ შემაფერხებელ ფაქტორად მოქმედებს აგრეთვე სიტყვათხმარების ტრადიციის კანონიც“ (თაყაიშვილი 1961:69-70). ამის შესახებ ჯერ კიდევ დე სოსიური მიუთითებდა: „არის ქცევები, რომელთა იმპროვიზაცია არ შეიძლება, ისინი მზამზარეულადაა გადმოცემული ტრადიციით“. სწორედ ამ მზამზარეულად გადმოცემული ტრადიციის შედეგია ისეთი სვანური იდიომატური გამონათქვამები, როგორიცაა: **ფრა̈ნგდ ლგჷ** (ბქ.) „სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. — **ფრანგ-ად დგ-ა-ს**)“, **სა̈რკდ ლგჷ** (ბქ.) „გასუფთავებულია, გაწმენდილია, გაკრიალებულია (ზედმიწ. — **სარკე-დ დგ-ა-ს**)“, **ცხგნდდ ლგჷ** (ბქ.) „გავარვარებულია, სიცხე აქვს (ზედმიწ. — ნაკვერცხლად **დგ-ა-ს**)“, **აბანო ხაყერხ** (ლშხ.) „დაბანეს (ზედმიწ. — **აბანო** დამართეს)“, **ფა̈ქარდ ლგ̄ჷ** (ლშხ.) „გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. — **ფეიქრ-ად დგ-ა-ს**)“, **ფინდიხდ ლგჷ** (ბზ.), **ფინთიხდ ლგჷ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) „სწრაფია, დაუდეგარია, მარჯვეა (ზედმიწ. — **ფინდიხ-ად დგ-ა-ს**)“, **ძალა̂ ლიყრინე** (ლშხ.) „დაძალება (ზედმიწ. — **ძალ-**⌈ის⌉ დამართება)“, **ბიზიკდ ლგჷ** (ბზ.) „ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. — **ბზიკ-ად დგ-ა-ს**)“ და ა. შ. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები მიჩნეულია საკუთრივ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებად, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით (საღლიანი 2011:232).

ის, რომ ენები განსხვავებული არიან სიტყვათშეერთების კანონებით, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. სვანურში გარკვეული სიტყვის ირგვლივ შექმნილ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს მოძმე ქართულ ენაში, ხშირ შემთხვევაში, არ გააჩნია რიცხობრივად ტოლი პარალელები. როდესაც არამონათესავე ენებს შორის ხდება შედარება, ეს გარკვეულ კითხვებს იმდენად არ აჩენს, მაგრამ როდესაც მონათესავე ენათა სიტყვათკავშირებს შორის ასეთი შესამჩნევი და განსხვავებული სხვაობაა, ეს უფრო საყურადღებოა და, ჩვენი აზრით, უფრო სიღრმისეულ კვლევას მოითხოვს. მაგალითად, სვანურში არ გვხვდება ქართული *სიხარულმა შემიპყრო* ან *სიხარულმა აღმიტაცა*-ს სრული ადეკვატური პარალელები, თუმცა სვანურში სიხარულის გამომხატველი უამრავი ფრაზეოლოგიური ერთეული დასტურდება: **ჯა̈ნ ხო̄ბ გუჲსგა** (ზს.) „დიდ სიხარულს განიცდის, აღფრთოვანებულია, სიხარულით ცას ეწევა (ზემიწ. — **ხარ-ი უ-ბ-ი-ა გულ-ში**)“, **გჷიმი ქა ლინარჰე** (ბქ.) „კარგ ხასიათზე დადგომა, გახარება (ზემიწ. — **გულ-ი**⌈ს⌉ განათება)“, **მა̈ხჲადშუ ჰგშხ დემეგ ხაგანხ**“ (ბქ.) „სიხარულისგან ფეხზე ძლივს იდგნენ (ზემიწ. — სი-**ხად-ულ-ი-თ** ფეხ⌈ს⌉ არ ე-**დგ-ნენ**)“ და სხვ. ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ნათლად ჩანს ამა თუ იმ გამოთქმისადმი ამა თუ იმ ერის შემოქმედებითი დამოკიდებულება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ უმწერლობო ქართველურ ენებში.

1. 2. სიტყვათწყობის მუდმივი რიგის დადგენა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში

რა შეიძლება ითქვას სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის შესახებ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში?

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად შემდეგი ნიშნები მიიჩნევა:

- **სიტყვათა წყობის მუდმივი რიგი;**
- **ამა თუ იმ კომპონენტის სინონიმით შეცვლის შეუძლებლობა;**
- **შემადგენელი კომპონენტის ამოგდების ან ახალი კომპონენტის ჩართვის შეუძლებლობა;**
- **გრამატიკული და ლექსიკური არქაიზმების დაცვა;**
- **ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა.**

ა. თაყაიშვილს ერთი შეხედვით შეუძლებლად მიაჩნია იდიომის სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევა. მაგ., ვამბობთ: *გულზე ცეცხლი ეკიდება, მდუღარეში ფეხი ჩაკრა, ქურში ზის, უყარე კაკალი,* მაგრამ არ ვამბობთ: *კაკალი უყარე, ზის ქურში* (თაყაიშვილი 1961:21). სიტყვათა რიგის ამგვარ სიმტკიცეს კი ხსნიან სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით, თუმცა ამ ნიშანს აბსოლუტური ხასიათის ნიშნად არ მიიჩნევენ, ვინაიდან გვაქვს სიტყვათა რიგის ცვლის შემთხვევებიც: *გული მოუვიდა‖მოუვიდა გული, ენას კბილი დააჭირე‖დააჭირე ენას კბილი.* ამ ფაქტს მეცნიერთა ერთი ნაწილი შემთხვევით ფაქტად მიიჩნევს. კომპონენტების შებრუნებული რიგი, გ. დემენტიევას აზრით, შეიძლება ავხსნათ ან განსაკუთრებული სტილისტიკური ნიუანსით, ანდა ზეპირმეტყველების ექსპრესიული არალოგიკურობით (დემენტიევა 1955:155-156). მისივე თქმით, „მოვლენების დიალექტიკა შესაძლებელს ხდის სიტყვათა რიგის შეცვლასაც და ჩართვასაც" (იქვე:170).

სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით, როგორც ცნობილია, ყოველი ენის ფრაზეოლოგიზმები განსხვავებული ხასიათისაა — დამოკიდებულია ამა თუ იმ ენის ანალიზურ თუ სინთეზურ ბუნებაზე. ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ფრაზეოლოგიზმებში სიტყვათა რიგი მყარია, რამდენადაც ამ ენებში თავისუფალი შესიტყვებაც გარკვეულ თანმიმდევრობას ემორჩილება: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. რაც შეეხება ქართულს, იქ სიტყვათა რიგის თავისუფლებაა და ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების მსგავსად ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს, მაგ.: *გული მოულბო, წყალი შეუყენა, ოქროში ჩასვა, გზა მისცა...* (თაყაიშვილი 1961:22).

მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ სვანურში გვიჩვენა, რომ სიტყვათა რიგის ცვლის მიხედვით სვანურიც თითქოს ქართულს მიჰყვება, თუმცა სვანურში სიტყვათა წყობის მუდმივი რიგის დარღვევის შემთხვევები ნაკლებად დასტურდება, რაც სიტყვათა რიგის სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით შეიძლება აიხსნას.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს სიტყვათა რიგის ცვლისა:

ლენჯ̈ჷრა̈ ხოშა̈ლდ ესნა̈რ გუნ ა̈ჰი̅ჰჷჴ ალდარე ნა̈ჰირჷ ამბა̈ჷ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 68:31-32) „ლენჯერელმა უხუცესებმა თურმე ძალიან აწონ-დაწონეს ამათი შემოთვლილი ამბავი („ლენჯერ-ი℧' დიდებმა თურმე მეტისმეტად დაზილეს ამეების ნათვლელი ამბავ-ი"), შდრ. ამბა̈ჷ ა̈ჰი̅ჰჷჴ „აწონ-დაწონეს"

ამშა ლაგგრგალჷი̅ნე დოხტურდ ენკიდ ბღე̅ლ-ბღე̅ლ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 287:34-35) — ამის თქმის დროს ექიმმა დაიბღავლა („ამის ლაპარაკზე დოქტორ-მა აიღო ბღავ-ილ-ბღავ-ილ-ი")", შდრ. ბღე̅ლ-ბღე̅ლ ენკიდ „დაიბღავლა"

გუა გუნ ხასხათა̈ლ'ე̅რე ტიტი იმჷა̈ლეჷი̅ნ ქ'ოთღა̅რე̅ნს დაგარშჷ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 94:9-10) „გუა ძალიან ცდილობდა თურმე, რომ ტიტი როგორმე მოეშორებინა თავიდან („გუა მეტისმეტად

ნახერხება, რომ როგორმე მოეშორებინოს სიკვდილით")", შდრ. **დაგარშჷ ქ'ოთღჵრჷნს** „მოეშორებინოს სიკვდილით", **დაგარშჷ ქ'ა̈თღირ** „მოიშორა სიკვდილით"...

ˈალესˈ **ჟი ოხქჷაც ქუნ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 277:7) „ეს გარდაიცვალა („ამას ამოუწყდა სული", შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-ჴუან-ვ-ა"), შდრ. **ქჷინ ჟ'ოხქჷაც** „გარდაიცვალა" და ა. შ.

ვფიქრობთ, ამგვარი დარღვევა სვანურში გამოწვეულია წინადადების რთული სინტაქსური კონსტრუქციით. რაც შეეხება ცალკე აღებულ ფრაზეოლოგიზმს, იგი, თავისუფალი შესიტყვების მსგავსად, ზმნა-შემასმენელს ბოლოში აქცევს: **გინჯილდ ლიგნე** (ზს.), **გგნჯილდ ლიგნე** (ლშხ.) „დაფლეთა, დაგლეჯა", **გრა̈მდ ლიგნე** (ზს.) „ფერფლად ქცევა", **გუდ პედნი** (ზს., ლშხ.), **გუდ პედენი** (ლნტ.) „ხვდება", **გა̈კჷირიშ ლიჩემ** (ბქ.), **გჷაკჷრები ლიჩომ||ლიგჷაკჷრები** (ლშხ.), **გჷაკჷრები ლიჩჷემ** (ლნტ.) „მიხედვა, ყურისგდება", **გჷის ხაჰჷდი** (ბქ.) „ყურადღებას აქცევს, ყურადღებით აკვირდება", **აბანო ხაყერხ** (ლშხ.) „დაბანეს", **უჷლაფდ ადგენე** (ლშხ.) „დაგლიჯა, გაანადგურა", **ძალა ხაყერ** (ლშხ.) „დააძალა, აიძულა", **ყაბულს ახჴედა** (ბზ.) „დათანხმებია" და მრავ. სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში, იდიომის დაუშლელობის გამოხატულებად მიჩნეულია, აგრეთვე, მისი შემადგენელი კომპონენტების შეცვლის შეუძლებლობა. „სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა, რომელიც ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, შეუძლებელია ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვანი ან ექსპრესიული აზრის მთლიანი დარღვევის გარეშე" (ვინოგრადოვი 1947:24).

როგორც მკვლევარი ა. თაყაიშვილი მიუთითებს, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელად არც ეს ნიშანია აბსოლუტური, რაზეც მეტყველებს ქართული ფრაზეოლოგიური გამოთქმის „მყარ" წყობაში ცვლილებების შეტანა. იგი ნიმუშად ასახელებს შემდეგ გამოთქმებს: *ენა წინ უსწრებს||ენა წინ გაურბის, ქანცი გაუწყდა||ქანცი გამოელია, თვალში ხვდება||თვალში ეცემა, თავს იმტვრევს||თავს იტეხს* და სხვ. (თაყაიშვილი 1961:22).

ვ. ვინოგრადოვის ზემოთ დასახელებული ნიშნის აბსოლუტურობის არასიზუსტეზე მიანიშნებს სვანური ენის ვითარებაც, სადაც **სინონიმის ჩასმა ან სიტყვის შეცვლა სრულებითაც არ არღვევს ფრაზეოლოგიური მთლიანობის ხატოვნებასა და ექსპრესიულობას (ხაზი ჩვენია! — მ. ს.)**. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი სვანური ენის დიალექტების მიხედვით:

ბა̈ლდ ლიგნე (ზს.), **ბა̈ლდ ლიგენე** (ლნტ.)||**ბა̈ლდ ლიჩედ** (ბზ.) „დაფლეთა, ნაფლეთებად ქცევა, დახევა", **ბა̈ნ მეფხჷე** (ბქ.), **ბან** (ლშხ.) **მეფხჷე||ბა̈ნ მეყჷლე** (ზს.) „სხვადასხვა თვალსაზრისის ქონა, ჩვენების არევა", **ნინ სგებდ ხოსკნე||ნინ სგებდ ოსეზი** (ბქ.) „ენა წინ უსწრებს||გაურბის", **მერემიშ ი მეფხემი ნესკაქა აპარ** (ლნტ.)||**მერემიშ ი მეფხემიშ ნენსგაქა ათსკინე** (ბქ.) „ელვის უსწრაფესად გაიქცა", **რიყ ათღანე** (ლხმ.)||**ყლიტ ათღანე** (ბქ.) „გადაყლაპა, გადასანსლა", **ბედნიერ ლიზგე ოთჰიდახ||ბედნიერ ლიზგე ოდიახ** (ბქ.) „ბედნიერად უცხოვრიათ", **გჷიმი ლიხპე** (ზს.)||**გჷიმი ლიწკრე** (ბქ.)||**გჷიმი ლიბჰკჷე** (ბქ.) „გაბრაზება", **ლგგენიშ||ლუგჷენიშ ლიშყედ||ლითჷეფ** (ბქ.) „გაუფასურება, სახელის დაკარგვა", **ხოლა მიჰმა̈ნი ლიჩჷემ||ხოლა მიჰმა̈ნი ლისყი** (ბზ.) „ხმაური, აყალმაყალი, ჩხუბი" და. ა. შ.

ამ რამდენიმე მაგალითიდანაც ცხადად ჩანს, რომ კომპონენტების სინონიმებით ჩანაცვლება, რომელიც, ზოგი მეცნიერის აზრით, ფრაზის სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს, არ არღვევს აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა მთლიანობას. ე. ი. სემანტიკური ფუძე, მიუხედავად მეცნიერთა ერთი ნაწილის მტკიცებისა, თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს ამა თუ იმ სინონიმით.

ჩვენ ვიზიარებთ ა. თაყაიშვილის აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ „არაზუსტია მათთვის სინონიმი იდიომების სახელის მიკუთვნება". უფრო მიზანშეწონილი იქნება მათ *ფრაზეოლოგიური ვარიანტები* ეწოდოს (იქვე:23).

ამ ფრაზეოლოგიური ვარიანტების არსებობის საფუძველს სვანურში, ვფიქრობთ, სხვადასხვა დიალექტური მასალა ქმნის, თუმცა ერთი დიალექტის შიგნითაც შეიმჩნევა ამ სინონიმური ვარიანტების არსებობა. მაგ., შდრ. ბქ. **გჷი ემხიპ||გჷი ემწკირ||გჷი ემბიჰკჷ** „გამამწარა, გამაბრაზა (ზედმიწ. — **გულ-ი** გამიხეთქა||გამიბზარა)", **გჷა̈სპდ ადგენე||გრა̈მდ ადგენე||ქიქიმდ ადგენე** „გადაწვა, გადა-

ბუგა, ცეცხლს მისცა ყველაფერი (ზედმიწ. — ფერფლად დააყენა)[1]", **თხუ̈იმ შოლელდ ოთგენე||თხუ̈იმ ხა̈პდ ოთგენე||თხუ̈იმ შხა̈რდ ოთგენე||თხუ̈იმ ბა̈ჭკუ̈დ ოთგენი** „თავი გაუხეთქა (ზედმიწ. — თავი ხლეჩად||ხეთქვად დაუყენა)" და ა. შ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნიათ იდიომის რედუქციისა და გავრცობის შეუძლებლობა. ა. ონიანის აზრით, აღნიშნული პროცესი აუცილებლად იწვევს იდიომის დაშლას (ონიანი 1954:58-59), რასაც არ ეთანხმება ა. თაყაიშვილი. იგი ფიქრობს, რომ *ტყავის გაძრობა* და *კუდამდე ტყავის გაძრობა* არ უნდა იყოს დამოუკიდებლად ჩასახული გამოთქმები და ერთი მეორის ამოსავალ ვარიანტად მიიჩნევს. მსგავსი შემთხვევები კი მრავლად იძებნება ქართულში. მაგ.: *გულის ჯავრი იყარა* → *ჯავრი იყარა*, *თავისი ნათქვამი გაიტანა* → *თავისი გაიტანა*, *ენა მუცელში ჩაუვარდა* → *ენა ჩაუვარდა*, *პირში ბურთი ჩაჩარა* → *ბურთი ჩაჩარა* და სხვ.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში?

სვანურ მრავალფეროვან მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იდიომის შემადგენელი კომპონენტების ამოგდების პროცესი თითქმის ყოველთვის იწვევს იდიომის დაშლას, ამიტომ ქართულის მსგავსი ვითარება სვანურში არ დასტურდება. ე. ი. არ გვაქვს *ტყავის გაძრობა* და *კუდამდე ტყავის გაძრობა*-ს მსგავსი მაგალითები, თუმცა ის გამონაკლისები, რაც სვანურში დადასტურდა, ქართულიდან სესხების შედეგია (მაგ. **ნინ ჯა̈ღთე ოთშყად** → **ნინ ოთშყად** (ბქ.), **თერა̈რლისგა ტგტ ლამშიდ** → **ტგტ ლამშიდ** ...). შეუძლებელია გამოთქმებიდან — **ნექჳა̈რ უ̈შხუ̈არ ხაჯიდ** (ბქ.) „განრისხდა, გაბრაზდა, დანაღვლიანდა", **თხუ̈იმ იჳა̈რდ ანჯიდ** (ბქ.) „თავი გამოიჩინა, გმირობა ჩაიდინა", **ხა̈ტს ლერთანხენ ხა̈ჲრა** (ბქ.) „ბოროტი||ურწმუნო ადამიანია", **ფათუ̈ს დეშ ხაკუ̈რანნე** (ლშხ.) „ვერაფერს აკლებს", **ხოლა̈მ გუ̈ჟი ლიფშუ̈დე** (ბზ.) „გალახული გაშვება"... ამოვაგდოთ რომელიმე კომპონენტი, რადგან ეს უსათუოდ გამოიწვევს იდიომის დაშლას. როგორც ჩანს, სვანურის ეს ვითარება აძლევდა ა. ონიანს ზემოთგამოთქმული მოსაზრების საბაბს.

ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ ქართული გამარტივებისკენ მიისწრაფვის და აღნიშნული მოვლენა ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს, სვანური კი ამ მხრივ არქაულ ვითარებას ინარჩუნებს, რაც, როგორც უკვე ითქვა, სემანტიკური მონოლითურობითა და ტრადიციული გაფორმებით უნდა აიხსნას. ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი კი სწორედ ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა.

იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. პოპოვს, რომლის მოსაზრების თანახმად, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზაცია. იგი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და დაასკვნის: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს ქმნიან ძირითადად ისინი, რომლებიც თავის სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცავენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენენ" (პოპოვი 1956:401).

მიუხედავად რ. პოპოვის ამ დასკვნისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი, არქაულ ერთეულებს არ თვლის იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნად (ონიანი 1954:241; თაყაიშვილი 1961:26).

სვანური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდიომებზე (resp. იდიომურ ლაკუნებზე) მუშაობისას ჩვენც ა. ონიანისა და ა. თაყაიშვილის თვალსაზრისი გავიზიარეთ და აღვნიშნეთ, რომ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა

[1] აღნიშნული იდიომის პირველი შემადგენელი კომპონენტების — **გრა̈მ-**, **გუ̈ა̈ხპ-** და **ქიქიმ-** ფორმათა წარმომავლობა, რამდენადაც ცნობილია, დღემდე გაურკვეველია. შესაძლოა, თავდაპირველად რაიმე სემანტიკური სხვაობა მაინც ყოფილიყო მათ შორის, თუმცა სანამ მათ ქართველურ შესატყვისებს არ მივაგნებთ, მანამდე შეუძლებელი იქნება შესაბამისი ქართული თარგმანების დადგენა. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი ფრაზეოლოგიურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს.

იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი“ (საღლიანი 2011:232).

იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად კი მიჩნეულია ზოგიერთი გრამატიკული კატეგორიის უქონლობა, რომელსაც, გრამატიკული კლასიფიკაციის წარმომადგენლები, გრამატიკული კატეგორიების მიჩქმალვასაც უწოდებენ. როგორც ცნობილია, იდიომები ხშირად არ იყენებენ სრულ პარადიგმებს. ზმნური ელემენტი ხშირად იზღუდება ფორმათწარმოების შესაძლებლობებით, რისი შედეგიცაა მისი ფრაზეოლოგიურად დახშულ კონტექსტებში წარმოდგენა (თაყაიშვილი 1961:27).

სანამ სვანური მასალის ანალიზზე გადავალთ, მანამდე მოკლედ შევეხებით ქართულის ვითარებას. ქართულში, უპირველეს ყოვლისა, იდიომებში გვხვდება ზმნები განსაზღვრული პირის ფორმით: მაგ., მესამე პირში: *მარილის მოსატანად წავიდა, კაკას ხიდი გაიარა...*, მეორე პირით: *ყურებზე ხახვი არ დამაჭრა, თვალთან თითს ვერ მიიტან.* ქართულში ასევე დასტურდება იდიომები, რომლებშიც ზმნა „გაქვავებულია“ I სერიის მწკრივებში: *სულს ღაფავს, მკლავი უჭრიდა, თავვი კუდს ვერ მოიქნევს*, და გვხვდება წარსულდროიანი ფორმებიც: *სულიც ჩაუდგა, პირზე რძე არ შეშრობია* (იქვე).

რა ვითარებაა ამ მხრივ სვანურში?

რაღა თქმა უნდა, სვანურ იდიომებშიც გვხვდება ზმნები განსაზღვრული პირის ფორმით. მაგ.:

მესამე პირში: **ხოლა კუჲ ოხჭად** (ლშხ.) „გაბრაზდა (ზედმიწ. — ცუდი **კუჲ**-ი მოუვიდა)“, **გჳი ჩუ ლუთთქჳე ხარ** (ბქ.) „დასუსტებულია (ზედმიწ. — **გულ-ი და-თუთქ-ულ-ი** აქვს)“, **აქანი ახოკიდ** (ლნტ.) „მიესალმა (ზედმიწ. — სალამი აუღო)“, **ბäლდ ადგენე** (ბქ.) „დახია‖დაფლითა (ზედმიწ. — ფლეთად დააყენა)“, **გჳმი ნäხიპჳ ქäმინჩუ ანდე** (ბქ.) „გული ამოიგდო ტირილით (ზედმიწ. — **გულ-ი⌈ს⌉** ნახეთქი გარეთ გად-მო-დ-ო)“, **გäჩä კäცხ ესგე მიჩა კეთილს** (ბზ.) „თავისი ქონება გაანიავა (ზედმიწ. — დანის წვერი და-ა-**დგ-ა** მის **კეთილ-ს**)“, **თხჳიმ ლგცფექდ ოთგენე** (ბქ.) „თავი დაუნაყა, გაუხეთქა (ზედმიწ. — თავი ფქვილ-წყლად დაუყენა)“, **კიკბერ ახბეკ** (ბქ.) „დააძალა, აიძულა (ზედმიწ. — კაკიბერა მიაბჯინა)“, **ყიაყი გარ ლოხწება კინჩხ** (ბქ.) „მოუჭრია თავი (ზედმიწ. — **ყია**-ზე მხოლოდ ჩამოუკონწიალებია **კინჩხ**-ი)“...

მეორე პირით: **ლერქჳäლ ძიძიბდ ლამგენე** (ბზ.) „ტანსაცმელი შემომახია (ზედმიწ. — ტანსაცმელი ფლეთად დამიყენა)“, **თეთე ფხულეს დეშ ხიძგრი** (ბქ.) „თვალთან თითს ვერ მიიტან (ზედმიწ. — **თვალ-⌈ის⌉**-კენ თითს ვერ ი-ძგერ-ებ)“, **ჟი ჯებიდ ნäლფეთოშჳ** (ბქ.) „ნამეტანი ბრაზიანი ხარ (ზედმიწ. — ცეცხლი გიკიდია **ფეთ-იან-ობ-ით**) **ქუნუშჳ ჯარ** (ლნტ.) „ერთი სული გაქვს (ზედმიწ. — სულით გაქვს)“, **ხäტს ლერთანხენ ხäძრა** (ბქ.) „უკულმართი, ულმერთო ადამიანი ხარ (ზედმიწ. — ხატს მარცხნიდან აწერიხარ“)...

პირველი პირით: **ტყჳი ჩუ ლგჰნე მäრ** (ბზ.) „ძალზე ჯაფაგაწეული ვარ (ზედმიწ. — ტყვია გადამდნარი მაქვს)“, **თხერემ ჯარჯისგა ხჭäრი** (ბქ.) „ცუდ წრეში ვარ (ზედმიწ. — მგლის ხახაში ვარ)“, **გჳიმი ნäხიპ შიყი მიზ** (ბქ.) „გამწარებული ვარ (ზედმიწ. — **გულ-ი⌈ს⌉** ნახეთქი ხელზე მ-ი-ძ-ევ-ს)“ და სხვ.

გარდა ამისა, სვანურ იდიომებში ზმნები წარმოდგენილია სხვადასხვა მწკრივის ფორმით: **სიქუნ-ქულ ხოსგურ** (ლშხ.) „მოუსვენრადაა (ზედმიწ. — მოუსვენრობა უზის)“, **სინდიკდ ხჵგდა** (ბზ.) „დაფლეთილი ჰქონდა (ზედმიწ. — ფლეთად‖ნაკუწებად ე-**დგ**-ა)“, **ტრäკდ ადგენე** (ბზ.) „დაამტვრია, დაამსხვრია (ზედმიწ. — მსხვრევად დააყენა)“, **ფäთქჳდ ლგგ** (ბზ.) „მაძღარია (ზედმიწ. — გასკდომად დგა-ს)“, **ქოქდ ანკდენიხ** (ლშხ.) „ამოწყდებიან (ზედმიწ. — ფუტუროდ აიღებიან)“, **შäრდი-ბäრდი ოთქჳაც** (ჩბხ.) „არაქათი გამოეცალა, დაიღალა (ზედმიწ. — ილაჯი გაუწყდა)“, **ჩინჩრიხდ ოთგენა** (ბქ.) „დაუმტვრევია, დაუმსხვრევია (ზედმიწ. — ნამსხვრევებად დაუყენებია)“, **დეცე ნäკჳიშ გიმდ ანღრი** (ბქ.) „თავსხმა, კოკისპირული წვიმაა (ზედმიწ. — ც-ი⌈ს⌉ ნატეხი მიწად მოდის)“...

იდიომის სახელადი ნაწილი კი რიგ შემთხვევაში რიცხვის ორივე ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ., მხოლობითი რიცხვის ფორმით: **ნიჩჳ ხამრე ნაბარჯდ ხოჯეშ** (ბქ.) „ნაყვავილარი, უშნო სახე აქვს (ზედმიწ. — პირისახე ღორების ნათხრელად უგავს)“, **ქორს ხაშკუნთა** (ბქ.) „სულ სახლშია, სახლიდან

არ გადის (ზედმიწ. — სახლს აცუცქია)“, **ძუღჷაშ მელ ამჩეხჷნე** (ბქ.) „გამაწამა, გამაწვალა (ზედმიწ. — ზღვის ბალახი მომაძოვინა)“, **ჰიაბერდ ესსიპა̈ნ** (ლშხ.) „გაღორდა (ზედმიწ. — ჰიამჰამელად გადაიქცა)“, **ჰერყუა̈შ მუქჷისგ მადმა ხორი** „ღარიბ-ღატაკია (ზედმიწ. — ყვავი ყვა-ს მთქმელი არ ჰყავს)“; მრავლობითი რიცხვის ფორმით: **კჷენა̈რ ჟი ხებზიხ** (ბქ.) „გამხდარია, გაძვალტყავებულია (ზედმიწ. — კვერნ-ებ-ი დააძღებიან)“, **შდა̈რლუგჷდურე ზურალ** (ბქ.) „არაფრის მცოდნე ქალი (ზედმიწ. — ხელებმოჰრილი ქალი)“, **შა̄რე უგნა, შდა̈რე უგნა** (ბქ.), **შიარე უგნა** (ლშხ.) „ხელგაუჩერებელი, ცელქი (ბავშვი); ქურდი, ცუდი ხელის ადამიანი (ზედმიწ. — ხელები⌜ს⌝ უ-დგ-ამ-ი)“, **ჩა̄მი შდა̈რს ლეჰჷე̄ნი ლი** (ბზ.) „სათნო კაცია, ყველას ადვილად შეეწყობა, გაუგებს (ზედმიწ. — ყველა⌜ს⌝ ხელებს სახვევი არის)“, **შდა̈რე ლიტიფა̈ნი** (ბქ.) „გაკვირვება, გაოცება (ზედმიწ. — ხელების ქნევა)“, **შდა̈რხენქა ლიფშჷდე** (ბქ.) 1. „გატუტუცება“, 2. „დაკარგვა (ზედმიწ. — ხელებიდან გაშვება)“, **შდგქრე ნა̈ცყერუნ** (ბქ.) „მცირეოდენი, პატარა ულუფა, რომელიც ვერ დანაყრავს ადამიანს (ზედმიწ. — კბილების საცობი)“, **ნგნრე ლიზელალნე** (ბქ.) „ენატანიაობა (ზედმიწ. — ენ-ებ-ი⌜ს⌝ წასიარულება)“, **ცხარა̈რთეჟი ლიკედ** „აბუჩად აგდება, გაჰორება (ზედმიწ. — ფრჩხილებ⌜ის⌝კენზე აღება)“, **კაპრა̈შლა̈რს ჩუ დემის ა̈გნე** (ბქ.) „სულ ლაყბობს (ზედმიწ. — ნი-კაპ-ებ-ს არ ა-დგ-ამ-ს)“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, იდიომების უმრავლესობა სვანურში, ქართულის მსგავსად, ავლენს ყველა შესაძლო კატეგორიას. იდიომთა ერთი ნაწილი კი მთლიან პარადიგმატულ სქემებსაც ინარჩუნებს, მაგალითად, ნიმუშად ავიღოთ რომელიმე მათგანი და ვნახოთ მთლიანი პარადიგმატული სქემები:

გჷის ჯიხპე „გაბრაზებს (ზედმიწ. — **გულ-ს** გიხეთქავს)“
გჷის ჯეხპუნი „გაგაბრაზებს (ზედმიწ. — **გულ-ს** გიხეთქავდეს იქნება)“
გჷის ჯიხპა „გაბრაზებდა (ზედმიწ. — **გულ-ს** გიხეთქავდა)“
გჷის ჯა̈ხპუნა „გაბრაზებდა თურმე (ზედმიწ. — **გულ-ს** ნახეთქება)“

შხა̈რდ ჯიგნე „გიხეთქავს, გიპობს (ზედმიწ. — პობად გ-ი-**დგ**-ამ-ს)“
შხა̈რდ ეჯგენისგ „გაგიხეთქავს, გაგიპობს (ზედმიწ. — პობად და-გ-ი-**დგ**-ამ-ს)“
შხა̈რდ ეჯგენე „გაგიხეთქა, გაგიპო (ზედმიწ. — პობად და-გ-ი-დგ-ა)“
შხა̈რდ ოთგენა „გაუხეთქია, გაუპია (ზედმიწ. — პობად და-უ-დგ-ამ-ს)“

თე ჯაგ „გათვალული ხარ (ზედმიწ. — **თვალ-ი** გ-ა-**დგ**-ა-ს)“
თე ჯაგდა „გათვალული იყავი (ზედმიწ. — **თვალ-ი** გ-ა-**დგ**-ა)“
თე ჯეგნი „გაითვალები (ზედმიწ. — **თვალ-ი** გ-ა-დგ-ებ-ა)“
თე ლაჯაგან „გაითვალე (ზედმიწ. — **თვალ-ი** მო-გ-ა-**დგ**-ა)“
თე ლაჯგენენა „გათვალულხარ (ზედმიწ. — **თვალ-ი** მო-გ-**დგ**-ომ-ი-ა)“ და მისთ.

ზოგი მკვლევარი იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად მიიჩნევს, აგრეთვე, მის სხვა ენაზე უთარგმნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი ისეთი გამოთქმაა, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ა. რეფორმატსკი, ნ. სკოროდიმოვა, დ. უმაკოვი, ს. ოჟეგოვი, ლ. ბულახოვსკი).

იდიომის არსებულ განსაზღვრათა ამგვარი კლასიფიკაცია, ალ. ონიანის აზრით, არ არის ზუსტი, „რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ერთ განმსაზღვრელ ნიშნეულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული სხვა რომელიმე ნიშნეულობაც“... (ონიანი 1954:42-43). იგი დაასკვნის, რომ „იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ...“ (იქვე:241), რასაც სვანური ენის ფრაზეოლოგიზმებიც ადასტურებენ.

როგორც გამოკვლევამ აჩვენა, საენათმეცნიერო ლიტერატურაში იდიომის სპეციფიკის განმსაზღვრელ კრიტერიუმებად მიჩნეული ნიშნები არც სვანურისათვის აღმოჩნდა არსებითი, ვინაიდან ისეთი

რთული ლექსიკური ოდენობის შეცნობისათვის, როგორიც იდიომია, მხოლოდ გრამატიკული თავისებურებებით აპელირება არაა საკმარისი და ვერ მოიცავს იდიომთა მთელ შემადგენლობას.

1. 3. ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში

ენის საგანძურის გამდიდრება, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ხდება არა მარტო მასში ახალი სიტყვების, ნეოლოგიზმების აღმოცენებით, ნასესხები სიტყვებითა და ცალკეული სიტყვების მნიშვნელობის შეცვლით, არამედ იმითაც, რომ თავისუფალი სინტაქსური შესიტყვებები, სიტყვათა ჯგუფები, ე. წ. მყარ შესიტყვებებად და ამგვარად, ენის საგანძურის შემადგენელ ნაწილად გარდაიქმნებიან. ამ სახეობის „მყარ“ შესიტყვებებს (აგრეთვე „ფიქსირებულ სიტყვათშენაერთებს“) უნარი შესწევთ წარმოქმნან განსხვავებული სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურები (ფლაიშერი 1982).

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გარკვეული მარაგი, როგორც ცნობილია, ყველა ენაში მოიპოვება. რაღა თქმა უნდა, ამ მხრივ არც სვანური წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის ლექსიკური ფონდი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

ამჯერად სტატიაში წარმოდგენილი იქნება ქართულიდან (და არა მარტო ქართულიდან) სვანურში ნასესხებ (თუ კალკირების გზით მიღებულ) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თუ შესიტყვებათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალის გათვალისწინებით. წარმოდგენილი მასალა სვანური ენის დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით მეტად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს.

მრავალფეროვანი საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან[1], აგრეთვე, 2010 წლის ზაფხულში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან.

აღნიშნულ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია სხვა ენებიდან სესხების საფუძველზე, თუმცა, მასალის ანალიზიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ნასესხებ ერთეულებს სჭარბობს კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შესული.

ა) ნასესხები ფრაზეოლოგიური გამონათქვამები (იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი)

აქ წარმოდგენილი იქნება ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებიც, ჩვენი დაკვირვებით, წარმოშობილია ქართული ენიდან სესხებისა თუ კალკირების საფუძველზე[2]:

ბა̈ნიშ ლიქჳისგ — 1. აყოლა, წაქეზება, თანხმობა, 2. შდრ. ქართ. ბანის თქმა „შველა, თანხმობა, მიხმარება, საქმის გაკეთებინება, მიკედლება, მოწონება, წაქეზება“

ალი შიშდ ბა̈ნს ხაჰჳდი (ბქ.) — ეს ხელათ ეთანხმება („ბან-ს აძლევს“);

ბერძეგენ მეზგე — 1. მდიდარი, შეძლებული ოჯახი, 2. შდრ. ქართ. (გურ., რაჭ.) ბერძეგანი „შეძლებული, მდიდარი“

ჲესჳა̈ჲ კჳეცენ ხოშხჳნა ჯჳინელ, ეჯი ხოჩა ბერძეგენ მეზგათე იშგლდანი სოფელ-ქჳეყა-

---

[1] იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

[2] „კალკი ისევე უნდა შევაფასოთ, როგორც სესხება“ (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952: 196).

ნა̈დსა" (ლშხ. სვან. პრ. ტექსტ., 1979, 226:10) — ვისაც ძველი ხორბალი აქვს შენახული, ის მდიდარ ოჯახად („კარგ **ბერძეგან** მოსახლ'ის'კენ") ითვლება („სოფელ-ქვეყანა-ში");

და̈ჷ ი ჰეც ნა̈ჰეცჷრა — 1. კრეტინი, დებილი ადამიანი[1] (ზედმიწ. „დევ-ი და მჴეც-ი ნა-მჴეც-არ-ი")

მჷშჷნია̈შ ჭჷინელ დაჷობ ი ჰეცობ ომჩედ ესერ (ბქ.) — სვანის ძველი კრეტინობა‖ჩამორჩენილობა („დევ-ობ-ა და მჴეც-ობ-ა") წავიდაო („წასულაო");

შითე ლიკჷა̈ნე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შითე ლიკჷანე** (ბქ., ლნტ.) — 1. მისაკუთრება, დაპყრობა, დაუფლება, შოვნა, ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე), 2. შდრ. ქართ. ხელში ჩაგდება [შდრ. საკუთრივ სვან. (ბქ.) **ჩის სგა იყერ** — მიისაკუთრებს, ხელში ჩაიგდებს („ყველას შემოირტყამს")];

თერა̈რისგა ტგტიშ ლიშდე — 1. მოტყუება, გამასხარავება (ზედმიწ. „თვალ-ებ-ში" ნაცარ-ტუტა-ს მიყრა"), 2. შდრ. ქართ. თვალში ნაცრის მიყრა‖ჩაყრა

თერა̈რისგა ჩის ტგტს ხა̈შდე (ბქ.) — ყველას ატყუებს („თვალ-ებ-ში ყველას ნაცარ-ტუტა-ს აყრის");

კჷერიშ ლიყერ — 1. დამოწმება, მიმხრობა, მხარის დაჭერა (ზედმიწ. „კვერ-ის რტყმა"), 2. შდრ. ქართ. კვერის დაკვრა

ალა̈რი კჷერს ხოყერხ (ბქ.) — ესენიც კვერს უკრავენ („ურტყამენ");

გა̈ჩს მა̈ძგრინე, კუკუმ ზისხ დემის მიჴდენი (ბქ.) — 1. გაბრაზებული ვარ, მწუხარებისგან სიტყვა ვერ მითქვამს (ზედმიწ. „დანას მ-ა-ძგ-ერ-ებ, წვეთი **სისხლ**-ი არ მომივა"), 2. შდრ. ქართ. დანა რომ დამარტყა, სისხლი არ გამოვა; დანა პირს არ მიხსნის;

თეთე სგ'ოთშუედნიხ, ქა დემის იფურშგვინეხ — 1. ძალიან უყვართ, აფასებენ (ზედმიწ. „თვალ-'ის'-კენ ჩაუვარდებათ, არ ამოიფშვნიან", 2. შდრ. ქართ. თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ;

თეთე ფხულე დემ იძგირი, ეჯგჷა̈რ მუბირ ლი (ბქ.) — 1. უკუნეთი ღამეა (ზედმიწ. „თვ-ალ-'ის'-კენ თითი არ ი-ძგირ-ებ-ა, იმ-გვარ-ი სიბნელე არის", 2. შდრ. ქართ. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი, ისეთი სიბნელეა;

თხუმ ფაყჷისა ხუდჷა (ლშხ., ჩოლ.) — 1. საიმედო მდგომარეობაშია, საშიშროება არ მოელის, არხეინადაა, 2. შდრ. ქართ. თავი ქუდში აქვს;

ბა̈ჩჷი ნახტაჷ ეშმა̈კ (ბქ.), **ბაჩჷი ნახტაჷ ეშმად** (ჩოლ.), **ბეჩჷი ნახტაჷ ეშმად** (ლშხ.) — 1. მახინჯი, შეუხედავი, 2. შდრ. ქართ. ქვაზე დახატული ეშმაკი;

შდა̈რს ხა̈ხერი — 1. ვისიმე ცემა სურს (ზედმიწ. „ხელებს ექავება"), 2. შდრ. ქართ. ხელები ექავება, ხელები ჰქავა (ვაჟა)

ალის შდა̈რს დოჷე ხა̈ხერიჷ (ბქ.) — ამას მგონი ხელები ექავება („ამას ხელებს მგონი ექავებოდა");

ბეწჷეი ლისედ (ზს., ქს.) — ბეწოზე გადარჩენა (**ბეწჷეჱნ გარ ა̈მსა̈დ ქჷინ** (ბზ.), **ბეწჷეი გარ ლემსად ქჷინ** (ბქ.), **ბეწჷშ გარ ემსად ქუნ** (ლშხ.) — სული ბეწვზელა შემრჩა; **ბეწჷეი ა̈თჷესელენ** (ლნტ.) — ბეწვზე გადავრჩი);

გუდსგა‖გჷიდსგა ლემესგ‖ლა̈კირ ხოშჷ — 1. დამწუხრებულია, დანაღვლიანებულია, 2. გულში ცეცხლი უნთია („გულ-ში ცეცხლი‖სა-კირ-ე უნთია");

ეჯგჷა̈რ დრეჷისგ'ა̈რი, ერე გუდსგა ლემესგ‖ლა̈კირ ხოშჷ (ბქ.) — საშინელ დღეშია („იმ-გვარ დრო-ში ა-რ-ი-ს, რომ გულ-ში ცეცხლი‖სა-კირ-ე უნთია");

გჷიდმუჰჷედ ხოფუე — 1. გაბრაზებულია, დაბოღმილია (ზედმიწ. „გულ-ი და მკერდი უდუღს"), 2. დამწუხრებულია (ვიღაცის ავადმყოფობის ან გარდაცვალების გამო), 3. შდრ. ქართ. გულ-მუცელი ეწვის

ალის ლეთილადეღ გჷიდმუჰჷედ ხოფუე (ბქ.) — ეს მუდამ დამწუხრებულია („ამას ღამე და დღე გულ-ი და მკერდი უდუღს");

[1] ვინც ტანად დიდია და ჭკუა-გონებით სუსტი, ისეთ ადამიანზე იძახიან.

მართალია, სვანურში ღვიძლის მაგივრად მკერდია გამოყენებული, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ქართული „გულ-მუცელი ეწვის“ გამოთქმის კალკია.

დეცელაჰურაშ ლიფეტ — 1. დიდი სიხარული, ბედნიერება (ზედმიწ. „ც-ის' სა-ჰურ-ელ-ის გახვრეტა“), 2. შდრ. ქართ. ცის გახსნა

ალის დეცელაჰურა ოთფჷტ (ზს.) — ეს გაბედნიერდა, კარგ ბედში ჩავარდა („ამას ც-ის სა-ჰურ-ელ-ი გაეხვრიტა“);

დეცქა მემპერს დემ ლოქ ფიშტჳე ი ძირს — მეზელჰლს — 1. კარგი, სახელოვანი მონადირეა („ცა-ზე მფრინავს არო უშვებს და ძირ-ს — მოსიარულეს“), 2. შდრ. ქართ. ცაში ფრინველებსაც და დედამიწაზე ჰიანჭველებსაც აცახცახებდათ (მისი შიშით), ანუ ზეცაზე ფრინველი ვერ გადაიფრენს, ძირს, მიწაზე, ჰიანჭველა ვერ გაივლის ჩემი შიშით.

მეთხუჳარად ხჰქჳხ: „ფუსდ, იმ ლოქ ჰნჴდეხ, ეჯკჰლი მეთხუჳარ ლოქ ხჰსიპ მინე ცხეკს, **დეცქა მემპერს დემ ლოქ ფიშტჳე ი ძირს — მეზელჰლს!**“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 329:16-18) — მონადირეებმა უთხრეს: „ბატონო, რას („რასო“) მოვიტანთო („მოიტანენ“), იმისთანა („იმ-ყალიბ-ი“) მონადირე (შდრ. ძვ. ქართ. მე-სა-თხ-ევ-ლ-ე“) დასტრიალებსო ჩვენს („მათ“) ტყეს, ცაზე ფრინველს არ აჰაჰანებსო („უშვებს“) და ძირს — ჰიანჭველას („მოსიარულეს“)!“

აშკარაა, რომ ქართულიდანაა შემოსული და ფიქსირდება ძირითადად ზღაპრებში.

თჳი ი შაქჰრ ახჰზი პილჰრჟი (ბქ.) — 1. თბილი, ტკბილი ადამიანია, 2. შდრ. ქართ. თაფლი და შაქარი ამოსდის პირიდან;

შდიქ-ლელგჳის იჸჳფე — 1. ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. „კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს“), 2. შდრ. ქართ. კბილებს იყრევინებს

ეჩა ხგრშჳ მიშგუ მეზჳბელ შდიქ-ლელგჳის იჸჳფე (ბქ.) — სიბრაზისგან ჩემი მეზობელი კბილებს იყრევინებს („იმის ბრაზით ჩემი მეზობელ-ი კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს“);

კინჩხიშ ქჳეცა — 1. შერცხვენა, 2. შდრ. ქართ. კისრის მოჭრა

ალი ნიშგე კინჩხიშ მუქჳიცან ლი (ბქ.) — ეს ჩვენი შემარცხვენელია („ეს ჩვენი კინჩხ-ის მჭრელი არის“);

ლგცდ ხოგ (ბქ.) — 1. ზედმიწევნით იცის, დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას (ზედმიწ. „წყლად უ-დგ-ა-ს“), 2. შდრ. ქართ. წყალივით იცის. რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შესახებ? არის კი იგი ქართული „წყალივით იცის“ ფორმის კალკი? მართალია, სემანტიკურად სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სვანური **ლგცდ ხოგ** სვანურისავე ნიადაგზეა წარმოქმნილი, თუმცა ამისი გადაჭრით თქმა ნაადრევი გვეჩვენება, რადგანაც შესასწავლ-განსახილველი სვანურ ფრაზეოლოგიაში კვლავაც ბევრი რამეა.

მჰრტმჰსიპჰნ ამსჳალდ — 1. გულცვალებადი ადამიანი (ზედმიწ. „მარტ-მოტრიალე ადამიანი“), 2. შდრ. ქართ. მარტივით ცვალებადი

ლჰმდ სურუ მჰრტმჰსიპჰნ ამსჳალდ ლი (ბქ.) — ნამეტანი გულცვალებადი ადამიანია („მთლად მეტისმეტი მარტ-მოტრიალე ადამიანი არის“);

მჰხმადშჳ ჰიშხჟი ჳენდ ლგგ (ბქ.) — 1. ძალზე გახარებულია, 2. შდრ. ქართ. სიხარულით ფეხზე ძლივს დგას და მეგრ. **სიხარუით კუჩხის ვეგერდეს** [შდრ. საკუთრივ სვანური გამოთქმა: **გჳიმსგა ჰჰნ ხობ** „გახარებულია, მაგრამ არ იმჩნევს („გულ-ში ხარ-ი უ-ბ-ია“)“];

ნჰთსაჳიშ სჰჸჳდირ (ბქ.) — 1. ადამიანი, რომელიც ნათესაობას არცხვენს თავისი ცუდი საქციელით, მნიშვნელობა არა აქვს ქალი იქნება თუ კაცი, ასეთ ადამიანებს კი გადატანითი მნიშვნელობით „ნათესავის საყვედურს“ (ანუ ნათესაობის სირცხვილს) უწოდებენ („**ნჰთსჰჳიშ სჰჸჳდირ ლჰწრალდ იქჳი**“ — ნათესავის საყვედური საგინებლად ითქმის), 2. შდრ. ქართ. ნათესავის საყვედური. გვხვდება სხვა გამოთქმებიც, მაგ.: **სჰჸჳდირდ ხჰზ** „შერცხვენილია („სა-ყვედ-ურ-ად ა-ძ-ევ-ს“), **ლეს-**

ყჷადჷრდ ლისედ „შერცხვენა („სა-სა-ყვედ-ურ-ოდ დარჩენა“). როგორც მაგალითებიდან ჩანს, სვანურში სემანტიკურ გადაწევასთან გვაქვს საქმე.

ტყჷედ ლიჯეშ — ძვირადღირებული რამ, ძალიან რომ სჭირდებათ რამე (ბევრ რამეზე ითქმის: კარგ სვანურ თოფზე, კარგ ხარზე, მაგ.: მოლემ სურჷ წგხი ლახა ხარხ, ათხეჲ ამჟი რაგდიხ: **„ა̈ლი ესერ დინა ტყჷედ ხოჯეშ ათხე“** (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 240:28-29) — როცა რამე ძალიან სჭირდებათ („რაღაცის მეტისმეტი წუხ-ილ-ი თუ აქვთ“), ახლაც ასე ამბობენ („ლაპარაკობენ“): „ეს გოგო რად მიღირსო ახლა („ესო გოგო **ტყვე-დ** უღირს ახლა“)“, და თვით სიკვდილზეც კი, მეტად გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი თავისთვის ლაპარაკობს **დაგრა ტყვედ ესერ ხოჯეშ** „სიკვდილი ტყვედ მიღირსო, ანუ სიკვდილი ხსნა იქნებაო („**ტყვე-დ** ფასება, ღირება“), შდრ. ქართ. ერთ ტყვედა ღირს „ძვირფასია“. როგორც ცნობილია, გამოთქმა იმდროინდელია, როცა ტყვეების ყოლა მოსამსახურეებად ქართველებს ჩვეულებად ჰქონდათ და ტყვეები დიდად ფასობდნენ ჩვენში (სახოკია 1979:184).

უშხჷარ სომეხ-თათა̈რდ ხაგხ (ბქ.) — გადამტერებულები არიან (ოჯახები, სოფლები, ადამიანები, — ზედმიწ. „ერთმანეთს **სომეხ-თათრ-ად** ად-გ-ა-ნ-ან“). მართალია, მსგავსი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი ქართულში ვერ დავადასტურეთ, მაგრამ ამ ორი ერის ერთმანეთთან მტრული დამოკიდებულება, ცხადია, ყველა ქართველისთვის ცნობილია, და სვანურში, როგორც ჩანს, ზეპირმეტყველების გზითაა შესული.

ფხულაქა ლეჭჷენი — 1. სულ ცოტა, 2. შდრ. ქართ. თითზე გადასახვევი (შდრ. აგრეთვე საკუთრივ სვანური: **ამიშ ამგრდან** — თითზე გადასახვევი, ერთი ბეწო, ამისი ნასახი [**ამიშ ამგრდან მამაგჷეშ მიწჷა ალა̈რხენქა** — თითზე გადასახვევი („ამის ნასახი, მაგვარი“) არაფერი მინახავს ამათგან]

ეჯჷი აფიშდჷხ ქორხენქა, ერე ფხულაქა ლეჭჷენი მამაგჷეშ ლახჷემხ‖ლახფერბეხ (ბქ.) — ისე გაუშვეს სახლიდან, რომ თითზე გადასახვევი არაფერი მისცეს‖აღირსეს (შდრ. ქართ. „მო-ფერ-ებ-ა“)

ქრისდე მირჰენ — 1. მირონით დანათესავებულნი, ნათელ-მირონობა, 2. **„ქრისტე-ს' მირონ-ი“**

ალა̈რს უშხჷარნენსგა ქრისდე მირჰენ ხჷლჷახ (ბქ.) — ამათ ნათელ-მირონობა აკავშირებთ („ამეებს ერთმანეთს შორის **ქრისტე-ს' მირონ-ი** აქვთ“);

უკჷდე̄მნი ჟაგარ (ლშხ.), **უკჷდა̈ებძა̈შ ჟაგა̈რ** (ბქ.) — უკვდავების წამალი

როსტომდ ოსყჷლე ქაქაოზ მეფეს: **„აშიშდ უკჷდე̄მნი ჟაგარჷ ოხზგზე, ოდო სგა ლოქ ერ ეთნერ̌დი მინს, გ̇იმს ლოქ ალდ̄ძჭჷნე ამ̄შ̄რ̄ბას“** (ლშხ. პრ. 120:19) — როსტომმა დაუღრიალა („დაუყვირა“) ქაქაოზ მეფეს: „ახლავე გამომიგზავნეო („გამოუგზავნა“) უკვდავების წამალი, თორემ თუ დაგერიეთ („რომ შეერევაო მათ“), აქაურობას მიწად ვაქცევო („მიწასო მოზელს **ამ-ის-ობ-ა-ს**“);

უშკჷთე ბჷლთი ლიყჷბე (ბზ.) — 1. გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა, 2. შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა [(„ჩატენვა“), შდრ. საკუთრივ სვან. **პილა̈რისგა ლიფხჭი** — 1. გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება („**პირ-ში** ხელის ჩავლება“)];

ჯიმ როქ დემე მიყლა თხჷიმშჷ, ეჩგნქა როქ მამაგჷეშ მიკლინა (ბქ.) — თავი არ დამიზოგავს („თავით მარილი არ დამინაყავს, იმის გარდაო არაფერი დამიკლია“), შდრ. ქართ. თავით მარილის დანაყვა;

ეშჷი აჯს ესერ ლგმრა̈გდინ, მერმე — ბაჯს (ბქ.) — 1. უთანხმოება ადამიანებს შორის რაიმე საკითხის გადაწყვეტისას, ანუ ერთი ერთს ამბობს და მეორე სხვას, 2. შდრ. ქართ. ერთი ალთას იძახდა („*ნალაპარაკევა“), მეორე — ბალთას.

ა. შანიძის გამოკვლევით, კავკასიის ალბანურ ანბანში პირველ ასოს ჰქვია ა ლ თ, მეორეს ბ ა ლ თ (1938), ამ გამოთქმაში, როგორც თ. სახოკია მიუთითებს, დაპირისპირებაა ორი, ერთიმეორის საწინააღმდეგო შინაარსის აზრისა. ერთი რომ ერთს გაიძახის, მეორე სულ სხვა რამეს იძახის (1979:211-213).

ჩვენი დაკვირვებით, ზემოაღნიშნული სვანური გამონათქვამი ქართულის კალკია, ოღონდ *ალთასა* და *ბალთას* ნაცვლად გამოყენებულია სვანურში ძალზედ გავრცელებული ტოპონიმი **ბაჭ**, ხოლო აჭ, როგორც ჩანს, მთქმელის მიერ არის შეთხზული (ასოციაციით) და, რა თქმა უნდა, **ბაჭ** ფორმას უკავშირდება. ამდენად, იქმნება ტოპონიმიური წყვილი **აჭიბაჭ**, რომელიც სიშორეზე მიუთითებს. მსგავსი ტოპონიმიური წყვილები სვანური ენის ზღაპრებში ხშირად ფიგურირებს (მაგ.: **ალელია-გალელია, ასავლეთი-დასავლეთი, ჲურქჳე̄თი-თურქჳე̄თი, ალაიშ-თალაიშ‖ა̈ლა̈შ-თა̈ლა̈შ...** (აქ წარმოდგენილი მასალის შესახებ იხ. ა. ბაბლუანი, სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თბილისი, 2009).

მაყაჳ ლა̈ლემ (ბქ.), **მაყალ ლალე̄მ** (ლშხ., ჩოლ.) — 1. შეეშინდა, 2. შდრ. ქართ. შიში ჭამა (შდრ. საკუთრივ სვან. **სისგ ლახშგდ, სისგიშ ლიყერ** (ბქ.), **სისრ̄და ლიშდე** (ჩოლ.) და ა. შ. — 1. შეეშინდა, შეძრწუნდა, შეშინება, შეძრწუნება (ზედმიწ. „შიში შეეყარა, შიშის ⌈და⌉რტყმა“);

პასუხ ლახტიხ (ბქ.) — 1. შეეპასუხა (ზედმიწ. „**პასუხ**-ი დაუბრუნა“), 2. შდრ. ქართ. სიტყვა შეუბრუნა;

ლაცჳდ ლიკედ (ზს.), **ლა̈ცჳდ ი ლამასხარდ ლიკედ** (ლშხ., ჩოლ.) — 1. დაცინვა (ზედმიწ. 1. „სა-სა-ც-ილ-ო-დ აღება“, 2. „სა-სა-ც-ილ-ო-დ და სა-**მასხრ**-ო-დ აღება“), 2. შდრ. ქართ. სასაცილოდ აგდება;

სამარ-სუდარდ ლითხე̄ლი — 1. რაღაცის გამწარებული ძებნა, 2. შდრ. ქართ. სამარ-სუდარად ძებნა

წჷრნი ჭანიშ ი ფური ტუჲ ხოჩა გეჭაჲ ლოქ ლი ი ... ⌈ამღა⌉ სამარ-სუდარდ ხეთხე̄ლდახ ლეჩხუ̂მარ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 269:25-26) — წითელი ხარისა და ძროხის („**ფურ**-ი⌈ს⌉“) ტყავი კარგი გამძლეაო და ამიტომ სამარ-სუდარად ეძებდნენ ლეჩხუმელები.

აღნიშნული გამოთქმა, როგორც თ. სახოკია მიუთითებს, ხშირად ისმის ლეჩხუმ-სვანეთში და მიმართავენ რაიმე დიდი გაჭირვების გამოსახატავად, რადგანაც ძველად მიცვალებული უსუდაროდ და უსამაროდ არ დაიმარხებოდა, მის დასასაფლავებლად ორივე აუცილებელი იყო (1979:542). ზემოსვანურ დიალექტებში მსგავსი გამოთქმა არ დაფიქსირებულა.

ღერთემ ბეგა̈რ (ბქ.) — ღვთის ბეგარა (კაცის სიკვდილის გამო ითქმის. როდესაც ოჯახში ვინმე კვდება, მაშინ ამბობენ: ღმერთმა მისი ბეგარა აიღოო. ერთის სიკვდილი ღვთის განაჩენი ჰგონიათ და მეტს არ მოელიან);

თაჳსხლა̈ფიშ‖თაჳლა̈ფხიშ ლითხფე ⌈თხუმხენჩუ⌉ — 1. შერცხვენა, გალანძღვა, დამცირება, საქვეყნოდ შეურაცყოფა (ზედმიწ. „**თავ-ს-ლაფ**-ის დაფენა, დაფარება თავიდან ქვე“), 2. შდრ. ქართ. თავზე ლაფის დასხმა ‖თავლაფის დასხმა, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი მოირგო სვანურმა ყალიბმა.

ალი ნიშგე თაჳსხლა̈ფიშ მჷთხფე ლი (ბქ.) — ეს ჩვენი შემარცხვენელია („ეს ჩვენი **თავ-ს ლაფ**-ის დამფარებელი არის“);

ზისხ ი ზჷნე ემჷნწჷრე — 1. გამამწარა („**სისხლ**-ი და წვენი გა-მო-მ-**წურ**-ა“), 2. შდრ. ქართ. სისხლი გამიშრო;

გუდ‖გჳიდ რიჩხ ა̈ნკიდ (ბზ.) — 1. შეკრთა, შეცბა, გული შეუტოკდა (ზედმიწ. „**გულ**-მა **რეჩხ**-ი აიღო“), 2. შდრ. ქართ. გულმა რეჩხი უყო; **შიშდ რიჩხ მაჭიდ გუს** (ლშხ.) — მაშინვე შევკრთი, შევცბი (ზედმიწ. „ხელად **რეჩხ**-ი დამარტყა **გულ**-ს“);

თხჳიმჟი მერს დემ იგნე (ბქ.) — 1. ამაყია, უკადრისია, ქედმაღალია, ყოყოჩია, 2. შდრ. ქართ. თავზე მამალ ბუზს არ ისვამს;

მერმემ შჲა̈რშჳ ცხჷნდრე ლიკედ — 1. სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება (ზედმიწ. „მე-ორ-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება“), 2. შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა, თუმცა არ გამოვრიცხავთ სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამის დამოუკიდებლად, საკუთრივ სვანურ ნიადაგზე წარმოშობასაც.

გუნ ჰ̈დჳილ ლი, ბუბაღო, მერმემ შჲäრშჳ ცხგნდრე ლიკედ (ბქ.) — ძალიან ადვილია („მეტის-მეტი ადვილი არის"), ბიძია გენაცვალოს, სხვისი ხელით სახიფათო საქმის კეთება (მე-ორ-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება");

ნესყამეფტაქა ლიზი — 1. მონდომება, მიზნის მისაღწევად ძნელი საქმის გაკეთება (ზედმიწ. „ნემს-გახვრეტილში სვლა"), 2. შდრ. ქართ. ნემსის ყუნწში გაძრომა

ალის მä გარჯ ხარ, ნესყამეფტაქა ქა ღგრი (ბქ.) — ამას რა უჭირს („ამას რა გარჯა აქვს"), მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს („ნემს-გახვრეტილში გავა");

ჳäჲბედუშჳ — 1. ძლივს, ვაი-ვაგლახით (ზედმიწ. „ვაი-ბედ-ით"), შდრ. ქართ. ვაი და ბედი

ჳäიბედუშჳ ჩუათკარჳნე დიდ ყორ ... ნეჯშდäრს (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957: 255) — დედამ ვაი-ვაგლახით გააღებინა კარი თიკნებს („ვაი-ბედ-ით გააღებინა დედა-მ თიკნებს");

შდგმრäრჟი ხäხჳს ემჭკჳერნე! (ბქ.) — 1. ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი (ზედმიწ. „ყურებზე **ხახვ-ს** დამაჭრი!")! 2. შდრ. ქართ. ყურებზე ხახვი არ დამაჭრა!

კჷნჩხჟი ხახჳ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) — 1. ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი, 2. შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა!

ა. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ქართული ყ უ რ ე ბ ზ ე ხ ა ხ ვ ი ა რ დ ა მ ა ჭ რ ა და სვანური **კჷნჩხჟი ხახჳ ნომა ემჭკორა** შეიძლება მსგავსი სოციალური მდგომარეობით შეპირობებულ დამთხვევად მივიჩნიოთო, თუმცა იმასაც დასძენს, რომ მონათესავე ენებს შორის აღნიშნული პარალელიზმი ოდინდელი ურთიერთობითაა გამოწვეულიო (თაყაიშვილი 1961:112).

შიმი ბერჟი ლისგჳრე — 1. დიდ პატივში, ფუფუნებაში ყოლა (ვისიმე), პატივისცემა; მზრუნველო-ბა, მოვლა, 2. შდრ. ქართ. ხელის გულზე დასმა||ტარება

ალჲäრს მინე დი შიმი ბერჟი ხოსგჳრხ (ბქ.) — ამათ დედა დიდ პატივში, ფუფუნებაში ყავთ („ამეებს მათი **დედა** ხელის გულზე უზით");

ლაჩქი ლიფრენი (ლშხ.) — 1. სასირცხვილო საქმის ჩადენა (ზედმიწ. „ლეჩაქ-ი-Ნ' და-ფარ-ებ-ა"), 2. შდრ. ქართ. ლეჩაქის დახურვა და ა. შ.

იდიომის თარგმნის ელემენტარულ პირობად საენათმეცნიერო ლიტერატურაში წამოყენებულია ის მოსაზრება, რომ „ხელშესახები იყოს კავშირი გამოთქმის ამოსავალსა და ზოგად მნიშვნელობას შორის", ანუ ნათლად უნდა ჩანდეს გამოთქმის მოტივაციის კვალი. აღნიშნული პირობა კი, ა. თაყაიშვილის აზრით, აუცილებელიცაა (იქვე:109), რადგანაც იდიომ-კალკი „ორჯერ განიცდის გადატანითობას: პირველად მშობლიურ ნიადაგზე, იდიომატური მნიშვნელობის შეძენის მომენტში; მეორედ კალკის დროს, როდესაც უცხო ენაში შედის შეუსაბამო იდიომატური მნიშვნელობით" (როჟანსკი 1948:28), ამიტომაც აქაც, ისევე როგორც მშობლიურ ნიადაგზე დამკვიდრებისას, საჭიროა „პირდაპირ მნიშვნელობაში მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი გამოთქმის განზოგადების საფუძველი" (თაყაიშვილი 1961:109).

ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი საანალიზო მასალა ქართულის იდენტურია, თუმცა ზოგჯერ ისიც ხდება, რომ სრული იდენტურობა არა გვაქვს (ანუ ამოსავალი იდიომისა და კალკის შემადგენელი ელემენტები ზუსტად არ ემთხვევა ერთმანეთს). მაგ.: **თეთე ფხულე დემ იძგირი, ეჯგჳäრ მუბირ ლი** (ბქ.) — თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი, ისეთი სიბნელეა („თვ-ალ-ი-Ნ'-კენ თითი არ ი-ძგირ-ებ-ა, იმ-გვარ-ი სიბნელე არის"); **გჳიჲმუჭჳედ ხოფუე** (ბქ.) — გულ-მუცელი ეწვის მწუხარებისგან („გულ-ი და მკერდი უდუღს"); **მერმემ შჲäრშჳ ცხგნდრე ლიკედ** — 1. სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება („მე-ორ-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება"), 2. შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა; **ზისხ ი ზგნე ემგნწგრე** — 1. გამამწარა („სისხლ-ი და წვენი გა-მო-მ-წურ-ა"), 2. შდრ. ქართ. სისხლი გამიშრო და ა. შ. ზოგ შემთხვევაში სვანურში აღნიშნული გამონათქვამები კიდევ უფრო და-კონკრეტებულია, რაც, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, გამოთქმისადმი შემოქმედე-ბითი დამოკიდებულების ნიმუშია, ე. ი. გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგმნი ერთეული მისთვის ნიშანდობლივი სახით გადმოიცემა (იქვე:110).

შენიშვნა: ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი საანალიზო მასალის ქართულ ენაზე თარგმნა არ გაგვჭირვებია, რადგანაც ქართულსა და სვანურში სიტყვიერ მნიშვნელობათა კავშირები ერთმანეთს დაემთხვა. და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისინი მონათესავე ენებია, თუმცა სვანურში ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც გვხვდება, რომელთა წმინდა სვანურობაზე საუბარი დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

საინტერესოდ გვესახება სვანურში არსებული რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელთა მეტი წილი ქართულიდან უნდა იყოს შემოსული:

ათა̈სქესალა (ბქ.), **ათასქესალა** (ლშხ.) — 1. არაფრის გულისათვის (ზედმიწ. **„ათას-ი ქის-ʳის-აˀ-თვის“**), 2. შდრ. ქართ. **ათას ქისად** „არაფრის გულისთვის“ (იგულისხმება: ათას ქისა მარჩილად),

ათა̈ს ქესალა მად ლედკაკლე (ბქ.) — თავისი გაიტანა, არ შეისმინა, ყურად არ იღო (**„ათას-ი ქის-ʳის-აˀ-თვის** არ შეისმინა“)

ყაფლან ათა̈სქესალა მად'აჩა̈დ (ბქ.) — ყაფლანი არაფრის გულისათვის (**„ათას-ი ქის-ʳის-აˀ-თვის“**) არ წავიდა

ბაპ ათასქესალა ლიზის დემ იჩო (ლშხ.) — მღვდელი არაფრის გულისათვის არ მიდის („მღვდელი **ათას-ი ქის-ʳის-აˀ-თვის** წასვლას არ შვრება“);

აშირისგა||ათა̈სისგა ეშხუʳნˀ — 1. იშვიათად (ზედმიწ. **„ას-ში||ათას-ში** ერთხელ“), 2. შდრ. ქართ. ათასში ერთი||ერთხელ

ამკა̈ლიბ გუ̈ეშ აშირისგა||ათა̈სისგა ეშხუʳნˀ ხეხოლი (ბქ.) — ასეთი („ამ-**ყალიბ-ი** საქმე **ას-ში||ათას-ში** ერთხელ ხვდება“);

ეშდდ ლიქუ̈ეც — 1. ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება, 2. შდრ. ქართ. ათად გაპრა (შდრ. ქართ. **ათასად იპრებოდა**, ე. ი. ბევრ საქმეს აკეთებდა)

ლა̈დდ ეშდდ დეშ ქუ̈ეცნი (ბქ.) — ყველაფერს ვერ გავაკეთებ („მთლად **ათ-ად** ვერ ვიპრები“);

ჩხარა თა̈კუ̈ქა ნა̈სკიჼნ ზურალ — 1. ცუდი ყოფაქცევის ქალი (ზედმიწ. „ცხრა **თოკ-ზე** ნახტომი ქალი“), 2. შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა“

ალ ზურალ იმყიმოშ მარგა̈დი მი, ჩხარა თა̈კუ̈ქა ნა̈სკინ ლი?! (ბქ.) — ეს ქალი როგორ მელაპარაკება, ცუდი ყოფაქცევისაა („ცხრა **თოკ-ზე** ნახტომი არის“)?!

ჩხარა თანღი ეჩხენჩუ — 1. შორს ჩვენგან, 2. შდრ. ქართ. ცხრა მთას იქით „უსაზღვრო სიშორე, ძალზე შორს“

ათხედ ჩხარა თანღი ეჩხენჩუოღუ̈ ხა̈რი! (ბქ.) — შორს ჩვენგან („ახლაც **ცხრა** უღელტეხილʳსˀ იქითქვემც **ხ-ა-რ**“)!

თუმცა გვხვდება დამოუკიდებელი წარმომავლობის რიცხვითი სახელების შემცველი სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამებიც. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმეს:

ათა̈სერუ̈ეშდთე ათქარჩუნე (ბქ.) — გადააკეთა, გადაასხვაფერა, ეცადა დაემალა, ათასჯერ შეცვალა (ზედმიწ. **„ათას ორ-ოც-ʳისˀ-**კენ გადაასხვაფერა, შეცვალა“)

ათა̈სერუ̈ეშდთე ლიხურდა̈უ̈ი (ბქ.) — რაღაც ამბის გადასხვაფერება, ეჭვის შეტანა (ზედმიწ. **„ათას ორ-ოც-ʳისˀ-**კენ გადა-**ხურდ-ავ-ებ-ა**“)

ათა̈სერუ̈ეშდგნ ლიქუ̈ისგ (ბქ.) — ბევრჯერ თქმა, ათასჯერ თქმა, ერთი და იმავეს რამდენჯერმე თქმა (ზედმიწ. **„ათას-ოც-ათ-ჯერ** თქმა“)...

გარდა ამ გამონათქვამებისა, რიცხვითი სახელები დალოცვის ფორმულებშიც ხშირად გამოიყენება, რაც ნათლად ჩანს როგორც სვანური პროზაული ტექსტებიდან, ასევე ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალებიდანაც. მაგ.:

უშხუ̈არ ამეი ხუ̈ა̈შია̈შიდ: **„ხოჩა ზა̈დმა̈ხეუ̈ აჯსაცადახ, ტა̈ნთელდუ ხა̈რიდ, ღებეთ ი მარე მა̈გ ისკუ̈ი ხოჩემი მუჩუ̈ემუ ლი; იმა̈დხო ქაჩეხი, ჩია̈გუ ხოჩემი სუ̈ე ი გამარჯუ ლაჯაოდა; ჩიგარ მომა-**

ტება̈ძსკაჳ ხა̈რი ი ხორჩა დჳრეძსკა. ათხე ერ ჯისკიდიხჳი ხორჩამდ, ამჟი აშირ ათა̈ს ზაჳ ხორჩამდჳ აჯაძა!" (ლნტ. სვან. პრ. ტექსტ., 1967, 57:18) — ერთმანეთს ასე ვასაჩუქრებთ („ხელს ვუხსნით"): „ბედნიერი („კარგი") წელი („წელ-ახალიმც") დაგდგომოდეთ („შეგნაცვლებიათ"), ჯანმრთელად („ტან-მრთელ-ად-მცა") იყავით („ხ-ა-რ-თ"), ღმერთი და ადამიანი („კაცი") ყველა შენი სიკეთის („კარგი"ს") მომტანი („მქმნელიმც") იყოს („არის"); საითაც ფეხი გადადგა („გახვიდე"), ყველგან („ყველგანმცა") გამარჯვება („სვე და გამარჯვ-ებ-ა-მც") გქონდეს („მოგეცეს"); მუდამ („ყოველთვის") მატება („მო-მა-ტ-ებ-ა-ში-მც") გქონდეს („ხ-ა-რ") და კარგი ცხოვრება („კარგ დრო-ში"). ახლა რომ გიყურებ ბედნიერს („კარგად"), ასე ყოფილიყავი ასიათასი წელი ბედნიერად („ასე ას-ი ათას-ი წელი კარგადმცა მოგსწრებია!")!"

აშირათა̈სოლდჳ აჩიენა ხორჩა გუჟი! (ბქ.) — დალოცვილი ყოფილიყავი მუდამ (ზედმიწ. „ას-ი ათას-ი-მც მოგსწრებია კარგ გულ-ზე")! ამგვარი დალოცვის ფორმულები სხვა ქართველურ ენებში ნაკლებად ფიქსირდება.

მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამორიცხული არაა, რომ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებლად იყოს წარმოშობილი ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო.

საინტერესოა, აგრეთვე, ისიც, რომ ქართულ-სვანური ერთმანეთს უპირისპირდება ორგანულ ფორმათა და აღწერით კონსტრუქციათა (მაგ.: ქართ. დაძალება, შდრ. ლშხ. **ძალā ლიყრინე**, ქართ. დათანხმება, შდრ. ბქ. **თანახმას ლიჭედ**, ქართ. დაბანა, შდრ. ლშხ. **აბანო ლიყრინე**) გამოყენების თვალსაზრისითაც. ე. ი. ქართულის ორგანულ ფორმებს სვანურში ხშირ შემთხვევაში აღწერითი კონსტრუქციები ენაცვლება.

სვანური ენის დიალექტებსა და კილოკავებში ორგანულ ფორმათა და აღწერით კონსტრუქციათა გამოყენების თვალსაზრისით დაპირისპირება ჩვეულებრივი მოვლენაა, უფრო მეტიც, ზოგჯერ ერთი დიალექტის ან კილოკავის შიგნითაც შეიძლება მონაცვლეობდნენ ორგანული და აღწერითი მონაცემები.

ბ) ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები

ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმებით სვანური მეტად მდიდარია. საკუთრივ სვანური მრავალფეროვანი მასალის გვერდით ქართულიდან ნასესხები შესაბამისი გამოთქმებიც დადასტურდა:

... ბოფშა̈რ ... ბაჩა̈რს ხორხგნეხ უშხჳა̈რ ი ამჟი ტულიხ მა̈გ: „**ორიახო-კჳირიახო, შენი სჳი და შენი ჭამე, ჩჳენსას ჯჳარი დაგჳიწერე!**" (ლნტ., სვ. პრ. ტექსტ., 1967, 66:10) — ბავშვები ქვებს ურახუნებენ ერთმანეთს და ყველანი ასე ამბობენ: „ორიახო-კვირიახო, შენი სვი და შენი ჭამე, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერე!"

კუმა̈შ ერ ჩუ ხოთჳეფენიხ, ... ეჩქა ჟი აკურთხა̈ნიხ სკა̈მს ი ამჟი ხომეზრეხ:

„ეკენია-ბეკენია, ბეკენს ხატი სჳენებია.
იოჳანე მოქარბუქობს მეუფეჳის კარზედაო,
საგდაჳელი ოქროსაო, ნადირს პირი ჩაუბეჭდე,
ჩააგდე ზღჳასა. ნუ აუშჳებ უკუნის უკუნისამდე.
ასეთი იყო ბრძანება ღჳთისა" (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., 1967, 71:1-8) — საქონელი (შდრ. ძვ. ქართ. „**კუმაშ-ი**") რომ დაეკარგებათ, მაშინ სკამს შეკრავენ ხოლმე და ასე ლოცულობენ („ულოცავენ"):

„ეკენია-ბეკენია, ბეკენს ხატი სვენებია.
იოვანე მოქარბუქობს მეუფევის კარზედაო,
საგდაველი ოქროსაო, ნადირს პირი ჩაუბეჭდე,
ჩააგდე ზღვასა. ნუ აუშვებ უკუნის უკუნისამდე.

ასეთი იყო ბრძანება ღვთისა".

გჳალისა ხაგდჷნხ აჯალ ამკალიბ ლიმზგრ: ეშხუ ზურა̈ლ შიდ იყდა̈ნდა ეშხუ ფაკან ლგმე̄რწჳა ქაქს ი ჩუ იგნე̄ლ ლენგჳლიმგყ, მე̄რმე ზურა̈ლ ლანწჳლა̈შ იგნე̄ლ, ... სგამე ზურა̈ლ ხატჳლდა ამჟი: **„ჩიჩა ფაფასაო", ქა̈მეშ ლახტიხა: „შალჳა შატასაო". ალეუდ ლახტჳლნა, ერე „დათჳი ჳისა ყანასაო?" ეჯი ლახტიხა, ერე „დათჳი ლოქ სხჳისა ყანასაო" ი ამჟი ქ'ე̄ნშგლდნინახ: „მგელი ჳისა სურიელსა ლოქ", „ჩიტი ჳისა ყანასა ლოქ..."** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 244:28-34) — ბოსელში მართებდათ კიდევ ასეთი („ამ-ყალიბ-ი") ლოცვა (შდრ. ძვ. ქართ. **„ზორ-ვ-ა"**): ერთი ქალი ხელში დაიჭერდა ხოლმე ერთ ჯამ ყველიან ფაფას და დადგებოდა ხოლმე ნაკელის გადასაყრელ ხვრელთან, მეორე ქალი სანაკელესთან დადგებოდა, შიგნითა ქალი ასე ეუბნებოდა: „ჩიჩა ფაფასაო", გარეთა უპასუხებდა („დაუბრუნებდა"): „შალვა შატასაო". ისევ ეს დაუძახებდა, რომ „დათვი ვისა ყანასაო?" ის უპასუხებდა, რომ „დათვი სხვისა ყანასაო" და ასე ჩამოთვლიდნენ: „მგელი ვისა სურიელსაო", „ჩიტი ვისა ყანასაო..."

მიუხედავად იმისა, რომ მგლის სვანური სახელწოდება არის **თხერე**, ქართულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული „მგელი" დალოცვის ფორმულებში ხშირად ფიქსირდება:

ეჩქანღო ეშხუ მა̈რე ჟი ღგრი დე̄ფნი ყე̄რთეჳე̄ნ, ჯიჯჳა̈რს ი გა̈ლმოზა̈რს ქა შიდე ი ტჳლი: „ოო, ჳ, გელო, ელოს ა̈ჯზგზე გელოდ, ამზაჳ ალა ჯა̈ც ი ზაჳდ ბარჯს ა̈ჯკჳა̈ნე"! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 9:19-21) — მერე („მაშინს მერე") ერთი კაცი ავა დერეფნის კარებთან („კარებ[ის]კენზე"), ძვლებს და ხორცის კანებს გადაყრის და ამბობს: „ოო, უ, მგელო, ელოს გამოგიგზავნი მგელო (?), წელს ეს გქონდეს და მომავალ წელს ბეჭს გადმოგიგდებ!"

ქ'ა̈ნკიდ მა̈ლდ ... ლგქჷნთრინე მგკრა ლემასგჳხა̈ნქა, ხაზმე თხე̄რა ყიაჩუ ი ყგლე: „ა̈ჭი-კა̈ჭი, მეშხე ბედიშ გელია̈დ!" (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 362:1-2) — მელიამ გამოიღო გახურებული სახნისი ცეცხლიდან, მგელს ყელში უსწორებს („ა-ზომ-ავ-ს") და ამბობს: „აჭი-კაჭი, უბედურო („შავი ბედ-ის") მგელო!"

როგორც ამ უკანასკნელი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, ერთსა და იმავე მთქმელთან სვანური თხერე-ს გვერდით ქართულიდან ნასესხები მგელი-ც დასტურდება.

მამისული სამთისა. გარდა შევიდე, გარდა მევიდე. კინა ხურსა ქჳა̈ბისა, ა̈ლი გული შეეყარა, გულსა ნახარ შემეყარე. ანაგე̄თ, მანაგე̄თ, ხინი ხჳარამზე̄ლ. თოშეგსა, ფოშეგსა, წიბლითა ხინდო მახინდო თჳერი. დედა მარიამისა, მამასკჳელა̈ისა, ნექჭა ნაბეგჳისა, შაშიკო ბედნიე̄რო (შა̈შიკი ლიჭჳდი, ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:1-4) — მამისული სამთისა. გარდა შევიდე, გარდა მევიდე. კინა ხურსა ქვაბისა, ალი გული შეეყარა, გულსა ნახარ შემეყარე. ანაგეთ, მანაგეთ, ხინი ხვარამზელ. თოშეგსა, ფოშეგსა, წიბლითა ხინდო მახინდო თვერი. დედა მარიამისა, მამასკველაისა, წარბი შუბლისა, შაშიკო ბედნიერო

ალ დაშნი ფუსდ ... ხობნე ლიჭჳდის ზოლა̈მ ბგნბი მა̈ზგუჳა̈რს[·]: **„ელეგენი ქრისდესა, მელეგენი დედასა. ლა̈ჩჳსა, ერსკა̈ნსა, ღჳაშსა, ჰილჳსა, რა̈ჭჳა̈ წკინტილსა, ერეჳეზისა, ჩენ იყაჳი ძალი, სამებისა ძალი შენი, ორონქო, მორონქო, ქრისდეს გარა̈ქი, წმინდისა გიჳორგისა ხანგა̈რისა ძალი შენი, გამოშორდი, გამეცა̈ლი, სი ეშმა̈კისა ყაფლანი ხარ, სი მურდა̈ლისა დაჭრილისა ხარ, ონქორო, ქონქორო, თაჳა̈რ ა̈ნგელოზი, დასწარი ჯჳარი შენი!"** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 144:1-6) — ამ დაშნის პატრონი ბნედიანს („ცუდი ბუნებ-ი[ს] მტკივანს") უწყებს ლოცვის წაკითხვას („კითხვას"): „ელეგენი ქრისტესა, მელეგენი დედასა. ირემსა, არჩვსა, ჯიხვსა, ჯორსა, კურდღლის ცინდალსა, ერევეზისა, შენ იყავი ძალა, შენი სამების ძალა, ორონქო, მორონქო, ქრისტეს გარააქი (?), შენი წმინდა გიორგის იარაღის ძალა, გამშორდი, გამეცალე, შენ ეშმაკის ხაფანგი ხარ, შენ მურდალის დაჭრილი ხარ, ონქორო, ქონქორო, მთავარანგელოზო, დასწერე შენი ჯვარი!"

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები სვანურში, ძირითადად, ქართულია.

გ) წყევლის ფორმულები

ავსიტყვაობა, როგორც ცნობილია, იმ სიტყვათა კრებულს აერთიანებს საკუთარ თავში, როგორიცაა: ტაბუირებული სიტყვები, ვულარიზმები, ჟარგონები, ვერბალური წყევლა-კრულვის მაგალითები; ანუ ეს ის სიტყვები და სიტყვათ-კომბინაციებია, რომლებიც ერთი შეხედვით მიუღებელია საზოგადოებისათვის და არასასიამოვნოა ყურისთვის (ფრომკინი 1988). ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ამგვარ გამოთქმებში არაერთი ენობრივად საინტერესო არქაული ფორმა დასტურდება.

ამჯერად ჩვენი ძირითადი მიზანია შევისწავლოთ სვანურში სხვა ენებიდან ნასესხები წყევლა-კრულვის აღმნიშვნელი ფორმულები, რომელთა რაოდენობა მაინცდამაინც თვალში საცემი არ არის, ვინაიდან საკუთრივ სვანური მასალა განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი და ის ცალკე შესწავლის ობიექტია. უნდა ითქვას, რომ მათი ქართულ ენაზე თარგმნა ხშირ შემთხვევაში დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც მათში უამრავი არქაული ლექსიკური ერთეული ფიქსირდება. თუმცა, ქართულ ენაზე მათი თარგმნის სირთულეს მხოლოდ არქაული ფორმების არსებობას ვერ მივაწერთ, რადგანაც ამგვარი გამოთქმები სვანურში როგორც ლექსიკურად, ასევე მორფოსინტაქსურადაც ძალზე გართულებულია.

ერთადერთი ნაშრომი სვანური წყევლის ფორმულების შესახებ, ესაა ლ. მარგიანის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების XXXIV ტომში დაბეჭდილი წერილი „სიტყვათა რიგი სვანური წყევლის ფორმულებში" (2000:140-143), სადაც საკითხის ნათლად წარმოსაჩენად ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს სიტყვათა რიგის საკითხს სვანური წყევლის ფორმულებში წინადადებების ტიპების მიხედვით (იქვე:140-143). წერილი თავისთავად საინტერესოა, თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო პირველი ცდა სვანური წყევლის ფორმულების ანალიზისა.

სხვა ენებიდან უნდა იყოს ნასესხები შემდეგი წყევლის ფორმულები:

ბახსოლია̈̄ნა გჳარიშ ლგმა̈̄რ ჰიმკა̈̄ჲ მგრმი მუჳორბე̄ლ ი ამჟი ლოქ ოთჰათჳნა: **„ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!"** (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ., 1979, 249:9) — ბახსოლიანის გვარის ყოფილა ჰინკას დამჰერი ორბელელი და ასე დაუწყევლია: „ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!"

როგორც ვხედავთ, წყევლის აღმნიშვნელი ფორმულა **„ახსოლ ბახსოლიანო, არც აშენდი და არც გადაშენდიო!"** ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე არის ნასესხები ქართულიდან, რასაც ვერ ვიტყვით შემდეგ მაგალითებზე:

მეხი ლახჳარუ ჯა̈ჲხა! (ლნტ.) — მეხი დაგეცეს („**მეხ-ი**⌈ს⌉ **ლახვარ-ი-მ**ც გცემია!")!

მეხოლჳ ჯა̈ჳხა! (ბქ.) — მეხი დაგეცეს („**მეხ-ი-მ**ც გცემია!")!

მიშგუ ცოდ ი სამგრთა̈ლ ლერთანთეჳ ჯა̈სპგნე! (ბზ.) — ჩემი ცოდვით დაიწვი, არ გაიხარო („ჩემი **ცოდვა და სამართალ-ი** მარცხნივ⌈ის⌉კენმც გატრიალებს")!

ნოსა გა̄ხაროთ, ღე̄რბეთ, ხოლა მა̄რემი ჲეხჳიგეზალ! (ლშხ.) — არ გაახარო, ღმერთო, ცუდი კაცის ცოლ-შვილი!

ღერმათოლჳ ოთჰათა! (ბქ.) — ღმერთმა დაგწყევლოს („**ღმერთ-ს-ა-მ**ც დაუწყევლია")!

ჟ'იჳ ა̈მეკედ ისკჳი ძირ ი მომაჳალ! (ლნტ.) — ამომწყდარიყოს შენი ძირი და მომავალი!

შა̈ნთიშ ბედიშ! (ბქ.) — 1. შანთით დასაწვავი!, 2. „**შანთ-ის ბედ-ის**-⌈ა⌉!"

ჯანდაბას ისგუ თხჳიმ! (ბქ.) — ჯანდაბას შენი თავი! და ა. შ.

ვერშოკ-ვერშოკდოლჳ ოლგენეხი! (ბქ.) — ნაკუწებად ქცეულიყავი („**გოჯ-გოჯად**მცა **და-მ-დგ-არ**-ხარ", შდრ. რუს. **Вершок** „გოჯი")!

აქ წარმოდგენილი წყევლის ფორმულები ფონეტიკურ-მორფოლოგიურად სახეცვლილია, თუმცა მათი ქართულიდან სესხება თუ კალკირება სავსებით ნათელია.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სხვა ენებიდან ნასესხები თუ კალკირების გზით მიღებული წყევლის ფორმულები სვანურში ნაკლებად ფიქსირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სვანური ვერბალური წყევლა-კრულვის ფორმულები როგორც ლექსიკური ერთეულებით, ისე ემოციურ-ექსპრესიული თვალსაზრისითაც ბევრად უფრო მრავალფეროვანია ქართულთან შედარებით. საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად დავასახელებთ რამდენიმეს დიალექტური მასალის გათვალისწინებით. მაგ.:

მინდჳერს ესღგრდე̄დ, მეხი ბედიშუ ხი, თანა̈ღს ესღგრდე̄დ, ჟა̈ჰი ბედიშუ ხი, ცხეკს ესღგდე̄დ, და̈ჳრეშ ი ნა̈ღრარეშ ი წეჳრარე ბედიშუ ხი, ლახჳა̈რს ესღგრდე̄დ, კოჯა̈ ბედიშუ ხი, ლგცქ̈ესღგრდე̄დ, ჰჳეკი ბედიშუ ხი, ქორისგა ხარდე̄დ, ჟ̈ი̄ჳ ეჯრეღჳა, ჩუ მა̈დ ჯირდე̄დს ქჳინლგმგენე, მა̈გ თხე̄რა̄ლე ბედიშდუ აჯსყე̄ნა! ჰე̄! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:22-25) — მინდორში („მინდორ-ს“) მიდიოდე, მეხი დაგეცეს („მეხ-ი[ს] ბედ-ის-მცა ხარ“), უღელტეხილზე („უღელტეხილს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), ზვავმა წაგიღოს („ზვავ-ი[ს] ბედ-ის-ად-მცა ხარ“), ტყეში („ტყეს“) მიდიოდე, დევების, ნადირისა („ნადირების“) და მწევრების ლუკმა გამხდარიყავი („ბედ-ის-ად-მცა ხარ“), მთებზე („მთებს“) გადადიოდე („მიდიოდეთ“), კლდეზე გადავარდნილიყავი („კლდი[ს] ბედ-ის-ად-მცა ხარ“), წყალზე გადადიოდე, ძელზე გადავარდნილიყავი („ჰოკა-ს ბედ-ის-ად-მცა ხარ“), სახლში იყო („იმყოფებოდე“) და თავზე დაგენგრეს („და-გ-რღვ-ევ-ია-მცა“), რაც კი საქონელი („სულ-დგ-მ-ულ-ი“) გყავდეს, ყველა მგლებს დაეგლიჯოთ („მგლები[ს] ბედ-ის-ად-მცა გაგკეთებია“)! ჰე!

ბგლა̈ღდ მგგნადუ ეჯპედა, იმჳა̈ღღენ ათა̈გნ ამის ი ქგთხ̈გლდუ ა̈მრეღჳხი! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:37) — ნაფლეთებად გაქციოს („ნაფლეთებად და-მ-დგ-ომ-ად-მცა მოგსვლია“), რასაც მიადექი („და-ა-დექ-ი“) ამან („ა-მ-ა-ს“) და მუწუკებად („მუწუკებადმცა“) ქცეულიყავი („და-რღვ-ეულ-ხარ“)!

ფისე̄მი ტომბხა̈ნქა ნომმა̄ჳ ა̈მპედე̄ლი ისგჳა ლითჳა̄ლეშ ი ლიწსა̄ლე ლე̄თ! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 56:2) — კუპრის („ფის-ის-ი[ს]“) ტბიდან არ გამოსულიყოს („მოსულა“) შენი დაბადებისა და გაჩენის („და-წეს-ებ-ი[ს]“) ღამე!

სუნდუქჳ დეცეშ მიჩა მეფშჳდა მა̈ზიგს ქა ნო̄მთე̄ჳ ჯაქა̈ბუნე სი ი ისგჳა ქორს! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:17) — ცის ღვთაებამ („სკივრი“) თავისი („მის“) გაშვებული („გაშვებულ“) ავადმყოფობა („ტკივილს“) არ („ნუ-არ-[ის]-კენ-მცა“) აგაცდინოს („გაცდის“) შენ და შენს ოჯახს („ქორა-ს“)!

ალ დიგეზალს ხა̈ქჳე ხელწიფხედ: „**ემმა ხაკუთნოლნენს, ეჩქას მგხა̈რ ტუფი ნომოღჳ ჯარხ ლგკგრცხალე; მამა ხაკუთნოლნენს, ლეცჳმი იჰნი, ამჟი ლგჰნეოღჳ ემხუად მგხა̈რ ჰამს!**“ (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 112:36-37, 113:1-2) — ამ დედა-შვილს უთხრა ხელმწიფემ: „თუ ღირსი იყო („კუთნ-ებ-ოდ-ე-ს“), მაშინ ხვალ კანიც („ტყავიც“) კი არ („ნუ-არ-მცა“) გქონდეთ („გაქვთ“) შებრაწული; თუკი ღირსი არ იყო („კუთნ-ებ-ოდ-ე-ს“), [მაშინ] ცხიმი („ცმ-ელ-ი“) რომ დნება, ისეთი („ასე“) დამდნარი („დამდნარიმც“) დამხვედროდეთო („დამხვედრიხართ“) ხვალ დილას („რიჟ-რაჟ-ს“)!“

ჳეზირდ ხე̄ქჳ: „**მი ლოქ დე̄სამა მიფშჳდა, მარა მიშგჳა ღე̄რბათს ლოქ ხეხლი ი ხოლე̄მი მუგნოჳის ხოლაუ ხაყრა!**“ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 280:14-16) — ვეზირმა უთხრა: „მე არაფერი არ დამიტრაბახებიაო, მაგრამ ჩემმა („ჩემს“) ღმერთმა („ღმერთ-ს“) იცისო („ეცოდინება“) და ცუდის მომგონებელს ცუდი („ცუდიმც“) დაემართოსო („დამართნია“)!“

ჳანს ლოქ ხოქჳა: „**უსგჳა ლადეღ ლოქ იმშაძნი ი მე̄ძშგჳიდა ლადეღ ლოქ ძერჳა̄ძდ ლახმგშძა̄ლჳნას, ეჩის მეჰერუ ლოქ ლახფგრე̄ნა ლერსგჳე̄ნ!**“ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 269:16-17) — ხარმა („ხარ-ს-ო“) თქვაო („უ-თქ-ვ-ამ-ს“): „ექვსი დღე ვიმუშავებო („ი-მუშ-ა-ვებ-ს“) და მეშვიდე დღეს ვინც მამუშავოსო („ა-მუშ-ავ-ო-ს“), იმას მარჯვენა მკლავი („მკლავიმცაო“) გაუხმესო („გახმობია“)!“

... ხელმწიფდ ... რაშჳა̈ლე აკჳატა̈რს ლახაბე ალ ძერბი ზურალ ი ამყინ ხა̈ქჳ: „**აღჳე ლოქ ლგქა̈დ მად ლგმა̈რელასხ, ეჩქას ხოჩამდუ ა̈მეტეხელიხ, დორა̈ძ აგჳა̈რ გარუ ახაყენახ ალ რაშჳა̈ლს!**“ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 317:4-6) — ხელმწიფემ ეს ორი ქალი რაშების კუდებს გამოაბა და ასე უთხრა: „აბა, თუ დამნაშავეები არ იყოთო („აბაო, შემცდარი არ ყოფილიყვნენ“), მაშინ მშვი-

დობით („კარგადმცა“) დაბრუნებულიყავითო („დაბრუნებულან“), თუ არა და მხოლოდ ⌜თქვენი⌝ ქუსლები („ქუსლები მხოლოდმცა“) დაებრუნებინოთო („გამოყოლიან“) ამ რაშებს!“

დ) ⌜და⌝ლოცვის ფორმულები

მილოცვა-დალოცვის ფორმულებით სვანური მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. საკუთრივ სვანური მასალის გვერდით, რასაკვირველია, გამოიყოფა სხვა ენებიდან შეთვისებული მასალაც:

სტარონ||სტარუნ||სტარინ ხერა! (ბქ.) — ჯვარი სწერია (ავი ენა და თვალი რომ არ შეხვდეს და არ ავნოს, იმიტომ ითქმის ადამიანზეც და საქონელზეც, — ზედმიწ. „ჯვარი ექნება“)! შდრ. ბერძ. **σταυρός**

სტარინ ხერა, მä ხოჩა მარე||ზურალ ლი! (ბქ.) — ჯვარი ეწეროს, რა კარგი კაცი||ქალი არის (ზედმიწ. „ჯვარი ექნება“)! კარგ გაგებასთან ერთად ხშირად სარკაზმიც თან სდევს ამგვარ დალოცვას.

...კინტრ̈ კჷსäრ⌜დ⌝[1] ... ანმäზრე: **„ჲალო, ათხე ლგმზგრēჵ ლი, სჷლი სჷლთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“** (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 116:12-14) — კინტო კეისარმა სადღეგრძელო თქვა („დალოცა“, შდრ. ძვ. ქართ. **„ზორ-ვ-ა“**): „აბა, ახლა დალოცვილი („დალოცვილიმცა“) იყოს („არის“) ⌜ის⌝, ⌜ვისი⌝ სულიც სულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“

შონდრ̄ ლäქჷისყი ისმი ალ ამბჷარ: **„შēიწყაჲალოს სჷლი მōსი შონდრ̄!“** (ლშხ., სვ. პრ. ტექსტ. 1979, 10:11) — შესანდობარის თქმის დროს ისმის ასეთი („ეს“) სიტყვები („ამბ-ებ-ი“): „შეიწყალოს სული მისი, შენდობა!“

ათხე ი ეჩქადō ხოფäნახ ... ყიჵყიჵაჲს ეშხუ ფაკან ლიცს ი ლაფäნაყი ხოშგნდობდახ ამყი, ერე **„ყიჵყიჵას და მის ჵაჲუნას შონდო!“** (იქვე, 252:17) — ახლაც და მანამდეც ერთ ჯამ წყალს წაუდგამდნენ ხოლმე ყივყივას და საკურთხის წადგმისას ასე უგზავნიან შენდობას, რომ „ყივყივას და მის ვაჲუნას შენდობა ⌜ჰქონდეთ⌝!“

თჷიდ ი შაქäრდოლჵ ეჯსიპენა! (ბქ.) — თაფლად და შაქრად („შაქრ-ად-მცა“) შეგერგოს („გქცევია“)!

სვანურში მიცვალებულთა შესანდობარში ძალიან ხშირად ფიგურირებს შემდეგი ფრაზა **„თქვენი მიცვალებულები იყოს იქ, სადაც რძით და თაფლით წვიმს და ბამბით თოვს“**, ე. ი., სამოთხეში. მაგ.:

ეჩქანლჵე სოფლიშ ხოშამთე ჲერჵä ირიჵ, ეჯი ლიშგნდების იბნა: **„იმგჵ'ესერ ზეთშჵ უჩხადეს ი ბამბäშჵ შდჷადეს, ლაქუნ ესერ ეჩეჩუოლჵ ხარ, ქორდ ი მიჩა სოფელდ ხოჩ'ესეროლჵ ჰიშხ ხოცჵირა!“** (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 299:29-32) — მერე („მაშინს მერე“) სოფლის შედარებით უხუცესი („დიდისკენ“) ვინც იქნებოდა, ის შესანდობარს ამბობდა („იწყებდა“): „სადაც ზეთით წვიმდესო და ბამბით თოვდეს, იქ („იქმცა“) გქონდესო („აქვს“) სასუფეველი („სასულეთიო“, შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-ქუინ-ვ-ა“), ოჯახისთვის („სახლად“, შდრ. ძვ. ქართ. „ქორა, ქორ-ედ-ი“) და შენი („მისი“) სოფლისთვის კარგი („კარგიომცა“) ფეხი დაგეტოვებიოსო („უტოვებია“)!“

ეშხუ ხოჩა მარე ... ყი იკედ ჰიქს ი ჩუ ხოშონდებდა: **„ხოჩა მარე ლოქ ლას ი შონდობა ლოქუ ხარ, განათლებად ლოქუ ხოგäდ, ქრისტეჲ სკჵებინ ლოქუ იხიადäლ მიჩა ქჵინ, ბამბäს ლოქუ ხაშტუე, ზეთს ლოქუ ხაუჩხე!“** (ლნტ., III, სვან. პრ. ტექსტ., 1967, 55:6) — ერთი კარგი კაცი აიღებს ჰიქას და შესანდობარს გაუგზავნიდა („შე-უ-ნდ-ობ-დ-ა“): „კარგი კაცი იყოო და შენდობა („შე-ნდ-ობ-ა-ო-მცა“) ჰქონდესო („აქვს“), სინათლეში ყოფილიყავიო („გა-ნათ-ლ-ებ-ად-ო-მცა მართებს“), ქრისტეს წინაშე („წინაშეომცა“) ხარობდესო („ხარობს“) შენი („მისი“) სული (შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-ქუინ-ვ-ა“), ბამბით („ბამბა-ს-ო-მცა“) გათოვდესო („ათოვს“), ზეთით („ზეთ-ს-ო-მცა“) გაწვიმდესო („აწვიმს“)!“

---

[1] კინტო კეისარი სვანური ცნობილი ზღაპრის „ჩალისიმეს“ ერთ-ერთი მოქმედი პერსონაჟია, საინტერესოა სხვა ქართველურ ენებში ფიქსირდება თუ არა მსგავსი რამ.

ქსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასალების მიხედვით „რძისა და თაფლის ქვეყნად მხოლოდ სასუფეველი მოიაზრება“. ალბათ ეს გახდა მიზეზი საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, რის თანახმადაც, „აღნიშნული გაგება უნდა უკავშირდებოდეს მეზობელი მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენას. ყურანის თანახმად, უფლის სამკვიდრებელ ადგილას რძის შადრევნები და თაფლის მდინარეები მოედინება“ (ხაჭაპურიძე, ლომთაძე 2006:307). ჩვენი აზრით, ამ გაგებას არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენასთან, რადგანაც „რძე“ და „თაფლი“ ხშირად ფიგურირებს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არა მხოლოდ სვანურში, არამედ სხვა ქართველურ ენებშიც, რაზეც ზემოთ დასახელებული მეცნიერებიც მიუთითებენ. მათ მიერ მოპოვებული ბიბლიური მასალების მიხედვით, **„რძისა და თაფლის ქვეყანა“**-ში მოიაზრება **სიმდიდრე და კეთილდღეობა**, თუმცა დღესდღეობით, ძირითადად, ირონიული გაგებით გვხვდება (იქვე:306-307). „რძე, თაფლი და ერბო“ სიმდიდრის აღმნიშვნელ ფრაზებში დღესაც ხშირად გვევლინება (მაგ.: **„ოჯახში ერბო და თაფლი უწვეთავს“**, **„ერბო**[1] **და თაფლი უწვიმთ“** და სხვ., იქვე). რაღა თქმა უნდა, მსგავსი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები არც სვანურისთვის არის უცხო და მათში არავითარი ირონია არ იგრძნობა. თვალსაჩინოებისათვის დავასახელებთ რამდენიმეს. მაგ.:

თუ̂იმი სარäგ ახäზიხ (ბქ.) — ძალიან მდიდრები არიან (ზედმიწ. „თაფლ-ის წყარო მოსდით“)

თუ̂იმი‖ლგჯემ ტობისგ'აყუ̂რეხ (ბქ.) — ძალიან მდიდრები არიან (ზედმიწ. **„თაფლ-ის‖რძ-ის ტბა**-ში წვანან“), **თუ̂იმი ტობ ხäგნენახ** (ბქ.) — ძალიან მდიდრები ყოფილან (ზედმიწ. **„თაფლ-ის ტბა ნა-დგ-ამ-ა-თ“**) და ა. შ. გარდა ამ ლექსიკური ერთეულებისა, სვანურ ფრაზეოლოგიზმებში ქართულიდან ნასესხები „ზეთი“-ც ფიგურირებს. მაგ.: **ზეთოლუ̂‖ზეთäროლუ̂ ხოფუე ამიშ ლითუალს** (ბქ.) — დაილოცოს ამისი გაჩენის დღე, (ზედმიწ. **„ზეთ-ი-მც‖ზეთ-ებ-ი-მც** უდუღს ა-მ-ის დაბადებას“) და სხვ.

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, სვანურ ფრაზეოლოგიზმებშიც დომინირებს ლექსიკური კომპონენტები: **თუ̂ი** „თაფლი“, **ლგჯე** „რძე“, **ლეცუ̂მი** „კარაქი, ცმელი, ქონი“, **ზეთ** „ზეთი“.

საინტერესოა სვანურის ზღაპრის ბოლოს წარმოდგენილი ფინალური ფორმულები, რომლებიც ძირითადად დალოცვითია. საკუთრივ სვანური უნივერსალური მასალის გვერდით ტექსტებში ხშირად ფიქსირდება ქართულის გზით შემოსული მასალაც, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად ფრაზაა ნასესხები ქართულიდან. მაგ.:

ჰირ ეჩეუ̂ äგუ̂ცუ̂ōრა, ხინ ამეჩუ̂ნ, შაქäრი ამეჩუ! ნäჲ ხოჩა ლირდეუ̂ äგუ̂ჭōდა ი ლგმზგრēუ̂ ლიშდ მäგ საერთოდ (ბზ., სვ. პრ. ტექსტ., 1939, 162:27-28) — ჰირი იქ („იქმცა“) დაგვეტოვებინოს („დაგვიტოვებია“), ლხინი — აქ, შაქარიც — აქ! ჩვენ კარგი დრო („ყოფამც“) გვეტარებინოს („მოგვიტანია“) და საერთოდ ყველანი („ყველა“) დალოცვილები („დალოცვილიმცა“, შდრ. ძვ. ქართ. **„ზორ-ვ-ა“**) ვიყოთ („ვართ“)!

ჰირ ეჩე äგუ̂ცუ̂ōრა, ხინ ამეჩუ äგუ̂ჭგმრა! ლგმზგრēუ̂ ლიშდ! (ბზ., იქვე, 113:5) — ჰირი იქ დაგვეტოვოს („დაგვიტოვებია“), ლხინი აქ მოგვეხმაროს („გვ-ი-**ხმარ**-ია“)! დალოცვილი („დალოცვილიმცა“) ვიყოთ („ვართ“)!“

ჰირ ეჩე ი ხინ ამე; ხოლა მäგ ეჩე, ხოჩა ამჩუ; ხოლēმი მუჩუ̂მა ჩიგარ ხოლა, ხოჩēმიშ — ხოჩა! (ბზ., იქვე, 421:16-17) — ჰირი იქა და ლხინი აქა; ცუდი ყველაფერი იქ, კარგი აქ. ცუდის მომქმედნი („მ-ქმ-ნ-ელ-ნ-ი“) ყოველთვის ცუდნი („ცუდი“), კარგის — კარგები („კარგი“)!“

შდრ. საკუთრივ სვანური მასალა, რომელიც როგორც ლექსიკურად, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკურადაც საკმაოდ განსხვავებულია ქართული იგივეობრივი მასალისაგან:

ეჩგიშ ხოჩა ამეჩუ ი ამგიშ ხოლა ეჩეჩუ! (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 276:26) — ჰირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ“)!

---

[1] ერბო ანუ კარაქი სვანურში უფრო წყევლის ფორმულებში ფიგურირებს. მაგ.: **ლეცუ̂მი-ნაცუ̂მუნდოლუ̂ ლახგენენახ უ̂შხუ̂არ** — ისემც უქნიათ, რომ მიაწყდნენ‖მიაკვდნენ ერთმანეთს („სა-ცმ-ელ-ნა-ცმ-ელ-ად-მცა მ-ი-**დგ-ომ**-იან ერთმანეთს“).

ეჩგი ხოჩა ამეგ, ამგი ხოლა ეჩეგ! (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 447:9) — ჰირი იქა („იქაური კარგი აქ"), ლხინი აქა („აქაური ცუდი იქ")!

ეჩქიშ ხოჩა ამეჩუ, ამგიშ ხოლა ეჩეჩუ! (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 218:23) — ჰირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ")!

ეჯგია ხოჩა ამეჩუ ი ამგია ხოლა ეჩეჩუ! (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 210:38-39) — ჰირი იქა, ლხინი აქა („იქაური კარგი აქ და აქაური ცუდი იქ")!

სვანურში გვხვდება ისეთი სახის შერეული სვანურ-ქართული კონსტრუქციები, როგორიცაა:

'ალღა̈რ' ტულიხ: **„ამა̈გ ქათალ, ამა̈გ კოშია̈, ამა̈გ ბა̈ტ, ამა̈გ კჷა̈ტია̈ ა̈გჷფიშირ, ღერბეთ, დიდაბ ა̈ჯჴად ი მა̈დილ ა̈ჯჴად!"** (ლნტ., სვან. პრ. ტექსტ., 1967, 75:23) — ესენი ამბობენ: „ამდენი ქათამი, ამდენი ინდაური („კოშია"), ამდენი ბატი, ამდენი კვატია გვიმრავლე, ღმერთო, დიდება და მადლი შენს სახელს („მოგივიდა")!"

ზოგი დალოცვის ფორმულაში ცალკეული ლექსიკური ერთეულებია ქართულიდან ნასესხები. მაგ.:

ეჩქას ტოლიბა̈შ იმზგრა̈ლი: „**ბა̈რბოლს** ესერ **ძღჷერ** ი **ბერექეთ** ესეროღ ლოჰოდა მინე ლასკა̈რდ!" (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 80:23-24) — მაშინ თამადა („სტოლუმბაშ-ი") სადღეგრძელოს ამბობს („ლოცულობს", შდრ. ძვ. ქართ. „ზორ-ვ-ა"): „წმინდა ბარბალემ („ბარბალე-ს-ო") ყუათი („ძღვენ-ი") და ბარაქა („ბარაქა-ო-მცა") მისცესო („მიუცია") ჩვენს („მათ") სათემო (სადღეობო) გაერთიანებას („გაერთიანებისათვის")!"

მინე **ბედჷი სარჩო** დჷსამა არდ ი ხა̈დახ **გაჰირჷებულდ** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 286:10-11) — სარჩო არაფერი არ გააჩნდათ („მათ ბედ-ზე სარჩო არაფერი იმყოფებოდა") და გაჰირვებულად ცხოვრობდნენ („ჰქონდათ გა-ჭირ-ვ-ებ-ულ-ად")

ლამა̈რია ბედს ი მარაქსჷ აბა̈ქე ისგჷა **კიბდონა̈რისგა** ი ლაშდღჷალჷ ჯა̈რხ დო̄სგ! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:31) — წმინდა მარიამმა („წმინდა მარიამ-ი") ხვავი („ბედ-ს") და ბარაქა („ბარაქა-ს-მცა") გააქროს („ა-ბუქ-ებ-ს") თქვენს კიდობნებში და მალე („ადრე") გასვენებისთვის („სამარხავიმცა") გექცეთ („გაქვთ")!

ეჩქანღო ჷი ხა̈მზგრიხ **ლამა̈რიას** ი ხეკჳრა̈ლხ, ერე „მინე ლა̈ში-მალა̈შას ხოჩა **ბედ** ი **ბარაქ** ლახო̄მას" (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 121:27-29) — მერე („მაშინს მერე") წმინდა მარიამის სახელზე შეწირავენ („შე-ა-ზორ-ავ-ენ") და ევედრებიან, რომ „მათ თესლეულობას კარგი სვე („ბედ-ი") და ბარაქა მისცეს"

ეჩქა მიჩა მახჷშიდ ლა̈ქჷ: „ჩო̄მი მენწირჷ ლი, ჷოდ სემი **ქრისდე̄ თა̈სდო̈ბ** ჩჷ დო აკჷშას... ეჩქა **ქაჯაჷე̄თი** ყო̄რისგა მე̄ზიჷ ლი!" (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 88:25-26) — მაშინ მისმა უფროსმა („უ-ხ-უ-ც-ეს-მა") თქვა: „ყველას მომრევი („მომრევიმცა") იყოსო („არის"), 'მანამ' სანამ ქრისტეს ფიცი („თავ-ს-დ-ებ-ობ-ა") არ გატეხოსო... მაშინ ქაჯავეთის კარში შესულიყოსო („მსვლელიმცა არის")!" და სხვ.

ზემოთ დასახელებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ყოველი მეორე კომპონენტი, როგორც ვხედავთ, შეთვისებულია ქართულიდან ზოგ შემთხვევაში ფონეტიკურად უცვლელი სახით, ზოგ შემთხვევაში კი ზოგიერთი მათგანი გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.

ფონეტიკურად უცვლელი სახით არის შეთვისებული შემდეგი საანალიზო ლექსიკური ერთეულები: ბქ. **ბერექეთ** „ბარაქა" [შდრ. თურქ. (< არაბ. **bereket**) ბერექეთი „სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი], ლშხ. **სარჩო** „სარჩო", ბზ. **ბედს** „ბედს", **ბედ** „ბედ", **ბარაქ** „ბარაქა", ხოლო ფონეტიკურად შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი რამდენიმე ლექსემა, ესენია: **ბა̈რბოლს** „ბარბარეს", **ბედჷი**

„ბედზე", **გაჰირჷებულდ** „გაჰირვებულად", **მარაქსუ** „ბარაქას", **კიბდონა̈რისგა** „კიდობნებში", **ქრისდე̄ თჷ̈სდობ** „ქრისტეს თავდებობა", **ქაჯაჷე̄თი** „ქაჯეთის" (შდრ. ქართ. ქაჯავეთი[1]).

უნდა ითქვას, რომ ნასესხებ **ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა, წყევლისა და დალოცვის ფორმულათა** ხვედრითი წონა, როგორც წესი, გაცილებით ნაკლებია საკუთრივ სვანურ მასალასთან შედარებით. ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ძირითადად, კალკირების გზითაა მიღებული, ხოლო წყევლის, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმათა და დალოცვის ფორმულებში ქართულიდან უცვლელად შეთვისებული ფრაზებიც ფიქსირდება.

ცხადია, ნასესხებ ერთეულებს სჭარბობს კალკირებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყოს ქართულიდან შესული, თუმცა მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამორიცხული არაა, რომ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო.

1. 4. სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგი არქაული სიტყვის წარმომავლობის შესახებ

ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა. სწორედ ამ შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირისა და მთლიანად ლექსიკასთან მიმართების მიხედვით გამოყოფენ ოთხ ძირითად ჯგუფს (სტეფანოვი 1975:56):

- ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი მნიშვნელობების მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა, ასეთ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის ერთი ან ორივე შემადგენელი ელემენტი გაუგებარია (მაგ., ქართ.: **იხტიბარს არ იტეხს**, **აზრუს არ იტეხს**, **ბაიბურში არაა** და ა. შ. — **იხტიბარი**, **აზრუ**, **ბაიბური** თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარია);

- ფრაზეოლოგიური ერთიანობა, როცა ისინი სემანტიკურად განუყოფელია, თუმცა ყველა შემადგენელი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, მაგრამ არაა მოტივირებული (მაგ., ქართ.: **პირს მიჰყოფს — გალანძღავს; ენას შეუბრუნებს, სიტყვას შეუქცევს — შეეპასუხება**...);

- ფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთება: ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა, მართალია, შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს არ უდრის, მაგრამ მოტივაცია გასაგებია. მაგ., ქართ.: **ენას ზურგში იტყაპუნებს, ენით ზურგს იფხანს, თავზე ნაცარს იყრის**. პირველი ორი მაგალითი ხაზს უსვამს იმას, რომ ვიღაცას გრძელი ენა აქვს და ამიტომ ბევრს ლაპარაკობს; მესამე მაგალითის მოტივაცია კი აწ დავიწყებულ სახალხო ჩვეულებაში მდგომარეობს. როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში დიდი მწუხარების ნიშნად მართლაც იყრიდნენ თავზე ნაცარს;

- ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, როცა გამოთქმა ომონიმურია: გვხვდება თავისუფალ შესიტყვებადაც და ფრაზეოლოგიური მნიშვნელობითაც. **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა** — შეიძლება აღნიშნავდეს რეალურ სიტუაციასაც — მართლა ჩაუვარდეს ვინმეს კოვზი ნაცარში, მაგრამ ამავე გამონათქვამს ქართულში აქვს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობაც — იმედი გაუცრუვდა, რასაც ელოდა, არ გამოვიდა. როგორც ჩანს, მოხდა თავისუფალი შესიტყვების ფრაზეოლოგიზაცია. გამოდის, რომ ენობრივი

[1] დასტურდება ქართულ მითოლოგიაში.

კოლექტივის ცნობიერებაში აღნიშნულმა გამოთქმამ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა ანუ დამატებითი ნიუანსით დაიტვირთა (ცოცანიძე 1999: 219-220)[1].

ფრაზეოლოგიზმის აღნიშნული ოთხი სახეობიდან ჩვენ აქ მხოლოდ პირველ ჯგუფს შევეხებით. ეს არის ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი სემანტიკის მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა.

ის, რომ ბევრი სვანური იდიომის მოტივაციის ახსნა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ამისი მიზეზი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რომელიც რაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი წარმოშობის გარკვევაც, რასაკვირველია, ჭირს (ონიანი 1954:139).

ფრაზეოლოგიზმები ხალხის წიაღში იბადება, რომელიც თავის მეტყველებაში ამკვიდრებს მახვილგონივრულ, ხატოვან გამონათქვამებს. სამწერლობო ენაში მწერალთა როლი ფრაზეოლოგიზმების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანია, თუმცა ჭირს დადგენა იმისა, თუ კონკრეტულად საიდან გაჩნდა ან დამკვიდრდა ესა თუ ის გამონათქვამი. ცხადია, უმწერლობო ენებში ბევრად უფრო რთულია ამა თუ იმ გამონათქვამის პირველწყაროს მიგნება.

სხვა ენათა მსგავსად სვანურშიც მოიპოვება მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს და მათ სხვა ენაში ანალოგი არ მოეძებნებათ. სწორედ ამგვარ იდიომატურ გამონათქვამებზე გვქონდა საუბარი საენათმეცნიერო ძიებანის XXXIII ნომერში დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში **„სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომატური ლაკუნები“** (2011 წ.). აღნიშნულ სტატიაში შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ სვანურ ფრაზეოლოგიზმებში დაფიქსირებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში, ამასთან დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას (მაგ.: **ლა̈რჰენდ ლგგნე** „ყოჩაღი, სწრაფი“, **კიკბერ ახბეკ** „ჩააცივდა, ჩააჯინდა“, **ღოს ხოსიპ** „ცქმუტავს, მოუსვენრობს, საკუთარ ტყავში ვერ ეტევა“, **ქაბაბა̈ღშ ჯიჯჷა̈რდ ეთსიპდა** „არ მოიხარშა, დიდი დრო დასჭირდა“, **გელა ლახჷ ენცხიპ** „ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა“, **სგრიგაგას 'ჟი' ხაგ** „აწრიალებულია, ვერ ისვენებს, სულ დადის“, **სგჷა̈ზდ ლიგნე** „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“, **ბოლეკდ ლიკედ** „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“, **მეკჷმად ლიგნე** „გაფრთხილება“, **ჰა̈ღდოდეჷს ლიგნე** „ხმაური, აურზაური, ჩხუბი“, **წინალდ ი წირკამა̈ლდ ლიბლო̄კე** „სრულიად მოსპობა, განადგურება“, **ინდირკის ოსგემ!** „უხვი სუფრა არ გავუშალო!“ **ფისეგარგასისგოლჷ ხარ ლაქუნ!** „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო!“ **ორიო̄ნ-კორიო̄ნს ხაჯიდ** „გაფანტა“, **სო̄ნტი-პო̄ნტის აჩადხ** „გაიფანტნენ“, **სადა̈რ-კუდა̈რ ჰაჰა̈რლექჷა ხაჯიდ** „გალანძღა, გათათხა“ და მრავ. სხვ.)[2].

ამ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა მეტი ნაწილი არქაულია და საერთო სიტყვათხმარებიდან გამოსული. ისინი გვხვდება, ძირითადად, მყარ შესიტყვებებში, — სხვა სიტყვებთან მჭიდრო კავშირში. შესაძლოა, ამ არქაულ ფორმათაგან ზოგი უცხოური წარმოშობისაც აღმოჩნდეს.

თარგმანის თეორიისთვის ფრაზეოლოგიზმების ეტიმოლოგიას, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამის აზრის ზუსტად გადმოცემა და ამავდროულად მისი ხატოვანების შენარჩუნებაა, რასაც, შესაბამისად, მთარგმნელის პროფესიონალიზმი და ნიჭიერება განაპირობებს.

ენათმეცნიერები ფრაზეოლოგიზმების თარგმნის სიძნელეს რამდენიმე მიზეზით ხსნიან:

1. ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე ითქვა, ისაა, რომ ყოველ ენაში მოიპოვება მთელი კორპუსი ისეთი ფრაზეოლოგიზმებისა, რომლებიც ქმნიან მთლიან სტილისტურ პლასტს და მათ სხვა ენაში

[1] ეს კლასიფიკაცია სრულყოფილი არაა, მაგრამ, რაკი უკეთესი ჯერჯერობით არ ჩანს, ჩვენ მას ვემყარებით.

[2] აქ წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგიერთი არქაული ლექსიკური ერთეულის წარმომავლობის დადგენა თითქოს შევძელით.

ანალოგი არ მოეძებნებათ (ჩხვიმიანი 2004:82). ბუნებრივია, რომ სვანურშიც გვხვდება ბევრი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელთაც შეუძლებელია სხვა ენაზე მოეძებნოს ფრაზეოლოგიური შესაბამისობანი.

2. ფრაზეოლოგიზმების თარგმნის სიძნელის მეორე განმაპირობებელ ფაქტორად თვლიან ბევრი მათგანის ეროვნულ კოლორიტს, რომელშიც ასახვას ჰპოვებს ამ ენის მატარებელი ხალხის ცხოვრების ისტორია, გეოგრაფია, საყოფაცხოვრებო და კულტურული რეალიები, რომელთა დეკოდირება თარგმანის ენაზე ხშირად შეუძლებელი ხდება... (იქვე:83). ტერმინ „რეალია"-ს თარგმანის თეორიაში ორნაირად იყენებენ: ერთის მხრივ, მასში გულისხმობენ ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ ნებისმიერ ფაქტს (მატერიალური კულტურის საგნები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, ისტორიული მოვლენები და სხვ.) და, მეორე მხრივ, იგულისხმება ის სიტყვები და სიტყვათშეერთებები, რომლებიც სწორედ ამ ფაქტებს აღნიშნავენ.

ფრაზეოლოგიაში რეალიები, როგორც ცნობილია, აისახება ორი გზით: მისი აღმნიშვნელი შეიძლება იყოს **ფრაზეოლოგიზმის ცალკეული ლექსიკური კომპონენტი** ან **მთლიანი ფრაზეოლოგიური ერთეული**. ორივე შემთხვევაში ფრაზეოლოგიური ერთეული სპეციფიკური ეროვნული კოლორიტის მატარებელია, რაც განპირობებულია არა მარტო **ლინგვისტური**, არამედ **ექსტრალინგვისტური** ფაქტორებითაც (იქვე:83-84).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშანზე არის ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, **ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში**. აღნიშნულ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული რ. პოპოვს, რომლის მოსაზრების თანახმად, ენაში ძველი ელემენტების შემორჩენის ერთ-ერთ მოქმედ ფაქტორს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზაცია. იგი ერთმანეთს უდარებს მონათესავე ენათა იდიომებს და დაასკვნის: „იგივეობრივი ფრაზეოლოგიზმების ჯგუფს ქმნიან ძირითადად ისინი, რომლებიც თავის სტრუქტურაში არქაულ ელემენტებს შეიცავენ და წარმოშობით შედარებით ძველ ერთეულებს წარმოადგენენ" (პოპოვი 1956:401).

მიუხედავად რ. პოპოვის ამ დასკვნისა, მეცნიერთა ერთი ნაწილი, არქაულ ერთეულებს არ თვლის იდიომისთვის სპეციფიკურ ნიშნად (ონიანი 1954:241; თაყაიშვილი 1961:26).

სვანური ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ იდიომებზე (resp. იდიომურ ლაკუნებზე) მუშაობისას ჩვენც ა. ონიანისა და ა. თაყაიშვილის თვალსაზრისი გავიზიარეთ და აღვნიშნეთ, რომ „ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანალიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი" (საღლიანი 2011:232).

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებული ზოგიერთი არქაული ლექსიკური კომპონენტის წარმომავლობის გარკვევას.

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში არსებული შესატყვისობათა გათვალისწინებით ზოგი ლექსიკური კომპონენტი **საერთოქართველური დონის მონაცემი** აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი **სხვა ენათაგან ნასესხები**, რომელთაგან ზოგი უცვლელად შემოინახა სვანურმა, ზოგმა კი მნიშვნელოვანი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა. როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ნასესხებ ფორმათა მეტი წილი ქართულის გზით არის შემოსული სვანური ენის დიალექტებში. უფრო მეტიც, სვანურმა ბევრი ისეთი საერთოქართველური არქაული ფორმა შემოინახა ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში (იდიომებში, წყევლის, დალოცვისა და მისალმების ფორმულებში), რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ ფიქსირდება; ისინი, ძირითადად, ქართული ენის დიალექტებს შემორჩა.

1. **დრიზიშ ლიღნე** „ხმის გამოცემა ძირს დაცემისგან, ზღართანი (ზედმიწ. — **დრუზ-ე**-ის გაღება)"

... **ა̈მირმდ ... ა̈ნსჳილ ხოშაუსჳახჳიშ და̈ჳ მა̈ყმა̈ყ ფოყ ჟიქაქა ი ეჯგჳა̈რ ათღანდა დრიზ გიმ ლეჟ'ერე დეცეგიმდ ლიქჳთუნ'ა̈დბინე** (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 261:31-33) — ამირანმა მოიქნია გვერდზე უზარმაზარი ბაყბაყ დევი და იმისთანა ზღართანი გაადინა მიწაზე, რომ ცა და მიწა გაინძრა („ამირან-მა მოიქნია უზარმაზარი **დევ-ი ბაყ-ბაყ-ი** თეძოს ზემოთ და იმ-გვარ-ი **დრუზ-ვ-ა** გაიღო მიწ⌈ის⌉ ზემოთ, რომ ცა-მიწამ ქანაობა დაიწყო")

ქართ. **დრუზ-ვ-ა** „ღონივრად, ძლიერად დარტყმა (კეტისა, ქვისა...)" : მეგრ. **დრუზ-უ-ა** „დრუზვა; სროლა, მორტყმა (ქვისა და მისთ.)" : სვან. (ბზ.) ლი-**დრე̄ნზ-ე**, (ბქ.) ლი-**დრენზ-ე** „ღონივრად, ძლიერად დარტყმა", (ბზ.) მგ-**დრე̄ნზ-ე**, (ბქ.) მგ-**დრენზ-ე** „გამლახავი", (ბზ.) ნა̈-**დრე̄ნზ**, (ბქ.) ნა̈-**დრენზ** „ნაცემი", **დრიზ-იშ** ლიღნე „ღონივრად, ძლიერად დარტყმა".

ს.-ქართვ. ***დრუზ-** „დარტყმა" → ქართ. **დრუზ-** : მეგრ. **დრუზ-** : სვან. **დრე̄ნზ-** ← ***დრინზ-** ← ***დრჳიზ-** ← ***დრჳ̈ზ-** (საღლიანი 2006:41).

2. **ლა̈რჭენდ ლგგნე** „ყოჩაღი, სწრაფი (ზედმიწ. — სალამურად მ-დგ-არ-ი)"

ალ ბეფშჳ ლა̈რჭენდ ლგგ (ბქ.) „ეს ბავშვი ძალიან ყოჩაღია||სწრაფია („ეს ბავშვი სალამურად დგ-ა-ს")

ლარჭენდ მგსყე (ბქ.) „ხალხის ყბაში ჩავარდნილი სახელგატეხილი ქალი (ზედმიწ. — სალამურად მოწყობილი||გაკეთებული)"

სოფლიშ ლა̈რჭენ ძეხჳარდ თხუმოღჳ ლახბგრლახ (ლხმ.) „სოფლის სალაყბოდ გამხდარმა ქალებმა ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალონო („**სოფლ-ის** სალამურ⌈მა⌉ ცოლებმა თავსამც დააბრალონ")".

ქართ. **ლელ-**, **ლელ-ი; ლერ-წამ-ი** : ზან. (მეგრ.) **ლარ-**, **ლარ-ჭამ-ი/ლარ-ჭემ-ი** „ლერწამი": სვან. **ლა̈რ-ჭენ||ლარ-ჭენ** „სალამური".

ქართულისა და მეგრულის მასალა შეაპირისპირა გ. როგავამ (1945:231), ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***ლელ-**, ***ლელ-წ₁ამ-** (ЭСКЯ, 120-121); ***ლერ-წ'ემ-**არქეტიპები აღადგინა გ. კლიმოვმა (1998:108-109).

ჩვენი აზრით, ქართულ-მეგრულ ფუძეებს უნდა დაუკავშირდეს სვანური **ლა̈რ-ჭენ||ლარ-ჭენ** „სალამური", რომელიც იდიომატურ გამოთქმებშია შემორჩენილი. ქართული **ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი-ს** შესატყვისი მეგრული **ლარ-ჭემ-ი**, ს. მაკალათიას თქმით, სწორედ უძველესი მეგრული საკრავის სახელწოდებაა.

სონორ თანხმოვანთა **ლ/რ, მ/ნ** მონაცვლეობა ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონეტიკური პროცესია, ხოლო, რაც შეეხება სვანურ ფუძეში გამოვლენილ ა̈-ს, იგი სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია. ქართ. **წ** : ზან. **ჭ** : სვან. **ჭ**, ქართ. **ე** : ზან. **ა** : სვან. **ა̈** [უმლაუტიანი ა̈ (**ლა̈რ-ჭენ**) სვანურში საერთოქართველურ ე-ს ასახავს (***ლერჭემ** → **ლა̈რ-ჭენ**)].

სტრუქტურულადაც და სემანტიკურადაც ქართულ-სვანურ-მეგრული ფუძეები სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ.

სვან. **ლა̈რეჭალ||ლა̈ლჭალ** „მოთქმით დასატირებელი", **ლირეჭალ||ლილჭალ** „დატირება, მოთქმით ტირილი" ფორმებიც სწორედ აღნიშნული ფუძიდან (**ლა̈რჭენ**) უნდა მომდინარეობდეს, რაზეც მოწმობს სვანეთში დღემდე შემორჩენილი მიცვალუბულის ჭიანურზე დატირება.

ასევე საინტერესოა შემდეგი გამოთქმაც: **ლა̈ჭა̈შ ლიქჳისგ** „დატირება ხმით, სიტყვიერად (ზედმიწ. — დატირების თქმა)"

ჳოშჳა̈ძდ ლა̈ჭს რექინე, ეჩშელდს ტო̈ტს იჟერ ჯი ი მერმე ხეხჳა̈რი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978:182:19-20) „რამდენჯერაც სიტყვიერად დაიტირებს, იმდენჯერ ხელს შემოირტყამს თვითონ და

სხვა ქალებიც („რამდენჯერაც დატირებას იტყვის, იმ რაოდენობას ტოტ-ს ირტყამს თვითონ და მე-ორ-ე ცოლებიც[1]")".

რა თქმა უნდა, აღნიშნულ გამოთქმაში (**ლäჭäშ ლიქჟისგ**) დაფიქსირებული **ლäჭ-** ფორმაც საერთოქართველური ფუძის შემცველია (სვან. **ლäჭ-** ← ***ლეჭ-** ← ***ლელჭ-** ← **ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი**).

ს.-ქართვ. ***ლელ-**, ***ლელ-წ₁ამ-** „ლერწამი, სალამური, დატირება" → ქართ. **ლელ-წამ-ი||ლერ-წამ-ი** „ლერწამი" : ზან. (მეგრ.) **ლარ-**, **ლარ-ჭამ-ი/ლარ-ჭემ-ი** „ლერწამი; უძველესი მეგრული საკრავის სახელწოდება" : სვან. **ლäრ-ჭენ||ლარ-ჭენ** „სალამური" ← ***ლერჭემ** ← ***ლელჭემ** ← ***ლელწემ** ← ***ლელ-წ₁ამ-** ← **ლელ-წამ-**.

3. **ზისხიშ კლეთ||ტოლეკ** „სისხლის კოლტი" გამოიყენება წყევლის ფორმულებში. მაგ.:

ზისხიშ კლეთäრს ესეროღჟ äტხუნე! (ბქ.) „სისხლი არწყიეო („სისხლ-ის კოლტ-ებ-ს-ო-მცა არწყევს!")!"

ზისხუშ ი ტოლეკჟშოღჟ ეჯტიხა ისგუ ნამუნ-ნათუნ! (ბქ.) „შხამად შეგერგოს ნაჭამ-ნასვამი („სისხლ-ით და კოლტ-ით-მცა გირწყევია||გიბრუნებია შენი ნაჭამ-ნასვამი!")!"

სვანურ წყევლის ფორმულაში დაფიქსირებული **კლეთ||ტოლეკ**, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს ქართული **კოლტი**-სგან „შედედებული სისხლი" შემდეგი ფონეტიკური პროცესების გავლით:

ქართ. კოლტ-ი ↗ ბქ. ***კოლთ** > **კლეთ**
ქართ. კოლტ-ი ↘ ბქ. ***კოლტ** > ***კოლეტ** > **ტოლეკ**[2]

ს.-ქართვ. ***კოლტ-** → ქართ. კოლტ-ი : ერთის მხრივ, სვან. **ტოლეკ** ← ***კოლეტ** ← ***კოლტ**, და, მეორე მხრივ, ბქ. **კლეთ** ← ***კელთ** ← ***კჟელთ** ← ***კჟელტ** „შედედებული სისხლი".

შდრ. მეგრ. **ბერთი** „სისხლის კოლტი, ნაფლეთები", თუმცა მეგრულისთვის ეს მნიშვნელობა მეორეულია. **ბერთი** იგივეა, რაც ქართ. **ბელტი** და მეგრულშიც სწორედ ეს მნიშვნელობა არის მისთვის ძირითადი.

4. **სკორმელეთხენ ლისგიდრäლი** (ბქ.) „მუქი, უშნო თვალებით ყურება (ზედმიწ. — სკვარამ-ი-დან ყურება)"

იმეჲ როქ სკორმელეთხენ ისგიდრäლი ალ ზურალ (ბქ.) „რა უშნოდ იყურებაო ეს ქალი („როგორო სკვარამ-ი-დან იყურება ეს ქალი")".

სკორმელეთ ფიქსირდება ასევე წყევლის ფორმულებშიც. მაგ.:

ათხეჲ სკორმელეთთეღჟ ომჩედეხი! (ბქ.) „ჯანდაბაშიც წასულხარ („ახლაც სკვარამ-ʿისʾ-კენ-მცა წასულხარ!")!" **სკორმელეთთეღჟ ეჲსკინა!** (ბქ.) „ჯანდაბაშიც წასულხარ („სკვარამ-ʿისʾ-კენ-მცა გ-ი-სკუპ-ი-ა!")!"

რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ლექსიკური ერთეულის შესახებ?

---

[1] ბალსქვემოურში, როგორც ცნობილია, **ხეხჟ** ცოლის აღმნიშვნელი სოციალური ტერმინია, რომლის მრავლობითი რიცხვის ფორმაა **ლäჲხჟა**. **ხეხჟäრ** ფორმაში კი იგულისხმება ქალები და არა ცოლები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო.

[2] სინამდვილეში, ქართ. **კოლტს** უნდა მოეცა სვანურში ჯერ ***კჟელტ**, შემდეგ კი ***ტჟელკ**, თუმცა ეს პროცესი არ განვითარებულა.

სანამ სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში დაფიქსირებულ **სკორმელეთ** ფორმის ეტიმოლოგიის გარკვევაზე გადავალთ, გვინდა მანამდე რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საერთოქართველურ ***წკვარამ-** ფორმას.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, გ. კლიმოვის მიერ ერთმანეთთან არის შეპირისპირებული: ქართ. **წკვარამ- წკვარამ-ი**[1] „სიბნელე, უფსკრული“ და ზან. (მეგრ.) **წკურუმ- წკურუმ-ი** „სიბნელე, უფსკრული“, რის საფუძველზეც აღდგენილია საერთოქართველური არქეტიპი ***წკვარამ-** (კლიმოვი 1985:177; კლიმოვი 1998:299), რომელსაც ჩვენ დავუმატეთ ჩოლ. **წკორემ** „უფსკრული, ხრამი“.

რაც შეეხება სვანურ დიალექტებში გავრცელებულ ფორმებს მუ-**წკუნტარ** (ბზ.) და მუ-**წკჷირტ**[2] (ბქ.) „სიბნელე, წყვდიადი“, მათი საერთოქართველურ დონეზე აღდგენა თითქოს შეუძლებელია.

ჩვენი აზრით, იდიომატურ გამოთქმაში შემონახული ბქ. **სკორმელეთ** < ქართ. (იმ., გურ.) **წ/სკვარამ-ი** „უფსკრული, ქვესკნელი“ ფორმისგან, რასაც ადასტურებს ჩოლურული **ოსკურმე̄თ** „უკუნი, სიბნელე“ ფორმის არსებობაც.

სავარაუდოდ, საანალიზო ქართულ-სვანურ ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით წარმოგვიდგენია:

ქართ. (გურ.) სკვარამ-ი > სვან. (ბქ.) ***სკვარამ-ეთ** > ***სკვარმ-ელ-ეთ** > **სკორმ-ელ-ეთ**

ქართ. (გურ.) სკვარამ-ი > სვან. (ჩოლ.) ***სკვარამ-ეთ** > ***სკორამ-ეთ** > ***სკორმ-ეთ** > ***ოსკრმ-ეთ** > **ოსკურმე̄თ**.

ვფიქრობთ, ფონეტიკური პროცესები ბოლომდე არ განვითარებულა, თუმცა საერთოქართველური ფუძის რეკონსტრუქცია პირობითად მაინც შესაძლებელია (***სკვარამ-**).

5. **სგჷ̈ზდ ლიგნე** (ბქ.) „ამოწყვეტა, ამოჟლეტა (ზედმიწ. — წყვეტად **დგ-მ-ა**)“

ახმითქჷენ'ესერ ეშხუ მარე ი ხეხჷ ი გეზლირ სგჷ̈ზდ ესერ ოთგენა (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 272:30-31) „ერთი კაცი შეეჩვია თურმე და ცოლ-შვილი („ცოლი და შვილები“) ამოუწყვიტაო („შენაჩვევაო ერთი კაცი და ცოლი და შვილი წყვეტადო და-უ-დგ-ია“)“

ზან. (მეგრ.) **ზგუნჯ-, ზგუნჯ-**უნ-ს „წყვეტს“, გო-**ზგუნჯ**-ილ-ი „გაწყვეტილი“, შდრ. გგმო-**ზგუნჯ**-ილ-ი (მიკროტოპ. სოფ. ქვალონში) ← ეტ. „ჩამონაწყვეტი, ჩამოწყვეტილი“ : სვან. **სგჷიზ- ‖ სგუზ- ‖ სგჷზ-, სგჷიზ-ე** „წყვეტს“, **ჟ'ონსგუზ** „ამოვწყვიტე“, **სგჷიზ-ა** „ჟლეტდა“, ლი-**სგჷზ-ე** „ჟლეტა, წყვეტა, მოსრვა“ (ჩუხუა 2000-2003:199-200), შდრ., ასევე, იდიომატურ გამოთქმაში დაფიქსირებული **სგჷ̈ზ-**.

ქართული შესატყვისის უქონლობის გამო პროფ. მ. ჩუხუა საერთოქართველური არქეტიპის რეკონსტრუქციისგან თავს იკავებს (იქვე).

6. **ძგფთე ლიზი**[5] „სადმე შორს წასვლა (ზედმიწ. — **ბზიფ-ˈის˺-კენ სვლა**)“

ძგფˈეˈთე ნოსა აჩე! (ჩოლ.) „შორს არ წახვიდე ერთბაშად (ზედმიწ. — **ბზიფ-ˈის˺-კენ ნუ-არ წახვიდე!**)!“

---

[1] მეგრულში პარალელურად **წკვარემ-ი‖წკვერემ-ი** ფორმებიც დასტურდება (იხ. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2002).

[2] სვანურში სიბნელისა და უკუნეთის მნიშვნელობით დასტურდება, აგრეთვე, შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **მუტკჷინ** (ბზ.), **უტკუნ, უტკჷინ** (ქს.). იგივე ფუძე ბალსქვემოურმა დიალექტმა შემოინახა როგორც იდიომატურ გამოთქმებში (**უტკუნდ ლისდი** „თვალის დაუხამხამებლად ყურება“, ასევე წყევლის ფორმულებში (**უტკუნა̈შოღჷ აჯგრშენა** „მომკვდარიყავი!“)! ქართულ-სვანურ ფუძეთა სტრუქტურულ-სემანტიკური იდენტურობა ეჭვს არ იწვევს. სვან. **მუტკჷინ‖უტკუნ‖უტკჷინ** ← ქართ. **უკუნ-ი**.

[3] საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართულში მოსალოდნელი ***სკვარამ-ეთ-ი** შემოინახა სვანურმა.

[4] როგორც ჩანს, **ო**-ს მეტათეზისმა გამოიწვია თანხმოვანთგასაყარად **უ**-ს გაჩენა.

[5] აღნიშნულ გამოთქმას თან ახლავს სარკაზმი.

სვან. (ჩოლ.) **ძგფ** < ქართ. ბზიფ-ი აფრიკატიზაციისა [**ზ** > **ძ** (შდრ.: ბზ. **ინძგრფაშა** < ქართ. აზარფეშა, ბზ., ჩოლ. **როძგ** < ქართ. როზგ-ი, სვან. **ძაფრა** „დარდი, ჯავრი" < ქართ. ზაფრა და ა. შ. — სალღიანი 2005:125-126)] და ანლაუტისეული **ბ** თანხმოვნის დაკარგვის შედეგად. ქართულ ფუძისეულ **ი** ხმოვანს კი რედუქციის პოზიციაში მძიმე ბირთვში, როგორც მოსალოდნელი იყო, **ჷ** ხმოვანი შეენაცვლა.

7. **ჭგრდიგდ ლიგნე** „გათელვა, დატკეპნა [ნათესისა, ბალახისა... (ზედმიწ. — **ჭადრაკ-ად** ⌈და⌉-**დგ-მ-ა**)]"

ფურა̈რდ ლარა ჭგრდიგდ ადგენეხ (ბქ.) „ძროხებმა სათიბი გადათელეს („**ფურ-ებ-მა** სათიბი **ჭადრაკ-ად და-დგ-ე-ს**")"

ლა̈ჭგრდიგა̈ლდუ ა̈მსედე̄ლი ისგუ გუ̈ეშ ი ზა̈ჲდიშ ორისგა̈ჲ აჯჭე̄ნა! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 57:5) „საშაიროდ გამხდარიყოს შენი ცხოვრება და მომავალი წელი მიწაში გაგეტარებინოს („სა-**ჭადრაკ-ო-დ-მცა** დარჩენილა შენი საქმე და მომავლის⌈ა⌉ მიწაშიმც მოგსწრებია!")!"

საანალიზო ლექსემა სვანურში შემოსულია ქართულიდან სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებებით, კერძოდ: პირველ რიგში უნდა მომხდარიყო აუსლაუტისეული **გ**-ს გამჟღერება, რაც ხშირი მოვლენაა სვანურში სესხების პროცესში (შდრ.: სვან. **ჭაბიგჲ** < ქართ. ჭაბუკ-ი, **ჭა̈გ** < ქართ. ჭაკ-ი, **კოშგ||კუ̈ეშგ** < ქართ. კოშკ-ი და სხვ. — სალღიანი 2005:46-49), შემდეგ მოხდა მეტათეზისი, რის შედეგადაც ინლაუტისეული (ძირეული) **რ** გადავიდა **დ**-ს წინ, ქართულ ფუძისეულ **ა** ხმოვანს კი რედუქციის პოზიციაში მძიმე ბირთვში **ჷ** ხმოვანი შეენაცვლა. ასახსნელია აუსლაუტისეული **ი** (შდრ., ასევე, ამავე ძირის შემცველი შემდეგი ფორმები: ბზ. **ლიჭგნტრიკა̈ლ** „ჭადრაკის თამაში", ბქ. **ლი-ჭგრდ⌈ი⌉გ-ა/ელ**, ლხმ. **ლიჭგრდგა̈ლ||ლიჭგრდიგა̈/ელ** „ქაღალდის ბანქოს თამაში (გადატ. — კამათი, უშნო ვაჭრობა)", ბქ. **ჭგრდგ-ა̈რ** „კარტები"[1], ბქ. **ლიჭგრდიგი** „აჭრელება, რამის უჯრებად დაყოფა", ლშხ. **ლიჭგნტ/დრიკე** „დატკეპნა").

სტრუქტურული იდენტურობა ეჭვს არ იწვევს, სემანტიკური გადაწევა კი მინიმალურია. რაც შეეხება ფუძის ფონეტიკურ ტრანსფორმაციას, იგი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. ჭადრაკ-ი > სვან. ***ჭადრაგ** > ***ჭარდაგ** > ***ჭგრდაგ** > **ჭგრდიგ**.

8. **ნაკუ̈არცხულდ დემეგ ხაყა** „კაპიკად არ ღირს, უვარგისია" შესაძლოა, ორი მნიშვნელობით გავიგოთ: 1. „ნაკვერცხლ-ად||ნაკვერჩხლ-ად არ ვარგა", 2. „ნასროლ ტყვიად არ ვარგა". თუკი პირველ მნიშვნელობასთან დავაკავშირებთ, მაშინ საქმე გვექნება სესხებასთან, რაც, ჩვენი აზრით, საეჭვოა. ნასროლ ტყვიასთან დაკავშირება კი უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ვინაიდან ის გასროლის შემდეგ უსარგებლო ნივთად იქცევა.

9. **მერემ გუ̈ინთ** „ხროვა, ჯგუფი (ზედმიწ. — ღრუბლის **გუნდ-ი**)"

ხილთე ბოფშა̈რ მერემ გუ̈ინთშალ ესერ ანღრიხ (ბქ.) „ხილის მოსაპარად, დასაკრეფად ბავშვები ჯგუფურად მოდიანო („**ხილ-**⌈**ის**⌉**-კენ ბავშვ-ებ-ი** ღრუბლი⌈ს⌉ **გუნდ-ი-ვით-ო** მოდიან")"

ხოხუ̈რა მეროლ ლა̈ხ იწუ̈ენიხ დეცქა, ქაჲ ხა̈სდ ითნიხ ი ჩუჲ ხა̈სდ თუ̈ეფნიხ, მერემ გუ̈ინთს ეჯის ხატულიხ (ბქ.) „პატარა ღრუბლები რომ („თუ") გამოჩნდებიან ცაზე, გამოჩენითაც უცებ ჩნდებიან და გაქრობითაც რომ უცებ ქრებიან, ღრუბლის გუნდს იმას ეძახიან („პატარა ღრუბლები თუ ჩნდებიან ცა-ზე, ქეც სწრაფად ჩნდებიან და ქეც სწრაფად იკარგებიან, ღრუბლის **გუნდ-ს** იმას ეძახიან")".

სვან. (ბქ.) **გუ̈ინთ** < ქართ. გუნდ-ი (ქართულის აუსლაუტისეული **დ** სვანურში გამჟღერდა, ხოლო სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვამ გამოიწვია ფუძისეული **უ** ხმოვნის უმლაუტი).

---

[1] ქართულიდანაა ასევე შემოსული **ლი-ბოლქუ̈-აუ̈-ალ** „ბანქოს, კარტის თამაში" და **ბოლქუ̈ა̈რ** „კარტები, ბანქო".

10. **კიკბერიშ ლიბკინე** (ბქ.) „ძალის დატანება, გამოტეხვა სხვადასხვა მეთოდებით; კედელთან მიყენება (ზედმიწ. — ხის მორის||კაკიბერა-ს მიბჯენა)"

ა̈მირმდ კიკბერ ახბეკ ˹და̈ჳ მა̈ყმა̈ყს˺[1]: „ქ'ოლჳ ხა̈ქჳე, მიჩა ბაბა̈შ თე იმეგ ხოზ, ოდო ახჴედ'ესერ ... ღოშგმე ლადეღ!" (ბქ., სვან. პრ. ტექსტ., II, 1957, 261:33-35) „ამირანი ჩააცივდა დევს: „მითხარიო, ბაბუაჩემის თვალი სად გიდევს, თორემ უკანასკნელი დღე დაგიდგებაო („ამირან-მა კაკიბერა მიაბჯინა **დევ ბაყბაყ-ს**: „უთხრამცა, მისი **ბაბ-უ-ის თვალ-ი** სად უ-ძ-ევ-ს, თორემ მოსვლიაო უკანა **დღე**!")!"

ლეჩხუმურ დიალექტში დაფიქსირებული **კაკიბერა** „სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰკიდია", საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია სვანურიდან შეთვისებულად, რაც სვანური ფუძის ისტორიისთვის ძალზე ფასეულია (ჩუხუა 2000-2003:126).

სვანური **კიკბერ** ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში" განმარტებულია, როგორც *გადაკეტილი კარის შესატეხი ხის მორი* (ძველად), დღევანდელი მნიშვნელობით კი ძალას გამოხატავს. ცხადია, მისი ეს მნიშვნელობა (ძალა) მეორეულია, იგი გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ქართულ-სვანურ („სამზარეულო სახლში შუაცეცხლის პირდაპირ ზევით გადებული დირე, რომელზედაც საქვაბე ჰკიდია" და „გადაკეტილი კარის შესატეხი ხის მორი") ლექსემათა შორის საზიარო მნიშვნელობის დანახვა საკმაოდ ადვილია. მათ აერთიანებთ დ ი რ ე ს, მ ო რ ი ს საერთო სემანტიკა.

ქართ. (ლეჩხ.) კაკიბერა > სვან. ***კაკიბერ** > ***კკიბერ** > **კიკბერ**. საანალიზო ფუძეთა ტრანსფორმაცია სავსებით კანონზომიერია. სვანური ფუძის აუსლაუტში (**კიკბერ**) ნულოვანი რეფლექსია, ვინაიდან სვანურისათვის ასეთ პოზიციაში ხმოვნის მოკვეცა დამახასიათებელია.

11. **მარგიმუში ლი̄მნე**[2] (ლშხ., ჩოლ.) „შხამის ჭმევა (ზედმიწ. — სნეულების ჭმევა)"

ალეს მარგიმუშს ლოქ ხა̄მნე (ლშხ.) „ამას შხამს ვაჭმევო („ამას სნეულებასო აჭმევს")"

მა̈რგიმიშ˹ჳ˺დ ლიპედ (ბზ.) „შხამად შერგება (ზედმიწ. — სნეულებად მოსვლა)"

იმჳა̈ღლენ ხიჰა̈რტყჳა̈ლ, ნომმა̈ჳ ლა̈ჯმამა სერ ი ალა მა̈რგიმიშჳდჳ ეჯპედა! (სვან. ქრესტ., 1978, 56:30) „რასაც სანსლავ, მეტად აღარ გეჭამოს და ეს შხამად შეგერგოს („რასაც კი ღორმუცელობ, ნუ-მცა გიჭამია მეტი და ეს სნეულებადმცა მოგსვლია!")!"

მა̈რგიმდ||მა̈რგიმიშდ ლისპე (ბქ.) „შხამად შერგება (ზედმიწ. — სნეულებად ტრიალი)"

ჩუ მა̈ ლა̈ხემ, ეჯი მა̈გ მა̈რგიმდოლჳ||მა̈რგიმიშდოლჳ ეჲსიპენა! „რაც კი ჭამე, ყველაფერი შხამად გექცეს („ქე რაც ჭამე, ის ყველა სნეულებადმცა გქცევია!")!"

ჩვენი აზრით, სვანური **მა̈რგიმ||მარგიმ** ნასესხები უნდა იყოს ქართულიდან, კერძოდ, თუშური დიალექტიდან, სადაც *მარგი* — თხის სნეულებას აღნიშნავს. საინტერესოა **მარგული** ფორმაც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს *წყლული უმ(რ)თელმელი*. სვანური საანალიზო ლექსემის აუსლაუტისეული მ-ს საკითხი გასარკვევია, რომელიც შესაძლოა, ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ეს მ ორფუძიანობის წარმომქმნელი ელემენტი იყოს.

ლაშხურ-ჩოლურული საანალიზო ფორმა შემდეგნაირად დაიშლება: **მარგი-მ-უშ-ი˹შ˺** (ლიმნე) — მარგ-ი-ს-ის-ი˹ს˺ ჭმევა. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, სინქრონიულად ეს მ

---

[1] **შენიშვნა**: საინტერესოა სვანურ ზღაპრებში დაფიქსირებული **და̈ჳ მა̈ყმა̈ყ** ლექსემის წარმოშობის გარკვევაც. ჩვენი აზრით, **მა̈ყმა̈ყ** იგივეა, რაც ქართული **ბაყბაყ-დევ-ი**. ქართ. **ბ** → სვან. **მ** (შდრ. ქართ. **ბინჯველ-ი** „ჭიანჭველა" : სვან. **მგრა̈კ**, ქართ. **ბეჭ-ი**, **სა-ბეჭ-ურ-ი** : სვან. **მა̈შკ||მაშკ** „ბარკალი, ბარძაყი" — ჩუხუა 2000-2003:150). კომპოზიტის ორივე შემადგენელი ხმოვანი უმლაუტიზებულია. მეორე კომპონენტის **ა** ხმოვნის უმლაუტის მიზეზი, რა თქმა უნდა, დაკარგული სახ. ბრუნვის ნიშანია, რაც შეეხება პირველი კომპონენტის **ა̈** ხმოვანს, იგი, როგორც ჩანს, იმავე კომპონენტის (***ბაყ-ი||მაყ-ი**) სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შედეგია.

[2] სვანურში დასტურდება **მალგიმიშ** ფორმაც, რომელიც შ. ჩართოლანის განმარტებით „დარიშხან"-ის სახელწოდებაა (იხ. ძველი სვანეთი, თბილისი, 1996, გვ. 184).

ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ და, შესაბამისად, უნდა გამოვყოთ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის -მუშ ალომორფი (ისევე, როგორც ხმოვანთა ერთ ნაწილზე დაბოლოებულ სახელებთან -ემიშ და -მიშ ალომორფები). ზემოსვანურ დიალექტებში -მიშ ალომორფი გამოიყოფა, რომელსაც თან ერთვის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -დ (მაგ.: **მა̈რგიმიშ'ჟ'დ ლიჯედ** (ბზ.) „შხამად შერგება", **მა̈რგიმდ||მა̈რგიმიშდ ლისპე** (ბქ.) „შხამად ქცევა").

ქართულიდან ნასესხებ **მარგ-ი** ფორმაში, ისევე როგორც დღემდე ცნობილ რამდენიმე ფუძეში (**ჲორ-ი** „ორი", **სემ-ი** „სამი", **ზა̈-ჲ** „წელიწადი", ბქ. **ბურთ-ი** „ბურთი"), ჩვენი აზრით, დაცული უნდა იყოს სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი**, რომელიც სვანურში იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩვეულებრივ მოკვეცილია (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285; სალდიანი 2005:245).

სვანურ სახელებს, როგორც ცნობილია (ა. შანიძე, ვ.თოფურია), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუძეებით გვხვდება. საანალიზო ლექსიკური ერთეული **მა̈რგ-ი||მარგ-ი** გამონაკლისს წარმოადგენს მსგავსად შემდეგი ფორმებისა: **ჲორ-ი** „ორი", **სემ-ი** „სამი", **ზა̈-ჲ** „წელიწადი", ბქ. **ბურთ-ი** „ბურთი" (სალდიანი 2005:16).

12. **ფრა̈ნგდ ლგგ** (ბქ.) „სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. — **ფრანგ-ად დგ-ა-ს**)", შდრ. ქართ. (ქიზიყ.) **ფრანგვა** „კარგად, ალმასივით ჰრა" და თუშ. **გაფრანგებაჲ** 1. გაცეცხლება, ძლიერ გაჯავრება, გაგულისება. 2. საქმეს რომ ცეცხლად მოედება.

მიშგუ მეზუბელიშ დინა ფრა̈ნგდ ლგგ (ბქ.) „ჩემი მეზობლის გოგო ძალიან სწრაფია („ჩემი მეზობლ-ის გოგო **ფრანგ-ად დგ-ა-ს**")"

ფრა̈ნგიშ შჲა̈რ (ბქ.) „მარჯვე, კარგი ხელების პატრონი (ზედმიწ. — **ფრანგ-ის ხელები**)"

ხოჩა შირეშ მარელა იქუი: **„ფრა̈ნგიშ ესერ შჲა̈რ ხაყა"** — კარგ ხელოსანზე ითქმის: „ფრანგის ხელები აქვსო („კარგი ხელების კაცზეღა ითქმის: **ფრანგ-ის-ო ხელები აბია**")".

13. **არა̈ბდ ლიფშუდე** (ბქ.) „მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინმესთვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ. — **არაბ-ად გაშვება**)", შდრ. ქართ. (მთიულ.) **არაბ-ი** „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული"

ალი ქა მეფშუდე ხარხ არა̈ბდ რიჩგუიანა̈რს (ბქ.) „ეს ამბის გასაგებად ყავთ გაგზავნილი რეჩგიანებს („ეს გაშვებული აქვთ **არაბ-ად რეჩგიან-ებ-ს**")".

14. **გნაცი ლიშდხე** (ლშხ.) „არაქათის გამოცლა, მეტისმეტი დაღლა (ზედმიწ. — ძალ-ღონის გამოლევა)", შდრ. ქართ. (ქართლ., ლეჩხ.) **გნაც-ი** „ძალი, ღონე"; „ძალ-ღონე" და ასევე, **გნას-ი** „ძალა" (ქეგლ)

ეჲჟი ემფაშ, ერე გნაც მარ მეშთხე (ჩოლ.) „ისე დავიღალე, რომ არაქათი გამომელია („ისზე დავიღალე, რომ **გნაც-ი** მაქვს გათავებული")"

გნაცი ლიხურე (ლშხ.) „ქანცის გაწყვეტა (ზედმიწ. — ძალ-ღონის გამოლევა)"

გნაც მარ მეხურე, ეჲჟი მეჲარ „ძალა გამომელია, ისე დამემართა („**გნაც-ი** მაქვს დარღვეული, ისზე დამემართა")".

სვანურში ლეჩხუმურიდან ჩანს შეთვისებული.

15. **კა̈ლდემ||კალდიმ ნინიშ პატრონ** (ბქ.) „მწარე ენის პატრონი (ზედმიწ. — ბასრი ენ-ის **პატრონ-ი**)", შდრ. ქართ. **კალდიმ-ი** „ძველებური მახვილი (საომარი იარაღი), დიდი სატევარი აფთი"

ეჯგუჲრ კჲლდემ ნინიშ პატრონ ლი, ერე გუის ჩუ ხოხპე მარა „ისეთი მწარე ენის პატრონია, რომ გულს გაუხეთქავს ადამიანს („იმ-გვარ-ი კალდიმ-ი ენ-ის პატრონ-ი-ა, რომ გულ-ს გაუხეთქავს კაცს")".

აღნიშნული ტერმინი, რომელიც ქართველურ ენებში დღეს უკვე ხმარებიდანაა გასული, შემოგვინახა როგორც სვანურმა იდიომატურმა გამოთქმებმა, ასევე ანდაზებმაც. მაგ.: **ფათრეკუი თხუიმ კჲლდემ ნინ ესერ ლი** (ლხმ., სვან. ანდაზ., 1973:142) „არეულობის, ჩხუბის დროს მთავარი იარაღი ენა არისო („ფათერაკ-ზე თავი კალდიმ-ი ენა-ო არის")".

ქართ. **კალდიმ-ი** > სვან. ***კალდემ-** > **კჲლდემ-** (შდრ. სვანურ ნასესხებ ფუძეთა აუსლაუტში **ი/ე** ხმოვანთამონაცვლეობის ნიმუშები: ბზ., ლნტ. **გომეჯ** < ქართ. (ლეჩხ., რაჭ., აჭარ.) გომიჯ-ი, ბზ. **ქესა**, ბქ., ქს. **ქესა** < ქართ. ქისა, ბქ., უშგ. **ქუირეთ** < ქართ. ქვირით-ი და ა. შ.).

16. **ჩჲლთშუ||ჩჲთრშუ ლეკუანე** (ბქ.) „უვარგისი, მოსაშორებელი (ზედმიწ. — **ჩათრ-ი-თ** 'გადა'საგდები)"

შიმი ლეფდად ჟი ლგჲქდ ლახა ხარ ი თელაწუეხენქა ქა ლედრად ხაბჟახ, ჩჲლთშუ ლეკუანე ეჯღა ხარხ „როდესაც ადამიანი უვარგისია და მისი მოშორება აუცილებლობად მიაჩნიათ, იმაზე ამბობენ: გადასაგდებიაო („ხელის შესახებად აცდენილი როცა აქვს და თვალსაწიერიდან მოსაშორებლად მიაჩნიათ, ჩათრით საგდებს ამიტომ ამბობენ")".

სვანური **ჩჲლთ** < ქართ. (ლეჩხ.) ჩათრ-ი შემდეგი ფონეტიკური პროცესების გზით: პირველ რიგში სახ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვამ გამოიწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი, ქართული **რ** > **ლ**, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში, შემდეგ კი მოხდა მეტათეზისი, რის შედეგადაც მივიღეთ სვანური **ჩჲლთ**.

17. **ფინდიხდ ლგგ** (ბზ.), **ფინთიხდ ლგგ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) „სწრაფია, დაუდეგარია, მარჯვეა (ზედმიწ. — **ფინდიხ-ად დგ-ა-ს**)", შდრ. ქართ. (გურ.) **ფინთიხ-ი** „გასროლილი ისარი ან ტყვია" < სპარს.-თურქ. **punduk** „მახვილი, სასროლი ტყვია".

გეგი ფინდიხდ ლგგ (ბზ.) „გეგი ძალზე სწრაფია („გეგ-ი **ფინდიხ-ად დგ-ა-ს**")"

ციოყ ფინთიხ მჲრე ლი (ლშხ.) „ციოყი დაუდეგარი კაცია („ციოყ-ი **ფინდიხ-ი** კაცი არის")"

ბალსქვემოურში, ლაშხურსა და ლენტეხურში დაფიქსირებული **ფინთიხ-** მომდინარეობს ქართულიდან ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე, რაც შეეხება ბალსზემოურ **ფინდიხ-ს**, იქ მოხდა ინლაუტისეული **თ-ს** გამჟღერება (**თ** > **დ**).

საანალიზო ლექსიკური ერთეული **ფინდიხი** „სწრაფი, ჩქარი, გაბედული" მეგრულშიც დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით.

18. **წელიშ ჰირიკ** (ბქ.) „ჯაფა, გარჯა (ზედმიწ. — ვირის უნაგირი)"

ლეთილადეღ წელიშ ჰირიკ ხაგ ი მჲ ლემბჲჟ, ერე ხოლამდ ირდი? (ბქ.) „დღე და ღამე ჯაფაშია და რა გასაკვირია, რომ ცუდადაა („ღამე და **დღე** ვირის უნაგირი ა-დგ-ა-ს და რა გასაკვირი, რომ ცუდად იქნება?")?"

ბალსქვემოურ დიალექტში დაფიქსირებული **ჰირიკ** < ქართ. (ლეჩხ.) **ხირაგა** < ოს. **[illegible]** „ვირი" აუსლაუტისეული თანხმოვნის დაყრუების შედეგად (საღლიანი 2005:50).

19. **ჰიაბერდ ესხიჰჲნ** (ლშხ.) „გაღორდა, ღორმუცელად გადაიქცა (ზედმიწ. — **ჰია-ბერაღ-დ** გადაიქცა||გადატრიალდა)"

ჭიაბერდ ლჷგ (ლშხ.) „გაუმაძღარია (ზედმიწ. — **ჭია-ბერაო-დ დგ-ა-ს**)", შდრ. იმერ. ჭიამჭამელი „სნეულება; გაუმაძღრობა" და რაჭ. ბერაო „მუხლუხო".

საანალიზო ლექსემა **ჭიაბერ**-ი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: **ჭია** და **ბერ**-ი, ორივე მათგანი ნასესხებია ქართულიდან. სვან. **ბერ**- < რაჭ. ბერაო-სგან აუსლაუტისეულ (-**აო**) ხმოვანთა დაკარგვით.

20. **დეცე სუნდუქუშ ლებჴჷდაჭ!** (ბქ.) „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. — **ც**-ი^ს^ **ზანდუკ**-ით გასახეთქი!)"

სუნდუქჷ დეცეშ მიჩა მეფშუდა მäზიგს ქა ნომთეჷ ჯაქäბუნე სი ი ისგჷა ქორს! (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 55:17) „ცის ღვთაებამ თავისი გაშვებული ავადმყოფობა არ აგაცდინოს შენ და შენს ოჯახს („**ზანდუკ**-ი **ც**-ის^ა^ მის გაშვებულ ტკივილს **ნუ-არ**-^ის^-კენ-მცა აგაცდენს შენ და შენს **ქორა**-ს!")!"

სვანური წყევლის ფორმულებში დაფიქსირებული **სუნდუქჷ** < რუს. **Сундук** „ზანდუკი, სკივრი". ბოლოკიდური **ჷ** შესაძლოა ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს გაჩენილი.

21. **ქჷლისიშ ლიკედ** (ბქ.) „გაქცევა, სწრაფად წასვლა, მოქუსლვა (ზედმიწ. — **ქუსლ**-ის აღება)"

დინად ქჷლის გარ äნკიდ (ბქ.) „გოგომ უცებ მოქუსლა („გოგომ **ქუსლ**-ი მხოლოდ აიღო")"

ქჷლიზიშ ლიჩჷემ (ბქ.) „გაქცევა, მოქუსლვა (ზედმიწ. — **ქუსლ**-ის ქმნა)".

ქართ. ქუს- ქუს-ლ-ი : ზან. (მეგრ.) **ქურს-**||**ქურც-**||**ქურ- ქურს-ი**||**ქურც-**||**ქურ-ი** : ზან. (ლაზ.) **ქურ-**||**ქუს- ქურ-ი**||**ქუს-ი** „ქუსლი" (სარჯველაძე, ფენრიხი 1990:329) : სვან. **ქჷლის**||**ქჷლიზ** „მოქუსლვის მნიშვნელობით".

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქართულ-ზანურის შესატყვისი სათანადო სვანური ფუძე დღემდე არ ყოფილა გამოვლენილი. სვანურში გავრცელებული ქუსლის აღნიშვნელი **ჰაგჷ** (ზს.), **აგჷ** (ქს.) კი ადიღური სუბსტრატია, რომელიც მომდინარეობს ადიღეური **ლъ** „ტერფი" სიტყვიდან (ზედმიწ. — **лъ** „ფეხი", **გუ** „გული", ე. ი. ფეხის გული). ადიღეური **ლ'** ლატერალი სვანურში შენაცვლებულია **ჰ** უკანა რიგის სპირანტით (როგავა 1987:23).

ის, რომ ქართული ქუსლ- სიტყვის შესატყვისი მოგვეპოვებოდა სვანურში, ამაზე მეტყველებს იდიომატურ გამოთქმებში (**ქჷლისიშ ლიკედ** „გაქცევა, სწრაფად წასვლა, მოქუსლვა", **ქჷლიზიშ ლიჩჷემ** „გაქცევა, მოქუსლვა") შემორჩენილი **ქჷლის**||**ქჷლიზ** ლექსემა.

ქართ. ქუსლ-ი > სვან. ***ქჷისლ**-[1] > **ქჷლის**- > ***ქჷლიშ**-, ხოლო რაც შეეხება **ქჷლიზ**- ფორმის აუსლაუტისეულ **ზ**-ს, იგი, როგორც ჩანს, არაადეკვატური აღქმის შედეგია.

გ. კლიმოვის მიერ ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***ქურსლ**- არქეტიპი (ЭСКЯ, 200; Klimov 1998, 219).

22. **ზაჷთარი ლიჟჷმე** (ლშხ.) „დაბნეულობა (ზედმიწ. — **ზავთ-ებ**-ი^ს^ არევა)", შდრ. ქართ. (მესხ., ფშ.) ზავთ-ი „რიხი, ძალა" < არაბ., თურქ. **zapt**.

ზაჷთარ ლოქ ახჷომჷნა ალ მäრა (ლშხ.) „დაიბნაო ეს კაცი („**ზავთ-ებ**-ი-ო არევია ამ კაცს")".

საანალიზო იდიომატური გამოთქმის პირველი კომპონენტი **ზავთ** ქართულის გზით ჩანს შემოსული სვანურში ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე. რაც შეეხება **ზაჷთ-არ** ფორმაში გამოვლენილ -**არ**'ს, იგი მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია სვანურში.

---

[1] მოსალოდნელი იყო **ქჷსილ**- ფორმის მიღება, რაც არ განხორციელდა თანხმოვანთა არაბუნებრივი მიმდევრობის სუპერაციის გამო და მოხდა მეტათეზისი, **ს**'ს ადგილას გადმოინაცვლა სონორმა თანხმოვანმა.

ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას, ეს არის სემანტიკური გადაწევა, თუმცა, ვფიქრობთ, შეფარდება სემანტიკურ დონეზე რიხი, ძალა ~ დაბნეულობა დასაშვებია.

23. **ბოლეკდ ლიკედ** (ზს.) „ამოწყვეტა, ძირფესვიანად ამოგდება (ზედმიწ. — **ბოლქვ-ად** ალება)", შდრ., აგრეთვე, **წგსხად ი ბოლეკდ ლეკდაქ!** (ბქ.) „ამოსაწყვეტი, ძირფესვიანად ამოსაგდები (ზედმიწ. — ფესვად და **ბოლქვ-ად** ასაღები!)!" **ძირ ი ნაბალაჴ ლეკდაქ!** (ლშხ.) „ძირფესვიანად ამოსაგდები (ზედმიწ. — **ძირ-ი** და **ნა-ბოლქვ-ი** ამოსაღები!)!" **ძირიშ ი ნაბალაკი ლეკედ!** (ლშხ.) „ძირფესვიანად ამოსაწყვეტი (ზედმიწ. — **ძირ-ის** და **ნა-ბოლქვ-ის'** ასაღები!)!" **ლგძირ-ლგბოლკდუ ალჯე̄ლე̄ლი!** (ჩოლ.) „ძირფესვიანად ამოწყდნენ (ზედმიწ. — **ძირ-იან-ბოლქვ-ად-მცა** ამოხვეტილა!)!" **ქოქდ ი ნაბალაკდუ ემშდეხე̄ლი გუშგუ̂ე მგჴოე** (ლშხ.) „ამომწყდარიყოს ჩვენი მაწყევარი (ზედმიწ. — ფერფლად და **ნა-ბოლქვ-ად-მცა** გათავებულა ჩვენი მაწყევარი!)!"

ესნა̈რ ... კე̄სა̈რშა ხამა̈რ ლა̈ხქა̈ლხ ალ და̈ბს ი ბოლეკდ ანკიდხ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 172:29-30) „თურმე კეისრისანის ღორები მიეპარნენ ამ ყანას და ამოწყვიტეს („თურმე **კეისრ-ის-ან-ის** ღორები მიეპარნენ ამ ყანას და **ბოლქვ-ად** აიღეს")"

ბოლეკდ ლეკდიაქ ალ ხამა̈რდ ჰარტამ ჟ'ანხჳიტხ (ბქ.) „ამოსაწყვეტმა ღორებმა ბოსტანი მოსპეს („**ბოლქვ-ად** ამოსაღებმა ამ ღორებმა ბოსტანი ამოწყვიტეს")" და ა. შ.

ქართ. ბოლქვ-ი > სვან. ***ბოლქვ-** > ***ბოლკვ-** > ***ბოლკ-** > **ბოლეკ-**.

24. **ყაბა̈რდაა̈შ მუხჳიტან** „ავი, ცუდი ზნის ქალი (ზედმიწ. — **ყაბარდო-ს** ამომწყვეტი)"

ხოლა ზურალს ყაბა̈რდი ესერ უშხჳარდ ლოხხჳიტა (ბქ.) „ცუდმა ქალმა მთელი ქვეყანა ერთმანეთს მიაწყვიტაო („ცუდ ქალს **ყაბარდო-ო** ერთმანეთად მიუწყვეტია")".

საანალიზო ლექსემა დასტურდება სვანურ ანდაზებშიც, მაგ., **თელდა̈ნ მარე ყაბა̈რდის ესერ ქა ხოლთხჳმი** (ლხმ., სვან. ანდაზ., 1973:41) „ჭკვიანი კაცი მთელ ქვეყანას უხელმძღვანელებსო („**ტვინ-იან-ი** კაცი **ყაბარდო-ს-ო** უმეთაურებს")".

როგორც ჩანს, სვანების წარმოდგენით ყაბარდო დიდ ქვეყანას წარმოადგენდა.

სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში, ასევე, დიდი რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები (მაგ.: **ფინზდ ლიგნე** (ბქ.) „დამსხვრევა, დაფშვნა (ზედმიწ. — წიწვად **დგ-მ-ა**)", შდრ. ბქ. **ფხინიზ** „წიწვი"; **ჰირგიშ ლიყერ** (ბქ.) „ქალების ერთობლივი წამოტირება, ბანი (ზედმიწ. — ბანის||მოძახილის რტყმა)"; **გჳეგს ლიჰემ** (ბქ.), **გოგს ლიჰემ** (ბქ.) „მათხოვრობა, მაწანწალობა, კარდაკარ სამათხოვროდ ხეტიალი"; **ჰა̈ძიდოდეჳს ლიგნე** (ბზ.) „ხმაური, აურზაური, ჩხუბი; ნერვიულობა"; **წინალდ ი წირკამა̈ლდ ლიბლჳკე** (ბზ.) „ამოწყვეტა, ამოჟლეტა"; **გაგა̈ზდ ლირდე** (ბზ.) „ყბედობა (ზედმიწ. — ქადაგად ყოფნა)"; **გაგა̈ზდ ლგგ** (ბზ.) „ქადაგებს, ყბედობს (ზედმიწ. — ქადაგად **დგ-ა-ს**)"; **გჳა̈სპდ ლიგნე** (ბზ.), **გჳა̈სპდ ლიგენე** (ლნტ.) „დახრუკვა, დაწვა, ფერფლად ქცევა, ცეცხლში შთანთქმა (ზედმიწ. — ხრუკვად **დგ-მ-ა**)"; **ძეპრუტდ ლიკჳა̈ნე** (ბზ.) „აბუჩად, მასხრად აგდება"; **სადა̈რ-კუდა̈რიშ ჭაჭა̈რ ლექჳა ლიყერ** (ბქ.) „გალანძღვა, გათათხვა", შდრ. ლშხ. **სადარ-კუდარ**; **სგრიგაგას ჟი ხაგ** (ბქ.) „აწრიალებულია, მოუსვენრადაა (ზედმიწ. — მოუსვენრობას ზე **ა-დგ-ა-ს**)"; **ფისეგარგასისგაოლჳ ხარ ლაქუნ!** (ბქ.) „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — ჯოჯოხეთშიმც აქვს სასულე!)!" **ლე̄ქჵლ-ბე̄დჵლს ლიტეხ** (ბზ.) „ძველი გაჭირვებული ცხოვრების დაბრუნება, კვლავ სიღარიბეში ჩავარდნა (ზედმიწ. — გაჭირვებას დაბრუნება)"; **ფისემ გარგასთე ლისკნე** (ბქ.) „ჯოჯოხეთში მოხვედრა (ზედმიწ. — **ფის-ის** გაგანიაში ჩახტომა)"; **ნანდ ი ფანდიშ ლიკედ** (ბქ.) „საღერღელის აშლა, აფორიაქება"; **ქირიმ-ბარას ლახრიღჳ** (ჩოლ.) „მიყარ-მოყარა"; **დავა-ტაფად ხუჳახ** (ჩოლ.) „მდიდრები არიან, ბევრი ქონება აქვთ" და ა. შ.), რომელთა წარმომავლობის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისინი, როგორც მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზმა აჩვენა, შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და, ბუნებრივია, ბევრი მათგანის არქაულობიდან გამომდინარე, დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას.

1. 5. სვანურ ნუმერატივთა ფრაზეოლოგიური აქტივობა

(ქართულთან შედარებით)

ფრაზეოლოგიური ერთეულის (ფე-ს) მნიშვნელობა, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ყალიბდება ორი ან მეტი ლექსიკური ერთეულისა და იმ პირველადი კონტექსტის ურთიერთქმედების საფუძველზე, რომლისგანაც არის შემდგარი. ამ მრავალფეროვან ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის კვლევას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფრაზეოლოგიის ზოგადთეორიული საკითხების კვლევისთვის.

ცნობილია ისიც, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტები წარმოდგენილია: ა) პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობის მქონე თავისუფალი გამოყენების სიტყვებით, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულის ფარგლებში, ბ) სიტყვებით, რომლებიც მხოლოდ ფრაზეოლოგიური ერთეულის ჩარჩოებში ფუნქციონირებენ და გ) მოძველებული მნიშვნელობის სიტყვებით. ამ სამ ქვეჯგუფთაგან პირველი ქვეჯგუფი ეს არის — აქტიური გამოყენების სიტყვები, რომლებიც შეადგენენ ენის ფრაზეოლოგიური შემადგენლობის ძირითად ნაწილს, ანუ ე. წ. ფრაზეოლოგიზმების „საშენ მასალას" და ქმნიან ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა ვიწრო წრეს (ყორყოლიანი 2004:261).

ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთა წრე, რომელთა კომპონენტები ფრაზეოლოგიურ აქტივობას იჩენენ, დაახლოებით განსაზღვრული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის შესწავლა მხოლოდ და მხოლოდ ამით შემოიფარგლებოდა (გაკი 1966:74).

ბოლო დროს კი გაჩნდა სპეციალური კვლევები კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში, სადაც განიხილებოდა სწორედ სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები (არსებით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი **„სომატიზმები"**, **„ზოონიმები"**, **„ფლორალიზმები"**, ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — **„ფერების აღნიშვნები"**, **„მოძრაობის და გადაადგილების"**, ასევე **„ლაპარაკის"** აღმნიშვნელი ზმნები და სხვ.), რამაც ეს ხარვეზი გარკვეულწილად ამოავსო.

რა თქმა უნდა, ზემოჩამოთვლილ ფე-თა ჯგუფებს უნდა დაემატოს რიცხვით სახელთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი — **„ნუმერატივები"**, რომლებიც კერძო თუ შეპირისპირებით ფრაზეოლოგიაში არ ყოფილა გამოწვლილვითი გამოკვლევის საგანი. რაც შეეხება ი. როჟანსკის (1957:29-32), ა. სუპრუნის (1954:79-85), ლ. ბოტინას (1983:34-38) და ს. ოლხოვსკაიას (1967:74-78) ნაშრომებს, მათში, ძირითადად, ადგილი აქვს რიცხვითი სახელის შემცველი ფრაზეოლოგიზმების კლასიფიკაციას, ზოგჯერ რიცხვთა არითმეტიკული რიგის, ზოგჯერ კი ფრაზეოლოგიზმთა სხვადასხვა ტიპების მიხედვით.

ნუმერატივები, როგორც ცნობილია, სხვა აღნიშნულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ფრაზეოლოგიზაციის პროცესი კი ენის ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს „კანონზომიერია ენაში და მიმდინარეობს არა ქაოტურად, არამედ არჩევითობის პრინციპით" (სერებრენიკოვი 1955:41).

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც ქართულ „ნუმერატივებს" შეეხება, ეს არის ე. ყორყოლიანის წერილი „ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტიურობის შესახებ", რომლის მიზანია ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტივობის" გარკვევა ფრანგულსა და ქართულ ენებში. მის მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი მასალის ანალიზი (კერძოდ, 7 ფრაზეოლოგიური და 1 განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები) გვიჩვენებს, რომ ნუმერატიული ფრაზეოლოგიური ერთეულები ფრანგულ ენაში წარმოდგენილია საკმაოდ ფართოდ და შეადგენს 852 ერთეულს, რაც შეეხება ქართულს, მასში ასეთი ფრაზეოლოგიზმების რიცხვი შედარებით მცირეა, სულ 216 ერთეული. უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოაღნიშნულ

ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში — „ნუმერატივი" როგორც ფრანგულ, ასევე ქართულ ენებში ერთიანდებიან სხვადასხვა ტიპის რიცხვითი სახელები, რომელთაგანაც განსაკუთრებით მაღალ ფრაზეოლოგიურ აქტივობას იჩენენ პირველი ათეულის რიცხვთა აღმნიშვნელი ნუმერატიული კომპონენტები ორივე ენაში, თუმცა ფრაზეოლოგიური აქტივობით ასევე გამოირჩევიან მრგვალი რიცხვების აღმნიშვნელი ნუმერატივებიც (ყორყოლიანი 2004:26-270).

გ. სოკოლოვას კვალდაკვალ ე. ყორყოლიანს შემოაქვს ტერმინი „ფრაზეოლოგიური აქტივობა" [შემოკლებით AF (სოკოლოვა 1984, 4, ყორყოლიანი 2004:262)], რომლითაც აღნიშნავენ ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივ განსხვავებებს (იხ. ცხრილი II, იქვე:268-269).

ფრაზეოწარმოქმნაში, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტ აქტივობას იჩენენ ისეთი ლექსემა-ნუმერატივები, რომლებიც იწვევენ ხატოვან ასოციაციებს ადამიანის მატერიალურ ცხოვრებასთან, მის ინტელექტთან, ფიზიკურ შრომასთან, გრძნობებთან და ა. შ. აქედან გამომდინარე, იმ დენოტატთა აღნიშვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ ადამიანისთვის ინტერესის სფეროს, უფრო ნაკლებად ან საერთოდ არ იჩენენ ფრაზეოლოგიურ აქტივობას, რასაც მივყავართ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური შემადგენლობის კვანტიტატიურ შეზღუდულობამდე. ნუმერატივები კი, რომლებიც წარმოადგენენ რიცხვთა ლექსიკურ აღნიშვნებს ამ მხრივ, განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ ენის ლექსიკაში... რიცხვის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებიდან ყველაზე დიდი სიხშირით გამოირჩევიან პირველი ათეულის ნუმერატივები, რაც განპირობებული უნდა იყოს რიცხვის აღნიშვნების ისტორიული წარმოშობითაც (იქვე:263-264). რამდენადაც რიცხვი აღებულია ობიექტური სინამდვილიდან და „ბუნებამ ადამიანს თვითონ შეუქმნა რიცხვთა ყველა შესაძლო მოდელი — ფრინველთა ფრთები, ყვავილთა ფურცლები, ცხოველთა თათები და ბოლოს ადამიანის ხელის თითები" (იფრა 1995:7), რომელზეც მან ისწავლა თვლა და ელემენტარული მათემატიკური ოპერაციების შესრულება, რიცხვთა აღნიშვნებიც ადამიანის ცხოვრების აუცილებელი და უნივერსალური მონაწილეა (ყორყოლიანი 2004:264).

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ქართველურ ენებში ბევრი არაფერი გაკეთებულა, აუცილებლად და საინტერესოდ მივიჩნიეთ ნუმერატივების „ფრაზეოლოგიური აქტივობის" გარკვევა ქართულსა და სვანურში, თუმცა შეუძლებელი იქნება ნუმერატივთა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შემადგენელ ლექსემათა რიცხვის განსაზღვრა, ვინაიდან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „ნუმერატივების ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის საფუძველს წარმოადგენს რიცხვის ცნება, უფრო სწორად კი მათემატიკური რიცხვი, რომელიც უწყვეტი სიდიდეა" (იქვე:262).

ზოგიერთი ნუმერატივი შედის დიდი რაოდენობის ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში, და, ამდენად, ისინი სხვა ზემოდასახელებულ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. ჩვენ შევეცდებით მრავალფეროვანი საანალიზო მასალის საფუძველზე შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა" ქართულსა და სვანურში[1].

შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან[2], აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ მასალას და გავარკვიეთ ნუმერატივთა „ფრაზეოლოგიური აქტივობა" აღნიშნულ ენებში.

[1] სტატიაში ყურადღება იქნება გამახვილებული ასევე წყევლის, დალოცვისა და რელიგიურ გამონათქვამებში არსებულ ნუმერატივებზეც.

[2] იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

ქართული ნუმერატიული ფრაზეოლოგიური ერთეულების აქტივობა, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, შეადგენს 216 ერთეულს[1] (ქორჭოლიანი 2004:262). რაც შეეხება სვანურს, იქ ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა უქონლობის გამო შეუძლებელია ნუმერატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აქტივობის ზუსტი განსაზღვრა, თუმცა როგორც მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ თვალში საცემია და ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც დასტურდება ზოგიერთ ნორმატივთან დაკავშირებით[2]. უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულიდან შეთვისებული მასალის გვერდით, დიდი რაოდენობით დასტურდება საკუთრივ სვანური მასალაც, რომელიც სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

თვალსაჩინოებისათვის პარადიგმების სახით წარმოვადგენთ ყველა იმ რიცხვით სახელს, რომლებიც ერთიანდებიან შემდეგ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფში „ნუმერატივი".

ცხრილი I

ნუმერატივების სია

თვლის სისტემის რიცხვები	მიახლოებითი რაოდენობის აღმნიშვნელი	რიგის აღმნიშვნელი	მთელის ნაწილის აღმნიშვნელი	გამრავლების აღმნიშვნელი
ქართ.	ქართ.	ქართ.	ქართ.	ქართ.
ერთი		პირველი	ნახევარი	ერთმაგი
ორი	ორიოდე	მეორე	მეორედი	ორმაგი
სამი	სამიოდე	მესამე	მესამედი	სამმაგი
ოთხი	ოთხიოდე	მეოთხე	მეოთხედი	ოთხმაგი
ხუთი	ხუთიოდე	მეხუთე	მეხუთედი	ხუთმაგი
ექვსი	ექვსიოდე	მეექვსე	მეექვსედი	ექვსმაგი
შვიდი	შვიდიოდე	მეშვიდე	მეშვიდედი	შვიდმაგი
რვა	რვაოდე	მერვე	მერვედი	რვამაგი
ცხრა	ცხრაოდე	მეცხრე	მეცხრედი	ცხრამაგი
ათი	ათიოდე	მეათე	მეათედი	ათმაგი
ოცი	ოციოდე	მეოცე	მეოცედი	ოცმაგი
ოცდაათი	ოცდაათიოდე	ოცდამეათე	ოცდამეათედი	ოცდაათმაგი
ორმოცი	ორმოციოდე	მეორმოცე	მეორმოცედი	
ასი	ასიოდე	მეასე	მეასედი	ასმაგი
ათასი	ათასიოდე	მეათასე	მეათასედი	ათასმაგი
მილიონი			მემილიონედი	

[1] თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არ არის სრული სია, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ რამდენიმე რიცხვითი სახელის ფრაზეოლოგიური აქტივობა, რომელიც ქართულში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, განსაზღვრული იყო, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით გაიზარდა. მაგ.: რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ცხრა**, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, 17 ერთეულს შეადგენდა, ჩვენ კი 28-ჯერ დავაფიქსირეთ, ასევე რაოდენობითი რიცხვითი სახელი **ორი** 28-ჯერ არის წარმოდგენილი, ჩვენ კი 33-მდე გავზარდეთ. რამდენიმე რაოდენობითი რიცხვითი სახელი, მაგ.: **ექვსი**, **ათი** ნულით იყო წარმოდგენილი, მასალაზე დაკვირვების შედეგად კი გაირკვა, რომ აღნიშნული ნუმერატივები თითოჯერ დასტურდება ფრაზეოლოგიზმებში.

[2] ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ.

სვან.	სვან.	სვან.	სვან.	სვან.
ეშხუ	აშხჷშ ეშხუ		ხგნსგა	
ჲორი	ჲარშჷ ჲორი	მჷრმე‖მერმე‖მერბე	მერმე ნა̈თი	ჲორიმაგ
სემი	სამშჷ სემი	მჷსმე‖მესმე‖მესემე	მჷსმე ნა̈თი	სემიმაგ
ჳოშთხჳ		მჷშთხჳე‖მე'ჳ'უშთხჳე‖ მეოშთხჳე	მეუშთხჳედ	ოშთხჳმაგ
ჳოხუშდ		მჷხჳშდე‖მეუხუშდე‖ მჷოხჳშდე‖მეუხუშტე‖ მეოხჳიშტე	მეუხუშდედ	ჳოხუშდმაგ
ჳუსგჳა		მჷსგჳე‖მეუსგჳე‖ მჷუსგჳე‖მეუსკჳე	მეუსგჳედ	ჳუსგჳამაგ
იშგჳიდ		მჷშგჳდე‖მეიშგჳიდე‖ მჷიშგჳდე‖მეიშკჳიდე	მეიშგჳიდედ	იშგჳიდმაგ
არა		მჷრე‖მეარე‖მჷარე	მეარედ	არამაგ
ჩხარა		მჷჩხრე‖მეჩხრე	მეჩხრედ	ჩხარამაგ‖ ჩხარაფა
ჲეშდ		მჷშდე‖მეეშდე‖მეიშდე‖ მეჲშდე‖მეეშტე‖მჷშტე	მეეშდედ	ეშდმაგ
ჲერჳეშდ		მეერჳეშდე	მეერჳეშდ	ერჳეშდმაგ‖ ჲერჳეშდფა
ერჳეშდიეშდ		მეერჳეშდიეშდე	მეერჳეშდიეშდ	ერჳეშდიეშდმაგ
ჲორერჳეშდ				ჲორერჳეშდმაგ
აშირ		მეაშირე	მეაშირედ	აშირმაგ
ათა̈ს		მეათა̈სე	მეათა̈სედ	ათა̈სმაგ‖ათა̈სფა
ათა̈სერჳეშდ		ათა̈სმეერჳეშდე		
მილიონ			მემილიონედ	

ფრაზეოლოგიური ერთეულების შემადგენლობაში შემავალ ლექსემა-კომპონენტთა რაოდენობრივ განსხვავებებს, გ. სოკოლოვას და და ე. ყორყოლიანის კვალდაკვალ, ჩვენც ტერმინი „ფრაზეოლოგიური აქტივობ"-ით (შემოკლებით AF) გადმოვცემთ და ნუმერატივების ფრაზეოლოგიურ აქტივობას ქართულსა და სვანურში ცხრილის მეშვეობით წარმოვადგენთ.

ცხრილი I

ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობა

ნუმერატივები ქართული ენა	AF ქართული ენა	AF ქვედა ზღვარი	ნუმერატივები სვანური ენა	AF სვანური ენა	AF ქვედა ზღვარი
ერთი	105		ეშხუ	76	
ორი	33		ჲორი	21	
სამი		4	სემი		2
ოთხი	10		ჳოშთხჳ		4
ხუთი		4	ჳოხუშდ		1

ექვსი		1	ჳუსგჳა		0
შვიდი		0	იშგჳიდ		1
რვა		0	არა		0
ცხრა	28		ჩხარა	20	
ათი		1	ჲეშდ		4
თორმეტი		1	ჲეშდორი		3
თხუთმეტი		1	ათუთხმეტი[1]		1
ოცი		1	ერჳეშდ		3
ოცდაოთხი		1	ერჳეშდიჳოშთხჳ		1
ოთხმოცი		0	ჳოშთხჳერჳეშდ		1
ასი		5	აშირ	10	
ათასი	10		ათäს		5
ათასოცი		0	ათäსერჳეშდ	7	
ასიათასი		0	აშირათäს		3
მილიონი		0	მილჳენ||მილიონ		3
პირველი	10		მäნკჳი||მäნკჳ...		0
მეორე		3	მერმე||მēრმე		5
მეექვსე		1	მეუსგჳე		0
მეშვიდე		3	მეჲშგჳიდე		0
მერვე		1	მერჳე		0
მეცამეტე		1	მეეშდსემე		0
ნახევარი		4	ხგნსგა		0
ცხრამაგი		0	ჩხარაფა		3
ათმაგი		0	ჲეშდმაგ		1
ოცმაგი		0	ჲერჳეშდფა		1
ათასმაგი		0	ათäსმაგ		1
ერთიოდე		0	აშხჳშ ეშხუ		2
ორიოდე		0	ჲარშჳ ჲორი		1

შენიშვნა: ქართული რიგობითი რიცხვითი სახელის „პირველ“-ის აღსანიშნავად სვანურში გამოიყენება როგორც საკუთრივ სვანური ფორმები, მაგ.: (ბზ.) მǟნკჳი, (ბქ., ლნტ.) მäნკჳი, (ბქ.) მäნკჳ, (ლშხ.) მǟნკჳი „ჯერ, უწინ, პირველად“, (ბზ.) სგჳებინ||სგებინ||სგობინ, (ლშხ.) სგობინ, (ლნტ.) სკჳებინ „წინ, პირველად“, (ბზ.) სგჳებნაჳ, (ბქ.) სგჳებნაჳ||სგებნაჳ, (ლშხ.) სგობნǟჳ, (ლნტ.) სკჳებნაჳ „წინასწარ, წინდაწინ“, (ზს.) სგჳებნე||სგობნე||სგებნე, (ლშხ.) სგობნე, (ლნტ.) სკჳებნე „წინა, წინანდელი“, ბზ., ლნტ. ხუნკჳი, ბზ., ლშხ. ხონკჳი, ზს. ხონკი, ლხმ. ხენკი „პირველად, ჯერ, უფრო ადრე“, (ლშხ.) კეცხაშ „მწვერვალისა, მოწინავისა“..., ასევე ქართულიდან ნასესხები პირჳელ „პირველი“, თუმცა ვერც ერთი მათგანი, მიუხედავად ჩვენი გულმოდგინე ცდისა, ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში ვერ დავაფიქსირეთ. გამოდის, რომ მისი ფრაზეოლოგიური აქტივობა ნულია. უნდა ითქვას ისიც, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი „პირველი“ დიდი ფრაზეოლოგიური აქტივობით არც ქართულში არ გამოირჩევა (სულ დაფიქსირებულია 10 ერთეული).

[1] ზმნის პირიან ფორმაში დადასტურდა.

ფრაზეოლოგიზაციის პროცესში, რამდენადაც ცნობილია, მონაწილეობას ღებულობენ როგორც რაოდენობითი, ასევე რიგობითი, წილობითი, მიახლოებითი და გამრავლების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ სვანურში და რა ფრაზეოლოგიური აქტივობა გააჩნია თითოეულ მათგანს ქართულთან მიმართებით.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, მეტად მრავალფეროვანია, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას პირველი ათეულის რიცხვებზე: **ეშხუ**, **ჟორი**, **სემი**, **ჩხარა** და **ეშდ**, დანარჩენი რიცხვითი სახელები კი მეტნაკლები ოდენობით დასტურდება ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში. ცხადია, აქ შემოგვაქვს წყევლისა და დალოცვის ფორმულებიც, რომლებშიც ძალიან ხშირად ფიქსირდება რიცხვითი სახელები. მაგ.:

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ეშხუ**'ს „ერთი" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **აშჷ ა̈დგიჩუ აშჷ ხახჷჩი, მერმ'ა̈დგიჩუ — მერმა** „ხან ერთს იძახის, ხან — მეორეს (ზედმიწ. — ერთ ადგილ-⌜ს⌝-ქვე ერთს *აკარგებს, მე-ორ-ე ადგილ-⌜ს⌝-ქვე — მე-ორ-ე-ს)"

ჲერჷა̈ წა̈მნირა̈კდ ა̈სიპანე ნაქჷ-ნასკორს, ეჯ მარადა ყგლეჰ: აშჷ ა̈დგიჩუ აშჷ ხახჷჩი, მერმ'ა̈დგიჩუ — მერმა (ბქ.) „ვინც წარამარა იცვლის აზრს, იმ ადამიანზე ამბობენ: ხან ერთ იძახის, ხან — მეორესო („ვინც წამ-და-უწუმ ატრიალებს ნა-თქ-ვ-ამ-ნაფიქრალს, იმ კაცზე ამბობენ: ერთ ადგილ-⌜ს⌝-ქვე ერთს *აკარგებს, მე-ორ-ე ადგილ-⌜ს⌝-ქვე — მე-ორ-ე-ს")";

2. **აშჷ საფლა̈ჩუ ლიზი‖ლინჱურე** „სირცხვილისგან განადგურება, სიკვდილი, ერთად დამარხვა, ერთად სიკვდილი (ზედმიწ. — ერთ **საფლავ**-⌜ს⌝-ქვე სვლა‖ჩალაგება‖დალაგება)"

მუ უწჷრა გეზლირს აშჷ საფლა̈ჩუ ესერ ანჱურე[1] (ლხმ.) „მამა, რომელიც სირცხვილს ვერ გამოისყიდის, სისხლს ვერ აიღებს, პასუხს ვერ გასცემს მტერს, ამით ყველა შვილს ასამარებს („მა-მა სისხლაუღებელი შვილებს ერთ **საფლავ**-⌜ს⌝-ქვე-ო ალაგებს")"

შგურემ ისგა ლიცჷრემ მგქაფდ მეზგემ ლგფა̈ყჷ აშჷ საფლა̈ჩუოლჷ არა̈დ (ლხმ.) „სირცხვილის შერჩენის მაგივრად ოჯახის ყველა მამაკაცი ერთ საფლავშიც წავიდესო („სირცხვილის შერჩენის მაგივრად მოსახლის ქუდიანი ერთ **საფლავ**-⌜ს⌝-ქვე-ო-მც წავიდა")

ხოშა ი ხოხრა მა̈გ აშხჷ საფლა̈ჷჩუოლჷ ომჩედეხიდ! (ბქ.) „დიდი და პატარა ყველა ამოწყდით, ერთი არ დარჩით („დიდი და პატარა ყველა ერთ სა-ფლ-ავ-⌜ნ⌝-ქვე-მცა წასულხართ!")!"

3. **აშხჷ შდიმისგა სგა ლიფშჷდე ი მერმაქა ქა ლიფშჷდე** „ნათქვამის არაფრად ჩაგდება, ყურადღების არ მიქცევა (ზედმიწ. — ერთ ყურში შეშვება და მე-ორ-ე-დ-ან გაშვება")"

ხედუ დემე ხესმი მიშგუ ნარგად, აშხჷ შდიმისგა სგა ფიშჷდე ი მერმაქა ქა ფიშჷდე (ბქ.) „სულ არ ესმის ჩემი ლაპარაკი, ნათქვამს ყურადღებას არ აქცევს, ანგარიშს არ უწევს, არაფრად აგდებს („მთლად არ ე-სმ-ი-ს ჩემი ნალაპარაკევი, ერთ ყურში შეუშვებს და მე-ორ-ე-დ-ან გამოუშვებს")", შდრ. ქართ. ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა;

4. **აშხჷ წა̈მისგა** (ბქ.), **ეშხუ წამისა** (ჩოლ.) „უცებ, ელვის უსწრაფესად", შდრ. ქართ. ერთ წამში

აშხჷ წა̈მისგა ჩიგჷაშ ბიფხდ ა̈გნე (ბქ.) „უცებ ყველაფერს აწესრიგებს, ალაგებს („ერთ **წამ**-ში ყველაფერს ნამად ა-**დგ**-ამ-ს")";

5. **აშხჷა̈ნიშ ჰარა̈კ** „საარაკო საქმე (ზედმიწ. — ერთსკენის არაკ-ი)"

მიჩა სა̈ხ აშხჷა̈ნიშ ჰარა̈კდ ბიზ ესერ ლი[1] (ლხმ.) „შენი საქმე დიდხანს სალაპარაკო გახდებაო („მისი **სახე** ერთსკენის არაკ-ად ძლომაო არის")";

---

[1] როცა ოჯახს სასირცხვო საქმე ემართება და მამა ამ სირცხვილს ვერ გამოისყიდის, ანუ შურს ვერ იძიებს, იმ შემთხვევაში ამბობენ, ისე წყევლის აღმნიშვნელადაც გამოიყენება (იხ. იქვე).

6. **აშხჷეი ეშხუა̈შ რაგა̈დ ი მერმა⌜შ⌝ჟი მერმეა̈შ** „ხან ერთის თქმა||ლაპარაკი და ხან მეორისა (ზედმიწ. — ერთზე ერთის ლაპარაკი და მე-ორ-ის-ზე — მე-ორ-ის⌜ა⌝“)“

მანგჷემოშ ოცხირ ამიშ, აშხჷეი აშხჷ რაგდი ი მერმა⌜შ⌝ჟი — მერმა (ბქ.) „ვერაფერი ვერ გავიგე ამისი, ხან ერთს იძახის, ხან მეორეს („ვერა საქმე ვერ გავიგე ამისი, ერთზე ერთ⌜ს⌝ ლაპარაკობს და მე-ორ-ის-ზე — მე-ორ-ე-ს“)“;

7. **აშხჷშეშხუა̈შ ლიქა̈დ** „ერთადერთხელ შეშლა (ზედმიწ. — ერთით ერთის შეცდენა)“

აშხჷშ ეშხუ ლემქად ი ეჯიჲ დემე ლამპა̈ტიჷეხ (ბქ.) „ერთადერთხელ წამომცდა||შემეშალა და ისიც არ მაპატიეს („ერთით ერთი შემეშალა და ისიც არ მ-ა-პატი-ე-ს“)“.

აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამში რიცხვითი სახელი ერთი განმეორებულია მხოლობითის ცნების გასაძლიერებლად, მკაფიოდ აღსანიშნავად იშვიათობისა.

8. **ეშხუ ფიცხიშ ლიღნე** „არანაირი ხმაური, ჩუმად, უხმოდ ყოფნა ან კეთება საქმისა (ზედმიწ. — ერთი ფაჩუნის გა-ღ-ებ-ა)“

ეშხუ ფიცხს დემის ხა̈ღნე, ეჯჟი ა̈სყი გჷეშს (ბქ.) „ჩუმად, უხმაუროდ, ყოველგვარი ხმაურისა და წუწუნის გარეშე აკეთებს (რაიმე) საქმეს („ერთ ფაჩუნს არ გამოსცემს, ისზე აკეთებს საქმეს“)“.

მართალია, აქ წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი რაოდენობითი რიცხვითი სახელის გარეშეც ფიქსირდება სვანურში (მაგ., **ფიცხიშ ლიღნე**), მაგრამ ნათქვამის მეტი ექსპრესიულობისათვის ხშირად სწორედ რიცხვით სახელს **ეშხუ**'ს იყენებენ.

9. **ეშხუ ფიცხი̄ლ** „მომცრო, პატარა, ნამცეცი (ზედმიწ. — ერთი ბეწო)“

ეშხუ ფიცხი̄ლ მა̈მ მიწჷა (ჩოლ.) „ერთი ნამცეცი არ მინახავს („ერთი ნამცეცუკა არ მინახავს“)“;

10. **ეშხუ ამბა̈ჷიშ ლისყი** „შავი დღის დაყენება, გალანძღვა, დატუქსვა (ზედმიწ. — ერთი ამბავ-ის კეთება)“, შდრ. ქართ. ერთი ყოფა||ამბავი დააწია

მასწავლებელდ ეშხუ ამბა̈ჷ ოხსყე ბოფშა̈რს (ბქ.) „მასწავლებელმა შავი დღე აყარა ბავშვებს, დატუქსა, გაუბრაზდა („მასწავლებელ-მა ერთი ამბავ-ი გაუკეთა ბავშვ-ებ-ს“)“;

11. **ეშხუ ამბაჷი ლიყრინე** „შავი დღის დაყენება, გალანძღვა, დატუქსვა (ზედმიწ. — ერთი ამბავ-ის დამართება)“, შდრ. ქართ. ერთი ყოფა||ამბავი დააწია

ეშხუ ამბაჷ ხაყერ ბოფშს (ჩოლ.) „შავი დღე აყარა ბავშვს („ერთი ამბავ-ი დამართა ბავშვ-ს“);

12. **აშხჷ რა̈კისგა** „უცებ, თვალსა და ხელს შუა (ზედმიწ. — ერთ წამში“)“

აშხჷ რა̈კისგა მა̈გ სა̈ნდელდ ადგენე (ბქ.) „უცებ, ელვისუსწრაფესად დაალაგა ყველაფერი, მოაწესრიგა („ერთ წამში ყველაფერი კრიალად დააყენა“)“;

13. **ეშხუ რაკისა ლითჷეფ** „უცებ გაქრობა, დაკარგვა (ზედმიწ. — ერთ წამში დაკარგვა)“

ეშხუ რაკისა ათჷაფ ბოფშ (ჩოლ.) „უცებ გაქრა, დაიკარგა ბავშვი („ერთ წამში დაიკარგა ბავშვ-ი“);

14. **ეშხუ ზექხენქა ლგტაბე||ლგშანთე** „ერთნაირები, მსგავსები (ზედმიწ. — ერთი შეშიდანგა გამოთლილი||გამოჩორკნილი)“

ხოშა ი ხოხრა მა̈გ ეშხუ ზექხენქა ლგტაბე||ლგშანთე ლიხ (ბქ.) „ყველანი ერთნაირები არიან („დიდი და პატარა ყველა ერთი შეშიდანგა გამოთლილი||გამოჩორკნილი არიან“)“;

15. **ეშხუთეჲსგა ლიტეხ** „შემცირება, სიკვდილიანობის შედეგად გადაშენება (ზედმიწ. — ერთ⌜ის⌝კენში დაბრუნება)“

მიშგუ ცოდშჷ მა̈გ ეშხუთეჲსგ'ოლჷ აჯტეხა! (ბქ.) „ჩემი ცოდვით ამოგიწყდეს ⌜შვილები, და-ძმები...⌝[1] („ჩემი ცოდვ-ით ყველა ერთ⌜ის⌝კენშიმც დაგბრუნებია!“)!“

16. **ეშხუ სი ი მერმე მი** (ბქ.) „ერთი ჩვენა ვართ რა კარგი (ზედმიწ. — ერთი შენ და მე-ორ-ე მე)“

[1] ითქმის ისეთ ადამიანზე, რომელიც ისეთ რამეს აკეთებს და ამბობს, რაც არავის არ გაუკეთებია და სმენია და დიდხანს სალაპარაკო ამბად (ლეგენდად) რჩება.

ეშხუ როქ სი ხი ი მერმე მი მაჩენე, — ლაჯღაჷშ ხა̈მთქჷახ ლიქჷისგ ეჯ ამსჷალდიშდ, ესჷა თხჷიმ მაჩენამდ ხაბჷა „ერთი ჩვენა ვართ რა ყველაზე კარგები, — დაცინვით ეუბნებიან იმ ადამიანს, ვისაც თავი ყველაზე უკეთესი გონია („ერთიო შენ ხარ და მე-ორ-ე მე ყველაზე უკეთესი")";

17. **ეშხუ ცანდჹლი ლიკლჹნე** „სულ მცირედის დაკლება (ზედმიწ. — ერთი საფეხური჻" და-კლ-ებ-ა)"

დეცთეჟი ეშხუ ცანდჹლ გარ ხოკლი (ლშხ.) „ცოტა უკლია ცამდე („ცის-კენ-ზე ერთი საფეხური მხოლოდ უ-კლ-ი-ა")";

18. **ეშხუ ჰიშხ საფლა̈ჷისგა ხოგ** „მომაკვდავია, დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია (ზედმიწ. — ერთი ფეხი საფლავ-ში უ-დგ-ა-ს)", შდრ. ქართ. ცალი ფეხი სამარეში უდგას (ქართულ ცალ-ს ამ შემთხვევაში სვანურში რიცხვითი სახელი **ეშხუ** „ერთი" ენაცვლება)

შომა̈ჲშ ამიშ ამექა ლიჰედ ლა̈სჷ?! — ეშხუ ჰიშხ საფლა̈ჷისგა ხოგ (ბქ.) „რა დროს ამისი აქ ჩამოსვლა იყო?! — ცალი ფეხი სამარეში უდგას („როდისის ამისი ამაზე სვლა იყო?! — ერთი ფეხი საფლავ-ში უ-დგ-ა-ს")"

მიშგჷი დის ეშხუ ჰიშხ საფლა̈ჷისგა ხოგ (ბზ.) „დედაჩემი მომაკვდავია, ცალი ფეხი სამარეში აქვს („ჩემს დე-და-ს ერთი ფეხი საფლავ-ში უ-დგ-ა-ს")

ალეს ეშხუ ჰიშხ საფლაჷისა ხოგ (ლშხ.) „ამას ცალი ფეხი სამარეში აქვს ზანდაზმულზე ან სასიკვდილოდ განწირულზე ითქმის" („ამას ერთი ფეხი საფლავ-ში უ-დგ-ა-ს")";

19. **ეშხუ ჰიშხ ეჯაბასდჷთე ხოგ** „ცალი ფეხი სამარეში აქვს (ზედმიწ. — ერთი ფეხი იმ საიქიოსკენ უ-დგ-ა-ს)"

ეჯღა ჩუ ირი, ეშხუ ჰიშხ ეჯღა̈ჲ ეჯაბასდჷთე ხოგ (ბქ.) „ის ჯანდაბას, ცალი ფეხი მაინც სამარეში აქვს („იმიტომ ქე იქნება, ერთი ფეხი მაინც იმ საიქიოსკენ უ-დგ-ა-ს")";

20. **ეშხუ ჰიშხ ქა გარ ხოგ** „ბევრს დადის, სულ მზადაა სადმე წასასვლელად (ზედმიწ. — ერთი ფეხი მხოლოდ გარეთ უ-დგ-ა-ს")

ქორს და̈რმოშ ა̈ჩრეჷი ალ მარა, ეშხუ ჰიშხ ქა გარ ხოგ (ბქ.) „სახლში ვერავინ ვერ აჩერებს ამ კაცს, სულ მზადაა გარეთ წასასვლელად („სახლს ვერავინ ვერ ა-ჩერ-ებ-ს ამ კაცს, ერთი ფეხი მხოლოდ გარეთ უ-დგ-ა-ს")";

21. **ეშხუ ნა̈პწკულ** „ცოტა, პაწაწა, პაწაწკინტელა, ერთი ბეწო (ზედმიწ. — ერთი პაწაწკინტელა)"

ქორისგა ეშხუ ნა̈პწკულ ჯიმ ი შაქა̈რ დემე ხოზდა (ბქ.) „ოჯახში მარილისა და შაქრის ნასახი არ ჰქონდა („სახლში ერთი პაწაწკინტელა‖ბეწო მარილი და შაქარ-ი არ ე-დ-ო")";

22. **ეშხუ კამნილ** (ბქ.), **ეშხუ კამილ** (ჩოლ.) „პაწაწა, პაწაწკინტელა, დაბალი (ზედმიწ. — ერთი მტკაველა)"

ეშხუ კამნილ გარ ლი, ამიშ ალიმა̈გა?! (ბქ.) „ერთი ბეწოა, პატარაა და რამდენს შვრება?! („ერთი მტკაველა მხოლოდ არის, ამისი ეს ყველა?!")?!"

23. **ეშხუ ქჷერწილიშ ხა̈ლხ** „დიდძალი ხალხი, ბევრი", შდრ. ქართ. ერთი ქორწილის ხალხი

ჩი ლადეღ ეშხუ ქჷერწილიშ ხა̈ლხს ხეჩოხ პა̈ტიჷს (ბქ.) „ყოველდღე დიდძალ ხალხს ისტუმრებენ, პატივს სცემენ („ყოველ-დღე ერთი ქორწილ-ის ხალხ-ს უშვრებიან პატივ-ს")";

24. **ეშხუ ფატა̈ნისგა ლგრდ** (ბქ.), **ეშხუ ფატანისა ლგრდ** (ჩოლ.) „ერთად გაზრდილები (ზედმიწ. — ერთ პერანგში გაზრდილი)"

გჷიშგე გეზლირ ეშხუ ფატა̈ნისგა ლგრდ ლიხ (ბქ.) „ჩვენი შვილები ერთად არიან გაზრდილები („ჩვენი შვილები ერთ პერანგში გაზრდილი არიან")";

25. **ეშხუ თე დეცდ ხოშტკგნა ი მერმე გიმდ** „ელამია („ერთი თვალ-ი ც-ად უმაგრია‖ურჰვია და მე-ორ-ე მიწად")"

ამიშ ალიმა̈გა?! ეშხუ თე დეცდ ხოშტკგნა ი მერმე გიმდ (ბქ.) „რამდენს შვრება ეს ბრუციანი („ამისი ეს ყველა?! ერთი თვალ-ი ც-ად უმაგრია‖ურჰვია და მე-ორ-ე მიწად")?!"

26. **ეშხუ ძარუნ** „იშვიათად“, შდრ. ქართ. ერთი ორჯერ

ეშხუ ძარუნ ლახ ენჴდენიჷ, ედო ჩი ლადეღ ამხაჷ მეჴედ და̈ს ხოწჷა (ბქ.) „იშვიათად თუ მოვიდოდა, თორემ ყოველდღე აქ მოსული არავის უნახავს („ერთი-ორ-ჯერ თუ მოვიდოდა, თორემ ყოველ დღე აქეთ მოსული არავის უნახავს“)“;

27. **ეშხჷა̈დგილიშ ლიკიმბი** „ერთსა და იმავე დონეზე ყოფნა, წინსვლა-განვითარების შეწყვეტა, ერთსა და იმავეს გამეორება“, შდრ. ქართ. ერთი ადგილის ტკეპნა

სერ გჷი ახიპხ ალა̈რდ, შომად იკიმბნიხ ეშხჷა̈დგილს?! (ბქ.) „მოკლეთ გული გააწყალეს ამათმა, როდემდე იქნებიან გაჩერებული ასე უმოქმედოდ („მეტი გულ-ი გახეთქეს ამეებმა, როდემდე ტკეპნიდნენ იქნება ერთ ადგილ-ს?!“)?!“

28. **ეშხუ აჴს ი მერმე ბაჴს** (ბქ.)||**ეშჷი აჴს ი მერმე — ბაჴს** (ლხმ.) „ერთი აქაა და მეორე — იქ (ზედმიწ. — ერთი ალთას და მე-ორ-ე — ბალთას)“

ალა̈რეს დემგჷაშმოშ ა̈ცხრი მარე, ეშხუ აჴს ა̈რი ი მერმე ბაჴს (ბქ.) „ამათსას რას გაიგებს კაცი, ერთი ალთასაა და მეორე ბალთას“;

29. **ეშხუ აჴს ესერ ლგმრა̈გდინ, მერმე — ბაჴს** (ბქ.)||**ეშჷი აჴს ესერ ლგმრა̈გდინ, მერმე — ბაჴს** (ლხმ.) „უთანხმოება ადამიანებს შორის რაიმე საკითხის გადაწყვეტისას, ანუ ერთი ერთს ამბობს და მეორე სხვას“, შდრ. ქართ. ერთი ალთას იძახდა („*ნალაპარაკევა“), მეორე — ბალთას

მორჷა̈რდ ლაგას მამაგჷეშმოშ ადგენეხ ი ლგხრინე ლა̈სხჷ: ეშხუ აჴს ესერ ლგმრა̈გდინ, მერმე — ბაჴს (ბქ.) „შუამავლებმა ვერაფერი ვერ გადაწყვიტეს და გაბრაზებულები იყვნენ: ორივე სხვადასხვანაირად ლაპარაკობდნენო („**მოურავ-ებ-მა ალაგა-ს** არა საქმე ვერ **და-დგ-ე-ს** და განრისხებული იყვნენ: ერთი ახსო ნალაპარაკევა, მე-ორ-ე ბახას“)“, შდრ. ქართ. ერთი ალთას იძახდა, მეორე — ბალთას.

საკუთრივ სვანური უნდა იყოს შემდეგი გამოთქმა:

30. **ეშხუ ეშხუს ხოტიხ ი მერმე — მერმეს** „ორივე სხვადასხვანაირად მსჯელობს, ანუ ერთი ერთს იძახის და მეორე — მეორეს (ზედმიწ. — ერთი ერთს იმეორებს/უბრუნებს და მე-ორ-ე — მე-ორ-ე-ს)“

მამაგჷეშმოშ ოცხირ, ნანდიფანდ ემკიდხ, ეშხუ ეშხუს ხოტიხ ი მერმე — მერმეს (ბქ.) „ვერაფერი ვერ გავიგე, გამომაშტერეს, ერთი ერთს იძახის და მეორე — მეორეს („ვერა საქმე ვერ გავიგე, გონება ამიღეს, ერთი ერთს უბრუნებს და მე-ორ-ე — მე-ორ-ე-ს“)“;

31. **ეშხჷამბა̈ჷ ხარხ** (ბქ.), **ეშხუ ამბაჷ ხა̄რხ** (ჩოლ.) „საშინელ დღეში არიან, ჩხუბობენ, ბრაზობენ“, შდრ. ქართ. ერთი ამბავი აქვთ

ამგჷა̈რიშ მა̈ ლეჯქად, ერე ეშხჷამბა̈ჷ ხარხ?! (ბქ.) „ამისთანა რა დააშავე, რომ ასეთი ამბავი ატეხეს?! („ამ-გვარ-ის რა შეგცდა, რომ ერთი **ამბავ-ი** აქვთ?!“)?!“

32. **ეშხჷამბა̈ჷისგ'ა̈რი** „ცელქობს, ხმაურობს, ჩხუბობს“, შდრ. ქართ. ერთ ამბავშია

ალ ბეფშჷ ჰამუნღჷე ნებოზდ ეშხჷამბა̈ჷისგ'ა̈რი (ბქ.) „ეს ბავშვი დილიდან საღამომდე ცელქობს, ხმაურობს, ჩხუბობს („ეს **ბავშვ-ი** დილიდან საღამომდე ერთ **ამბავ-ში** ა-რ-ი-ს“)“;

33. **ეშხუ პირ დემეგ ხარხ** „შეთანხმებულად არ მოქმედებენ (ზედმიწ. — ერთი **პირ-ი** არა აქვთ)“

ალა̈რე მამაგჷეშ ლი ლეჯრა̈ჷ, ეშხუ პირ დემეგ ხარხ (ბქ.) „ამათი არაფერი არაა დასაჯერებელი, შეთანხმებულად არ მოქმედებენ („ამეების არა საქმე არის **და-სა-ჯერ-ებ-ელ-ი**, ერთი **პირ-ი** არა აქვთ“)“;

34. **ეშხუ ჯა̈დხენქა ნა̈ჯედ** (ბქ.)||**ეშხუ დიე ჯადხენქა ნაჯადჷ** (ჩოლ.) „ერთი დედის შვილები (ზედმიწ. — ერთი მუცლიდანგა ნავალი||ერთი **დე-დ-ი⌈ს⌉** მუცლიდანგა ნავალი)“, ანუ იგულისხმება, რომ მიუხედავად ამისა, ნათესაობა უნდა ვიცოდეთ და ერთმანეთი გვიყვარდეს.

ʿმ'ა̈გ ეშხუ ჯა̈დხენქა ნა̈ჯედ დემე ლი (ბქ.) „ყველა ერთი დედის შვილი არაა („ყველა ერთი მუცლიდანგა ნავალი არ არის“)“

მაგ ეშხუ დიე ჰადხენქა ნაჰადჷ მა̄ ლიდ (ჩოლ.) „ყველა ერთი მუცლიდან გამოსული არ ვართ („ყველა ერთი მუცლიდანგა ნავალი არ ვართ")";

35. **ეშხუ ლგტბენჵ ლილჸკე** „ნათქვამის გადათქმა, უარყოფა (ზედმიწ. — ერთი გადაფურთხებული⌈ს⌉ მო-ლოკ-ვ-ა)"

ეშხუ ლგტბენეს დჷმ ხჷილჸკე (ჩოლ.) „ერთხელ ნათქვამს არ გადავთქვამ, არ ვუარყოფ („ერთ გადაფურთხებულს არ ა-ვ-ლოკ-ავ")";

35. **ეშხჷამბა̈ჷიშ ლისყი** „საშინელი ამბის დაწევა, ალიაქოთის ატეხვა (ზედმიწ. — ერთ ამბავ-ის კეთება)"

მასწავლებელდ ეშხჷამბა̈ჷ ოხსყე ბოფშა̈რს (ბქ.) „მასწავლებელმა საშინელი ამბავი დააწია ბავშვებს („მასწავლებელ-მა ერთი ამბავ-ი გაუკეთა ბავშვ-ებ-ს")";

36. **ეშხუ დაგრაშ ლილიესგ** „შეშინება, შეძრწუნება, მწარედ განცდა რისამე", შდრ. ქართ. ერთი სიცოცხლის‖სიკვდილის გათავება

მა̈ მიშგუ ცოდ ჯადდა?! ეშხუ დაგრა ქ'ოთლი (ბქ.) „რას მერჩოდი?! საშინელ დღეში ჩავვარდი („რა ჩემი ცოდვ-ა გქონდა?! ერთი სიკვდილი გა-ვ-ა-თავ-ე")";

37. **ეშხუ დაგრა̄ ჩჷ ლიჰდე** „გათავება, საშინელ დღეში ჩავარდნა (ზედმიწ. — ერთი სიკვდილი⌈ს⌉ ჩამოტანა)"

ეშხუ დაგრა ჩ'ოთიჰდ‖ოთიჰ (ჩოლ.) „გავთავდი, ლამის მოვკვდი („ერთი სიკვდილი ჩავიყვანე")";

38. **ეშხუ ნა̈პუდ ლირენე** „1. უცებ გათავება (საჭმლის), 2. ჩაყლაპვა, დაბრდღვნა, მორევა (ზედმიწ. — ერთ ლუკმად *ყოფნება)"

ალის ალი ეშხუ ნა̈პუდ დეშ ხარ (ბქ.) „ამას ეს ერთ ლუკმად არ ეყოფა („ამას ეს ერთ ლუკმად ვერ აქვს")

იმ ხეპულტიკალ ალის?! ეშხუ ნა̈პუდ დეშ ხარ სი (ბქ.)„რას ეჰიმები ამას?! შენ ჩაგყლაპავს, მოგერევა, დაგამტვრევს („რას ეჰიმები ამას?! ერთ ლუკმად ვერ აქვს შენ");

39. **ეშხუ ხულდ დეშ ხარ** „ცოტაა (იგულისხმება სასმელი), არ ეყოფა (ზედმიწ. — ერთ ყლუპად ვერ აქვს)"

ალი გარ მა̈ ლი?! ალის ალი ეშხუ ხულდ დეშ ხარ (ბქ.) „ეს რა არის?! ეს ამას არ ეყოფა („ეს მხოლოდ რა არის?! ამას ეს ერთ ყლუპად ვერ აქვს")", შდრ. ქართ. ერთ ყლაპად არ ეყოფა;

40. **ეშხუ ძგგლდა̈შ ლიკლინე** „იოტის ოდენის დაკლება (ზედმიწ. — ერთი ბეწუკელას და-კლ-ებ-ა)"

ეშხუ ძგგლდ გარ ემკა̈ლიჷ, ხჲა̈რ კოჯქ'ოშყჷედ (ბქ.) „ერთი ბეწოლა(‖იოტის ოდენაღა) დამაკლდა, კინაღამ კლდეზე გადავვარდი („ერთი ბეწუკელა მხოლოდ და-მ-ა-კლ-დ-ა, ლამის კლდეზე გადავვარდი")";

41. **ეშხუ ფაკნითეჲსგა ლიდარალ** „მეგობრობა, კარგი ურთიერთობა", შდრ. ქართ. ერთ ჯამში ჰამა

მა̈ ხოჩა ეშხუ ფაკნითეჲსგა ლიდარალს?! (ბქ.) „რა სჯობია მეგობრობას‖კარგ ურთიერთობას?! („რა სჯობს ერთი ჯამ⌈ის⌉კენში ჰამას?!")?!"

42. **ეშხუ დიემ ლუსიშ ლიჩიგჷ** „ერთად გაზრდა, ძუძუმტეობა (ზედმიწ. — ერთი დე-დ-ის ძუძუს წოვა)"

ალა̈რს ეშხუ დიემ ლუსჷ ხოჩგჷახ (ბქ.) „ესენი ძუძუმტეები არიან („ერთი დე-დ-ის ძუძუ უწოვიათ")";

43. **ეშხუ ფხულე დემეგ მატკლებ** „არაფერი მენანება ამ საქმისთვის (ზედმიწ. — ერთი თითი არ მენანება)";

ალ გჷეშ ჟ'ენსყი, ეჯღა ეშხუ ფხულე დემეგ მატკლებ (ბქ.) „ამ საქმისათვის არაფერი მენანება („ეს საქმე გაკეთდება, იმისთვის ერთი თითი არ მენანება")"

44. **ეშხუ||აშხუ რა̈კისგა** „უცებ, ელვის უსწრაფესად, თვალის დახამხამებაში (ზედმიწ. — ერთ წამში)“

ეშხუ||აშხუ რა̈კისგა შჲა̈რისგა ლამკიჰე (ბქ.) „თვალის დახამხამებაში ამაცალა||მომპარა („ერთ წამში ხელებში დამიკარგა||გამიქრო“)“;

45. **ეშხუ გაროლჲ ეჲრუკჲნა||ეჯრუკჲნა||ეჲჯგჯგნა||ეჲფგჯგნა!** „მოკვდი უცაბედად, არ გაიხარო (ზედმიწ. — ერთი მხოლოდმცა გაგიკანკალებია!“)!“

ეშხუ გაროლჲ ეჲრუკჲნა||ეჯრუკჲნა||ეჲჯგჯგნა||ეჲფგჯგნა, მა̈ ხოლა ხი! (ბქ.) „რა ცუდი ხარ, ღმერთმა დაგწყევლოს||მოგსპოს||გაგანადგუროს („ერთი მხოლოდმცა გაგიკანკალებია, რა ცუდი ხარ!“)!“

46. **ეშხუ გაროლჲ ეჲსგიდრალა!** „მოკვდი უცაბედად, არ გაიხარო (ზედმიწ. — ერთი მხოლოდმცა მიგიხედ-მოგიხედია!)!“

იმ მისგდი თეუტკუნდ?! ეშხუ გაროლჲ ეჲსგიდრალა! (ბქ.) „რას მიყურებ ასე დაჟინებით?! არ გეღირსოს მეტი ჩემი ყურება! („რას მიყურებ **თვალ**-უხამხამებლად?! ერთი მხოლოდმცა მიგიხედ-მოგიხედია!“)!“

47. **ეშხუ ლადღიშ ლეზნე** „მზის ამოსვლიდან მზის გადახრამდე გასავლელი მანძილი (ზედმიწ. — ერთი **დღ**-ის სავალი)“, შდრ. ქართ. სამხრამდის სავალი

ეშხუ ლადღიშ ლეზნეს ეშხუ ნაგზი ახფასეხ (ბქ.) „ერთი დღის სავალი ერთ კვირად აქციეს („ერთი **დღ**-ის სავალს ერთი კვირა მოაყოლეს“)“;

48. **ეშხუ ლადეღ ჩი ბაცს ხარ** „ყველას მიეზღვება, უბედურება ყველასთვისაა, ოდესმე ყველას გადაეხდება (ზედმიწ. — ერთი **დღე** ყველა⌜ს⌝ შესაძლებელი აქვს)“

ალ ნაჲბედჲრი მიშგოვდ გარ დემე ლი, ეშხუ ლადეღ ჩი ბაცს ხარ (ბქ.) „ეს უბედურება მხოლოდ ჩემთვის არაა, ოდესმე ყველას გადაეხდება||ეწვევა უბედურება („ეს ნა-უ-**ბედ**-ურ-ებ-ი ჩემად მხოლოდ არ არის, ერთი **დღე** ყველა⌜ს⌝ შესაძლებელი აქვს“)“;

49. **ეშხუ ლადეღ ჩი ქა ხოჲდენი** „ყველას მიეზღვება, უბედურება ყველასთვისაა, ოდესმე ყველას გადაეხდება||მიეზღვება (ზედმიწ. — ერთი **დღე** ყველა⌜ს⌝ გამოუვა)“

ლიღლი ლი გარჯ, ედო ეშხუ ლადეღ ჩი ქა ხოჲდენი (ბქ.) „ლოდინია ძნელი, თორემ ოდესმე ყველას მიეზღვება („ლოდინი არის **გარჯა**, თორემ — ერთი **დღე** ყველა⌜ს⌝ გამოუვა“)“;

50. **ეშხუ დრეჲისგა̈ ლირდე** (ბქ.), **ეშხუ დჲრეისა ლირდე** (ჩოლ.) „ერთ გარემოებაში||ყოფაში ყოფნა (ზედმიწ. — ერთ **დრო**-ში ყოფნა)“

ლა̈დი მა̈გ ეშხუ დრეჲისგა ლა̈რიდ, ნახუნცერ ხოჩამდ და̈რ ა̈რი (ბქ.) „დღეს ყველანი ცუდ დღეში ვართ, განსაკუთრებით კარგად არავინ არის („**დღე**-ს ყველა ერთ **დრო**-ში ვიმყოფებით“);

51. **ეშხუ მეჲრაშ ქა ლიჲდე** „ყველაფრის გაკეთება, თავის არ დაზოგვა რაღაც საქმის გამო, ან ვიღაცის ბედნიერებისათვის (ზედმიწ. — ერთი მკლავის გამოტანა)“

ეშხუ მეჲრას ქა ჲჲიდე ნათოჷ ხჲირი, ეჯღა (ბქ.) „იმისათვის, რომ ნასწავლი ვიყო, არფერი არ დამენანება||მკლავსაც კი არ დავიშურებ („ერთ მკლავს გამოვიტან ნასწავლი ⌜რომ⌝ ვიქნები, იმისათვის“);

52. **ეშხუა̈შ ათა̈სდ ლიგნე** „ათასად ქცევა, გამრავლება (ზედმიწ. — **ერთ**-ის **ათას**-ად და-**დგ**-მ-ა)“

ეშხუ ათა̈სდოლჲ აჯგენ⌜ენ⌝ახ![1] (ბქ.) „გაგიმრავლდეთ, ათასად გექცეთ („ერთი **ათას**-ად-მცა და-გ-**დგ**-ომ-ია-თ!“)!“

53. **ეშხუა̈შ აშირდ ლიგნე** „ასად ქცევა, გამრავლება (ზედმიწ. — **ერთ**-ის **ას**-ად და-**დგ**-მ-ა)“

ეშხუ აშირდოლჲ აჯგენ⌜ენ⌝ახ! (ბქ.) „გაგიმრავლდეთ, ასად გექცეთ („ერთი **ას**-ად-მცა და-გ-**დგ**-ომ-ი-ა-თ!“)!“

---

[1] მაგალითად, თაფლს რომ გამოგიგზავნიან, მაშინ იციან ასეთი დალოცვა (ანუ ერთი გყავს და ათასად გექცესო!).

54. **ეშხუს ჟი ხიტყჷფუნი ი მერმა — ჩჷ!** „სამინელ დღეში ჩავარდები, გაწამდები, დაიტანჯები (ზედმიწ. — ერთს ზე ირტყამდე იქნება და მე-ორ-ე-ს — ქვე!)!“

ეჯგჷäრ დრეჷ ეჯპედნი, ერე ეშხუს ჟი ხიტყჷფუნი ი მერმა — ჩჷ! (ბქ.) „ისეთ დღეში ჩავარდები, რომ ჰკუიდან გადახვალ („იმ-გვარ-ი დრო მოგივა, რომ ერთს ზე ირტყამდე იქნება და მე-ორ-ე-ს — ქვე!“)! “

55. **ეშხუ თე ეჩხაჷ ხარ** (ბქ.) „1. სულ ეხმარება, ყურადღებას აქცევს, მეტისმეტად ზრუნავს, 2. თვალს ვერ აშორებს, 3. სულ გაქცევაზე უჭირავს თვალი (ზედმიწ. — ერთი **თვალ-ი** იქითკენ აქვს)“

ეშხუ თე ჩიგარ ეჩხაჷ ხარ (ბქ.) „სულ ეხმარება‖ზრუნავს‖ყურადღებას აქცევს („ერთი **თვალ-ი** ყოველთვის იქითკენ აქვს“)

ალი აშ მიხალდა, ეშხუ თე ჷიწყჷდ ეჩხაჷ ხადდა (ბქ.) „ეს ასეც ვიცოდი, ცალი თვალი მუდამ იმისკენ ეჭირა („ეს ა-ს-ე მიცოდი, ერთი თვალ-ი უ-**წყვეტ**-ად იქით ჰქონდა“)“, შდრ. ქართ. ცალი თვალი (რამეზე) უჭირავს

თე ლახხჷეტდ, ედო ეშხუ თე ყორქა ხუდჷა (ბქ.) „ყურადღება მიაქციეთ, თორემ სულ გაქცევაზე უჭირავს თვალი, ცალი თვალი გარეთ უჭირავს („თვალ-ი მიაპყარით, თორემ ერთი **თვალ-ი** კარში აქვს“)“;

56. **ეშხუ სიტყჷას დემის აცჷდე** „ენატანიაა, პირში სიტყვას ვერ აჩერებს („ერთ **სიტყვა-ს** არ აფუჭებს, *ა-ცუდ-ებ-ს“)

ამიშცახäნ დემემ ლიქჷისგ იმäრგ, ეშხუ სიტყჷას დემის აცჷდე (ბქ.) „ამასთან არაფრის თქმა შეიძლება, პირში სიტყვას ვერ აჩერებს („ამასთან ერთად არას თქმა ი-ვარგ-ებ-ს, ერთ **სიტყვა-ს** არ *ა-ცუდ-ებ-ს“)“;

57. **ეშხუ ტაფაძსგა ლიხგრკäჷი** „ყველას ერთი საზომით გაზომვა, ყველას ერთნაირად მიჩნევა, ყველასთვის ერთნაირი ღირსება-ნაკლოვანების მიკუთვნება (ზედმიწ. — ერთ **ტაფა**-ში მო-**ხრაკ**-ვ-ა)“

ჩიმი ეშხუ ტაფაძსგა ლიხგრკäჷი დემეგ იმäრგ (ბქ.) „ყველას ერთი საზომით გაზომვა არ შეიძლება („ყველას ერთ **ტაფა**-ში მო-**ხრაკ**-ვ-ა არ ი-ვარგ-ებ-ს“)“;

58. **ეშხუ ტაფაძსგა ლგხგრკაჷე** „ერთნაირები („ერთ **ტაფა**-ში მო-**ხრაკ**-ულ-ი“)

ალäრ მäგ ეშხუ ტაფაძსგა ლგხგრკაჷე ლიხ (ბქ.) „ესენი ყველანი ერთნაირები არიან („ესენი ყველა ერთ **ტაფა**-ში მო-**ხრაკ**-ულ-ი არიან“);

59. **ეშხუ ტაფა̄ძსა ლიტყბი** „ყველას ერთნაირად მიჩნევა, ერთი საზომით გაზომვა (ზედმიწ. — ერთ **ტაფა**-ში შეწვა)“

ჩის ეშხუ ტაფა̄ძსა ატყბი (ჩოლ.) „ყველას ერთი საზომით ზომავს („ყველას ერთ **ტაფა**-ში წვავს“)“;

60. **ეშხუ ტაფაძსკა ლიშხი** „ერთ ბედქვეშ ყოფნა (ზედმიწ. — ერთ **ტაფა**-ში დაწვა)“

მäგ ეშხუ ტაფაძსკა იშხიხ (ლნტ.) „ყველანი ცუდ დღეში არიან („ყველა ერთ **ტაფა**-ში იწვიან“)“;

61. **ეშხუ დრეჷისგა ლირდე** „საერთო ყოფა (ზედმიწ. — ერთ **დრო**-ში ყოფნა)“

მäგ ეშხუ დრეჷისგა ლäრიდ (ბქ.) „ყველანი ვიტანჯებით, ყველანი ერთ დღეში ვართ („ყველა ერთ **დრო**-ში ვიმყოფებით“);

62. **ეშხუ ამიშ გარ მგსგდი** „მხოლოდ ეს მყავს („ერთი ამისი მხოლოდ შემყურე“)

მä ჩჷემნე? ეშხუ ამიშ გარ მგსგდი ხჷი (ბქ.) „რა ვქნა? მხოლოდ ამისი შემყურე ვარ‖მხოლოდ ეს მყავს („რა ვქნა? ერთი ამისი მხოლოდ შემყურე ვარ“)“;

63. **სი ეშხუს ეხსუპნი, ექად მი ეშდს ჟი ხჷისპუნი** „სანამ შენ გაინძრევი, მანამდე მე რას არ ვიზამ? (ზედმიწ. — შენ ერთს მოტრიალდები, მაშინად მე **ათ-ს** "შემო"ვტრიალდები)“

იმ მემქგრალ?! სი ეშხუს ჟ'ეხსუპნი, ექად მი ეშდს ჟი ხჷისპუნი (ბქ.)„რას მეჯიბრები?! სანამ შენ გაინძრევი, მანამდე მე რას არ ვიზამ? („რას მ-ე-**მუქრ**-ებ-ი?! შენ ერთს შემოტრიალდები, მაშინად მე **ათ-ს** "შემო"ვტრიალდები“)“;

64. **ეშხუ შდიმისგა სგა ლიფშუ̈დე ი მერმაქა ქა ლიფშუ̈დე** „ყურადღების მიუქცევლობა (ზედმიწ. — ერთ ყურში შეშვება და მე-ორ-ე-ში გაშვება)"

მიშგუ ნა̈ქუ̈ ეშხუ შდიმისგა სგ'აფიშუ̈დ, მერმაქა ქ'ანფიშუ̈დ (ბქ.) „ჩემი ნათქვამი ყურად არ იღო, არ მოისმინა" („ჩემი ნა-თქ-ვ-ამ-ი ერთ ყურში შეუშვა, მე-ორ-ე-ში გამოუშვა")", შდრ. ქართ. ცალ ყურში შეუშვა, მეორეში გამოუშვა;

65. **ეშხუ ტუ̈ეტი ჰარჰჟი ლილფა̈რი, მე̄რბემი ტრაკჟი** „ყურადღების არ მიქცევა, გაჩუმება (ზედმიწ. — ერთი ხელის ხახა-ზე და-ფარ-ება, მე-ორ-ი„ს" ტრაკ-ზე)"

ეჰკაჲ დუ̈რეი ლოქ ა̀ნჰად, ეშხუ ტუ̈ეტ ლოქ ჰარჰჟი ხეკუ̈ეს ესლაფრა, მე̄რბე ტრაკჟი (ჩოლ.) „ისეთი დრო მოვიდა, ერთი ხელი პირზე უნდა აიფაროო, მეორე უკანალზე („ის-ყალიბ-ი დრო-ო მოვიდა, ერთი ხელი ხახა-ზე უნდა და-ი-ფარ-ო, მე-ორ-ე ტრაკ-ზე")";

66. **ეშხუ ნომა̈უ̈ ა̈მსედე̄ლიხ!** „ამომწყდარან, განადგურებულან (ზედმიწ. — ერთი ნუ-არ-მცა დარჩენილან!)!"

ეშხუ როქ ნომა̈უ̈ ა̈მსედე̄ლიხ! (ბზ.) „დედაბუდიანად ამოწყდით და განადგურდითო („ერთიო ნუ-არ-მცა დარჩენილან!")!"

67. **ლეთ ი ლადეღ ე̈შხუ ხარ** „დღე და ღამე აქვს გასწორებული (ზედმიწ. — ღამე და დღე ერთი აქვს)"

ალეს ლეთ ი ლადეღ ეშხუ ხარ (ლნტ.) „ამას დღე და ღამე აქვს გასწორებული („ამას ღამე და დღე ერთი აქვს")";

68. **ეშუ̈ი გუ̈იმი ლიდისგ** „ყოველთვის ერთ ხასიათზე ყოფნა (ზედმიწ. — ერთი გულ-ის დ-ებ-ა)"

ეჯჲა̈რს ეში ეშუ̈ი გარ გუ̈ი ხა̈დენახ (ბქ. (ლხმ.), სვან. ქრესტ., 1978, 188:38-39) „ისინი მაინც სულ ერთ ხასიათზე ყოფილან („იმეებს მაინც ერთი მხოლოდ გულ-ი ნ-ა-დ-ებ-ა-თ")";

69. **ეშხუ უ̈ებიში ლიკლინე** „სიკვდილამდე მცირედი დროის დარჩენა (ზედმიწ. — ერთი პარასკევის და-კლ-ებ-ა)", მომაკვდავზე ან ძალიან გამხდარზე ამბობენ

ალეს ეშხუ უ̈ებიშ გარ ხოკლი (ლნტ.) „ამისი დღეები დათვლილია („ამას ერთი პარასკევი მხოლოდ უ-კლ-ი-ა")", შდრ. ქართ. ერთი-ორი პარასკევი აქვს დარჩენილი;

70. **ეშხუ მამფუაჲსკა ლიშდე** „ერთ ბედქვეშ ყოფნა (ზედმიწ. — ერთ მღუღარეში ყრა)"

ეშხუ მამფუაჲსკა ლგშიდდ მაგ (ლნტ.) „ყველანი შავ დღეში ვართ („ერთ მღუღარეში ვყრივართ ყველა")";

71. **ეშხუ̈ი კაკა̈ლ მარე** „მარტოკაცი, მარტოსული (ზედმიწ. — ერთი კაკალ-ი კაცი)"

ეშხუ̈ი კაკა̈ლ მარე გარ ა̈რი ქორლისგა ი მა̈ ლემბა̈ჟ, ერე დემემ გუ̈ი ხედი? (ბქ.) „მარტოხელაა და რა გასაკვირია, რომ არაფრის ხალისი არ აქვს? („ერთი კაკალ-ი კაცი მხოლოდ ა-რ-ი-ს სახლში და რა გასაკვირი, რომ არას გულ-ი ე-დ-ებ-ა?")?"

72. **ჰაცახოქა ეშხუ ბა̈ჯი ლიკლინე** „დაღუპვის პირას მისული (ზედმიწ. — დაღუპვამდე ერთი ნაბიჯი„ს" და-კლ-ებ-ა)"

ჰაცახოქა ეშხუ ბა̈ჯ გარ ხოკლი ალეს (ლნტ.) „დაღუპვამდე არაფერი უკლია („დაღუპვამდე ერთი ნაბიჯი მხოლოდ უ-კლ-ი-ა ამას")";

73. **ეშხუ ფაუ̈ა̈შ||ფაუა̈შ ლიბერგ** „ერთობა, ერთად დარაზმვა საერთო საქმისთვის (ზედმიწ. — ერთი ფაენ-ის ხელის მოკიდება")

აშხუ̈ ფაუსოლუ̈ ლა̈ხბურგანხ მა̈გ (ბქ.) „ყველანი ერთი დროშის ქვეშ დავირაზმოთო, ერთობა დავამყაროთო („ერთ ფაენ-ს-მცა ჩაკიდეს ხელი ყველა)";

74. **ეშუ̈ი აშირიშ ლაჰწონი** „ყველას მჯობი||ყველაზე უკეთესი (ზედმიწ. — ერთი ას-ის სა-წონ-ი)"

დის ლახა მერმოლულისგა ეშუ̈ი გეზალ მალატშუ̈ ქა ხოთშა ნახონსორდ, ჩიმი ლაჰწონიდ ხაბჲა ი ამჲი ტული: **ეშუ̈ი ესერ აშირიშ ლაჰწონი ლი** (ლხმ.) „როდესაც დედას რომელიმე შვილი

განსაკუთრებით უყვარს და ყველაზე უკეთესად მიაჩნია, მაშინ ასე ამბობს: ეს ყველას მჯობიაო||ყველაზე უკეთესიაო („დე-და-ს როცა მე-ორ-ე-ებ-ში ერთი შვილი სიყვარულით გამოურჩევია განსაკუთრებით, ყველას სა-წონ-ად მიაჩნია და ასე ამბობს: ერთიო ას-ის სა-წონ-ი არის")";

75. **აშხჷეი ეშხუს ხეწხი, მერმაშეი — მერმეს** „უბედურება, გაჭირვება... ყველასთვისაა (ზედმიწ. — ერთზე ერთს სჭირდება, მე-ორ-ე-ზე — მე-ორ-ე-ს)"

ჭირიმეშხე ნაჷად და̈ს ხარ, ალი აშხჷეი ეშხუს ხეწხი, მერმაშეი — მერმეს (ბქ.) „გაჭირვება/სიკვდილი/უბედურება არავის უნატრია, ეს ყველას ხვედრია („ჭირ-ი და შავი ნანატრი არავის აქვს, ეს ერთზე ერთს სჭირდება, მე-ორ-ე-ზე — მე-ორ-ე-ს")";

76. **აშჷ ფაშ მა̈ნკ** „ზოგიერთების ცუდი ჩვევა||ხასიათი||ზნე (ზედმიწ. — ერთი ფა-ს მანკ-ი)"

აშჷ ფას ხოლ'ესერ მა̈ნკ ხამგნკახ (ლხმ.) „ზოგიერთებს ცუდი ჩვეულება||ხასიათი აქვთო („ერთ ფა-ს ცუდიო მანკ-ი სჩვევიათ")";

77. **აშხჷა̈დგიჩუ ლიწსხურალ** „გაჩერება, დაგდება ერთ ადგილას (ზედმიწ. — ერთ **ადგილ-ᒥსᒣ-ქვე** წაფესვება)"

ჩუ დო ხიწსხურალ აშხჷა̈დგიჩუ?! (ბქ.) „ვერ დაეგდები ერთ ადგილას („ჩაფესვდები იქნებ ერთ **ადგილ-ᒥსᒣ-ქვე**?!")?!"

78. **ეშხუს ესყჷლეჩნე** „დააბრიხვებს, იტყვის უაზროდ რაღაცას (ზედმიწ. — ერთს დააბრიხვებს)"

ეშხუს ალი ესყჷლეჩნე სერ?! (ბქ.) „მოკლეთ ესეც იტყვის რა („ერთს ეს დააბრიხვებს მეტი")?!"

საკმაოდ ბევრია რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჲორი**'ს „ორი" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ჲორჷ შიჷშჷ||ტოტშჷ ლიჰჷდა̈ლი** „დაუნანებლად, ხელგაშლით, დაუზოგველად, გულუხვად რამის გაცემა, დარიგება, გამეტება (ზედმიწ. — **ორ-ი** ხელით გაცემა||დარიგება)"

ამიშ ნა̈წინგჷილი და̈ს ხასმა, ჩიგჷაშ ჲორჷ შიჷშჷ||ტოტშჷ აჰჷდა̈ლი (ბქ.) „ამისი სიძუნწე არავის გაუგია, ყველაფერს დაუნანებლად არიგებს||გასცემს („ამისი სიძუნწე არავის **სმ-ენ-ი-ა**, ყველა საქმეს **ორ-ი** ხელით არიგებს")";

2. **ჲორჷ შიჷშჷ||ტოტშჷ მუჰჷდა̈ლი** „დაუნანებლად, ხელგაშლით, დაუზოგველად, გულუხვად გაცემა ქონებისა (ზედმიწ. — **ორ-ი** ხელით გამცემი||დამრიგებელი)"

ჲორჷ ტოტშჷ მუჰჷდა̈ლი ზურალ ქორა̈შ ესერ მგჰაყრან ლი (ლხმ.) „ხელგაშლილი ქალი ოჯახის გამნიავებელიაო („**ორ-ი** ხელით გამცემი ქალი სახლისო დამცარიელებელი არის")";

3. **ჲორჷ ტჷეტშჷ||ტოტშჷ ლიგჷანე**! „ხელების დაშენით დატირება (ზედმიწ. — **ორ-ი** ხელით დატირება)"

ხოშა ი ხოხრა მა̈გ ჲორჷ ტჷეტშჷოლჷ||ტოტშჷოლჷ ჯიგჷანე, მა̈ ხოლა ხი! (ბქ.) „ღმერთმა დაგწყევლოს და გაგანადგუროს, რა საზიზღარი ხარ („დიდი და პატარა ყველა **ორ-ი** ხელითმცა დაგტირის, რა ცუდი ხარ!")!"

4. **ჲორჷ ტჷეტშჷ||ტოტშჷ ლეგჷანე**! „სასიკვდილე, უბადრუკი, ულირსი პატივისცემისა, გლახა, შემარცხვენელი! (ზედმიწ. — **ორ-ი** ხელით სატირალი!)!"

ჲორჷ ტჷეტშჷ||ტოტშჷ ლეგჷანადოლჷ ოლსყელი ისგჷ ხოლემ მგსხა̈თი! (ბქ.) „ღმერთმა დაწყევლოს||მოსპოს||გაანადგუროს შენი მტერი („**ორ-ი** ხელით სატირალადმცა გაკეთებულა შენი ცუდის მომქმედი!")!"

5. **ჲორჷ ტჷეტშჷ||ტოტშჷ ხასტგნა** „სავსებით დაპატრონებულია, დაუფლებულია, თავისად თვლის, ენანება (ზედმიწ. — **ორ-ი** ხელით *აბღაუჭია)", შდრ. ქართ. ორივე ხელითაა ჩაბღაუჭებული

ალი ჩიგჷაშ ჲორჷ ტჷეტშჷ||ტოტშჷ ხასტგნა, ჲა̈ს იმ ლახნების?! (ბქ.) „ეს ყველაფერს ებღაუჭება||თავისად თვლის და ვის რას დაანებებს?! („ეს ყველა საქმეს **ორ-ი** ხელით *აბღაუჭია, ვის რას **მ-ი-ა-ნებ-ე-ბ-ს**?!")?!"

6. **ჲარშჷ ჲორი** „მხოლოდ ორი, ორზე მეტი არა (ზედმიწ. — **ორ**-ით **ორ**-ი)“, შდრ. ქართ. ორიოდე

ჲარშჷ ჲორი ოთლიდ ლემთეხ, ეჩგნქა მა̈ მიწჷა ალა̈რხენქა? (ბქ.) „ორიოდე ბალიში მიწილადეს, იმის გარდა რა მერგო ამათგან („**ორ**-ით **ორ**-ი ბალიშუკა მიწილადეს, იმის გარდა რა მინახავს ამეებისგან?“)?“

7. **ჲარჷდ ლიქჷეც** „1. ერთდროულად ორი საქმის გაკეთება “, შდრ. ქართ. ორად ხომ არ გავიჭრები? 2. წყევლ.: გახეთქვა, უბედურების დამართვა (ზედმიწ. — **ორ**-ად ჭრა)“

ლა̈ჲდ ჲარჷდ დეშ ქჷეცნი, იმღადო ჯესმი?! (ბქ.) „ამდენს ვერ შევძლებ, რატომ არ გესმის („მთლად **ორ**-ად ვერ გავიჭრები, რისთვის არ გ-ე-**სმ**-ი-ს?!“)?!“

ჲარჷდოლჷ ომქჷეცეხი, მა̈ ხოლა ხი! (ბქ.) „შე გასახეთქო‖სასიკვდილევ, რა საზიზღარი ხარ („**ორ**-ად-მცა გაჭრილხარ, რა ცუდი **ხ**-არ!“)!“

8. **ჲარჷდ ლექჷცჲაქ** „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. — **ორ**-ად გასაჭრელი)“

იმღ'ადდაჷა̈შ ალი, ჲარჷდ ლექჷცჲაქ სი?! (ბქ.) „ეს რატომ გააფუჭე, შე გასახეთქო‖სასიკვდილევ („რისთვის და-ა-შავ-ე ეს, **ორ**-ად გასაჭრელო შენა?!“)?!“

9. **ჲარ დეცნესკა ლირდე** (ლნტ.) „გაუგერობა??? (ზედმიწ. — **ორ** ცა-ს შუა ყოფნა)“

10. **ჲორი ეჯიცა̈ლ ჩუ ხაშდხჷა** „ეშმაკია, გაიძვერაა, მლიქვნელია (ზედმიწ. — **ორ**-ი ის-ცალ-ი ქვე მარხია)“;

მა̈ ჟი წჷა ალი, ჲორი ეჯიცა̈ლ ჩუ ხაშდხჷა (ბქ.) „ეს ეშმაკია, გაიძვერაა, მლიქვნელია („რაც ზე ჩანს ეს, **ორ**-ი ის-ცალ-ი ქვე მარხია“)

11. **ჲერბი ჷებიში ლიკლინე** „სიკვდილამდე მცირედი დროის დარჩენა (ზედმიწ. — ერთი პარასკევის და-კლ-ებ-ა)“, მომაკვდავზე ან ძალიან გამხდარზე ამბობენ.

ალეს ჲერბი ჷებიშ გარ ხოკლი (ლნტ.) „ამისი დღეები დათვლილია („ამას **ორ**-ი პარასკევი მხოლოდ უ-კლ-ი-ა“)“, შდრ. ქართ. ერთი-ორი პარასკევი აქვს დარჩენილი;

12. **ჲორი დემეგ იზელალ ამგჷა̈რ** (ბქ.) „ტოლი არა ჰყავს, იმისი სადარი იშვიათია („**ორ**-ი არ დადის ამ-გვარ-ი)“, შდრ. ქართ. ორიც არ დადის ამისთანა

ალის ხარგა̈დიდა სგა̈?! ცადაქჷეყანაჷი ჲორი დემეგ იზელალ ამგჷა̈რ (ბქ.) „ამას როგორ ედრებით თქვენ?! დედამიწის ზურგზე ამისთანა არავინ დადის („ამას ელაპარაკებით თქვენ?! ცა-ს-ა და ქვეყანა-ზე **ორ**-ი არ დადის ამ-გვარ-ი“)“;

13. **ჲორი ლადღიშ ლისედ** „მალე სიკვდილი (ზედმიწ. — **ორ**-ი **დღ**-ის დარჩენა)“

ათხ'ეჯლა̈ჲ ლახგჷაჷედ ი ნერჷა̈რს ნომ ხოჟჷმედ! ჲორი ლადღიშ ლირდე გარ ხასიდ (ბქ.) „ახლა მაინც შეეშვით და ნერვებს ნუ უშლით! ბევრი დრო არ დარჩა‖მალე მოკვდება („ახლა მაინც დააყენეთ და **ნერვ**-ებ-ს **ნუ** უშლით! **ორ**-ი **დღ**-ის ყოფა მხოლოდ ⌜და⌝რჩენია)“;

14. **ჲორი სიტყჷაშ ლისხა̈თი** „სათქმელის ვერ თქმა ან უცოდინრობისგან, ან სიმორცხვისგან (ზედმიწ. — **ორ**-ი **სიტყვ**-ის მოხერხება)“

ჲორი სიტყჷას დეშ ასხა̈თი ი სერ მა̈ აზრ ხუღჷა ამიშცახა̈ნ რაგა̈დს? (ბქ.) „1. ჩუმია, უწყინარია, მორცხვია, 2. გაუნათლებელია, უვიცია („**ორ სიტყვა**-ს ვერ ახერხებს და მეტი რა **აზრ**-ი აქვს ამასთან ერთად ლაპარაკს?“)?“

15. **ჲორი თხჷიმ მამა ხელჯიი?!** „სად წავა, რისი იმედი აქვს (ზედმიწ. — **ორ**-ი თავი არ ედგას იქნება?!)?!“

იმუგ ემჩედნი, ჲორი თხჷიმ მამა ხელჯიი?! (ბქ.) „სად წამივა, რისი იმედი აქვს?! („სანამდე გამექცევა, **ორ**-ი თავი არ ედგას იქნება?!“)?!“

16. **ჲორი ლიცნე̄სგა ლიგნე** (ბზ.)‖**ჲე̄რი ლიცინე̄სკა ლიგნე** (ჩოლ.) „უსაშველოდ ყოფნა, გაჭირვება, საფრთხე“, შდრ. ქართ. ორ წყალშუა (დგომა ან ყოფნა)

ჲორი ლიცნე̄სგა ხუგ (ბზ.) „საშინელ დღეში ვარ, რა ვქნა არ ვიცი („**ორ** წყალს შუა ვ-დგ-ავ-არ“)“

17. **ჲორი ლემესგუშხჳარნენსგა ლიგნე** (ბზ.) „უსაშველოდ ყოფნა, გაჭირვება, საფრთხე“, შდრ. ქართ. ორ ცეცხლშუა (დგომა ან ყოფნა)

ჲო̄რუ ლემესგუშხჳა̈რნე̄სგა ხუგ (ბზ.) „საშინელ დღეში ვარ, რა ვქნა არ ვიცი („**ორ** ცეცხლ ერთმანეთ'ს' შუა ვ-დგ-ავ-არ“)“;

18. **ჲარჳ მარათექა ლიჰედ** „სვანური დაფიცების ერთ-ერთი ვერსია, როდესაც ადამიანს თავისი სიმართლის დასამტკიცებლად შეუძლია ეკლესიაში შევიდეს და დაიფიცოს („**ორ** კაცი'ს'კენგა მოსვლა“)“

ჲარჳ მარათექა ქა იმის მიჰდენი, ეჩქას ჩუ მაჯრავა, მადეჲ დემის ჯაპა̈ტიჳე (ბქ.) „თუ დაიფიცებ ხატზე, მაშინ დავიჯერებ, თუ არა და არ გაპატიებ („**ორ** კაცი'ს'კენგა თუ გამომიხვალ, მაშინ ქე მ-ჯერ-ა, ან და არ გა-პატი-ებ“)“;

19. **ჲარჳ მარათექა მეჰადდ დემე ხაყა** „გამოუსვლელია, ტუტუცია, ხალხთან გამოსაყვანად არ ვარგა (ზედმიწ. — **ორ** კაცი'ს'კენგა მოსასვლელად არ ვარგა)“

ალი ხარგა̈დია მარა?! ჲარჳ მარათექა მეჰადდ დემე ხაყა (ბქ.) „ეს როგორ მელაპარაკება?! უვარგისია||ხალხში გამოსაჩენად არ ვარგა („ეს ელაპარაკება კაცს?! **ორ** კაცი'ს'კენგა მოსასვლელად არ ვარგა“)“;

20. **ჲე̄რუ ძუღჳა ნე̄სკა მერდე** „გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი (ზედმიწ. — **ორ ზღვა**-'ს' შუა მყოფი)“

მაჲ ჩომინე? ჲე̄რუ ძუღჳა ნე̄სკა ხჳარი (ჩოლ.) „რა ვქნა? გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფები („რა ვქნა? **ორ ზღვა**-'ს' შუა ვარ“)“;

21. **ჲორი ლუქჳინ ამსჳალდ** „ადამიანი, რომელსაც არაფერი არ კლავს, ყველაფერს უძლებს, გაიძვერაა (ზედმიწ. — **ორ**-სულიანი ადამიანი)“

ალის მ'ადგა̈რნე? ჲორი ლუქჳინ ამსჳალდ ლი (ბქ.) „ამას რა მოკლავს? უკვდავია, ვერაფერი მოკლავს („ამას რა მოკლავს? **ორ**-სულიანი ადამიანი არის“)“;

რაოდენობითი რიცხვითი სახელის სემი'ს „სამი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **სემი ქრისდე̄ თა̈სდო̄ბ||თა̈სდჳებ||თა̈სჳდებ** „ფიცი, პირობის მიცემა (ხელის ჩამორთმევით); თავდები (ზედმიწ. — **სამ-ი ქრისტე**-'ს' **თავ-ს-დ-ებ-ა**)“

ეჩქა მიჩა მახჳშიდ ლა̈ქჳ: „**ჩი̄მი მენწირუ ლი, ჳოდ სემი ქრისდე̄ თა̈სდო̄ბ ჩუ დო აკუშას... ეჩქა ქაჯაჳე̄თი ყო̄რისგა მე̄ზიჳ ლი!**“ (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939:88:25-26) — მაშინ მისმა უფროსმა თქვა: „ყველას მომრევი იყოსო, 'მანამ' სანამ ქრისტეს ფიცი არ გატეხოსო... მაშინ ქაჯავეთის კარში შესულიყოსო („მაშინ მისმა უ-ხ-უ-ც-ეს-მა თქვა: ყველა'ს' მომრევიმცა არის, სანამ **სამ-ი ქრისტე**-'ს' **თავ-ს-დ-ებ-ობ-ა** არ გატეხოს... მაშინ **ქაჯავეთ-ი**'ს' კარში მსვლელიმც არის“)!“

2. **სამ ჯჳა̈რ-ლემზირშჳ ლიმზირ** „სამი სეფისკვერით დალოცვა (ზედმიწ. — **სამ-ი ჯვარ-სა-ზორ-ავ-ით ზორ-ვ-ა**)“

სემი ღერმეთ — ხოშა ღერმეთ, თა̈რგლეზერ ი ჯგჷრა̈გ, სამ ჯჳა̈რ-ლემზირშჳ ესერ იმზირი (ბქ.) „სამი ღმერთი — დიდი ღმერთი, მთავარანგელოზი და წმინდა გიორგი, სამი სეფისკვერით დაილოცებაო („**სამ-ი ღმერთ-ი** — დიდი **ღმერთ-ი**, **მ-თავ-არ-ანგელოზ-ი** და წმინდა გიორგი, **სამ-ი ჯვარ-სა-ზორ-ავ-ით-ო ი-ზორ-ებ-ა**“).

რაოდენობითი რიცხვითი სახელის ჳოშთხჳ'ის „ოთხი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ჳოშთხჳშჳ ლიჲნე||ლიზი** „ჭენებით, ჩქარა წაყვანა||სვლა, შდრ. ქართ. ოთხახმით სვლა

სგა დეშ ლოჰჳიდ, ჳოშთხჳშჳ ესდგრდა ამელეჲა (ბქ.) „ვერ დავეწიე, ჩქარა მიდიოდა („ვერ დავეწიე, **ოთხ-ით** მიდიოდა ა-მ-ი'ს'-ზემოთ“)“

ჳოშთხჳშჳ ესყანდა ჩäჟ სოფელლეჟა (ბქ.) „ცხენს მიაჰენებდა სოფელში („**ოთხ**-ით მიჰყავდა ცხენი **სოფელ**-ს-ზემოთ")";

2. **ჳოშთხჳდ ლექჳცჲაქ!** „გასახეთქი, სასიკვდილე (ზედმიწ. — **ოთხ**-ად გასაჰრელი!")!"

ჳოშთხჳდოლჳ ომქჳეცელი ისგჳამახჳ! (ბქ.) „ღმერთმა დაწყევლოს‖მოსპოს‖გაანადგუროს შენი მტერი („**ოთხ**-ად-მცა გაჰრილა შენი მტერი!")!"

აქ საანალიზოდ წარმოვადგინეთ, აგრეთვე, ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ რაოდენობითი რიცხვითი სახელის ოთხ-'ის შემცველი კომპოზიტები. ამ კომპოზიტთა ორივე შემადგენელი ელემენტი ქართულიდანაა შემოსული და მსაზღვრელ კომპონენტად სწორედ ქართულიდან ნასესხები ფონეტიკურად სახეცვლილი რიცხვითი სახელი ოთხი დასტურდება. დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი:

3. **ჳეთხჳმალშჳ კჳეშნიხ** „ბევრი საქონელი ჰყავთ (ზედმიწ. — **ოთხ**-მა-ვალ-ით ტყდებიან)"

მä გარჯ ხარხ, მანგჳეშ ხაკლიხ, ჳეთხჳმალშჳ კჳეშნიხ (ბქ.) „რა გაჰირვება აქვთ, არაფერი აკლიათ, უამრავი საქონელი ჰყავთ („რა **გარჯა** აქვთ, არა საქმე ა-კლ-ი-ა-თ, **ოთხ**-მა-ვალ-ით ტყდებიან")".

სვანური ენა, როგორც ცნობილია, საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია რელიგიასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებით, რომელთა ძირითადი მარაგი საერთოქართველურიდან მომდინარეობს. ზოგიერთი ნასესხები რელიგიური ლექსემა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ჩამოყალიბებაშიც ღებულობს მონაწილეობას.

ჩვენ ამჯერად შევეხებით სვანური ენის ბალქვემოური დიალექტის წყევლის ფორმულაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ რელიგიურ ლექსემას **ჳეთხდäრ**'ს (შდრ. ბზ. **ჳეთხთაჳ** და ბქ. **ოთხთაჳ**), რომელიც აშკარაა, რომ ქართული ოთხთავი-დანაა ნასესხები სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების გავლით. მაგ.:

4. **ჳეთხდäროლჳ ხოჴცე!** „ღმერთმა დაწყევლოს (ზედმიწ. — **ოთხ-თავ**-ი-მც ⌈და⌉აქცევს!)!"

ჳეთხდäროლჳ ხოჴცე მიშგუ ამიშ მუგჳნეჳის! (ბქ.) „ღმერთმა დაწყევლოს ჩემი ამისი მომგონი („**ოთხ-თავ**-ი-მც აქცევს ჩემს ა-მ-ის მო-მ-**გონ**-ებ-ელ-ს!")!"

სვანები **ჳეთხდäრ**'ს ეძახიან ხატს, რომელიც არის დაბრძანებული ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ლახამულაში, ბოგრეშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ხატის შუაში გამოსახულია მაცხოვარი, ხოლო ოთხივე კუთხეში წმინდანთა გამოსახულებებია. ხატი მოიხსენიებოდა, ძირათადად, დიდი დღესასწაულების დროს. გასაავდრებლად კი დროშასთან და სხვა ხატებთან ერთად მდინარესთან აღნიშნული ხატიც მიჰქონდათ, ანუ **ჳეთხდäრ**'ს („ოთხთავ"-ს) და **დგრäშ**'ს („დროშა"-ს) წინ წაუმძღვარებდნენ ხოლმე.

შენიშვნა: როგორც ჩანს, სემანტიკურ გადაწევასთანაც გვაქვს საქმე, ვინაიდან სვანი ინფორმატორები „ოთხთავ"-ს შეცდომით ხატს უწოდებენ.

ქართველური წარმომავლობის რელიგიურ ტერმინს **ჳეთხდäრ**'ს ქართულში, ანუ გამსესხებელ ენაში, როგორც უკვე ითქვა, შეესაბამება ერთცნებიანი კომპოზიტი „ოთხ-თავ-ი", რომელიც გარკვეული სინტაგმიდან („ოთხი თავი") მომდინარეობს.

საინტერესოა, რა ფონეტიკური პროცესები გაიარა საანალიზო ლექსემამ (**ჳეთხდäრ**) სვანურში ქართულიდან სესხების პროცესში?

სვანურს, როგორც ცნობილია, ახასიათებს ფუძის აბსოლუტურ ბოლოში ხმოვნის მოკვეცა, მოკვეცილი პალატალური ხმოვანი კი კვალს ტოვებს უმლაუტის სახით (ნ. მარი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, ს. ჟღენტი, მ. ქალდანი, ბ. გიგინეიშვილი). სწორედ ეს ვითარება დასტურდება საანალიზო სინტაგმაში **ჳეთხ-დäრ**; ქართულიდან სესხების დროს ბოლოკიდური სახელობითი ბრუნვის -ი მორფემის დაკარგვამ გამოიწვია წინამავალი ა'ს გაუმლაუტება. ერთცნებიანი კომპოზიტის მეორე კომპონენტის ანლაუტში წარმოდგენილი **დ** თ-ს გამჟღერების შედეგადაა მიღებული, რაც ქართულიდან ნასესხებ ფორმებში ხშირად ფიქსირდება (მაგ., შდრ. სვან.: **გუმბäდ** < ქართ. გუმბათ-ი, **თოქალდ** < ქართ. თო-

ქალთო, **სამხდო** < ქართ. სამხთო, **სურდუქ** < ქართ. სერთუკი და ა. შ. — საღლიანი 2005, 46-49, 117-122). აუსლაუტისეული **რ** < **ჳ**. საერთოქართველური ერთობიდან მომდინარე **ჳ** > **ბ** გადასვლის შემთხვევები იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სვანურში საკუთარი ფონდის სიტყვებში (ჩუხუა 2000-2003:240), ხოლო რაც შეეხება ქართული **ჳ**-ს სვანურ **რ**-ში გადასვლას სხვა მაგალითები სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალების მიხედვით ვერ დავადასტურეთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ქართ. ოთხ-თავ-ი > სვან. **ოთხ-თაჳ** (ზს.) > **ჳეთხ-თაჳ** (ბზ.) > **ჳეთხ-თა̈ჳ*** > **ჳეთხ-და̈რ**.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჳოხუშდ**'ის „ხუთი" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ჳოხუშდ ფხულეშალ ლიხალ||ლითერ** „ზედმიწევნით, კარგად ცნობა, ცოდნა (ზედმიწ. — ხუთ-ი თითივით ცოდნა||ცნობა)"

'მიშგუ' ჳოხუშდ ფხულეშალ მიხა||მითრა ალღა̈რ (ბქ.) „კარგად ვიცნობ ამათ, ზედმიწევნით, ზეპირად ვიცი („ჩემი **ხუთ-ი** თითივით ვიცი||ვიცნობ ესენი")", შდრ. ქართ. ჩემი ხუთი თითივით ვიცი|| ვიცნობ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **იშგჳიდ**'ის „შვიდი" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **მგმზგრა̈ლი ესჳა̈ძს სგა ხეგნი ყო̄რს, ჩია̈გ ამჟი უგლე**: „**ქრისდე ფუსდ, ჰა̈ლ ლა̈ჯ̌ჯ̌ჳრნე̄ნს იშგჳიდ ლგნგა̈ზ ჩიჩჳლი ქჳინ, აშ ლა̈ხჯ̌ჳრინ ალ ქორა̈ მგცლა̈ბი ქჳინ ი ამე̄ნ!**" (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 11:30) „მლოცველი ვისაც მიადგება კარს, ყველგან ასე ამბობს: „ქრისტევ ბატონო, როგორც შვიდი კვირის ჩვილი ბავშვის სულს შეიწყალებ, ისე შეიწყალე ამ ოჯახის ყველა სულდგმული („სული", შდრ. ძვ. ქართ. „აღ-მო-ქუინ-ვ-ა") და ამინ („მ-ზორ-ავ-ი ვისაც მ-ი-ა-დგ-ებ-ა კარს, ყველგან ასე ამბობს: **ქრისტე** უფალი, როგორც შეგევედროს **შვიდ-ი** კვირის **ჩვილ-ი**'ს' სული, ა-ს-ე შეივედრე ამ სახლის — შდრ. ძვ. ქართ. „**ქორა, ქორ-ედ-ი**" სული და **ამინ**!")!"

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჩხარა**'ს „ცხრა" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ჩხარა თა̈კჳქა ნა̈სკინ 'ზურალ'** „ცუდი ყოფაქცევის 'ქალი' (ზედმიწ. — ცხრა **თოკ**-ზე ნახტომი ქალი)", შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი, ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა"

ალ ზურალ იმჟიმოშ მარგა̈დი მი?! ჩხარა თა̈კჳქა ნა̈სკინ ლი (ბქ.) „ეს ქალი როგორ მელაპარაკება მე?! ცუდი ყოფაქცევისაა („ეს ქალი როგორ თუ მელაპარაკება მე?! ცხრა **თოკ**-ზე ნახტომი არის")";

2. **ჩხარა ლალბაბა̈რ ხოსიპ** „მერყევია, ხან ერთს იძახის, ხან მეორეს (ზედმიწ. — **ცხრა** მორგვი უტრიალებს)"

ნა̈ქჳ დემე ხარ, ჩხარა ლალბაბა̈რ ხოსიპ (ბქ.) „მერყევია, არ დაეჯერება („ნა-თქ-ვ-ამ-ი არა აქვს, **ცხრა** მორგვი უტრიალებს||**ცხრა** მორგვ'ს' ატრიალებს")";

3. **ჩხარა ლადღიშ ლეზნე** „მეტად შორი გზა (ზედმიწ. — ცხრა **დღ**-ის სავალი)", შდრ. ქართ. ცხრა დღის სავალზე

ლა̈ღდ ფედღას მამა ლი, ჩხარა ლადღიშ ლეზნე ლი ეჯ̌უგჳ (ბქ.) „მთლად ახლოს არ არის, მეტად შორია („მთლად ახლოს არ არის, ცხრა დღ-ის სავალი არის იქამდე")";

4. **ჩხარალუთხჳმ და̈ჳ** (ბზ.), **ჩხარალუთხჳიმ და̈ჳ** (ბქ.), **ჩხარალუთხუმ და̈ჳ** (ჩოლ.) „ძლიერი, დებილი, კრეტინი")", შდრ. ქართ. ცხრათავიანი დევი

ალის ეხწინია ხი, ჩხარალუთხჳიმ და̈ჳს? (ბქ.) „ამას მოერევი შენ, ამ კრეტინს („ამას მოერევი შენ, ცხრა-თავიან დევ-ს?“)?“

5. **ჩხარა ნინიშ ლიქჳჱ** „ყბედობა, ტლიკინი (ზედმიწ. — **ცხრა** ენ-ის გამოყოფა)“, შდრ. ქართ. ცხრა ენა გამოიბა

სგა დემგჳაშ იცხპე; ჩხარა ნინს ა̈ქჳჱ ჩიღად (ბქ.) „ვერაფერს დაუმტკიცებ, საშინელი ენა აქვს („არა საქმეს შემოიხვევს, **ცხრა** ენა-ს ყოფს ყოველთვის“)“;

6. **ჩხარა ჰა̈დ** „გაუმაძღარი ადამიანი (ზედმიწ. — **ცხრა** მუცელი)“. შდრ. ქართ. ცხრამუცელა „გაუმაძღარი, ღორმუცელა, მსუნაგი...“. სვანურში აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული დადასტურებასაც გამოხატავს და უარყოფასაც, მაგ.:

მა̈ჳსახჳს იზბი, ალ მარა დოჳე ჩხარა ჰა̈დ ხადდა! (ბქ.) „რამდენს ჰამს, ეს კაცი ნამეტანი ღორმუცელაა, გაუმაძღარია („რა უ-სახ-ო-ს ჰამს, ამ კაცს მგონი **ცხრა** მუცელი აქვს||ჰქონდა“)“

ამსოლდს ჩხარა ჰა̈დ ესერ მოდმა ხაყა (ლხმ.) „ადამიანს ამდენი არ შეუძლია („ადამიანს **ცხრა** მუცელიო არ აქვს“)“;

7. **ჩხარად მენკჳე** „წელში ძალზედ მოხრილი, მოკუზული, საცოდავი (ზედმიწ. — **ცხრ**-ად მო-კაკ-ულ-ი)“, შდრ. ქართ. ცხრად მოკეცილი

სერ მა̈ნსყას ამანდ ხოშა? ჩხარად მენკჳე ლი (ბქ.) „ამაზე მეტი რა ქნას? წელში ძალზედ მოხრილია||მოკაკულია, მეტი არ შეუძლია („მეტი რა გააკეთოს ამაზე დიდი? **ცხრ**-ად მო-კაკ-ულ-ი არის“)“;

8. **ჩხარა თხჳიმ მაშა ხელჯიი?!** „სად წავა, რისი იმედი აქვს (ზედმიწ. — **ცხრა** თავი არ ედგეს იქნება?!)?!“

ალის იმჟიმოშ ადბედა̈ჳის, ლა̈ჲდ ჩხარა თხჳიმ მაშა ხელჯიი?! (ბქ.) „ამას როგორ გაბედავს, მთლად თავხედი არ იქნება („ამას როგორ თუ გა-ბედ-ავ-ს, მთლად **ცხრა** თავი არ ედგეს იქნება?!“)?!“

9. **ჩხარა ჳებიშ ხარ** (ბქ.), **ჩხარა პარასკეჳ ხა̄რ** (ლშხ.) „ერთ აზრზე რომ არ დგას ადამიანი, აზრს რომ ხშირად იცვლის“, შდრ. ქართ. ცხრა პარასკევი აქვს

ალის ჩხარა ჳებიშ ხარ ლადეღისგა (ბქ.) „ამისი არაფერი დაიჯერება, აზრს ხშირად იცვლის („ამას **ცხრა** იობ-ის⌈ა⌉ აქვს დღე-ში“)“

ალეს ჩხარა პარასკეჳ ხა̄რ ლადეღისა||ნაგზაჲსა (ლშხ.) „ამას არ დაეჯერება („ამას **ცხრა** პარასკევ-ი აქვს დღე-ში||კვირაში“)“

10. **ჩხარა ლახჳს ეჩეხენჩუ!** (ლნტ.) „მტერს და ავს, შორს ჩვენგან (ზედმიწ. — **ცხრა** მთას იქითკენ(ვე!)“!

11. **ჩხარა ქჳინ ხოგ** „უკვდავია, არ კვდება (ზედმიწ. — **ცხრა** სული უ-დგ-ა-ს)“

ალის მა̈ ადგა̈რნე? ჩხარა ქჳინ ხოგ (ბქ.) „ამას რა მოკლავს? უკვდავია („ამას რა მოკლავს? **ცხრა** სული უ-დგ-ა-ს“)“;

ჲერხის ხოლამთე ჩხარა ქჳინ ხოგ (ბქ.) „ზოგი მუდმივად ცუდს აკეთებს, სიავეს სჩადის („ზოგს ცუდისკენ **ცხრა** სული უ-დგ-ა-ს“)“;

12. **ჩხარად||ჩხარამდ ლიქჳეც** „ნაკუწებად ქცევა (ზედმიწ. — **ცხრა**-დ ჰრა)“

ჩხარა ქჳინ ესერ მადე ხოგენეს, ჩხარამდ ესეროლჳ ომქჳეცელი! (ბქ.) „ნაკუწებად გაქციოს ღმერთმა, რა გაიძვერა ხარ („**ცხრა** სულიო არ ე-დგ-ე-ს, **ცხრ**-ად-ო-მც და-ქუც-მაც-ებ-ულ-ა!“)!“

13. **ჩხარა მახალ** „ეშმაკობა, გაიძვერობა, ორპირობა (ზედმიწ. — **ცხრა** ცოდნა)“

ალა̈რს ჩის ჩხარა მახალ ხოხახ (ბქ.) „ესენი ყველანი ეშმაკები||გაიძვერები არიან („ამეებს ყველას **ცხრა** ცოდნა იციან“)“;

14. **ჩხარა ნუკჳი მახალ** „ეშმაკობა, გაიძვერობა, ორპირობა (ზედმიწ. — **ცხრა** სახი⌈ს⌉ ცოდნა)“

ალჲარს ჩხარა ნუკჳი მახალ ხოხალხ (ლშხ.) „ესენი ეშმაკები||გაიძვერები არიან („ამეებს **ცხრა** სახი⌈ს⌉ ცოდნა იციან“)“;

15. **ჩხარა მეხიშ ლიყერ** 1. „თავის შერცხვენა, სასირცხვილო საქმის ჩადენა (ზედმიწ. — ცხრა მეხ-ის ⌈და⌉რტყმა)", 2. წყევლ.: მოსპობა, განადგურება

მ'ეჯგაფან, ჩხარა მეხ ხიყრა? (ბქ.) „რა დაგემართა, რატომ შეირცხვინე თავი? („რა გეტაკა, ცხრა მეხ-ი შო⌉ორტყი?") "

ალი მ'ემისჳ, ჩხარა მეხოლჵ ჯäჵხა?! (ბქ.) „ეს რა გამიკეთე, შე სასიკვდილევ, შენა („ეს რა გამიკეთე, ცხრა მეხ-ი-მც დაგცემია?!")?!"

16. **ჩხარამეტრიäნ ნინიშ ლიკჵანე** „ზედმეტი, არასაჭირო ლაპარაკი, ტლიკინი (ზედმიწ. — ცხრა-მეტრ-იან-ი ენ-ის გდება")

მäყერმა ლარგäდი?! ჩხარამეტრიäნ ნინ ანკჵäრ (ბქ.) „მაცალა საუბარი?! ხელად ტლიკინი დაიწყო („დამმართა სალაპარაკო?! ცხრა-მეტრ-იან-ი ენა გადმოაგდო");

17. **ჩხარა ჵäდიშ ლიდჵäში** „ორსულობის ბევრჯერ შეწყვეტა (ზედმიწ. — ცხრა მუცლის და-შავ-ებ-ა)"

ალ ზურალს ჩხარა ჵäდ ესერ ხოდჵაშა (ბქ.) „ამ ქალს ბევრჯერ მოშლია მუცელიო („ამ ქალს ცხრა მუცელიო და-უ-შავ-ებ-ია")";

18. **ჩხარა თანდი ეჩხენჩუ** (ბქ.), **ჩხარა თანალ ეჩხēნჩუ‖ეჩხენ** (ლშხ.), **ჩხარა თანალ ეჩხენჩუ!** (ჩოლ.)! „შორს ჩვენგან, ღმერთმა გვაშოროს (ზედმიწ. — ცხრა უღელტეხილს იქითკენ ქვე!")!

ათხēჲ ლოქ ჩხარა თანალ ეჩხენჩუჵ სგურხი! (ჩოლ.) „მოუსვლელშიმც წასულხარო („ახლაცო ცხრა უღელტეხილის იქითმცა ზიხარ!")!"

ჩხარა თანალ ეჩხენჩუჵ ლი! (ლშხ.) „შორს ჩვენგან, ღმერთმა გვაშოროს („ცხრა უღელტეხილს იქითკენ ქვემც არის!")!"

19. **ჩხარა მგკითხან!** „სიკვდილი და არ გადარჩენა (ზედმიწ. — ცხრა უცაბედი სიკვდილი!)!"

ჩხარა მგკითხან სი ი ისგუ ჯიშს! (ბქ.) „სიკვდილი და არ გადარჩენა შენ და შენს ჯიშს („ცხრა უცაბედი სიკვდილი შენ და შენს ჯიშ-ს!")!"

20. **ჩხარა მგშდიხან!** „სიკვდილი და არ გადარჩენა (ზედმიწ. — ცხრა გამთავებელი!)!"

ჩხარა მგშდიხან სი ი ისგუ ჯიშ-ჯილäგს! (ბქ.) „სიკვდილი და არ გადარჩენა შენ და შენს ჯიშ-ჯილაგს („ცხრა უცაბედი სიკვდილი‖გამთავებელი შენ და შენს ჯიშ-ჯილაგ-ს!")!"

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჲეშდ‖ეშდ**'ის „ათი" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ეშდმეტრიäნ ნინიშ ლიკჵანე** „ზედმეტი, არასაჭირო ლაპარაკი (ზედმიწ. — ათ-მეტრ-იან-ი ენ-ის გდება)"

ირი ა მადე მიჩა გჵეშ ეჯდäჲ ეშდმეტრიäნ ნინს აკჵანე (ბქ.) „არის თუ არა მისი საქმე მაინც ტლიკინებს („იქნება თუ არ მისი საქმე მაინც ათ-მეტრ-იან ენა-ს აგდებს");

2. **ეშდ კრუგიშ ლიყერ** „სოფლის შემოვლა, ხშირი სიარული სოფელში (ზედმიწ. — ათ-ი კრუგ-ის დარტყმა)"

ეშდ კრუგს ხატყცი ლადეღისგა სოფელს (ბქ.) „მთელი დღე დადის სოფელში („ათ კრუგ-ს ურტყამს დღე-ში სოფელ-ს")";

3. **ეშდ როქ ხორდეს, ეშხუთეჲსგა როქოლჵ ახტეხა, ეშხუ როქ ხორდეს, შäჲრიხგა როქოლჵ ლახკიჰენა!** (ბქ.) „ბევრი ჰყავდესო და მხოლოდ ერთი დარჩესო, ერთი ჰყავდესო და ისიც მოუკვდესო („ათ-ი-ო ჰყავდეს, ერთ⌈ის⌉კენშიომცა მობრუნებია, ერთიო ჰყავდეს, ხელებშიომცა გაქრობია!")!"

4. **ეშდდ ლიქჵეც** (ბქ.), **ჲეშტდ ლიქჵცე** (ჩოლ.) „ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება, შდრ. ქართ. ათად გაჭრა „ბევრი საქმის კეთება

ლარდა მäყრ, ლäჲდ ეშდდ დეშ ქჵეცნი (ბქ.) „თავი დამანებე, ყველაფერს ვერ გავაკეთებ („სამყოფი დამმართე, მთლად ათ-ად ვერ ვიჭრები")";

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ეშდჲორ'ი**'ს „თორმეტი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ეშდორი თხუ̂იმ დემე მარ** „ამდენის თავი არა მაქვს (ზედმიწ. — ათ-ორ-ი თავი არ მაქვს)“

ალა̈რს დეშ ხუ̂ეპულტიკალ, ეშდორი თხუ̂იმ დემე მარ‖მალჯა (ბქ.) „ამათ ვერ შევერკინები, ამდენის თავი არა მაქვს („ამეებს ვერ ვერკინები‖ვეჰიდები, **ათ-ორ-ი** თავი არ მაქვს‖*მარგია“)“

ჲეშდჲჷრუ თხუმ ხეკუ̂ეს ჯა̈დეს ამშა მეშკჷმფა̈ლს (ჩოლ.) „უძლიერესი უნდა იყო, რომ ამას გაუძლო („**ათ-ორ-ი** თავი უნდა გქონდეს ამის შემრკინებელს“)“;

2. **ეშდჲარუ̂თე ლიტეხ** „ყველანაირი საქციელის ჩადენა, ცელქობა (ზედმიწ. — **ათ-ორ-**⌜ის⌝-კენ დაბრუნება)“

ჩინჩუ̂ილ წა̈მჷი ეშდჲარუ̂თ'ესერ ხეტხენი (ლხმ.) „ბავშვი წამში ყველანაირ საქციელს ჩადისო („ჩვილ-ი წამ-ზე **ათ-ორ-**⌜ის⌝-კენ-ო უბრუნდება“)“;

3. **ჲეშდჲარუ̂ აგუნდი თანა̈ლ ეჩხა̈ნჩუ** „ძალიან შორს (ზედმიწ. — **ათ-ორ** იაგუნდ-ი⌜Ն⌝ უღელტეხილ⌜ს⌝ იქითკენქვე)“

ჲეშდჲარუ̂ აგუნდი თანა̈ლ ეჩხა̈ნჩუ უ̂ოქუ̂რე უ̂ისგუ̂ ხოჲგხ დჷუ̂ა̈რს (ბზ.) „ძალიან შორს‖რამდენიმე მთის იქით ვაშლი უდგათ დევებს („**ათ-ორ** იაგუნდ-ი⌜Ն⌝ უღელტეხილ⌜ს⌝ იქითკენქვე **ოქრო**-ს ვაშლი უ-დგ-ა-თ დევ-ებ-ს“)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჲერუ̂ეშდ**'ის „ოცი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ერუ̂ეშდ ქა ჯექა** „რამდენჯერ გითხარი (ზედმიწ. „ორ-ათ-ი გითხარი“)“

იმღა ჯად ეჩხაუ̂ ლეზი? ერუ̂ეშდ ქა ჯექა ნომაჲჯ აჩე! (ბქ.) „იქ რატომ წახვედი? რამდენჯერ გითხარი არ წახვიდე-თქო („რისთვის გქონდა იქით სასვლელი? **ორ-ათ-ი** გითხარი **ნუ**-არ-მეთქი წახვიდე!“)!“

2. **ჲერუ̂ეშდ ლადელი ლიცხპე** „ცოტა ხანს სიცოცხლე (ზედმიწ. — **ორ-ათ-ი** დღ-ი⌜Ն⌝ შემოხვევა)“

ჲერუ̂ეშდ ლადელ ნოსა̈უ̂ ოხცხიპა, ჲერუ̂აჲს ისგუ̂ი ხოლა ხეკუ̂ეს! (ლშხ.) „დიდხანს არ ეცოცხლოს იმას, ვისაც შენი ცუდი უნდოდეს („**ორ-ათ-ი დღე ნუ**-არმცა შემოუხვევია, ვისაც შენი ცუდი უნდოდეს!“)!“

3. **ერუ̂ეშდ ფურეშიშ ლიჰდე** „ბევრი ძროხის საფასურის გადახდა (ზედმიწ. — **ორ-ათ-ი ფურ-ის** მოტანა)“

ამჷი მეღლინია, ერუ̂ეშდ ფურეშიშ ნომ'ეჯჰგდე! (ბქ.) „მელოდე რამდენიც გინდა, სისხლის საფასური არ გადაგიხადო („ასზე მელოდებოდეს იქნება, **ორ-ათ-ი ფურ-ის-ის ნუ**-არ მოგიტანო!“)!“

შენიშვნა: ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალის მიხედვით, **ფურეშ** არის სისხლის საფასური, რომელსაც დაზარალებულის ოჯახს უხდიან, მაგ. **ალ წორთეჲსგ'ესღრი: გიმ, ქონება, იარა̈ლ... ი ლოშგიმ ...ეჯი... მა̈გ ა̈ლი ჟი ლგლგენ ლი ფურეშშუ̂. ლეშუ̂ა̈ნ-ისგა ფურეშშუ̂ ლა̈სუ̂ მა̈გ ლგლგენ, გიმ ი მა̈გ. წორ იუ̂ალადჷლ ლა̈სუ̂ ფურეშიშ ლაფსი. ობა̈შინა̈რ ...ეჯი... ფურეშშუ̂: ერუ̂ეშდ ფურეშ მასმა, ჲერუ̂ეშდიოხუ̂შდ ფურეშ მასმა, ჲურინერუ̂ეშდ ფურეშ მასმა, ჲურინერუ̂ეშდჲეშდ ფურეშ მასმა წორ-ისგა, ეჯის ჟ'ანსყენახ, ექას ...ეჯი... ხა̈ტ ი ჯუ̂ა̈რშუ̂ ეჯჯი ა̈ბმა̈ლიუ̂ხ ჟი ეჩხენ-ამხენ, ერე სერ უ̂შხუ̂რეშიშ მგჲმახუ̂ დემეგ** (ბქ.) — ამ სისხლის საფასურში შედის: მიწა, ქონება, იარაღი და ბოლოს ...ისა..., ყველაფერი ეს შეფასებულია ძროხების რაოდენობის მიხედვით („**ფურ-ის-ით**“). სვანეთში ყველაფერი ძროხების რაოდენობის მიხედვით იყო შეფასებული („**ფურ-ის-ით**“), მიწაც და ყველაფერი. სისხლის საფასური ყოველთვის („ევა-⌜Ն⌝-დღე“) იყო ძროხების რაოდენობის მიხედვით შეფასებული. ზოგჯერ ...ისა..., ძროხების რაოდენობით: ოცი ძროხის რაოდენობის მსმენია („**ორ-ათ-ი ფურ-ის**“), ოცდახუთი ძროხის რაოდენობის მსმენია („**ორ-ათ-ი** და **ხუთ-ი ფურ-ის**“),

ორმოცი ძროხის რაოდენობის მსმენია (**„ორ-ჯერ-ორ-ათ-ი ფურ-ის“**), ორმოცდაათი ძროხის რაოდენობის (**„ორ-ჯერ-ორ-ათ-ი და ათ-ი ფურ-ის“**) მსმენია სისხლის საფასურად, იმას რომ გადაიხდიდნენ (**„გააკეთებდნენ“**), მერე (**„მაშინ“**) ...**ისა...**, ეკლესიაში დაფიცებით (**„ხატ-ი და ჯვრ-ით“**) ისე აკეთებდნენ (**„ა-ბ-ამ-დ-ნენ“**) საქმეს (**„იქით-აქეთ“**), რომ უკვე ერთმანეთს ველარ უმტრობდნენ (**„ერთიმეორის მომტერე არა“**).

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ერჷეშდიჷოშთხჷ**'ის „ოცდაოთხი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ერჷეშდიჷოშთხჷ სა̈ა̈თ ლირგა̈დი** „დღე და ღამე ერთსა და იმავეს ჩიჩინი (ზედმიწ. — **ორ-ათ და ოთხ-ი საათ-ი ლაპარაკი**)“

ერჷეშდიჷოშთხჷ სა̈ა̈თ ალის ხჷარგა̈დი, მარე მანგჷეშ ლემქამ (ბქ.) „დღე და ღამე ამას ჩავჩიჩინებ, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე (**„ორ-ათ და ოთხ-ი საათ-ი ამას ველაპარაკები, მაგრამ არა საქმე მომემატა“**)“, შდრ. ქართ. ოცდაოთხი საათი ამას ჩავჩიჩინებ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ჷოშთხჷერჷეშდ**'ის „ოცდაოთხი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ჷოშთხჷერჷეშდ მეხ!** „მეხი დაგაყარე (ზედმიწ. — **ოთხ-ათ-ოც-ი მეხ-ი**)“

ჷოშთხჷერჷეშდ მეხოლჷ ჯა̈ჷხა, მა̈ ხოლა ხი (ბქ.) „მეხი დაგეცეს, რა ცუდი ვინმე ხარ (**„ოთხ-ათ-ოც-ი მეხ-ი-მც დაგცემია, რა ცუდი ხარ!“**)!“

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აშირ**'ის „ასი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **აშირდ ლიქჷეც** „ერთი კაცის მიერ მრავალგვარი საქმიანობისათვის ხელის მოკიდება (ზედმიწ. — ას-ად ⸢გა⸣პრა)“, შდრ. ქართ. ათასად იპრებოდა. სვანურში დასტურდება ასევე **ეშდდ ლიქჷეც** ფორმაც „ათად გაპრა“, რაც ქართულში ვერ დავაფიქსირეთ.

სერ დემე მა̈მედა, ლა̈ჲდ აშირდ დეშ ქჷეცნი (ბქ.) „მეტი არ შემიძლია, ამდენს ვერ შევძლებ („მეტი არ მ-ე-იმედ-ებ-ა, მთლად ას-ად ვერ ვიპრები“)“;

2. **აშირთე ლიტხე** „თავის ჰკუაზე ტარება (ზედმიწ. — ას-⸢ის⸣-კენ დაბრუნება)“

ამნემდ აშირთე ლამტიხ, მა̈ ეშხუს მაჩმუნაჷნე ი მა̈ — მერმეს (ბქ.) „ამან გამომაშტერა, დამაბნია, ხან ერთს მაკეთებინებს და ხან — მეორეს („ამან ას-⸢ის⸣-კენ მიმაბრუნა, ხან ერთს მაქნევინებს და ხან — მე-ორ-ე-ს“)“;

3. **აშირისგა ეშხუ⸢ნ⸣** „ძალიან იშვიათად (ზედმიწ. — ას-ში ერთი‖ერთხელ)“

ამკა̈ლიბ გჷეშ აშირისგა ეშხუ⸢ნ⸣ ხეხოლი (ბქ.) „ასეთი ამბავი იშვიათად ხდება („ამ-ყალიბ-ი საქმე ას-ში ერთხელ ხდება“)“

აშირისგა ეშხუს ანღრი მუშგჷრიდ (ბქ.) „იშვიათად მოდის სტუმრად („ას-ში ერთს მოდის სტუმრად“)“;

4. **ეშჷი აშირიშ ლაჰწონი** „ყველას მჯობი, ყველაზე უკეთესი (ზედმიწ. — ერთი ას-ის სა-წონ-ი)“

დის ლახა მერმოლეულისგა ეშჷი გეზალ მალატშჷ ქა ხოთშა ნახონსორდ, ჩიმი ლაჰწონიდ ხაბჷა ი ამეი ტული: **ეშჷი ესერ აშირიშ ლაჰწონი ლი** (ლხმ.) „როდესაც დედას რომელიმე შვილი განსაკუთრებით უყვარს და ყველაზე უკეთესად მიაჩნია, მაშინ ასე ამბობს: ეს ყველას მჯობიაო („დე-და-ს როცა მე-ორ-ე-ებ-ში ერთი შვილი სიყვარულით გამოურჩევია განსაკუთრებით, ყველას სა-წონ-ად მიაჩნია და ასე ამბობს: ერთიო ას-ის სა-წონ-ი არის“)“;

5. **აშირ ლირტყჷელ, ეშხუ მართა̈ლ** „ასი ტყუილი, ერთი მართალი“

აშირ ლირტყჷელ, ეშხუ მართა̈ლ, ეჩა ლიჰედალ — სკა̈! (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 330:29) „ასი ტყუილი, ერთი მართალი, იმის მოსვლამდე ⸢იყავით⸣ თქვენ!

6. **აშირ ზაჲ ლირდე** „დიდხანს სიცოცხლე (ზედმიწ. — ას წელს ყოფნა)“

აშირ ზაჲოლ ა̈რიხ ილამაზ ი სოსო! (ბქ.) „ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ილამაზი და სოსო („ას წელსმცა ა-რ-ი-ა-ნ **ილამაზ**-ი და **სოსო**!“)!“

7. **აშირ ზა̈ს ეჩხენჩუ** „დიდი ხნის მერე (ზედმიწ. — ას-ი წლის იქითკენქვე)!“

ღერმეთდ ადქა̈დის, აშირ ზა̈ს ეჩხენჩუ გაროლჲ ნარ სი ლეგჲანე! (ბქ.) „ღმერთმა გაშოროს, მხოლოდ საუკუნის მერე დაგვეტირებინე („ღმერთ-მა აგაცდინოს, ას წელს იქითკენქვე მხოლოდმცა გვაქვს შენ სატირალი!“)!“

8. **აშირ ზაჲ ამხენჩუ** „დიდი ხნის მერე (ზედმიწ. — ას-ი წლის აქეთკენქვე)!“

ხოჩა კატუშა, ლა̈დი ისგუ ქჲინ ლგკლათხეოლჲ ლი ალ ლა̈ზგადსგა ი ჰიშხ ხოჩოლუ ჯიცჲირა ისგუ ნა̈გზელიდ ი ისგუ ხოჩა ქორდ; აშირ ზაჲ ამხენჩუ ეჩხაჲ ნა̈როლჲ ა̈ჯყენა ი ხოჩა ლაქუნოლჲ ჯარ! (ბქ.) — კატუშა, ამაღლებულიყოს დღეს ამ ოჯახში შენი სული და კარგი ფეხი დაგეტოვებინოს შენი შვილებისთვის და შენი კარგი ოჯახისთვის; ას წელს აქეთ იქით არავინ გაგეყოლებინოს და ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული („კარგი **კატუშა**, დღეს შენი სული ამაღლებულიმცა არის ამ სამოსახლოში და ფეხი კარგიმც გიტოვებია შენი შვილებისათვის და შენი კარგი ოჯახისთვის; **ას** წელს აქეთკენქვე იქით **ნუ-არ-მცა** გა-გ-ი-ყოლ-ებ-ია და კარგი სასულეთიმც გაქვს!“)!“

ქორა̈შ ხოშა ... იმზგრ, ერე „**შჲინდბაოლ ჯარხ ნიშგე ლეშუნდებდა̈რს, ქრისდეცახა̈ნოლ ლი ისგე ლაქუნ, ... ნიშგეშდ ხოჩა ჰიშხოლ ჯიცჲირახ; ისგე მუშუნდები გაროლ ხჲიდ ი აშირ ზა̈ს ამხენჩუ ლეშუნდები ნა̈როლ ნარ ისგეშგნქა!**“ (ბქ.) „ოჯახის უფროსი მამაკაცი ლოცულობს, რომ „შენდობა გქონდეთო ჩვენს მიცვალებულებს, იესო ქრისტესთან ყოფილიყოს თქვენი სასუფეველი, ჩვენთვის კარგი ფეხი დაგეტოვებინოთ; მხოლოდ თქვენი ჰიქის დამქცევი ვიყოთ და ასი წლის აქეთ შესანდობარი არავინ გვეყოლოს („სახლის დიდი ლოცულობს, რომ შე-ნდ-ობ-ა-მც გაქვთ ჩვენს შე-სა-ნდ-ობ-რ-ებ-ს, **ქრისტე**-ს-თან ერთადმცა არის თქვენი სასულეთი, ჩვენთვის კარგი ფეხიმც დაგიტ-ოვებიათ, თქვენი შე-მ-ნდ-ობ-ი მხოლოდმცა ვართ და **ას** წელს აქეთკენქვე შე-სა-ნდ-ობ-არ-ი **ნუ-არ-მცა** გვაქვს თქვენს გარდა!“)!“

9. **ლადეღ ეშხუ ლი ი ალი აშირს||ათა̈სს სგა ტეხნი** (ბქ.) „დღეში უამრავჯერ შემოდის („დღე ერთი არის და ეს **ას**-ს||**ათას**-ს შემობრუნდება“)“, შდრ. ქართ. დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი „ხშირად, მრავალჯერ“;

10. **აშირდ ლიგნე** „გამრავლება (ზედმიწ. — ას-ად დგ-ომ-ა)“

ალ ღობა̈რ აშირდოლჲ აჯგენ˹ენ˺ახ! (ბქ.) „ღმერთმა გიმრავლოთ ეს ფუტკარი („ეს სკები **ას-ად**-მცა **და-გ-დგ-ომ-ი-ა-თ**!“)!“

11. **ლა̈წჲილალთე აშირ ქჲინ ხოგ** (ბქ.) „გათხოვებისთვის მზადაა, მონდომებულია (ზედმიწ. — გათხოვებ˹ის˺კენ ას-ი სული უ-დგ-ა-ს“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **ათა̈ს**'ის „ათასი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **ათა̈სქესალა** (ბქ.), **ათასქესალა** (ლშხ.) „არაფრის გულისათვის (ზედმიწ. — **ათას**-ი **ქის**-˹ის-ა˺-თვის)“, შდრ. ქართ. **ათას ქისად** „არაფრის გულისთვის“ (იგულისხმება: ათას ქისა მარჩილად)

ათა̈ს ქესალა მად ლედკაკლე (ბქ.) „თავისი გაიტანა, არ შეისმინა, ყურად არ იღო („**ათას**-ი **ქის**-˹ის-ა˺-თვის არ შეისმინა“)“

ყაფლან ათა̈სქესალა მად'აჩა̈დ (ბქ.) „ყაფლანი არაფრის გულისათვის არ წავიდა („**ყაფლან**-ი **ათას**-ი **ქის**-˹ის-ა˺-თვის არ წავიდა“)“

ბაპ ათასქესალა ლიზის დემ იჩო (ლშხ.) „მღვდელი არაფრის გულისათვის არ მიდის („მღვდელი **ათას**-ი **ქის**-˹ის-ა˺-თვის წასვლას არ შვრება“)“;

2. **ათა̈სიშ ლიქჲისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათას**-ის თქმა)“

ათა̈ს‖ათა̈სგნ ქა ჯექარ ი ეჯღა̈ჲ დემ ემჯგრა̈ჳ (ბქ.) „რამდენჯერ გითხარი და მაინც არ დამიჯერე („ათას-ი‖ათას-ჯერ გითხარი და მაინც არ და-მ-ი-ჯერ-ე“), შდრ. ქართ. ასჯერ გითხარი „მრავალჯერ მაქვს ნათქვამი ეს შენთვის“;

3. **ათა̈სისგა ეშხუ^ნ** „მეტად იშვიათად“, შდრ. ქართ. ათასში ერთი‖ერთხელ, თუმცა სვანურში უფრო გავრცელებულია **აშირისგა ეშხუ** „ასში ერთი“, რაც ქართულში ვერ დავადასტურეთ (იხ. ზემოთ).

ათა̈სისგა ეშხუს ჰედნი ი ეჯისი ნა̈მდუნე (ბქ.) „იშვიათად მოდის და იმასაც გვამადლის („ათას-ში ერთს მოვა და იმასაც გვ-ა-მადლ-ი-ს“)“;

4. **ათა̈ს ხოხა̈** „ბევრი ეშმაკობა, გაიძვერობა იციან (ზედმიწ. — **ათას-ი** იციან)“

ათა̈ს ესერ ხოხალ, ლუცხჳლე ი ლგყჩ'ესერ მიჩა ბედ! (ბქ.) „ვაი, ჩემი ცოდვა, რა გაიძვერაა („ათას-ი-ო იცის, შეტრუსული და დამწვარიო მისი ბედ-ი!“)!“

5. **ხჳასგნჯა̈ჳი ჯჳედდათე ათა̈სშჳიმიშ ნახჳწი ტუბა̈რს, ხოშა კგლთხი საჳა̈ტ კგნჯბა̈რს, მანჩხაფ ლგცემ პერიშ ლობა̈რს** (ბქ.) „შორს ვათვალიერებ ათასნაირ ვიწრო ხეობებს, მაღალ პიტალო კლდეებს, ჩანჩქერების ქაფის ზოლებს („ვ-სინჯ-ავ შორი^სა^ნკენ ათას-ნაირ ვიწრო ხეობებს, დიდ მაღალ პიტალო კლდეებს, ჩანჩქერ წყლის ქაფის თოკებს“).

სვანურში შეგვხვდა რამდენიმე ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეული, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს რიცხვითი სახელი **ათა̈სერჳეშდ** „ათასოცი“, მსგავსი რამ ქართულში არ დადასტურებულა. მაგ.:

1. **ათა̈სერჳეშდთე ლიქარჩუნე** „დამალვა, გადაკეთება, გადასხვაფერება სათქმელის‖ამბავის... (ზედმიწ. — ათას-ორ-ოც-⌈ის⌉-კენ გადასხვაფერება)“

ამხენქა ხომ ტკიცს დეშ ხა̈ცხრი, ათა̈სერჳეშდთე ქ'ათქარჩუნე (ბქ.) „ამისგან ხომ სიმართლეს ვერ გაიგებ, გზა-კვალს დაგიბნევს ადამიანს („აქედანგა ხომ სი-**მტკიცე**-ს ვერ გაიგებ, **ათას ორ-ოც-⌈ის⌉-**კენ გადაასხვაფერა, შეცვალა“)“;

2. **ათა̈სერჳეშდთე მგქარჩუნე** „ადამიანი, რომელიც შავს თეთრად მოგაჩვენებს (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადამსხვაფერებელი, შემცვლელი)“

ალის მა̈გ ხა̈მედა, ათა̈სერჳეშდთე მგქარჩუნე ლი (ბქ.) „ამას ყველაფერი შეუძლია, ათასჯერ გადაასხვაფერებს ერთსა და იმავეს („ამას ყველა ე-იმედ-ებ-ა, **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადამსხვაფერებე-ლი არის“)“;

3. **ათა̈სერჳეშდთე ლიხურდა̈ჳი** „რაღაც ამბის გადასხვაფერება, ეჭვის შეტანა (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადა-**ხურდ**-ავ-ებ-ა)“

ათა̈სერჳეშდთე ქ'ოთხურდა̈ჳ, მარე გუდ დემგჳაშმოშ ონჴჳედ (ბქ.) „რა არ ვიფიქრე, მაგრამ ვერაფერს მივხვდი („**ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადა-ვ-ა-**ხურდ**-ავ-ე, მაგრამ **გულ**-ად ვერა საქმეს ვერ მოვედი“)“;

4. **ათა̈სერჳეშდთე მუხურდა̈ჳი** „ადამიანი, რომელიც ბევრს ფიქრობს, ეჭვი შეაქვს საქმეში, ნათქვამში (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადა-მ-**ხურდ**-ავ-ებ-ელ-ი)“

ათა̈სერჳეშდთე მუხურდა̈ჳი ლი, მარე ეჯღა̈ჲ მანგჳემოშ ადგენე ლაგას (ბქ.) „ძალიან დაკვირვებულია, მაგრამ მაინც ვერაფერი მოაწესრიგა („**ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ გადა-მ-**ხურდ**-ავ-ებ-ელ-ი არის, მაგრამ მაინც ვერა საქმე ვერ და-დგ-ა ალაგა-ს“)“;

5. **ათა̈სერჳეშდთე ლიტხე** „გზა-კვალის აბნევა, მის ჭკუაზე ტრიალი (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ დაბრუნება)“

ხგრშჳ გჳი მიხპენი, ათა̈სერჳეშდთე ლამტიხ (ბქ.) „სიბრაზისგან გული მისკდება, გზა-კვალი ამიბნია‖თავის ჭკუაზე მატარა („სიბრაზით **გულ**-ი მისკდება, **ათას ორ-ოც-**⌈ის⌉-კენ დამაბრუნა“)“;

6. **ათა̈სერჳეშდთე ლეტხე** „გზა-კვალის ასაბნევი, სხვის ჭკუაზე სატრიალებელი ʻსაქმე ან ადამიანიʼ (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ დასაბრუნებელი)“

მა̈ ათა̈სერჳეშდთე ლეტხე ლა̈სჳ სერ ალ გჳეშ? (ბქ.) „ამდენჯერ რა შესაცვლელი იყო ეს საქმე („რა **ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ დასაბრუნებელი იყო მეტი ეს საქმე?)?“

7. **ათა̈სერჳეშდთე ნა̈ტეხ** „უამრავჯერ შეცვლილი‖გადასხვაფერებული (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ ნაბრუნები)“;

ათა̈სერჳეშდთე ნა̈ტეხ გჳეშ ლი (ბქ.) „უამრავჯერ შეცვლილი საქმეა („**ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ ნაბრუნები საქმე არის)“

8. **ათა̈სერჳეშდთე მგეტხე** „უამრავჯერ საქმის ან ნათქვამის შემცვლელი, დამაბნეველი (ზედმიწ. — **ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ დამბრუნებელი)“

ისგჳანქა ლა̈ჷრ ლა̈სჳ მიშგუ ათა̈სერჳეშდთე მგეტხე? (ბქ.) „შენს გარდა ვინ იყო ჩემი გზა-კვალის ამბნევი („შენს გარდა ვინ იყო ჩემი **ათას ორ-ოც**-ʻისʼ-კენ დამბრუნებელი?)?“

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **აშირათა̈ს**'ის „ასიათასი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **აშირათა̈სისგა ეშხუ** (ბქ.), **აშირათასისა ეშხჳინ** (ჩოლ.) „მეტად იშვიათად (ზედმიწ. — **ას-ათას**-ში ერთი‖ერთხელ)“

აშირათა̈სისგა ეშხუ ხეხოლი ალ გჳეშ ი ეჯიჲ ნა̈ ნეყარ (ბქ.) „მეტად იშვიათად ხდება ასეთი საქმე და ისიც ჩვენ დაგვემართა („ას-ათას-ში ერთი ხდება ეს საქმე და ისიც ჩვენ დაგვემართა“)“;

2. ეჯი ლეთიშ ლიმზგრ ამეი ლა̈სჳ, ა: „**ლამა̈რია..., ალჳე, აშირათა̈ს ლიკეჳრე ხოჩა გუეი ანჰი ...!**“ (ბქ.) „იმ ღამის ლოცვა ასეთი იყო, აი: „წმინდაო მარიამ, აბა, ბევრ ლეწვის დღესასწაულს მოგვასწარი ბედნიერად („იმ ღამის **ზორ-ვ-ა** ასზე იყო, აი: წმინდაო **მარიამ**, აბა, **ას-ი-ათას-ი კევრ-ობ-ა** კარგ გულ-ზე მოგვასწარი!“)!“

3. ეჯ დრეჳქა მუჩჳიფ ლი სერ ი ეჯღა იმზგრხ: „**თანაფ მუჩჳფა̈შ, ალჳე, სი ლა̈ნეშდ ი ხოჩა ლიჳნელს ლანგენ ი ხოჩა ქამიზალს ლანგენ ი აშირათა̈ს თანაფ ხოჩა გუეი ანჰი!**“ (ბქ.) — იმ დროს თოვლი დამდნარია უკვე და იმიტომ აღავლენენ ლოცვას: „თოვლის დნობის აღდგომავ, აბა, შენ შეგვეწიე და ხვნა დაგვაცალე და კარგი გაზაფხული გაგვითენე და ბევრ კარგ აღდგომას მოგვასწარი („იმ **დრო**-ზე თოვლი დამდნარი არის უკვე და იმისთვის ლოცულობენ: თოვლის დნობის აღდგომავ, აბა, შენ გვიშველე და კარგ **ხვნ-ობ-ა-ს** მიგვაყენე და კარგ გასულს მიგვაყენე და **ას-ი-ათას-ი** აღდგომა კარგ **გულ**-ზე მოგვასწარი!“)!“

რაოდენობითი რიცხვითი სახელის **მილჳენ**'ის „მილიონი“ შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **მილჳენდ ლიგნე** „გამრავლება, უამრავის მოცემა (ზედმიწ. — **მილიონ-ად და-დგ-მ-ა**)“

ქჳინიმგენე ი ლალჳბაშ მერ მა̈გ მილჳენდოლჳ აჯგენენახ! (ბქ.) „საქონელიც და ფუტკარიც გიმრავლოთ ღმერთმა („**სულ-დგ-მ-ულ-ი** და სკის **მწერ-ი** ყველა **მილიონ-ად**-მცა **და-გ-დგ-ომ-ია-თ!**“)!“

2. **მილჳენდ‖მილიონდ ლიჯეშ** „დიდ რამედ რომ უღირს ადამიანს რაღაცა (ზედმიწ. — **მილიონ-ად** მიღირს)“

ალ გჳეშ მილჳენდ მიჯეშ (ბქ.) „ეს საქმე დიდ რამედ მიღირს („ეს საქმე **მილიონ-ად** მიღირს“)“;

3. **მილიონ მარემიშ ლიჳედ** „ბევრი‖უამრავი ხალხის მოსვლა (ზედმიწ. — **მილიონ-ი** კაცის მოსვლა)“

მილიონ მარე ანჳად ეჯ ლადელ ეშთეჲსგა (ბქ.) „ბევრი‖უამრავი ხალხი მოვიდა იმ დღეს იქ („**მილიონ-ი** კაცი მოვიდა იმ **დღე-ს** იქითკენში“)“.

რაოდენობითი რიცხვითი სახელების გარდა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობენ რიგობითი რიცხვითი სახელებიც, მაგ.:

რიგობითი რიცხვითი სახელის **მერმე**'ს „მეორე" შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები:

1. **მერმე სობ** „ერთი ამბავი, არეულობა, აურზაური (ზედმიწ. — მე-ორ-ე ხმაური‖ალიაქოთი)"

მერმე სობ ლი სოფელისგა (ბქ.) „ერთი ამბავია სოფელში, შდრ. ქართ. მეორედ მოსვლაა „საშინელებაა, უბედურებაა, კატასტროფაა";

2. **მერმე სობიშ ლისყი** (ბქ.) „შავი დღის დაყრა, გალანძღვა, გათათხვა, ერთი ამბის ატეხვა (ზედმიწ. — მე-ორ-ე მოსვლის კეთება)"

მასწავლებელდ ბოფშა̈რს მერმე სობ ოხსყე კლასიშ ლიქდენიღა (ბქ.) „მასწავლებელმა სკოლის გაცდენის გამო შავი დღე აყარა ბავშვებს („მასწავლებელ-მა **ბავშვ-ებ-ს** მე-ორ-ე **ხმაური‖** ალიაქოთი გაუკეთა **კლას-ის** გაცდენის გამო")";

3. **მერმად ლითაჷე** (ბქ.) „რაიმე კარგის, მეტისმეტად სასიამოვნოს, გამაბედნიერებლის შემთხვევა, ძალიან გახარება, აღტაცება", შდრ. ქართ. მეორედ დაბადება‖შობა

მა̈გ ხოჩა გაროლჷ ჟა̈ყრა ისგუ ლირდეღსგა, ისგუ ჟგრშჷ ლა̈დი მერმად ოხთაჷენ, ეჯგჷა̈რ გჷეშ ემისყ (ბქ.) „ყველაფერი კარგი დაგემართოს შენს სიცოცხლეში, შენი წყალობით დღეს ძალიან გახარებული ვარ, ისეთი საქმე გამიკეთე („ყველა კარგი მხოლოდმცა დაგმართნია შენს ყოფაში, შენი წყალობით **დღე-ს** მე-ორ-ე-დ დავიბადე, ის-გვარ-ი საქმე გამიკეთე")";

4. **აშჷ ა̈დგიჩუ აშჷ ხახჷჩი, მერმ'ა̈დგიჩუ — მერმა** „ხან ერთს იძახის, ხან მეორეს (ზედმიწ. — ერთ **ადგილ-**⌜ს⌝-ქვე ერთს აკარგებს, მე-ორ-ე **ადგილ-**⌜ს⌝-ქვე — მე-ორ-ე-ს")"

ღერჷა̈ წა̈მნირა̈კდ ა̈სიპანე ნაქჷ-ნასკორს, ეჯ მარაღა ყგლეხ: აშჷ ა̈დგიჩუ აშჷ ხახჷჩი, მერმ'ა̈დგიჩუ — მერმა (ბქ.) „ვინც წარამარა იცვლის აზრს, იმ ადამიანზე ამბობენ: ხან ერთ იძახის, ხან — მეორესო („ვინც წამ-და-უწუმ ატრიალებს ნა-თქ-ვ-ამ-ნაფიქრალს, იმ კაცზე ამბობენ: ერთ **ადგილ-**⌜ს⌝-ქვე ერთს ამბობს, მე-ორ-ე **ადგილ-**⌜ს⌝-ქვე — მე-ორ-ე-ს")";

5. **ეშხუ ტჷეტ ლოქ ჰარჰჷი ხეკჷეს ესლაფრა, მე̄რბე ტრაკჷი** „ისეთი დრო მოვიდაო, ხმა არ უნდა ამოიღოო (ზედმიწ. — ერთი ხელიო **ხახა-**ზე უნდა და-ა-ფარ-ო, მე-ორ-ე **ტრაკ-**ზე")"

ეპკაღ დჷრეი ლოქ ანჴად, ეშხუ ტჷეტ ლოქ ჰარჰჷი ხეკჷეს ესლაფრა, მე̄რბე ტრაკჷი (ჩოლ.) „ისეთი დრო მოვიდაო, რომ ხმა არ უნდა ამოიღოო („ის-ყალიბ-ი **დრო-ო** მოვიდა, ერთი ხელიო **ხახა-**ზე უნდა და-ა-ფარ-ო, მე-ორ-ე **ტრაკ-**ზე")".

დანარჩენი რიგობითი რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში ვერ დავადასტურეთ.

სვანურში მეტნაკლები ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევიან ის ზმნისართები, რომლებიც მიღებულია რაოდენობით რიცხვით სახელებზე ჯერადობის‖გზისობის **-ინ, -გნ, -ჷნ** ნაწილაკების დართვით (**ეშხუნ, ღურინ, სუმინ, ⌜ღ⌝ეშდგნ, ⌜ღ⌝ერჷეშდგნ, აშირგნ, ათა̈სგნ, ათა̈სერჷეშდგნ, აშირათასინ**), მაგ.:

1. **ეშხუნ გარ მადეღ ერჷეშდგნ ქა ჯექა** „რამდენჯერ გითხარი (ზედმიწ. — ერთხელ მხოლოდ კი არა და **ორ-ათ-ჯერ** გითხარი)"

ბა̈ქს იმღა ტული? ეშხუნ გარ მადეღ ერჷეშდგნ ქა ჯექა (ბქ.) „ტყუილს რატომ იძახი? რამდენჯერ გითხარი („ტყუილს რისთვის იძახი? ერთხელ მხოლოდ კი არა და **ორ-ათ-ჯერ** გითხარი")";

2. **ღურინ დაგრაშ გოჷა̈რ** „ორჯერ სიკვდილის ტოლფასი საქმე (ზედმიწ. — **ორ-ჯერ** სიკვდილის **გვარ-ი**)", შდრ. ქართ. ორჯერ მოკლული „როცა კაცს ორი ისეთი სასირცხვილო და სადარდებელი საქმე სჭირს, რომ თითოეული მათგანი თითო სიკვდილს უდრის"

ალ გჷეშ ღურინ დაგრაშ გოჷა̈რ ლი (ბქ.) „ეს საქმე ორჯერ სიკვდილის ტოლფასია („ეს საქმე **ორ-ჯერ** სიკვდილის **გვარ-ი** არის")", შდრ. ქართ. ორჯერ მოკლული‖ორჯერ სიკვდილი (როდესაც კაცს

ორი ისეთი სასირცხვილო და სადარდებელი საქმე სჭირს, რომ თითოეული მათგანი თითო სიკვდილს უდრის);

3. **სჷმინ ქრისდე̄ თა̈სდჷები ლიკჷშე** „სამჯერ ქრისტეს ფიცის გატეხვა (ზედმიწ. — **სამ-ჯერ ქრისტე-ჱ** თავ-ს-დ-ებ-ობ-ი-ჱ გატეხვა)“

ჯგჷრა̈გ˹დ˺ ... ჟ'ანპრისდე ... ˹ალა ი˺ ამირან ათჷა̈ხ: **„ისგჷი მგჭრე ნე̄რჷ ა̈რი, ჷოდე სჷმინ ქრისდე̄ თა̈სდჷებ დ'ა̈კჷში“** (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 64:30) „წმინდა გიორგიმ მონათლა ეს და ამირანი დაარქვა: „შენი მომრევი არავინ იყოსო, მანამ, სანამ სამჯერ ქრისტეს ფიცი („თავ-ს-დ-ებ-ობ-ა“) არ გატეხოო („წმინდა გიორგიმ მონათლა ეს და **ამირან**-ი და-ა-სახ-ელ-ა: შენი მომრევი **ნჷ-არმცა ა-რ-ი-ს**, სანამ **სამ-ჯერ ქრისტე-ჱ** თავ-ს-დ-ებ-ობ-ა არ გატეხო“)“;

4. **სამჷნ||სჷმინ||სამგნ ჟი ლიტეხ** „რამდენჯერმე თქმა, გამეორება (ზედმიწ. — **სამ-ჯერ** დაბრუნება)“

სერ მ'ოლჷ მიჩჷმინან? სჷმინ ჟ'ოსეტხ ი ეჯღა̈ დეშ ა̈ცხირ (ბქ.) „მეტი რა მექნა? რამდენჯერმე გავუმეორე და მაინც ვერ გაიგო („მეტი რამცა მექნა? **სამ-ჯერ** დავუბრუნდი და მაინც ვერ გაიგო“)“;

5. **ეშდგნ ლიქჷისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათ-ჯერ** თქმა)

ეშდგნ ქა ჯექა, მარე დემეგ ლემჰჷნა̈რ (ბქ.) „ბევრჯერ გითხარი, მაგრამ არ მომისმინე („**ათ-ჯერ** გითხარი, მაგრამ არ მომისმინე“)“;

6. **ერჷეშდგნ ლიქჷისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ორ-ათ-ჯერ** თქმა)“

მი ნომ მანტყოჷნე, ერჷეშდგნ ქა ჯექა (ბქ.) „მე ნუ მადანაშაულებ, ბევრჯერ გითხარი („მე **ნუ** მადანაშაულებ, **ორ-ათ-ჯერ** გითხარი“)“;

7. **აშირგნ ლიქჷისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ას-ჯერ** თქმა)“

აშირგნ ქა ჯექარ ი სი ეჯღა̈ ისგჷ ჩჷემნ (ბქ.) „რამდენჯერ გითხარი, მაგრამ შენ მაინც შენი გააკეთე („**ას-ჯერ** გითხარი და შენ მაინც შენი ქენი“)“, შდრ. ქართ. ასჯერ გითხარი „მრავალჯერ მაქვს ნათქვამი ეს შენთვის“;

8. **ათა̈სგნ ლიქჷისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** თქმა)“

მ'ეჯგაფან? ათა̈სგნ ქა ჯექარ ი ეჯღა̈ი დემეგ ლეხსიმინ! (ბქ.) „რა ჯანდაბა დაგემართა? რამდენჯერ გითხარი და მაინც არ შეისმინე („რა გეტაკა? **ათას-ჯერ** გითხარი და მაინც არ შე-ი-სმ-ინ-ე!“)!“

9. **ათა̈სინ ქა მიქჷა** (ბზ.), **ათა̈სგნ ქა მიქჷა** (ბქ.) „ბევრჯერ მითქვამს (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** მ-ი-თქ-ვ-ამ-ს)“;

10. **ათა̈სგნ ჟი ლიტეხ ნა̈ქჷიშ** „ერთი და იმავე ამბის ბევრჯერ გამეორება (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** დაბრუნება ნა-თქ-ვ-ამ-ი-ს)“

ათა̈სგნ ჟ'ოსეტხ, მარე მამაგჷეშ ლემქამ (ბქ.) „ათასჯერ გავუმეორე||ვთქვი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** დავუბრუნდი, მაგრამ არა საქმე მომემატა)“;

11. **ათა̈სგნ სგა ლიტეხ** „ბევრჯერ მოსვლა||დაბრუნება (ზედმიწ. — **ათას-ჯერ** შემობრუნება)“

ლადეღისგა ათა̈სგნ სგა ტეხნი მეზგათე (ბქ.) „დღეში რამდენჯერმე შედის ოჯახში („**დღე**-ში **ათას-ჯერ** შემობრუნდება მოსახლ˹ის˺კენ“)“;

12. **ათა̈სერჷეშდგნ ლიქჷისგ** „ბევრჯერ თქმა (ზედმიწ. — **ათას-ორ-ათ-ჯერ** თქმა)“

ალის ათა̈სერჷეშდგნ ლიქჷისგ ხაკჷ, ეჯჷრ დემგჷაშ იჩო (ბქ.) „ამას ბევრჯერ თქმა სჭირდება, ისე არაფერს აკეთებს („ამას **ათას-ორ-ათ-ჯერ** თქმა ე-**ნჷკ**-ვ-ი-ს, იმის გარდა არა საქმეს იქმს“)“;

13. **აშირათასინ ლიქჷი̄ს** „ბევრჯერ თქმა ზედმიწ. — **ას-ი-ათ-ას-ჯერ თქ-მ-ა**)“

ალეს აშირათასინ ლიქჷი̄ს ხაკჷ (ჩოლ.) „ამას ბევრჯერ თქმა, ერთი და იმავეს რამდენჯერმე გამეორება სჭირდება („ამას **ას-ი-ათ-ას-ჯერ თქ-მ-ა** უნდა“)“ და ა. შ.

ქართულში მხოლოდ *ორჯერ* და *ასჯერ* დადასტურდა.

სვანურში დადასტურდა ასევე გამრავლების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც:

1. **ჩხარაფა მახალ** „ეშმაკობა, გაიძვერობა, ანუ ცხრამაგი ეშმაკობა (ზედმიწ. — **ცხრა-ფა** ცოდნა, ეშმაკობა)"

ხოლა მახლიშ ი მგრგა̈დი-მუნძღჳლაღა ტულიხ შჳანა̈რ: ჩხარაფა ესერ მახალ ხოხა (ბქ.) „გაიძვერა და მლიქვნელ ადამიანზე ამბობენ სვანები: ძალიან ეშმაკიაო („ცუდი ცოდნის||ეშმაკობის და მოლაპარაკე-დამსმენზე ამბობენ სვანები: **ცხრა-ფა-ო** ცოდნა, ეშმაკობა იცის")";

2. **ჩხარაფა ხოხალხ** „ბევრი გაიძვერობა იციან (ზედმიწ. — **ცხრა-ფა** იციან)"

ეშჳიფა ჲეხჳა̈რს ჩხარაფა ესერ ხოხალხ (ლხმ.) „ზოგიერთმა ქალებმა ბევრი გაიძვერობა||ეშმაკობა იციანო („**ერთი-ფა** ქალებს||ცოლებს **ცხრა-ფა-ო** იციან")";

3. **ჩხარაფა მახლიშ** „ეშმაკი, გაიძვერა (ზედმიწ. — **ცხრა-ფა||ცხრა-მაგი** ცოდნის, ეშმაკობის)"

მა̈ ესერ ეშთე რაგდი, მა̈ ამთე, ჯი ჩხარაფა მახლი/ა̈შ! (ბქ.) „ხან იმის სასარგებლოდ საუბრობ, ხან ამისი, შე გაიძვერავ („რაო იმისკენ ლაპარაკობს, რა ამისკენ, თვითონ **ცხრა-ფა** ცოდნის!")!"

4. **ჲერჳეშდფა მახალ** „ეშმაკობა, გაიძვერობა (ზედმიწ. — **ორ-ათ-ი-ფა||ორ-ათ-ი-მაგი** ცოდნა, ეშმაკობა, ანუ ოცმაგი)"

ალა̈რს ეხწინია სი? ჲერჳეშდფა მახალ ხოხახ (ბქ.) „ამათ მოუგებ შენ? ძალიან ეშმაკები არიან („ამეებს მოერევი შენ? **ორ-ათ-ი-ფა** ცოდნა, ეშმაკობა იციან")";

5. **ათა̈სფა მახალ** „ეშმაკობა, გაიძვერობა (ზედმიწ. — **ათას-ი-ფა** ცოდნა, ეშმაკობა, ანუ ათასმაგი)"

მ'ესერ სა̈ჭირო ლი ათა̈სფა მახალ?! (ბქ.) „რა საჭიროა ამდენი ეშმაკობა („რაო **საჭირო** არის **ათას-ფა** ცოდნა||ეშმაკობა||გაიძვერობა?!")?!"

6. **ეშდმაგიშ ლიტხე||ეშდმაგჳშ ლიტხე** „1. ენის ტლიკინი, შეპასუხება, სამაგიეროს გადახდა, 2. სიკეთის ათმაგად გადახდა (ზედმიწ. — **ათ-მაგ-ის** დაბრუნება)"

ნინდ ლი ჩუ მერსკე, ეშდმაგს ქა ხა̈ტხე მარა (ბქ.) „ენადაა გაკრეფილი, სიტყვას არ შეგარჩენს („ენა-დ არის გამსკდარი, **ათ-მაგ-ს** დაუბრუნებს კაცს")"

ისგუ ხოჩემ ნაჩომს ეშდმაგჳშ ლაჲტიხე (ბქ.) „სიკეთეს ათმაგად დაგიბრუნებ („შენ[ს] კარგის ნაქნარს **ათ-მაგ-ით** ლაგიბრუნებ")".

სვანური ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბებაში, ქართულის მსგავსად, მონაწილეობას არ იღებენ წილადი რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივები (**მეჳშთხჳედ, მეჳხჳშდედ, მეეშდედ** და ა. შ.). ერთადერთი გამონაკლისია ქართულში კომპონენტი — ნახევარი, რომლის ფრაზეოლოგიური აქტივობა დაბალია (**AF** 4).

რაც შეეხება მიახლოებითი რაოდენობის აღმნიშვნელ ნუმერატივებს (ორიოდე, სამიოდე, ოთხიოდე, ათიოდე, ოციოდე, ასიოდე...), ისინი ქართულში ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ჩამოყალიბებაში, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, საერთოდ არ მონაწილეობენ. სვანურში კი დავაფიქსირეთ რამდენიმე ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რომელთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას ღებულობენ აღწერითად ნაწარმოები მიახლოებითი რაოდენობის აღმნიშვნელი ისეთი ნუმერატივები, როგორიცაა **აშხჳშ ეშხჳილ** და **ჲარშჳ ჲორი**, მაგ.:

1. **აშხჳშ ეშხჳილ ლიპედ** „იშვიათად, ერთადერთხელ მოსვლა (ზედმიწ. — ერთით ერთუკა მოსვლა)"

აშხჳშ ეშხჳილ ანპად ი ეჯისი ნა̈მდუნა (ბქ.) „ერთადერთხელ მოვიდა და იმასაც გვამადლიდა („ერთით ერთუკა მოვიდა იმასაც გვ-ა-**მადლ-ი-დ-ა**")";

2. **აშხჳშ ეშხუა̈შ ლიქა̈დ** „იშვიათად||ერთადერთხელ შეშლა (ზედმიწ. — ერთით ერთის ცდენა)"

აშხჷშ ეშხუ ლემქად ი ეჯიდ დემე ლამპა̈ტიჳეხ (ბქ.) „ერთადერთხელ წამომცდა||შემეშალა და ისიც არ მაპატიეს („ერთით ერთი შემცდა და ისიც არ მ-ა-პატი-ე-ს")";

3. **ჲარშჷ ჲორი** „მხოლოდ ორი, ორზე მეტი არა", შდრ. ქართ. ორად ორი||ორიოდე

ჲარშჷ ჲორი ლამემ ი ეჯისი ღოშდ ხჷა̈ტხე (ბქ.) „ორი ცალი მომცა და იმასაც უკან დავუბრუნებ („ორ-ად ორ-ი მომცა და იმასაც უკან ვუბრუნებ")", თუმცა, როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მათი ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ დაბალია.

ცალკე გამოვყავით ორ და მეტ რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები სვანურში (სულ 33 ერთეული), რომელთა ფრაზეოლოგიური აქტივობა საკმაოდ უფრო მაღალია ქართულთან შედარებით (ქართულში ე. ყორყოლიანს დაახლოებით 15 ასეთი ფრაზეოლოგიზმი აქვს დაფიქსირებული — 2004:265):

1. **ეშჷიფა ჲეხჷა̈რს ჩხარაფა ესერ ხოხალხ** (ლხმ.) „ზოგიერთმა ქალებმა ბევრი გაიძვერობა||ეშმაკობა იციანო („ერთი-ფა ქალებს||ცოლებს ცხრა-ფა-ო იციან")

2. **აშჷ ა̈დგიჩუ აშჷ ხახჷჩი, მერმ'ა̈დგიჩუ — მერმა** (ბქ.)„ხან ერთს იძახის, ხან — მეორეს (ზედმიწ. — ერთ ადგილ-⌐ს¬-ქვე ერთს *აკარგებს, მე-ორ-ე ადგილ-⌐ს¬-ქვე — მე-ორ-ე-ს)"

3. **ეშხუ||აშხჷ შდიმისგა სგა ლიფშჷდე ი მერმაქა ქა ლიფშჷდე** (ბქ.) „ყურადღების მიუქცევლობა (ზედმიწ. — ერთ ყურში შეშვება და მე-ორ-ე-ში გაშვება)"

4. **ეშხუ ათა̈სდოლჷ აჯგენ⌐ენ¬ახ!** (ბქ.) „გაგიმრავლდეთ, ათასად გექცეთ („ერთი ათას-ად-მცა დაგ-დგ-ომ-ია-თ!")!"

5. **სი ეშხუს ეხსუპნი, ექად მი ეშდს ჟი ხჷისპუნი** (ბქ.) „სანამ შენ გაინძრევი, მანამდე მე რას არ ვიზამ? (ზედმიწ. — შენ ერთს მოტრიალდები, მაშინად მე ათ-ს ⌐შემო¬ვტრიალდები)"

6. **ეშდ როქ ხორდეს, ეშხუთეჲსგა როქოლჷ ახტეხა, ეშხუ როქ ხორდეს, შჲა̈რისგა როქოლჷ ლახკიჰენა!** (ბქ.) „ბევრი ჰყავდესო და მხოლოდ ერთი დარჩესო, ერთი ჰყავდესო და ისიც მოუკვდესო („ათიო ჰყავდეს, ერთ⌐ის¬კენშიომცა მობრუნებია, ერთიო ჰყავდეს, ხელებშიომცა გაქრობია!")!"

7. **ლადეღ ეშხუ ლი ი ალი აშირს||ათა̈სს სგა ტეხნი** (ბქ.) „დღეში უამრავჯერ შემოდის („დღე ერთი არის და ეს ას-ს||ათას-ს შემობრუნდება")", შდრ. ქართ. დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი „ხშირად, მრავალჯერ"

8. **აშხჷშ ეშხჷილ ლიპედ** (ბქ.) „იშვიათად, ერთადერთხელ მოსვლა (ზედმიწ. — ერთით ერთუკა მოსვლა)"

9. **აშხჷშ ეშხუა̈შ ლიქა̈დ** (ბქ.) „იშვიათად||ერთადერთხელ შეშლა (ზედმიწ. — ერთით ერთის ცდენა)"

10. **აშხჷჟი ეშხუა̈შ რაგა̈დ ი მერმა⌐შ¬ჟი მერმეა̈შ** (ბქ.) „ხან ერთის თქმა||ლაპარაკი და ხან მეორისა (ზედმიწ. — ერთზე ერთის ლაპარაკი და მე-ორ-ის-ზე — მე-ორ-ის⌐ა¬")"

11. **ეშხუ თე დეცდ ხოშტკჷნა ი მერმე გიმდ** (ბქ.) „ელამია („ერთი თვალ-ი ც-ად უმაგრია|| ურჩევია და მე-ორ-ე მიწად")

12. **ეშხუ აჴს ი მერმე ბაჴს** (ბქ.)||**ეშჷი აჴს ი მერმე — ბაჴს** (ლხმ.) „ერთი აქაა და მეორე — იქ (ზედმიწ. — ერთი ალთას და მე-ორ-ე — ბალთას)"

13. **ეშხუ ეშხუს ხოტიხ ი მერმე — მერმეს** (ბქ.) „ორივე სხვადასხვანაირად მსჯელობს, ანუ ერთი ერთს იძახის და მეორე — მეორეს (ზედმიწ. — ერთი ერთს იმეორებს/უბრუნებს და მე-ორ-ე — მე-ორ-ე-ს)"

14. **ეშხუა̈შ ათა̈სდ ლიგნე** (ბქ.) „ათასად ქცევა, გამრავლება (ზედმიწ. — ერთის ათას-ად და-დგ-მ-ა)"

15. **ეშხუს ჟი ხიტყჷფუნი ი მერმა — ჩუ!** (ბქ.) „საშინელ დღეში ჩავარდები, გაწამდები, დაიტანჯები (ზედმიწ. — ერთს ზე ირტყამდე იქნება და მე-ორ-ე-ს — ქვე!)!"

16. **ეშხუ შდიმისგა სგა ლიფშჷდე ი მერმაჲქა ქა ლიფშჷდე** (ბქ.) „ყურადღების მიუქცევლობა (ზედმიწ. — ერთ ყურში შეშვება და მე-ორ-ე-ში გაშვება)"

17. **ეშჷი აშირიშ ლაჰწონი** „ყველას მჯობი||ყველაზე უკეთესი (ზედმიწ. — ერთი ას-ის სა-წონ-ი)"

18. **აშხჷჲი ეშხუს ხეწხი, მერმაშჲი — მერმეს** (ბქ.) „უბედურება, გაჭირვება... ყველასთვისაა (ზედმიწ. — ერთზე ერთს სჭირდება, მე-ორ-ე-ზე — მე-ორ-ე-ს)"

19. **ეშდ როქ ხორდეს, ეშხუთეჲსგა როქოლჷ ახტეხა, ეშხუ როქ ხორდეს, შჲä̈რისგა როქოლჷ ლახკიჰენა!** (ბქ.) „ბევრი ჰყავდესო და მხოლოდ ერთი დარჩესო, ერთი ჰყავდესო და ისიც მოუკვდესო („ათ-ი-ო ჰყავდეს, ერთ⌈ის⌉კენშიომცა მობრუნებიაo, ერთიო ჰყავდეს, ხელებშიომცა გაქრობია!")!"

20. **ლადეღ ეშხუ ლი ი ალი აშირს||ათä̈სს სგა ტეხნი** (ბქ.) „დღეში უამრავჯერ შემოდის („დღე ერთი არის და ეს ას-ს||ათას-ს შემობრუნდება")", შდრ. ქართ. დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი „ხშირად, მრავალჯერ"

21. **აშირათä̈სისგა ეშხუ** (ბქ.), **აშირათასისა ეშხჷინ** (ჩოლ.) „მეტად იშვიათად (ზედმიწ. — ას-ათას-ში ერთი||ერთხელ)" და ა. შ.

ა. ლიპარტელიანის „სვანურ ლექსიკონში" დავაფიქსირეთ რიცხვითი სახელის შემცველი ზმნის პირიანი ფორმა **ათუთხმეტი** „მოთმინებას, გამძლეობას აკარგვინებს, საცაა ტირილს დაიწყებს (ზედმიწ. — ა-თხუთ-მეტ-ებ-ს)", რომელიც ქართული **მეთოთხმეტები** ფორმის იდენტური უნდა იყოს, შდრ. სვან. (ჩოლ.) **მეჟარ ლუთუთხმეტე ლი** „ნამეტანი შეწუხებულია, დაღონებულია, ტირილის ხასიათზეა" და ქართული გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი **მეთოთხმეტები** „უბრალო საქმეზე მე-დავეები, მაცივდები უმიზეზოდ (მაგ., რას მეთოთხმეტები, შე კაი კაცო, აბა, რომ არაფერი დამიშავებია შენთვის?!)".

საინტერესოა საიდან მომდინარეობს აღნიშნული გამოთქმა?

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის ძალით, ქალი მამის მემკვიდრეობის მეთოთხმეტედ ნაწილს ღებულობდა. ან დაქვრივებული ქალი თუ გათხოვებას მოინდომებდა, გარდაცვლილი ქმრის ქონებიდან მეთოთხმეტე ნაწილი ერგებოდა, რაც სხვა მონაწილეთა წილთან შედარებით, მეტად მცირედად ითვლებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ მიცვალებული ღარიბი იყო. ხშირ შემთხვევაში ამ ნაწილზედაც იმართებოდა დაუსრულებელი დავა და ამ დავად ზოგჯერ სულაც არ ღირდა ეს მეთოთხმეტე ნაწილი. სწორედ ეს დაედო სარჩულად ქართულში ამ სიტყვის გაჩენას: სურათ-ხატოვნად ნიშნავს დავის ატეხას სულ უბრალო საქმეზე, რაც ხსენებადაც კი არ ღირს. როგორც თ. სახოკია მიუთითებს, ეს ფორმა ძირითადად კითხვითობას გამოხატავს, მაგ., **რას მეთოთხ-მეტები?!** ამ ზმნის მნიშვნელობა თანდათან დაიჩრდილა და თანამედროვე ქართულში კი ლანძღვის შინაარსი მიეცა (სახოკია 1979:387).

აშკარაა, რომ ჩოლურული **ათუთხმეტი** ქართულიდანაა ნასესხები, თუმცა თოთხმეტის ნაცვლად თხუთმეტია გამოყენებული.

აქვე შემოგვაქვს **ლიშელდე** „თვლა" ზმნის პირიანი ფორმები — **ხä̈შელდა, ხოშელდე...**, რომ-ლებიც ფრაზეოლოგიზაციის პროცესში იღებენ მონაწილეობას, მაგ.:

თხჷიმ გარ ხä̈შელდა „არავინ არ აწუხებს საკუთარი თავის გარდა (ზედმიწ. — თავი მხოლოდ ა-თვლ-ია)"

უჲხჷა-უგზელას თხჷიმ გარ ესერ ხä̈შელდა (ბქ.) „უცოლ-შვილო კაცს მხოლოდ საკუთარი თავი ჰყავს საზრუნავი („უცოლო-უშვილოს თავი მხოლოდო ა-თვლ-ია")";

დემთე ხä̈შელდა (ბქ.) „არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებში, არაფერში არ იღებს მონაწილეობას (ზედმიწ. — არა⌈ს⌉კენ ა-თვლ-ია)"

სერ მä̈ ლი მიჩა ლირდე? დემთე ხä̈შელდä̈ (ბქ.) „რა აზრი აქვს მის ცხოვრებას? არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებში („მეტი რა არის მისი ყოფა? არა⌈ს⌉კენ ა-თვლ-ია")";

ხოლა პილარ ხაშელდახ „ცუდი ამბავი აქვთ დათეული (ზედმიწ. — ცუდი პირ-ებ-ი ა-თვლ-ია-თ)"

ალმარს ხოლა პილარ ხაშელდახ (ჩოლ.) „ცუდი ამბავი აქვთ დათეული („ამეებს ცუდი ბირ-ებ-ი ა-თვლ-ია-თ")";

ლგდგäრიშ ლიშელდე „დატირება მოთქმით (ზედმიწ. — მკვდრის თვლ-ა)"

მäხ ხოშელდა ლგდგäრს ეჯ ზურალ?! (ბქ.) „რას დასტიროდა მიცვალებულს ის ქალი („რას უ-თვლ-ი-დ-ა მკვდარს ის ქალი?!")?!"

ჩიმი ქა ლიშელდე „ყველაფრის თქმა‖წამოძახება‖დამადლება (ზედმიწ. — ყველაფრის გა-მო-თვლ-ა)"

მეზუ̂ბელდ ჩუ მä ხასმანდა ი ხალანდა მäგ ქ'ოხშელდე (ბქ.) „მეზობელმა ყველაფერი წამოაძახა‖ გადმოულაგა‖დაამადლა („მეზობელ-მა რაც კი სმ-ენ-ოდ-ა და სწყინდა ყველა ჩა-მო-უ-თვალ-ა")"

და, ასევე, **შელდ** „სათვალავი", რომელიც ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში სვანურში ხშირად ფიქსირდება, მაგ.:

შელდიშ ლიჟუ̂მე „უბედურება ოჯახში, ხშირი სიკვდილიანობა (ზედმიწ. — სათვალავის მოშლა‖ არევა)"

ნäფშირის ესერ ლგმფაშუ̂დალხ, მარე აშხუ̂ ლადეღ შელდ ესერ ახჟომენახ (ბქ.) „სიმრავლეს ტრაბახობდნენო, მაგრამ ერთ დღეს გაუბედურდნენ, შემცირდნენ, ამოწყდნენ („სიმრავლესო *ნატრაბახან, მაგრამ ერთ დღე-ს სა-თვალ-ავ-ი-ო არევიათ")"

თხუ̂იმ ესერ ხäმეტხ ი ხენწირäლხ, მარე ჯგგრäგს ესერ შელდ ესეროღუ̂ ოხჟომა! (ლხმ.) „სიმრავლისგან გაამპარტავდნენ და ყველას ჩაგრავენ, მაგრამ წმინდა გიორგიმ მიუზღოს სამაგიეროო („თავიო ე-მეტ-ებ-ა-თ და ერევიან, მაგრამ წმინდა გიორგისო სა-თვალ-ავ-ი-ო-მცა აურევია!")!"

ქართველურ ენათა ნუმერატიულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ სხვა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფთან ერთად **ნუმერატივები** აქტიურად იღებენ მონაწილეობას ფრაზეოლოგიზაციის პროცესში. **ფე**-თა კომპონენტური შემადგენლობის შესწავლა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ფრაზეოლოგიური სისტემის ეროვნული სპეციფიკის შესწავლის საქმეში. ორი ენის ნუმერატიულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება კი მოწმობს, რომ არსებობს გარკვეული დამოკიდებულება კომპონენტ-ნუმერატივთა ფრაზეოლოგიურ აქტივობასა და რიცხვის სიდიდეს შორის.

მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან, აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ მასალას და „ფრაზეოლოგიური აქტივობის" გასარკვევად შეძლებისდაგვარად მოვახდინეთ მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ნუმერატიულ **ფე**-თა აქტივობა ქართულში სვანურთან შედარებით უფრო დიდია (შდრ. ქართ. 216 და სვან. 196 ერთეული), თუმცა სვანურში ქართულისგან განსხვავებული ვითარებაც დასტურდება ზოგიერთ ნორმატივთან დაკავშირებით. ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ სვანურში ფრაზეოლოგიურ ლექსიკონთა უქონლობის გამო შეუძლებელია ნუმერატიულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აქტივობის ზუსტი განსაზღვრა.

ჩვენი დაკვირვებით, ქართულ და სვანურ ფრაზეოლოგიზმთა შემადგენლობაში შედის შემდეგი ნუმერატივები, მაგ., ქართულში — **ერთი** (AF 105), **ორი** (AF 33), **სამი** (AF 4), **ოთხი** (AF 10), **ხუთი** (AF 4), **ექვსი** (AF 1), **ცხრა** (AF 28), **ათი** (AF 1), **თორმეტი** (AF 1), **თხუთმეტი** (AF 1), **ოცი** (AF 1), **ოცდაოთხი** (AF 1), **ასი** (AF 5), **ათასი** (AF 10), **პირველი** (AF 10), **მეორე** (AF 3), **მეექვსე** (AF 1), **მეშვიდე** (AF 3), **მერვე** (AF 1), **მეცამეტე** (AF 1), **ნახევარი** (AF 4); სვანურში — **ეშხუ** (AF 76), **ჲორი** (AF 21), **სემი** (AF 2), **უ̂ოშთხუ̂** (AF 4), **უ̂ოხუშუ̂დ** (AF 1), **იშგუ̂იდ** (AF 1), **ჩხარა** (AF 20),

ჲეშდ (AF 4), **ჲეშდორი** (AF 3), **ერჳეშდ** (AF 3), **ერჳეშდიჳოშთხჳ** (AF 1), **ჳოშთხჳერჳეშდ** (AF 1), **აშირ** (AF 10), **ათა̈ს** (AF 5), **ათა̈სერჳეშდ** (AF 7), **აშირათა̈ს** (AF 3), **მილჳენ‖მილიონ** (AF 3), **მერმე‖მე̄რმე** (AF 5), **ჩხარაფა** (AF 3), **ჲეშდმაგ** (AF 1), **ჲერჳეშდფა** (AF 1), **ათა̈სმაგ** (AF 1), **აშხჳშ ეშხუ** (AF 2), **ჲარშჳ ჲორი** (AF 1), ამ ნუმერატივთაგან ზოგი მაღალი ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევა ორივე ენაში, ზოგი მათგანი კი მხოლოდ რამდენიმე ფე-ის შემადგენლობაში დასტურდება. ამ ფაქტის გათვალისწინებით, საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემოაქვთ ისეთი ცნება, როგორიცაა AF ქვედა ზღვარი, რომელიც უდრის 5 ფრაზეოლოგიზმს (ყორყოლიანი 2004:262). ჩვენც აღნიშნულ ტერმინს დავესესხეთ და ცალკე გამოვყავით ის ნუმერატივები, რომლებიც AF ქვედა ზღვარზე იმყოფებიან სვანურში, ესენია: **ჳოშთხჳ** (AF 4), **ჳოხუშჳდ** (AF 1), **იშგჳიდ** (AF 1), **ჲეშდ** (AF 4), **ჲეშდორი** (AF 3), **ერჳეშდ** (AF 3), **ერჳეშდიჳოშთხჳ** (AF 1), **ჳოშთხჳერჳეშდ** (AF 1), **ათა̈ს** (AF 5), **აშირათა̈ს** (AF 3), **მილჳენ‖მილიონ** (AF 3), **მერმე‖მე̄რმე** (AF 5), **ჩხარაფა** (AF 3), **ჲეშდმაგ** (AF 1), **ჲერჳეშდფა** (AF 1), **ათა̈სმაგ** (AF 1), **აშხჳშ ეშხუ** (AF 2), **ჲარშჳ ჲორი** (AF 1).

ფრაზეოწარმოქმნაში ყველაზე მეტ აქტივობას, როგორც ცნობილია, პირველი ათეულის რიცხვები იჩენენ თითქმის ყველა ენაში და, რასაკვირველია, იგივე ვითარება გვაქვს სვანურშიც. რაც უფრო იზრდება რიცხვი, მით უფრო იკლებს მისი ფრაზეოლოგიური აქტივობა, თუმცა პირველი ათეულის რიცხვის აღმნიშვნელი ზოგი სახელი (მაგ., ქართ. — **შვიდი** და **რვა**, სვან. — **ჳუსგჳა** და **რჳა**) არც ქართულში და არც სვანურში ფრაზეოლოგიზმებში არ დადასტურებულა.

რაც შეეხება მრგვალი რიცხვების აღმნიშვნელ ნუმერატივებს, ისინი ქართულში შედარებით უფრო დიდი ფრაზეოლოგიური აქტივობით გამოირჩევიან, სვანურში კი **ჲეშდ** „ათი" რიცხვითი სახელის გარდა ყველა AF ქვედა ზღვარზე იმყოფებიან.

ქართულისგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ სვანურში შემდეგი ნორმატივები — **ათა̈სერჳეშდ** „ათასოცი", **აშირათა̈ს** „ასიათასი" და ქართულიდან ნასესხები **მილჳენ‖მილიონ** „მილიონი", რომლებიც ფრაზეოლოგიზმთა წარმოქმნაში აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას. მსგავსი ვითარება ქართულში არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება **წილადი** და **მიახლოებითი** რიცხვის აღმნიშვნელ ნუმერატივებს, ისინი ქართულში, როგორც ცნობილია, არაპროდუქტიულია და გარდა კომპონენტისა — **ნახევარი**, საერთოდ არ მონაწილეობენ ფრაზეოლოგიზმებში. სვანურში კი დადასტურდა მიახლოებითი რიცხვის აღმნიშვნელი ნუმერატივების შემცველი რამდენიმე ფრაზეოლოგიზმი, მაგ.: **აშხჳშ ეშხუ** (AF 2) „ერთიოდე, მხოლოდ" და **ჲარშჳ ჲორი** (AF 1) „ორიოდე", და, ასევე, გამრავლების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც (**ეშჳიფა**, **ჩხარაფა**, **ჲერჳეშდფა**, **ეშდმაგ** და ა. შ.).

უნდა ითქვას ისიც, რომ ორ და მეტ რიცხვითსახელიანი ფრაზეოლოგიზმები სვანურში უფრო მეტი აღმოჩნდა (სულ 33 ერთეული), ვიდრე ქართულში (სულ 15 ერთეული).

1. 6. სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები

(resp. იდიომური ლაკუნები)

ენაში არსებული სხვადასხვა სახის **გაქვავებული გამოთქმები**, ე. წ. **ენობრივი ფორმულები** შორეულ ისტორიულ წარსულში არიან წარმოქმნილი. ისინი ასახავენ ამა თუ იმ ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, საზოგადოებრივ განვითარებას, მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. აღნიშნულ გამოთქმებს შემოუნახავთ მრავალი არქაული მოვლენა და, ამდენად, მათი ენობრივი თვალსაზრისით

შესწავლას სვანურში, ბუნებრივია, გარკვეული ინტერესი ახლავს. სვანური კი ამ მხრივაც საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია.

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, იდიომები წარმოადგენენ ღრმა ინფორმაციულ ერთეულებს, რომლებშიც ასახულია ერის მორალური სახე, რწმენა, სული, რითაც განპირობებულია ნაციონალური კულტურისათვის დამახასიათებელი ე. წ. არაეკვივალენტური იდიომების ანუ იდიომური ლაკუნების არსებობა (შდრ. **„ჩაილურის წყალი დალია“**, **„ქოქოლა დააყარა“** და ა. შ.). ამგვარი იდიომები, ძირითადად, აზრობრივად ითარგმნება, რადგან შეუძლებელია მათ მიესადაგოს სხვა ენაში არსებული ფრაზეოლოგიზმები (გოშხეთელიანი 2010:63). ცხადია, მსგავსი (**წმინდა კუთხური კოლორიტის**) მასალა სვანურშიც ფიქსირდება [მაგ.: ბქ. **გეშლäრლეჟა**[1] **ნამტრუკჟალ** „ცელქი, მოუსვენარი („გეშლარ-ს" ზემოთ ნაკუნტრუშები“, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი“)“, ბქ. **ათხეჲ ჾიცხილდ ზაგäრჟიოღჾ**[2] **ქუქჾდäს** „ისემც გიქნია, მოუსვლელშიმც წასულხარ („ახლაც ვიცხილდ ზაგარზემც ჩაცუცქულხარ“)“, ლნტ. **ნäმპარდ ლიგენე**[3] „თავის გაპობა („ლამპრ-ად და-დგ-მ-ა“)“, ბქ. **ეშხუ თე ლაფსყალდთე ხუღჾა** „ელამია („ერთი **თვალ-ი ლაფსყალდ-**"ის"-კენ აქვს“)“ და მრავ. სხვ.]. იმისათვის, რომ ეს მასალა მეორე ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის ნათელი და გასაგები იყოს, შინაარსობრივი თვალსაზრისით, აუცილებელია სიტყვასიტყვითი (ანუ ზწკარედული თარგმანი). რა თქმა უნდა, ეს პრობლემა მხოლოდ სვანურიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს არ იქმნება.

გარდა ამისა, სვანურში გვხვდება ისეთი იდიომებიც, რომელთა წარმოშობა დღეს უკვე ნათელი არ არის. ამისი მიზეზი კი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რამაც იდიომის შექმნა განაპირობა, არ არის გამოვლენილი. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგიის გარკვევაც, ბუნებრივია, ჭირს (ონიანი 1954:139).

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სვანურში არსებულ ისეთ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, რომელთაც ქართულში ეკვივალენტი არ ეძებნებათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთეულებში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, პირველი, ქართულიდანაა შეთვისებული. სვანურში სწორედ ამ ერთეულის მონაწილეობით იქმნება ესა თუ ის ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რომელიც ენობრივი თვალსაზრისით სვანურისთვის აბსოლიტურად ბუნებრივი კონსტრუქციაა.

ის, რომ მთარგმნელობითს პრაქტიკაში ფრაზეოლოგია რჩება ერთ-ერთ რთულ უბნად, ამის შესახებ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა ფრაზეოლოგიზმების ცნობილი მკვლევარი არლ. თაყაიშვილი. ცნობილია ისიც, თუ რა დაბრკოლებას აწყდებიან მთარგმნელები უცხო ენის ფრაზეოლოგიური მასალის, კერძოდ, იდიომატიკის გადმოტანისას (თაყაიშვილი 1961:104).

სამეცნიერო ლიტერატურაში იდიომის განსაზღვრის სამი ძირითადი სახე არსებობს:

1. იდიომის განსაზღვრა სემანტიკური ნიშნის მიხედვით, რაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ამ თვალსაზრისით იდიომი ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულია, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან; მასში სიტყვა-კომპონენტებს დაკარგული აქვთ სემანტიკური თავისთავადობა (ვ. ვინოგრადოვი, ს. აბაკუმოვი, ლ. ბინოვიჩი, ი. უსტინოვი, მ. სოლონინო, ა. როგაჩევი, ა. გვოზდევი და სხვ.).

2. იდიომის განსაზღვრა მისი დაუშლელობის, მყარობის მიხედვით (ი. ვულფიუსი, ა. როჟანსკი, ნ. საიკიევი და სხვ.), რაც ქართულსა და სვანურში, ძირითადად, იდიომის მუდმივ ლექსიკურ შედგენილობაში ვლინდება (ონიანი 1954:1).

---

[1] გეშლარ ადგილია ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ეცერში.

[2] ჾიცხილდ ზაგäრ ადგილის სახელწოდებაა ზემო სვანეთში და მდებარეობს დასახლებული პუნქტებისგან ძალიან შორს. გამოთქმაც სწორედ აქედან არის მიღებული (ანუ მოიაზრება ისეთი შორეული და მიუვალი ადგილი, საიდანაც დაბრუნება ძალზე რთულია).

[3] გამოთქმა უნდა უკავშირდებოდეს სვანურ დღესასწაულს ლამპრობა-ს. როგორც ცნობილია, ლამპრობამდე 2-3 კვირით ადრე ხდება არყის ხის ტოტების ერთ მხარეს წვრილად დაპობა და მერე მათი გახმობა, რომ დღესასწაულზე ცეცხლი კარგად წაეკიდოს.

3. მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი, როგორც ცნობილია, იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად მიიჩნევს მის სხვა ენაზე უთარგმნელობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით, იდიომი ისეთი გამოთქმაა, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით არ ითარგმნება (ა. რეფორმატსკი, ნ. სკოროდიმოვა, დ. უმაკოვი, ს. ოჟეგოვი, ლ. ბულახოვსკი).

იდიომის არსებულ განსაზღვრათა ამგვარი კლასიფიკაცია, ალ. ონიანის აზრით, არ არის ზუსტი, „რადგანაც უმეტეს შემთხვევაში ერთ განმსაზღვრელ ნიშნეულობასთან ერთად მხედველობაშია მიღებული სხვა რომელიმე ნიშნეულობაც"... იდიომის განსაზღვრაში ზოგჯერ ისეთ ნიშნეულობაზეც არის ყურადღება გამახვილებული, როგორიცაა, მაგალითად, ლექსიკური ან გრამატიკული არქაიზმების არსებობა იდიომში, თუმცა, მეცნიერის აზრით, უმთავრესად მაინც ზემოაღნიშნული სამი ნიშნეულობიდან ერთ-ერთი მათგანი არის მიჩნეული იდიომის განსაზღვრის კრიტერიუმად (იქვე:2-43) და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „იდიომის სხვა ენაზე სიტყვასიტყვით თარგმნის შეუძლებლობა არაფერს გვეუბნება მისი შინაგანი ბუნების, მისი სპეციფიკის შესახებ. ის არის იდიომის ზემოაღნიშნულ თავისებურებათა უშუალო შედეგი. ამდენად თარგმნის შეუძლებლობის განსაზღვრის კრიტერიუმად მიჩნევა არ არის მართებული" (იქვე:41). ჩვენც ცნობილი ენათმეცნიერის ამ მოსაზრებას ვიზიარებთ და ქვემოთ წარმოვადგენთ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა ქართულ ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმანი შინაარსობლივად გაუგებარია, თუმცა სვანურისთვის სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. მაგ.:

აბანო ლიყრინე — დაბანა (ზედმიწ. „**აბანო**-ს" დამართება")

ალეს" აბანო ხაყერხ ი ჟ'ანხოჩუ̂ეხ (ლშხ. სვან. ქრესტ., 1978, 68:31-32) „ეს დაბანეს და გამოაჯანმრთელეს („ამას **აბანო** დამართეს და ამოკარგეს")"

აზმა̄ ლიჩომ — სხურება, პკურება („**აიაზმ**-ი"ს" ქნა")

აზმა̄ ხაყერხ ალ მარა (ლშხ.) „ნაკურთხი წყალი ასხურეს ამ კაცს („**აიაზმა** დამართეს ამ კაცს")"

ბიზიკდ ლგგ — ჩქარია, მოხერხებულია, ყოჩაღია (ზედმიწ. „**ბზიკ**-ად **დგ**-ა-ს")

თელღგრა ბიზიკდ ლგგ (ბზ.) „რძალი ძალიან ყოჩაღია („რძალი **ბზიკ**-ად **დგ**-ა-ს")"

თანახმას ლიჯედ — დათანხმება (ზედმიწ. „**თანახმა**-ს მოსვლა")

... **აშხუნლო თანახმას ჯედნიხ "ალღა̈რ"** (ბქ., იქვე, 174:31) „რაღაც დროის შემდეგ ესენი თანხმდებიან („ერთის მერე **თანახმა**-ს მოდიან ესენი")

ჭყინტ თანახმა ანჯად (ლნტ., იქვე, 339:10) „ბიჭი დათანხმდა („ბიჭი **თანახმა**-"ს" მოვიდა")"

ლიმოყჸრ ახფასეხ — დამოყვრდნენ (ზედმიწ. „**მოყვრ**-ობ-ა და-ა-**ფას**-ე-ს")

ალღარდ ლიმოყჸრ ახფასეხ (ლშხ.) „ესენი დამოყვრდნენ („ამეებმა **მოყვრ**-ობ-ა და-ა-**ფას**-ე-ს")"

ღირსება/ა̈შ მგკიდან — გვარის ან ოჯახის შემარცხვენელი (ზედმიწ. „**ღირს**-ებ-ის ამღები")

სოფლიშ ღირსებაშ მგკიდან ჩის ხა̈სისგ (ბქ.) „სოფლის შემარცხვენელი ყველას ეჯავრება („**სოფლ**-ის **ღირს**-ებ-ის ამღები ყველას ეზიზღება")

ლაშა̈ღრალდ ლიკედ — გამასხარავება, აბუჩად აგდება ვინმესი (ზედმიწ. „სა-**შაირ-ო-დ** აღება")

ლაშა̈ღრალდ ხეკჸეს ნომ'ახკიდჸნა თხჸიმ ხა̈ლხს (ბქ.) „თავი არ უნდა გაამასხრებინო ხალხს („სა-**შაირ-ო-დ** უნდა **ნუ**-არ აალებინო თავი **ხალხ**-ს")"

ლოცა̈შ ლიჩჸემ — პირჯვრის გადასახვა (ზედმიწ. „**ლოც**-ვ-ის ქმნა")

ეჩქანღჸე ქორს მერდა მა̈გ ლოცს იჩოხ (ბქ., იქვე, 174:24-25) „მერე სახლში მყოფნი ყველანი პირჯვარს გადაისახავენ ხოლმე („მაშინს მერე **ქორა**-ს — შდრ. ძვ. ქართ. „**ქორა, ქორ**-ედ-ი", მყოფი ყველა **ლოც**-ვ-ა-ს იქმან")

სამგრთა̈ლიშ ლაჩომ — გასასამართლებელი (ზედმიწ. „სა-**მართლ**-ის საქმნელი")

ლა̈ჩიჸლა თაჸრობ მოდე, სამგრთა̈ლიშ ლაჩომ დემეგ-იმეგ ი სერ დალ შარ ხარა ხა̈ლხს (ბქ., იქვე, 189:31-32) „საჩივლელი მთავრობა არსად, სასამართლო არსად და უკვე დაღლილი ყოფილა ხალხი („სა-**ჩივლ**-ელ-ი მ-**თავრობ**-ა არა, სა-**მართლ**-ის საქმნელი არსად და უკვე ბეზრება ჰქონია **ხალხ**-ს")"

ფანდჳირდ ლჷგნე — სწრაფი, მარჯვე (ადამიანი); გამხდარი, გაძვალტყავებული (საქონელი) (ზედმიწ. „**ფანდურ-ად მ-დგ-არ-ი**“)

ნალუნთუნლო კუმა̈შ ფანდჳირდ ლჷგხ (ბზ.) „ნაზამთრალი საქონელი გაძვალტყავებულია („ნაზამთრის შემდეგ საქონელი **ფანდურ-ად დგ-ან-ან**“)“

ფრა̈ნგდ ლჷგ (ბქ.) — სწრაფია, მარჯვეა (ზედმიწ. „**ფრანგ-ად დგ-ა-ს**“), შდრ. ქართ. (ქიზიყ.) ფრანგვა „კარგად, ალმასივით ჭრა“

ალის ისთეჲსგა და̈რმოშ ხეგჰენი, ფრა̈ნგდ ლჷგ (ბქ.) „ამას ვერავინ აჯობებს, ძალიან სწრაფია („ამას შუისკენში ვერავინ ვერ უძლებს, **ფრანგ-ად დგ-ა-ს**“)“

ფა̄ჲქარდ ლჷ̄გ — გამრჯეა, ძალიან სწრაფია, დაუზარებელია (ზედმიწ. „**ფეიქრ-ად დგ-ა-ს**“), შდრ. ქართ. ფეიქარი

ალ დინა ფა̄ჲქარდ ლჷ̄გ (ლშხ.) „ეს გოგო ძალიან სწრაფია („ეს გოგო **ფეიქრ-ად დგ-ა-ს**“)“

ალ დინა ფა̄ჲქარშა̄ლ ისიპანა̄ლ (ლშხ.) „ეს გოგო ციბრუტივით, ტრიალებს („ეს გოგო **ფეიქარ-ივით დგ-ა-ს**“)“

ფინდიხდ ლჷგ (ბზ.), **ფინთიხდ ლჷგ** (ბქ., ლნტ., ლშხ.) — სწრაფია, დაუდეგარია, მარჯვეა (ზედმიწ. „**ფინდიხ-ად დგ-ა-ს**“), შდრ. ქართ. ფინდიხი „მსხვილი სასროლი ტყვია“ (< სპარს.-თურქ. **punduḳ**)

გეგი ფინდიხდ ლჷგ (ბზ.) „გეგი ძალზე სწრაფია („გეგი **ფინდიხ-ად დგ-ა-ს**“)“

ციოჳ ფინთიხ მა̄რე ლი (ლშხ.) „ციოყი დაუდეგარი კაცია („ციოყი **ფინდიხ-ი** კაცია“)“

საანალიზო ლექსიკური ერთეული **ფინდიხი** „სწრაფი, ჩქარი, გაბედული“ მეგრულშიც დასტურდება გადატანითი მნიშვნელობით.

არა̈ბდ ლიფშჳდე — მაცნის გაგზავნა, გაშვება, ვინმესთვის ამბის შეტყობინება (ზედმიწ. „**არაბ-ად** გაშვება“), შდრ. ქართ. (მთიულ.) არაბ-ი „ბერიკების წინამძღოლი, შემურული, მურით გაშავებული“

ალი ქა მეფშჳდე ხარხ არა̈ბდ რიჩგჳიანა̈რს (ბქ.) „ეს ამბის გასაგებად ყავთ გაგზავნილი რეჩგიანებს („ეს გაშვებული აქვთ **არაბ-ად რეჩგიან-ებ-ს**“)“

სჳინდდ ლიფშჳდე — დანამუსება, ე. ი. მის სინდისზე იყოს (ზედმიწ. „**სინდის-ად** გაშვება“)

… **ნა̈ჲ … მიჩა სჳინდდ ოფიშჳდდ ყაზა̈ყ** (ბზ., იქვე, 80:2) „ჩვენ ყაზაყი თავის ნებაზე მივუშვით, ანუ დავანამუსეთ („მის **სინდის-ად** გავუშვით“)“.

მართალია, სინდისის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართულში არცთუ იშვიათია (მაგ.: სინდისგარეცხილი, სინდისგაღვიძებული, სინდისზე ხელის აღება, სინდისი გაუხუნდა, სინდისის შეშვება, სინდისიც კაი საქონელია და სხვ.), მაგრამ **სინდისზე გაშვება** ვერ დავაფიქსირეთ.

შა̈რი-ბამბა̈ჲდ||**შალი-ბამბა̈ჲდ ლიგნე** (ბზ.), **შა̈რი-ბამბა̈დ**||**შჳა̈რი-ბამბა̈/ად**||**შა̈რ-ბამბად ლიგნე** (ბქ.) — მძიმე საქმის მოგვარება[1] (ზედმიწ. „**შალ-ბამბ-ად და-დგ-მ-ა**“), შდრ. ქართ. შალი და ბამბა

გოშა̈რ შა̈რ-ბამბად ოთგენ (ბქ.) „საქმეები კარგად მოვაგვარე („საქმეები **შალ-ბამბ-ად და-ვ-დგ-ი**“)“

ბესა̈რიონს მიჩა დი შა̈რი-ბამბა̈ჲდ სგა ხოჰო̄ნა (ბზ.) „ბესარიონს დედა დიდ ფუფუნებაში ჰყავს („**ბესარიონ-ს მისი დე-და შალ-ბამბ-ად უხვევია**“)“

შანთი ლიკედ (ლშხ.) — მტკიცე ფიცი, მტკიცედ დაფიცება (ზედმიწ. „**შანთ-ის** აღება“), შდრ. ქართ. შანთი

ამ ბედჲი შანთი ლიკედ მა̄ჲმედა (ლშხ.) „ამ საქმეში ალალმართალი ვარ („**ამ ბედ-ზე შანთ-ი**⌜ს⌝ აღება შემიძლია“)“

ძალა̄ ლიჳრინე — დაძალება (ზედმიწ. „**ძალ-**⌜ის⌝ დამართება“)

დემ იჩმგდა ალ ჰჳინტო̄ლ, მარა ძალა ხაჳერ (ლშხ., იქვე, 276:6) „ეს ბიჭი არ შვრებოდა, მაგრამ დააძალა („არ იქმოდა ეს ბიჭი, მაგრამ **ძალა დამართა**“)“

წასაგებაშ ლიჩჳემ — წესის აგება ⌜მიცვალებულისთვის⌝ (ზედმიწ. „**წეს-ი**⌜ს⌝**-ა-გ-ებ-ის** ქმნა“)

---

[1] ბქ. მალამო, დამამშვიდებელი წამალი. გადატ. ფუფუნება.

პაპ ხერო წასაგებას (ბქ., იქვე, 182:23-24) „მღვდელი წესს უგებს ⌜მიცვალებულს⌝ („მღვდელი უქმს წეს-ი⌜ს⌝-ა-გ-ებ-ა-ს")".

ხა̈რჯი ლიკედ — ჭამა (ზედმიწ. „ხარჯ-ი⌜ს⌝ აღება")

ნა̈ჲ ხა̈რჯ ა̈ხჷკიდდ (ბზ., იქვე, 148:25) „ჩვენ საჭმელი ვჭამეთ („ჩვენ **ხარჯ**-ი ავიღეთ")"

ნერჷალხენქა ქა ლიჭედ — განერვიულება, გაბრაზება (ზედმიწ. „ნერვ-ებ-იდან გამოსვლა")

ნერჷალხენქა ხჷი ქა მეჭდე (ჩოლ.) „განერვიულებული, გაბრაზებული ვარ („ნერვ-ებ-იდან ვარ გამოსული")"

ხა̈ტიშ ლიჩჷემ — დაფიცება (ზედმიწ. „ხატ-ის ქმნა")

... **დინაშ ნა̈თჲა̈რ** ... **ამჟი ხა̈ტს ქა ხერმუდახ, ერქას მინ დემის იგხჷლიდახ ჟი** (ბქ., იქვე, 175:25-27) „გოგოს ნათესავები რომ ასე ხატზე დაიფიცებდნენ, მერე უკვე თვითონ არ იბუტებოდნენ („გოგოს ნათესავები ასე **ხატ**-ს გაიმას უქმნიდნენ, მაშინ თვითონ არ *იწყენდნენ")

ყაბულს ახჭედა — დათანხმებია (ზედმიწ. „ყაბულ-ს მოსვლია")

მა̈ნკჷჩ̄შუჩ̄ნ ყაბულს ახჭედა ჯაფრა̈ნა̈ ჷა̈რგ (ბზ., იქვე, 61:29-30) „პირველად დაეთანხმა თურმე ჯაფრანების თავადი („პირველზე ყაბულ-ს მოსვლია ჯაფრანი⌜ს⌝ თავადი, შდრ. ძვ. ქართ. „ვარგ-ი")"

ყაბულს ლიჭედ — დათანხმება (ზედმიწ. „ყაბულ-ს მოსვლა")

ალჲა̈რ ყაბულს ოხჭა̈დხ ⌜დჲ̈ჷს⌝ (ბზ., იქვე, 155:21-22) „ესენი დასთანხმდნენ დევს („ესენი ყაბულ-ს მოუვიდნენ დევ-ს")" და ა. შ.

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვასიტყვითი თარგმანები („აბანო-⌜ს⌝ დამართება", „თანახმა-ს მოსვლა", „ღირს-ებ-ის ამღები", „სა-შაირ-ო-დ აღება", „ხატ-ის ქმნა", „ხარჯ-ი ავიღეთ", „ძალ-⌜ის⌝ დამართება", „ფრანგ-ად დგ-ა-ს", „ფეიქრ-ად დგ-ა-ს" და ა. შ.) თითქოს გამორიცხავს ამ ერთეულთა ქართულიდან სესხების შესაძლებლობას (მიუხედავად იმისა, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის პირველი შემადგენელი ელემენტი ქართულიდანაა ნასესხები), რადგანაც იქ, სადაც სვანურში ფრაზეოლოგიზმია, ქართულში მას მარტივი ზმნა შეესატყვისება.

შენიშვნა: სვანურში გვხვდება, აგრეთვე, არამონათესავე ენიდან ნასესხები ისეთი ლექსიკური ერთეულებიც, რომლებიც დროთა განმავლობაში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა წარმოქმნაში იღებენ მონაწილეობას. ჩვენ ბალსქვემოური დიალექტის ცხუმარულ კილოკავში დავაფიქსირეთ ერთი ძალზე საინტერესო ფრაზეოლოგიური გამონათქვამი, რომელსაც თან სარკაზმი გასდევს: **ყუდანათშერხენქა ნა̈ჭედ** — მდიდარი, შეძლებული ოჯახიდან გამოსული [**სი მადე ხია ყუდანათშერხენქა ნა̈ჭედ**?! — ერთი შენა ხარ („შენ არ ხარ?!") მდიდარი ოჯახიდან („ყუდანათ-ის-ან-იდან") გამოსული?!]. აღნიშნული გამოთქმის სახელადი ნაწილი (**ყუდანათ**-) ნასესხები ჩანს აღმოსავლური ენებიდან, კერძოდ, თურქული **ყუდრეთ** „ძალა, შეძლება" ფორმიდან, რომელიც თავის მხრივ ნასესხები უნდა იყოს არაბულიდან (შდრ. არაბ. **Kedret**, — იხ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993). შტო-გვარის აღმნიშვნელი უძველესი საანალიზო ლექსიკური ერთეული **ყუდანათშერ** დღესდღეობით მხოლოდ ზემოაღნიშნულ იდიომატურ გამოთქმაშია შემორჩენილი.

გამოდის, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური, რომელთაც არა აქვთ ადეკვატური პარალელები ქართულში. მათი გამომსახველობითი ეკვივალენტის ვარირება კი, ძირითადად, შესაძლებელია კონტექსტის მიხედვით.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამგვარ სვანურ გამოთქმებშია დაცული ქართულის გზით შემოსული ისეთი ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება და სვანურშიც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გარდა დამოუკიდებლად არსად არ გამოიყენება (მაგ.: **ფრა̈ნგ, არა̈ბ, ყაბულ** და ა. შ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში ფიქსირებული ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმები არ უნდა იყოს მიზეზი მათი იდიომატურობისა, რადგანაც საანა-

ლიზო ერთეულთა უმრავლესობა არ განიხილება როგორც არქაიზმი. ვიზიარებთ ალ. ონიანის თვალსაზრისს, რომ „არქაიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს იდიომის განმსაზღვრელად“ (1954:241).

ფრაზეოლოგიზმის განმსაზღვრელი ნიშანი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ისაა, რომ შემადგენელი ელემენტების ფორმალური დამოუკიდებლობის ფონზე ახასიათებს შინაგანი მთლიანობა. სწორედ ამ შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირისა და მთლიანად ლექსიკასთან მიმართების მიხედვით გამოყოფენ ოთხ ძირითად ჯგუფს (სტეპანოვი 1975:56). ჩვენ აქ მხოლოდ პირველ ჯგუფს შევეხებით. ეს არის ფრაზეოლოგიური მთლიანობა, როცა შემადგენელი ნაწილების კავშირი მაქსიმალურია და ვერ ხერხდება მათი სემანტიკის მიხედვით ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის მოტივაციის დადგენა, ამ შემთხვევაშიც ფრაზეოლოგიზმის ერთი ან ორივე შემადგენელი ელემენტი გაუგებარია (შდრ. ქართ.: **იხტიბარს არ იტეხს, აბრუს არ იტეხს, ბაიბურში არაა** და ა. შ. — **იხტიბარი, აბრუ, ბაიბური** თანამედროვე ქართველისათვის გაუგებარია). რასაკვირველია, სვანური ენის ფრაზეოლოგიზმებშიც ფიქსირდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ისინი შემონახულია გაქვავებულ გამონათქვამებში და დიდია მათი მნიშვნელობა ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. ნიმუშისთვის დავასახელებთ რამდენიმეს: **ლა̈რჰენდ ლგგნე** „ყოჩაღი, სწრაფი“, **კიკბერ ახბეკ** „ჩააცივდა, ჩააჭინდა (ზედმიწ. „ხის მორი მიაბჯინა“)“, **ღოს ხოსიპ** „ცქმუტავს, მოუსვენრობს, საკუთარ ტყავში ვერ ეტევა“, **ქაბაბა̈ღშ ჯიჯჷა̈რდ ეთსიპდა** „არ მოიხარშა, დიდი დრო დასჭირდა“, **გელა ლახჷ ენცხიპ** „ბევრი იარა, ცხრა მთა გადაიარა“, **სგრიგაგას** ‘ეი’ **ხაგ** „აწრიალებულია, ვერ ისვენებს, სულ დადის“, **სგჷა̈ზდ ლიგნე** „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“, **ბოლეკდ ლიკედ** „ამოწყვეტა, ამოჟლეტა“, **მეკჷმად ლიგნე** „გაფრთხილება (ზედმიწ. „დაკვირვებულად, ფრთხილად დგ-ომ-ა“)“, **ჰა̈ღდოდეჷს ლიგნე** „ხმაური, აურზაური, ჩხუბი“, **წინალდ ი წირკამა̈ლდ ლიბლო̄კე** „სრულიად მოსპობა, განადგურება“, **ინდირკის ოსგემ!** — უხვი სუფრა არ გავუშალო! („უხვ სუფრას და-ვ-უ-დგ-ამ!“)! **ფისეგარგასისგოღჷ ხარ ლაქუნ!** „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. „მდუღარე **ფის**-‘ში’-მც აქვს სასულეთი!“)!, **ორიო̄ნ-კორიო̄ნს ხაჰიდ** „გაფანტა“, **სი̄ნტი-პო̄ნტის აჩადხ** „გაიფანტნენ“, **სადა̈რ-კუდა̈რ ჰაჰა̈რლექჷა ხაჰიდ** „გალანძღა, გათათხა“ და მრავ. სხვ.

ზემოთ წარმოდგენილ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში მონაწილე სიტყვათა მეტი ნაწილი არქაულია და საერთო სიტყვათხმარებიდან გამოსული. ისინი გვხვდება, ძირითადად, მყარ შესიტყვებებში, — სხვა სიტყვებთან მჭიდრო კავშირში. შესაძლოა, ამ არქაულ ფორმათაგან ზოგი უცხოური წარმოშობისაც აღმოჩნდეს, მსგავსად არლ. თაყაიშვილის მიერ „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხებში“ დასახელებული **იხტიბარი, ბაიბური, აბრუ** (1961:53) და ა. შ. სიტყვებისა. რა თქმა უნდა, მსგავსი ვითარებაა სხვა ენებშიც, თუმცა აქ ამაზე აღარ შევჩერდებით[1].

ის, რომ ბევრი სვანური იდიომის ახსნა დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია, ამისი მიზეზი, ალ. ონიანის აზრით, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ სათანადო მოვლენა, რომელიც რაიმე ისტორიულ ფაქტთან არის დაკავშირებული, ისტორიაში არ არის ფიქსირებული. ვინაიდან მათი წარმოშობის საფუძველი არ ვიცით, ამიტომ მათი ეტიმოლოგიის გარკვევაც, რასაკვირველია, ჭირს (ონიანი 1954:139).

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები სვანურში უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური (მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთეულებში შემავალი ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, პირველი, ქართულიდანაა შეთვისებული), ვინაიდან მათ არ მოეპოვებათ ადეკვატური პარალელები ქართულში. სწორედ ამგვარ სვანურ გამოთქმებშია დაცული ქართულის გზით შემოსული ისეთი ლექსიკური და გრამატიკული არქაიზმებიც, რომლებიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ გვხვდება და სვანურშიც ფრაზეოლოგიური გამონათქვამების გარდა დამოუკიდებლად არსად არ გამოიყენება.

---

[1] აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გრძელდება.

1. 7. სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისების შესახებ

სვანური ენა, როგორც ბევრჯერ აღინიშნა, საკმაოდ მდიდარია მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით (**იდიომები და ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი**), **ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმები, წყევლისა და დალოცვის ფორმულები**...), რომელთა წარმომავლობის გარკვევა, ბუნებრივია, ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა რთულიც წერილობითი წყაროების უქონლობის გამო.

ამჯერად ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა შესატყვისობების შეძლებისდაგვარად დადგენა სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით.

უნდა ითქვას, რომ ფრაზეოლოგიურ შესატყვისთა და მათი სემანტიკური ეკვივალენტების კვლევა სხვადასხვა ენაში სწორედ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების გენეტიკურ საფუძველთანაა გარკვეულწილად დაკავშირებული. ნებისმიერი ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბება კი, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს თავისუფალი შესიტყვების სემანტიკური გარდაქმნით, მისი გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობის განვითარებით. ფრაზეოლოგიზმებში ორი ან მეტი კომპონენტური შემადგენლობის წყალობით ძალაუნებურად ხდება ორი სურათის ერთდროული ხილვა, სადაც ერთი მათგანი შეესაბამება გამოთქმის სიტყვასიტყვითს, მეორე კი მის მეტაფორულ, გადატანით მნიშვნელობას. ფრაზეოლოგიზმის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის აღიქმება კომპლექსურად, როგორც რთული და ხატოვანი მთლიანობა (ლარინი 1956:210).

მეტაფორა, რომელიც თავდაპირველად საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბებას, გარკვეულ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, თანდათან ბნელდება, გაუგებარი ხდება და ერთ დროს მოტივირებული ფრაზეოლოგიზმი ენაში მკვიდრდება, როგორც არამოტივირებული მყარი შესიტყვება (ვინოგრადოვი 1847:345). ამ შემთხვევაში, როგორც სენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნავენ, არამოტივირებული ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვების სახით აღარ გვხვდება და ენაში ფუნქციონირებს მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით (მამულია 2004-2005:208).

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ფრაზეოლოგიზმი, მოტივირებული თუ არამოტივირებული, განსხვავებულია ენებს შორის ფრაზეოლოგიურ შესატყვისთა არსებობის ხასიათი.

სხვადასხვა ენაში ფრაზეოლოგიური შესატყვისების დადგენით პირველ რიგში ირკვევა, თუ როგორაა შესაძლებელი ერთი ენის ფრაზეოლოგიზმის მეორე ენაზე შესაბამისი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტით გადმოცემა. სწორედ ამ თვალსაზრისით აქვს განხილული თურქულ-ლაზური ფრაზეოლოგიური შესატყვისები ე. მამულიას სტატიაში „თურქულ-ლაზურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა შესახებ" (იქვე). რაც შეეხება ქართულ-მეგრულ-სვანურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობებს, მათ შესახებ, რამდენადაც ცნობილია, მსჯელობა არ ყოფილა სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომაც ამ საკითხის კვლევა მეტად საინტერესოდ გვესახება, მითუმეტეს, რომ სამივე ქართველური ენის მონაცემები შეუდარდება ერთმანეთს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით გამოვყოთ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა თანაფარდობის რამდენიმე ტიპი სვანურში ქართველურ ენებთან შეპირისპირებით (აქ შეიძლება გვქონდეს როგორც **სრული და ნაწილობრივი ეკვივალენტები**, ასევე **არაეკვივალენტური ფრაზეოლოგიური ერთეულებიც** და, რა თქმა უნდა, **კალკირებული და სინონიმური ფრაზეოლოგიზმები**).

საკვანძო სიტყვად ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის გამოყენების შესაბამისად ფრაზეოლოგიზმები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: **ზმნური ფრაზეოლოგიზმები, სუბსტანტიური ფრაზეოლოგიზმები, ზმნიზედური ფრაზეოლოგიზმები, ადიექტიური ფრაზეოლოგიზმები, შორისდებულის შემცველი ფრაზეოლოგიზმები** და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ენა თავისებურ ნაციონალურ სახეს აძლევს ამა თუ იმ ფრაზეოლოგიზმს, ის საერთო და მსგავსი, რომელიც აშკარად ახასიათებს სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს და გარკვეული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. როგორც პ. ბუდაგოვი (1958:106) შენიშნავს, ფრაზეოლოგიზმებში არ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ განსხვავებულ ენობრივ თავისებურებებს, არამედ უნდა ვითვალისწინებდეთ მათი ერთიანობისა და სხვაობის ღრმა ურთიერთობებსაც.

შესაბამისი ექსტრალინგვისტური (კერძოდ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და, აგრეთვე, ფოლკლორული) მასალა, რომელიც ამოვკრიბეთ სვანური ენის ოთხივე კილოზე არსებული პროზაული ტექსტებიდან, სვანური ენის ქრესტომათიიდან, ლექსიკონებიდან[1], აგრეთვე, 2010-11 წლებში მესტიისა და ლენტეხის რაიონებში ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალიდან, შევადარეთ შესაბამის ქართულ-მეგრულ მასალას, სადაც პ. ბუდაგოვის ზემოთ წარმოდგენილი დებულება გავითვალისწინეთ და განსხვავებულ ენობრივ თავისებურებებთან ერთად, რასაკვირველია, ყურადღება მივაქციეთ მათ ერთიანობასა და სხვაობას.

თვალსაჩინოებისათვის თითოეულ სვანურ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ჩვენს ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, დართული აქვს ქართულ-ზანური ეკვივალენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და განმარტება, რომელიც მოცემული საანალიზო ერთეულის ხატოვან შემადგენელს წარმოადგენს.

ჩვენ მიერ განხილული სვანური მასალა ქართულ-მეგრულთან შეპირისპირებით, ბუნებრივია, მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს. ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის გარდა, აღნიშნული ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც წარმომავლობით, ასევე სტრუქტურულ-სემანტიკურადაც, და, რაღა თქმა უნდა, განსხვავებულია მათი სინტაქსური ფუნქციებიც.

ჩვენი აზრით, ამგვარი კვლევა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია როგორც ამ ენათა ფრაზეოლოგიური ფონდის შედარების თვალსაზრისით, ასევე მათი შეპირისპირების ასპექტითაც.

მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი[2]:

1. ზოგჯერ გვაქვს **ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფრაზეოლოგიური გამონათქვამების)** როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა შეიძლება გვქონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, მაგ.:

თერäრისგა ტგტიშ ლიშდე „მოტყუება, გამასხარავება (ზედმიწ. — **თვალ-ებ-ში** ნაცარ-**ტუტა**-ს მიყრა)", შდრ. ქართ. თვალში ნაცრის მიყრა||ჩაყრა და მეგრ. დიალ. **თოლშა ტუტაშ ელარღვაფა** „მოტყუება (ზედმიწ. — **თვალ**-ში ნაცარ-**ტუტა**-ს მიყრა)"

თერäრისგა ჩის ტგტს ხäშდე (ბქ.) „ყველას ატყუებს (ზედმიწ. — **თვალ-ებ-ში** ყველას ნაცარ-**ტუტა**-ს აყრის)"

ნგნემ კäცხუი მäზ (ბქ.) „თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვიხსენებ (ზედმიწ. — **ენ-ის წვერზე** მ-ა-ძ-ევ-ს)", შდრ. მეგრ. დიალ. **ნინაშ წვანდის გებძუ** „თითქოს მაგონდება, მაგრამ ვერ ვიხსენებ (ზედმიწ. — **ენ-ის წვერ-ს** მ-ა-ძ-ევ-ს)"

---

[1] იხ. ლიტერატურის ჩამონათვალში.

[2] აქ არ განვიხილავთ დაწვრილებით იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც წიგნის ან ზეპირი მეტყველების გზით უნდა იყვნენ ქართულიდან შემოსული, რადგანაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე იყო მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. მ. საღლიანი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — არნ. ჩიქობავას საკითხავები. XXII, სენაკი, 2011; ნასესხები ფრაზეოლოგიზმების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — იკე, 39, თბილისი, 2011).

საფლა̈ჲს ხობგრჯე (ბქ.) „ღალატობს, საფრთხეს უქმნის (ზედმიწ. — **საფლავ-ს** უთხრის)", შდრ. მეგრ. დიალ. **სამარეს უნთხორუნს** „ღალატობს (ზედმიწ. — სამარეს უთხრის)"

კი̄ნჩხჟი ხახჲ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) „ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი", შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა!

ფხულაქა ლეჭჲენი „სულ ცოტა", შდრ. ქართ. თითზე გადასახვევი (შდრ. აგრეთვე საკუთრივ სვანური: **ამიშ ამგრდან** — თითზე გადასახვევი, ერთი ბეწო, ამისი ნასახი [**ამიშ ამგრდან მამაგჲეშ მიწჲა ალა̈რხენქა** — თითზე გადსახვევი („ამის ნასახი, მაგვარი") არაფერი მინახავს ამათგან] და მეგრ. დიალ. **კითშა გინაკირაფალი** „სულ ცოტა (ზედმიწ. — თითზე გადასახვევი)"

უშკჲთე ბჲლთი ლიყჲბე (ბზ.) „გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა", შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა („ჩატენვა"). შდრ. მეგრ. დიალ. **პიჯი გემჭკადუ** „გამაჩუმა („პირი ამომიჭედა")", რომელიც ქართულ-სვანურთან მხოლოდ სემანტიკურ თანხვედრას გვიჩვენებს.

შითე ლიკჲა̈ნე (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **შითე ლიკჲანე** (ბქ., ლნტ.) „მისაკუთრება, დაპყრობა, დაუფლება, შოვნა, ხელში მოგდება (ვისიმე, რისამე)", შდრ. ქართ. ხელში ჩაგდება [შდრ. ასევე საკუთრივ სვან. (ბქ.) **ჩის სგა იჲერ** — მიისაკუთრებს, ხელში ჩაიგდებს („ყველას შემოირტყამს")] და მეგრ. დიალ. **ხეშა აშაცოთამა** „მისაკუთრება (ზედმიწ. — ხელში ჩაგდება)"

ჭგრელ ჰერწემ (ბქ.) „საზიზღარი, საძულველი ადამიანი", შდრ. ქართ. ჭრელი გველი და მეგრ. დიალ. **ჭერჭო გვერი**

თჲიდ ი შაქა̈რდოლჲ ეჯხიპენა! (ბქ.) „ღმერთმა შეგარგოს (ზედმიწ. — თაფლ-ად და შაქრ-ად-მცა გქცევია!)!" შდრ. მეგრ. დიალ. **შანქარქ დო თუფურქ გაუ||გინგართას!** „ღმერთმა შეგარგოს (ზედმიწ. — შაქრ-ად და თაფლ-ად შეერგოს||ექნეს!)!"

მეხოლჲ ჯა̈ჲხა! (ბქ.) „მეხი დაგეცეს (ზედმიწ. — მეხ-ი-მც გცემია!)!" შდრ. მეგრ. დიალ. **მეხი ქიგერნთხაფუდას** „მეხი დაგცემოდეს!"

გიმჟი ჭიშხს დე̄მ იგემ (ჩოლ.) „ამაყია, მედიდურია (ზედმიწ. — მიწაზე ფეხს არ დგ-ამ-ს)", შდრ. ქართ. მიწას ფეხს არ აკარებს და მეგრ. დიალ. **დიხაშა ვე გუბიჯგუ კუჩხი** „ამაყია, მედიდურია (ზედმიწ. — მიწაზე არ უდგას ფეხი)" და ა. შ.

ან ორში მაინც:

ქართ. **გული დაეწვა**, შდრ. მეგრ. დიალ. **გურქ ქელაჭუ** „გული დაეწვა"

ქართ. **ამ ქვეყნისა არ არის** „მომაკვდავია", შდრ. მეგრ. დიალ. **თე ქიანაშ ვა რე** „მომაკვდავია"

ქართ. **ქვეყანა დააქცია** „გაბრაზდა", შდრ. მეგრ. დიალ. **ქიანა დოტატარუ** „გაბრაზდა (ზედმ. — ქვეყანა დააქცია)"

ქართ. **წყალივით იცის**, შდრ. მეგრ. დიალ. **წყარცალო უჩქუ** „კარგად იცის (ზედმიწ. — წყალ-ი-ვით იცის)"

ჭირ ეჩე ი ხინ ამე; ხოლა მა̈გ ეჩე, ხოჩა ამჩუ; ხოლე̄მი მუჩჲმა ჩიგარ ხოლა, ხოჩე̄მიშ — ხოჩა! (ბზ., იქვე, 421:16-17) „ჭირი იქა და ლხინი აქა; ცუდი ყველაფერი იქ, კარგი აქ; ცუდის მომქმედნი („მ-ქმ-ნ-ელ-ნ-ი") ყოველთვის ცუდნი („ცუდი"), კარგის — კარგები („კარგი")!"

კროხ დადჲშა̄ლ ციაგე (ჩოლ.) „მოუსვენრობს", შდრ. მეგრ. დიალ. **მასქუალ ქოთომცალო ვეგიაცადინე** „მოუსვენრობს (ზედმიწ. — კვერცხმდები ქათამივით ვერ ჩერდება)" და სხვ.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში იყოს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ჰქონდეს ადგილი), მაგ.:

დაგრაშ პილს ლახბეკ (ბქ.) „სიკვდილის პირას მიიყვანა (ზედმიწ. — სიკვდილის **პირ-ს** მიაბჯინა)", შდრ. მეგრ. დიალ. **ოღურუ კარიშა მეცონაფა** „გაამწარა, გააუბედურა (ზედმიწ. — სიკვდილის კარ-⌈ისა⌉-მდე მიყვანა)"

კჷნჩხჸი ხახჶ ნომა ემჭკორა! (ლშხ.) „ვერაფერს დამაკლებ, ვერ მომერევი“, შდრ. ქართ. კისერზე ხახვი არ დამაჭრა! შდრ. მეგრ. დიალ. **ცუჯიშა ხვარხვი ვეგმოჭკირას** „ყურებზე ხახვი არ დამაჭრას!“

ნესყამეფტაქა ლიზი (ბქ.) „მონდომება, მიზნის მისაღწევად ძნელი საქმის გაკეთება (ზედმიწ. — **ნემს-გახვრეტილში სვლა**)“, შდრ. ქართ. ნემსის ყუნწში გაძრომა და მეგრ. დიალ. **ლიშიშ წვანდის გითილენს** „ნემსის ყუნწში გაძვრება“. მეგრულში, აღნიშნული გამონათქვამის გარდა, მონდომების მნიშვნელობით, გვხვდება სხვა ფორმებიც, მაგ.: **დიხაშ გურშა გენურს** „მიწის გულში ჩაძვრება“, **ქუას გორხუნს** „ქვას გახვრეტს“.

უშკჷთე ბჷლთი ლიყჷბე (ბზ.) „გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტინება, რისამე თქმის საშუალების მოსპობა“, შდრ. ქართ. პირში ბურთის ჩაჩრა („ჩატენვა“) და მეგრ. დიალ. **პიჯი გემჭკადუ** „გამაჩუმა (ზედმიწ. — პირი ამომიჭედა)“, რომელიც ქართულ-სვანურთან მხოლოდ სემანტიკურ თანხვედრას გვიჩვენებს.

ხოჩა დოშდულჟი ლგთäჷ (ბქ.) „ბედნიერი (ზედმიწ. — კარგ **მთვარე**-ზე დაბადებული)“, შდრ. ქართ. ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული და მეგრ. დიალ. **ბედინერ დღაშ დუნაბადი** „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული (ზედმიწ. — **ბედ-ნ-იერ-ი დღ-ის და-ბად-ებ-ულ-ი**)“

შდიქ-ლელგჷის იყჷფე „ძალიან ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — კბილ-სა-გულ-ე-ს იძრობს)“, შდრ. ქართ. კბილებს იყრევინებს და მეგრ. დიალ. **კიბირს უწკირწკინუანს** „ბრაზობს, ჯავრობს (ზედმიწ. — **კბილ-ებ-ს** აღრჭიალებს)“

ეჩა ჭგშხრე ნაბარდ დემეგ ხაჯეშ (ბქ.) „ყოვლად უღირსია, უვარგისია (ზედმიწ. — იმის ფეხების **ნა-ბან-ად არ ღირს**)“, შდრ. ქართ. იმის ხელის ნაბანად არ ღირს და მეგრ. დიალ. **კუჩხიშ ნაბონაშა ვა ღირუ** „ფეხის ნაბანად არ ღირს“ და, აგრეთვე, **ნარჩხიშა ვაღირუ** „უვარგისია (ზედმიწ. — ნა-**რეცხ**-ად **არ ღირ-ს**)“

მერმემ შჭäრშჶ ცხვნდრე ლიკედ „სხვისი საშუალებით ძნელი ან სახიფათო საქმის კეთება (ზედმიწ. — მე-**ორ**-ის ხელებით ნაკვერჩხლების აღება)“, შდრ. ქართ. სხვისი ხელით ნარის გლეჯა და მეგრ. დიალ. **შხვაშ ხეთ ოკო ლაკვატაშ ცოთამა** „სხვისი ხელით საქმის გაკეთება (ზედმიწ. — **სხვ**-ის-ი **ხელ**-ით უნდა **კეტ**-ის სროლა)“. სემანტიკურად სამივე ქართველური ენის მონაცემი სრულ იდენტურობას ამჟღავნებს.

ნებგჷაშ წკäლ მექჷცე „უსირცხვილო, უსინდისო (ზედმიწ. — შუბლის ძარღვგაწყვეტილი)“, შდრ. ქართ. შუბლმორეცხილი და მეგრ. დიალ. **ცვა ეკორჩხილი** „უსირცხვილო, უსინდისო (ზედმიწ. — შუბლ-გა-**რეცხ**-ილ-ი)“

გჷიმშჳჵედ ხოფუე (ბქ.) „გულ-მუცელი ეწვის ⌈მწუხარებისგან, დარდისგან...⌉ (ზედმიწ. — **გულ**-ი და მკერდი უდუღს)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურ დო ჩხონჩხიქ დაჭუ** „დამწუხრებულია (ზედმიწ. — **გულ**-ი და ფილტვი ე-**წვ**-ი-ს)“

თეთე ფხულე დემ იძგირი (ბქ.) უკუნია, ძალიან ბნელა (ზედმიწ. — **თვალ**-⌈ის⌉-კენ თითი არ ი-**ძგირ**-ებ-ა)“, შდრ. ქართ. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი (ისე ბნელა) და მეგრ. დიალ. **კითი ვემილინე თოლშა** „ძალიან ბნელა, უკუნია (ზედმიწ. — თითი არ მიიტანება **თვალ**-თან)“

ზისხ ი ზგნე ემგნწგრე „გამამწარა (ზედმიწ. — **სისხლ**-ი და წვენი გა-მო-მ-**წურ**-ა)“, შდრ. ქართ. სისხლი გამიშრო და მეგრ. დიალ. **ზისხირ გომსკირუ** „გამაწამა (ზედმიწ. — **სისხლ**-ი გამიშრო)“, **ზისხირ დობწუ** „გამაწამა (ზედმიწ. — **სისხლ**-ი გა-მო-მ-წ-ოვ-ა)“ და მრავ. სხვ.

ზოგჯერ ასეთი გამონათქვამები სამივე ენობრივ ერთეულში არ დასტურდება, მაგ.:

ჩხარა თäკჷქა ნäსკინ ზურალ (ბქ.) „ცუდი ყოფაქცევის, გაქნილი, გაიძვერა ⌈ქალი⌉ (ზედმიწ. — ცხრა **თოკ**-ზე ნახტომი ქალი)“, შდრ. ქართ. ცხრა თოკში გამძვრალი||ცხრა თოკიდან აშვებული „ათასგვარ გაჭირვებას გადარჩენილი, მეტად გაქნილი, გამოცდილი, ეშმაკი, გაიძვერა“, აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამი მხოლოდ ქართულ-სვანურისთვისაა დამახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზეც:

ხარგäდ ბაჩäრს „შეაყარე კედელს ცერცვი (ზედმიწ. — ელაპარაკე ქვებს)“

ლგცდ ხოგ (ბქ.) „ზედმიწევნით იცის, დაუბრკოლებლად აჩენს თავის ცოდნას რაიმე საგნისას (ზედმიწ. — წყლად უ-დგ-ა-ს)", შდრ. ქართ. წყალივით იცის. რა შეიძლება ითქვას აღნიშნული ფრაზეოლოგიური გამონათქვამის შესახებ? არის კი იგი ქართული „წყალივით იცის" ფორმის კალკი? მართალია, სემანტიკურად სრულ იდენტურობას ამჟღავნებენ, მაგრამ სტრუქტურულად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავუშვათ, რომ სვანური **ლგცდ ხოგ** სვანურისავე ნიადაგზეა წარმოქმნილი. რა თქმა უნდა, იმავეს თქმა ბევრ სხვა სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამზეც შეიძლება.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ იდიომატურ გამოთქმას **წყალივით იცის**-ს მეგრულში ეძებნება ეკვივალენტი (იხ. პირველ ჯგუფში).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მთელი რიგი გამოთქმები, როგორც მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, სემანტიკური მონოლითურობითა და სიმყარით გამოირჩევა ქართველურ ენებში (მაგ.: **ენის წვერზე მადგას, სამარეს უთხრის, მიწას ფეხს არ აკარებს, გული დაეწვა, შეაყარე კედელს ცერცვი, პირში ბურთის ჩაჩრა, კისერზე ხახვი არ დამაჭრა!** და ა. შ.). უნდა ითქვას, რომ იდიომის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ სემანტიკური მომენტია მიჩნეული (თაყაიშვილი 1961:29). ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით კი, „მიუხედავად სემანტიკური დამთხვევისა, გამორიცხული არაა, რომ ზემოდასახელებული ზოგიერთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამი დამოუკიდებელი წარმოშობის იყოს ორივე ენაში ერთნაირი საზოგადოებრივ-ისტორიული პირობების გამო" (საღლიანი 2011:154).

ცნობილია ისიც, რომ იდიომის გაგება, როგორც სიტყვის ეკვივალენტისა, ორგანულადაა დაკავშირებული მის სინტაქსურ ფუნქციასთან (თაყაიშვილი 1961:29). მეცნიერთა ერთ ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი ყოველი კომპონენტი დამოუკიდებელ სინტაქსურ ფუნქციას ასრულებდა, ანუ ფრაზეოლოგიური ერთეული გაიგივებული იყო თავისუფალ შესიტყვებასთან, მის ყოველ წევრს კი ესმებოდა დამოუკიდებელი კითხვა. ამგვარი ფორმალური მიდგომა დიდხანს იყო გავრცელებული მეცნიერებაში. არნ. თაყაიშვილის აზრით, ასეთი ანალიზით იჩრდილება ფრაზეოლოგიზმის, როგორც განსაკუთრებული სემანტიკური ერთეულის, ბუნება (იქვე).

აქ წარმოდგენილი საანალიზო მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ზემოაღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში (ვგულისხმობთ სამივე ქართველური ენის მონაცემებს) სრული იდენტურობა არა გვაქვს. სემანტიკური თანხვედრა არის, თუმცა არა სიტყვიერი შემადგენლობის.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, მაგ.:

თხერემ გჷერაჟი ლგპრისდე „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი... (ზედმიწ. — მგლის ტყავზე მონათლული)"

ალის იმდო ხერგადნი, მამაგჷეშ ჯექმენი, თხერემ გჷერაჟი ლი ლგპრისდე (ბქ.) „ამას რაც არ უნდა უთხრა, აზრი არა აქვს, შეუბრალებელია||ბოროტია („ამას რაც უნდა ელაპარაკებოდე არა საქმე გემატება, მგლის ტყავზე არის მონათლული")".

მოცემული გამოთქმის პარალელურად ბალსქვემოურში გვხვდება, აგრეთვე, **თხერე ლგპრისდე** „მგელი მონათლული" ფორმაც. ჩვენი აზრით, ორივე გამოთქმა შესაძლოა ქართული „მგელს სახარებას უკითხავდნენ" გამოთქმის ანალოგიით იყოს შექმნილი, თუმცა სტრუქტურულ-სემანტიკურად სრულიად განსხვავებულია, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი გამოთქმები საკუთრივ სვანურ ფორმებად მივიჩნიოთ.

სვანურში ასევე დასტურდება გამოთქმა **თხერან ლეჟრი**[1] (ბქ.) „საცოდავი, საწყალი (ზედმიწ. — მგლისგან საწყალი||საცოდავი)", რაც სხვა ქართველურ ენებში არ დაფიქსირებულა.

[1] ადამიანი, რომელიც ყველასგან განწირულია, არავის ელოდება, არავინ ზრუნავს მასზე, არც შინაური და არც გარეული; ასეთ ადამიანზეა ეს გამოთქმა.

თხერემ ჰარჴისგა ლირდე „წვალებაში, ცუდ პირობებში ცხოვრება (ზედმიწ. — მგლის **ხახა**-ში ყოფნა)"

თხერემ ჰარჴისგა გეზლირიშ ლირდი გუნ გარჯ ლი ბქ. (ცხუმ.) „წვალებაში, ცუდ პირობებში, ცუდი ადამიანების გარემოცვაში შვილების გაზრდა ძალიან რთულია („მგლის **ხახა**-ში შვილების გაზრდა მეტისმეტი **გარჯა** არის")";

თხუმემ პერდ ლიგნე „თავის გახეთქვა (ზედმიწ. — თავის ქაფად და-დგ-მ-ა)"

ზურალა̈შ ნგნემ მგჷნა ჰედ ესერ ნამწედი, მოდეი თხუმემ პერდ ლიგნე (ლხმ.) „ქალის გამჰორავმა||სახელის გამტეხმა ან თავი უნდა იმართლოს, ანდა თავად დაისჯებაო („ქალის **ენ**-ის მ-დგ-მ-ელ-ს ანო თავის გასამართლებელი, ანდა თავის ქაფად და-დგ-მ-ა")";

სკელ-ჰიშხ ჩუ მეჩდე||შიჰიშხ ჩუ მეფშუ̈დე||თხუ̈იმ ჩუ მეფშუ̈დე „ადამიანი, რომელიც საკუთარ გარეგნობაზე და ჩაცმა-დახურვაზე არ ზრუნავს, არ აინტერესებს ან უდარდელობის, ან რაღაც დიდი დარდის გამო (ზედმიწ. — წვივ-ფეხი ჩასული||ხელ-ფეხი ჩაშვებული||თავი ჩაშვებული)" .

ეძზუ ხოლა ენჰიე, ერე თხუ̈იმ ჩუ მეფშუ̈დე ხარ ი დემლა ფეშნი (ბქ.) „იმდენ ცუდს მოესწრო, რომ საკუთარ თავზე აღარ ფიქრობს და არც არაფრის დარდი აქვს („ის-**ზომა** ცუდი მოისწრო, რომ თავი ჩაშვებული აქვს და არასთვის ზრუნავს")";

ძუღუ̈აშ მელ ამჩეხუ̈ნე „გამაწამა, გამაწვალა (ზედმიწ. — **ზღვ**-ის ბალახი მომაძოვინა)"

სერ დემეგ მა̈მედა, ამნემდ ძუღუ̈აშ მელ ამჩეხუ̈ნე (ბქ.) „მეტი არ შემიძლია, ამან გამამწარა|| გამაწამა („მეტი არ მ-ე-იმედ-ებ-ა, ამან **ზღვ**-ის ბალახი მომაძოვინა")";

წყგლიანდ ლიჲდა̈ნი „სისუფთავის დაცვა (ზედმიწ. — **წყლ**-იან-ად დაკავება, დაჭერა)"

ფა̈გოᒥსᒣ ... წყგლიანდ ხოჲდა̈ნა̈ნ ი ხუღუ̈ა̈ნ მა̈გ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 153:36-37) „ფაგოს ყველაფერი სუფთად ჰქონდა („**წყლ**-იან-ად ეკავა და ჰქონდა ყველაფერი")";

წყილჲა̈ნდ მგსყე „გასუფთავებული (ზედმიწ. — **წყლ**-იან-ად კეთებული)"

აშხუ̈ ა̈გის ლაყუ̈რა ხა̈რხ ი ეჩეჩუ̈ნ წყილჲა̈ნდ მგსყე ხა̈რხ მინე სადგუ̈ემ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 83:31-32) „ერთ ადგილას დასაწოლი აქვთ და იქ თავიანთი („მათი") ბინა („სა-დგ-ომ-ი") გასუფთავებული აქვთ („**წყლ**-იან-ად კეთებული აქვთ")";

ცხარა̈რთეჲე ლიკედ „აბუჩად აგდება (ზედმიწ. — **ფრჩხილ**-ებ-ᒥისᒣ-კენ-ზე აღება)"

ალ მეზგე ცხარა̈რთეჲი ენკიდხ (ბქ.) „ეს ოჯახი აბუჩად აიგდეს („ეს მოსახლე **ფრჩხილ**ებᒥისᒣკენზე აიღეს")";

ყაბა̈ ნა̈ცსა̈უ̈ გიმს ესდე (ბქ.) „სიმწრისაგან ყველაფერი ჩამოიხოკა („**უბ**-იᒥსᒣ ნა-თეს-ავ-ი მიწას და-დ-ო")";

... **ყაბა̈ ნა̈თსა̈უ̈ს დჷმის იცუ̈რე** (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46:3-4) „ჩამოიხოკავს ყველაფერს („**უბ**-იᒥსᒣ ნა-თეს-ავ-ს არ იტოვებს")";

ჰუ̈ენაჲთე მგსგდი „ძუნწი (ზედმიწ. — **უბე**ში მზერი)"

ჰუ̈ენაჲთე მგსგდის მერმათე ლაწუ̈ე დემ'ესერ ხარ (ბქ.) „ძუნწი ადამიანი სხვაზე არ ზრუნავსო („**უბ**ᒥისაᒣკენ მზირალს მე-ორ-ᒥისᒣ-კენ სახედი არო აქვს")";

სადა̈რ-კუდა̈რიშ ჭაჭა̈რლეჲა ლიჲერ „გალანძღვა, გათათხვა (ზედმიწ. — **წყევლა-კრულვ**ის ზურგს ქვემოთ დარტყმა)"

ეჯგუ̈ა̈რ ენხირნან, ერე სადა̈რ-კუდა̈რ ჭაჭა̈რლეჲა ხაჴიდ (ბქ.) „ისე გაბრაზდა, რომ გალანძღა, გათათხა („**წყევლა-კრულვა** ზურგს ქვემოთ დაარტყა")";

ქუ̈ინ ყიას მეშა̈ნ „ბევრი საქმე მაქვს, გაწამებული ვარ (ზედმიწ. — სული ყელს მასხია)"

ისგოუ̈დ მიჲიბა?! ქუ̈ინ ყიას მეშა̈ნ (ბქ.) „შენთვის მცალია?! ბევრი საქმე მაქვს, გაწამებული ვარ („შენთვის მიცლია?! სული ყელს მასხია)";

ყაბა̈რდჲა̈შ მუხუ̈იტან „ავი, ცუდი ზნის (ზედმიწ. — **ყაბარდ**ოს ამომწყვეტი)"

ალ ზურალäშ მä ჯამბაჟხ?! ყაბäრდჲäშ მუხჳიტან ლი (ბქ.) „ამ ქალის რა გიკვირთ?! ავი, ცუდი ზნისაა („ამ ქალის რა გიკვირთ?! **ყაბარდო**-ს ამომწყვეტი არის)“;

მგცხი-äთუäშ ლიქჳეჲნე „ხელისგულზე ტარება, განებივრება, კარგი პირობების შექმნა (ზედმიწ. — ცივ-ცხელის გაგრილება[1])“

თელღგრას მგცხი-äთუს ხოქჳეჲნეხ, მარე ეჯღäჲ დემ იგნი ქორისგა (ბქ.) „რძალს ხელისგულზე ატარებენ, მაგრამ მაინც არ ჩერდება სახლში („რძალს ცივ-ცხელს უგრილებენ, მაგრამ მაინც არ **დგ-ებ-ა ქორა**-ში)“.

გვხვდება სხვა მნიშვნელობითაც, მაგ.:

მგცხი-äთჳჲäშ ლიჴდე „შიშისაგან გაქრქოლება, ციებ-ცხელების მოგვრა (ზედმიწ. — ცივ-ცხელის მოტანა)“

მაყაჳშ მგცხი äთუ ოხჴად‖ოხშყად (ბქ.) „შიშისაგან ციებ-ცხელება დაემართა („შიშით ცივი სიცხე მოუვიდა‖მოუვარდა“), შდრ. ქართ. ციებ-ცხიელება „მოუთმენელი სისწრაფე, აჩქარება, რისამე კეთების დროს სულსწრაფობა“.

ჩვენი აზრით, სვანური ფრაზეოლოგიური გამონათქვამი **მგცხი-äთჳჲäშ ლიჴდე** საკუთრივ სვანურია, მაგრამ თუკი იგი სვანურმა ოდესღაც ქართულიდან ისესხა, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული გამოთქმა მსესხებელმა ენამ კიდევ უფრო დააკონკრეტა, რაც, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია, ანუ გათვალისწინებულია ახალი გარემო და სათარგმნი ერთეული მისთვის ნიშანდობლივი სახით გადმოიცემა (თაყაიშვილი 1961:110).

გეშლäრლეჟა ნამტრუკჳალ „ცელქი, მოუსვენარი (ზედმიწ. — **გეშლარ**-ის ზემოთ ნაკუნტრუშები, შდრ. ქართ. „მუტრუკ-ი“)“

ანჴადხ გეშლäრლეჟა ნამტრუკჳალ ბოფშäრ ი სოფელს ჟიბოჳიშ ჩუბოჳ ხäყერხ (ბქ.) „მოვიდნენ ცელქი‖მოუსვენარი ბავშვები და სოფელი აურ-დაურიეს („მოვიდნენ **გეშლარ**-ის ზემოთ ნაკუნტრუშები **ბავშვ**-ებ-ი და **სოფელ**-ს ზემოთის ქვემოთ დამართეს)“. ამ წინადადებაში, როგორც ვხედავთ, მეორე ფრაზეოლოგიური გამოთქმაც გამოვლინდა, ესაა **ჟიბოჳიშ ჩუბოჳ ლიყრინე** „არევა, აწიოკება, არევ-დარევა)“, რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დატვირთული და სხვა ქართველური ენებისთვის უჩვეულო გამოთქმაა, ესეც, რასაკვირველია, გამოთქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ნიმუშია.

ჳიცხილდ ზაგäრჟი ლიქქჳე „შორს, მოუსვლელში წასვლა (ზედმიწ. — ვიცხილდ ზაგარზე ჩაცუცქება)“

მიშგჳახენ ათხეჲ ჳიცხილდ ზაგäრჟიოლჳ ქუქჳდäს! (ბქ.) „ისემც გიქნია, მოუსვლელშიმც წასულხარ („ჩემგან ახლაც ვიცხილდ ზაგარზემც ჩაცუცქულხარ!“)!“

ისგეშცახäნ ლირდეს, ჳიცხილდ ზაგäრჟი ხჳიქქჳი, ეჯი მიცხა (ბქ.) „თქვენთან ყოფნას მოუსვლელში წასვლა მირჩევნია („თქვენთან ერთად ყოფნას, ვიცხილდ ზაგარზე რომ ვიყო ჩაცუცქული, ის მირჩევნია“)“;

ნäმპარდ ლიგენე „თავის გაპობა (ზედმიწ. — **ლამპრ**-ად და-**დგ**-მ-ა)“

თხჳიმ ნäმპარდ ოთგენე (ლნტ.) „თავი გაუხეთქა („თავი **ლამპრ**-ად და-უ-**დგ**-ა)“;

თხჳიმიშ შოლელდ ლიგნე „თავის გაპობა (ზედმიწ. — თავის ხლეჩად და-**დგ**-მ-ა)“. **შოლელ** ფორმა სვანურში იდიმატური გამოთქმების გარდა ცალკე ლექსიკურ ერთეულად არ დასტურდება.

ხჳäჲს ნომ როქ იჩო, ედო თხჳიმს როქ შოლელდ ხოგნე! (ბქ.) „წესიერად მოიქეციო, თორემ თავს გაგიპობო („**ხვავ**-ს **ნუ**-არ-ო იქმს, თორემ თავს შუაზე და-უ-**დგ**-ამ-ს!“)!“

ფისეგარგასისგ'ოლჳ ხარ ლაქუნ! (ბქ.) „ჯოჯოხეთი იყოს მისი სამკვიდრო (ზედმიწ. — მდუღარე **ფის**-ში-მც აქვს სასულეთი!)!“

---

[1] ანუ ცივს რომ უცხელებენ და ცხელს უგრილებენ.

წინალდ ი წირკამა̈ლდ ლიბლოჷკე (ბზ.) „სრულიად მოსპობა, განადგურება, ამოწყვეტა (ზედმიწ. — ნასახად და ძირფესვიანად ამოწყვეტა)";

დეც ა̈შდქე ლი (ბზ) „მოღრუბლულია (ზედმიწ. — ცა მაკე არის)"

დეც ჰა̈შთქე (ბქ.) „მოღრუბლული (ზედმიწ. — ცა მაკე)". **შენიშვნა:** როცა ცა ღრუბლით დამძიმებულია, მზეს ძალა მოკლებული აქვს, ასეთი შემოდგომის ცაზე ამბობენ.

მეცხამ გადან ჰა̈შთქე ესერ ლი (ბქ.) „პროცენტიანი ვალი დღითი-დღე იმატებსო (ზედმიწ. — მზარდი ვალი მაკეო არის)";

გა̈ლ ხა̈რ მეჩდე „არაქათი აქვს გამოლეული, სუსტადაა (ზედმიწ. — ძალა, არაქათი აქვს წასული)"

... **ლეგმერდე˹ს˺ გა̈ლ ხჷრი მეჩდე ი ლიქჵთუნა̈ლ მა̈ ხჷდმედი, ეჩქა ღგრიხ ი ითხჷლიხ ჟი ხოჩა მელობძოჵა̈ლს** (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 246:25-27) „როდესაც ავადმყოფს ძალ-ღონე ექნება გამოლეული („წასული") და განძრევის თავი არ ექნება („ქანაობა არ ე-**იმედ**-ებ-ა"), მაშინ მიდიან („წავლენ") და მოძებნიან ხოლმე კარგ ლობიოზე მკითხავს („მე-**ლობიო**-ე-ს")";

დეცქა ლისკჵრუნე „ზედმეტად ამაყი ადამიანი, კუდი რომ ყავარზე აქვს გადებული (ზედმიწ. — ცა-ზე აშადრევნება||პკურება)", ისეთ ადამიანზე ამბობენ, ვინც ძალიან ამპარტავანია, საქმით იქნება თუ სიტყვით, ყველაზე ამაღლებულად ცხოვრებას რომ ცდილობს, თუმცა შესაძლებლობა არა აქვს.

ახიპ გჵი, დეცქა ლისკჵრუნედ გჵი ხარ (ბქ.) „გული გააწყალა, ცაში ფრენა მოინდომა („გახეთქა გულ-ი, ცა-ზე პკურ-ებ-ად გულ-ი აქვს")";

დაგრა, ხოშა ღერმეთღოა?! (ბქ.) „აფსუს (ზედმიწ. — სიკვდილი, დიდ **ღმერთ**-ს ვფიცავარ!)?!"

დეციშ ლიღრა̈ჵი[1] „ენით ქვეყნის აშენება (ზედმიწ. — ც-ის და-ღარ-ვ-ა)"

ნჷნშჵ დეცს ესერ ღა̈რს ხა̈გნე ი ჰემ ტჷტლისგა ხოზ (ბქ.) „ენით ცას გახეთქავსო და უკანალი ნაცარში უდევსო („ენ-ით ცა-ს-ო ღარ-ს ა-დგ-ამ-ს და უკანალი ნაცარ-**ტუტა**-ში უ-ძ-ევ-ს")";

ეშხუ თე ლაფსყალდთე ხუღჵა „ელამია (ზედმიწ. — ერთი **თვალ-ი ლაფსყალდ**-˹ის˺-კენ აქვს)"

ლესდიდ ეჯღა̈ძ ხეყადდეს, ეშხუ თე ლაფსყალდთე ხუღჵა (ბქ.) „შესახედავად მაინც ვარგოდეს, ელამია („შესახედად მაინც ვარგოდეს, ერთი **თვალ-ი ლაფსყალდ**-˹ის˺-კენ აქვს")";

ყაბლა̈ჰმინაშ ნაღჵეჟურ „ახალგაზრდა ბიჭი (ზედმიწ. — წვერმოსასმელი ნა-ვაჟ-ევ-ი)"

ხოჩამთექა მეჰდე ნაღჵეჟურ ლა̈სჵ, ყაბლა̈ჰმინაშ (ბქ.) „ახალგაზრდა ბიჭი იყო („კარგისკენგა მოსული ნა-ვაჟ-ევ-ი იყო, **ყბა**-მოსასმელისა")" და მრავ. სხვ.

ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთაც ქართულსა და მეგრულში ეკვივალენტი არ დაეძებნათ, უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია, რომ მსგავსი მასალა სჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

რაც შეეხება სხვა ქართველურ ენებს, რა თქმა უნდა, იქაც გვხვდება მხოლოდ ამა თუ იმ ენობრივი ერთეულისთვის დამახასიათებელი იდიომი (მაგ.: ქართ. **ქვა ააგდო, თავი შეუშვირა** „იუარა", **კუდი ყავარზე აქვს გადებული** „ამაყია", **დარჯაკში გამოივლის||დარჯაკში გატარდება** „დიდ გამოცდილებას მიიღებს, გამოიწრთობა"...; მეგრ. დიალ. **ბოპორ ქიჩანუ** „გაბრაზდა (ზედმიწ. — ტალღა გამოისხა)", **მუნდ მეტახილ რე** „მეტიჩარა (ზედმიწ. — უკანალ-მო-**ტეხ**-ილ-ი-ა)", **ფურკ ქიმეჩუ** „შეუტია, გაუხურა (ზედმიწ. — ბოლი მისცა)", **გერიშ გიმახვენჯი** „ყველაფერზე წამსვლელი (ზედმიწ. — **მგელ-ზე** მჯდომი)", **ფსუა ელატახილ ქოთომცალო გილურს** „მარტოხელაა (ზედმიწ. — ფრთამო-**ტეხ**-ილ-ი **ქათამ**-ი-ვით-ა-ა)", **გურს გენია მონტებული** „შეყვარებულია (ზედმიწ. — **გულ**-ს ცეცხლწაკიდებული)", **ჯაქვა ბორიას!** „მტრისას (ზედმიწ. — **ძელ-ქვა ქარს!**)!" და ა. შ.

---

[1] როცა კაცს საქმით არ შეუძლია და ენით იმაზე მეტს ლაპარაკობს და თავის ქებით სხვას თავს მოაბეზრებს, ამის შესახებ ითქმის.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ **გულ** სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში. აქაც გამოიყოფა საკუთრივ სვანური მასალა, მაგ.:

გუდ ლა̈ჭი̄და̈რ „მისახვედრი (ზედმიწ. — გულ-ად მოსატანი)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურგოჩამილი** „მიხვედრილი (ზედმიწ. — გულ-ის გა-მ-ც-ემ-ი)“

გუდ ლა̈ჭი̄და̈რ ლი, ერე ალ ბაჩჷჳე̄ნ წეს მურყუამ ლგმგენელი შომჷა̄ლე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 99:35-36) „მისახვედრია („გულ-ად მოსატანი ა-რ-ი-ს“), რომ ამ ქვაზე ოდესღაც სერიოზული („წეს-იერ-ი“) კოშკი მდგარა“;

გუდ ლიჲედ „მიხვედრა (ზედმიწ. — გულ-ად მოსვლა)“

ეჩქა მა̄რე გუდ ჲედენდ'ე̄რე ალა აშ მირ მა̄მა ლი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 81:1) „მაშინ ადამიანი („კაცი“) ხვდებოდა („გულ-ად მოდიოდა“), რომ ეს უბრალო რამე არ იყო („ეს ასე რაღაც არ იყო“)“

სოფელ გუდ ახოჲად ალ მარას (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 293:29) „სოფელი მიუხვდა („გულ-ად მოუვიდა“) ამ კაცს“;

გუ̈მი ლიჳდი „დაკვირვება, ყურადღების მიქცევა (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ მიცემა)“

ალეს მე̄ჳარ გუს ხა̄ჳდიხ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 265:12) „ამას ძალიან დიდ („მეტისმეტ“) ყურადღებას აქცევენ („გულ-ს აძლევენ“)“;

გუ ხოლა ნომ აჯადდეს (ბქ.) „არ გეწყინოს („გულ-⌜ს⌝ ცუდი ნუ-არ გეყოს, გიქნას“)“;

გუ̈ის აშ მახჳტური (ბქ.) „გული მეთანაღრება („გულ-ს ა-ს-ე მათლის“)“;

გუ̈მი ნა̈ხიპჳი ჟი ლიდე̄სგი „გულამოსკვნილი ტირილი (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ ნახეთქი⌜ს⌝ ამოდება)“

ეჯჳინ იგჳნი, ერე გჳიმი ნა̈ხიპჳს ჟი დე̄სგი (ბზ., სვან. პრ. ტექსტ., 1939, 221:22) „ისე ტირის, რომ გული საგულედან უვარდება („გულ-ი⌜ს⌝ ნაფლეთს ამოდებს“);

გუ̈მი ლიჩა̈ხჳ „სინანული (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ ცოხნ-ა)“

ქელეფენ ესერ ჯიჯჳს ხეჩა̈ხჳ ი სურჳ მგჰდგრე მიჩა გუ (ბზ.) „ძვალს ჰამსო და მეტისმეტი სინანული თავის გულსაო („კეთრიო ძვალს ცოხნ-ის და მეტისმეტი მომნანიებელი მის გულ-⌜ს⌝“)“ ...

არანაკლებ საინტერესოდ გვესახება შემდეგი გამოთქმა:

გჳიმი ნა̈ხიპიშ ქა̈მინჩუ ლიდისგ „გულის ამოგდება ⌜ტირილით⌝ (ზედმიწ. —გულ-ი⌜ს⌝ ნახეთქის გარეთ დ-ებ-ა)“

⌜**ალი**⌝ **იგჳნი, იგჳნი, გუ̈მი ნა̈ხიპჳს ქა̈მინჩუ ა̈დისგ** (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 227:2) „ეს ტირის, ტირის, გული ამოიგდო ტირილით („გულ-ი⌜ს⌝ ნახეთქს გარეთ დ-ებ-ს“)“ და მრავ. სხვ.

და, აგრეთვე, ქართულ-მეგრულთან საზიარო მასალაც:

გჳი ოხჲად (ჩოლ.) „გაბრაზდა (ზედმიწ. — გულ-ი მოუვიდა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ მოცონაფა** „გაბრაზდა (ზედმიწ. — გულ-ი მო-ი-ყ-ვ-ან-ა)“

გჳიმი კჳაშა||კჳეშა (სვან.) „გულის დაწყვეტა (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ ტეხვა)“, შდრ. მეგრ. დიალ. **გურიშ გოტახუა** „გულის წყვეტა (ზედმიწ. — გულ-ის გატეხვა)“

გჳიმი ქა ლინარჰე (ბქ.) „კარგ ხასიათზე დადგომა, გახარება (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ განათება)“, შდრ. ქართ. გულში ნათელი ჩაუდგა, გული გაუნათდა

გჳიძსგა ლუსმა̈რშალ მისჳ (ბქ.) „რაღაც მაწუხებს, მტანჯავს, მაწვალებს („გულ-ში ლურსმანივ-ით მარჰვია“)“, შდრ. ქართ. გულზე ლურსმნად დგომა „ტანჯვა, წვალება, წამება... და მეგრ. დიალ. **გურს ისმარო** (**ძიგირო**) **დიავძუ** „რაღაც მაწუხებს, მტანჯავს, მაწვალებს“

გჳიმი ხეპა „ჯავრი, ბრაზი (ზედმიწ. — გულ-ი⌜ს⌝ ხეთქვა)“, შდრ. ქართ. გული მომიკლა, გამიხეთქა და მეგრ. დიალ. **გურ დომვილუ** „გული მომიკლა“, **გურიშ სოფუა** „გამწარება (ზედმიწ. — გულ-ის გახევა)“

ამანდ ხოშა დემეგ მäმედა, ამნემდ გუი ხäპდ ლამგენე (ზქ.) „მეტი არ შემიძლია, ამან გული გამიწყალა||სიცოცხლე გამიმწარა („ამაზე დიდი არ მ-ე-იმედ-ებ-ა, ამან **გულ-ი** ხეთქვად დამიყენა")"

ამშა ჯäურდ გუი ემხიპ (ჩოლ.) „ამაზე დარდმა გული მომიკლა (ზედმიწ. — **გულ-ი** გამიხეთქა)" და ა. შ.

რამდენიმე მეგრულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს ეკვივალენტი აღმოაჩნდა მხოლოდ ქართულში, მაგ.:

გური დო შური ვადურკებუ (მეგრ.) „ყველაფერი გაუკეთა, ზრუნვა და ყურადღება არ დააკლო (ზედმიწ. — **გულ-ი** და **სულ-ი** არ და-უ-კლ-ი-ა)", შდრ. ქართ. გული და სული არ დაუკლია

გური დო შური დღას მითინიშა ვადურკებუ, ღორონთიე მოწამე (მეგრ.) „მზრუნველობა არავისთვის დაუკლია, ღმერთია მოწამე („**გულ-ი** და **სულ-ი** არ და-უ-კლ-ი-ა, **ღმერთ-ი-ა მოწამე**")"

გურქ ქელაპუ (მეგრ.) „გული დაეთუთქა (ზედმიწ. — **გულ-ი** შიგ მოეწვა)", შდრ. ქართ. გული დაეწვა

გურიშ ელაფა (მეგრ.) „გულის აცრუება (ზედმიწ. — **გულ-ის** ავარდნა)", შდრ. ქართ. გულის აცრუება და სხვ.

ქართულსა და მეგრულშიც დაფიქსირდა **გულ-** ფუძის შემცველი უამრავი ისეთი იდიომატური გამოთქმა, რომელთაც შესატყვისი არ დაეძებნათ სვანურში (მაგ., ქართ.: **გულზე მუწუკივით ბმა** „რაიმე ან ვისიმე ამბავი საშინლად ადარდებს ან ანაღვლებს", **გულზე ვარდის გადაფენა** „უსაზღვროდ გახარება, ნეტარება, დაუსრულებელი სიხარული, სიამოვნება", **გულიდან კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს** „საიდუმლო გაუმჟღავნეს, გაიგეს, რაც გულში ედო, რასაც ფიქრობდა", **გულის ბუხრის ამოყრა** „დარდ-ვარამის გაზიარება სხვისათვის, თავისი თავისი მწუხარების შეჩივლება და გაქარვება, ვისიმე ჯავრის ამოყრა, მტრისთვის სამაგიეროს გადახდა", **გულმა უბა გააღო** „გამხიარ-ულდა, ნაღველი გადიყარა"; მეგრ.: **გურიშ ჩამა** „მიხვედრა", **გურიშ გოჩამა** „დაფიქრება, გარჩევა, გაანალიზება რაიმესი", **გურიშ იაჩამა||ელაჩამა** „რჩევა (გულისმიერი)" და მრავ. სხვ.

ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების შემცველი ფრაზეოლოგიზმები, როგორც ცნობილია, პროდუქტიულ ერთეულებს წარმოადგენენ ყველა ენაში და მათ შორის, რასაკვირველია, ქართველურ ენებშიც. ამჯერად ჩვენ შევეხეთ მხოლოდ „გულ"-სიტყვიანი სომატიზმების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომელთა სიხშირე ქართველურ ენებში განსაკუთრებით თვალში საცემია, და საინტერესოც, ვინაიდან ისინი „წარმოადგენენ ლექსიკურად არაშეთავსებადი კომპონენტების სინთეზს, რომელთა შეკავშირება უზრუნველყოფილია ადამიანის მატერიალურ და იდეალურ სამყაროთა კორელატების ადგილების გადანაცვლებით" (ჯანელიძე 1980:168).

ამრიგად, როგორც ფრაზეოლოგიზმების შეპირისპირებითმა ანალიზმა გვიჩვენა, სვანურს, რომელიც სხვა ქართველური ენების მსგავსად, მდიდარი და მრავალფეროვანი ფრაზეოლოგიზმებით გამოირჩევა, ბევრი რამ აქვს საერთო ქართულ-მეგრულთან, თუმცა მხოლოდ ცალკეული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიც შეინიშნება.

მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ჯგუფი:

1. **ფრაზეოლოგიური ერთეულები (ფრაზეოლოგიური გამონათქვამები)**, სადაც გვაქვს როგორც სიტყვიერი შემადგენლობის, ისე სემანტიკური თანხვედრა. ეს თანხვედრა ზოგჯერ შეიძლება გვქონდეს სამივე ენობრივ ერთეულში, ზოგჯერ კი მხოლოდ ორში.

2. სემანტიკური თანხვედრა შეიძლება იყოს, მაგრამ სიტყვიერ შემადგენლობაში იყოს სხვაობა (ან ნაწილობრივ ფორმობრივ თანხვედრას ქონდეს ადგილი). აქ წარმოდგენილი მთელი რიგი გა-მოთქმები სემანტიკური მონოლითურობითა და სიმყარით გამოირჩევა ქართველურ ენებში (მაგ.: **ენის წვერზე მადევს, სამარეს უთხრის, მიწას ფეხს არ აკარებს, გული დაეწვა, პირში ბურთის ჩაჩრა, კისერზე ხახვი არ დამაჭრა!** და ა. შ.).

მსგავსად სხვა ენებისა, ქართველურ ენებშიც ერთნაირი ლექსიკური შემადგენლობის ფრაზეოლოგიური ეკვივალენტების არსებობის ძირითადი მიზეზი, სესხება-კალკირების გარდა, უნდა იყოს ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ჩამოყალიბების საერთო უნივერსალური გზის არსებობა, ანუ მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილში ერთი და იმავე საგნის თუ მოვლენის მიერ ერთნაირი ასოციაციების გამოწვევის შესაძლებლობა, რაც იწვევს, მეცნიერთა თვალსაზრისით, სხვადასხვა ენაში ერთნაირი ლექსიკური ერთეულების შეკავშირების შესაძლებლობას. ალ. ონიანის აზრით, ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოიშობა გამოთქმის პირდაპირ და. გადატანით მნიშვნელობებს შორის ლოგიკურ-აზრობრივი მსგავსების ან რეალური მომიჯნავეობის საფუძველზე (1954:106).

არაა გამორიცხული, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი სვანურ ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი სრულიად დამოუკიდებლად იყოს წარმოშობილი მეცნიერებაში წარმოდგენილი საერთო უნივერსალური გზის, კერძოდ, „შიდაფრაზეოლოგიური ვალენტობის" (ავალიანი 1980:4) არსებობით, რომელიც ამა თუ იმ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის გადმოსაცემად ფრაზეოლოგიზმთა შიგნით გარკვეულ ლექსემათა მიზიდულობას, შეკავშირებას გულისხმობს.

3. სვანურში წარმოდგენილია ბევრი ისეთი იდიომატური გამოთქმა (ანუ წმინდა კუთხური კოლორიტის), რომლებიც სხვა ქართველურ ენებში არ შეინიშნება, ანუ არ დაეძებნათ სემანტიკური პარალელი დანარჩენ ქართველურ ენებში. ვინაიდან აღნიშნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ქართულსა და მეგრულში ეკვივალენტი არ დაეძებნათ, ამიტომ ისინი განვიხილეთ როგორც საკუთრივ სვანური. სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ მსგავსი მასალა სჭარბობს ქართველური ენებიდან კალკირებისა და სესხების გზით შემოსულ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს.

4. საკვანძო სიტყვის გამოყენების თვალსაზრისით ქართველურ ენებს აერთიანებთ გულ სიტყვის ყველაზე ხშირი ხმარება იდიომატურ გამოთქმებში. აქაც გამოიყოფა როგორც საკუთრივ სვანური, ასევე ქართულ-მეგრულთან საერთო მასალაც.

1. 8. ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართების შესახებ სვანურში

ფრაზეოლოგიის საზღვრების შესახებ, როგორც ცნობილია, მეცნიერებაში ორი სხვადასხვა თვალსაზრისია დამკვიდრებული.

ერთია შედარებით ფართო თვალსაზრისი, რომელიც ფრაზეოლოგიის რამდენიმე განსხვავებულ დახასიათებას აერთიანებს:

ა) ფრაზეოლოგიას მიეკუთვნება ყოველგვარი შესიტყვება, რომელსაც ახასიათებს ამა თუ იმ ხარისხის სიმყარე.

ბ) ფრაზეოლოგიაში შედის არა მეტყველების პროცესში წარმოქმნილი, არამედ ენაში მზა ფორმით მოცემული ყოველი გამოთქმა. ფრაზეოლოგიზმის გაჩენა, ზოგი ენათმეცნიერის თვალსაზრისით, ხშირი ავტომატური განმეორების შედეგია (ბოდუენ დე კურტენე). ამ გაგების მიხედვით ფრაზეოლოგიზმების გვერდით მოთავსდება ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმები, ანდაზები, აფორიზმები, რომლებიც ენაში მზა ფორმით არსებობენ და გადმოიცემიან ტრადიციით.

გ) ფრაზეოლოგიის განმსაზღვრელ ნიშნად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია მნიშვნელობის გადატანა. მ. მიხელსონის აზრით, ფრაზეოლოგიის საგანია სახოვანი სიტყვები და ანდაზური გამოთქმები, ანდაზები და ქცევები, დამახასიათებელნი ხალხის ენისათვის, ამასთან მათი აზრისა და გადატანითად ხმარების განმარტება (მიხელსონი 1912:6).

დ) ფრაზეოლოგია შემოიფარგლება იმ მასალით, რაც სრულიად არ ითარგმნება სხვა ენაზე, ან მისი ზუსტი თარგმანი შეუძლებელია.

ამ განმარტების მიხედვით ერთმანეთის გვერდით შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სტრუქტურის ერთეულები: იდიომები, ანდაზები, აფორიზმები, ლიტერატურული ციტატები, სიტყვის მასალა, ფრთიანი სიტყვები, კომპოზიტები და ა. შ. (თაყაიშვილი 1961:14).

ე) ფრაზეოლოგიაში ენობრივ მასალასთან ერთად შეაქვთ აგრეთვე ცალკეული მწერლის ენაში ნახმარი ნიშანდობლივი გამოთქმები და ფრაზები, რომელთაც საერთო-სახალხო სანქცია არა აქვთ. „ფრაზეოლოგიის ცნების მეტად გაფართოებისას მას აკუთვნებენ შესიტყვებებისა და სიტყვათგამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს, დამახასიათებელს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ან მთელი ლიტერატურული მიმართულებისათვის“ (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 45, 412).

როგორც ზემოთ ითქვა, ამ ფართო თვალსაზრისთა გვერდით მეცნიერებაში არსებობს მეორე განსხვავებული გაგება, რომლის თანახმად ფრაზეოლოგიაში ადგილი რჩება მხოლოდ კლიშეებს. ს. აბაკუმოვის განმარტებით, „ფრაზეოლოგია — ესაა სიტყვიერი შაბლონები, მზა სიტყვიერი კლიშეები, რომლებიც მექანიკურად მეორდებიან ერთნაირ შემთხვევებში“ (1942:26).

ა. თაყაიშვილის აზრით, „ფრაზეოლოგიაში ტოვებენ მხოლოდ იმას, რაც სრულებით არ უნდა იყოს მისი შესწავლის ობიექტი“ და მიაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ მეტისმეტად ზოგად და მყარ თვალსაზრისებზე დაყრდნობით ფრაზეოლოგიაში გზა ეხსნება სხვადასხვა სტრუქტურის მასალას და აქედან გამომდინარე ფრაზეოლოგიის საგნის დაზუსტება შეუძლებელი ხდება (1961:15).

ფრაზეოლოგიზმთან ურთიერთობის თვალსაზრისით, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩანს, სირთულეს ქმნის ანდაზასთან მისი მიმართების გარკვევა. ამ სირთულეს ნაწილობრივ ხსნიან ანდაზის ცნების დაუზუსტებლობითაც. საანდაზო კრებულებში შეაქვთ ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო. ძალიან ხშირად კი მათ იდიომებშიც ათავსებენ (იქვე:96-97). ზოგიერთი ავტორი, მიუხედავად იმისა, რომ ანდაზებს მიჯნავს იდიომებისაგან, მათ ფრაზეოლოგიაში მაინც ტოვებს (ნეიმანი 1941; ვულფიუსი 1929:48; არხანგელსკი 1950:78; იაკოვლევსკაია 1949:94-98).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ანდაზას ფრაზეოლოგიზმად მიიჩნევენ ოთხი საერთო ნიშნის გამო:

- **ორივე გადატანითი მნიშვნელობით იხმარება**
- **მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა ახასიათებთ**
- **ენაში მზა ფორმით არსებობენ**
- **შეიცავენ არქაიზმებს**

ამ ნიშანთაგან, როგორც ა. თაყაიშვილი შენიშნავს, მხოლოდ მეოთხე არ ჩანს აბსოლუტური, ვინაიდან არქაიზმები არ ახასიათებს იდიომებისა და ანდაზების უმრავლესობას (1961:97), თუმცა ზემოთ დასახელებული პირველი სამი ნიშანიც არაა საკმარისი ანდაზისა და იდიომის ერთ კატეგორიაში მოქცევისათვის (იქვე).

ანდაზასა და იდიომს შორის სხვაობას ქმნის შემდეგი:

1) ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი — წინადადება. „ანდაზის იგავისაგან განმასხვავებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გადმოსაცემი შინაარსი ერთ წინადადებაშია მოქცეული“ (ერთელიშვილი 1957:105). მაგ., *მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო, ნიორმა თავისი სიმყრალე სამ წელიწადს შეინახაო, ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო...* (თაყაიშვილი 1961:97).

2) ზმნური ფრაზეოლოგიზმი დასრულებულ აზრს არ გამოხატავს, მას აკლია ქვემდებარე: *წელებზე ფეხს იდგამს, ფეხს იკიდებს, გული აიყარა...* როგორც ცნობილია, ასეთი გამოთქმა ყოველთვის მოქმედების ჩვენებას ითვალისწინებს. ეს ზოგადი მოქმედება მიეყენება კონკრეტულ ვითარებას და გარკვეულ კონტექსტში ჩნდება კონკრეტული ქვემდებარე, მაგ.: (*მამამისი*) *წელებზე ფეხს იდგამს*, (*მის ძმისშვილს*) *თავში არაფერი უყრია, იმას კი კუდი ყავარზე აქვს გადებული...* სხვა სიტუაციაში სხვა

ქვემდებარეა მოსალოდნელი. რაც შეეხება სუბსტანტურ ფრაზეოლოგიზმებს, მათში შემასმენელია გამოტოვებული: *მკვდარი წერტილი, ნოეს კიდობანი, ტკბილი სიტყვა* და სხვ.

როგორც უკვე ითქვა, ანდაზა დასრულებულ აზრს გადმოგვცემს, რომელშიც სუბიექტი და პრედიკატი გამოთქმის ორგანულ ნაწილს შეადგენს, მაგ.: *არა შეჴდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი; ალიას დარდი ფლავიათ; ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება* და მისთ.

3) ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ეკვივალენტია, რომელიც რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის: *ენას კბილს აჭერს, ხაფანგი დაუგო* (შემასმენლის ფუნქციით); *დაბალი ღობე, აქილევსის ქუსლი* (ქვემდებარის ან დამატების ფუნქციით) და ა. შ.

ანდაზა კი ისევ და ისევ წინადადების ეკვივალენტია: *ქადა ორივე ხელით იჭმებაო, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო.* ამგვარი გამოთქმების ერთი სიტყვით გამოხატვაყოვლად შეუძლებელია.

4) ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, დამოკიდებულია წინადადების შინაარსზე, მაგ.: *სამარეს უთხრის, სამარე გაუთხარა, გაუთხარა სამარე.*

ანდაზის ენობრივი ტექნიკა, როგორც ცნობილია, მყარია, უცვლელია სინტაქსური რიგი: *მღვდელს ჭილოფში იცნობენო, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიაო* და სხვ.

5) ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს. ანდაზის მიზანი კი დიდაქტიკურია, იგი კონკრეტული ფაქტის გადმოცემასთან ერთად იძლევა აღმზრდელობით სენტენციას, მაგ., ანდაზა *ძაღლი ვინც მოჰკლა, იმან გადაათრიოსო* გვაფრთხილებს, რომ ვინც იწყებს საქმეს, მანვე უნდა მიიყვანოს იგი ბოლომდე (იქვე:98-99).

როგორც გაირკვა, ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა სხვადასხვა რიგის ენობრივი ოდენობებია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ასევე სტრუქტურითაც, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ერთიან სიტყვათა მსგავსად ანდაზებიც ფრაზეოლოგიის შევსების ერთ-ერთ მოქმედ წყაროს წარმოადგენენ. ქართულში ხშირია ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები, მაგ.: *პირი ეწვის ← თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო; ახალი ცოცხი ← ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა;* *ხავსს ეჭიდება ← წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო* და მრავ. სხვ. (იქვე).

ზოგი მეცნიერი ამ გამოთქმებს შემოკლებულ ანდაზებად მიიჩნევს, ვინაიდან ამ ნაწყვეტით შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა, თუმცა ეს ხერხდება მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე. დროთა განმავლობაში კონტექსტის გარემო დავიწყებას ეძლევა, კოლორიტის ელფერი იკარგება და რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს. ამისი ნათელი დადასტურებაა იდიომი *კბილს უსინჯავს,* რომლის ხმარებისას არავინ ფიქრობს, რომ იგი მიღებულია ანდაზისგან: *ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება* (იქვე).

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართებამ სვანურში, რაც დღემდე სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა.

ცნობილია, რომ სვანური მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია როგორც ფრაზეოლოგიური გამონათქვამებით, ასევე ანდაზებითაც. სვანური ანდაზების ჩაწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს დაიწყო (იხ. **"Сборник материалов по описанию местностей и племён Кавказа"**, 1890:1902) და მას მერე ცხოველი ინტერესი ამ საკითხთან დაკავშირებით არ შენელებულა. მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც არის წარმოდგენილი სვანური ანდაზები თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის) მიერ გამოქვეყნებულ „სვანური ენის მოკლე გრამატიკაში" (1913 წ.) და სვანური ტექსტების პუბლიკაციებში.

პირველი მკვლევარი, რომელმაც ცალკე წიგნად გამოსცა (1973) სვანური ანდაზები, ეს არის სვანური ენის, ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის უბადლო მცოდნე და მკვლევარი ალი დავითიანი, ხოლო შემდგომ (2000 წ.) გამოიცა სვანური ანდაზების მეორე კრებული, რომელიც შედგენილია არსენ კორძაიას მიერ.

პირველ კრებულში წარმოდგენილია ბალსქვემოური დიალექტის ერთ-ერთი კილოკავის — ლახამულურის მონაცემები, მეორეში კი — ბალსზემოურის.

რაც შეეხება ქვემოსვანურ ანდაზებს, ისინი ჯერჯერობით შეუსწავლელია[1]. პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, სვანური ანდაზების შეკრება და სრული სახით გამოცემა მეტად საშური და გადაუდებელი ამოცანაა (ჭუმბურიძე 2008:143).

რა შეიძლება ითქვას სვანური ანდაზების შესახებ და რა მიმართებაშია ანდაზასთან სვანური ფრაზეოლოგიზმები?

ა. დავითიანის „სვანური ანდაზების" კრებულში, რომელიც შედგენილია, ძირითადად, ბალსქვემოური დიალექტის ლახამულური კილოკავის მიხედვით, შესულია ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო. ესენია:

ნენქ'ესერ თეი ხაზეიბ ი გუი ლეშხამ ჟორგუილ ხოზ (ბქ.) „ორპირია ანუ ტკბილად გესაუბრება და გული ბოღმით აქვს სავსე („ენა-ზე-ო თაფლ-ი სდის და გულ-ი შხამ-იან-ი ორ-გულ-ი უ-ძ-ევ-ს")". ჩვენი აზრით, ეს არის ფრაზეოლოგიური გამონათქვამი და არა ანდაზა.

იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ ანდაზებზეც:

ძერხი ამსოლდ თხერე ლეპრისდ'ესერ ლი (ლხმ.) „ზოგი ადამიანი დაუნდობელიაო, ორგულიაო („ზოგი ადამიანი მგელი მონათლულიო არის")", შდრ. **თხერემ გუერაჟი ლეპრისდე** „დაუნდობელი, შეუბრალებელი, ბოროტი, ავი... (ზედმიწ. — მგლის ტყავზე მონათლული)"

ალის იმდო ხერგადნი, მამაგუეშ ჯექმენი, თხერემ გუერაჟი ლი ლეპრისდე (ბქ.) „ამას რაც არ უნდა უთხრა აზრი არა აქვს, შეუბრალებელია||ბოროტია („ამას რაც უნდა ელაპარაკებოდე, არა საქმე გემატება, მგლის ტყავზე არის მონათლული")" და ა. შ.

ძერხი ამსოლდს ჟაღუემ ესერ ქჟინ ხოგ (ლხმ.) „ზოგი ადამიანი უკვდავია, სიკვდილი არ ეკარება („ზოგ ადამიანს ძაღლ-ის-ო სული უ-დგ-ა-ს")"

ძერხი ამსოლდ მეგრ'ესერ ცხვრილჩუ ლეცხრილე ლი (ლხმ.) „ზოგი ადამიანი რეგვენიაო, კრეტენიაო („ზოგი ადამიანი მსხვილო ცხრილ-'ს'-ქვე გა-ცხრილ-ულ-ი არის")"

ლოშგმე ძგიდიშ ლი სერ „უკანასკნელია, ბოლო წვეთია (ზედმიწ. — უკანა ძგიდ-ის არის უკვე)"

ჩინჩუილ წამჟი ეშდძართუესერ ხეტხენი (ბქ.) „ჩვილი ბავშვი წამში ყველანაირ საქციელს ჩადისო („ჩვილ-ი წამ-ზე ათ-ორ-'ის'-კენ-ო უბრუნდება")" და ა. შ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა კი — წინადადება, ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი მასალა უნდა ჩაითვალოს ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებად და არა ანდაზებად.

ცხადია, ა. კორძაიას „სვანურ ანდაზებ"-შიც არის შესული ისეთი მასალა, რომელსაც ანდაზასთან სრულებით არაფერი აქვს საერთო და ისინი ფრაზეოლოგიზმებად უნდა ჩაითვალოს. მაგ.:

ზედჭარს ესერჾ ლეჟარგუდ იდი (ბზ.) „გემოვნებიანი კაციაო („პაიჯსაცო თავადურად იცვამს")"

მიჩა ფხულარგნქა უშკუთე ლედო მამგუეშ ესერ ხუდუა (ბზ.) „მეტისმეტი ღარიბიაო („მისი თითების გარდა პირ'ის'კენ 'ჩა'-სა-დ-ებ-ი არა საქმეო აქვს")"

ლადდ'ესერ ნამბიზოშ კუეც, მგხარ — მადდშუ (ბზ.) „წუწუნა, გაუმაძღარი ადამიანიაო („დღესო სიმაძღრით კვნესის, ხვალ — შიმშილით")", შდრ. ჩოლ. **ლად'ესერ ნამბიზოშ კუეც, მგხარ — მაიდშუ**, რომელიც ჩოლურულში სწორედ გაუმაძღარი, წუწუნა ადამიანის აღმნიშვნელია და მოისაზრება არა როგორც ანდაზა, არამედ ფრაზეოლოგიზმი.

გუეშ ესერ ხასიგ, ჭად ხალატ (ბზ.) „მუშაობა არ უყვარს, ჭამა უყვარს („საქმეო ეჯავრება, მუცელი უყვარს")"

[1] წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებულია ჩვენ მიერ ლენტეხის რაიონის სოფლებში საველე პირობებში მოპოვებული მასალა.

დჷჲ ესერ ლეზჳებ ლი ი დეჲ ლეთრე (ბზ.) „უფხო, ბედოვლათი ადამიანიაო („არცო საჭმელი არის და არც სასმელია")", მსგავსი ფრაზოლოგიზმი, ამავე მნიშვნელობით, დასტურდება ჩოლურულშიც.

დეჲ ესერ ღჷრბეთ ხანწა̈მ ი დჷჲ ქა̈ჯ-ჰეშმა̈ჲ (ბზ.) „სავსებით ურწმუნოაო („არცო ღმერთ-ი ს-წამ-ს და არც ქაჯ-ეშმა-ო")"

მა̈გ აშხჳ ბალაჟ'ჷსერ ისჷრხ (ბზ.) „ერთობა აქვთო („ყველა ერთ ფოთოლზეო შარდავენ")"

ლაჩჳმიჟი იქა̄ბუნა̄ლ, ლაზობჟი ისტა̄რუნა̄ლ (ბზ.) „მეტსმეტი ზარმაცია („ქმნაზე იცდენს, ჭამაზე პირჯვარს ისახავს")"

ცაგა̈რჟ'ჷსერ სგურ (ბზ.) „მოუსვენრადაა („ეკლებზეო ზის")"

ციცჳ ი შდუგჳ აშ ესერ ხეჩდახ უშხჳა̈რ (ბზ.) „გამუდმებით ჩხუბობენ („კატა და თაგვ-ი ა-ს-ე-ო ერევიან ერთმანეთს")"

ჰუანისგა ლჳა̈სეს ესერ ა̈ჰნე (ბზ.) „მეტისმეტად მდიდარიაო („ქონში ბადექონსო ადნობს")"

პეხილს ნაცმუნისგ'ჷსერ ა̈ჰნე (ბზ.) „მეტისმეტად მდიდარიაო („მუცლის ქონს ცმელ-ში-ო ადნობს")"

ნინ ესერ ტებდი, გჳი მგცხი (ბზ.) „ორგული, თვალთმაქცი ადამიანი („ენა-ო თბილ-ი, გულ-ი ცივი")"

ჰაკჳდურ ლგქა̈დ ესერ ლი (ბზ.) „უკუდო ამპარტავანიაო („უ-კუდ-ო-დ შეცდენილიო არის")"

სგჳებინხა̈ნ ხაფა̄შგჳე, ჳეშგინხა̈ნ ხატა̄ბე (ბზ.) „ორგული, აფერისტი ადამიანი („წინიდან ხელს უსვამს, უკნიდან ათლის")"

ჟ'ჷსერ დეცს ხაჩრაჳა, ჩუ — გიმს (ბზ.) „არაფრის მქონე, ღარიბ-ღატაკი ადამიანიაო („ზევითო ცა-ს მი-ჩერ-ებ-ი-ა, ქვე — მიწას")"

თჳეთნე შდგქა̈რს ესერ აწჳჷნე, მარე გჳ'ჷსერ მეშხე ხოზ (ბზ.) „ადამიანი, რომელიც გიცინის და მიწას გითხრის, ორგული, ორპირი, ბოროტი ადამიანი („თეთრ კბილებსო აჩენს, მაგრამ გულ-ი-ო შავი უ-ძ-ევ-ს")"

ჟიბაჳ ესერ ბიქჳს ესჰიმ, ჩუბაჳ — ლიცს (ბზ.) „დაეთრევა, დაწანწალებსო („ზევითო ბუქ-ს მიჰყვება, ქვემოთ — წყალს")"

ჩა̈ჳს ესერ ჩ'ახქეხა ი წელს ჟ'ახსგურჷნა (ბზ.) „დაიმცირა, ჩამოაქვეითა საკუთარი რეპუტაცია („ცხენიდანო აცილებია||ჩამოქვეითებულა და ვირს შენაჯდომა")", მსგავსი მნიშვნელობით დასტურდება ჩოლურულშიც, რაც გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ა. კორძაიას მიერ ანდაზად მიჩნეული გამონათქვამი, აშკარად ფრაზეოლოგიზმია. რაღა თქმა უნდა, იმავეს თქმა შეგვიძლია დანარჩენ საანალიზო მასალაზეც.

ქართულში, როგორც უკვე ითქვა, ხშირია ანდაზისგან იდიომის მიღების შემთხვევები. რაღა თქმა უნდა, მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. მაგ.:

აბა̈ჲშ ჭა̈ბ (ლხმ.) „აბაის ნიშა" ← **აბა̈ჲშ ჭა̈ბ მეშგ ფურრე ლამქარდ ესერ ომსედ** „აბაის ნიშა მეწველი ფურების მოქიშპედ დარჩენილაო"

დირიშ გარ მუმკჳირი (ლხმ.) „ადამიანი, რომელიც მხოლოდ ლუკმა-პურზე ფიქრობს" ← **ამახჳ ესეროჳ ლი დირიშ გარ მუმკჳირი** „მხოლოდ მტერი იყოს მარტო პურის შემყურე („მტერიომცა არის პურის მხოლოდ მჭვრეტი")"

ამბა̈ჳიშ გჳიჲსგა ლიზელალნე (ბქ.) „დაფიქრება" ← **ამბა̈ჳ მა̈ნკჳ გჳიჲსგაოლჳ ესზელალნე, ნგნქა ეჩქანღჳეოლჳ ანგურნე** „ამბავი ჯერ გულში გაატარეო და ენაზე შემდეგ გამოაგორეო"

ჩხარაფათე ლიტეხ (ბქ.) „გადასხვაფერება, ნათქვამის ათასჯერ გადახარშვა" ← **ამსჳალდს ჩხარაფათე ლატახ ესერ ხაკუ** „ადამიანს ცხრანაირი მოსაზრება უნდა გააჩნდესო („ადამიანს ცხრა-ფა-ღ'-კენ საბრუნებელიო უნდა")"

დეცთეჟი კიბრე ლიგემ (ბქ.) „მეტისმეტი ამაღლება, სიამპარტავნე, მედიდურობა" ← **დეცთეჟი კიბ და̈ს ესერ ხოგა** „ცამდე კიბე ვერავის მიუდგამსო"

დეცთეჟი კიჩხე ლიგემ, ლეჶხუ̈ნა̄ კაცხში ლისგვრე (ჩოლ.) „სიამპარტავნე, მედიდურობა" ← **დეცთეჟი კიჩხე ლიგემ ი ლეჶხუ̈ნა̄ კაცხში ლისგვრე ლახუ̈ბა ლოჟ ლიხ** „ცაზე კიბის მიდგმა და ცხვირის წვერზე დასმა ძმები არიანო"

ეშხუ აჴს ი მერმე ბაჴს (ბქ.) „ერთი ალთას, მეორე — ბალთას" ← **ეშხუ აჴს ესერ ლგმრა̈გდინ, მერმე — ბაჴს** „ერთი ალთას ლაპარაკობდაო, მეორე — ბალთას"

უ̈კლაჳნაშ ლიკლაჳნე (ბქ.) „გაჭირვებისგან ყოველგვარი საქმის კეთება" ← **თგმი მარა უ̈კლაჳნას ესერ ხაკლაჳნე** „გასაჭირი კაცს რას არ გააკეთებინებს („თმ-ენ-ა კაცს გა-უ-კალო-ებ-ელ-ს-ო ა-კალო-ებ-ინ-ებ-ს")"

ზგსყი კალჳი ლიკლაჳნე (ბზ.) „ნედლი კალოს ლეწვა" ← **თგმი ამსჳა̈ლდს ზგსყი კალჳს ესერ ხაკლაჳა̈ჳნე** „გაჭირვება ადამიანს ნედლ კალოს გაალეწვინებსო"

ქუ̈ნუ̈ქუ̈თდ‖ქჳინუ̈ქჳითად ლირდე (ბქ.) „გატრუნვა, ხმის გაკმენდა" ← **იმგჳესერ ქუ̈ნუ̈ქუ̈თდ ლირდე ხოჩა, იმგჳა̈ — ლიჭერა̈ლ** „ზოგან ჩუმად ყოფნა სჯობს, ზოგან კი — ხმაურობაო („სადო სულგანაბულად ყოფნა სჯობს, სად — ხმაურობა")"

ჭა̈რი-ბა̈რი ნინ (ბქ.) „ცარიელი ენა" ← **იმგჳა̈-იმგჳა̈ ჭა̈რი-ბა̈რი ნინ ესერი ოლმა̈რგ** „ზოგან ცარიელი სიტყვაც გამომდგარაო („სად-სად ცარიელი ენა-ო-მცა ვ-ა-რგ-ებ-ულ-ა")"

შდგქ-ლელგჳია̈შ ლიყჳფე (ბქ.) „გაბრაზება, განრისხება" ← **ინჯა̈რს შდგქმი ლელგჳი ესერ ოხყჳიფა** „ჯავრს ძირი კბილი ამოუძვრიაო"

შტიქ-ლელგჳი̄ ლიქთუ̈ნე (ჩოლ.) „განრისხება, გამწარება" ← **თგმი-წგხის შტიქ-ლელგჳი ლოჟ ოხქუ̈თნა** „გაჭირვებას ძირი კბილი მოურყევიაო („თმენ-ა-წუხ-ილ-ს კბილ-სა-გულ-ე-ო მოუქნევია")"

ანზს ლირკინე (ბქ.) „გამწარება" ← **იშგნემ ბედჟი ლა̈ღდ ანზს ესერ და̈რ ხა̈რკინა** „სხვისი გულისთვის ანწუხზე არავინ დაჰკიდებიაო („სხვის ბედ-ზე მთლად ანძა-ს-ო არავინ ნაკიდება")"

მერმემ‖იშგნემ ჰამა̈რჟი ლისედ (ბქ.) „სხვის იმედად დარჩენა" ← **იშგნემ ჰამა̈რჟი ლეჩემ ესერ უ̈ჩუ̈მინად ომსედ** „სხვისი იმედით საქმე გაუკეთებელი დარჩაო („სხვის ამარა-ზე საქმნელიო გაუკეთებლად დარჩენილა")"

ნგნემ კა̈ცხჟი ლიდისგ (ბქ.) „რომ ვერ იხსენებ რაღაცას" ← **კა̈ლუ̈ნ მარა ნგნემ კა̈ცხჟი ხა̈ზ, ეჯი ესერი ხეშდნი** „ზოგჯერ კაცს ენის წვერზე რომ ადევს, ისიც ავიწყდებაო („ზოგჯერ კაცს ენ-ის წვერზე ა-ძ-ევ-ს, ისიცო ავიწყდება")"; **მარა მა̈გთან ნგნემ კა̈ცხჟი ნემოჳ ხა̈ზ** „კაცს ყველაფერი ენის წვერზე ნუ აქვსო („კაცს ყველანაირი ენ-ის წვერზე ნუ-მცა-ო ა-ძ-ევ-ს")"

ნინე კაცხჟი ლიგჳრანა̄ლ (ჩოლ.) „რაღაცის დავიწყება" ← **მგწგხჟი ლე̄ქჳის ჩი̄ღა̄ დ ნინე კაცხჟი ლოჟ იგჳრანა̄ლ** „საჭიროებისას სათქმელი ყოველთვის ენის წვერზე გორაობსო („საჭიროებისას სათქმელი ყოველთვის ენ-ის წვერზეო გორაობს")"

წგნს ლიწბინე (ბქ.) „აწონ-დაწონვა" ← **ლა̈ღდ მა̈გ წგნს დემ ესერ ხეწბინი** „მთლად ყველაფერი სასწორს არ დაეკიდებაო („მთლად ყველა სასწორ-ს არო ეკონწიალება")"

ლანნგნალდ‖ლანგლალდ მეშუდე (ბქ.) „გაჭორილი ადამიანი" ← **ლანგნალდ მეშუდე ლგცემ ესერ ლგე ლი** „უბადაღებული წყალწაღებულიაო („სა-ენ-ო-დ დავარდნილი წყლისო წაღებული არის")"

ლგა̈რდ დაგრა (ბქ.) „საშინლად ნერვიულობა" ← **ლგა̈რდ დაგრა ჲურინ დაგრაშ ესერ გოჳა̈რ ლი** „ცოცხლად სიკვდილი ორჯერ სიკვდილის მაგვარიაო („ცოცხლად სიკვდილი ორ-ჯერ სიკვდილისო გვარ-ი არის")"

ლუგჷენიშ‖ლგგენიშ ლიშყედ‖ლიკჷანე (ბქ.) „ღირსების დაკარგვა“ ← **ლგგენ ლა̈დისგშჷ ესერ ლი ი ლაშყადშჷი** „ღირსება შეძენითაც არისო და დაკარგვითაცო („ფასი დ-ებ-ით-ო არის და დავარდ-ნითაც“)“

ლგცემ ლიყა̈ლ (ბქ.) „ტყუილა საუბარი“ ← **ლგც აყალოჷ, ჲა̈, მ'ესეროჷ ა̈ხფასეს** „წყალი დანაყე, აბა, რა გამოგივაო („წყალი და-ნაყ-ემ-ცა-ო, აი, რაომცა გამოვიდეს“)“

ლიცი ლიყლი (ბზ.) ← **ლიცი ლიყლიხა̈ნქა ლიც გარ ესერ ლი ბაც** „წყლის ნაყვიდან მხოლოდ წყალი გამოვაო („წყლის და-ნაყ-ვ-იდან წყალი მხოლოდო არის მოსალოდნელი“)“

ლიცი ლიყლი (ჩოლ.) „ტყუილა საუბარი, წყლის ნაყვა“ ← **ლიცი მგყლის ნა̄პჷჲ ლოქ დეშ ოთყალა** „წყლის დამნაყველს ლუკმაც ვერ დაუნაყიაო („წყლის და-მ-ნაყ-ვ-ელ-ს ლუკმაცო ვერ და-უ-ნაყ-ი-ა“)“

მაღჷა̈ნიშ ლა̈ჷელიდ ლიდისგ (ბქ.) „ქონების გამოფენა“ ← **ლგჰემ მეზგე მაღჷანს ლა̈ჷელიდ ესერ დემ ა̈დისგ** „თავმდაბალი ოჯახი თავის ქონებას საქვეყნოდ არ გამოჰფენსო („დამმალავი მოსახლე ქონებას საქვეყნოდო არ დ-ებ-ს“)“

გოგა̈შ ლიჰემ (ბქ.) „მათხოვრობა“ ← **მა̈ჲდ გოგს ესერ მგჰმინე ლი** „შიმშილი კარდაკარ სამათხოვროდ ჩამოგატარებსო („შიმშილი მათხოვრობასო მადევნებელი არის“)“

ნესყემ ჰომქა ლიგჷეწ (ბქ.) „ნემსის ყუნწში გაძვრომა“ ← **მალატ ნესყემ ჰომქ'ესერ მუგჷწუნე ლი** „სიყვარული ნემსის ყუნწში გამძვრენიაო („სიყვარული ნემსის ყუნწშიო გამძვრენელი არის“)“

აშჷ ფატა̈ნლისგა ლიყჷნალ (ბქ.) „ერთად გაზრდა“ ← **მალტა̈რ ლახჷბა აშჷ ფატა̈ნლისგ'ესერ ლუმყჷინხ** „მოსიყვარულე ძმები ერთ პერანგში იწვნენო („მოსიყვარულე ძმები ერთ პერანგშიო ნაწოლან“)“

ეშჷი გჷიმი ლიდისგ (ლხმ.) „სულ ერთ ხასიათზე ყოფნა“ ← **მარა ჩიგარ ეშჷი გჷი მოდ'ესერ ხოზ** „ადამიანი ყოველთვის ერთნაირ გუნებაზე არ არის („კაცს ყოველთვის ერთი გულ-ი არაო უ-ძ-ევ-ს“)“

ქიმიშ ი ნა̄პუ ეშხუდ ლიზობ (ჩოლ.) „გამწარება“ ← **ქიმიშ ი ნა̄პუ ეშხუდ მუზობს ლეზობი გამ ლოქ ათა̄შტნენა** „ცრემლის და ლუკმის ერთად მჭამელს საჭმლის გემო დავიწყებიაო“

ეწერჲა̈შ სჷეტრე ლიგემ (ბქ.) „დიდხანს რომ აცოცხლებ ადამიანს“ ← **მახჷშიხ ეწრია სოტა̈როჷ ლოხჷეგ, ლაყჷრახენქა ლაგას მგგნად გარ ეჯღაჲ ხოშილქა ესერ ხერდი** „სახლის უფროსს მაგარი სვეტები შეუდგიო, ლოგინიდან მარტო რჩევის მომცემად მეტხანს გაძლებსო“

გჷიჲსგა ჴა̈ნ ხობ (ბქ.) „უხარია რაღაცა“ ← **მა̈ხჲადა̈რს გულისგა მუგჷდა ჴა̈ნ ესერ ხობ** „გახარებულს გულში თითქოს ხარი უბიაო“

მგრლჰიშ ნაზჷა̈შ ლიცჷრე (ბქ.) „ცუდი საქმის ჩადენა“ ← **მგრლგჰ მიჩ'ესერ ნაზჷს ცჷირე** „ლოკოკინა თავის კვალს ტოვებსო („ლოკოკინა მისო ნავალს ტოვებს“)“

ციცჷიშ ი კჷენიშ ლიპურტინალ‖ლიჩდინალ (ბქ.) „საშინელი სიცივე“ ← **მგცხის ციცჷ ი კჷენ ესერ ოთჩიდინა** „სიცივეს კატა და კვერნა შეუყრიაო“

ციცჷიშ ი კჷენი ლიტჷშა̄ლ (ბზ.) ← **ქჷა̈ხი მგცხის ციცჷ ი კვენ ესერ ოთტუშჷრა** „იანვრის სიცივემ კატა და კვერნა ჩაახუტა ერთმანეთსო („იანვრი'ს' სიცივეს კატა და კვერნა-ო ჩაუხუტებია“)“

ციცჷიშ ი შტუგჷი ლიტჷშალ (ბზ.) „საშინელი სიცივე“ ← **მგ̄ცხის ციცჷ ი შდუგ ესერ ჩ'ოთ-ტჷშა** „სიცივემ კატა და თაგვი ერთმანეთს ჩაახუტაო („სიცივეს კატა და თაგვ-ი-ო ჩაუხუტებია“)“

ციცჷიშ ი შტუგჷი ლინჩგდა̄ლ (ჩოლ.) „სიცივე“ ← **მგცხი-ყაფრა̄ნობს ციცჷ ი შტუგჷ ლოქ ოთნაჩდა** „სიცივე-ყინვას კატა და თაგვი შეუყრიაო“

ნაგუნზიგ ნაპუ (ბქ.) „დამადლებული პური“ ← **ნაგუნზიგ ნაპუ ჟაღჷესერ მოდ ოხკიდა** „დამადლებული ლუკმა ძაღლსაც არ აუღიაო („ნა-გულ-ტკენი ლუკმა ძაღლ-'ს'-ო არ აუღია“)“

ნამდუნ ნა̄პუ „დამადლებული ლუკმა“ ← **ნამდუნ ნა̄პუს ჟედა̄ ლოქ დე̄მ იზბი, მა̈რე ლაიდა̄შ** „დამადლებულ პურს ძაღლიც არ ჭამსო, კაცი მითუმეტეს“

უღჷა̈შ ისგა̈შ ლასმანთ'ლიშყედ (ბქ.) „გაჭირვებაში ჩავარდნა“ ← **ნაჷღენის უღჷა̈შ ისგა̈შ ლასმანთ'ესერ ლიკჷანე ხა̈მთქჷა** „უქონლობას ულლის შიგა ტაბიკში შემოგდება სჩვევიაო“

მამფუათე ლიშყედ (ჩოლ.) „დაღუპვა“ ← **მგტს თაშხენქა ოხსკინა ი მამფუათე ლოქ ოთსკინა** „მატლი ყველიდან გადმომხტარა და მდუღარეში ჩამხტარაო („მატლ-ს ყველიდან უ-სკუპ-ი-ა და მდუღარი"Ნ"კენო უ-სკუპ-ი-ა“)“

გუმი ლიკჷჰალ (ბქ.) „დამდურება, გაბუტვა“ ← **ნა̈თისოჷ ესკოჰალ გუ, მეჰერს მ'ესერ ლახჷნდროჷას** „ნათესავს დაემდურე, უცხოს რა დაემდურებაო („უცხოს რაო და-ე-ნდურ-ო-ს“)“

ლგცთე ლიკჷანე (ბქ.) „გამეტება, ღალატი“ ← **ნა̈თის შიშდ ლგცთე ლიკჷანე მოდ'ესერ ხაკუ** „ნათესავს ხელად წყალში ჩაგდება არ უნდაო“

დეძშა ში ხაკუ (ბქ.) „არავისი დახმარება არ სჭირდება“ ← **ნა̈რდოჷ რა̈ქჷ: დეძშა როქ ში ხაკუ** „არავინ თქვას: არავისი დახმარება მჭირდებაო („არავისიო ხელი უნდა“)“

ლგგრემ გუძსგა ფა̈თჷიშ ლითხელი (ბქ.) „მიზეზობა“ ← **ძერჷალე ლგგრემ გულისგა ფა̈თჷს ესერ ხა̈თხელინა** „ვიღაცა კვერცხის გულში ბეწვს ეძებდაო“

ქინძი ბალა̄ძსა მიზეზი ლითხე̄ლი (ჩოლ.) „მიზეზობა“ ← **იერხი ქინძი ბალა̄ძსა̄ძ მიზეზს ლოქ ხეთხე̄ლი** „ზოგი ქინძის ფოთოლშიც მიზეზს ეძებსო“

თხუმემ ლიწჷრი (ბქ.) „თავის მოკვლა, გამეტება“ ← **ძერხი მაროლ ა̈ძრა̈ყცახა̈ნ თხუმ ესერ იწჷრიხ** „ზოგი კაცი სასმელთან თავს ისისხლებსო“

აშხჷ საფლა̈ჷრუ ლინჭურე (ბქ.) „მოსპობა, განადგურება“ ← **ჟი უკიდა შგურ მეზგე აშჷ საფლა̈რუ ლუნჭურ'ესერ ხარ** „მოუშორებელ სირცხვილს ოჯახი ერთ საფლავში ჩაფლული ჰყავსო“

შინურ-ქუნურ ლიჭცე (ბქ.) „სხვის ჩაურევლად სიკვდილი“ ← **სოფლიშ ამახჷ სოფლიშ შინურ-ქუნურ ესერ ოლჭაცელი** „სოფლის მტერი სოფლის ჩაურევლად დაღუპულაო“

ქუნემ სედალა ლითიალ (ლხმ.) „თავის სარჩენად გარჯა“ ← **ქუნემ სედალა მა̈რემ მაგოჷ ადთიალე** „თავის სარჩენად კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოსო („სულის შერჩენისათვის კაცმა ყველაფერიმც იცოდვილა“)“

ქჷინე სედალა ლითია̄ლ (ჩოლ.) „თავის სარჩენად გარჯა“ ← **ქჷინე სედალა ამსჷალდდ მაგჷ ლოქ ადთია̄ლე** „თავის სარჩენად კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოსო („სული"Ს" რჩენის გამო ადამიანმა ყველამცაო ეცადა“)“

ქჷინ ყიად ლიჭედ (ჩოლ.) „მობეზრება“ ← **ქვინ ყიად ლოქ თაშა̄რ ე̄რას ახჭედა, ლიცჷალ ლოქ ლაძდა̄შ** „ვიღაცას ხაჭაპური მობეზრებიაო, ჩხუბი მითუმეტეს („სული ყია-დ-ო ყველიანი ვიღაცას მოსვლია, ცილ-ა-ობ-ა-ო მთლად“)“

ძარ ტოტშჷ ლიჰჷდა̈ლი (ბქ.) „უხვად გაცემა“ ← **ქორხენქა ძარჷ ტოტშჷ და̈რ ესერ აჰჷდა̈ლი** (ბქ.) „სახლიდან ორი ხელით არავინ არიგებსო ქონებას“ და სხვ.

ძა̈რუ ტოტშჷ ლიჰჷდა̈̄ლი (ბზ.) „უხვად გაცემა“ ← **ქორხა̈ნქა კეთილს ძა̈რუ ტოტშჷ ესერ და̈̄რ აჰჷდა̈̄ლი** „ოჯახიდან ქონებას ორივე ხელით არავინ არიგებსო („სახლიდან კეთილ-ს ორ-ი ხელითო არავინ არ იგებს“)“

გჷეში შიარჷშ ლიბა̄რგე (ჩოლ.) „უხვად გაცემა“ ← **გჷეში შიარჷშ მგბა̄რგას ქორ-გჷეში ლოქ ოთბა̄რგა** „სავსე ხელებით ქონების გამცემს, სახლი დაუცარიელებიაო („სავსე ხელებით გა-მ-ბარგ-ებ-ელ-ს სახლი-სავსეო გა-უ-ბარგ-ებ-ი-ა“)“

სგირი-მგცხიდ ლიყუ̂ლურა̈ლ, და̈რ ა̈ნჱირ, ეჩქას ესერ ლი ბაც (ლხმ.) „სამუდამოდ გაყრა||დაშორება, არავინ რომ არ მოელის, მაშინ არის მოსალოდნელიო („მიწიან-ცივად გა-ყოფ-ა, არავინ ელოდება, მაშინო არის მოსალოდნელი")"...

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართულის მსგავსი ვითარება დასტურდება სვანურშიც. სწორედ ამ შემოკლებული ანდაზებით ადვილი შესაძლებელია მთელი ტექსტის აღდგენა, თუმცა, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ეს ხერხდება მხოლოდ თავდაპირველ ეტაპზე და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან დროთა განმავლობაში კონტექსტის გარემო დავიწყებას ეძლევა და რედუცირებული ერთეული დამოუკიდებელ სახეს იღებს (შდრ. იდიომი **გუ̂მი ლიკუ̂ჰალ** (ბქ.) „დამდურება, გაბუტვა", რომელიც მიღებულია ანდაზისგან: **ნა̈თისოუ̂ ესკოჰალ გუ, მეჰერს მ'ესერ ლახგნდროუ̂ას** „ნათესავს დაემდურე, უცხოს რა დაემდურებაო („უცხოს რაო და-ე-ნდურ-ო-ს")", ასევე იდიომი **ლგცთე ლიკუ̂ანე** (ბქ.) „გამეტება, ღალატი", მიღებულია შემდეგი ანდაზისგან: **ნა̈თის შიშდ ლგცთე ლიკუ̂ანე მოდ'ესერ ხაკუ** „ნათესავს ხელად წყალში ჩაგდება არ უნდაო", ხოლო იდიომი **მამფუ̂ათე ლიშყედ** (ჩოლ.) „დაღუპვა", მომდინარეობს ანდაზისგან: **მგტს თაშხენქა ოხსკინა ი მამფუ̂ათე ლოქ ოთსკინა** ;„მატლი ყველიდან გადმომხტარა და მდუღარეში ჩამხტარაო" და ა. შ).

სვანურში დასტურდება აგრეთვე ანდაზისაგან წყევლის ფორმულების მიღების შემთხვევებიც. მაგ.:

ბა̈ქშალოღუ̂ ომთუ̂ეფეხი! (ბქ.) „მოისპე, განადგურდი!" ← **ბაქარა̈ ბა̈ქდ ესერ ომთუ̂ეფელი** „მატყუარა უკვალოდ გამქრალაო („ტყუილად დაკარგულაო")".

ჟ̂ორ ი ლაჟ̂ხისოღუ̂ ოთყულურად! (ბქ.) „მიწამ დაგაშოროთ ერთმანეთს!" ← **მალტა̈რ ჲეხუ̂ჰა̈შ ჟ̂ორ ი ლაჟ̂ხის გარ ესერ ოთყულურახ** „მოსიყვარულე ცოლ-ქმარი მიწასა და ნიჩაბსღა გაუშორებიაო"

ისგუ ნამუ̂ნ-ნათუ̂ნ ნომოღუ̂ ეჲჯიჩა! (ბქ.) „შხამად შეგერგოს შენი ნაჭამ-ნასვამი!" ← **ნამუ̂ნ-ნათუ̂ნს ქა ლიჯჩ'ესერ ხაკუ** „ნაჭამ-ნასმევს გამონელება უნდაო"

ნა̄მუ̂ნ-ნათუ̂ნ ნოსა̄უ̂ ეჯ̌ტი̄მა (ჩოლ.) „ნასვამ-ნაჭამი არ მოგენელებინოს" ← **ნა̄მუ̂ნ-ნათუ̂ნს ხოჩა მგტმე ლოქ ხაკუ** „ნასვამ-ნაჭამს კარგი მომნელებელი უნდაო" და ა. შ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მრავალფეროვან სვანურ ანდაზებში ძირითადად ქართულისებური ვითარება გვაქვს. ფრაზეოლოგიზმისა და ანდაზის ურთიერთმიმართება და ანდაზათა სტრუქტურული აგებულებაც დიდად არ განსხვავდება ქართულისაგან.

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

აბაკუმოვი 1942 — С. И. Абакумов, Современный русский литературный язык, 1942.

ავალიანი 1980 — Ю. Ю. Авелиани, Сравнительно-сопоставительные аспекты валентности и сочетаемости в разносистемных языках (к проблеме фразеобразований), Вопросы фразеологии, XV, Самарканд.

არხანგელსკი 1950 — В. Л. Архангельский, Фразеология "Поучения" Владимира Мономаха, М., 1950 (საკანდ. დისერტაცია).

ბაბლუანი 2009 — ა. ბაბლუანი, სვანური ზღაპრის სტაბილური ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, თბილისი, 2009.

ბოტინა 1983 — Ботина Л. Г. Из наблюдений над семантикой нумеративных ФЕ в русских говорах. Вопросы семантики фразеологических единиц, Самарканд, 1983.

ბუდაგოვი 1958 — Р. А. Будагов, Введение в науку о языке.

გაკი 1966 — Гак В. Г. Беседы о французском слове. In: Сравнительная лексикология французского и русского языков. М. 1966.

გოშხეთელიანი 2010 — ი. გოშხეთელიანი, იდიომები კულტურათაშორის დისკურსში, I საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, ბათუმი, 2010.

დემენტიევა 1955 — Г. Я. Дементьева, Семантико-стилистические особенности фразеологических выражений, Алма-алта, 1955.

ვინოგრადოვი 1946 — В. В. Выноградов, Основные понятия русской фразеологии как лингвистической дисциплины, "Труды юбилейной научной сесии ЛГУ", Л, 1946.

ვინოგრადოვი 1947 — В. В. Виноградов, Русский язык (Грамматическое учение о слове), М. 1947

ვინოგრადოვი 1953 — В. В. Виноградов, Основные типы лексических значений слов: Вопросы языкознания, 1953, № 5.

ვულფიუსი 1929 — И. А. Вульфиус, К вопросу о классификации идиом: Русский язык в советской школе, 1929, № 6.

თაყაიშვილი 1961 — ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი, 1961.

თოფურია 1927 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927.

იფრა 1995 — Ifrah Georges, Histoire universelle des chiffres, P. 1995.

კლიმოვი 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

კლიმოვი 1998 — G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New York, 1998.

ლარინი 1956 — Б. А. Ларин, Очерки по фразеологии, Уч. Зап., Лен. Ордена Ленина гос. Университета им. А. А. Жданова, № 138, сер. Филолог. Наук.

მამულია 2004-2005 — ე. მამულია, თურქულ-ლაზურ ფრაზეოლოგიურ შესატყვისობათა შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

მარგიანი 2000 — ლ. მარგიანი, სიტყვათა რიგი სვანური წყევლის ფორმულებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, თბილისი, 2000.

მიხელსონი 1912 — М. И. Михельсон, Русская мысль и речь, свое и чужое. Опыт русской фразеологии, С.-Петербург, 1912 (შემდეგში — М. И. Михельсон, русская мысль и речь).

ნეიმანი 1941 — ა. ნეიმანი, ქართული იდიომები „კაცია-ადამიანის" მიხედვით და მათი რუსული შესატყვისები: პუშკინის სახ. პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1941.

ოლხოვსკაია 1976 — Ольховская С. В. О фразеологических единицах с компонентом-числительным. Лексико-граматическая сочетаемость в германских языках, вып. 2. Челябинск. 1976.

ონიანი 1954 — ა. ონიანი, ქართულ-სვანური იდიომატიკა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1954.

ონიანი 1966 — ა. ონიანი, ქართული იდიომები, თბილისი, 1966.

პოპოვი 1956 — Р. Н. Попов, Грамматические архаизмы в устойчивых фразеологических единицах Русского языка, Симферепoль, 1956 (საკანდ. დისერტ.).

როგავა 1945 — გ. როგავა, წამალ- სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, 3, თბილისი, 1945.

ჟორჟოლიანი 2004 — ე. ჟორჟოლიანი, ნუმერატივების ფრაზეოლოგიური აქტივობის შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, თბილისი, 2004.

როგავა 1987 — გ. როგავა, ზოგი ადიღური სიტყვა ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1987.

როჟანსკი 1948 — А. Я. Рожанский, Идиомы и их перевод: Иностранные языки в школе, № 3, 1948

როჟანსკი 1957 — Рожанский А. Я. Фразеологизмы с числительными. РЯШ 1957, N1

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2005.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი, 2004-2005.

საღლიანი 2006 — მ. საღლიანი, ზოგი საერთოქართველური ფუძის შესახებ, XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2006.

საღლიანი 2011 — მ. საღლიანი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში. — არნ. ჩიქობავას საკითხავები. XXII, სენაკი, 2011.

საღლიანი 2011 — მ. საღლიანი, ნასესხები მყარი ფრაზეოლოგიური გამონათქვამების, ძველი რელიგიური შინაარსის გამოთქმების, წყევლისა და დალოცვის ფორმულების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში, იკე, 39, თბილისი, 2011.

საღლიანი 2011 — მ. საღლიანი, სვანური ენისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური იდიომები ანუ იდიომური ლაკუნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXIII, თბილისი, 2011.

საღლიანი, ჭკადუა 2011 — მ. საღლიანი, რ. ჭკადუა, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ლექსიკონის შედგენის მნიშვნელობა და ძირითადი პრინციპები, იკე, XXXIX, თბილისი, 2011.

საღლიანი, შავრეშიანი, გიგლემიანი 2012 — მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ლ. გიგლემიანი, სვანურ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა ქართველური შესატყვისები და მათი კომპონენტების ეკვივალენტურობა, იკე, XL, თბილისი, 2012.

საღლიანი, შავრეშიანი 2013 — მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ანდაზათა სტრუქტურული აგებულებისათვის სვანურში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა", II, შრომები, ქუთაისი, 2013.

სახოკია 1950 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი, 1950.

სახოკია 1979 — თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი, 1979.

სერებრენიკოვი 1955 — Серебренников Б. А. К проблему типов лексической и грамматической абстракции. In: Вопросы грамматического строя. М. 1955.

სოკოლოვა 1984 — Соколова Г. Г. Состав компонентов Фразеологических единиц Французского языка. Ленинград, 1984.

სტეფანოვი 1975 — Ю. С. Степанов, Основы общего языкознания, М. 1975.

სუპრუნი 1954 — Супрун А. Е. О Фразеологических единицах с числительными. In-Вопросы фразеологии, Ташкент, 1954.

ფლაიშერი 1982 — W. Fleischer, Phraseologie der deutschen Gegenwartssprache. VEB Bibliographisches Institut, Leipzig. 1982.

ფრომკინი 1988 — V. Fromkin, R. Rodman "An Introduction to Language", 1988.

ფუტკარაძე 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ღლონტი 1988 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, მესამე გამოცემა, თბილისი, 1988.

შანიძე 1938 — ა. შანიძე, კავკასიის ალბანთა ახლად აღმოჩენილი ანბანი, ენიმკის მოამბე, ტ. IV, 1, 1938.

შანიძე 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957.

ჩხვიმიანი 2004 — ს. ჩხვიმიანი, ფრაზეოლოგიზმების ტრანსპოზიციის პრობლემა მხატვრულ თარგმანში, საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბილისი, 2004.

ცოცანიძე 1999 — გ. ცოცანიძე, ფრაზეოლოგია — მისი ლინგვისტურ-დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული ასპექტები, ქართველური მემკვიდრეობა, III, თბილისი, 1999.

ჭკადუა 2005 — რ. ჭკადუა, ზოგი -ა სუფიქსიანი მასდარისა და „პირველად სახელთა" შეპირისპირებისათვის სვანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბილისი, 2005.

ჭუმბურიძე 2008 — ზ. ჭუმბურიძე, სვანური ანდაზების შესწავლისათვის, სვანეთი III, თბილისი, 2008.

ხაჭაპურიძე, ლომთაძე 2006 — ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ლომთაძე, სატირისა და იუმორის გავლენა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმების სემანტიკაზე, საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV, თბილისი, 2006.

ხოფერია 2007 — მ. ხოფერია, ფრაზეოლოგია როგორც ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტი ესპანურ ენაში. — საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბილისი, 2007.

ჯანელიძე 1980 — ნ. ჯანელიძე, ღერძული სიტყვის სემის ექსპლიკაცია სომატიზმებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1. თბილისი.

ბ) ლექსიკონები

დავითიანი 1973 — ა. დავითიანი, სვანური ანდაზები, თბილისი, 1973.

დონდუა 2001 — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001.

თოფურია, ქალდანი 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

კორძაია 2000 — ა. კორძაია, სვანური ანდაზები (ლაჰრჲკდ ჰრი), თბილისი, 2000.

ლიპარტელიანი 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994.

ნიჟარაძე 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007.

ღლონტი 1984 — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

ჩუხუა 2000-2003 — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003.

ჯიქია 2002 — ო. ჯიქია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი, 2002.

გ) წყაროები

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979.

სვან. ენის ქრესტ. 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.

ქართული მითოლოგია 1992 — ქართული მითოლოგია, შეადგინა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო აპოლონ ცანავამ, თბილისი, 1992.

ნაწილი VI

ინტერფერენციული მოვლენები კოდორელ სვანთა მეტყველებაში

1. შენიშვნები ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის (resp. დალის) ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების ზოგი თავისებურების შესახებ

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ (1970 წელს) პროფესორი მ. ქალდანი სტატიაში „დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში“ საგანგებოდ მსჯელობდა იმ რთული ვითარების შესახებ, რაც კოდორის (resp. დალის) ხეობის სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი. სწორედ ეს დიალექტოლოგიური სურათი განაპირობებდა, მისი აზრით, ამ ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველების ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბებას (ქალდანი 1970:82-91). როგორც ცნობილია, აღნიშნულ ხეობაში დღემდე მიმდინარეობს სამეტყველო კოდების შერევა, რაც გამოიხატება ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშერევის (**ინტერფერენციის**) პროცესში. ეს პროცესი კი განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ თაობის მეტყველებისათვის, რომელიც დაბადებული და აღზრდილია კოდორის ხეობაში. რაც შეეხება უფროს თაობას, მის მეტყველებაში ასეთი მკვეთრი გარდატეხა არ მომხდარა (იქვე:84), თუმცა, როგორც მრავალფეროვანი ფაქტობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, მცირეოდენი თავისებურებანი უფროსი თაობის მეტყველებაშიც შეინიშნება.

კოდორის (resp. დალის) ხეობის დიალექტთა ურთიერთშერევის პროცესის ძირითადი საფუძველი, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენათა აღრევაა აქაურ სვანთა მეტყველებაში. გარდა ამისა, თვალშისაცემია აგრეთვე ბალსქვემოურ დიალექტზე მოლაპარაკეთა კილოკაური ურთიერთმიმართებაც.

კოდორული დიალექტები და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავები ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია, დელაბიალიზაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა-დაკარგვა...), მორფოლოგიურ-სინტაქსურ თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით, რაც, ფაქტია განაპირობა ზემოსვანური დიალექტების წარმომადგენელთა წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრებამ.

აღნიშნული გამოკვლევის მიზანია, ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების ზოგი თავისებურების წარმოდგენა ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე[1].

ტექსტებზე მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ კოდორულ ბალსქვემოურს ზემოსვანური დიალექტებისაგან მთელი რიგი თავისებურებები განასხვავებს, რომლებიც შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად: **ბალსზემოურთან საერთო თავისებურებანი; ენგურის ხეობის ბალსქვემოურისაგან განსხვავებული თავისებურებანი; ინტერფერენციის შედეგად ჩამოყალიბებული თავისებურებანი.**

---

[1] ბალსქვემოურ დიალექტზე მოლაპარაკეთა არეალი მოიცავს შემდეგ სოფლებს: **გუ̈ანდრა, ბარგმბა, საკენ, ნაჰარუ̈, ბუჩუკურ, ბგძგგგრ, აძგარა, ტიშ, ჩხალთა, აჯარა, ზგმა, ქუ̈აბჩარა.** ბალსქვემოელები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფელ **ლათა**-შიც მეგრელების, აფხაზების, სომხებისა და რუსების გარემოცვაში.

I. ფონეტიკა

1. ხმოვანთა სიგრძის ამსახველი მოვლენები

როგორც ცნობილია, სვანური ენის ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტები ერთმანეთისაგან გამიჯნულია ერთი ფონეტიკური მოვლენის — ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით. ბალსზემოურ კილოს გრძელი ხმოვნები აქვს, ბალსქვემოურს კი — არა.

ამ ფონეტიკური მოვლენის მიხედვით, ბალსქვემოელთა მემკვიდრეების მეტყველებაში შემდეგი სურათი მივიღეთ:

რამდენიმე გრძელხმოვნიანი ფორმა დადასტურდა **საკენში, გვანდრაში, ტიშსა** და **აჯარაში** მცხოვრებ ბალსქვემოელი რესპოდენტების მეტყველებაში[1], რაც, რასაკვირველია, ბალსზემოური დიალექტის გავლენის შედეგია:

საკენში, სადაც მოსახლეობა თითქმის ბალსქვემოელთა შთამომავალია[2], იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გრძელი ხმოვნები (კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში გრძელი ხმოვნების არსებობის ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. მაქსიმე ქალდანმა (იხ. მისი „დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, თბილისი, 1970), ხოლო თავის სპეციალურ გამოკვლევებში, რომლებშიც შესწავლილია ინტერფერენციული მოვლენა კოდორის მოსახლეობის მეტყველებაში, ექსპერიმენტული ფონეტიკის აპარატურით შესწავლის საკითხი დასვა პროფ. იზა ჩანტლაძემ[3]:

სა̈კენთეჲსგ'ანჴა̈დ, **ეს'ე̄გი**, მა̈ნკჷი პეტრე გურჩიან — საკენში მოვიდა, ესე იგი, პირველად პეტრე გურჩიანი („**საკენ**-⌜ს⌝-კენ-ში მოვიდა, ესე იგი, პირველად **პეტრე გურჩიან**-ი ")

⌜ალი⌝ **იტობო̄ლდა** ჩუ ... „ეს დაიტბორებოდა ხოლმე"

ლიშჲა̈ლ ... **ქ'ა̈დზგგრა̈̄ნ**, ეჩქანლჷე ა̈დბინა̈ნ[4] ... — ომი ⌜რომ⌝ დამთავრდა, შემდეგ დაიწყო („ხელაობა დამთავრდა, მაშინს მერე დაიწყო")"

ეჯი ... კარა̈ჷთეჲსგა **სგ'ო̄ნჴჷიდდ** „ის კარავში შემოვიყვანეთ („ის **კარავ**-⌜ის⌝-კენ-ში შემოვიტანეთ")

⌜ალ⌝ მარე⌜ს⌝ **გლეხობა̈̄ში** ხოხალდა ⌜ი⌝ ლუთჷერიში ხოხალდა „ამ კაცმა გლეხის საქმეც იცოდა და სწავლულისაც იცოდა („ამ კაცს **გლეხ**-ობ-ის-⌜ა⌝-ც იცოდა და ნასწავლისაც იცოდა")"

ალი ეჯის ქა ხეზზენი ღერმათ სგებინჩუ **ხოჩა̄მშჷ** „ეს მას დახვდება ღმერთის წინაშე კარგად („ეს მას მიეგებება **ღმერთ**-⌜ის⌝ წინაშე ქვე კარგით")"

ამჲი ... მანქანათექა ქ'ამიეხ ი **სგ'ა̈̄მჯჷირეხ** ალი, ა̈, — მანქანათეჲსგა „ასე მანქანამდე მიმიყვანეს და შემაგდეს ამაში, აი, მანქანაში („ასე **მანქანა**-მდე გამიტანეს და მიბიძგეს ეს, **აი — მანქან**-⌜ის⌝-კენ-ში")"

---

[1] აქ არ განვიხილავთ სპეციალურად კოდორელი ბალსქვემოელების, გოჩა და კოლია გერლიანების, მეტყველების ნიმუშებს, რადგანაც ინტერფერენციის პროცესი მათ მეტყველებაში იმდენად შორს არის წასული, რომ ისინი თითქმის, მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, ბალსზემოურად მეტყველებენ, რაც, ჩვენი აზრით, ცალკე შესწავლის ობიექტია.

[2] კოდორელი ბალსქვემოელი რესპოდენტის, ბავჩი გურჩიანის თქმით, საკენში ცხოვრობენ, ძირითადად, ბალსქვემო სვანეთიდან, კერძოდ, ფარიდან, ეცერიდან და ჩუბეხევიდან გადასახლებულები; ესენი არიან: გურჩიანები, ვიბლიანები, ჩხეტიანები, ცალანები და უმფრიანები, თუმცა არიან ბალსზემოელებიც — უშგულელი ღვაჩლიანები და ჰალდელი ჩოფლიანები. მისივე თქმით, აქ უცხოვრიათ რეზესიძეებსაც, რომლებიც შემდეგ სხვაგან გადასახლებულან.

[3] „ინტერფერენციული მოვლენები კოდორის, resp. დალის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში", ენათმეცნიერების საკითხები, I, თბილისი, 2007; „ხმოვანთა სიგრძე როგორც ინტერფერენციული მოვლენა კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში", არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბილისი, 2007; **"Интерференции в сванской речи жителей кодорского, resp. Дальского ущелья", IV международная научная конференция "язык, культура, общество", Москва, 2007,** გვ. 87; **Interferences in Svanetian speech of kodori, resp. Dali gorge population, Caucasus conference, Leipzig, 2007.**

[4] დაუმთავრებელი წინადადებაა.

ჩო̄ს ნალǟტ ... სახუბისგა პირიბეშ ოჯǟხ „ყველას გვიყვარს საძმოში პირიბეს ოჯახი"

ზურǟლ ი ნალჟურ ერქგდა ჩჳადტყეცნეხ „ქალი და კაცი ორივე გალახეს"

ეჩქანლოდ ნიშგე ოჯǟხიშ ბიძაშჳილ **მǟრედ** ადიე ი ეჯჲǟრდ გაზარდეს „შემდეგ ჩვენი ოჯახის ბიძაშვილმა კაცმა წაიყვანა („წაიღო") და იმათმა გაზარდეს („მაშინს მერე ჩვენი **ოჯახ-ის ბიძაშვილ-**˹მა˺ კაცმა წაიღო და იმეებმა გაზარდეს")

ჩო̄ ზაჳ იშჳმინა ეჯ მარე ეჩეჩუ ... „ყოველ წელს ისვენებდა ის კაცი იქ"

ეჩქას ხელშეკრულება ესდეხ შეჳარდნაძედ ი ელცინდ, ... ერე ... ჩჳ'ესერ **ისყǟლხ**, ეჯჳი „მაშინ ხელშეკრულება დადეს შევარდნაძემ და ელცინმა, რომ შევრიგდებითო, ისე („მაშინ **ხელშეკრულება** და-დ-ე-ს **შევარდნაძე**-მ და **ელცინ**-მა, რომ შერიგდებიანო, ისე")"

˹მი˺ ხჳი **გულედǟნრეშ** თელღგრა „მე ვარ გულედანების რძალი"

ახლა **ხო̄შილ** ჳაფასებ მის ...მგდეს... „ახლა უფრო ვაფასებ მის ...იმას.... "

ჳუჲჰ, მეზჳბელǟრხენქა ჩიმი ტკისდ, **ჩჳ'ერჳǟ** იზგეხ ეჩეჩუ „უჰ, მეზობლების ყველასი ნამდვილად, ვინც კი იქ ცხოვრობს („უჰ, **მეზობლ**-ებ-˹ის˺-გან-გა ყველასი ნამდვილად, ქე ვინც სახლობენ იქ")".

> **შენიშვნა:** აჭარაში მცხოვრები, წარმოშობით ცხუმარელი, ჟორა სუბელიანისა და მისი ცოლ-შვილის (ემზარ სუბელიანისა და ბეჩოელი საშა კვიციანის) მეტყველებაში არც ერთი გრძელხმოვნიანი ფორმა არ შეგვხვედრია.

ამრიგად, ორი დიალექტის, ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის, შერევის ნიადაგზე, გრძელ ხმოვნებთან დაკავშირებული ცვლილებების მიხედვით, კოდორის ხეობის ბალსქვემოელთა მეტყველებაში, ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს გავლენის შედეგებთან, თუმცა ეს გავლენა არც თუ ისე დიდია, რასაც საანალიზო მასალაც ადასტურებს. როგორც ჩანს, დიალექტთა ინტერფერენციის პროცესში დიდ როლს თამაშობს ანალოგია[1].

2. უმლაუტი

ბალსზემოური და ბალსქვემოური დიალექტების შერევის შედეგები კარგად ჩანს სვანური ენის ფონეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მოვლენის უმლაუტის დარგშიც. უმლაუტის თავისებურებების გამოვლინებას, რამდენადაც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფონეტიკისათვის, არამედ მორფოლოგიის რიგი საკითხების გასარკვევადაც.

სვანური ენის დიალექტები (resp. კილოკავები), როგორც ცნობილია, უმლაუტის თვალსაზრისით მთელ რიგ თავისებურებებს გვიჩვენებენ.

ბალსქვემოელების შთამომავალ კოდორელთა მეტყველებაში ამ მხრივ შევამჩნიეთ შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ო ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით:

... ჩუბე ლახჳს **მინდჳერს** ხჳატულიდ „ქვედა მთას მინდორს ვეძახით"

მი ხჳი ... **წარმოშჳებით** მესტიჲშ რჲǟონხენ „მე ვარ წარმოშობით მესტიის რაიონიდან"...

მართალია, მაგალითები არცთუ ისე ბევრია, მაგრამ სამეტყველო კოდების აღრევის მხრივ მაინც საინტერესოდ გვესახება.

ო-ს უმლაუტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ „ზოგიერთ მოსალოდნელ შემთხვევაში ბეჩოური და ნაწილობრივ ცხუმარულ-ეცერული მეტყველება ო-ს უმლაუტს არ იძლევა (**მინდორ** „მინდორი", **კიბდონ** „კიდობანი", **ლამთონ** „მასწავლე",

---

[1] როდესაც ბალსზემოელი მკვლევარი ქ. მარგიანი-დადვანი ბალსქვემო დიალექტის წარმომადგენელს ბალსზემოურად უსვამს შეკითხვას, ბალსქვემოელი რესპოდენტი ძალიან ხშირად ბალსზემოურადვე პასუხობს. გრძელხმოვნიანი ფორმების არსებობაც, ალბათ, ძირითადად, ამით არის განპირობებული.

ლამფოთინ „ამიკიდე“ ...), მაშინ როდესაც ჩუბეხეურში, მსგავსად ლახამულურისა, უმლაუტის შემდეგ დელაბიალიზაციაც მომხდარა (**მინდერ** „მინდორი“, **კიბდენ** „კიდობანი“, **ლამთენ** „მასწავლე“, **ლა̈მფე-თინ** „ამიკიდე“...) (ქალდანი 1959:219). ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან სწორედ კოდორის ხეობაში ჩასახლებული ბეჩოელი და ეცერელი მთქმელების მეტყველებაში შევნიშნეთ **ო** ხმოვნის უმლაუტი.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ მაგალითებში ბალსზემოურისებური ვითარება ვლინდება, რაც ინტერფერენციულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

ბ) უ ხმოვნის უმლაუტი, გამოწვეული სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვით ან მომდევნო პოზიციაში მყოფი პალატალური ხმოვნით:

მა̈ნკჳი სემი ლამპა̈რს ჟი ატჳრეხ ჰა̈ზჳისგა „თავდაპირველად სამ ჩირაღდანს აანთებენ ხოლმე ეზოში („თავდაპირველად **სამ ლამპარ-ს** აანთებენ **ეზო-ში**“)“

ალი ეჩქა, ჷ, **მა̈ნკჳი** ერ ანჴა̈დხ მიშგჳათე „ეს მაშინ, ე, პირველად რომ მოვიდნენ ჩემთან“

ლამპრა̈რს ხჳა̈სყიდ ... **ეშხჳი** თჳეჳ სგებინჩუ „ლამპრებს ვაკეთებთ ერთი თვით ადრე („წინდაწინ“)“

სა̈კენთეჲსგ'ანჴა̈დ, ეს'ჷგი, **მა̈ნკჳი** პეტრე გურჩიან „საკენში მოვიდა, ესე იგი, პირველად პეტრე გურჩიანი („საკენ-⌈ის⌉-კენ-ში მოვიდა , ესე იგი, პირველად **პეტრე გურჩიანი**“)“

მა̈ნკჳიშხენ მასა̈რდ გაჭირებ'ოჭიედ „თავიდან ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ („თავდაპირველად ბლომად გა-ჭირვ-ებ-ა ვიწვნიეთ“)“

აშხჳინ ... ზორბექს ი მიჩა ჲორი მგნჴრი მარა ქა ოხრეკლახ ჳეთხმალ „ერთხელ ზორბექს და თავის ორ ამხანაგს გამოურეკიათ საქონელი („ერთხელ **ზორბექ**-ს ი მის **ორ** მხლებელ კაცს გა-მო-უ-რეკ-ი-ა-თ **ოთხ-მა-ვალ-ი**“)“

ა **ქართჳილდ** ტულდე? „თუ ქართულად ვთქვა („თუ **ქართულ-ად** ვამბობდე?“)?“

სა̈ერთოდ ლა̈სჳ გჳიშგეშმგყ ... **ლიმცჳქჳილ** „საერთოდ იყო ჩვენთან შუამავლობა („საერთოდ იყო ჩვენთან მო-ციქ-ულ-ობ-ა“)“

ჯი ესერ **ხემცოქჳილ** მინე ბედყი იმპერატორს „მე გიშუამავლებთო იმპერატორთან („თვითონო ე-მო-ციქ-ულ-ებ-ა მათ **ბედ-ზე იმპერატორ-ს**“)“.

ო ხმოვნის უმლაუტის შემთხვევები კოდორელ ბალსქვემოელთა (**აჭარელთა**, **ტიშელთა**, **საკენელთა**, **ყულუჩელთა**, **გენწვიშელთა**, **ჩხალთელთა**) მეტყველებაში, როგორც ვნახეთ, არცთუ ისე ხშირი იყო, რასაც ვერ ვიტყვით **უ** ხმოვნის უმლაუტზე, რამდენადაც მაგალითების სიმრავლე ამის თქმის უფლებას არ მოგვცემს.

მართალია, **უ** ხმოვნის ნაუმლაუტარი **ჳი** ბალსქვემოური დიალექტის ყველა კილოკავში არის წარმოდგენილი მეტნაკლები ოდენობით, თუმცა თავისებურებანი აქაც ვლინდება. რაში გამოიხატება ეს თავისებურებანი? მაშინ, როდესაც ძალიან ხშირად ჩუბეხეურში ნაუმლაუტარი **ჳი** გვაქვს, სხვაგან მას სრული **უ** ხმოვანი შეესატყვისება, მაგ.: ჩბხ. **ჩჳიბეჴეჳ**, ბეჩ., ცხუმ., ეცერ. **ჩუბეჴეჳ** „საზოგადოების სახელია („ქვედა ხევი“)“, ჩბხ., **მანკჳი**, ბეჩ., **მანკუ** „პირველად“ ან პირიქით, როდესაც ლახამულურში გვაქვს უ-ს ნაუმლაუტარი **ჳი**, მაშინ ჩუბეხეურში მას სრული **უ** ხმოვანი შეესატყვისება, მაგ.: ლხმ. **ჳოხჳიშდ**, ჩბხ. **ჳოხუშდ** „ხუთი“, ლხმ. **კუნკჳილ**, ჩბხ. **კუნკულ** „კურკა“ და ა. შ. (იქვე:220). რა თქმა უნდა, იგივეს თქმა ბალსქვემოურის სხვა კილოკავებზედაც შეიძლება, თუმცა ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ეს მცირეოდენი ექსკურსი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გაგვერკვია უ-ს უმლაუტის ის თავისებურებანი, რომლებიც კოდორის ხეობაში მცხოვრებ ბალსქვემოელთა მეტყველებაში ვლინდება.

მიუხედავად იმისა, რომ უ-ს უმლაუტი, ბალსზემოური დიალექტის მსგავსად, ბალსქვემოური დიალექტისთვისაც არის დამახასიათებელი, კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში დაფიქსირებული

ჷ ხმოვნის ნაუმლაუტარი ჷი ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ბალსზემოურის გავლენის შედეგად მიგვაჩნია.

· **მა̈ნკჷი, ეშხჷი, მა̈ნკჷიშხენ, აშხჷინ, ქართჷილდ, ლიმცუქჷილ, ხემცოქჷილ** და ა. შ. ბალსზემოური მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმებია, ხოლო მათი ბალსქვემოური[1] შესატყვისები იქნება: **მა̈ნკუ, ეშხუ, მა̈ნკუშხენ, აშხუნ, ქართულდ, ლიმცოქულ, ხემცოქულ.**

3. თანხმოვანთა ცვლილებები რაგვარობის მიხედვით

თანხმოვანთა ჩართვა-დაკარგვა, როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად სვანური ენის ყველა დიალექტსა და კილოკავში (resp. დალის ხეობის სვანურშიც) გვხდება, თუმცა კოდორულ სვანურსა და ენგურის ხეობის დიალექტებს შორის ამ მხრივაც მცირეოდენი ცვლილებები მაინც შეინიშნება.

ა) ბგერის ჩართვა

მასალაზე დაკვირვების შედეგად, კოდორელი ბალსქვემოელების მეტყველებაში, გამოვლინდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურება. ისმის კითხვა: რაში გამოიხატება ეს თავისებურება? ჩვენი დაკვირვებით, ერთი და იმავე მთქმელის (მაგ. საკენელი ბაჩი გურჩიანის) მეტყველებაში, თუნდაც ერთსა და იმავე ტექსტში, ხშირად აქვს ადგილი პარალელური ფორმების ხმარებას. ამ პარალელურ ფორმათაგან ერთი ენგურის ხეობის ბალსქვემო სვანეთიდან გატანილი (საკუთრივ ბალსქვემოური) სიტყვაა, მეორე — ენგურის ხეობისავე ბალსზემოურის კუთვნილებაა, ხოლო მესამე ამ დიალექტების შერევის შედეგად მიღებული, ზემოსვანურისთვის უჩვეულო ფორმა. ამისი ნათელი დადასტურებაა ქართული ტბის შესატყვისი სვანური, კერძოდ, კოდორულ ბალსქვემოურში შემჩნეული **ტობ||ტო̄მბ||ტომბ**[2] ლექსემა, პირველი საკუთრივ ბალსქვემოურია, მეორე — ბალსზემოური, ხოლო მესამე კი (**ტომბი** ლგგ ლგფანთუნე „ამღვრეული ტბაც დგას“) — **ინტერფერენცირებული.** სონორი მ-ს ჩართვა საანალიზო ლექსემაში ენგურის ხეობის ბალსქვემოურში არ შეინიშნება, თუმცა შეიძლება სხვაგვარი ვარაუდიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგრულში წარმოდგენილია **ტომ̣ბა** „მორევი“...

გვხდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რომელიმე კოდორელი ბალსქვემოელი მთქმელი საკუთრივ ბალსქვემოურისთვის მიღებულ ფორმას ხმარობს, ხოლო მისი მეზობელი ან თუნდაც თანასოფლელი იმ ფორმის ადგილას ან ბალსზემოურ ფორმას იყენებს ან სულაც ორივე ზემოსვანური დიალექტისთვის მიუღებელ რაღაც ინტერფერენცირებულ ფორმას.

ბ) ბგერის დაკარგვა

თანხმოვანთა ჩართვაც და გაუჩინარებაც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დამახასიათებელია ნაზალური თანხმოვნებისათვის.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ბგერათა გაუჩინარებას სისტემატური ხასიათი აქვს კოდორელ ბალსქვემოელთა (საკენელთა, ტიშელთა, გვანდრელთა, აჟარელთა) მეტყველებაში, როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტშიც. ამასთანავე იკარგება არა მხოლოდ ნაზალური, არამედ სხვა თანხმოვნებიც:

---

[1] ვგულისხმობთ ბეჩოურ-ეცერულს, რადგანაც მთქმელები სწორედ ამ კილოკავების წარმომადგენლები არიან, რომლებიც დიდი ხნის წინ გადასახლდნენ კოდორის ხეობაში. თუმცა **მა̈ნკჷი, ეშხჷი||ეშჷი** და ა. შ. ჩუბეხეური და ლახამულური მეტყველებისთვის ჩვეულებრივი ფორმებია.

[2] სოფელ საკენის მკვიდრი, წარმოშობით ეცერელი, ბაჩი გურჩიანი სამივე ფორმას იყენებს.

ანლაუტში: ოდა (< **ჰოდა**)[1], ალის ოთღორჳეხ მოლეგჳეშ „ჰოდა, ამას რაღაცა მოატყუეს („**ჰოდა**, ამას მო-ა-ღორ-ეს რაღაც საქმე")"

ახ (< **ლახ**) მუშგჳრჷä ჲერჳა ხორდახ, ედო ... ლარდა დემე ხä̈რენა ... მგზას „თუ ვინმე სტუმრები ჰყავდათ, თორემ მოსვენება არ ჰქონია მუზას („თუ სტუმრები ვინც ჰყავდათ, თორემ სამყოფი არ ჰქონია **მუზა-ს**")

ღეშგიმ ეჯღä̈ჲ **ახ** (< **ლახ**) ...მგდე..., ეჩქა ჩჳადდაჳშე „ბოლოს მაინც რომ ...ისა..., მაშინ დაღუპა („უკან მაინც თუ ...ისა..., მაშინ და-ა-შავ-ა")"

ჳეშგმე (< **ლჳეშგმე**) ყორä̈რქა ქ'ამიეხ „უკანა კარში გამიყვანეს („უკანა კარებში გამიტანეს")"

ათხე, **შობელთა** (< **მშობელთა**) კრებათ'ოსლურდä̈ს, ნეფყუ ჟი მიქხენიჳ, ეძზუ ხოჩამ **გა** (< **გარ**) ტულიდა ამიშეი „ახლა, მშობელთა კრებაზე რომ მივდიოდი, მაშინ თავსაფარი ზემოთ ამდიოდა, იმდენ კარგს ამბობდა ამაზე („ახლა, **მშობელთა კრებ**-⌈ის⌉-კენ მივდიოდი, თავსაფარი ზე ამდიოდა, იმ-**ზომა** კარგს მხოლოდ ამბობდა ამაზე")

ინლაუტში: გჳანდარä̈ჲშ ძირისგა, **განდარä̈ჲშ** (< **გჳანდარä̈ჲშ**) ძირისგა ⌈ლი⌉ „გვანდარას ძირში, გვანდარას ძირში არის"

ეჯის **ტაქტორს** (< **ტრაქტორს**) სგა ხჳä̈ჯდუნაჳნე „იმას ტრაქტორს შემოვატანინებ ხოლმე"

მესამე კურსელ ლä̈სჳ ა მეოთხე, **დეე** (< **დემე‖დემეგ**) მაშყიდ, ეჯი **დეე** (< **დემე‖დემეგ**) მაშყიდ „მესამე კურსელი იყო თუ მეოთხე, არ მახსოვს, ის არ მახსოვს"

აუსლაუტში: ⌈მი⌉ ... **ჩჳესე** (< **ჩჳესერ**) დემეგ მიქჳცენი „შენ არ გიწყდებაო („მე ქეო არ მეჭრება")"

ისგუ **დიჲ მასä̈რდ** (< **მასä̈რდს**) იჭირე „დედაშენიც ბევრს შრომობს („შენი **დე**-და-ც ბევრს ი-ჭირ-ვ-ებ-ს")"

ლახ დემგჳაშ ä̈ნჭირნე ისგუ დი, **ეჩქა** (< **ეჩქას**) ეჯისი **მამაგჳე** (< **მამაგჳეშ**) ხელჳენი „თუ არ იშრომებს დედაშენი, მაშინ იმასაც არაფერი ექნება („თუ არა საქმეს ი-ჭირ-ვ-ებ-ს შენი **დედა**, მაშინ იმასაც არა საქმე ექნება")"

პედაგოგ (< **პედაგოგდ**) ნარდჳ ლä̈სჳ „პედაგოგად ნამყოფი იყო"

ალი ... **მამაგჳე** (< **მამაგჳეშ**) ლი „ეს არაფერია („ეს არა საქმე არის")"

ეჯგჳä̈ (< **ეჯგჳä̈რ**) ხოჩა ნაყუნ ხოხა, ერე გჳä̈მიდ „ისეთი კარგი შეჭამანდი იცის, რომ მეტისმეტად კარგი („ის გვარ-ი კარგი შეჭამანდი იცის, რომ მძიმედ")"

მაყლენი ათხე, ... მიშგუ გულა ერ ნä̈ს **მაგჳე** (< **მაგჳეშ**) ხეყერეს „მეშინია ახლა, ჩემ გამო არავის არაფერი დაემართოს („მეშინია ახლა, ჩემი **გულ**-⌈ის⌉-თვის რომ არავის არა საქმე დაემართოს")"

ჟი ხჳä̈ჩდინე ი **ეჯგჳä̈** (< **ეჯგჳä̈რ**) ლი ხოჩა „ავურევ ხოლმე და ისეთი კარგია („ავურევ და ისგვარ-ი არის კარგი")".

გ) ასიმილაცია

წარმოშობით ეცერელი ნინა გუჯეჯიანი, რომელიც ამჟამად სოფელ გვანდრაში ცხოვრობს თითქმის ბალსქვემოელთა გარემოცვაში, როგორც ჩანს, ბალსზემოურის გავლენას მაინც განიცდის, რაც მის მეტყველებაში ნათლად აისახება. ამ გავლენის შედეგია ალბათ ბალსქვემოურისთვის მიუღებელი ფორმები **ნინძლეჳ** და **ლინძლეჳ** „სანაძლეო, ნაძლევი" (შდრ. მისივე **ქ'ä̈ხნირზალ, ნირზღა**):

ეშხუ **ნინძლეჳ** ოხჯä̈დ სპირდონ გუჯეჯიანს აფხზä̈რცახä̈ნ „ერთხელ დანიძლავება მოუხდა სპირიდონ გუჯეჯიანს აფხაზებთან („ერთი **ნიძლავ**-ი მოუვიდა **სპირიდონ გუჯეჯიან**-ს **აფხაზ**-ებ-თან")"

[1] პარალელურად **ჳოდა** ვარიანტიც დასტურდება.

ლინძლეჳ წააგო **ეჯ მგჷფხა̈ზიდ** „ნიძლავი წააგო იმ აფხაზმა“.

მართალია, ვერც ერთი ზემოთ დასახელებული საანალიზო ფორმა ამ სახით ვერ დავადასტურეთ ზემოსვანურ დიალექტებში, მითუმეტეს ბალსზემოურში (შდრ. ბქ. **ნირზლა̈ჳ**, ბზ. **ლინძლა̈ჳ**, **ნიძლა̈ჳ**), თუმცა მეტ სიახლოვეს მაინც ბალსზემოურთან იჩენს, ვიდრე ბალსქვემოურთან.

საინტერესოა, თუ რა ფონეტიკური პროცესები განვითარდა დიალექტთა ურთიერთშერევის პროცესში კოდორულ ბალსქვემოურში. ჩვენი აზრით, აქ, პირველ რიგში, ადგილი უნდა ჰქონდეს ასიმილაციის პროცესს, დისტანციურ-პროგრესულ-სრულ ასიმილაციას (**ნინძლეჳ** < **ლინძლეჳ**), გარდა ამისა, თვალშისაცემია ე+ჳ პოზიციაში ე'ს უუმლაუტობა, მაშინ, როდესაც ზემოსვანურ დიალექტებში, ამ პოზიციაში, უმლაუტი თითქმის ყოველთვის ხორციელდება, შდრ. ბქ. **ნირზლა̈ჳ**, ბზ. **ლინძლა̈ჳ**, **ნიძლა̈ჳ** „სანაძლეო, ნაძლევი“, ბქ. **წა̈ჳრ**, ბზ. **წჷ̈ჳრ** „წერო“, ზს. **უბა̈დჳ** „უბედო“, ბზ. **დეკა̈ჳილ** „დეკეული“ და ა. შ.

შენიშვნა: წარმოშობით ბეჩოელი, საშა კვიციანი, ერთმანეთის პარალელურად იყენებს, როგორც ასიმილირებულ **ნეჰნა**'ს, ასევე მისივე წინაპარი ბეჩოური კილოკავისთვის ჩვეულებრივ ფორმას — **ლეჰნა**'ს „შარშან“. კოდორულ ბალსქვემოურშივე შეიმჩნევა **ლანა̈გ** და **ნანა̈გ** „დედულეთი“ ფორმათა პარალელური ხმარებაც.

II. მორფოლოგია

1. სახელთა ბრუნება

სახელობითი ბრუნვის ნიშნის შესახებ კოდორულ ბალსქვემოურში

სვანურ სახელებს, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შანიძე 1957:364; თოფურია 1927:285), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებში) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუძეებით გვხვდება. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, სვანურში ნომინატივის ნიშნად **-ჲ** ხმოვანიც ივარაუდება, რომელიც გაქვავებული სახით აქა-იქ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი (ჩანტლაძე 1973:269). მეტადრე ეს ითქმის ბალსზემოურ დიალექტზე, სადაც სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი**, ჩვენი დაკვირვების მიხედვით, ბევრ სიტყვაშია შემორჩენილი, მაგ.: **აბზინდა̈ჲ** „აბზინდა“, **ბამბა̈ჲ** „ბამბა“, **ბერდენა̈ჲ** „ბერდანა“, **დიხსა̈ჲ** „დიასახლისი“, **დომბა̈ჲ** „დომბა“, **დორა̈ჲ** „დორა“, **კალთა̈ჲ** „კალთა“, **კამრა̈ჲ** „კამარა“, **კარდალა̈ჲ** „კარდალა“, **კერა̈ჲ** „კერა“, **პიტნა̈ჲ** „პიტნა“, **სჳინა̈ჲ** „ნათლია“, **წინდა̈ჲ** „წინდა“ და ა. შ. (საღლიანი 2005:67-69), ხოლო, რაც შეეხება ბალსქვემოურ დიალექტს, იქ გამონაკლისის სახით გვხვდება სულ რამდენიმე სიტყვა, ესენია: **ჲორი, სემი, ბურთი** · (საღლიანი 2005:245). გამოდის, რომ ზემოსვანეთში გავრცელებულ ბალსქვემოურ დიალექტს სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** თითქმის არ მოეპოვება, რასაც ვერ ვიტყვით კოდორულ ბალსქვემოურზე, ვინაიდან საკენსა და გვანდრაში ჩასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში დაფიქსირდა ნომინატივის გაქვავებული ბრუნვის ნიშანი **-ჲ** არაერთ სახელში (**ზა̈ჲ** „წელი“, **ჰალა̈ჲ** „მდინარე“, **სტჳა̈ფჲა̈ჲ** „მოტვლეპილთავიანი“...). მაგ.:[1]

აშირ ზა̈ჲ მაჰრენე ირი „ყველაზე ნაკლები ასი წელი იქნება („ას-ი წელი ყველაზე პატარა იქნება“)“

ზისხიშ **ჰალა̈ჲ** ესერ ოლმა̈ზნელი „სისხლის მდინარე მოდიოდაო („სისხლ-ის ჰალა-ო *მონავალა“)“

[1] საილუსტრაციოდ მოგვყავს ან თვითო ან ორი-სამი მაგალითი.

ჭალა̈დქა ესღჷრდა პირდაპირ „მდინარეზე გადიოდა პირდაპირ („ჭალა-ზე მიდიოდა პირდაპირ“)“

ეჯი ხოშა **სტჷა̈ფდა̈დ** მარე ʿლა̈სჷʾ „ის დიდი მოტვლეპილთავიანი კაცი იყო“

ჷობა̈შ **მგშა̈დხ** ათცჷირ ეჯინემ ქჷინ „ბევრი მუშა გადაარჩინა იმან („ბევრ **მუშა**-ს შეარჩინა იმან სული“)“

ჟ'ოხხჷიტა ალდა̈რ მა̈გ ... ალსმი **დაშნა̈დშჷ** ეშხუ მარეს „ესენი ყველა ამოუწყვეტია ალმასის დაშნით ერთ კაცს („ამოუწყვეტია ესენი ყველა ალმას-იʿსʾ **დაშნ**-ით ერთ კაცს“)“

ბეგინა̈დ ლგმა̈რ ზანრე ლახჷ „ბეგინა ყოფილა მეგრელების მთა“

მეხანა̈დ ლახჷ ლგმა̈რ ზანრე „მეხანას მთა ყოფილა მეგრელების“.

ეს მოვლენაც, რაღა თქმა უნდა, ბალსზემოურ დიალექტთან ინტერფერენცირებულ მოვლენად მივიჩნიეთ, რადგანაც ანალოგიურ შემთხვევებში ენგურის ხეობის ბალსქვემოურში -დ არსად გვაქვს.

ამ ფორმების პარალელურად, იგივე საკენელი და გვანდრელი მთქმელების მეტყველებაში, დასტურდება ნულოვანი მორფემით წარმოდგენილი: **ზა̈** „წელი“, **ჭალა̈** „მდინარე“, **მგშა̈** „მუშა“, **ბეგინა̈** „ბეგინას მთა“, **მეხანა̈** „მეხანას მთა“ და სხვ.

ამრიგად:

1. ჩვენ შევეცადეთ, ფაქტობრივ მასალაზე დამყარებით, განგვეხილა კოდორის ხეობის ის მთავარი და ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც სვანური ენის ორი სამეტყველო დიალექტის — ბალსზემოურისა და ბალსქვემოურის — ურთიერთშერევამ (**ინტერფერენციამ**) გამოიწვია კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში.

2. ეს თავისებურებანი დავყავით სამ ჯგუფად: **ბალსზემოურთან საერთო თავისებურებანი**; **ენგურის ხეობის ბალსქვემოურისაგან განსხვავებული თავისებურებანი** და **ინტერფერენციის შედეგად მიღებული თავისებურებანი**.

3. რამდენიმე გრძელხმოვნიანი ფორმა დადასტურდა **საკენელი**, **გვანდრელი**, **ტიშელი** და **აჯარელი** ბალსქვემოელი რესპოდენტების მეტყველებაში.

4. კოდორის ხეობაში ჩასახლებული ბეჩოელი და ეცერელი მთქმელების მეტყველებაში შევნიშნეთ ოʹსა და უ ხმოვნის უმლაუტი, იქ, სადაც ენგურის ხეობაში მცხოვრები ბეჩოელი და ეცერელი წარმომადგენლებისთვის ის სრულიად ზედმეტია, თუმცა კანონზომიერია ბალსზემოურისთვის. ეს ვითარებაც **ინტერფერენციის** მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

5. ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში, ერთსა და იმავე ტექსტში, ძალზე ხშირად ადგილი აქვს პარალელური ფორმების ხმარებას. ამ პარალელურ ფორმათაგან ერთი ენგურის ხეობის ბალსქვემო სვანეთიდან გატანილი საკუთრივ ბალსქვემოური სიტყვაა, მეორე — ენგურის ხეობისავე ბალსზემოურის კუთვნილება, ხოლო მესამე ამ დიალექტების შერევის შედეგად მიღებული, ზემოსვანური დიალექტებისათვის უჩვეულო ფორმა.

6. დადგინდა ისიც, რომ ბგერათა გაუჩინარებას სისტემატური ხასიათი აქვს კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში როგორც ანლაუტში, ასევე ინლაუტსა და აუსლაუტშიც. ამასთანავე იკარგება არა მხოლოდ ნაზალური, არამედ სხვა თანხმოვნებიც.

7. კოდორელ ბალსქვემოელთა მეტყველებაში შეინიშნება ასიმილაციის პროცესიც.

8. საკენელთა და გვანდრელთა მეტყველებაში ასევე დაფიქსირდა ნომინატივის გაქვავებული ბრუნვის ნიშანი -დ არაერთ სახელში. ეს მოვლენაც, რაღა თქმა უნდა, **ინტერფერენციის** მოვლენად მივიჩნიეთ.

9. როგორც ვხედავთ, ცვლილებები არცთუ ისე მცირეა, თუმცა საბოლოო დასკვნებისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ, რადგანაც განსახილველი და შესასწავლი კოდორის ხეობის ბალსქვემოურ მეტყველებაში ჯერ კიდევ ბევრია.

2. სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი (ე. გაზდელიანი, რ. ჭკადუა, მ. საღლიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი) პროფ. ი. ჩანტლაძის ხელმძღვანელობით რამდენიმე წელი იკვლევდა სვანური ენის ნაკლებად შესწავლილ უბანს — კოდორის (resp. დალის) ხეობის მცხოვრებთა მეტყველებას ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემებთან შედარებით.

კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში, მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის[1], კოდორელი ბალსქვემოელების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჭბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორიცაა ლაშხური და ბალსქვემოური. მთქმელი, როგორც უკვე ითქვა, წარმოშობით ლაშხელია. იგი 1997 წლიდან (ე. ი. ათი წლის განმავლობაში) ცხოვრობს კოდორის (resp. დალის) ხეობაში ბალსქვემოელთა გარემოცვაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე. ეს გავლენა, ჩვენი დაკვირვებით, აისახა როგორც ლექსიკაზე, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსზეც.

როგორც ცნობილია, „კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში დასტურდება ორგვარი ინტერფერენცია:

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა;

ბ) სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა" (ჩანტლაძე 2007:95).

ჩვენი აზრით, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ზემოსვანური დიალექტის მონაცემებს დაემატება ლაშხური კილოს მასალაც. ლაშხური დიალექტის გამოყოფას სვანური ენის სხვა დიალექტებს შორის, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, საფუძვლად უდევს ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით დაპირისპირება, სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით უმლაუტიანი ხმოვნების არ ქონა და ხმოვანთა რედუქციის არსებობა. სწორედ ამ მონაცემთა გათვალისწინებით მოვახდინეთ დაკვირვება ლაშხელი რესპოდენტის ინტერფერენციულ მეტყველებაზე, რამაც საინტერესო შედეგები მოგვცა როგორც ლექსიკური, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის თვალსაზრისითაც.

შენიშვნა: ირმა კოჭბიანის მეტყველების ნიმუშები ჩვენ სპეციალურად სიტყვა-სიტყვით გადავამოწმეთ ლაშხურის კარგ მცოდნესთან, ნატალია ონიანთან, რომელთანაც მას მთელი ბავშვობა და ახალგაზრდობა აქვს გატარებული მამაპაპისეულ სოფელში, ლეღვანში (ცახუნდერის თემში). ამ შედარებამ, რასაკვირველია, საშუალება მოგვცა დაკვირვება მოგვეხდინა ლაშხურ-კოდორულ (resp. ბალსქვემოურ) ინტერფერენციულ მოვლენებზე როგორც ერთ კერძო შემთხვევაზე.

პირველ რიგში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსიკამ.

---

[1] კოდორის რეგიონში მცხოვრები სხვა ქვემოსვანი რესპოდენტის მეტყველების ნიმუშები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ინტერესსმოკლებული არ იქნება თუკი კოდორის ხეობაში ნაცხოვრები სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველების ნიმუშებსაც მოვიპოვებთ.
შენიშვნა: ირმა კოჭბიანის მეტყველების ნიმუშები იმითაც არის საინტერესო, რომ იგი გახლდათ 1989 წლის ცხრა აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთი უშუალო მონაწილე და იგი დეტალურად აღწერს მაშინდელ მოვლენებს.

1. ლექსიკა:

ა) თავის დროზე ეცერიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულ გუჯეჯიანთა ლაშხელი რძლის ირმა კოჭბიანის მეტყველებაში მისთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ძალიან ხშირად ისმის ბალსქვემოური ლექსემებიც, რომლებიც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან: ალი (შდრ. ლშხ. ალე) „ეს", ალიჲ (შდრ. ლშხ. ალე̄ჲ) „ესეც", ალის (შდრ. ლშხ. ალეს) „ამას", ამუგ (შდრ. ლშხ. ამაჳ) „აქამდე", არდადაგებოლჟი (შდრ. ლშხ. არდადაგე̄ლჟი) „არდადაგებზე", ასგლგნი (შდრ. ლშხ. ლგჯმა̈რეს ასყი) „სულგუნს აკეთებს", აშხუდ (შდრ. ლშხ. ეშხუდ) „ერთად", ბეფშჳ (შდრ. ლშხ. ბოფშ) „ბავშვი", გჳეღჳაჭხ (შდრ. ლშხ. გჳაჭი̄მდახ) „მოგვდევდნენ", დემეგ||დემე (შდრ. ლშხ. დე̄სა, მა̈) „არ, არა", დემეგ-იმეგ (შდრ. ლშხ. დე̄მე) „არსად", დემგჳაშმოშ||დემგჳაშ (შდრ. ლშხ. დე̄სმამ) „ვერაფერს, არაფერს", დია (შდრ. ლშხ. დედე) „დედა", დინილ (შდრ. ლშხ. დი̄ნო̄ლ) „გოგონა", ერჳა (შდრ. ლშხ. ჲერჳა̈ჲ) „ვინც", ეჩეჲსგა (შდრ. ლშხ. ეჩე̄ჲსა) „იმაში", ეჩჩუ (შდრ. ლშხ. ეშჩუ) „იქ", ზაუნღო (შდრ. ლშხ. ზაჲუნღო) „წლის შემდეგ", იშგიდა (შდრ. ლშხ. ი̄შგგდა) „წველიდა", კომუნისტრე (შდრ. ლშხ. კომუნისტარე) „კომუნისტების", ლაგჳნიშჳ (შდრ. ლშხ. ლაგჳნუშ) „ტირილით", ლექდა (შდრ. ლშხ. ჲერქდა) „ორივე", ლეჭნა (შდრ. ლშხ. ლე̄ნა, ნე̄ნა) „შარშან", ლიზგგრალგნღო (შდრ. ლშხ. ლიგა̈თჳალუნღო) „დამთავრების შემდეგ", ლიკლი (შდრ. ლშხ. ლიკჳჩხჲელ) „კოჭლობა", ლუნჭურე (შდრ. ლშხ. ლუხჳრჲე̄ლე) „შეკრებილი, შეგროვილი", მარე (შდრ. ლშხ. მარა) „მაგრამ", მეგჭე (შდრ. ლშხ. ბგგი) „მაგარი", მოლე (შდრ. ლშხ. მა̈ჲღენ) „რაღაცა", მოლეგჳეშ (შდრ. ლშხ. მა̈ჲღენა) „რაღაცა", მოჲდ (შდრ. ლშხ. კოტო̄ლ, კოჭო̄ლ) „ცოტა", მოშდ (შდრ. ლშხ. მერმეკაჲბდ) „სხვანაირად", მგკლი (შდრ. ლშხ. კაჩხჳ) „კოჭლი", ნაღჳჟურ (შდრ. ლშხ. ჭყინტ) „ბიჭი", ნომა (შდრ. ლშხ. ნუმა) „არა", ნოჲ (შდრ. ლშხ. ნოჳ) „ნუმცა", ჲე (შდრ. ლშხ. ა̈დჳ) „დიახ", ჲორი (შდრ. ლშხ. ჲერჳ) „ორი", ონჭინდად (შდრ. ლშხ. ოხღე̄ლდად) „მოველოდით", ოცხირ (შდრ. ლშხ. ოხმეჭერ) „გავიგე", ჟ'ახწინა (შდრ. ლშხ. ჟ'ახწინე̄ნა) „მოერია თურმე", ჟ'ოგჳგენეხ (შდრ. ლშხ. ჟ'ოგგე̄ნეხ) „აგვაყენეს, რჳაგდი (შდრ. ლშხ. გარგ'ლი) „ვლაპარაკობ, ვსაუბრობ", სიტყჳოლ (შდრ. ლშხ. სიტყჳე̄ლ) „სიტყვები", უშხუდ (შდრ. ლშხ. ეშხუდ) „ერთად", ღერმათშჳ (შდრ. ლშხ. ღე̄რბათშჳ) „ღვთის წყალობით", ჩიგჳაშ (შდრ. ლშხ. ჩა̈ს) „ყველაფერს", ცინგილ (შდრ. ლშხ. ციგინ) „ზღაპარი", ხატულიდახ[1] (შდრ. ლშხ. ხატჳლდახ) „ეძახდნენ", ხითხი (შდრ. ლშხ. ხითხე̄ლი) „მოძებნი", ხოხახ (შდრ. ლშხ. ხოხალხ) „იციან", ჭამს (შდრ. ლშხ. ძინარს) „დილას", ჭერ (შდრ. ლშხ. ჲერ) „ხმა" და ა. შ.

ლაშხური ხაყა „ვარგა" ზმნის ნაცვლად ირმა კოჭბიანი იყენებს ინტერფერენცირებულ იმარგ'ს (შდრ. ბქ. იმა̈რგ).

ინტერფერენციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე კოდორულ მეტყველებაში დაფიქსირებული ბალსქვემოური თამ-თამაშდ „ნელ-ნელა" ფორმაც (შდრ. ლშხ. ნებ-ნებაშდ).

ბალსქვემოურის გავლენას თვითონ რესპოდენტიც გრძნობს, რაზეც მიუთითებს მისი შემდეგი განაცხადი:[2]

პირჳელდ ონჭჳედ ამხაჳ, საერთოდ დეშ ხჳიმჭერის ალჲა̈რე რაგადს ი მი მიშგჳი ლუშნუს დეშ ხჳამჭერა̈ლჳნინ ალჲა̈რს; ათხე გუნ მოჳექციე ალარე ნინჟი; ათხე ეჩხაჳ ოსხჳრი, მიშგჳი ხალხს დეშ ხჳამჭერა̈ლჳნე მიშგჳი ლუშნუს ი რჳაგდიდ ქართულდ, დემგჳაშმოშ იმჭერიხ ეჯჲა̈რ

„პირველად ⌜რომ⌝ მოვედი აქ, საერთოდ ვერ ვიგებდი ამათ საუბარს და მე ჩემს სვანურს ვერ ვაგებინებდი ამათ; ახლა ძალიან მოვექციე ამათ ენაზე; ახლა იქით ⌜რომ⌝ მივდივარ, ჩემს ხალხს ვერ ვაგებინებ ჩემს სვანურს და ვსაუბრობთ ქართულად, ვერაფერს იგებენ ისინი"

[1] მთქმელი იყენებს უწყვეტლის არქაულ ფორმას (ხატულიდახ), როცა ახალი თაობის მეტყველებაში, ძირითადად, გაბატონებულია ხატულიჳხ. როგორც ჩანს, უფროსი თაობის ხალხთან ხშირმა კონტაქტმა განაპირობა მთქმელის მიერ ამგვარი ფორმების შეთვისება.

[2] ციტატი მოგვყავს სრულად.

ზედმიწ. — **პირველ-ად** მოვედი აქეთ, **საერთოდ** ვერ ვიგებდი ამეების ლაპარაკს და მე ჩემს **სვანურ-ს** ვერ ვაგებინებდი ამეებს; ახლა მეტისმეტად მოვექციე ამეების **ენა-ზე**; ახლა იქით მივდივარ, ჩემ **ხალხ-ს** ვერ ვაგებინებ ჩემ **სვანურ-ს** და ვლაპარაკობთ **ქართულ-ად**, ვერა საქმეს ვერ იგებენ ისინი.

ამ ერთი ციტატიდანაც კი ნათლად ჩანს, თუ რა გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე კოდორულმა ბალსქვემოურმა, რადგანაც ეს ამონარიდი მთლიანად ინტერფერენციის ნიმუშია. ჩვენდა გასაკვირად, ჩვენი ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ერთი წინადადებაც კი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ბალსქვემოურის გავლენას არ განიცდიდეს.

არაერთი საინტერესო სპეციფიკური ფონოლოგიური თუ მორფოსინტაქსური მოვლენა დასტურდება ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში.

2. ფონეტიკა:

ა) ირმა კოჰბიანის თითქმის ნახევარსაათიან საუბარში პალატალური ა ხმოვნის წარმოთქმის ერთადერთი შემთხვევა დავაფიქსირეთ: **ჳა̈ჲ, დია!** „ვაი, დედა“! (შდრ. ლშხ. **ჳაჲ, დედე!**)[1]. როგორც ჩანს, ათი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ უუმლაუტო დიალექტის წარმომადგენელს ძირფესვიანად შეეთვისებინა ბალსქვემოური დიალექტისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოვლენა, რადგანაც საარტიკულაციო ბაზისის შეცვლა ამ შემთხვევაში მისთვის ძალზე რთული აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს სწორედ მის მიერ რამდენჯერმე გამოყენებული ბალსქვემოური **რაგად** (შდრ. ლშხ. **გარგლა**) „საუბარი“, რომელსაც არც ერთი ბალსქვემოელი მთქმელი უმლაუტის გარეშე არ იტყვის (შდრ. ბქ. **რაგა̈დ**).

ბ) რაც შეეხება ისეთ რთულ ფონოლოგიურ მოვლენას, როგორიცაა ხმოვანთა სიგრძე სვანურში, ჩვენი რესპონდენტისათვის უფრო ბუნებრივია, ვიდრე უმლაუტი. იგი ხშირად უმართებულოდაც ხმარობს გრძელ ხმოვნებს, ამბობს იქ, სადაც სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში არ ფიქსირდება. მაგ.: **ამხე̄ნისა** (შდრ. ლშხ. **ამხენისა**) „აქედან“, **ბედნჲე̄რ** (შდრ. ლშხ. **ბედნჲერ**) „ბედნიერი“, **დეცხე̄ნჩუ** (შდრ. ლშხ. **დეცხენჩუ**) „ციდან“, **ლათხჳჲა̄რს ლგმა̄რდ** (შდრ. ლშხ. **ლათხჳჲარს ლგმარდ**) „სანადიროდ ყოფილა“, **ლახთხა̄ნა** (შდრ. ლშხ. **ლახთხანენა**, ბქ. **ლახთხანა‖ლახთხანენა**) „გადაყრია“, **მეზჳბელა̄რს** (შდრ. ლშხ. **მეზჳბელარს**) „მეზობლებს“, **იჯრა̄ჳდახ** (შდრ. ლშხ. **იჯრაჳდახ**) „იჯერებდნენ“, **მაშყი̄დდა** (შდრ. ლშხ. **მაშყიდდა**) „მახსოვდა“, **მა̄სმა** (შდრ. ლშხ. **მასმა**) „მსმენია“, **მიჩა̄შდ** (შდრ. ლშხ. **მიჩაშდ**) „თავისთვის“, **მიჩა̄ჳშ** (შდრ. ლშხ. **მიჩაჳშ**) „თავისით“, **ოთწჳილე̄ნ** (შდრ. ლშხ. **ოთწჳილენ**) „გავთხოვდი“, **ოხუმბა̄ჳა** (შდრ. ლშხ. **ოხო̄მბაჳა**) „მოუყოლია“, **ახქი̄ნედ** (შდრ. ლშხ. **ახქინედ**) „გამოიქეცით“, **ჩ’ოგყი̄მნახ** (შდრ. ლშხ. **ჩ’ოგყიმნახ**) „დაგვახრჩობდნენ“, **ხა̄უხა** (შდრ. ლშხ. **ხაჲუხა**) „ჰქვია“, **ხეყე̄რეს** (შდრ. ლშხ. **ხეყერეს**) „დაემართოს“, **ხეწდე̄ნი** (შდრ. ლშხ. **ხეწდენი**) „ნახავ“, **ხო̄რი** (შდრ. ლშხ. **ხორი**) „ჰყავს“, **ჯიხა̄ლმა** (შდრ. ლშხ. **ჯიხალმა**) „იცი?“, **ეჯჲა̄რ** (შდრ. ლშხ. **ეჯჲარ**) „ისინი“, **ალჲა̄რე** (შდრ. ლშხ. **ალჲარე**) „ამათი“ და სხვ. **ალჲა̄რე**'ს პარალელურად ინტერფერენციულ **ალარე** ფორმასაც იყენებს, რომელიც ბალსქვემოურის გავლენის შედეგი უნდა იყოს (შდრ. ბქ. **ალა̈რე**) და შეგვხვდა აგრეთვე ინტერფერენციული **ალჲა̄რსი** (შდრ. ლშხ. **ალჲარსი̄**) „ამათაც“ ფორმაც, სადაც სიგრძე აუსლაუტისეულ **ი**'ზე უნდა ყოფილიყო დასმული და არა ინლაუტისეულ **ა**'ზე.

ინტერფერენციულად შეიძლება ჩაითვალოს **ეჯარ**'ს ფორმაც (შდრ. ლშხ. **ეჯჲარ**).

გ) თუმცა გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი გრძელ ხმოვანს უგულებელყოფს საუბარში, მაგ.: **აფხაზეთ** (შდრ. ლშხ. **აფხაზე̄თ**) „აფხაზეთი“, **გჳანდრაშ** (შდრ. ლშხ. **გჳანდრა̄შ**) „გვანდრის“, **ეჩხაჳ** (შდრ. ლშხ. **ეჩხა̄ჳ**) „იქ, იქით“, **ეჯღაჲ** (შდრ. ლშხ. **ეჯღა̄ჲ**) „მაინც“, **ლეთ** (შდრ. ლშხ. **ლე̄თ**)

---

[1] ჩვენ სპეციალურად დავუკავშირდით დევნილობაში მყოფ ირმა კოჰბიანს ქუთაისში და რამდენჯერმე გავამეორებინეთ აღნიშნული ფრაზა, რათა დავრწმუნებულიყავით მის სისწორეში. მას მთელი ათი წლის განმავლობაში უხდებოდა ურთიერთობა ბალსქვემოურ დიალექტზე მეტყველ მეუღლესთან და დედამთილ-მამამთილთან, რომლებიც, ძირითადად, სწორედ ბალსქვემოურად საუბრობდნენ, და, რაღა თქმა უნდა, ეს მის მეტყველებაზეც აისახა, რამაც გამოიწვია უამრავი ინტერფერენციული ფორმა მის მეტყველებაში.

„ღამე“, **ლეღჟანთე** (შდრ. ლშხ. **ლეღჟა̄ნთე**) „ლეღვანში“, **ლგგხ** (შდრ. ლშხ. **ლგ̄გხ**) „დგანან“, **მაზ** (შდრ. ლშხ. **მა̄ზ**) „მაცვია“, **მერმე** (შდრ. ლშხ. **მე̄რმე**) „მეორე“, **მიშგუაშალ** (შდრ. ლშხ. **მიშგუაშა̄ლ**) „ჩემსავით“, **ოხუიშგ** (შდრ. ლშხ. **ოხუი̄შგ**) „ჩამოვწველე“, **ჩიღად** (შდრ. ლშხ. **ჩი̄ღად, ჩიგარ**) „ყოველთვის“, **ხოქჟა** (შდრ. ლშხ. **ხო̄ქჟა**[1]) „უთქვამს“, **ხოჩამდ** (შდრ. ლშხ. **ხოჩა̄მდ**) „კარგად“ და სხვა. არც ერთი ლაშხელი მთქმელი ამ ფორმებს სიგრძის გარეშე არ წარმოთქვამს.

სიგრძე არ არის წარმოდგენილი აგრეთვე ისეთ ელიზიურ ფორმებში, როგორიცაა: **ჟ'ითჟრიხ** < **ჟი ითჟრიხ** (შდრ. ლშხ. **ჟ'ი̄თჟრიხ**) „ისწავლიან“, **ჟ'ოხთონ** < **ჟი ოხთონ** (შდრ. ლშხ. **ჟ'ოხთო̄ნ**) „ვისწავლე“. **ქ'ედსიპა̄ნდახ** < **ქა ედსიპანდახ** (შდრ. ლშხ. **ქ'ე̄დსიპანდახ**) „გადავარდნენ“, **ქ'ემჩედე̄ლან** < **ქა ემჩედე̄ლან** (შდრ. ლშხ. **ქ'ე̄მჩედე̄ლან**) „გასულიყო“, **ქ'ონღჟრიდ** < **ქა ონღჟრიდ** (შდრ. ლშხ. **ქ'ო̄ნღჟრიდ**) „გამოვდივართ“, **ქ'ოთწჟილენ** < **ქა ოთწჟილენ** (შდრ. ლშხ. **ქ'ო̄თწჟილენ**) „გავთხოვდი“ და ა. შ.

აქ ჩამოთვლილ ელიზიურ კონსტრუქციებში მონაწილე ხმოვნები კომპლექსთა შემდეგ კომბინაციებს იძლევიან სვანურში: **ი+ი, ი+ო, ა+ე, ა+ო**. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის შესაბამისად, ელიზია ხმოვანთა ყველა ამ კომპლექსისათვის არის დამახასიათებელი, გარდა **ი+ი** კომპლექსისა (ქალდანი 1953:196), თუმცა **ი+ი** კომპლექსის ელიზიის შემთხვევებიც გამოვლინდა როგორც მარტივ (სალღიანი 2001:190-193), ასევე რთულ ელიზიურ ფორმებში (სალღიანი 2008:163). აღნიშნულ ხმოვანთკომპლექსთა ელიზიისას, ძირითადად, გადამწყვეტია მეორე კომპონენტი, რომელიც ლაშხურში მის წინ მდგომ ხმოვანს იერთებს და ვიღებთ გრძელ ხმოვანს, ბალსქვემოურში კი, როგორც წესი, ხდება პირველი კომპონენტის ჩავარდნა. რა თქმა უნდა, უგრძელხმოვნო ფორმათა გამოყენება ბალსქვემოურის გავლენას უნდა მიეწეროს. რამდენადაც საკითხზე მუშაობამ გვიჩვენა, გრძელი ხმოვნების ხმარების მხრივ რყევა მის მეტყველებაში, როგორც მაგალითების სიმრავლემ გვიჩვენა, მაინც საგრძნობია.

შენიშვნა: ლაშხური დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებაში ელიზიურ ფორმაში, მორფემათა ზღვარზე (მაგ., შდრ. **ადგილთ'ოსყახ** < **ადგილთე ოსყახ** „ადგილზე მიჰყავთ“), **ე+ო** ხმოვანთკომპლექსისეული მომდევნო **ო** ხმოვანი სიგრძის გარეშეა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც ლაშხელთა მეტყველებაში დასახელებულ ელიზიურ კონსტრუქციაში შემავალი მეორე კომპონენტი (**ოსყახ**) ისედაც გრძელი ხმოვნით წარმოითქმის (შდრ. ლშხ. **ო̄სყახ**).

დ) გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გრძელხმოვნიანი დიალექტის წარმომადგენელი საკმაოდ ხშირად კოდორულ ბალსქვემოურ ლექსიკურ ერთეულებშიც აგრძელებს ხმოვნებს, რაც, რაღა თქმა უნდა, მშობლიური მეტყველების გავლენის შედეგია. მაგ.: **იღრა̄ლდა** (შდრ. ლშხ. **იბრძა̄ლდა**) „მღეროდა“, **ლაშდრა̄ლდ** (შდრ. ლშხ. **ლაღრა̄ლდ**) „სათამაშოდ“, **ლიქნა̄ლ** (შდრ. ლშხ. **ლიბრა̄ლ**) „ბანაობა“, **ლიღრა̄ლ** (შდრ. ლშხ. **ლიბრძა̄ლ**) „სიმღერა“, **ქ'ედქა̄ნი** „იბანავებს, **ნაღჟეჟრალ** „ბიჭები“, **მოლე̄გჟეშ** (თუმცა პარალელურად უგრძელხმოვნო **მოლეგჟეშ** ფორმასაც იყენებს, შდრ. ლშხ. **მა̄ძღენა**) „რაღაც“, **ჩ'ოგჭგრჟა̄ნ** (შდრ. ლშხ. **ჩ'ოგჭირჟა̄ნ**) „დაგვეჭერებინა“, **გჟეხწობა̄ლდა** (შდრ. ლშხ. **გჟეპგრა̄ლდა**) „გვეხვეწებოდა“, **ოთჭგ̄რჟეხ** (შდრ. ლშხ. **ოთჭირჟეხ**) „დაუჭერეს“, **ხჟეწრა̄ლდად**[2] (შდრ. ლშხ. **ხჟეცუა̄ლდად||ხჟერშჟნა̄ლდად**) „ვაგინებდით“ და ა. შ.

ე) ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვის ერთი მაგალითიც დავადასტურეთ ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ქართულიდან ნასესხებ ფორმაში, მაგ. **ჰექო** „ექო“ (შდრ. ბქ. მანგა“), რაც ქვემოსვანური

---

[1] იმავე გვერდზე ლაშხელი რესპოდენტი მისი მეტყველებისთვის ბუნებრივ **ხო̄ქჟა** ფორმასაც იყენებს.

[2] მართალია, ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ საანალიზო ლექსემა სვანური ენის ყველა დიალექტისთვისაა მითითებული (მაგ., შდრ. (ბზ.) **ლიწრა̄ლ**, (ბქ.) **ლიწრა̄ლ||ლიწრალ**, (ლშხ.) **ლიწრა̄ლ**, **ლირშჟნა̄ლ**, (ლნტ.) **ლიწერა̄ლ**), თუმცა თანამედროვე ლაშხურ ცოცხალ მეტყველებაში იგი ვერ დავადასტურეთ.

დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებისთვის ბუნებრივ ფორმას არ წარმოადგენს. სპეციალური ლიტერატურიდანაც ცნობილია, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ზემოსვანურ დიალექტებს, ხოლო ლაშხურ და ლენტეხურ დიალექტებში იშვიათია. ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად, როგორც წესი, იოტიზებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (ჟღენტი 1949:123-125). ეს მოვლენა ნასესხები მასალის ანალიზითაც დადასტურებულია (საღლიანი 2008:196-211).

3. მორფოლოგია

ა) საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვა, სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში (თოფურია 2002:176-177; ონიანი 1998:147). ცნობილია, ასევე, როგორც სუბიექტური პირის ინკლუზივისა და ექსკლუზივის გამომხატველი პრეფიქსები, ისე ობიექტური პირის ინკლუზივისა და ექსკლუზივის გამომხატველი პრეფიქსებიც. ობიექტური პირის ინკლუზივისა (0_i) და ექსკლუზივის (0e) ორივე პრეფიქსი (გჳ- — ხმოვნების წინ, გუ- (< გჳ-გ) — თანხმოვნების წინ; ნ-, ნგ-) კარგადაა შემონახული ზემოსვანურში, ქვემოსვანურში კი მხოლოდ გჳ- არის დაცული (თოფურია 1967:15), მაგრამ, რადგანაც ინკლუზივი და ექსკლუზივი სუბიექტური აფიქსებით აქაც წარმოდგენილია და ეს მოვლენა ქვემოსვანურისთვის უცხო არ არის, აქედან გამომდინარე, მკვლევართა ერთი ნაწილის (ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. დეეტერსი, ქ. დონდუა, თ. გამყრელიძე, ა. ონიანი, ზ. სარჯველაძე, თ. მეტრეველი) აზრით, ობიექტური პირის ფორმებში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით ოპოზიცია ისტორიულად ლაშხურსა და ლენტეხურშიც უნდა გვქონოდა.

რა ვითარებაა ამ მხრივ კოდორულ სვანურში?

ქ. მარგიანმა-სუბარმა საგანგებოდ შეისწავლა აღნიშნული საკითხი კოდორული დიალექტების მიხედვით და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „ენგურის ხეობაში მცხოვრები სვანების მეტყველებისგან განსხვავებით, სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია როგორც ზმნაში, ისე ნაცვალსახელში, კოდორელ სვანთა მეტყველებაში საანალიზო კატეგორია შესუსტებული ჩანს. საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ჯერჯერობით ეს ეხება მხოლოდ ზმნას და მხოლოდ ობიექტური წყობის ინკლუზივს; ანომალიის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური ფორმის გჳ- პრეფიქსი იკავებს სუბიექტის ინკლუზიური ფორმის ნ- პრეფიქსის ადგილს, პირიქით კი — არასოდეს (მსგავსად ძველი ქართულისა)" (მარგიანი-სუბარი 2008:13).

როდესაც იგი აღნიშნულ კატეგორიას იკვლევდა კოდორულ დიალექტებში, მაშინ მას ლაშხური მეტყველების ნიმუშებზე ხელი არ მიუწვდებოდა და, რასაკვირველია, სათანადო დაკვირვებაც არ წარმოუდგენია.

ჩვენ ხელთ არსებული ლაშხური მეტყველების ნიმუშების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ირმა კოპბიანის მეტყველებაში არამცთუ შესუსტებულია აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორია, არამედ, პირიქით, ბალსქვემოურის გავლენის შედეგად მის მეტყველებაში სწორედ ობიექტის ექსკლუზივის ნ-პრეფიქსიანი (ნ-ეჳედდა „გვყავდა") ინტერფერენციული ფორმაც დაფიქსირდა ნაცვლად ლაშხური ინკლუზიური გჳ-ეჳედა ფორმისა (შდრ. ბქ. ნ-ეყადდა).

ა) კოდორელი ლაშხელის მეტყველებაში შეინიშნება სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების აღრევაც. ჩვენი მთქმელი მრავლობით რიცხვში ხან ლაშხური დიალექტისათვის დამახასიათებელ -ჷლ სუფიქსს იყენებს, ხანაც ბალსქვემოურ -ოლ'ს. საინტერესო სწორედ ის არის, რომ ამ უკანასკნელს ირმა კოპბიანი ძალზე ხშირად გრძლად წარმოთქვამს, რაც, რასაკვირველია, განპირობებ-

ულია ლაშხურის გავლენით. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, ინტერფერენციის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგ.: არდადაგებ-ო̄ლ-ჟი „არდადეგებებზე" (შდრ. ლშხ. არდადეგ-ე̄ლ-ჟი‖არდადაგებ-ე̄ლ-ჟი), აქცი-ო̄ლ < *აქცია-ო̄ლ (შდრ. ლშხ. აქცი-ე̄ლ) „აქციები", ახალგაზრდ-ო̄ლ < *ა-ხალ-გა-ზრდ-ა-ო̄ლ „ახალგაზრდები" (შდრ. ლშხ. ახალგაზრდ-ე̄ლ), მოძრაობ-ო̄ლ < *მო-ძრა-ობ-ა-ო̄ლ „მოძრაობები" (შდრ. ლშხ. მოძრაობ-ე̄ლ), ანჩაბაძ-ო̄ლ < *ანჩაბა-ძ-ე-ო̄ლ „ანჩაბაძეები" (შდრ. ლშხ. ანჩაბაძ-ე̄ლ), მილიცი-ო̄ლ-ს < *მილიცია-ო̄ლ-ს „მილიციელებს" (შდრ. ლშხ. მილიცჲ-ე̄ლ-ს), დუბინკ-ო̄ლ-ს „დუბინკებს" (შდრ. ლშხ. დუბინკ-ე̄ლ-ს), მოშიმშილ-ო̄ლ-ს < *მო-შიმშ-ილ-ე-ო̄ლ-ს „მოშიმშილეებს" (შდრ. ლშხ. მოშიმშილ-ე̄ლ-ს), თუმცა მთქმელი იშვიათად, მაგრამ მაინც -ე̄ლ სუფიქსიან ფორმებსაც ხმარობს, მაგ. მოშიმშილ-ე̄ლ-ე „მოშიმშილეების ", სიტყჷ-ე̄ლ-ს „სიტყვებს", მოძრაობ-ე̄ლ „მოძრაობებს" და ა. შ.; ე. ი. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსი ბალსქვემოურია, ხოლო სიგრძე ლაშხურისათვის დამახასიათებელი ოდენობა.

მთქმელი რამდენჯერმე ხმარობს საუბარში ინტერფერენცირებულ **ტჷიბ-არ** „ღელეები" ფორმას (შდრ. ლშხ. **ტჷიბრ-ა̈ლ‖ტჷიბ-ერ**). ბალსქვემოურად უნდა ეთქვა — **ტჷიბ-ა̈რ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, ცხუმარში, ქალდანების საცხოვრებელი სოფლის სახელწოდება **ტვიბ-ერ-ი**.

შენიშვნა: ნაცვლად ისტორჲ-ე̄ლ „ისტორიები" ფორმისა, იგი ხმარობს ინტერფერენციულ ისტორჲ-ა̈ლ'ს, რომელიც ენგურისა და კოდორის ხეობის მეტყველებისთვის ბუნებრივი ფორმა ნამდვილად არ არის. ენგურის ხეობის ბალსქვემოურში, როგორც წესი, მრავლობით რიცხვში გამოიყენება ისტორი-ოლ. იგივეს თქმა შეიძლება **ბრუნჷ-ალ** „ბრუნვები" ფორმის შესახებაც, რომელიც, ჩვენი აზრით, ინტერფერენციულია (შდრ. ლშხ. **ბრუნჷ-ე̄ლ** და ბქ. **ბრუნჷ-ოლ**).

ბ) ინტერფერენციამ, როგორც ჩანს, გრამატიკის ყველა უბანზე იჩინა თავი და მათ შორის ნაცვალსახელებშიც. მაგალითად, ლაშხელი რესპოდენტი მისი დიალექტისათვის ბუნებრივი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის **ჲერჷა̈ლე**'ს „ვიღაცას" და ასევე ბალსქვემოური **ერჷალე**'ს ნაცვლად საუბარში იყენებს ამ დიალექტთა შეჯვარების გზით მიღებულ **ერჷა**'ს. **ერჷა** ფორმა ბალსქვემოურისთვის, მართალია, უცხო არ არის, თუმცა სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, იგი „ვიღაცას" კი არ ნიშნავს, არამედ აქვს „ვინც" მნიშვნელობა.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის **მიშგჷი**'ს ნაცვლად უმეტესად ხმარობს ბალსქვემოურ **მიშგუ**'ს.

რაც შეეხება ლაშხურ მიმართებით ნაცვალსახელს **ჲარე̄**'ს „ვინც", მას ჩვენი რესპოდენტი აუსლაუტში სიგრძის გარეშე წარმოთქვამს. მაგ.: ⌈**ეჯ**⌉ **ბოფშარ ჲარი ლუშნუდ რაგდიხ, გუნ უჭირთ ლითჷრი** „ის ბავშვები ვინც სვანურად ლაპარაკობენ, ძალიან უჭირთ სწავლა".

იგი არასწორად იყენებს ბალსქვემოურ უარყოფით ნაწილაკს **დეჲ**'ს „არც, ვერც". მაგ.: **კლასთე ლიჰდა̈ლდ ქართულ დეჲ ხოხა̈ლდა** „სკოლაში მოსვლამდე ქართული არ იცოდა". მას კონტექსტიდან გამომდინარე უნდა ეთქვა ან თავისი მშობლიური დიალექტისთვის ბუნებრივი უარყოფითი ნაცვალსახელი **დე̄სა** „არ, არა" ან ბალსქვემოური **დემე‖დემეგ** „არ, არა". საანალიზო უარყოფითი ნაწილაკი **დეჲ** ლაშხურში არ დასტურდება, რაც შეეხება სვანურის სხვა დიალექტებს, იქ ეს ნაწილაკი პროდუქტიულია.

ასევე ლაშხურ-ბალსქვემოურ დიალექტთა შეჯვარება-შერევის საფუძველი უნდა იყოს ირმა კოჯბიანის მიერ გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელი — **ნომა̈გჷე** (შდრ. ლშხ. **ნო̄სმა** და ბქ. **ნომაგჷე'შ'**).

გ) სვანური ენის ორი დიალექტის — ბალსქვემოურისა და ლაშხურის — ურთიერთშერევის (ინტერფერენციის) შედეგად მიღებული ფორმებია ისეთი არსებითი სახელები, როგორიცაა: **ჟაჰ** (შდრ. ლშხ. **ჟაჲ**) „ზვავი", **ჟაჰდ** (შდრ. ლშხ. **ჟაჲდ**) „ზვავმა", **ჯარა̈ლდ** (შდრ. ლშხ. შდრ. **ჯარალდე̄**) „ჯარებ-

მაც", **აფხნეგარ** (შდრ. ლშხ. **აფხნიკარ**) „ამხანაგები", **ღერმათ** (ასეთ კონტექსტში: **ისეჟ ღერმათ** (შდრ. ლშხ. **ღჷრბეთ**) **გჟიშჟელის** — ისევ ღმერთი გვიშველის).

დ) აწმყო დროის ზმნის ფუძე სვანურში, როგორც ცნობილია, დასრულებულია **-ე, -ი, -ა** ან **ნულ**-სუფიქსით, მაგ., შდრ. ლშხ. **ხუტ-ე** „ჟლეტს, წყვეტს", **აშხ-ი** „წვავს", **იღრჲლ** „მღერის" (თოფურია 1967:71). ჩვენი რესპოდენტის მეტყველებაში კი შეინიშნება ისეთ ფორმათა ხმარება, როგორიცაა: **ხჟამშაჲ** „ვმუშაობ", ნაცვლად **ხჟამშაჲე** ან **ხჟამშაე** ფორმისა და **ხეჴყგლჷლ** „უყვირის", ნაცვლად **ხეჴყგლჲელ** ფორმისა (შდრ. ბქ. **ხეჴყგლელ||ხეჴყგლალ**); **ხჟეჴყგლჷლ||ხჟეჴყგლჲლ** „ვუყვირი", ნაცვლად **ხჟეჴყგლჲჷლ** ფორმისა (შდრ. ბქ. **ხჟეჴყგლელ||ხჟეჴყგლალ**). ფაქტია, რომ სამივე საანალიზო ლექსემა ინტერფერენციულია.

ე) ირმა კოჯბიანის მეტყველებაში ხშირია ისეთი ინტერფერენციული ნამყოუსრულის (resp. უწყვეტლის) I პირის ფორმების გამოყენება, როგორიცაა: **რჟაგდ-ის** (შდრ. ლშხ. **გარგლ-ის**) „ვლაპარაკობდი", **ხჟამჴერჲლჟნის** (შდრ. ლშხ. **ხჟამჴერჲლჟნის**) „ვაგებინებდი", **ხოსდის** (შდრ. ლშხ. **ხოსგდის**) „ვუყურებდი". საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ნამყოუსრული აწმყოსგან იწარმოება და აქ სუფიქსთა სიმრავლის გარდა საქმე გვაქვს დიალექტების მიხედვით სხვადასხვაგვარ წარმოებასთან... აწმყოს ფორმაში ხმარებული პირის აფიქსები, მაქცევრები, ვნებითის ნიშნები და წინდებულები აქ უცვლელად გვხვდება, სხვაობა კი ბოლოსართებში იჩენს თავს (თოფურია 1967:73). ლაშხურში -ე, -ი და ხშირად **ნულ**-სუფიქსიან ზმნებს ნამყოუსრულში I და II პირში **-ის** სუფიქსი დაერთვის, სწორედ ამ სუფიქსს ურთავს კოდორელი ლაშხელი ბალსქვემოური ნამყოუსრულის ფორმებს, რაც უდავოდ ლაშხურ-ბალსქვემოურ ინტერფერენციაზე მიუთითებს.

ირმა კოჯბიანის მეტყველებაში შეგვხვდა ნამყოუსრულის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმებიც — **ხატყცგდახ** (შდრ. ლშხ. **ხასცგდახ** და ბქ. **ხატყციდახ**) „სცემდნენ" და **იჩმგნრლხ** „შერებოდნენ, იქცეოდნენ (შდრ. ლშხ. **იჩმგდახ** და ბქ. **იჩმუდახ**), რომლებიც ინტერფერენციის შედეგად მიღებული ჩანს.

შეგვხვდა უწყვეტლის ერთობ უჩვეულო ფორმა **თჟერჲნ** „ვჩანდი" (შდრ. ლშხ. **თერონხჟას** და ბქ. **თჟერანდჲს||თერონდჲს**), რომელიც შესაძლოა უფრო ძველი ფორმაც აღმოჩნდეს, რადგანაც ბალსქვემოური დიალექტისთვის დამახასიათებელ უწყვეტლის ფორმებს (ფუძეში აბლაუტიან თუ **-ნ, -გნ, -ონ** სუფიქსიანებს), რომლებიც **-დჲს, -და** სუფიქსითაც არის გაფორმებული, მეცნიერთა უმრავლესობა მეორეულ მოვლენად მიიჩნევს. როგორც ჩანს, არქაიზმთან გვაქვს საქმე.

ვ) კოდორის ხეობაში მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში, რომელიც, როგორც წესი, ინტერფერენციულობით ხასიათდება, იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ბალსქვემოური თურმეობითის ფორმების გამოყენება. პრევერბის ა-, რომელიც ბალსქვემოურში ო'დ არის წარმოდგენილი, ლაშხური დიალექტის წარმომადგენლის მეტყველებაშიც იჩენს თავს, რის გამოც ლაშხური **ჩჟალბგრგჷლიხ** „უჭიდავიათ", **ალმჲზინ** „მიდიოდა თურმე, *მინავალა", **ალზიგჷლი** „დასახლებულა" ფორმების ნაცვლად ვაფიქსირებთ გრძელი ხმოვნებით გაფორმებულ თურმეობითის ბალსქვემოურ ფორმებს: **ჩ'ოლბგრგჷლიხ, ოლმჲზინ, ოლზიგჷლი** და ა. შ. მსგავსი სიტუაცია კოდორელი ბალსზემოელების მეტყველებაში დააფიქსირა ქ. მარგიანმა-სუბარმა (იხ. მისი „თურმეობითთა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში", კავკასიოლოგთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2008, გვ. 272-275).

ზ) ინტერფერენციულია აგრეთვე მთქმელის მიერ ნახმარი ისეთი ფუძემონაცვლე რელატიურ-გარდაუვალი ზმნა, როგორიცაა (I კავშირებითის ფორმა) **ხეყჷნეს** „ჰყავდეს"; ბალსქვემოურში იქნება **ხეყეს||ხეყადდეს**, ხოლო ლაშხურში — **ხეყჷდეს**.

თ) ინტერფერენციის თვალსაზრისით საინტერესო ფორმად მივიჩნიეთ მყოფადის მწკრივის მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა — **ჟ'ენთჵრნეხ** „ისწავლიან", რამდენადაც არც ენგურის ხეობის ბალსქვემოურში (შდრ. **ჟ'ენთჟერნეხ||ჟ'ენთონისგხ**) და არც ცხენისწყლის ხეობის ლაშხურში (შდრ.

ჟ'ენთო̄ნნეხ) ამგვარი ფორმა არ დასტურდება. ასევე ინტერფერენციულია მყოფადის მწკრივის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმა — **ქ'ედქანი** „იბანავებს“ (შდრ. ლშხ. **ჩჳედბარი** და ბქ. უმლაუტიზებული **ქ'ედქა̈ნი**).

ი) ირმა კოპბიანის მეტყველებაში დაფიქსირდა თანამედროვე ბალსქვემოური დიალექტისთვის არაბუნებრივი (**ინტერფერენცირებული**) წყვეტილის ფორმა: **ოთცხირედ** „გავიგეთ“ (შდრ. დღევანდელ ბალსქვემოურში გავრცელებული **ოცხირდ** და ლშხ. **ოხმეჴრედ**). მიუხედავად იმისა, რომ ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ **ლიცხრე** ზმნასთან ლაშხური დიალექტიცაა მითითებული, ლაშხელებთან გადამოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ისინი გაგებისა და გარკვევის მნიშვნელობით ხმარობენ არა ლექსიკონში მითითებულ **ლიცხრე** ფორმას, არამედ **ლიმჴერი**'ს.

4. სინტაქსი

ქვემო სვანეთიდან კოდორის ხეობაში გათხოვილი ლაშხელი ირმა კოპბიანის მეტყველებაში სინტაქსი, მართალია, განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ავლენს, თუმცა ინტერფერენციული მოვლენები აქაც იჩენს თავს.

ა) როგორც ცნობილია, როდესაც სვანურში მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, ამ შემთხვევაში მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი -შ იკვეცება ყველა დიალექტში, გარდა ბალსქვემოურისა. ირმა კოპბიანის მეტყველებაში თავს იჩენს როგორც ბალსქვემოურისებური, ასევე თავისი დიალექტისათვის დამახასიათებელი ვითარება. მაგ.: **გამრაჳლებიშ მაგიერ** (შდრ. ლშხ. **გამრაჳლება̄ მაგიერ**) „გამრავლების მაგიერ“, **გჳარიშ ხალხ** (შდრ. ლშხ. **გჳარი ხალხ**) „გვარის ხალხი“, **დალიშ ტჳიბრა** (შდრ. ლშხ. **დალი ტჳიბრა**) „დალის ტბა“, **დალიშ ხეობათე** (შდრ. ლშხ. **დალი ხეობათე**) „დალის ხეობაში“, **თაჳრობა̄შ მომხრე** (შდრ. ლშხ. **თავრობა̄ მომხრე**) „მთავრობის მომხრე“, **ლენტეხიშ რაჲონ** (შდრ. ლშხ. **ლენტეხა̄ რაჲონ**) „ლენტეხის რაიონი“, **მამიკოშ მამიდა** (შდრ. ლშხ. **მამიკო̄ მამიდა**) „მამიკოს მამიდა“, **მინდორიშ კარჳალ** (შდრ. ლშხ. **მინდორი კარჳალ**) „მინდვრის კარვები“, **მიტკა̄ლიშ ფერ** (შდრ. ლშხ. **მიტკა̄ლი ფერ**) „მიტკლის ფერი“, **მიშგუმუეშ მამიდა** (შდრ. ლშხ. **მიშგჳი მუე მამიდა**) „მამაჩემის მამიდა“, **რუსთაჳელიშ მხარე** (შდრ. ლშხ. **რუსთაჳელი მხარე**) „რუსთაველის მხარე“, **სტეკლოშჳ ჳიტრინო̄ლ** (შდრ. ლშხ. **სტეკლო̄ ჳიტრინე̄ლ**) „შუშის თაროები“, **ქუჩუკიშ გეზალ** (შდრ. ლშხ. **ქუჩუკი გეზალ**) „ქუჩუკის შვილი“, **წერეთელიშ შეძახილარ** (შდრ. ლშხ. **წერეთელი შეძახილარ**) „წერეთლის შეძახილები“, მაგრამ: **მეგმი ჯჳარ** „ხის ჯვარი“, **რუსთაჳელი მხარეხენ** „რუსთაველის მხრიდან“, **მილიცია̄ დამსახურება** „მილიციის დამსახურება“, **ინსტიტუტი ყორალხენ** „ინსტიტუტის კარებიდან“, **კომენდატი სა̄თ** „კომენდანტის საათი“ და ა. შ.

ბ) მეტად საინტერესოდ გვესახება ირმა კოპბიანის მიერ რამდენჯერმე გამოყენებული დროის ზმნისართი **ეჩხო** „შემდეგ“, რომელიც სვანური ენის ვერც ერთ დიალექტში ვერ დავადასტურეთ. ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ მის შესატყვისად გვხვდება შემდეგი ფორმები: **ეჩგნდო̄ნ, ეჩუნდო̄ნ** (ბზ., ლშხ.)[1], **ეჩუნდო, ეჯგნდჳე, ეჯქანდჳე||ეჩქანდჳე** (ბქ.), **ეჩანდო** (ლნტ.) „შემდეგ, იმის შემდეგ“. ვფიქრობთ, ეს არის მთქმელის მიერ შექმნილი, ლაშხურ-კოდორულ დიალექტთა შერევა-შეჯვარების შედეგად მიღებული, ინტერფერენციული ფორმა, რომელიც, მისი აზრით, **ეჩგნდო̄ნ, ეჩუნდო̄ნ** ფორმათა შემოკლებული ვარიანტია. ალბათ, **ეჩდო** > **ეჩხო** — პროგრესული ასიმილაციით.

გ) ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში ხშირია ბალსქვემოური მეტყველებისთვის ბუნებრივი **ისგა||სგა** „ში“ თანდებულიანი (ადგილის გარემოების ფუნქციით) ფორმების გამოყენების შემთხვევები, მაგ.: **ამე̄სგა** „ამაში“, **ეჩეჲსგა** „იმაში“, **უნიჳერსიტეტისგა** „უნივერსიტეტში“, **კლასისგა** „კლასში“,

---

[1] ლაშხელი ნატალია ონიანის მეტყველებაში უგრძელხმოვნო (**ეჩანდო**) ლექსემაც დავაფიქსირეთ, თუმცა ირმა კოპბიანის მიერ გამოყენებული **ეჩხო** ფორმა მისთვის სრულიად უცხო აღმოჩნდა.

სოფელისგა „სოფელში“, **გჳარისგა** „გვარში“, **მგდა̈̄ლსგაჲ** „იმაშიც“, **ძირისგა** „ძირში“, **ეკლესია̈̄ლსგა** „ეკლესიაში“ და ა. შ., ნაცვლად ლაშხური: **ამჷ̄ლსა**, **ეჩჷ̄ლსა**, **უნიჳერსიტეტისა**, **კლასისა**, **სოფელისა**, **გჳარისა**, **მგდა̈̄ლსაჲ**, **ძირისა**, **ეკლესია̈̄ლსა**. მთქმელი თითქმის ყველგან ბალსქვემოურ **ისგა**||**სგა** თანდებულებს ხმარობს და არა მისი დიალექტისთვის უფრო ბუნებრივ **გ** თანხმოვანდაკარგულ **ისა'ს**.

ზემოთ ჩამოთვლილ **ისგა**||**სგა** „ში“ თანდებულიან ფორმათაგან ზოგი ინტერფერენციულია, ესენია: **ამჷ̄სგა**, **გჳარისგა**, **მგდა̈̄ლსგაჲ**, **ეკლესია̈̄ლსგა**.

ამრიგად:

1. კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში, მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის, კოდორელი ბალსქვემოელების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჰბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორიცაა ლაშხური და ბალსქვემოური. მისმა ათი წლის განმავლობაში ბალსქვემოელთა გარემოცვაში თანაცხოვრებამ, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე. ეს გავლენა კი, ჩვენი დაკვირვებით, აისახა როგორც ლექსიკაზე, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსზეც.

შენიშვნა: უნდა ითქვას, რომ ეს არის პირველი ცდა ლაშხურ-კოდორული (resp. ბალსქვემოური) ინტერფერენციის შესწავლისა, ვინაიდან აქამდე ხელი არ მიგვიწვდებოდა კოდორის (resp. დალის) ხეობაში მცხოვრები სხვა ლაშხელი (ან თუნდაც ლენტეხელი) მთქმელის მეტყველების ნიმუშებზე.

2. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსიკამ, რომელზე დაკვირვებამაც ნათლად დაგვანახა, რომ თავის დროზე ეცერიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულ გუჯეჯიანთა ლაშხელი რძლის ირმა კოჰბიანის მეტყველებაში მისთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ძალიან ხშირად ისმის ბალსქვემოური ლექსემებიც, რომლებიც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან.

3. ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში, ჩვენდა გასაკვირად, ერთი წინადადებაც კი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ბალსქვემოურის გავლენას არ განიცდიდეს. თითქმის ყველა წინადადება ინტერფერენციული აღმოჩნდა.

4. არაერთი საინტერესო სპეციფიკური ფონოლოგიური თუ მორფოსინტაქსური მოვლენა დადასტურდა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში.

5. ირმა კოჰბიანის თითქმის ნახევარსაათიან დიალოგში პალატალური ა ხმოვნის წარმოთქმის ერთადერთი შემთხვევაც დავაფიქსირეთ: **ჳა̈̄ჲ, დია!** „ვაი, დედა“! (შდრ. ლშხ. **ჳაჲ, დედე!**), რაც ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა მისი საარტიკულაციო ბაზისიდან გამომდინარე.

6. რაც შეეხება ისეთ რთულ ფონოლოგიურ მოვლენას, როგორიცაა ხმოვანთა სიგრძე, ჩვენი რესპოდენტის საარტიკულაციო ბაზისისთვის სრულიად ბუნებრივი და უფრო მარტივია, ამიტომაც იგი ხშირად უმართებულოდაც ხმარობს გრძელ ხმოვნებს, ამბობს იქ, სადაც სხვა ლაშხელი რესპოდენტის მეტყველებაში არ ფიქსირდება და საკმაოდ ხშირად კოდორულ ბალსქვემოურ ლექსიკურ ერთეულებშიც აგრძელებს ხმოვნებს, რაც მშობლიური მეტყველების გავლენის შედეგია. თუმცა ხშირ შემთხვევაში იქ უგულებელყოფს, სადაც ის საჭიროა. რაღა თქმა უნდა, ესეც ბალსქვემოურის გავლენას უნდა მიეწეროს.

7. მორფოლოგიიდან განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ექსკლუზივის **ნ-** პრეფიქსიანი (**ნ-ეჲე̄დდა** „გვყავდა“) ფორმის გამოყენების შემთხვევა, რაც ბალსქვემოურთან შერევა-შეჯვარების ნიადაგზე უნდა აიხსნას.

8. კოდორელი ლაშხელის მეტყველებაში შევნიშნეთ სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების აღრევა. მთქმელი მრავლობით რიცხვში ხან ლაშხური დიალექტისთვის დამახასიათებელ -ჟლ სუფიქსს იყენებს, ხანაც ბალსქვემოურ -ოლ'ს.

9. ინტერფერენციამ, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, გრამატიკის ყველა უბანზე იჩინა თავი და მათ შორის ნაცვალსახელებშიც.

10. ირმა კოჯბიანის მეტყველებაში დადასტურდა არაერთი ისეთი ინტერფერენციული ზმნური ფორმა, რომელიც თანამედროვე ბალსქვემოური თუ ლაშხური დიალექტისთვის, მართალია, არაბუნებრივი აღმოჩნდა, თუმცა საფიქრებელია ისიც, რომ ბევრ შემთხვევაში შესაძლოა არქაულ ფორმებთანაც გვქონდეს საქმე.

11. რა თქმა უნდა, ცვლილებები შეინიშნება სინტაქსის დარგშიც.

ვფიქრობთ, ლაშხურ-კოდორული ინტერფერენციის ერთ კერძო შემთხვევაზე დაკვირვებამ საკმაოდ საინტერესო შედეგები მოგვცა როგორც ლექსიკური, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

თოფურია 1927 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927.

თოფურია 1967 — ვ. თოფურია, შრომები I, სვანური ენა I, ზმნა, თბ.,1967.

მარგიანი-სუბარი 2008 — ქ. მარგიანი-სუბარი, თურმეობითთა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში, კავკასიოლოგთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 2008.

მარგიანი-სუბარი 2008 — ქ. მარგიანი-სუბარი, ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით), ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის მაცნე, თბ., 2008.

ჟღენტი 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949.

საღლიანი 2001 — მ. საღლიანი, ელიზია სვანურ ენაში, კავკასიის მაცნე, თბ., 2001.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში", იკე, XXXV, თბილისი, 2005.

საღლიანი 2005 — მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში", დისერტაცია (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბილისი, 2005.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, თბ., 2008.

საღლიანი 2008 — მ. საღლიანი, რთული ელიზიური კონსტრუქციები სვანურში (სვანური ენის ქრესტომათიის მიხედვით), იკე, XXXVI, თბ., 2008.

ქალდანი 1953 — მ. ქალდანი, ელიზია სვანურ ენაში, იკე, ტ. V, თბ., 1953.

ქალდანი 1959 — მ.. ქალდანი, სვანური ენის ჩუბეხეური მეტყველების თავისებურებანი, იკე, XI, თბილისი, 1959.

ქალდანი 1970 — მ. ქალდანი, დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იკე, XVII, თბილისი, 1970.

შანიძე 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957.

ჩანტლაძე 1973 — ი. ჩანტლაძე, სახელობითის -ე ფორმანტის შესახებ სვანურში, იკე, XVIII, თბილისი, 1973.

ჩანტლაძე 2007 — ი. ჩანტლაძე, ხმოვანთა სიგრძე როგორც ინტერფერენციული მოვლენა კოდორის (**resp**. დალის) ხეობაში გადასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბ., 2007.

ჩანტლაძე 2007 — ი. ჩანტლაძე, ინტერფერენციული მოვლენები კოდორის, **resp**. დალის ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში, ენათმეცნიერების საკითხები, I, თბილისი, 2007.

ჩანტლაძე 2007 — **И. Чантладзе, Интерференции в сванской речи жителей кодорского,** resp. **Дальского ущелья, IV международная научная конференция "язык, культура, общество", Москва,** 2007.

ჩანტლაძე 2007 — **И. Чантладзе, Interferences in Svanetian speech of kodori, resp. Dali gorge population, Caucasus conference, Leipzig, 2007.**

Medea Saghliani

The Issues of the Structure of the Svan Language

Summary

Tbilisi
2016

Introduction

Short history of studying the Svan language

The Svan language is an considerable representative of Georgian, Georgian culture and state. Along with other Georgians the Svans have been forming the history of the Georgian nation since the immemorial time.

Along with Georgian and Colchian (Megrelian-Laz) the Svan language is attributed to the South-Caucasian languages group which is considered to be one of branches of the Iberian-Caucasian languages group. In the specialist literature this group is known under the name of the Kartvelian (Iberian) languages. Svan is spoken by the part of the Georgian people who reside in present Upper Svaneti (in the gorge of the Enguri river), in Low Svaneti (in the valley of the Tskhenitsqali river), in the mountain Apkhazia (in the valley of the Kodori river)[1] as well as by the people who migrated from different parts of Georgia at different times – mainly after natural disasters in 1987, also by the people who resettled from the Kodori gorge due to the war in 2008.

To research the structure and history of Georgian the data of unwritten Kartvelian languages are of great importance along with old written literary works and the modern living speech, as "*Svan is typologically close with Common-Kartvelian parent language... Svan has an especial place among the Kartvelian languages from the viewpoint of morphological structure... Svan is rich with novelties but at the same time it preserves archaic structural nuances, which are characteristic of the Kartvelian languages*" (T. Gamkrelidze, G. Machavariani).

"*Though Svan like Megrelian-Chan, is not represented on parchments, but it does not prevents them to preserve the oldest properties which, possibly, were common for all members of the Kartvelian languages, but have not been reflected in written literary works*" (K. Dondua).

Svan data, which are characterized by archaisms, are noteworthy to research Kartvelian languages from historical, comparative aspect and to reconstruct archetypes, since structurally Svan language is very close to common Kartvelian proto-language. Its complex phoneme system, grammar characteristic features and diversity of dialects are valuable from general linguistic standpoint, as well (T. Gamkrelidze, G. Machavariani).

